

სარგის კაკაბაძე

**ქართული ხალხის
ისტორია
1783-1921**



წინამდებარე წიგნი, რომელიც წარმოადგენს ავტორის გამოუქვეყნებელი მრავალტომეულ საქართველოს ისტორიის ნაწილს, დაწერილია 1930-იან წლებში. შემდგომ, და განსაკუთრებით სიცოცხლის უკანასკნელ წლებში (1965-1966), მასში შეტანილია ზოგიერთი შესწორება თუ დამატება.

ვფიქრობ, წიგნი ბევრ ისეთ საკითხს მოჰყენს ნათელს, რომელიც უაღრესად საჭიროა დღევანდელი ქართული ცნობიერებისათვის.

ლია სარგისის ასული კაკაბაძე

რუსეთისკენ ორიენტაციის ხანა

1.	რუსეთის დაინტერესება საქართველოთი.....	9
2.	რუსეთის წინსვლა ჩრდილოეთ კავკასიაში.....	10
3.	მფარველობითი კავშირის დადება რუსეთთან (1783 წ.).....	10
4.	რუსეთის პოლიტიკა ამიერ-კავკასიაში.....	11
5.	რუსეთი და სომხობა.....	12
6.	რუსული გავლენის გაძლიერება.....	15
7.	რუსეთთან ეკონომიურად დაკავშირების ცდები.....	15
8.	რუსეთთან დადებული ტრაქტატის შედეგები.....	16
9.	ომარ-ხანის შემოსევა.....	16
10.	რუსეთის საწინააღმდეგო მოძრაობა აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში.....	18
11.	ოსმალეთი ომს უცხადებს რუსეთს.....	19
12.	მდგომარეობა სპარსეთში.....	20
13.	კავშირი დარუბანდის და შემდეგ ყარაბაღის ხანებთან.....	20
14.	ქართლ-კახეთის საერთო ვითარება უარესდება.....	21
15.	ოსების თავდასხმანი და ჯარიმების გადიდება ოსების მიმართ.....	23
16.	მიწათმოქმედების შემცირება.....	23
17.	მღელვარება გლეხებში.....	24
18.	საბატონო მეურნეობა.....	25
19.	მუდმივი ჯარის საკითხი და სურსათის გადასახადის განახლება.....	26
20.	არევ-დარევა იმერეთში.....	27
21.	სახასო (სამეფო) გლეხების გამოსვლა (1785 წლის დასაწყისი).....	28
22.	მოაჯანყე აბაშიძე-წულუკიძე-წერეთლის დამარცხება.....	28
23.	სოლომონ II-ის გამეფება იმერეთს.....	29
24.	ამერ-იმერეთის გაერთიანების ცდა.....	30
25.	ერთობის კავშირი საქართველოს მეფე-მთავართა შორის.....	31
26.	ბრძოლა სოლომონ II-სა და გრიგოლ დადიანს შორის.....	32
27.	რუსეთთან დაკავშირებას ქართლ-კახეთში ოპოზიცია უწნდება.....	33
28.	რუსეთის მომხრე ჯგუფი.....	33
29.	შინაური კრიზისი ქა.თლ-კახეთში.....	34
30.	გადახრა დესპოტურ მართებლობისაკენ.....	36
31.	ტახტის მემკვიდრეობის ახალი კანონი და მისი შედეგები.....	36
32.	საუფლისწულოების გამოყოფა და სახელმწიფოს და დინასტიის საკუთრების განცალკევება.....	37
33.	გლეხების მდგომარეობის გაუარესება.....	38
34.	რადიკალურად მოაზროვნენი ერეკლე II-ის წინააღმდეგ.....	39
35.	საფრთხე სპარსეთის მხრიდან.....	40
36.	ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა.....	40
37.	რუსეთი ომს უცხადებს სპარსეთს.....	42
38.	ახალი მიმართულებანი რუსეთისადმი.....	43
39.	ერეკლე II-ის აღსასრული.....	44
40.	უთანხმოება სამეფო სახლში.....	45
41.	მეფე გიორგი XII.....	46
42.	სპარსეთთან ურთიერთობის განახლების ცდა.....	46
43.	გიორგი XII აპირებს ოსმალეთს მიმართოს.....	47
44.	ქართლ-კახეთის მართებლობის განწყობილება ისევ რუსეთის სასარგებლოდ.....	47
45.	რუსის ჯარის შემოსვლა თბილისში.....	49
46.	ქართლ-კახეთის გართულებული მდგომარეობა.....	49
47.	საქართველოს გაფართოების პროექტი რუსეთში.....	50
48.	ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების საკითხის კვლავ დასმა.....	51
49.	სპარსეთის მომხრეთა ჯგუფი.....	51

50.	ლექების თარეში.....	52
51.	განწყობილება სახანოებში.....	52
52.	გიორგი XII-ის გადაგდების ცდა.....	53
53.	რუსეთთან შეერთების პროექტი.....	54
54.	ომი ნიახურას.....	55
55.	ხალხის განწყობილება ქართლ-კახეთში.....	55
56.	რუსეთი ეპირება საქართველოში ფეხის მოკიდებას.....	56
57.	ქართლ-კახეთი ეძიებს რუსეთის ქვეშევრდომობას გარკვეული პირობებით.....	56
58.	ქართველ თავადებში ძლიერდება რუსეთის მომხრეობა.....	57
59.	მეფის ძე დაეით სამეფოს რეგენტი.....	58

II

რუსეთის მართებლობის შემოღება საქართველოში

60.	იულონის გამეფების ცდა.....	59
61.	იმპერატორ პავლეს მანიფესტი ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ.....	59
62.	რუსული მართებლობის შემოღება ქართლ-კახეთში.....	59
63.	ლექების თარეშების გახშირება.....	65
64.	თავადების შეთქმულება კახეთში (1802 წ.).....	65
65.	რუსული მართებლობის ხასიათი.....	65
66.	პავლე ციციანოვის დანიშვნა ქართლ-კახეთის მთავარმმართველად.....	66
67.	რუსული მართებლობა და წოდებანი ქართლ-კახეთში.....	67
68.	საქართველოს მოსახლეობა.....	68
69.	ლექების თავდასხმანი.....	69
70.	ჭარისა და ენისელის დამორჩილება; განჯის სახანოს შემოერთება.....	69
71.	თავადაზნაურობის დაორგანიზება.....	70
72.	ბრძოლა დასავლეთ საქართველოში იმერეთისადმი ოდიშის სამთავროს დამორჩილებისათვის.....	71
73.	რუსეთის მიერ ომის დაწყება სპარსეთთან.....	73
74.	განწყობილება რუსული მმართველობისადმი საქართველოში.....	73
75.	მთიულეთის აჯანყება (1804 წ.).....	74
76.	შელავათები მოსახლეობისათვის.....	74
77. ✓	სახანოების დამორჩილება აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში.....	75
78.	მდგომარეობა იმერეთში.....	75
79.	რუსეთ-ოსმალეთის ომი (1806-1812).....	77
80.	ფოთის აღება რუსების მიერ.....	77
81.	რუსული მართებლობის დამყარება იმერეთში (1810 წ.).....	77
82.	გურიის სამთავრო.....	79
83.	რუსული მმართველობის პირველი შედეგები ქართლ-კახეთში.....	80
84.	ხალხის აჯანყება კახეთში (1811-1812 წ.).....	81
85.	თავადების აჯანყება კახეთში (1812 წ.).....	82
86.	საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის (თვით-თავადობის) გაუქმება (1811 წ.).....	83
87.	ეკონომიური ურთიერთობა რუსეთთან.....	83
88.	ვაჭრული ბურჟუაზიის გაძლიერება.....	84
89.	დიფერენციაციის გაძლიერება გლეხობაში სოფლად.....	84
90.	თავადაზნაურობის წოდებრივი ორგანიზაციის განმტკიცება.....	86
91.	აჯანყება იმერეთში საეკლესიო საკითხთან დაკავშირებით (1819-1820).....	86
92.	დას. საქართველოს საკათალიკოსო.....	87
93.	საქართველოს საერთო ვითარება (1820-1830).....	90

III

რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა საქართველოში

94.	რუსეთის საბაჟო პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიაში.....	91
-----	--	----

35.	შემდგომი პროგრესი ეკონომიკ. ცხოვრებაში.....	91
36.	ეგრეთ წოდებული აზიური საბაჟო ტარიფი (1822-1831).....	92
37.	ყულევი.....	93
	ქართველი გლეხობის გაღარიბება და მათი განწყობილება.....	94
	მებატონეთა პროგრამა-მაქსიმუმი გლეხთა საკითხში.....	95
0.	სპარსეთ-რუსეთის ომი (1826-1828).....	96
1.	ოსმალეთ-რუსეთის ომი.....	97
2.	გურიის სამთავროს გაუქმება.....	97
3.	რუსული მმართველობის შემოღება საინგილოში.....	98
4.	საფასის საკითხი.....	98
05.	უცხოელ მეწარმეთა მოწვევის ცდები.....	98
06.	კოლონიალური პოლიტიკა.....	100
07.	რუსეთის სარეწველო საქონლის შემოჭრა საქართველოში.....	101
08.	ადმინისტრაციული ღონისძიებანი.....	103
09.	1832 წლის შეთქმულება.....	104
10.	პესიმისტური განწყობილება.....	106
11.	კვლილებანი ქართულ ბატონყმობაში რუსული კანონების შესაბამისად.....	106
12.	საბატონო გლეხების მდგომარეობის გაუარესება.....	107
13.	გლეხობის საერთო ვითარება აღმოსავლეთ საქართველოში.....	107
14.	აღდგენითი ხანის დამთავრება და ახალი მიღწევანი სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში.....	109
15.	რუსეთის საკოლონიზაციო პროექტები.....	110
16.	საბატონო გლეხების საჩივრების გამრავლება საქართველოში.....	110
17.	ადმინისტრაციული რეფორმა.....	111
18.	ჯანყი გურიაში (1841 წ.).....	112
19.	ბატონყმობის გაუქმების ცდა საქართველოში.....	113
20.	ბატონყმობა საქართველოში.....	115
21.	ვორონცოვის ნამესტნიკობა.....	119
22.	კანონი საბატონო გლეხების კერძო საკუთრების შესახებ.....	119
23.	ღონისძიებანი რუსეთთან ეკონომიურად დაკავშირების სასარგებლოდ.....	120
24.	კაპიტალისტური წყობის მაჩვენებლები.....	120
25.	პოლიტიკა ქართველი მებატონეების სასარგებლოდ.....	123
26.	საბატონო გლეხობის საკითხი ვორონცოვის დროს.....	124
27.	ვორონცოვი და ქართული კულტურა.....	125
28.	იმერეთის ეკონომიური მდგომარეობა XIX ს-ის პირველ ნახევარში.....	126
29.	ოდიშის სამთავრო.....	129
30.	ანარქია ოდიშში.....	131
31.	გლეხების აჯანყება ოდიშში.....	132
32.	ოდიშის სამთავროს გაუქმება.....	134
33.	სვანეთი.....	134
34.	აფხაზეთის სამთავრო.....	136
35.	რუსეთი და კავკასიის მთიელი ხალხი.....	138

IV

საგლეხო რეფორმის მზადება. ბატონყმობის გაუქმება

136.	რეფორმა გლეხების სახელმწიფო გადასახადების ფულზე გადატანის შესახებ.....	141
137.	ბარიატინსკის ნამესტნიკობა.....	142
138.	გლეხთა განთავისუფლების პროექტი.....	143
139.	საგლეხო რეფორმა რუსეთში (1861 წ.).....	143
140.	ბატონყმობა საქართველოში საგლეხო რეფორმის წინ.....	144
141.	ბატონყმობის საკითხში რადიკალური აზრის მიმდევარნი.....	146
142.	კავკასიის ნამესტნიკად დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის დანიშვნა.....	148

143.	თავადაზნაურობის დამოკიდებულება ბატონყმობის გაუქმებისადმი.....	9
144.	სამზადისი ბატონყმობის გასაუქმებლად საქართველოში.....	150
145.	პირველი დასი.....	150
146.	საზოგადოებრივი აზრი ქართველებში საგლეხო რეფორმის შესახებ.....	152
147.	თავადაზნაურობის წვრილ-მფლობელიანი უმრავლესობა და ავტონომისტები.....	154
148.	მსჯელობა საგლეხო რეფორმის დეტალების შესახებ.....	156
149.	ბატონყმობის გაუქმება აღმოსავლეთ საქართველოში.....	159
150.	150აფხაზეთის სამთავროს გაუქმება.....	162
151.	რუსული მმართველობა აფხაზეთში.....	164
152.	ბატონყმობის გაუქმება ოდიშში.....	164
153.	სოციალური ურთიერთობა აფხაზეთსა და სამურზაყანოში.....	166
154.	აჯანყება აფხაზეთში.....	166
155.	საინგილო.....	167
156.	ოსები ქართლში.....	167
157.	ლაზები (ჭანები).....	167
158.	ბატონყმობის გაუქმება აფხაზეთში.....	167
159.	სასოფლო მმართველობის მოწყობა.....	167
160.	რეფორმის უარყოფითი მხარეები.....	168
161.	საქალაქო ცხოვრება.....	170
162.	ბურჟუაზიის ჩამოყალიბება.....	170
163.	ამქართა აჯანყება (1865 წ.).....	170
164.	ადმინისტრაციული რეფორმა.....	171
165.	სასამართლოს რეფორმა.....	173
166.	საქალაქო თვითმმართველობის შემოღება.....	174
167.	ახალი ადმინისტრაციული დანაწილება (1868 წ.).....	174
168.	მაზრებში ნაწილების (უჩასტკების) კვლავ აღდგენა (1873 წ.).....	175
169.	სასოფლო მმართველობის მოწყობა.....	175
170.	საგლეხო რეფორმის უარყოფითი მხარეები.....	176

V

კულტურა

171.	კულტურის განვითარების საერთო ხაზი.....	181
172.	მწერლობა.....	181
173.	კულტურის სხვა დარგები.....	182
174.	განათლება.....	183
175.	ცვლილებანი ყოფა-ცხოვრებაში.....	184
176.	ყოფა-ცხოვრების ფაქტები.....	185
177.	ქართველების ჩამორჩენილობა კულტურის ასპარეზზე.....	188

VI

კაპიტალიზმის ხანა საქართველოში

178.	შავი მუშების მდგომარეობა.....	189
179.	სახელოსნო წარმოება და სახელოსნოს მუშები.....	190
180.	მრეწველობის და ფაბრიკა-საქარხნო მუშების წარმოჩენა თბილისში.....	191
181.	საქართველოს კაპიტალისტური განვითარება.....	192
182.	მეორე დასი.....	192
183.	ქართველი ხალხოსნები.....	193
184.	სათემო მიწათმფლობელობა.....	194
185.	ყოფილი საბატონო გლეხების მდგომარეობა საგლეხო რეფორმის შემდეგ.....	195
186.	ბათუმის და ყარს-არტაანის მხარეების შეერთება რუსეთთან.....	196
187.	მოდრაობა ქიზიყში (1878 წ.).....	197

188.	სანამესტნიკოს გაუქმება და მთავარმმართველის თანამდებობის შემოღება კავკასიაში.....	199
189.	რუსული ბიუროკრატიული მმართველობა საქართველოში.....	200
190.	ბრძოლა ეროვნული იდეისათვის.....	201
191.	ქართველი ხალხის დაქსაქსვის ცდა.....	202
192.	მთავრობის უკან დახვევის ნიშნები.....	204
193.	ცვლილებანი ეკლესიის სფეროში.....	205
194.	საქართველოს კოლონიზაცია რუსებით.....	206
195.	საზოგადოებრივი მიმართულებანი 1880-იან წლებში.....	206
196.	ქალაქების ზრდა საქართველოში.....	207
197.	გამარჯვებული პოლიტიკა.....	208
198.	სამეგრელოში ქართული ენის სასწავლო ხმარებიდან საბოლოოდ განდევნის ცდა.....	208
199.	დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი მქონებელთა ჯგუფებში.....	210
200.	სომხის ბურჟუაზია.....	211
201.	თავადაზნაურობის დაცემა.....	212
202.	გლეხობის მდგომარეობა.....	213
203.	ქართული ბურჟუაზია.....	214
204.	მუშათა კლასის განვითარება.....	214
205.	მესამე დასი.....	216
206.	მესამე დასის დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი.....	216
207.	ეროვნული საკითხი და საქართველოს მუშათა კლასი.....	217
208.	ქართველი ზომიერი ელემენტების მოთხოვნა.....	218
209.	მუშათა მოძრაობა საქართველოში XX ს-ის პირველ წლებში.....	219
210.	1905 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის წინა ხანა.....	220
211.	რევოლუციური მოძრაობა სოფლად.....	220
212.	რევოლუციური მოძრაობა შიდა-ქართლში.....	221
213.	მოძრაობა საქართველოს გლეხობაში.....	222
214.	მენშევიზმი და ბოლშევიზმი.....	222
215.	კავკასიის სანამესტნიკოს აღდგენა (1904 წ.).....	223
216.	1881 წლის სასწავლო გეგმის აღდგენა.....	223
217.	რუსული შავრაზმული პატრიოტული ორგანიზაცია.....	225
218.	წვრილი აზნაურობა.....	226

VII

1905 წლის რევოლუციიდან 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე

219.	რევოლუციური მოძრაობის გაღრმავება საქართველოში.....	227
220.	1905 წლის 17 ოქტომბრის ბურჟუაზიული რევოლუცია.....	227
221.	1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტი და საქართველო.....	228
222.	1905 წლის რევოლუციის დამარცხება.....	229
223.	სომხური პარტია დაშლაცუთინი.....	230
224.	სახელმწიფო სათათბირო და საქართველო.....	230
225.	რეაქციის ხანა.....	232
226.	საეკლესიო საკითხი.....	233
227.	ქართველი ინტელიგენციის მდგომარეობა რევოლუციის წინა ხანაში.....	234
228.	დროებით ვალდებულ გლეხთა დაწესების ლიკვიდაცია.....	235
229.	ხიზნები.....	236
230.	პირველი მსოფლიო ომი და საქართველო.....	237
231.	ბოლშევიკები საქართველოში ომის დროს.....	238
232.	ეროვნული საკითხი ბოლშევიკების და მენშევიკების თვალსაზრისით.....	239
233.	სამუსულმანო საქართველო.....	239
234.	აჭარის აოხრება რუსეთის ჯარის მიერ.....	240
235.	თებერვლის რევოლუცია რუსეთში (1917 წ.).....	240
236.	საბჭოთა ხელისუფლების დამყარება რუსეთში (25 ოქტომბერი 1917 წ.).....	242

VIII

თეგარვლის რეპოლუციიდან საბჭოთა ხელისუფლებამდე

237.	ამიერ-კავკასიის კომისარიატის მმართველობის დრო.....	243
238.	ამიერ-კავკასიის ფაქტიური გამოყოფა რუსეთისაგან.....	243
239.	რუსეთის ჯარის წასვლა კავკასიის ფრონტიდან.....	244
240.	ამიერ-კავკასიის სიმი.....	244
241.	ბათუმის აღება ოსმალთა მიერ.....	245
242.	ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება.....	245
243.	ბათუმის კონფერენცია.....	246
244.	ქართული ეროვნული საბჭო.....	246
245.	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა.....	246
246.	ზავი ოსმალეთთან.....	247
247.	გერმანელების ჯარის შემოსვლა საქართველოში.....	247
248.	აფხაზი მუჰაჯირები აფხაზეთში.....	248
249.	საქართველოს ეკლესიის საკითხი.....	248
250.	დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობა.....	248
251.	სახელმწიფო აპარატის და სკოლის გაქართულება.....	250
252.	მოლაპარაკება გერმანიასთან.....	250
253.	ტენდენციური რეფერენდუმი ბათუმის ოლქში.....	250
254.	შეთანხმება გერმანიასთან.....	251
255.	ინგლისელების გეგმა ამიერ-კავკასიის მიმართ.....	251
256.	ოსმალების მიერ ბაქოს დაკავება.....	252
257.	გერმანიასთან პოლიტიკური ხელშეკრულების პროექტი.....	252
258.	გერმანიის დამარცხება მსოფლიო ომში.....	252
259.	ომი სომხეთთან და ინგლისელების ჯარის შემოსვლა საქართველოში.....	253
260.	ოსმალების აგენტები სამცხეში.....	253
261.	საქართველოს დამფუძნებელი კრება.....	253
262.	ეროვნული საკითხი და ბოლშევიკები.....	253
263.	აგრარული საკითხი.....	254
264.	ბოლშევიკური აჯანყებანი საქართველოში.....	255
265.	მუშათა საკითხი.....	256
266.	საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება.....	256
267.	ბათუმის ოლქის და არტაანის მხარის შემოერთება საქართველოსთან.....	257
268.	ეკონომიური გაჭირვება.....	258
269.	საბჭოთა რუსეთის ვითარების შეუფასებლობა საქართველოში.....	259
270.	საბჭოთა ხელისუფლების დამყარება სომხეთში.....	260
271.	საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში.....	260
272.	საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯები საქართველოში.....	264
273.	ოსმალეთის ამოძრავება საქართველოს წინააღმდეგ.....	265
274.	ბათუმის საკითხი.....	266
275.	საზღვრის დადგენა ოსმალეთთან.....	267

IX

ქულტურა

276.	ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება.....	268
277.	მწერლობა.....	268
278.	პრესა.....	269
279.	მეცნიერება და ხელოვნება.....	269
280.	განათლება.....	270
281.	ყოფა-ცხოვრება.....	271

ქართული ხალხის
ისტორია

1783-1921



1

რუსეთისაჲს ორიენტაციის ხანა (1783-1800 წწ.)

1 რუსეთის დაინტერესება საქართველოში. 1770-იანი წლების ბოლოში რუსეთის მმართველ წრეებში, სადაც 1774-1792 წლებში დიდ როლს ასრულებდა ეკატერინე II-ს ფავორიტად მყოფი გრ. პოტიომკინი (შემდეგ უგანათლებულესი თავადი), დიდ ყურადღებას იჩენდნენ ვერეთ წოდებული ბერძნული პროექტის მიმართ, რომელიც მთლიანად მიმართული იყო ოსმალეთის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ კუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ (1774 წ.) თავპოტიომკინმა წარუდგინა იმპერატრიცა ეკატერინე II-ს პროექტი, რომელიც გულისხმობდა ოსმალების განდევნას ევროპიდან და კონსტანტინოპოლში ბერძნული სახელმწიფოს აღდგენას რუსი დიდი მთავრით სათავეში. ამიტომაც, როდესაც 1779 წ. აპრილში დაიბადა ეკატერინეს მეორე შვილიშვილი (პავლეს შვილი), მას სახელად დაარქვეს კონსტანტინე იმ განზრახვით, რომ შემდეგ ის უნდა გამხდარიყო ამ ბერძნული სახელმწიფოს იმპერატორი. 1782 წ. ეს პროექტი შემუშავებულ იქნა და იმავე წლის ნოემბერში კიდევ უცნობა აესტრიას, რომელთანაც შეთანხმებით რუსეთი აპირებდა ოსმალეთის საკითხის გადაწყვეტას.

თავისთავად ეს პროექტი მეტად ძნელი განსახორციელებელი იყო. დაბრკოლებას წარმოადგენდა ევროპის სახელმწიფოების მეტოქეობა ერთმანეთს შორის ბალკანეთის ნახევარ-კუნძულის საკითხების გარშემო. და არც ოსმალეთი იყო მთლად დაბეჭავებული, რომ მას ვერ შესძლებოდა ამ პროექტის განხორციელებისათვის ერთგვარი წინააღმდეგობა გაეწია. და გარდა ამისა, თვით ამ დაბრკოლებათა დაძლევის შემთხვევაშიაც, პროექტის სინამდვილეში გატარებას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ოთხ-მილიონიანი ბერძენი ხალხი მაშინ გაბნეული იყო სხვადასხვა ქვეყნებში და განზრახულ ბერძნულ სახელმწიფოს ტერიტორიაზე უმცირესობას წარმოადგენდა.

თითქოს ბერძნული პროექტის საწინააღმდეგოდ აესტრიის კარზე ამ დროს წამოიჭრა მეორე პროექტი. შავი ზღვის დასავლეთ და აღმოსავლეთ სანაპირო მხარეებში დაეარსებინათ ქრისტიანული სახელმწიფო და ამით აღედგინათ მითრიდატის სამეფო (ამ სახელით იყო ეს პროექტი ცნობილი). ერეკლეს და ქართლ-კახეთს ამ პროექტის განხორციელებაში უნდა მიეღოთ მეტად თვალსაჩინო მონაწილეობა. როგორცაც ამ პროექტის შესახებ ცნობამ (უფრო კათოლიკე პატრების მეშვეობით) მოაღწია ერეკლემდის, რომელმაც ჯერ კიდევ 1781 წელს გააგზავნა ერთი კათოლიკე პატრეთაგანი სახელით დომინიკე ვენაში თხოვნით გერმანიის (აესტრიის) იმპერატორის სახელზე, მაგრამ სხენებული პატრი გზაში, სტამბოლში, გარდაიცვალა. მეორე წელს ერეკლე, მითრიდატის სამეფოს აღდგენის პროექტის შესახებ უფრო დაბეჯითებით ცნობის მიღებისთანავე, საჩქაროდ აგზავნის ვენაში პატრ მაგრის – ერეკლე თხოულობდა გერმანიის (აესტრიის) იმპერატორისაგან ფულად დახმარებას რეგულარული ჯარის მოსაწყობად. სხენებულ პატრს მიჰქონდა ერეკლეს წერილები ანალოგიური თხოვნით რომის პაპის, საფრანგეთის და ნეაპოლის მეფეების და ვენეციის რესპუბლიკის მეთაურის სახელზე (ოქტ. 1782 წ.). პატრი უნდა წასულიყო რუსეთის გზით. რუსეთში პატრის წერილები (შესაძლებელია განგებაც) მოჰყვა რუს ხელისუფლების ხელთ. რუსეთში ეს წერილები გააჩერეს, რადგანაც პეტერბურგის კარს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა მჭიდროდ დაკავშირებოდა ერეკლე II-ს. ამიტომაც თბილისში საჩქაროდვე გამოგზავნეს უკვე როგორც რუსეთის კომისიონერი.ქართლ-კახეთში უკვე ნამყოფი (1778-1781 წლებში), ქართულის მცოდნე და ბერძენი სასარგებლო საქმის მომწყობი საქართველოში (ბეჭდვითი საქმე, დენტის წარმოების ქარხანა და სხვ.), გერმანელი იაკობ რეინგესი.

პეტერბურგში ესლა გაახსენდათ, რომ ერეკლე წინად თვითონ თხოულობდა რუსეთის მფარველობას. დაისვა საკითხი აგრეთვე ამიერ-კავკასიის სომხების იმავე მიზნით გამოყენების შესახებ. სომხები ამ დროს ყველაზე უფრო კომპაქტურად ცხოვრობდნენ ყარაბაღის მთიან ნაწილში, სადაც ისინი შეადგენდნენ ხუთ სამელოქოს (სათავადოს). სულ ყარაბაღში სომხები იყვნენ 7 ათ.კომლი (მთელი მოსახლეობის დაახლ. 35%), ერევნის სახანოში 3 ათ. კომლი (მოსახლეობის 20%) და ყარაბაღში 300 კომლი. განზრახული იყო ყარაბაღის და ყარადაღის ხანი იბრაიმი გადაედოთ და ამგვარად შეექმნათ სომხური სახელმწიფო სომხეთით სათავეში რუსეთის მფარველობის ქვეშ. ამ სომხურ სახელმწიფოს შემდეგ უნდა მიეზიდნა თავისკენ სომხური მოსახლეობის მქონე სხვა მხარეებიც (ერევნის სახანო და სხვ.).

2. რუსეთის წინსვლა ჩრდილოეთ კავკასიაში. კუჩუკ-კაინარჯის ზავით (1774 წ.) ოსმალეთმა, რუსეთის მოთხოვნით, აღიარა ყირიმის სახანოს დამოუკიდებლობა. ყაზარდო, რომელიც მანამდის ყირიმის სახანოს ემორჩილებოდა, ფაქტიურად რუსეთის ხელქვეით მოჰყვა, რაც აღიარებული ჰქონდა ყირიმის სახანოსაც. მდინარე დონსა და ყუბანს შუა მოთავსებული იყვნენ მომთაბარე და მესაქონლეობით მცხოვრები ნოღაელები, რომელნიც ყირიმის სახანოს კუთვნილებად ითვლებოდნენ. ამის შემდეგ ყირიმის სახანო გადაიქცა ოსმალეთის და რუსეთის ერთმანეთის საწინააღმდეგო პოლიტიკის ობიექტად. ერთ ხანს რუსეთმა თავისი ჯარიც კი შეიყვანა ყირიმში, ხოლო ნოღაელებს უპირებდა მდგომარეობის ქვედა ნაწილში გადაყვანას. 1774 წელს ოსმალეთმა მოითხოვა რუსის ჯარის გაყვანა ყირიმიდან და ყუბანის მხარიდან და რუსეთი იძულებული გახდა ამას დათანხმებულიყო. მაგრამ შემდეგ რუსეთმა აიძულა ყირიმის ხანი თავისი სახელმწიფო ვითომდა ნებაყოფლობით გადაეცა რუსეთის იმპერიისათვის და რუსის ჯარიც კვლავ შევიდა ყირიმში (1783 წ. აპრილი). ამას მოჰყვა ნოღაელების აჯანყება, რომელიც დიდი სისხლის ღვრით ჩააქრო გენსუვოროვმა. ერთ ბრძოლაში დაიღუპა 3 ათასი თათარი ნოღაელი, მეორეში კიდევ 4 ათასზე მეტი. მეორე დამარცხების შემდეგ ნოღაელებმა დაკარგეს კიდევ 30 ათასი ცხენი, 40 ათასი მსხვილფეხა საქონელი და 200 ათასი ცხვარი. ყველაფერი ეს უკრაინულ და რუს კაზაკებს ჩაუფარდათ ხელში. ნოღაელები, ვინც გადარჩა, გადაბარგდნენ ადიგეების ქვეყანაში. მთელი მხარე დაწყებული დონიდან ვიდრე ყუბანამდის დაცარიელდა და თანდათან დაიწყო ამ მხარის კოლონიზება უკრაინელი და რუსი კაზაკებით.

3. მფარველობითი კავშირის დადება რუსეთთან (1783 წ.). რუსეთის კომისიონერად რეინგესის ჩამოსვლა დაემთხვა იმ დროს, როდესაც ემიგრანტი ალაამილახერიშვილი ლეკეთში ამზადებდა ჯარს ქართლ-კახეთზე, ირაკლის გადაგდების მიზნით, თავს დასასხმელად. ვინ ედგა ზურგს უკან ამილახერიშვილს, არ სჩანს, მაგრამ საფიქრებელია ეს იყო დარუბანდის და სხვათა მფლობელი ფეტახი-ხანი, რომელიც დაინტერესებული იყო ქართლ-კახეთის სამეფოს დასუსტებით. "ზაფხულში ლეკების დახმარებით, სწერს თვით ამილახერიშვილი, მე ირაკლის თავს ვესხმოდი, მაგრამ პოლიტიკამ ის აიძულა თავი რუსეთისათვის შეეფარებინა და მით იხსნა თავი ჩემი რისხვისაგან"-ო. მზადება ამ თავდასხმის შესახებ უნდა დაწყებულიყო 1782-1783 წლის ზამთარში. ასეთი საფრთხის არსებობის პირობებში რუსეთის კომისიონერად ჩამოსულმა რეინგესმა ერეკლეს ადვილად დააჯერა, რომ დადგა რუსეთისგან მუდმივი მფარველობის მისაღებად ხელსაყრელი დრო. ამის შედეგად ერეკლე II-მ კვლავ აღძრა ეს საკითხი, რომელსაც პეტერბურგის მთავრობა ამჟამად სიამოვნებით შეხვდა და შეუდგა სათანადო მოლაპარაკებას. ეს მოლაპარაკება გათავდა 1783 წლის 24 ივლისს მფარველობითი კავშირის ტრაქტატის ხელის მოწერით ქალაქ გეორგიევსკში იმპერატორიცა ეკატერინე II-ის და ერეკლე მეფის რწმუნებულთა მიერ. ქართლ-კახეთის მხრივ იყვნენ ივანე მუხრან-ბატონი და გარსევან ჭავჭავაძე, ხოლო რუსეთის მხრივ გენერალ-პორუჩიკი პოტიომკინი, რუსეთის იმდროინდელი ფაქტიური გამგის თავად პოტიომკინის ბიძაშვილი. ტრაქტატი რატიფიცირებული ე.ი. ეკატერინე II-ისა და ერეკლე II-ის მიერ ხელმოწერილ იქნა 1783 წლის ბოლოს და 1784 წლის იანვარში.

ამ ტრაქტატის დადებისას ერეკლეს, მისივე სიტყვით, "რუსებზე ათასხუთასი (მაშინდელი) თუმანი მახლავი" (ნაღდი) დაეხარჯა (საჩუქრებად თუ ქრთამებად). ამ დროს ერეკლეს დაქირავებული ჰყავდა ლეკების ჯარი, რომელიც რუსი ჯარის შემოსვლის შემდეგ საჭირო აღარ იქნებოდა.

ამ ტრაქტატით ქართლ-კახეთის მეფე აღიარებდა რუსეთის იმპერატორის უზენაეს ძალაუფლებას და მათ მფარველობას. ტახტზედ ასვლისას ახალი მეფე თავისი ელჩის საშუალებით თხოულობს ტახტზე დამტკიცებას და ინვესტიტურის ნიშნების (სიგელის და სხვ.) გამოგზავნას, რომლის მიღებისას მეფე რუსეთის რეზიდენტის თანადასწრებით ღებულობს ფიცს. გარეშე სახელმწიფოებთან ურთიერთობა უნდა ხდებოდეს რუსეთის მთავრობასთან შეთანხმებით. ამას გარდა მეფე ღებულობს თავის თავზე ვალდებულებას იმპერიის სასარგებლოდ მოქმედებისას და საჭიროების დროს ის მზადაა თავისი ჯარით მისი იმპერატორებით დიდებულების სამსახურისათვის. სამაგიეროდ რუსეთი იძლეოდა გარანტიას ქართლ-კახეთის ტერიტორიის დაცვისა და ხელ-უხლებლობის და სამეფო ტახტის ბაგრა-ტოვანების გვარში დამკვიდრების შესახებ. ხელისუფლების გარანტია ვრცელდებოდა აგრეთვე იმ ქვეყნებზედაც, რომელნიც დროთა განმავლობაში საქართველოსთან იქნებოდნენ შემოერთებულნი და მასზე დამტკიცებულნი. შინაურ საქმეებში და მმართველობაში რუსეთი არ ერეოდა. დამოუკიდებელ

მდგომარეობაში რჩებოდა აგრეთვე საქართველოს ეკლესია (ეკლესიის პუნქტებით კიდევ განსაზღვრული იყო, რომ რუსეთი ვალდებული ხდებოდა, ჰყოლოდა ქართლ-კახეთში მუდმივად 2 კომპლექტური ბატალიონი ჯარი (ე.ი. ორი ათასი კაცი) და 4 ზარბაზანი.

3 ნოემბერს 1783 წ. თბილისში მოვიდა ეს ჯარი, ხოლო 23 იანვარს 1784 წ. ინვესტიტურის ნიშნების (გვირგვინ-სკიპტრის და დამტკიცებითი სიგელის) მიღების შემდეგ მეფე ერეკლემ დიდის ცერემონიით მიიღო ფიცი იმპერატრიცა ეკატერინე II-ის ერთგულებაზე. ამას თან მოჰყვა საჩუქრები სამეფო სახლის წევრთა და ზოგ წარჩინებულთა სახელზე სულ 36 ათასი მანეთის ღირებულების, თუმცა მოელოდნენ მეტს, რადგანაც ეკატერინე II ყოველ ახალ თავის ფაფორიტზე (რომელთაც ის ხშირად იცვლიდა) ასი ათასობით ხარჯავდა.

რუსეთ-საქართველოს შორის დადებულმა მფარველობით მოკავშირის ტრაქტატმა გარკვეულ ფორმებში ჩამოაყალიბა ის პოლიტიკური მიდრეკილება რუსეთის იმპერიისადმი, რომელიც ასე მძლავრად ახასიათებდა ერეკლე მეფის საგარეო პოლიტიკას დაწყებული 1769 წლიდან და რომელიც გამოინატებოდა მფარველობისა და დახმარების ძიებაში. ამიერიდან საქართველომ საბოლოოდ პირი იბრუნა სპარსეთისაგან ჩრდილოეთისაკენ.

ამ ხელშეკრულებით ქართლ-კახეთის მთავრობას იმედი ჰქონდა საბოლოოდ ჩამოშორებოდა სპარსეთს, თავისი საშინაო და საგარეო მდგომარეობა განემტკიცებინა და გარდა ამისა სამცხე-საათაბაგოს (ახალციხისა და არტაანის მხარეების) შემოერთებით საძირკველი ჩაეყარა საქართველოს გაერთიანებისათვის.

ტრაქტატი დადებულ იქნა უფრო ხელსაყრელი პირობებით, ვიდრე ეს ერეკლე მეფისათვის მოსალოდნელი იყო. რუსეთმა უარი განაცხადა ხარკზე, რომლის გადახდაზე თანახმა იყო მეფე ერეკლე. მძევალთა გამორთმევაც რუსეთში საჭიროდ არ დაინახეს. მეფეს დაუმტკიცეს ტიტული უმაღლესობისა სამეფო გვირგვინის კურთხევის უფლებით.

საზოგადოდ საქართველოს მთავრობა ძლიერ კმაყოფილი იყო ამ შედეგებით. ქვეყანას ძლიერი და, როგორც ამ დროს სჩანდა, უანგარო მფარველი გაუჩნდა და სამეფოს შინაური ცხოვრებისათვის იწყებოდა წარმატებისა და წინსვლის ახალი ხანა. მართლაც, რუსის ჯარის ჩამოსვლამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია როგორც მმართველ წრეებში, ისე ხალხში. ზამკარამ მალე აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ შორს იყო მტკიცე მყუდროების მოპოებამდის, რომ პირიქით, სწორედ ესხლა თითქოს ერთად იფეთქა ყველა ქართლ-კახეთის ირგვლივ მოკალათებულმა მტერმა. ამის მიზეზი იყო რუსეთის აშკარად აგრესიული ზრახვები ამიერ-კავკასიისა და ოსმალეთ-ირანის მიმართ. ემიგრანტი ამილახვრიშვილი, რომელიც ქართლ-კახეთზე გასალაშქრებლად ლეკების ჯარს კრებდა, აზვიადებს თავისი თავის მნიშვნელობას, როდესაც სწერს, რომ ირაკლიმ რუსებს "ოქროს მთები" აღუთქვა ოლონდ მე ჩავეგდე ხელშიო. მაგრამ ის სწორედ მსჯელობს, რომ: "პოლიტიკამ რუსებს კიდევ ბევრი რამ აფიქრებინა: საქართველოს მეშვეობით თურქეთის განდევნა ევროპიდან, ირანის, რომელიც ამ დროს აღრეულობაში იყო, სრულიად დაპყრობა, რუსეთის მსოფლიო მონარქიის იდეა".

4. რუსეთის პოლიტიკა ამიერ-კავკასიაში. პეტერბურგის მთავრობა ამ ხანებში დიდ მნიშვნელობას აძლევდა კავკასიაში ენერგიული პოლიტიკის წარმოებას და კერძოდ საქართველოში ფეხის მოკიდებით ძლიერ იყო დაინტერესებული. ამავე დროს საქართველოში რუსეთის ჯარის შესვლამ ფრიად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა ახლომახლო ქვეყნებზედაც. მაშინ როდესაც იმერეთი თავისი უფროსი მოძმის მაგალითით წაქეზებული, ცდილობდა რუსეთთან ასეთივე მჭიდრო და ფორმალური კავშირის დაჭერას, დაღისტანმა, აზერბაიჯანის ხანებმა და ოსმალეთის მთავრობამ დაინახეს რუსების თბილისში შემოსვლაში ფრიად დიდი საფრთხე თავისთვის. რუსეთი არც მალავდა თავის აგრესიულ ზრახვებს განსაკუთრებით სომხების საკითხის წამოყენებით და მისდამი მფარველობის გაწევით. რუსეთის აგენტებმა მაშინათვე გააბეს ძაფები აზერბაიჯანის სომხობასთან, განსაკუთრებით ყარაბაღში, რაც ძალიან აფიქრებდა ხანებს. ყარაბაღის სომეხი მელიქები წინადაც დაჟინებით სთხოვდნენ რუსის მთავრობას დახმარებას და მფარველობას თავიანთი ხანის წინააღმდეგ და იმპერატრიცა ეკატერინეს თავისი უმაღლესი ხელისუფალის თავგრაპოტიომკინის პირით უკვე აღთქმული ჰქონდა მელიქებისათვის აზიაში ქრისტიანული სახელმწიფოს აღდგენა. არსებული გეგმის მიხედვით განზრახული იყო ამ სახელმწიფოს შექმნა ყარაბაღისა და ყარაღალისაგან.

მალე ტრაქტატის შეკერის შემდეგ საქართველოსა და საზოგადოდ ამიერ-კავკასიის გარემოების გასაცნობად თბილისს გამოგზავნილ იქნა რუსეთის ფაქტიური მმართველის თავგრაპოტიომკინის ბიძაშვილი გენ. პავლე პოტიომკინი, რომელიც საზოგადოდ სპარსეთსა და მის მიმდებარე ქვეყნებში აქტიური პოლიტიკის წარმოების დიდი მომხრე იყო. გადაწყვეტილი იყო ქართლ-კახეთი გამოეყენებინათ როგორც დასაყრდენი ბაზა უფრო ფართე გეგმებისათვის. განზრახული იყო მდარეზის შესართავის ქვემოლ გაეშენებინათ ციხე და ქალაქი სახელით ეკატერინესერდ (ეკატერინეს გული) და იქ დაესახლებინათ 2 ათ. ახალგაზრდა სალდათი, უზრუნველყოფილი სამხედრო და სასოფლო სამეურნეო იარაღით. ქართველებს და სომხებს უნდა მიეცათ ამ სალდათებისთვის ცოლები. ამ ციხე-ქალაქის გაშენებით უზრუნველყოფილი იქნებოდა სომხური მოსახლეობის ინტერესები სამხრეთ ამიერ-კავკასიაში და რაც რუსეთისთვის მთავარი იყო, ახალი შესაძლებლობანი გაეხსნებოდა რუსეთის ვაჭრობას სპარსეთის და იქიდან ინდოეთის მიმართულებით.

1784 წლის იანვარში თბილისში ჩამოვიდა პოლკ. ტომარა, რომელმაც საზეიმო მიღების დროს გადასცა მეფე ერეკლეს რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-სგან გამოგზავნილი მეფობის საინვესტირებული ნიშნები: სიგელი, გვირგვინი, სკიპტრა, ხმალი, სამეფო წამოსასხამი და დროშა. ერეკლემ მიიღო ყველაფერი ეს სამეფო ტახტის კიბესთან (სამეფო ტახტი, წარმოადგენდა ევროპულ ჩვეულების თანახმად ბალდახინის ქვეშ მდგარ კიბეებთან მალალ სავარძელს) და შემდეგ ავიდა სამეფო ტახტზე და იქიდან წარმოსთქვა სამადლობელი სიტყვა. მეორე დღეს თბილისის სიონის ტაძარში წირვის შემდეგ ერეკლემ ხელი მოაწერა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას და მიიღო ფიცი რუსეთის ხელმოწიფის ერთგულებაზე (23 იანვ. 1784 წ.). ამის შემდეგ მოხდა ტრაქტატების ეგზემპლარების გაცვლა (ე.ი. ერეკლეს მიერ ხელმოწერილი ცალი გაიგზავნა რუსეთში, ხოლო ეკატერინე II-ის მიერ ხელმოწერილი კი დარჩა თბილისში).

იმავე წლის შემოდგომაზე თბილისში დიდი ამბით ჩამოვიდა კავკასიის ლინიის უფროსი გენ. პორუჩიკი პავლე პოტიომკინი. კავკასიონის უღელტეხილი, რომელზედაც ერთი ცხენიანი საბარგულიც ძლივს მოდიოდა, მან გაიარა რვა ცხენიანი ეტლით. მას თან ახლდა სამხედრო პირების ბრწყინვალე ამაღა რუსეთის უწარჩინებულეს ოჯახებიდან – მათ შორის გენ. სამოილოვი (უგანათლებულეს თავად პოტიომკინის დისწული), გერმანელი პრინცი რეინსფელდი და სხვ.

პოტიომკინმა დაჰყო თბილისს 22 დღე. რუსეთს ამ დროს აინტერესებდა აღმ.ამიერ-კავკასიაში და სამხრეთ აზერბაიჯანში ფეხის მოკიდება და ამასთან დაკავშირებით პოტიომკინი ეცნობოდა, ერეკლე II-სთან თათბირების დროს, ადგილობრივ მდგომარეობას.

როდესაც პოტიომკინი ჩრდ.კავკასიისაკენ აპირებდა გაბრუნებას, ამ დროს მოვიდა ცნობა კახეთის წინააღმდეგ ლეკების დიდი ჯარის გამოჩენის შესახებ. პოტიომკინმა დასტოვა თავისი მცველი რაზმის ნაწილი და ქართლ-კახეთში მყოფ რუსის ჯარის უფროსობა მიანდო გენ.სამოილოვს, რომელთან ერთად ერეკლე II გაემართა მდალაზანთან მომდგარ ლეკებთან შესაბრძოლებლად. ქართველ-რუსთა შეერთებული ჯარი შეებრძოლა ლეკებს ალაზანს გაღმა და დაამარცხა ის (24 ოქტ. 1784 წ.). ლეკებმა დაჰკარგეს მართო მოკლულთა სახით 200-ზე მეტი კაცი, ქართველებმა 20 კაცი და რუსებმა მოკლულ-დაჭრილთა სახით 17 კაცი, მაგრამ მათ შორის იყო პოდპოლკ. პრინცი რეინსფელდი, რომელიც ცხენზე მჯდომი სახიფათო ადგილას თვითონ ხელმძღვანელობდა ბრძოლას, დაიჭრა სასიკვდილოდ და მალე გარდაიცვალა.

ლეკების ეს დიდი გამოსვლა პირველი მამყენებელი იყო, რომ ქართლ-კახეთის საგარეო მდგომარეობა გაუარესებას იწყებდა.

5. რუსეთი და სომხობა პოტიომკინი თბილისში ყოფნისას ეცნობოდა აგრეთვე სომხების საკითხს და ამას, რასაკვირველია, ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის მხრივ სომხობის გულის მოსაგებად. რუსეთში ამ დროს უკვე კარგა ხანია მუშაობა წარმოებდა რუსის მთავრობის დასაჯერებლად სომხობის ბედის გამორკვევასა და გაუმჯობესებაში. ამ მუშაობას სათავეში ედგა რუსეთში მყოფი სომეხი მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ აღრუთაანი, რომელმაც თავისი უნარით და ენერგიით ერთ დროს შესძლო სომხობის საკითხის დაკავშირება რუსეთის დიდ პროექტებთან კასპიის ზღვისა და სპარსეთის შესახებ. ამ დროს ამიერკავკასიაში სომხობა არ წარმოადგენდა დიდ სერიოზულ ძალას თვით მოსახლეობის მხრივაც (ე.ი.) მთლად არეზს გამოღმა სახანოებში ირიცხებოდა სულ 16,3 ათასი

ასეთმა პასუხმა იბრეიმ-ხანს ვერ განუქარვა ეჭვები რუსეთის მიმართ და ამიტომ ის ესლა იწყებს ყოველ შემთხვევისათვის თავდაცვითი ზომების მიღებას. მან გაამაგრა შუშის ციხე და დაუწყო წარჩინებულ და მდიდარ სომხებს ღებნა, სხვადასხვა საბაბით ნივთიერი სახსრების გამორთმევა და სხვ.

~~მაგრამ ამ დროს დამოკიდებულება რუსეთისადმი ირანის ერთი ნაწილის მხრივ უცბად შეიცვალა. ვეჩილ ქვრიმ-ხანის საკვდილის შემდეგ სპარსეთში წარმოებდა ბრძოლა ირანის ტახტის პრეტენდენტთა შორის, რომელთა შორის ამ ხანისათვის პირველი ადგილი ეკავა ალი-მურად-ხანს. ალი-მურად-ხანის ხელში უკვე იყო სამხრეთი და ცენტრალური ირანი ქალ. ისპანიუთურთ, ჩრდილოეთით მისი მოწინააღმდეგე იყო ალა-შაჰმად-ხანი ყაჯარი, ასტრბადის ხანი, რომელიც კასპიის ზღვის სამხრეთ ნაპირის ქვეყნებს ფლობდა. ალი-მურად-ხანს უჭირდა ალა-შაჰმად-ხანთან ბრძოლა და ამიტომ ის აპირებდა დახმარება ეთხოვა რუსეთის მთავრობისათვის. თავის მხრივ ყარაბაღის იბრეიმ-ხანიც ძლიერ მტრულად იყო განწყობილი ალა-შაჰმად-ხან ყაჯარისადმი და ამიტომ თავის პოლიტიკას ისპანის მფლობელ ალი-მურად-ხანისადმი პორტირებდა. ამ მიზეზით ყარაბაღის-ხანიც ესლა იხრება რუსეთის სასარგებლოდ.~~

1784 წლის იანვარში რუსეთის მფარველობა ითხოვეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ ერთმანეთთან შეთანხმებით როგორც ყარაბაღის იბრაიმ-ხანმა, ისე აგრეთვე ხოის ახმედ-ხანმაც. იბრეიმ-ხანმა ერთხელ კიდევ გააგზავნა თავისი ელჩი (მუსა-სულთან) წერილით გენპოტიომკინთან თხოვნით, რომ რუსეთმა მიიღოს ყარაბაღის სახანო თავის მფარველობაში შინაურ საქმეებში ჩაურევლობის გარანტიით. აქაც პოტიომკინმა ხანს გაურკვეველ უპასუხა მხოლოდ ერთგულების მოთხოვნით.

უფრო კარგად შეხედნენ რუსეთში ხოის ხანის შუამდგომლობას რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღების შესახებ, რადგანაც ხოის სახანო არ შედიოდა განზრახულ ქრისტიანულ-სომხურ სახელმწიფოს ფარგლებში და ამ სახანოს დამორჩილებით რუსეთი ფეხს იდგამდა უცბად მდ. არეზის სამხრეთითაც. ამიტომაც იმპერატრიცა ეკატერინე II დასთანხმდა ქვეშევრდომობაში ხოის ხანის მიღებაზე და 21 ივნ. 1784 წ. თავად პოტიომკინმა წინადადება მისცა ხანს, რომ მას ამის შესახებ, თერგის შამხალის მსგავსად, აღედრა ფორმალური წერილობითი შუამდგომლობა დეპუტატების გაგზავნით.

ამავე დროს ალი-მურად-ხანმაც გამართა ფორმალური მოლაპარაკება რუსეთთან. სპარსეთის შაჰად ალიარების და ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების აღმოჩენის სანაცვლოდ ალი-მურად-ხანი თანახმა იყო დაეთმო რუსეთისათვის აღმ. ამიერ-კავკასიის სახანოები (ბაქო-დარუბანდ-ერევან-ნახიჭევან-ყარაბაღი). წინადადება იყო რუსეთისათვის მეტად სასარგებლო, რადგანაც საქართველოს საკითხის გადაჭრასთან ერთად წყდებოდა სომხეთის საკითხიც და ამასთანავე ჩნდებოდა რეალური შესაძლებლობა ირანის მიმართულებით სავაჭრო ურთიერთობის ფართოდ გაშლისათვის. ხოლო რადგანაც ყარაბაღის სახანოს ბედი სომხეთის აღდგენის განზრახვასთან დაკავშირებით აშკარად კითხვის ქვეშ იდგა, ამიტომ რუსეთის წარმომადგენლები გაურბოდნენ ყარაბაღის ხანთან გარკვეულ მოლაპარაკების წარმოებას.

მაგრამ ამ დროს მდგომარეობა ირანში იწყებს ძირეულად შეცვლას. რუსეთის წინვლას ირანის მიმართულებით წინ აღუდგა საფრანგეთი, რომელმაც ირანში სპეციალური დავალებით გააგზავნა გრაფი ფურიერ-სოგბეფი. მას უნდა ჩამოეშორებინა რუსეთისაგან ალი-მურად-ხანი და შეექმნა ირან-ოსმალეთ-საფრანგეთის ბლოკი რუსეთის წინააღმდეგ (მარტი 1784 წ.). მის მიერ ისპანში ალი-მურად-ხანთან და მის ვეზირთან მოლაპარაკებას მოჰყვა შედეგად ის, რომ თუ ამას წინად მზადდებოდა სპარსელების თავდასხმა ოსმალეთის საწინააღმდეგოდ ქალ. ბასრაზე, ესლა პირიქით, ალი-მურად-ხანმა განკარგულება გასცა ოსმალების მიერ გამოგზავნილი და მათ მიერ დაპატიმრებული ელჩი გაენთავისუფლებინათ. დიდის საჩუქრებით ეს ელჩი დაბრუნებულ იქნა უკან სტამბოლს. მას მიჰქონდა ალი-მურად-ხანის წერილიც სულთანთან, დარუბანდის ფეთ-ალი-ხანს ისპანიდან წინადადება მიეცა გაეწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა რუსეთთან. ამასთანავე ოსმალეთმა, საფიქრებელია, ალი-მურად-ხანთან შეთანხმებით, ხოის ხანი, რომელიც წინათ რუსეთის ქვეშევრდომობას თხოულობდა, დანიშნა აზერბაიჯანის სერასკირად. რუსეთის მთავრობა მაინც აპირებდა ალი-მურად-ხანთან მოლაპარაკების გაგრძელებას. მაგრამ უცბად ალი-მურად-ხანის მდგომარეობა გაუარესდა. ალა-შაჰმად-ხან ყაჯარმა დაამარცხა ალი-მურად-ხანის ჯარი, რომელსაც მისივე შვილი წინამძღოლობდა. ალი-მურად-ხანი ამ დროს ირანში იმყოფებოდა. აქ ყოფნისას მას მოუვიდა ცნობა

ისპანში მომხდარი აჯანყების შესახებ. ალი-შურად-ხანი გაეშურა ამ აჯანყების ჩასაქრობად, მაგრამ გზაში გარდაიცვალა (1785 წ. იანვ.). მისი სიკვდილის შემდეგ სპარსეთში გაძლიერება იწყო ალა-მაჰმად-ხან ყაჯარმა. საკითხი მშვიდობიანი გზით ამიერ-კავკასიის სახანოებში რუსეთის დამკვიდრების შესახებ მოიხსნა. ყარაბაღის იბრეიმ-ხანს ესლა უფრო ოსმალეთის იმედი ჰქონდა და ამის შემდეგ უკვე აღარ ეძიებდა რუსეთის ქვეშევრდომობას.

სომხობის საკითხის წამოყენებამ ყარაბაღში თავისებური გავლენა იქონია ქართლ-კახეთის სომხობის გავლენიან წრეებზე, რომელთა ინტერესი, მართალია, საქართველოს ფარგლებში ტრიალებდა, მაგრამ საერთო ხმა მათშიც ამოძახილს პოულობდა. მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ არღუ-თან დამატებით საქართველოდან იყო და გარდა ამისა თბილისის სომხობასა და ექიმადინის შორის განუწყვეტელი სულიერი კავშირი არსებობდა. ამით აიხსნება, რომ სომხობა მთლად მოექცა რუ-სოფილურ მიმართულების ნაკადში, რომელიც ამ დროს თვით ქართველ მმართველ წრეებშიც ფრიად ძლიერი იყო და რაც დრო გადიოდა, ეს მიმართულება სომეხ გავლენიან ჯგუფებში თანდათან ფეხს იკიდებდა. >

6. რუსული ბავშვების ბაჰლირება. 1783 წლის ტრაქტატის რატიფიკაციას მოჰყვა რუსეთის გავლენის გაძლიერება ქართლ-კახეთში. მმართველ წრეებში უკვე მოიპოვებოდნენ, თუ ესლა გაინდნენ, რუსული ენის ჩინებულად მცოდნენი. ასეთი იყო მდივანი თავ. სულხან ბეგთაბეგიშვილი, რომელიც მალე დაინიშნა ვიცე-კანცლარად. თანამდებობა ვიცე-კანცლარის, ე.ი. ვიცე-კანცლერის შემოღებულ იქნა რუსეთის მიზაძვით და რადგანაც ვიცე-კანცლერი იყო საგარეო საქმეთა ხელმძღვანელი, ცხადია, რომ თბილისშიც მდივან ბეგთაბეგიშვილს მინდობილი ჰქონდა საგარეო საქმეების გაძლოლა, ბეგთა-ბეგიშვილი მალე გარდაიცვალა (აგვ. 1788 წ.) და მის შემდეგ ვიცე-კანცლერად, ე.ი. გარეშე საქმეთა უწყების ხელმძღვანელად დაინიშნა საგვ. ბეგთაბეგოვი (საფიქრებელია გარდაცვლილი ვიცე-კანცლერის შვილი ან ახლობელი). 1791 წლის ივნისში ის იხსენიება როგორც "ქნიაზ ვიცე-კანცლერი ისაგ ბეგთაბეგოვი". მალე ამის შემდეგ ამავე თანამდებობაზე დაინიშნა მდივანბეგი სოლომონ ლიონ-იძე.

1785 წლის დასაწყისში კანცლერმა თავ. გრპოტიომკინმა გამოუგზავნა ერეკლეს ფორმა მუნ-დირისა ქართული "არტილერიის აფიცურთა, კანანირთა და სალდათთა". ამ დროსვე ერეკლემ მიიღო მისგანვე 6 რუსული სამხედრო წიგნი, მათ შორის პეტრე I-ის დროინდელი სამხედრო წესდება, მა-გრამ ეს წესდება სათაურით "სამხედრო უსტავი არტიკულებითა პროცესითა და ეგზერციაციითა" უკვე გადაეთარგმნა 1783 წელს არქიმანდრიტ გაიოს ნაცვლიშვილს (თელავის სემინარიის რექტორს). ერეკლეს უნდოდა დანარჩენი გამოგზავნილი სამხედრო წიგნებიც გადაეთარგმნინებინა ქართულად.

რუსეთთან მფარველობით კავშირის დადების დროს და შემდეგ იყო სურვილი შეექმნათ რეგუ-ლარული ჯარი, მაგრამ ამისი განხორციელება უსახსრობის გამო არ ხერხდებოდა.

არტილერია მოწყობილი იყო რუსულ ყაიდაზე, მაგრამ ფორმა არტილერისტებისათვის არ შე-მოულიათ, ყოველ შემთხვევაში ცნობა ამის შესახებ არ არის.

7. რუსეთთან ეკონომიურად დაკავშირების ცდები. რუსეთთან მჭიდროდ დაკავშირების მიდრეკილება ცხადად ჩანს ქართლ-კახეთის მართებლობის საბაჟო პოლიტიკის მიხედვითაც. ცნობები არსებული ბაჟების შესახებ ესება გიორგი XII-ის ხანას, უფრო ზუსტად 1800 წელს. მაგრამ საფიქრე-ბელია, რომ საბაჟო პოლიტიკის წარმართვა, რუსეთთან უფრო მჭიდროდ დაკავშირების მიმართულე-ბით, თარიღდება უფრო ადრინდელი დროით, შესაძლებელია 1784 წლით. ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ წელს ეს ბაჟები ჩელიაქის სახელწოდებით იყო შემდეგნაირი (ჩელიაქი სპარ-სულად ნიშნავს 1/40-ს, თავდაპირველად, მაშასადამე, ეს ბაჟი იყო ღირებულების 2,5%). სპარსეთიდან და ოსმალეთიდან შემოტანილ საქონელზე (მატერიებზე, ბეწვეულობაზე და სხვ.) დაწესებული იყო ბაჟი ღირებულების 10%, ხოლო რუსეთიდან შემოტანილ საქონელზე - 5%. თბილისიდან რუსეთსა და იმერეთში მიმავალ საქონელზე დაწესებული იყო ღირებულების 4%, ხოლო სპარსეთსა და ოს-მალეთში გასატანზე - 15%.

პტი-კრუას სიტყვით, ყიზლარში, რომელიც 1735 წ. იქნა გაშენებული, მის დროს (1784 წ.) ითვლებოდა 3 ათას სულამდის, რომელთაგან უმეტესობას სომხები შეადგენდნენ, დანარჩენები კი

იყვნენ ქართველები, ჩერქესები, რუსები და თერგის კახაეები. ქალაქს ჰქონდა სპარსული ქალაქების ხასიათი. იქ იყო რამდენიმე მართლმადიდებელი და სომხური ეკლესია და ერთი მონასტერიც, რომლის წინამძღვრად ერეკლე II-ის შვილი ანტონი იყო.

პტი-კრუასავე სიტყვით, ასტრახანში თითქმის მთელი ვაჭრობა მის დროს სომხების ხელში იყო, მაგრამ უმდიდრეს ვაჭარსაც 100 ათ. მანეთის კაპიტალიც არ ექნებოდაო.

სხენებულ სომხებს შორის იყვნენ თბილისის და საერთოდ აღმ. საქართველოს სომხები, რომლებიც ვაჭრობას აწარმოებდნენ საქართველოსთან.

8. რუსეთთან დადებული ტრაქტატის შედეგები. ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელობა ტრაქტატის დადებისა ქართლ-კახეთისათვის იმ დროს ჰქონდა შინაური აღმშენებლობითი მუშაობის გაღვივებას, მაგრამ ამ მხრივ რუსეთთან დადებულმა ხელშეკრულებამ ვერაფერი სარგებლობა მოუტანა ქვეყანას. რუსის მთავრობა სრულიადაც არ ცდილობდა ადგილობრივი ცხოვრების მოწყობაში ერეკლესთვის ხელის შეწყობას. ამის გარეშე, მალე რაიმე დადებით სახელმწიფოებრივ მუშაობაზე ფიქრიც შეუძლებელი გახდა, რადგანაც ხელშეკრულებამ საქართველოს წინააღმდეგ აამხედრა ყველა მაჰმადიანი მეზობელი. აზერბაიჯანის ხანებმა გააძლიერეს თავისი უნდობლობა ერეკლესადმი. თვით ყარაბაღის ხანი იბრეიმი ეხლა წინააღმდეგი გახდა ერეკლე მეფის, რადგანაც ხანის კარი, რუსების საქართველოში შემოსვლის გამო, შიშობდა სომეხთა მოძრაობის გაძლიერებას და საზოგადოდ რუსებისაგან მისი სახანოს ინტერესების დათრგუნვას. იბრეიმ-ხანის კარის მოქმედებით ქართლ-კახეთს გადაუდგა განჯის სახანოც. ერევნის სახანოშიც ქართლ-კახეთის წინააღმდეგ დიდი მუშაობა წარმოებდა. მართალია, ერეკლემ თავის დროზე მოახერხა ურჩობაში შენიშნული ერევნის ხანის მოკვლით და მის მაგივრად მცირეწლოვანი მისი შვილის მაჰმად-ხანის დადგინებით ერევნის შემოშორება, მაგრამ მდგომარეობა აქაც ძლიერ სერიოზული იყო. შიგნით სამეფოში ყველა ამ გარემოების მიხედვით მაჰმადიანთა მოსახლეობა აგრეთვე დიდ აღელვებას განიცდიდა. ერეკლეს უკვე შეუძლებლად მიაჩნდა, მაგალითად, ყაზახ მაჰმადილოელ თათრების ჯარში გაწვევა. ამავე დროს საერთო არეულობის გამო მორიგე ლაშქრის ინსტიტუტიც დაუსუსტდა და ქვეყნის დაცვის საქმეც უარესდებოდა.

რუსის ჯარის შემოსვლამ ქართლ-კახეთში ოსმალეთზედაც იქონია გავლენა. ოსმალეთის მთავრობა შეუდგა დაღისტნის ხალხების ამოძრავებას საქართველოს წინააღმდეგ. ავარიის ომარ-ხანს გაეგზავნა სტამბოლიდან დიდი თანხა (200 ათ. მანეთამდის) ოსმალეთის ინტერესებისათვის სამოქმედოდ და ჯარის დასაქირავებლად.

ამასთან დაკავშირებით ახალციხის ფაშა ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა, ქართლ-კახეთის სრულიად დაუსუსტების მიზნით, ლეკთა თარეშების გაძრავებისათვის. გაძლიერდა ისევე ახალი ძალით ხდომა, ძარცვა, აოხრება, ადამიანთ ტყვედ წასხმა. ასე მაგალითად, 1784 წ. გაზაფხულზე ახალციხის სულეიმან-ფაშამ გამოგზავნა ზემო-ქართლის ასაოხრებლად 4 ათასი ლეკის ჯარი, რომელთაც წაასხეს 600 ტყვე. სურამთან ამ ჯარს დახვდა რუსის ბატალიონი და ლეკებს ტყვე და ალაფი დააყრევინა. ერთი თვის შემდეგ სულეიმან-ფაშამ გამოუსია ქართლს ახალი თარეში, 3 ათასი კაცისაგან შემდგარი და ასე გამუდმებით. რომ რუსებს არ შესძლებოდა ქართველებისათვის დახმარების გაწევა, ოსმალეთმა ამოქმედა ჩრდ. კავკასიაში რუსის ჯარების წინააღმდეგ მიურიდიზმის მქადაგებელი უშურმა, იგივე შეიხ-მანსური, რომელმაც რელიგიური ფანატიზმის პროპაგანდის მეშვეობით შემოიკრიბა თავის გარშემო ქისტები (ნახჩიები), ყაბარდოელები. ბევრი ლეკიც მთიანეთიდან მიდიოდა მის ჯარში. ამოძრავდნენ რუსების წინააღმდეგ ჩერქეზებიც. კავკასიის ლინიის უფროსი გენ-ლეონტიევი სწერდა 1785 წლის აგვისტოში, რომ ყველა მთიელი ხალხი აჯანყდა ჩვენს წინააღმდეგო. რუსის ჯარებმა ყველგან მოიგერიეს თავდასხმელები, მაგრამ ქართლ-კახეთისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე აღარ ეცალათ. ასეთ პირობებში ერეკლემ გააგზავნა თავისი რწმუნებული ყაბარდოში ქირით მეომრების წამოსაყვანად. ეს იყო, რომ რუსების სარდლობა დაბრკოლებას ამისთვის არ ქმნიდა, სხვაფრივ კი დახმარებას ქართველებს ვერ უწევდა.

9. ომარ-ხანის შემოსევა. ხუნძეთის (ხუნძანის) ანუ ავარიის მთავარს (ნუცალს) მერსელს თავისი მორჩილი ქვეყანა ჰქონდა შედარებით მცირედი — 1770-იან წლებში მას შეეძლო თავისი სამფლობელოდან მხოლოდ 1 1/2 ათ.კაცის გამოყვანა. მაგრამ ნუცალს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ლეკეთის

მეტ ნაწილში და მისი მოწოდებით 25-26 ათ. კაცამდის იკრიბებოდა. ხოლო ჭარ-ბელქანის თავისუფალი თემების და ელთისუს სასულთნოს ძალების მომატებით (დაახლ. 10 ათ. კაცი), რომელთა გამოყვანა ფულით ანდა დავლაზე დახარბებით ადვილი იყო, ნუცალი მეტად ძლიერი ხდებოდა. ერეკლე II-ს შემორიგებული ჰყავდა ნუცალი მერსელი და აძლევდა მას ყოველწლიურ ჯამაგირს, რაც ხელს არ უშლიდა მის ხელქვეით თემების კაცთ თვითნებურად თარეშული თავდასხმები მოეწყოთ ქართლ-კახეთზე.

მერსელმა სცადა მიეთვისებინა ხანის ტიტული. ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ მისი შვილი ომარი უკვე ხანად იწოდებოდა. ერეკლე II შეეცადა მასთან დამოყვრებას და ითხოვა მისი ასული თავისი ერთ-ერთი შვილისათვის. მაგრამ რადგანაც საჭირო იყო ამ ასულის გადასვლა ქრისტიანობაში, ლეკეთის მაჰმადიანური სამღვდლოების წინააღმდეგობის გამო ეს ქორწინება არ შესდგა. მალე ამის შემდეგ ურთიერთობაც ერეკლესა და ომარ-ხანს შორის გამწვავდა, რადგანაც ერეკლე არ ცნობდა მას ხანის ტიტულით. ამით ომარ-ხანი და მისი კარი თავს შეურაცხყოფილად სთვლიდნენ. აი ამ ომარ-ხანს გამოუგზავნეს ესლა სტამბოლიდან 200 ათ. მანეთი ჯარის დასაქირავებლად. მართლაც მან შეკრიბა 11 ათ. კაცი, რომელთაც გზად მიემატა ჭარის და მიმდგამი მხარედან 9 ათ. კაცი, რის შემდეგ ის მოადგა კახეთს (1785 წ.). ერეკლეს არ შეეძლო მთელი თავისი ჯარის გამოწვევა. დასავლეთ ქართლიდან ჯარის გამოყვანა სრულებით შეუძლებელი იყო, რადგანაც ახალციხის მხრიდან მოსალოდნელი იყო ოსმალების, ანდა მათ მიერ დაქირავებული ლეკების, თავდასხმა. ამიტომ ერეკლემ 3-4 ათას კაცზე მეტის გამოყვანა ვერ მოახერხა. მაინც რუსის ჯარის დახმარებით ერეკლემ შესძლო ის, რომ ომარ-ხანი არ მოუშვა არც შიგნით კახეთში და არც თბილისზე.

ერეკლე გაემართა ომარ-ხანის წინააღმდეგ. ომარ-ხანი გადმოვიდა მდ.ალაზანს. ერეკლეს უნდოდა აქ შებრძოლებოდა მას, მაგრამ ამის წინააღმდეგ წავიდა, ძალთა სიმცირის გამო, ამ დროს მისი მთავარი მრჩეველი ნაზირი ივანე ყორჩიბაშვილი (თელაველი თავადი). გადაწყდა მთავარ ბრძოლას არიდებოდნენ. ლეკის ჯარს აყოლოდნენ და არ შემოეშვათ ის შიგნით კახეთისაკენ. ქართველების ჯარის რაოდენობა ხშირი დეზერტირობის გამო მეტად ცვალებადი იყო. ეტყობოდა, რომ რუსის ჯარის გვერდით მყოფობის მიუხედავად ქართველები განიცდიდნენ დიდ დემორალიზაციას. ერეკლე ხედავდა ამას და მეტად შიშობდა. ის ეუბნებოდა რუსის ჯარის უფროსს, რომ ამისთანა საფრთხე საქართველოს მაჰ-აბაზის შემდეგ არ უნახავსო.

"ვახანი რომ რაჯაბამ და ყარაჯი მაჰმადმა წაახდინა იმ დღეს დავიკარგენით, სწერდა 1810 წელს პეტრე კახიძე. მამა ჩემი ივანე და დედა ჩემი მე პატარ ვყვანდით, სამნივე სტამბოლს ჩავვიყვანეს და იქ დაგვიდეს. რუსმა ლაშქროვმა მამა ჩემი და მე სხვა მრავალი საქართველოს ტყვეები წაართვა თათარს. და სტამბოლიდამ ყირიმს გამოგვგზავნა ხომალდით". ყირიმიდან ის მოხვდა ყიზლარში. სადაც ეყმო დავითა ბაბალაშვილს, რომელმაც ის გაავზავნა ქართლში თავის მამულში.

ომარ-ხანმა თავისი ჯარით ჩაიარა იორით კახეთის ველზე (ყარაიაზზე) და გადავიდა ბორჩალოში, აქ ის შემოადგა ბორჩალოს მთავარ ციხეს ალჯა-ყალას, რომელსაც იცავდა ბორჩალოს მოურავი თავ. დავით მაჩაბელი და ვერ აიღო ის. აქედან ომარ-ხანი თავს დაესხა ახტალის მდინებს, დახოცა 100 კაცი მემადნე, ააოხრა ის, შემდეგ გადავიდა ლორეში, ალყა შემოარტყა ლორის ციხეს, რომელსაც იცავდა ამ ციხის მოურავი მალაქია გლურჯიძე. აქედან ომარ-ხანი თავისი ჯარით გადავიდა ახალციხის საფაშოში. ახალციხის საფაშოდან ის თავს დაესხა ვახანის მხარეს, რომლის მოსახლეობის მეტი ნაწილი ვახანის ციხეში შეხიზნულიყო. ვახანის ციხე და მხარე ეკუთვნოდა თავ. აბაშიძეებს. ერეკლე ქართველების და რუსების ჯარით მიეშურებოდა ხეობისაკენ, მაგრამ სურამში დაბანაკებისას მოვიდა ცნობა, რომ ლეკებს ოცი დღის გარემოცვის შემდეგ ერთი დიაკენის შინა-ღალატით აეღოთ ვახანის ციხე (30 ოქტ. 1785 წ.). ციხეში შეხიზნულთაგან 400 სული დაღუპულიყო და 400 სული (40 კომლი) კი ტყვედ წაეყვანათ.

ვახანში და მის რაიონში მომხდარმა უღეტამ გულამღვრევი შთაბეჭდილება მოახდინა ქართლ-კახეთში, მაგრამ მართებლობა უღონოდ გრძნობდა თავს ომარ-ხანის წინაშე. ვინაიდან დიდ-ძალი ტყვეებით ომარ-ხანი დაბრუნდა ახალციხეს, ხოლო იქიდან გაზაფხულზე წავიდა ყარაბაღს.

წამგვარად, ომარ-ხანის ამ შემოსევის დროს ერეკლემ ბოლოს და ბოლოს აირჩია ბრძოლისათვის გვერდი აეარა, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ მცირერიცხოვანი რუსის ჯარი არ კმაროდა აზვავებულ მტერთა წინააღმდეგ დასახმარებლად. ამიტომ რუსების სარდლობა კავკასიის ლინიაზე ურჩევდ

ერეკლეს დაეთმო ომარ-ხანისათვის და მორიგებობდა მას. მთავრად იძულებული გახდა მოლაპარაკება გაეშალა ომარ-ხანთან, რომელიც დასთანხმდა ზაფხუ 10.000 მანეთის მაშინვე მიღებით და წლიურად 5 ათ. მანეთის ჯამაგირად დანიშნით და მძევლების მიცემით.

ომარ-ხანის ამ ლაშქრობამ გამოარკვია, რომ ქართლ-კახეთის მდგომარეობა 1783 წლის ტრაქტატის დადების შემდეგ ყოველის მხრივ გაუარესებული შეიქმნა. მეზობლების გადაკიდებამ, გახშირებულმა გარეშე თავდასხმებმა და შინაურმა არეუ-დარევამ დიდი ღწორგანიზაცია შეიტანა ქართლ-კახეთის ცხოვრებაში. რუსეთს ან უფრო ენერგიულად უნდა მოეკიდა ხელი ქართლ-კახეთის საქმეებისათვის, ანდა დაეტოვებინა ის თავისი ბედის ანაზღაურად.)

10. რუსეთის საწინააღმდეგო მოძრაობა აღმამიერაპკასიაში. შეცვლილმა სიტუაციამ აამოქმედა რუსეთის მოწინააღმდეგე პირნი. ამ მოძრაობას ეხლა სათავეში ჩაუდგა ყარაბაღის ხანი იბრაიმი, რომლის ხელქვეით იყო ყარაბაღის ხუთივე სომეხი მელიქი. იბრაიმმა და მისმა უახლოესმა მრჩეველებმა კარგად იცოდნენ, რომ რუსეთი თავის იმედს ა/კავკასიაში ამყარებდა სომხებზედაც.

იბრაიმს უკვე შემოერთებული ჰქონდა ყარაბაღის სახანოც და გილანიც. ის კრებდა თავის გარშემო რუსეთის მოწინააღმდეგეებს. მან გადაიბირა თავის მხარეს განჯის ხანი ჯაფათი. მის მიერ მოწყობილი აგიტაციის გამო ყაზახისა (ნახევარი) და შამშადილის თათარი მესაქონლე მოსახლეობა ეგრეთ წოდებული ელები, აიყარნენ და გადავიდნენ — ყაზახელები ყარაბაღის და შამშადილელები განჯის მხარეს. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა ერეკლეს და ყარაბაღის სახანოს შორის, რადგანაც ერეკლე მოითხოვდა ელების უკან დაბრუნებას. ყარაბაღის ხანი ელებს არ უშვებდა და იმავე დროს დევნიდა მელიქების ხელქვეით მყოფ სომხურ მოსახლეობას.

წამგვარად იბრაიმი ცდილობდა თავის ხელქვეით გაეერთიანებინა სამხრეთ აღმოსავლეთ ა/კავკასიის თურქული (თათრული) მოსახლეობა. ის იყო მნიშვნელოვანი ზრახვების მქონე მმართველი. მის დროს აღმ. ა/კავკასიისათვის უფრო მტკიცედ ფეხს იკიდებს ტერმინი აზერბაიჯანი. თავის ვეზირად მას ჰყავდა მოლა (მაჰმადიანი ხუცესი) ფენაჰ ვაყიფი, რომელიც ცნობილი იყო როგორც დიდი პოეტი. ვაყიფი უპასუხებდა დროის მოთხოვნილებას, როდესაც იბრაიმ-ხანის ხელის შეწყობით ის თავისი პოეტური შემოქმედებისათვის სარგებლობდა არა სპარსული ენით, როგორც ეს მანამდის, თითქმის ყოველთვის, მიღებული იყო აღმ. ა/კავკასიაში, არამედ აზერბაიჯანულ თურქულით. ვაყიფის შემოქმედება თურქულ-აზერბაიჯანულ ენაზე იყო იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ის მიჩნეულია აზერბაიჯანული ახალი ლიტერატურის ფუძემდებლად. როგორც ჩანს, ის ერთ დროს ყარაბაღის ხანის ვეზირად გახდომამდის ცხოვრობდა ქართლ-კახეთის სამეფოში და თბილისში, რადგანაც მას აქვს თავისი ჩინებული ლექსები მიძღვნილი საქართველოსა და ქართველებისადმი 1772-1773 წლების ახლოს.

როგორც თურქულ-აზერბაიჯანული კულტურის მოამაგე და აზერბაიჯანის თვითმყოფობისათვის მებრძოლი იბრაიმ-ხანი ყარაბაღისა იყო სპარსეთის მოწინააღმდეგე. მაგრამ ის არც რუსეთს სთვლიდა აზერბაიჯანის ინტერესებისათვის მისაღებად და ამიტომ ის სდევნიდა თავის ხელქვეით სომხებს.

ეს დევნა იმდენად აუტანელი შეიქმნა, რომ ბოლოს წამოიჭრა საკითხი ყარაბაღიდან სომხების მასობრივად ქართლ-კახეთში გადმოსახლების შესახებ. ამ საქმის ინიციატორები იყვნენ ყარაბაღის სომეხი მელიქები (თავადები). სულ ყარაბაღში იყო 5 სომხური სამელიქო. ისინი თხოვდნენ ერეკლე II-ს, რომ გადაესახლებინა ქართლ-კახეთში, უფრო იგულისხმებოდა ლორე-სომხეთში ყარაბაღის მთელი სომხობა რიცხვით 15 ათ. კომლამდის (რიცხვი გადამეტებულად ჩანს) ერეკლე თანახმა იყო ამაზე და ის ქართველების და რუსის ჯარით მივიდა კიდევ განჯას. აქედან მეფის ძე იუღონი ქართველების ჯარის ნაწილით გაემართა ყარაბაღისაკენ, სადაც მას შეეჩება ყარაბაღის ხანი იბრაიმი, რომელიც დამარცხდა. ამ დროს პეტერბურგიდან მოვიდა ბრძანება, რომ რუსის ჯარი რუსეთ-ოსმალეთის ომის მოლოდინში საჩქაროდ უკან დაბრუნებულიყო და ბურნაშოვმაც მაშინვე დასძრა რუსის ჯარი რუსეთისკენ წასაყვანად (1787 წ. ოქტ.). ერეკლეს ვერავითარმა ხვეწნამ ვერ გასჭრა. ერეკლემ გადასცა სომხების გადმოსახლების საკითხი გადასაწყვეტად თავის რჩევას. რჩევაზე გამოითქვა შიში, რომ სომხების ასეთი დიდი რაოდენობით ქართლის ტერიტორიაზე ჩასახლება საფრთხეს შექმნის თვით ქართველებისათვის, მით უმეტეს, რომ ყარაბაღელი სომხები ცნობილნი იყვნენ, როგორც საუკეთესო

და მამაცნი მეომარნი. ამიტომ რჩევა წაიდა სომხების გადმოსახლების წინააღმდეგ და საკითხიც ჩაიშალა. ქართველების ჯარიც უკან გაბრუნდა.

სომხების ორი მელიქი 500 კომლით გაიქცა განჯის სახანოში. მაშინ ყარაბაღელმა იბრაიმ-ხანმა გამართა განჯის ხანთან მოლაპარაკება ამ სომხების უკან დაბრუნების შესახებ. ქართლ-კახეთის მთავრობამ ამაზე თანხმობა განაცხადა იმ პირობით, თუ იბრაიმ-ხანი მასთან გაქცეულ ბორჩალოელ თათართა 200 კომლს დასთმობდა. მაგრამ მელიქებმა გადაჭრით უარი განაცხადეს ყარაბაღში უკან დაბრუნებაზე და იარაღით გაუმკლავდნენ მათ წინააღმდეგ გამოგზავნილ იბრაიმ-ხანის რაზმს. მელიქები საშინლად გაბრაზებულნი იყვნენ ერეკლეზე, რომელიც მათ ყარაბაღის ხანს უკან აძლევდა. მელიქები დარჩნენ განჯის სახანოში და ამის შემდეგ ისინი გახდნენ ინტრიგებისა და აგიტაციის ბუდედ საქართველოს წინააღმდეგ.

11. ოსმალეთი ოსს უცხადებს რუსეთს. 15 ივლისს 1787 წ. პორტამ სტამბოლში გადასცა რუსეთის ელჩს ნოტა, რომლითაც სხვათა შორის თხოულობდა, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II რუსეთის მიერ აღიარებული ყოფილიყო ოსმალეთის ვასალად. შემდეგ ოსმალეთმა მოითხოვა რუსეთისგან 1783 წელს შემოერთებული ყირიმის დაცლა, რაზედაც პეტერბურგის მთავრობამ უარი განაცხადა. ამას მოჰყვა შედეგად ოსმალეთის მიერ რუსეთისათვის ომის გამოცხადება (12 აგვ. 1787 წ.). პეტერბურგიდან მოვიდა ბრძანება ქართლ-კახეთში მყოფი რუსის ჯარის დაუკონტროლებელი უკან დაბრუნების შესახებ. ამ შემთხვევაში რუსეთს დასჭირდებოდა ქართლ-კახეთის დასაცავად უფრო მრავალრიცხოვანი ჯარის გამოგზავნა. ამიტომ რუსეთმა არჩია ქართლ-კახეთში მყოფი 2 ათასი კაციც გაეყვანა იქიდან. ერეკლე II-ს შესაძლებლობა ეძლეოდა თავისი ღონისძიებებით და სათანადო მოლაპარაკებით აღედგინა მეზობლებთან ნორმალური დამოკიდებულება. ამით 1783 წლის ტრაქტატი დარღვეული შეიქნა, მაგრამ ქართლ-კახეთის მართებლობა მაინც რუსეთის ერთგული დარჩა.

რუსის ჯარის აქ ყოფნამ საზოგადოდ დიდი ზარალი მიაყენა ქართლ-კახეთს. ერთი რომ მარტო მისი შენახვისათვის მეფის ხაზინა ეწეოდა დიდ ხარჯს, წელიწადში 30 ათას მანეთამდის, რადგანაც რუსის ჯარი ხორბლეულობაში და საზოგადოდ სურსათში იხდიდა მყარ ფასად ლიტრა პურში 3 1/2-4 კაპ. მაშინ როდესაც ქართლ-კახეთის მთავრობა ამავე ლიტრას იძენდა ხშირად 15 კაპიკად. ხოლო მეზობელი სამფლობელოების და ოსმალების გადამტერებამ ხომ სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა ქვეყანა.

რუსის ჯარის წასვლამ მაშინვე ფრიად კარგი გავლენა იქონია საქართველოს საგარეო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. რადგან ამიერიდან ერეკლე მეფეს საშუალება მიეცა კეთილი დამოკიდებულება აღედგინა მეზობელი ქვეყნების მფლობელებთან.

მაგრამ მიუხედავად ამისა ქართლ-კახეთის საერთო მდგომარეობას გამოკეთება მაინც არ ეტყობა. 1788 წლის დასაწყისში ახალციხის სულეიმან ფაშამ გამოგზავნა ერეკლე II-სთან ქაიხოსრო აბაშიძე და წინადადება მისცა მას გაეგზავნა მძევლად ერთი თავისი შვილთაგანი და ორი თავადი. შვილი დატოვებული იქნებოდა ახალციხეს, ხოლო თავადები გაგზავნილი იქნებოდნენ სტამბოლს. ოსმალეთში გავრცელებული იყო ხმები, თითქოს რუსეთი აპირებს ოსმალეთის საწინააღმდეგოდ საქართველოში დიდი ჯარის გადმოყვანას. და ამიტომ ოსმალეთის მთავრობა ცდილობდა უზრუნველი ყოფილიყო ქართლ-კახეთის მართებლობის მხრივ. ერეკლემ უარი სთქვა მძევლების მიცემაზე და სთხოვდა რუსეთის მთავრობას თავპოტიომკინის მეშვეობით, რომ რუსეთს გამოეგზავნა დამხმარე ჯარი. "მაგრამ თუ ახლავე კმასაყოფელი შეწევნა არ მოგვეცა, სწერდა ერეკლე თავ. გრ.პოტიომკინს 5 თებ. 1788 წ., უთუოდ ეს ქვეყანა წახდება და ოსმალთ რომ საქართველო ხელში ჩაიგდონ, მთლად კაკკასიის მთები, დაღისტანი და ადერბეიჯანი და ხვანთქარის სახელმწიფო სულ გაერთდება და საქმე უფრო სიმძიმეში შევა. ამაზედაც მერწმუნოს თქვენი განათლებულება: აქ რომ ამ დროს კმასაყოფელი რუსეთის მხედრობა მოვიდეს, დაღისტანელთ და ადრბეიჯანელთ ასეთი შიში აქვსთ თქვენის მხედრობისა, რომ მაშინვე უკუნიქცევიან და ჩვენც მოცლილნი შევიქნებით ოსმალთ მტერობისათვის და ადრბეიჯანშიაც ასეთი კაცი არავინ არის, რომ რუსეთის მხედრობა რომ აქ იყოს, მაშინ საქმეს თავი გამოაბან და ან ერთმანეთს თანხმობა მისცენ და წინააღმდეგი რამ შეიძლონ და თუ რუსეთის

მხედრობა აქ არ იქნება, ჩვენს მტერობას ადვილად შეიძლება, რადგან ხვანთქარიც შემწე არის ზოგს ადრიბეჟანელებთან".

რუსის ჯარის ყოფნამ ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობა ა/კავკასიაში დიდად დააზიანა, რადგანაც მაჰმადიანური წრეები ქართველების ხელმძღვანელობის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი. განჯის სახანო ფაქტიურად ჩამოშორდა ქართლ-კახეთს. ამ საერთო მდგომარეობის გაუარესებას გულისხმობდა ერეკლე, როდესაც ის სწერდა გენ. პავლე პოტიომკინს კავკასიის ლინიაზე: "ამ სამსწელიწადში (იგულისხმება 1784 წლიდან) რამდენი დააკლდა ჩვენს ქვეყანას. განჯა წაგვერთვა, შამქორი და აგრეთვე რომელნიც ჩვენს ქვეყანაში მაჰმადიანნი იმყოფებიან, ისინიც სულ გაუორგულებულნი არიან და აღარც განწყობილნი ხარკს გვაძლევენ და თუ არ პოლიტიკით, არასფერს არას გვემსახურებიან და როდესაც მტერს ნახავენ, ჩვენ იმათგან სამსახურის იმედი აღარა გვაქვს".

შიგნითაც ქართლ-კახეთში განწყობილება იყო მძიმე. ერეკლე II მაშინ სწერდა იმავე პირს: "...ჩვენს ქვეყანაში მსახლობელნი კეთილშობილნიცა და გლეხნიც საზოგადოდ სასოწარკვეთილობაში არიან შესულნი, რომ რუსეთიდან შეწყვენის ძალი ველარა ნახეს რა".

12. მდგომარეობა სპარსეთში. სპარსეთში ამ დროს გაძლიერებული იყო თურქულ ყაჯართა ტომის მეთაური, მაზანდერანის მფლობელი ალა-მაჰმად-ხანი, რომელიც ნადირ-შაჰის ძმისწულმა ადილ-შაჰმა დაასაჭურისებინა. მას ეკავა უკვე სპარსეთის სატახტო ქალაქი ისპაანი და ბევრი ქვეყანა სამხრეთ და ცენტრალურ სპარსეთში. მაგრამ მას დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ სხვა ხანები განსაკუთრებით ჩრდილოეთ სპარსეთში. ამიტომ ალა-მაჰმად-ხანი ცდილობდა ერეკლე II-სთან დაკავშირებას და ერთ დროს (1786 წ.) წინადადებას აძლევდა მას მიეღო მისგან მთელი აზერბაიჯანის მმართველობა (იგულისხმებოდა არა მარტო აღმ. ამიერ-კავკასია, არამედ თავრიზის ქვეყანაც). ერეკლემ ეს წინადადება უყურადღებოდ დასტოვა, რადგანაც ის მაშინ მტკიცედ ადგა რუსეთის ორიენტაციას. მაგრამ ეხლა, როდესაც რუსეთის ჯარი წავიდა ქართლ-კახეთიდან, ერეკლე იძულებული გახდა ამიერ-კავკასიის ხანებს შორის მოეძებნა მოკავშირენი.

13. კავშირი ღარუბანდის და შემდეგ ყარაბაღის ხანებთან. ამ დროს აღმოსავლეთ ა/კავკასიაში ცალკე სახანოებს შორის წარმოებული მუდმივი ინტრიგებისა და ბრძოლების პროცესში კვლავ გაძლიერებულიყო ღარუბანდის ფეთ-ალი-ხანი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი ჭკუით და პოლიტიკური გამჭრიახობით. მას დამორჩილებული ჰქონდა შირვანის სახანო და უკვე პირველობდა მთელ აღმ. ამიერ-კავკასიაში. ის ცდილობდა რუსეთის ხელისუფლებასთანაც კარგ განწყობილებაში ყოფილიყო და თითქოს ეძიებდა რუსეთის მფარველობასაც. ფეთ-ალი-ხანმა შაქის ხანთან და განჯის ხანთან შეთანხმებით მოიწვია ერეკლე II აზერბაიჯანის და სპარსეთის საქმეებზე მოსალაპარაკებლად. შეხვედრა მოხდა შამქორში, სადაც გამოუმუშავებულ იქნა საერთო საზი ყარაბაღის იბრაიმ-ხანის წინააღმდეგ და სპარსეთის მიმართაც (1788 წ.). მაგრამ ამ შეთანხმებას თვალსაჩინო შედეგი არ მოჰყოლია, რადგანაც ფეთ-ალი-ხანი მალე ამის შემდეგ გარდაიცვალა ბაქოში (1789 წ.). მის შვილს და მემკვიდრეს უკვე აღარ ჰქონდა აღმ. ამიერ-კავკასიის ხანებს შორის მამის ძალა და ავტორიტეტი და ამიტომ ერეკლეს მიერ დადებული სხენებული კავშირი თავისთავად გაუქმდა.

სხენებული შეთანხმების ჩაშლის შემდეგ ერეკლე ეძიებს ახალ მოკავშირეს. ყველაზე უფრო გამოსადეგი ამისათვის იყო ყარაბაღის ხანი იბრაიმი. საერთო ენის გამონახვა ყარაბაღის ხანთან არ იყო საძნელო. ქართლ-კახეთს აინტერესებდა თავისი მდგომარეობის განმტკიცება სპარსეთის წინააღმდეგ. ყარაბაღის ხანი კი თავის მხრივ ადგა აზერბაიჯანის თვითმყოფობის გზას და აგრეთვე სპარსეთის წინააღმდეგ იყო განწყობილი. მისი ვეზირი, გამოჩენილი აზერბაიჯანელი. პოეტი ვაყიფიცი, ქართველებისადმი მეგობრულად იყო განწყობილი. ეს იყო მხოლოდ რომ ყარაბაღის ხანთან კავშირის დადების შემდეგ ერეკლეს უარი უნდა ეთქვა ყარაბაღელ სომხების მფარველობაზე. ეს კი მით უფრო ადვილი იყო, რომ იბრაიმ-ხანს განდევნილი ჰყავდა ყარაბაღიდან ეხლა უკვე სამი მელიქი, რომელნიც თავისი ხელქვეითი ხალხის უმეტესობით განჯის სახანოში იყვნენ გახიზნულნი. ამგვარად, გადაწყდა იბრაიმ-ხანთან მოლაპარაკების დაწყება. მართლაც, შედარებით მოკლე ხანში ერეკლე მოურიგდა ყარაბაღის იბრაიმ-ხანს და მასთან კავშირი დადო ერთად ემოქმედნათ აღმ. ამიერ-კავკასიის საქმეებში და სპარსეთის მიმართაც. ამ მორიგების შემდეგ იბრაიმ-ხანმა დააბრუნა ყაზახის ელი და ერეკლემ

ერიდებოდა ყარაბაღის სომხების აშკარა მფარველობას. განჯის ხანი დაუბრუნდა ისევ ქართლ-კახეთის ვასალობას, თუმცა როგორც შემდეგ ცხადი შეიქნა, არც ისე მტკიცედ. ეს კავშირი ქართლ-კახეთსა და ყარაბაღის სახანოს შორის მოქმედებდა მაშინაც, როდესაც ალა-მაჰმად-ხანი ყაჯარი გახდა თითქმის მთელი ირანის მბრძანებელი.

14. ქართლ-კახეთის საერთო ვითარება შარასღება. ამ ხანაში ქართლ-კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ერეკლე II-ის ცოლი დარეჯან დედოფალი, დაბადებით სამეგრელოს მთავრის დადიანის ქალი. 1780-იან წლებიდან ერეკლე II შევიდა მოხუცებულობაში და განსაკუთრებით ომარ-ხანის შემოსევის დროიდან ის უკვე ვეღარ იჩენს წინანდელ გონებრივ სიფხიზლეს. საქმეებში ეხლა უფრო და უფრო მეტად ერევა დარეჯან დედოფალი, რომელიც თავის ქმარზე ოციოდე წლით უფრო ახალგაზრდა იყო. დარეჯანი იყო ენერგიული, მაგრამ მეტად შეზღუდული გონების ქალი, რომელსაც არაფერი გაეგებოდა საქართველოს წინაშე მდგარ პოლიტიკურ ამოცანების შესახებ. საქვეყნო საკითხებს ის უყურებდა ვიწრო ოჯახური თვალსაზრისით და ამიტომ, მაგ., შემდგომში ხელს უშლიდა სოლომონ II-ის ოდიშის სამთავროს შემომტკიცების საქმეში მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ წარმოშობით დადიანის ოჯახიდან იყო. და საერთოდ მთლიანი საქართველოს იდეა მისთვის არ არსებობდა. აგრეთვე, დარეჯან დედოფალი სიძულვილით ეპყრობოდა ტახტის მემკვიდრეს გიორგის, თავის გერს, რის გამო გიორგი ბატონიშვილი ჩამოშორებული იყო საქმეებს. თანდათან და განსაკუთრებით 1792 წლიდან ფაქტიური გამგებელი, დარეჯანი იძლეოდა განკარგულებებს, ამტკიცებდა განჩინებებს და სხვ. დარეჯანის როლი ქართლ-კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში იყო მეტად უარყოფითი შედეგების მქონე. საქართველოს მიმართ დარეჯანის და მისი შვილების პოზიციის გასარკვევად შეიძლება ნიმუშად მოტანილ იქნას ერთი დოკუმენტი.

1788 წლის 18 თებერვალს დარეჯან დედოფალი სწერდა უგანათლ. თავ. გრ. პოტიომკინს: "თუ საზოგადოდ გამოიგზავნოს იმერეთის ჯარი, ამას ვითხოვთ ვედრებით თქვენის უგანათლებულობისაგან, რომ იმ ჯარის სამსახური იმერეთის მეფეს ცალკე ებძანოს. და ჩემს ძმას დადიანს ცალკე ებძანოს, რათა თანამდებობა გარჩევით იცოდნენ. ამხანათ მათი ყოვლადუსამღვდელოესობა დადიანის ძმა უფალი ჭყონდელ მიტროპოლიტი ანტონი აქ ჩვენთან იმყოფებოდა და ამ საქმეზედ ჩვენს შვილებსაც წიგნი მოსწერა და იმათგანაც მოხსენდება თქვენს უგანათლებულებობას და მთხოველ ვარ, რათა კეთილმზრუნველობა თქვენი ჩემს ძმას დადიანს უჩვენოთ საქმესა ამას შინა და ისიც ჩვენს თანამდებნი გვამყოფოთ".¹

ცხადია თუ რა ცუდი წარმოდგენა უნდა შეექმნათ ამ წერილის მიხედვით რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების მესევერთ საქართველოსა და ქართველებზე საერთოდ და კერძოდ ერეკლე II-ის ოჯახზე, რომლის ყველა წევრი თავს უფლებამოსილად სთვლიდა პირველხარისხოვანი სახელმწიფო საკითხები თავისი შეხედულებისამებრ ან თავისი ინტერესების შესაბამისად გადაეწყვიტა.

საგარეო ურთიერთობის შედარებით რამოდენადმე გაუმჯობესების მიუხედავად, ქვეყანა მაინც შორს იყო სრული მშვიდობიანობისაგან. ახალციხის ფაშა ისევ თავის წინანდელ მტრულ გზას ადგა და ახალციხის მხარედან გადმოსული ლეკთა თარეშები კვლავინდებურად არბევდნენ ცალკე სოფლებს და ქვეყანას სასოწარკვეთილებაში აგდებდნენ. ამ ლეკებს მხარს უჭერდა ზოგი მოლაღატე თავადი, ახალციხეს გაქცეული. ასე მაგალითად, ქსნის ერისთავის ძეთ მიხეილ და ვითის ძემ, მირმანოზმა და ელიზბარმა მიიმხრეს თავისი სიძე ზაქარია ციციშვილი, რომელსაც დაპირდნენ მეფობას და დიდის თარეშებით იწყეს ქართლის რბევა. ჯერ დაეცნენ ხელთუბანს, შემდეგ ყარაღაჯს.

ამასობაში ჭარელი ლეკებიც მოუხდნენ ქიზიყს და ბრძოლაში ქიზიყის მოურაეთან ზაქარია ანდრონიკაშვილთან დახოცეს 300 ქიზიყელი.

ახალციხეს გაქცეული იყო თავ. მიქელა არღუთაშვილი, რომელიც გულნაკლული იყო პირად შეურაცხყოფაზე სამართლის მიუცემლობის გამო. ის აგრეთვე უძღვებოდა წინ ლეკთა რაზმებს და არბევდა ქართლსა და ქართლის სომხთს.

თუ რამდენად ამოხრებული იყო ეს თარეშები, ცხადად სჩანს იმ ფაქტიდან, რომ ერთ ასეთ თავდასხმის დროს არღუთაშვილმა და მის მიერ წამოყვანილმა ლეკებმა გაიტაცეს ყალაჩიდან 200

¹ ცსია, ძვ. საბ. განყ-ბა ფ. 1449, №2056

სული მცხოვრებთაგანი ტყვედ, ხოლო დურნუკზე თავდასხმის დროს სარდალს დავით ორბელიანს მოუკლეს 100 კაცი და ასი სულიც ტყვედ იქნა წაყვანილი.

ასეთი თარეშები სისხლიდან სკლიდნენ ქვეყანას და მის მომავალს საბედისწეროდ ხდიდნენ. თუმცა იშვიათად, მაგრამ ხანდახან ქართველნიც მიდიოდნენ სათარეშოდ და სამაგიეროს გადასახდელად. ასე, მაგალითად, აღსანიშნავია დავით ბატონიშვილის ათასი კაცით გალაშქრება ყარსისკენ (1789 წ.), საიდანაც ჯარი დიდძალი ტყვეთ და ალაფით წამოვიდა. მაგრამ საერთოდ თარეშობის თაოსნობა განსაკუთრებით ლეკების მხარეზედ იყო. ლეკნი გამუდმებით დას-დასად ათასობით ან მეტ-ნაკლებობით ჩამოდოდნენ თავისი მთებიდან და უფრო ჭარ-ბელაქანისა და ახალციხე-ახალქალაქის მხრით თავს ესხმოდნენ ქართლ-კახეთს.

ლეკთა თარეშის სიძლიერის ასახსნელად საჭიროა მოტანილ იქნას ზოგიერთი ფაქტი.

1598 წლის ცნობის მიხედვით სულ ლეკეთში ყუმიხებითურთ ყველა მფლობელთ შეეძლოთ გამოეყვანათ 15 ათ. ცხენოსანი ქვეითების გარდა. ქვეითები კი, იმავე ცნობაში მოცემულ საჩვენებლის მიხედვით, შეადგენდნენ ზოგადად ცხენოსანთა მიმართ 140%. ამის მიხედვით სულ ლეკეთს ამ დროს შეეძლო გამოეყვანა დაახლოებით 36 ათასი მეომარი, ცხენოსანი და ქვეითი.

1784 წლის ახლოს, რეინეგის მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვით, ლეკეთის მფლობელთ (ავარიის ხანს, აგრეთვე შამხალს, რომელიც დალისტინის ვალიდ იწოდებოდა და სხვებს) ჰყავდათ 47 300 კომლი და კიდევ 18 ათ. მეომარი, მამასადამე სულ დაახლოებით 60 ათ. კომლი. ლეკეთში მამაკაცები არ მუშაობდნენ, მთელი მუშაობა (მიწათმოქმედება და სხვა) ქალების საქმე იყო. მამაკაცები იყვნენ შვიარაღებულნი და დადიოდნენ სხვადასხვა ქვეყნებში სათარეშოდ. უფრო ადვილ სათარეშო ადგილებს წარმოადგენდა ამიერ-კავკასია და კერძოდ ქართლ-კახეთი და ნაწილობრივ ახალციხის საფაშოც (მესხეთი). რადგანაც მამაკაცები ლეკეთში თითქმის მთლიანად, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, სათარეშო რაზმებს შეადგენდნენ, ამიტომ ლეკებს შეეძლოთ დიდძალი მოთარეშეთა გამოყვანა, მაქსიმუმად დაახლოებით 120 ათ.კაცამდის. რიცხვების შედარება ცხად ჰყოფს, რომ XVIII ს-ნეში ლეკეთი შეიცავდა ბევრად მეტ მოსახლეობას, ვიდრე ეს XVI ს-ნის ბოლოში იყო. ამავე დროს, ლეკეთის, უმეტეს წილად მწირი მთლიანი ქვეყანა არ იძლეოდა ამ მოსახლეობის გამოკვების შესაძლებლობას. მხოლოდ ნაწილს შეეძლო თავი ერჩინა ხელოსნობით, დანარჩენი კი იძულებული ხდებოდა თავის ხმალს და ძარცვა-გლეჯას დანდობოდა. არ შეიძლება იმის თქმა, რომ თარეშობა იყო ადვილი საქმე. პირიქით ის ბევრ საშიშროებას შეიცავდა, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა ყველგან და კერძოდ ქართლ-კახეთი ყოველი თავისი შესაძლებლობით ცდილობდა თავის დაცვას. ამასთანავე ლეკების ნაწილი მიდიოდა ქართლ-კახეთის მეფეების, სხვა ცალკე მფლობელებიც თავისი შურისძიებითი მოქმედებათათვის - მაგ., ახალციხის ფაშები, იმერეთის მეფეები, ცალკე თავადები და სხვ. ლეკებს ქირაობდნენ მეომრებად აღმ. ამიერ-კავკასიაშიც. რეინეგის ცნობით, იყო შემთხვევები, რომ ამ დაქირავებულ რაზმებში ერთი ძმა იბრძოდა ლეკებისავე ისეთი რაზმის წინააღმდეგ, რომელშიაც მისი ძმა იყო. დიდი ტომობრივი განსხვავება ლეკების ცალკე ნაწილების მოსახლეობას შორის ხელს უწყობდა რაზმების ცალკე დაქირავებას სხვადასხვა მმართველ-მფლობელთა მიერ.

განსაკუთრებით გაძლიერდა ლეკთა თარეშობა საქართველოს ცალკე მხარეების და უფრო მეტად ქართლ-კახეთის მიმართ XVIII ს-ნეში ვახტანგ V-ის მეფობის ბოლო ხანიდან. ლეკები იტაცებდნენ უფრო ადამიანებს, რომელთა გაყიდვა მონებად მეტ მოგებას იძლეოდა. ქართლ-კახეთი იცავდა თავს, მაგრამ მოზავებულ ლეკობის მიმართ ვერას ხდებოდა და იღუბებოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუ არ ერეკლე II-ის დაუმრეტელი ენერჯია, მის მიერ თავდაცვითი ბრძოლების ორგანიზება და ამ ბრძოლებში პირადად მონაწილეობის მიღება, ქართლ-კახეთი და განსაკუთრებით ქართლი XVIII ს-ნის II ნახევარს ვერ გაუძლებდა, გატყდებოდა და თავის ქართულ ხასიათს დაჰკარგავდა. რუსების ცნობით, ერეკლე თვითონ უძღვებოდა ლეკების წინააღმდეგ თავის რაზმებს და თვითონვე ხმალამოწვდილი პირველი შევარდებოდა მოწინააღმდეგის რაზმებში. ის ყოველთვის იჯდა საუკეთესო ცხენზე, ტანისამოსის შიგნით მას ეცვა თხელი, მაგრამ მტკიცე ჯავშანი. მისი მამაცობა, იმავე რუსების დამოწმებით, განმასხვავებლად მოქმედებდა ქართველებზე, რომელნიც, თუ მათ ერეკლე არ ახლდათ, ისეთი სიცხარით არ იბრძვიანო.

მეტისმეტად ძვირად უჯდებოდათ ქართველებს ლეკების მოგერიება და მათ შემოჭრილ და მალულად მოქმედ სათარეშო რაზმებთან ბრძოლები, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ზარალობდნენ ლეკები. რეინგესს უნახავს ლეკეთში სასაფლაოები, სადაც მამაკაცების საფლავები საერთო რიცხვის ორიოდ პროცენტს შეადგენდნენ - ადგილობრივ იმარხებოდნენ მხოლოდ ქალები, კაცების მეტი ნაწილი კი ილუპებოდა სხვადასხვა ომებში და თარეშულ ბრძოლებში.

15. ოსების თავდასხმანი და ჯარიმების ბაღიღაბა ოსების მიმართ. (1791 წ.). ერთი შემთხვევის გამო დაწესებულ იქნა სისხლის ფასის ახალი ნორმები ქართველი თავადის ან აზნაურის მოკვლისას ოსების მიერ. ოსები აბრალებდნენ აზნ. პაპუნა კორინთელს, რომ მან მათგან ადამიანი მოიტაცა და ტყვედ გაყიდა. განკარგულება იყო გაცემული, რომ ეს საქმე იულონ ბატონიშვილს გაერჩია. მაგრამ ოსებმა არ დაუცადეს საქმის გარჩევას, შეიკრიბნენ 76 კაცი და ლაშე თავს დაესხნენ კორინთელს, რომელიც სახლში იმყოფებოდა და არა ციხეში. თავდამსხმელთ ბანიდან სახლში ჩაყარეს ცეცხლი, პაპუნა კორინთელი და მისი ძმა კი თოფით დასჭრეს, ციხის კარი დაამტერიეს და შიგნით რაც იყო ყველაფერი წაიღეს და წავიდნენ. კორინთელმა იჩივლა მეფესთან. რადგანაც ოსები კორინთელს თავს დაესხნენ ცოლშვილში და ბანიდან სახლში ცეცხლი ჩაჰყარეს, ამიტომ მათ უნდა გადაეხადათ დაზარალებულის სასრგებლოდ სრული სისხლის ფასი, ხოლო მძიმე ჭრილობის მიყენებისათვის ცალკე ჯარიმად კიდევ ნახევარი სისხლი. "ამ პაპუნას მიხდომამი 76 კაცი რომ ყოფილა, ამ 76 კაციდამ რომელსაც ხელში ჩაიგდებს, იმას უნდა გარდასდეს. ამისი თქმა არ შეიძლება-მე მუშა ვიყავო, მე საქმე არა მაქვსო, რომელიც თავის თავს მუშას ეძახის იმას უფრო დიდი დანაშაული აქვს.

ამასთან ერთად თავდასხმათა შესაწყვეტად გამოცხადებულ იქნა, რომ როგორც ოსები თავიანთი მკვიდრის და თავისი ტყვის სისხლს იღებენ, ქართველი გლეხიკაცის სისხლი იმდენივე უნდა იყოსო. თუ ოსები აზნაურს დაატყვევებდნენ, უნდა გადაეხადათ გლეხიკაცის სისხლზე ერთი სამად მეტი, ხოლო თავადიშვილის ტყვედ წაყვანის შემთხვევაში - ერთი ექვსად მეტი. თავდასხმელთა და ქურდების მიმართ, სულერთია ოსები იქნებოდნენ ისინი თუ ქართველები, დაწესდა, რომ თუნდაც თავდასხმის დროს ვინმე მათ მოკლავდა, სისხლის ფასი არ გადახდებოდა.

16. მიწათმოქმედების შემცირება. გამუდმებულმა თავდასხმებმა და თარეშებმა ძირიანად შეარყიეს ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობის საფუძველი. მშვიდობიანი ცხოვრების დამყარება შეუძლებელი გახდა. გარეშე მტერი კვლავინდებურად აოხრებდა ქვეყანას. მეტიც, რუსეთთან დადებული ხელშეკრულების შემდეგ ამ მუდმივ თავდასხმას უფრო საბედისწერო შედეგი ჰქონდა, ვინაიდან ერთის მხრივ მტრები რუსეთის საფრთხის გამო მეტ ენერგიას იჩინდნენ და მეორეს მხრივ, რადგანაც დახმარება არსაიდან ჩანდა, ხალხის მოქანცული ძალა თანდათან მოდუნებას და დაქნინებას განიცდიდა. სამეფოს ეკონომიკური მდგომარეობაც თანდათან უარესდებოდა, რადგანაც მშვიდობიანი ცხოვრება სრულიადაც არ იყო უზრუნველყოფილი, საწარმოო ძალა არა თუ არ განიცდიდა რაიმე წინსვლას, პირიქით თანდათან სუსტდებოდა. სამეფოს ფინანსური მდგომარეობაც თანდათან უარესდებოდა. ახტალის მადნების აოხრება ომარ-ხანის მიერ 1785 წ. ამ მხრივ დიდ ზარალს წარმოადგენდა. ამ მადნების დამუშავებას ხელი მიჰყვეს ერეკლე II-ის მეფობის დროს და სახელმწიფო ხაზინას კარგი შემოსავალი ჰქონდა. 1780 წ., მაგალითად, ამ მადნებიდან ამოვიდა 63200 მანეთის ოქრო-ვერცხლი. ეს თანხა სამეფოს ბიუჯეტის თვალსაჩინო ნაწილს შეადგენდა, რადგანაც 1785 წ., მაგ., სრული სახელმწიფო შემოსავალი განჯა-ერევნის ხარკითურთ ფულზე გადატანით, უდრიდა 400 ათას მანეთს. ამ წლის შემდეგ კი მადნების შემოსავლის ძალზე შემცირების გამო, სახელმწიფო შემოსავალმაც კლება იწყო.

ქართლის ეკონომიკური დაქვეითების მაჩვენებელია შემდეგი ფაქტი. ჩვეულებრივი სახნავი მიწა 1670 წლის ახლოს ქვემო ქართლში ღირდა დღიური 4 მარჩილად და გარდა ამისა მყიდველს უნდა გადაეხადა 20 და 8 მარჩილის საღირალი მიწაზე საწიგნედ (ე.ი. საბუთის დასაწერად). კიდევ იქვე მიწა გაიყიდა 1 1/2 დღისა ხუთ მარჩილად და ორი დღისა ოთხ მარჩილად. დღიური მიწის ფასი გამოდის 2,3 და 4 მარჩილი. მიწა იყო ზოგადად ორი ხარისხისა - ნაფუზარი, სოფელთან ახლოს და საუკეთესო ხარისხისა და მეორე კიდევ მინდვრისა.

XVIII ს-ნეში ნაფუზარი მიწა ქართლში ღირდა ერთი ორად მეტი. 1790 წელს ნაფუზარი მიწა შიდა ქართლში ფასობდა ორი მინალთუნი და იქვე მინდვრის მიწა ხუთ აბაზად. ცხადია, რომ 1670 წლის ახლოს დღიური ოთხ მარჩილიანი მიწა არის ნაფუზარი, თუმცა ეს იქ ნათქვამი არაა. რადგანაც XVII ს-ის მეორე ნახევარში აბაზი 9 დანგს (7 გრამს) იწონიდა, 4 მარჩილი ანუ 12 აბაზი იქნებოდა მაშინ 11,6 დანგი ვერცხლის შემცველი. 1790 წელს კი ნაფუზარი მიწა დღიური ფასობდა ორი მინალთუნი, ანუ 10 აბაზი, რაც შეიცავდა 42,8 დანგ ვერცხლს. ამგვარად შედარებით XVII ს-ნის მეორე ნახევართან 1790 წლის ახლოს მიწა ქართლში ღირდა თითქმის ერთი სამად ნაკლები. ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო მოსახლეობის ნაკლებობა, ლეკების მუდმივ თარეშების გამო, სოფლად ცხოვრების სიძნელე, საერთოდ მიწათმოქმედების შემცირება.

ამგვარად, ქართლ-კახეთის საგარეო მდგომარეობა აკავკასიაში თანდათან რთულდებოდა და ამავე დროს მწვავედებოდა მისი შინაგანი ვითარებაც. მმართველობის მიერ საქალაქო ცხოვრების წარმოების და მრეწველობის გასაღონიერებლად მიღებულმა ზომებმა გამოიწვია სიძნელენი სოფლად. სახელოსნო წარმოებებში მუშა ხელის მიზიდვამ ხელი შეუწყო 1780 წლებში აგრარული კრიზისის განვითარებას. სოფლად მეურნეობას უკვე დაეტყო მუშა ხელის ნაკლებობა, მემამულეები გაშმაგებით ეძებდნენ თავის გაქცეულ გლეხებს ანდა ცდილობდნენ, ვისაც ამისი შესაძლებლობა ჰქონდა, ახლების შექენას. ამასთანავე მემამულეები ეხლა კიდევ უფრო აძლიერებდნენ თავიანთი ყმების ექსპლოატაციას. ზოგიერთ ადგილებში იყო ბეგრის ძალით მომატების შემთხვევები. ეს კი ამწვავებდა შინაურ ურთიერთობას.

ამას თან დაერთო ძლიერი მოუსავლიანი წელიწადები. 1783 და 1784 წლებში, რამაც პურის ფასი თბილისში 2 1/2 ჯერ გააძვირა (ლიტრა ანუ 8 გირვანქა ღირდა ერთ აბაზამდის).

მიუხედავად ამისა, რადგანაც პურს ბატონყმური მეურნეობა იძლეოდა, ე.ი. მიწას ბატონის კუთვნილი ყმა ამუშავებდა მუშის ხელფასი სოფლად არ მატულობდა, რაც გავლენას ახდენდა ქალაქის მუშის ხელფასზედაც. ამიტომ ქალაქებში დაქირავებული მუშების მდგომარეობა თვალსაჩინოდ გაუარესდა, რადგანაც ხელფასი დარჩა წინანდელი, ცხოვრება კი იყო 2 1/2 ჯერ გაძვირებული. ხელოსნები, ფეიქრები და სხვ. განიცდიდნენ დიდ გაჭირვებას და გარბოდნენ განსაკუთრებით თბილისიდან და გორიდან. ეს გაქცევა იმდენად ხშირი შეიქნა, რომ ერეკლე იძულებული გახდა გამოეცა სპეციალური ბრძანება თბილისიდან და გორიდან გადასახლების აკრძალვის შესახებ. ამიერიდან ვინც ქალაქიდან აიყრებოდა სხვაგან გადასახლებლად, მას მამული ჩამოერთმეოდა და მთავრობის ნებართვით სხვაზე გაიყიდებოდა (1784 წ.). ქალაქთა ცხოვრების კრიზისს რამოდენადმე ახასიათებს მცხოვრებთა რიცხვის თანდათანობითი შემცირება ქართლ-კახეთის თითქმის ყველა ქალაქებში თბილისის გარდა, სადაც მოსახლეობა მატულობდა ახლად ავღაბარში დასახლებული სომხების გამო. გორში 1770 წ. 500 კომლი იყო, ხოლო 1794 წ. მხოლოდ 227 კომლი. ქალ. ახალგორში 1770 წ. 100 კომლი იყო, ხოლო 11 წლის შემდეგ 88. მუდმივ აოხრებათა გამო საერთო მცხოვრებთა ზრდაც სანეფოში შეჩერებული იყო.

17. მკვლევარება ბლუხნებში. სოფლად სხვადასხვა ადგილებში დაიწყო გლეხების მოძრაობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოსვლები იყო კახეთში, სადაც გახშირდა მებატონეებზე თავდასხმები. ხალხმა ზურგი აქცია ეკლესიას, მარხვის შენახვას და სხვ. სამღვდელოებას უკვე წინანდელი გავლენა ხალხზე არ ჰქონდა. გაჩნდა შინაურ ცხოვრებაში სხვადასხვა სიძნელეები. ეს იცოდა გარეშე მოწინააღმდეგე ძალამ და ცდილობდა მდგომარეობის თავის სასარგებლოდ გამოყენებას.

კაბიტალისტური წყობის გაძლიერება იწვევდა მებატონეთა ზედმეტ დაწოლას გლეხების მიმართ, რასაც გლეხები პროტესტებით უპასუხებდნენ. ბევრი გლეხი გარბოდა სხვა ქვეყნებში, უფრო ოსმალეთის ხელში მყოფ მესხეთისაკენ. ასე მოხდა, მაგ., თავად ჩხეიძეების კუთვნილ სოფ. ფონაში, რომელიც იმერეთის საზღვართან მდებარეობდა. ამ სოფლის და თემის 65 კომლიდან დიდი უმეტესობა გაექცა ჩხეიძეებს და გაიბნენ იმერეთსა და ოსმალეთის მესხეთში. გლეხები ამბობდნენ, რომ ჩვენ სამეფო-სახსლო ყმები ვართ და ჩხეიძეების ყმობა არ გვინდაო. ჩხეიძეებს კი ჰქონდათ გიორგი XI-ის და ვახტანგ V სიგელები მათთვის სოფ. ფონის ბოძების შესახებ. იულონ ბატონიშვილი 1788 წ. სწერდა გაქცეულ ფონელებს, რომ საბატონიშვილოდ ხართ ჩარიცხული, ჩვენი ყმები იქნებით და სხვას არ დაგანებებთო. მაგრამ როგორღაც ფონელები არ ენდნენ ამ საბუთს. ბოლოს 1794 წ. ფონელებიდან

სურამსა და ქართლში დარჩენილმა ათმა კომლმა სთხოვა ერეკლე II-ს: "თუ ჩვენ ჩხვიძეების ხელისაგან გავეშველება და ერთ-ერთს ბატონისშვილს მიგვცემთ და ერთი ბინა მოგვეცემა, რაც ჩვენი გვარის კაცი დაფანტული არის იმერეთსა თუ ოსმალეთში, სულ ჩვენ მოგართმევთ, სადაც თქვენინება იქნება და თუ თქვენი საფარველი ჩვენ არ დაგვადგა, ჩვენც დაეიკარებით"-ო.

როგორც ჩანს, ფონელების ამ თხოვნიდანაც არა გამოვიდა რა. გლეხობისთვის ქართლ-კახეთში რეაქციის ხანა დაიწყო და ფონელები არ შეიკრიბნენ თავის სოფელში. ისინი დარჩნენ გაქცეულ-გაფანტულნი და ამიტომ სოფ. ფონა 1802 წლის არსებულ სიაში დასახელებულ პუნქტთა შორის სრულებით არაა მოხსენებული.

მებატონეების მიერ გლეხთა მიმართ ზედმეტ უსამართლო მოთხოვნათა გახშირების მაჩვენებელია ერთი ასეთი ფაქტი. კურდღელაურში კახიშვილმა თავის გლეხს კუსრაძეს მისცა თანხმობა არა გეთხოვებოდეს არა კულუხი, არა ძიძა, არა მოახლე და არა კალო და არა სხვა სათხოვარი მსახურის მუტი"-ო. მაგრამ როდესაც კახიშვილი მამა მოკვდა, მისმა შვილებმა დაუწყეს კუსრაძეს ყველაფრის მოთხოვნა "მაწუნებს ბატონი ჩემი გრიგოლ, ჩივის კუსრაძე მეფესთან, და მწუხარებაში ვყვარ და სათხოველს ყველას მთხოვს".

18. საბატონეშვი მუშრანოვა. მართებლობა ესლა ცდილობს გამოასწოროს მდგომარეობა სოფლის მეურნეობისაკენ პირის შებრუნებით. მთელი ყურადღება ესლა ექცევა სოფლის მეურნეობის გამოკეთებას. მაგრამ რადგანაც მმართველობა იყო ფეოდალური, ამიტომ ის სოფლის მეურნეობის მოღონიერებას ფიქრობს საბატონეშვი მეურნეობის ყოველმხრივ განმტკიცებით. ხოლო ასეთი მეურნეობის განსამტკიცებლად საჭირო ხდებოდა მებატონის უფლების გადიდება და გლეხის მდგომარეობის გაუარესება. ამიტომაც 1791 წელს გამოვიდა ბრძანება, რომლის მიხედვით ბატონებს თავისი გაქცეული ყმის უკან დაბრუნება შეეძლო არა მარტო 12 წლის განმავლობაში, როგორც ეს აქამდის იყო დაკანონებული, არამედ 30 წლის სიგრძეზედაც, რაც ნიშნავდა ვახტანგის დროინდელ მდგომარეობაზე უკან დაბრუნებას. გარდა ამისა მართებლობა ესლა ამართლებს მებატონეებს, როდესაც ისინი თავისი მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით გლეხებს თავისთვის ზედმეტ ახალ მუშაობას აწერენ. მაგ., ერთი თავადი (ვაჩნაძე) თავმომწონედ სწერდა ერეკლეს ცოლის დედოფალ დარეჯანის სახელზე დაწერილ თხოვნაში რომ მარტო სოფ. ჩალოუბანში (კახეთში) ჩვენი ყმებიდან ბევრად 6-7 გუთანნი შეეპებოდა (შენ.: თითო გუთანში 5 უღელი ხარამდის ებმებოდა) ორი დღის განმავლობაში სახნავზე გასასვლელად; ძალა დაეატანე და გლეხებს ერთი ამდენი კიდევ მოვამატებინო (ორი დღის მაგივრად 4 დღე უნდა გასულიყვნენ ბატონის მიწის სახნავად). ასეთი მაგალითები სხვაც არის.

თვითონ ერეკლეს ოჯახის წევრები აძლევდნენ სხვებს კარგად დაყენებულ საბატონეშვი მეურნეობის მოწყობის მაგალითს. განსაკუთრებით მისი ცოლი დარეჯან დედოფალი ამ მხრივ იჩენდა დიდ ენერგიას. ქოლაგირში (თფლისიდან სამხრეთით 40 კილომეტრზე), სადაც მანამდის 12 კომლი გლეხი იყო, დედოფალი ესლა ასახლებს სხვადასხვა მხრიდან შესყიდულ თუ მოყვანილ 91 კომლ გლეხს (თათარს და სომეხს). ამ გლეხებისგან მებატონეს (ამ შემთხვევაში დედოფალს) შემოდოდა წელიწადში დიდი რაოდენობის პური, საკლავი (ძროხა, ღორი), ერბო, ყველი, მარილი, საფენი (ქეჩა, ხალიჩა) და ნაწილი ფულადაც, სულ 800 მანეთის. მაგრამ გლეხებს ამას გარდა ედვათ სხვა ვალდებულებაც — მებატონის საკუთარი მამულის დამუშავება და სხვადასხვა სამსახური. ყმებიდან შემოსავლის გარდა დედოფალს აქ ჰქონდა გამართული თავისი, საკმაოდ დიდი მეურნეობა, სადაც მოჰყავდათ უმთავრესად ბრინჯი (წელიწადში დედოფალს სამ საკუთარ მამულიდან 400 კოდი ბრინჯი შემოდოდა), ცოტა აბრეშუმი და ბამბაც. იყო, რასაკვირველია, მებატონის ვენახიც, აგრეთვე ორი თვალი წისქვილი თავისი ცალკე შემოსავლით. მამულის ახლოს ჩამოდოდა მდ. ხრამი. ამ მდინარეში თევზაობისათვის კიდევ ცალკე გადასახადი იყო დადებული. ამ ბატონეშვი მეურნეობის დასაცავად, დედოფალი აშენებს დიდ და მშვენიერ ციხეს, რომელიც დაჯდა მაშინდელი ფასით 83/4 ათ. მანეთი (1933 წლის ფასით შებნა დაჯდებოდა არა ნაკლებ 850 ათ. მანეთისა). შიგნით ციხეში გამართული იყო სამღებრო. ყველა მეზობელ სოფლებს თავისი შინა-ნაწარმი შესაღებავად ამ სამღებროში უნდა მიეტანათ, რასაკვირველია, სათანადო ბაჟის გადახდით.

მთელი ამ მეურნეობის მოწყობა-გლეხების მოყვანით, მათი დასახლებით, ციხის აგებით, და სხვ. დაუჯდა დარეჯანს 50 ათ. მაშინდელი მანეთი. ასეთი იყო ამდროინდელი დიდი საბატონეპო მეურნეობა.

19. მუდმივი ჯარის საკითხი და სურსათის გადასახადის ბანახლება. როგორც მოხსენებული იყო, 1774 წლიდან ქართლ-კახეთში არსებობდა მორიგე ჯარის დაწესება. ამ ჯარის ენერგიული ხელმძღვანელი და ნამდვილი სულის ჩამდგმელი იყო ერეკლე II-ის საუკუთესო შვილი ლევან ბატონიშვილი, ცნობილი თავისი სიმამაცით, განათლების სიყვარულით და გონება-გამჭრიახობით. ლეკების თარეშებს მან თავისი სამშობლო ქვეყნის ტერიტორიაზე სიცოცხლე გაუმწარა. სანამ მოულოდნელმა სიკვდილმა (5 თებ. 1781 წ.) ბოლო არ მოულო მის მოღვაწეობას (ის მოწამლულ იქნა ეჭვიანობის ნიადაგზე, როგორც ჩანს შეცდომით, ცოლის მიერ, რომელმაც მას დააღვივნა შაშინ მიღებული სიყვარულის წამალი, რომელიც საწამლავე აღმოჩნდა). მისი სიკვდილის შემდეგ მორიგე ჯარს არ ჰყავდა ისეთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი და ამიტომ ეს დაწესება თანდათან მოიშალა. უკვე 1786 წ., ბურნაშოვის თქმით, ეს ჯარი წესიერად არ იკრიბებოდა და ვერც საყარაულო და მოსახლეობის დაცვით ფუნქციებს ასრულებდა, შემდეგ კი იშვიათად იკრიბებოდა. ამავე დროს სახელმწიფოს ესაჭიროებოდა მუდმივი სამხედრო ძალა, რომლის შესაქმნელად მართებლობა ესლა უბრუნდება მორიგე ჯარის შემოღებამდის არსებულ ნოქართა სისტემას, მხოლოდ სპარსული ტერმინის ნოქართის მაგივრად ესლა იხმარებოდა ქართული ტერმინი მსახური. მსახურნი მეფეს გაჰყავდა სახასო (სამეფო) გლეხებიდან. ის საკომლო, საიდანაც მსახური იყო მოცემული, განთავისუფლებული იყო სახელმწიფო ყოველგვარი გადასახადისაგან. მსახური გამოდიოდა თავისი იარაღით და ცხენით, მაგრამ იმყოფებოდა სახელმწიფო კმაყოფაზე. სულ ასეთ მსახურთა რიცხვი იყო 600-მდის. ქართლ-კახეთის სამეფოში ყაზახ-მამშადილ-ბამბაკის, ჯავის ოსების და არაგვის ხეობის გარდა იყო ამ დროს დაახლ. 9,5 ათ. საკომლო, ამათგან დაახლ. 38% (3,6 ათასი) იყო სახასო. მსახურნი გამოყვანილნი იყვნენ სულ სახასო საკომლოთა 1/6-დან. სათავადიშვილო გლეხთაგან მსახურნი არ გამოჰყავდათ და საფიქრებელია არც საეკლესიოთაგან.

მსახურნი არტილერიის თოფებთან ერთად წარმოადგენდნენ მუდმივ და საკმაოდ კარგ სამხედრო ძალას. ეს იყო ცოტა, მაგრამ სახელმწიფო მეტს ვერ ახერხებდა, რადგანაც თვით სამეფო კარი (დიდძალი ამაღლა-მოსამსახურეებით როგორც მეფე-დედოფლისათვის, ისე ბატონიშვილებისათვის) მოითხოვდა მეტად მნიშვნელოვან შესანახ სახსრებს. კარის ამ მრავალრიცხოვნობაზე მთლად უარის თქმას კი, მაშინდელი ჩამორჩენილი ჩვეულების გამო, ვერ ახერხებდნენ.

ახალი სამხედრო ძალის შემოღებას თან დაჰყვა სახელმწიფო სასურსათო გადასახადის შემოღება. მართებლობამ კვლავ განაახლა სურსათის მანამდის შემოღებული გადასახადი. მხოლოდ მცირე შეღავათით, სახელდობრ ამ გადასახადს შეადგენდა საკომლოზე (და არა კომლზე) 2 კოდი პური და ერთი კოდი ქერი, კულუხის (ღვინის) გადასახადი კი არ განუახლებიათ. ეს გადასახადი (სურსათი) იყო საყოველთაო და ის ხვდებოდა ყველას როგორც გლეხებს, ისე ქალაქთა ხელოსანთ და წვრილ ვაჭართ. გარდა ამისა კახეთში სახასო (სამეფო) გლეხები კვლავინდებურად იხდიდნენ კოდის პურსაც, თუმცა არა ყველანი, მაგრამ უკვე მომატებული რაოდენობით.

ვახტანგის დასტურლამალით, მამასადაზე 1705 წლის ახლოს, კოდის-პური ქართლში შეადგენდა პურად და ქერად საკომლოზე 40 მაშინდელ ლიტრას, რაც უდრიდა 5,6 ფუთს. XVIII ს-ნის სიგრძეზე დიდხანს კოდის პური ამ ნორმისა იყო. გადასახადის მომატების მიზნით ლიტრა თანდათან იზრდებოდა (1705 წლის ახლოს ის იყო 560 მისხლის წონის, XVIII ს-ნის ბოლოში კი იწონიდა 740 მისხალს. ამიტომ ერეკლე II-ის დროს კოდის-პურს ახდევინებდნენ სამი კოდის ანუ 30 მაშინდელი ლიტრის რაოდენობით, რაც მაშინ უდრიდა იმავე 5,6 ფუთს. მაგრამ ერეკლე II-ის დროსვე 1780-იანი წლების ბოლოს სახელმწიფო გადასახადი კოდის პური გადიდებული იქნა – საკომლოზე ბევრ ადგილზე ესლა ახდევინებდნენ სამი კოდის მაგივრად ოთხ კოდს. ასე იყო, მაგ., კახეთში, სადაც გაგაზში "ბატონის კოდის პური" 1789 წელს ორი წლისა თითო საკომლოს გააწერეს 8 კოდი. პურის გადასახადის ეს მომატება 1/3-ით საერთოდ გამოიწვევდა უკმაყოფილებას.

ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობა ჩიხში ემწყდვოდა და გასაქან გზას ვერ პოულობდა. ეს საკმაოდ ნათლად გამოაშკარავდა 1791 წელს, როდესაც აღიძრა საკითხი იმერ-ამერეთის გაერთიანების შესახებ.

20. არეკ-დარეკა იმერეთში. სოლომონ I-ის სიკვდილის შემდეგ იმერეთის საქმეები აირია. სოლომონ I-ს დარჩა ასული დარეჯანი, რომელიც გათხოვილი იყო თავ. ქაიხოსრო ზურაბის ძე აბაშიძეზე და კიდევ თავისივე შვილის, უკვე გარდაცვლილის, ალექსანდრეს 6 წლის უჯანონო ვაჟი გიორგი, აგრეთვე ძმისწული 11 წლის დავით არჩილის ძე, დედით ერეკლე II-ის შვილიშვილი. მეფობის სერიოზული პრედენდენტი იყო დავით არჩილის ძე, მაგრამ ოდიშის მთავარმა კაცია დადიანმა მხარი დაუჭირა სოლომონ I-ის ბიძაშვილს დავით გიორგის ძეს, გაუნათლებელ და გონებაშეზღუდულ კაცს, რომელიც რამოდენიმე დღის შემდეგ გამოცხადებულ იქნა მეფედ. წინასწარ დადებული წერილობითი პირობით მისი უფლება მცირედ შეზღუდული უნდა ყოფილიყო რჩევის მიერ, რომელშიაც თავადები ბატონობდნენ.

იმერეთში ამ დროს დიდი შემოთება იყო. ბურნაშევი, იენისში 1784 წ. იმერეთში ჩასული, აღნიშნავდა, რომ ყოველ თავადს თან ჰყავს შეიარაღებული არა მცირედი რაზმი-ამალა. მიზეზი იყო მდგომარეობის გამოურყვევლობა. საერთოდ იმერეთი ამ დროს სტოვებდა გაურყვეველ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის შთაბეჭდილებას. სოფ. მუხურში, სადაც 300 კომლი მცხოვრები ითვლებოდა და სადაც 500-მდის შეიარაღებული კაცის გამოყვანა შეიძლებოდა გლეხები თავს დასხმოდნენ მოურავს და მოეკლათ ის, რის შემდეგ დასჯის თავიდან ასაცილებლად კვლავ უჩიბდნენ. დავითის მართებლობა ამ დროს დაკავებული იყო იმერეთის საქმეების საერთოდ დალაგებით და აგრეთვე ელჩების რუსეთში გაგზავნით და ამიტომ მუხურელებისათვის ვერ იცლიდნენ.

მაშინვე რუსეთის მფარველობის თხოვნით გაგზავნილიყვნენ პეტერბურგს კათალიკოსი მაქსიმე, თავ. ზურაბ წერეთელი და ბესარიონ (ბესიკ) გაბაშვილი. ასეთი იყო რჩევის აზრი. მაგრამ სხვაფრივ დავითმა არ შეასრულა თავადებთან დადებული პირობა. მან ზურგი აქცია ადგილობრივ თავადებს, აღადგინა რაჭის საერისთავო, სადაც ერისთავად დასვა როსტომ ერისთავის შვილი ანტონი, თავისი კარის გამგედ დააყენა სოლომონ I-ის სიძე ქართლელი ქსნის ერისთავის ძე ელიზბარი, ხოლო მდივანბეგად — აზნაური გუნცაძე. მსხვილი თავადები ამით უკმაყოფილონი იყვნენ და რჩევა ფაქტიურად დაშლილ იქნა. ოსმალეთიც უკმაყოფილო იყო იმერლების მიერ რუსეთს ელჩების გაგზავნით. ამიტომ პორტამ იმერეთის მეფედ დაამტკიცა (1784 წ.) სტამბოლში ამ დროს მცხოვრები იმერელი თავადი ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძე, რომელიც ჩამოვიდა ბათუმის მხარეში და იქიდან მიმართა მოწოდებით იმერელ თავადებს და აგრეთვე მთავრებს დადიანს და გურიელს. ყველამ იუკადრისა აბაშიძის მეფობა, მთავართავან დადიანმა შერბილებით, ხოლო გურიელმა უფრო მტკიცედ უარი განაცხადა — აბაშიძეს თავს არ გაუუყადრებთო.

ამ უარზე ქაიხოსრო აბაშიძემ მისწერა პასუხი გიორგი გურიელს. პასუხი დამახასიათებელია დაცემის და დაქვეითების ამ დროისათვის. გურიელს, სხვათა შორის მიუწერია "მეფე" აბაშიძისათვის — "უგება ეს მოგესხნებოდესო — ბაბუა ამისიო (გიორგი გურიელის) მეფედ იჯდაო, მაგათ (აბაშიძეებმა) თავისი ბატონები (მეფეები) ამოსწყვიტესო და უღალატესო, ზორბოზით (აუჯანყებით) ქვეყანა დაიჭირესო, შენ გიორგი აბაშიძის შვილისშვილი ხარ და ეს მოგეწერათ — (გიორგი აბაშიძე) ერთს წელიწადს ძალით იჯდაო და მერმეთ ქართლით გადაადგესო და იქ მოკვდაო. თუ ბაბუა შენის ეს ამბავი (სწერდა ესლა აბაშიძე გურიელს) არ იცი, რამდენს ხანს იმერეთს მეფედ იჯდა და პატრონობდა, ხვანთქარს შენ ჭკუას რაეარ და/ა/რიგებ. ეს გებძანათ — ჩვენ მაგისტანა (ქაიხოსრო აბაშიძისთანა) მრავალი კაცი გყავსო და არც დადიანი და მეო არ ვიკადრებთო. ახლა მეც ამას მოგახსენებ, რომ რახანაც დიდებული ხელმწიფე (ე.ი. ოსმალეთის სულთანი) კი მოინდომებს, მე არადა, ერთს გურულ ბიჭს, ჩაქველს თათრისაგან გაუპატიურებულს (ამ სიტყვის მაგივრად დედანში უხსენებელი სიტყვაა ხმარებული) ვისმე რომ მისცეს, მინც მეფე იქნება. მერმეთ ეს გებძანათ — ცოდვის მეტი სარგებელი არაფერი გექნებათო. მარამ ოთხმოცი წლის დედლობას მე სამის დღის მამლობა მირჩევნია... მე რასაც ავსა და ცოდვას ვიქ, ის ჩემი ცოდვა არ არის. მარამ რომელიც ამდონის ხნის მჯდომელი და მჭამელი ბატონი ხართ და ამ საქმეს ხელს ჩამოაცდენთ, რაც ცოდვა იქნება, ყველა თქვენი იქნება. მერმეთ, როდისაც აჭარელსა და ჩაქველს ხემწიფე უწყურებოდა შენის

ქვეყნის რწოლისათვის და მანც მრავალი შენი მამული გაცივეს. ახლა რომ ხემწიფის ბძანება არის, შენი ქვეყანა, მე რომ არ ვიყო, მანც ამათ ვერაფინ მოურჩებათ”...

ამ წერილიდანაც ამ გადაგვარებულ პირს არაფერი გამოუვიდა. მაშინ ის შეუთანხმდა გაბოროტებულ სარდლებს ბერი წულუკიძეს და პაპუნა წერეთელს.

საგარეო მდგომარეობა ამგვარად დას. საქართველოსათვის რთულდებოდა. ოსმალები ჯარებს კრებადნენ შეროსევის მოსაწყობად და ქაიხოსრო აბაშიძის დასაყენებლად ფაშად (ქართული ადგილობრივი გაგებით – მეფედ).

ამ დროს იმერეთში მოხდა გლეხების დიდი გამოსვლა.

21 სახასო (სამეფო) ბლენჰის გამოსვლა (1785 წ. დსაწყ.) ამ გამოსვლის მიზეზი იყო ახალი რომელიდაც გადასახადების თუ ვალდებულების დადება. ახალი ვალდებულება, როგორც ჩანს, ეკისრებოდა უპირველეს ყოვლისა სამეფო გლეხებს. ამან გამოიწვია დიდი უკმაყოფილება. რუსული ცნობის მიხედვით, ხალხი შეიკრიბა და დაადგინა – ამიერიდან აძლიოს მეფეს კომლზე თითო (იგულისხმება ოსმალური) ოქრო (მაშინ ეს იყო ორი მარჩილი ანუ მაშინდელი რუსული 1,56 მან.), თითო ცხვარი ან ცხვრის მაგივრად (იმერეთში ცხვარი ცოტა იყო) სამი აბაზი (ანუ 48 ფარა, ე.ი. თითქმის მარჩილი, მარჩილში იყო 52 ფარა). გარდა ამისა კიდევ 6 ფუთი ღომი (გამოდის 15 ბათ-მანი, ბათმანზე 16 გირვანქის ანგარიშით), 15 ვედრო ღვინო (ანუ 5 კოკა, თითო კოკა შეიცავდა სამ რუსულ რვაგირვანქიან ვედროს) და მეტი არა მისცენ რაო. ეს იმას ნიშნავს, რომ სამეფო გლეხების ვალდებულება უკვე აღარ შეიცავდა შრომით და სამსახურებრივ მოვალეობას ნებაყოფლობითი ძღვენის და პატივისცემის გარდა. ამით სამეფო გლეხებმა მიადწიეს თვალსაჩინო გამარჯვებას. მათი მდგომარეობა შედარებით არა თუ საბატონო, არამედ საეკლესიო გლეხებთანაც მეტად თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა.

მეფეს ყავდა საკუთარ გლეხების გარდა ტახტის აზნაურთა გლეხებიც (ისინი ერთი ოთხად მეტნი იყვნენ). საფიქრებელია, რომ სახასო გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესება გავლენას მოახდენდა ტახტის აზნაურთა გლეხების ვითარებაზედაც მათი საბატონეყო უღლის შემსუბუქების მხრივ.

22. მოაჯანყე აბაშიძე-წულუკიძე-წერეთლის დამარცხება. ქაიხოსრო აბაშიძის პრეტენზიებმა მეფობაზე გაათამბა თაე. ბერი წულუკიძე, რომელიც ესლაც ახალ პირობებში აპირებდა იმერეთში პირველობას. მას თავის ხელთ ჰქონდა რამოდენიმე სამეფო ციხე და მათ შორის საპაიჭაო ამ ციხეების ყველა შემავალი სოფლებით. მეფემ მოითხოვა ამ ციხე-სოფლების დაბრუნება, მაგრამ ბერი წულუკიძე უარს დადგა. ამის გამო შინა-ურთიერთობა იმერეთის მმართველ წრეში გამწვავდა. ბერი წულუკიძეს იფარავდა სარდალი პაპუნა წერეთელი. თავის მხრივ ბერი წულუკიძე მივიდა იქამდი, რომ უკვე მეფობის პრეტენზიას აცხადებდა – მეფე მე ვარ და შენ უფლისწულად დაგადგინებო, უთვლიდა ის დავით მეფეს. წულუკიძემ სახსრების მოსაპოვებლად დაიწყო მცხოვრებთა მოტაცება და თათრობაზე, როგორც მაშინ ეძახდნენ, მათი დაყიდვა. მოპოებული სახსრით იწვევდა თათრისა და ლეკის ჯარს "დიდის გარჯით და თეთრის მიცემით". ბოლოს, 1784 წლის დასასრულს როგორც ბერი წულუკიძე, ისე სარდალი პაპუნა წერეთელი გაიქცნენ ახალციხეს, სადაც შეუთანხმდნენ ქაიხოსრო აბაშიძეს. წულუკიძე-წერეთელმა დაიქირავეს 500 ლეკი, აბაშიძესაც ახალციხის საფაშოდან მისცეს ათასამდის ლეკი (პირდებოდნენ კი მას 12 ათ. კაცს), რის შემდეგ ისინი წამოვიდნენ იმერეთზე, სადაც მათ უკმაყოფილო თუ ყაზალური ელემენტების მიმხრობის იმედი ჰქონდათ. დავით II-ს მხარს უჭერდა დადიანი. ამიტომ მან იმერეთ-რაჭა-ოდიშ-ლეჩხუმიდან შეკრიბა საკმაოდ ბლომად ჯარი და დადგა "რაჭის მახლობელს მთის ძირს ხრეთს" (მაისი, 1785 წ.). მალე მოწინააღმდეგეთა შორის მოხდა ბრძოლა, რომელიც გათავდა დავით II-ის გამარჯვებით.

როგორც ჩანს, ეს ომი იგულისხმება, როდესაც დავით II ერთს სიგელში პაპუნა წერეთლის შესახებ სწერდა, რომ წერეთელიო "ლეკისა და თათრის ჯარს ჩამოუძღვა რაჭას და მრავალი და აურაცხელი ქრისტიანი დაატყვევა, უდაბნოები გასტეხა და ძელი ცხოვრებისა ჩვენისა (ე.ი. ფიცი) დაარღვია, ქრისტიანობა მოსპო და უსჯულოებას შეუდგა და შამოგვება და ომი გვიყო. უძია შური მადლმან ყოვლად ძლიერებისა და ბატონეყოობის მიმთვალველმან უფალმან და ვსძლიეთ და გაეაქციეთ და გავიმარჯვეთ". მეფემ ამის შემდეგ უბოძა საწერეთლო და ყოველთა საწერეთლოთა

უფროსობა' ბევან წერეთელს მისი ძმებით ვახუშტით და გიორგით და თვითონაც ჯარით საწერეთ-ლოში ჩავიდა. პაპუნა წერეთელმა გააგზავნა მეფესთან თავისი დედა ჯაფარიძის ქალი და ითხოვა პატიება. მეფემ პატივი დასდო წერეთლის დედას და მოურიგდა მას უფრო იმ მოსაზრებით, რომ ამით იმერეთში შინაური უთანხმოებისათვის ბოლო მოეღო. თავის მხრივ დარბაზის წევრთ უთავდებეს წერეთელს, რომ მას მისი სამფლობელო არ დააკლდებოდა – "რაც მეფის სოლომონისაგან წყალობა გქონდა, ის მამული სრულებით მოგეცეს"-ო. საყურადღებოა ამ დარბაზის წევრთა შემადგენლობა – 7 თავადიშვილი (ქსნის ერისთავის ძე ელიზბარ, აბაშიძე სვიმონ, აგიაშვილი ქაიხოსრო, ჩხეიძე ოტია, აბაშიძე ივანე, აბაშიძე ზაალ, ჩიჯავაძე ვახუშტი) და 6 აზნაური (გამყრელიძე ლევან, კახიძე ვახტანგ, მდივანი გოგია, მესხი ოთია, მესხი ივანე, ჯღერია სვიმონ).

23. სოლომონ II-ის გამეფება იმერეთს. 6 დეკემბერს 1788 წ. გარდაიცვალა კაცია დადიანი და მის მაგივრად დადიანად გახდა მისი უფროსი შვილი 18 წლის გრიგოლი. დავით მეფემ მოინდომა ამ გარემოებით ესარგებლა ოდიშის დასაპყრობად. შემოიკრიბა ჯარი, მოიბირა თავის მხარეს გრიგოლის ძმა მანუჩარი, დალაშქრა ოდიში და მრავალი ტყვეთ და ნადავლით დაბრუნდა უკან, გრიგოლ დადიანი კი ვერ შეიპყრო, რადგან მან მოასწრო ლეჩხუმს თავის შეფარება. გრიგოლთან შეიკრიბნენ დადიანის სახლის წევრები, სახლთუხუცესი გიორგი ჩიქოვანი, ლეჩხუმის მოურავი ქაიხოსრო გელოვანი და სხვანი. დავით II იძულებული გახდა მორიგებოდა მას და კვლავ დასტოვა ის დადიანად. მაგრამ გრიგოლს ჰყავდა დას. საქართველოში ბევრი მოწინააღმდეგე.

1789 წელს მათში იმერეთის მეფე დავითთან გამოცხადნენ აფხაზეთიდან შარვაშიძეები დიდძალ თავდაზნაურთა თანხლებით და დიდი ძღვენით. ისინი თხოულობდნენ, რათა ოდიშის მთავრად გრიგოლის მაგივრად დაყენებული ყოფილიყო მისი უმცროსი ძმა მანუჩარი, სიძე (ასულის ქმარი) ზემო აფხაზეთის მთავრის ლეონ შარვაშიძისა. შარვაშიძენი ამასთანავე აღუთქვამდნენ მეფეს მორჩილებას და ერთგულების ნიშნად მძევლების მიცემას. ისახებოდა ამგვარად იმერეთთან აფხაზეთის დაკავშირების შესაძლებლობა. მეფეს კარი ვერ დასთანხმდა გრიგოლის გამოცვლას, რადგან ის უკვე დამტკიცებული იყო დადიანად. მაგრამ ეს უარი, როგორც სჩანს, არ იყო მთლად მტკიცედ გამოთქმული. ყოველ შემთხვევაში გრიგოლს უკვე სერიოზული ეჭვი ჰქონდა თავის შესახებ დავით მეფის კარის მიმართ. ამიტომ გრიგოლმა და მისმა მრჩევლებმა გადაწყვიტეს დავით მეფის წინააღმდეგ დავით ბატონიშვილისათვის მხარის დაჭერა. მიიწვიეს დავით არჩილის ძე, რომელიც ქართლიდან გადავიდა იმერეთს, სადაც მას მიეგებნენ წერეთლები და წულუკიძეები და აგრეთვე ზოგი სხვა თავადი და შემდეგ მივიდა ლეჩხუმს, სადაც მას შერთეს ცოლად გრიგოლ დადიანის და მარიამი. აქედან ჯარის შემოკრების შემდეგ დავით ბატონიშვილი და დადიანი გაემართნენ მეფის წინააღმდეგ. მათხოჯთან მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა, დავით მეფე დამარცხდა და ილტვოდა. ხოლო დავით ბატონიშვილი მიიყვანეს ქუთაისს და გამოაცხადეს იმერეთის მეფედ სოლომონ II-ის სახელით მისი ბიძის სოლომონ დიდის სახელის მოსაგონებლად (11 ივლ. 1789 წ.).

იმერეთი დაემორჩილა ახალ მეფეს, დავით II კი გადავიდა ახალციხეს, საიდანაც ის კვლავ ცდილობდა ტახტის დაბრუნებას. აქ ის მოურიგდა ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძეს, რომელსაც დაპირდა სააბაშიოს უფროსობის მიცემას.

ახალი მართებლობის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო ის, რომ რაჭის საერისთავო, დავით II-ის მიერ აღდგენილი, ისევ გაუქმებულ იქნა. მაგრამ მაინც დაშვებულ იქნა შეცდომა – როსტომ ერისთავის შვილი ანტონი, ყოფილი საერისთავოს გამგე, დატოვებულ იქნა ადგილობრივ რაჭაშივე მამულის დამტკიცებით. რუსულ ხელისუფლებასთან ბრძოლის დროს (1810 წ.) ეს ანტონ ერისთავის შვილი მოქმედებდა სოლომონ II-ის წინააღმდეგ და თვალსაჩინო ზიანი მიაყენა რაჭაში მეომრების მობილიზაციის საქმეს.

რუსეთში თავად გრაპოტიომკინთან (ამ დროს იასაში ვალახეთში) იმყოფებოდა დავითის ელჩი თავბესგაბაშვილი (პოეტობაში ბესიკი); რომელმაც 1790 წ. 8 მარტს დასწერა პოტიომკინის სახელზე ვრცელი საიდუმლო მოხსენება. წყლულნი მამულისანი და ტკივილნი მისნი, სწერდა ბესგაბაშვილი ამ მოხსენებაში, აღძრულნი შურითა და მანკიერებითა მეზობლისა ჩვენისაგან (იგულისხმება იმერეთის მეზობელი ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II) აღმოიტაცებენ პირით ჩემით მოხსენებად წინაშე კეთილმოქმედისა ჩვენისადმი, უგანათლებულესო კნიაზო".

შემდეგ ბესკაბაშვილი ამბობს, რომ სანამ კავკ. ლინიაზე უფროსად იყო გენ.-პორუჩიკი პავლე პოტიომკინი, მანამდის მდგომარეობას არა უშავდაო. პავლე პოტიომკინის შემდეგ ლინიის ახალნი უფროსნი მხოლოდ სამხედრო საქმეს უყურებდნენ და პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობას ვერ იჩენდნენო. ამასობაში ერეკლე II-მ შემოიყვანა რუსეთში თავისი ერთგულნი ყმანი მეთვალეებად. მათ შორის ბესიკი პირველ რიგში ასახელებს არქიმანდრიტ გაიოსს, "რომელიც არს სრულმყოფელი და თანაგამგებელი პოლიტიკათა მისთა (ერეკლე II-ისა) და საქმეთა". მეორე ასეთივე მეთვალე, ბესიკის განცხადებით, იყო ხარჭაშნელი ეპისკოპოსი, "რომელიც შემოვიდა (რუსეთს) კანკლის გაკეთების მიზეზით და შემდგომად გაწესდა ვიკარიად მოსკოვსა შინა". მესამე მეთვალედ ბესიკი სთვლის უცხოეთის საქმეთა კოლეგიაში (გარეშე საქმეთა უწყებაში) განწესებულს აბითურაბს. ესენი "აღძრვენ უსაფუძველოს წერილების გზავნითა მეზობელთა ჩვენთა აღშფოთებად და შურად ვნებათათვის ჩვენთა". გარდა ამისა ერეკლეს, ბესიკის სიტყვით, თავიდანვე თავის მეთვალედ კავკასიის ლინიაზე ჰყავდა იქ თარჯიმანის თანამდებობის მქონე ბართლომე სავარსამიძე. წარმოშობით გლეხი, მაგრამ ერეკლემ მისცა მას აზნაურობის მოწმობა და შემდეგ თავადობისაც. ერთს მის ძმას უბოძა თავისი არტილერიის კაპიტანობა, ხოლო მეორე ძმას – არტილერიისავე პორუჩიკობა. ამით ერეკლემ, სწორედ ბესიკი, "მიიზიდნა ბადესა შინა თვისსა მცხოვრებელნი ასტრახანს და ვერეთვე ყიზლარს, მოსდოვს და მათ ლინიათა ზედა მყოფნი, რომელნიცა იმედულად საქმობენ ვაგზაჲნ-გამოგზავნითა წერილებისათა და ამით უკვე აძლევენ ქვეყანასა ჩვენსა (იმერეთს) ვნებასა". ეს იყო მიზეზი, რომ ბესიკს ამის წინადაც უთხოვია პოტიომკინისათვის მისი კიშინეის მყოფობის დროს, რომ იმერეთიდან პოტიომკინთან გაგზავნილი წერილები გადაითარგმნებოდეს არა ლინიაზე, არამედ თვით მასთან. განსაკუთრებით გაბრაზებას იჩენს ბესიკი გაიოსისადმი, რომ ის "იმყოფების აქა აღთქმით განმზადებული მეზობლისა ჩვენისაგან (ე.ი. ერეკლესგან) ალავერდის მიტროპოლიტად კახეთს შინა (ე.ი. ერეკლესგან გაიოსს აღთქმული ჰქონდა ალავერდის მიტროპოლიტად დანიშნა) და რომელიცა იმყოფების აქა მატყუარობითა და არა სამსახურითა".

მაგრამ რუსეთი შორს იყო და ამიტომ დავითი ეხლა მთლად დაეყრდნო ოსმალეთის მთავრობას. ახალციხის ფაშას უნდა გამოეთხოვა ოსმალეთის სულთანის ფირმანი დავითის დამტკიცების შესახებ იმერეთის მელიქად, ხანად, ქართული გაგებით იგივე მეფედ. სამაგიეროდ დავითი პირობას სდებდა განუახლებინა იმერეთში ოთხი ციხე – ქუთაისის, შორაპნის, ცუცხვათის და ბაღდათის და ჩაეყენებინა შიგ ოსმალთა რაზმები, თვით ფაშისთვის კი მიეცა ასი ტყვე და 40 ქქსა ფული (8 ათ. მაშინდელი მინალთუნნი). ასეთ მოლაღატურ დაპირებებს მოჰყვა ის, რომ მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ახალციხის ფაშის დახმარებით მან შემოიკრიბა ლეკის და ოსმალთა ჯარი და ჩავიდა იმერეთს, სოფელ მზოურეთთან დაამარცხა სოლომონ II (1790 წ., 14 სექტ.) და გამეფდა (1790 წ. სექტ.). სოლომონმა თავი შეაფარა საწერეთლოს.

ლეკ-ოსმალთ ააოხრეს იმერეთი და თან წაასხეს დიდძალი ტყვე. დავით მეფესთან ერთად დაბრუნდა ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძე და ჩაუდგა სათავეში სააბაშიო მამულებს და ყმებს.

ამ დროს გარდაიცვალა სარდალი პაპუნა წერეთელი და სოლომონ II-ეს გამოეცალა ერთი ძლიერი მომხრეთაგანი. იმერეთის წარჩინებულთა შორის მაშინ დაიბადა აზრი იმერეთის ქართლ-კახეთთან შეერთების შესახებ. ეს იქნებოდა, მათის აზრით, ერთად-ერთი საშუალება შინაური შფოთისა და არეულობის მოსასპობად, რადგან თუმცა უმეტესობა თავადებისა დავით II-ის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ამ უკანასკნელსაც ყოველთვის ჰქონდა საშუალება ოსმალ-ლეკთა ჯარის დახმარებით იმერეთში თავისი მომხრეები აემუშავებინა.

24. აშპრ-იშპრეთის ბაპრთიანების ცდა. ამ საქმის შესახებ პირადად ერეკლე II-სთან შემდგომლობის აღსაძერვლად თბილისს გაემართნენ სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, ქუთათელი დოსითეოს, გენათელი ეფთიმე, პაპუნას სიკვდილის შემდეგ სარდალად განკუთვნილი ძე მისი ქაიხოსრო წერეთელი, სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე აგიაშვილი, პაატა მიქელაძე, ჩიჯავაძე, ფიცისკაცნი ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი და სხვ. და მიმართეს ერეკლე II-ს თხოვნით იმერეთის შეერთების შესახებ. თბილისში ამ წინადადებას დიდის თანაგრძნობით და სიხარულით შეხვდნენ. ბჭობა ამის შესახებ სასახლეში ქართლ-კახეთის და იმერეთის თავკაცების თანდასწრებით გაგრძელდა სამ დღეს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ერეკლემ შესაძლებლად ვერ დაინახა ამ აზრის განხორციელება.

ნამდვილ უბედურებას წარმოადგენდა ის, რომ მოხუცებულობაში შესულ ერეკლეზე ამ ხანაში დიდ გავლენას ახდენდა ცოლი მისი დარეჯან დედოფალი. სოლომონ II იყო დარეჯანის საყვარელი შვილიშვილი და ამიტომ ის ცდილობდა მისთვის მეფობის უზრუნველყოფას. ამას გარდა საქართველოს გაერთიანება ბუნებრივად დასავადა საკითხს ოდიშის და გურიის სამთავროთა მომავალი ბედის შესახებ, ხოლო დარეჯანს, როგორც დადიანის სახლის ასულს, არ უნდოდა ოდიშის სამთავროს გაუქმება. ეჭვს გარეშე ამგვარად, რომ დარეჯანის ბოროტმა ნებისყოფამ საბედისწერო გავლენა მოახდინა იმერლების მიერ დასმული საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე.

რადგანაც ამგვარად გაერთიანების გეგმას თვით შიგნით ქართლ-კახეთის კარზე არ ჰქონდა ზურგი გამაგრებული, ამიტომ ადვილად შეეძლო თავი წამოეყო და ისიც გაზვიადებით სხვა სიძნელეთ, რომელთა დაძლევა სხვა პირობებში ასე თუ ისე მოსახერხებელი იქნებოდა. უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ოსმალეთისათვის ანგარიშის გაწევა.

ოსმალეთი იმერეთს თავის ხელქვეით ქვეყნად სთვლიდა და ასეთ შეერთებაზე არ დასთანხმდებოდა. რუს-ოსმალის ომი (1787-1791 წ.) ჯერ დამთავრებული არც იყო. ამიტომ რუსეთიდან დახმარების იმედი არ იყო, ხოლო ოსმალეთს ყოველთვის შეეძლო აემხედრებინა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ლეკეთი ავარიის ომარ-ხანი სათავეში და კვლავ განმეორდებოდა 1785 წლის ამბები უფრო უარეს პირობებში, რადგანაც ესლა რუსის ჯარი საქართველოში არ იყო.

ამ სავესებით რეალური გარეშე საფრთხის გარდა ერეკლეს აწუხებდა თვით ქართლ-კახეთის სამეფოში არსებული შინაური მოუწყობლობით გამოწვეული სიძნელეები. "ჩვენ, ქართველებს (იგულისხმებინა ქართლ-კახელები), ვერ მოგვივლია ჩვენი თავისთვის და იმერეთს როგორ მოვუვლითო"- განაცხადა თათბირზე ერეკლემ. ასეთ გარემოებაში ერეკლემ უარჰყო იმერეთის შემოერთების აზრი, მაგრამ მან აღუთქვა იმერეთის დელეგაციას აქტიური დახმარების გაწევა თავისი შვილიშვილის სოლომონ II-სათვის, რომლის იმერეთში დამკვიდრება ერთგვარ ბუნებრივ კავშირს შექმნიდა ამერ-იმერეთის სამეფოთა შორის. 4 ათასი კაცი ქართლ-კახეთის ჯარი ივანე მუხრანბატონის და ქიზიყის მოურავის ზაქარია ანდრონიკაშვილის წინამძღოლობით 900 დაქირავებული ლეკითურთ გადავიდა იმერეთს და დაამარცხა დავით მეფის ლაშქარი. ამავე დროს გრიგოლ დადიანმა გადალახა ცხენის-წყალი და დაიკავა ქუთაისი. სოლომონი კვლავ გამეფდა (1791 წ., თებერვალი). დავით მეფე გაიქცა ახალციხეს და იქიდან შუამავლობა სთხოვა ერეკლე II-ს, რომელმაც მოარიგა ის თავის შვილიშვილთან. დავითს მისცეს საუფლისწულო იმერეთში.

მდგომარეობის გაურკვეველობა იმერეთში შემაფერხებლად მოქმედებდა ერეკლეზე. ამით აიხსნება, რომ ერეკლემ თავისი ელჩის პირით მეტად გვიან დასვა რუსეთის მთავრობის წინაშე საკითხი ოსმალეთთან ზავის დადების დროს საქართველოსათვის ქართული ქვეყნების დაბრუნების შესახებ. სახელდობრ, მესხეთი (ახალციხის საფაშოს სახით მაინც) შემოერთებოდა ქართლ-კახეთს, ხოლო აჭარა და მისი მიმყოფი შავი ზღვის პირა ქართული ქვეყნები კი – იმერეთის სამეფოს. ქართლ-კახეთის ელჩმა მოხსენება ამის შესახებ წარუდგინა რუსეთის მთავრობას პეტერბურგში მაშინ (14 დეკ. 1791 წ.), როდესაც საზავო მოლაპარაკება ქიასსაში ოსმალეთთან უკვე მთავრდებოდა (ის გრძელდებოდა 1791 წ. 30 ოქტომბრიდან 29 დეკემბრამდე). ერთადერთი რაც გააკეთა ოსმალეთზე გამარჯვებულმა რუსეთმა ქართლ-კახეთის სასარგებლოდ ამ ზავის დადების დროს ის იყო, რომ პორტამ იკისრა დაავალოს თავის ფაშებს კავკასიაში, რომ ისინი არ უნდა აქეზებდნენ მეზობელ ხალხებს ქართლ-კახეთის წინააღმდეგ.

25. ერთობის კავშირი საქართველოს მეფე-მთავართა შორის. ამგვარად ამიერ იმერეთის გაერთიანების ცდა ჩაიფუშა, მაგრამ მიდრეკილება ერთობისადმი უკვე ამჟამად გამოცხადდა. ქართლ-კახეთის სამეფოს მდივანბეგი და ვიცე-კანცლერი სოლღიონიძე, ჭკვიანი და განათლებული პოლიტიკოსი, მხნედ შეუდგა ერთობის აზრის განხორციელებას, რამდენადაც ეს არსებულ პირობებში შესაძლებელი იყო. თავდაპირველად რუსეთთან კავშირის ენერგიული მოძიება, რაშიც გამოირიცხული არაა, ერთგვარ გავლენას ახდენდა მისი იაკობ რეინგესთან სიახლოვეც, შემდეგში, იგივე სოლღიონიძე უკვე რუსეთის წინააღმდეგი გახდა და მან ამიერიდან დაიწყო ბრძოლა საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის, რის პირველ ეტაპადაც მას მიაჩნდა ქართულ სახელმწიფოებს შორის ერთობის კავშირის დადება ჩვენი ისტორიის ეს ტრაგიკული ამბავი პლ. იოსელიანს ასე აქვს აღწერილი: "თვით

სოლომონ ლიონიძე, მისრული კართა ზედა იმერთა მეფისა და მთავართა დადიანის გრიგოლისა და გურიელის სვიმონისა, მრავლად დაშვრა, რათა მოეყვანა ერთობასა მტკიცესა ერთნათესაობა ქართ-ველთა, მეცადინეობდა შინაკავშირითა გაეუქმებინა გარეკავშირი" (ეი. კავშირი და დამოკიდებულება ქართლ-კახეთისა რუსეთზე, დასავლეთ საქართველოსი კი ოსმალეთზე), რაზედაც იგი, თურმე, ამბობდა: "ერი, დაცული გარეთითა უცხოთა ნათესაეთაგან მფარველობითა არის მარადის დამდაბლე-ბული, ერი, სხვათა მფლობელობასა ქვეშე შესრული, არის მონა და მონა მზაკვარი, დაცინებული, მასხარად ავადებული. (ის) ვითარცა დამკარგველი თვითმყოფობისა, კარგავს სულისა თვისისა საკუ-თარსა ძალასა და ღირსებასა. უძღური სულითა, კარგავს სხეულისაცა ძალასა. ენა და მეტყველება მისი, მწერლობა და მწიგნობრობა მოელება ერსა დამონებულსა უცხოსა ნათესაეთისა ენითა და ჩვეულებითა".

"ოთხასთა წლითა განმტკიცებულნი კერძობითა უფლებასა ზედა სამთავრონი მოისმენდნენ ლიონიძისა სიტყვითა ერთობისათვის. გარნა სადღა იყო ძალა დამაკავშირებელი მათი, ოდეს მეფემან ირაკლი მეორემან დაკარგა ერთმეფობისა იმერთა ერისა თხოვა დაკარგაცა ძალი კავშირისა. ხმა ლი-ონიძისა იყო ხმა ღაღადებისა უდაბნოსა, ენითა ცემა ჰაერისა და ამო ბგერა ბაგეთა. იხილა ესე ლი-ონიძემან ადრევე და შორისმხედველმან ვერღა ჰპოვა ღონე სხვა დაცვისათვის მეფობისა, რომლისათ-ვისაც გამიგონია მამისა ჩემისაგან (კარის დეკანოზ ევნატი ოსელიანისგან) იტანჯებოდა იგი. ესევე იყო მიზეზი, რომელ შემდგომად მეფისა გიორგისა წარვიდა სოლ. ლიონიძე იმერეთსა დამუნით სპარსეთსა და მოკვდაცა მუნ დამტირებელი ქვეყნისა და მრავლად დატირებული სომეხთა კათალიკოსისა ეფრემისაგან, რომელთანაცა ცხოვრობდა რამდენსამე დროსა. სიკვდილი მისი იყო ვგონებ 1810 წელსა ანუ მცირედ შემდეგ" (სოლომონ ლიონიძე გარდაიცვალა ახალციხეში 1811 წელს ივლისში).

სოლომონ ლიონიძის შრომით 1792 წ. დაიდვა ერთობის ხელშეკრულება საქართველოს მეფე-მთავრებს შორის. ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ერეკლე II-მ, სოლომონ II-მ, გრიგოლ დადიანმა და სვიმონ გურიელმა. ხელშეკრულების ძალით ამ მეფე-მთავრებს შორის მყარდებოდა პოლიტიკური კავშირი ერეკლე II-ის უზენაეს ხელმწიფობის ქვეშ გარეშე მტრისაგან ქვეყნის საერთო ძალით დაცვის განზრახვით.

რამოდენიმე თაობათა მიერ განვილი დროში ეს იყო პირველი აშკარა გამოსატულება იმ აზრის, რომ საქართველოს დაქსაქსულ ნაწილებს ესაჭიროებოდა გაერთიანება.

მალე ამის შემდეგ ოდიშის მთავარს გრიგოლ დადიანს ცოლად დიდი მზითვეით შერთეს ტახტის მემკვიდრის გიორგის ასული ნინო. ამ ქორწინებით უნდოდათ დას. საქართველოს უკეთ დაკავშირება ქართლ-კახეთთან, ნამდვილად კი შემდეგში უარესი გამოვიდა.

მიდრეკილება გაერთიანებისაკენ ამერ-იმერეთში მაინც იმდენად დიდი იყო, რომ მან შემდეგში გამოსატულება ჰპოვა რამოდენადმე მაინც საეკლესიო ცხოვრებაში. 1795 წ. კიევში გარდაიცვალა უკანასკნელი აფხაზ-იმერეთის (ეი. დას. საქართველოს) კათალიკოსი მაქსიმე აბაშიძე, რომელიც რუსეთში ელჩად დავით II-ის მიერ გაგზავნილი უკან არ დაბრუნებულა. მის მაგივრად ფიქრობდნენ კათალიკოსად ქუთათელი მიტროპოლიტის დოსითეოსის კურთხევას, მაგრამ ეს არ მოხდა. პლ. ოსელიანის დამოწმებით საერთო ხელმძღვანელობა დას. საქართველოს ეკლესიისაც დაეკისრა ამის შემდეგ საქართველოს კათალიკოსს ანტონ II-ს. მართალია, ეს ხელმძღვანელობა იყო უფრო ნომი-ნალური, მაგრამ ის გარემოება, რომ დას. საქართველოში უკვე ცალკე კათალიკოსი არ იჯდა, მაინც სიმპტომატური იყო. საყურადღებოა ამასთანავე, რომ, როგორც ჩანს, ეს მოხდა არა თბილისიდან მითითებით, არამედ თვით იმერლების თაოსნობით.

26. ბრძოლა სოლომონ II-სა და ბრიგოლ დადიანს შორის. ოდიშში მეტად ძლიერი იყო გრი-გოლ დადიანის მოწინააღმდეგე ჯგუფი. იმერეთის მეფის კარზედაც მას მხარს არ უჭერდნენ და უფრო მისი ძმის მანუჩარის მომხრეობას იჩენდნენ. ამის საპასუხოდ გრიგოლმა კავშირი გააბა დავით მეფე-ყოფილთან, რომელიც თავის საუფლისწულოში ცხოვრობდა. გათავდა ეს იმით, რომ მეფის კარმა გრიგოლი გადააგდო დადიანობიდან და დადიანად გამოაცხადა ძმა მისი მანუჩარი (1794 წ.). გრიგოლი გაიქცა სამურზაყანოს და წამოიყვანა იქიდან ჯარი და ამავე დროს დავით მეფე ყოფილ-საც მოუვიდა ახალციხედან ლეკების რაზმი და ის თავისი მომხრეებით დადგა ქუთაისის ახლოს.

დამით ბანძაში ჩამომდგარ გრიგოლს თავს დაესხნენ სარდალი ქაიხოსრო წერეთელი და ლეჩხუმის მოურავი ქაიხოსრო გელოვანი და დაამარცხეს ის. გრიგოლი ჯერ მივიდა დავით მეფე-ყოფილთან და შემდეგ წავიდა აფხაზეთის მთავართან ქელემ-შარვაშიძესთან და ჯარით წამოიყვანა ის იმერეთის მეფის წინააღმდეგ. მაგრამ მათ მოსვლამდის სოლომონ II ათასი კაცით და რამდენიმე ზარბაზნით თავს დაესხა მათხოჯის ციხეში და მასთან ახლოს გამაგრებულ დავით მეფეს. ციხე ვერ აიღეს, მაგრამ სანგარში გამაგრებული დავით მეფე, თავისი მომხრე იმერლებით და ლეკებით, დამარცხდა და გაიქცა ახალციხეს.

დავით მეფის ამ დამარცხების შემდეგ სოლომონ II თავისი და ქართლიდან ალექსანდრე ირაკლის ძის წინამძღოლობით მასთან მისული დამხმარე ჯარით, გაემართა ოდიშში ჩამომდგარ აფხაზეთის მთავრის წინააღმდეგ, რომელმაც ვერ გაბედა შებრძოლება და არჩია უკან აფხაზეთში წასვლა. გრიგოლ დადიანი დადგა ოსმალებთან ფოთს, ხოლო ახალციხეს გაქცეული დავით მეფე-ყოფილი მალე გარდაიცვალა იქ ყუავილისაგან (იანვ. 1795 წ.). დადიანად ოდიშში დარჩა მანუჩარი.

გაჭირვებაში ჩაყარდნილმა გრიგოლმა მიმართა შუამავლობისათვის ერეკლე II-ს, რომელმაც გააყოლა მას თავისი შვილი ალექსანდრე და შვილიშვილი იოანე მოსარიგებლად სოლომონ II-სთან. მაგრამ იმერეთის კარი არ თანხმდებოდა მანუჩარის გამოცვლაზე, გრიგოლს კი მისცეს ქუთაისში ცხოვრების შესაძლებლობა.

27. რუსეთთან დაპაჰვირებას მართლ-კახეთში ოპოზიცია უჩინებდა. 1783 წ. რუსეთთან დადებული ტრაქტატის შემდეგ ქართლ-კახეთის მდგომარეობა არა თუ არ გაუმჯობესებულა, პირიქით, ქართველი მოწინავე წრეები ხედავდნენ, თუ როგორ თანდათან ადგილობრივ სახელმწიფოებრიობის მდგომარეობა უარესდება. რუსეთმა არ გაუწია ქართლ-კახეთს რაიმე თვალსაჩინო სამხედრო დახმარება, აქ მყოფი ორი ბატალიონიც, რომელიც ტრაქტატის მიხედვით საქართველოში უნდა დარჩენილიყო, უკან გაიწვია და ქვეყანა უარეს მდგომარეობაში ჩააგდო, ვინაიდან ქართლ-კახეთს ესტუმრებოდნენ რუსეთის გამო გადამტყრებული ჰყავდა. ასეთს პირობებში შინაური ცხოვრების მოწყობაზე ფიქრიც ზედმეტი იყო, მით უმეტეს, რომ ამ მხრივაც რუსეთი არაერთარ მორალურ დახმარებას არ იძლეოდა.

ამ გარემოებამ ჩააფიქრა ზოგი ქართველი ხელმძღვანელი ჯგუფი. თუ 1783 წ. მთელი იმელები რუსეთზე იყო დამყარებული, ესტუმრებულნი იყვნენ ისევე, როგორც ეს იმელები გაცრუებული აღმოჩნდა, რუსეთთან არსებულ კავშირს თანდათან გაუჩინდა ოპოზიცია, რომელიც ჯერ სუსტი იყო, მაგრამ შემდეგ კი საკმაოდ გაძლიერდა. ოპოზიცია ხედავდა რუსეთის გულგრილობას, რომ პეტერბურგის მთავრობას მხოლოდ მაშინ მოაგონდებოდა საქართველო, როდესაც კასპიის ზღვაზე ბატონობის საკითხი წინ წამოდგებოდა. ეს ჯგუფი ამიტომ არჩევდა მეზობელ მაჰმადიან ქვეყნებთან და უპირველეს ყოვლისა ოსმალეთსა და სპარსეთთან კავშირის დაჭერით დამოუკიდებელ გზაზე სვლას. ამ ჯგუფს სათავეში ედგა მდივანბეგი "ზედა-მსაჯულად და ვიცე კანცლერად" წოდებული სოლომონიძე და სარდალ-სახლთუხუცესი დავით ორბელიანი, სიძე ერეკლე II-ისა, მხნე, მამაცი და გონიერი კაცი. >

28. რუსეთის მომხრე ჯგუფი. ამჟამად დროს მეორე, უფრო ძლიერი ჯგუფი, ქვეყნის მოუწყობლობისა და არეულობის გამო ერთადერთს გამოსავალს ისევ რუსეთთან მჭიდრო კავშირის დაჭერაში ხედავდა და მისგან მოელოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხსნას. ამ, ასე ვთქვათ, რუსოფილურ ჯგუფს ეკუთვნოდნენ გარსევან ჭავჭავაძე, ელჩად გაგზავნილი რუსეთს, მისი სიმამრი ქაიხოსრო ავალიშვილი, ქსნის ერისთვიანი, გოგია ციციშვილი (სიმამრი ტახტის მემკვიდრის გიორგი ბატონიშვილისა), რომელსაც წინათ დალატისათვის ყურები ჰქონდა დაჭრილი, არქიმანდრიტი ელევთერი ფრიად მოქმედი პირი და სხვ. ზოგი ამ ჯგუფისა იყო რუსეთთან კავშირის მომხრე 1783 წლის ტრაქტატის ფარგლებში, ზოგი კიდევ, როგორც, მაგალითად, ქსნის ერისთვიანი, პირადი შურის ძიებისა გამო, წინააღმდეგი არ იქნებოდნენ მთლად მეფობის მოსაზრებისა. ამავე რუსის მომხრე ჯგუფში მოჰყვნენ გავლენიანი სომხის თავადებიც განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთმა სცადა აზერბაიჯანის სახანოებში მოსახლე სომხების საკითხის წამოყენება, და ეკატერინე II-ის და მის ხელისუფალს გრაპოტიომკინს ქრისტინი სახელმწიფოს აზიაში დაარსების აზრი მოუვიდათ. მართალია, ეს აზრი მალე მიტოვებულ იქნა, მაგრამ ეწმიაძინის სასულიერო წრეებსა, აგრეთვე ყარაბა-

ღის მელიქებში ის რწმენა განმტკიცდა, რომ სომხის ხალხის მხსნელი მხოლოდ რუსეთი შეიძლება ყოფილიყო. ამას თავისი გავლენა ჰქონდა თბილისის სომხებზედაც და ამით აიხსნება, რომ რუსეთისადმი მძლავრმა სიმპატიამ ჰპოვა მათში სწრაფი ზრდა და განვითარება. სამეფოს შინაური და გარეგანი სისუსტე კიდევ უფრო აძლიერებდა იმ აზრს, რომ ძლიერი რუსეთი იხსნიდა ქრისტიანობას მაჰმადიანთა მძლავრობისაგან. ნაგულისხმებ ჯგუფს სომეხთაგან ეკუთვნოდნენ: მისკარბაში იოსებ ბებუთაშვილი, თბილისის მელიქი დარჩია ბებუთაშვილი, ყოფილი ვიცე-კანცლერი სულხან ბეგთაბეგვიშვილი, მისი ძმა მანუჩარ თუმანიშვილი და შვილი შიომ თუმანიშვილი, სოლომონ არღუთაშვილი და იოსებ ყორღანაშვილი, ერეკლე II-ის მეუღლის დადიანის ასულის დარეჯან დედოფლის საქმეების მოურავი. ამ პირთ მალე მოიპოვეს პირველი ადგილი რუსეთის მომხრე ჯგუფში. იოსებ ბებუთაშვილის სახლი გადაიქცა მათ ცენტრად, სადაც იკრიბებოდა ყველა ამ წრის და ზრახვების ხალხი. წრის სათავეში მდგომ პირთ მუდმივი კავშირი ჰქონდათ რუსეთში მყოფ სომხის მთავარებისკაბოს იოსებ არღუთაშვილთან. რუსეთის მომხრე ამ ჯგუფს თავისი მდგომარეობით დიდი გავლენა ჰქონდა სამეფო კარზე და სახელმწიფო საქმეებზედაც. აქ იყო გადაბმული ერთმანეთთან იდეური მიდრეკილების და შურიანობის, ინტრიგების და პირადი უკმაყოფილების ფრიად რთული ქსელი. მაგრამ ყველაფერ ამას აერთებდა რუსეთისადმი ორიენტაციის ერთი ხაზი. >

29. შინაური კრიზისი ქართლ-კახეთში. მდგომარეობა შიგნით ეხლა ქართლ-კახეთში იყო ასეთი: ტერიტორიულად ქართლ-კახეთის სამეფო ამ დროს იყო საკმაოდ გაზრდილი. შედარებით XVIII ს-ის დასაწყისიდან მას მომატებული ჰქონდა ლორე, ყაზახი, შამშადილი და იმერეთისაკენ ვახანის მხარე (ამ მხარის მფლობელი თავადი გიორგი აბაშიძე XVIII ს-ნის დასაწყისში გადავიდა იმერეთის მეფის მფარველობიდან ქართლის მეფის მფარველობაში, რის შემდეგ ეს მხარე მოჰყვა ქართლის სამეფოში). 1770 წლის ცნობით ქართლ-კახეთის სამეფოში ითვლებოდა 372 13 ათასი კომლი (კომლზე ორთაშუა რიცხვით ამ დროს ორსავე სქესის 8 სულის ჩათვლით). ამ 372 13 ათასიდან 5200 კომლი თათარი და 2400 კომლი სომეხი მოდიოდა ყაზახ-შამშადილზე. რჩებოდა დანარჩენი ტერიტორიისათვის 30-30 ათ. კომლი, ამათგან 64% ქართველი, 19% სომეხი და ქართველ-სომეხი, ე.ი. სომხური სარწმუნოების ქართველები, 5% თათარი, 10,9% ოსი და სხვ. ქართლის მთელი რაიონები ცარიელი იყო მოსახლეობისაგან თბილისის სამხრეთით მხარე თითქმის მთლად დაცარიელებული იყო. მტკვრის მარჯვენა ნაპირას დაწყებული თბილისიდან გორამდის ბარ ადგილებში მოსახლეობა აგრეთვე არ იყო.

მეურნეობაში შედარებით XVII ს-ნისთან თვალსაჩინო ცვლილება არ იყო მომხდარი, მხოლოდ მევენახეობაში უკვე გადასული იყვნენ განსაკუთრებით კახეთში დაბლობ ვენახების გაშენებაზე, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ XVII ს-ნის მეორე ნახევარში ვენახები აღმ. საქართველოში მალღარი იყო. მესაქონლეობა კახეთში შემცირებული იყო, აბრეშუმი უკვე მოჰყავდათ მხოლოდ ადგილობრივ სახმარებლად და მისი სხვა ქვეყნებში გატანა არ წარმოებდა. გლეხების მეურნეობა იყო ძალზე ღარიბი. გლეხი ცხოვრობდა ქართლში მიწურებში, კახეთში კი თხილთ გალესილ წნულებში, რომელიც დასურული იყო ლერწამით. გლეხი გამრავლებულ თავად-აზნაურების ექსპლოატაციის გამო ვერ ახერხებდა თავის მეურნეობის გაუმჯობესებას. ამას ემატებოდა სახელმწიფო მოთხოვნილებანი (ლაშქრობა და სხვ.). სამეფო სახლიც ერეკლეს დროს მისდევდა დიდი ფუფუნებით ცხოვრებას, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა ხალხს. ამას თან ემატებოდა ლეკების თარეშები და მუდამ საშიშროების ქვეშ ყოფნა. ამიტომაც გლეხის მეურნეობა საცოდავ მდგომარეობაში იყო, რადგანაც გლეხს თავისი შრომით უნდა შეენახა თავისი თავი და მომრავლებული თავად-აზნაურობაც.

შინაური მდგომარეობის ამ გაუარესებას თვალსაჩინოდ ხელს უწყობდა ის საერთო ეკონომიკური კრიზისი, რომელიც 1780-იანი წლების ბოლოდან მოედო წინა-აზიის ქვეყნებს დაწყებული ინდოეთიდან ვიდრე სტამბოლამდის. ამ კრიზისის შედეგი იყო ის გარემოება, რომ ვაჭრობა მთელ წინა აზიაში, დაწყებული ინდოეთიდან ვიდრე სტამბოლამდის ძლიერ შეფერხდა და დაზარალდა. ეს კრიზისი მოედო საქართველოსაც. ამის შედეგად კერძოდ აღმსაქართველოს ქალაქებში მცხოვრებთა რიცხვი იწყებს დაკლებას. მეზობელ ქვეყნებთან საქონლის გაცვლა-გამოცვლა შემცირდა, ვაჭრობამ საერთოდ იკლო, თბილისში გაჩნდა უკვე საკმაოდ ბლომად ცარიელი დუქნებიც. ასეთ პირობებში ერეკლე II ცდილობს გამოიმუშაოს ახალი ღონისძიებანი ქვეყნის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ მის

მდგომარეობას ართულებდა ის გარემოება, რომ არ ჩანდა, თუ ის მაშინდელ პირობებში რომელ სოციალურ კლასს უნდა დაყრდნობოდა. საქალაქო ელემენტებზე იხედის დამყარება მას არ შეეძლო, რადგანაც საქალაქო წამყვანი ფენა (ევროპული ბურჟუაზიის დაგვარი) საქართველოში სუსტი იყო ქართლ-კახეთში იყო ერთადერთი მოზრდილი ქალაქი თბილისი, რომელიც ამ დროს შეიცავდა 25-30 ათასამდის მცხოვრებს. ამ ქალაქის წამყვან ფენას წარმოადგენდნენ ევრეთ წოდებული პირველი ხარისხიანი მოქალაქენი, მდგომარეობით აზნაურებთან გათანასწორებულნი, (76 ოჯახი), მაგრამ ისინი თითქმის ყველანი არა მარტო წარმოშობით და სარწმუნოებით, არამედ შეგნებითაც იყვნენ სომხები და მოკლებული იყვნენ პოლიტიკური ცხოვრების ტრადიციებს. ასეთ პირობებში ერეკლემ ამჯობინა უკან დაეხია ფეოდალური მეურნეობის განმტკიცებისაკენ, მაგრამ ქართველი თავადობა ამ დროს უკვე მეტად დაცემული იყო ეკონომიკურად და კულტურულადაც. მაგ., ფეოდალური სამფლობელო საციციანო XVIII ს-ნის დასაწყისში შეიცავდა 900-ზე მეტ კომლ გლეხსა და აზნაურს, მე-18 საუკუნის ბოლოსათვის კი საციციანოს სამფლობელოში იყო 250 კომლი. დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობა იყო მეორე დიდ ფეოდალურ სამფლობელოში, ე.წ. საამილახვროში. თავად ორბელიანების დიდი სამფლობელო თბილისის სამხრეთით, რომელშიაც მე-18 ს-ნის დასაწყისში 1700-ზე მეტი კომლი იყო, მე-18 ს-ნის II ნახევარში თითქმის გავერანებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგანაც 1740-50-იან წლებში ლეკების გაძლიერებულმა თარეშებმა მოსახლეობის ნაწილი დალუპა (დახოცვით თუ ტყვედ წაყვანით), მოსახლეობის გადარჩენილი ნაშთი კი გაიფანტა ქართლ-კახეთის სხვა ადგილებში. მსხვილი მემამულენი საერთოდ ქართლ-კახეთში ამ დროს ცოტანი იყვნენ. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში თავადების უმრავლესობას ჰყავდა რამოდენიმე ათეული და ამაზე ნაკლებიც კომლი გლეხი. 1780-იან წლებში ქართლში, მაგ., იყო ერთი ამაყი თავადიშვილი (ავალიშვილი), რომელსაც ერთი კომლი გლეხი ჰყავდა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ეს გლეხი ამ გულზეიანი თავადის ხელში.

თავადობა და აზნაურობა წინა დროებითი იყო, როგორც კარგი მეომრების მომცემი, მაგრამ ახლა იგი ამ ღირსებასაც კარგავდა. ყოველ შემთხვევაში მწერალი იოანე ხელაშვილი გადმოგვცემს, რომ თავადიშვილნი და აზნაურნი პირდაპირ გაურბოდნენ თავდამსხმელ ლეკებზე მღვრად წასვლას და მხოლოდ მაშინ გამოდიოდნენ, თუ თვითონ მეფე იყო გასული ლეკების სადევნელად. გამოდის, რომ თავადობა და აზნაურობა უკვე ვეღარ ასრულებდა ჯეროვნად თავის სამხედრო ფუნქციასაც, რომელიც წარმოადგენდა მის, როგორც ფეოდალური წოდების, მთავარ დანიშნულებას. მაინც, კიდევ ქართველების ცხენოსან ჯარის საუკეთესო ნაწილს ჯერ-ჯერობით თავისი შეძლების გამო ისევ ეს თავადები და აზნაურნი წარმოადგენდნენ, თუმცა მათი ენერჯია უკვე მოდუნებული იყო.

გარდა ყველაფერ ამისა ქართველი ფეოდალური წრეები ესლა ძლიერ მოისუსტებდნენ, როგორც მმართველი და კულტურული ძალაც. იოანე ბატონიშვილი თავის "კალმასობაში" გადმოგვცემს, რომ მის მამას გიორგის (ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეს) ბატონიშვილობაში მუდამ თან ახლდა 40-მდის რჩეული თავად-აზნაური, მაგრამ მათგან მხოლოდ ორმა იცოდა წერა და ერთი მათგანი თავის ნაწერს ვერც წაიკითხავდაო.

როდესაც 1775 წელს ერეკლემ გადაწყვიტა მნიშვნელოვანი მოლაპარაკების დაწყება ოსმალეთთან და ამისათვის საჭირო იყო სტამბოლში კარგი ელჩის გაგზავნა, საამისოდ დანიშნულ იქნა ყარაბახიდან მოსული სომხის შვილი მირზა გურგინი (სიტყვა მირზა სახელის წინ სპარსულად ნიშნავდა განსწავლულ მდივანს) — ჭკვიანი კაცი და აღმოსავლური ენების კარგი მცოდნე. ამ გარემოებამ ქართველ თავადებში გამოიწვია აღშფოთება. მათ მოითხოვეს, რომ ელჩად გაგზავნილი ყოფილიყო ვინმე ქართველი თავადიშვილთაგანი. ერეკლემ თანხმობა განაცხადა, მაგრამ მოითხოვა სათანადო კანდიდატურის დასახელება. დამასასიათებელია, რომ ქართველ თავადებს შორის ასეთი არ აღმოჩნდა, რის გამოც ელჩად ისევ გურგინი წავიდა.

ამგვარად ქართველი თავადური წრეები ამ ხანებში განიცდიდნენ სრულს დაცემას და დაქვეითებას. მიუხედავად ამისა ერეკლემ მაინც გადასდგა ზოგიერთი ნაბიჯები მემამულეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მართებლობა ლებულობდა ზოგიერთ გამაუმჯობესებელ ზომებს უპირველეს ყოვლისა მეურნეობის ხაზით, მაგრამ აქაც შედეგი არ გამოდიოდა.

ერეკლემ წამოიწყო 1794 წ. მდ. იორიდან დიდი არხის გამოყვანა სამგორის უდაბური ველების მოსარწყავად. გეგმა დიდი საზომით იყო მოფიქრებული, მაგრამ მისი განხორციელება ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ შეუძლებელი შეიქმნა, რადგან მიწის სამუშაოები დიდ ხარჯს მოითხოვდნენ. ამიტომ დაწყებული სამუშაოები მიტოვებულ იქნა (ეს არხი მცირე საზომით გააგრძელებინა ნამესტ-ნიკმა ვორონცოვმა XIX ს-ნის შუაში).

30. ბადახრა დესპოტურ მართებლობისაჲნ. როგორც მოხსენებული იყო, ქართლის გამგებელ ვახტანგის დროიდან ქართლში და მისი მობადვით კახეთშიც გაბატონებული იყო მართებლობის თვითმპყრობელური წესი. მაგრამ ეს წესი მოითხოვდა მტკიცე ბიუროკრატიული აპარატის შექმნას, რათა შესაძლებელი ყოფილიყო თვითმპყრობელობითი მართებლობის მოთხოვნილებათა გატარება გარკვეულ კანონებზე და ცენტრალური მართებლობის განკარგულებებზე დამყარებით. ამ ბიუროკრატიული აპარატის შექმნა ქართლ-კახეთმა ვერ შესძლო არა მარტო სათანადო ძალების უყოლობის გამო, არამედ ლეკების თავდასხმების და მუდმივი გარეშე და შინაური შიშინანობის მიზეზით. განუწყვეტელი სამხედრო საფრთხე იწვევდა შინაგანი მთელი ძალების დაძაბვას უპირველეს ყოვლისა თავდაცვის საქმისათვის, რის გამოც მეტად ძნელი ხდებოდა ადგილებზე ყოველთვის კანონიერების დაცვა. უკვე რუსი დამკვირვებლები 1770-1771 წლებში აღნიშნავენ, რომ თუმცა ქართველებს აქვთ წერილობითი კანონები, მაგრამ საქმეების გარჩევა უფრო პირადი მიდგომით ხდებოდა, ყოველ შემთხვევაში კანონებს მთავარი ყურადღება არ ჰქონდათ მიქცეული. ამ ხანის დიდძალი საბუთები მოწმობენ, რომ არსებული კანონები და ერეკლე II-ის განკარგულებანი ადგილებზე ყოველთვის არ სრულდებოდა, რის გამო მოსახლეობა განიცდიდა დიდ შეწუხებას. ხშირი იყო საერთოდ კანონების და არსებული ჩვევების დარღვევა. ყველა საესებით წერილმანი საქმისათვის (იესე ოსეს ძის თქმით აბაზიანი საქმისთვისაც) გარბოდა პირდაპირ მეფესთან, რომელიც თვითონ წყვეტავდა საესებით მცირემნიშვნელოვან საკითხსაც. ამასთანავე წესიერად მოწყობილი კანცელარია არ არსებობდა. მეფის მიერ გაცემულ განკარგულებათა ან განჩინებათა რეგისტრაცია არ ხდებოდა, რის გამო მეფე ხშირად იძლეოდა წინანდელი განჩინების დამარღვეველ ახალ განკარგულებას. ასეთ პირობებში მეფის ნება და სიტყვა ხშირად სწევდა კანონის მაგიერობას. ერეკლე II უფრო და უფრო გასაიდუმლოვდა და თავისი არსებით ჩაიკეტა ისე, რომ თავის უახლოეს თანამშრომლებსაც — მდივნებს — ის თავის აზრს არ უხიარებდა. 1780 წ. ერეკლე აპირებდა ერევანზე გალაშქრებას. შეიკრიბა მნიშვნელოვანი ჯარი, რომელიც დაიძრა კიდეც თბილისიდან, მაგრამ არაფერ. არ იცოდა, გადმოგვეცემს მეფის კარზე თავისი თანამდებობით მუდმივად მყოფი იესე ოსეს ძე, თუ საითკენ და რა მიზნით მიდიოდა ეს ჯარი.

რასაკვირველია, ერთ ადამიანს არ შეეძლო საგარეო და საშინაო საქმეებისათვის მოველო მით უმეტეს, რომ სამხედრო საქმიანობა მოითხოვდა მისგან გამუდმებულ ყურადღებას. ამიტომ მმართველობაში ძლიერდებოდა არეგ-დარევა, ადგილებზე კიდევ თვითნებობა და ძალადობაც. გენ-პორუჩიკი პაპოტიომკინი 1784 წ. თბილისში მყოფობის შემდეგ აღნიშნავდა, რომ ქართლ-კახეთის მართებლობის უწყსარიგობა ყოველგვარ შესაძლებლობას აღემატებაო. ერეკლეს მართებლობა გადაიხარა დესპოტურ წესისაკენ და ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებდა არეგ-დარევას ადგილებზე, რადგანაც მეფე მარტო მდივნებზე დამყარებით ვერ ახერხებდა საკუთარ განკარგულებათა შესრულებისათვის კონტროლის გაწევას. ზოგჯერ ასეთი განკარგულებანი არ სრულდებოდა, ხოლო ბევრგან კიდევ ის მოჰყავდათ სისრულეში დიდის დაკლებით და დამახინჯებით. იზრდებოდა უპასუხისმგებლობა, რის შედეგებმა თავი იჩინეს უახლოეს ხანაში ომარ-ხანის შემოსევის დროს, როდესაც ქართლ-კახეთმა ვერ შესძლო შემოსეულ მოწინააღმდეგისათვის დაუპირისპირებინა საკმაოდ თავდასაცავი ძალა.

31 ტახტის მემკვიდრეობის ახალი კანონი და მისი შედეგები. ამ საერთო უკმაყოფილებას ემატებოდა დიდი უთანხმოება თვით სამეფო გვარეულობის წევრთა შორის. 1791 წელს ერეკლე II-მ დარეჯან დედოფლის ზეგავლენით შეიმუშავა და დაამტკიცა ტახტის მემკვიდრეობის და ბატონიშვილების უზრუნველყოფის ახალი წესი.

ტახტის მემკვიდრეობის ახალი დებულებით მეფობა მემკვიდრე გიორგის შემდეგ უნდა გადასულიყო ძმებზე უფროს-უმცროსობით. ყველაზე უმცროსი ძმის შემდეგ მეფობა გადავიდოდა უფროსი ძმის უფროს შვილზე და შემდგომებზე, შემდეგ მეორე შვილის უფროს შვილზე და ასე სხვ. ბატონ-

ნიშვილებს მიეცემოდათ საუფლისწულოდ მამულები გლეხებითურთ სრულ საკუთრებად და გარდა ამისა სამეფოს შემოსავალიდან (ხარჯების გამოკლებით) ორი წილი მიეცემოდა მემატონე მეფეს, ერთი მესამედი კი სხვა ბატონიშვილებს. 7 ციხეს თავისი ნარიყალებით, ანუ ციტადელებით – ქალაქ თბილისისას, გორისას, სურამისას, წირქოლისას, ანანურისას, ბოჭორმისას და გრემისას – მეფე და ბატონიშვილები იცავენ საერთო კაცებით. სხვა ციხეები კი ცხადდებოდნენ სათემოდ და ისინი თემს ანუ ხალხს უნდა შეენახა. თავადების (ე.ი. სრულუფლებიან მემამულეთა) ნახევარი მეფეზე იყო მიმაგრებული, მეორე ნახევარი კი – ბატონიშვილებზე, რომელთაც შეეძლოთ გამოეყვანათ ისინი თავიანთ მსლებლებად.

ეს დებულება შეიძლება წარმომდგარიყო სახელმწიფოზე დესპოტური შეხედულების პირობებში, როდესაც მთელი სახელმწიფო აღიარებული იყო სამეფო სახლის საკუთრებად. ასეთ დებულებას და მის განხორციელებას შეიძლება მოჰყოლოდა მხოლოდ საშინელი არეულობა. ასეც მოხდა, რადგანაც ბატონიშვილები ამ კანონის გაუქმების შემდეგაც არ ამბობდნენ უარს ტახტის მემკვიდრეობის ასეთ წესზე. ამიტომაც ეს კანონი საფუძვლიანად ითვლებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს დაქცევის მიზეზად.

32. საუფლისწულოების გამოყოფა და სახელმწიფოს და დინასტიის საპუტრეპის განსაღკვეპვა.

სხნებული კანონის უფარვისობას და მავნებლობას მალე მიხვდა ერეკლე და მალე მან მოინდომა ამის მაგივრად თავისი ვაჟიშვილებისათვის საბატონიშვილო მამულების და გლეხების გამოყოფა. ტახტის მემკვიდრეს დაუმტყიცდა ყაზახი, ხოლო მეფისძეთ მიეცათ თითოს საშუალოდ ათასი კომლი აზნაური და გლეხი (1794 წ.). ამასთანავე გატარდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება. სახელდობრ, როგორც ეს დავით ბატონიშვილის ცნობიდან ჩანს, ქართლ-კახეთში გამოუყვიათ მეფის და სამეფო სახლის პირადი ქონება და სამფლობელო სახელმწიფო (სახაზინო) ქონებიდან. პირად ქონებას შეადგენდნენ მეფისთვის და მისი მემკვიდრისათვის, როგორც ჩანს, ყაზახი, ხოლო ბატონიშვილებს გამოყოფილი ჰქონდათ საუფლისწულოები. დანარჩენი ქონება (გლეხები და მამულები) სათავადიშვილო გლეხების და მამულების გარდა, შეადგენდა სახელმწიფოს კუთვნილებას.

ბატონიშვილებისათვის საუფლისწულოებში (ხშირად ეს საუფლისწულო მამულები გაბნეული იყო სხვადასხვა ადგილას) შემუშავებულ იქნა ცალკე დებულება. დავით ბატონიშვილის ცნობიდან საგულისხმებელია, რომ ბატონიშვილებს მინიჭებული ჰქონდათ თავიანთ საუფლისწულოებში სამოქალაქო საქმეების გარჩევის უფლება. სისხლის სამართლის საქმეებს კი არჩევდნენ მეფის მდივანბეგები.

ბატონიშვილებს არ ჰქონდათ საუფლისწულოებში არც ციხის აშენების და არც დამოუკიდებელი ჯარის შეკრების უფლება. მათ არ შეიძლება ჰქონოდათ არტილერია, არ ჰქონდათ აგრეთვე მეზობელ ხალხებთან ომის წარმოების უფლება და არც მეზობელ ხანებისა და მფლობელებისაგან ელჩების მიღების და ამათზე პასუხის გაცემის უფლება.

ბატონიშვილებს არ შეეძლოთ სახელმწიფო მმართველობის ხასიათის ბრძანებანი გამოეშვათ.

მათ საუფლისწულოში აღმოჩენილ მადანთაგან რკინისა ეკუთვნოდა მათ, ხოლო ოქრო-ვერცხლ-სპილენძისა სამეფო იყო.

ბატონიშვილები ვერ დასჯიდნენ თავის ხელქვეით თავადებს და აზნაურთ და მეფის ნებადაურთველად ვერც ახლებს მიიღებდნენ. თავიანთ საუფლისწულოებში მათ არ შეეძლოთ ახალი გადასახადების შემოღება. საბაჟო გადასახადებიც ყველგან ერთი ტარიფისა იყო. ბატონიშვილებს არ შეეძლოთ ახალი საბაჟო-გადასახადის დაწესება.

არსებითად, მამასადამე, ბატონიშვილებს თვალსაჩინო პრივილეგიები არ ჰქონდათ. სხვა მემატონეებისაგან ისინი განსხვავდებოდნენ იმით, რომ ჰქონდათ თავიანთ სამფლობელოში სამოქალაქო საქმეების გარჩევის უფლება. მაგრამ ქართულ პირობებში, სადაც სამეფო სახლის წევრთა გულზვიადობა ძველი დროის ცოცხალ გადანარჩომს წარმოადგენდა, თვით მცნება "საუფლისწულო" ანიჭებდა მეფის-ძეთ კანონით არ გათვალისწინებულ დიდ უპირატესობათ. ამისი უშუალო შედეგი მაშინვე იყო ადგილებზე ბატონიშვილების სახით უპასუხისმგებლო მსხვილ მემატონეთა წარმოჩენა, რომელნიც თავის პირად ინტერესებს მისდევდნენ და სახელმწიფოს საერთო ბედზე არ ფიქრობდნენ. დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ბატონიშვილებისათვის მამულების გამოყოფამ მათთვის ესლა გად-

აცემულ აზნაურებსა და გლეხებშიც, რადგანაც მათ ეხლა გაუჩნდათ მათ თავზე მდგომი უშუალო მებატონეები.

მებატონეების ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევით 1790 წლის, როგორც ჩანს, ბოლოში გამოვიდა დადგენილება, რომლის მიხედვით თეიმურაზ II-ის რუსეთს წასვლის შემდეგ ერთი ადგილიდან და ერთი მემამულისაგან აყრილი და სხვაგან გადასახლებული გლეხი უბრუნდებოდა ისევ თავის წინანდელ ბატონს, უკეთეს ის ამას მოითხოვდა. მხოლოდ სხენებულ თარიღზე ადრე გადასულ-გადახიზნულნი გლეხნი იყვნენ თავისუფალნი წინანდელ მებატონესთან დაბრუნების ვალდებულებისგან.

33. ბლესების მდგომარეობის ბაშარასება. ასეთ რეაქციულ პოლიტიკას ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა გლეხების მდგომარეობის გაუარესება, რადგანაც მართებლობა ეხლა იძულებული იყო მაქსიმალურად ანგარიში გაეწია მებატონეებისათვის. მართლაც, მებატონეებს კვლავ ეძლეოდათ უფლება 30 წლის განმავლობაში ეძებნათ მათგან სხვა მემამულეებთან გაქცეული თავიანთი ყმები და უკან დაებრუნებინათ ისინი. ამით გაუქმდა 1746 წლიდან გლეხებისთვის არსებული ერთგვარი შეღავათიანი მდგომარეობა.

გარდა ამისა ეხლა გამოცემული იქნა კიდევ ერთი ახალი განკარგულება, რომლითაც ნებადართულ იქნა გლეხების გაყიდვა მებატონეების მიერ ცალკე სულად (მანამდის კი გლეხის გაყიდვა შეიძლებოდა მხოლოდ მთელ ოჯახად). ეს უკვე ნიშნავდა გლეხის გადაქცევას ნამდვილ მონად.

1793 წლის ახლოს მოხდა წყალობის ანუ მამულის ყმათა კატეგორიის გაუქმება. XVIII ს-ნეში ასეთი გლეხები იხსენიებიან საბუთებში, ხოლო რუსული მმართველობის დამყარებიდან ისინი უკვე აღარ სჩანან. არ იხსენიებიან ისინი ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ ხანაშიაც. (პიროვნულად თავისუფალი გლეხების კატეგორია აზატების ან თარხანთა სახით კვლავინდებურად დარჩა, ზოგი წყალობის ყმა გახდა ეხლა აზატი).

1791 წ. ქსნის ერისთვისშვილის დედა ქეთევანი სწერს შერმაზანას შვილების ოპანეზას და არუთინას შესახებ, რომ მამა მათი იყო ციციანთ ყმა და რომ ამ მამამ დაიხსნა თავი ციციშვილებისაგან მისი, ქეთევანის, ფულით, რის გამო გახდა მის ნასყიდ ყმად. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ შერმაზანმა, რომელიც ცხინვალში ვაჭრობდა, დაუბრუნა ქეთევანს მისი ფული. ამის გამო, სწერს ქეთევანი, ჩემი ნასყიდი აღარა ხართ, თავდახსნილი წყალობის ყმათ მომიხვედით, არც მამული მომიცემია თქვენთვის, არც სათხოვარი დამიდგია. თქვენ თქვენის ნებით მოსამსახურე იყავით (და) ჩვენ მწყალობელი ბატონი. ამ გზით ბატონყმობა გვექონდა. თუ ჩემს შვილებთან, რომელთანაც გულმა მივიწიოსთ და კარგათ მოვიარონ და ჩემსავით თავისუფლად შევიანახონ, იმასთან გემყოფებოდესთ. თუ თქვენ გუნება არ შეგინახონ, ვისთანაც გერჩომინებოდესთ, იმასთან მიდით, აზატნი ხართ ჩემგან. თქვენთან საბატონყმო საქმე არავისა აქვს.

მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ამისა ორივე ძმა შერმაზანის შვილები ერისთავის ჩვეულებრივ ყმებად სჩანან. ერთი მათგანი არუთინა ხელწერილს აძლევს შანშე ერისთვისშვილს: "კურთხეულის ბებიის თქვენის ნასყიდნი ყმანი ვიყავით და ჩვენ კურთხეულის ბებიის თქვენის თავისუფლების წიგნი გვაქვს, რომ თავის შვილისშვილებს, რომლისაც ჩვენი ნება ყოფილიყო, იმას უნდა ვცმობოდით. უწინაც თქვენ გესაკუთრებოდით და ახლა ის თავისუფლების წიგნიც მოგართვით და ჩვენი თავი გაყმევით. დღეის იქით ჩვენთან საბატონყმით ხელი არავისა აქვს თქვენს მუტს. როგორც სხვა თქვენი მკვიდრნი ყმანი არიან, ისე ჩვენც თქვენი მკვიდრნი ყმანი და ნასყიდნი ვიქმნებით".

1805 წელს ორივე ძმა ოპანეზა და არუთინა გაყრას თხოვენ "თავის მემკვიდრე ბატონებს" მიხეილ და შანშე ერისთავებს, რაც ამ პირთ სხვა ერთი თავადის და სამი გორელი მოქალაქის მონაწილეობით მოახდინეს კიდევ — ორივე ძმას გაუყვეს მათი საერთო ქონება. ცხადია ამიტომ, რომ ამ ხნის განმავლობაში სხენებული ორი ძმა, რომელნიც საკმაოდ შეძლებულნი იყვნენ, ასე რომ დროგამოშვებით თავიანთ ბატონებს ხელს უმართავდნენ ფულით და სხვა რამით, იძულებულნი გახდნენ წყალობის ყმების მაგივრად მემკვიდრე და ნასყიდ ყმებად (ესენი უკვე ერთსა და იმავე სოციალურ კატეგორიას შეადგენდნენ) გამხდარიყვნენ. საფიქრებელია, რომ ეს უნდა მომხდარიყო იმ დროს, როდესაც საერთოდ გაუქმდა წყალობის ყმათა ფენა, ე.ი. საგლეხო საკითხის მიმართ დაწყებული რეაქციის ხანაში, 1793 წლის ახლოს.

თავისთავად იგულისხმება ასეთმა განკარგულებებმა ხალხში დაბადა დიდი უკმაყოფილება და დრტივნება, რადგანაც მართებლობა 1780-იან წლებში დაწყებულ რეფორმების მაგივრად დაადგა ესლა გლეხების მდგომარეობის გაუარესების გზას. ამით აიხსნება, რომ საბედისწერო გაჭირვების დროს, როდესაც ალა-მაჰმად-ხანის ლაშქარი მიემართებოდა თბილისისაკენ, ხალხის ფართე მასის ამოძრავება თავისთავად ქვეყნის დასაცავად არ მოხერხდა და ჯარის შეკრების საქმე ფაქტიურად ჩაიშალა.

✓ 34. რადიკალურად მოაზროვნენი ერეკლე II-ის წინააღმდეგ. ყველაფერ ამას განსაკუთრებით 1791 წლიდან, მას შემდეგ რაც ჩაიშალა ამერ-იმერეთის გაერთიანების საქმე და თვით ქართლ-კახეთის შინაგან ცხოვრებაში იმარჯვებს რეაქციული ხაზი, არ შეიძლება არ გამოეწვია ლიბერალურად და რადიკალურად მოაზროვნე პირთა შორის ცოტად თუ ბევრად მწვავე უკმაყოფილება. ალ-ორბელიანი აღნიშნავს, რომ ერეკლე II-ის მართებლობის ბოლოში ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის წინა ხანაში კვლავ გაიღვიძეს მარკოზაშვილის დარბაზის აზრებმა, ე.ი. იმ უკმაყოფილებამ, რომელიც თავის დროზე გადაიხარდა პაატა ბატონიშვილის მიერ მოწყობილ შეთქმულებაში. სამწუხაროდ, არავითარი სხვა ცნობა ამ უკმაყოფილების შესახებ არ მოიპოვება. მაგრამ ამ ამოძრავების ერთი მთავარი პირთაგანი, როგორც ალ-ორბელიანის ცნობიდანაც საგულისხმებელია იყო სოლ-ლიონიძე, რომელიც ერეკლე II-ის მმართველობის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის ცხოვრების ასპარეზზე უსათუოდ წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე უფრო საინტერესო ფიგურას. 1782-1783 წლებში ახალგაზრდა მაღალნიჭიერი სოლომონი, ენების მცოდნე და კარგად მომზადებული, უკვე საქმობდა ერეკლე II-ის კარზე და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რუსეთთან 1783 წელს დადებულ მფარველობითი კავშირის შესახებ ტრაქტატის განხორციელება — გაფორმებაში. შესაძლებელია ის ახლდა კიდევ ქართველ რწმუნებულთ ქალ. გეორგიევსკიში, სადაც დადებულ იქნა ეს ხელშეკრულება. მოუსყიდავი პატიოსნების მქონე და იმავე დროს დიდად მჭერმეტყველი სოლომონი ერთ დროს ძლიერ დაახლოებული იყო ერეკლესთან, რომელიც მას მთელი დღეები არ იშორებდა, ხშირად საქმეებს შორის ემასლაათებოდა მას, ესუბრებოდა და სხვ. მაგრამ მას შემდეგ რაც ქართლ-კახეთში გაიმარჯვა დარეჯან დედოფლის რეაქციულმა ხაზმა, ერეკლე II-სა და სოლომონს შორის შავმა კატამ გაირბინა. ეს მოხდა 1792 წელს. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის წინა ხანაში სოლომონ ლიონიძე უკვე არავითარ პოლიტიკურ როლს არ არსულებდა. ის მეტად უკმაყოფილო იყო ერეკლეს პოლიტიკით. ამისი მაჩვენებელია სოლომონიძის მონაწილეობა ერეკლეს საწინააღმდეგო მითქმა-მოთქმაში 1795 წლის კატასტროფის შემდეგ.

ალ-ორბელიანი ერეკლე II-ის პოლიტიკით უკმაყოფილოთა შორის პირველ რიგში ასახელებს იოსებ არღუთაშვილ-მხარგრძელს, რომელიც შემდეგ რუსეთში მცხოვრებ სომეხთა მთავარეპისკოპოსი გახდა (1800 წლის ბოლოში ის ამორჩეული იქნა კათალიკოსადაც). ის იყო მეტად აქტიური პიროვნება, რომელიც ცდილობდა რუსეთის დახმარებით სომეხების მდგომარეობის გაუმჯობესებას ამიერკავკასიაში. ერეკლე II და შემდეგ, გიორგი XII მას, როგორც რუსეთში მცხოვრებს, მიმართავდნენ სხვადასხვა, თვით პოლიტიკურ საქმეებისთვისაც. ალ-ორბელიანის სიტყვით, მან ხელი შეუწყო ალა-მაჰმად-ხანის შემოსევას ქართლ-კახეთზე, რაც ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ რომ სომეხ დიდ ფაქტრების მეოხებით სპარსეთის მთავრობის აგენტებს შეეძლოთ ცნობები მიეღოთ ქართლ-კახეთის კარზე არსებულ მიმართულებათა, აგრეთვე ამავე კარის რუსეთთან ურთიერთობის შესახებ, ეს საფსებით მისაღებია.

გარდა ამისა, მხედველობაში მისაღებია, რომ 1790-იან წლებში თბილისსა და ქართლ-კახეთში იყვნენ ცალკეული გათვითცნობიერებულნი პირნი, რუსეთში ნამყოფნი და რუსულ-ევროპულ კულტურას ასე თუ ისე გაცნობილნი, რომელნიც, ცხადია, კარგად ხედავდნენ ქართლ-კახეთის შინაგან სისუსტეს და მმართველობის ჩამორჩენილობას, ასევე პოლიტიკური ცხოვრების არე-დარევას და, რასაკვირველია, არ იქნებოდნენ ყველაფერ ამით კმაყოფილნი, თუმცა აშკარად მოქმედებდნენ, როგორც ალ-ორბელიანის სიტყვებიდან სჩანს, ვერ ბედავდნენ.

ამ მცირე მონაცემების მიხედვით, ყოველ შემთხვევაში შეიძლება ასეთი შთაბეჭდილების გამოტანა, რომ 1790-იანი წლების დასაწყისში ქართლ-კახეთის ცხოვრების ზედაპირზე არსებობდნენ ლიბერალურად და, შესაძლებელია, რადიკალურადაც მოაზროვნე პირნი, რომელნიც არ ეთანხმებოდნენ ერეკლე II-ის პოლიტიკას როგორც შინაურ, ისე, შესაძლებელია, საგარეო ცხოვრებაშიც. და მტრუ-

ლადაც იყენებენ ამ პოლიტიკისადმი განწყობილნი. ეს გარემოებაც ასუსტებდაქართლ-კახეთის სამეფოს და ქსაქსაედა მის ძალებს.

35. საფრთხე სპარსეთის მხრიდან. ამ დროს სპარსეთში თანდათან იწყო გაძლიერება მაზანდერ-ანის მხარის მფლობელმა ალა-მაჰმად-ხანმა, თურქულ ყაჯარის ტომის მეთაურმა. მან დაიპყრო თეირანი (რომელიც გამოცხადებულ იქნა სატახტო ქალაქად) და მთელი ირანი და დაიწყო მოლაპარაკება ერეკლესთან. ის მოითხოვდა, ქართლ-კახეთს რუსეთთან კავშირი გაეწყვიტა და სპარსეთისაგან დამოკიდებულება აღედგინა. სპარსეთი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დაქვეითებულ ქვეყანას წარმოადგენდა. კერძოდ მოსახლეობა სპარსეთის სახელმწიფოში შემცირებული იყო. XVII ს-ში სპარსეთში ითვლებოდა 30-40 მილიონი მცხოვრები. მას შემდეგ სპარსეთს ჩამოშორდა ავღანისტანი, მაგრამ ამის გამოკლებითაც მოსახლეობა ეხლა ძალზე შემცირებული იყო და მხოლოდ 9 მილიონამდის აღწევდა. სპარსეთის ასეთი ჩამორჩენილობის გამო ერეკლე სულ რუსეთისაკენ იხედებოდა და დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის დახმარებით საქართველო გზას გაიკაფავდა პროგრესისაკენ. ეს იყო მიზეზი, რომ ერეკლე არ თანხმდებოდა ალა-მაჰმად-ხანის არც ერთ წინადადებაზე მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მთავრობა არ ასრულებდა ტრაქტატით განსაზღვრულ პირობას და ჯარით დახმარებას არ იძლეოდა. ბოლოს პეტერბურგიდან გასცეს განკარგულება კავკასიის ლინის უფროსის გენერალ გუდოვიჩის სახელზე, რათა მას გაეგზავნა თბილისში ჯარი ქართლ-კახეთის დასახმარებლად (კავკასიის ლინია ამ დროს ერქვა სიმაგრეთა ხაზს, რომელიც გაშენებული იყო ჩრდილოეთ კავკასიაში ნახჩიების ანუ ჩეჩნების და ადიღეს ანუ ჩერქეზების საზღვრის პირისპირ: ამ ხაზს იცავდნენ ცალკე სტანიცებად დასახლებულნი რუსი კაზაკები და სხვა ჯარიც). მაგრამ უკვე გვიან იყო. გენ.გუდოვიჩის ეს ბრძანება მოუვიდა ლინიაზე მაშინ, როდესაც თბილისი ალა-მაჰმად-ხანის მიერ უკვე ორი დღის აღებული იყო.

36. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა. ალა-მაჰმად-ხანი 40 000 კაცით შემოვიდა ამიერკავკასიაში. მან ალყა შემოარტყა ციხე-ქალაქ შუშას ყარაბაღში.

უეჭველი იყო, რომ ალა-მაჰმად-ხანი ქართლ-კახეთზე წამოვიდოდა და ერეკლეს სათანადო მზადებაში იყო. მაგრამ მას ნამდვილი ცნობები ჰქონდა მიღებული, რომ ალა-მაჰმად-ხანს თავისი ემისარები ჰყავდა გაგზავნილი ლეკეთში კახეთზე ლეკების თავდასხმის მოსაწყობად. თითო მოლაშქრე კაცზე ის ათ თუმანს იყო შეპირებული. მოსალოდნელი იყო დივერსია ქართლზე ახალციხის საფაშოდანაც. ამიტომ კახეთიდან ჯარის მხოლოდ ნაწილის გამოყვანა იყო შესაძლებელი, ასევე ქართლის დასავლეთ ნაწილიდან. გარდა ამისა არც იყო ცნობილი, ალა-მაჰმად-ხანი თბილისზე წავიდოდა თუ ყარაბაღიდან კახეთზე გაემართებოდა.

ყარაბაღში მყოფმა ალა-მაჰმად-ხანმა არ დაუცადა ალყაშემორტყმული შუშას ციხის აღებას, დასტოვა იქ თავისი ჯარის ნაწილი, თვითონ კი მთავარი ძალებით გაემართა განჯისაკენ, რომლის ხანი ჯავათი თუმცა ერეკლეს ვასალი იყო, მაგრამ ეხლა გადავიდა სპარსელების მხარეს. აქედან ალა-მაჰმადი 20000 რჩეული ცხენოსნით საჩქაროდ გაემართა თბილისისაკენ. ცხენოსან ჯარს ჩახმახიანი საუკეთესო თოფები ჰქონდა. ამ ჯარს მოსდევდა სხვა ჯარიც, მათ შორის ქვეითიც, პატრუქიანი თოფებით და ზოგი კიდევ მშვილდ-ისრით შეიარაღებული.

როდესაც სპარსელების ჯარის მეწინავე რაზმი მდ.ხრამის მხრიდან მაშინდელ თბილისს დაუახლოვდა ოციოდე კმ-ზე სამეფო სახლმა (დარეჯან დედოფალმა, იულონ ბატონიშვილმა და სხვებმა), საერთოდ თბილისის მცხოვრებლებმა მაშინათვე ღამით (8 სექტემბერს) დაიწყეს აყრა. აყრილთ დაცვის მიზნით გაჰყვა ბევრი მეომარი, ხოლო ორი ათასი ქიზიყელიც წინათ გზიდან გააპარა მათმა წინამძღოლმა თავ. ანდრონიკაშვილმა, ასე რომ შეკრებილ ქართლ-კახელ 5 ათას მეომართაგან თბილისში დარჩა მხოლოდ 2700 კაცი (მათ შორის 300 კაცი იყო თბილისის რჩეულ სომეხ მოქალაქეთაგან, იყვნენ მცირედ ბორჩალოელი თათრებიც). სარდლები ყველანი ჩამოსული იყვნენ, მაგრამ ასეთი გაჭირვების დროს ჯარი საერთოდ არ იყო. გარდა ამისა თბილისში იმყოფებოდა დაახლოებით 2 ათ. მეომარი იმერეთიდან. ისინი მოიყვანა ერთობის ხელშეკრულების თანახმად იმერეთის მეფემ სოლომონ II-მ. ჯარში დისციპლინა არ იყო. მეომრების უმეტესობა მთელი დღეები ლოთობდა. 9 სექტემბერს საღამოს სპარსელების ჯარი 6 კილომეტრზე მოუახლოვდა მაშინდელ თბილისს

ყარყუთას (თურქულად სოღანლუღის) ვიწრობების დასაწყისში. აქ მეტად ხელსაყრელ ადგილას ქართ-ველებს ჰქონდათ პირველი სახის პოზიციები. ამ პოზიციებზე და მის უკან მცირე მინდორზე იდგა ქართველების თითქმის მთელი ჯარი (მცირედენის გარდა) 4 ათასი კაცის რაოდენობით. ერეკლეც აქ იყო. სპარსელებმა მოიტანეს რამდენიმე იერიში ყარყუთას პოზიციაზე, მაგრამ მისი გარღვევა ვერ შესძლეს და დიდი ზარალიც ნახეს. მაშინ ალა-მაჰმადმა 3000 ცხენოსნით გასცურა მტკვრის მეორე ნაპირას, რათა მდინარეზე უკან გამოსვლით ზურგიდან მოეველო ქართველების პოზიციებისათვის (10 სექტ.). ამის გამო ერეკლე იძულებული იყო ყარყუთადან უკან დახეულიყო და გამაგრებულიყო კრწანისის უკან მცირე ველთან. იმ დღის მეორე ნახევარში ქართველების საველე არტილერია, 12 ინგლისური ზარბაზნისაგან შემდგარი, წარმატებით იგერიებდა ამ ველზე გამოსულ სპარსელების მოწინავე რაზმებს. ჩართულ ბრძოლაშიც ქართველებმა გაიმარჯვეს. ღამემ გაყარა მებრძოლნი.

მეორე დღისთვის განზრახული იყო ამ ველზე ბრძოლის მიცემა და დამარცხების შემთხვევაში ციხე-გალაგენის შიგნით გამაგრება. ასეთი გეგმა ჯარის სიცოტაგის გამო აღმოჩნდა საბედისწერო შეცდომა.

11 სექტემბერს კრწანისის ველზე (ახლა სამას არაგველთა სახელობის ხიდის სამხრეთ-დასავლეთით) დილის შვიდი საათიდან დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა. ქართველებს ჰქონდათ სანგრების ოთხი და მეტი საზი. მთავარ პოზიციაზე იმყოფებოდა 3 1/3 ათასი კაცი, 400 კაცი მოზრდილ და წერილ ექვსი ზარბაზნით იდგა თაბორის მთის ქვემოთ კუმიხიდან თბილისის ციხისაკენ და აბანოებისკენ მომავალი გზების ჯვარედინის დასაცავად. ათასამდე იმერელი ზურგში იყო დაყენებული ქალაქის პირას. სოლოლაკის ქედზე კიდევ კოჯრიდან მომავალ გზასთან იდგა ცალკე რაზმი, რომლის უმრავლესობას შეადგენდნენ ეგრეთ წოდებულნი ლუთები (ქალაქის უმიწაწყლო ან ღარიბნი) ცუდად შეიარაღებულნი, ომში გამოუცდელნი და მეომრებადაც სუსტნი. ბრძოლა ექვს საათს გაგრძელდა. ქართველები თავისი სიმცირის გამო მარცხდებოდნენ და თანდათან უკან იხევდნენ ჯერ მეორე სანგარზე და შემდეგ მესამე სანგრამდის. ბრძოლებს ხელმძღვანელობდა თვითონ მოხუცი ერეკლე. ამ დროს სპარსელების სამი ათასი ცხენოსნისაგან შემდგარ ერთ ძლიერ რაზმს უკვე გადმოველო მთამთა გზა შავნაბადიდან შინდისზე გავლით სოლოლაკის ქედამდე. აქ სპარსელებმა დაამარცხეს ქართველების რაზმი და გვერდიდან მოადგნენ ციხესთან ქალაქისაკენ მისასვლელ ორ მხარეს. სახელდობრ, სოლოლაკის ქედიდან მთავარი ნაწილი ჩამოვიდა თბილისის აბანოებთან მყოფ შესასვლელთან, ათასი ცხენოსანი კი გადმოეშვა სოლოლაკის ბალებში. გაჩნდა ქართველებისათვის გზის უკან მოჭრის სერიოზული საფრთხე. აქ იდგა იმერლების მცირე რაზმი. სპარსელები თავს დაესხნენ ამ რაზმს და მოკლეს მისი წინამძღოლი თავ. აბაშიძე. იმერელების რაზმი გაიქცა. ატყდა პანიკა, ზოგნი შეუდგნენ ქალაქში დუქნების მტკრევას და ძარცვას. ამით ზურგში მდგომარეობა მთლად აირია. თუმცა ზედა-ციხის არტილერია აჩერებდა გვერდიდან მოწოლილ სპარსელის წინსვლას, მაგრამ მაინც ქალაქის დაცვაზე ამის შემდეგ უეჯარობის გამო ფიქრიც არ შეიძლებოდა. ერეკლე ტყვედ ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად იძულებით ძლივს წამოიყვანეს მესამე სანგრიდან და სამასი თუ 150 კაცის თანხლებით, რომელთაგანაც უმეტესობა დაჭრილი იყო, ის გაემართა საგურამოსკენ. ბრძოლა მაინც გრძელდებოდა. მცირედ უკან დარჩენილი ქართველები იბრძოდნენ და მეტწილად იღუპებოდნენ. ამიტომ ერეკლეს წაყვანიდან სპარსელების მოწინავე რაზმები შემოვიდნენ ქალაქში მხოლოდ ერთი საათის შემდეგ. შემოსულები მოედნენ ქალაქს და შეუდგნენ სახლების ძარცვას, ადამიანებს კი ტყვედ იყრობდნენ ან ხოცავდნენ.

თბილისის აღების შემდეგ ალა-მაჰმად-ხანმა გაუშვა ქართლ-კახეთის სხვადასხვა ნაწილებში სპარსელების რაზმები. ეს რაზმები მივიდნენ გორამდის და ანანურამდის, მაგრამ მოსახლეობა ყველგან გახიზნული აღმოჩნდა.

თბილისში გაჩერება სპარსელებმა შესძლეს მხოლოდ რვა დღე. სპარსელების ჯარს ამ ორი დღის ბრძოლაში მოუვიდა დიდი ზარალი (10 ათას კაცამდის მოკლული და სერიოზულად დაჭრილი) გარდა ამისა ჯარს არ ჰქონდა საკმაო სურსათი, ხოლო საქართველოში სურსათის მოპოება ძნელი აღმოჩნდა. ამიტომ სპარსეთის ჯარი დიდი სისწრაფით წავიდა მულანის ველისკენ, სადაც ცხენებს ჰქონდათ უხვი ბუნებრივი საძოვარი. სპარსელების ჯარს თან მიჰყავდა თბილისიდან და მისი სამხრეთიდან წაყვანილი ტყვეები, რომელთა რაოდენობა, ამ ლაშქრობაში მონაწილე ერთ-ერთი სპარსელი სარდლის სიტყვით, იყო 8 ათასამდის (ქართველი და სომეხი), სხვა ცნობით 3 ათასი სული.

სპარსელებმა თბილისიდან წასვლის წინ ქალაქი გადაბუგეს და ამასთანავე საგანგებოდ დაანგრიეს თვალსაჩინო შენობები, პირველ რიგში მეფის სასახლე თავისი სხვა შენობებით, აგრეთვე მოზრდილი ყველა სხვადასხვა წარმოებანი. ალა-მაჰმად-ხანი თითქოს გრძნობდა, რომ კაპიტალისტური წყობის მჩვენებელი წარმოებანი თავისი შედეგებით ყველაზე უფრო ხელს უწყობდა ქართლ-კახეთის ჩამოშორებას სპარსეთისაგან.

ამ აოხრების შედეგი მეტად მძიმე იყო. თბილისის – ამ მთავარი საწარმოო ცენტრის – განადგურებით აღმსაქართველო თავისი ეკონომიკური ცხოვრების მონაცემებით უცბად გადასროლილ იქნა 1 1/2 საუკუნით უკან. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის წინ ქართლ-კახეთში (ყაზახ-შამშადილის გამოკლებით) ქალაქების მოსახლეობა შეადგენდა მთელი მოსახლეობის 14,4%-ს. ამ შემოსევის შემდეგ კი 1802-1803 წლებში იმავე ქალაქებში იყო მოსახლეობის მხოლოდ 7,4%, ე.ი. ნაკლები, ვიდრე 1701 წელს (მაშინ იყო 9%).

უაღრესად დაეცა ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური პრესტიჟი. უკვე არც ერევნის და განჯის ხანები ემორჩილებოდნენ ერეკლეს და ამიტომ არც ხარკს იხდიდნენ. სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობაც სულ შეირყა. საზინის შემოსავალმა ძლიერ დაიკლო.

ამ საშინელმა მარცხმა ცხადყო ქართლ-კახეთის სამეფოს ძირითადი ნაკლოვანებანი. სამეფოს მმართველობის სისტემა იმდენად მოუწყობელი და უფარგისი გამოდგა, რომ თვით ასეთი დიდი საფრთხის დროს შეუძლებელი გახდა არსებულ ძალთა დარაზმვა.

37. რუსეთი ომს უცხადებს სპარსეთს. რუსეთის პოლიტიკას მე-18 ს-ნის დასასრულს და მე-19 ს-ნის დასაწყისს განსაზღვრავდა სამრეწველო და აგრარული კაპიტალიზმის ინტერესების წინააღმდეგობა. ახალგაზრდა რუსეთის ბურჟუაზია უმთავრესად დაინტერესებული იყო საფრანგეთთან კავშირით, მაშინ როდესაც მსხვილი მემამულეთა წრეები, რომელთაც გაჰქონდათ ინგლისში პური, ხეტყე, ქონი, სელი და სხვა, თავის ინტერესებისათვის სასარგებლოდ თვლიდნენ უმთავრესად ინგლისთან კავშირს.

ეკატერინე II-ის მეფობის უკანასკნელ ხანებში რუსეთის ინტერესების მართებლობის პოლიტიკას ახასიათებდა რუსეთის ახალგაზრდა ბურჟუაზიის დაცვაზე გადასვლა. ამან გამოიწვია სპარსეთის მიმართულებით რუსეთის მოქმედების გაცხოველება. რადგან რუსეთის ბურჟუაზიას აინტერესებდა სპარსეთშიც ფეხის მოკიდება.

ამიტომაც სწორედ ამ დროს თბილისის აოხრების ამბავმა პეტერბურგის მთავრობაზე იქონია დიდი გავლენა. მაშინვე ეგრეთ წოდებულ კავკასიის ლინიიდან (ჩრდ. მთიელ კავკასიელების წინააღმდეგ არსებულ სამხედრო საზღვრებიდან) გამოგზავნილ იქნა ქართლ-კახეთში 2 ათ. რუსის ჯარი. ამასთანავე რუსეთის მთავრობა შეუდგა მზადებას ასტრახანში და კასპიის ზღვისაკენ 30 ათ. კაცის დასაგროვებლად სპარსეთზე გაგზავნის მიზნით. "მთავარი მიზანი (რუსეთის მთავრობისათვის) იყო, სწერს თანამედროვე პბუტკოვი, ვაჭრობის გავრცელება. სპარსეთში ჯარის გაგზავნის მიზანი იყო არა სამხედრო გამარჯვებების მოპოების სურვილი ანდა ისედაც უზარმაზარი იმპერიის საზღვრების გაფართოება. არამედ ალა-მაჰმად-ხანის საქართველოში შემოსევის საბაბით სპარსეთში რუსეთის ვაჭრობის განმტკიცება. ამ მიზნით განზრახული იყო ქართლ-კახეთის ტერიტორიალურად იმდენად გაფართოება და გაძლიერება, რომ მას შესძლებოდა არა მარტო დამოუკიდებელი არსებობა, არამედ სომხებთან და იმერეთთან შეკავშირებით თავის გავლენის განმტკიცება სპარსეთზე და ოსმალებთან ომის დროს ანატოლიაზედაც. ამასთანავე განზრახული იყო კავკასიის ლინიის უზრუნველყოფა მთიელთა თარეშებისაგან და ამ ლინიის მტკიცედ დაკავშირება ქართლ-კახეთთან (იგულისხმება გზის უზრუნველყოფით). ყველაფერი ეს განზრახული იყო აზიაში რუსეთის ვაჭრობის გავრცელების მიზნით".

მარტში 1796 წ. პეტერბურგში გამოვიდა მანიფესტი ალა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ომის გამოცხადების შესახებ და სპარსეთისა და საქართველოსკენ დაიძრა 30 ათასი რუსის ჯარისკაცი ეკატერინე II-ის ახალი ახალგაზრდა ფაგორიტის და სახელმწიფოს ფაქტიური გამგის ზუბოვის ძმის გრაფ. ვალ. ზუბოვის სარდლობით, რუსების მიერ აქტიური მოქმედების მოლოდინში ქართლ-კახეთის მისუსტებული ძალაც ამოძრავდა. ბატონიშვილებმა ალექსანდრემ და დავითმა ყარაბაღელ იბრაიმ-ხანთან ერთად გაილაშქრეს განჯაზე, დაიკავეს ქალაქი და ალყა შემოარტყეს ციხეს. როდესაც

ერეკლე თვით მივიდა ჯარში, ჯვეათ-ხანი იძულებული გახდა მასთან მყოფი თბილისიდან წაყვანილი ტყვე ათასამდის სული გაენთავისუფლებინა და კვლავ ეკისრა ქართლ-კახეთისათვის ხარკის ძლევა.

ამ დროს რუსის ჯარი მოადგა კასპიის ზღვის სანაპიროებს და დაიკავა დარუბანდი, შამახა, ბაქო, სალიანი, ალა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ იმლებოდა ახალი პერსპექტივები, რომელიც ერეკლე მეფისთვისაც ფრიად სახარბიელო იყო. რუსეთის მთავრობას განზრახული ჰქონდა ზოგიერთი ზომების მიღება საქართველოს გასაძლიერებლად, მაგ., ერენისა და განჯის სახანოების მთლად მასთან შემოერთება და სხვ. მაგრამ 6 ნოემბერს 1796 წ. გარდაიცვალა ეკატერინე II და რუსეთის პოლიტიკამ ისევ იცვალა მიმართულება. რუსეთის ხაზინა ამ დროს გაჭირვებაში იმყოფებოდა. დიდძალი თანხები გადაიოდა ეკატერინე II-ის სხვადასხვა დროის ფავორიტებზე და საერთოდ საიმპერატორო კარის საჭიროებაზე. 1770-იან წლებში მხოლოდ კარის ხარჯებზე გადაიოდა წლიურად 1100 ათასი მაშინდელი მანეთი, ხოლო 1790-იან წლებში – 3 მილ მან. და კიდევ 2 მილ. წელიწადში რჩებოდა ვალად. მართალია, ეს ნაკლები იყო, ვიდრე საფრანგეთის სამეფო კარის ხარჯები იმავე ხანაში დიდი რევოლუციის წინ (32-36 მილ. ლივრი ანუ 8,09-8,9 მილ. მაშინდელი რუსული მანეთი წლიურად), მაგრამ იმდროინდელი რუსეთი შედარებით მაშინდელ საფრანგეთთან ღარიბიც იყო (საფრანგეთის კარზე ითვლებოდა 4 ათ. კაცი სპეციალური ჯარის გარდა, რომელიც ორჯერ მეტი რაოდენობის იყო). ხოლო სპარსეთზე ლაშქრობა დიდ ხარჯებს ითხოვდა და რუსეთის ხაზინას ამ ხარჯების გასწორება მეტად უჭირდა. ამასთანავე, რუსეთის იმპერიის ახალი მეთაური პავლე I თავდაპირველად ადგა სხვა სახელმწიფოების საქმეებში ჩაურევლობის ტაქტიკას და ამიტომ სპარსეთის მიმართულებით ლაშქრობაც მოისპო. ყველა დიდი პროექტი სპარსეთისა და ინდოეთის შესახებ ჩაიფუშა და რუსის ჯარსაც ებრძანა უკან დასაბრუნებლად მომზადებულიყო. ზაფხულს 1797 წ. მართლაც, რუსებმა დასცალეს ყველა დაპყრობილი ადგილები და გავიდნენ ქართლ-კახეთიდანაც.

38. ახალი მიმართულებანი რუსეთისადმი. ქართლ-კახეთის მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ რუსის ჯარის მოსალოდნელი წასვლის შემდეგ მდგომარეობა, რასაკვირველია, უფრო გართულდებოდა. ალა-მაჰმად-ხანს რუსების წასვლა თავის გამარჯვებად მიიჩნდა და ერეკლე მეფისაგან გადაჭრით თხოულობდა მორჩილების გამოცხადებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა ქვეყნის ახალი აოხრებით. ეს იყო მიზეზი, რომ ერეკლე კვლავ მიმართავს რუსეთის მთავრობას და სთხოვს მას, თანახმად 1783 წლის ხელშეკრულებისა, მფარველობის გაწევას. თავის წერილში იმპერატორის პავლეს სახელზე 16 აპრილს 1797 წ. მეფე შუამდგომლობდა ოთხი ათასი კაცის დატოვებას ორის ან სამი წლის ვადით, ვიდრემდის ქვეყანას ძალა შეემატებოდა.

ქართლ-კახეთის მთავრობა ამასთან ცდილობდა, გარდა სამხედრო ძალისა, ესარგებლა რუსეთის მთავრობის მორალური დახმარებით შინაური ცხოვრების მოსაგვარებლად. 11 ივნისს 1797 წ. გარსევან ჭავჭავაძემ გადასცა იმპერატორ პავლეს მოხსენება, რომელშიაც მეფის სახელით სთხოვდა მფარველობის გაწევას, საქართველოში 1783 წლის ტრაქტატის თანახმად ჯარის დატოვებას ხალხის გასამხნეებლად და ადგილობრივ უშიშროებითი ცხოვრების განსამტკიცებლად და აგრეთვე რუსის მთავრობის წარმომადგენლის გამოგზავნას თბილისს. ამ წარმომადგენელს, ელჩის აზრით, უნდა მიეცა ქართლ-კახეთისათვის ქვეყნის გამგებლობის რუსული მმართველობის დაგვარი წესი და ამით ხელი შეეწყო ადგილობრივად არსებულ, როგორც მოხსენებაში იყო ნათქვამი, აზიურის მმართველობის მაგიერ ახალი წესების შემოღებისათვის.

ამგვარად, ეხლა საკითხი დასმული იყო არა მარტო სამხედრო ძალით დახმარების შესახებ, არამედ შინაურ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ფართო მოწყობაში რუსეთის აქტიურად ჩარევის შესახებაც. საქართველოს შინაურმა და საგარეო კრიზისმა ჰპოვა აქ თავისი მკაფიო გამოსატყულება. ქართლ-კახეთის მთავრობა ქვეყნის ხსნას მართვა გამგეობის ახალს წესზე მოწყობით იმედოვნებდა თუნდაც ამისათვის საჭირო ყოფილიყო უცხო სახელმწიფოს ჩარევა შინაურ საქმეებში.

რუსეთის მთავრობა თხოვნაზე, კერძოდ სამხედრო დახმარების შესახებ ღესპანის გარსჭავჭავაძის განმეორებითი მოგონების მიუხედავად, არავითარ წერილობით პასუხს არ იძლეოდა. ამასობაში ალა-მაჰმად-ხანი კვლავ ებრებოდა ყარაბაღსა და ქართლ-კახეთზე გამოლაშქრებას და თავისი ჯარით ის უკვე ჩამომდგარი იყო ყარაბაღში. ამ ჯარის რაოდენობას უზენებდნენ 100 ათას კაცამდის. ყოველ შემთხვევაში ჯარის სიმრავლის მაჩვენებელია ის, რომ ყარაბაღის იბრაიმ-ხანმა ამ ჯამად ვერ შესძლო



წინააღმდეგობის გაწევა და გაიქცა მთიანეთს. შუშის ციხე-ქალაქი სპარსელებმა დაიკავეს. ჯერი იდგა ესლა ქართლ-კახეთზე. ერეკლე პირადად ხელმძღვანელობდა თბილისის გასამაგრებელ სამუშაოებს, როდესაც მოვიდა ამბავი ალა-მაჰმად-ხანის მოკვლის შესახებ.

ამ სასიხარულო ამბავით თბილისში 11 ივნისს მოვიდნენ განჯის ხანის კაცი და სომხების მელიქების მიერ გამოგზავნილი ორი კაცი (ერთი მათ შორის ქართველი-მაჰმადიანი იყო). "თვალ წინ წამოიყენე, სწერდნენ ამის შესახებ თბილისიდან მდივანს მანუჩარ თუმანიშვილს, ამ საზოგადოებას რა სიხარული შეუღებოდა... იმ დღეს მოლევანა (გადამახინჯებული რუსული სიტყვაა პარაკლისის მაგივრად) იხადეს ეკლესიაში და თვრამეტის ზარბაზნის სროლით შადლული გარდაიხადეს". ამ ამბავზე მაშინვე თბილისში პური გაიფადა და დავიდა 18-25 კასბეკზე (კაპიკზე) ლიტრა (8 1/4 გირვანქა) ხორბალი.

ალა-მაჰმად-ხანი მოკლეს 5 ივნ. 1797 წ. "შუშის ციხეში მყოფი ის, სწერს ამის შესახებ თანამედროვე, თავის ფარეშებს გასწერომა. ფარეშები, რომელნიც მისი ახლო მოსამსახურენი ყოფილან, მისულან და სარდალ სადუხ-ხანისთვის მოუხსენებიათ – გვიშველე რამ, ხემწიფე გაგვიწერა, ხვალ დაგვხოცო. იმას ეს პასუხი მოუცია: თქვე პარამზადებო, თქვენ ხუთნი ხართ და ის ერთიო. იმ ღამეს შუალამისას მძინარეს მოხვევიან, დაურჩვიათ და მერე ყელი გამოუჭრიათ". სადუხ-ხანმა მაშინვე სტაცა ხელი შაჰის ძვირფასეულობას და თავისი რაზმით წავიდა. "დილა რომ გათენებულა, ჯარს შეუტყვია იმისი სიკვდილი და მისევიან იმის ხაზინას და დაუწყვიათ ერთმანერთის ყათლამი (ამოწყვეტა) და ხოცა". ალა-მაჰმად-ხანის თავი, პარკში დაბეჭდილი, ყარაბაღის იბრაიმ-ხანის ძმისწულმა, რომელიც ამ დროს ბანაკში იმყოფებოდა, გაუგზავნა თავის ბიძას.

რადგანაც რუსეთის მთავრობა ქართლ-კახეთის მმართველობის შუამდგომლობაზე დახმარების შესახებ ყურსაც არ იბერტყავდა, ამიტომ გარსევან ჭავჭავაძემ 31 დეკემბერს 1797 წ. გარემოების გამოსარკვევად კვლავ წარადგინა პეტერბურგში წერილობითი მოხსენება. ამ მოხსენებაში ელჩმა პირდაპირ დაუყენა საკითხი იმპერატორ პავლეს: სურს თუ არა რუსეთის იმპერატორს 1783 წლის ტრაქტატით მიღებულ ვალდებულებათა შესრულება. ელჩი ამასთანავე მოახსენებდა იმპერატორს, რომ უკეთუ მეფეს სცოდნოდა რუსეთის მიერ ტრაქტატით აღთქმული დახმარების აღსრულებლობა თუნდაც ერთი წლის წინად, მაშინ მისი მეფის მთავრობა რაიმე სხვა ზომებს მიიღებდაო. ელჩი თხოულობდა ტრაქტატში აღნიშნული ჯარის (2 ბატალიონის ოთხი ზარბაზნით) გაგზავნას, ანდა წინააღმდეგ შემთხვევაში იმის ნებართვას მანც, რომ ქართლ-კახეთის მთავრობას თავის საზღვრებში შემოეყვანა დაქირავებული ჩერქეზების ჯარი.

39. პრეკლე II-ის აღსასრული. ასეთი იყო ქართლ-კახეთის მდგომარეობა, როდესაც 11 იანვარს 1798 წ. თელავში წყალმანკისაგან გარდაიცვალა მოხუცებული (79-ე წელში გადასული) ერეკლე მეფე, მხნე და გმირი სარდალი, თავისი ქვეყნის თავდადებული მოღვაწე, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე მის კეთილდღეობისათვის ზრუნავდა. მისი დაუშრეტელი ენერჯია შინაურ მმართველობაში უთანასწორდებოდა მისსავე სამხედრო გმირობას. ჭკვიანი და გონებამახვილი ერეკლე მთელს თავის დროს ანდომებდა ქვეყნის სარგებლობისათვის ფიქრს. თავისი ხანგრძლივი მეფობის დროს ერეკლე მთელი დღეები გართული იყო სახელმწიფო საქმეებით, ლებულობდა სამეფოს თავ-კაცებს, მთხოვნელებს და ელჩებს, გვიან ნაშუადამეძის არჩევდა ქალაქებს და აწერდა რეზოლუციებს. ხშირად სულ მცირე საქმის გამო მოცემულ არზასაც კი. მხოლოდ დღეში სამჯერ წირვა-ლოცვისათვის გადადებული დრო და აგრეთვე საკუთრივ სამუშაო ოთახში ხანგრძლივი, ორი საათის განმავლობაში, ლოცვა არღვევდა ერეკლეს გამუდმებულ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. ასეთი იყო მისი პირადი ცხოვრება ღრმა სიბერემდის. როგორც პროგრესულად მოაზროვნე და ევროპული წესწყობილების დიდად მოყვარული, ერეკლე გამუდმებით ცდილობდა ქვეყნის შინაური ცხოვრების ახალ გეზზე მართვას. ეს იყო მისი უდიდესი იდეალი, რომლის მიღწევა საკუთარი ძალით ქართლ-კახეთისათვის მე-18 საუკუნეში საძნელოდ შექმნილიყო.

გარეშე მტრებთან ერეკლემ გამოიარა მრავალი თვალსაჩინო ბრძოლა, რომელთაგან უმეტესი თითქმის ოცდაათამდის – გათავდა მტრის სრული დამარცხებით. რამაც დიდად გაუთქვა სახელი ერეკლეს ევროპაშიც. დას. ევროპის გაზეთებში იბეჭდებოდა ერეკლეს ლაშქრობათა შესახებ. პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდი, ცნობილი როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მხედართმთავარი, ერეკლეს მიერ

გამოყენებულ ტაქტიკაში ხედავდა მსგავსებას თავის სამხედრო ტაქტიკასთან, რომლითაც ის ყოველთვის ასერხებდა მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეებთან შედარებით მცირე ჯარით გამკლავებას. ამიტომაც მას ამ დროს ნათქვამი აქვს: ევროპაში მე ვარ პირველი (იგულისხმება, როგორც სარდალი), და აზიაში კი ერეკლეო.

წვირ-წვირ თარეშებთან შეტაკება ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე ერეკლეს დროს ხომ მრავალი იყო. მოთარეშე მტრების წინააღმდეგ ქვეყნის გამაგრებისათვის ზრუნვა გამოიხატა ერეკლეს დროს 160 ახალი გალავნისა და კოშკის გაშენებასა ან განახლებაში. თვით საზინის ხარჯით განახლებულ და აშენებულ იქმნა 13 გალავანი და კოშკი, მათ შორის გორისა, თელავისა, სიღნაღისა და სხვ.

ერეკლე II-ის სიკვდილის გამო მაშინვე სოლღიონიძემ დაწერა "მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ღირსისა", რომელიც წარმოადგენს ქართული ფეოდალური ხანის მჭერმეტყველობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს. ტექსტი ხელნაწერად მაშინვე გავრცელდა საქართველოში.

ერეკლეს გარდაცვალებისთანავე ასწერეს მისი ქონება. მას აღმოაჩნდა 857 სხვადასხვა ოქროს ფული დაახლოებით 4 1/2 ათასი მაშინდელი მანეთის ღირებულების და სხვადასხვა ნივთები, ტანისამოსი თუ სუფრის მასალა, სულ მაშინდელი 536 თუმნის ღირებულების (მათ შორის ოქროთი შემკული ხანჯალი, რომელსაც ის მუდმივად ატარებდა, 14 თუმნად შეფასებული). ყველაფერი ეს ებარა ოთხ მოხელეს და მსახურს.

40. უთანხმოება სამეფო სახლში. ამ დროს ქართლ-კახეთის სამეფო წევრთა შორის იყო დიდი აშლილობა და არე-დარევა. ტახტის მემკვიდრის გიორგის წინააღმდეგი იყვნენ როგორც მისი დედინაცვალის დარეჯან დედოფალი ისე მისი ძმები, დარეჯანის შვილები. მაგრამ არც დარეჯანის შვილებს შორის იყო თანხმობა. უთანხმოებას იწვევდა გამუდმებული დავა საუფლისწულოების გამო. ჩამორჩენილი ფეოდალური იდეოლოგიის გამო ყოველი ბატონიშვილი მედიდურობდა და საჭიროდ სთვლიდა თავისი საკუთარი კარი და მუდმივი ბრწყინვალე ამაღლა ჰყოლოდა. ამის უზრუნველყოფა პატარა, დაღარიბებულ და აოხრებულ ქვეყანას ამდენი ბატონიშვილისათვის ცალ-ცალკე რასაკვირველია, არ შეეძლო. ბატონიშვილები ამიტომ სათითაოდ ცდილობდნენ თავისი საქმის მოგვარებას სხვადასხვა გვარი ვერაგობით თუ იარაღით. დარეჯან დედოფალმა ჯერ კიდევ ერეკლე II-ის სიცოცხლეში მოიწვია თავისთან ყველა თავისი შვილი და ფიცით მოარიგა ისინი, რომ ამიერიდან ისინი ერთმანეთს საუფლისწულოს არ შეეცილებოდნენ. მაგრამ ეს ფიცი მალე დაირღვა. მეფის ძე ფარნაოზ თავისი სიმამრის ელიზბარ ქსნის ერისთავის ძის შეგულიანებით თვითნებურად ეჭიდებოდა სურამის ციხეს და კიდევ დაეუფლა მას. სურამის ციხეში ფარნაოზმა დააყენა თავისი კაცები ათიოდ მეციხოვნენი, რომელნიც ციხეს ამარაგებდნენ სურსათით და ტყვია-წამლით. ფარნაოზის აზნაურის შვილები ამასაც კი ამბობდნენ: ეს რა არისო, ბევრს თავშეხვეულს თათარს ნახვით თქვენ აქაო (ე.ი. ოსმალთ მოვიწვევთო). ალექსანდრე ბატონიშვილიც თავის პრეტენზიებს აცხადებდა და მისი მორიგება ძმებთან ძნელდებოდა. იულონ ბატონიშვილი, როგორც უფროსი ძმა, ძლიერ ცდილობდა ყველა ამ დავიდარაბის დაშოშმინებას, მაგრამ ვერას ხდებოდა. გულის ტკივილით სწერს ის თავის დედას დარეჯან დედოფალს 1797 წ. 22 დეკემბერს: "ჩემი წასვლა რომ გებრძანათ ჩემ ძმას ალექსანდრესთან, მე დიდად მსურდა იმასთან წასვლა და იმედიც მქონდა, რომ წამომეყვანა (მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ წავედიო). თუნდა კიდევ წავსულიყავ და მომეყვანა, ტყუილი იქნებოდა, სანამდის ის თავისი ვეზირი (მრჩეველი, გვართ ბასტამაშვილი, რომელსაც ალექსანდრე ბატონიშვილზე დიდი გავლენა ჰქონდა) იმასთან არის, მანამდინ ამ სოვდაზე (ვაჭრობაზე) ხელს არ ამოაღებინებს. აკი ორჯულაც მოვიყვანე, მაგრამ ისევ წაიყვანა".

იულონ ბატონიშვილი ცდილობდა საქმეში ჩაერია ბევრი ქართლის თავადიშვილიც, რომელნიც შეკრიბა ერთად და მათი ბატონიშვილების ერთმანეთთან საუფლისწულოების გამო ატეხილ შფოთის შესახებ დარეჯან დედოფლის მიმართ წერილობითი არზა გააგზავნინა. იულონს იმედი არ ჰქონდა, რომ თავადების არ ჩარევითაც რამე გამოვიდოდა და თავის დედას ამავე წერილში გულისტკივილით სწერდა: "იფიქრეთ ეს საქმე და ამ ქართველთ (ქართლებთ) მორთმეულ არზასა გასინჯავთ და საქმე ისე დაიჭირეთ, თორემ, ღმერთმა კი ნუ ქნას, საქართველოს სამეფოს ოჯახი ხდება (ფუჭდება); სხვა არა მათქმევინებს რა ამას, მარტოდ მხოლოდ ესე, რომ სარწმუნოების და ოჯახის ერთგულობა".

ყველაფერი ეს ხდებოდა და იწერებოდა უკანასკნელ თვეში ერეკლე II-ის გარდაცვალებამდის.

ერეკლე II-ის სიკვდილის შემდეგ მეფედ, ბუნებრივია, უნდა გამოცხადებულიყო მისი უფროსი შვილი, ტახტის მემკვიდრე გიორგი. ეს იყო სიმსუქნით დაავადებული ადამიანი, რომელსაც ბევრი მოძრაობა და მუშაობა არ შეეძლო. ამავე დროს ის იყო თვითმპყრობელი ხელმწიფე, განუსაზღვრელი უფლებების მქონე თავის მცირე და ამავე დროს საშინლად აოხრებულ და დაცარიელებულ ქვეყანაში. ამიტომაც საქმეების წაყვანა ხეირიანად მას არ შეეძლო და ადრე თუ გვიან ამის შედეგი თავის ზურგზე უნდა ეწვნია ქართველ ხალხს.

გიორგი XII-ის გამეფებისთანავე მოუხდა ანგარიშის გაწევა თავისი ძმებისათვის, რომლებსაც საკმაოდ დამოუკიდებელ და ამავე დროს უპასუხისმგებლო მდგომარეობისათვის მიეღწიათ. ერეკლე II-ის ქვრივი დარეჯან დედოფალი, აგრეთვე შურით უცქერდა თავისი გერის გიორგი XII-ის გამაგრებას ტახტზე, რადგან ამით მას თავისი და თავისი შვილების უფლებათა შეკვეცის შიში ჰქონდა. მაგრამ მეტი გზა არ იყო. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ დარეჯან დედოფალმა და მეფის ძეთ იცნეს გიორგი ქართლ-კახეთის მეფედ. სამაგიეროდ მეფე იძულებული იქნა დაემტკიცებინა ერეკლე II-ის მიერ 1792 წ. შედგენილი და გამოქვეყნებული წესი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ. რომლის მიხედვით გიორგი XII-ის შემდეგ მეფობა უნდა გადასულიყო უფროს-უმცროსობით ჩამორიგებით ძმებზე და არა უფროს შვილზედ.

გიორგიმ ხელი მოაწერა ამ წესს თავისი ნების წინააღმდეგ და ამიტომ ეძიებდა შემთხვევას მის დასარღვევად და მემკვიდრეობით ტახტის თავის შთამომავლობაში განსამტკიცებლად. ბატონიშვილები გრძნობდნენ მეფის ამგვარ სულიერ განწყობილებას და უნდობლობით უყურებდნენ თავისი უფროსი ძმის მოქმედებას. ბატონიშვილებმა დაიწყეს ადგილ-ადგილ მუშაობა და ცდილობდნენ თავადების და სხვა ადგილობრივი გავლენის მქონე პირთა თავის მხარეზე გადაბირებას.

41 მუჟა ბიორბი XII გიორგი XII, რომელიც თავის თავს მეცამეტეს უწოდებდა, თავის განწყობით როგორც საღვთო წერილის ფრიად კარგი მცოდნე, იყო ბეჯითი ქრისტიანი და ლოცვის დიდი მოყვარული. მაგრამ იყო ავადმყოფი ადამიანი, როგორც ავლნიშნით არაჩვეულებრივი სიმსუქნით დაავადებული, და ამიტომაც ძლიერ ბევრი საჭმლის მიმღები, რისთვისაც მას მტერ-მოყვარენი ზაქი-ჭამიას უწოდებდნენ. როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობით, ისე აგრეთვე თავისი ჩამორჩენილობით და ხასიათით, გიორგი XII ნაკლებ შეეფერებოდა იმ პასუხსაგებ როლს, რომელიც მას ბედმა აკუთვნა, ე.ი. უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ქვეყნის მართვა-გამგეობა იმ დროს, როდესაც ყოველი მხრიდან განსაცდელი იყო მოსალოდნელი. თავისი მმართველობის პირველსავე წელს გიორგი XII-მ გააწერა ხალხს ახალი სასახლის თბილისში ასაშენებლად კომლზე ერთდროულად 6 შაური. როდესაც ეს ფული შეიკრიბა, მეფემ განაცხადა – ჯერ ვაშენოთ სახლი ღვთისა, მერე ვიზრუნოთ სადგურისათვის ჩვენთა. შეუდგნენ დაჩქარებით ეკლესიებისათვის ბარძიშ-ფეშუმთა და სხვა სახმარ. ნივთთა დამზადებას, აგრეთვე საეკლესიო შესამოსელთა კერვას მღვდლებისათვის. მარიამ დედოფალი, სასახლის ქალები, გამღლები და მათი მოახლენი ყველა ამ შესამოსთა კერვით იყვნენ გატაცებულნი. ასეთივე სურათი იყო მთელი თბილისის მოქალაქეთა ოჯახებში და სხვაგანაც, რომელნიც ამით უკვე ფულსაც შოულობდნენ. 8 თვე გაგრძელდა ეს ფაცა-ფუცი, რომელმაც იმსხვერპლა თითქმის მთელი შერგოვილი თანხა, მაშინ როდესაც მისი გამოყენება აოხრებულ და დაცემის გზაზე მდგომ ქვეყნის საჭიროებისათვის სხვაგვარადაც მრავალმხრივ შეიძლებოდა.

საერთოდ გიორგი XII იყო კონსერვატორული ბუნების კაცი, წვრილმანებშიც კი რაიმე ახლის მომრიდე. ერთ თავის განკარგულებას 1799 წ. ის ასე ასაბუთებს: "ჩვენს მამაპაპათაგან გარიგებულს სამართალს ჩვენ ვერ მოვშლით. თუ იმათზედ უკეთესი კაცი ვიყო, მოვშლი, მაგრამ იმათზედ უკეთესი კაცი არა ვართ და ამისთვის ვერ მოვშლით".¹

43. საარსაოთთან ურთიერთობის ბანახლების ცდა. ასეთს მდგომარეობაში იყო ქართლ-კახეთის შინაური ვითარება, როდესაც სპარსეთის მბრძანებელმა ბაბა-ხანმა, ალა-მაჰმად-ხანის ძმისწულმა, რომელმაც დაიჭირა სპარსეთის ტახტი ბიძის ტრადიციული სიკვდილის შემდეგ, კვლავ მონიდრომა ქართლ-კახეთთან კავშირის აღდგენა. ბაბა-ხანმა გამოგზავნა ელჩად გიორგი მეფესთან (ივნ. 1798 წ.) თავისი ფარეშ-ბაში (ფარეშების უფროსი) მამად-ხან ყაჯარი და წინადადება მისცა მას აღუარებინა კვლავ დამოკიდებულება სპარსეთისაგან, რის სამაგიეროდ ყანი პირდებოდა მეფეს განჯა-ერევნისა,

შაქისა და შირვანის მისადმი დამორჩილებას. წინადადება იყო ფრიად სახეირო, გარდა ამისა რუსეთ-იდან ფაქტიურად არაფერი დახმარება არ სჩანდა და ასეთ მდგომარეობაში სპარსეთთან ურთიერთობის გამწვავებაც მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ამიტომ მეფე გიორგიმ მაშინვე გააგზავნა ყენთან ელჩად თავისი სიმაძრი სარდალი გიორგი ციციშვილი, თანხმობა განუცხადა წარმოდგენილ წინადადებაზე და თავის მხრივ სთხოვა თბილისიდან სპარსელების მიერ ქალაქის აოსრების დროს წაყვანილი ტყვეების უკან დაბრუნება.

მაგრამ ამ დროს სპარსეთში ატყდა არეულობა. ბაბა-ხან ყენს აუჯანყდა ძმა მისი უსეინ-ყული-ხანი, რის გამო შაჰი იძულებული გახდა ხოიდან, სადაც ის ქართლ-კახეთის მთავრობასთან მოლაპარაკების დამთარების მოლოდინში იმყოფებოდა, წასულიყო ერაყს აჯანყების ჩასაქრობად. ამ მიზეზით გიორგი ციციშვილი ვერ წავიდა სპარსეთს და ერევნიდან დაბრუნდა უკან, ხოლო მეფის თანხმობა მაჰმად-ხან-ყაჯარის საშუალებით შეატყობინა შაჰს.

43. გიორგი XII აპირებს ოსმალეთს მიმართოს სპარსეთთან მოლაპარაკება ამგვარად შეფერხდა.

ქვეყნის შინაური მდგომარეობა კი მეფის ძმათა ინტრიგების გამო არ იცდიდა. ამიტომ გიორგი XII იძულებული გახდა მოეწვია ქირით 1200 ლეკი, თვეში 30 მან. ჯამაგირით. შინაური მდგომარეობის გართულება ქართლ-კახეთის მთავრობისათვის აუცილებლად ხდიდა გარედან დახმარების ძიებას. ამით აიხსნება, რომ მაშინვე როგორც კი გამოიჩინა სპარსეთთან მოლაპარაკების გაჭინაურება მეფე ელჩად აგზავნის თავად ასლან ორბელიანს ესლა უკვე ოსმალეთთან მოლაპარაკების გასამართავად. ორბელიანი ჩავიდა უკვე ახალციხეს და ემზადებოდა სტამბოლს წასასვლელად. მაგრამ ამ დროს რუსეთიდან ჩამოვიდა გიორგი XII-ის უფროსი ძე დავითი, რომელიც პეტერბურგს იყო გაგზავნილი ერეკლე II-ის მეფობის უკანასკნელ ხანაში და იქ საიმპერატორო გვარდიის ერთ-ერთ პოლკში სამხედრო საქმის გაცნობის მიზნით პოლკოვნიკად მსახურობდა. დავითის პეტერბურგიდან ჩამოსვლამ გადაწყვიტა საკითხი რუსეთის ორიენტაციის სასარგებლოდ. თვითონ დავითი აღფრთოვანებული იყო რუსეთში ნახულით, აპირებდა ერთ-ერთი წარჩინებული პეტერბურგელი ქალის ცოლად შერთვას და შეუძლებლად სთვლიდა სპარსეთ-ოსმალეთთან დაკავშირებას. რუსეთში მისთვის, როგორც ჩანს, სხვადასხვა დაპირებებიც მიეცათ. ყოველ შემთხვევაში მან ჩამოიტანა მეფისათვის დამაკმაყოფილებელი ამბები. ამის შემდეგ ორბელიანი ახალციხედან უკან გამოიხმეს, ხოლო პეტერბურგს კი გაგზავნილ იქნა ელჩად გარსევან ჭავჭავაძე.

44. ქართლ-კახეთის მართებლობის განწყობილება ისევ რუსეთის სასარგებლოდ, გარსევან

ჭავჭავაძეს დაეალბული ჰქონდა მოეთხოვა რუსეთის იმპერატორისაგან 1783 წლის ტრაქტატის თანახმად, გიორგი XII-ის ტახტზე დამტკიცება, მისთვის მფარველობის გაწევა, რუსის ჯარის გამოგზავნით დახმარების ამლოჩენა და ამასთანავე ტახტის მემკვიდრედ დავით ბატონიშვილის დამტკიცება. ამ შუამდგომლობაში მნიშვნელობა ჰქონდა ბატონიშვილის დავითის ტახტის მემკვიდრედ დამტკიცებას და აგრეთვე ჯარის გამოგზავნას, რაც შესაძლებლად გახდიდა ლეკების დაქირავებული ჯარის დათხოვნას. მეფე თხოულობდა 3 ათასი კაცის გამოგზავნას მის განკარგულებაში და ამასთანავე კავკასიის ხაზზე მყოფ რუსის ჯარის უფროსისათვის ისეთი განკარგულების მიცემას, რომ მას უფლება ჰქონდეს საჭიროების დროს დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს მთავრობას 7 ათასი კაცით.

გიორგი XII-ის მიერ ერეკლე II-სგან დაწესებულ და თვით გიორგის მიერვე აღიარებულ ტახტის მემკვიდრეობის კანონის შეცვლის მისწრაფება გამოწვეული იყო უპირველეს ყოვლისა სამეფო ოჯახის წევრთა არაჩვეულებრივი გამრავლებით. გიორგი ჯერ კიდევ ბატონიშვილობაში ორჯერ დაქვრივდა. პირველი ცოლისგან მას შვილი არ დარჩენია, მეორე და მესამე ცოლისაგან (მესამე ცოლი იყო თავ. გიორგი ციციშვილის ასული მარიამი) მას ამ დროს უკვე ჰყავდა 16 შვილი – 9 ვაჟიშვილი და 7 ასული და ერთი ასულიც შემდეგ დაიბადა. მომავალში ამ 9 მეფის ძის მაშინ, საქართველოს დინასტიებში არსებული ჩამორჩენილი ჩვევების თანახმად, სათანადოდ უზრუნველყოფა მრავალრიცხოვანი, მუქთახორა მოსამსახურეებითა და ამალით პატარა ქართლ-კახეთისათვის თითქმის რომ შეუძლებელი იყო. გიორგი XII დარწმუნებული იყო, რომ უკეთუ მეფობა მის შემდეგ მის ძმებზე გადავიდოდა, ისინი მდგომარეობითაც იძულებულნი გახდებოდნენ ეს მრავალრიცხოვანი ბატონიშვილები ნივთიერად

შეზღუდათ. ამიტომაც გიორგი XII ცდილობს ესლა რუსეთის მთავრობის დახმარებით ტახტის მემკვიდრეობის კანონის შეცვლას.

ამგვარად გარეგან სიძნელეებს ემატებოდა შინაური უთანხმოება, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა გადაზრდილიყო შინაურ ომიანობად. მეფე შიშობდა, რომ ქართლ-კახეთი ვერ გაუძლებდა ამ შინაურ სისხლისმღერელ უთანხმოებას და გახდებოდა მეზობლების, განსაკუთრებით ლეკთა თარეშული თავდასხმების მსხვერპლი. ხოლო რადგანაც ასეთ გატეხას შეეძლო გამოეწვია ქართლ-კახეთში ქრისტიანობის გაუქმება და მაჰმადიანობის დამყარება, ამიტომ გიორგი, როგორც დიდად ღვთის მოსავი ქრისტიანი, ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად მზად იყო ყოველგვარი მსხვერპლისათვის. მასზე დიდი გავლენა ჰქონდა მის მოძღვარს იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვარს ევთიმის, რომელიც წარმოშობით იყო გლეხი – გარსევან ჭავჭავაძის ყმის მჭედელაშვილის შვილი. მან თითქმის 30 წლის სიგრძეზე წინამძღვრობის დროს მონასტერი კარგად მოაწყო, გახდა ბატონიშვილის (და ესლა მეფის) გიორგის მოძღვარი, მამასადამე, მაშინდელ ჩვევათა მიხედვით, მასთან მეტად დაახლოებული პირი. მაგრამ სხვაფრივ ის ძლიერ შეზღუდული განვითარების კაცი იყო, არავითარ, მაგ, საერო წიგნს არ კითხულობდა და ყველაფერს უყურებდა მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცების თვალსაზრისით. უჭვს გარეშეა, რომ ევთიმი თავისი რჩევების მიცემის დროს ხელმძღვანელობდა ხალხის ფართე მასის გლეხობის სულიერი განწყობილებით. ამოწვეტის, ტყვედ წაყვანის, ოჯახის მოთხრის მუდმივ საშიშროებას გლეხობა სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა. ერთადერთ ნუგეშს ასეთ მდგომარეობაში ის მძლავრი რუსეთისაგან მოელოდა. ევთიმი კარგად ასრულებდა გლეხობის ამ განწყობილების გადამცემის როლს. ამასთანავე, როგორც მონასტრის წინამძღვარი და მეფის პირადი მოძღვარი, ის გამოდიოდა ქრისტიანობის დაცვის ინტერესებიდანაც და უაღრესად რელიგიურად განწყობილ გიორგი XII-ზე ახდენდა ამით დიდ გავლენას.

გიორგი XII-ის მეორე დაახლოებული მრჩეველი თავ. აღმაყაშვილი, მისი გამზრდელის (ლალას) შვილი, იყო კახეთის მეორე სახლთუხუცესი და იმავე დროს გიორგი XII-ის ცოლის მარიამის ემიკალას-ბაში (ე.ი. ცერემონიების უფროსი). თავისი მდგომარეობით ის მუდამ სასახლეში იყო და პერსონალურად ჰქონდა გიორგი XII-ზე დიდი გავლენა. მაყაშვილიც ევთიმესავით კვერს უკრავდა გიორგი XII-ის მის განზრახვაში ქართლ-კახეთის მმართველობის საესებით რუსეთისათვის გადაცემის შესახებ მეფის ტიტულის დატოვებით მის შთამომავლობაში. სათანადო პროექტის დაწერა მიენდო გარსევან ჭავჭავაძეს. 7 სექტ. 1799 წ. პროექტი უკვე მზად იყო.

ეს პროექტი ამ დროს რუსეთში არ გაგზავნილა. მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ ამ დროს რუსეთი უკვე ემზადებოდა ქართლ-კახეთში თავის რწმუნებულ მინისტრის და აგრეთვე ჯარის გასაგზავნად. როგორც ჩანს, ცნობა ამის შესახებ თბილისში თავის დროზე მოვიდა. ქართლ-კახეთი ამით უკვე ღებულობდა მფარველობას და სამხედრო დახმარებას 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე. ამიტომაც გიორგი XII-მ გადაწყვიტა დაეცადა – თუ რა შედეგს მოიტანდა რუსეთთან 1783 წლის ტრაქტატის პირობით დაკავშირება.

V დავით ბატონიშვილი პეტერბურგში მყოფობის დროს ხშირად ხედებოდა რუსეთელი სომხების მთავარეპისკოპოს იოსებ არღუთაშვილ-მხარგრძელს (ის იყო საქართველოდან და ქართულის კარგად მცოდნე). მასთან დაახლოებული იყო აგრეთვე თავ. იოანე აბა-მელიქიშვილი. აბა-მელიქიშვილები ეკუთვნოდნენ თბილისის დიდ ვაჭართა წრეს, თუმცა როგორც რომელიღაც მელიქების ჩამომავალნი აზნაურებად ითვლებოდნენ. აბელ აბა-მელიქიშვილი ერეკლე II-მ აიყვანა თავადის ხარისხში და, როგორც ჩანს, მაშინვე თავადებად აყვანილ იქნა მისი ახლო სახლიკაცი სვიმონ-ალა აბა-მელიქიშვილი, რომელიც ასტრახანში გადასული იქ მსხვილ კომერციულ საქმიანობას ეწეოდა. ამ სვიმონ-ალას უმცროსი შვილი ხსენებული თავ. იოანე აბა-მელიქიშვილი, რომელიც დავით ბატონიშვილს ახლდა პეტერბურგში და იქ 1798 წლის თებერვალში ქართული სამსახურის არტილერიის პოლკოვნიკად იხსენიება.1 (მაშინდელი გაგებით ეს პოლკოვნიკი უნდა ყოფილიყო მთელი ქართული არტილერიის უფროსი). როგორც ჩანს, ამათთან ერთად დავით ბატონიშვილმა (როგორც ეს ჩანს პლ.ოსელიანის ცნობიდან, №83) შეიმუშავა აზრი თბილისის და ა/კავკასიის სომხების სარწმუნოებრივად ასე თუ ისე ქართულ ეკლესიასთან დაკავშირების შესახებ საერთოდ ა/კავკასიაში, რუსეთზე დაყრდნობით, ქართულ-სომხური ბლოკის შექმნით. თითქოს იღვიძებდა ა/კავკასიაში გაერთიანებული ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნის იდეა ქართლ-კახეთის მეფეთ სათავეში და რუსეთის დახმარებით.

პეტერბურგიდან დაბრუნებული დავით ბატონიშვილი, აღფრთოვანებული იქ მისთვის გაწეული კარგი მიღებით (როდესაც ახლად ჩასული დავითი იმპერატორ პავლეს წარუდგა, პავლემ ის თავისთან სადილად დასტოვა, მალე მას გენ.-მაიორის ჩინი მისცა და ასე სხვ.) სასიხარულოდ რუსეთის ორიენტაციის იყო. როდესაც ოსმალეთის ხელისუფლებამდის მიადგინა ხმამ, რომ რუსეთი ქართლ-კახეთში რეზიდენტს და თავის ჯარს აგზავნიდა, ახალციხის ფაშამ, პლიოსელიანის სიტყვით (№72) გიორგი XII-ს (ცხადია, სტამბოლიდან დაეაღივებინა თანახმად) გამოუგზავნა თავისი ელჩი-რწმუნებული იბრაიმ-ხეი სპეციალური წინადადებით. სახელდობრ, ოსმალეთი პირდებოდა გიორგი XII-ს, რუსეთზე უარის თქმის პირობით ახალციხის, სამცხის (და შესაძლებელია საერთოდ ქართულ-მაჰმადიანური ქვეყნების) მისთვის მიცემას და საქართველოს გაერთიანებას (ალბათ ოსმალეთის პროტექტორატის ქვეშ). ავადმყოფ და ენერგია გამოცლილ გიორგი XII-ს ასეთი საქმეების ატანის წელი სრულებით არ შესწევდა, ხოლო რადგანაც ის თვითმპყრობელი ხელმწიფე იყო, უიმისოდ არც არაფრის გაკეთება შეიძლებოდა. მემკვიდრე დავითი კი ჯერ ერთი არ იყო თავის მეტისმეტად ჩამორჩენილ და პრიმიტიულ მამასთან კარგ განწყობილებაში, მამასადამე, მის საქმეებში ვერ ჩაერეოდა და გარდა ამისა, რაც მთავარია, ის თვითონ იყო ამ ხანაში რუსეთის მომხრე და დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის იმპერია, 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე, ქართველების სასარგებლოდ სომხების საკითხსაც მოუვლიდა და ახალციხე-მესხეთის საკითხსაც ოსმალეთის არასანდო დაპირებათა სანაცვლოდ უფრო რეალურად და საიმედოდ გადაწყვეტდა. ამიტომ მოხდა, რომ ახალციხის ფაშის ელჩი თბილისიდან ცივი უარით გაისტუმრეს. მალე ამის შემდეგ (1794 წლის ბოლოს) დავით ბატონიშვილმა ცოლად შეირთო ხსენებული სვიმონ-ალა აბა-მელიქიშვილის ასული მზითევით მ ათ. მანეთის რაოდენობით ფულად და ამდენივე ნივთებად (ჩვეულებრივ მაშინ მეფის ასულებს მზითევს აძლევდნენ ღირებულებით არა უმეტეს 5 ათ. მანეთისა).

ყველა ხსენებულ იმედებს გაბათილება დაეტყო უკვე 1800 წლის სივრცეზე და ამით აიხსნება, რომ გულაცრუებული დავითი შემდეგ თავის ცოლსაც ფაქტიურად გაშორდა.

45. რუსის ჯარის შემოსვლა თბილისში. რუსეთის მთავრობას ესლა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ქართლ-კახეთის საქმისათვის სერიოზული ყურადღება მიექცია. ამისი მიზეზი იყო არა იმდენად თვით ქართლ-კახეთი, რამდენადაც კვლავ გაღვივებული მისწრაფება ქართლ-კახეთში ფეხის მოკიდებით გზა გაეკაფათ სპარსეთისაკენ და საჭირო შემთხვევებში დაბრკოლება შეექმნათ ოსმალეთისათვისაც. ქართლ-კახეთის მიმართ პოლიტიკის შეცვლა მოხდა უპირველეს ყოვლისა თვით რუსეთის იმპერიის ინტერესების გათვალისწინებით.

ამიტომ 18 აპრილს 1799 წ. გიორგი XII-ის ქართლ-კახეთის ტახტზე დამტკიცებასთან ერთად იმპერატორმა პავლემ დააკმაყოფილა არსებითად 1783 წ. ტრაქტატით რუსეთის მიერ თავის თავზე მიღებული ვალდებულებანი. ტახტის მემკვიდრედ დამტკიცებულ იქნა დავით ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის მეფის კარზე ეგრეთ წოდებულ მინისტრ-რეზიდენტად დაინიშნა პკოვალენსკი და ამავე დროს გაცემულ იქნა ბრძანება თბილისში ერთი პოლკის ჯარის გაგზავნის შესახებ. მეფეს ამასთანავე კოვალენსკის ხელით გაეგზავნა სამეფო გვირგვინი და ინვენტარის სხვა ნიშნები: დროშა, ხმალი, სკიპტრა, სამეფო ტახტი და მანტია, რადგანაც სამეფო უფლების ყველა წინანდელი ნიშნები ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს დაღუპულიყო. 26 ნოემბერს 1799 წ. თბილისში შემოვიდა რუსის ჯარის ერთი პოლკი გენ. ლაზარევის უფროსობით, ხოლო 5 დეკემბერს გიორგი მეფემ ფიცი მიიღო რუსეთის ერთგულებაზე.

46. ქართლ-კახეთის ბარათულაშვილი მღვთმარქობა. რუსის ჯარის შემოსვლამ თბილისში თითქოს გაამაგრა გიორგი XII-ის მდგომარეობა. ესლა საგარეო სიძნელეთაგან თავის დაღწევის მეტი იმედი იყო, მაგრამ შიგნით მშვიდობიანობის დამყარებამდის ჯერ კიდევ შორს იყო. პირიქით მეფისათვის დავითის ტახტის მემკვიდრედ დამტკიცებამ ქვეყნის შინაურ ცხოვრებაში დიდი არე-დარევა გამოიწვია. დედოფალი დარეჯან და გიორგის ძმები აღშფოთებული იყვნენ ერეკლე მეფის მიერ განწყობილ ტახტის მემკვიდრეობის შეცვლით. გიორგი XII კი სამართლიანად მანებლად სთვლიდა ბატონიშვილების ხელში საუფლისწულოების სახით დიდძალი მამულების მოხვედრას, არ მალავდა თავის განზრახვას ამ საუფლისწულოების გაუქმების შესახებ და აპირებდა ამის დაწყებას ვახტანგის და

იულონის სამფლობელოებიდან. ამიტომ ბატონიშვილები გამკვიდრდნენ თავიანთ საუფლისწულოებში და ურჩობდნენ. მეფისძემ ფარნაოზმა მიითვისა თავისი ძმის მირიანის წილი და გამაგრდა სურამის ციხეში. იულონი, რომელიც როგორც უფროსი ძმა, თავის თავს ტახტის მემკვიდრედ სთვლიდა, იმყოფებოდა შიდა-ქართლს და კრებდა თავის მომხრეებს. ბუნებით სუსტი ხასიათის ადამიანი და ღვინის სმის მოყვარული იულონი მოკლებული იყო ფართო ინიციატივას და აქტიური მოქმედების უნარს. და მომეტებულ დროს სასულიერო წიგნების კითხვაში ატარებდა. სამაგიეროდ მეფის-ძე ვახტანგი, რომელსაც ეჭირა არაგვის ხეობა და ხევი, იყო ძმებს შორის ყველაზე უფრო აქტიური პიროვნება. ვახტანგი და დედოფალი დარეჯანი განსაკუთრებული ენერგიით ამოძრავდნენ გიორგი მეფის წინააღმდეგ უფრო მას შემდეგ რაც საბოლოოდ გამოირკვა, რომ მეფე არავითარ დათმობაზე ძმების მიმართ არ მიდიოდა.

ამის საპასუხოდ მეფემ ჩამოართვა თავის დედინაცვალს დარეჯან დედოფალს სადედოფლო სოფლები და მამულები და გადასცა თავის ცოლს მარიამ დედოფალს. დარეჯანს კი პირადი ხარჯე-ბისათვის ამაღლა-მოსამსახურეთა შესანახად გაუჩინა გადაწყვეტილი ულუფა.

როგორც დარეჯანისათვის დანიშნულ ამ ულუფიდან ჩანს, მისი შინა-მოსამსახურეების და ამაღლის რაოდენობა უდრიდა 200-მდის სულს, მას ეძლეოდა აგრეთვე ულუფა 25 ცხენის და ჯორის შესანახად. ამას უნდა დაემატოს ხარჯები თვით მმართველი მეფის, მისი ცოლის – დედოფლის, აგრეთვე მრავალრიცხოვანი მოსამსახურეების და ამაღლის შესანახად და თუ ამასთანავე წარმოვიდგინებთ მრავალრიცხოვან, უკვე სრულწლოვანი ბატონიშვილების დიდძალ მოსამსახურეებს და თანმხლებ თავდა-აზნაურთ, ადვილი გასაგებია, თუ რა სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა პატარა და აოსრებული ქვეყანა ამდენ გულზეიად და ფეოდალური ამპარტავნობით გაჟღენთილ მებატონეთა ხელში. ამის შემდეგ სახელმწიფოს უკვე არავითარი სახსარი მუდმივი ჯარის შესაქმნელად არ რჩებოდა. უნდა ითქვას, რომ ეს ყველაფერი იყო სპარსეთის გავლენის შედეგი. სპარსეთში როგორც წინა და ამ ხანაში, არამედ შემდეგაც (მაგ., პოლლაკის დამოწმებით 1850-იან წლებში) ცოტად თუ ბევრად წარჩინებული მდგომარეობის სპარსელისათვის სავალდებულო იყო დიდძალ მოსამსახურეთა ყოლა, რომელნიც თავისი უსაქმურობით წარმოადგენდნენ პარაზიტულ და პირდაპირ მანე ელემენტებს. საყურადღებოა, რომ სპარსეთის შაჰი 1850-იან წლებში ეტიკეტის თანახმად სადილობდა ყოველთვის მარტო (სხვა დამსწრნი ფეხზე იდგნენ) და მისთვის მზადდებოდა ბევრკერძიანი სადილი, ასი კაცის სამყოფი (ყველაფერი ეს რჩებოდა მოსამსახურეთ). ხოლო როდესაც შაჰს ვინმე დაპატიჟებდა, უნდა მოემზადებინა მისთვის 500 კაცისათვის საკმარისი სადილი.

47. საპარტეზელოს ბაჟართოების პროექტი რუსეთში. რუსეთის მმართველ წრეებში ამის შემდეგ თანდათან კვლავ ფეხს იკიდებდა საქართველოს შესახებ დადებითი აზრი. კვლავ გაიღვიძა ეკატერინე II-ის დროინდელმა პროექტმა, რომლის მიხედვით საქართველო უნდა გამოეყენებინათ როგორც დასაყრდენი ბაზა წინა-აზიის და უფრო სპარსეთის მიმართ ფართე გეგმების განსახორციელებლად. ამ მხრივ დამახასიათებელია ადმირალ მორდინოვის მოხსენება. რომელიც ამ ხანაში წარდგენილ იქნა რუსეთის მმართველობის უმაღლეს წრეებში. ამ მოხსენებაში ის სწერდა, რომ საქართველოს (ქართლ-კახეთის) დაკავშირება რუსეთთან მოხდა ჩვენი ერთმორწმუნე ხალხის განუწყვეტელი ჩაგვრისა და ძარცვისაგან სახსნელად. მაგრამ უფრო კიდევ საქართველოს მეშვეობით სპარსეთიდან ჩვენი ვაჭრობის განსამტკიცებლად და უზრუნველსაყოფად. ამ თვალსაზრისით საქართველო ჩვენთვის არის უაღრესად საჭირო... თავისი არსებითი ხეირობისათვის რუსეთმა აუცილებლივ უნდა გააგრძელოს საქართველოს საზღვრები მდ. მტკვრისა და არეზის შესართავამდის არეზის მხარეში მდებარე შუშა-ნახჭევან-ერევნისა, ხოლო შავი ზღვისაკენ მდ. რიონის ანუ ფაზის გაყოლებით იმერეთის მიმტებით. ამით საქართველოს სამეფო მიმოიცავს უაღრესად ნაყოფიერ ქვეყანას და რამოდენიმე მილიონ ქრისტიანულ მოსახლეობას. საქართველო ერთმორწმუნეობის გამო მუდმივ მეგობრობაშია არარატის პატრიარქთან, რომელსაც, როგორც ცნობილია, მეტად დიდი გავლენა აქვს სომხების მთელ გაბნეულ ხალხზე. ნუთუ ამიტომ ცხადი არაა, რომ საქართველოს მაშინ საკუთარი ძალით შეეძლება მთელს დანაწილებულ სპარსეთზე ბატონობა და როგორც რუსეთის უერთგულესი მოკავშირე, რადგანაც რუსეთის წყალობით ექნება მას მოპოვებული არსებობა და ბედნიერება; ის შესძლებს იმ მხარეში მეთვალყურეობა გაუწიოს ოსმალების სამფლობელოებსაც? მდ. მტკვრის გაყოლებით კიდევ ქალ.

განჯის მოპოვებით, საიდანაც ეს მდინარე უკვე გემთ საველელია, საქართველოს ექნება შავი ზღვის გარდა უალრესად მოხერხებული კომუნიკაცია რუსეთთან.

ამ მოხსენებაში წამოყენებული თვალსაზრისი პოპულარული შეიქმნა რუსეთის მმართველ წრეებში. ამ თვალსაზრისმა უსათუოდ გავლენა იქონია საქართველოს შემდგომ ბედზე. როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისს გაცნობილი იყვნენ რუსეთელი ცალკეული გავლენიანი ქართველები (ვასტანგ V-ის ოჯახის შთამომავალნი და მათ გარშემო მყოფნი) და უპირველეს ყოვლისა ლაშქაროვით-ლაშქარაშვილი, რომელიც რუსეთის საგარეო უწყებაში საკმაოდ თვალსაჩინო ადგილზე მსახურობდა და რომელსაც იქ მინდობილი ჰქონდა საქართველოს გარშემო წამოჭრილი საკითხებისთვის თვალყურის დევნება. ამ თავისი ქვეყნის უნახავ ქართველებსაც იმედი ჰქონდათ, რომ რუსეთის მეშვეობით შესაძლებელი გახდებოდა საუკუნეების სიგრძეზე დაქსაქსული საქართველოს ბედის ასე თუ ისე დადებითად გადაწყვეტა.

48. ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების საკითხის კვლავ დანახვა. ასეთ გართულებულ შინაურ პირობებში კვლავ დადგა საკითხი ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ მეგვიდროობითი მეფე-გენერალ-გუბერნატორით სათავეში. 10 თებერვალს 1800 წ. ელჩებად რუსეთში გასაგზავნი გარსევან ჭავჭავაძე და გიორგი ავალიშვილი წერილობით შეეკითხნენ მეფეს, თუ რა პირობები წაუყენონ რუსეთის იმპერატორს ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ აქტის დადების დროს. გიორგი მეფე თხოულობდა რუსეთში მოსკოვის სამხრეთით ვორონეჟის მხარეში და მალაოროსიაში სამეფო გვარეულობისათვის 30 ათასი მამრი სულის მიცემას ყმად და წვლიწადში კიდევ 200 ათას მანეთს პენსიად.

ძნელია თქმა, რა ანგარიშით თხოულობდა გიორგი XII თავისი გვარეულობისათვის ამოდენა პენსიას. შესაძლებელია ის ხელმძღვანელობდა ყირიმის ხანის მაგალითით (ყირიმის ხანს, როდესაც ის 1783 წ. გადააყენეს, რუსეთის მთავრობამ დაუნიშნა წლიური პენსია 200 ათ. მანეთი, თუმცა შემდეგ ჩამოართვა). სამაგიეროდ გიორგი XII უთმობდა რუსეთს მმართველობის უფლებებს, მაგრამ მოითხოვდა, რომ მისი შთამომავალნი ყოფილიყვნენ მმართველებად საქართველოში (ადგილობრივად მეფის ტიტულის შენარჩუნებით) რუსეთის სახელით; ქართლ-კახეთში უნდა ყოფილიყო მუდმივად ნ ათ. რუსის ჯარი; მეფე თანახმა იყო, რომ მეფობის უფლების გადაცემა მომხდარიყო საზეიმო ცერემონიით რუსეთის იმპერატორისათვის, სახელდობრ, რომ ქართლ-კახეთის მეფობის ნიშნები — ღერბი და დროშა — ჩაბარებოდა საზეიმო აუდიენციის დროს რუსეთის იმპერატორს. საქართველო აგრეთვე უთმობდა რუსეთს თავის ისტორიულ უფლებებს ტერიტორიებზე დაწყებული არზრუმიდან და შავი ზღვიდან დარუბანდამდის.

ასეთი პირობების დაყენება ამტკიცებდა გიორგი XII-ის გადაწყვეტილებას მოეწყო სამეფო გვარეულობისათვის უზრუნველი და მდიდრული ცხოვრება — ეს იყო მთავარი მისი მიზანი, ქართველი ხალხის მმართველობა კი მთლად მიეცა რუსეთის იმპერიისათვის. გიორგი XII ამით თვითონ აღიარებდა თავისი საკუთარი მართებლობის სრულ გაკოტრებას, ის უიმედოდ სთვლიდა მის და მის შემგვიდრეთა მიერ ქართლ-კახეთის მმართველობის ასე თუ ისე მოწყობის შესაძლებლობას. თვით ელჩებად განზრახული პირნი, როგორც ჩანს, არ იყვნენ ამ პროექტის თანახმანი და ამიტომ აჭიანურებდნენ ჯერ თავის წასვლას რუსეთისაკენ და შემდეგ პეტერბურგში ამ შეერთების შესახებ სათანადო ნოტის წარდგენას რუსეთის მთავრობასთან.

49. სპარსეთის მოხრამთა ჯბუში. თუმცა ეს პროექტები საიდუმლოდ მუშავდებოდა, მაგრამ რადგანაც მაშინდელ პირობებში გიორგი XII-ის კარზე საიდუმლოებას სათანადოდ ვერ იცავდნენ, ამიტომ ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის საფრთხე ბევრისთვის ყოველ შემთხვევაში საკმაოდ საგრძნობი ხდებოდა. ამ მიზეზით დარეჯან დედოფლის და მისი შვილების დაჯგუფება ცდილობს ესლა ყოველ შემთხვევისათვის სპარსეთთან გააბას კავშირი.

ამგვარად გიორგი XII-ისადმი პირადი ხასიათის უსიამოვნებათ ემატებოდა კიდევ პრინციპული უთანხმოებაც. დარეჯანის პარტია რუსეთზე ქართლ-კახეთის გადაცემის წინააღმდეგი იყო და უკიდურეს შემთხვევაში რუსეთის მაგივრად ამჯობინებდა ისევ სპარსეთის მფარველობაში ყოფნას, რათა ამით შესაძლებელი ყოფილიყო ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი ავტონომიის შენარჩუნება.

ასეთ პირობებში ურთიერთობა ძმებს შორის თანდათან უარესდებოდა. ბოლოს უმცროსმა ძმამ ალექსანდრემ, რომელსაც საკმაო საუფლისწულო არ ჰქონდა, მოითხოვა მეფისგან ყაზახი. მეფემ ამაზედ უარი განაცხადა, რადგან ჩვეულებრივ ყაზახი მეფის სახასოს წარმოადგენდა. მაშინ ალექსანდრე 65 კაცისაგან შემდგარი ამალით გადავიდა ყარსს და იქიდან მივიდა სპარსეთის ტახტის მემკვიდრე აბას-მირზასთან, რომელიც ამ დროს 9 ათასი კაცით იდგა არეზს გაღმა აზერბაიჯანში.

50. ლეკების თარეში. ლეკების ჯარის დათხოვნას და რუსის ჯარის შემოსვლას მოჰყვა ლეკთა თარეშების ხელახლა გაძლიერება. აღნიშნულია, მაგ., 1800 წ. ზაფხულში ლეკთა დიდი რაზმის (2 ათ. კაცისაგან შემდგარის) თავდასხმა, ნურ-მაჰმადის წინამძღოლობით ზემო ქართლზე. ლეკების ამ რაზმმა მარტყოფის მთის ხეობით განვლო საგურამო, შევიდა ტირიფონის გზით ზემო-ქართლს და დაეცა სოფელ საქაშეთს. კვირა დღე იყო, ამ სოფლის მებატონეები დიასამიძეები და გლეხები ეკლესიაში იყვნენ. ლეკები დაეცნენ სოფელს, შეიპყრეს ბლომად ქალ-კაცი ტყვედ და თვით სოფელიც გაძარცვეს. "პურით, ქერით, ერბოთი და საგზლით აბარგებული ნურ-მაჰმად წარვიდა და დადგა მტკვრის პირს დოღლაურისა ბოლოსა. მდევარი ქართველი წინ დაუხვდა და შეაყენა. 300 კაცი რუსთა ქვეთის ჯარისა, სურამს მყოფი, გამოუდგა და მისცეს ცეცხლი. მრავალი დახოცეს, ტყვენი გამოიხსნეს და მრავლად იგდეს თოფი და ხმალი. ტყვედ წაყვანილთა შორის იყო ერთი მღვდელი, რომელიც ლეკს ზურგს უკან უჯდა ცხენზე. სწორედ იმ დროს, როდესაც ლეკმა შეაგდო ცხენი მტკვარში, სალდათმა ხიშტიო მოკლა ის ლეკი. ცხენი შედგა, ლეკი წყალმა წაიღო და ლეკის თოფიც წყლის ნაპირას დაუარდა. სალდათმა ხიშტიო ამოიღო თოფი და მისცა მღვდელს. მღვდელი მივარდა სალდათს ხელზე საკოცნელად, მაგრამ მან არ მიუშვა ამაზე და გააგონა ლეკის ცხენით და თოფით შინ წასვლა".

51. განწყობილება სახანოებში. განჯის და ერევნის სახანოები ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ ჩამოცილდნენ ქართლ-კახეთს. განჯის ხანი აშკარად მოჰყვა სპარსეთის ხელქვეით. ერევნის ხანი მაჰმედი ქართლ-კახეთის მიმართ ლოიალურ პოზიციას ადგა. ქართველებმა დაიკავეს შურაგულის მხარე, რომელიც მანამდის ერევნის სახანოში შედიოდა. ამ გარემოებამ ერთგვარი ჩრდილი მიაყენა ერევნის სახანოსა და ქართლ-კახეთს შორის არსებულ ურთიერთობას და ამით აიხსნება, რომ ერევნის ხანი ეხლა ცდილობდა მოეპოვებინა რუსეთის მფარველობა, მაგრამ ქართლ-კახეთისაგან დამოუკიდებელი. ერევნის ხანის ორიენტაცია რუსეთის სასარგებლოდ გამოწვეული იყო უმთავრესად იმით, რომ ერევნის სახანოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სომხები შეადგენდნენ, ხოლო სომხები კი რუსეთისკენ იწვედნენ.

ამ ხანებში ყარაბაღის იბრაიმ-ხანიც ცდილობდა რუსეთის რეზიდენტ კოვალენსკისთან ნიადაგის მოსინჯვას რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ იმავე პირობებით, როგორც ქართლ-კახეთი იყოფებოდა. მაგრამ სპარსეთის მთავრობის შიშით მან აღიარა სპარსეთზე დამოკიდებულება, რის შემდეგ მას მოუმატეს ყარაბაღის სახანოც.

სპარსეთის მთავრობა უკვე კარგა ხანია ემზადებოდა ჩრდილოეთისაკენ სალაშქროდ. ბაბა-ხანი ერეოდა ამირ-კაკასიის სახანოების შინაურ საქმეებში და მოლაპარაკებით და მუქარით ცდილობდა მათ მჭიდროდ შემომტკიცებას. ერევნის ხანად დაინიშნა მისი ერთგული. ასევე მოიქცა ყანი ხოის სახანოში. ყარაბაღის იბრაიმ-ხანს დიდი მოლაპარაკების და მუქარის შემდეგ გამოართვა ცოლად ქალიშვილი და ამ გზით ის შემომტკიცა კიდევ, მაგრამ ყანთან გაგზავნილი ყარაბაღის ხანის ქალი გზად დაიჭირა შირვანის ხანმა, რომლისთვისაც ეს ქალი დაპირებული ყოფილიყო ერთი წლის წინად. შირვანის ხანის მოკავშირედ ითვლებოდა თალიშის ხანი და ყანი ემზადებოდა ორივეს ამათი დასასჯელად ჯარის გაგზავნას. გარდა ამისა მისსავე გეგმაში შედიოდა ბაქოს ხანის დატუქსება და ყველა ამასთან ერთად ქართლ-კახეთის დამორჩილებაც.

ინისში 1800 წ. თბილისში ჩამოვიდა თავრიზს და ერევანს შორის მდებარე სპარსულ ბანაკიდან ელჩი. მას ტახტის მემკვიდრის აბას-მირზის სახელით დავალებული ჰქონდა მოეთხოვა გიორგი XII-სგან კვლავ სპარსეთის მორჩილების აღიარება. ელჩს უნდოდა მეფის პირისპირ ნახვა, მაგრამ გიორგი XII ამას არ დასთანხმდა და მიიღო ის რუსეთის მინისტრის პ.კოვალენსკის ბინაზე (14 ივნ. 1800 წ.). მიღებას ჰქონდა საზეიმო ხასიათი. სახლის წინ გამწკრივებული იყო ერთი როტა რაზმი. მისაღებ ოთახში დადგმული იყო სამეფო სავარძელი, იქვე იყო გვირგვინი, სკიპტრა და დროშა. ელჩმა

გადასცა მეფეს პ.კოვალენსკის თანდასწრებით შაჰის სიგელი და გრძელს და დიდის ხელოვნებით წარმოთქმულს სიტყვაში აგრძნობინა გიორგი XII-ს, რომ მას ურჩობის შემთხვევაში მოელის დიდი საშიშროება სპარსეთთან. სიგელში კიდევ ფეთალი-შაჰი მოითხოვდა, რათა გიორგი XII-ს ელიარებინა კვლავინდებურად სპარსეთის ბატონობა და გაეგზავნა შაჰის კარზე თავისი უფროსი შვილი დავითი, წინააღმდეგ შემთხვევაში, განაცხადა ელჩმა, საქართველოს მოელის რისხვა, რადგანაც უკვე გამოგზავნილია მამაც სპარსელ მემორებით შაჰ-ზადე (შაჰის შვილი) აბბას-მირზა, რომელსაც დავალებული აქვს გაწმინდოს სპარსეთის მტრებისგან ქვეყანა და დაამყაროს ყველგან წესრიგი.

გიორგი XII-მ უპასუხა, რომ ის, როგორც რუსეთის მფარველობაში მყოფი, ვალდებულია ყოველგვარი ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან იქონიოს რუსეთის მინისტრის მეშვეობით და ამიტომაც სპარსეთმა მომავალში ქართლ-კახეთის შესახებ ყოველგვარი საკითხისათვის უნდა მიმართოს მასთან მყოფ რუსეთის მინისტრს.

სპარსელების მოთხოვნის შესახებ მინისტრმა კოვალენსკიმ მაშინვე აცნობა კავკასიის ხაზზე გენ. კნორინგს, რომელმაც თავის მხრივ გააგზავნა სასწრაფო მოხსენება იმპერატორ პავლეს სახელზე. ამის საპასუხოდ იმპერატორმა მაშინვე გაუგზავნა გენ. კნორინგს ბრძანება საჩქაროდ გაისტუმროს ქართლ-კახეთში კავალერიის 10 ესკადრონი და ინფანტერიის 10 ბატალიონი, აგრეთვე ბატარეებიც შესაფერისი საარტილერიო კომანდით. "უკეთუ თქვენ გაიგებთ, სწერდა იმპერატორი გენ. კნორინგს, რომ მისი უმაღლესობა ქართველთა მეფე მართლაც განიცდის ბაბა-ხანის მხრივ თავდასხმის საშიშროებას, მაშინ თქვენ აიღებთ თქვენს თავზე მთელი ჯარის სარდლობას და როგორც კი დრო მთებზე გადასვლის ნებას მოგცემთ, გაეშურებით საქართველოში ბაბა-ხანის ბოროტ განზრახვათათვის წინააღმდეგობის გასაწევად. ამასთანავე მიიღებთ ყველა ზომებს, რათა ჯარი, როგორც მსვლელობის დროს, ისე ქართლში ჩასვლის შემდეგ სურსათით მომარაგებული იყოს და აცნობებთ მის უმაღლესობას ქართველთა მეფეს ჩემს განზრახვას გაუწიოთ მას მფარველობა და დავიცვათ ის ბაბა-ხანის თავდასხმისაგან".

სპარსელებს მართლაც შემოეყვანათ ერევნის სახანოში 12 ათასამდის კაცი, მაგრამ თავისი ღირსებით ეს ჯარი მეტად დაბალი ხარისხისა იყო. ბევრი ჯარისკაცი შეიარაღებული იყო მხოლოდ კომბლებით, ხოლო მთელი არტილერია შესდგებოდა ოთხი მცირე ზარბაზნიდან, რომელიც აქლემებზე დაჰქონდათ. ამ ჯარის სარდალი შაჰ-ზადე აბბას-მირზა 12 წლის იყო, მისი მეურნე და, მამასადამე, ფაქტიური მხედართმთავარი სულეიმან-ხანი ცნობილი იყო როგორც ლოთი. ამ დროს მეფის ძე ალექსანდრეც სპარსელების ბანაკში იმყოფებოდა და სპარსელები ძლიერ მონდომებული იყვნენ გამოეყენებინათ მისი სახელი საქართველოზე შეტევის დაწყების მიზნით. მაგრამ თვით სულეიმან-ხანიც აშკარად ხედავდა, რომ ასეთი ჯარით ლაშქრობის დაწყება იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომლის მფარველობას რუსეთის იმპერია კისრულობდა, მეტად სახიფათო საქმე იქნებოდა. ამიტომ მალე ეს განზრახვა მიტოვებულ იქნა და სპარსელების აღნიშნული ჯარიც გაწვეულ იქნა უკან არეზს გაღმა. ცხადი იყო, რომ სპარსეთი დიდი სამხედრო ოპერაციების შესასრულებლად უკვე მისუსტებული იყო. ამასთანავე არეზს გამოღმა ზოგ სახანოსთანაც სპარსეთს გართულებული მდგომარეობა ჰქონდა, ხოლო ყველაფერი ეს აძნელებდა სპარსეთის ჯარის მიერ აქტივობის გამოჩენას ქართლ-კახეთის მიმართ.

თუმცა ამგვარად ფაქტიურად სპარსეთი უძლურად ჩანდა თავისი პრეტენზიები საქართველოს მიმართ განეხორციელებინა, მაგრამ რადგანაც ქართლ-კახეთის სამეფოც ამ დროს სრულს დეზორგანიზაციას განიცდიდა, ამიტომ თბილისში დიდის შიშით ადევნებდნენ თვალყურს სამხრეთ აზერბაიჯანში ჯარების გადასვლა-გადმოსვლას და მოელოდნენ 1795 წლის ამბების განმეორებას.

52. ბიოგრაფიი XII-ის გადაბეჭდვის ცდა. ასეთ პირობებში იულონ და ვახტანგ ბატონიშვილებმა შეიმუშავეს გიორგი XII-ის გადაყენების გეგმა. რა ამოქმედებდათ მათ, არ ჩანს, მაგრამ საფიქრებელია ბატონიშვილებმა უკვე იცოდნენ გიორგი XII-ის მიერ რუსეთში გაგზავნილი შუამდგომლობა ქართლ-კახეთის სამეფოს ავტონომიის ფაქტიური გაუქმების და შერეული ქართულ-რუსული მართებლობის დამყარების შესახებ. ქართლ-კახეთის შინაგანი ავტონომიის შენარჩუნებას ბატონიშვილები ესტადილობენ სპარსეთის დახმარებით. ალექსანდრე ბატონიშვილი შაჰის კარზე მოქმედებდა. საჭირო იყო მათთვის ადგილობრივ გადაწყვეტი ნაბიჯის გადადგმა. მაგრამ ეს არ იყო ადვილი საქმე. რადგანაც

თბილისს იცავდა რუსთა რეგულარული ჯარი, რომელთან შებრძოლება პოლიტიკური მოსაზრებით არ შეიძლებოდა, მით უმეტეს რომ განსწავლული და ხიშტიანი ჯარის დაძლევა ქართველებისათვის მეტად საძნელო იყო. ქართველების ცხენოსანი ჯარი უძლური იყო ხიშტიანი ქვეითი მწყობრი ჯარის მიმართ, ხოლო ქართველების ქვეითი უწყსრივო ჯარი არაფრად ვარგოდა და რუსების ბატალიონებთან შებრძოლება მას არ შეეძლო. ამიტომაც იულონ და ვახტანგ ბატონიშვილებმა თბილისზე თავისი გალაშქრების საბაბად წამოაყენეს თავიანთი დედის დარეჯან დედოფლის იქიდან წამოყვანის აუცილებლობა.

გიორგიმ თბილისის დასაცავად გადმოიყვანა ქალაქში უახლოესი სოფლების მცხოვრებნი. ამათგან თვით მოქალაქეთაგან და სხვა მეომართაგან შესდგა უკვე 5 ათასზე მეტი კაცი, მაგრამ ისინი ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი. უმეტესობას მათგან ჰქონდა მხოლოდ შინდის კომბლები. ქალაქის ირგვლივ ამოთხარეს ღრმა ხანდაკი, ხოლო გალაგნის ყველა კართან დაყენებულ იქნენ ყარაულად რუსები, რათა ქალაქიდან გაქცევა არავის შესძლებოდა. ამასთანავე მეფემ გააგზავნა მიმართვა გენკნორინგთან ერთი პოლკი ჯარის საჩქაროდ გამოსტუმრების შესახებ იმ ანგარიშით, რომ პოლკს მოესწრო 15 აგვისტოსთვის, როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილის ვარაუდით სპარსელების ლაშქარიც უნდა მოსულიყო თბილისთან.

დარეჯან დედოფალი ცხოვრობდა თბილისის ავლაბარში. 24 ივლისს 1800 წ. მეფის ძე ვახტანგი ჯარით მივიდა ავჭალას, ორი დღის შემდეგ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებიც მოადგნენ თბილისს. მეფის ძეთა ჯარში ირიცხებოდა 3 ათასამდის კაცი. ძალთა უთანასწორობის გამო ბატონიშვილებმა ვერ გაბედეს თბილისზე თავდასხმა. მაშინ დარეჯან დედოფალმა თვითონ მოინდომა თავის შვილებთან წასვლა, რაც გააძლიერებდა მეფის საწინააღმდეგო პარტიას ქართლში. ამის საპასუხოდ გიორგიმ დააყენა ავლაბარში დარეჯანის სასახლის არეში ათასამდის თავისი ჯარი ალმაყაშვილის მეთაურობით და იქ მყოფი ორი როტა რუსის რაზმს მიამატებინა კიდევ ორი როტა. დარეჯანი გამოცხადებულ იქნა შინაურ პატიმრობაში მყოფად. გიორგიმ განაცხადა, რომ დარეჯანს მიეცემა თავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ძმები ბატონიშვილები მეფისადმი მორჩილებას აღიარებენ. ამაზე კი ძმები არ თანხმდებოდნენ და ვერც თავიანთი დედის წაყვანას ახერხებდნენ. ძმებ ბატონიშვილებს ამგვარად ჩაეშალათ ყველა გეგმა და ისინი იძულებულნი გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ (1 აგვ. 1800 წ.).

მეფემ ამის შემდეგ ჩამოართვა გლეხები ბატონიშვილებს იულონს, ფარნაოზს და ალექსანდრეს. მაგრამ ამისი გატარება შესაძლებელი შეიქმნა მხოლოდ თბილისში. ნაწილი თბილისში მცხოვრებ ამ გლეხთაგან ჩარიცხეს მოქალაქეებად, რადგანაც მოქალაქეთა რაოდენობა ძალზე შემცირებული იყო და ისინი ვერ ახერხებდნენ ყოველწლიური გადასახადის მახტის (4 ათ. მანეთის) გაღებას.

იულონის და მისი ძმების გეგმის ამ ჩაშლამ გავლენა იქონია სპარსელების მიერ მომზადებული ლაშქრობის ბედზე. სპარსელებმა, რომელთა ბანაკშიც იმყოფებოდა ალექსანდრე ბატონიშვილი, ამის შემდეგ ვერ გაბედეს თბილისზე წამოსვლა და 15 აგვისტოს, ე.ი. სწორედ იმ დღეს, როდესაც განზრახული იყო სპარსელების მიერ თბილისთან მიხვევა, ეს ჯარი იწყებს უკან დახევას თავრიზის მიმართულებით. მანამდის 40 დღის სიგრძეზე სპარსელების ეს ჯარი იმყოფებოდა ქართლ-კახეთის საზღვრებიდან ორი დღის სავლელ მანძილზე. სპარსელების დაბრუნებით თავრიზში ეს საფრთხე თავიდან მოცილებულ იქნა.

53. რუსეთთან შეერთების პროექტი. იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილების ამ გალაშქრებამ თბილისზე გიორგი XII მიიყვანა სასოწარკვეთილებამდე. მეტისმეტი სიმსუქნით ძძიმედ დაავადმყოფებულ გიორგი XII-ეს ეხლა თვალწინ წარმოუდგა შინაური ომის საშინელება ტახტის პრეტენდენტთა შორის, რაც მისი სიკვდილის შემთხვევაში სავსებით მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო. სპარსეთის შემოსევა, ლეკების თარეშების გაძლიერება და სხვა – ერთადერთი ძალა, რომელსაც, მისი აზრით, და მაშინდელი მდგომარეობის მიხედვითაც შეეძლო ქართლ-კახეთისათვის ეს უბედურება თავიდან აეცილებინა, იყო რუსეთი.

ამგვარად კვლავ განახლდა წინა წელს შემუშავებული პროექტი ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ. არქიმანდრიტი ევთიმი სპეციალურად ჩავიდა თბილისს, რომ მეფე განემტკიცებინა ამ მიმართულებით. თავ. ალმაყაშვილიც მეფეს ასეთივე რჩევას აძლევდა. ბედის ირონიით

ახსენება ის, რომ როდესაც შემდეგ ქართლ-კახეთში დამყარდა რუსული მართებლობა, რუსებმა ევთიმი დააპატიმრეს და გაანთავისუფლეს დიდი გაჭირვებით, ხოლო მაყაშვილს მის მიერ ნაჩვენებ წლიური შემოსავლის 2279 მანეთის სანაცვლოდ დაუნიშეს პენსია 800 მან. წელიწადში. გულუბრყვილო და გონებადამისუსტებული გიორგი XII, როგორც ჩანს, ვერც კი ერკვეოდა თუ რამდენად მიღებული გადაწყვეტილება იყო პასუხსაგები ქართველი ხალხის მომავლისათვის. გიორგი XII-ემ ეს პროექტი დაუმალა თავის შვილს და ტახტის მემკვიდრეს დაეთასაც. ყველაფერი კეთდებოდა, მაშასადამე, დიდი საიდუმლოებით. აი ამ საიდუმლო დავალებით თბილისიდან პეტერბურგს გაგზავნილ იქნა საელჩო გარსევან ჭავჭავაძის, გიორგი ავალიშვილისა და ელიაზარ ფალავანდიშვილის შემადგენლობით (აგვისტო 1800 წ.).

54. მზი ნიახურას. ამ დროს ქართლ-კახეთის აღმოსავლეთ საზღვარზე სპარსეთის წაქეზებით და, საფიქრებელია, სპარსელებისავე ნივთიერი დახმარებით ისევ ამოძრავდა ავარიის ხანი ომარი. მას კავშირი ჰქონდა გაბმული გიორგი მეფით უკმაყოფილო ბატონიშვილებთან. ომარ-ხანმა დაიწყო მზადება საქართველოზე გასალაშქრებლად. მიზეზად ის ასახელებდა გიორგი XII-ის მიერ სამ გზის მოტყუებას, რაც, მისი სიტყვით, გამოიხატებოდა აღთქმული ჯამაგირის არ მიცემაში. ასეთს შევიწროებულს დროს თბილისში მოვიდა, მეფის შუამდგომლობის თანახმად, კიდევ ერთი არასრული პოლკი რუსის ჯარისა გენ. გულიაკოვის წინამძღოლობით, რომელსაც დიდის ამბით შეხვდა როგორც მეფე, ისე მთელი ქალაქი (23 სექტ. 1800 წ.). რუსის ჯარის რაოდენობა ქართლ-კახეთში ესლა აღწევდა 2 1/2 ათ. კაცს, გიორგი XII დაჟინებით თხოულობდა რუსის მთავრობისაგან რუსის ჯარის 6 ათას კაცამდის შევსებას და თუმცა რუსეთი ამ თხოვნას არ აკმაყოფილებდა, მაგრამ მოსული დახმარებაც ამ დროს ფრიად დიდმნიშვნელოვანი იყო.

ომარ-ხანი ამის შემდეგ უფრო ენერგიულად შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას და უახლოეს დღეებშივე მოადგა ალაზანს. მეფის ძე ალექსანდრე, რომელიც ამ დროს შუშაში იმყოფებოდა, ომარ-ხანისაგან მიწვევის თანახმად, ავიდა მასთან. გეგმად დასახული იყო თბილისზე გალაშქრება და გიორგი მეფის გადაყენება. თბილისიდან დაიძრა რუსების რაზმი არტილერიით გენერლების ლაზარევის და გულიაკოვის წინამძღოლობით. მათთან იყო თოფჩიბაში იოანე ბატონიშვილიც. კახეთის ჯანიშინმა (მოადგილემ) მეფის-ძემ ბაგრატიმა შეკრიბა ჯარი. ქართლში მოთავსებულთ მეფის ძმებმა თავიანთი საუფლისწულოებიდან ჯარი არ გამოიყვანეს და თავიანთ ყმებს აუკრძალეს კიდევ ჯარში წასვლა. რუს-ქართველთა ჯარი – 3 ათ. ქართველი (2100 ცხენოსანი და 900 ქვეითი) და 1224 რუსი – დადგა ქიზიყს, ომარ-ხანი თავისი 11 ათასი კაცით გადმოვიდა ალაზანს და მოვიდა ყარაღაჯს, ხოლო იქიდან დაიძრა საგარეჯოსკენ, სადაც მოელოდა იულონ და ვახტანგ ბატონიშვილებთან შეერთებას. რუს-ქართველთა ჯარი (ათას ხუთასი ქართველი და ათასზე ნაკლები რუსები აედევნა ომარ-ხანს და იორს ახლოს დაეწია მას. ქართველებს და რუსებს ჰქონდათ 6 ზარბაზანი, ომარ-ხანს კი არც ერთი. აქ, ნიახურას, მოხდა სასტიკი ბრძოლა, რომელიც გაგრძელდა სამ საათს (7 ნოემბ. 1800 წ.). ბრძოლა კარგი ხელმძღვანელობის და არტილერიის მეოხებით გათავდა ომარ-ხანის სრული დამარცხებით. ლეკების ზარალი იყო ძლიერ დიდი, ქართველებისა 30 კაცი და რუსების 2 მოკლული. დამარცხებულნი ლეკნი გაიქცნენ განჯისაკენ, სადაც შეეჯახნენ ჯავათ-ხანის რაზმებს, მაგრამ აქაც დამარცხდნენ და გადავიდნენ ყარაბაღს. ალექსანდრე ბატონიშვილი ბრძოლის დროს ომარ-ხანთან არ იყო, ის მივიდა მასთან ბრძოლის გათავებისას. შემდეგ ის ამტკიცებდა, რომ ომარ-ხანთან რომ ყოფილიყო, არ დაუშვებდა ომს, არამედ ლეკების ჯარს წაიყვანდა წინასწარ შემუშავებული მიმართულებით. თვით ომარ-ხანი კი დაბრუნდა მთიანეთს, სადაც მალე გარდაიცვალა (მარტში 1801 წ.).

55. ხალხის განწყობილება ქართლ-კახეთში. ხალხი იყო არსებული მდგომარეობით უაღრესად გულნაკლული. გლეხები დაბევრილი იყვნენ ზედმეტი ვალდებულებებით. შემოღებული იყო სპეციალური გადასახადი პურიით და ფულადაც სახელწოდებით სალეკო (ლეკების დაქირავებული ჯარისთვის, როდესაც მას იწვევდნენ ასეთი ჯარი ქირით მოწვეული იყო 1798 და 1799 წლებში), სარუსო (რუსის ჯარისთვის) და სხვ. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც თავადი, ბატონიშვილი და სხვ. გამოართმევდა გლეხს სურსათს და სხვა რამეს ბარათის მიცემით. ამ ბარათის განაღდება კიდევ ყოველთვის არც ადვილი საქმე იყო და არც შესაძლებელი. 1800 წელს თბილისში გლეხებს მათ მიერ

გასაყიდად ჩამოტანილ სურსათ-სანოვაგეს სწორად ართმევდნენ უფასოდ ანდა ძნელად გასანადღებელი ბარათის მიცემით, რის გამო გიორგი XII იძულებული გახდა რუსის ჯარის უფროსის გენ-ლაზარევისთვის ეთხოვა ჯარისკაცების გამოყოფა ამ ძალად ჩამორთმევის აღკვეთაში დასახმარებლად. ასეთ პირობებში გლეხებს ეკარგებოდათ მუშაობის და თავისი შრომით ნაამაგარის გასაყიდად გატანის ხალისი. ზაფხულობით კიდევ ლეკების რაზმთა თარეშები გლეხებს აფრთხოვდა და ისინი სათანადოდ მუშაობას სწორად ვერც ასწავლებდნენ. ასეთ პირობებში ხალხის თავმოებზრებული მასა თავის იმედს ამყარებდა რუსის ჯარზე, როგორც თავის დამცველზე. ამ მიზეზით გლეხობაში ძლიერი იყო ქართველი ბატონიშვილების საწინააღმდეგო და რუსების მიზრობის მიდრეკილება.

56. რუსეთი ეპირეზა საქართველოში ფუნის მოკიდებას. ამ დროს პეტერბურგს უკვე ჩასული იყვნენ საქართველოს ახალი ელჩები გარსჭაჭვავაძე, გიორგი ავალიშვილი და ელიაზარ ფალაგანდიშვილი, რომელნიც მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. რუსეთის მთავრობასთან რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის უფრო მჭიდროდ დამოკიდებულების დამყარების შესახებ.

რუსეთის იმპერიის სათავეში ამ დროს იდგა იმპერატორი პავლე I, იშვიათი დესპოტი, მკაცრი თვითმპყრობელური რეჟიმის დამამყარებელი, თავდაპირველად თავადაზნაურობაზე უხვად სახელმწიფო გლეხების გამცემი, მაგრამ შემდეგ ამ თავადაზნაურობისთვისაც აუტანელი. პავლე განსაკუთრებით ამ ხანაში სტოვებდა ფსიქიურად პათოლოგიურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის შთაბეჭდილებას, ასე რომ როგორც იმავე დროს განუსაზღვრელი უფლებების მქონე ის საშიში ხდებოდა სახელმწიფოს ინტერესებისათვის და უშუალოდ მისი უახლოეს გარემოცვის მიმართ, ე.ი. იმპერიის მმართველობასთან ახლო მყოფ ფენებისთვის. ამგვარად ქართლ-კახეთის სახელმწიფოს და მასთან ერთად არსებითად მთელი ქართველი ხალხის ბედის გადაწყვეტის საქმე იმყოფებოდა თბილისში გონებაშილულ ჩამორჩენილ გიორგი XII-ის და პეტერბურგში კიდევ აშკარად გონებადამთხვეულ პავლე I-ის ხელში.

რუსეთის მთავრობას ამ დროს უკვე რამოდენადმე შეცვლილი ჰქონდა თავისი აზრი საქართველოს შესახებ. თანდათან რუსულ მმართველ წრეებში ფეხი მოიკიდა იმ აზრმა, რომ საქართველოს შემოერთება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს რუსეთისათვის, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური მოსაზრებებით. ამ მხრივ პეტერბურგში დიდი გავლენა მოახდინა გრაფ მუსინ-პუშკინის მოხსენებამ.

მუსინ-პუშკინი წარგზავნილი იყო ქართლ-კახეთის სამეფოში 1800 წ. ოქრო ვერცხლისა და სხვა მადნეულობების შესასწავლად. თავის მოხსენებაში იმპერატორის მიმართ, რომელიც მან წარადგინა საქართველოდან უკან დაბრუნების შემდეგ, მუსინ-პუშკინი გამოსთქვამდა იმ აზრს, რომ საქართველოს უწარჩინებულეს პირთა ფიქრით სამეფოს დამოუკიდებელი არსებობის დღეები დათვლილია, რომ თუ რუსეთი უარს იტყვის საქართველოს შეერთებაზე, მაშინ ქვეყანა ხელში ჩაუვარდება ოსმალთს ან სპარსს, ანდა გახდება დაღისტანის მთიელთა თარეშების მსხვერპლი. მომხსენებელი ამასთანავე იმპერატორის ყურადღებას აქცევდა იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებზე, რომელიც რუსეთისათვის მოითხოვდა კავკასიის ქედის სამხრეთით ფეხის მოკიდების საჭიროებას. ერთი რომ ქართლ-კახეთის შემოერთებით ფრიად თვალსაჩინოდ ადვილდებოდა ბრძოლა კავკასიის მთიელებთან და ამით უზრუნველყოფილი იქნებოდა რუსეთის ეგრეთ წოდებული კავკასიის ხაზი. მეორეს მხრივ რუსეთს ხელში ჩაუვარდებოდა მდიდარი ქვეყანა. ამით სპარსეთთან და ინდოეთთან ვაჭრობის ფარგლები შესამჩნევად ფართოვდებოდა და გარდა ამისა ოსმალეთთან ომის დროს რუსეთს საშუალება ექნებოდა მცირე აზიასაც დამუქრებოდა.

რუსეთის მმართველი წრეები ამასთანავე ფიქრობდნენ, რომ ქართლ-კახეთის შემოერთებას თან მოჰყვებოდა ლიხთ-იმერეთის სამეფო-სამთავროების რუსეთთან დაკავშირება და მაშინ ქართლ-კახეთის შემოერთების სარგებლობა უფრო ცხადი იქნებოდა.

57. ქართლ-კახეთი ეძიებს რუსეთის კვებვარდობას ბარკვეული პირობებით. პეტერბურგში ეხლა დიდის თანაგრძნობით და კმაყოფილებით შეხვდნენ თბილისიდან გაგზავნილ ახალ საელჩოს, რომელსაც დავალებული ჰქონდა მოლაპარაკება გაემართა რუსეთთან ახალი პირობების დადების შესახებ იმ გვარად, რომ რუსეთს თვით ეკისრა როგორც ქვეყნის გარეშე ძალთაგან დაცვა, ისე

აგრეთვე შინაურ საქმეთა მოწესრიგება. მოლაპარაკების შედეგი გამოიხატა 1800 წ. 15 ნოემბერს წარდგენილ ნოტაში. ამ ნოტით საელჩო აცხადებდა რომ საქართველოს როგორც სამღვდლო, ისე საერო ერთ, სურთ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში ყოფნა და პირობას სდებდნენ, რომ წმინდათა აღასარულონ ყოველივე იგი, რასაც აღასარულებენ მონანი მისნი (ეი. იმპერატორისა).

თვით ელჩს გარსევან ჭავჭავაძეს შემდეგ იმპერატორი პავლე საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეში დამსახურებისათვის დააპირდა ათას სულს (მამობრივს) გლქს რუსეთში. ამ დაპირების განხორციელება არ მოხერხდა, თუმცა გარსევანის სიკვდილის შემდეგ ამის შესახებ დიდხანს შუამდგომლობდა შვილი მისი ალექსანდრე ჭავჭავაძე.

რუსეთის მთავრობამ მაშინვე თანხმობა განაცხადა გიორგი XII-ის პირობებზე და წინადადება მისცა გიორგი ავალიშვილს და ელიაზარ ფალავანდიშვილს თბილისს წასულიყვნენ, სადაც მეფეს ხელი უნდა მოეწერა საელჩოს მიერ წარდგენილ პირობებზე. იმპერატორმა პავლემ ამასთანავე უბრძანა კავკასიის ხაზის უფროსს გენ. კნორინგს, რომ თუ დაავადმყოფებული გიორგი მეფის გარდაცვალება ამ ახალ ხელშეკრულების დადების წინ მოხდებოდა, ქართლ-კახეთში ახალი მეფის გამოცხადების ნება პეტერბურგიდან დასტურის მიუღებლად არ მიეცა. მასვე ებრძანა ამასთანავე თბილისში გასაგზავნად ახალი ჯარების დამზადება.

რუსულ მმართველ წრეებში თანდათან მეტი გატაცება ჩანდა საქართველოს შემოერთების საქმით, ასე რომ თვით რუსეთის სახელმწიფო საბჭომ პოლიტიკური, ეკონომიური და სტრატეგიულ მოსაზრებითა გათვალისწინებით რუსეთისათვის აუცილებელ საჭიროებად ჩასთვალა საქართველოში ფეხის მოკიდება. სახელმწიფო საბჭოს აზრმა დააჩქარებინა იმპერატორ პავლეს საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა. 22 დეკემბერს 1800 წ. იმპერატორმა მოაწერა ხელი საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტს, რომელიც გაეგზავნა გენ. კნორინგს იმ პირობით, რომ მისი გამოქვეყნება საქართველოსთან ახალი ხელშეკრულების დადებამდის უნდა მომხდარიყო მხოლოდ მაშინ, თუ გიორგი XII-ის გარდაცვალება მოლაპარაკების დამთავრებამდის მოხდებოდა.

ლაშქაროვს ჰქონდა მინდობილი რუსეთის გარეშე საქმეთა კოლეგიაში საქართველოს საქმეები. ემიგრანტი ალექსანდრე ამილახვირშვილი ამ ამბების შესახებ სწერდა: საქართველოში მეფობდა გიორგი ირაკლის ძე, რომელსაც სრულიად არაფერი გაეგებოდა პოლიტიკის ენისაო. "ძმებისაგან შევიწროებული მეფე გიორგი (რუსეთმა) მთარგმნელების მეშვეობით (მთარგმნელ-თარჯიმნად აქ ლაშქაროვი და მისი თანამშრომელი იგულისხმებიან) დააჯერა, რომ საქართველო სრულიად დადაეცა რუსეთისათვის. სიკვდილის სარეცელზე მწოლი გიორგი მეფე ადვილად მოტყუდა და საქართველო რუსეთს გადასცა".

58. ქართულ თავადებში ძლიერდება რუსეთის მომხრეობა. ქართლ-კახეთის შინაური მდგომარეობა ამ დროს თანდათან უფრო იწვეწვებოდა. მეფის გარდაცვალების მოლოდინში მეფის-ძენი მზადებას შეუდგნენ. როგორც მეფის-ძე დავით, ისე იულონი თავის მომხრეებს რაზმავდნენ. ალექსანდრე ბატონიშვილი ჩამოვიდა ყაზახში და იქ კრებდა ჯარს. ბატონიშვილებს შორის ატეხილმა ასეთმა შუღლმა გააძლიერა მესამე მიდრეკილება, რომელიც უარყოფდა საზოგადოდ მეფობას და ქართლ-კახეთის რუსეთთან მთლიანად შეერთებას ცდილობდა. ამ ჯგუფში მოხვდნენ ქსლა, დაწინაურებულ სომხების გარდა, ის პირნიც, რომელნიც უკმაყოფილო იყვნენ დავით ბატონიშვილის ამაყი, თავშეუკავებელი და თვითნება მოპყრობით და ამასთანავე იულონის გამეფების წინააღმდეგ იყვნენ. 26 დეკემბერს, მაგ., სარდლის ივანე ორბელიანის სახლში შეიკრიბა 40-დის თავადი. დამსწრეთა დიდმა უმრავლესობამ ამ კრებაზე სურვილი გამოთქვა რუსეთის მმართველობის დამყარების შესახებ გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ.

შემდეგ, როდესაც ქართლ-კახეთში დამყარდა რუსული მართებლობა, უმთავრესად ამ ივანე ორბელიანს (შემდგომ გარსევან ჭავჭავაძეს) სდებდნენ ქართულ წრეებში ბრალს ქართლ-კახეთის შინაგან დამოუკიდებლობის გაუქმებაში და დასცინოდნენ კიდევ ორივეს მათ, რომ ისინი ცარიელზე დარჩნენ ორივე მხრიდან. სახელდობრ, რომ მათ დაკარგეს თავიანთი ის მდგომარეობა, რომელიც ჰქონდათ ქართლ-კახეთის სამეფოში და რუსეთისგანაც იმდენი რამ ვერაფერი მიიღეს (თუმცა გარს. ჭავჭავაძეს დაენიშნა წლიური პენსია 6 ათ. მან., ხოლო ივორბელიანს მიეცა გენ.-მაიორის ჩინი სათანადო ჯამაგირით).

59. გეორგი-ძე ღვაწლეთი სამეფოს რეპენტი, 28 დეკემბერს 1800 წ. გარდაიცვალა მეფე გიორგი XII. გენლაზარევმა მაშინვე მოსთხოვა ტახტის მემკვიდრეს დავითს რომ მას არ გამოეცხადებინა თავისი თავი მეფედ იმპერატორისაგან ამის შესახებ ნებართვისა და სათანადო დამტკიცების მიღებამდის. დავითი ურიდებოდა შინაურ შუღლს (მას ეწინოდა იულონის მომხრეების გამოსვლის) და გარდა ამისა ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ რუსეთის მთავრობა არ შესცვლიდა ოფიციალურ დოკუმენტებს და ხელშეკრულებათ და ამა თუ იმ სახით დაამტკიცებდა მას მეფედ. ამიტომ ის დაჰკარგა გენლაზარევის წინადადებას. ამასთანავე გენლაზარევმა შეადგინა თავისი თავმჯდომარეობით დრუბინითი მთავრობა იოანე ბატონიშვილის და ეგნატე თუმანიშვილის მონაწილეობით. ყველა განკარგულებანი გამოდიოდა ხსენებული სამი პირის ხელის მოწერით. ასეთი მდგომარეობა იყო ორი კვირის განმავლობაში, სანამ თბილისში ჩამოვიდოდნენ რუსეთიდან წამოსული ელჩები ელიაზარ ფალავანდიშვილი და გიორგი ავალიშვილი. ელჩებმა თან ჩამოიტანეს რუსეთის მთავრობის მიერ დამტკიცებული პროექტი ხელშეკრულებისა ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ, რომლის თანახმად დავით ბატონიშვილი უნდა გამხდარიყო საქართველოს მემკვიდრეობით გენერალ-გუბერნატორად მეფის წოდებულებით ადგილობრივად. ხელშეკრულებაზედაც მას უნდა მოეწერა ხელი.

ამიტომ დროებით დავითი შეუდგა (15 იანვ. 1801 წ.) ქართლ-კახეთის მართვას, ვითარცა (სამეფოს რეგენტი). ბევრი ხედავდა, რომ სახელმწიფო უქმდებოდა და ამიტომ შექმნილი მდგომარეობით იყო დიდად აღელვებული. მათ აწუხებდათ ის, რომ დავითი იწოდებოდა მხოლოდ გამგებლად. განსაკუთრებით დიდი აღშფოთება ამ გარემოებამ გამოიწვია რუსეთის მოწინააღმდეგე ჯგუფში, რომლის მეთაურად ითვლებოდა სოლ.ლიონიძე, ლიონიძე თხოულობდა, რომ დავითს მიეღო, თუნდაც რუსთა ნების წინააღმდეგ, მეფობის ხარისხი და როდესაც დაინახა, რომ დავითი მაინც თავის გზას ადგა და პეტერბურგიდან იმპერატორის წყალობის მომლოდინედ რჩებოდა, აშკარად დაუწყა მას ლანძღვა. ლიონიძე დააპატიმრეს, მაგრამ ის მალე გაიპარა საპატიმროდან და წავიდა იმერეთს, სადაც შევიდა სოლომონ II-ის სამსახურში.

რუსეთის მართებლობის შემოღება საქართველოში

60. იულონის ბაგაშვილის ცდა. გიორგი XII-ის სიკვდილის შემდეგ ქართლში ამოძრავდა მეფობის პრეტენდენტი იულონ ბატონიშვილი. ის დადგა სოფდირბს, სადაც მასთან გამოცხადდნენ ამილახვარი და ქართველი თავადიშვილები. ღირბიდან ის გადავიდა რუისს სადაც მას წინადადება მისცეს თავისი თავი მეფედ გამოეცხადებინა (6 იანვ. 1801 წ.), მაგრამ ის არ დასთანხმდა ამას – რუსეთში იმპერატორთან გაგზავნილი იყო თხოვნა მეფედ მისი დამტკიცების შესახებ და ამას დაფუძვლოთ. მაგრამ როდესაც ქართლ-კახეთის გამგებულად დავითი გამოცხადდა, ეს უაღრესად საწყინოდ დარჩა იულონისთვის და სხვა უფროს ბატონიშვილებისთვის (ვახტანგ, ფარნაოზ, მირიანისთვის). გენ.ლახარევი მოიწვია ისინი თბილისში მაგრამ ამის სანაცვლოდ ისინი (ფარნაოზის გამოკლებით, რომელიც დასტოვეს დას. ქართლში) შეიკრიბნენ მოსათათბირებლად მუხრანში. აქ ისინი დარწმუნდნენ, რომ ხალხი ქართლში უმეტეს ნაწილად მათ მხარეს არ იყო. უკეთესად იყო მათთვის მდგომარეობა ქიზიყსა და კახეთში და ამიტომ ისინი გადავიდნენ მარტყოფში, საიდანაც მათ ყაზახიდან გამოიწერეს თავისთან ალექსანდრე ბატონიშვილი. დავითმა და გენ.ლახარევიმ გააგზავნეს მარტყოფისკენ მეფის-ძე იოანე ქართველების და რუისის ჯარით. მაშინ იულონ და ვახტანგ ბატონიშვილები ოთხასი კაცით გაემართნენ ქიზიყისაკენ. მაგრამ ქართველი-რუისის ჯარმა მისდია მათ. ბატონიშვილები ჩავიდნენ ბოდბეს (21 იანვ.), სადაც მათთან შეიკრიბნენ ქიზიყელები და თავადნი ბებურო-ვაჩნაძენი, რომელთაც მიიღეს ფიცი იულონის მეფობაზე. მაგრამ როდესაც რუისის ჯარის მეწინავენი მეზობელ სოფელ მალაროში გამოჩნდნენ, ქიზიყელები ჩამოშორდნენ იულონს, რომელსაც ამის შემდეგ მეტი გზა არ დარჩნოდა, რომ სამხნელ ქარბუქში ისევ ქართლისკენ გაბრუნებულიყო. (23 იანვ.). ამასობაში ქართლშიც მდგომარეობა იულონისათვის გართულბულიყო. მეჯვრისხვეი დაეკავებინათ მის მოწინააღმდეგე ქსნის ერისთაველებს. ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადასვლის შემდეგ იულონმა ბოლოს (6 თებ.) აყარა თავისი ოჯახი ტელოთიდან. მალე ამის შემდეგ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები რუს-ქართველების ჯარის შიშით მოსამსახურეებით და ამალით, სულ 300-ზე მეტი კაციით და ქალით გადავიდნენ იმერეთს. იმერეთის მეფე სოლომონ II იძულებული გახდა გადმოსულია შესანახად ზოგიერთ მხარეში დაეწესებინა სპეციალური გადასახადი სურსათით.

იულონის გამეფების ცდა ამგვარად ჩაიშალა.

61. იმპერატორ პავლეს მანიფესტი ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ. როგორც მოხსენებული იყო, იმპერატორმა პავლემ პეტერბურგში 18 დეკემბერს 1800 წ. მოაწერა ხელი მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს სრულიად და ყოველგვარი პირობის გარეშე რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ. რადგანაც გიორგი XII ჯერ ცოცხალი იყო, ამიტომ პეტერბურგში ყოყმანობდნენ გამოექვეყნებინათ ეს მანიფესტი თუ არა. ამ მიზეზით ის გამოქვეყნებულ იქნა დაგვიანებით (18 იანვარს 1801 წელს). კავკასიის ლინიის უფროსმა გენ. კნორინგმაც შეაჩერა მანიფესტის საქართველოში გაგზავნა. ჩამოტანილ იქნა ის თბილისში მხოლოდ 12 თებერვალს 1801 წ., ხოლო 20 თებერვალს 1801 წელს შესდგა მანიფესტის საჯარო წაკითხვა სიონის ტაძარში ხალხის დაფიცებით რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. მწირველი იყო თვით კათალიკოსი ანტონ II, რომელსაც ამკარად ეტყობოდა უგუნებოდ ყოფნა. ამ წაკითხვას დაესწრნენ აგრეთვე მემკვიდრე დავითი და მისი ძმები, გენ. ლახარევი და სხვანი. მეორე დღეს მოხდა ასეთივე ზეიმით მანიფესტის წაკითხვა და ხალხის დაფიცება სომეხთა ვანქის ტაძარში. წირავდა რუსეთიდან ჩამოსული სომეხთა კათალიკოსად ახლად არჩეული იოსებ არღუთაშვილი – მხარგრძელი, რომელიც შეეცადა ზეიმისათვის მიეცა იმპერატორის სახელის განსადიდებლად კიდევ უფრო მეტი ელფერი. დავით ბატონიშვილი იძულებული იყო ამ ზეიმსაც დასწრებოდა.

62. რუსული მართებლობის შემოღება ქართლ-კახეთში. ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების ზეიმურად თბილისში გამოცხადების და რუსეთის იმპერატორის სახელზე თვით ბატონიშვილების, წარჩინებულთა და ხალხის დაფიცების შემდეგ მდგომარეობა თბილისში ძირეულად შეიცვალა. ამ

დროს ქართლ-კახეთში უკვე იყო დაბინავებული სამ ათასამდის რეგულარული რუსის ჯარი. გარდა ამისა თბილისში იცოდნენ, რომ განკარგულება იყო პეტერბურგიდან თბილისისაკენ კავკასიის ლინიიდან რუსის ახალი ჯარების გამოგზავნის შესახებ. მართლაც მალე, გაზაფხულზედვე, თბილისში ჩრდ. კავკასიიდან მოვიდა რუსის ახალი ჯარი. ხოლო 1801 წლის სივრცეზე ამ ჯარის რაოდენობა უკვე ავიდა 10 ათას კაცამდის. მხედველობაში მისაღებია ამასთანავე ის გარემოება, რომ რუსის ჯარი, ევროპულ წესზე მოწყობილი და გაწვრთნილი, ამ დროს ერთერთი საუკეთესო იყო მთელს ევროპაში ხოლო რეგულარული ჯარი ევროპის გარდა სხვაგან ამ დროს თითქმის არ არსებობდა. რუსის ჯარი შესდგებოდა თითქმის მთლიანად ქვეითისაგან და ძლიერი იყო თავისი არტილერიით. ამ ქვეითი ბატალიონების მტკიცე და მაგარ მწყობრს, რომელიც ხიშტიანი თოფებით იყო შეიარაღებული, სხვა არარეგულარული ჯარი და ვერც ცხენოსანი არარეგულარული რაზმები ვერას აკლებდნენ. ამიტომ თუმცა ქართველებს ჰყავდათ ძლიერ კარგი კავალერია, შემდგარი უმეტესად თავადიშვილებისა და აზნაურებისაგან, მაგრამ ის უძლური იყო რკინისებური დისციპლინის მქონე როტებისა და ბატალიონების ქვეითი ხიშტიანი მწყობრის მიმართ. ამიტომ ასეთი მწყობრის წინაშე სამჯერ და ოთხჯერ მეტი რაოდენობის არარეგულარული ჯართაც კი გამოსვლა თითქმის უიმედო საქმე იყო. ამას კარგად ხედავდა ყველა. და ამიტომ სახელმწიფოებრიობის ყოფნა არ ყოფნის საკითხი იდგა. ქართლ-კახეთის სამეფოს მესვეურნი ასეთ კრიტიკულ დროშიც კი ხელფეხ შეკრულნი აღმოჩნდნენ. მემკვიდრე დავით ბატონიშვილი, როგორც პეტერბურგში ნამყოფი და საიმპერატორო გვარდიის ერთ-ერთ საუკეთესო პოლკში ნამსახური, ყველაზე უკეთესად ერკვეოდა საქმის ვითარებაში და ამიტომ მან უარყო სოლომონ ლიონიდის წინადადება გამოცხადებინა თავისი თავი მეფედ და გენ. ლაზარევის წინააღმდეგობის შემთხვევაში რუსის ჯარსაც ამხედრებოდა, რადგანაც ეს ეხლა იქნებოდა რუსეთის იმპერიის მიმართ აშკარად მტრული აქტი, რომელსაც არავითარი სანუგეშო პერსპექტივა არ უჩანდა არც ქართლ-კახეთის სამეფო სახლისთვის და არც ქართველების ძალაგამოლეულ ქვეყნისათვის. ასეთ პირობებში გენ. ლაზარევი თავს თბილისში სრულ ბატონ-პატრონად გრძნობდა. დავით ბატონიშვილი იძულებული იყო შერიგებოდა მდგომარეობას და მთელი იმედი ისევ რუსეთის მთავრობაზე დაემყარებინა. მას მართებლობის შენარჩუნების იმედი ჰქონდა, თუნდაც მისი მამის გიორგი XII-ის მიერ მოხაზულ ფარგლებში. მან განმარტა თავისი მამის საბედისწერო პროექტი ახალი მუხლების დამატებით და ელჩების და დეპუტატების ხელით გააგზავნა პეტერბურგს. ამ ახალი პროექტით, ქართლ-კახეთის სამეფო უნდა შეერთებულიყო რუსეთს, მის მმართველად დანიშნულიყო სამეფო სახლის ერთი წევრთაგანი იმპერატორის მოადგილის ხარისხით, ხოლო ადგილობრივ საქართველოში კი მეფის ტიტულით, და მოადგილის ეს თანამდებობა დარჩენილიყო მემკვიდრეობით გიორგი XII-ის გვარეულობაში. იმპერატორის მემკვიდრეობით მოადგილესთან უნდა ყოფილიყო მის თანამემწედ რუსეთის ერთი მოხელეთაგანი, რომელიც მოაწყობდა ქვეყნის მართვა-გამგეობას რუსეთის კანონების მიხედვით. მეფეს უნდა მისცემოდა ჯამაგირი და რუსეთში სოფლები, ხოლო სამეფოს შემოსავალი გადასულიყო რუსეთის განკარგულებაში. თბილისში უნდა მოჭრილიყო ფული, რომელსაც ერთ მხარეზე ექნებოდა რუსეთის ღირბი და მეორეზე საქართველოსი.

ქართლ-კახეთში ამ დროს მდგომარეობა იყო სრულიად გაურკვეველი. სახელმწიფოებრივი ავტონომია ისპობოდა და მისი დამცველი სერიოზული ძალა უკვე არ სჩანდა. მეფობის პრეტენდენტები, იულონ ბატონიშვილი და ორი მისი ძმა, დავით ბატონიშვილისა და რუსის ჯარის შიშით იმერეთში იყვნენ გაქცეულნი. ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთში იყო გახიზნული და იქიდან ცდილობდა მეფობის აღდგენას. დარჩენილიყო დარეჯან დედოფალი, მაგრამ ის ეხლა უძლური იყო რაიმე მოემოქმედნა. ამგვარად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამცველნი მეთაურნი დაქსაქსულნი იყვნენ, ხოლო მემკვიდრე დავითი თვით აწერდა ხელს სახელმწიფოს გაუქმების აქტს. დიდ-შემძლე თავადების ის ზემოთ დასახლებული ნაწილი, რომელიც უკმაყოფილო იყო დავით ბატონიშვილით, არჩევდა რუსული მმართველობის დამყარებას. ასეთი იყო განსაკუთრებით მეწინავე დროშის სარდალი და ქართლის სახლთუხუცესი თავ. იოანე ორბელიანი, მის გარდა ასეთნი იყვნენ ზემო ქართლის ჩრდილოეთი ნაწილის სარდალი თავადი ოთარ ამილახვარი, მუხრან-ბატონი თავადი კონსტ. ბაგრატიონ-მუხრანელი, თბილისის მელიქი თავადი დარჩია ბებუთაშვილი და სხვანი. მეტ-ნაწილად ამათ მოელოდათ დავითისაგან გადაყენება და ზოგი მაგ, სარდალი ოთარ ამილახვარი მან

კიდევ გადააყენა. საერთოდ დავითი აპირებდა მმართველი აპარატის შეცვლას და ნაწილობრივ ამას კიდევ ახორციელებდა.

ხალხის ფართო მასაც — გლეხობა — არავითარ ინტერესს მეფობის აღდგენის საკითხისადმი არ იჩენდა. გლეხობა თავ-მობეზრებული იყო თავიანთი მებატონეების სძირი თვითნებობით და ძალადობით. ჩივილიც გლეხებს მებატონეების თვითნებობის და ძალადობის შემთხვევებში არ შეეძლოთ, რადგანაც სახელმწიფო მმართველობა გიორგი XII-ის დროს მეტად დაშლილი იყო. მაგრამ გლეხობისათვის განსაკუთრებით დიდ უბედურებას წარმოადგენდა ლეკების გახშირებული თარეშები და მუდმივი თავდასხმები. გლეხი ჰკარგავდა ამ თავდასხმების დროს ცოლს, შვილებს, ხშირად თვითონაც იკარგებოდა და მისი მხსნელი არავინ იყო. თავად-აზნაურნი თავიანთ ციხე-კოშკებში და მკვიდრ სასლებში ისხდნენ და მღვერებშიდაც სოფელზე ლეკების თავდასხმების შემთხვევაში ყოველთვის არ გადიოდნენ. ქართული მართებლობა კი, გლეხების თვალში, უძლური იყო გლეხების დაცვა მოეწყო. გლეხობა ვერ ერკვეოდა, თუ რა უბედურებას შექმნიდა მოსალოდნელი რუსული მართებლობა, მაგრამ რუსის რეგულარული ჯარის სიკარგე კი ყველასათვის ცხადი იყო და გლეხობას იმედი ჰქონდა, რომ რუსის დახმარებით შესაძლებელი იქნებოდა თუნდაც ლეკების თარეშულ რაზმებისაგან ოჯახების დაღუპვის თავიდან აცილება.

ხალხის ამგვარმა სულისკვეთებამ შესაძლებლობა არ მისცა ბატონიშვილებს თავიანთი ზრახვები განეხორციელებინათ.

1801 წელს მარტში პეტერბურგში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. განზრახული იყო იმპერატორ პავლეს მხოლოდ გადაყენება, მაგრამ ის დახრჩობილ იქნა. მისმა მემკვიდრემ ალექსანდრე I-მა რუსეთთან ქართლ-კახეთის შეერთების საკითხში ყოყმანი დაიწყო. [ალექსანდრე და მისი მთავრობა ამას სთვლიდნენ უსამართლო საქმედ. გარდა ამისა ამ დროს რუსეთის მთავრობა იყო ინგლისთან კარგი ურთიერთობის მომხრე და ამიტომ მათ არ უნდოდათ საქართველოში ფეხის მოკიდებით ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, რომ თითქოს რუსეთი ემუქრებოდა ინგლისს ინდოეთის მიმართულებით. ამიტომ იმპერატორი ალექსანდრე და მისი უახლოესი მრჩეველები ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების წინააღმდეგნი იყვნენ. იმპერატორის განკარგულებით საკითხი ქართლ-კახეთის რუსეთის მიერ შეერთების გადასინჯვის შესახებ ორჯერ (11 და 15 აპრილს 1801 წ.) დასმული იყო რუსეთის ახლად დაარსებულ სახელმწიფო საბჭოში ორჯერვე გაფრთხილებით, რომ იმპერატორი უარყოფით უყურებს ამ ფაქტს და მიაჩნია ის უსამართლო საქმედ, მაგრამ სახელმწიფო საბჭომ ორჯერვე გამოთქვა აზრი ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების მიზანშეწონილობის შესახებ, ერთ-ერთი მთავარი მოტივი იყო ის, რომ ქართლ-კახეთი, როგორც კავკასიის მთიანეთის ზურგში მყოფი, ხელს შეუწყობს რუსეთის საზღვრების დაცვას კავკასიელ მთიელთაგან ჩრდ. კავკასიაში მარტო იმიტაც, რომ ქართლ-კახეთის გამო მთიელებს არ ექნებოდათ შესაძლებლობა მთელი თავისი ძალებით გამოეღალაშქრათ რუსეთის ხელქვეითი მხარეების წინააღმდეგო. მამასადამე, ქართლ-კახეთს რუსეთის ინტერესების თვალსაზრისიდანაც უნდა გამაგრებო. ხოლო უკეთუ ქართლ-კახეთი დაღუპვისაგან თავის გადარჩენის მიზნით იძულებული გახდებოდა მიმხრობოდა ოსმალეთს, მაშინ შეიქმნებოდა საშიში სურათი. მთელი კავკასია გადავა ოსმალეების ხელში, რომელთა წინააღმდეგ რუსეთს მეტად გაუძნელდებოდა თავისი გაშლილი ველოვანი სანაპირო ქვეყნების დაცვაო. მით უმეტეს, რომ მოწინააღმდეგეს თავის ხელთ ექნება მიუვალი მალალ-მთიანი ქვეყნებიო. ამიტომ რუსეთის სახელმწიფო საბჭო ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებას საჭიროდ სთვლიდა რუსეთის იმპერიის ინტერესების თვალსაზრისით.

ამის შემდეგ იმპერატორ ალექსანდრე I-მა გამოგზავნა თბილისში კავკასიის ხაზის უფროსი გენ. კნორინგი გამოსარკვევად, შეუძლია თუ არა ქართლ-კახეთს თვითონ გაართვას თავი სიძნელეებს და შეეფერება თუ არა ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთება ადგილობრივი ხალხის ინტერესებს. გენ. კნორინგი 700 კაზაკით გაემგზავრა ქართლ-კახეთს. დავითის მოწინააღმდეგე ზემოდასახლებულმა ჯგუფმა, გენ.ლაზარევის შეგულთანებით, ცალმხრივად გააცნო თბილისში ჩასულ კნორინგს საქმის მდგომარეობა და მოიხსოვა დავითის გადაყენება. კნორინგი იყო შვედური წარმოშობის პირი, რომელიც ცდილობდა რუსეთისადმი ერთგულებით თვით რუსებისთვისაც კი გადაეჭარბებინა. თბილისში ის მოდიოდა ისედაც საკითხისადმი ტენდენციურად განწყობილი, ამიტომ მან ხელზე დაიხვია გენ.ლაზარევის აზრი და საკითხი გადაწყვიტა მარტივად — ბატონიშვილი დავითი გადააყენა მართებლობიდან და მმართველად სამოქალაქო დარგში დანიშნა ყოფილი ელჩი კოვალენსკი. ხოლო უკან

დაბრუნების შემდეგ კი გენერალმა წარმოადგინა პეტროგრადში მოსხენება, რომ ქართლ-კახეთი რუსეთის დაუხმარებლად შეიძლება გახდეს შინაური ომების მსხვერპლი და რომ ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთება შეეფერება არა იმდენად თავადების, რამდენადაც ტანჯული ხალხის ინტერესებს.

ამის შემდეგ რუსეთის მთავრობის წრეებში საკითხი ქართლ-კახეთის შესახებ საბოლოოდ გადაწყდა შეერთების სასარგებლოდ. ამისი განხორციელება მითუმეტეს ადვილი იყო, რადგანაც რუსეთს უკვე ჰყავდა ქართლ-კახეთში ათი ათას კაცზე მეტი ჯარი.

1801 წელს 12 სექტემბერს გამოვიდა იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ ხელმოწერილი ახალი მანიფესტი ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ. მანიფესტის ტექსტი დაწერილი იყო პლატონ ზუბოვის მიერ, რომელიც ეკატერინე II-ის ფაფორიტად მყოფობის დროს ქართლ-კახეთის სამეფოს გაფართოებასაც კი უჭერდა მხარს.

როდესაც ამ მანიფესტით გამოირკვა, რომ ქართლ-კახეთში მყარდება რუსული მმართველობა, ბატონიშვილები, რომლებიც აქამდის ორ ბანაკად იყვნენ გაყოფილნი, გაერთიანდნენ და ცდილობდნენ როგორმე ქართლ-კახეთის სამეფო შეენარჩუნებინათ. ამასვე ცდილობდნენ რუსეთში გაგზავნილნი გარსევან ჭავჭავაძე და მისი ამხანაგები. გარსევან ჭავჭავაძისთვის პავლე I დაპირება ათასი მამრი გლეხის (დაახლ. 300 კომლის) ბოძებას რუსეთში, ცარიელ დაპირებად რჩებოდა. ამიტომაც გარს. ჭავჭავაძე ესლა გულწრფელად მოქმედებდა ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის შესანარჩუნებლად.

10 იანვარს 1802 წელს დავით ბატონიშვილმა წერილით, იმერეთში გადასვნილ იულონის მიმართ, უარი სთქვა ყოველგვარ პრეტენზიაზე ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მიმართ. ამ წერილში დავით ბატონიშვილი წერდა იულონ ბატონიშვილს:

უმოწყალეო მეფის ძეო, იულონ.

ჩემო მოწყალეო ხელმწიფეო.

ამ უამად ოდეს წარვიკითხე განცხადება ესე ერთადმი ქართლოსიანთა ამაღ საჭიროდ ვრაცხე მორთმევაჲ ამისი ვა ნანდვილისადმი პატრონისა ჩვენისა რათა განიხილოს სხვათა თანა პაზრთა ორნიცა ესე ამას მა აზრნი შთადებულნი უგანათლე-ბუღესობამან თქვენ,

ამას შინა აცხადებს ორსავე მხრისა შფოთსა და სხვასაცა ახლისა მხრისა პირის პირ განრეშომობასა სახლისადმი ჩვენისა და ამა მიზეზებითა აპირობენ შეჭნობასა დიდისა იუსტინიანესაგან აჰყვებულისა სახლისასა,

ვინადგან უბრალოსა არა ეჭირვება განმართლება თავისა გარნა შესაწყალსა ზომიერსაცა შა, ამით განმანობილი ვიმართლებ თავსა, უგანათლებულესობისა თქვენისა წინაშე. ვა მონაჲ პატრონისად და ვა შვილი მამისად.

ოდეს მამამან თქუენმან და პაპამან ჩემმან ინება კანონისა დადებაჲ სახლისათჳს თვისისა თანმოწმობითა ქართველთათა; და შდ ძმისა თქვენისა დაგადგინათ მოსაყდრედ, უკეთუ ესე იყო ჩემდა საგრძნო, მაშინცა ვიწყე რუდუნად მეგობართა შორის ჩემთა მაგრა არა რაჲ, და შდ უამთა რაოდენთამე ოდეს გარდაიცვალა მამა თქვენი და პაპა ჩემი, თქუნსჴე ხართ მოწამე და მხილველი რლი მე არა ვიყავ მამულსა ჩემსა, და რაიცა აღთქუშით აღთქმაი ურთიერთარს ძმათა, ოდეს მოვიქეც მუნით და ვსცან მითცა, არა ვიწყე რუდუნაჲ რისათჳს ღთი მყავს მოწამედ და სინიდისი. და კდ ამაზედაცა დაემოწმებ სინიდისსა ჩემსა რლ ვირე გარსევან ჭავჭავაძესა არა მიერთმია ღრამატაი ძმისათჳს თქუშნისა, მუნ უამამდის არა რა მიცვნიეს, და ოდეს შევესწარ წარკითხვასა რომელთაც მხიარულითა პირითა ჰყვეს ჩემდამო მოლოცვაი და ნაცვალ გებით არა თუ მაღლობისა მიმთვალველ ვიქმენ, ად ვაჩვენეცა უსახური სახე რომლისათჳსცა ვიქმენ მთელსა თვესა კრიტიკასა შა, და სხვანი ესე ნიშანი დადებულნი ჩემზე და სხვისა არა რაიმესა მნიშვნელ იყო გარდა სამსახურსა შა აღრიცხულობისათვის, ვა სხვანი სპასპეტნი, რომელიცა კმა ვიქმენ როჭიკისა ჩემისა.

უკეთუ წყინება და განემზომობაი მედუა გულსა, შდ გარდაცვალებისა ძმისა თქუშნისა მეცა მოველ მერყეობასა ვა სხუანი, მაგრა ანდერძი საკვირველისა და სანატრელისა პაპისა ჩემისა მაქუნდა საგან დაბრკოლებისა, ვიდრე მოსულადმდე გიორგისა და ელიაზარისა, რლთაცა წარმომიდგინეს აქთანის მინისტერიით სადღესასწაულოთა დღესასწაულებითა და მძლეს. ვა კაცსა, არათუ მხოლოდ რჩევით ად შიშითაცა, შიშნულ მევეს სახელითა პავლესათა, რომელსაცა ძრწოლად მოეყვანა ყოველი სოფელი: და გარდაასხეს გესლი სახლსა ჩვენსა, რლიცა მათ თვისისა მამისა ეშმაკისაგან რწმუნებოდათ.

აწ დაუტევოთ ყოველივე ცუდ სიტყვაობა, უგანათლებულესობა თქუშნი დაშთა სახლსა ამას ნაცულად მეფისა ირაკლისა და გიორგისა, მამად და ერთა ქართლოსიანთა პატრონად. აწ შეიმოსე მამაკაცებრივი სიმხნე და აღადგინე დაცემად მიახლოებული სახლი ესე, რლიცა არს აღგებულ უმეტეს ათისა საუკუნისა, და გამოიხსენ სახლი თქუშნი ყვედრებისაგან ყოვლისა ევროპიისასა წინაშე და ყოვლისა ქვეყანისა, და ჩვენცა გვიზიარედ მონად მოყუსითურთ და მეგობრით. უგანათლებულესობისა თქუშნისა წე, რომლიცასაცა მსურველნი ქრისტიანებრითა აღთქმითა და ნანდვილითა სინიდიისითა გვებულ ვართ მონად და მოსამსახურედ უგანათლებულესადმი თქუენისა,

(ბეჭედი დავითისა)

1802 წელსა იანვარს ი

ტფილისს

უმდაბლესი მონა

დავით

როგორც ეტყობა ქართლში დარჩენილი ბატონიშვილები ამ ჟამად დიდ იმედებს ამყარებდნენ იმერეთის მეფე სოლომონ II-ზე, რომელიც ისედაც მხარს უჭერდა თავის ბიძას, დედის მხრივ იულონს. მაგრამ იმერეთის ამოქმედება რუსების წინააღმდეგ იყო ძნელი საქმე, რადგანაც ზურგში იმერეთის მეფეს ჰყავდა მტრულად მისდამი განწყობილი მთავარყოფილი გრიგოლ დადიანი, რომელიც ყველანაირად ცდილობდა თავისთვის ოდიშის მთავრის ადგილის დაბრუნებას. მაგრამ ამის გარეშეც, იმერეთი, დასავლეთ საქართველში მდგომარეობა დამშვიდებულიც რომ ყოფილიყო, ვერ შესძლებდა ქართლ-კახეთში უკვე ბლომად მყოფ რუს რეგულარულ და კარგად გაწვრთნილ ჯართან გამკლავებას.

ამიტომაც დავით ბატონიშვილის ხსენებულ წერილს არ მოჰყოლია არავითარი პრაქტიკული შედეგი, რადგანაც პეტერბურგში უკვე გადაწყვეტილი იყო ქართლ-კახეთში¹ რუსული მართებლობის დამყარება. მაგრამ პეტერბურგსა და თბილისს შორის დიდი მანძილების გამო მუდმივი ახალი რუსული მართებლობის გახსნა ქართლ-კახეთში მაინც გვიანდებოდა. ბოლოს თბილისში კვლავ ჩამოვიდა ესლა უკვე მთავარმართებელად დამტკიცებული გენ. კნორინგი და ყოფილ ქართლ-კახეთში შემოღებულ იქნა რუსული საგუბერნიო მმართველობა ზოგიერთი ცვლილებებით. სახელდობრ, მმართველობის სათავეში დაყენებული მთავარმართებელი დიდი უფლებებით იყო აღჭურვილი. ის ამავე დროს ითვლებოდა ქართლ-კახეთში მყოფ რუსეთის ჯარის უფროსად. ზოლო სამოქალაქო საქმეების გამგედ ეგრეთ წოდებული საქართველოს (ქართლ-კახეთის) მმართველად დანიშნულ იქნა ხსენებული კოვალენსკი (აპრილი, 1802 წ.). რუსებმა ქართლ-კახეთში არსებული მმართველობის გარდაქმნა გაატარეს რუსეთში არსებული წესების მიხედვით და მათი გადმოღებით. დაარსდა ეგრეთ წოდებული საქართველოს დროებითი მმართველობა 4 ექსპედიციით (განყოფილებით) საქმეების წარმოებით ყველგან რუსულ ენაზე. უფროსებად და სხვა მოხელეებად იყვნენ რუსეთიდან მოწვეული ჩინოვნიკები, მრჩეველებად კი ნაწილობრივ ქართველ თავადთაგან, მაგრამ თარჯიმნების სიმცირის გამო მართებლობის რუს-ქართველ წევრთ ერთმანეთის არ ესმოდათ, რის გამოც საქმეები განუხილველი რჩებოდა. საქართველო გაყოფილ იქნა 5 მაზრად, რომელთა სათავეში დაყენებულ იქნენ რუსი კაპიტან-ისარაენიკები (მაზრების უფროსები). ადგილობრივი ცხოვრების თავისებურობათ არსად ყურადღება არ ექცეოდა. ამიტომ ახალი მმართველობა იწვევდა ბევრს გაუგებრობას და უკმაყოფილებასაც.

¹ ქართლ-კახეთის ყოფილ სამეფოს ტერიტორიას რუსები ეძახდნენ Грузия-ს – საქართველოს.

ახლად ჩამოყვანილი რუსი მოხელეებიც უმეტესად იყვნენ თავის ქვეყანაში სხვადასხვა ბოროტმოქმედებით სახელგატეხილნი, რადგანაც ხეირიანი ჩინოვნიკები რუსეთიდან შორეულ საქართველოში არ მოდიოდნენ. ასეთი ჩინოვნიკების ხელში მოსახლეობის ყველა ფენა გაჭირვებაში ჩავარდა, გახშირდა მექრთამეობა და სხვა ამგვარი სამსახურებრივი ბოროტმოქმედებანი.

რუსეთის მთავრობის წინაშე საქართველოში დამკვიდრების დღიდანვე დადგა საკითხი მტკიცე მმართველობის შემოღების შესახებ. საჭირო იყო ფეოდალური დროის წეს-წყობილების შეცვლა და, ახალ მოთხოვნილების თანახმად, ერთიანი ცენტრალური მმართველობის დამყარება. მეფობის დროს არსებული მმართველობის წესი ახალ დროსთან შედარებით ბევრს შეუსაბამობას შეიცავდა, თანამდებობანი ხშირად გადადიოდა მემკვიდრეობით ანდა რჩებოდა ერთსა და იმავე გვარში. სახელმწიფო შემოსავლის სხვადასხვა დარგი ჩვეულებრივ, ცენტრალურ მმართველობის მოუწყობლობის გამო, იჯარით იყო გაცემული, რაც ადვილებდა ბოროტმოქმედებას და ხალხს ბევრს შევიწროვებას აყენებდა. მეფის სახასო სოფლების სამოურაოდ გაცემა მემკვიდრეობით რომელიმე გვარში, ანდა კიდევ ახლად გაწეულ რომელიმე სამსახურისათვის აგრეთვე აძლიერებდა ხალხის შევიწროვებულ მდგომარეობას. შიგნით სამეფოში კიდევ არსებობდა სხვადასხვა საბაჟოები, რომლის შემოსავლით ეკლესიის ანდა, განსაზღვრულ თავადთა გვარეულობათა სასარგებლოდ მიდიოდა. ეს საბაჟოები დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდნენ ეკონომიკურ ურთიერთობის განვითარებისათვის და საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმისათვის.

ინსტრუქციაში, რომელიც მისცა იმპერატორმა ალექსანდრემ გენ. კნორინგს, ნათქვამი იყო, რომ რუსული მართებლობა ქართლ-კახეთში უნდა შემოღებული ყოფილიყო ადგილობრივი პირობებისათვის ანგარიშის გაწევით. მაგრამ გენ. კნორინგმა ამისი განხორციელება ვერ შესძლო. ამით სარგებლობდნენ ბატონიშვილები და თავადები და აღელვებდნენ ხალხს ახალი მართებლობის წინააღმდეგ. არა თუ თავადების უმეტესობა (იმათ გარდა ვინც საქმესა და სამსახურში იყვნენ ჩაბმულნი) მათი აზნაურებითურთ, არამედ ხალხის ფართე მასა – გლეხობა – უაღრესად უკმაყოფილო იყო ახლად შექმნილი მდგომარეობით, სულ მალე მას შემდეგ, რაც გაიხსნა მმართველობა და ჩინოვნიკები თავთავის ადგილას დალაგდნენ. გლეხობა, რომელიც სულ რაღაც ერთი წლის წინ უდიდესი იმედებით ხვდებოდა გენ. კნორინგს, როგორც რუსეთის გენერალს, ესლა რუსულ ხელისუფლებისადმი უაღრესად უარყოფითად იყო განწყობილი. ცხადია, რომ ხალხს რუსეთისაგან სამხედრო დაცვის იმედი ჰქონდა და ამას მოელოდა. მაგრამ სრულებით არ ფიქრობდა, რომ დამყარდებოდა ისეთი ახალი მმართველობა, რომელიც ხალხისთვის გაუგებარი და მამასადაძე მიუღებელიც იქნებოდა და ამასთანავე ბოროტმოქმედ პირთა და მექრთამეებით სავსე.

ხალხის ეს უკმაყოფილება მაშინვე ცნობილი შეიქმნა მეზობელი იმერეთის სამეფოს ყველაზე უფრო მიყრუებულ სოფლებშიაც რადგანაც, როგორც ჩანს, იმერეთში თვალყურს ადევნებდნენ ქართლ-კახეთის ამბებს. დამახასიათებელია ამ მხრივ შემდეგი ფაქტი, სწორედ სამი თვის შემდეგ იმისა, რაც თბილისში გაიხსნა ახალი მმართველობა, ჩრდილოეთ კავკასიიდან მთის რაჭაში სოფ. ღებში გადმოვიდა იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ იმერეთის მეფე სოლომონ II-სთან გამოგზავნილი ჩინოვნიკი ალ. სოკოლოვი პატიმრად მყოფი კონსტანტინე ბატონიშვილის განთავისუფლების თხოვნით. (ეს კონსტანტინე იყო დავით II-ის შვილი; სოლომონ II-ეს ის პატიმრობაში ჰყავდა; მისი განთავისუფლება იმპერატორ ალექსანდრე I-ს სთხოვა მისმავე დედამ დედოფალმა ანამ, რომელიც ამ მიზნით პეტერბურგში იყო ჩასული). სოკოლოვის ლებში ჩასვლიდან ორი საათის შემდეგ იმ სოფლის ხალხი აჯანყდა. ყვიროდნენ – ჩვენ ჯერ თვალები არ დგვსივებია რუსების მოსვლის ლოდინში და რომ სოკოლოვის და მისი თანმხლე რუსების მათთან ჩასვლა ხომ არ არის ქართლ-კახელების მსგავსად იმერლების დასაპყრობად მზადების მომასწავებელიო. ერთი ლებელი ამოღებული ხანჯლით მიუვარდა ფანჩატურს, სადაც სოკოლოვის თანმხლე ოსები და რუსები იყვნენ მოთავსებულნი და დასჭრა თავში ერთი ოსი. სოკოლოვის თანმხლე ოსებმა, რომელთაც ის ჩრდ. კავკასიიდან მოაცილეს, და რუსების ერთმა ნაწილმა მოკიდეს ხელი იარაღს, სხვებმა კიდევ დაუშინეს ლებელთ ქვები და ამგვარად მოიგერიეს ისინი (8 ივლ. 1802 წ.), ასეთ სოფელში სოკოლოვი და მისი რუსები მათთვის სამგზავრო საჭირო ცხენებს, რა თქმა უნდა, ვერ იშოვიდნენ და ვერც იშოვეს.

63. ლეკების თარეშების ბახშირება. ხალხი მოელოდა, რომ რუსული მართებლობა და რუსის ჯარი შესძლებდა მოსახლეობის უზრუნველყოფას ლეკთა თარეშებისაგან. სინამდვილეში კი პირიქით გამოვიდა. რუსის ჯარი უმეტეს ნაწილად შესდგებოდა ქვეითისაგან, ხოლო ქვეითი რაზმები უძღურნი იყვნენ დაეხსნათ მოსახლეობა ლეკთა ცხენოსანი რაზმების თავდასხმებისაგან. მართალია, რუსის ჯარი ენერგიულად სდევნიდა ამ მტაცებლურ სათარეშო რაზმებს, მაგრამ იშვიათად თუ რაიმე შედეგს აღწევდა, რადგანაც რუსების ქვეითი რაზმის მოსვლამდის ლეკები თავიანთი ნადავლით და მოტაცებული ადამიანებით შორს იყვნენ. მართალია მეორე წელს რუსებს უკვე ჰყავდათ ქართლ-კახეთში კაზაკების სამი პოლკი, მაგრამ მათი მეტი ნაწილი განლაგებული იყო საზღვრებზე და გარდა ამისა ლეკების ცხენები სისწრაფით სჯობნიდნენ კაზაკების ცხენებს. აქაც, მაშასადამე, უპირატესობა ლეკების სათარეშო რაზმების მხარეზე გამოდიოდა. მოთარეშე ლეკების კადნიერება იქამდის მივიდა, რომ ერთ ღამეს თოფის სროლით მათ ჩაიარეს თბილისის გარეთუბანიც. 1802 წლის აგვისტოში ქართლ-კახეთში შემოჭრილი იყო 3-4 ათასი ლეკი.

ყველაფერი ეს იწვევდა ხალხის დიდ უკმაყოფილებას.

64. თავადების შეთქმულება კახეთში (1802 წ.). დარეჯან დედოფლის და ალექსანდრე ბატონიშვილის თაოსნობით იულონის გასამეფებლად განზრახული იყო სპარსელების ჯარისა ჭარ-ბელაქანის ლეკებითურთ, განჯის ხანის ახალციხის შერიფ-ფაშისა და იმერეთის მეფის სოლომონ II-ის კონცენტრირებული ლაშქრობა ქართლ-კახეთზე. ლეკების შემოსევა ქიზიყის მიმართულებით უკუგდებულ იქნა, სხვაფრივაც ეს გეგმა ამხანად სრულებით ჩაიშალა, მაგრამ ქიზიყში და კახეთში მოეწყო შეთქმულება 50 თავადის და სხვა პირთა მონაწილეობით იმავე იულონის მეფედ გამოცხადების მიზნით. შეთქმულების აქტიური მონაწილენი იყვნენ თავადები ოთარ ჯანდიერი და სვიმონ ქობულაშვილი. შეთქმულება ჩაიშალა. შეთქმულნი დააპატიმრეს, მაგრამ თავის განზრახვათა მონანიების შემდეგ გაანთავისუფლეს.

65. რუსული მართებლობის ხასიათი. საქართველოს მართვას ეხლა იწყებდა რუსული ჩინოვნიკური ბიუროკრატია რუსულ ენაზე. ამ ბიუროკრატიის შესახებ თვით რუსეთში ჯერ კიდევ ეკატერინე II-ის მეფობის უკანასკნელ წელს (1796 წ.) მისი შვილიშვილი მომავალი იმპერატორი ალექსანდრე სწერდა: "ყველა ძარცვას მისდევს, პატიოსან ადამიანს ვერ შეხვდები. ეს არის საშინელება". ხოლო თვით ამ ალექსანდრე I-ის ხანას იმდროინდელი მწერალი და ისტორიკოსი კარამზინი ახასიათებდა ასე: "რომ მოინდომო კაცმა ერთი სიტყვით გამოსხატო ის, რაც ხდება რუსეთში, უნდა თქვა — ქურდობენ". მხოლოდ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ამ სენმა იწყო რუსეთის ბიუროკრატიაში შემცირება, თუმცა მთლიანად ის არ მოსპობილა ვიდრე 1917 წლამდის, როდესაც თვით ამ ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიულ რეჟიმს ბოლო მოეღო.

ეს ბიუროკრატია მოწყვეტილი იყო მოსახლეობას რუსეთშიც, სადაც ის რუსული აბსოლუტიზმის თავისებურ იარაღს წარმოადგენდა ხალხის ფართე მასებზე ბატონობის უზრუნველსაყოფად. მაგრამ რუსეთში ბიუროკრატია შესდგებოდა დიდი უმეტესობით რუსებისაგან. საქართველოში კი სხვა მდგომარეობა შეიქმნა, რადგან აქ რუსულ ბიუროკრატიას ენობრივადაც ადგილობრივ მოსახლეობასთან არაფერი ჰქონდა საერთო.

რუსული ბიუროკრატიული მმართველობის დამყარებით ქართველობას თავისსავე ქვეყანაში მოესპო თვითმოქმედების შესაძლებლობა. განსაკუთრებით ძლიერად სჩანდა ეს XIX ს-ნის პირველი ნახევრის სიგრძეზე.

აი ამ ბიუროკრატიის მეოხებით რუსეთის საიმპერიო მთავრობა ახორციელებდა საქართველოში თავის კოლონიალურ პოლიტიკას. ეს კოლონიალური პოლიტიკა გამოიხატებოდა უპირველეს ყოვლისა ძირითადი ქართული მოსახლეობის ინტერესთა უგულვებელყოფაში, კერძოდ მმართველობაში მხოლოდ რუსული ენის გაბატონებაში და ოფიციალური ხმარებიდან ქართული ენის გამოთიშვაში. ამ მხრივ თავიდანვე შეიქმნა მეტად მძიმე მდგომარეობა. ამასთანავე რუსეთი თავისი მრეწველობის სისუსტის და საერთოდ, შედარებით მაშინდელ დასავლეთ ევროპასთან, ეკონომიკური ჩამორჩენილობის გამო ვერ ახერხებდა საქართველოს გამოყენებას ნედლეულობის ბაზად და საზოგადოდ ეკონომიკის დარგში მისი კოლონიალურ ექსპლოატაციას. ამიტომ რუსეთის კოლონიალურმა პოლიტიკამ მიიღო

საქართველოში თავისებური ხასიათი – მიზნად იყო დასახული რუსული ბიუროკრატიის მეშვეობით რუსებისათვის და რუსული ენისათვის უპირატესობის შექმნა უპირველეს ყოვლისა მმართველობის ყველა დარგებში.

მაგრამ რუსეთის იმპერიამ იკისრა საქართველოს დაცვა გარეშე მტრებისგან. ამიტომ რუსეთის იმპერიას საქართველოსა და ა/კავკასიაში ყოველთვის ჰყავდა მეტნაწილად იმპერიის საერთო სახელმწიფო ხარჯზე დიდძალი რეგულარული ჯარი (ჯერ 25 აასი კაცი, შემდეგ 40 ათასი, კიდევ შემდეგ 50-60 ათასი და XX ს-ნის დასაწყისში 100 ათ. კაცი/ც). რუსეთისათვის ეს იყო ადვილი საქმე, რადგანაც ამ დროს და შემდეგაც რუსეთის იმპერია წარმოადგენდა ძლიერ მილიტარისტულ სახელმწიფოს. XIX ს-ნის დასაწყისში რუსეთის მუდმივი ჯარი (ჯარში გაყვანილთა სამსახურის ვადა მაშინ 25 წელი იყო) აღწევდა 700 ათ. კაცს ანუ მოსახლეობის თითქმის 2% (ეს მაშინ დიდ პროცენტად ითვლებოდა), ხოლო XX ს-ნის დასაწყისს – 1 1/2 მილ. კაცს.

საქართველოს შიგნითა მდგომარეობა იყო ამ დროს უაღრესად მძიმე. მეფეების დროს არსებული სამხედრო დაცვა მოისპო. მორიგე ჯარი გაუქმებული იყო, თარხან-მსახურთა მეომრებსაც არავინ იწვევდა, ქართული არტილერიაც დაიშალა. საყარაულო პოსტებიც მოისპო. მართალია, სამაგიეროდ ქართლ-კახეთში იდგა რუსის ჯარი, მაგრამ ისინი მოთავსებული იყვნენ უმეტესად ქალაქებში. გარდა ამისა რუსის ჯარი, საუკეთესოდ გაწვრთნილი, შესდგებოდა ქვეითი ბატალიონისაგან, ცხენოსნები იყვნენ ძლიერ ცოტანი. ლეკთა თარეშებისაგან ხალხს დასაცავად სწორედ ცხენოსანი ჯარი იყო საჭირო. ამიტომაც ლეკთა თარეშები დაუსჯევლად ფარფაშებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, "კვალად აღდგნენ ლეკნი, სწერს დავით ბატონიშვილი, დაიწვეს ტყვენვა ქართლისა. დაესხნენ ორგზის ქარელსა და მოსწყვიტეს მრავალნი მუნებურნი. კვალად მიუხდნენ და წარტყვენვეს ყელძეკეული, ეგრეთვე ქენფერი და მსგავსისავე სახითა კახეთითცა წარიღეს მელაანი. კვალად შეკრბნენ ჭარელნი, მოვიდნენ და წარიღეს ივრით ცხვარი თუშთა ვიდრე ოცდაათი ათასამდე, რომლის გამო (ე.ი. ყველაფერი ამის გამო) გამოსცვალეს კნორინლი".

66. პაველი ციციანოვის დანიშვნა ქართლ-კახეთის მთავარმართებლად. ჯერ კიდევ 1802 წლის თებერვალში პეტერბურგში მყოფ ქართველ დეპუტატებმა შეიტანეს მთავრობაში საჩივარი, რომელშიც ისინი თხოულობდნენ როგორც გენ.კნორინგის, ისე კოვალენსკის გამოცვლას, პირველისას – ადგილობრივ პირობათა უცოდინარობის მიზეზით, მეორისას კი მასზე არსებულ ბევრი უკმაყოფილების გამო. დეპუტატები ამასთანავე თხოულობდნენ, რომ ახლად შემოერთებული ქართლ-კახეთის მმართველად დანიშნული ყოფილიყო, რომელიმე წარჩინებული გვარის ქართველი. შედარებით გვიან ეს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა იმგვარად, რომ გენ.კნორინგი გადაყენებულ იქნა და მის მაგივრად მთავარმართებლად (1802 წლის 6 ივლისს) დანიშნულ იქნა რუსეთელი ქართველი თავ. პაველი ციციანოვი (ციციანოვი). ის იყო ვახტანგ V-სთან ერთად რუსეთში გადასულ ერთი თავად ციციანოვის ჩამომავალი მამით და დედით ქართული წარმოშობის, მაგრამ რუსეთში აღზრდილი და მცხოვრები, მცირედ ქართულის მცოდნე, ამასთანავე დიდი ენერჯის და ნიჭის მქონე სამხედრო პირი (უკვე გენერალი).

ციციანოვს იმპერატორ ალექსანდრე I-საგან მიცემული ჰქონდა ინსტრუქცია, ფრთხილად მოეპყრობოდა ქართველებს, ანგარიში გაეწია ხალხის ჩვევებისა და სურვილებისათვის და მოეწყო მართებლობა ისე, რომ ამ ხალხს ძველიდანვე რუსეთის ერთგულის და მისი მფარველობის მაძიებელს, სანაზურად არ გახდომოდა რუსეთთან შეერთება. ასეთი იყო ინსტრუქცია, მაგრამ ცხოვრება თავისას შვრებოდა. რუსი-ბიუროკრატი-ჩინოვნიკები ამ ინსტრუქციის საზის განსახორციელებლად არ ვარგოდნენ. არ ვარგოდა ამისთვის არც ახალი მთავარ-მართებელი ციციანოვი.

ის სულით და გულით გარუსებული იყო და ცარიზმის დიდად ერთგული. ქართველები მას არ უყვარდა. გვარად იწოდებოდა ციციანოვად. მას ალექსანდრე I-ის მიერ დაჯალბებული ჰქონდა რუსეთის საზღვრები ა/კავკასიაში მოერგვალეზინა ვიდრე შავი და კასპიის ზღვებამდის. მან ეს დაჯალბება პირნათლად შეასრულა. ამ ადმინისტრატორმა მართლაც დიდი ღვაწლი დასდო რუსეთის ცარიზმს ამიერ-კავკასიაში. თავისი სამი წლის (1803-1806) მმართველობის სიგრძეზე ციციანოვმა მიიყვანა რუსეთის იმპერიის საზღვრები ამიერ-კავკასიაში შავი და კასპიის ზღვის სანაპირომდის.

ციციანოვმა რუსეთიდან თან ჩამოიყვანა ზოგიერთი იქაური ქართველი. საერთოდ რუსული მართებლობის საქმეს დიდ დახმარებას უწევდნენ რუსეთში გაზრდილი ქართველები, რომელნიც გადმოყვანილ იქნენ აქაურ სამსახურში. რუსეთის მთავრობა საერთოდ ცდილობდა საქართველოში თავისი ბატონობის განმტკიცებას, ასეთი ქართველების მეშვეობით, და მათ მართლაც რუსეთის იმპერიის წინაშე აკავკასიაში დიდი ღვაწლი მიუძღვით. ასეთნი იყვნენ, მაგ, თვით მთავარმართველი გენ. ციციანოვი, გენ. დიმიტრბელიანი და სხვანი.

67. რუსული მართებლობა და წოდებანი ქართლ-კახეთში. რუსული მართებლობის დამყარებად დიდი ცვლილებები შეიტანა წოდებათა მდგომარეობაში. დიდად მოგებული გახდა ეგრეთ წოდებული ტახტის (სამეფო) აზნაურობა, რომელიც რუსეთში არსებული წესის მიხედვით ესლა უფლებრივად გაუთანასწორდა თავადობას. თავადობასთან ერთად ესლა ის შეადგენდა რუსულად дворянство-ს, ქართულად თავადაზნაურობას.

რუსეთში აზნაურობა (дворянство) შედგებოდა ორ თანასწორუფლებიან ფენად — ტიტულიანი (თავადი, გრაფი) და უტიტულო (ჩვეულებრივი) აზნაურებად.

მაგრამ შემდეგში მთავრობა ღებულობდა ზომებს აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ასე, მაგ, ჯერ კიდევ 1811 წ. ყველა საეკლესიო აზნაური გადარიცხულ იქნენ ტახტის აზნაურთა რიცხვში; აზნაურთა წოდების ასამაღლებლად 1832 წ. აეკრძალა მოქალაქეთ ყმების ყოლა. 1833 წ. კიდევ ქართლ-კახეთში განთავისუფლებულ იქნენ სათავადო აზნაურნი (იმერეთ-გურიას ეს არ შეხებია).

მაგრამ თავადიშვილების დიდი უმეტესობა მეტად მცირედ ან სრულებით არ იყვნენ უზრუნველყოფილნი. თბილისში წასვლა და იქ ცხოვრება დიდ უმეტესობას არც შეეძლო. ამიტომაც ისინი ძლიერ მწვავედ განიცდიდნენ სამეფოს გაუქმების გამო სხვადასხვა ხასიათის სამსახურის უქონლობას და მეფის კარის გაუქმებას, სადაც მათ შეეძლოთ რაიმე თანამდებობის ან დავალების შესრულებით ულუფის მიღება. უფრო შეძლებულ თავადებისთვისაც კი მეტად საგრძნობი იყო წოდებული სამოურაოების დაკარგვის შიში.

მოურაობა იყო საქართველოში ფეოდალური მფლობელობის ერთი წესთაგანი. მოურაეს მისთვის სამოურაოდ მიცემულ სოფლების თუ გლეხების საერთო გადასახადებიდან ეკუთვნოდა ერთი მეათედი. ამის გარდა გლეხს მოურავის სასარგებლოდ ედვა სხვადასხვა სამსახურებრივი მოვალეობაც: სოფელს მოურავისთვის უნდა მიეცა მსახური, ეთხოვებინა ცხენები და სხვა. მოურაობა შეადგენდა ოჯახის და ხან გვარის კუთვნილებას და გადადიოდა მემკვიდრეობით. რუსეთის მთავრობამ ჯერ სცადა ეს სამოურაო უფლება სრულებით გაეუქმებინა, მაგრამ თავადაზნაურობისათვის ანგარიშის გაწევით დროებით ის დასტოვა. მხოლოდ მოურავის სიკვდილის შემთხვევაში მის ადგილას მისი მემკვიდრე მოურავად აღარ ინიშნებოდა. მანაც თავადობა ყოველთვის მოელოდა სამოურაოების გაუქმებას და ნერვიულობდა.

საერთოდ კი როდესაც ახალი წესები დამყარდა, თანდათან გამოირკვა, რომ მოსახლეობის ზოგიერთი ფენა ამით დიდად მოგებული დარჩა.

გლეხებს შორის უცბად მოგებულ მდგომარეობაში მოხვდნენ სამეფო ანუ სახასო გლეხები. აიხსნება ეს იმით, რომ რუსეთში ამ დროს ეგრეთ წოდებული სახელმწიფო გლეხები ნახევრად თავისუფალ მდგომარეობაში იყვნენ, ისინი ცხოვრობდნენ სლობოდეზად (სლობოდა წარმომდგარია სიტყვისაგან სლობოდა — თავისუფლება). ქართლ-კახეთშიაც სამეფო გლეხები გადარიცხულ იქნენ საზნაურო გლეხებად და მათ მიეცათ ისეთივე მდგომარეობა, როგორიც ჰქონდა რუსეთის სახელმწიფო გლეხებს.

ამგვარად ძირიანად გაუმჯობესდა ყოფილ სამეფო გლეხების მდგომარეობა, რომელნიც მოსახლეობის მესამედს შეადგენდნენ. რუსეთში სახელმწიფო გლეხები თითქმის თავისუფალ მდგომარეობაში იყვნენ და ამით ისინი ძალზე განსხვავდებოდნენ საბატონო გლეხებისაგან. ასე მოხდა საქართველოშიც. ყოფილი სამეფო სახლის გლეხები ესლა გადაიქცნენ საზნაურო გლეხებად, რომელთა ბატონი უკვე თავს არ აჯდათ. ისინი იხდიდნენ მხოლოდ გარკვეულ გადასახადს ხაზინის სასარგებლოდ. თუ არ ჩინოვნიკების ბოროტმოქმედება და ძალადობა, მათი მდგომარეობა თეორიულად უნდა ყოფილიყო ძლიერ კარგი.

ამგვარად ახალ პირობებში რუსულ მართებლობას პენსიონერი თავადების გარდა გაუჩნდა დასაყრდენი, შედარებით საიმედო ძალა ყოფილ სამეფო აზნაურების და სამეფო გლეხების სახით.

სამაგიეროდ თანდათან უარესდებოდა საბატონო გლეხების მდგომარეობა, რადგანაც რუსეთში არსებული საბატონო კანონები უფრო მძიმე იყო, ვიდრე მანამდის საქართველოში არსებული საბატონო წესები. საქართველოში გლეხებს ჰქონდათ მიწის პირობით საკუთრების უფლება (მებატონეს არ შეეძლო მისი გადაგდება მიწიდან). ქართველი გლეხი შეიძლება ყოფილიყო ნასყიდი მიწის მესაკუთრეც. რუსეთში კი მთელი მიწა მებატონეს ეკუთვნოდა და სხვ. ქართველი მებატონეები ცდილობდნენ ბატონყმობის წესები შეეგუებინათ რუსულ კანონებთან, გლეხები კი ამას მდგრად ეწინააღმდეგებოდნენ და ეს კი ამწვაებდა შიგნით წოდებრივ ურთიერთობას, თესავდა სოციალურ შუღლს და მტრობას.

რუსეთის კანონის მიხედვით, საბატონო გლეხი, რომელიც გაბედავდა თავისი მებატონის წინააღმდეგ ხმის ამოღებას უნდა დასჯილიყო როზგის მრავალჯერ დაკვრით, რის შემდეგ ის გაიგზავნებოდა ციმბირში ნერჩინსკის საბადოებში საკატორლო უალრესად მძიმე პირობებში სამუშაოდ. რუსული ადმინისტრაცია შეეცადა ეს კანონი შემოეღო საქართველოშიც და გამოეცხადებინა კიდევ ამის შესახებ ყველგან ეკლესიებში რამოდენიმეჯერ. მაგრამ ამ კანონის სისასტიკეს თვით მებატონეები შეუშინდნენ, რადგანაც ყოველი ქართველი გლეხი შეიარაღებული იყო, ხანჯალი ყველას გამუდმებით წელზე ჰქონდა და ამიტომ გლეხების მხრივ ტერორის შიშით ხსენებულ ღონისძიებას მეტისმეტად იშვიათად მიმართავდნენ.

შემდეგში თავდაზნაურთ მიაღწიეს იმას, რომ ეგრეთ წოდებული ბატონყმური დებულება აღმ. საქართველოში ფაქტიურად გაუქმებული შეიქნა. მებატონეების მადას ზღუდავდა მხოლოდ შიში თვით გლეხებისადმი, რომელთა მოთმინებიდან გამოყვანა საშიში იყო თვით მებატონეებისათვის და რამოდენადმე კიდევ კანონიც, რომელიც გლეხს მაინც იცავდა მებატონის მხრივ სიკვდილისაგან და გახეიბრებისაგან და აგრეთვე უბემ ძალადობისაგან. საერთოდ კი მებატონეთა გლეხების მდგომარეობა შედარებით სახელმწიფო და საეკლესიო გლეხებთან უფრო და უფრო უარესდებოდა.

თუ რა დიდი განსხვავება შეიქნა მდგომარეობის მხრივ ამ ხანაში სახელმწიფო და საბატონო გლეხებს შორის აღმ. საქართველოში, ეს ჩანს მაგალითისთვის ალებულ ერთი ფაქტიდან. არის ცნობა, თუ რამდენი ვენახი ჰქონდათ 1832-1833 წლების ახლოს კახეთში თელავის მაზრის მკვდრთ. ამ დროს თელავის მაზრის 7276 კომლიდან სახელმწიფო გლეხები იყვნენ 55%, საეკლესიო – 18,1%, საბატონო გლეხები – 25% და მებატონენი – 2%. ვენახების რიცხვი კი მაზრაში შეადგენდა 6286, მათ შორის სახელმწიფო გლეხებს ეკუთვნოდა ვენახების 63,7%, საეკლესიო გლეხებს – 27%, საბატონო გლეხებს – 2,9%, ხოლო დანარჩენი 6,4%, ცხადია, ეკუთვნოდა მებატონეებს. მართალია, აღწერილობა არ შეიცავს ცნობებს თვით ამ ვენახების ფართობის შესახებ, მაგრამ თვით აღწერილობა ადასტურებს, რომ ვენახები იყო სხვადასხვა ზომის – დიდი და მცირე. ცხადია, რომ უღარიბეს გლეხებს (ხოლო ასეთებად ჩანან საბატონო გლეხები) ვენახებიც მომცრო ექნებოდათ; ხოლო, მაგ., მებატონეთა ვენახები, ეჭვს გარეშეა, უმეტეს ნაწილად დიდი ზომისა იქნებოდნენ. მაგრამ უამისოდაც ნათლად ჩანს საბატონო გლეხების სავალალო მდგომარეობა სახელმწიფო და საეკლესიო გლეხებთან შედარებით. სახელმწიფო გლეხები შეადგენდნენ მოსახლეობის 55%-ს, ხოლო ვენახების 63,7% მათ ხელთ იყო. საბატონო გლეხები კი იყვნენ საერთო მოსახლეობის 25%, მათ ხელში კი იყო ვენახების მხოლოდ 2,9% და ეს ვენახებიც, როგორც მოხსენებული იყო, უფრო მცირე ზომისაც იქნებოდა.

68. საქართველოს მოსახლეობა. ქართლ-კახეთის ყოფილ სამეფოში (Грузия-ში) მოსახლეობა იყო სულ 33 ათ. კომლი. კომლზე საშუალოდ 7 ს.ორ. სქ. ამასთან ქართველები იყვნენ დაახლოებით 45%, თათარი 22,5%, სომეხი 17%, ოსი 11,5%. მეტად არეული იყო მოსახლეობა ისტორიულ ქართლში. XIII ს-ის შუაში აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე ქართველობა იყო დაახლოებით 550-600 ათ. ორ. სქ. ესლა კი იყო 130 ათ. ორ. სქ. ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილი მდინარე ხრამის სამხრეთით ესლა დასახლებული იყო თითქმის მთლად თათრებით და მცირედ სომხებით. ქართლის ჩრდილოეთი მთიანი ადგილები ესლა უფრო მეტად ეკავათ ოსებს. სულ ქართლში იყო 19 ათ. კომლი, კახეთში 9 ათ. კომლი, ყაზახში, სადაც 5 ათ. კომლამდის იყო თითქმის 2/3 თათრები იყვნენ და 1/3-

ზე ცოტა მეტი სომხები. XVIII ს-ნის დასაწყისში მაშინდელ ქართლის სამეფოში ქართველობა იყო 74%, ესლა კი იმავე ტერიტორიაზე მხოლოდ 52%. ქართველობა ქართლში წელგატეხილი იყო.

69. ლეკების თავდასხმანი. ამასობაში გრძელდებოდა ლეკების თავდასხმები ქართლ-კახეთზე. თავდაცვის ძველი აპარატი, როგორც ნათქვამი იყო, გაუქმებული შეიქნა, ხოლო ახალმა რუსულმა მართებლობამ ამ საფრთხეს თავდაპირველად თავი ვერ გაართვა. "ამან ციციშვილმან (ციციანოვმან) წარგზავნა მხედრობა ბელაქანსაზედა, სწერს დავით ბატონიშვილი, და მოწვევს ბელაქანი. გარნა მაშინ ვერა აღვირასხა ლეკთა კადნიერებისა, მით რამეთუ მოვიდნენ ქარელსა და მოსწყვიტნენ რუსნი უმეტეს ასისა, ეგრეთვე წარიღეს ჩივაძიანთ-კარი და წარასხეს უმეტეს ასისა ტყვისა. კვალად ბელაქნის მახლობელ წარიღეს რუსთა ცხენნი უმეტეს ხუთასისა და ეგრეთვე მახლობელ ქალაქისა წარიღეს უმეტეს ოთხასისა ცხენი. და იყო მრავალი ვნება ლეკთაგან..."

ლეკთა სათარეშო რაზმების ერთ-ერთ თავშესაფარს შეადგენდა თრიალეთი, რომელნიც 1750-იანი წლებიდან ლეკთავე თარეშების გამო სრულიად გაუკაცრიელებული იყო. ციციანოვმა დაასახლა თრიალეთში წალკაში რამდენიმე მოსახლენი, რომელნიც ყველანი ლეკებმა ტყვედ წაასხეს. "ამასზედან განრისხებულმან ციციშვილმან წარგზავნა მხედრობა საკირეს, სადაცა იდგნენ ლეკნი. იქმნა ბრძოლა მათ შორის, სადაცა იძლიენენ რუსნი, და მოსწყვიტნეს მრავალნი და დანაშინი მოვიდნენ ტფილისსა. კვალად მოვიდნენ ლეკნი და წარტყვენეს ნიჩბისი. კვალად მოვიდნენ სოღანლუხს და წარტყვენეს უმეტეს ორასისა რუსნი. ხოლო არაოდეს მოიხსენებინ და ვერცა დაიტყვეს ისტორიაი ესე, თუ ვითარი ოხრება იყო ლეკთაგან საქართველოსა (ქართლ-კახეთისა) შინა".

ამ თავდასხმების პროცესში ყოფილმა სარდალმა იოანე ორბელიანმა მიმართა ციციანოვს რჩევით – აღედგინა რუსის ჯარის დასახმარებლად მორიგე ჯარის დაწესება, რაც მისცემდა მართებლობას ადგილობრივ მკვიდრთაგან მუდმივად ათასხუთას კაცს, ანდა ამის მაგივრად, მოეწვია მუდმივად სახელმწიფო გლეხთაგან ეგრეთ წოდებულნი თარხან-მსახურნი, რომელნიც ამ დროს 400 კაცამდის იყვნენ და თოფები (ქართული არტილერიის მსახურნი), რომელნიც ამ დროსვე აგრეთვე ოთხას კაცამდის იქნებოდნენ. ის წინადადებას იძლეოდა ექვს სხვადასხვა ადგილას ახლოს სამხრეთ საზღვრებთან დაეყენებია 11 როტა რუსის რეგულარული ჯარიდან და მათთან ერთად ქართველებიც¹. ეს წინადადება ნაწილობრივ მაინც გათვალისწინებულ იქნა.

70. ჭარისა და ენისელის დამორჩილება; ბანჯის სახანოს შემოერთება. ციციანოვი ამასთანავე ენერგიულად შეუდგა ქართლ-კახეთის საზღვრების შემოერთებას და მეზობელი მოუსვენარი სამფლობელოების ალაგმვას. ამ მხრივ ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭარს, როგორც ლეკთა თარეშობის ბუდე. ციციანოვმა გაგზავნა გენ. გულიაკოვის წინამძღოლობით ორ ათასამდე რუსის ჯარი, ხუთი ათასი ქიზიყის და კახელების ჯარითურთ ჭარის დასამორჩილებლად. ქართველ-რუსთა ჯარმა სასტიკად დაამარცხა ლეკები ბელაქანთან და თვით ბელაქანიც გადასწვა. ამ დამარცხების შემდეგ ჭარმა განაცხადა მორჩილება. ამასთან ერთად ენისელის სულთანმაც (მფლობელმა) მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა. ჭარ-ენისელებმა იკისრეს ხარკად 240 ფუთი აბრეშუმის გადახდა (მათ შორის ენისელებმა 20 ფუთის), შინაური მართებლობა მათ დარჩათ წინანდებურად, რის გამო ინგილოები დარჩნენ კვლავ ჭარელების ყმებად (აპრ. 1803 წ.).

ჭარ-ბელაქანის დაპყრობამ და ენისელის შემოერთებამ თუმცა ვერ მოსპო ლეკთა თარეშები, მაგრამ ამის შემდეგ ამ ბოროტებასთან ბრძოლა რუს რეგულარული ჯარისა და ქართული მილიციის წყალობით თვალსაჩინოდ გაადვილდა.

მალე ა/კავკასიაში რუსეთის სამფლობელოს გასაფართოებლად ციციანოვმა გაილაშქრა განჯის სახანოზე. ხანს წინადადება მისცა დამორჩილებოდა, მაგრამ ხანმა ამაზე უარი განაცხადა. მაშინ რუსის ჯარმა იერიშით აიღო განჯა (1804 წ. იანვ.). განჯის სახანო გაუქმებულ იქნა და მის ტერიტორიაზე შემოდებულ იქნა რუსული მართებლობა. თვით განჯას გამოეცვალა სახელი და მას დაერქვა იმპერატორ ალექსანდრე I-ის ცოლის ელისაბედის პატივსაცემად ელიზავეტპოლი.

¹ AKAK, II, 288

რუსულ მართებლობას პირველ ხანებში ძლიერ უჭირდა მმართველობის საქმეებს გაძღვოლიდა. ამიტომ ადგილი ჰქონდა ისეთ არანორმალურ ვითარებას, რომელსაც სახვედა თბილისის კომენდანტი რუსეთიდან გადმოყვანილი და გარუსებული მაიორი თავ. სააკაძე თავის რაპორტში უზენაეს ქართლ-კახეთის მართებლობის სახელზე 3 სექტემბერს 1803 წელს. თბილისის პოლიციას შეადგენდა 36 კაცი (დიდი უმეტესობა უმიწაწყლობის გამო გადმოვარდნილი იმერლები იყვნენ). იანვრიდან დაწყებული ისინი ჯამაგირს არ ღებულობდნენ რის გამოც იანვარ-თებერვალ-მარტში განიცდიდნენ დიდ გაჭირვებას — დადიოდნენ სიცივეში ფეხშიშველა და ზოგს პერანგაც არ ეცვა. მათი შეცვლა კი ენის უცოდინრობის გამო შეუძლებელი იყო. პოლიციელებს უნდოდათ სამსახურისათვის თავი დაენებებიათ, მაგრამ ამის უფლებას მართებლობა არ იძლეოდა. რუს ჯარისკაცებს შორის იყვნენ ქართულის მცოდნენი (ყოფილ წინანდელ დეზერტირთაგან, რომელნიც ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ კვლავ ჯარს დაუბრუნდნენ), მაგრამ სამხედრო სამსახურში ასეთი იყვნენ ძლიერ ცოტანი. თბილისში გახშირდა ქურდობა, ტაცობა, თავდასხმები და სხვ. საჭირო იყო შინაგან მართებლობაში საიმედო დასაყრდენის შექმნა და ასეთ დასაყრდენად, ბატონყმური რუსეთის მსგავსად, აქაც თავადაზნაურობა უნდა გამხდარიყო.

ამ მიზნით ციციანოვმა შეკრიბა ცნობები ქართლ-კახეთის სამეფოში ჯამაგირსა და ულუფაზე მყოფ პირთა შესახებ (ასეთ პირთა დიდი უმეტესობა თავადებისგან შესდგებოდა) და ყველას მათ გამოუთხოვა ჩინები და პენსიები. პენსიები, მართალია, ყოფილი შემოსავლის მხოლოდ ნაწილს უდრიდა, მაგრამ სულ არარაობას თავადაზნაურობის წამყვანი ნაწილისათვის ესეც კარგი იყო.

გარდა ამისა ციციანოვი ჩამოსვლისთანავე შეუდგა ქართველი თავადაზნაურობის ორგანიზებას, როგორც ამის შესაძლებლობას იძლეოდა რუსეთში არსებული კანონი თავადაზნაურთა წინამძღოლობის შესახებ. ეს წინამძღოლები ბალტიის მხარეში იქაურ გერმანელ აზნაურობისათვის იწოდებოდნენ მარშლებად და ასევე სახელი მაშინ შემოღებულ იქნა საქართველოშიც. ოფიციალურად ეს ტიტული შემდეგში ჩვენში უკვე არ იხმარებოდა, მაგრამ ხალხში დარჩა ვიდრე 1917 წლის რევოლუციამდის.

ციციანოვის მიერ შემუშავებულ და იმპერატორის მიერ დამტკიცებულ დებულების თანახმად სათავადაზნაურო საგუბერნიო კრებებზე, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ იმართებოდა, მონაწილეობის მიღების უფლება თავდაპირველად ჰქონდა ყველა თავადაზნაურ მამაკაცს ოცი წლის ასაკზე უფროსს. მაგრამ ექვსი წლის შემდეგ ხმის უფლებისთვის დაწესებულ იქნა ქონებრივი და სამსახურებრივი ცენზი (სამხედრო ან სამოქალაქო) და კიდევ უძრავი კარგი ქონება. ე.ი. შემდგომ კრებაზე ასეთი უფლება იქნებოდა მხოლოდ ობერ-ოფიცრის (უფროსი ოფიცრის) ჩინის ან სამოქალაქო სამსახურში სათანადო ხარისხს მიღწეულ თავადს ან აზნაურს. თანამდებობაზე არჩევისათვის თავადს და მეორეხარისხოვანი ადგილებისათვის აზნაურს უნდა ჰქონოდა საკუთრებად სოფელი ან ჰყოლოდა გლეხები.

დანიშნულ დროისათვის (5 ივნ. 1803 წ.) თბილისში შეიკრიბა 300-მდის თავადაზნაური (აზნაურთაგან მხოლოდ ყოფილი სამეფო აზნაურები).

თვით ყრილობის გახსნა მოხდა დიდის ცერემონიით. ყრილობას წაუძღვა სიონის ტაძარში საზეიმო ფიცის მისაღებად მთავარმართებელი ციციანოვი გენერალიტეტით. შემდეგ მიდიოდნენ თავადაზნაურნი მაზრებად დაწყობილნი. ქუჩებში გამწკრივებული იყო ჯარი. ტაძრიდან დაბრუნებული თავადაზნაურობა შეუდგა არჩევნების ჩატარებას. რამოდენიმე სხდომაზე არჩეული იქნენ გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი, ცალკე მაზრების წინამძღოლები, აგრეთვე თავადაზნაურობის წარმომადგენლები ჯამაგირიანი მრჩეველების სახით საქართველოს უზენაეს მართებლობაში, სამაზრო-საერობო პოლიციაში (კაპიტან-ისპრავნიკების თანაშემწეებად) და სამაზრო სასამართლოებში (ივნისი 1803 წ.).

თავადაზნაურობის მარშლებს (წინამძღოლებს) ჰქონდათ მართებლობასა და თავადაზნაურობას შორის მხოლოდ შუამავლის როლი და წოდებრივი საკითხების გარდა სხვა არა ეკითხებოდათ რა. მაგრამ ფაქტიურად სხვა საზოგადოებრივ ორგანოთა უქონლობის გამო თავადაზნაურობამ მოინდომა ამ თავისი პირველი ნებადართული შეყრილობის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის. ამიტომ სამი თვით ადრე მომავალ შეყრილობამდის თავადაზნაურობაში უკვე დაიწყო მითქმა-მოთქმა და ხელისმომწერათა შეკრებაც — უნდოდათ მოეთხოვათ მართებლობის შეცვლა და, როგორც ჩანს, ავტონომიის აღდგენა. ამ საქმის ინიციატორი იყო თავ. სოლომონ თარხნიშვილი, რომელიც წამოყ-

ენებელი იყო კანდიდატად გუბერნიის მარშლის თანამდებობაზე. მაგრამ ციციანოვმა არ მისცა თავადაზნაურობას არც ხელისმოწერის და მოთხოვნის წარდგენის, და არც სოლ. თარხნიშვილის წინამძღოლად არჩევის უფლება. გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად არჩეულ იქნა გარსევან ჭავჭავაძე, რომელიც მართებლობისათვის უფრო მისაღები იყო.

დარეჯან დედოფალს და ბატონიშვილებს, რომელთაგან ექვსს (იულონს, ვახტანგს, ალექსანდრეს, ფარნაოზს, დავითს და იოანეს) გამოყოფილი ჰქონდათ საუფლისწულოები, თავიანთი წარმომავლობის გამო ტრადიციით ჰქონდათ ხალხზე დიდი გავლენა, რასაც ისინი ახლა რუსული მართებლობის საწინააღმდეგოდ იყენებდნენ. ხსენებული ბატონიშვილების ნაწილი ქართლ-კახეთიდან ასე თუ ისე უკვე გადავარდნილი, ანდა მას მოშორებული იყო და რუსეთის საიმპერიო მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა, ჯერ კიდევ ციციანოვის დანიშვნამდე, ქართლ-კახეთის სამეფო სახლის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ყველა წევრი მათი ოჯახებითურთ გადაეყვანა რუსეთში.

როდესაც ამ გადაწყვეტილების შესაბამისად გენ. ლაზარევიძე ძალით დაუბირა წაყვანა გიორგი XII-ის ქვრივს დედოფალ მარიამს, დედოფლის ერთმა მსლემელმა იძრო ხანჯალი და იქვე მოკლა ეს გენერალი, თვითონ კი გაიქცა და გადავარდა ოსმალეთში. მაგრამ ეს მოხდა ისე, რომ ლაზარევის მკვლელობა თვით მარიამს დაბრალდა. მარიამი ამის შემდეგ ძალით წაიყვანეს და 9 წლით მოათავეს რუსეთის ერთ-ერთ მონასტერში. სხვა ბატონიშვილებიც ამის შემდეგ თანდათან გადასახლებულ იქნენ რუსეთს, სადაც მათ დაენიშნათ პენსიები. მხოლოდ ერეკლე II-ის შვილი ალექსანდრე საბოლოოდ დარჩა სპარსეთში, საიდანაც ის დიდხანს ებრძოდა რუსეთს. ის სპარსეთშივე გარდაიცვალა.

თავადაზნაურობის წინამძღოლების ორგანიზაციას მართებლობა ყოველთვის იყენებდა თავისი მიზნებისათვის — თავადაზნაურობაზე მათი მეშვეობით, საჭირო შემთხვევებში, სათანადო გავლენის მოსახდენად. მეორეს მხრივ თავადაზნაურობამ ისარგებლა ამ ორგანიზაციით და ყოველის მხრივ ცდილობდა ის თავისი წოდებრივი და პირადული ინტერესებისათვის გამოეყენებინა. ისინი წარმოადგენდნენ თავადაზნაურობის ერთგვარ ხელმძღვანელ ძალას.

ბატონყმობის ხანაში თავადაზნაურთა ეს წოდებრივი ორგანიზაცია წარმოადგენდა ამ წოდების ნამდვილ შტაბს თავისი კლასობრივი მდგომარეობის განსამტკიცებლად.

თავადაზნაურობის ამ ორგანიზაციას მართებლობა იყენებდა თავისი პოლიტიკური მიზნებისთვისაც. 1804 წელს იმერეთში გადახიზნული ბატონიშვილები იულონ და ფარნაოზ ცდილობდნენ ქართლის მთის ნაწილის ოსებში დიდი ლიხაჯის ხეობაში აჯანყების მოწყობას. ამის გამო ციციანოვი სწერდა გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლს თავ. შანშე ერისთავს 31 მაისს 1804 წელს, რომ მან სხვა ერისთავების და თავ. მაჩაბლების მოხმარებით მიიღოს ზომები ოსების შესაჩერებლად "მით უმეტეს რომ თქვენ ვალდებული ხართ დაცვათ მშვიდობასა და სიწყნარეში მაზრა, რომელიც თქვენ ერთსულოვნად მოგანდო თავადაზნაურობამ"-ო¹.

72. ბრძოლა დას. საქართველოში იმპერატორისაღმკრ. ოჯახის სამთავროს დამორჩილებისათვის. იმ დროს როდესაც ქართლ-კახეთის სამეფო აღსასრულს უახლოვდებოდა, დასავლეთ საქართველოში წარმოებდა ხანგრძლივი ბრძოლა იმერეთის მეფე სოლომონ II-სა და გრიგოლ დადიანს შორის. იმერეთის რჩევას უკვე შემომტკიცებული ჰქონდა გურია და ეხლა უნდოდა ოდიშის დამორჩილებით მიეღწია დასავლეთ საქართველოს ასე თუ ისე გაერთიანებისათვის. დასავლეთ საქართველოს გაერთიანების დიდი წინააღმდეგი იყო გრიგოლ დადიანი, რომელსაც უნდოდა ოდიშის სამთავროს სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნება. იმერეთის მეფის მხოლოდ უფროსობის აღიარებით. გრიგოლის სამ ძმათაგან მანუჩარი და ტარიელი (მესამე ძმა საზოგადოებრივ ასპარეზზე არ ჩანდა) საჭიროდ სთვლიდნენ, რომ ოდიშა და იმერეთს შორის ყოფილიყო მეტი მჭიდრო ურთიერთობა. ისინი დანიტერესებული იყვნენ კარგი საუფლისწულოს მიღებაში თავიანთი ოჯახების მომავლისათვის სათანადოდ უზრუნველსაყოფად, მაგრამ ამავე დროს ხელმძღვანელობდნენ საერთო ინტერესით, რომ დასავლეთ საქართველოს დაქაასულობა მცირე სახელმწიფოებად შექმნილ პირობებში ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების გამო საფრთხეს უქმნიდა მთელი ლიხთ-იმერეთის თვითმყოფობით არსებობას. ამგვარად, გრიგოლ დადიანის თვალსაზრისი გამოდიოდა ვიწრო დაკუთხობრივი დინასტიური

¹ AKAK, II, 129.

ინტერესებიდან, მისი ძმები მანუჩარი და ტარიელი კი საერთო საზოგადოებრივ ინტერესებს ითვალისწინებდნენ. ამით აიხსნება, რომ იმერეთის რჩევამ გადაწყვიტა ოდიშის შემოსამტკიცებლად გრიგოლის იქიდან საბოლოოდ გადადგება. ჯარით სოლომონ II გადავიდა ოდიშს და დადიანად დასვა გრიგოლის ძმა მანუჩარ. მეფე მაინც მალე მოურიგდა გრიგოლს, იმ პირობით, რომ მას მანუჩარ და ტარიელისათვის კარგი საუფლისწულოები უნდა მიეცა და ლენხუმიც მეფისთვის დაეთმო. მაგრამ გრიგოლმა ეს პირობა არ შეასრულა. მეფემ შემოიკრიბა ჯარი და წავიდა ლენხუმს, გაჭირვებით აიღო ციხე ჭყვიში და დაიბანაკა ლაილამს. გრიგოლი თავისი ჯარით დადგა უსახელოს, სადაც მოხდა სასტიკი ბრძოლა, რომელიც დადიანის დამარცხებით დამთავრდა. მეფემ დაიპყრო ლენხუმი, დადიანობა კი მისცა გრიგოლის მეორე ძმას ტარიელს და თვითონ დაბრუნდა ქუთაისს (1802 წ.). დამარცხებულ გრიგოლმა მიმართა შემწეობისათვის ისევ აფხაზეთის მთავარს ქელაიშ-აჰმედ-ბეგ შარვაშიძეს, რომელიც აფხაზ-ჩერქესთა ვითომ 20 ათასი კაცით მოვიდა და დადგა აბედათს (ნოემბერს 1802 წ.). მეფე დიდის ჯარით მივიდა იქვე. შარვაშიძემ ვერ გაბედა მეფესთან შებრძოლება და უკან გაბრუნდა. მაშინ გრიგოლ დადიანმა სვანეთზე ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლით გააგზავნა თავისი რწმუნებული რუსულ მართებლობასთან თბილისში დახმარების და მფარველობის თხოვნით.

გრიგოლის მიერ რუსულ ხელისუფლებასთან და ფაქტიურად ციციანოვთან გამართულმა მოლაპარაკებამ დიდად შეაფიქრიანა იმერეთის რჩევა, რომელმაც გადაწყვიტა თვით მოეთხოვა იმერეთისთვის რუსეთის მფარველობა დაახლოებით ქართლ-კახეთთან რუსეთის მიერ 1783 წელს დადებული ტრაქტატის ფარგლებში და ამასთანავე უზრუნველყო თავისი უზენაესი უფლებები მთელ დასავლეთ საქართველოში.

ამ აზრით აგვისტოში 1803 წ. იმერეთის მეფის ელჩად პეტერბურგში ჩავიდა სოლომონ ლიონიძე. მაგრამ ამ მოლაპარაკებიდან არა გამოვიდა რა, რადგან რუსის მმართველობამ ციციანოვის სახით არჩია მეფის დასასუსტებლად დადიანთან ცალკე პირობით შეკვრა. მთავარმართებელ ციციანოვის შუამდგომლობით გრიგოლ დადიანი მიღებულ იქნა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში (და არა მფარველობაში), 1803 წელს. რუსეთის ჯარი ყირიმიდან შავი ზღვით ჩავიდა სამეგრელოს და ჩაღდა იქ.

იმერეთის სამეფოს მდგომარეობა გაძნელდა. რადგანაც აღმოსავლეთით და დასავლეთით მას დაუმეზობლდა რუსეთი. მთავარმართებელმა ციციანოვმა აცნობა იმერეთის სარდალს ქაიხოსრო წერეთელს, რომ თუ მეფე რუსეთის ქვეშევრდომობას არ ითხოვს, ჯარებს დავსძრავო და მართლაც იმერეთისაკენ დასძრა რუსის ერთი პოლკი. მეფემ მოინდომა პირადად მოლაპარაკება ციციანოვთან. საზღვართან სოფ. ვახანში სოლომონ II-მ ხუთასი კაცის თანხლებით ინახულა ციციანოვი. მეფე ესლა თანახმა იყო ქვეშევრდომობის პირობებზე ხელი მოეწერა, მხოლოდ თხოულობდა ლენხუმის მისთვის დამტკიცებას. რადგან მოლაპარაკება გრძელდებოდა, ციციანოვმა ბრძანება გასცა რუსის ჯარის დავრის შესახებ იმერეთში შესასვლელად. მაშინ მეფე იძულებული გახდა ხელი მოეწერა თხოვნითი მუხლებისათვის. ამ მუხლების მიხედვით სოლომონ II აღიარებდა რუსეთის ქვეშევრდომობას (25 აპრ. 1804 წ.).

ტრაქტატზე ხელის მოწერის შემდეგ, რაც იმერეთის მეფეს უტოვებდა სულ მცირე უფლებებს, სოლომონი შეეცადა მდგომარეობის გამოსწორებას და მოითხოვა იმპერატორთან ტრაქტატის წარსადგენად თავისი ელჩი გაეგზავნა, მიეცათ მისთვის სამეფო ინსიგნიები (გვირგვინი და სხვ.), ჰყოლოდა თავის ხარჯზე ჯარი რუსული წესის მიხედვით მოწყობილი და აგრეთვე საჭიროების მიხედვით წამოეყენებინა საკითხი ტრაქტატის მუხლების შეცვლის შესახებ. ყველაფერ ამაზე სოლომონმა იქვე მიიღო პავლე ციციანოვისგან უარი. მხოლოდ გვირგვინის და სხვა ინსიგნიების შესახებ ციციანოვმა აღუთქვა სოლომონს — იმპერატორს მოვასხენებო, რაც ფაქტიურად აგრეთვე უარს ნიშნავდა.

იმპერატორის მიერ ტრაქტატის დამტკიცების შემდეგ რუსის ჯარის ერთი როტა დადგა ქუთაისის რუსეთის წარმომადგენელ-მოხელესთან ერთად.

ამგვარად ოდიში და იმერეთი (და იმერეთთან ერთად გურიაც) მოჰყვნენ არავასალურ დამოკიდებულებაში, არამედ პირდაპირ ქვეშევრდომობაში. ხელშეკრულებით დადიანს და იმერეთის მეფეს დატოვებული ჰქონდათ მხოლოდ ადმინისტრაციული უფლებები. ხოლო, მაგ., სისხლის სამართლის საქმეები რუსულ სამხედრო სასამართლოში უნდა გარჩეულიყო.

ალექსანდრე I კმაყოფილი იყო ამგვარი პირობით.

სწორედ ამ დროს (შეიძლება გარკვეული მიზნით) დედოფალმა დარეჯანმა პეტერბურგში მიართვა ალექსანდრე I-ს აზატ-ხანის ნაქონი განთქმული ბრილიანტი. საფიქრებელია, რომ ალა-მაჰმად-ხანი თბილისის ალების შემდეგ ერეკლესთან მორიგების ერთ-ერთ პირობად სწორედ ამ ბრილიანტის უკან დაბრუნებას აყენებდა. ავღანელ აზატ-ხანს ის ალბათ ირანის შაჰების საგანძურადან ექნებოდა მიღებული.¹ როგორ იყო სინამდვილეში, ძნელია თქმა, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ამ ხანაში იმპერატორის დაუაღებოთ პეტერბურგიდან ქართლ-კახეთის მთავარმართებელს ციციანოვს შეეკითხნენ, ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი ისეთივე მდგომარეობა შეექმნათ ქართლ-კახეთისთვის, როგორშიც ეხლა მოხვდა იმერეთის სამეფო. განზრახული იყო, მამასადამე ქართლ-კახეთის ავტონომიური მმართველობის აღდგენა უფლება შეეცეცილი მეფით სათავეში. მაგრამ სისხლით და ხორციტ ქართველი კაცი, მაგრამ არსებითად გადაგვარებული ციციანოვი გადაჭრით ამის წინააღმდეგ წავიდა და ეს საკითხიც მოიხსნა.

გრიგოლ დადიანი შემდგომ წელს გარდაიცვალა (ის მოწამლეს სოლომონ II-ის მომხრეებმა) და მისი შვილის ლევანის სრულწლოვანად გახდომამდე სამეგრელოს მმართველად იმპერატორმა დაამტკიცა გრიგოლის ქვრივი ნინო, რომელიც იყო ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის ასული.

74. რუსეთის მიერ ომის დაწყება სპარსეთთან. 1804 წლის გაზაფხულიდან სპარსეთში იყო დიდი საომარი მზადება. უკვე ამ წლის აპრილში თავრიზში დაგროვილი იყო ვითომ 40 ათასამდის მეომარი. მხედართმთავრად დანიშნული იყო ტახტის შემეკიდრე აბას-მირზა, რომელთანაც იმყოფებოდნენ ქართველი ბატონიშვილები ალექსანდრე და თეიმურაზი. აბას-მირზა განაგრძობდა ახალი ჯარების შეკრებას. თვითონ ფეთ-ალი-შაჰიც ემზადებოდა ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად. სპარსელების ჯარებმა უკვე იწყეს მდაქენზე გადმოსვლა რის შემდეგ 1804 წლის მაისში სპარსეთის პირველმა ვეზირმა გაუგზავნა პავლე ციციანოვს მოთხოვნა ქართლ-კახეთის და თბილისის დაცლის შესახებ. პავლე ციციანოვი თვითონაც ემზადებოდა ერევანზე გასალაშქრებლად და ამისთვის მან დააგროვა ხუთ ათასამდის რუსის რეგულარული ჯარი კახაკების ორი პოლკის ჩათვლით და გარდა ამისა კიდევ სამ ათასამდის ქართველების მილიცია ქართველი თავადების მეთაურობით. ამ ჯარით ის გაემართა ერევანზე 40 ათასი სპარსელების ჯარის წინააღმდეგ. მას სხვა გზა არ ჰქონდა, თუ თვითონ არ გადავიდოდა შეტევაზე, რადგანაც თავდაცვაზე რუსების გადასვლისას სპარსელები შესძლებდნენ სადმე ხაზის გარღვევას და საქართველოში შეჭრას. ამით დაიწყო რუსეთ-სპარსეთის ომი, რომელიც შემდეგშიც ხარვეზებით გრძელდებოდა ვიდრე 1813 წელს გუდისტანში ზავის დადებაამდის და რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული რუსეთის განდევნა საქართველოდან ა/კავკასიის აღმოსავლეთი მხარეებიდან.

74. განწყობილება რუსულ მმართველობისადმი საქართველოში. რუსეთის იმპერიის გაფართოების დროს ამიერ-კავკასიაში მთავარ დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა ქართლ-კახეთი. ციციანოვის დროს ამიერ-კავკასიაში უკვე მოქმედებდა 25000 კაცამდის რეგულარული რუსის ჯარი. ჯარს მისი ცალკე ნაწილების გადაყვანა-გადმოყვანის დროს ხშირად ესაჭიროებოდა სატრანსპორტო საშუალებანი და მმართველობას გადაჰყავდა ქართლ-კახეთიდან ბლომად მეჩალვადრეები თავიანთი ცხენებით და მეურმეები ურემ-ხარ-კამეჩით. სასაიდელი ამისათვის ხან სრულებით არ იყო, ან ძლიერ ცოტა და ამ ცოტა რამესაც რუსის ჯარის სამხედრო მოხელენი ითვისებდნენ. ურემი და ხარკამეჩი გზის სიშორის გამო ხშირად იღუპებოდა და პატრონი რჩებოდა საფასურის აუნახლაურებლად. სურსათის მხრივაც ჯარის გამოძევები უფრო კიდევ ქართლ-კახეთი იყო, თუმცა სურსათი ჯარისთვის ბლომად შემოჰქონდათ რუსეთიდანაც. ყველაფერი ეს მეტად მძიმე ტვირთად აწევებოდა მოსახლეობას მით

¹ გიორგი XII-ის შვილის მიხეილ ბატონიშვილის 1860 წელს განცხადებით, ეს ბრილიანტი იყო სათვალის შუშის ოდენა. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ეს ბრილიანტი შემდეგ აჩუქა თავის დას კეატერინეს, რომელიც გათხოვდა პრინც გიორგი ოლდენბურგსკისზე. ამ ოლდენბურგსკის შვილიშვილისშვილი იყო გაგრის კურორტის გამწებების დამწყები პეტრე ოლდენბურგსკი.

იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ამ ბრილიანტის სანაცვლოდ დედოფალ დარეჯანს დაუმტკიცა ქართლ-კახეთში, წინად დედოფლობის დროს მისი კუთვნილი მამულები.

უმეტეს, რომ მექრთამე, ბოროტმოქმედ და აღვირაშვებული ჩინოვნიკების წყალობით არავითარი სამართლის მოპოება არ იყო შესაძლებელი.

75. მთიულეთის აჯანყება (1804 წ.) პირველი დიდი აჯანყება მოხდა მთიულეთს 1804 წელს. ამ აჯანყების მიზეზი იყო ის სასტიკი ძალადობა, რომელსაც რუსეთის მოხელეები და განსაკუთრებით დუშეთის კაპიტან-ისპრავნიკები (მაზრის უფროსნი) სწადიოდნენ თავისუფლებას მიჩვეული ქართველ მთიულების წინააღმდეგ (მთაში ბატონყმობა მანამდის არ იყო). ამ დროს დარიალის მიმართულებით შენდებოდა ეგრეთ წოდებული საქართველოს სამხედრო გზა და ქართველი მთიულები, რომელნიც ბატონყმურ ურთიერთობას არ იყვნენ შიშვეულნი, ვერ ითმენდნენ რუსის მოხელეთა თარეშს. ხოლო როდესაც რუსეთის სამხედრო პირებმა მიმართეს თიანეთში სხვადასხვა დამამცირებელ ძალადობას და ქალების გაუპატიურებასაც, მაშინ თიანელები აჯანყდნენ. მათ მოჰკლეს კაპიტან-ისპრავნიკი და დახოცეს ოფიცერ-ჯარისკაცები. აჯანყება სწრაფად მოედო მეზობელ მხარეებს და განსაკუთრებით არაგვის ხეობას. აჯანყებულთ დაიკავეს დუშეთი. და გაბედულად აპირებდნენ თბილისზე წასვლას. ეს არ მოხერხდა, მაგრამ აჯანყებულებთან წასულმა ფარნაოზ ბატონიშვილმა შეკრა არაგვზე რუსეთისკენ მიმავალი გზა. ალექსანდრე ბატონიშვილიც ერევნის სახანოდან ჩავიდა აჯანყებულ ყაზახ-ბორჩალოში. რუსი მოხელეები ყველგან საშინლად დაიბნენ, ისინი შეიკრიბნენ და ჩავიდნენ თბილისში.

ციციანოვი ამ დროს რუსეთის ჯარით გალაშქრებული იყო ერევანზე, რომლისთვის მას ალყა ჰქონდა შემორტყმული. სპარსელებმა აქ მას დაუპირისპირეს დიდძალი ჯარი, ასე რომ მალე რუსის ჯარი თვითონაც თითქმის გარშემორტყმული აღმოჩნდა. სურსათის გაგზავნაც რუსის ჯარისთვის დაგვიანდა, რის გამოც ციციანოვი გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი. მაგრამ მთელი მთიულეთის აჯანყების ცნობის მიღებისთანავე მან მოხსნა ერევანს ალყა, დაბრუნდა უკან და საშინელი სისასტიკით ჩაახშო აჯანყება. ფარნაოზ ბატონიშვილი შეიპყრეს და გააგზავნეს რუსეთს. უნდა ითქვას, რომ ზოგი ქართველი თავადი მთავრობის გულის მოსაგებად აქტიურად ეხმარებოდა რუსის ჯარს მთიულების ამოწყვეტაში.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ციციანოვი ემზადებოდა ერევანზე გასალაშქრებლად, ერევნის ხანმა ახლომახლო სოფლების სომხები გააგზავნა გასახიზნად ყარსის საფაშოში, მაგრამ ისინი ბევრი წვლების შემდეგ ჩამოვიდნენ თბილისს, სადაც დასახლებულ იქნენ ავლაბარსა და სოლოლაკში, რომელიც მაშინ გარეთუბნის ნაწილს შეადგენდა. სულ ამგვარად თბილისში დაბინავდა ორი ათას სულზე მეტი სომეხი.

76. შილაკათები მოსახლეობისათვის. მთიულეთის აჯანყების შემდეგ აუცილებელი შეიქნა შინაგან მმართველობაში ზოგიერთი გაუმჯობესების შეტანა.

ბოროტმოქმედ რუს სამოქალაქო და სამხედრო მოხელეთაგან ხალხი მეტად გაწვალებული იყო. ციციანოვი ცდილობდა ამ მოხელეთა თვითნებობის აღაგმვას. შესამჩნევი შედეგათი იყო ხალხისათვის გადასახადების ქართული ლიტრის მტკიცე ზომის შემოღება, რაც აფერხებდა მოხელეთა ბოროტმოქმედებას. გლეხობა ამ ღონისძიებით, რომელმაც მხოლოდ ციციანოვის მართებლობის დროს გასტანა, ძლიერ კმაყოფილი იყო.

ციციანოვი აგრეთვე ზომებს ღებულობდა სამეურნეო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. აპირებდა თბილისში მაუდის ქარხნის გახსნას (რაც არ მოხერხდა), აკეთებდა ცდებს სოფლის მეურნეობაში ახალ კულტურათა დასანერგად და სხვ. კულტურის დარგში თვალსაჩინო მნიშვნელობა ჰქონდა მისივე ინიციატივით ჯერ კიდევ 1803 წელს თბილისში ეგრეთ წოდებულ კეთილშობილთა სასწავლებლის დაარსებას. როგორც სახელიდანაც ჩანს, ამ სასწავლებელში ღებულობდნენ მხოლოდ თავადაზნაურთა შვილებს, რომელთაც უფლება ჰქონდათ ევლოთ ადგილობრივ ტანისამოსში და ხანჯალ-ხმლით. მოწაფეთათვის ასაკი არ იყო განსაზღვრული. ამასთანავე მათ ეძლეოდათ ყოველთვიური მცირე დახმარებაც, სწავლა იყო რუსულად, მაგრამ ისწავლებოდა ქართული ენაც. რუსი მასწავლებლები ერთ ხანს იყვნენ თავისი მოწოდებისათვის შეუფერებელი (ლოთები და სხვ.). სასწავლებელი მიზნად ისახავდა ადგილობრივ მკვიდრთაგან რუსული სამსახურისათვის საჭირო მოხელეების აღზრდას.

77. სახანოების დამორჩილება ალმ. ამირ-ჰაჰანსიში. მთიულეთის აჯანყების ლიკვიდაციის შემ-

დეგ პავლე ციციანოვი შეუდგა აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის სახანოების დაპყრობას და მცირე ხანში მან დაიმორჩილა ნუსის ანუ შაქის, შირვანის და ყარაბაღის სახანოები. ჯერი მიდგა ბაქოზე. ბაქოს ხუსეინ-ხანმა თანხმობა განაცხადა ციხის დათმობაზე. ციხის კარებთან ახლოს, პირობის თანახმად, უნდა მისულიყო ციციანოვი თავისი ადიუტანტით. გაიღო დიდი კარები და იქიდან ცხენით გამოვიდა ჰუსეინ-ხანი ორი ნუკერის (მეომრის მსახური) თანხლებით. ჰუსეინ-ხანმა მისალმების შემდეგ ციციანოვს გადასცა ციხის გასაღები. მაგრამ ბაასის დროს მათ მიუახლოვდა სპარსეთის აგენტებთან დაკავშირებული ჰუსეინ-ხანის ძმისშვილი თავისი ნუკერი. გაეარდა დამბაჩა და ციციანოვი თავისი ადიუტანტით გეარად ერისთავით იქვე მოკლულ იქნა. მაშინათვე ციციანოვის გვამს მოსჭრეს თავი და წაიღეს შიგნით ციხეში, საიდანაც ატყდა ზარბაზნების სროლა. თავზარდაცემულმა რუსის ჯარმა უკან დაიხია (1806 წ.). ციციანოვი შემდეგ დასაფლავებულ იქნა თბილისში სიონის ტაძარში.

ამგვარად გენ. ციციანოვის ხელმძღვანელობით რუსეთმა თავისი რეგულარული ჯარით მოკლე ხანში მიადწია იმას, რასაც ერეკლე II-ის დროს რეგულარულ ჯარს მოკლებულმა ქართლ-კახეთმა ვერაფრის გზით ვერ შესძლო, სახელდობრ დაიმორჩილა ჭარ-ბელაქანი (საინგილო) და ალმ. ა/კავკასიის სახანოები განჯის, ყარაბაღის, შაქის და შირვანის. რუსეთს ამ დროს საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ჰყავდა თავისი რეგულარული ჯარი 25 ათასი კაცის რაოდენობით.

გენ. ციციანოვის სიკვდილის შემდეგ საქართველოს მთავარმართებელად დაინიშნა კავკასიის ლინიის ყოფილი უფროსი გრაფი გუდოვიჩი, რომელსაც ქართველები ემადლიერებოდნენ, რადგანაც ის ქართველებს ციციანოვზე უკეთ ეპყრობოდა. გუდოვიჩი მთავარმართებელად იყო სამ წელს. მისი შემდგომი მთავარმართებელი გენ. ტორმასოვი იყო ბიუროკრატიული განწყობილების ადამიანი და ქართველებისთვის არა კეთილი.

78. მდგომარეობა იმერეთში. როგორც ჩანს, ლიტვინოვის მიერ უნდა იყოს შედგენილი შემ-

დგომი მოკლე აღწერილობა 1805 წლის ახლოს დაწერილი. ამ აღწერილობის თანახმად კომლზე ჩვეულებრივ ერთი კაცის გაწვევით იმერეთის მეფეს შეეძლო 15 ათ. მეომრის გამოყვანა, ოდიშის მთავარს 10 ათ. კაცის და გურიას 3 ათასის. იმერლები, მისი სიტყვით, არიან კარგი მსროლელნი, თოფ-იარაღს ისინი ყოველთვის თან ატარებენ და თვით მეფესთან შედიან სრული შეიარაღებით. სურსათი ყოველ მეომარს თან აქვს წაღებული. ოსმალების შემოსევების დროს იმერეთს დიდ დახმარებას უწევდა უგზობა და ვიწრო გასაღები. გზებს ამასთანავე განგებ აფუჭებდნენ ჩახერგვით და სხვა ხერხებით. იმერლები სიტყვით მამაცნი არიან, მაგრამ ნამდვილად კი 100 იმერელიც ვერ გაბედავს თავს დაესხას 10 კარგად შეიარაღებულ და გამბედავ რუს მეომარს (იგულისხმება რეგულარული ჯარისას). ანაკლიის აღების დროს მეგრული თავადები მიდიოდნენ რუსის ჯარის კოლონების უკან. ყოველი თავადის წინ მის კაცს მიჰქონდა ფართო და სქელი ფიცარი ტყვიებისაგან დასაცავად. თავადს უკან მიჰყვებოდნენ მისი ამაღლის კაცნი, თითო-თითოდ რიგში ჩამდგარნი. ამ ქვეყანაში (იგულისხმება საერთოდ დას.საქართველო) რეგულარული ჯარის მტერია უგზობა და მოძრავი სასურსათო საწყობების წაღების სრული შეუძლებლობა.

ყოფა-ცხოვრების თვალსაზრისით საყურადღებოა ლიტვინოვის ცნობა, რომ ულარიბუჯი აზნაურიც კი სადილობს 10 კაცის თანდასწრებით (თავის შინა მოსამსახურეებით), ხოლო მდიდრებს სადილზე თან ახლავთ 3-4-ჯერ მეტი პირი (ე.ი. 30-40-მდის). სადილზე მიღებულია პატივისცემის ნიშნად ბატონის მიერ თავისი მსახურებისათვის ნაჭრების და პურის გადასროლა, რომელთაც მსახურნი იჭერენ არაჩვეულებრივი სიძარდით. სადილს ქალები არ ესწრებიან. პურის ჭამისას წამყვანი როლი ღვინოსა აქვს დათმობილი. სადილი თუ ვახშამი მარტო საქონლის ხორციითაც კი 3-4 საათი გრძელდება. მისალმების წესები მეტად ზრდილობიანია. მეფე თავისი ქვეშევრდომების წინაშე აუცილებლივ წამოდგება, ხოლო მასთან შესული კი ფეხების გადაჯვარედინებით და თოფით ხელში თავს უკრავს მას მიწამდის. 10-12 წლიდან ყველა დიდებსავით სალამს იძლეოდა. სალამის მიცემა სწარმოებს ფეხების გადაჯვარედინებით და თავის მეტად დაბლა დახრით და თოფზე დაყრდნობით. თავადები თავის შვილებს პატარაობისას აძლევენ გასაზრდელად სხვაგან. ქალების ტანისამოსი (იგულისხმება მაღალი საზოგადოების) შესდგება რამოდენიმე ხელისაგან, რომელთაგან ქვედახელი მზადდება სპარსულ ან რუსულ მდიდრულ და კარგი გემოვნების ფარჩისაგან. ამ ქალებს თავზე

გაკეთებული აქვთ თავსაკრავი, და ზემოდან მოსახვევი მეტად ხელოვნურ და თვალისათვის სასიამოვნო მარტო თხელი კისეიასგან (იგულისხმება ლეჩაქი) ოქროს ფოჩით ანდა მოქარგული არშით. გარეთ გასვლისას ქალები იკეთებენ თეთრ კისეიას ან ბატისტის მოსახურავს, რომელიც მათ ფარავთ თავიდან ფეხებამდის, ასე, რომ მარტო თვალებიღა უჩანთ. დედოფალი წესის მიხედვით დადის მეტად მძიმედ, სულ მცირე ნაბიჯებით; თავადების ცოლები ცოტა უფრო განსხვავებული ნაბიჯებით, ხოლო დაბალი ხალხის ქალები — ჩვეულებრივად. წარჩინებულთათვის ფეხით სიარული ითვლება სირცხვილად, ამიტომ ისინი დადიან მოახლეების და მსახურების მთელი ამაღის თანხლებით, თავადებს აქვთ ცინებები მიუვალ მთებზე. ცინებში ჩვეულებრივ არის ერთი წლის სამყოფი პური და ღვინო.

სასამართლო საქმის გარჩევის დროს ყველა დაჩოქილი და უიარაღოა. მოსამართლესთვის მიაქვთ საჩუქრად (საფიქრებელია "საბჭო" გადასახადის ანგარიშში ხარი, ცხენი, ცხვარი, ქათმები და სხვ. საქმის გარჩევის დროს ხელმძღვანელობენ უფრო ადგილობრივი ჩვეულებებით.

ასეთია ამ აღწერილობის საინტერესო სურათი, რომელიც, როგორც შინაარსიდან ჩანს, ადგილობრივი ცხოვრების მიმართ კარგად დაკვირვებული პირის მიერაა მოცემული.

მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით მდგომარეობა იყო შემდეგი: იმერეთის სამეფოში, რომელსაც შეადგენდა საკუთრივ იმერეთი და რაჭა, მოსახლეობა უდრიდა დაახლოებით 22 ათას კომლს, თითო კომლზე ორივე სქესის შვიდამდე სულის ვარაუდით. ოდიშის სამთავროში, რომელშიაც შედიოდა ლეჩხუმიც და უფრო მეტად სამურზაყანოც (ახლანდელი გალის რაიონი) ითვლებოდა დაახლოებით 13-14 ათასი კომლი, გურიაში, რომლის საზღვარი მდ. ნატანებამდის აღწევდა, (ქობულეთის მხარე უკვე ოსმალეთის ხელში იყო), მოსახლეობა შეადგენდა 5 ათას კომლს. ოდიშის სამთავრო გურიისაზე ბევრად მეტი იყო და იმერეთის სამეფოს, მოსახლეობის მხრივ, მხოლოდ ერთი მესამედით ჩამოუვარდებოდა. ეს იყო მიზეზი, რომ იმერეთის მეფეს ძლიერ უჭირდა ოდიშის სამთავროს დამორჩილება. თავის მხრივ ოდიშის მთავარი (დადიანი) ყველაფერს აკეთებდა, რათა თავი დაეცვა მეფის შემოტყევისაგან და თავისი სამთავროს სრული ბატონ-პატრონი ყოფილიყო.

საერთოდ იმერეთი სოლომონ II-ის დროს ჩამორჩენილი ფეოდალური მმართველობის მქონე იყო, მაგრამ ქართლ-კახეთის უკიდურესი გაჭირვების შემხედვარე იმერლები ყოველის ძალღონით ცდილობდნენ თავისი შინაგანი დამოუკიდებლობის დაცვას. სამეფოში წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდა თავადებს, რომელთაგან პირველი ადგილი ეკავათ წერეთლებს და წულუკიძეებს. საწერეთლო საგვარეულო სამფლობელო შეიცავდა სათავად-გლეხებო და სათავადო-აზნაურებს მათი გლეხებითურთ ათასზე მეტ კომლს, ხოლო საწულუკიძეო რვაასზე ცოტა მეტ კომლს. ყველა მნიშვნელოვანი თანამდებობანი თავადებს ეკავათ. მეფესთან არსებულ რჩევაში, რომელიც შესდგებოდა 30-35 კაცისაგან, სამოღვე სამეფო აზნაურის გარდა, ყველა თავადები და თავადიშვილები იყვნენ. მეფის ძალაუფლება იყო უფრო მეტად გარეგნული, ნამდვილად კი მეფე პასუხობდა თავადების, უკეთ პირველხარისხოვანი თავადების, ინტერესებს. თავადები კი უაღრესად დანტერესებული იყვნენ არსებული მდგომარეობის შენარჩუნებაში, რადგანაც მეფობის გაუქმება და რუსული მმართველობის დამყარება მათ ძალაუფლებას და შემოსავლიან ადგილებს დააკარგვინებდა. ამიტომაც თავადები მხარს უჭერდნენ სოლომონ II-ს და რუსეთის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი. გამონაკლისს წარმოადგენდნენ ზოგიერთნი, მათ შორის რუსულის მცოდნე პირველი თავადი სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, რომელიც რუსეთის ორიენტაციის იყო.

თაობათა სიგრძეზე თავადებს მოპოვებული ჰქონდათ ხალხის ფართე მასაზე დიდი გავლენა. მუდმივმა შიშინობამ და საფრთხემ მიაჩვია გლეხი იმ აზრს, რომ ისევ მებატონის მფარველობით და მისი დახმარებით თუ შესძლებს ის თავისი და თავისი ოჯახის ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას. ამით სარგებლობდნენ მებატონეები და ნურგავდნენ ხალხში მათი მფარველობის აუცილებლობის აზრს. ასეთ პირობებში თავადებს ადვილად შეეძლოთ თავისი ინტერესების სასარგებლოდ აემოქმედებინა არა მარტო აზნაურები, არამედ გლეხების უმეტესობაც.

ასეთ პირობებში რუსი მთავარმართველები საქართველოში გუდოვიჩი და შემდეგ ტორმასოვი ავიწროვებდნენ სოლომონ მეფეს და დას. საქართველოში რუსის ჯარს ამრავლებდნენ. ამიტომ სოლომონმა ორჯერ შეკრიბა ხალხი (6-7 ათასამდის კაცი), რომელმაც თავადების ზეგავლენით, ერთხმად დაიფიცა სოლომონ II-ის ერთგულებაზე. გარეგნულად იმერეთში თითქოს იყო რუსეთის

საწინააღმდეგო ერთსულოვანება. მაგრამ რუსულმა ადმინისტრაციამ თბილისში მიმართა მისთვის კარგად ნაცად ხერხს – ქრთამს და ჯილდოების დაპირებას. მაგ, სახლთუხუცეს ზურაბ წერეთელს მისცეს პოლკოვნიკის ჩინი სათანადო ჯამაგირით, მასვე დაპირდნენ იმერეთის მომავალ მმართველობაში პირველ ადგილს. ეს წერეთელი განაწყენებული იყო სოლომონ II-ზე და მის მომხრეებზე იმი-თაც, რომ საგარეო საკითხები თითქმის მთლიანად მდივანბეგ სოლომონ ლიონიძის ხელში იყო. ზოგი წულუკიძეც ფულით მოსყიდული იყო რუსეთის მთავრობის მიერ და ამზადებდა ნიადაგს იმერეთის გადასაცემად რუსეთისათვის. ამ თავადების დახმარებით რუსეთის მმართველობამ გადაიბრა თავის მხარეს გურიის მთავარი მამია გურიელიც.

79. რუსეთ-ოსმალეთის ომი (1806-1812). 1806 წლის ბოლოს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი და ხარვეზებით გრძელდებოდა 1812 წლამდის. იმერეთის მესვეურთა მიერ ეს ომი მიჩნეულ იქნა როგორც მათი საქმისთვის სარგებლობის მომტანი, მაგრამ ეს ასე არ აღმოჩნდა. ომი მიმდინარეობდა მდ. დუნაის მიმართულებით. ამიერ-კავკასიაში საომარ ოპერაციებს არ ჰქონდა ადგილი. მაგრამ რუსეთს არ უნდოდა თავისი პოზიციები ოდიშა და იმერეთში საორჭოფოდ გაეხადა და ამიტომ გაზარდა ჯარის რაოდენობა იმერეთში. 1807 წლის აგვისტოში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებულ იქნა დროებითი ზავი, რომელიც გაგრძელდა წელიწადნახევარი. მაგრამ 1809 წლის აპრილის ბოლოში საომარი ოპერაციები კვლავ განახლდა და შემდეგ არ შეჩერებულა ვიდრე 1812 წ. მისში ეგრეთ წოდებულ ბუქარესტის ზავის დადებამდის.

ამავე პერიოდში, როგორც მოხსენებული იყო, რუსეთი 1804 – 1813 წლებში საომარ ვითარებაში იყო სპარსეთთანაც. ასეთი რთული პირობების მიუხედავად რუსეთმა შედარებით მცირე ძალებით (25 ათასი კაცის შემადგენლობის რეგულარული ჯარით) მაინც შესძლო მთელი ამიერ-კავკასიის ფარგლებში სიძნელეებისათვის თავის დაღწევა. ეს განაპირობა პირველ რიგში, საუკეთესო ხარისხის და ტექნიკურად კარგად შეიარაღებული რეგულარული ჯარის ყოფნამ ამიერ-კავკასიაში და მეორეც, დაპყრობითი და კოლონიალური მიზნებისთვის საუკეთესოდ მოწყობილმა და მოქნილმა რუსულმა მმართველობითმა აპარატმა. ორივე ეს გარემოება საკმარისი აღმოჩნდა, რომ რუსეთს მტკიცედ შეენარჩუნებინა ამიერ-კავკასიაში წინა წლებში მოპოებული უპირატესობანი როგორც სპარსეთის, ისე ოსმალეთის მიმართ.

80. ფოთის აღება რუსების მიერ. ოსმალეთისთვის დას. საქართველოს ტერიტორიაზე მნიშვნელოვან დასაყრდენ წერტილს წარმოადგენდა ფოთი, რომლის ციხეში ოსმალთა გარნიზონი იდგა. რუსის ჯარი გენ. დიმ. ორბელიანის მეთაურობით მიადგა ფოთის ციხეს. ოსმალთა საშველად მოეშურებოდა ტრაპიზონის ფაშა ქართველი შერიფი 9 ათასი კაცით. მაგრამ ამ ჯარს რუსების შეგულიანებით გურიაში ზურგში თავს დაესხნენ გურულები, შერიფ-ფაშა დამარცხდა და იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. ამის შემდეგ რუსის ჯარმა, მეგრელების მილიციის დახმარებით, ფოთის ციხე ადვილად აიღო (ნოემბ. 1809 წ.). შემდეგში 1812 წელს ოსმალეთთან დადებული ეგრეთ წოდებული ბუქარესტის ზავით იძულებული გახდა ფოთი კვლავ ოსმალეთისთვის დაებრუნებინა. მაგრამ ამ ხანად ფოთის მოპოვებით რუსეთის მდგომარეობა დას. საქართველოში განმტკიცდა. ამის შემდეგ რუსეთის ხელისუფლება თბილისიდან ენერგიულად გადავიდა სოლომონ II-ის წინააღმდეგ მოქმედებაზე.

81. რუსული მართებლობის დამყარება იმერეთში (1810 წ.). იმერეთის მეფესა და რუს მთავარ-მართველთა შორის ურთიერთობა თანდათან მწვავედებოდა. სოლომონ II აშკარად ეურჩებოდა რუსულ ხელისუფლებას. ამიტომ გადაწყდა მისი შეპყრობა და იმერეთში რუსული მართებლობის დამყარება. როდესაც ყველაფერი მზად იყო, რუსის ჯარის უფროსმა ქუთაისში 1810 წელს 19 თებერვალს გამოაქვეყნა პროკლამაცია იმერეთის მეფის სოლომონ II-ის მეფობიდან გადაყენების შესახებ. ამასთანავე სოლომონის წინააღმდეგ ყოველ მხრიდან დაიძრა ჯარი, სოლომონი გაჭირვებაში ჩავარდა და იძულებული გახდა დათანხმებულიყო საქართველოს მთავარმართველ გენერალ ტორმასოვთან მოსალაპარაკებლად წასვლაზე, მაგრამ როდესაც სოლომონი 500 კაცით მივიდა ქართლს, მას იქ შემოარტყეს ჯარი და ისე წაიყვანეს თბილისს. გადაწყვეტილი იყო მისი გაგზავნა რუსეთს, მაგრამ დარიალის გზა თერგის ადიდების გამო შეკრული იყო. სოლომონი გაიპარა თბილისიდან. დანიშნულ

ლამეს (9 მაისს) სახლიდან გამოვიდა მსახურის ტანისამოსში გადაცმული სოლომონი კოკით მხარზე. ქუჩაში მას დახვდა თბილისის პოლიციის სამსახურში მყოფი იმერელი (პოლიციელებად მაშინ თბილისში იმერლები იყვნენ), რომელმაც გაიყვანა სოლომონი ქალაქს გარეთ. ღამე გალაგნის კარები იკეტებოდა, მაგრამ კარი გაუღეს და გაუშვეს. ქალაქს გარეთ სოლომონს დახვდა 23 იმერელი თავადაზნაური, რომელთა თანხლებით ის საჩქაროდ გაემართა ახალციხის საფაშოსკენ. (სოლომონის გაქცევის გამო თბილისში რამოდენიმე კაცი ჩამოახრჩეს). იქ უკვე იყვნენ სოლომონ ლიონიძე და სხვა პირნი, რომელნიც წინად გადასულიყვნენ იმერეთიდან.

ამის შემდეგ იმერეთში დაიწყო მობილიზაცია, გამოყვანილ იქნა, როგორც მაშინ ეძახდნენ, ქუდზე კაცი. მაგრამ საწერეთლოდან ზურაბ წერეთელმა ჯარი არ გამოიყვანა. არ გამოუყვანია ჯარი რაჭიდანაც, სადაც სარდალი გიორგი წულუკიძე და ანტონ როსტომ ერისთავის ძე რუსეთის მხარეს იყვნენ გადასულნი.

მალე სოლომონ ხ-ც ახალციხიდან იმერეთს გადავიდა. იმერეთის უმეტესი ნაწილი ფეხზე დადგა. ამისი მიზეზი იყო რუსული მართებლობის დამყარების შიში უცნობი რუსული ენით და მექრთამე რუსი ჩინოვნიკებით. ქართული მმართველობის შენარჩუნების სურვილმა, რაც უნდა ნაკლოვანი იყოს ეს მმართველობა, შეაკავშირა ყველანი ქართლ-კახეთში უკვე გამოცდილი რუსული წესების იმერეთში გადატანის წინააღმდეგ.

დაიწყო ბრძოლა რუსეთთან, რაც გაგრძელდა სამი თვე. სოლომონის ჯარის რიცხვი სხვადასხვა ადგილას აღწევდა 10000 კაცს, რუსების კი იყო 8000 რეგულარული ჯარისკაცი, გარდა ამისა 7 ათასი კაცი მეგრელებისა და გურულების. ბრძოლა პირველად მიდიოდა იმერლების სასარგებლოდ, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და გამარჯვება დარჩა რუსეთის სარდლობას. 1810 წლის სექტემბრის ბოლოში სოლომონი იძულებული გახდა გაქცეულიყო ჯერ ახალციხეს მხარეს. გენ. ტორმასოვმა რუსის ჯარით და ქართლ-კახეთიდან და იმერეთიდანაც გამოყვანილი, მილიციით მოაწყო ლაშქრობა ახალციხეზე ალყა შემოარტყა თვით ამ ქალაქს და თითქმის ახერხებდა მის აღებას. მაგრამ ამ დროს ახალციხის ციხეში გაჩნდა შავი ჭირი (ჟამი), რომელიც გადმოდიოდა რუსებსა და იმერლებშიც. ამის გამო ალყა ციხეს მოხსნეს და ჯარი დაბრუნდა უკან. წამოსვლისას ჯარმა სასტიკად ააოხრა გზად მდებარე სოფლები და წამოიყვანა იქიდან ქართლ-კახეთში დასასახლებლად ბევრი ქართველი ქრისტიანი ოჯახი.

რუსეთის ერთგულნი იმერელნი უხვად იქნენ დასაჩუქრებულნი ჩინებით, პენსიებით და ორდენებით. სახლთუხუცეს ზურაბ წერეთელს მიეცა გენერალ-მაიორის ჩინი სათანადო პენსიით, ხოლო სარდალს გიორგი წულუკიძეს — პოლკოვნიკის ჩინი პენსიითვე და ასე სხვანი.

რუსეთთან ბრძოლის დროს ჯარების გადაჯგუფების და საომარი ოპერაციების წარმოების გამო ქვემო და ზემო იმერეთის სოფლები საშინლად აოხრდნენ. სურსათ-სამეღვინის მარაგი მოსპო რუსის ჯარმა, ყანებს კიდევ ვერაინ უვლიდა, რადგანაც ყველანი ჯარში იყვნენ გასულნი. ამას თან დაერთო 1811 წლის ძლიერ გვალვანი ზაფხული. ამგვარად მოსავალი ძველიც და ახალიც დაიღუპა. იმერეთში გაჩნდა საშინელი შიმშილი. ამას თან დაერთო ახალციხედან გადმოსული ჟამი. ჟამი მოედო მთელ დასავლეთ საქართველოს და მუსრი გაავლო მოსახლეობას. შიმშილისა და ჟამისაგან 1811-1812 წლებში იმერეთში ამოწყდა მოსახლეობის მესამედზე მეტი.

დამარცხებული სოლომონ II თავისი თანმყოფი პირებით ცხოვრობდა ერთხანს ახალციხეს, შემდეგ ერევანს და უკანასკნელ ტრაპიზონს.

1812 წ. 26 აპრილს ქბუქარესტში დადებულ იქნა შავი რუსეთსა და ოსმალეთს შორის. რუსეთი ჯერ კიდევ 1808 წელს ზავის დადების ერთ-ერთ პირობად ოსმალეთის მთავრობისგან მოითხოვდა, რომ მას ეცნო რუსეთის კუთვნილებად როგორც ქართლ-კახეთი, ისე იმერეთი და ოდიში. მაშინ ოსმალეთი ამაზე თანხმდებოდა. მაგრამ ესლა მოლაპარაკება წარმოებდა ავსტრიის უარყოფითი პოზიციის ვითარებაში რუსეთის საზავო სხვა მოთხოვნების მიმართ.

ამიტომ ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების მიხედვით 1812 წ. რუსეთმა ვალდებულება მიიღო მის მიერ აზიაში დაპრობილი ქვეყნები და ციხეები დაებრუნებინა ოსმალეთისთვის. რუსეთმა დაუბრუნა ოსმალეთს ფოთის ციხე (რომელიც რუსებმა 1809 წელს აიღეს), მაგრამ უარი განაცხადეს სოსხუმის ციხის დაბრუნებაზე, რომელიც რუსებმა 1810 წელს აიღეს. ოსმალეთი მოითხოვდა ამ ხელშეკრულებაზე დაყრდნობით რუსების მიერ იმერეთ-ოდიშ-გურია-აფხაზეთის დაცლას, მაგრამ რუსეთის

მართებლობა ამტკიცებდა, რომ ხელშეკრულება გულისხმობს მხოლოდ 1806-1812 წლებში რუსების მიერ იარაღით აღებული ციხეებს (ასეთი იყო ფოთი), მაგრამ სრულებით არ გულისხმობს დას. საქართველოს სამეფო-სამთავროებს, რომელნიც მანამდის ნებაყოფლობით შევიდნენ რუსეთის მფარველობა-მფლობელობაში. აქ გამოჩნდა მთავარმართველ პციციანოვის წინდახედულება, სახელდობრ, რომ ის გრიგოლ დადიანს 1803 წელს და სოლომონ II-ს 1804 წელს შეეკრა არა ორთამხრივი ტრაქტატით, არამედ "თხოვნითი მუხლებით", რომელნიც გრ. დადიანის და სოლომონ II-ის სახელით იყვნენ შედგენილნი.

1813 წ. მარტში ოსმალეთმა კვლავ მოსთხოვა რუსეთს დაებრუნებია ანაკლია, სოხუმი, შორაპანის და ბაღდათის ციხეები და საერთოდ მთელი დას. საქართველო. იმავე წლის შემდგომ თვეში ოსმალეთმა მოსთხოვა რუსეთს გაენთავისუფლებინა "სამხედრო ტყვეები" – რუსეთში გადასახლებულნი მარიამ დედოფალი (სოლომონ II-ის მეუღლე) და მალხაზ ანდრონიკაშვილის მეუღლე მარიამი (სოლომონისავე და) მათი თანმხლე პირებით. ეს თანმხლე პირები იყვნენ მარიამ დედოფლის 5 მოახლე და 21 მამაკაცი და მარიამ ბატონიშვილის ორი ვაჟი და ერთი ასული რვა მოახლით და ოთხი მამაკაცი მსახურით. რუსეთმა ყველაფერ ამაზე უარი განაცხადა.

ოსმალეთი ამის შემდეგაც ბუქარესტის საზავო ხელშეკრულებაზე დამყარებით მოითხოვდა დას. საქართველოს დაბრუნებას არა მხოლოდ 1814 წელს, არამედ სოლომონ II-ის სიკვდილის შემდეგაც (ის გარდაიცვალა ტრაპიზონში 1815 წ. 7 თებერვალს 42 წლის ასაკში კიბოს ავადმყოფობისაგან).

მაგრამ ამ დროს, იმპერატორ ნაპოლეონის საფრთხის ევროპისათვის საბოლოოდ მოცილების შემდეგ რუსეთი მეტად განლაღებულ და მძლავრ მდგომარეობაში იყო. ამიტომ ოსმალეთი მართალია პროტესტით, რომ რუსეთი სარგებლობს თავისი ძლიერებით და ბუქარესტის ზავის სათანადო მუხლს თავისთვის სასარგებლო განმარტებას აძლევს, მაინც იძულებული გახდა შერიგებოდა ფაქტიურ მდგომარეობას.

იმერეთში ამგვარად დამყარდა რუსული მმართველობა, მაგრამ არა მთლად იმ სახით, როგორც ეს ქართლ-კახეთში იყო. რუსეთის მთავრობა დარწმუნდა, რომ მმართველობის მთლად ისეთი წესების შემოღება ქართლ-კახეთში, როგორიც რუსეთში იყო, შეცდომას წარმოადგენდა. ამიტომ იმერეთის სათავეში დაყენებულ იქნა მმართველი სამხედრო პირი პოლკოვნიკი და ხან გენერალი, რომელსაც ჯქონდა დიდი უფლებები – ის ითვლებოდა როგორც სამოქალაქო მმართველობის მეთაურად, ისე იქ მყოფ რუსის ჯარის უფროსადაც. ამ მმართველთან იყვნენ მდივანბეგები იმერელ თავადთაგან, რომელთაც ევალებოდათ სამოქალაქო საქმეების გარჩევა წინანდელი წესის თანახმად. იმერეთი გაყოფილი იყო ოთხ ოლქად. ოლქების უფროსებად იყვნენ რუსი სამხედრო პირები, მრჩეველებად კი მათ ჰყავდათ ადგილობრივი პირნი. მმართველობის ასეთი მოწყობით უნდოდათ ადგილობრივი ცხოვრების და ჩვევების თავისებურებისათვის ერთგვარი ანგარიში გაეწიათ. მაგრამ რადგანაც მმართველი და უფროსები ქართული ენის უცოდინარნი იყვნენ, ამიტომ მოსახლეობასთან ბევრ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი და თვით ამ უფროსებისა და საერთოდ სამოქალაქო ჩინოვნიკების და სამხედრო პირთა მხრივ ბევრს ბოროტმოქმედებას – მექრთამეობას, უსამართლობას, კანონების დარღვევას და სხვ. იმერეთი ასეთ ცალკე სამმართველო ერთეულს წარმოადგენდა ვიდრე 1841 წლის რეფორმამდის.

იმერეთის რუს მმართველს ევალებოდა თვალყურის დევნება სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროებისთვისაც.

82. ბჰრიის სამთავრო. იმერეთის რუსთა მიერ დაპყრობასთან ერთად უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი გურიის შესახებ. რადგანაც გურიის მთავარი მამია გურიელი გადავიდა რუსეთის მხარეს ჯერ კიდევ სოლომონ II-ის გადაგდებადამდის, ამიტომ მას გაუადვილდა თავისი ავტონომიური მმართველობის შენარჩუნება. მისში 1810 წ. მამია გურიელმა დაიწყო მოლაპარაკება რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ და წარადგინა იმპერატორის სახელზე ქვეშევრდომობის თხოვნითი მუხლები, რომელიც იმავე ხასიათისა იყო, როგორც დადიანსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულება. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დაამტკიცა მამია მთავრად (8 აპრ. 1811 წ.) იმავე პირობით, როგორც სამეგრელოს მთავარი დადიანი. ამის ნიშნად მას მიეცა იმპერატორის ხელმოწერილი რესკრიპტი, დროშა და ხმალი. ამის შემდეგ მამია განაგებდა თავის სამთავროს. ის იყო მტკიცე ნებისყოფის

მმართველი, რომელიც რუს ჩინოვნიკებს თავს არ უყადრებდა. ამით ის ძირითადად განსხვავდებოდა თავის თანამედროვე ლევიან დადიანისაგან.

83. რუსული მმართველობის პირველი შედეგები ქართლ-კახეთში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა რამოდენადმე ალაგმა ლეკთა თარეშები და გარეშე მტრის ხდომა-აოხრებისაგან შეამსუბუქა ქვეყანა, სულიერი განწყობილება შიგნით მაინც სერიოზული იყო.

დიდს უკმაყოფილებას ბადებდა ადმინისტრაციის გათიშვა მოსახლეობის ყველა ფენებისაგან, რასაც ხელს უწყობდა ოფიციალურ სახმარებლად რუსული ენის შემოღება. ხალხი მექრთამე ჩინოვნიკების ხელში დრტყინავდა, მაგრამ აშკარა წინააღმდეგობის გასაწვეი გზა არ ჰქონდა. ბევრი გაელენიანი თავადი რუსის მთავრობის სამსახურში მოთავსდა და მხოლოდ თავის დაწინაურებაზე ფიქრობდა. რუსის ჯარის მუდმივი ლაშქრობანი ლეკებისა, სახანოებისა, თუ იმერეთის დასაპყრობად და აგრეთვე სპარსელების წინააღმდეგ, ხდებოდა ყოველთვის ქართველი ჯარის თანხლებით. ქართველი თავად-აზნაურობა ჩაება ამ ომებში და რუსეთის სამსახურში თავის გამოჩენით ცდილობდა ჩინებითა და ორდენებით თავის დაწინაურებას. მცირე ნაწილი თავადებისა ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის მოტივით, აგრეთვე იძულებული იყო ამ საერთო მიმდინარეობას მიჰყოლოდა. თავადაზნაურობის ზოგი ნაწილი კიდევ წასული იყო რუსების წინააღმდეგ მებრძოლ ბატონიშვილებთან და მოელოდა სამეფო ტახტის დაბრუნებას ბაგრატიონთა გვარეულობაში.

თუ რამდენად მძიმე იყო ქართლ-კახეთის მოსახლეობისათვის რუსეთის მიერ ამიერ-კავკასიაში წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის მიღება, ეს სჩანს შემდეგი ფაქტებიდან. 1807 წ. რუსის ჯარმა გაილაშქრა ჯვახეთზე და ალყა შემოარტყა ახალქალაქს, თუმცა ვერ აიღო ის. ამ სამხედრო ოპერაციაში სამი თვის განმავლობაში მონაწილეობას ლეგულობდა 6 ათასი ქართველი მებრძოლი თავისი სურსათით. ქართველი მეფეების დროს კი, ალჭავჭავაძის მოწმობით, არასოდეს ასე ხანგრძლივად ჯარი არ გაჰყავდათ. მოსახლეობის მასობრივად მობილიზაციის წესით ჯარში გაწვევა ხდებოდა შედარებით იშვიათად (30 წელში 4-5 ჯერ) და ისიც ერთბაშად იშვიათად 3 ათას კაცზე მეტი. ახლა კი იყო ისეთი წელიწადები, როდესაც რუსის ჯარის საჭიროებისათვის გაჰყავდათ უფასოდ წელიწადში 12,154 დღე-კაცი და 99,780 დღე ცხენსაპალნე.

რუსის ჯარისთვის სურსათს ყიდულობდნენ იძულებით ფასებში, რომელიც ხშირად ჩვეულებრივ ღირებულებაზე ერთი სამად ნაკლები იყო. მოსახლეობაში სოფლად ხშირად აყენებდნენ ეკზეკუციებს, ე.ი. სოფლებში აბინავებდნენ რუსის ჯარის რაზმებს მოსახლეობისავე ხარჯზე, სანამ მართებლობის გარკვეული მოთხოვნილებანი შესრულებული არ იქნებოდა. ასეთი ეკზეკუციები გლეხობისათვის განსაკუთრებით მასწარალებელი იყო, რადგანაც ოფიცერ-ჯარისკაცები ამ შემთხვევაში ბინად დგებოდნენ გლეხების სახლებში, ხოლო რადგანაც გლეხები მეტ წილად ერთთვლიან ბინებში ცხოვრობდნენ, ამიტომ ეს იწვევდა დიდ შევიწროებას. ამასთანავე ჩასახლებულნი სპობდნენ შინაურ ფრინველს, პირუტყვს, გასათობად ხმარობდნენ ღობეებს და საერთოდ სწადიოდნენ სხვადასხვა ძალადობას.

ყველაფერი ეს განსაკუთრებით მძიმე და პირდაპირ აუტანელ ტვირთად აწვებოდა გლეხობას, რომელიც იძულებული იყო ადმინისტრაციის და თავისი მებატონეების ორმაგ უღლის ქვეშ მოთმინებით ეწია ჭაბანი. ჩივილიც არავის არსად არ შეეძლო, რადგანაც მთავარმართებლის სიტყვა იყო კანონი და ყველა საკითხი ადგილობრივ სრულდებოდა. განსაკუთრებით ციციანოვის შემდეგ მთავარმართებლების ძალაუფლება საქართველოში ფაქტიურად შეუზღუდველი იყო და მათ შეეძლოთ შინაგან მართებლობაში განებორციელებინათ ისეთი ღონისძიებანი, რომელთაც რუსეთის იმპერიის ინტერესების თვალსაზრისით ჩათვლიდნენ სასარგებლოდ და მიზანშეწონილად. ადგილობრივი მოსახლეობის ჭირ-ვარამს არავინ დასდევდა. მთავარმართებელი გენ. ტორმასოვი იყო თავისი ხასიათით უაღრესად კარნაკტილი, რის გამოც მისი ნახვა ადგილობრივ პირთათვის იყო მეტად ძნელი საქმე. გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლიც ვერ ასერხებდა მის წინაშე თავისუფლად აზრის გამოთქმას. მართვა-გამგეობა სწარმოებდა კაბინეტური მიწერ-მოწერით, ამის პირველი ხელის შემწყობი იყო თვით ტორმასოვი, რომელსაც უყვარდა განცხადებაზე და მიმართებზე მეტად ვრცელი რეზოლუციების წერა. ცხადია, რომ ასეთ მთავარმართებლის დროს ჩინოვნიკების უპასუხისმგებლობამ და მექრთამეობამ და სხვა ბოროტმოქმედებამ კიდევ უფრო მეტად გაშალა ფრთები. როდესაც გენ.ტორმასოვი გაწვეულ იქნა რუსეთში და მის მაგივრად მთავარმართებლად დანიშნულ იქნა

იტალიიდან რუსეთის სამხედრო სამსახურში შესული მარკიზ პაულიჩჩი, მან თავის პირველივე რაპორტში იმპერატორის სახელზე აღნიშნა ჩინოვნიკების ბოროტმოქმედებათა არაჩვეულებრივი ზრდა. ამ ბოროტმოქმედებათ სწერდა ის, ისეთ საზღვრამდის მიაღწიეს, რომ სამიში ხდება სახალხო არეულობათა წარმოჩენაო. მართლაც აჯანყებამ მალე იფეთქა კიდევ ამ ხანად კახეთში.

84. ხალხის აჯანყება კახეთში 1811-1812 წ. გამუდმებულ ლაშქრობათ ფრიად ცუდი შედეგები ჰქონდა ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობისათვის, რადგან ხარ-კამეჩიან ურმების, პურის და სხვა სურსათის მუდმივი მოთხოვნა ხალხს დიდ გაჭირვებაში აგდებდა. 1811 წ. რუსის ჯარმა გაილაშქრა ჯავახეთზე და აიღო ახალქალაქი. ამ გალაშქრების მიზეზი იყო ის, რომ ოსმალთ თარეშების გამო ბორჩალოს მხარემ დაკარგა თავისი მოსახლეობის მეტი ნაწილი, რომელიც გააყვა ოსმალთ და გადასახლდა მეტ წილად ჯავახეთსა და მესხეთში. იმავე წელს მთავარმართებელმა მარკიზმა პაულიჩჩიმ გაილაშქრა ერევანზე. თუმცა ამ ლაშქრობამ უშედეგოდ ჩაიარა, მაგრამ ქართველ ხალხს ის ურმებისა და სურსათის მოწოდებით ძლიერ ძვირად დაუჯდა. გაჩნდა შიმშილი და ჯიშო, ხალხი დიდს გაჭირვებაში ჩავარდა, მაგრამ მართებლობა მაინც განაგრძობდა სურსათის მოთხოვნას. კოდ პურში მართებლობა იძლეოდა მანეთს, მაშინ, როდესაც ის ადგილობრივ 6 მანეთი ფასობდა. ჩინოვნიკები ლეზულობდნენ მოსახლეობისაგან სურსათს 1 1/2-ჯერ მეტი საზომით და ათასნაირი საშუალებით ღლეტავდნენ ხალხს ქრთამებით. ამასთანავე სურსათის გადასატან ურმების ზედიზედ რამოდენიმე წლის განმავლობაში მოთხოვნის გამო ქართლ-კახეთი თითქმის გაწმენდილი იყო ხარისაგან. მთავრობა მაინც თავის მოთხოვნილებას არ უკლებდა. ბევრი, სასოწარკვეთილებამდის მისული, მოთხოვნილი პურისა და გადასახადების ანგარიშში წინადადებას აძლევდა მართებლობას წაყვანათ მათი ცოლშვილი შინა მოსამსახურედ. ამას თან დაერთო რუსის ჯარისკაცების და ოფიცრების მხეცური ძალმომრეობა მშვიდობიან მოსახლეობაზე: ძარცვა-გლეჯა, კაცის დასახინრება და მოკვლა, დედაკაცთა გაუპატიურება, ყველაფერი ეს ხშირი მოვლენა იყო. ასეთი შემთხვევები უფრო ხშირად იყო სახაზინო გლეხების მიმართ, რომელთაც ჩივილის საშუალებაც არ ჰქონდათ (საბატონო და საეკლესიო გლეხებს რამოდენადმე მაინც თავიანთი ბატონები იცავდნენ). ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა ხალხმა იფეთქა. პირველად თიანეთის მცხოვრებნი დაეცნენ თავს რუსებს და ამოსწყვიტეს 150 კაცამდის. თიანეთიდან აჯანყება მოედო არაგვის ხეობას. აჯანყებულთ არაგვის ხეობაში დახოცეს ფასანაურსა და ანანურში დაყენებული რუსის ჩინოვნიკები და სამხედრონი. აჯანყებაში ყველგან წამყვანი როლი სახაზინო გლეხებს ეკავათ.

მარკიზ პაულიჩჩიმ შეკრება რუსის ჯარი და გამოიყვანა ნებით თუ უნებლიეთ ნაწილობრივ ქართველი თავადებიც თავიანთი მსახურებით და გადავიდა შეტევაზე აჯანყებულთა წინააღმდეგ. რუსის ჯარი უშაკოვის წინამძღოლობით, რომელსაც თავისი ნებით თან ახლდა კონსტანტინე მუხრან-ბატონიც, შეესია დუშეთს, დასწვა ის, აგრეთვე ანანური და სხვა სოფლები, რომელიც დიდად დაზარალდნენ. მუხრან-ბატონმა ღალატით შეიტყუა და ამოსწყვიტა 70 კაცი არაგვისპირელი.

ამ დროს ფეხზე დამდგარი იყო კახეთიც. კახეთში მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ოთარ ქობულაშვილი, მეფეების დროს მდივანად ყოფილი, რომელმაც მოიწვია დასახმარებლად ლეკებიც, და აგრეთვე ქართლიდან მეფის-ძის იოანეს შვილი გრიგოლი, რომელმაც მსურვალე მონაწილეობა მიიღო მოძრაობაში. კახელებმა დაამარცხეს რუსნი ვარდისუბანში და შემოადგნენ თელავს, ხოლო ამავე დროს ქიზიყელებმაც აიღეს სიღნაღი, სადაც ამოსწყვიტეს იქ მყოფი რუსი მოხელენი. რუსნი დაამარცხდნენ აგრეთვე საგარეჯოსა და ხაშში. მოძრაობა თანდათან ძლიერდებოდა და რუსებისათვის სამიშ ხასიათს ლეზულობდა. ამიტომ კახეთს ჯარით გაემართა თვით მთავარმართებელი პაულიჩჩი, რომელიც თავად ანდრონიკაშვილების წინამძღოლობით ჩავიდა ქიზიყს, იქიდან კი შიდა-კახეთს, სადაც ბრძოლა კახელების გამარჯვებით დამთავრდა.

მიუხედავად ამისა, მეამბოხეთა მდგომარეობა, სათანადო ორგანიზაციის უქონლობის გამო, მაინც მტკიცე არ იყო. აჯანყებაში მონაწილე თავადები თანდათან გადადიოდნენ რუსების მხარეზე. ბოლოს გრიგოლ ბატონიშვილიც დანებდა რუსთ. მაშინ გლეხები, თავადების ღალატის მიუხედავად, თითონ დაეცნენ რუსებს ჩუმლაყში, პირველ დღეს მათ გაიმარჯვეს, მაგრამ მეორე დღეს მთავარმართებელის ახალი ჯარით მოსვლის შემდეგ დაამარცხდნენ. რუსებმა დასწვეს ჩუმლაყი. ამის შემდეგ ამბოხება დროებით მინელდა, თუმცა მთლად კიდევ არ ჩამქრალა. ამბოხებაში მონაწილე პირები გააგზავნეს

რუსეთის სხვადასხვა ადგილას და ციმბირს, ზოგი დააპატიმრეს, ბატონიშვილი გრიგოლიც გააგზავნეს პეტერბურგს, სადაც ის ერთი წელიწადი პატიმრად იყო.

მარკიზ პაულიჩი თვითონ ჩამოთვლიდა თავის მოხსენებაში იმპერატორის სახელზე ამ აჯანყების წარმომშობ მიზეზებს. მისი სიტყვით, აჯანყება გამოიწვია რუს ჩინოვნიკებში გაბატონებულმა უზნეობამ, რისი შედეგიც იყო მათი არაჩვეულებრივი ბოროტმოქმედებანი. აჯანყების მიზეზივე, მისი სიტყვით იყო მცხოვრებთა ნერვიულობა, გამოწვეული იმით, რომ მათი ჩვევები განსხვავდებოდა რუსულ ჩვევებისაგან, ხარ-ურმის უზომო მოთხოვნა და ცუდი განკარგულებანი, რუსული სამართლის მოუქნელობა, ჯარისათვის სურსათის მომარაგების დარგში დანიშნულ ჩინოვნიკების ათასნაირი გათახსირება, რასაც ისინი დაწყებული თავ. ციციანოვის სიკვდილიდან აძლიერებდნენ ხალხის სამძიმოდ და ხაზინის გასაჩანაგებლად.

კახეთის აჯანყება ჩაქრობილ იქნა დიდი სისხლის ღვრით და სოფლების აოხრებით კახეთში, მაგრამ მართებლობა ხედავდა, რომ სიმართლე ამ აჯანყების დროს ხალხის მხარეზე იყო. ამიტომ მთავარმართებელმა პაულიჩიმ ჩაატარა კახეთის ადგილობრივ მმართველობაში ზოგიერთი ცვლილება. უპირველეს ყოვლისა კახეთში გააუქმეს ისპრავნიკების თანამდებობა. ისპრავნიკების მაგივრად დანიშნულ იქნენ სამაზრო მოურავები — სიღნაღის მაზრაში ცალკე და თელავისაში ცალკე, ორივე ქართველ თავადიშვილთაგან. ამ მოურავებს დაუმორჩილეს ყველა სასოფლო მოურავი, მამასახლისი და ქვეხი (იგივე მამასახლისი).

გარდა ამისა მთავარმართებელი პაულიჩი საჭიროდ სთვლიდა რუსული სასამართლოს მოქმედების დროებით შეჩერებას კახეთში და საერთოდ სასამართლო საქმის რეორგანიზაციას, რადგანაც არსებული რუსული სასამართლო არ შეეფერებოდა ადგილობრივ ჩვევებს და ხასიათს და ამით იწვევდა ხალხის დიდ უკმაყოფილებას. მაგრამ ამ პროექტის განხორციელებამდე მარკიზი პაულიჩი გაიწვიეს პეტერბურგს და მის მაგივრად მთავარმართებლად დანიშნეს გენ. რტიშჩევი. ამ ახალი მთავარმართებლის ჩამოსვლისთანავე კახეთში დაიწყო ახალი აჯანყება.

85. თხზულების აჯანყება კახეთში (1812 წ.) ეს ის დრო იყო, როდესაც საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონი უზარმაზარი ჯარით წამოსული იყო რუსეთისაკენ. კახეთის თავადებმა მონდომეს რუსეთის შევიწროვებული მდგომარეობით სარგებლობა საქართველოდან რუსეთის განსადევნად და სამეფოს კვლავ აღსადგენად. ამიტომ მათ სპარსეთიდან მოიწვიეს ალექსანდრე ბატონიშვილი, ხოლო თვითონ კი შეუდგნენ მზადებას. თუ პირველ მოძრაობას ჰქონდა უმეტესად ხალხური ხასიათი და იყო რუსთა ჯარის ნაწილების და მოხელეთა თვითნებობის და ძალადობის შედეგი, ესლა ამბოხებებს მიზნად ჰქონდა დასახული წინანდელი სამეფოს აღდგენა.

1812 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში ალექსანდრე ბატონიშვილი ერევნიდან მოვიდა თრიალეთის და ბორჩალოს თათრების თანხლებით, გავიდა მტკვარს კოწახურის ფონზე, გაიარა მუხრანი და ავიდა თიანეთს, სადაც მას მიეგებნენ კახნი თავადნი თავისი კაცებით. ამის გაგებისთანავე რუსებმა მათ წინააღმდეგ დასძრეს თავისი ჯარის ერთი პოლკი, რომელიც დამარცხებულ იქნა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ რუსებმა ისევ მოიკრიბეს ძალა, დაამარცხეს კახელები, რომელთანაც იყვნენ ლეკებიც, დასწვეს შილდა და დადგნენ ყვარულს. ახალმა მთავარმართებელმა გენ. რტიშჩევმა, აჯანყებულთა წინააღმდეგ გააგზავნა რუსის ჯარის ათასი კაცი გენ. დიმიტრი ორბელიანის მეთაურობით. ალექსანდრე ბატონიშვილი მივიდა ჩალაუბანს, სადაც მას შეუერთდა 5 ათასი ლეკით ალისკანტი, ავარიის ომარ-ხანის შვილი. ალექსანდრე დაეცა სიღნაღს, მაგრამ ვერ აიღო ის. მალე რუსებს მოუვიდათ ახალი ჯარი 1500 კაცის რაოდენობით გენ. სვიმონოვიჩის უფროსობით, რომელიც შეუერთდა ორბელიანის რაზმს ჩაილურში. აქ მოხდა სასტიკი ბრძოლა, რომელიც არც ერთი მხარის გამარჯვებით არ გათავებულა. მაგრამ მიუხედავად ამისა ალისკანტი ლეკის ჯარით წავიდა დაღესტანისკენ. მაშინ კახნიც თანდათან დაიფანტნენ და ალექსანდრე იძულებული შეიქნა ფშავეთში წასულიყო, ხოლო იქიდან გადავიდა სოფ. შატილს ხევსურეთში. რუს გენერლებმა გაუსიეს ჯარი ფშავებს და ხევსურეთს, გადასწვეს სოფლები, მცხოვრებთაგან ბევრი დახოცეს და საზოგადოდ სამინლად ააოხრეს ეს მხარეები. ალექსანდრე გადავიდა დაღესტანს.

კახეთის ავანსურში მონაწილე პირნი პირველ რიგში თავადები დასჯილ იქნენ მარტოობაში. ჩამორთმევით და ციხეში გაგზავნით ანდა დაპატიმრებით. შენდევნი, გენ. ერმოლოვის ღირსებას დასაცავს მღვდლების გარდა (ასეთებიც იყვნენ) უკან იქნენ დაბრუნებულნი.

კახეთის ამ ორი ავანსურის დროს მოსახლეობა ძლიერ დაზარალდა როგორც ადამიანთა დიდძალი მსხვერპლით, ისე აგრეთვე სოფლების დარბევით და ზეირს შემთხვევაში გადაწვითაც. საზოგადოდ კახეთმა განიცადა საერთო აზრება და განაწევება.

ანის შენდევ რუსეთის მართებლობამ ცხლად მთელი თავისი ძალა სპარსეთის ვაჟს დაუპირისპირდა. თანდათან ერთი მეორეს მიყოლო ბრძოლებში სპარსელები დამარცხდნენ და იძულებული გახდნენ ნუკარის გადაღმა გაქცეულიყვნენ. სპარსელებმა ამგვარად წააგეს ეს ომი. ზავი დადებული იქნა ქალაქ გულისტანში (სპარსეთში) 1813 წ. ამ ზავის მიხედვით სპარსეთმა საბოლოოდ უარი სთქვა ყოველგვარ პრეტენზიებზე ქართლ-კახეთის მიმართ და აგრეთვე რუსეთის მიერ დაკავშირებული ამიერ-კავკასიის საზღვრების მიმართაც.

ამით დამთავრდა საქართველოს ცალკე მხარეების (იმიერეთის, ქართლ-კახეთის) ბრძოლები წინააღმდეგი ავტონომიური მართებლობის აღსადგენად, რომელიც წარმოებდა ნეტწილად თავადების ხელმძღვანელობით. ეს ბრძოლები ქართველ ხალხს ძლიერ ძვირად დაუჯდა. დღეს საქართველოში იმიერეთ-გურია-ოდიშ-სვანეთ-აფხაზეთში) 1810-1812 წლებს უხედურებადის იყო დაახლ. 48 ათ. კომლი მცხოვრები (დაახლ. 350 ათ. სორსკი), ხოლო შიმშილისა და ჯანის შენდევ დარჩა დაახლ. 200 ათ. სორსკი. 1812 წელს კიდევ სასტიკად აზრდა კახეთი.

ამგვარად 1810-1812 წლებში ქართველმა ხალხმა ნახა უაღრესად დიდი ზარალი. მოძიდა რუსეთის იმპერიასთან იყო უიმედო და დამღუბელი. ამას აწყობდა ხედავდნენ მოწინავე პირნი ციხე-ბატონურ მსხვილი თავადების წრეებში. ამიტომაც ანის შემდეგ განსაკუთრებით ქართლ-კახეთში მატონურ აყენებში იმარჯვებეს რუსეთის იმპერიასადმი ლოიალური დანაკვირვებულების მიმართულებით. ამიერიდან ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა ზოგადად დაადგა რუსეთის საიმიერო ხელისუფლებამ. აღნი მორჩილების გზას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართველი ხალხის ბატონური წრეებისთვის შერიგებული იყვნენ ასალ მდგომარეობასთან.

მოსახლარების განაწევრების ავანსურების (იმიერეთის-სპარსეთის) გაშენება (1811 წ.) რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა გაეუქმებინა საქართველოს (უკეთ ქართლ-კახეთის) ეკლესიის დამოუკიდებლობა. იმპერატორის განკარგულებით კათალიკოსი ანტონ II გაწვეულ იქნა რუსეთს დიდა პენსიის დანიშნებით. იქ ის ცხოვრობდა სიკვდილამდე თავისი თანმხლებ ქართველებით. ხოლო საქართველოში კი მოეწყო საეკლესიო მმართველობა რუსეთის ეკლესიის წოდებული უწმინდესი სინოდის ხელმძღვანელის (რუსეთში პეტრე I-ის დროიდან ამ სინოდმა შესწავლა მოსკოვის პატრიარქი). მაგრამ რადგანაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება აღმოსავლურ 4 კონსტანტინოპოლის ანტიპატრიარქის იერუსალიმის და ალექსანდრიის) პატრიარქის დასტურის გარეშე არ შეიძლებოდა. ამიტომ გადაწყვიტა საქართველოს ეკლესიის პათარქის დანიშნულიყო ექსარხოსი (ბერძენული სიტყვაა, ნიშნავდა განაპირს ქვეყნის მმართველს). რომელიც იმავე დროს იწოდებოდა ქართლის და კახეთის მიტროპოლიტად. ანდა, როგორც ეს იყო შენდევში. მთავარეპისკოპოსად. პირველ ექსარხოსად დანიშნულ იქნა რუსეთში განსწავლული ქართველი ვარლამ მიტროპოლიტი (ქსნის ერისთავთა გვარიაგანი). მის შენდევ კი ექსარხოსებად ვიდრე 1817 წლის რევოლუციამდის ინიშნებოდნენ რუსი მღვდელმთავრები მენტწილად რეაქციული მიმართულებებისა.

57. მკონიერის მართებლობა რუსეთში. რუსეთთან შეერთების გამო ვერ ქართლ-კახეთი და შენდევში მთელი აკავისია უნდა თანდათან დაკავშირებოდა რუსეთის მიღმა ნაწილებს ეკონომიურადაც მთავრობამ ამ მიზნით ქართლ-კახეთი შეიყვანა რუსეთის იმპერიის სამაგლო ზოლში. გააუქმა. საქონელზე ბაჟი რუსეთში გასატან და იქიდან შემოსავლან საქონელზე და დააწესა საერთო-საიმიერო ბაჟი სპარსეთიდან და ოსმალეთიდან შემოსატან და იქით გასატან საქონელზე. მაგრამ ქართლ-კახეთს ამ დროს და შენდევაც კარგა ხანს საქონლის გაცვლა-გამოცვლა შეეძლო სწორედ სპარსეთთან და ოსმალეთთან და შედარებით მკირველ რუსეთთან და ანატომ ასალმა საბაგო ტარიფმა გააძვირა სპარსეთ-ოსმალეთიდან შემოსატანილი საქონელი. ამით დაზარალდნენ პირველ რიგში რუსი ოფიცრები და

ზინოვნიკები, რომელნიც თავისი ჯამაგირებით ცხოვრობდნენ. ამის გამო მართველობა იძულებული გახდა ეს გადიდებული საბაჟო ტარიფი სპარსეთის და ოსმალეთის მიმართულებით გაეუქმებინა და აღედგინა ქართველი მეფეების დროს არსებული საბაჟო გადასახადი.

ქართლ-კახეთის (და შემდეგ ა/კავკასიის მეტი ნაწილის) ეკონომიურ ურთიერთობას რუსეთთან ჰქონდა ცალმხრივი ხასიათი. სახელდობრ, ქართლ-კახეთიდან გაჰქონდათ საქონელი მცირედ, შემოჰქონდათ კი რუსეთიდან რუსული და უცხოური (დას. ევროპული) საქონელი ბლომად. განსხვავებას ფარავდა ის დიდძალი ფული, რომელსაც რუსეთი ხარჯავდა ქართლ-კახეთსა და ა/კავკასიაში ჯარების შესანახად და რომელიც შემოსატანი საქონლის საფასურად მეტწილად კვლავ რუსეთში ბრუნდებოდა (ნაწილი მიდიოდა სპარსეთ-ოსმალეთისკენ). ამიტომაც განსაკუთრებით თბილისში (და ზოგ სხვა ქალაქებშიც) დიდად ვაიზარდა მსხვილ მოვაჭრეთა როლი. ეს მსხვილი მოვაჭრენი იყვნენ თითქმის მთლიანად სომხები (50 კაციდან თბილისში ქართველი იყო მხოლოდ ერთი – სარაჯიშვილი). ისინი დადიოდნენ რუსეთში კერძოდ ნიჟინ-ნოვგოროდის დიდ იარმუკაზე, რომელიც ყოველწლიურად იმართებოდა და მოჰქონდათ იქიდან სამრეწველო საქონელი. სიტყვა იარმუკაც ქართულში (რუსული Ярмакка-დან, რომელიც თავის მხრივ წარმოებულია გერმანულ Jahrmarkt-დან) მაშინ გაჩნდა. ამგვარად თბილისში და საქართველოში კიდევ უფრო ძლიერდებოდა სომხების ვაჭრული ბურჟუაზია. რომელიც ჩაბმული იყო რუსის ჯარისთვის საჭირო შეკვთების დამზადებაშიც (პოდრიადებში) და ფულის ბრუნვის პროცესში მდიდრდებოდა. ადგილობრივად საწარმოო ძალთა განვითარებისათვის და მრეწველობის წამოსაწყებად ეს ვაჭრული ბურჟუაზია არაფერს აკეთებდა. ასეთი მდგომარეობა იყო ვიდრე ბატონყნობის გადაყარდნამდის და მეტწილად შემდეგაც.

ამგვარად დიდ მოგებაში იყო ახალ პირობებში სავაჭრო წოდება, რადგანაც მათი სამოქმედო ასპარეზიც, რუსეთთან დაკავშირების გამო გაფართოვდა და გარდა ამისა მათთვის ახლა არსებობდა უფრო უსაფრთხო პირობები.

98. ვაჭრული ბურჟუაზიის ბაძლიერება. ეკონომიურად საქართველოს მდგომარეობა იყო მძიმე. ლა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად საქარხნო-სახელოსნო წარმოება თბილისში თითქმის განადგურებული იყო. ამ დროისათვის განახლდა მხოლოდ წერილი სახელოსნო წარმოება და ისიც უცეცხვად შემთხვევაში სანახევროდ (ბევრ დარგში მხოლოდ სამქსამედოდ), მოზრდილი სახელმწიფო წარმოებანი კი არ აღდგენილა. რუსის ჯარის რაოდენობა საქართველოში სწრაფად იზრდებოდა, ასე რომ რამოდენიმე წლის შემდეგ ამ ჯარის რაოდენობა 25 ათას კაცს აღწევდა. სახელმწიფო გადასახადით ქართლ-კახეთში აკრეფილი პურით და ქერით კი შეიძლებოდა დაახლოებით მხოლოდ 6 ათასი კაცის შენახვა. ამიტომ ამ ჯარის შესანახად რუსეთი იძულებული იყო გაეწია დიდი ხარჯები. ამ მიზეზით ადგილობრივ დატრიალდა დიდძალი ფული, რომელიც გროვდებოდა თბილისის, გორის და სხვა ადგილების უმთავრესად მსხვილ და წვირლ მოიჯარადრეთა შორის. რუსეთიდან შემოსული ფული ბლომად გადიოდა სპარსეთსა და ოსმალეთში საიდანაც შემოჰქონდათ სხვადასხვა იჭაური საქონელი. ვაცხროველა სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთანაც, თუმცა დიდხანს კიდევ ბევრად მეტი საქონელი შემოდებოდა სპარსეთ-ოსმალეთიდან ვიდრე რუსეთიდან. საქართველოში, უფრო თბილისში. გაჩნდა ათაჭრო ბურჟუაზია. რომელიც თითქმის არავითარ წარმოებას ადგილზე არ მისდევდა. შაგრამ განდიდრების მიზნით ენერგიულად ეწეოდა შუამავლის როლს უცხოელთა და რუსული საქონლის შემოტანის საქმეში. რუსული მმართველობის დამყარებამ მოუტანა ქართველ ხალხს ფიზიკური არსებობის უზრუნველყოფა ოსმალეთის და სპარსეთის მძლავრობისაგან. თარეშები ლეკეთიდანაც თანდათან სუსტდებოდა. ბოლო 1820-იანი წლებიდან თითქმის საესეებით აღკვეთილ იქნა: ქრისტიანობის ღაცვის ლოზუნგი, რომლითაც ქართველი ხალხი სინამდვილეში თავისი ზალხონსური საბნის შეყანარუნებლად ებრძოდა გარეშე მტრებს, მოიხსნა და სამაგიეროდ, საიმპერიო ხელისუფლების გამარუხბელი პოლიტიკის გამო წამოიჭრა ახალი ამოცანა ენის და ეროვნების დაცვისა და შენარუნების. ეს ლოზუნგი ამიერიდან წითელი ზოლივით გასდევს მთელ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

99. ფიფქანცინციის ბაძლიერება ბლახობაში სოფლად. ფულის ტრიალის გაძლიერებამ და სასოფლო მეურნეობის პროდუქტებზე სამხედრო უწყების მხრით მოთხოვნის გაძლიერებამ ხელი შეუწყო სოფლად მოსახლეობაში დიფერენციაციის გაძლიერებას. ეს უტყობოდა როგორც თავისუფალ

(სახაზინო) გლეხებს, ისე აგრეთვე საბატონო გლეხებსაც. ჩნდებოდნენ უფრო შეძლებული საბატონო გლეხები, რომელთაც უკვე საკუთარი მიწები ჰქონდათ და იყვნენ სრულებით გალატაკებულნი უმიწო გლეხები, რომელნიც საბატონო გადასახადს მაინც იხდიდნენ და ამ ხარჯის გასასწორებლად იძულებული ხდებოდნენ ქირით ემუშავათ სხვის მიწებზე. ასეთი ძვრები, კერძოდ ქართლის გლეხობაში 1818 წლისათვის, როდესაც მოხდა ქართლ-კახეთის მოსახლეობის ახალი კამერალური აღწერა, უკვე ახალი ცხოვრების პირობების ზეგავლენით, თვალსაჩინოდ შესამჩნევი შეიქნა. ამის სანიმუშოდ მოვიტანთ რამოდენიმე მაგალითს.

თავ. ამილახვრის აზნაურთ ქარუმიძეებს 1818 წელს ჰქონდათ საერთო მიწები წინა-გორში და ზემო-ნურში. ერთ მათგანს, გოგია ქარუმიძეს, სოფელ ძევერაში ჰქონდა სამკვიდრო სახნავი 30 დღის, ხნავდა კი 5 დღიურს, საიდანაც ღებულობდა 60 კოდ პურს, უვარგისი მიწა იყო 2 დღის. ჰყავდა ერთი ცხენი და ოთხი რქოსანი მსხვილი პირუტყვი. ცხოვრობდა კარგად (ფ. 93).

უკეთეს პირობებში იყო იმავე სოფელში სხვა აზნაური, რომელსაც თავისი საკუთარი ნასყიდი მიწები ჰქონდა. იყო სოფ. ძევერაში თავ. ნიკ. ამილახვრიშვილის აზნაური სოლ. ჯავახიშვილი, რომელსაც 1818 წელს ჰქონდა საკუთარი ნასყიდი მიწა 60 დღის. ამათგან ის ამუშავებდა 25 დღიურს (მოსავალი 300 კოდი). ვენახი მას ჰქონდა ორი დღის ოთხ ნაჭრად, მოსავალი 80 კოკა ღვინო; წისქვილი ერთთვალისანი ატენის ხეობაში (წისქვილის წლიური შემოსავალი წელიწადში 20 კოდი); კიდევ ნასყიდი ბაღი (ვენახი) 1/2 დღის, უშემოსავლო. რქოსანი პირუტყვი – 25. ცხოვრობს ძლიერ კარგად.

ამ აზნაურს ჯავახიშვილს ჰყავდა 5 კომლი გლეხი, რომლებსაც მიწა მიცემული ჰქონდათ ჯავახიშვილისგანვე (ფ. 84).

სოფ. ფლაგში 1818 წელს ცხოვრობდა შალვა და ელიზბარ ერისთავების საერთო გლეხი ბეჟან ჯავახიშვილი. ჰქონდა სამკვიდრო მიწა 40 დღის, ხნავდა 3 დღიურს (მოსავალი 40 კოდი), ვენახი 2 დღიური (მოსავალი 30 კოკა). მსხვილფეხა საქონელი 2. ცხოვრობს კარგად (ფ. 212).

სოფ. კულბითში 1818 წელს ცხოვრობდა შანშე ერისთავის აზნაური ჩერქეზ ჩერქეზიშვილი, რომელსაც აქვს სამკვიდრო მიწა 80 დღის რომელთაგან ხნავს 20 დღიურს (მოსავალი 300 კოდი). ვენახი 8 დღ. და ამის მოსავალი 200 კოკა. გარდა ამისა სოფ. ძევერაში მას აქვს 12 დღ. მიწა, რომლისგან ღებულობს ღალას 10 კოდს. მსხვილი რქოსანი 20 ცალი, ცხვარი 40 ცალი. ცხოვრობს ძლიერ კარგად (ფ. 242).

ამ აზნაურს ჰყავს 12 კომლი გლეხი. ამათგან ორი არის თავის ნასყიდ მიწაზე (20 დღ. და 5 დღის). ორს კი არა აქვს მიწა (ერთ მათგანს აქვს 1/4 დღიური ვენახი 6 კოკა ღვინის მოსავლით, მეორეს კი არაფერი). ორივე ცხოვრობდა დღიური სამუშაოებით. დანარჩენ 8 კომლს მიწა აქვს მემამულისგან (ფ. 242-244).

ძევერაში ნიკ. ამილახვრიშვილს აზნაურს პეტრე ჯავახიშვილს 1818 წელს ჰქონდა საკუთარი ნასყიდი მიწა 60 დღ., რომელთაგან ხნავდა 20 დღისას (მოსავალი 240 კოდი). ვენახი (ცაგ) 3 დღიური, მოსავალი 80 კოკა. ერთთვალისანი წისქვილი (შემოსავალი 10 კოდი). რქოსანი პირუტყვი 20, ცხენი 2. ცხოვრობს ძლიერ კარგად.

ამ აზნაურს ჰყავდა სამი კომლი გლეხი, რომელთაგან ორს ჰქონდა მიწა მეზატონისგან და ერთი კი ცხოვრობდა სხვადასხვა მეპატრონეთა 8 დღის მიწების დამუშავებით (მოსავალი ჰქონდა 80 კოდი რქოსანი პირუტყვი – 8 ცალი (ფ. 88).

თავ. ნინია ფავლენიშვილს სოფ. ერედვში 1818 წელს ჰყავდა 5 კომლი გლეხი. ამათგან ერთს ჰქონდა ნასყიდი მიწა 36 დღ., რომელთაგან ხნავდა 12 დღიურს (მოსავალი 150 კოდი). ჰქონდა ვენახიც ნასყიდი ერთ დღიურს (მოსავალი 30 კოკა ღვინო). მსხვილი რქოსანი პირუტყვი ჰყავდა 15 ცალი, ჰქონდა ერთი სკა. ცხოვრობდა კარგად. ორ გლეხს ჰქონდა მემამულისგან მიცემული 15 დღ. და 20 დღის სახნავი. ერთს კიდევ მემამულისგან ჰქონდა მხოლოდ 5 დღიური სახნავი მიწა, ამიტომ სხვის მიწასაც ამუშავებდა, ერთი კიდევ სრულიად უმიწო იყო და ცხოვრობდა დღიური სამუშაოებით (ფ. 253).

იქვე ძმებს თავ. იესე და ივ. ფავლენიშვილებს) 1818 წელს ჰყავდათ 7 კომლი გლეხი. ამათგან ერთ გლეხს ჰქონდა მემამულისგან მიცემული მიწა 4 დღის და თავისი საკუთარი ნასყიდი 60 დღის, ხნავდა კი სულ 10 დღიურს (მოსავალი 130 კოდი). ვენახი ჰქონდა 1 დღიური (მოსავალი 6 კოკა).

მსხვილი რქოსანი პირუტყვი 12 ცალი. მეორეს კიდევ ჰქონდა ნასყიდი მიწა 10 დღის და მემამულისგან მიღებული 2 დღის, ხნავდა 6 დღიურს, (მოსავალი 50 კოდი). ჰქონდა ნასყიდი ვენახი 2 დღის (მოსავალი 10 კოკა ღვინო). მსხვილფეხა რქოსანი 8 ცალი. მესამეს კიდევ საკუთარი ნასყიდი მიწა ჰქონდა 12 დღის და მემამულისგან მოცემული 4 დღის (მოსავალი 40 კოდი). მსხვილრქოსანი პირუტყვი 4 ცალი. ერთ გლეხს არაფერი არ ჰქონდა სახლის მეტი, იყო მწყემსი და დღიური მომუშავე. დანარჩენ ოთხ გლეხს ჰქონდა მებატონისგან მიცემული მიწა 5, 10, 10, 12 დღის (ფ. 260-261).

სოფ. ძევერაში, რომელშიაც სჭარბობდნენ თავად ამილახვრების აზნაურები ჯავახიშვილები მათი გლეხებითურთ, 1818 წლის აღწერით ბოლოში აღნიშნულია სახაზინო გლეხის გაბრიელ ილანიძის კუთვნილი ნასყიდი გლეხი სტეფან გოგიაშვილი დედით, სამი ძმით და ერთი დით. ცხოვრობდა ეს გლეხი სხვის სახლში, პროფესიით იყო მწყემსი. ეტყობა მას მიწა სრულებით არ ჰქონდა.

გორის მაზრაში იმავე 1818 წლის აღწერით აღნიშნულია კიდევ ორიოდე შემთხვევა, როდესაც გლეხი არის გლეხისავე ყმა.

90. თავადაზნაურობის წოდებრივი ორბანიზაციის განმტკიცება. ჯერ კიდევ იმერეთში საეკლესიო საკითხის გამო მომხდარი აჯანყების დაწყებამდე ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წოდებრივი ორგანიზაციის გასამტკიცებლად ერთლოცვა თავადაზნაურობის საგუბერნიო და სამაზრო მარშლებთან, რუსეთის შიდაგუბერნიების მსგავსად, დააარსა თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულო, რომელიც შესდგებოდა თითო მაზრიდან რამოდენიმე (სამი-ოთხი) დეპუტატისაგან (1818 წ.). დეპუტატებს თავადაზნაურობა ირჩევდა თავის კრებაზე მარშლებთან და სახელმწიფო სამსახურის სათანამდებობო პირებთან ერთად სამ წელიწადში ერთხელ.

დეპუტატთა საკრებულოს დაარსებას მაშინ ქართულ სინამდვილეში ჰქონდა თვალსაჩინო მნიშვნელობა. თავადაზნაურობის წოდებრივი ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებული იყო მემამულეთა ინტერესების დასაცავად, ესლა უფრო განმტკიცდა. პოლიტიკურად საკრებულო მარშლებთან ერთად არავითარ როლს არ ასრულებდა – კანონი ამის ნებას და შესაძლებლობას არ იძლეოდა. მაგრამ სამაგიეროდ საკრებულო გადაიქცა ესლა თავადაზნაურობის ერთგვარ შტაბად, სადაც მუშავდებოდა პრაქტიკული ღონისძიებანი ბატონყმობის განსამტკიცებლად. ამ საკრებულოს მეოხებით იყო, რომ საბატონო გლეხების მდგომარეობა განიცდიდა ცვლილებებს და კერძოდ თავისთავად გაუქმდა საგლეხო ძველისძველი დებულება. მიუხედავად იმისა, რომ მართებლობის მიერ არავითარი განკარგულება, მით უმეტეს კანონი ამის შესახებ არ გამოცემულა.

დეპუტატთა საკრებულოს მართებლობის მიერ დავალებული ჰქონდა გამოერკვია და დაედგინა თავადობის და აზნაურობის უფლებათა მემკვიდრეობით მქონე პირთა ვინაობა. ეს მუშაობა წარმოებდა 1820-1830-იან წლებში.

91. აჯანყება იმერეთში საქალაქო საკითხთან დაკავშირებით. (1819-1820 წ.). გენ. რტიშჩევის შემდეგ 1816 წლიდან კავკასიის მთავარმართველად იყო გენ. ერმოლოვი, რომელიც ქედმაღლურად ეპყრობოდა კავკასიის ხალხებს. მისმა მართებლობამ გასტანა 10 წელი. ამ დროს, პეტერბურგში დაისვა საკითხი ეკლესიის მეშვეობით ქართველების რუსეთთან უფრო მჭიდროდ დაკავშირების შესახებ. ამ მიზნით ექზარხოსი ვარლამი გაწვეულ იქნა რუსეთში და მის მაგივრად დანიშნულ იქნა თავისებურად განათლებული და იმავე დროს მტკიცე რუსული პოლიტიკის გამტარებელი მღვდელთმთავარი თეოფილაქტე რუსანოვი (1817 წ.). საქართველოში მოსვლისთანავე თეოფილაქტემ შემოიღო სანახევროდ სლავური წირვა-ლოცვა თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში, მის დროს გაიხსნა თბილისის სასულიერო სემინარია რუსულ ენაზე (1817 წ.), რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული რუსულ განათლებაზე აღზრდილი ახალი კონტიგენტის შექმნა. ამ სემინარიაში სწავლა სწარმოებდა რუსულ ენაზე, მასში სჭარბობდა სპეციალურად საეკლესიო საგნები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ყველაფერ ამისა სემინარიას, კეთილშობილთა სასწავლებელთან შედარებით, ჰქონდა ის მნიშვნელობა, რომ მასში დებულობდნენ მღვდლების და საერთოდ არათავადაზნაურულ თავისუფალ პირთა შეილებს. სემინარიის წყალობით ჩვენში საფუძველი ეყრებოდა არა-თავადაზნაურულ ინტელიგენციას. ამ სემინარიამ იარსება სრული ასი წელიწადი.

92. დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო. დას. საქართველო ფეოდალური წარმატების პერიოდთან დაწყებული წარმოადგენდა ცალკე საკათალიკოსოს. კათალიკოსის საკათედრო ტაძრად ითვლებოდა ბიჭვინტის მონასტერი აფხაზეთში. მაგრამ, როდესაც XVII ს-ნეში ჩერქეზეთსა და აფხაზეთში ფეხი მოიკიდა ოსმალურმა გავლენამ, მაშინ აფხაზეთის კათალიკოსები იძულებული გახდნენ ბიჭვინტიდან გადასულიყვნენ იმერეთში. აფხაზეთის (დას. საქართველოს) უკანასკნელი კათალიკოსის მაქსიმე აბაშიძის სიკვდილის შემდეგ ახალი კათალიკოსი იქ აღარ აურჩევიათ. სულ იმერეთ-გურია-სამეგრელოში ამ დროს ითვლებოდა 9 მღვდელმთავარი. მღვდლებიც დას. საქართველოში იყვნენ ძლიერ ბევრი (ისინი ოჯახებით შეადგენდნენ მოსახლეობის დაახლ. 5%). თუმცა მღვდლების დაახლოებით მხოლოდ ნახევარმა იცოდა წერაკითხვა, მეორე ნახევარმა კი მხოლოდ ხუცური კითხვა, მაინც მღვდელს მაშინ სოფელში დიდი გავლენა ჰქონდა, რადგანაც ის ახლოს იდგა გლეხობასთან და, როგორც უფრო შეგნებული, ყოველ შემთხვევაში წერა-კითხვის მცოდნე, გლეხობისთვის მის ჭირვარაში სასარგებლოც იყო. გარდა ამისა, გასულ ხანაში, ოსმალებთან ბრძოლების დროს, სამღვდლოება საჭირო იყო ხალხში ქრისტიანული შეგნების განსამტკიცებლად. ქუთაისის და გელათის მიტროპოლიტებს თავისი ხელკვეთი ჰქონდა საეკლესიო დიდი შეძლება (თითოს ამ დროს 500 მოზდდილი კომლ აზნაურ-გლეხზე მეტი). მათ თავისი კარის სხვადასხვა მოხელეებით და თავადების ხშირი სტუმრიანობით. მათი გავლენა ადგილობრივი ქართული მმართველობის გაუქმების გამო, კიდევ უფრო გაიზარდა, მით უმეტეს რომ რუსული მმართველობა ხალხს არ მოსწონდა.

ექზარხოსმა თეოფილაქტემ მონინდომა საეკლესიო რეფორმა ქართლ-კახეთის ნიშუმის მიხედვით გაეტარებინა იმერეთში და საერთოდ დას. საქართველოშიც.

1795 წ. მაისში კიევში გარდაცვალებულ კათალიკოსის მაქსიმეს შემდეგ აფხაზეთ-იმერეთის საკათალიკოსოს განაგებდა დოსითეოს ქუთათელი. რუსის მთავრობა საქართველო-იმერეთის სასინოდო კანტორის გახსნით 1815 წ. ცდილობდა დასავლეთ საქართველოს ეპარქიების ექზარხოსისათვის დამორჩილებას, მაგრამ ფაქტიურად ლიხთ-იმერეთს წინანდელი წესი შეუცვლელი იყო. ექზარხოსი თეოფილაქტე საეკლესიო რეფორმის გატარებას დასავლეთ საქართველოში და თბილისში ჩამოსვლისთანავე შეუდგა. მან წარადგინა უწმინდეს სინოდში მოხსენება ლიხთ-იმერეთის ეპარქიების შემცირებისა და მათი ექზარხოსისათვის დაქვემდებარების შესახებ. დასავლეთ საქართველოში ამ დროს იყო 9 მღვდელმთავრობო კათედრა. განზრახული იყო მხოლოდ სამი ეპარქიის დატოვება, აგრეთვე საეკლესიო მამულების შემოსავლის ცნობაში მოყვანა და ამ მამულების მართვა-გამკეობის დაქვემდებარება ექზარხოსისა და სასინოდო კანტორისადმი. საგლეხო გადასახადები ამასთანავე უნდა გადატანილი ყოფილიყო ფულზე (რაც თავისთავად პროგრესული ღონისძიება იყო) ხოლო სამღვდლოებას კი მიცემოდა ჯამაგირი.

ამ რეფორმის განზრახვით დიდად უკმაყოფილო გახდნენ იმერეთის მღვდელმთავარი და სამღვდლოება. იმერეთში იყო 4 მღვდელმთავარი – ქუთათელი და გენათელი (გელათის) მეტროპოლიტები და ნიკორწმინდის (რაჭაში) და ხონის მთავარეპისკოპოსები. ამათგან ქუთათელს და გენათელს ჰქონდა დიდი ძალა და გავლენა.

განზრახული რეფორმით საეკლესიო გლეხები და ქონება დაქვემდებარებოდნენ სინოდალურ კანტორას (სამმართველოს) თბილისში. სამაგიეროდ საეკლესიო გლეხების გადასახადები გაიზრდებოდა ერთიორად და მეტადაც და ისიც ნატურალური გადასახადის რუსულ ფულზე გადატანით, რაც კიდევ ზედმეტ გაუარესებას წარმოადგენდა, რადგანაც იმერეთში ჯერ კიდევ უფრო ოსმალური ფული ტრიალებდა. მღვდლების რიცხვი უნდა შემცირებულიყო ერთიორად და სამად და მღვდელმთავრებსაც დაენიშნებოდათ ჯამაგირი. ეპისკოპოსების შესამჩნევი დასანახი ცხოვრება ამალით და სტუმრიანობით მოისპობოდა, რაც ფრთას შეაკვეცდა მათ გავლენას თავადაზნაურობაზე და ხალხზე.

როდესაც საეკლესიო გლეხების აღწერას შეუდგნენ გადასახადების ფულზე გადატანით და მათი მომატებით, ხალხი შეშინდა. სამღვდლოების ტენდენციური აგიტაციის წყალობით უკმაყოფილება მოედო თითქმის მთელ გლეხობას. ყველას ეშინოდა, რომ ხსენებულ რეფორმას მოჰყვებოდა გადასახადების ყველგან მომატება, რუსული ეგზეკუციები და სხვ. ხალხი მოითხოვდა რეფორმის გაუქმებას და მღვდლების წინანდებურად დატოვებას. გლეხები მოუწოდებდნენ ერთმანეთს ერთობისაკენ და ამ ერთობაში მონაწილეობის ჯგუფები გადადიოდნენ თავიანთ მეზობელ სოფლებში. ყველგან, ადგილობრივ ეკლესიებში დაცული ბუკების დაკვრით, იკრიბებოდა ხალხი და ხატებზე ერთობის

ფიცს ღებულობდა. ერთობის ფიცს ღებულობდნენ გლეხებთან ერთად თავად-აზნაურნიც. ამგვარად მოძრაობამ უმეტეს ადგილებში მიიღო იმდენად ფართო ხასიათი, რომ თავადებმა გაუშვეს თავიანთი ხელიდან ხელმძღვანელი როლი და ისინი ძლიერ ხშირად იძულებული ხდებოდნენ გლეხების მორიდებით მათ ხმას მიჰყოლოდნენ. ზოგ შემთხვევაში ხალხის მოძრაობა ღებულობდა პირდაპირ მემამულეთა საწინააღმდეგო ხასიათსაც. ასე, მაგ., ცუცხვათში მოჰკლეს თავ. აგიაშვილი, ვარძიაში მოჰკლეს ადგილობრივი მონასტრის წინამძღვარი, ეგრეთ წოდებული ჯვარისმამა, ექზარხოსის მიერ საეკლესიო მამულების აღსაწერად გაგზავნილი კაცები ზოგ ადგილას იმერეთში ხალხმა კინაღამ დახოცა. ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი და გენათელი ეფთვიმე აშკარად მოუწოდებდნენ ხალხს ეკლესიის უფლებების დასაცავად. ექზარხოსი თეოფილაქტე თვით ჩავიდა ქუთაისს საქმის მოსაგვარებლად, მაგრამ იძულებული შეიქნა უკან დაბრუნებულიყო. ასეთ პირობებში ექზარხოსმა მთავარმართებლის მოთხოვნით გააუქმა თავისი განზრახულება და გამოაცხადა, რომ საეკლესიო რეფორმა იმერეთში არ იქნებოდა ჩატარებული.

ამის შემდეგ 1819 წლის შემოდგომისათვის მდგომარეობა იმერეთში გარეგნულად მიუჩნდა. ეპისკოპოსებმა საეკლესიო რეფორმის გაუქმების საქმეში მიაღწიეს თავის მიზანს.

მაგრამ ხალხს ახსოვდა რუსის ჯარის და აგრეთვე რუსი მოხელეების სხვადასხვა ძალმომრეობანი და უსამართლობანი, არ ენდობოდა საზოგადოდ რუსულ ხელისუფლებას და ამიტომ უნდოდა მისი თავიდან მოცილება. არც თავადები იყვნენ ამ ხელისუფლების მომხრენი, მაგრამ, როგორც უფრო შეგნებულნი, გრძნობდნენ ამ ხელისუფლებასთან ბრძოლის მეტისმეტ სიძნელეს და უიმედობასაც. ამიტომ ისინი კამუფლირდებოდნენ მიღწეული შედეგით და არ უნდოდათ ახალი არეულობით მდგომარეობის გართულება. მაგრამ ეს გართულება მაინც მოხდა იმერეთში მყოფი რუსული ხელისუფლების და საქართველოს რუსული ცენტრალური მართებლობის სიბეცის წყალობით. იმერეთის რუსი მმართველნი და მათ მოხსენებებზე დამყარებულნი მთავარმართებელი და მისი უახლოესი მოხელეები კვლავინდებურად დარწმუნებული იყვნენ, რომ მთავარ უბედურებას მათთვის შეადგენდნენ ქუთათელი და გენათელი მიტროპოლიტები და ზოგიერთი გავლენიანი თავადი. ეს თავადები (წულუკიძეები, იაშვილები და სხვანი) მუდმივად ცხადდებოდნენ იმერეთის მმართველთან და ეფიცებოდნენ მას რუსეთისადმი ერთგულებას. ამ ეტაპზე თავადების ეს განცხადება უსათუოდ გულწრფელი იყო, მაგრამ რუს მოხელეებს ეს არ სჯეროდათ და გაზაფხულისათვის ახალი არეულობათა თავიდან ასაცილებლად ღებულობდნენ თავისი შეხედულებით საჭირო ზომებს. განზრახული იყო ქუთათელ და გენათელ მიტროპოლიტების და ზოგი წარჩინებული პირის რუსეთში გადასახლება, რისთვისაც სათანადო ნებართვას ელოდნენ პეტერბურგიდან. ეს ნებართვაც მოვიდა. მაშინ იმერეთის ახლად დანიშნულმა მმართველმა პოლკ. პუზირევსკიმ შეიპყრო ღრმად მოხუცებულნი ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი და გენათელი ეფთვიმე (3 მარტს 1820 წ.). ორივეს ჩამოაცვეს თავიდან წელამდის ტომრები, შეუკრეს ხელები, ხოლო ქუთათელს ცემეს ფრიად და ესრედ წაიყვანეს. მათთან ერთად ჯარის თანხლებით დაპატიმრებულ და რუსეთისაკენ გაგზავნილ იქმნენ დარეჯან ბატონიშვილი, დედა ივანე აბაშიძისა და რამდენიმე თავადი. მაგრამ ივანე აბაშიძე ვერ შეიპყრეს. დარეჯანი დაასადგურეს რუსეთში ქალ. პენზას, ხოლო თავადები გაგზავნეს ციმბირს. სურამთან ტომარაში დაიხრჩო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოს, მაგრამ ის მაინც მკვდარი წაიღეს და დამარხეს ანანურს. ხოლო გენათელი წარუდგინეს პეტერბურგს იმპერატორ ალექსანდრე I-ს და შემდეგ პატიმრად მოათავსეს სვირის მონასტერში, პეტერბურგიდან 200 ვერსზე, სადაც ის მალე გარდაიცვალა (21 აპრილს 1822 წ.).

მიტროპოლიტთა და სხვების დაპატიმრებამ დიდი შიში გამოიწვია სხვა თავადებში და ხალხშიც, რომელიც ეხლა კვლავ ამოდრავდა. ხალხის მოძრაობა უფრო გაძლიერდა გურიასა და რაჭაში. გურიაში ქაიხოსრო გურიელის ძესთან თავი შეეფარებინა იმერეთიდან გაქცეულ ივანე აბაშიძეს. ეს საემარისი იყო, რომ იმერეთის მმართველი პუზირევსკი ჯარით წასულიყო გურიას ქაიხოსრო გურიელის ძის შესაპყრობად, თუმცა, როგორც შემდეგ გამოიკვია, ეს ქაიხოსრო აჯანყების წინააღმდეგი იყო. შემოქმედის ახლოს პუზირევსკი (რომელსაც ორი ჯარისკაცი ახლდა) შეხვდა ერთს ყმაწვილ აზნაურ ბოლქვაძეს (ქაიხოსროს ძიძიშვილს), რომელსაც გინებით კითხა — სად არის ქაიხოსრო გურიელის ძე და შემდეგ გადაკრა მას მათრახიც. ბოლქვაძემ გადმოიღო თოფი და პუზირევსკი იქვე

მოკლა¹. მისი გვამის გამოსასხნელად წასული რუსების ჯარის რაზმი დაამარცხა თავ. დაეით ერისთავმა (ხსენებული ბოლქვაძე შემდეგ შეიპყრეს და ჯარის მწყრივში გატარებით მოკლეს შობილების ე.ი. თოფის სატენი რკინების ცემით).

ამის შემდეგ აჯანყება მოედო, როგორც გურას, ისე იმერეთს და აგრეთვე რამოდენადმე ოდიშსაც. ივანე აბაშიძე ჩავიდა იმერეთში, სადაც ერთ ადგილას უკვე გამოეცხადებინათ მეფედ ვანტანგ ბატონიშვილი. ოდიშში კიდევ აჯანყებულებს სათავეში ჩაუდგა ლევან დადიანის ძმა გიორგი, რომელიც რუსის სამსახურის ოფიცერი იყო და ეხლა ძმის გადაგდებას და შემდეგ იმერეთის მოაჯანყებთან შეერთებას აპირებდა. აჯანყების ჩასაქრობად თბილისიდან გაგზავნილ იქნა იმერეთის მმართველად დანიშნული თავ. გორჩაკოვი რუსის ახალი ჯარით.

გორჩაკოვს მიცემული ჰქონდა დირექტივა, რომ მოაჯანყენი, ვისაც კი შეიპყრობდნენ, სიკვდილით დაესაჯათ ადგილზევე. გორჩაკოვი პირველად გადავიდა რაჭაში, სადაც აჯანყების ალი უფრო ძლიერი იყო. გორჩაკოვმა გადასწვა თავად იაშვილების სახლკარი და დაუწყაო ხალხს ბუკების და თოფების ჩამორთმევა. მაგრამ მიღებული ზომების მიუხედავად აჯანყება მანც არ ცხრებოდა და მოაჯანყენი ხან ერთ ადგილას აუტეხდნენ სროლას რუსის რაზმებს და ხან მეორე ადგილას. თავადი წულუკიძეები ხშირად გორჩაკოვის ბანაკში ცხადდებოდნენ, მაგრამ იმავე დროს აბოპოქრებულ გლეხობის ერთობის ფიცსაც ვერ ღალატობდნენ. ხალხი კი ერთმანეთში ერთობის ფიცით შეკრული და შეიარაღებული ცალკე იდგა დიდ-დიდ შეყრილობად. თავადები მართებლობასთან მორიგების მომხრენი იყვნენ, მაგრამ გაფიცული ხალხის შიშით ხალხს ვერ ეთიშებოდნენ. ბოლოს რუსების ჯარის უფროსებმა ხელთ ჩაიგდეს წინა წლის ერთობის ფიცის წიგნი, რომელზედაც ხალხის წარმომადგენლებთან ერთად პირველ რიგში თავადებსაც ეწერათ ხელი. რადგანაც რუსები ადგილობრივ პირობებში ვერ ერკვეოდნენ და ამიტომ ერთობის ფიცის წიგნში მოხსენებული თავადები მიიჩნიეს აჯანყების მეთაურებად მეორე დილასვე რაჭველი თავადების ერთი ნაწილი (მათ შორის ყოფილი სარდალი, პოლკოვნიკი წულუკიძე და სხვანი) დაიბარეს გორჩაკოვთან. როდესაც ისინი გამოცხადნენ, მათ შემოართყეს ხიშტებიანი ჯარისკაცები. თავადებმა ხმაღზე გაისვეს ხელი, რის შედეგად ზოგი მათგანი დახოცეს, სხვანი კიდევ შეიპყრეს.

სამი წულუკიძე, მათ შორის ზემოთ ხსენებული, გიორგი წულუკიძე, ერისთავები, ყველა იაშვილი და ორი აბაშიძე გადაასახლეს ციმბირში. მათი გლეხები ჩაირიცხა სახაზინოდ. ამის შემდეგ გორჩაკოვმა თავისი ჯარის მეოხებით მოაჯანყენი როგორც რაჭაში, ისე იმერეთის სხვა ადგილებშიაც თანდათან დაფანტა.

ამ არეულობის დროს რაჭაში თავ. ყიფიანებს ეკავათ რუსეთის მართებლობის მხარე და ხალხის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. საყურადღებოა, რომ ხალხს ეს გარემოება ყოველთვის ახსოვდა და ამიტომ მას სძულდა თავ. ყიფიანები. ეს გაუხსენეს ყიფიანებს 1905 წლის რევოლუციის დროს, როდესაც მათი უმეტესობა გლეხების მიერ ამოწყვეტილ იქნა.

გურიისკენ გაგზავნილ იქნა 3200 კაცისაგან შემდგარი ჯარი, რომელმაც დაანგრია სოფელი შემოქმედი (პუზირევსკის იქ მოკვლის გამო), ამოჩნება იქაური ვაზები და საზოგადოდ ააოხრა ეს სოფელი ისე, რომ ოფიციალური რუსულივე ცნობით ამ ადგილას მოსახლეობა 30 წელიწადს ვერ მოსულიერდებოდა. აჯანყებაში მონაწილენი აქაც დაისაჯნენ. ქაიხოსრო გურიელის ძე გაიქცა ოსმალეთს, მას, და აგრეთვე გურიელ ერისთავს და დავით გურიელის შვილს ჩამოართვეს მამულები. ლევან დადიანის ძე გიორგიც შეიპყრეს და გაგზავნეს ციმბირის ერთ-ერთ კორპუსში სამსახურში.

ამის შემდეგ გადაღებული საეკლესიო რეფორმაც ადვილად იქნა გატარებული. იმერეთის ეპარქიის მმართველად დანიშნა ნიკორწმიდელი მთავარეპისკოპოსი სოფრომი, ოდიშსა და გურიაში დარჩა აგრეთვე თვით საეპისკოპოსო კათედრა (ჭყონდიდისა და ჯუმათისა). ყველა ესენი მოექცნენ საქართველოს რუს ექსარქოსის მმართველობის ქვეშ. რამოდენიმე ხნის შემდეგ საეკლესიო გლეხებიც იმერეთში აწერეს და მათი გადასახადები და ვალდებულებანი გადაიტანეს ფულზე (1825 წ.). ეს რეფორმა

¹ ე. თაყაიშვილის ჩანაწერი: "როდესაც პუზირევსკიმ იკითხა, სადა არის ის მამაძალი ქაიხოსრო გურიელი, ბოლქვაძემ წამოიძახა: "ჰუიძე, ღმერთო მომკალი, ქაიხოსრო გურიელი და მამაძალი! მყისვე იშიშვლა მახვილი და ორად გააპო იგი. ასე მსმენია მოხუცი გურულებისგან. პუზირევსკის მოკვლიდან გურულები წელიწადს ითვლიდნენ — "კუზირინსკი" რომ მოკლეს, მას აქეთ ამდენი წელიაო, გამიგონია". დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, თამარ პაპავასი, პარიზი, 1937 წ. გვ. 13.

გლეხებისთვის ფრიად ხელსაყრელი აღმოჩნდა. საეკლესიო გლეხობამ წელში მომაგრება იწყო და, ვისაც მიწაწყალი საკმარისი ჰქონდა, საბატონო გლეხებთან შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებოდა.

93. საქართველოს საერთო ვითარება 1820-1830 წ. რუსეთის მმართველობის წესი და განსაკუთრებით რუსული ენის გაბატონება დიდ უხერხულებას წარმოადგენდა ხალხისათვის და ამიტომ უკმაყოფილება არ ცხრებოდა. მაგრამ ამ უკმაყოფილების გარედ გამომტანი ძალა არსად ჩანდა. გაბატონებული წოდება თავად-აზნაურობა თავის უფრო აქტიურ წევრთა სახით რუსის სამსახურში შედიოდა, ხოლო თვით ხალხი კი, ბატონყმურ წესწყობილების გამო, ხმის ამოღების საშუალებას მოკლებული იყო.

ამ უარყოფითი მხარეების მიუხედავად შედარებით წინანდელთან მშვიდობიანობა დამყარდა და საქართველომ იწყო ეკონომიურად მოღონიერება. მოსახლეობაც შესამჩნევად მატულობდა. 1819 წ. გენ. ერმოლოვის თაოსნობით დაარსდა თბილისში პირველი ქართული გაზეთი საქართველოს გაზეთი, რომელმაც 2 წელიწადი იარსება: თავადაზნაურობის ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი ამასთანავე ეტანებოდა რუსულ განათლებას და ადგილობრივ ცხოვრებაში ევროპულ ნაკადის გამტარებელი ხდებოდა.

რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა საქართველოში.

94. რუსეთის საბაჟო პოლიტიკა საქართველოსა და ამიერ კავკასიაში. ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების პირველ წლებში რუსეთის მთავრობა ცდილობდა საქართველო და ამიერ-კავკასია მოექცია რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის გავლენის ქვეშ, ამ მიზნით ჯერ კიდევ ციციანოვის მთავარმართველად დანიშნისთანავე მოსაზობილ იქნა შინაური საბაჟოების სისტემა ქართლ-კახეთში, რაც ფეოდალური წყობილების ნაშთს წარმოადგენდა და აგრეთვე გაუქმებულ იქნა საბაჟო რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის. სამაგიეროდ სპარსეთსა და ოსმალეთის საზღვრებზე დაარსებულ იქნა საბაჟო ასტრახანის საბაჟოში მიღებული ტარიფით, მაგრამ რადგანაც რუსეთის კაპიტალის პოტენციალური ძალა სუსტი იყო და ამასთანავე ამიერ-კავკასიაც მეტად დამორებული იყო რუსეთის სამრეწველო ცენტრებს, ამიტომ ამ ღონისძიებებმა მოიტანა დიდი ზიანი უპირველეს ყოვლისა მთავრობისათვის, რადგანაც საქონლის ბრუნვა სპარსეთთან და ოსმალეთთან ახლა გაძვირებული იყო, ხოლო რუსეთიდან კი მოდიოდა მეტად მცირე საქონელი. ამიტომაც ეს ღონისძიება ცუდ მდგომარეობაში აყენებდა უპირველეს ყოვლისა მრავალრიცხოვან რუს ჩინოვნიკებს და ოფიცრებს, რომელნიც ყველაზე მეტად საჭიროებდნენ შემოტანილ საქონელს.

გაჩნდა საქონლის ნაკლებობა, გაიზარდა სიძვირეც და ამიტომ მთავრობა ოთხი წლის შემდეგ 1807 წელს იძულებული გახდა გაეუქმებინა თავისი წინანდელი ღონისძიება და ოსმალეთისა და სპარსეთის საზღვარზე მოესპო რუსული საბაჟოები.

95. შვედოვნი პროგრესი ეკონომიკურ ცხოვრებაში. მართებლობა ღებულობდა ზოგიერთ ზომებს სოფლის მეურნეობაში ახალ კულტურათა შესატანად. ასეთი იყო, მაგ., კართოფლის კულტურის შემოღება. ერმოლოვის განკარგულებით, კართოფლის თესვა შემოღებულ იქნა დას. საქართველოს ზოგიერთ ადგილებშიც, თუმცა იქ ამ კულტურამ ნიადაგის სინოტივის გამო ჯეროვნად ვერ იხერია.

საქართველო XIX ს-ნეში გამოვლილ აოსრებათა გამო იყო მეტად გაღარიბებული. ამიტომ საქართველო ვერ ახერხებდა იმ ოქროს ათვისებას, რომელიც რუსეთიდან დიდი რაოდენობით იგზავნებოდა უმთავრესად რუსის ჯარის საჭიროებისათვის. ხელოსნობა საქართველოში იყო მეტად სუსტი, სახელოსნო წარმოების პროდუქციაც მეტად მცირე. ამიტომ საჭირო ხდებოდა დიდძალი საქონლის შემოტანა ირანიდან და ოსმალეთიდან. რუსეთიდან გამოგზავნილ ოქროს დიდი უმეტესობა მიდიოდა ამ ქვეყნებში იქიდან შემოტანილი საქონლის საფასურად. მაგრამ როდესაც მთავარმართველად დანიშნულ იქნა გენერალი ერმოლოვი, მაშინ ერთხელ კიდევ პრაქტიკულად დაისვა ამიერ-კავკასიის ეკონომიკურადაც რუსეთთან მჭიდროდ დაკავშირების საკითხი. ამის განსახორციელებლად საქართველოს ეკონომიკურად გაძლიერების მიზნით დაწესებულ იქნა ე.წ. აზიური ტარიფი, რომელიც გამოიხატებოდა სპარსეთიდან და ოსმალეთიდან შემოტანილ საქონელზე ბაჟის გადიდებაში. მაგრამ ამ ღონისძიების შედეგი ისეთივე აღმოჩნდა როგორც წინა, სახელდობრ კვლავ გაჩნდა საქონლის ნაკლებობა და სიძვირე.

ეს იყო ის დრო, როდესაც საფრანგეთში მეფე ლუდოვიკ XVIII-ის დროს პირველი მინისტრის და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე იმყოფებოდა დუკი დე რიშელიე, რომელიც წინად რუსეთის სამსახურში ნოვოროსიის მხარის გენერალ-გუბერნატორად იყო ოდესაში. რიშელიე პარიზში გადასვლის შემდეგაც არ იფიწყებდა შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებს და ცდილობდა აქ საფრანგეთის ვაჭრობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. რუსეთის მთავრობაც, რომელიც დაინტერესებული იყო საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი გამოეყენებინა ინგლისის გავლენის შესასუსტებლად წინააზიის ქვეყნების ეკონომიკაზე, ხელს უწყობდა ამას. აი ასეთ პირობებში წარმოიშვა პროექტი შეღავათიანი საბაჟო ტარიფის შემუშავების შესახებ დას. ევროპიდან შემოტანილ საქონელზე, მისი ტრანზიტის გასაადვილებლად, უმთავრესად ირანის მიმართულებით.

მაშინ, ერმოლოვისავე დროს, 1821 წელს, მართებლობამ გააუქმა ევრეთ წოდებული აზიური ტარიფი და მის მაგივრად 10 წლის ვადით დააწესა თანაბარი 5%-იანი ბაჟი ყველა საქონელზე, რომელიც შემოდიოდა ევროპიდან ან აზიიდან.

8 ოქტ. 1821 წ. ა/კავკასიაში შეღავათიანი ტარიფის ათი წლის ვადით დაწესების შესახებ ნათქვამია: "ვპოვე, რა თქვენ მიერ (ე.ი. გენერალ ერმოლოვის მიერ) წარმოდგენილი ცნობებიდან, რომ საქართველოში (ქართლ-კახეთში) მრეწველობის და ვაჭრობის მდგომარეობას კაპიტალთა და სავაჭრო წამოწყებათა ნაკლებობის გამო არა აქვს სათანადო გაშლა და განვითარება და რადგანაც ეს დარგები, რომელნიც მხარის კეთილდღეობისათვის მეტად საჭირო არიან, არ შეიძლება ჩვეულებრივი წესით წარმატებით მოწყობილ იქნას, არამედ მოითხოვენ განსაკუთრებულ წაქეზებას ამ მხარის დამახასიათებელ თვისებათა შესაბამისად, ამიტომ საჭირო ვსცნათ ამის სასარგებლოდ შემდეგი განკარგულებათა გამოცემა."

შემდეგ ბრძანებულებაში ნათქვამი იყო რომ რუსეთის ქვეშევრდომ და უცხოელ ყველა ვაჭარს, რომელთაც საქართველოში აქვთ სავაჭრო სახლები, ენიჭებათ დაწყებული 1 ივლისიდან 1822 წლისა პირველი გილდიის უფლებები, ამასთანავე 10 წლის ვადით საგილდო გადასახადებისაგან განთავისუფლებით. ესევე პირნი იმავე ვადით თავისუფლებიან პირადი სამსახურისაგან და პირადი გადასახადებისაგან. ხოლო მათი სახლები და მალაზიები სამხედრო ჩადგომისა და გადასახადისაგან. მხოლოდ საქალაქო გადასახადი მათ უნდა ეკისრათ სახლის მეპატრონეთა მსგავსად. უცხოელ ვაჭრებს მიეცათ ნება შეეძინათ საქართველოში უძრავი ქონება და აგრეთვე სახაზინო მიწები.

საქართველოში უცხოეთიდან ჩამოტანილ ყოველგვარ საქონელზე გადასახადი იქნება მხოლოდ ერთი, სახელდობრ, გაცხადებული ფასის 5% ისევე, როგორც გულისტანის ხელშეკრულების მიხედვით დაწესებულია ბაჟი სპარსეთიდან შემოტანილ საქონელზე. ხოლო ხსენებული საქონლის საქართველოდან რუსეთში გატანის დროს იხდიან აზიური და ევროპული ტარიფების მიხედვით დაწესებულ ბაჟს საქონლის წარმოშობის მიხედვით (აზიიდან და ევროპიდან). ამ მიზნით საჭირო ადგილებში როგორც საზღვარგარეთიდან საქართველოში მიმავალ გზებზე, ისე აგრეთვე გზებზე საქართველოდან რუსეთისკენ დაწესებულ უნდა იქნას საბაჟოები.

საქონლის ტრანსპორტები უნდა უზრუნველყოფილ იქნან საკმარისი სამხედრო დამცველი ძალით. კერძო პირებს უფლება აქვთ სავაჭრო გზებზე მოაწყონ ქარვასლები და იქონიონ მათგან მოგება. ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებული იყო გაეწია ასეთი პირებისათვის დახმარება ტყის თუ სხვა მასალების გაცემით.

მაგი ზღვით საქონლის შემოსატანად დანიშნული იყო ყულევის (რედუტ-კალეს) ნავსადგური სამეგრელოს სანაპიროზე. მაგრამ ამავე დროს ადგილობრივ ხელისუფლებას მინდობილი ჰქონდა შესაძლებლობის დავარად მოეწყო სხვა ნავსადგურიც.

ზემოდ მოხსენებულ წესების ძალა ვრცელდება როგორც რუსეთის ქვეშევრდომ, ისე უცხოელთა ყველა იმ მოვაჭრეებზე, რომელნიც მოისურვებენ იმ მხარეში მრეწველობის და ვაჭრობის წამოწყებათა დაფუძნებას. მაგრამ ეს განისაზღვრება მხოლოდ და მარტოდენ საქართველო-ქართლ-კახეთით-იმერეთით და მათი კუთვნილი ოლქებით (ე.ი. აქ მხედველობაშია ა/კავკასია) და სრულებით არ შეეხება კავკასიის მთების აქეთ მდებარე რუსეთულ გუბერნიებს.

უცხოელების დაშვების დროს თქვენს (ე.ი. მთავარმართველ ერმოლოვის) მზრუნველობას ეკისრება თვალყური ადევნოს რათა ვაჭრობის საბაბით არ შემოიპარონ საეჭვო წესების და ცუდი ყოფაქცევის პირნი, ამიტომაც საქართველოში მომავალ ყველა უცხოელთ უნდა ჰქონდეთ პასპორტები რუსეთის მისიებისგან, რომელთაც ამ საკითხის გამო გაეგზავნებათ საგარეო საქმეთა სამინისტროს ცალკე მიწერილობანი".

ამ ახალმა წესმა შექმნა თავისუფალი კონკურენცია ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე ევროპის და აზიის საქონლისათვის. განსაკუთრებით გაიზარდა საქონლის შემოტანა დასავლეთ ევროპიდან, რადგანაც ვაჭრებისათვის ეხლა მომგებიანი იყო 5%-იანი ბაჟის გადასახადი საქონელი ტრანზიტით ამიერ-კავკასიაზე გაეტანათ სპარსეთსა და ოსმალეთში. 1822 წელს დას. ევროპიდან შემოტანილ იქნა თბილისში 70 ათ. მანეთის საქონელი, ხოლო 1828 წელს ოცმა ვაჭარმა შემოიტანა იქიდანვე თითქმის ერთი მილიონი მანეთის (ვერცხლის) საქონელი. ფრანგი მოგზაური გამბა გადმოგვცემს, რომ თბილისელმა ვაჭარმა დ. სარაჯიშვილმა პირველმა იყიდა 1823 წ. ოქტებაში დასავლეთ ევროპული საქონელი 100 ათ. ფრანკის ღირებულების, თვითონ ჩამოიტანა ის და კარგი მოგებაც ნახა. შემდეგ წელს 6 სომეხი ვაჭარი წავიდა თბილისიდან ლეიპციგის იარმუკაზე და ჩამოიტანეს იქიდან 600 ათ.

ფრანკის საქონელი. 1825 წ. ლეიპციგის იარმუკაზე თბილისელ ვაჭრების მიერ შეძენილ იქნა 1200 ათ. ფრანკის საქონელი, ხოლო 1826 წელს – 2800 ათ. ფრანკის. ამავე დროს ახალი ღონისძიება ხელს უწყობდა რუსეთთანაც საქონლის ბრუნვის გაძლიერებას. მაგ., ოდესის ვაჭრებმა 1823 წელს გააგზავნეს საქართველოში ყულევით ანუ რედუტ-კალეთი ბლომად თავიანთი დაძველებული საქონელი და გაასაღეს ის დიდი მოგებით. ეს ყულევი წარმოადგენდა მაშინ საქართველოს სანაპიროზე მთავარ ნავსადგურს, რადგანაც ფოთი და ბათუმი ამ დროს ჯერ კიდევ ოსმალების ხელში იყო (ფოთი შემოიერთა რუსეთმა 1829 წ. ბათუმი კი – 1879). მაგრამ რადგანაც რუსეთის სამრეწველო საქონელი იყო ცუდი ხარისხის და გარდა ამისა რუსი ვაჭრებიც ამიერ-კავკასიაში აგზავნიდნენ უმეტესად გაფუჭებულ საქონელს, ამიტომაც რუსეთის საქონელი დასავლეთ ევროპისაზე ვერ იმარჯვებდა. ამ მიზეზით შეღავათიანი ტარიფის არსებობის წლებში (1821-31) ყველაზე უფრო მოგებული აღმოჩნდა საქონლის ბრუნვა დასავლეთ ევროპასთან. ეს კი სრულებით არ იყო სასარგებლო რუსეთის ისედაც სუსტი მრეწველობისათვის.

ამიტომაც რუსეთის მთავრობამ 1831 წელს გააუქმა 5%-იანი ტარიფი და დააწესა ახალი მაღალ ტარიფიანი ბაჟი დასავლეთ ევროპიდან შემოტანილ საქონელზე, რათა რუსეთის მრეწველობას შესაძლებლობა ჰქონოდა კონკურენცია გაეწია დასავლეთ ევროპის მრეწველობისათვის. ეს ტარიფი მოქმედებდა 1846 წლამდის.

შეღავათიანი ტარიფის არსებობის ხანაში (1821-1831 წწ.) თბილისში თვალსაჩინო სიმდიდრე შეიძინეს დას. ევროპასთან ვაჭრობის მაწარმოებელ პირთ. სულ ამ ვაჭრობით გამდიდრებულნი პირნი ოცამდის იყვნენ. ამით ჩაეყარა საფუძველი თბილისის მსხვილ ბურჟუაზიას, რომელიც მაშინ თითქმის მთლად ქართველურ სოცხებისგან შესდგებოდა.

შეღავათიანი ტარიფის არსებობის წლებმა გამოიწვია საქართველოში დიდი გამოცოცხლება ეკონომიკურ ცხოვრებაში. საქართველოზე სპარსეთის მიმართულებით გადიოდა დიდძალი საქონელი დას. ევროპიდან. საჭირო იყო ამ საქონლის გადასატანი ტრანსპორტი, რაც შესამჩნევ მოგებას აძლევდა გლეხებს და მებატონეებსაც. ვაჭრები ჩაებნენ ამ საქმიანობაში, რის შედეგად მათ, განსაკუთრებით თბილისის ვაჭართ დიდი მოგება ნახეს. საქართველოში დატრიალდა მნიშვნელოვანი რაოდენობის ფული.

97. ყულევი. რადგანაც ფოთი კოსმალთა ხელში იყო, ამიტომ ოდიშის სანაპიროზე ერთადერთ ნავსადგურს წარმოადგენდა მდ. ხოჭის შესართავში მდებარე ყულევი, რომელსაც რუსებმა რუსულ-თურქულად დაარქვეს რედუტ-კალე, ე.ი. რედუტის (თხრილიანი სიმაგრის) ციხე. რუსებს აქ ჰყავდათ დაყენებული თავისი გარნიზონი. ესლა შეღავათიანი ტარიფის შემოღებასთან დაკავშირებით, ყულევის მნიშვნელობა დიდად გაიზარდა. 1823 წელს ყულევში შემოვიდა 86 გემი, უმთავრესად მცირე ტონაჟიანი ტრაპიზონიდან, სტამბოლიდან და ოდესიდან, ხოლო 1824 წელს კი – 130, მათგან ერთი იყო მოსული პირდაპირ მარსელიდან. 1822 წელს ყულევში ცხოვრობდა 150 ვაჭარი 30 სახლში, ხოლო სამი წლის შემდეგ ყულევში იყო უკვე ასზე მეტი სახლი 400-ზე მეტი მოსახლეობით. ვაჭრების უმეტესობას თავისი ოჯახები სოფლად ჰყავდა ოდიშა და იმერეთში. ყულევში 1824 წელს იყო 600-700 კაცი რუსის ჯარი (ქვეითი, არტილერია და კაზაკები).

გამბას სიტყვით¹ ყულევში მოდიოდა სტამბოლიდან (იქ თავის მხრივ ინგლისიდან და სმელთა შუა ზღვის ნავსადგურებიდან შემოტანილი) რომი, შაქარი, ყავა და ზოგი სხვა რამ, ტრაპიზონიდან – სავსებით საშუალო ღირსების ღვინო, ფორთოხალი, ღვინო, ზეთი, ხამი ტილო – ნარმა და ჩითი. ტავანროკიდან მოდიოდა რკინა, ჩეულბერივი მატყლი, თოკი, რაგოკა, თევზი დამარილებული და დამაშხული და ზოგი ღვინოც, არქაპელაგიდან: ქერჩიდან – მარილი, ამ ქალაქის გარემოს მარილის საბადოებიდან, საფიანი, ეგრეთ წოდებული ასტრახანის ცხვრის ტყავი სხვადასხვა სახის. ქერჩიდან გემებით მოჰქონდათ ფქვილი დას. საქართველოში განლაგებულ რუსის ჯარისათვის. ოდესა კონსტანტინოპოლის კონკურენტად აგზავნიდა შაქარს, რომს, ბამბის ქსოვილებს და შეღებილ ტილოებს, მაუდს, აბრეშუმის მატერიებს, წვრილ რკინეულობას, შამპანურ ღვინოებს, ლიქიორებს და სხვ. 1822

¹ გამბა I, 104-107

წ. ყულევში დასახლდა მოვაჭრე შოტლანდიელი (ინგლისიდან) მარრი, ძმა გურიაში დასახლებულ სწავლულ მებაღე იაკობ მარრისა. იმავე წელს ყულევში დაბინავდა ერთი ფრანგი ვაჭარიც.

ყულევი დიდხანს წარმოადგენდა მთავარ ნავსადგურს ოდიშ-გურიის სანაპიროზე. ნავებით და ბარკასებით საქონლის გადატანის გასაადვილებლად მდ. რიონიდან მდ. ცივამდის ფოთიდან ოციოდე კილომეტრზე გაყვანილ იქნა არხი დაახლოებით 3 კმ-ის სიგრძეზე. ამ არხისთვის, დოროთე უჩანეიშვილის მიერ ადგილობრივ შეკრებილი ცნობებით, გამოყენებულ იქნა მცირე მდინარის ყოროთას კალაპოტი, რომელიც გაღრმავებულ და გაფართოებულ იქნა (ეს მოხდა, როგორც ჩანს, 1827 წლის ახლოს). არხს ერქვა რუსის არხი (Русский канал). ბარკასები და ნავები საქონლით დადიოდა ყულევიდან მცირედ მდ. ხობით, შემდეგ მისი იქვე შენაკადით მდ. ცივით ვიდრე არხამდის და შემდეგ არხით მდ. რიონამდის და მდ. რიონით ვიდრე ორპირამდის. ამ სამდინარო გზას მნიშვნელობა ჰქონდა შენარჩუნებული ფოთის შემოერთების (1828 წ.) შემდეგაც. 1846 წ. ყულევი გამოცხადებულ იქნა სანავსადგურო ქალაქად. 1856 წ. ყულევში იყო 155 საეაჭრო ღუქანი, 168 სახლი და 900-მდის მცხოვრები ორ. სქ. ფოთი ამ დროს ჯერ კიდევ არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ შემდეგ მან (ჯერ ნელა) დაიწყო დაწინაურება. 1858 წ. ფოთი გამოაცხადეს და აკურთხეს ქალაქად. ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანამ (1871 წ.) გადაწყვიტა ყულევის და სსენებული არხის ბედი. ყულევის ეკონომიური მნიშვნელობა ამის შემდეგ დაეცა, არხიც გაუქმდა, ხოლო ფოთი კი კიდევ უფრო გაძლიერდა და გაიზარდა. ის იყო შავი ზღვის ამ სანაპიროზე ბათუმის შემოერთებამდის მთავარი ნავსადგური.

98. ქართული გლეხობის ბალარიზება და მათი ბანუყობილება. ა/კავკასიაში რუსული მართებლობის და სარდლობის მიერ წარმოებული ომების სიმძიმე, კერძოდ ჯარისთვის საჭირო ტრანსპორტის და სურსათის მიცემის მხრივ, უმთავრესად აწვა ქართლ-კახეთის ქართულ მოსახლეობას. ქართველებსავე გამოჰყავდათ ყოველთვის საომარი ოპერაციების დროს რუსის ჯარის დასახმარებლად თავიანთი მილიცია. აღმსაქართველოს სხვა მოსახლეობა ასეთ ვალდებულებათაგან განთავისუფლებული იყო. მაგ., ბორჩალოს, ყაზახის და შამშადილის მოსახლეობას რუსის ჯარისთვის არაფერი მოეთხოვებოდა. მხოლოდ ხანდახან ამ პროვინციებს, ომის დროს, გამოჰყავდათ ცხენოსანი რაზმები. ამით აიხსნება ის, რომ ქართლ-კახეთის ქართველი გლეხობა ძლიერ გაღარიბებული იყო და ბორჩალოელ და სხვა თათრებთან შედარებით ეკონომიურად დაქვეითებულიც. 1826 წლის ცნობით ქართლ-კახეთის ხუთ მაზრაში (თბილისის, გორის, ღუშეთის, თელავის და სიღნაღის) ითვლებოდა სულ 30483 კომლი მცხოვრებნი, რომელთაც ჰყავდათ 111039 მსხვილი რქოსანი პირუტყვი, 13232 ცხენი, ჰქონდათ 16300 ურემი. ხოლო მთელს მაშინდელ ქართლ-კახეთში (Грузия-ში) თათრული (ბორჩალო-ყაზახ-შამშადილის) დისტანციებით და ელიზაბეტპოლის (ჯანჯის) ოლქით ითვლებოდა 49543 კომლი, 249671 მსხვილ-რქოსანი პირუტყვი, 33808 ცხენი და 17100 ურემი. ამის მიხედვით ქართულ მაზრებში თითო კომლ მცხოვრებზე მოდიოდა 3,64 რქოსანი პირუტყვი, ხოლო სსენებულ თათრულ პროვინციებში – 7,28; ცხენი ქართულ მაზრებში კომლზე იყო 0,43, ხოლო თათრულ პროვინციებში – 1,08. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ქართველ გლეხებში რუსული ადმინისტრაციით იყო დიდი უკმაყოფილება და ეს მაშინ, როდესაც ქართველი მემამულეები, კერძოდ თავადები 1820-იან წლებში უკვე ასე თუ ისე შეგუებულნი იყვნენ რუსულ მართებლობას.

1826 წლის დასაწყისში საქართველოში მოვიდა ცნობა ეგრეთ წოდებულ დეკაბრისტების გამოსვლის შესახებ (1825 წლის 14 დეკემბერს პეტერბურგში). გამოსვლა დამარცხდა, იმპერატორი ნიკოლოზ I განმტკიცდა თავის ძალაუფლებაში და თვითმპყრობელური რეჟიმი რუსეთის იმპერიაში კიდევ უფრო გაძლიერდა. დეკაბრისტების გამოსვლის ამბავმა გაურკვეველ ფორმებში მიაღწია, მაგ., ქართლის გლეხობამდისაც. გლეხობაში ხმები დადიოდა, რომ რუსეთში მომხდარ რაღაც ამბებს თითქოს შეეძლო გამოეწვია რუსის ჯარის გასვლა საქართველოდან, რაც ხალხს სასიხარულო მოვლენად მიაჩნდა. სიხარულით გადასცემდნენ ერთი მეორეს, რომ მალე საქართველოდან რუსის ჯარი წავა და მას თან გაჰყავდა რუსული მართებლობაც. ბატონყმობის გაუარესებამ, რუსის ჯარის მიზეზით საერთო გაღარიბებამ დაბადა ხალხში რუსული საიმპერიო მმართველობისადმი უკმაყოფილება და სიძულვილიც.

99. მებატონეთა პროგრამა-მაჰსიმუმი გლახეთა საპითხში. საქართველოს პროკურორმა ჭილაშვილმა (ჩილავემა) დააყენა 1823 წელს მთავარმართველ ერმოლოვის წინაშე საკითხი საბატონო გლეხების ვალდებულებათა აღნუსხვის შესახებ. მანამდის, როგორც ჩანს, მართებლობას ეს საკითხი არ აინტერესებდა და ქართველი მებატონეების საბატონეშო ურთიერთობაში არ ერეოდა. პროკურორის მიერ კი ამ საკითხის წამოყენება გამოწვეული იყო იმით, რომ მებატონეები ახლა უაღრესად ავიწროვებდნენ თავისუფლების მაძიებელ გლეხებს, რომელნიც უკვე არ იხდიდნენ იმასაც კი, რაც მათ ვეალებოდათ, ხოლო სასამართლოები საკითხში ვერ ერკვეოდნენ, რადგანაც საგლეხო გადასახადები აღნუსხული არ იყო. მთავარმართველმა განკარგულება გასცა, რათა საქართველოს დროებითი მართველობის საერთო შეკრებულებამ შეისწავლოს და დაადგინოს გლეხების ვალდებულებათა რაოდენობა. საერთო შეკრებულება კი შეეკითხა თავადაზნაურთა გუბერნიის და სამაზრო წინამძღოლებს. ამუშავდა მებატონეთა აპარატი და საქმოდ ხანგრძლივი მითქმა-მოთქმის და მოლაპარაკებათა შემდეგ თავადაზნაურობის სამაზრო და საერთო, ე.ი. საგუბერნიო, წინამძღოლებმა წარადგინეს თავისი აზრები ბატონეშობის ნორმების შესახებ (1826 წ. მარტი-აპრილი). ეს აზრები საყურადღებოა არა ბატონეშობის ნორმების გასარკვევად, რადგანაც იქ ამ ნორმების მიმართ ყველაფერი გაზვიადებულია, არამედ იმის დასადგენად, თუ რას მიესწრაფოდა თავისი გლეხების მიმართ თავადაზნაურობა.

წინამძღოლები აღნიშნავდნენ, რომ გლეხებს არავითარი გარკვეული ვალდებულება თავიანთ მებატონეთა მიმართ არ აქვთ, რადგანაც მებატონეთ აქვთ სრული უფლება მოიხმარონ თავიანთი გლეხები თავისი სურვილისამებრ. თბილისის, სიღნაღის, გორის და დუშეთის სამაზრო წინამძღოლები სწერდნენ, რომ მებატონეთ აქვთ უფლება ჩამოართვან თავიანთ გლეხებს მამული და აქვთ ამ გლეხების გაყიდვის და დასჯის უფლებაც მოკვლის გარდა.

გლეხები ვალდებული არიან მოხნან მებატონის მიწები გაზაფხულზე, საბოსტნედ, ფეტვისათვის, ქერისათვის, სიმინდისათვის, რამდენსაც მებატონე მოინდომებს, გათხნონ ის და მორწყან.

ზაფხულში მიწა უნდა მოხნან პურისათვის კომლმა 2-9 დღე; შემოდგომაზე ორი დღე უნდა ხნან, ყველა საბატონო ყანა უნდა მოირწყას, აიღონ მებატონის მარცვლეულობის მთელი მოსავალი და დაბინაონ ის; გლეხებივე ვალდებული არიან მებატონის პური, რომელიც ორმოცში იქნებოდა მოთავსებული, შემოღობონ, აგრეთვე დაამუშაონ მებატონის ზვარ-ვენახები, მოიწიონ ღვინო და ჩაუსხან მებატონეს ქვევრებში საქორწილოდ, თუ მებატონის ოჯახში ქორწილი იყო, გლეხები იხდიდნენ კომლზე 5-50 მანეთს ვერცხლს. მებატონე ღებულობდა საქერივოს (თუ გლეხის ქერივი გათხოვდებოდა) 10-50 მანეთს ვერცხლით და საჩქემს (გლეხის ქალიშვილის გათხოვებისას) 60 კაპ.-4 მან. მებატონე ღებულობდა გასამყრელოს, თუ გლეხი გაიყოფოდა, და გასამტეხლოს თუ გლეხები წაიჩხუბებოდნენ და ერთმანეთს ცემდნენ ან დაჭრიდნენ; გლეხი ეხმარებოდა მებატონეს მშენებლობის დროს, გზად წასვლისას. მასვე ვეალებოდა შეშის მიტანა. გლეხს სააღდგომოდ, საყველიეროდ, საშობაოდ და საახალწლოდ მიჰქონდა მებატონესთან ძღვენი, მებატონე ღებულობდა გლეხისაგან პურის ღალას, ღვინის კულუსს, საბალახო (ლორიით, ცხვარით), მებატონე ართმევდა გლეხს მწყემსს, ძიძას, მეჯინიბეს, ხაბაზს, მზარეულს, მოსამსახურეს და სხვა და სხვა. სულ ჩამოთვლილია 38 მუხლი.

გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი უფრო ზომიერებას იჩენს. ის აცხადებს, რომ გლეხი ვალდებული იყო მებატონის მიწა დაეხნა გაზაფხულზე ორი დღე და შემოდგომაზეც ორი დღე, მებატონის ყველა მიწები მოერწყა და სხვ, სულ არის 29 პუნქტი მოთხოვნათა ნახსენები.

თბილისის მაზრის წინამძღოლი სწერდა, რომ ფულზე გადატანით პირველი კლასის გლეხი მეურნე და ხელოსანი იხდიდა მებატონისთვის წლიურად 70 მანეთს, მეორე კლასისა - 40 მანეთს და მესამესი - 15 მანეთს. სიღნაღის მაზრაში იყვნენ ოთხი კატეგორიის გლეხები, რომელთაც ამ შემთხვევაში შეხვდებოდათ გადასახდელად 70, 45, 25 და 15 მანეთი. გორის მაზრის მარშალი კი საგლეხო ვალდებულებას კომლზე ანგარიშობდა წლიურად 162 მან. 75 კაპიკისას.

ყველა ეს და ანალოგიური ცნობები ამტკიცებს, თუ რა დიდი ზედა ჰქონდათ ქართველ მებატონეებს თავიანთი გლეხების მიმართ. ბუნებრივია, რომ მებატონეთა ეს მისწრაფება გლეხებისათვის საიდუმლოებად მაშინდელ პირობებში არ დარჩებოდა. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად გაბრაზებული იქნებოდა გლეხობა თავიანთ ბატონებზე.

მმართველობა, როგორც ჩანს, მიხვდა თავადაზნაურობის გულისნადებს გლეხების კიდევ უფრო მეტად გაყვლეფის შესახებ ახლა უკვე რუსული მართველობის დახმარებით და ამიტომ მარშლების აზრთა ამ განხილვას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია გარდა იმისა, რომ თბილისის საგუბერნიო ადმინისტრაციას წინადადება მიეცა თვითონ შეეკრიბა ცნობები საბატონეშო ვალდებულებათა შესახებ. ამის შედეგად საბატონო გლეხების ვალდებულებათა შესახებ ქართლ-კახეთში თბილისის გუბერნატორ ზავილეისკის შემდეგში ასეთი ცნობები ჰქონდა შეკრებილი.

გლეხები, რომელნიც საბატონო სოფელში (მამულში) ცხოვრობდნენ, ვალდებული იყვნენ შეესრულებინათ: ა) ერთი დღე ხენა თავისი გუთნით, ასევე დაეფარცხათ მიწა, მოემკათ და აელოთ მოსავალი. გლეხებივე უკეთებდნენ ბატონის ვენახს ღობეს, მოჰქონდათ ვენახისათვის ხარდანი, სხლავდნენ ვენახს. ისინივე რეცხავდნენ ქვევრებს, კრეფდნენ ყურძენს და ამზადებდნენ ღვინოს. ამ სამუშაოთა დროს მებატონეს უნდა მიეცა მომუშავეთათვის საჭმელი და ღვინო (უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა ეს სამუშაო ითვლებოდა კვირაში თითო დღის ანგარიშით). ბ) საახალწლოდ გლეხებს უნდა მიეტანათ ძღვენი — კომლზე თითო ქათამი, ათ-ათი პური და 1 თუნგი ღვინო, ხოლო ქრისტეს შობიდან ვიდრე აღდგომამდის — ან ერთი წლის ცხვარი, ან ღორი, ან სამი ქათამი, ანდა სამი აბაზი ფულად. გ) ღვინის კულუხს გლეხი იხდიდა მოსავლის 1/10-ს, ხოლო ღალას 4-10 კოდს კომლზე. დ) თუ მებატონეს ჰქონდა წამოწყებული მშენებლობა, გლეხებს გამოჰყავდათ შავი მუშები, რომელთაც მოჰქონდათ ქვა და ხე-ტყე.

საბატონო გლეხები, რომელნიც სხვა მებატონის მიწაზე ცხოვრობდნენ, თავიანთ მებატონეს აძლევენ წელიწადში საპალნე ღვინოს და სხვა სანოვაგებს.

საბატონო გლეხები, რომელნიც სხვა მაზრებში ცხოვრობდნენ, უხდიდნენ თავის მებატონეს წელიწადში 5-20 მანეთს ვერცხლით.

მებატონის სახლში ქორწილის შემთხვევაში გლეხები იხდიდნენ ეგრეთ წოდებულ საქორწილოს 5-30 მანეთს. ასევე მებატონის სახლში ვინმეს სიკვდილის შემთხვევაში გლეხებს მიჰქონდათ "წასახურავი" 1-3 მანეთი. ასეთ შემთხვევებში გლეხს შეეძლო ფულის მაგივრად გაეღო ხარი, ძროხა, ღორი და ცხვარი.

1828 წლისათვის, როგორც ეს თბილისის გუბერნატორის ზავილეისკის ერთი მოხსენებიდან ჩანს, გლეხების მდგომარეობა ქართლ-კახეთში თვალსაჩინოდ იყო შეცვლილი გაუარესების მხრივ. "თითქმის ყველგან საბატონო გლეხებს, სწორდა ზავილეისკი ქართლ-კახეთის შემოვლის შემდეგ, არ აქვთ უძრავი საკუთრება. მათ უნდა აკეთონ, რაც მათ ბატონებს უნდათ. ბატონს შეუძლია მათი გაყიდვა, დაგორავება, განუქება, საერთოდ მოიქცეს მათ მიმართ თავისი სურვილისამებრ". ამიტომაც, მისივე სიტყვით, გლეხები არ იყვნენ კეთილგანწყობილნი მებატონეებისადმი. ხშირად ხდებოდა, რომ გლეხს ართმევდნენ მთელ ქონებას და ამის შემდეგ მას კიდევ სცემდნენ და ყოველგვარად ავიწროვებდნენ. ამის გამო გლეხები ხშირად სრულებით უარს ამბობდნენ თავიანთ მებატონეებისადმი მორჩილებაზე. განსაკუთრებით ასე იქცეოდნენ უფრო შეძლებული გლეხები. ხოლო რადგანაც მებატონეები ასეთი შეძლებული გლეხების დამორჩილებას ვერ ასწრებდნენ, ამიტომ მათ გადასახადების და ვალდებულებათა მთელი სიმძიმე გადაჰქონდათ უღარიბეს გლეხებზე, რომელთა მდგომარეობა ამით კიდევ უფრო საცოდავი ხდებოდა. მაგრამ განსაკუთრებით მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ თავისუფლების მაძიებელი გლეხები. მებატონეები ასეთ გლეხებს ყოველგვარად ავიწროვებდნენ, ასე რომ მოკლე ხანში ისინი მთლად ლატაკდებოდნენ. ამას მებატონეები სჩადიოდნენ სხვა გლეხების დასაშინებლად და ეს ხდებოდა იმის მიუხედავად, რომ მართებლობას განკარგულება ჰქონდა გაცემული — თავისუფლების მაძიებელ გლეხს მისი საკითხის გადაწყვეტამდის მებატონის მიმართ ყველა წინანდელი თავისი ვალდებულება უნდა შეესრულებინა და მებატონეს არ ჰქონდა მისი შევიწროვების უფლება.

100. სპარსეთ-რუსეთის ომი (1826-1828). 1826 წელს დაიწყო სპარსეთ-რუსეთის ომი. ამ ხანისათვის სპარსეთის ტახტის მემკვიდრეს აბას-მირზას მოეწყო ინგლისელი ინსტრუქტორების დახმარებით რევოლუციური ჯარი. მართალია ეს რევოლუციური ჯარი იყო მცირე რაოდენობის, მაგრამ სპარსეთის მთავრობა მასზედ ამყარებდა დიდ იმედებს და ფიქრობდა ამიერ-კავკასიის ყოფილი სახანოების და ქართლ-კახეთის უკან დაბრუნებას.

სპარსელების ჯარი მოულოდნელად შემოიჭრა ამიერ-კავკასიაში ისე, რომ სწრაფი სვლით მან მიაღწია განჯის მხარესა და შამქორამდის. თბილისში ატყდა დიდი პანიკა, რადგანაც რუსის ჯარი ამ დროს ქართლ-კახეთში მცირედ იყო. ამასთანავე სპარსელებს თავის ჯარში ჰყავდათ ალექსანდრე ბატონიშვილი და იმედი ჰქონდათ, რომ ალექსანდრეს გამო ქართველები გადაუდგებოდნენ რუსებს და მათ მიემხრობოდნენ (ალექსანდრეს ჯერ კიდევ არ დაეტოვებინა საქართველოში გამეფების იმედი). საჩქაროდ გამოყვანილი ქართველების მილიცია გვერდში ამოუდგა რუსეთის ჯარს და მალე გენერალ მადათოვმაც შესძლო სპარსელების ჯარის დამარცხება შამქორთან ომში. ეს დამარცხება იყო იმდენად გადაწყვეტი, რომ ამის შემდეგ სპარსელების ჯარი განუწყვეტლივ განაგრძობდა უკან დახევას. რუსეთის ჯარმა გენ. გიორგი ერისთავის წინამძღოლობით გადალახა მდ. არეზი და დაიკავა ქ. თავრიზი, არღებილი და სხვა. ესლა რუსი ჯარისათვის გზა სპარსეთის სატახტო ქალაქ თერანისაკენ ხსნილი იყო. ამიტომ ფეთ-ალი-შაჰმა საჩქაროდ ითხოვა ზავის დადება და მალე დაბა თურქმენაიში რუსეთ-სპარსეთს შორის ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება. დამარცხებულ სპარსეთს რუსეთისათვის უნდა გადაეცა ერევნის და ნახჭევანის სახანოები და უნდა გადაეხადა 20 მილიონი მანეთი ოქროთი (1828 წ.). სპარსეთი ამის შემდეგ მთლად დასუსტდა და შემდეგ უკვე არავითარ პრეტენზიაზე ამიერ-კავკასიის მიმართ არ ფიქრობდა.

101. ოსმალეთ-რუსეთის ომი. როგორც კი გათავდა ომი სპარსეთთან, მალე ამის შემდეგ დაიწყო რუს-ოსმალეთის ომი, რომელიც წარმოებდა უმთავრესად ევროპაში დუნაის მიმართულებით. მაგრამ ამასთანავე ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზედაც. რუსის ჯარი მთავარმართველ გენ.პასკევიჩის ხელმძღვანელობით ყველგან იმარჯვებდა. ამიერ-კავკასიაში რუსის ჯარმა დაიკავა ახალციხისა და ახალქალაქის მხარე, ყარსი და არზრუმი. 1829 წელს ევრეთ წოდებული ადრიანოპოლის ზავის მიხედვით რუსეთმა მიიღო სამცხე და ჯავახეთი (ახალციხისა და ახალქალაქის მხარე). ამიერ-კავკასიის სხვა დაკავებული ადგილები კი ოსმალებს უკან დაუბრუნდა.

პირობის მიხედვით, გარკვეულ მოკლე ვადაში, რუსეთის მიერ წინად ოკუპირებული ტერიტორიის და აგრეთვე ახლად შემოერთებული მხარეების მოსახლეობას უფლება ჰქონდა თავისი სურვილისამებრ ამოერჩია ქვეშევრდომობა. ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანებმა არ მოისურვეს რუსეთის ქვეშევრდომობაში დარჩენა და მთლიანად გადასახლდნენ ოსმალეთში. ბევრი გადასახლდა აგრეთვე ახალციხის მხარედანაც. სამაგიეროდ არზრუმის მხარიდან წამოვიდნენ ბლომად სომეხი და ბერძენი. სომეხები დასახლებულ იქნენ დაცარიელებულ ჯავახეთში და თვით ქახალციხეში, ბერძენები კიდევ წალკაში (ძველ თრიალეთში), საიდანაც ქართველი მოსახლეობა ლეკების თარეშების წყალობით გაჰქრა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ნახევარში. ამგვარად ახლად შემოერთებული მხარეების ეთნოგრაფიული რუკა თვალსაჩინოდ შეიცვალა.

სამცხეში ქრისტიანი-ქართველები შეადგენდნენ მოსახლეობის დაახლოებით 1/4-ს. რუსეთთან შეერთებამ მათ შორის გამოიწვია უდიდესი კმაყოფილება. შედგენილ იქნა ხალხური ლექსები, რომლებშიც გენ.პასკევიჩს პირდაპირ აღმერთებდნენ.

102. ბურიის სამთავროს გაუქმება. მთავრის მამიას დროს გურიის ცხოვრება რამოდენადმე წარმატების გზას დაადგა. მთავარმა დააწესა სამსჯავრო, რომელიც შესდგებოდა ოთხი მდივანბევისაგან. ოზურგეთში მთავარმა გახსნა სკოლა, საქონლის გაცვლა-გამოცვლის განსახორციელებლად მოაწყო იარმუკობა ("მარინობა"), კულტურული მებაღეობის დასაწერგად მოიწვია შოტლანდიელი მებაღე ი.მარრი.

მამია გურიელი მალე გარდაიცვალა (1826 წ.). ხოლო რადგანაც მისი მემკვიდრე დავითი ჯერ მცირეწლოვანი იყო, ამიტომ რუსებმა სამთავროს საქმეების განსაგებად შეადგინეს ქვრივი დედოფლის სოფიოს თავმჯდომარეობით საბჭო, რომელშიაც შედიოდნენ ზოგიერთი გურიის თავადნი. საბჭომ ფრიად შეზღუდა სოფიოს უფლებები. ეს გარემოება და გარდა ამისა რუს მოხელეების ხშირი ჩარევა გურიის შინაურ საქმეებში იწვევდა სოფიოს დიდ უკმაყოფილებას. ამით აიხსნება, რომ როდესაც 1828 წ. რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო, სოფიო თავისი უახლოესი მრჩეველებით გადავიდა ოსმალეთის მხარეზე. მაშინვე რუსეთის მთავრობამ გააუქმა სამთავრო მმართველობა გურიაში და გურიის მმართველად დააყენა რუსი მმართველი.

103. რუსული მმართველობის შემოღება სინიბილოში. რუსეთ-სპარსეთის ომის დროს ჭარბელაქნის ლეკები გადაუდგნენ რუსეთს და თავისი თავი სპარსეთის მომხრეებად გამოაცხადეს. ხოლო იქვე ენისელის სულთანმა კი შეინარჩუნა რუსეთის ერთგულება. ომის გათავების შემდეგ მთავარმართველმა პასკევიჩმა გააგზავნა ჭარბელაქნის ლეკების წინააღმდეგ ჯარი, რომელიც სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულ ლეკებს. ამ მხარეში ამის შემდეგ შემოღებულ იქნა რუსული მმართველობა, რისთვისაც დაწესებულ იქნა ცალკე ჭარბელაქანის ოლქი რუსი სამხედრო პირით სათავეში. ენისელის სასულთანო მოექცა ამ ჭარბელაქანის ოლქის შემადგენლობაში, მაგრამ სულთანის მართებლობის კვლავინდებურად დატოვებით. შემდეგში სულთანმა დანიელ-ბეგმა მოითხოვა ხსენებული ოლქის უფროსზე დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება და მისთვის სამეგრელოს მთავრის სწორი მდგომარეობის მინიჭებას. ამაზე რუსული მართებლობა არ დათანხმდა. ამას თან დაერთო ოლქის უფროსის მხრივ სულთან დანიელ-ბეგის მიმართ სხვადასხვა წერილი დამამცირებელი ფაქტები. ყველაფერი ამის გამო დანიელ-ბეგმა ააჯანყა რუსეთის წინააღმდეგ თავისი სამფლობელო, მაგრამ დამარცხდა (1844 წ.). დანიელ-ბეგი გაიქცა შამილთან, ხოლო ენისელში შემოღებულ იქნა რუსული მმართველობა.

შემდეგში ჭარბელაქანის ოლქს შეეცვალა სახელი ზაქათალის ოლქად (1860 წ.). ამასთანავე წახურის მხარე, რომელიც წინად ენისელის სასულთანოში შედიოდა, ესლა მიეწერა დაღესტნის მხარის ოლქს.

104. საფასის საკითხი. ქართლ-კახეთში რუსული მართებლობის დამყარებასთან ერთად დაიწყო ტრიალი რუსულმა საფასემ. მაგრამ რადგან რუსეთთან ეკონომიკური კავშირი მცირე იყო და საქართველო ვაჭრობას უფრო მეზობელ ოსმალეთ-სპარსეთთან აწარმოებდა, ამიტომ უცხო საფასის შემოჭრის თავიდან ასაცილებლად გადაწყდა თბილისში განახლებულიყო ზარაფხანა და მოჭრილიყო ფული ქართული წარწერით. ზარაფხანამ დაიწყო მუშაობა 1804 წელს. ეს ქართულ-რუსული ფული (ე.ი. რუსების მიერ მოჭრილი ქართული ფული) იჭრებოდა თბილისში ვიდრე 1834 წლამდე. იჭრებოდა ვერცხლის და სპილენძის ფული ვიდრე ორბაზიანამდე.

ქართული წარწერით ადგილობრივი საფასის მოჭრა მარეგნებელია იმის, რომ ციციანოვს საქართველოს და ა/კავკასიის შესახებ თავისებური გეგმა ჰქონდა, რომელიც მოდიოდა რუსეთელ ქართველებიდან, სახელდობრ, რუსეთთან მჭიდროდ დაკავშირებით და რუსულად განათლებულ, თუმცა საკმაოდ გარუსებულ ქართველი თავადების მმართველობის ქვეშ ქართველებს შეენარჩუნებინათ ადგილზე თავისი სახეც.

105. უცხოელ მმართველთა მოწვევის ცდები. აზიური შეღავათიანი ტარიფის შემოღებასთან ერთად მართებლობა ცდილობდა უცხოელ მმართველთა მოწვევას და ადგილობრივ მათ დასაქმებას. ამის პირველ საწყისს ადგილი ჰქონდა მაშინვე, სახელდობრ, იმპერატორის ბრძანებით ერმოლოვის სახელზე იმავე 8 ოქტ. 1821 წ. უცხოელ გამბას მიეცა დიდი მამული. "რადგანაც, სწერია ამ ბრძანებაში, უცხოელმა გამბამ პირველმა განაცხადა სურვილი და შეუდგა იმ მხარეში სავაჭრო წამოწყებათა მოწყობას, ამიტომ მიეცეს მას საკუთრებად 16 ათასამდის ღესეტინა მიწა იმ ადგილებში, რომელთაც ის თვითონ ამოირჩევს და თქვენი შეხედულებისამებრ აღმოჩნდება თავისუფალი და ხსენებული წამოწყებისათვის იქნება გამოსადეგი. ასეთი მიწისათვის გამბას გადახდეს 1 მან. ასიგნაციით ღესეტინაზე გადასახადი თანხის განაწილებით ერთნაირად 5 წლის სიგრძეზე".

ამ ბრძანების მიხედვით გამბას მიეცა იმერეთში ვარციხეში მდ. ყვირილას რიონთან შესართავის სამხრეთით საუკუთესო მამული აჯამეთის ტყის ნაწილითურთ. მაგრამ გამბას არაფერი ადგილობრივი მხარისათვის შესამჩნევი რამ არ გაუკეთებია და არც შეეძლო გაეკეთებია. ეს მამული შემდეგ აჯამეთის ტყითურთ დაუბრუნდა ხაზინას და რამოდენიმე ხნის შემდეგ გადაეცა ქუთაისის გენ. გუბერნატორად ნაყოფ თავსვიატოპოლკ-მირსკის. ხოლო შემდეგ სვიატოპოლკ-მირსკიდან ის გადავიდა სომეხ მრეწველის ანანოვის ხელში, რომელმაც მოაწყო ვარციხეში ღვინის სანიმუშო მეურნეობა.

უცხოელ ვაჭრებს მათთვის მიცემული პრივილეგიის თანახმად შეეძლოთ ეწარმოებინათ მხოლოდ საბითუმო ვაჭრობა. ამიტომ როდესაც უცხოელმა იაკობ მარრმა ჩამოიტანა 1822 წ. საქონელი თბი-

ლისში და დაიწყო მისი ცალობით გაყიდვა, თბილისის ვაჭრებმა შეიტანეს საჩივარი მთავარმართებელთან, რომელმაც თავის მხრივ პოლიციის მეშვეობით აუკრძალა მარს ცალობით ვაჭრობა, რადგან მას თავისი საქონელი შეეძლო გაეყიდა მხოლოდ ბითუმად.

ამ დროს გამოჩნდა ერთი ფრანგი წამომწყები კასტელლო, რომელმაც ინახულა საქართველო და შემდეგ 1823 წ. ივლისში განცხადება მისცა პეტერბურგში ფინანსთა მინისტრს გრაფ კანკრინს. ამ განცხადებაში ის გამოსთქვამდა თავის მოსაზრებებს, თუ თბილისზე გავლით როგორ არის შესაძლებელი დამყარებულ იქნას ვაჭრობა რუსული მრეწველობის პროდუქციის გასასაღებლად სპარსეთში, სმირნასა და კონსტანტინოპოლში. საქონლის ამ მიმოქცევათა ცენტრად მისი აზრით უნდა ყოფილიყო თბილისი. სავაჭრო კანტორა ბაქოში ხელს შეუწყობდა საზღვაო და მდინარის გზით სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას ასტრახანზე გავლით ნიჟნიოვგოროდთან და რუსეთის ჩრდილოეთ ნაწილთან. იგივე კანტორა გახსნიდა აგრეთვე ურთიერთობას სპარსეთთან და აგრეთვე, უკეთეს შესაძლებელი აღმოჩნდებოდა, ასტრახადით სამხრეთ აზიასთანაც. მესამე კანტორის გახსნას (თბილისის და ბაქოს კანტორების გარდა) კასტელლო ფიქრობდა რედუტ-კალე-ყულევში, საიდანაც შეიძლებოდა ურთიერთობის დამყარება რუსეთის სამხრეთ ნაწილთან, კონსტანტინოპოლთან, მარსელთან და ევროპის დანარჩენ ნაწილთან. ხოლო მეოთხე კანტორა უნდა ყოფილიყო მოზდოკში სახმელეთო ურთიერთობისათვის თბილისიდან მოსკოვთან და პეტერბურგთან. მოსკოვის მაუდის ფაბრიკანტებს იმედი ჰქონდათ, რომ კასტელლოს მეშვეობით ისინი მოაწყობენ თავიანთი საქონლის გასაღებას ახალ ქვეყნებში და ამიტომ დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ მის წინადადებას. მინისტრი კანკრინიც აგრეთვე თანაგრძნობით უყურებდა კასტელლოს წინადადებას.

მაგრამ ხსენებულ სავაჭრო ხასიათის წინადადებათა გარდა კასტელლომ წარადგინა ფინანსთა და მრეწველობის სამინისტროში თავისი თხოვნა მისთვის განსაკუთრებული პრივილეგიების (მონოპოლიების) გამოთხოვის შესახებ შემდეგ საქმეებზე: 1) თბილისში მაუდის ქარხნის დაარსებაზე; 2) იქვე აბრეშუმის სახევე ფაბრიკის მოწყობაზე და 3) საქართველოში ტიბეტური თხების მოშენებაზე განსაკუთრებულ და ძვირად ღირებულ შალის დამზადების მიზნით. მთავრობას არ უნდოდა მიეცა კასტელლოსთვის მეტად დიდი პრივილეგიები და ამიტომ ბოლოს საქმე გათავდა მისთვის აბრეშუმის ძაფსახევე ფაბრიკის პრივილეგიების მიცემით.

ასეთი ფაბრიკის გახსნის სარგებლიანობას კასტელლო ასაბუთებდა სხვათა შორის შემდეგნაირად: ჩვენს წარმოებას დასჭირდება დიდი რაოდენობის მუშა-ხელი, განსაკუთრებით ქალები და ბავშვები, რომელნიც მოჰყვებიან მუდმივ ურთიერთობაში ევროპელ ხელოსნებთან და მათ თანამშემწებთან. ესენი იქნებიან მათი უფროსები და ხელმძღვანელები. ამ ხელმძღვანელთა შთაგონებით ისინი თანდათან დასტოვებენ თავის აზიურ განცალკევებას. დაუახლოვდებიან ჩვენს ჩვევებს და წესებს და ამნაირად თავის დროზე იქნებიან მისი იმპერატორის დიდებულების ისეთივე ერთგული ქვეშევრდომნი, გამოხიერებულნი განათლებით და ცოდნით, მწარმოებელნი, მორჩილნი და სასარგებლონი სამშობლოსათვის, როგორც ეს არის იტალიის და საფრანგეთის სხვადასხვა ადგილებში.

ამგვარად საფაბრიკო მწარმოებლის კასტელლოს აზრით, ადგილობრივ ცუდათ დისციპლინირებულ და თვითნება გლეხებიდან უნდა შეექმნათ სამრეწველო მუშა მამაკაც და მუშა ქალების კონტიგენტი, რომელნიც მიჩვეულნი იქნებოდნენ მორჩილებას თავისი ქარხნის ადმინისტრაციის მიმართ და აქედან ხელისუფლების მიმართაც. კასტელლოს აბრეშუმის ძაფსახევე ქარხნისათვის ადგილობრივ მომუშავე ქალების შოვნა შეუძლებელი იყო. მამაკაცი მუშა კიდევ თბილისში თხოულობდა 10-14 მანეთს თვეში, რაც მაშინ შედარებით რუსეთის ქალაქებთან დიდ ხელფასად ითვლებოდა. მუშის ხელფასის სიძვირე კიდევ გამოწვეული იყო ცხოვრების სიძვირით თბილისში (თბილისში ცხოვრება იყო ძლიერ ძვირი). ამიტომ ფრანგი მორენასი 1830 წ. ატყობინებდა მთავარმმართველ პასკევიჩს, რომ აბრეშუმის ძაფსახევე ქარხანა უფრო ადვილად იარსებებს მოსკოვში, ვიდრე თბილისშიო (მოსკოვში შეიძლებოდა მომუშავე ქალების შოვნაც და სხვ.)¹.

მწარმოებელი კასტელლო მალე გარდაიცვალა და მის შემდეგ ქარხნის გაძლოლა იკისრა ხაზინამ, მაგრამ ვერ შესძლო და იძულებული გახდა ის დაეხურა. ჯერ თბილისში არ ჩანდა პირობები ასეთი ქარხნის არსებობისათვის.

¹ AKAK, VII, 211

რუსეთის მთავრობა ცდილობდა საქართველოში უცხო ელემენტების და რუსების ჩასახლებას, რადგანაც ეს საჭირო იყო რუსეთის ინტერესების თვალსაზრისით უფრო საიმედო მოსახლეობის მოსაპოვებლად. 1818 წ. საქართველოში ჩამოსახლებულ იქნენ 500 კომლი გერმანელი კოლონისტები (ვინტებმერგიდანი). იქმათ გამოყვანაზე და დასახლებაზე დახარჯა 700 ათას მანეთადის ფული და მათთვის გამოყოფილ იქნა საუკეთესო მიწები დიდი ნორმებით (რამოდენიმეჯერ მეტი, ვიდრე ეს ადგილობრივ გლეხებს ჰქონდათ). საქართველოში ისინი მოთავსდნენ სუთ სხვადასხვა ადგილას (ორ ადგილას თვით თბილისთან). ფიქრობდნენ, რომ გერმანელები შემოიტანდნენ უფრო მაღალ მიწათმოქმედების კულტურას. მაგრამ ისინი ვიდრე 1924 წლამდის, როდესაც გასახლებულ იქნენ შუა აზიაში, ცხოვრობდნენ თავისთვის იზოლირებულად, ადგილობრივ მოსახლეობას უყურებდნენ ქედმაღლურად და არაფერი საერთო მასთან არ ჰქონდათ.

ამასთან ერთად წამოიჭრა საკითხი საქართველოში რუსების დასახლების შესახებ. არსებული წესით, სალდათებს ცოლის შერთვის ნება ეძლეოდათ 15 წლის სამსახურის შემდეგ. ყოველ პოლკთან ჩამოყალიბდა ცოლშვილიანი სალდათების როტა. ასეთი სალდათებისათვის ქალებს აგზავნიდნენ რუსეთიდან. სამსახურის გათავების შემდეგ ეს სალდათები და მათი ჩამომავლობა რჩებოდა ადგილობრივ. ამგვარად თანდათან განჩნდა საქართველოს სხვადასხვა ადგილას რუსთა სლობოდები და სლობოდები (მცირე სლობოდები). სამსახურ-გათავებული სალდათები ხდებოდნენ სახელმწიფო, ე.ი. თავისუფალი გლეხები და აქედან წარმოიშვა მათი უბნებისათვის სახელი სლობოდა (სიტყვისაგან სვობოდა). ასეთი სლობოდები თანდათან ჩამოყალიბდა მანგლისში, თეთრიწყაროში, გომბორში, დედოფლის-წყაროში (შირაქში), ქუთაისში (რიონის მარჯვენა ნაპირას მცირედ მოცილებით) და სხვაგან.

1827 წელს ფინანსთა მინისტრმა გრაფ კანკრინმა დააყენა პეტერბურგში საკითხი ა/კავკასიის რუსეთის კოლონიად გადაქცევის შესახებ. ამისათვის ყურადღება უნდა მიქცეოდა სამხრეთული ჰავის პირობებში მოსაყვან კულტურათა განვითარებას, გაძლიერებულიყო მეაბრეშუმეობის, ბამბის, ბრინჯის, ზეთისხილის და სხვა ასეთების მოყვანა, მიღებულიყო ზომები ზოგიერთ სახელოსნო ნაწარმოებთა გასაუმჯობესებლად (იგულისხმებოდა, მაგ., ადგილობრივი მატერიების წარმოება და სხვ.), აგრეთვე სამთო წარმოების ვეროვნად დასაყენებლად, შემოღებული ყოფილიყო ადგილობრივი მილიცია რუსის ჯარის სამხედრო საქმიანობის დასახმარებლად და შესამსუბუქებლად.

შემდგომ 1828 წელს თბილისში პოეტმა და დრამატურგმა ალ. გრიბოედოვმა თბილისის გუბერნატორ ა. ზავილიესკისთან ერთად წარადგინეს "პროექტი რუსეთულ ა/კავკასიის კომპანიის" (Российская закавказская компания) დაფუძნების შესახებ. ეს კომპანია უნდა ყოფილიყო დიდი კაპიტალისტური წამოწყება, რომელსაც უნდა მისცემოდა მთავრობის მიერ სხვადასხვა მონოპოლისტური პრივილეგიები. ალ. გრიბოედოვი მოითხოვდა ა/კავკასიაში ამ კომპანიისათვის 133 ათ. დესეტინა მიწას მეტად მცირე საიჯარო ფასად. განზრახული იყო მეაბრეშუმეობის, მეთამბაქოეობის, მეღვინეობის, შაქრის ლერწმის, სხვადასხვა წამლებისათვის გამოსაყენებელ მცენარეთა კულტურის რაციონალურად დაყენება. კომპანია მიზნად ისახავდა აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნების გახსნას, მისთვის უნდა გადაეცათ ერთ-ერთი ნავსადგური შავ ზღვაზე (ყველაზე უფრო მიზანშეწონილად ამისათვის ალ. გრიბოედოვს მიანდა ბათუმის ნავსადგური, მას იმედი ჰქონდა, რომ ის რუს-ოსმალის ომის დამთავრების შემდეგ რუსეთზე გადავიდოდა). კომპანიას უნდა ჰქონოდა აგრეთვე რუსეთთან და წინააზიის ქვეყნებთან უბაჟოდ ვაჭრობის წარმოების უფლება და სხვ. პროექტის ავტორნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ყველაფერი ეს კიდევ უფრო მჭიდროდ სულიერად დააკავშირებდა ა/კავკასიის სხვადასხვა ხალხებს რუსეთთან.

ეს პროექტი დარჩა პროექტად, რადგანაც მალე თვით მისი ავტორი ალ. გრიბოედოვი, რუსეთის ელჩად სპარსეთში დანიშნული, მოკლულ იქნა თეირანში (იანვ. 1829 წ.). ამისი ერთ-ერთი პრაქტიკული, შედარებით მცირე შედეგი იყო ის, რომ თბილისში დაარსდა ა/კავკასიის სავაჭრო დეპო, რომლის ერთ-ერთ დირექტორად იყო ხსენებული პ. ზავილიესკი (1831 წ.). დეპო მიზნად ისახავდა მოეპოებინა ბაზარი ა/კავკასიაში რუსეთის სამრეწველო საქონლისათვის და საერთოდ ა/კავკასია და კერძოდ საქართველო კიდევ უფრო მჭიდროდ დაეკავშირებინა რუსეთთან.

ამგვარად 1827-1831 წლებში წარმოებდა მუშაობა საქართველოს გადასაქცევად რუსეთის კოლონიად, მის კიდევ უფრო შესაკავშირებლად რუსეთთან. ამასთანავე ეს შეკავშირება უნდა მომხდარიყო

რუსული კულტურის პირწმინდად ათვისების საფუძველზე, რადგანაც ყველგან სამმართველო ენა (და სასწავლო ენაც, რამდენადაც სასწავლებლები არსებობდნენ) იყო რუსული. მთავრობა მტკიცედ ადგა საქართველოს რუსიფიკაციის გზას და მოწინავე რუსული საზოგადოებრივი წრეებიც კი ამ გზას, უკეთეს შემთხვევაში, არ ეწინააღმდეგებოდნენ. ამ ხანაში (პასკევიჩის დროს) თბილისში გაიმართა ქარხანა შაქრის ფხენილის რაფინირებისათვის, თუმცა ეს ქარხანაც მალე დაიხურა. თბილისში დაარსდა "ამიერკავკასიის საზოგადოება სასოფლო და სამანუფაქტურო მრეწველობის და ვაჭრობის წასახალისებლად" (Закавказское общество поощрения сельской и мануфактурной промышленности и торговли). დაარსდა აგრეთვე ქართული ღვინის საზოგადოება. ამავე ხანაში საქართველოში ოფიციალურად შემოღებულ იქნა რუსული წონა-ზომის ერთეულები, თუმცა ხალხი კვლავინდებურად თავის ძველ ერთეულებს ხმარობდა.

1830-იან წლებში გენ. ზავილეისკიმ მოაწყო ქალ. ახალციხესთან შუშის ქარხანა, რის შესახებაც ცნობა აქვს ჰაკსტრაუზენს. ქარხანა, რასაკვირველია მუშის თავისუფალ შრომაზე იყო დამყარებული (ახალციხის მხარეში საბატონო ყმები ზოგადად არც იყვნენ). მართალია, ამ ქარხანამ საბოლოოდ ვერ იხიერა, მაგრამ ეს წარმოება თავისთავად კაპიტალისტური წყობისა იყო.

უკეთესი ბედი ხვდა ასეთ წამოწყებათ უკვე 1840-იან წლებში.

თბილისი ამ ხანებში გაიზარდა. გაშენდა ახალი სახლები, ქარვასლები, დუქნები; მიწის ფასმა ამიტომ ძალიან აიწია; სახლების ქირაც გადიდდა. თბილისს მოემატა ახალი მოსახლეობა. სხვათა შორის, ესლა ბლომად მოდიოდნენ დღიურ სამუშაოზე ღარიბი იმერელი გლეხები, რომელნიც შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ თავიანთ სოფლებში. ასეთ დროებით მცხოვრებ პირთა აღრიცხვა არ წარმოებდა. საერთოდ გაიზარდა მომქმედი სავაჭრო კაპიტალი. ეს სავაჭრო კაპიტალიც ფაქტიურად მომსახურეობას უწევდა უცხო ქვეყნების (დას. ევროპის) მრეწველობას. ადგილობრივ საწარმოო ძალთა მდგომარეობა ისევ წინანდელი იყო. თბილისს არ მომატებია არც ერთი რაიმე თვალსაჩინო ახალი წარმოება. ასეთ პირობებში ბუნებრივია, რომ სავაჭრო კაპიტალი ფაქტიურად უწევდა სასტიკ ექსპლოატაციას ადგილობრივ მოსახლეობას უცხოეთის მრეწველობის სასარგებლოდ. თბილისის მკვიდრ მოსახლეობას – ხელოსნებს და შავ მუშებს და აქედან შეძლებულ წრეებსაც – უფრო და უფრო დაეტყუთ ეკონომიური კრიზისი. თბილისში ცხოვრება ძვირდებოდა. თუ XIX ს-ის დასაწყისში თბილისი ცნობილი იყო როგორც ცხოვრების მხრივ მეტად იაფი ქალაქი, ესლა, პირიქით, თბილისი იხსენიება როგორც მეტად ძვირი ქალაქი, სადაც რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებთან შედარებით ცხოვრება იყო ყველაზე უფრო ძვირი.

თბილისი იყო მაშინ საქართველოში ერთადერთი მოზრდილი ქალაქი. 1830-იან წლების დასაწყისში იქ ითვლებოდა 5 ათასამდის კომლი მკვიდრი, საკმაოდ ბლომად დროებით ჩამავალი მუშების გარდა. თბილისის მოსახლეობა 1833 წელს ახლოს დაახლ. უდრიდა 30-31 ათ. სულს ორ. სქ., რუსის ჯარითურთ კი დაახლ. 40 ათ. სულს. ამავე დროს თელავში იყო ხუთასამდის კომლი, გორსა და სიღნაღში – ხუთასზე ოდნავ მეტი, ახალციხეში – 2734 კომლი და ქუთაისში – 428 კომლი. ეკონომიური კრიზისი თბილისში მოასწავებდა ცოტად თუ ბევრად კრიზისს საქართველოს სხვა ნაწილებშიც როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ასეთი კრიზისი თბილისს მცხოვრებთა ფართე მშრომელ მასებისათვის (ხელოსან-მუშათათვის) ახდენდა მათ განწყობილებაზე სათანადო გავლენას. ეს მასები გაღიზიანებულნი იყვნენ. თავისი უკმაყოფილება მათ გადაჰქონდათ მართებლობაზე, თუმცა თბილისში მუდმივად რუსის დიდი ჯარის მყოფობის გამო ითმენდნენ. მაინც 1828 წელს მილიციონერების გაწვევის შესახებ გამოცემულ განკარგულებების გამო თბილისის ხალხის უკმაყოფილებამ სტიქიურად იფეთქა და გამოიწვია დიდი გამოსვლა. ასევე 1831 წელს პოლონეთში დიდი აჯანყების დროს თბილისის გუბერნატორი პოლონელი ზავილეისკი რუსეთის მოწინააღმდეგე ქართველ შეთქმულებთან ერთად ფიქრობდნენ თბილისის მოსახლეობის განწყობილება გამოეყენებინათ მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლისა და თვით აჯანყებისათვის.

107. რუსეთის სამრეწველო საქონლის შემოჭრა საქართველოში. ადგილობრივი წინააღმდეგობის სახელოსნო წარმოება ვერ უძლებს რუსეთულ საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის წარმოებას

და თანდათან მცირდება. ეს შეიძლება ნათლად წარმოდგენილ იქნას აღმ. საქართველოს ზოგი იმ ქალაქის მაგალითზე, რომელთა შესახებ არსებობს სათანადო ზუსტი ცნობები.

1804 წ. სიღნაღში იყო 228 სახელოსნო-სავაჭრო დუქანი. ამათგან 125 იყო საფეიქრო, 4 სამღებრო, 2 მჭითეების, 10 მექუდეთა, 11 მეწალეთა და სხვ., ხოლო მატერიებით მოვაჭრეთა — 32. 1834 წლის ცნობით სიღნაღში იყო საფეიქრო დუქანი (სახელოსნო) 20, მაგრამ სამაგიეროდ რუსეთული ფართლუელობის სავაჭრო დუქანი 29 და რუსეთულივე სხვა წვრილმანი საქონლით მოვაჭრე დუქანი 14. სულ მცხოვრებთა რიცხვი იყო 3200 ს. ორ. სქ.

სხენებულ საფეიქრო 20 დუქანში მუშაობდა დაახლოებით 30-35 ფეიქარი. ეს ჩანს იქიდან, რომ 1837 წლის ცნობით სიღნაღში იყო 30 ფეიქარი (სულ ხელოსანი იყო 109 კაცი). აღნიშნულია, რომ აბრეშუმის და ბამბის მატერიები სიღნაღში მოჰქონდათ თბილისიდან, აკაკასიის მაჰმადიანურ ქვეყნებიდან და ნაწილობრივ რუსეთის იარმუკებიდან. 1851 წელს კი სიღნაღში იყო მხოლოდ 4 ფეიქარი. აქედან ცხადია, რუსეთული საფაბრიკო საფეიქრო ნაწარმის შემოტანის გამო თანდათან ისპობოდა ადგილობრივი წინანდელი საფეიქრო შინანაწარმი.

ქალ. თელავში (ძველსა და ახალში) 1802 წელს იყო 296 კომლი, მათ შორის ვაჭარი იყო 7 კომლი (სავაჭრო სხვადასხვა დუქანი იყო 47), ხოლო ხელოსანი 234 კომლი, რომელთა უმრავლესობა მისდევდა ფეიქრობას. 1832 წლის ანგარიშით ფეიქრები ცალკე არ არიან მოხსენებულნი, მაგრამ ნათქვამია, რომ სახლებში ამზადებდნენ ერეგნიდან მოტანილი ბამბისაგან ნარმას, რომელსაც ასაღებდნენ მეტწილად მთიულეზე. სხვა ხელოსნები კი ნაჩვენებნი არიან 107 (თერძები 23, მექუდეები 25, მეწალეები 19 და სხვ.). 1851 წელს კი თელავში აღნიშნულია 23 ფეიქარი (სულ იყო 106 ხელოსანი). ეს ფეიქრებიც, როგორც ჩანს, მუშაობდნენ მთიელების საჭიროებისათვის.

ქდუმეთში 1804 წ. იყო 250 კ. მცხოვრები. მათ შორის აზნაური იყო 6 კომლი, ამ აზნაურთა ყმა-გლეხები 12 კ, სამღვდელთა 8 კ, ოსი 14 კ, ვაჭრები იყვნენ 14 კ, სავაჭრო დუქანი იყო 48. სხვადასხვა ხელოსნები 76 კომლი, რომელთა უმრავლესობა მისდევდა ფეიქრობას და ჩითის ბეჭდვას. 1837 წელს კი დუმეთში აღნიშნულია 26 ხელოსანი, მაგრამ მათ შორის ფეიქრები არ არიან. საფეიქრო წარმოება იქნებოდა, მაგრამ მას ადგილი ჰქონდა ოჯახებში და კარგავდა სამრეწველო მნიშვნელობას.

ქკორში 1804 წელს იყო მოვაჭრე 164 კომლი, ხელოსანი 50 კომლი (10 მჭითე, 4 მეტყავე, 9 მღებავი და ასე სხვა). მატერიებისთვის იყო 90 დუქანი (აქ უნდა ყოფილიყვნენ ფეიქრები). 1834 წელს გორში იყო 174 დუქანი, მათ შორის ფართლუელობისა — 40. ხოლო 1837 წ. გორში აღნიშნულია 70 ხელოსანი (მათ შორის ფეიქრები არ იხსენიებიან) და 120 სავაჭრო დუქანი. ამ სავაჭრო დუქანთა შორის 39 იყო ფართლუელობის მოვაჭრეთა. ფართალი, მაშასადამე, იყიდებოდა მოტანილი. მცირედ, ალბად, იყიდებოდა ოჯახებში დამზადებული ნარმაც. ადგილობრივი საფეიქრო წარმოება თითქმის რომ მოისპო (იქნებოდნენ, სხვა ქართული ქალაქების მსგავსად ოჯახებში ნარმის დამამზადებელნი). 1845 წლის ცნობით გორში იყო 196 მოვაჭრე, მათგან 6 კაცი დადიოდა სავაჭროდ უცხოეთში (ოსმალეთში, სპარსეთში, ლეიპციგში, ლონდონში), ხოლო 12 კაცი რუსეთში — მოსკოვსა და ნიჟეგოროდის იარმუკაზე.

გორის მაგალითზე ცხადად შეიძლება ნაჩვენები იქნას, თუ როგორ მოიპოვა რუსულმა საქონელმა საქართველოს ვაჭრობაში პირველი ადგილი. 1845 წლის ცნობით გორში შემოუტანიათ ოსმალეთიდან და საერთოდ უცხოეთიდან 8030 მანეთის საქონელი, ხოლო რუსეთიდან 47.730 მანეთის, ადგილობრივი სახელოსნო ნაწარმი კი გორში სხენებულ წელს ბაზარზე გამოუტანიათ მხოლოდ 1974 მანეთის. უცხოური საქონელი იყო შალი, ლურჯი ნარმა, შაქარი, ყავა, საკმელი, ფოლადი, ლიმონი და სხვ., რუსეთული-მაუდი, თივითიკი, ატლასი, აბრეშუმეული, ჩითეულობა, საგალანტერიო საქონელი, ქალაღი, რკინა-ლურსმანი და სხვ. ხოლო ადგილობრივი-გლეხური საჩოხე შალი, ნარმა, ჩითი, სუფრები, ნაბადი, თოკი, შუმის ჭურჭელი. გორის საერთო ვაჭრობაში ადგილობრივ სახელოსნო ნაწარმი შეადგენდა 14,5%-ს, უცხოური — 3,5%-ს და რუსული — 82,5%-ს.

იმავე წლის ცნობით, მთელ გორის მაზრაში საღებოდა საზღვარგარეთული საქონელი 7490 მანეთის (10%), რუსული 60 ათ. მანეთის (84%) და ადგილობრივი ნაწარმი 4 ათ. მანეთის (6%).

თუ როგორ სპობდა რუსეთის სამრეწველო საქონელი ადგილობრივად არსებულ წინანდელ მანუფაქტურულ წარმოებას, ეს ჩანს შემდეგი ერთი ფაქტიდანაც. ოფიციალური მიმომხილველი 1835

წლისათვის თბილისში აღნიშნავს ტყავეულობის ორ ქარხანას 66 მუშით. ეს იყო წინანდელი წესის დაბალ-ხანური მანუფაქტურული წარმოება. "ტყავის ხარისხი, სწერს მიმოხილვის ავტორი, ვერ უძლებს ვერავითარ შედარებას რუსეთიდან მოტანილ ტყავებთან. მაგრამ ტყავეულობის დამზადება ცხენის სართავისათვის საუკეთესო ხარისხისაა. ტყავის შეღებვაც მეტად უხარისხოდ წარმოებს, არც ფერის სიცხოვლეა და არც ტყავის სიბრწყინვალე. საუკეთესო საფიანი მოდის რუსეთიდან". გასაგებია ამიტომ, რომ ტყავეულობის ადგილობრივი წარმოება თანდათან ეცემოდა. 1823 წელს თბილისის სადაბალ-ხანო წარმოებაში 195 კაცი იყო დაკავებული, ხოლო 12 წლის შემდეგ სხენებულ ორ ქარხანაში მხოლოდ 66 კაცი ყოფილა. 1858 წლისათვის კი თბილისში მხოლოდ 1 ასეთი ქარხანა დარჩენილა 66,1 ათ.მანეთის პროდუქციით. შემდეგ ეს ერთი ქარხანაც დაყოფილა წვრილ წარმოებებად, ასე რომ 1868 წელს თბილისში აღნიშნულია ტყავეულობის 10 ქარხანა ყველა 68 ათ. მანეთის პროდუქციით.

1876 წელს თბილისში გაიხსნა სომეხ კაპიტალისტ ადელხანოვის ტყავეულობის ქარხანა, რომელიც მოწყობილი იყო უახლესი მანქანებით. არა მარტო ამის მიზეზით, არამედ უფრო მეტად რუსეთის სამრეწველო საქონლის კონკურენციის მიზეზით წინანდელი წესის ტყავეულობის წარმოება თანდათან მოიშაო.

ამგვარად რუსეთის მრეწველობა ეუფლებოდა საქართველოს, რომელიც გადაქცეული იყო ამ მრეწველობის პროდუქციის გამსაღებლად. ის ფული, რომელიც რუსეთის სახელმწიფოს საერთო სახსრებიდან ბანდლებოდა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში დაბანაკებულ დიდძალი რუსის ჯარის შესანახად, უკან ბრუნდებოდა თვალსაჩინოდ რუსული მრეწველობის და სამრეწველო კაპიტალის სასარგებლოდ. სამრეწველო საქონლის შესაძენად საჭირო ფულს ადგილობრივი მოსახლეობა (უფრო გაბატონებული ფენების სახით) პოულობდა სოფლის მეურნეობის ნაწარმის (პურის, ღვინის და სხვ.) რეალიზაციით. თვით საქართველოს ნედლეული რუსეთში ამ დროს მეტად მცირედ მიდიოდა.

რუსული "კომერციული გაზეთის" (პეტერბურგის) კორესპონდენტი 1829 წელს წერდა ვაჭრობის შესახებ თბილისში, ნიეგოროდის იარმუკის და რუსული საქონლის თბილისის ცხოვრებაში შემდეგ: "ახლა აქ (თბილისში) ჩამოდიან საბარგულები – ნიეგოროდის ბაზარზე აქაური სომეხი და ქართველი ვაჭრების მიერ ნაყიდი საქონლით და ჩვენს ვიწრო ბაზარზე გაჩნდა დიდი გაცხოველება. სასიამოვნოა, რომ უყურებ რუსული მანუფაქტურული მრეწველობის საქონლით ასობით ურმებს, რომელნიც ყოველდღე ჩნდებიან მთელს გზაზე კავკასიის მთების ხეობებში 270 ვერსის სიგრძეზე... არ შეიძლება არ გაიხარო, როდესაც შედიხარ რომელშიაც გინდა აქაურ სავაჭროში. ყველა მათგანში თითქმის ჭერამდის დევს დასტებად ჩითები, ბამბის სახოცები, ტილოები, საბნები, სპარსული ყაიდის კალენკორი, ნანკები (нанки), ჩინურები (китайки), დემი-კოტონები, აბრეშუმის მატერიები და სახოცები, ფარჩა, ზოლებიანი ხავერდი და სხვ. და ყველა მათზე არის რუსული ფაბრიკების დამლები".¹

108. ადმინისტრაციული ღონისძიებანი. საქართველოში არსებული მართებლობა არავის არ აკმაყოფილებდა, რადგანაც ის როგორც საქართველოსა, ისე ამიერ-კავკასიაში მეტად უვარგისად იყო მოწყობილი. საქართველოს მთავარმართებელი გენ.პასკევიჩი ჯერ კიდევ 1829 წელს სწერდა, რომ "კეთილმოწყობის გარეგნული სახე მხოლოდ ფარავს იმ მეტად დიდ უწყობას და ბოროტმოქმედებათ, რომელნიც განმტკიცდნენ ამ მხარეში და ჩვეულებრივ მოვლენად გარდაიქცნენ". ამიტომ დროგამოშვებით რუსეთის ცენტრალური მთავრობა ლებულობდა თავისი გაგებით ზოგიერთ ზომებს საქართველოს მმართველობის გასაუმჯობესებლად.

1830 წელს საქართველოში მუშაობდა საადმინისტრაციო საკითხების გასარკვევად პეტერბურგიდან გამოგზავნილი სასენატო კომისია გრაფ ქუთაისოვის და მენიკოვის მეთაურობით. ამ სასენატო კომისიამ დაადასტურა, რომ საქართველოში რუსის ჩინოვნიკებს ახასიათებდათ აუარებელი ბოროტმოქმედებანი. კომისია ცდილობდა თავისი დასკვნების შერბილებას, მაგრამ ქუთაისში და იმერეთში ჩინოვნიკების ბოროტმოქმედებათა შესახებ იმდენად აღმაშფოთებელი ფაქტები იქნა დადასტურე-

¹ М.К.Рожкова, Экономическая политика царского правительства на Среднем Востоке во второй четверти XIX века и русская буржуазия, М.-Л 1929 г., стр.76. См. у И.Г.Антелава, госуд. крестьяне Грузии I, 175 прим.П4 Comte de Szapponi, Souvenirs de vodades...Paris, 1846., 134-135.

ბული, რომ კომისიამ თითქმის ყველა მოხელე ამ მხარეში გადააყენა სამსახურიდან. თავის ვრცელ მოხსენებაში კომისია დადებითად ახასიათებდა ქართველ თავად-აზნაურობას, რომელიც რუსეთის კანონების მიხედვით თითქმის უკვე გადაქცეულიყო ერთ პრივილეგიურ წოდებად თავადების და აზნაურების გაერთიანებით.

რუსეთში, იქაური კანონების მიხედვით, აზნაურობა შესდგებოდა ტიტულიან (თავადები, გრაფები, ბარონები) და უტიტულო აზნაურთაგან, თავადაზნაურობას იქ ჰქონდა თავისი წოდებრივი საკითხების მოსაგვარებლად თავისი საკუთარი არჩევითი ორგანიზაცია ე.წ. მაზრების და გუბერნიების წინამძღოლების და აგრეთვე დეპუტატთა საკრებულოს სახით. პრივილეგიური წოდების წოდებრივი ორგანიზაციები რუსეთის მსგავსად საქართველოშიაც თავიდანვე იყო შემოღებული. ამასთანავე რუსეთის მთავრობამ ქართველი აზნაურები თანდათან გაუთანასწორა თავადებს (საქართველოში მანამდის აზნაურნი ან სახელმწიფო და საეკლესიო ყმები იყვნენ, ანდა თავადების ხელქვეითნი). ამ ღონისძიებამ აზნაურობა გადაქცია რუსეთის სახელმწიფოს და რუსეთის იმპერიის ერთგულ ძალად. სასენატო კომისიამ ქუთაისოვის და მეჩნიკოვის შემადგენლობით პირველად აშკარად აღიარა, რომ საიმპერიო მთავრობას შეუძლია ქართველი თავადაზნაურობის გამოყენება საქართველოში თავის დასაყრდენ ძალად, რომ ეს თავადაზნაურობა იქნება თვითმპყრობელობის ერთგული და უფასო პოლიცია საქართველოში.

109. 1832 წლის შემთხვევა.

ამ დროისთვის ქართველებში საკმაოდ ბლომად იყვნენ რუსულ განათლებაზე აღზრდილნი და რუსულ კულტურას გაცნობილნი პირნი, თითქმის მთლიანად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თავადაზნაურთაგან. ბევრი მათგანი მსახურობდა რუსეთში და კავკასიაში სამხედრო პირებად რუსულ ჯარში და უშუალოდ გაცნობილნი იყვნენ სამხედრო ფორმაში ჩაცმული რუსის ხალხის შვილებს და ოფიცრების სახით რუსეთის პომეშიკური წრეების წარმომადგენლებსაც. საქართველოში მყოფ რუს ჩინოვნიკებს შორის ყველა არ იყო, რასაკვირველია, მექრთამე და ბოროტ-მომქმედი ეგოისტი. იყვნენ მათ შორის კულტურული და პატიოსანი პირნიც. 1820-იან წლების ახლოს საქართველოში მოღვაწეობდა რუსი პროგრესისტი მწერალი შიშკოვი, ალპუშკინის მეგობარი. საქართველოში იძულებით გადმოსახლებით ცხოვრობდნენ რუს პროგრესისტ დეკაბრისტებთან დაკავშირებული პირნი. საქართველოშივე მსახურობდა უდიდესი რუსი პოეტი-დრამატურგი ალ. გრიბოედოვი, პროგრესულად მოაზროვნე და საქართველოს დიდად მოყვარული, რომელმაც ცოლად შეირთო პოეტ ალ. ჭავჭავაძის ასული ნინო (გრიბოედოვი თბილისშია დაკრძალული მთაწმინდაზე). თბილისშივე ოსმალეთის ფრონტისკენ მიმავლობისას მცირე ხანს დაჰყო და ზოგიერთ ქართველ მოაზროვნე ინტელიგენტებს გაეცნო უდიდესი რუსი პოეტი ალპუშკინი. ქართველი მცირერიცხოვანი ინტელიგენტური ახალგაზრდობა საერთოდ კარგად იყო გაცნობილი რუსულ კულტურას და მის მოწინავე აზრებს. დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ამ წრეზე თავისი მოწინავე გეგმებით 1825 წლის დეკემბერში პეტერბურგში მომხდარი გამოსვლა (ეგრეთ წოდებული დეკაბრისტების გამოსვლა), რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის თვითმპყრობელობის გაუქმებას. დეკაბრისტების ნაწილი მომხრე იყო დიდად შეზღუდული მონარქიის მხოლოდ აღმასრულებელი უფლებებით, სხვები კიდევ რესპუბლიკის დამყარებას მოითხოვდნენ. ამასთანავე დეკაბრისტები ბატონყმობის გაუქმებასაც ითხოვდნენ. მაგრამ ეროვნულ საკითხში ისინი მეტწილად იმპერიის სხვა ხალხების (პოლონეთის გარდა) რუსთა შორის გათქვეფის მომხრენი იყვნენ. ქართველი ინტელიგენტები კი პირველ რიგში აყენებდნენ ქართველი ხალხის მიერ თავისი კულტურული სახის საკითხს, რადგანაც იმპერიის მთავრობის გამარჯვებული პოლიტიკა ქართველ ხალხს ეროვნულად გადაგვარებით ემუქრებოდა. ამიტომაც მალე თბილისში შეთქმულება მოეწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ლოზუნგებით. შეთქმულების სულის ჩამდგმელი იყვნენ ოქროპირ ბატონიშვილი (გიორგი XII-ის შვილი) და ბატონიშვილი იულონის ძე დიმიტრი (ეს დიმიტრი საქართველოში არც იყო ნამყოფი, ის პეტერბურგში ცხოვრობდა), ელიზბარ ერისთავი, გიორგი ერისთავი, ალექსანდრე და გრიგოლ ორბელიანი, ია ფალავანდიშვილი, დიმიტრი ყიფიანი და სხვები. შეთქმულების იდეური წამყვანი იყო სოლომონ დოდაშვილი, რომელიც დაბალ სასულიერო წოდებიდან იყო (მამასადამე, შეიძლება ითქვას, თავისუფალ გლეხთაგან). მას უმაღლესი განათლება პეტერბურგში ჰქონდა მიღებული. 21 წლისამ მან რუსეთშივე დაბეჭდა რუსულად წიგნი, რომელმაც მაშინვე მიიქცია ყურადღება. შემდეგ მან დააარსა თბილისში ქართულ-რუსულ ენაზე

ყოვნალი "თბილისის უწყებანი". შეთქმულთა აზრით, საქართველო პოლიტიკური წყობილების მხრივ უნდა ყოფილიყო უფლება შეზღუდული მონარქია მეფით სათავეში, თუმცა თვითონ ოქროპირ ბატონიშვილი რესპუბლიკის მომხრე იყო. ის, როგორც ჩანს, ცხადად ხედავდა პეტერბურგში მცხოვრებ ქართველი ბატონიშვილების სრულ უნიათობას და ამიტომ რესპუბლიკას უჭერდა მხარს. სახელმწიფოს სათავეში უნდა ყოფილიყო ორი წარმომადგენლობითი ორგანო, ქვედა და ზედა სამმართველო (პალატა). ამ პალატებს უნდა შეეზღუდათ მეფის უფლება. ქვედა პალატის დეპუტატები ამორჩეული იქნებოდნენ მაზრებიდან. ეს დებულება არსებითად ნასესხებია დეკაბრისტების პროგრამიდან, მაგრამ ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის მიზანი ძირითადად განასხვავებდა ქართველ შეთქმულებს რუს დეკაბრისტებისაგან. რაც შეეხება სოციალურ საკითხს, ისინი მას სრულებით არ ეხებოდნენ, რადგანაც მთავარი მათთვის ეროვნული საკითხი იყო.

შეთქმულების არსებობის შესახებ იცოდა ზოგმა რუსმა მოხელემ და თანაუგრძობდნენ მას. ასეთნი იყვნენ თბილისის პოლიცემისტერი მელნიკოვი, თბილისის ყოფილი სამოქალაქო გუბერნატორი ზავილეისკი, დუშეთის მაზრის კაპიტან-ისპრავნიკი (გამგე) ნაუმენკო. შეთქმულთ კავშირი ჰქონდათ გაბმული თბილისში არსებულ ზოგ უცხოელ საკონსულოსთან, მაგ, საფრანგეთის და ოსმალეთის საკონსულოსთან და აგრეთვე სპარსეთში მცხოვრებ ალექსანდრე ბატონიშვილთან.

შეთქმულება ცილდებოდა ქართლ-კათხის ფარგლებს. შეთქმულთ კავშირი ჰქონდათ იმერეთის თავადაზნაურობის ზოგიერთ პირთან. შეთქმულების შესახებ იცოდა სამეგრელოს სამთავროს მემკვიდრემ დავითმა. ამასთანავე შეთქმულნი ცდილობდნენ კავშირი გაემათ გლეხობასთან ქართ-კახეთის სხვადასხვა ადგილებში და განსაკუთრებით ქიზიყში, სადაც გლეხებს თემობრივი მიწათ-მფლობელობა ჰქონდათ. ქიზიყელებს არც ჰყავდათ მებატონეები, ისინი სახელმწიფოს ეკუთვნოდნენ და ამიტომ თავს თითქმის თავისუფალ გლეხებად სთვლიდნენ. სოლომონ დოდაშვილი, რომელიც წარმოშობით თვითონ ქიზიყიდან იყო, ქიზიყის გლეხობაზე რატომღაც დიდ იმედს ამყარებდა.

შეთქმულების განსახორციელებლად განზრახული იყო გაემართათ დიდი ბალი (მეველისი), რომელზედაც უნდა მოეწვიათ რუსის ყველა სამხედრო და სამოქალაქო მოხელე, დაეხოცათ ისინი და გამოეცხადებინათ ახალი მთავრობა. ამ დღისთვის შეთქმულებს უნდა მოეყვანათ თავიანთი სოფლებიდან შეიარაღებული რჩეული გლეხები, დაეკრათ ზარები და დაეწყათ მოხელეების ამოწყვეტა. რამდენჯერმე შეთქმულების განხორციელების ვადა გადადებულ იქნა. შეთქმულების ერთმა აქტიურმა მონაწილემ ია ფალავანდიშვილმა მოინდომა შეთქმულებაში ჩაება თავისი ძმა თბილისის გუბერნატორი ნ. ფალავანდიშვილი, რომელმაც, პირიქით, თავის მოკვლის მუქარით მოსთხოვა მას თვითონვე განეცხადებინა შეთქმულების შესახებ საქართველოს (ამიერ-კავკასიის) კორპუსის შტაბში. შეთქმულების მონაწილენი ყველანი დაპატიმრებულ იქნენ. დაინიშნა ხანგრძლივი ძიება. სასამართლომ გაასამართლა 38 პირი, მთავარ ბრალდებულთ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, სხვებს კიდევ სხვადასხვა მძიმე სასჯელი. მაგრამ თვით რუსეთის მთავრობა შედარებით ლმობიერად მოექცა ამ შეთქმულებაში მონაწილეთ, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ შეთქმულება მართლაც მეტად უნიადაგო ჩანდა. ამიტომ მან შესცვალა სასამართლოს განაჩენი და მიუსაჯა შეთქმულთ გარკვეული ვადით გადასახლება რუსეთის სხვადასხვა ქალაქში. აქ ისინი შევიდნენ სახელმწიფო სამსახურში და ამ სამსახურშივე დარჩნენ უკან დაბრუნების შემდეგაც, ასე რომ შემდეგ ზოგმა მათგანმა დიდი თანამდებობას მიაღწია, მაგალითად: გრ. ორბელიანი, რომელიც შემდეგ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე გახდა და დიმიტრი ყოფიანი, რომელიც შემდეგ კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს წევრიც იყო.

1832 წლის შეთქმულება თავიდანვე განწირული იყო, რადგანაც შეთქმულებას არავითარი ფესვები არ ჰქონდა არც თავადაზნაურობაში, რომელიც უკვე ცარიზმის მიმართ შერიგების და მორჩილების გზაზე იყო დამდგარი და არც გლეხობაში, რომელიც მებატონეების წინააღმდეგ იყო განწყობილი და ამიტომაც მებატონე შეთქმულებს არც წაჰყვებოდა. ერთადერთი არა მებატონე შეთქმულთა შორის იყო სოლ. დოდაშვილი და ისიც შეთქმულების ბოლოში უკვე განზე იყო გამდგარი. მიუხედავად ამისა, სოლ. დოდაშვილიც გადასახლებულ იქნა რუსეთში.

ამის შემდეგ თავადაზნაურთა წრეებში არც ამგვარ უღელურ შეთქმულებებს ჰქონდა ადგილი. მალე ქართველი თავადაზნაურობა გადაიქცა ცარიზმის ნამდვილ დასაყრდენ ძალად საქართველოში.

110. პასივისტური განწყობილება. შეთქმულების დამარცხებამ სასოწარკვეთილება გამოიწვია ქართველი თავადაზნაურობის იმ ინტელიგენტურ წრეებში, რომელნიც ჯერ კიდევ ოცნებობდნენ ქართულ სახელმწიფო ცხოვრების აღდგენაზე. ეს იდეა გადაიქცა მათთვის განუხორციელებელ ოცნებად. ეს განწყობილება აქვს ერთგვარი სიფრთხილით გამოხატული ცოტა უფრო გვიან (1838 წ.) თავ. მიხ. თუმანიშვილს თავის ლექსში "სალამური", რომელშიაც სხვათა შორის ვკითხულობთ:

"იყო დრო, ოდეს მშენიერი ესე ბუნება
მიმდევსა მისსა გრძნეულობით გამოცემადა
და დამატკობდა სიყვარული, თავისუფლება
და გული ჯერეთ ზრუნვათათვის არ გამლებოდა.
იყო დრო. მაგრამ, ჰე მაცთურო ამოვებაე,
რად დამილენე ოქროვანი ხატი ოცნების?
რად დამდევე ჯაჭვი დამონების?" და სხვა.

საერთოდ განწყობილება თბილისში და საქართველოში თვით რუს მაღალ მოხელეებსა და ქართველ თავადებს შორის ურთიერთისადმი ნდობა არ იყო. ფრანგი გრაფი სიუზანე (შუზანენტ) თბილისში გენ. გოლოვინის დროს 1840 წლის ახლოს გადმოგვცემს თბილისის საზოგადოების შესახებ შემდეგს: "თბილისის (რუსული) საზოგადოება შესდგება გენერლებისა და მართებლობის მოხელეთაგან. ზოგიერთი მათგანი დაოჯახებულია. მაგრამ მათი მანდილოსნების პრეტენზიები თითქოს ისინი იყვნენ დიდი ქალბატონები, თუმცა მათ არ აქვთ საამისო აღზრდა და არც მანერები, ურთიერთობას მათთან ხდის ნაკლებ სასიამოვნოდ. ამიტომაც ისინი რჩებიან განმარტოებულნი, როგორც ეს ხდება აღმოსავლეთში..."

თავადების ოჯახები საქართველოში, მცირერიცხოვანნი და ნაკლებ შეძლებულნი იშვიათად უშვებენ რუსებს თავიანთ შინაურ ცხოვრებაში. ისინი სანდახან, და ისიც საკმაოდ გრძელი ხარვეზების შემდეგ აწუბონ თავისთან მხოლოდ ზეიმებს, რომელზედაც იწვევენ მთავარმართებელს. მე დავესწარი ერთ ასეთ დიდ სადილს, მონოტონურ და სერიოზულს, როგორიც არის ყველა ასეთი სადილები, რომლებზედაც ქართველები იძულებულნი არიან იქონიონ კონტაქტი რუსებთან. ამ ორი ხალხის ხასიათი იმდენად განსხვავდება ერთმანეთისგან, მათ შორის იმდენად ცოტაა ურთიერთ სიმპათიები, რომ ჩემთვის გაუგებარი იქნებოდა, თუ ისინი უცდებოდნენ გამოენახათ დაახლოვების საბაბები, ქორწინება ქართველ ქალებსა და რუსებს შორის თითქმის შეუძლებელია სარწმუნოების სხვაობის გამო (?). ოჯახების მთავარი სწავლა-განათლება გამოიხატება ფრანგული ენის ცოდნაში, რომლის შესწავლას ისინი ამჯობინებენ რუსული ენის შესწავლას"

III. ცვლილებანი ქართულ ბატონყმობაში რუსული კანონების შესაბამისად. საქართველოში არსებული სოციალური ურთიერთობა რუსეთთან შედარებით ზოგ თავისებურებას შეიცავდა. მართებლობა თანდათან ანხორციელებდა ამ თავისებურებათა შეკვეცას და ლიკვიდაციას. მაგალითად: რუსეთში ეგრეთ წოდებული თეთრი სამღვდელოება (ე.ი. ცოლშვილიანი მღვდლები, არა ბერები და არქიმანდრიტ-ეპისკოპოსები, რომელნიც რუსული გამოთქმით შავ სამღვდელოებას შეადგენდნენ) საქართველოში ბატონყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ცალკე თავადებს და ზოგ შემთხვევაში აზნაურთაც ჰყავდათ თავიანთი ყმა-მღვდლები, რომელნიც სამღვდელო სამსახურის გარდა ასრულებდნენ საგლეხო მოვალეობასაც — იხდიდნენ გადასახადს და სხვ. იმპერატორის ბრძანებულებით სამღვდელოება ქართლ-კახეთში განთავისუფლებულ იქნა ბატონყმურ მოვალეობისაგან, როგორც ეს მანამდის იყო რუსეთშიც (ეს მოხდა 1808 წ.).

იმერეთ-გურიაში ეს კანონი გატარდა დაგვიანებით — 1835 წელს.

1811 წ. საეკლესიო აზნაურებიც ქართლ-კახეთში თავიანთი გლეხებითურთ გადარიცხულ იქნენ სასაზინოდ, ე.ი. ისინი თავისი მდგომარეობით გაუთანასწორდნენ ეგრეთ წოდებულ ტახტის აზნაურებს. იმერეთზე მაშინ ეს დადგენილება არ გავრცელებულა. იმერეთის და გურიის საეკლესიო აზნაურები გადარიცხულ იქნენ სასაზინოდ 1835 წ.

საქართველოში ყმები ჰყავდათ არა მარტო თავად-აზნაურთ, არამედ შეძლებულ მოქალაქეთაც და იყვნენ, თუმცა მცირედ, გლეხის კუთვნილი ყმებიც (გლეხის გლეხი). სახელმწიფო საბჭომ 1832 წ. გამოიტანა დადგენილება, რომელიც დაამტკიცა იმპერატორმაც, რომ მოქალაქეთ და საერთოდ არა

თავად-აზნაურთ ქართლ-კახეთში (მით უმეტეს, მაშასადამე, გლეხებს) აეკრძალათ ყმების ყოლა. საერთოდ ზოგჯერ, ცალკეულ, თითო-ოროლა შემთხვევაში გლეხები ჰყავდათ არა თუ შეძლებულ სახაზინო გლეხებს, არამედ საბატონო გლეხებსაც. ამ დადგენილების გამოსვლიდან 4 წლის განმავლობაში ასეთ პირთ უნდა გაეყიდათ თავიანთი ყმები ანდა გაენთავისუფლებინათ ისინი. ეს დადგენილება არ ვრცელდებოდა იმერეთზე.

მალე ამის შემდეგ იმავე სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით, სათავადო აზნაურებიც განთავისუფლებულ იქნენ თავიანთი მებატონეთაგან (1833 წ. 11 ივლ.). ამ დადგენილების მიხედვით, ქართლში თავისუფლება მიიღო 160 კომლმა სათავადო აზნაურმა, კახეთში კი სათავადო აზნაურები საერთოდ არ იყვნენ. ამ სათავადო აზნაურების კუთვნილ მამულის თუ გლეხების საკითხი ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა გადაწყვეტილიყო მედიატორების მეშვეობით ანდა ადგილობრივი სასამართლო წესით (თავადები ედავებოდნენ ასეთ აზნაურთ მამულს და გლეხებსაც). ეს დადგენილება არ გავრცელებულა იმერეთ-გურიაზე, სადაც სათავადო აზნაურნი დარჩნენ წინანდელ ვითარებაში ვიდრე ბატონყმობის გაუქმებამდის და შემდეგ მეტნაწილად გადავიდნენ დროებით ვალდებულ მდგომარეობაში.

მთელი ეს მიწერ-მოწერა ამტკიცებს, რომ თბილისის ადმინისტრაციას ქართველ მემამულეთა ზეგავლენით და განსაკუთრებით უზენაეს ადგილობრივ სამმართველოში მყოფ ქართველ მრჩევლების მეოხებით შედგენილი ჰქონდათ საქართველოში არსებული ბატონყმობის შესახებ საკვებით ყალბი წარმოდგენა, ისეთი, რომელიც ეგუებოდა მემამულეთა ინტერესებს და სასტიკად ამცირებდა საბატონო გლეხების მდგომარეობას.

112. საბატონო გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესება. მართლაც ამის შემდეგ რუსული მართებლობა ცდილობს კარგი განწყობილება ჰქონოდა ქართველ მსხვილ მემამულეებთან, რომელნიც თავისდა სასარგებლოდ იყენებდნენ მართებლობის მათდამი ამ კეთილ განწყობილებას და მეტწილად ბოროტად აწვებიან თავის ყმა-გლეხებს. ეგრეთ წოდებული ბატონყმური დებულება ქართლ-კახეთში ფაქტიურად გაუქმებული იყო. მებატონეების მადას ზღუდავდა: ა) შიში თვით გლეხებისადმი, რომელთა მოთმინებიდან გამოყვანა საშიში იყო თვით მებატონეებისათვის და 2) რამოდენადმე რუსული კანონიც, რომელიც გლეხს მაინც იცავდა მებატონის მხრივ სიკვდილისაგან და გახიბობისაგან და აგრეთვე უხეშ ძალადობისაგან. ამიტომ კერძო მებატონეთა გლეხების მდგომარეობა შედარებით სახელმწიფო და საეკლესიო გლეხებთან უფრო და უფრო უარესდებოდა.

მებატონეების ასეთი მოქცევა კიდევ უფრო აძლიერებდა საბატონო გლეხების მუდმივ მისწრაფებას ბატონყმობისგან განთავისუფლებისაკენ. საბატონო გლეხი ცდილობდა როგორმე გადაწერილიყო სახაზინო გლეხად, რაც მას ნახევრად თავისუფალ მდგომარეობას მაინც ანიჭებდა. გლეხებმა დაიწყეს ამიტომ საჩივრები სასამართლოში თავიანთ მებატონეების წინააღმდეგ. სიმართლით იყო თუ არა ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ თავიანთ მებატონეთ არ ეკუთვნიან და არიან სახაზინონი. ასეთი საჩივრები დაიწყო 1812 წლიდან და შემდეგ თანდათან უფრო და უფრო მრავლდებოდა. მებატონეები თავის მხრივ ყოველნაირად ცდილობდნენ გლეხები არ გაეშვათ ხელიდან და ამისთვის არ ზოგავდნენ ხარჯებს, თუმცა რუსულ სასამართლოში ენის უცოდინარობის გამო მექრთამე ჩინოვნიკების წყალობით ასეთი დავა მათ ქალაქებში მრავალჯერ ჩასვლის ხარჯით ძლიერ ძვირად უჯდებოდათ. გორის მაზრის თავადაზნაურობა, რომელიც სხვა მაზრებისაზე უფრო მრავალრიცხოვანი იყო შემდეგში სწერდა, რომ მებატონეების მიერ საჩივრების გამო გაწეული ხარჯი იმდენი იყო, რომ თვით ყმა გლეხების ღირებულებას აღემატებოდა. ამ ჩივილების შედეგად გლეხები ზოგ შემთხვევაში იკებდნენ საქმეს და მართლაც თავისუფლდებოდნენ თავიანთ მებატონეთაგან. ამიტომ საბატონო გლეხების რიცხვი შედარებით თანდათან კლებულობდა.

113. გლეხობის საერთო ვითარება აღმ. საქართველოში. 1830-იან წლებში ცენტრალურ საიმპერიო მთავრობის დავალებით ამიერ-კავკასიაში მუშაობდა ლეკობიტოვის ხელმძღვანელობით სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა სპეციალური მოხელეების დახმარებით ჩაეტარებინა ამიერ-კავკასიის ყოველმხრივი აღწერილობა (ამ აღწერილობაში დას. საქართველო არაა წარ-

მოდგენილი). ლელკობიტოვის სიტყვით, საგლეხო ვალდებულებანი მთელს საქართველოში თითქოს (იგულისხმება დაახლოებით და ზოგადად) ერთნაირი იყო.

ლელკობიტოვის (1834 წ.) სიტყვით, ქართლ-კახეთში საბატონო გლეხებს ედვით შემდეგი ვალდებულებანი: თბილისის მაზრაში — ღალა თითო კოდი დღიურ სახნავეზე, კულუხი 1/7-1/10 ღვინის მოსავლისა, შეშის მიტანა, ფულადი გადასახადი. გარდა ამისა გლეხები ვალდებული იყვნენ ემუშავნათ მებატონის სასარგებლოდ.

მთელ მაზრაში (ქალაქ თბილისის გამოკლებით) იყო 2187 კომლი გლეხი, მათ შორის 913 კომლი სახაზინო, 820 საბატონო გლეხი, და 384 საეკლესიო. თბილისის მაზრა შეიცავდა 143.193 დესეტინა მიწას, რომელთაგან სახნავი იყო 36800 დესეტინა; ამათგან საბატონო სახნავი იყო დაახლ. 11800 დესეტინა და ყველა გლეხებისა — 25 ათ. დესეტინა. თითო კომლ გლეხზე საკუთარი სახნავი საშუალოდ მოდიოდა 12 დესეტინა ანუ 24 დღიური. რადგანაც მიწა სანახევროდ უნდა დაესვენებინათ, ამიტომ მეკომურ გლეხს ყოველ წელს შეეძლო დაეთესა საშუალოდ 12 დღიური. დღიურზე ითესებოდა 2-3 კოდი (თითო კოდი მაშინ უდრიდა 2 ფუთს და 9 გირვ.), მოსავალი კი იყო 8-14 კოდი პური, ხოლო ქერი ცოტა მეტი (თესავდნენ დაახლ. 2/3 პურს და 1/3 ქერს). კოდი პური საშუალოდ ფასობდა 80 კაპ., ხოლო ქერი 35 კაპ. ვერცხლით. გლეხს შეეძლო მოეყვანა საშუალოდ 80 კოდი პური და 40 კოდი ქერი. ეს საკმარისი უნდა ყოფილიყო გლეხის ყოველგვარი გადასახადის დასაფარავად და მისი ოჯახის შესანახად.

თელავის მაზრაში საბატონო გლეხები იხდიდნენ: ღალას კომლზე 4-10 კოდს, კულუხს ღვინის მოსავლის 1/10-ს. გლეხები ვალდებული იყვნენ თავიანთი გუთნებით ერთი დღე ეხნათ მებატონის სახნავი, ერთი დღე დაეფარცხათ ის, ერთი დღე მოემკათ, გაელეწათ და გალექილი ხორბალი მიეტანათ მებატონისათვის. საჭმელი და სასმელი ღვინო მებატონის იყო. საახალწლოდ. გლეხს უნდა მიეტანა მებატონისათვის ძღვენი — ერთი ქათამი, 10 პური, 1 თუნგი (9 გირვანქა ანუ 3,6 ეხლანდელი ლიტრი) ღვინო, ხოლო ხსნილში შობასა და დიდმარხვას შორის ერთწლიანი ცხვარი, ღორი, სამი ქათამი ანდა სამი აბაზი. თუ მებატონე რამეს აშენებდა, გლეხებს მიჰქონდათ ხე-ტყე და ქვა, ისინივე იძლეოდნენ შავ მუშებს. საქორწილო გადასახადს (ე.ი. თუ მებატონის ოჯახში ქორწილი იყო) გლეხები იხდიდნენ თავიანთ ბატონის შესაწევრად 5-90 მანეთს ვერცხლით და დასამარხს 1-3 მან. ვერცხ. ზოგიერთ სოფელში ფულის მაგივრად აძლევდნენ ხარს, ძროხას, ღორს ან ცხვარს.

თუ ერთი მებატონის გლეხი სხვის მიწაზე ცხოვრობდა, მაშინ ის თავის მებატონეს აძლევდა წელიწადში საპალნე (120 თუნგ) ღვინოს და ძღვენს (ღვინო ერთი ურემი, რომელიც სამ საპალნეს შეიცავდა, ღირდა 40-150 მან. ვერცხ.).

თუ გლეხი სხვა მაზრაში ცხოვრობდა, ის აძლევდა თავის მებატონეს 5-20 მანეთს ვერცხ. წელიწადში.

უკანასკნელი ორი ცნობა ნიშნავს იმას, რომ საბატონო გლეხის პიროვნული დამოკიდებულება მის მებატონეზე ფასობდა 5-30 მანეთი (გლეხის შეძლების მიხედვით).

საეკლესიო გლეხები იხდიდნენ თავიანთი მონასტრების სასარგებლოდ წელიწადში ფულად 5-14 მანეთს კომლზე და გარდა ამისა ამუშავებდნენ საეკლესიო ვენახებს.

რაც შეეხება სახაზინო გლეხებს, ისინი იყვნენ 3482 კომლი (საბატონო გლეხები იყვნენ 2436 და საეკლესიო 2026 კ.). მაგრამ მათგან მხოლოდ 220 კომლი იხდიდა 905 მანეთს წელიწადში (კომლზე მოდის 4,5 მან.). ცხადია, რომ ზოგადად სახაზინო გლეხები იყვნენ კარგ მდგომარეობაში. მათ მიჰყებოდნენ საეკლესიო გლეხები და ყველაზე ცუდ მდგომარეობაში იყვნენ საბატონო გლეხები.

გლეხის კომლზე საშუალოდ მოდიოდა 10 დესეტინა სახნავი მიწა, სულ მამასადაამე, თელავის მაზრაში იყო გლეხების ხელში დაახლ. 80 ათ. დესეტინა მიწა. ამ რაოდენობიდან 2/3 იხენებოდა, ხოლო 1/3 რჩებოდა დასასვენებლად. დესეტინა მიწაზე სათესლე გადიოდა პური და ქერი 4 კოდამდის, ხოლო ფეტვი და სიმინდი 3-6 ლიტრა (კოდში იყო 10 ლიტრა). მოსავალი იყო პურისა და ქერისა 6-10-ჯერ მეტი, ფეტვისა — 70-ჯერ და სიმინდისა — 120-ჯერ მეტი.

ვენახებს ეკავა მაზრაში 7 ათ.დესეტინა. თითო დესეტინა იძლეოდა 7-10 საპალნე ღვინოს.

რასაკვირველია, განსხვავება ნივთიერი დოვლათის მხრივ იყო შიგნით სახაზინო, საეკლესიო და საბატონო გლეხებშიც. ამით აიხსნება, რომ თელავის მაზრის შესახებ აღნიშნული იყო შემდეგი. გლეხები (უფრო ალაზნის ველზე) ცხოვრობდნენ მეტ წილად ისლით დახურულ წნულებში, რომელ-

თაც არ ჰქონდათ ფანჯრები და არც იატაკ-ჭერი. ცეცხლს ანთებდნენ მიწაზე შუაში. ცივის მთისაკენ მდებარე სოფლებში გლეხებს ჰქონდათ ეგრეთ წოდებული დარბაზებიც – ნახევრად მიწაში ჩაშენებული შენობები გუმბათის დაგვარი სახურავით. სახურავშივე დატოვებული იყო მცირე ადგილი კვამლის გასაშვებად და დღის სინათლისათვის. ყვარელსა, შილდასა, ენისელსა, საგარეჯოსა და პატარძელში ჰქონდათ რიყის ქვისაგან კირით გაშენებული სახლები ფანჯრებით და ბუხრებით.

სიღნაღის მაზრაში იყო სახაზინო გლეხი 3955 კომლი, საეკლესიო – 1333 კ. და საბატონო – 1928 კ., სულ 7216 კომლი. სახაზინო გლეხების დიდი უმრავლესობა იძულებულია ქიზიყში. მაზრაში გაბატონებული იყო სათემო მფლობელობა. აქაც უკეთეს პირობებში იყვნენ სახელმწიფო გლეხები. საერთო სახელმწიფო გადასახადებს გარდა სახაზინო გლეხებს სხვა ვალდებულება (მიწით სარგებლობისათვის) მეტად მცირე ჰქონდათ. სიღნაღის მაზრის ოთხი ათასი კომლი სახაზინო გლეხი იხდიდა წელიწადში 245,2 მანეთს (კომლზე საშუალოდ მოდის 6 კაპ.). ამიტომაც სახაზინო გლეხები ხალხში თავისუფალ გლეხებად იწოდებოდნენ. საერთოდ კი სიღნაღის მაზრის გლეხობა (იგულისხმება უმეტესობის სახით) გარეგნულად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა – შედარებით კარგად იყო ჩაცმული და სხვ.

გორის მაზრა ყურადღებას იქცევს იმით, რომ აქ სჭარბობდნენ საბატონო ყმები: სახაზინო 2209 კომლი, საბატონო 4462 კომლი, საეკლესიო 1105 კომლი, სულ 7776 კომლი. გორის მაზრას ეკავა შიდა-ქართლის მეტი ნაწილი ცხინვალისუბრთ. ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი ეკავათ ოსებს.

გორის მაზრის გლეხთა შესახებ ლეკობიტოვი ამბობს, რომ საბატონო გლეხებს აქ აწევთ იგივე მოვალეობანი, რაც აღმ. საქართველოს სხვა მხარეებში, მაშასადამე, ღალა, კულუხი, მებატონის მიწის დამუშავება, ძღვენი, საქორწილო, სამარხი და სხვ.; წლიურად იხებებოდა 75 ათასამდის დღიური მიწა, რომელთაგან 35 ათ. დღიური ეკავა ხორბალს, 25 ათ. დღიური ქერს, 4 1/2 ათ. დღ. სიმინდს და ფეტვს 4 ათ. დღიური. პური ითესებოდა დღიურზე 2 1/2-4 კოდი, მოდიოდა საშუალოდ 10 კოდი. ფეტვი ითესებოდა დღიურზე 4 კოდი, მოდიოდა 10 კოდი და მეტიც. სიმინდი ითესებოდა დღიურზე 1/2 კოდი და მოდიოდა 15 კოდი.

ყურადღებას იქცევს, რომ 1705 წ. დასტურდამალით ქართლში დღიურზე ითესებოდა მაშინდელი ორ კოდნახევარი (ე.ი. 3,5 ფუთი) და მოდიოდა 8-ჯერ მეტი. 1830-იან წლებში შიდა-ქართლში დღიურზე ითესებოდა საშუალოდ 3 1/4 კოდი (7,2 ფუთი) ხორბალი და მოდიოდა საშუალოდ 3 1/4 კოდი (მხოლოდ ერთი სამად მეტი). თბილისის მაზრაში ხორბლის მოსავალი დათესილზე 4-4 1/2-ჯერ მეტი იყო. ცხადია, რომ 1830-იან წლებში შედარებით XVIII ს-ის დასაწყისთან ქართლში მიწა იყო გამოფიტული.

მიწის ხვნა-თესვის ტექნიკა იყო ძველებური, სავსებით შეუცვლელი. 1834 წლის ცნობით, გორის მაზრაში საგაზაფხულო (ქერისა, ფეტვისა, სიმინდისა, ლობიოსა და სელის დასათესად), ანეული ანუ საზაფხულო (პურისა) და საშემოდგომო (პურისა და ქერის დასათესად) ხვნისათვის საჭირო იყო 7 უღელი ხარი. რადგანაც ყველას არ ჰქონდა საკუთარი გამართული გუთანი და არ ჰყავდა 7 უღელი ხარი, ამიტომ ჩვეულებრივ ხდებოდა გლეხობის შეკავშირება გუთნეულის მუშაობის უზრუნველსაყოფად. გუთნის რკინის საკვეთელის პატრონზე იანგარიშებოდა სამი დღის ხვნა, გუთნის ხის სხვა საკმაზის პატრონზე 1 დღე, ღვედები გუთნისა – 2 დღე, თითო უღელი ხარი – 2 დღე, გუთნისდედა – 4 დღე, ოთხ მეხრეს თითოს ორი დღე, დამის მეხრეს – 4 დღე. სულ გუთნეულის გამოდიოდა 35 დღის ხვნა. ანეულის დროს გუთნის რკინის საკვეთელის ხმარება ფულად შეფასებული იყო 8-9 აბაზი, იგივე საშემოდგომო ხვნის დროს 5-6 აბაზი. პირველი ფასით მთელი გუთნეული 1830-იან წლებში ერთ დღეში ეღირებოდა 12-14,2.

114. ალფანდთი ხანის დამთავრება და ახალი მიწაქვანი სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში. საქართველოს მიერ (როგორც აღმოსავლეთ ნაწილში ისე იმერეთში) რუსული მართებლობის საბოლოოდ დამყარებამდის გამოვლილ უბედურებათა შემდეგ თავისი ძალების და შესაძლებლობათა აღდგენის პერიოდი დამთავრდა დაახლოებით 1830-იან წლებში. მხოლოდ 1840-იან წლებისთვის ქალ. თბილისმა მიაღწია დაახლოებით იმ დონეს, რომელიც მას ჰქონდა 1795 წლის კატასტროფამდე. განსაკუთრებით დას. საქართველომ შესძლო მხოლოდ ამ დროისთვის შევსება იმ უდიდესი ნაკლის და იმ სასიკვდილო ჭრილობის მოშუშების რომელიც გამოწვეული იყო 1811-1812 წლების ჯამისა და შიმ-

შილით. თუმცა განვილილ ხანაში ქართლ-კახეთი ზოგადად უკვე საკმაოდ მოლონიერებული იყო, მაგრამ მხოლოდ ესაა შესამჩნევი შეიქნა კაპიტალისტური წყობის დამახასიათებელი ფაქტები როგორც ნაწილობრივ სოფლის მეურნეობაში ისე განსაკუთრებით ახლად წამოწყებულ მრეწველობაში მანქანების და დაქირავებული მუშა-ხელის გამოყენებით. საქართველოში უკვე არსებობს რაციონალურად მოწყობის გზაზე მდგარი მთელი რიგი სასოფლო მეურნეობანი (მაგ. თავადების ერისთავის, მუხრან-ბატონის, ანდრონიკაშვილის, ჩიჯავაძის, ოდიშის მთავრის და სხვ.), რომლებშიაც ყმების შრომის გარდა თუმცა მცირედ გამოყენებული იყო დაქირავებული მუშათა შრომაც.

115. რუსეთის საკოლონიზაციო პროექტები. 1830 წელს პეტერბურგში მთავრობის უმაღლეს წრეებში დაისვა საკითხი სპარსეთის საზღვარზე ამიერ-კავკასიაში 80 ათ. სული მამრი მალაოროსიელი (უკრაინელი) კახაკის დასახლების შესახებ. თითო სულს უნდა მიეცემოდა 25 დესეტინა მიწა, ხოლო რადგანაც ამ საზღვარზე დაბლობი ადგილები ძლიერ ციებ-ცხელებიანი იყო, ხოლო მთა ადგილებში კიდევ ამდენი მიწა არ იყო, ამიტომ ეს პროექტი ვერ განხორციელდა. სამაგიეროდ საქართველოს მთავარმართებელმა პასკევიჩმა წამოაყენა საკითხი ალაზნის ვალმა გავაზ-ჭიაურის მიდამოებში 7 ათ. მამრი ოჯახიანი კახაკის დასახლებისა. სულ საკოლონიზაციო მიწად მიჩნეული იყო 70 ათ. დესეტინა. პასკევიჩი წერდა, რომ ამ მიწაზე არავის პრეტენზიის წამოყენება არ შეუძლია, რადგან ეს მიწები ლეკების თარეშების გამო უკვე 150 წელიწადია რაც ცარიელიაო. გამოდის რომ, ხსენებული მხარის დაცარიელება მაშინ 1680 წლის ახლო ხანისათვის იანგარიშებოდა. ეს პროექტიც განუხორციელებელი დარჩა.

116. საბატონო გლეხების საჩივრების გამარჯვება საქართველოში. 1836 წ. რუსეთში გამოსული კანონის თანახმად საქართველოში ყოველ გლეხს შეეძლო სასამართლოს წესით ეძია თავისუფლება მებატონისაგან, უკეთუ მებატონეს არ ჰქონდა ხელთ რაიმე კანონიერი აქტი მისი მფლობელობის შესახებ ყოველგვარი ხანდაზმულობის გარეშე, ე.ი. ამ კანონით გაუქმებულ იქნა ვახტანგის კანონებით განსაზღვრული 30 წლის ვადა, რომლის შემდეგ მებატონესთან ამ ხნის განმავლობაში მყოფ გლეხს უკვე არ შეეძლო თავისუფლების ძიება. ამასთანავე თავისუფლების მაძიებელი განთავისუფლებულ იყვნენ სააპელაციო და სხვა სასამართლო ხარჯებისაგან, ჯარიმებისაგან და სხვ. პროკურორებიც ადგილებზე მხარს უჭერდნენ მებატონეთაგან თავისუფლების მაძიებელ გლეხებს. ყველაფერმა ამან გამოიწვია გლეხებში საჩივრების აღძვრის ახალი დიდი მიდრეკილება. მთელი სოფლები ერთნაირად ეძიებდნენ მემამულეთაგან განთავისუფლებას და მოწმებდად ასახელებდნენ მეზობელი სოფლების გლეხებს, რომელნიც სიამოვნებით გამოდიოდნენ მათ სასარგებლოდ მოწმებდად, რადგანაც თვითონ ჩიოდნენ სასამართლოში თავის განთავისუფლებისათვის ანდა აპირებდნენ საჩივრის შეტანას. მემამულეებისათვის ეს საჩივრები იწვევდა დიდ ხარჯებს – წასვლა-წამოსვლას სამაზრო ქალაქებში ან თბილისში და იქ ხანგრძლივ გაჩერებას. სასამართლოში საქმის წარმოების ხარჯებიც რუსული ენის უცოდინარობის გამო დიდი იყო და, მიუხედავად ყველაფერ ამისა, ხშირად მემამულენი საქმის წარმოების ყველა ფორმების და წესების უცოდინარობის გამო საქმეს საბოლოოდ აგებდნენ. თავიანთ გლეხებთან გამუდმებულ სასამართლო პროცესების გამო მებატონეები პირდაპირ ლატაკებოდნენ, ზოგი კიდევ მთლად კარგავდა თავის მამულს. ასე მოუვიდათ თავაფალიშვილებს, რომელთაც თავისი კერძობითი მამულების გარდა ჰქონდათ კიდევ დიდი საერთო საგვარეულო სამფლობელო-ეგრეთ წოდებული საფალიშვილო (ხევი ანუ ესლანდელი ბორჯომის ხეობა, დაახლ. 75. ათ.ჰექტარი). აქაურმა გლეხებმა გამოაცხადეს თავის თავი სახელმწიფო კუთვნილებად. საქმეში ძალაუზნებურად ჩაერია ხაზინა და ბევრი დავიდარაბის შემდეგ, უკვე ნამესტნიკ ვორონცოვის დროს, აფალიშვილები დასთანხმდნენ უარი ეთქვათ ამ თავის, ესაა უკვე ხაზინასთან სადავოდ გამხდარ, სამფლობელოზე, რის სანაცვლოდ მათ ვორონცოვისავე დახმარებით საშვილიშვილოდ დაენიშნათ წლიურად ხუთი ათასი მანეთი.

ახალი წესების შემოღებას და ქუთაისში იმერეთისა და რაჭისთვის სამაზრო პროკურორის დანიშნვას მოჰყვა იმერეთშიც გლეხების მხრივ მასობრივი საჩივრების შეტანა სასამართლოში მებატონეთაგან განთავისუფლების შესახებ. სამაზრო პროკურორი ხაზინის ინტერესების გამო ხელს უწყობდა გლეხებს ამ საქმეში და ხშირად აქეზებდა კიდევ მათ საჩივრების შესატანად. იყო ისეთი

შემთხვევები, როცა გლეხები იკრიბებოდნენ და ერთმანეთში ფიცს დებდნენ, რომ ამიერიდან არ დამორჩილებოდნენ მებატონეებს და თანხმობით ემოქმედათ თავისუფლების მოსაპოვებლად.

117. ადმინისტრაციული რეფორმა. რუსეთის მმართველ წრეებში თანდათან იმარჯვებდა ის აზრი, რომ საქართველოს თავადაზნაურობა შეიძლება გადაქცეულიყო საიმპერიო მთავრობის მომხმარებელ საქართველოში. ამასთანავე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ მმართველობის სფეროში საქართველო და ამიერ-კავკასია, რაც შეიძლება სწრაფად დამსგავსებოდა რუსეთის შიდა-გუბერნიებს. მაგრამ ამ გადაწყვეტილების განხორციელება მეტად ძნელი აღმოჩნდა, რადგანაც ამიერ-კავკასია იყო ყოველის მხრივ უაღრესად მრავალფეროვანი ქვეყანა და ამიტომ ხელაღებით რუსული ადმინისტრაციული მმართველობის წესების შემოღება აქ მეტად ძნელი აღმოჩნდა. ამით აიხსნება რომ რუსეთის ცენტრალური მთავრობა მთელი 10 წელიწადი მოინდა ამ საქმის გადაწყვეტას. საქმეს აძნელებდა ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასია დასავლეთ საქართველოში აქამდის დაყოფილი იყო იმ ერთეულებად, რომელიც რუსეთის მთავრობამ მიიღო მემკვიდრეობის წესით ფეოდალური დროიდან, მაგ., იმერეთისათვის არსებობდა ცალკე მმართველობა, გურიაც ცალკე ადმინისტრატიულ ერთეულს წარმოადგენდა. ამიერ-კავკასიის ყოფილი სახანოების ტერიტორიაც კვლავინდებურად დატოვებული იყო წინანდელი დანაწილების სახით. საჭირო იყო თაობათა სიგრძეზე გამომუშაებული ამ ერთეულების მაგივრად, შეცვლილ პირობების თანახმად ახალი ადმინისტრატიული ერთეულების შექმნა, და ამასთანავე საქართველო და ამიერ-კავკასია უფრო მჭიდროდ დაკავშირებოდნენ რუსეთს.

1838 წლამდის მთელი ამიერ-კავკასიის მთავარმართებელი იწოდებოდა საქართველოს მთავარმართებელად, რომელთან არსებობდა 1802 წლიდან შემოღებული საქართველოს უზენაესი მმართველობა თავისი ექსპედიციებით (განყოფილებებით). ამ წელს საქართველოს ეს უზენაესი მმართველობა გაუქმებულ იქნა და მის მაგივრად დაარსებულ იქნა ამიერ-კავკასიის სამხარეო მთავარ სამმართველოს საბჭო. ესლა კი საქართველოს მთავარმართებელი იწოდებოდა ამიერ-კავკასიის მთავარმართებელად.

1837-1840 წლებში თბილისში მუშაობდა განსაკუთრებული კომისია ბარონ ჰანის თავმჯდომარეობით მართვა-გამგეობის ახალი პროექტის შესამუშავებლად. ბარონ ჰანის კომისიამ ბოლოს შეიმუშავა ამიერ-კავკასიის ახალი ადმინისტრატიული დანაწილების პროექტი ახალი დაწესებულებათა შემოღებით და საქმის წარმოება და სასამართლო საქმეების გარჩევა ახალი რთული კანცელარულ-ბიუროკრატიული წესით. ყველაფერი ეს მიზნად ისახავდა საქართველოს და საერთოდ ამიერ-კავკასიის კიდევ უფრო მჭიდროდ დაკავშირებას და თანდათან შედუღებას შიდა რუსეთთან, ადგილობრივი საერობო ელემენტი (თავადაზნაურობის წარმომადგენლები საქართველოს და იმერეთ-გურიის მართებლობაში) გარიცხულ იქნა და მთელი მმართველობა ესლა ჩაბარდა ჩინოფნიკებს. დამყარდა მოუქნელი, ბიუროკრატიული მართებლობა, ადგილობრივ მოსახლეობასთან წინანდელთან შედარებით, კიდევ უფრო დაშორებული. როდესაც ეს ახალი პროექტი იმპერატორის მიერ დამტკიცებულ იქნა, (1840 წ.) ის თვით ბარონ ჰანის მეთვალყურეობით შევიდა ძალაში (1841 წლიდან).

ამიერ-კავკასია გაყოფილ იქნა ორ გუბერნიად: 1) თბილისისა ანუ ქართლ-კახეთი-იმერეთისა, რომელშიაც შედიოდა საქართველო და განჯა-ერევნის მხარეც და 2) კასპიის ოლქი, რომელშიაც შედიოდა მთელი აღმოსავლეთ ამიერ-კავკასია. ორივე ეს ერთეული გაყოფილ იქნა მაზრებად, მაზრები გაყოფილ იქნა ნაწილებად (უჩასტკებად). უჩასტკის უფროსი ადგილებდა თვალყურს ადგილობრივ წესრიგს და აწარმოებდა ბოროტმოქმედებათა შესახებ გამომძიებებს. შემოღებულ იქნა სამაზრო სასამართლოები, ქალაქებში დანიშნულ იქნენ პოლიცემისტერების მაგივრად გოროდნიჩები, სამაზრო პროკურორები, სახელმწიფო ქონებათა მზრუნველები, სამაზრო ექიმები, ყველაფერი ეს რუსეთში არსებულ წესების მიხედვით.

ადგილობრივი, ეგრეთ წოდებული საერობო ელემენტი (თავადაზნაურთა), რომელიც აქამდის მრჩევლების და მდივანბეგების სახით მონაწილეობას ღებულობდა მმართველობაში, ესლა საესებით ლიკვიდირებულ იქნა. მართებლობის ყველა დაწესებულებებში ისხდნენ მხოლოდ ჩინოფნიკები. საგუბერნიო სამმართველოებში დაწესებულ იქნენ წარმომადგენლები ამორჩევით ვაჭართ საზოგადოებიდან და სოფლის მოსახლეობიდან, მაგრამ გლეხების წარმომადგენლისათვის, მაგ., სამაზრო სასამართლოში სკამი არ იდგა, და მას ფეხზე ღვომით უნდა მიეღო საქმეების გარჩევაში მონაწილეობა მაშინ, როდეს-

საც სხვა წევრები სკამებზე იხდნენ. საერთოდ კი მართებლობა ეხლა რეორგანიზებულ იქნა რუსეთში არსებულ წესების მიხედვით, რამაც გამოიწვია კანცელარული ფორმალისმის და საერთოდ ბიუროკრატიზმის გაძლიერება. მანამდის საქართველოში სამოქალაქო საქმეებისათვის მოქმედებაში იყო ვახტანგ მეფის კანონები. ეხლა ეს გაუქმებულ იქნა და სამოქალაქო სამართალშიაც შემოღებულ იქნა რუსეთის კანონები.

ამასთანავე სახელმწიფო გადასახადებს გარდა შემოღებულ იქნა ეგრეთ წოდებული საერობო გადასახადები (ყველაფერი ეს ხდებოდა მხოლოდ გლეხებს კომლექსურად). საერობო გადასახადი იკრიბებოდა საფოსტო მიმოსვლისათვის, გზების გასაყვანად საფოსტო სადგურების შესანახად მათი ცხენებითურთ, აგრეთვე სასოფლო პოლიციის (ჩაფრების) ხარჯებისათვის და სხვ. მთავარი თავდაპირველად იყო ფოსტის უზრუნველყოფა. ამიტომაც ხალხმა ამ გადასახადს დაარქვა "ფოსტის ფული" და ეს სახელი გადაიტანა სახელმწიფო გადასახადზედაც ასე რომ ორივე გადასახადი, რომელიც ერთად იკრიბებოდა, ცნობილი იყო ხალხში "ფოსტის ფულის" სახელით. ასე იყო ვიდრე 1917 წლის რევოლუციამდის.

თბ. ჯანყი ბურიაში 1841 წ. გურიაში 1841 წელს ზაფხულში მოხდა გლეხთა მასობრივი აჯანყება (ჯანყი). ჯანყის მიზეზი იყო საერობო ადგილობრივი საჭიროებისათვის მცირეოდენი (ხუთმურიანი) ფულადი გადასახადის შემოღება, მაშინ როდესაც გურიაში ტრიალებდა და ისიც მეტად მცირედ ოსმალური ფული და რუსული ფული თითქმის არ იშოვებოდა. ამას ემატებოდა აგრეთვე რუს მოხელეთა სხვადასხვა თვითნებობა, მაგ., გაცემული იყო განკარგულება კართოფლის დათვის იძულებით შემოღების შესახებ, რაც როგორც ახალი საქმე ხალხს ეუცხოებოდა და სხვ. ეს აჯანყება საყურადღებოა იმით, რომ ის მიმართული იყო არა მარტო ადმინისტრაციის, არამედ ნაწილობრივ მემამულეების წინააღმდეგაც. აჯანყება მოედო მთელ გურიას და მიმდინარეობდა არაჩვეულებრივი ენთუზიაზმით მთელი სამი თვე.

აჯანყება დაიწყო სტიქიურად 22 მაისს 1841 წ. სოფ. აკეთში, სადაც 4 გლეხი თავს დაესხა სახელმწიფო გადასახადების შემკრებ მოხელეს და ძალით წაართვა მას შეკრებილი ფული. მეორე დღეს გამოვიდა უკვე 50 კაცი, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მოაჯანყეთა რიცხვი უკვე 300 შეიარაღებულ კაცს აღწევდა. აჯანყებულთა ერთ-ერთი მეთაური იყო ვადაჭკორია, პროფესიით მჭედელი. მალე აჯანყების მთავარ მებარახტედ მოწვეულ იქნა წვრილი მემამულე თავადიშვილი ამბაკო შალიკაშვილი, სოფ. ზომლეთიდან. ეს შალიკაშვილი განაწყენებული იყო მართებლობაზე, რადგანაც მას ძმითურთ ხუთიოდე წლის წინ ჩამოართვეს მისი გლეხების უმეტესობა (17 კომლი) და მიაკუთვნეს ერთ კნენა გურიელს. აჯანყების ერთერთი ხელმძღვანელი იყო კიდევ ერთი წვრილი თავადიშვილი დავით გუგუნავა. მიუხედავად ამისა აჯანყებას ჰქონდა წმინდა გლეხური ხასიათი. აჯანყების მეთაურთ კავშირი ჰქონდათ გაბმული ქობულეთის პასან თავდგირიძესთან და აგრეთვე ინგლისელების კონსულთან ბათუმში (რომელიც მაშინ ოსმალეთს ეკუთვნოდა) გარრაჩინოსთან.

აჯანყებულნი მიადგნენ ქალაქ ოზურგეთს, სადაც იმყოფებოდა პირველი სახაზინო ბატალიონის შტაბ-ბინა (შტაბ-კვარტირა). გლეხებმა დაიკავეს გზა რუსების მიერ გაშენებულ წმ. ნიკოლოზის ნავსადგურისაკენ და აგრეთვე ზოგიერთი ახლო-მანლო სოფლები. გლეხების მოთხოვნილებები იყო სხვადასხვა ხასიათის. იმავე წლის 9 ივნისს ერთი გენერალი, სამხედრო მინისტრის თავად ჩერნიშევის სახელზე მოხსენებაში, სწერდა, რომ "მოაჯანყეთა ნამდვილი მიზანი ჯერ კიდევ გაურკვეველია. მათი მოთხოვნა ყოველ წუთს იცვლება. ხან ისინი თხოულობენ საერობო ვალდებულებათა სამაგიეროდ შემოღებული ფულადი გადასახადისაგან განთავისუფლებას, ხან კიდევ თავისი გამოსვლის მიზეზად ასახელებენ სამღვდლოების მიერ საეკლესიო წესების შესრულებისათვის დადებულ დიდ გადასახადებს, ხან კიდევ მებატონეებისაგან შეწუხებას. სახაზინო სამუშაოებით დატვირთვას წარსულ წელს, მართებლობის მიერ ზოგიერთ პირთა უდანაშაულოდ დაპატიმრებას და სხვ.

ამ ოფიციალურ ცნობიდან ცხადად ჩანს, რომ გურიის გლეხობის აჯანყება მიმართული იყო როგორც რუსული ადმინისტრაციის, ისე ნაწილობრივ ადგილობრივი მემამულეების და სამღვდლოების წინააღმდეგ.

ადმინისტრაციამ მაშინვე გაგზავნა გურიაში ახალი ჯარი ახალციხის სამხედრო უფროსის პოლკოვნიკ თავად არღუთაან-შხარგძელის მეთაურობით და ამიტომ მოძრაობა ცოტა ხანს თითქოს

მინელდა. მაგრამ აგვისტოში მან ისევ იფეთქა ახალი და უფრო მეტი სიძლიერით. სოფ. გოგორეთში 500 კაცი მოაჯანყენი თავს დაესხნენ 200 ქვეითსაგან, ორი ზარბაზნით შემდგარ რუსის რაზმს პოლ. ბრუსილოვის მეთაურობით და დაამარცხეს ის. გლეხები 29 კილომეტრის მანძილზე მისდევდნენ დამარცხებულთ (ვიდრე ქოზურგეთამდის). აჯანყებულთ დაიკავეს გურიანთის სიმაღლე, აგრეთვე წმინკოლოზის ნავთსაყუდელი და შემოარტყეს ალყა ქალაქ ოზურგეთს.

მართებლობის წინადადებით თავად-აზნაურთ შეადგინეს თავისიანებისაგან მილიციური რაზმები, მაგრამ გლეხების წინააღმდეგ გამოსვლას თავისი ძალის ამარა ვერ ბედავდნენ. მართებლობისავე წინადადებით გურიაში შემოვიდა სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი ათასი მეგრელი მილიციონერით, მან ორი დღის შეტაკებების შემდეგ დაიკავა სოფ. გოგორეთი; მაგრამ აჯანყებულნი აქ დიდძალი რაოდენობით თავს დაესხნენ მას. დადიანმა ვერ შესძლო ოზურგეთისკენ წასვლა და იძულებული გახდა დაბრუნებულიყო უკან ფოთისკენ (23 აგვ. 1841 წ.) ასევე უშედეგო იყო იმერლების მილიციის მოქმედებაც მოაჯანყეთა წინააღმდეგ თავ. გრიგოლ წერეთლის მეთაურობით.

იმპერატორის ბრძანებით "უნდა დაუყოვნებლივ მიღებული ყოფილიყო რაც შეიძლება გადამწყვეტი და ძლიერი ღონისძიებანი აჯანყებულთა დასამარცხებლად". მაგრამ ამავე დროს იმპერატორს ეჭვი გამოეთქვა, რომ -"ადგილობრივ უახლოეს ხელისუფლების რომელიღაც ახალმა ბოროტმოქმედებამ გამოიყვანეს გურიის მცხოვრებნი მოთმინებიდან"-ო. და ამიტომაც ის შესაძლებლად სთვლიდა, რომ გადასახადების შეკრება გადაედოთ გურიის დამშვიდებამდის. იმპერატორი ნიკოლოზ I-ლი იყო საქართველოში 1837 წ. და გზად მხოლოდ გავლის და ოფიციალურ შეხვედრების მიუხედავად თვითონაც გაკვირვებას გამოსთქვამდა იმ დიდი მოთმინების გამო, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა იჩენდა რუს ჩინოვნიკების განუწყვეტელ ბოროტმოქმედებათა გამო.

ამ დროს გურიისაკენ უკვე მიდიოდა ახალი რუსული ჯარები და მოაჯანყეთა მდგომარეობამაც მალე გაუარესება იწყო.

გურიის აჯანყების ჩაქრობა მიანდეს პოლკოვნიკ არლუთაან-მხარგრძელს, რომელსაც თავის ხელქვეით ყავდა 3 1/4 რეგულარული რუსის ბატალიონი (ადგილობრივი მილიციის გარდა) 10 ზარბაზნით. 5 სექტემბერს ის მიუახლოვდა ოზურგეთს, სადაც ალყა-შემორტყმული იყო პოლკ. ბრუსილოვის რაზმი. მცირე შეტაკების შემდეგ აჯანყებულნი იძულებული გახდნენ მოცლოდნენ ოზურგეთს. 1841 წლის ოქტომბრის დასაწყისისათვის აჯანყება გურიაში ლიკვიდირებულ იქნა. კვლავ დაიფიცეს იმპერატორის ერთგულებაზე, ჯანყის მეთაურები გადაასახლეს ციმბირში, ხოლო მისი უფრო აქტიური მონაწილენი დასაჯეს საჯაროდ ასი როზგის დარტყმით.

აჯანყების დამარცხების მიზეზი იყო ძალთა უთანასწორობა. გურიის გლეხობას განმარტოებით არ შეეძლო სრული გამარჯვება მოეპოვებინა რუსეთის ადმინისტრაციასზე, რომელსაც კიდევ ამ შემთხვევაში დახმარებას უწყევდნენ ადგილობრივი მემამულეებიც.

გურიის აჯანყებამ გამოხმაურება ჰპოვა მეზობელ იმერეთშიაც. ზოგ სოფლებში გლეხებმა უარი განაცხადეს გადასახადების გაღებაზე. ისინი ოფიციალური ცნობით, ამბობდნენ, რომ "განიცილიან დიდ შევიწროვებას თავიანთ მებატონეებისაგან მათ სასარგებლოდ ვალდებულებათა შესრულების დროს და რომ მათთვის მეტად სამძიმოა ის საერობო ვალდებულება, რომელსაც მათ სთხოვენ, როგორც არის სამუშაო ცხენების გამოყვანა, ხარ-ურმის მიცემა და საზღვარზე კორდონის (ყარაულის) შენახვა". პეტერბურგშიაც კი დარწმუნებული იყვნენ, რომ მხოლოდ აუტანელ მდგომარეობას შეეძლო მორჩილებას მიჩვეული გლეხები მოთმინებიდან გამოიყვანა და ამიტომ იმპერატორმა ნიკოლოზ I-მაც გლეხების ზემოდ ციტირებულ განცხადების შესახებ წააწერა: "თუ ეს ვალდებულებანი (იგულისხმება საერობო, ე.ი.მართებლობის მიერ დაკისრებული) სამძიმოა, უკეთესი იქნება მომავალში ისინი გაუქმებულ იქნას".

119. ბატონყმობის გაუქმების ცდა საქართველოში. სენატორი ბარონ ჰანი და მისი კომისია ადმინისტრატიულ რეფორმებზე მუშაობის დროს ბუნებრივად უნდა დაინტერესებულიყო ბატონყმობის საკითხით საქართველოში. ჰანი გაიტაცა აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის მუსულმანურ პროვინციებში არსებული მიწათ-მფლობელობის წესების მაგალითმა, სახელდობრ მაჰმადიანური სამართლის იმ ძველი დებულებით, რომ მიწა და ამ მიწაზე მყოფი მიწათმომქმედი მოსახლეობა სახელმწიფოს კუთვნიდა. საქართველოშიც ყველგან ბატონყმური ურთიერთობა მკვეთრად იყო განსაზღვრული

ეგრეთ წოდებული დებულებით. ამიტომ ბარონ ჰანმა თითქმის ორი წლის მუშაობის შემდეგ დააყენა საკითხი ბატონყმობის რაობის შესახებ საქართველოში იმ მიმართულებით, რომ ბატონყმობას საქართველოში სრულებით არ ჰქონდა ის მკაცრი ხასიათი, რომელიც მას ჰქონდა რუსეთში, რომ ამიტომ შესაძლებელია ქართველი გლეხები ადვილად გადარიცხულ იქნენ კანონის მიერ გათვალისწინებულ ეგრეთ წოდებულ თავისუფალ მიწის-მუშაკებად (Свободные земледельцы). პეტერბურგიდანაც უმაღლეს სფეროებში დანიტერესდნენ საკითხის ასეთი გადაჭრით და იქიდან ამიერ-კავკასიის მთავარ მმართველობისგან მოითხოვდნენ ქართლ-კახეთ-იმერეთის მემამულეთა უფლებების საჩქაროდ გამოკვევას. ასეთ პირობებში ჰანის ზეგავლენით და მისი თანდასწრებით ამიერ-კავკასიის მთავარ სამმართველოს საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომ რადგანაც არ არის გარკვეული ცნობები ქართლ-კახეთ-იმერეთში მებატონეთა და გლეხთა შორის არსებულ ურთიერთობის შესახებ, ამიტომ შეუდგნენ საგუბერნიო ხელისუფლების მეშვეობით ამ ცნობების შეკრებას შეფარდებით იმ შეხედულებებთან, რომელიც მთავრობას აქვს თავისუფალ მიწის მუშაკთა შესახებ (13 მარტს 1841 წ.). საბჭოს დადგენილებანი არ წარმოადგენდნენ საიდუმლოებას და ამასთანავე საბჭოს წევრად იყო ერთი ქართველიც — გენ. ალ. ჭავჭავაძე (პოეტი). ამიტომაც უკვე საბჭოს ამ დადგენილებამ ქართველ თავადაზნაურობის წამყვან ნაწილში გამოიწვია დიდი შემოთქმა. ამას თან დაერთო კიდევ შემდეგი ფაქტი.

ამიერ-კავკასიის მემამულეები ხანდახან აწარმოებდნენ რუსი გლეხების ყიდვა-გაყიდვასაც. რუსი გლეხების თითქოს დაცვის მიზნით ორიოდე წლის წინ იმპერატორმა გამოუშვა ბრძანება, რომ ამიერიდან ამიერ-კავკასიის მემამულეებს ამ მხარის შინაგანი საქმეების საბოლოოდ მოწყობად ის აკრძალული აქვთ რუსი გლეხების გადმოსახლება და აგრეთვე ადგილობრივ მყოფ რუსი გლეხების ყიდვა-გაყიდვა (10 იანვ. 1839 წ.). ეს კანონი მაშინ შევიდა ძალაში, მაგრამ ესლა, როდესაც საერთოდ დაისვა საკითხი ქართველი გლეხების მიწის თავისუფალ მუშაკებად გადაყვანის შესაძლებლობის შესახებ, ამიერ-კავკასიის მთავარსამართველოს საბჭომ გამოსთქვა ის აზრი, რომ ხსენებული კანონი, რომელიც ეხებოდა რუსი გლეხების ამიერ-კავკასიაში ყიდვა-გაყიდვას, შესაძლებელია გავრცელდეს ადგილობრივ გლეხებზედაც. საბჭომ ამიტომ გამოიტანა დადგენილება — აიკრძალოს ადგილობრივი (ქართველი და სხვა გლეხების) ყიდვა-გაყიდვაც და ეს აუცილებელ შესასრულებლად ეცნობოს ყველა სათანადო დაწესებულებათ (28 ივნ. 1841 წ.). ყველა საქმეები გლეხების ყიდვა-გაყიდვის, გაცემა-გასაჩუქრების, დაგირაგების და სხვ. შიჩერებულ იქნა.

ამ დადგენილებამ თავადაზნაურობაში გამოიწვია დიდი აურზაური. ოფიციალური ცნობებითვე დასტურდება, რომ ამასთან დაკავშირებით დიდი მითქმა-მოთქმა მოედვა გლეხობასაც არა, რასაკვირველია, მემამულეთა სასარგებლოდ. სახელდობრ, რომ ხსენებულმა დადგენილებამ "ხელი შეუწყო გლეხებს შორის სხვადასხვა (მთავრობისათვის) არასასურველი ხმების წარმოჩენას" და სხვ. გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლმა თავ. დიმ. ორბელიანმა გაუგზავნა მთავარმართველ გენ. გოლოვინს, რომელიც მაშინ თბილისში არ იმყოფებოდა ვრცელი მოხსენება, რომელშიაც ის, სხვათა შორის, სწერდა, რომ ხსენებული განკარგულებით ქართლ-იმერეთის გუბერნიის თავადაზნაურობა ჰკარგავს თავის საკუთრებას და თავის ძველისძველ უფლებებს, რომელნიც დამტკიცებული აქვს მას ვახტანგ მეფის კანონებით და რომელნიც დადასტურებულია იმპერატორის მანიფესტებით 1801 წლის 18 იანვ. და 12 სექტ., ზოლო ამ მანიფესტების მიხედვით რუსეთთან ნებაყოფილობით შეერთებულ საქართველოს მკვიდრი დატოვებული იქნენ მათი მაშინდელი უპირატესობათა და უფლებებში. თავადაზნაურობას ამის მიხედვით ბატონყმობა წარმოდგენილი ჰქონდა როგორც საუკუნოდ არსებული წყობა, რომელიც ყოველთვის უნდა დაეცვა რუსეთის მთავრობას.

დიმ. ორბელიანი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ მთავარმართველისადმი მიმართვით და საჩქაროდ გააგზავნა ანალოგიური მიმართვა იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე, სადაც ის დამატებით სწერდა, რომ თუ ამიერ-კავკასიის მთავარ სამმართველოს საბჭოს დადგენილება არ იქნა ესლავე გაუქმებული, შეუძლებელი იქნება საქართველოში შინაგანი მშვიდობიანობის უზრუნველყოფაო. გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი, მამასადაძე, აშკარად იმუქრებოდა მემამულეთა აჯანყების შესაძლებლობით. საბჭოს წევრმა ალ. ჭავჭავაძემაც შეიტანა საბჭოში თავისი წერილობითი განცხადება თავადაზნაურობის აზრის დასაცავად. ყველაფერმა ამან იმოქმედა და საბჭომ მალე (27 აგვ. 1841 წ.) გააუქმა თავისი წინანდელი დადგენილება ადგილობრივი (ქართველი და სხვ.) გლეხების ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ (დაჩნა მხოლოდ კანონი რუსი გლეხების ამიერ-კავკასიაში ყიდვა-

გაყიდვის აკრძალვაზე). ეს თავისი დადგენილება საბჭომ ერთი თვის შემდეგ კვლავ დაადასტურა (30 სექტ. 1841 წ.), მაგრამ თავადაზნაურობა მაინც ღელავდა. ამიტომ მან გააგზავნა პეტერბურგს სპეციალური დეპუტაცია გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის დიმ. ორბელიანით სათავეში. დეპუტაციამ შესძლო ჟანდარმთა შეფის და საიმპერატორო მთავარი ბანაიის უფროსის გრაფ ბენკენდორფის ყურადღების მოპყრობა და მისი შუამდგომლობით იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა გამოგზავნა საქართველოში ფართე უფლებებით აღჭურვილი სამხედრო მინისტრი თავაჩენიშევი და სტატისტიკური პოზენი საკითხის გამოსარკვევად და გადასაწყვეტად ადგილზედვე.

თბილისში ჩამოსულ თავაჩენიშევს ქართველმა თავადაზნაურობამ მოუწყო იშვიათი გულთბილი შეხვედრა. "ქალაქის (თბილისის) ამბავი ეს არის, სწერდა ამ დროს გრორბელიანი ერთ თავის შინაურ წერილში, რომ მინისტრი მიიღეს ხალხმა ისე, როგორც ხელმწიფე; ბანები, ქუჩები სავსე იყო თურმე ხალხითა, ასე რომ ძლივს ადგილი ჰქონდა მინისტრსა გავლისა... სწორედ გითხრა, საქართველო ბედნიერი არის, რომ ხელმწიფემ ინება გამოგზავნა ამ კაცებისა, ესე იგი ჩერნიშევისა და პოზენისა, რომელთაცა გულით ჰსურთ კეთილდღეობა ამა მხარისა". სხვა წერილში იგივე პირი სწერდა: "აქაური ანბავი. აქ მინისტრის დროს დიდი ბალები და ვერეები ყოფილა და ძალიანაც მოსწონებია აქაური საზოგადოება. ერთს საღამოს ღენერალ ერისთავთანაც იყო და ძალიან მხიარულად განატარა. ახლა კიდევ მოელიან და მთავარმართველს ექნება ბალი და (ცალკე კიდევ თავადაზნაურულ) საზოგადოებას სადილი შუშუნებითა და ჩირაღდნებითა".

განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია მინისტრზე ქართველი დარჩეული ქალების სილამაზეს, რადგანაც თვითონ იყო ლამაზი ქალების დიდი თავყანისმცემელი. "მინისტრი, სწერდა გრ. ორბელიანი სხვა წერილში, ძალიან მადლიერი დარჩა ჩვენის ხალხისა და საზოგადოებისა, სურს ბედნიერება ამა მხარისთვის და რასაკვირველია რომ კიდევ მოუვლენს".

ჩერნიშევის ეს შემხვედრი საზოგადოება შესდგებოდა უპირველეს ყოვლისა ქართველი თავადაზნაურობისაგან (უფრო თავადებისაგან), რომელთაც უპირველეს ყოვლისა ინტერესებდათ ბატონყმობის საკითხი. რუსეთის მმართველი წრეების ინტერესებიც მოითხოვდა ქართველი თავადაზნაურობის გულის მოგებას. წარმოებდა კავკასიელ მთიელ ხალხებთან მძაფრი და მუდმივი ომი, რომელშიაც ქართველი თავადაზნაურობა ღებულობდა მსურველ მონაწილეობას. ეს თავადაზნაურობა ამიტომ ძლიერ საჭირო იყო რუსეთის მთავრობისათვის. ამით აიხსნება ის, რომ ჩერნიშევმა ბატონყმობის შესახებ წამოჭრილი სადავო საკითხი ქართველი მემამულეების სასარგებლოდ გადაწყვიტა. მან გამოუშვა ცალკე ცირკულიარი, რომლითაც ადგილობრივ ხელისუფალთ ებრძანათ დაეცვათ მკაცრად მემამულეების ინტერესები და აეძულებინათ გლეხები თავიანთ მებატონეთა მორჩილებაში ყოფილიყვნენ. სადაც მაინც გლეხებმა კიდევ გაბედეს ხმის ამოღება, იქ გაგზავნილ იქნა ეგზეკუციები, რამაც დაარწმუნა გლეხები, რომ მათი განთავისუფლების დრო ჯერ არ დამდგარიყო.

რაც შეეხება ბარონ ჰანსს, მისი მოქმედება საქართველოში პეტერბურგის უმაღლესი წრეების მიერ შეფასებულ იქნა როგორც მოღალატური, რომ მას თავისი მოქმედებით შეძლო მთელი ქართველი თავადაზნაურობის აჯანყების გამოწვევა. ამიტომაც ის სრულებით დათხოვნილ იქნა სამსახურიდან. მალე ის გარდაიცვალა კიდევ.

ჩერნიშევმა და პოზენმა საჭიროდ დაინახეს ჰანის მიერ მთელი ამიერ-კავკასიისათვის შემოღებული ერთსახიანი მმართველობა თავისი გაჭიანურებული მიწერმოწერით, რაც მოითხოვდა ორჯერ მეტ შტატს ჩინოფნიკებისას, გაემარტივებინათ და მმართველობა, მოსახლეობის მოთხოვნის თანახმად, დაეახლოვებინათ ადგილობრივ ჩვევებთან. ამ მიზნით საქართველოში აღდგენილ იქნა ვახტანგის კანონების მოქმედება. მოსახლეობის საჭიროებათა თანახმად ამიერ-კავკასიის მმართველობის გადასაქმნელად გადაწყდა მთელი ეს სამუშაო კონცენტრირებული ყოფილიყო პეტერბურგში არსებულ მინისტრთა ეგრეთ წოდებულ კავკასიის კომიტეტში. ამასთან ერთად იმპერატორის კანცელარიისთან დაარსდა ამიერ-კავკასიის საქმისათვის ცალკე მე-6 განყოფილება, რომლის სათავეში დანიშნულ იქნა ჩერნიშევთან ერთად ამიერ-კავკასიაში ნამყოფი მის.პოზენი.

120. ბატონყმობა საქართველოში. მე-19 საუკ. დასაწყისს, როდესაც საქართველოში რუსეთის მმართველობა მკვიდრდებოდა, გლეხობა ქართლ-კახეთში უკვე თითქმის ერთ წოდებად იყო ჩამოყ-

აღიბებული. უფლებრივი ხასიათის სხვადასხვა საფეხურები გლესებს შორის თითქმის მოსაპოვებელი იყო. მსახურნი მთლად უკვე გაუთანასწორდნენ მებევრე გლესებს. ხოლო იმერეთში კი ამ დროს ჯერ კიდევ არსებობდა გლესების ოთხი წყება – 1)აზატნი და 2)მსახურნი, რომელთა რიცხვი წინა საუკუნეებთან შედარებით მცირე იყო, 3)მესეფე ანუ მებევრე გლესნი, რომელნიც შეადგენდნენ გლესების მთავარ მასას და კიდევ 4)მოჯალაბენი, რომელთაც არავითარი საკუთრება არ ჰქონდათ და გამუდმებით მებატონის კარ-მიდამოში ცხოვრობდნენ. მოჯალაბენი იყვნენ ფაქტიურად მონურ მდგომარეობაში. მათი რიცხვი იყო მცირე.

რუსების შემოსვლისას გლესს საქართველოში კიდევ ჰქონდა ზოგი უფლება. მას შეიძლება ჰქონოდა საკუთრება, ხოლო საბატონო მიწის სარგებლობისათვის მას ედვა გარკვეული ნივთიერი ვალდებულებანი (მიწის ღალა, ვენახის კულუხი და სხვ.), რასაც ერქვა თავი ბეგარა. გარდა ამისა რამდენადაც გლესი თავისი მებატონის პიროვნულ დამოკიდებულებაში იყო, ამისთვის მას ედვა გარკვეული პიროვნული ვალდებულებანი – მუშაობა, მებატონისთვის მოსამსახურის მიცემა, კიდევ სხვადასხვა გადასახადები ბატონის სასარგებლოდ, როგორც, მაგ., საქორწილო, საშობაო, სააღდგომო, საახალწლო, საქერივო, გასამყრელო, საჩემო (ქალის გათხოვებისას), სალაშქრო და სხვ.

რუსულ მმართველობის დამკვიდრებამ გამოიწვია ყოფილი სამეფო გლესების იურიდიული მდგომარეობის გაუმჯობესება, რადგანაც ესლა ისინი გადაიქცნენ სახელმწიფო გლესებად. რუსეთის იმპერიაში კი ამ დროს სახელმწიფო გლესები ნახევრად თავისუფალ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რადგანაც მათ უშუალოდ მებატონეები მაჯლაჯუნსავით თავს არ ადგენენ. მართალია, საქართველოში სახელმწიფო გლესების მიმართ რუსული ადმინისტრაციის წარმომადგენლები -კაპიტან-ისპრავნიკები და სხვა მოხელენი, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრონი, ბევრ ძალადობას ჩადიოდნენ, მაგრამ იურიდიულად ესლა სახელმწიფო გლესების მდგომარეობა საქართველოში უდავოდ გაუმჯობესებული იყო.

სულ სხვა შედეგი იქონია ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის დამყარებამ საბატონო გლესებისათვის. საქართველოში გლესების ვალდებულებანი ყოველგვარ მებატონეთა მიმართ მტკიცედ განსაზღვრული იყო ვერეთ წოდებული დებულებით (აღათით). ეს იყო ჩვეულებით განმტკიცებული არა წერილობითი კანონი საგლესო ვალდებულებათა შესახებ, შესამბუღი ადგილობრივად არსებულ სამეურნეო პირობებთან. ამ დებულებას თაობიდან თაობით ემორჩილებოდა როგორც გლესი, ისე მებატონე. რადგანაც ქართლ-კახეთში შემოღებულ იქნა უშუალო რუსული მართებლობა, ამიტომ ამ საგლესო დებულებამაც იქ დაიწყო შერყევა. თავადაზნაურობა ცდილობდა თავისდა სასარგებლოდ რუსულ კანონების გამოყენებას, რომლის და მიხედვით გლესი თავისი ავლა-დიდებით ბატონის სრულს საკუთრებას შეადგენდა. მართლაც, თავადაზნაურობამ თანდათან შესძლო არსებული საგლესო დებულების ფაქტიურად გაუქმება. ამის საპასუხოდ გლესობაც, რამდენადაც შესაძლებელი იყო, იცავდა თავის უფლებებს. ამაში მას ხელს უწყობდა იმპერატორ ალექსანდრე I-ის გამოცემული კანონი, რომლის ძალით გლესს შეეძლო თავისუფლება ეძებნა სასამართლოს წესით. ასეთ შემთხვევაში მებატონეს უნდა წერილობითი საბუთებით დაემტკიცებინა ამ გლესის მიმართ თავისი უფლებანი. ასეთი საბუთების მოსაპოვებლად საჭირო იყო წესიერად მოწყობილი არქივი, ასეთი კი წინანდელ საქართველოდან დარჩენილი არ იყო. ეს გარემოება იყო მეტად ხელსაყრელი გლესობისათვის და ამიტომ ის მასობრივად მიაწყდა სასამართლოს და იყო შემთხვევები, როდესაც მთელი სოფლები ეძიებდნენ თავისუფლებას, ხოლო რადგანაც მემამულეებს ხშირად საბუთები წესიერად არ ჰქონდათ დაცული, ამიტომ ისინი საქმეს აგებდნენ და გლესიც სახაზინოდ ეწერებოდა ან და მოქალაქედ ხდებოდა ქალაქში გადასვლით.

გლესების ეს ჩივილი თავიანთ მებატონეთაგან განთავისუფლების მიზნით დაიწყო 1812 წელს და შემდეგში თანდათან გამრავლდა. ბოლოს მართებლობა იძულებული გახდა მიეღო ზომები საგლესო ვალდებულებათა ზუსტად დადგენის მიმართულებით. ამირ-კაკასის მთავარ სამმართველოს საბჭომ დადგინებით 13 მარტს 1841 წელს მოსთხოვა ქართლ-კახეთის, იმერეთის საგუბერნიო სამმართველოს სათანადო ცნობები. ეს იყო საქართველოს რუსეთთან შეერთების დროიდან პირველი შემთხვევა, რომ მართებლობამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი ამ მეტად მტკივნეულ საკითხს, რომელიც ეხებოდა ქართველი ხალხის მნიშვნელოვან ნაწილს, სახელდობრ საბატონო გლესებს. საგუბერნიო სამმართველომ თავის მხრივ მოსთხოვა გარკვეულ წინასწარ დასმულ კითხვებზე ცნობები

მაზრის უფროსებს და სამაზრო სასამართლოებს, რომელთაგან პასუხის მიღების შემდეგ წარადგინა ამიერ-კავკასიის მთავარ სამმართველოს საბჭოში სათანადო მოხსენება (1842 წ. 20 ივლ.). მოხსენების ძირითადი შინაარსი ასეთია.

ქართლ-კახეთის, იმერეთის და გურიის რუსეთთან შეერთების დროს ყველგან ამ ქვეყნებში მთელი სიძლიერით არსებობდა ბატონყმობა ისე, რომ მებატონის უფლება გლეხებისადმი თითქმის შეუზღუდავი იყო, როგორც ეს აღნიშნულია ვახტანგის კანონების კოდექსშიც (ეს არ იყო მართალი; პირიქით, მებატონის უფლება საკმაოდ შეზღუდული იყო და გლეხს ჰქონდა თავისი საკუთრება; თუ არ ძალადობით და მძლავრებით მებატონეს გლეხის ზედმეტად შეწუხება, მით უმეტეს განიავება არ შეეძლო).

მოხსენება აღნიშნავს, რომ მებატონეს შეეძლო გლეხის ოჯახიდან მოსამსახურე წაეყვანა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში რჩებოდა მეორე მუშა ხელი, რომელიც ოჯახს გაუძღვებოდა. ის ოჯახი, საიდანაც მებატონეს აყვანილი ჰყავდა მოსამსახურე, თავისუფლდებოდა ყოველგვარი ვალდებულებისაგან, სანამ მისი წევრი მებატონის სახლში იმყოფებოდა.

ქართლ-კახეთში გლეხის მოვალეობა მებატონისადმი გამოიხატებოდა ნატურალურ მუშაობაში, ნატურალურ და შემთხვევითი გადასახადების მიცემაში.

ნატურალურ მუშაობის ხაზით გლეხი ვალდებული იყო დაეხნა მებატონისათვის მიწა, აეღო და დაეპინავებინა მებატონის მოსავალი, დაემუშავებინა ყოველის მხრივ მებატონის ზვარი და კენახი და შეესრულებინა სხვა სამუშაოებიც (მშენებლობაზე მოხმარება, ტვირთის გადაზიდვა და სხვ.). გლეხის მთელი ნატურალური სამუშაო შეადგენდა წელიწადში, ადგილის, მემამულის მეურნეობის და გლეხის შესაძლებლობის მიხედვით, 10-15 დღეს წელიწადში.

ნატურალური გადასახადი იყო: ა)ალა მეტწილად დღიურზე 1 კოდი (ახლა უკვე 90 გირვანქა); ბ)კულუხი, ღვინის მოსავალის 1/5 ან 1/7; გ)ქათმის, კვერცხის, სანთლის და სხვათა გარკვეული რაოდენობა, მარხვისთვის სამარხო (ლობიო). ხსენებული გადასახადები ზოგიერთს გადახდებოდა ფულად.

შემთხვევითი გადასახადები იყო: სამარხო, თუ მებატონეს ვინმე მოუყვებოდა, საქორწილო, თუ მებატონის ოჯახში ქორწილი იყო, საახალწლო და სააღდგომო ძღვენი.

ჩვეულებრივ მებატონეს არ შეეძლო გლეხისგან ზედმეტი რამ მოეთხოვა გარდა ისეთი შემთხვევისა, თუ მებატონე იყო დავალიანებული, თუ ის მამულს ყიდულობდა და თუ ის ლაშქრად ჯარში მიდიოდა (მაგრამ ეს ისეთი "გამონაკლისია", რომ მებატონეს ყოველთვის შეეძლო გლეხისათვის ზედმეტი მოეთხოვა და კიდევ თხოვდა).

იმავე მოხსენების თანახმად იმერეთსა და გურიაში მებატონეთაგან დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ: ა)აზნაურნი თავისი გლეხებითურთ (სათავადო აზნაურნი იმერეთ-გურიაში კვლავ თავადების დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ); ბ)მსახურნი; გ)გლეხნი და დ)მოჯალაბენი. ყველა ამათგან მებატონეს ჰყავდა შინა მოსამსახურე, ეგრეთ წოდებული შინაყმა.

აზნაურნი ემსახურებოდნენ მებატონეს (თავადს) პიროვნულად, მიჰყვებოდნენ მას ლაშქრობაში და ასრულებდნენ მის სხვადასხვა დავალებას.

მსახურნი იდგნენ აზნაურზე დაბლა და გლეხზე მაღლა. ისინი აძლევენ მებატონეს მოსამსახურეს, 1-2 წელიწადში ერთხელ იხდიდნენ რამოდენიმე გადასახადს და უმასპინძლებოდნენ მას.

გლეხები აძლევენ მებატონეს ყოველი კომლიდან მოსამსახურეს, იხდიდნენ გადასახადებს და ასრულებდნენ ვალდებულებათ, მაგრამ ზოგი გლეხი განთავისუფლებული იყო როგორც გადასახად-ვალდებულებათაგან, ისე მოსამსახურის მიცემისაგანაც.

მოჯალაბეები იმყოფებოდნენ ოჯახობით მებატონის კარზე და ასრულებდნენ მებატონის ყოველგვარ მოთხოვნას.

მებატონეები ახდევინებდნენ გლეხებს გადასახადს – საურს ფულად და ეგრეთ წოდებულ ბეგარას, საუდიეროს და საციხეს ნატურით – პურით, ღომით, ღვინით და პირუტყვით.

გლეხების გადასახადი და ვალდებულება ადგილის და შეძლების მიხედვით იყო სხვადასხვანაირი. ზოგ ადგილას გლეხი აძლევდა მებატონეს კომლზე 40 ჩაფ (20 კოკა) ღვინოს, 20 ბათმან (ბათმანი – 20 გირვ.) ღომს, 2 ღორს, 10 ქათამს, 1 თხას ან ბატკანს და 2 მანეთს ვერცხლით ხორცისათვის; ახალი მოსავლის აღებისას ბათმან პურს, საყველიეროდ კვერცხებს, სამარხოდ ღობიოს; მასვე უნდა ემუშავნა მებატონისათვის რამოდენიმე დღე კვირაში.

სხვა გლეხები იხდიდნენ კომლზე 10 კოდ პურს, 10 კოკა ღვინოს და ფულად 4 მარჩილს (ამ დროს = 1 მან. ვერც.). გარდა ამისა უნდა ემუშავნათ მებატონისათვის ერთი თვე.

სხვები კიდევ იხდიდნენ ფულად 2-4 მარჩილს, პურს 6-12 კოდს, ღვინოს 10-30 კოკას, სანოვაგეს, პირუტყვს და ფრინველს შეძლების და გარემოების მიხედვით. აგრეთვე მუშაობდნენ მებატონისათვის თავისი ხარით თუ უხაროდ 2-3 დღე კვირაში.

სათავადო აზნაურთა კუთვნილი გლეხები უხდიდნენ თავიანთ აზნაურთ იმასევე, რასაც ზემოდნაჩვენები გლეხები იხდიდნენ, მაგრამ ზოგ გადასახადს პურით, ღვინით და ფულით აძლევდნენ თავდასაც და აგრეთვე მუშაობდნენ მისთვის რამოდენიმე დღეს. 'საერთოდ, ამბობს მოხსენება, გადასახადების და ვალდებულებათა შეცვლა დამოკიდებული იყო მებატონეთა თვითნებობაზე, ასე რომ მათ შეეძლოთ გადასახადები ნატურის მაგივრად მოეთხოვათ ფულად და პირიქით, შეეძლოთ შეემცირებინათ გადასახადები ანდა არაფერიც არ აეღოთ'.

ცნობა, რომ გადასახადების რაოდენობა საესებით მემამულეებზე იყო დამოკიდებული, სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს. ეს ჩანს იქიდანაც, რომ მოხსენებისავე სიტყვით, გლეხებს ჰქონდათ იმერეთ-გურიაში მამულების ყიდვა-გაყიდვის უფლება. მამასადამე, მათ ჰქონდათ უძრავი საკუთრება.

მოხსენება შედგენილია დიდად ტენდენციურად მებატონეთა კარნახით და მათი ინტერესების სასარგებლოდ. ეს გამოკრევეა ჰქონდა ხელთ მმართველობას შემდგომ ხანაშიც და ბატონყმობის გაუქმების შესახებ პროექტის შედგენის დროსაც. მან შემდეგში უსათუოდ ერთგვარი გავლენა მოახდინა მებატონეების სასარგებლოდ ბატონყმობის გაუქმების შესახებ კანონის ჩამოყალიბებაზე.

ქართული ჩვეულებით, ყველგან საქართველოში გლეხს უფლება ჰქონდა შეეძინა საკუთრებად მიწა, რომელსაც მებატონე ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეეხებოდა. მაგრამ 1840 წლისათვის ეს წესი უკვე დარღვეული იყო და მებატონის ვალისათვის გლეხის მიწა იყიდებოდა იმის მიუხედავად — სამკვიდრო იყო ეს მიწა, ნაწყალობევი თუ შეძენილი. ეს ცნობა, როგორც ჩანს, უფრო ეხება ქართლ-კახეთს.

სხენებული ცნობების შეფარდებიდან ირკვევა ასეთი სურათი. ჩვეულებრივი საბატონო გლეხის სრული ვალდებულება მისი მებატონის მიმართ უდრიდა ერთი მსახურის წლიურ ქირას (მსახურის გამომღები კომლი თავისუფლდებოდა ყოველგვარი ვალდებულებისაგან, სანამ ეს მსახური მებატონის სახლ-კარში იმუშავებდა), ხოლო ჩვეულებრივ ასეთი მსახურის წლიური ქირა ბატონყმობის გადაყარდნის მზადების ხანაში (1860-იან წლებში) ფასობდა 60 მან. წელიწადში. იმერეთში კიდევ 1850 წლის ახლოს (კერძოდ ზემო იმერეთში) ჩვეულებრივი საბატონო გლეხის ვალდებულება ფასობდა 20-25 მან. (მათ შორის 5 მან. მიწის გადასახადი და 15-20 მანეთი შრომითი ბეგარა). ამგვარად ზოგადად ქართლ-კახეთის საბატონო გლეხი ამ ხანაში შედარებით უფრო ღარიბი ქვეყნების იმერეთ-გურიის გლეხთან, ბევრად მეტად იყო დაბეგრული.

შეძლებულ მებატონეებს ყველგან საქართველოში ჰყავდათ მრავალრიცხოვანი მოსამსახურეები გლეხთა იმ ჯგუფებიდან, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ მებატონისთვის მიეცათ მოსამსახურე. თუნდაც რომ საქმე მათთვის არ ყოფილიყო, მაგრამ მებატონე ვალდებული იყო შეენახა ისინი. მაგ, გურიაში 1840-იან წლებში ერთ-ერთ თავადს ჰყავდა შინა-მოსამსახურე, რომლის მემკვიდრეობით მოვალეობას შეადგენდა წერილების წაღება და საერთოდ ცნობის მიტან-მოტანა და თუმცა ამ მებატონეს ასეთი სამუშაო თითქმის არ ჰქონდა, მაგრამ ვალდებული იყო სხენებული მოსამსახურე თავის ხარჯზე შეენახა. სხვა სამუშაოს კიდევ, დებულებაზე დამყარებით, ეს გლეხი არ იკისრებდა. ანალოგიური მოვლენა იყო საკმაოდ ხშირი უფრო კიდევ დას. საქართველოში, სადაც მოქმედებდა ეგრეთ წოდებული დებულება, რომელსაც გლეხი, ახალ ვალდებულებათა მასზე დაკისრების შიშით, მტკიცედ იცავდა და მის დაცვას მოითხოვდა მებატონისაგანაც.

გლეხები ბევრს ადგილას უკვე აშკარა საბოტაჟს ეწეოდნენ. მებატონეებისავე დამოწმებით, გლეხები (მაგ, კახეთში) ბატონისთვის სავალდებულო სამუშაოზე გადიოდნენ ძლიერ ზანტად როდესაც მზე უკვე მალლა დამდგარი იყო, ასე რომ ზოგ შემთხვევაში გლეხის ნამუშევარი ვერ ანაზღაურებდა მასზე გაწეულ დღის ხარჯს (წესით მებატონე ვალდებული იყო მის სამუშაოზე გასულ გლეხისთვის საჭმელ-სასმელი მიეცა).

ბატონყმობა უკვე სავსებით გადაგვარებული დაწესება იყო. სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით ის იყო უაღრესად მანე და საზარალო და ამიტომ მისი გაუქმება ამა თუ იმ სახით აუცილებელი ხდებოდა.

ბატონყმობის გადაგვარების მაჩვენებელია ისიც, რომ როგორც ქართლ-კახეთში, ისე იმერეთსა და ოდიშში, თუმცა მცირედ, იყვნენ გლეხების კუთვნილი გლეხებიც. აღსანიშნავია კიდევ შემდეგი.

იმერეთ-გურიაში (და ოდიშშიც) ამ დროს ჯერ კიდევ არსებობდა სათავადო აზნაურების კონტიგენტი (სათავადო აზნაურთა დაწესება აღმ. საქართველოში გაუქმებულ იქნა 1833 წელს). საყურადღებოა, რომ იმერეთში ამ დროს იყვნენ აზნაურთა აზნაურნიც.

Журнал Совета гл. управления Закавказским краем 26 марта 1849 г. ЦГИЗ, стр.13, оп 24, П740: В учрежденном в Кутаиси для рассмотрения прав имеретинского и гурнийского дворянства возник вопрос касательно признания в дворянском достоинстве азнаурских азнауров. Дело это по прежнему 20 декабря 1848 г. Совет главного управления передавал на предворительное рассмотрение гл.членов своих, которые и выслали 4 и 27 янв. 19 и 28 февр. с.1849г. мнение Решение: Иметь в виду при рассмотрении списков (азнауров).

121. შორონცოვის ნამესტნიკობა. გურიის აჯანყებამ ცხად ჰყო, რომ 1842 წელს ახლად შემოღებული მართებლობის წესი იყო მანეებელი. განსაკუთრებით უკმაყოფილებას ბადებდა ბიუროკრატიული ფორმალისში და გაუთავებელი მიწერ-მოწერა დაწესებულებებს შორის რუსულ ენაზე იმ ქვეყნებში, სადაც რუსულის მკოდნე ძლიერ ცოტა იყო. ახლად შემოღებული წესი აღმოჩნდა გამოუსადეგარი. ამიტომ ეხლა ამიერ-კავკასიის საქმეების მოუწყობლობას პეტერბურგში სერიოზულად მიაქციეს ყურადღება. გადაწყდა თბილისში გაგზავნილიყო მმართველი იმპერატორის ნამესტნიკის ანუ ნაცვალის ხარისხით, რომელსაც დაემორჩილებოდა არა მარტო ამიერ-კავკასია, არამედ მთელი კავკასიაც. კავკასიის ასეთ ნამესტნიკად დანიშნულ იქნა გრაფი მიხეილ ვორონცოვი (რომელსაც შემდეგ ჯერ თავადის და შემდეგ კიდევ უგანათლებულესი თავადის ტიტული მიეცა). მისი ნამესტნიკობა გაგრძელდა 9 წელს 1845-1854 წლებში.

ვორონცოვი ეკუთვნოდა რუსეთის არისტოკრატიის უმაღლეს წრეს, ის იყო უაღრესად მდიდარი და კარგად განათლებული კაცი, მოკლებული იმავე დროს ვიწრო შოვინიზმს, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო რუსეთის მაშინდელი მაღალი მოხელეებისათვის. როგორც იმპერატორის მოადგილე (ნამესტნიკი), ის ემორჩილებოდა არა მინისტრებს, არამედ პირდაპირ იმპერატორს, და აღჭურვილი იყო განსაკუთრებული უფლებებით კავკასიის საქმეების მოსაგვარებლად. მისი ნამესტნიკობა ცარიზმის ინტერესების თვალსაზრისით აღმოჩნდა მეტად ნაყოფიერი. დადებითი იყო ის აგრეთვე ქართული კულტურის აღორძინებისათვის.

ვორონცოვის დროს მოხდა ამიერ-კავკასიის ახალი ადმინისტრაციული დანაწილება (1846 წ.). ამიერ-კავკასია დაყოფილ იქნა 5 გუბერნიად, რომელთაგან საქართველოზე მოდიოდა ერთი. მაგრამ იმერეთის თავად-აზნაურობის თხოვნით, ქუთაისის ამაღლების მიზნით, ვორონცოვმა დააარსა ქუთაისის ცალკე გუბერნია, რომელშიაც რუსეთის გუბერნიების საზომით მაშინ შედიოდა მეტად მცირე ტერიტორია — იმერეთი და გურია, თუმცა ქუთაისის გუბერნატორის კონტროლის ქვეშ იყო ოდიშის და აფხაზეთის სამთავროებიც. საქართველო ამიერიდან შესდგებოდა ორი გუბერნიისაგან — ქუთაისისა და თბილისის. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან არსებობდა მთავარი სამმართველო (გუბერნატორად დანიშნულ იქნა თავ. გაგარინი), 1856 წლიდან კი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი — სახელ-შეცვლილი იქნა გენერალ-გუბერნატორად. ქართველ თავადებს ბატონყმობის პირობებში გავლენა ჰქონდათ თავიანთ გლეხებზე და საერთოდ ხალხის ერთ ნაწილშიც. წინანდელ ხანათა თავის გვაროვნულ ტრადიციებზე დამყარებით, ვორონცოვს უნდოდა ამ გარემოების გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის ქართველობის დასაახლოვებლად რუსეთთან და სულიერად რუსებთან შესაერთებლად.

122. კანონი საბატონო ბლენების კარძო საქუთრების შესახებ. 1848 წ. 3 მარტს რუსეთში გამოვიდა კანონი, რომლის მიხედვით საბატონო გლეხებს და საზოგადოდ ყმებს ნება მიეცათ შეეძინათ თავისთვის საკუთრებად მიწა, სახლი, ღუქანი და ყოველგვარი უძრავი ქონება.

საქართველოში საბატონო გლეხებს ქართული დებულებით ამის უფლება მანამდისაც ჰქონდათ. მაგრამ აღმ. საქართველოში ამ დებულების ფაქტიურად გაუქმების გამო რუსი ჩინოვნიკები ქართველ გლეხებს უფლებრივად ათანასწორებდნენ რუს გლეხებთან, რომელთაც კერძო საკუთრებად უძრავი ქონების შექენა არ შეეძლოთ. ამიტომ ამ კანონის რუსეთში გამოცემას მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ საბატონო გლეხებისთვისაც.

123. ლონისძიებანი რუსეთთან ეკონომიკურად დაკავშირების სასარბებლოდ. ნამესტნიკი ვორონცოვი ზრუნავდა საქართველოს და ამიერ-კავკასიის ეკონომიკურად რუსეთთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებისათვის. ამ მიზნით ადგილობრივი საბაჟო ტარიფი გაუქმებულ იქნა და ამიერ-კავკასია დაემორჩილა მთელი რუსეთის იმპერიისათვის არსებულ ერთიან საბაჟო ტარიფს.

ვორონცოვისავე ხელის შეწყობით თბილისში გაიხსნა საბითუმო საწყობი სპეციალურად რუსი ვაჭრებისათვის. საერთოდ მის მიერ მიღებული ლონისძიებანი მიზნად ისახავდნენ საქართველოს ეკონომიკურად მჭიდროდ დაკავშირებას რუსეთთან.

ვორონცოვი ღებულობდა ფართე ლონისძიებებს საქართველოს ეკონომიკურად მოსალონიერებლად. ამ მიზნით ის აწყობდა სხვადასხვა ადგილას სანერგეებს, საიდანაც მემამულეებს და სხვებსაც უკეთესი ჯიშის ნერგები ეძლეოდათ უფასოდ. მანვე დას. საქართველოში შემოიღო ყირიმიდან გადმოტანილი ვაზის ახალი ჯიშ. მის დროს დაარსდა თბილისში ბოტანიკური ბაღი, ფოთში გაშენდა ციტრუსების ბაღი (შემდეგ ეს ბაღი გაანადგურა ერთი ზამთრის დიდმა ყინვამ) და სხვა.

ვორონცოვი ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის წინსვლას, მებაღეობის, მეაბრეშუმეობის, მფრანის, მეთამბაქოეობის განვითარებას.

ვორონცოვის დროს დაწყებულ იქნა, მართალია პირველად მცირე ზომით, ტყიბულის ქვანახშირის დამუშავება (1848 წ.). ამასთანავე წარმოებდა მშენებლობითი მუშაობა თბილისსა, ქუთაისსა და სხვაგან. სახელმწიფო დაწესებულებათა საჭიროებისათვის შენობათა ასაშენებლად კერძო პირთ ეძლეოდათ ფულადი დახმარება იმ პირობით, რომ მმართველობის მიერ დამტკიცებული გეგმით აშენებული შენობა შემდეგ მიექირავებინათ სახელმწიფოსთვის.

თბილისში გაიხსნა ლითონ ჩამომსხმელი მექანიკური სახელოსნო, აგრეთვე სახელოსნო მარმარილოს და აგრეთვე სხვა ასეთი მაგარი ჯიშის (იასპის და სხვ.) დასამზადებლად, ასევე სამხედრო მაუდის გასაიაფებლად გაიხსნა მაუდის ქარხანა.

ამასთან დაკავშირებით ვორონცოვი სპეციალურ ზომებს ღებულობდა, რათა ამიერ-კავკასიაში და საქართველოში ფართე გავრცელება მოეპოებინა რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო ნაწარმს. მისი დახმარებით თბილისში გაიხსნა საბითუმო საწყობი სპეციალურად რუსი ვაჭრებისათვის. საერთოდ მის მიერ მიღებული ლონისძიებანი მიზნად ისახავდნენ საქართველოს ეკონომიკურად მჭიდროდ დაკავშირებას რუსეთთან და ამასთანავე ჩვენი მხარის კოლონიალური ექსპლოატაციის გაძლიერებას.

124. კაპიტალისტური წყობის მარკენაღმეობა. როგორც მოხსენებული იყო, ახალი კაპიტალისტური ხასიათის წამოწყებანი საქართველოში 1820-იან წლებში და 1830-იანი წლების დასაწყისში ყველა უძლეური აღმოჩნდა. ოფიციალურ გამოცემაში 1835 წლისათვის აღნიშნული იყო კერძოდ თბილისის შესახებ, რომ "ევროპული წესების საწინააღმდეგოდ იქ არ არის არავითარი კერძო ფაბრიკა ანუ მანუფაქტურა ზოგიერთ უმნიშვნელო ქარხნის გარდა". ამ ქარხნებს იგივე მიმომხილველი ახასიათებს შემდეგნაირად: "ყველაზე უფრო დაბალი ხარისხის მაუდი მცირე რაოდენობით მოსახლეობის ღარიბ კლასისათვის, ნარმა, ტყავის ნაწარმი, ქოთნის და აგურის საქმე, საპონი, მატერიების და ბამბის ნაქსოვის შეღებვა, იგულისხმება ჩითეულობა და სხვა ამგვარი. ეს არის მანუფაქტურული მრეწველობის საგანი თბილისში". ეს იყო, მამასადამე, წინანდელი წესის მანუფაქტურული მრეწველობა, რომელიც შეიცავდა ორ ტყავის დამამზადებელ ქარხანას 66 მუშით, გარდა ამისა ქოთნეულობის დამამზადებელი ქარხანა 5, აგურისა – 18, ერთი არყის სახდელი ქარხანა, 4 ლუდის და 1 საპონის ქარხანა. 1840-იან წლებში, უფრო ნამესტნიკ ვორონცოვის დროიდან მდგომარეობა უმჯობესდება.

სოფ. დრეში (თბილისის მაზრაში) ვორონცოვის თაოსნობით გერმანელმა მეცნიერმა გახსნა მანქანებით მოწყობილი ფაბრიკა, რომელსაც ჯარისათვის მაუდი უნდა დაემზადებინა. მაგრამ მას შემ-

დევ, რაც ვორონცოვმა თავი დაანება ნამესტნიკობას, ამ საქმეს გულშემატკივარი ადგილზე არ ჰყავდა. რუსეთის ფაბრიკანტები კი, თბილისში გახსნილ ამ ქარხნის წინააღმდეგ, კონკურენტობის ნიადაგზე, პეტერბურგში ინტრიგებს აწარმოებდნენ და ამიტომ ეს საქმე ვორონცოვის შემდეგ ლიკვიდირებულ იქნა.

თბილისში 1851 წლიდან უკვე მოქმედებდა გერმანელ შტირეს მიერ გახსნილი ქარხანა ლითონის ჩამოსასხმელად. ამ ხანებშივე თბილისში დაიწყო მოქმედება ადგილობრივი მკვიდრის ყორღანოვის (ყორღანაშვილის) მიერ გახსნილმა თუჯის ქარხანამ. ხსენებულ წარმოებებში, რომელნიც მცირე მოცულობის იყვნენ, დაბანდებული იყო თავისუფალი მუშა-ხელი. დასახლებულ გერმანელებს თავისი მდგომარეობით (როგორც არა აზნაურთ) შეეძლოთ თავიანთი წარმოებისათვის მხოლოდ დაქირავებული მუშები ჰყოლოდათ.

1858 წელს თბილისში აღნიშნულია ასეთი მდგომარეობა. აქ იყო თვლების გამთლევი ერთი სახ-აზინო ქარხანა და მასთან სააგურე-საქოთნე ქარხანა, ორივე მცირე წარმოების, ხოლო კერძო ქარხ-ნები: აბრეშუმის სახვევი 1, თუჯის სადნობი 1, ბამბის 1, სპილენძეულობის 1, არყისა 1, ლუდის 2, ტყავეულობისა 1, საპნისა 8, სანთლის 4, ხის სახერხი 2, კრამიტისა 1, აგურისა 18, ტყავისა კიდევ მცირე 1, სულ 73 ერთეული 221720 მანეთის პროდუქციით (მათგან 58 ათ.მან. მოდიოდა აგურის ქარხნებზე). მთელ ქართლ-კახეთში კი თბილისთან ერთად ამ წელს იყო 200 ასეთივე წარმოება. 436,8 ათ. მანეთის პროდუქციით. ბევრი ამ წარმოებათაგანი წინანდელი დროიდან მოდიოდა. ხოლო ახალი ტექნიკის წარმოება ზემოთ დასახლებულთაგან 1858 წელს იყო 6, მათ შორის ერთი ბამბის (მაუდის) და ერთი სააფთიაქო შუშეულობის ქარხანა 36400 მანეთის წლიური პროდუქციით. ამ-გვარად მრეწველობა ვითარდებოდა, მაგრამ მეტად ნელი ნაბიჯით.

თბილისში 1830-1840-იან წლებში იმყოფებოდნენ მუშები დიდი რაოდენობით. მარტო იმერელი მუშები 1834 წლის ცნობით თბილისში იყვნენ სამასი (მცხოვრებთა საერთო რიცხვი თბილისში მაშინ იყო 25290 სორსკ. ჯარის გარდა). დიდი უმეტესობა მათგანი იყვნენ ტვირთის მზიდანნი (აქედან გაჩნდა ქართულში და ადგილობრივ რუსულში ტვირთის მუშა ასეთი მნიშვნელობით) ანდა შინამო-სამსახურენი. შემდეგ წლებში თბილისში ბლომად ჩამოდიოდნენ მშენებლობის სეზონისათვის მუშები სპარსეთიდან. 1845 წელს თბილისში რუსის ჯარის გარდა, რომლის რაოდენობა 9 1/2 ათას კაცზე მეტი იყო, მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენდა 32.060 სულს ორსკ., მათ შორის სპარსელი იყო 302 სული და უცხოელი (ესენიც მეტწილად სპარსეთიდან იყვნენ) 1,007 სული. საერთოდ თბილისში მო-სული მუშა-ხელი უფრო და უფრო მრავლდებოდა.

სოფლად გაჩნდა გაუმჯობესებული მეურნეობანი, რომელთაც თავისი ნაწარმი რუსეთის ბაზარზედაც კი გაჰქონდათ. გაუმჯობესებული მეურნეობა თავიანთ მამულებში ჰქონდათ თავ-იგზაგრატიონ-მუხრანელს ქართლში, ალექსანდრე და შემდეგ მის შვილს დაეთ ჭავჭავაძეს კახეთში. თავ. აბხაზს სიღნაღის მაზრაში ხაზინამ მისი თხოვნისამებრ მისცა 500 დესეტინა მიწა, სადაც ის ცდილობდა მაღალფასოვანი მეურნეობის მოწყობას. ჰაქსტაუზენი გადმოგვცემს (1844 წ.), რომ თავ. აბხაზს გამოწერილი ჰყავდა შაქრის ლერწმის მოსაყვანად ინდოეთიდან სპეციალისტი, რომელიც მაღე მომკვდარა, მაგრამ მას უკვე დაესწავლებინა შაქრის ლერწმის მოყვანა ადგილობრივთათვის აბხაზი ეხლა ცდილობდა აეთვისებინა შაქრის გაწმენდის ტექნიკა. ამავე მემამულეს კარგად ჰქონდა დაყ-ენებული ბამბის და კარტოფილის მოყვანა.

ხსენებულ მემამულეთ უახლოეს შემდგომ წლებში გამოუჩნდათ მიმბაძველნიც. მართალია ამ მეურნეობაში მეტწილად იყვნებდნენ ყმების შრომას, მაგრამ იყვნენ დაქირავებულნი მომუშავენიც — კაცნი და ქალნი.

იმავე ჰაქსტაუზენის სიტყვით, კახეთში სოფ. რუსპირში გერმანელ ლენცს და კომპანიას მოწყობილი ჰქონდა ღვინის დიდი ქარხანა, რომელშიაც ღვინოს ამზადებდნენ ევროპული წესით და ინახავდნენ მას უზარმაზარ სარდაფებში, როგორც ჩანს კასრებში. ამ გერმანელებს, როგორც არააზნაურთ, კანონით არ შეიძლებოდა ჰყოლოდათ ყმები. ცხადია, რომ მთელი ეს წარმოება დაქი-რავებული მუშების შრომით მოქმედებდა.

ამგვარად იყო უკვე წამოწყებული მრეწველობაშიც მანქანების შემოღებით და სამუშაოში დაქი-რავებული მუშების ჩაბმით. ეს იყო, მამასადამე, კაპიტალისტური წყობის არსებობის მაჩვენებელი.

ნამესტნიკ ვორონცოვის დროს ქუთაისში სწავლულ ინგლისელ მებაღის იაკობ მარრის მეშვეობით (მანამდის მარრი უფრო გურიაში მუშაობდა) მოეწყო სანიმუშო სანერგე ბაღი(ხალხში ფერმად წოდებული), საიდანაც ხეხილის და ვაზის უკეთესი ჯიშების ნერგების წაღება ყველას შეეძლო. მაშინ შემოტანილ იქნა ყირიმიდან ვაზის ახალი ჯიში, რომელსაც ხალხში ადესა დაერქვა. დას. საქართველოში უკვე შემოიპარა ვაზის ავადმყოფობა ფილოქსერა, რომელიც ვენახებს და მალღარ ვაზებს ანადგურებდა. ადესა-ვაზი კი გარანტირებული იყო ფილოქსერისაგან.

სანიმუშო სააბრეშუმე და სხვა მეურნეობა ჰქონდა საჩინოში თავ. ნიკიჯავაძეს, რომლის მამულის ნაწარმმა პარიზის გამოფენაზე ჯილდო მიიღო. გაუმჯობესებული ჩვევები მეურნეობაში შეჰქონდა ზოგ სხვა მემამულესაც როგორც დას., ისე აღმ. საქართველოშიც.

რუსეთთან ეკონომიურად კიდევ უფრო მეტად დასაახლოვებლად, როგორც მოხსენებული იყო, ვორონცოვის დროს გაუქმებულ იქნა სპეციალური საბაჟო ტარიფი, რომელიც ხელსაყრელი იყო ამიერ-კავკასიიდან ოსმალეთთან და სპარსეთთან ვაჭრობის საწარმოებლად. ამიერ-კავკასიაზე და, მამასადამე, საქართველოზედაც გავრცელდა რუსეთის საბაჟო ტარიფი. ამიერიდან საქართველო შეადგენდა საგარეო ვაჭრობის საქმეშიც მთელ იმპერიასთან ერთ ერთეულს.

იმერეთის ვაჭრობის დასახსიათებლად საყურადღებოა შემდეგი ცნობები, რომელიც მიეკუთვნება 1852 წ. ქალ.ქუთაისში, სადაც ამ დროს ჯარის გარდა იყო 3407 სული მცხოვრები ორსქ. (ჯარი იყო 2300 კაცი), სხვადასხვა დარგის ხელოსანი იყო 83 კაცი, ხოლო მოვაჭრე 197 (მათ შორის მუდმივად მცხოვრები 139 კაცი). სულ ქუთაისის ვაჭრობა დროებით ჩამომავალ ვაჭრების ჩათვლით იყო 200 კაცის ხელში, რომელთაც ჰქონდათ სულ 100 ათ. მანეთის სავაჭრო და იყიდებოდა 60 ათ. მანეთისა წლიურად. გარდა ამისა ქუთაისში ბაზრობა იმართებოდა ყოველ პარასკევს. მაგრამ ადგილებზე იმერეთში ვაჭრობა ბევრად უფრო იყო განვითარებული. ხონში სავაჭრო კაპიტალი წელიწადში ბრუნვაში იყო 100 ათ. მანეთის რაოდენობით, კულაშში – 70 ათ.მან., ონში – 80 ათ. მან., საჩხერეში – 50 ათ. მან. და ასე კიდევ სხვადასხვა სოფლებში, ასე რომ მთელი ბრუნვა იმერეთის სავაჭრო პუნქტებში ქუთაისის გარდა შეადგენდა წელიწადში 500 ათ. მანეთს ვერცხლით, ე.ი. იყო ბევრად მეტი ვიდრე ქუთაისში.

გურიაში სახელმწიფო ქონებათა ქართლ-კახეთის-იმერეთის პალატის 1841-1845 წლების ანგარიშით იყო 4 ბაზარი და იმართებოდა 8 იარმუკა 20 ათ.მან. ვერცხლით წლიური ბრუნვით. ამ ბაზრობაზე და იარმუკებზე ყიდდნენ პირუტყვს, პურს, აბრეშუმის, ბამბის და მატყლის მატერიებს და მცხოვრებთათვის საჭირო სხვადასხვა რამე-რუმეს. 1850 წ. ქუთაისის გუბერნიის (იმერეთ-გურიის) ბაზრობაზე საქონლის ბრუნვა შეადგენდა 419 ათ. მან. ვერცხლის რაოდენობით. 1850-1852 წლებში ამ ბაზრობებზე შემოტანილ იქნა 713.300 მან. საქონელი და გაიყიდა 533.610 მან. ვერცხლით.

ამ ხანაშივე დაიწყო ტყიბულის ქვანახშირის დამუშავება. ტყიბულის ქვანახშირს პირველად ყურადღება მიაქცია ქუთაისელმა თერძმა, ახალციხიდან იქ გადასულმა ქართველმა კათოლიკემ საყვარელიძემ. ჯერ კიდევ 1837 წელს მან განუცხადა კიდევ ამის შესახებ იმერეთის მმართველს გენ. ესაქხოს. მთავრობა 1845 წელს დაინტერესდა ამ საკითხით, გამოგზავნა ინჟინრები და მიიღო თავის გამგებლობაში სანახშირე ადგილები, ხოლო მიწის პატრონებს ხაზინა მოურიგდა შემდეგნაირად. ქვანახშირი იყო გლეხების ქასრაშვილების მიწაში, ხოლო ეს ქასრაშვილები კი იყვნენ თავ. აგიაშვილების და აზნ. კანდელაკების ყმები. ხაზინა პირდებოდა მებატონეთ ქვანახშირის თითო გატანილ ფუთზე 34 კაპიკს. თავისი მხრივ მებატონეები მოურიგდნენ მიწის მეპატრონე თავიანთ გლეხებს და უთმობდნენ მათ მისაღები თანხის ნახევარს.

1848 წლიდან დაიწყო ქვანახშირის ზიდვა ყულევს და ქერჩს და დამტკიცდა მისი კარგი ხარისხიანობა. მაგრამ ჯერ ერთი რუსეთს მაშინ შავ ზღვაზე ორთქმავალი გემები ცოტა ჰყავდა (უმეტესი იალქნიანები იყვნენ) და გარდა ამისა ქვანახშირის ზიდვაც პაწაწა იმერული მთის ურმებით ტყიბულიდან ყულევამდი ძლიერ ძვირად ჯდებოდა. ამიტომაც ამ ქვანახშირის მოხმარებამ ვერ ჰპოვა სათანადო გავრცელება. ყირიმის ომის შემდეგ კი პარიზის ტრაქტატით რუსეთს არ ჰქონდა უფლება შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტი ჰყოლოდა და ტყიბულის ქვანახშირის საქმე დავიწყებას მიეცა. ამ საქმემ გამოცოცხლება იწყო მხოლოდ 1867-1868 წლების შემდეგ.

1840-იან წლებში იმერეთში ჩნდება წვრილ-წვრილი საქარხნო ხასიათის კერძო წარმოებანი. არყის მცირე თითო-ოროლა ქარხანა ქუთაისში და სხვაგან გაჩნდა, რუსების ჯარის შემოსვლასთან

დაკავშირებით, სოლომონ II-ის დროსაც. შემდეგში ქუთაისში ქვითკირის სახლების მშენებლობასთან დაკავშირებით ჩნდება აგურის წვრილი ქარხნებიც. 1850-იან წლებში გაჩნდა აბრეშუმის ძაფ-სახვევი წვრილი ქარხნები, რომელნიც უცხოელების მიერ იყვნენ გახსნილნი – ოდიშში (ზუგდიდსა და სოფმარანში) და იმერეთში (ქუთაისსა და ორპირში). ორპირის ქარხანაში ორთქლის მანქანა ამუშავებდა 32 ამოსახვევ ჩარხს. ყველგან ამ წარმოებებში მუშაობდნენ ადგილობრივი ქალები. მაგრამ ამ წვრილი ქარხნების მუშაობასაც აფერხებდა ნედლეულის სიმცირე, რადგანაც მეაბრეშუმეობა დას. საქართველოში ძლიერ დაცემული იყო და მისი აღორძინება (თუთის ხეების მოშენება) წელიწადებს მოითხოვდა. ამიტომ ეს ქარხნები არარენტაბელობის მიზეზით მალე უქმდებოდნენ.

წყლით საბრუნებელი მანქანებით ბამბის სარჩევი წარმოება წამოიწყო იმერეთში, საჩინოში, იქაურმა მეთაოსნე მემამულემ თავ. ნიკიჩიჯავაძემ და მიჰყავდა ის წარმატებით.

დას. საქართველოს ვითარების დასახასიათებლად მრეწველობის დარგში მნიშვნელობა აქვს ოფიციალურ ცნობას, რომ 1866 წლისათვის ქუთაისში იყო ერთი არყის სახდელი ქარხანა 16 მუშით, ხოლო ისეთი წარმოება, რომელშიაც მუშაობდა არა ნაკლებ ხუთი მუშისა 45 ათ. მანეთის წლიური პროდუქციით ამ წლისათვის იმერეთ-გურიაში აღმოჩნდა 18.

რუსეთის მრეწველობისათვის ამიერ-კავკასიაში ბაზრის გასაფართოებლად ნამესტნიკ ვორონცოვმა მოსკოველ მრეწველთ გაახსენებინა თბილისში თავიანთი სამრეწველო პროდუქციის გასასაღებლად ამიერ-კავკასიის საეაჭრო დეპოს მთავარი კანტორა. ამ კანტორამ დაიწყო თბილისში ფუნქციონირება 1847 წლის ივნისიდან, ხოლო იმავე წლის აგვისტოში გაიხსნა დიდი მაღაზია საცალო ვაჭრობისათვის. ყველა საქონელი იყიდებოდა ზუსტად ნიხრის მიხედვით. ხოლო ბითუმად დეპოდან მიიდველნი ღებულობდნენ შეღავათს. დეპოსთან, როგორც ეს ცხადდებოდა გაზ. "კავკაზ"-ში, დაარსებულ იქნა კომისიონერების ცალკე კანტორა ორგვარი მიზნით: 1) ამ კანტორის მეშვეობით შეიძლებოდა დეპოს მოსკოვურ კანტორიდან ყოველგვარი საქონლის და ნივთების გამოწერა, მაგ., მუსიკალური ინსტრუმენტებისა, ავეჯისა, ეკიპაჟებისა, მანქანებისა (მაშინების) და სხვა. "აგრეთვე შეიძლებოდა მიღებულ იქნას შეკვეთები, სწერია განცხადებაში, კანკელების დასადგმელად, ხატების მოსახატავად, წიგნების დასაბეჭდად, ლითოგრაფიებისა, ესტამპებისა, ბილეთებისა, იარლიყებისა და სხვათა, რის შესახებ ჩვენი მოსკოვური კანტორა მუდმივ ურთიერთობაშია საუკუთესო ხელოსნებთან, ოსტატებთან და მხატვრებთან". 2) კომისიონერების მეორე მიზანი იყო ამიერ-კავკასიის მხარის ნედლეულობის შიგნით რუსეთში გასაღებისათვის ხელის შეწყობა. "ბამბა, აბრეშუმი, ენდრო, თამბაქო, ტყავეულობა, მატყლი, ბეწვეულობა და აქაური მხარის სხვა საქონელი საიმოვნებით იქნება მიღებული ჩვენს დეპოში და გასაღებული მოსკოვში ყოველად პატიოსან და კეთილსინდისიერი საშუალებით მარტოოდენ იმ მიზნით, რომ აქაური საქონელი გავრცელდეს შიდა-რუსეთში და რათა მხარის საწარმოო ძალები გამოცოცხლებულ იქნას. მხოლოდ ამ და არა სხვა რაიმე მიზნით იხელმძღვანელებს კომისიონერობა, რომელიც იხსნება ჩვენს დეპოსთან და რომელიც იმედოვნებს, რომ გაამართლებს აქაურ მემამულეთა და მწარმოებელთა ნდობას. კანტორისავე საშუალებით შეიძლება მიღებულ იქნას სხვადასხვა საზღვარგარეთული თესვები და ნედლეულის დასამუშავებელი მანქანები, წიგნები, სპეციალური ცნობარები, ყველა სამიწათმოქმედო იარაღები და აგრეთვე შეიძლება გამოწერილ იქნას ოსტატებიც". განცხადების ბოლოში დეპოს კანტორა აცხადებდა, რომ ის "იმედოვნებს მოთხოვნათა და მინდობილობათა სწორი შესრულებით მიაღწიოს იმ მიზანს, რომელიც დაუსახა ამ დაწესებულებას მთავრობამ და შემდგომში გაამართლოს ნამესტნიკ-თავადის მაღალი მფარველობა".

მეორე განცხადებაში იმავე გაზეთში დეპოს კანტორა სწერდა, რომ დეპოს დამაარსებელთ მხედველობაში აქვთ არა იმდენად თავის ნაწარმთა გასაღების გავრცელება, რამდენად გააცნოს ამიერ-კავკასიის მკვიდრნი რუსულ ნაწარმთა და მისცეს აქაურ ვაჭრებს შესაძლებლობა შეიძინონ დეპოს მეშვეობით საქონელი პირველ წყაროდანვე, დაიკავონ უშუალო ურთიერთობა თვით ფაბრიკანტებთან და მიიღონ საქონელი თბილისში ისევე, როგორუ მას ისინი შეიძენდნენ თვით მოსკოვში".

125. პოლიტიკა მართველი მებატონეების სასარგებლოდ. ვორონცოვი იყო არისტოკრატიული რწმენის კაცი. ბატონყმობას ის არ თანაუგრძნობდა და გლეხების პიროვნული განთავისუფლების მომხრეც იყო. მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა ქართველ სათავადო გვარეულობათ. საჭიროდ სთვლიდა რუსეთის პოლიტიკის დაყრდნობას მათზე და ცდილობდა ქართველ თავადების

დანიშნას და დაწინაურებას განსაკუთრებით სამხედრო სამსახურში და აახლოვებდა მათ და მათ ოჯახებს თავისთან და ადგილობრივ რუს დიდ მოხელეებთან. ვორონცოვი აწყობდა წარჩინებულ ქართველ-რუსთა შორის ქორწინებით ოჯახობრივ დაკავშირებას (ბევრმა მაღალმა რუსმა მოხელემ შერთო ცოლად ქართველ თავადიშვილების ქალები) და სხვ. ქართველი თავადაზნაურობაც ნამესტნიკს რუსეთის იმპერატორისადმი განუსაზღვრელი ერთგულებით პასუხობდა.

1848 წელს თბილისის გუბერნიის ქართველმა თავად-აზნაურობამ ვორონცოვისავე წინადადებით მიმართა იმპერატორ ნიკოლოზ I-ს ადრესით, რომელშიაც ის გამოხატავდა თავის უქვეშევრდომილეს გრძნობებს და სხვათაშორის სწერდა, რომ "ყოველი ჩვენთაგანი გრძნობს წმინდა სიყვარულს და ერთგულებას ჩვენს თვითმპყრობელ მონარქისადმი". თავად-აზნაურობა ამ ადრესში ფიცს იძლეოდა, რომ არ დაზოგავდა თავის სიცოცხლეს იმპერატორისათვის სამხედრო სამსახურში არა მარტო საქართველოში, არამედ საქართველოს გარეთაც.

126. საბატონო ბლანკონის საკითხი ვორონცოვის დროს. როგორც მოხსენებული იყო, ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ 1812 წლის ახლო დროიდან დაიწყო საბატონო გლეხების მიერ თავისუფლების ძიება სასამართლოს წესით. ხოლო სასამართლო კი მოითხოვდა მებატონეთაგან მომჩივან გლეხთა მფლობელობის უფლების დამტკიცებას წერილობითი საბუთებით. ასეთი წერილობითი საბუთები კი ქართველ მებატონეებს მეტად იშვიათად თუ ჰქონდათ. ამიტომაც წარმოებდა დაუსრულებელი დავა სასამართლოებში. გლეხები ერთმანეთს უდგებოდნენ ამ საკითხში მოწმეებად და ამიტომ საქმის წაგების თავიდან ასაცილებლად მებატონე მიმართავდა ქრთამის გაღებას, რაც მას, დავასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯების მიმატებით, ნივთიერად ანადგურებდა. 1841 წლიდან როდესაც რუსული მმართველობის წესები ზუსტად გავრცელდა იმერეთ-რაჭა გურიაზედაც, საჩივრები გლეხების მხრივ დაიწყო იქაც. რასაკვირველია ასეთი დავები აღატაკებდნენ გლეხებსაც, მაგრამ უფრო მებატონეებს.

სასამართლოს გარდა გლეხები ხშირად მიმართავდნენ თავისუფლების ძიების თხოვნით ადგილობრივ უმაღლეს ხელისუფლებას. როდესაც ნამესტნიკად დაინიშნა მიხ. ვორონცოვი, თავისი ლიბერალობით ცნობილი, გლეხებმა მაშინვე აუღეს ალღო ახალ მდგომარეობას და ყოველთვის ცხადდებოდნენ მიღების საათებში მასთან ძონძებში ჩაცმულნი, კასრის რკინის რკალით კისერზე და სახის საცოდავი გამომეტყველებით. ხოლო მისაღებ დარბაზიდან გამოსვლის შემდეგ კასრის ამ რკალებს ისინი, მაშინდელი ოფიციალური საბუთის დადასტურებით, მაშინვე ჯიბეში ჩაიდებდნენ ან სრულებით გადააგდებდნენ ხოლმე. დაწესებულებანი და სასამართლო ორგანოები საესე იყო გლეხების მხრივ თავისუფლების ძიების საჩივრებით. ძლიერ ხშირი იყო მემამულეთა საჩივრებიც ადმინისტრაციის და უმაღლეს ხელისუფალთა სახელზე, რომ გლეხები მათ არ ემორჩილებიან, წინააღმდეგობას უწევენ და სხვ.

მთავრობა ყველაფერ ამით შეფიქრიანებული იყო, რადგანაც გამუდმებული საჩივრები იწვევდა გლეხობის მოცდენას სამუშაოთაგან. გარდა ამისა ისინი ხშირად ხდებოდნენ სამსახურიდან გააგდებულ და არა-კეთილსინდისიერ ჩინოფიკების მსხვერპლი, რომელნიც პირადი ანგარების გამო და თავისი უტოლინარობითაც გზა-კვალს უბნევდნენ მესაჩივრე გლეხებს და უკანასკნელ სახსრებს აფცქენდნენ მათ. უმთავრესი ვორონცოვისათვის იყო ის, რომ გლეხების გამუდმებული საჩივრებით ლატაკდებოდა თავადაზნაურობა, რომელიც თავის თავს არ ზოგავდა სამხედრო სამსახურში რუსის ჯარში და წარმოადგენდა მთავრობის თვალსაზრისით საიმპერატორო ტახტის სანდო და ბეჯით საყრდენ ძალას. ამიტომ დაისვა საკითხი გლეხებისათვის თავისუფლების მოპოებისათვის საჩივრის გამუდმებით სასამართლოში შეტანის ასე თუ ისე აღკვეთის შესახებ. განსაკუთრებით ვორონცოვის დროს გლეხთა ძიებანი მებატონეთაგან განსათავისუფლებლად იმდენი იყო, რომ დაწესებულებანი აივსო ამგვარი თხოვნებით. ამის გამო ვორონცოვმა "ამ მხარის დასამშვიდებლად ისეთი ზომების მიღების მიზნით, რომელნიც დაიცავდნენ მებატონეების უფლებებს, მაგრამ იმავე დროს არ დაარღვევდნენ გლეხების უფლებებსაც, აღძრეს საკითხი კავკასიის კომიტეტის წინაშე პეტერბურგში. ნამესტნიკ ვორონცოვის ამ შუამდგომლობას და ოთხი მინისტრისგან შემდგარ კავკასიის კომიტეტის აზრის მიხედვით, იმპერატორმა 1849 წ. 28 აგვისტოს ბრძანებით დაადგინა, რომ საბატონო გლეხს საქართველოში შეუძლია დაიწყოს საჩივარი მებატონისაგან განთავისუფლების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის წარმოადგენს სათანადო დაწესებულებაში წერილობით საბუთებს იმისას, რომ თვითონ ის ანდა მისი

მამა და პაპა იყვნენ თავისუფალი პირნი. ამასთანავე გლეხებს აეკრძალათ განთავისუფლების საკითხის აღძვრა მხოლოდ იმიტომ, რომ მებატონეს არ აქვს მისი ყმობის დასამტკიცებელი წერილობითი საბუთი. ამით ქართველ გლეხებს ფაქტიურად აეკრძალათ სათანადო წერილობითი საბუთების წარუდგენლად მებატონეებისაგან განთავისუფლების შესახებ სასამართლოში განცხადების შეტანა. ამით ვორონცოვმა საბოლოოდ მოიგო ქართველ თავად-აზნაურობის გული.

127. ვორონცოვი და ქართული კულტურა. ამგვარად, ვორონცოვი და ქართველი თავად-აზნაურობა ძალიან კარგად იყვნენ ერთმანეთთან შეხმატკბილებულნი. მაგრამ ამ თავადაზნაურების უდიდესმა ნაწილმა სრულებით არ იცოდა რუსული ენა. ამით აიხსნება, რომ ვორონცოვი მხარს უჭერდა ზოგ ქართულ კულტურულ საქმიანობას, მაგ., ის ნივთიერი დახმარებით ხელს უწყობდა გიორგი ერისთავს, რომელმაც, სათანადო მზადების შემდეგ, 1850 წელს ქართული თეატრი დააარსა. გიორგი ერისთავი (ქსნის ერისთავთა გვარისაგან), თუმცა მსხვილი მემამულე იყო, მაგრამ რადგანაც ქართველ დიდ მემამულეებსაც ფულადი შემოსავალი მცირე ჰქონდათ, ამიტომ მისთვის თბილისში ცხოვრების გასაადვილებლად ვორონცოვმა დანიშნა ის თავის განსაკუთრებულ მინდობილობის მოხელედ კარგი ჯამაგირით. დამახასიათებელია, რომ რუს სამხედრო და სამოქალაქო მოხელეების ნაწილში უკმაყოფილებას იწვევდა ის გარემოება, რომ გიორგი ერისთავი პრივილეგიურ მდგომარეობაში იყო და ჩინოფიციური ფორმის მაგივრად ჩოხაში დადიოდა.

პირველ ქართული ტეატრი მან დაბადა, დააწესა წარმომდგენლები შეკრიბა, ჯამაგირი დაუწესა. მწერლობიდან გამიყვანა, მეც იმათში გამამწესა. ვერა მამა ვერ იზავდა, რაც მან ჩემზედ ღვაწლი სთქვა.

ვარანცოვი მომხრე ჰყვანდა სიტყვას დიდად უგონებდა რასაც ჩვენთვის შეუკვეთდა, ყოველსავე გვისრულებდა. საქართველოს წარმატებას სულით, გულით ისურვებდა, არ ზოგავდა შემწეობას, ქართველთათვის თავსა ზღებდა.

უხაროდა ვარანცოვსა, რომ ტეატრი გაიმართა. წარმომდგენლებს გვიალერსა, ყოველგზით კელი მოგვიმართა”.

გიორგი დვანაძის სიტყვით,

“გიორგი ერისთავის შვილი პოეტი იყო ქებული მისგან ქართული ტეატრი შეიქმნა დაწესებული, მან განუწათლა ქართველთა გრძნობა, გონება და გული, ვაიმე, მის დამკარგავი მე რაღათა ვარ სულდგმული”.

ეს გიორგი დვანაძე, მცირე სწავლის, მაგრამ პოეტური ნიჭის მქონე, 22 წლის ასაკში გახდა პირველი ქართული დასის საუკეთესო მსახიობი. ის წერს თავის თავზე:

“პირველი აკტორი ვიყავ, ხალხმა დიდად შემიყვარა. ერთ დღეს ერისთავის პირით ვარანცოვმა დამიბარა ვითა შვილსა მიალერსა, ის ალერსიც არ მაკმარა ოქროს საათი მაჩუქა, გული ჩემი გაახარა”.

“ხუთს წელიწადს არსებობდა ის ტეატრი მუნ ქალაქში. ჯამაგირი კარგი მქონდა, მაგრამ ფიქრი ცოტა თავში. ფული ვერ მოვინარჩუნე, ყოველთვის ვიფუქი ვალში. ხუთს წელს შემდეგ მოიშალა, მოვატანე ისევ სახლში.

“ვარანცოვი წაგვივიდა, რომელთ შემწედ ისა გვყვანდა ქართულს ტეატრს ის სწყალობდა, წარმოდგენა მას უყვარდა. ის წავიდა, დაიკეტა, მოიშალა, სულ განქარდა”.

შემდგომ წელს ვორონცოვისავე ნებართვით და ხელის შეწყობით დაარსებულ იქნა ყოველთვიური ქართული ჟურნალი "ცისკარი". ნამესტნიკის სტამბაში ვორონცოვის ხარჯზე ისტორიკოს პლატონ იოსელიანის რედაქტორობით დაიბეჭდა ძველი ქართული მწერლობიდან ხუთი წიგნი (მეტი არ მოყვრო). საერთოდ ქართულ კულტურას და საქართველოს სიძველეებს ვორონცოვი უყურებდა დიდი ინტერესით და განსაკუთრებული სიმპათიით.

მთელი მისი ასეთი მოქმედებიდან თითქოს ასეთი დასკვნა გამოდის, რომ ის ამზადებდა ნიადაგს საქართველოს ავტონომიისათვის რუსეთის იმპერიის ფარგლებში. მხოლოდ ეს ავტონომიური საქართველო მას წარმოდგენილი ჰქონდა როგორც თავადაზნაურული, რომელშიაც წამყვანი და ხელმძღვანელი როლი ქართველ არისტოკრატებს ექნებოდა. ამ ავტონომიის იდეის ამ დროს ერთ-ერთი უფრო თვალსაჩინო მოტრფიალე იყო დიმიტრიანოვი, რომელიც ნამესტნიკთან არსებულ საბჭოში მსახურობდა და თანდათან ძალაში შედიოდა. ეს ავტონომიის იდეა შეხამებული იყო რუსეთის იმპერიისა და იმპერატორისადმი ერთგულებაში. თავადაზნაურობის სიმპათიები ძველი დინასტიისადმი, როგორც ახალ პირობებში ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, პოლიტიკურად კედებოდა. თავადაზნაურულ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რუსეთში არსებული კანონის მიხედვით დაწესებული იყო ქონებრივი და სამსახურებრივი ცენზი. ღარიბ თავადაზნაურთ არჩევნებში ხმა არ ჰქონდათ. ამითაც აიხსნება, რომ ქართველი შეძლებული თავადაზნაურობაც ძლიერ ეტანებოდა სახელმწიფო სამსახურს, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო სამსახურს, რომელიც მას თავისი ტრადიციით უფრო ეხერხებოდა, და არც წერით რუსული ენის ცოდნას მოითხოვდა. პირველივე მიღებული ჩინი შეძლებულ თავადაზნაურს აძლევდა სათავადაზნაურო კრებებზე საარჩევნო ხმის უფლებას.

128. იმპერიის ეკონომიური მდგომარეობა XIX ს-ის პირველ ნახევარში. 1811-1812 წლების ჯამის და შიმშილის შემდეგ სასტიკად განიავებულ და დალტაკებულ იმერეთს ეწია ახალი უბედურება.

ეს იყო 1819-1820 წლების დამარცხებული აჯანყების შედეგი. ყველაფერი ამით აიხსნება, რომ იმერეთი დიდხანს კიდევ ფეხზე ვერ წამოდგა. 1834 წლის ცნობით, იმერეთში იყო 21787 კომლი (81014 სული მამრი) მცხოვრები, ე.ი. მაინც ნაკლები, ვიდრე იყო სოლომონ II-ის მმართველობის უკანასკნელ წლებში. სახელმწიფო შემოსავალი იყო სახაზინო მიწებიდან და შენობებიდან 761 მან. წელიწადში, გადასახადებისგან 8.756 მან., ხოლო ბაჟებიდან 12897 მან., ხოლო მარტო ქუთაისის საბაჟო სოლომონ II-ის უკანასკნელ წლებში იძლეოდა 20 ათ.მანეთს საიჯარო თანხას. თუ მოსახლეობის მომრავლების მხრივ იმერეთი თანდათან უახლოვდებოდა 1809 წლის დონეს, ეკონომიკაში ის წინანდელ ხანას ვერ კიდევ მაინც ძლიერ ჩამორჩებოდა.

1820 წელს ქუთაისის ვაჭრებს ხაზინის სასარგებლოდ გააწერეს ეგრეთ წოდებული საკაპიტალო ფული 500 მან. წელიწადში საეჭვრო კაპიტალიდან 1%-ის ანგარიშით. ამ დროს, მამასადამე, ქუთაისის ვაჭრების კაპიტალი იანგარიშებოდა 50 ათ.მანეთის რაოდენობით.

ქუთაისის ბაზარი 1823 წელს შეიცავდა 150 დუქანს, რომელთაგან მხოლოდ ოთხში ვაჭრობდნენ იმერლები, დანარჩენებში კი ახალციხელი კათოლიკეები. 1817 წლიდან ქუთაისში ევროპული საქონლით ვაჭრობდა ავსტრიელი ფრადლისი. შემდეგში დიდხანს, 1850-იან წლებშიაც, ხსენებული საკაპიტალო გადასახადი 500 მანეთი არ გაუდიდებიათ, რადგანაც როგორც ჩანს, არც ქუთაისის ვაჭრების კაპიტალი იზრდებოდა. ვაჭრების მდგომარეობას გაუმჯობესება ეტყობა მხოლოდ 1850-იან წლებში¹.

იმერეთის გაღარიბების მაჩვენებელია, მაგ., შემდეგი ფაქტი. 1820 წელს, გამბას ცნობების მიხედვით, ქუთაისში იყო 1 2/3 ათ. სული ორ. სქ. ან მცირედ მეტი. ქუჩები იყო საზოგადოდ ტალახიანი და სახლები გაშენებული იყო როგორც მოხვდებოდა ქუჩების ყოველივე დაგეგმის გარეშე. სახლები გაშენებული იყო წნულიდან, ისინი შელესილი იყო თიხით და თეთრად შეღებილი კირით. მხოლოდ რამოდენიმე თავადს და აგრეთვე მდიდარ ვაჭართ ჰქონდათ ხის სახლები. იმერეთის ყოველ სოფელს, სულ მცირესაც (5-10 კომლის შემცველს) 1835 წლამდის ჰქონდა ხის პატარა ეკლესია და თვითველ ამ ეკლესიასთან იყო 1-2 მღვდელი. გარდა ამისა თითქმის ყველა მემამულეს ჰქონდა თავისი კარის ეკლესია მღვდლებით და დიაკვნებით. მღვდლების ასეთი სიმრავლით აიხსნებოდა მათი სიღარიბე, რის გამო ისინი ვერ ახერხებდნენ თავისი შეილებსათვის ხშირად წერაკითხვის სწავლებასაც.

¹ ცსია, ფ.245, საქ.15, ფ.51

ოფიციალური ცნობით, იმერეთში 1814 წელს იყო ქალქუთაისის გარდა 406 სოფელი, 12994 კომლი მცხოვრები, 44738 მამრი, 36055 მდედრი, სულ 80793 სული ორსაქ. ათას მამაკაცზე მოდიოდა 818 ქალი, რაც სხვა დროის ჩვეულებრივ ნორმაზე (ათას მამაკაცზე იმერეთში ჩვეულებრივ ითვლებოდა 927 ქალი) ბევრად ნაკლებამგონი, რომ ქალთა რიცხვს აღწერის დროს საერთოდ დაკლებულად აჩვენებდნენ. ამიტომ ათას მამაკაცზე 927 ქალის ჩათვლით მივიღებთ 1814 წლისათვის იმერეთში მოსახლეობის რაოდენობას ორივე სქესის არა 80 ათ. სულს, არამედ 86 ათ. სულამდის. ქალაქ ქუთაისში მაშინ იყო 195 კომლი (1085 სორსაქ). ოცი წლის შემდეგ ამისა (1834 წლის ახლოს) ქუთაისში არის 428 კომლი, ხოლო სულ იმერეთში, როგორც ვნახეთ, 21787 კომლი 81014 სული მამრით. მოსახლეობას მომატებია სულობრივად 80%. კომლზე 1814 წელს ითვლებოდა 3,4 მამრი, 1834 წელს კი – 3,7 სული, რაც გასაგებია, რადგანაც 1814 წელს, წინა წლებში გამოვლილ უბედურებათა შემდეგ, კომლების სულობრივი შემადგენლობაც შემცირებული იქნებოდა. ოცი წლის განმავლობაში მოსახლეობის ბუნებრივი მატება 80%-ით შეუძლებელია. ცხადია, რომ იმერეთში უკან დაბრუნებულა ჟამის დროს იქიდან სხვა მხარეებში გაქცეულ-გახიზნულნი. მაგრამ მართო ეს არ კმარა ამ მატების ასახსნელად. ფრანგი გამბა, როგორც თვითმხილველი, გადმოგვცემს, რომ 1820-იან წლებში იმერეთში ყველა ოლქში ბევრი ახალი მიწა იხენებოდა, ასე რომ, მისი სიტყვით, მოსახლეობა საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა. მოსახლეობის "ამ მომატებას, სწერს ის, ესმარება ოთომანთა იმპერიის ესტანდელი მდგომარეობა აზიაში, რაც ხელს უწყობს დიდი რაოდენობით ქრისტიანების იქიდან ემიგრაციას"-ო. ამის მიხედვით, ოსმალეთის აზიურ ქვეყნებში მაშინ შექმნილი მდგომარეობის გამო (უნდა იგულისხმებოდეს ქართველ ქრისტიანებისადმი ოსმალთა ხელისუფლების არახელსაყრელი და პირდაპირ მტრული პოლიტიკა) მესხეთიდან ქრისტიანი ქართველები ბლომად მოდიოდნენ იმერეთში და იქ სახლდებოდნენ. სულ კომლობრივად მოსახლეობამ იმერეთის ცალკე ოლქებში სხენებული ოცი წლის სიგრძეზე მოიმატა ქუთაისის ოლქში 93% (2465 კომლიდან 5739-მდე), შორაპნის ოლქში – 74,3% (3124-დან 5443-მდე), ვაკის ოლქში – 60% (3743-დან 5995-მდე), რაჭის ოლქში – 40,9% (2967-დან 4182-მდე). რაჭაში მიწის სიფიწროვის გამო და სიშორის მიზეზითაც ახალმოსულთა ხარჯზე ნაკლები მატება იყო. მგონი, რომ დაბინავებულ ახალმოსულთა რაოდენობა 1820-იან წლებში იმერეთში უნდა ყოფილიყო დაახლ. 2000-2500 კომლი.

ახალმოსულთ გაავრცელეს იმერეთში სიმინდის კულტურა. XIX ს-ნის დასაწყისში ლიტვინოვის 1804 წლის ცნობის მიხედვით ოდიშში სიმინდს სოფლის მეურნეობაში პირველი ადგილი ეკავა – იქ მოჰყავდათ სიმინდი, ფეტვი და ღომი. იმერეთში კი ამ დროს მოდიოდა პური, ქერი, ჭადის-ჭადი (ფეტვის დაგვარი), ფეტვი, ღომი, ხოლო ლეჩხუმში – პური, ჭადის-ჭადი, ფეტვი, სიმინდი და ღომი. თუმცა ლიტვინოვი იმერეთში სიმინდს არ იხსენიებს (მას ეს შემთხვევით უნდა ჰქონდეს გამოტოვებული), მაგრამ სიმინდის კულტურა იმერეთში მცირედ დადასტურებულია XVIII ს-ნემიც, მხოლოდ მას არ ეკავა მაშინ სახალხო მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი.

1817 წელს ნატურალური გადასახადები ხაზინის სასარგებლოდ შემოვიდა ქუთ. ოლქში პური მთელი გადასახადის 9/10 და ღომი 1/10, ვაკის ოლქში – მართო ღომი, რაჭიდან – მართო პური; შორაპნის ოლქიდან ნატურალური გადასახადი შემოვიდა ყველაზე მცირედ, მაგრამ ამ მცირედიდან იყო დაახლ. 30% პური, 63% ღომი, 3% ქერი, 4% სიმინდი.

რუსული მმართველობის განმტკიცების შემდეგ მდგომარეობა მალე რადიკალურად შეიცვალა და სიმინდის მოყვანა არაჩვეულებრივად გავრცელდა, ასე რომ 1850-იან წლებში სიმინდს იმერეთის სოფლის მეურნეობაში უკვე პირველი ადგილი უკავია. ოფიციალური ცნობით, იმერეთ-გურია-სამეგრელოში ამ დროს მოჰყავდათ სიმინდი, პური, ღომი, ფეტვი, კარტოფილი, ქერი, ბრინჯი და სხვ. (კარტოფილი უფრო სამეგრელოში). ამგვარად სიმინდის კულტურამ იმერეთში XIX ს-ნის პირველ ნახევარში ჰპოვა დიდი გავრცელება¹.

სიმინდის კულტურის გამარჯვება აიხსნება შემდეგი მიზეზებით. სიმინდი ხორბალთან შედარებით ითვლებოდა ორჯერ უფრო მეტი კვების უნარიანობის მქონედ (1850-იანი ცნობით, ბათმანი სიმინდი კვების უნარიანობის თვალსაზრისით უდრიდა ორ ბათმან პურს). ამასთანავე სიმინდმა იცოდა ბევრად უფრო მეტი მოსავალი. ქცევა მიწაზე იმერეთში 1850-იან წლებში თესავდნენ 1 ბათმან (18 გირვანქას)

¹ AKAK, VI, 640.

სათესლე სიმინდს, პურს კი ოთხ ბათმანს. ხოლო მოსავალი იყო სიმინდისა ქცევაზე 72-80 ბათმანი, ხოლო პურისა — 40-80 ბათმანი. სიმინდს უნდოდა გათოხნა, პურს კი არა, მაგრამ სამაგიეროდ პურს ესაჭიროებოდა ლეწვა. სიმინდის დაფქვა შეიძლებოდა ხელის წისქვილით, ხოლო პურისა კი არა. ამას მნიშვნელობა ჰქონდა ქვემო იმერეთისათვის, სადაც წისქვილების გამართვა შეიძლებოდა მხოლოდ მხოლოდ რიონზე და ცხენის-წყალზე. გარდა ამისა სიმინდს ჰქონდა კიდევ ის დიდი უპირატესობა, რომ მისი ჩალა წარმოადგენდა პირუტყვის ჩინებულ საკვებს. პირუტყვის შენახვა იმერეთში სათიბ საძოვრების დიდი ნაკლებობის გამო წარმოადგენდა ისეთ დიდ დაბრკოლებას, რომ ის მოსახლეობის გამრავლების საშუალებას არ იძლეოდა, რადგანაც ძლიერ ზღუდავდა გამწევი ძალის (ხარების) რაოდენობას. ესლა კი ეს სიძნელე გადალახული იყო. ყველა ამ მიზეზით სიმინდის კულტურამ შესაძლებელი გახადა იმერეთში (და გურია-სამეგრელოში) მოსახლეობის გამრავლება და მისი ეკონომიურადაც მოღონიერება.

ამ მიზეზებით სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებით დას. საქართველოში თანდათან იმარჯვებდა სიმინდი. როგორც მოვისხენიეთ, XIX ს-ნის დასაწყისში სიმინდი დას. საქართველოს ბარ-ადგილებშიც შედარებით მცირედ ითესებოდა. ხოლო 1852 წელს სამეგრელოში სანახევროზე მეტად უკვე სიმინდს თესავდნენ. ამ წელს ზუგდიდის ოლქში მარცვლეულთა მოსავლის 60,8% სიმინდს ეკავა, მთელ სამეგრელოს სამთავროში კი 53% (ლომი იყო მარცვლეულობის საერთო მოსავლის 23,3%, ფეტვი — 17,3%, ხორბალი — 4,3%). შემდეგში კი სიმინდის კულტურამ თითქმის რომ გამოდევნა, განსაკუთრებით ზუგდიდის და სენაკის მაზრებში, სხვა მარცვლეული კულტურები. 1880-იან წლებში, 1888 წლამდის ყოველწლიურად გაჰქონდათ საზღვარგარეთ ქუთ. გუბერნიიდან 6 მილ. ფუთი სიმინდი.

მიწათმოქმედება იმერეთ-გურიაში (და ოდიშშიც), საერთოდ დას. საქართველოში შედარებით აღმ. საქართველოსთან შედარებით პირობებში წარმოებდა. 1864 წლის ოფიციალური ცნობა ამის შესახებ აღნიშნავს, რომ მაშინ როდესაც ქართლ-კახეთში დღიურ სახნავ მიწას ჭირდება 10 წყვილი კამეჩი და ხარი თავისი მეხრებით, დას. საქართველოში იმავე მიწისათვის საკმარისია 4 წყვილი ხარი. აღმ. საქართველოში მიწა საჭიროებს მორწყვას, რაც ბევრ შრომას და ხარჯს მოითხოვს, დასავლეთში კი ეს არაა საჭირო. აღმ. საქართველოში ხორბალი იძლეოდა მოსავალს ერთი შეიდად, დასავლეთ საქართველოში კი 10-20-ად, ხოლო ლომი, სიმინდი და ფეტვი ერთი 40-60-ად.

აღმ. საქართველოში იყო მხოლოდ დაბლარი ვენახები, რომელნიც დიდ მოვლას მოითხოვდნენ, დასავლეთ საქართველოში კი მეტ წილად იყო მაღლარი ვაზი, რომელიც თითქმის არავითარ მოვლას არ მოითხოვდა. მაღლარი ქცევა მიწა მოიცავდა დაახლ. ას ხეზე გაშვებულ, დიდად მოსავლიან ვაზს, კახეთში იმავე ზომის მიწა 2 ათას ვაზამდის იტევდა. ამგვარად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის სოფლის მეურნეობაში იყო მეტად თვალსაჩინო განსხვავება.

კერძოდ იმერეთს უკვე 1826 წლისათვის შეეტყო საერთო წინსვლა. ეს ჩანს იმერეთის დედოფალ მარიამთან პეტერბურგში მოძღვრად მყოფ იოანე ხელაშვილის ერთი ცნობიდან. სახელდობრ, ეს პირი 1826 წ. ივნისში სწერს კერძო წერილში პეტერბურგიდან არხანგელსკის გუბერნიაში გარნიზონის პოლკში სასჯელად სალდათად მყოფ თავ. ნიკო იაშვილს — 1819-1820 წლის აჯანყების მონაწილეს: "აწინდელსა მცირესა დროსა შინა დიდ ფრიად განმდიდრებულა იმერეთისა ერნი მუშაკობითა და ვაჭრობითა, პირუტყვებისა განმრავლებითა და სამართლიანის მოვლითა, რომელნი ნატრიან თავთა თვისთა და ინანიან წარსრულისა შეცოდებისათვის... პირველ დროსა თქვენსა ვისაცა მოუკვდებოდის ცოცხალი, ეგოდენ მკვდარსა არა ტიროდენ, რაოდენსაცა ჭირისუფალნი მოელოდენ აკლებასა სამღვდელთაგან. ხოლო აწინდელსა ჟამსა ნებასა ზედა პატრონისასა არს მოკიდულ დამარხვა მკვდრისა. ეგრეთვე ეკლესიაები ყოველნივე ჯვართა, ხატებითა, შესამოსლებითა განშვენებულად მღვდელთა ყოველთავე (აქვთ) ანაფორანი და რომელნიცა მღვდელთა ამუშავებდნენ და მიკდიდენ ნაქონებთა, აწ განთავისუფლებულან შემსხვერპლენი.

ერთბამად თავადნი, აზნაურნი და ერნი უშიშრობენ ურთიერთისაგან, რომელთა პირველ სატევრებსა,კრმლებსა და თოფებსა ზედა ედვათ კლნი ურთიერთისაგან იჭენეულებითა და ღამესა შინა შეჭურვილნი დაიძინებდენ და მეციხოვნეთა უქმად აჭმევდენ საცხოვრებელთა სოფლებისასა. აწ არ-ლაარს, არამედ ყოველნივე ცხოვარად (მშვიდ ცხოვრებად) შეცვალებულან და აქვსთ ოქროვანი საუკუნო.

"თავადნი, აზნაურნი და მღვდელნი შეილთა თვსთა ასწავებენ ღრამატიკასა, რიტორებასა, ლოლიკასა, მეტაფიზიკასა, ფიზიკასა, ითიკასა, ლეოლრაფიასა, მსოფლიო ისტორიისასა, სამღვდლო ისტორიასა, არითმეტიკასა, ალღებრასა, მათემატიკასა, სამკედრო ფორტიკაციასა და ენებსა ევროპიისასა".

საყურადღებო ცნობაა, თუ როგორ რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ, ყველაფერი ადგილობრივი ეროვნულის უგულვებლყოფის მიუხედავად, ობიექტურად თავისი მაინც უფრო მოწყობილი სამმართველოს სისტემის მეოხებით შესძლო, კერძოდ იმერეთში, ასეთი თვალსაჩინო გაუმჯობესების შეტანა. მაგრამ ეს გაუმჯობესება არ ეხებოდა ოდიშის სამთავროს.

129. ოდიშის სამთავრო. ოდიშის მთავარი დადიანი ლევან გრიგოლის ძე იყო უაღრესად ფუქსავატი ადამიანი. მმართველობის საქმეებს ის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. გლეხობა იყო უაღრესად გაწამებული ყოველგვარი თვითნებური ფეოდალური ჩვევებისაგან (მთავრის ხშირ მგზავრობათა დროს ძროხა-საკლავის და პროდუქტების მოკრეფა და სხვ.).

სწორედ ამიტომაც, როგორც ყოველად უვარგისი მმართველი ის იყო თვით მაშინდელ პირობებშიაც რუსეთის ცარიზმის იშვიათი ურმობილი ყმა, რომელიც ყოველი რუსი ჩინოვნიკის წინაშე ძრწოდა და ცდილობდა მისი გულის მოგებას. ამით აიხსნება, რომ ოდიშის მმართველ წრეს იმ ხანაში საუკეთესო განწყობილება ჰქონდა რუსულ მართებლობასთან. როგორც წინად იმერეთთან ბრძოლაში, ლევანი და მისი უახლოესი მოხელენი იყვნენ თბილისიდან მიცემულ ყოველგვარ ბრძანების ბრმა აღმასრულებელნი და ამიტომ რუსის მთავრობა მათ ნდობით უყურებდა.

ეს გარემოება ოდიშის მთავარმა მონიღომა გამოეყენებინა სამურზაყანოს შემოსამტკიცებლად. სამურზაყანოს წინად 1758 წლიდან განაგებდა ლევან შერვაშიძე, რომელიც ორჭოფულ გზას ადგა და თავისი მართებლობის დროს უფრო აფხაზეთის მფლობელ შერვაშიძეების მხარე ეჭირა. ლევან დადიანი 1809 წ. შევიდა სამურზაყანოში და ამ მხარის გამგეობა მიანდო თავის სიძეს მანუჩარ სოლომონის-ძე შარვაშიძეს, ლევანის ძმისწულს. რუსებმა მანუჩარი დააჯილდოვეს პოლკოვნიკის ჩინით. ეს მანუჩარი იყო დიდად მოძალადე ადამიანი, თავისი 15 კაცისაგან შემდგარი ამალით დაძრწოდა თავის სამფლობელოში. ასეთი მდგომარეობა დიდ ხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. სამურზაყანოში რუსულ მმართველობის დაწესებამ ლევანსაც კი ცხადად დაანახვა, რომ ადრე თუ გვიან რუსეთი ოდიშის ავტონომიურ მმართველობასაც მოსაზობდა. ეს იყო მიზეზი, რომ თავის გვარში დადიანობის განსამტკიცებლად მან 1842 წ. რუსეთის მთავრობის ნებართვით სამთავროს მართვა-გამგეობა გადასცა თავის უფროს შვილს დავითს.

ლევანი გარდაიცვალა 1846 წ. და ამავე წლის ნოემბერში დავითი, რუსის სამსახურის გენერალ-მაიორი, დამტკიცებულ იქნა მთავრად.

დავით დადიანი (1846-1853 წ.) იყო ევროპულად აღზრდილი და კარგად განათლებული ადამიანი. მემკვიდრედ მყოფობის დროსაც ცდილობდა მმართველობის სისტემის გაუმჯობესებას ახალი რეფორმების შემოღებით. მთელი სამთავრო მან დაყო ოლქებად და თითო ოლქის სათავეში დააყენა მდივანბეგი, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა სამოსამართლო და საპოლიციო უფლებაც. მდივანბეგნი ხელმძღვანელობდნენ განსაკუთრებული ინსტრუქციით, რომელიც კავკასიის მართვა-გამგეობისათვის 1842 წელს შემუშავებულ დებულებას ეთანხმებოდა. სამთავროს ბევრი თანამდებობის პირი ჯამაგირზედ იქნა გადაყვანილი. მოისპო აგრეთვე ამა თუ იმ თანამდებობათა განსაზღვრული გვარის წევრთათვის ვადაცემა. მოხელეთა დანიშვნა თავისუფლად ხდებოდა. დავითმა გაანთავისუფლა ბატონყმურ დამოკიდებულებიდან სამღვდლოება, აკრძალა გლეხების გაყიდვა ცალკე სულებად. გლეხის გაყიდვა ამის შემდეგ შეიძლებოდა მხოლოდ ოჯახობით. ეს წესი მან გაატარა რუსული კანონმდებლობის შესაბამისად. ეს იყო დიდი შედეგითი გლეხებისთვის. მაგრამ კერძოდ სამთავრო გლეხების გულის მოგება ამით არ შეიძლებოდა. ისინი ხედავდნენ, რომ მეზობელ იმერეთში მათი მდგომარეობის შესატყვისი სახაზინო გლეხები თავისუფალ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და ამ დროს ისინი არც განიცდიდნენ რუსი სამხედრო და სამოქალაქო უფროსების და ჩინოვნიკების უსამართლო ძალმომრეობას, როგორც ეს იყო რუსული მმართველობის პირველ ხანებში. სამეგრელოში კი სამთავრო გლეხები ხშირად მთავრის სახლთხუცესის და მოურავების (უმთავრესად ჩიქვანთა გვარიდან) უკანონო ზედმეტ მოთხოვნათა და გამოძალვის მსხვერპლი ხდებოდნენ. ამიტომაც სწორედ სამთავრო გლეხებს

შორის იყო მთავრის და მისი მმართველობის მიმართ დიდი უკმაყოფილება, რაც ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ გადაიზარდა დიდ გლეხურ აჯანყებად.

დავითი ცდილობდა სამეგრელოს მოლონიერებას ეკონომიურად. განსაკუთრებით თავის მამულე-ბში მას შემოჰქონდა ახალი კულტურები (მაგ., მან შემოიღო ენდროს მოყვანა). მეაბრეშუმეობის განვითარების მიზნით მან 1848 წ. მოიწვია ფრანგი მეაბრეშუმე გრაფი როზმონდუკი, რომელმაც გამართა ზუგდიდში აბრეშუმის ძაფ-სახვევი ქარხანა. ქარხანაში ინსტრუქტორებად ფრანგი-ქალები მუშაობდნენ.

ხელს უწყობდა მთავარი ვაჭრობის განვითარებასაც რუსეთთან და ოსმალეთთან. სამეგრელოდან ამ დროს გაჰქონდათ სელის ტილოები, თაფლი, ტყავეულობა, აბრეშუმი და სხვ. ზოგ ადგილზე, მაგ., თვითონ ზუგდიდში, სუჯუნაში, ანაკლიაში, ყულევში და სხვაგან იმართებოდა დიდი ბაზრობები.

მაგრამ ყველა ამ ღონისძიების გატარებისას დავით დადიანი არ მალავდა თავის მისწრაფებას პირადი გამდიდრებისა და ფუფუნებისაკენ.

სამთავრო შემოსავლის გასადიდებლად მან შემოიღო ახალი გადასახადი ეგრეთ წოდებული საუდიერო, რომელიც დაეწერა როგორც სამთავრო, ისე სათავადაზნაურო საეკლესიო გლეხებს. ამ საუდიეროს შეადგენდა ერთი ღორი, 10-15 კოკა ლეინო, 1-5 ქილა ღომი და 1 ქათამი.

დიდად სასარგებლო იყო მთავრისთვის კონტრაბანდული საქონლით ვაჭრობისთვის ფაქტიურად ხელის შეწყობა ყულევის (რედუთ-კალეს) და ანაკლიას ნავთსაყუდლებით. კბოროზდინის სიტყვით ამ უკანონო გზით დავით დადიანმა ნახა ხეირი ნახევარ მილიონ მანეთამდის ოქროთი. თბილისში სანამესტნიკოში იცოდნენ ეს და ამისდაგვარი სხვა თვითნებობანი და ამიტომ ნამესტნიკმა ვორონ-ცოვმა მოსინჯა ნიადაგი დავით დადიანთან, თუ რა პირობით დასთანხმდებოდა ის მთავრის უფლებების უარის თქმას. დავით დადიანმა ამის საკომპენსაციოდ მოითხოვა ყველა სამთავრო გლეხების და მამულეების (ე.ი. ოდიშ-ლენსუბის მიწა-წყლიდან დაახლ. 200 ათ. დესეტინა მიწა-ტყე-სათიბები) მის კუთვნილებად დატოვება და 30 ათ. მანეთი ვერცხლით (ოქროთი) პენსია. ეს პენსია ძლიერ ედიდათ და საკითხის გადაწყვეტა შერჩადა.

დავით დადიანმა მოაწყო თავისი კარი მდიდრულად. თვით მთავარს და აგრეთვე მის ცოლს ეკატერინეს (რომელიც პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალი იყო) ჰყავდათ სამეგრელოს თავადიშვილებისაგან და მათი ქალებისაგან შემდგარი ბრწყინვალე ამალა, რომელსაც შენახვა უნდოდა. დავითი ამასთანავე მოლოდინში იყო, რომ რუსეთის მთავრობა ადრე თუ გვიან გააუქმებდა სამეგრელოს სამთავროს ავტონომიას და ლიკვიდაციას გაუკეთებდა თვით სამთავრო დინასტიას. ამიტომ ის ცდილობდა თავისი პირადი ქონება (ყმების, მამულეების) გამრავლებას სამეგრელოში, რათა სამთავროს გაუქმების დროისათვის რუსეთის მთავრობა იძულებული ყოფილიყო სათანადო კომპენსაცია მიეცა მისთვის და მისი ოჯახისათვის.

სამთავროს მთელი შემოსავალი მიდიოდა პირადად მთავრის და მისი კარის მდიდრულ ცხოვრებაზე. საზოგადოებრივ საჭიროებაზე თითქმის არაფერი არ იხარჯებოდა. სამეგრელოში მთავრის ხარჯზე არ იყო არც ერთი სკოლა (ერთი მცირე სკოლა იყო მხოლოდ მარტვილში და ისიც რუსეთის მთავრობის ხარჯზე). გზების გაკეთებაზე ან მოსახლეობის საჭიროების რომელიმე სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე მთავრის მართებლობა აგრეთვე სრულებით არ ზრუნავდა.

დავით დადიანი გარდაიცვალა ახალგაზრდა (1853 წ. ოქტ.). მისი მემკვიდრე ნიკოლოზი ჯერ მცირეწლოვანი იყო, და ამიტომ სამთავროს მართვა-გამგეობა მიენდო დავითის ქვრივს ეკატერინე დედოფალს.

ამ დროს დაწყებული იყო ეგრეთ წოდებული ყირიმის ომი რუსეთსა და ოსმალეთს და ოსმალეთის მოკავშირე დას. ევროპის სახელმწიფოებს შორის. შემდგომი წლის გაზაფხულზე (1854 წ.) ოსმალნი და ინგლისელნი მოადგნენ ყულევს და ზარბაზნები დაუშინეს მას. ყულევი მალე აღებულ იქნა და დედოფალი ეკატერინე ახალგაზრდა მთავრითურთ ზუგდიდიდან გაიქცა გორდს და იქიდან ლენსუბს. ამავე ხანს აფხაზეთში შემოვიდა ოსმალთა ჯარი 2 ათასი კაცი ჩერქეზ სეფერ-ბეის წინამძღოლობით. მეორე წელს (1855 წ.) ოსმალთა აფხაზეთში გადმოსხეს ჯარი, რომლის უფროსად დანიშნული იყო უნგრელი რენეგატი ომარ-ფაშა. 30 ათასი კაცით ოსმალნი მოადგნენ მდ. ენგურს. აქ სოფ. კოკთან ენვერ-ფაშამ დაამარცხა რუსის ჯარი გენ. ბაგრატიონ-მუხრანელის წინამძღოლობით

და დაიკავა ზუგდიდი. სამურზაყანოში ოსმალთ მმართველად დასვეს მათ მხარეს გადასული რუსის სამსახურის გენ. ლეიტ. კაცია მარღანია, ხოლო ზუგდიდს ნიკოლოზ დადიანის ძე.

რუსის ჯარმა ხონისკენ დაიხია, ხოლო ომარ-ფაშამ აცნობა ეკატერინეს, რომ მოკავშირეთა სურვილია ოდიშის დამოუკიდებლობის დამკვიდრება რუსეთის წინააღმდეგ და სთხოვდა ზუგდიდში ჩასვლას. ეკატერინემ ეს წინადადება უპასუხოდ დასტოვა და რუსეთის ერთგულად დარჩა. მალე რუსის ჯარი გადავიდა შეტევაზე ომარ-ფაშას წინააღმდეგ, რომელიც ამ დროს უკვე ცხენის-წყალზე იდგა. ოსმალთ უკან დახევა იწყეს და რბევა-ოხრებით გაიარეს ქვეყანა. ზუგდიდში დასწევს მთავრის სასახლე და შემდეგ გადაბუგეს მთელი დაბა. ოსმალთა ჯარი დაბინავდა ზღვის პირის ახლოს ალონს, ყულევსა და ნაბადას შორის. ამის შემდეგაც წვრილ-წვრილი შეტაკებანი არ შეწყვეტილა, ვიდრე პარიზის ტრაქტატით (მარტი 1856 წ.) ოსმალებმა არ დასცალეს როგორც ოდიში, ისე აფხაზეთი.

130. ანარქია ოდიშში. ოსმალეთის ჯარის მყოფობამ სამეგრელოში მეტად მძიმე დაღი დაასვა მეგრელებს. სოფლები ძლიერ დაზარალდნენ, რადგანაც ოსმალთა ჯარისკაცები თუმცა ეს მათ აკრძალული ჰქონდათ, მაინც სპობდნენ შინაურ ფრინველებს, სწავებდნენ სათბურად ღობეებსა და ზოგ შემთხვევაში შენობებსაც. წასვლის წინ ომარ-ფაშამ გადააწვევინა მთავრის სასახლე ზუგდიდში და სხვა.

ომის დამთავრების შემდეგ თავადაზნაურნი შეუდგნენ თავიანთი დაზიანებული მეურნეობის და სახლკარის აღდგენას თავისივე ყმების ხარჯზე. მაგრამ გლეხები თვითონვე იყვნენ ოსმალეთის ჯარის მყოფობის შედეგად მეტად დაზარალებულნი, ასე რომ მათ უნდა ეზრუნათ თავისი საკუთარი მეურნეობის აღსადგენადაც. ამიტომაც მემამულეების ახალი მოთხოვნები მათთვის მეტად სამძიმო და ხშირად შესასრულებლადაც შეუძლებელი იყო. ამას დაემატა ის მდგომარეობა, რომ ეკატერინე დედოფალი გაიწვიეს ახალი იმპერატორ ალექსანდრე II-ის გვირგვინის კურთხევაზე მოსკოვში. ამის გამო თითქმის ერთი წელიწადი სამეგრელოს მმართველობა იყო მისი მახლეების გრიგოლის და კონსტანტინეს ხელში. თუმცა ეკატერინე მალე დაბრუნდა პეტერბურგიდან, მაგრამ მთელი ზამთარი ის თბილისში იმყოფებოდა. ზეპირგადმოცემით (თავ. ლევან ჯაიანი) ამ ხანაში მაინც მდგომარეობა ძლიერ გაუარესდა — ოდიშში არც არავითარი ადამიანობა არ იყო და არც სამართლიანობაო. გრიგოლს თვითონ უნდოდა მმართველად ყოფილიყო რათა შემდეგ გაეტარებინა მმართველობაში მისი თვალსაზრისით საჭირო რეფორმები. ხოლო თუ ეს არ მოხერხდებოდა, მაშინ ის ამჯობინებდა რუსული მართებლობა ყოფილიყო სამთავროში შემოღებული. ჩანს, ის საერთოდ პროგრესულად მოაზროვნე პირი იყო. მან იცოდა ძლიერ კარგად რუსული ენა, ცხოვრობდა დიდხანს პეტერბურგში, სადაც იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა 1843 წლის ახლოს გადაუხადა მას ჯვრის წერა და ქორწილი (გრიგოლმა ცოლად შეირთო გურიის უკანასკნელი მთავრის მამიას ასული ტერეზა, რომელიც პეტერბურგში იყო აღზრდილი).

გრიგოლი იყო იმავე დროს ქართველი პოეტიც. ბუნებრივია, რომ ასეთი ადამიანი ოცნებობდა სამთავროს მმართველობის გაუმჯობესებაზე. რაზედაც ეკატერინე დედოფალი, თავისთავად ჰყვანიდა და მომხიბლავი ქალი, სრულებით არ ფიქრობდა.

სამეგრელოს თავადაზნაურობა ამ დროს გაყოფილი იყო ორ ნაწილად. ერთი ნაწილი, რომელიც გრიგოლის მომხრე იყო, უფრო მასთან იკრიბებოდა სოფ. ქვაშიხორში. სხვები კი იკრიბებოდნენ სხვა ადგილას კონსტანტინესთან. ასეთ პირობებში გაბატონებულ წოდებათა ინტერესების მომსახურებელი მმართველობის საქმე სამთავროში ძლიერ შეირყა, რაც გაძვალტყავებულ გლეხობას საშუალებას აძლევდა თავისი გაჭირვების შესახებ ხმა ამოეღო. გაჭირვებას განიცდიდა ყველა კატეგორიის გლეხი. მაგრამ განსაკუთრებით უკმაყოფილონი იყვნენ სამთავრო და საბატონიშვილო გლეხები. შეიძლება, გადმოსცემდა ამ ამბების მომთხრობი თავ. ლევან ჯაიანი, რომ სამთავრო გლეხების მიმართ თვით დედოფალი (ასე ეძახდა ეკატერინეს ხალხი, რომელმაც მისი სახელი არც იცოდა; თავადაზნაურობაც მას მეტ წილად აგრეთვე დედოფალს ეძახდა) აქ არაფერ შუაში არ იყო, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მისი სახელით მოქმედი სახლთხუცესი თავ. ჩიქვანი და მათი ხელქვეითი სხვა ჩიქვანები და მცირე მოხელეები, რომელნიც დედოფლის სახელით მოქმედებდნენ, ხალხს ტყავს აძრობდნენ. ამის გამო ისეთი პირობები შეიქნა, რომ სამთავრო გლეხები ბევრად უფრო უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ვიდრე, მაგ, თავადების. ოდიშში დიდი ძალა ჰქონდა მორღუებს (გამზრდელების ინ-

სტიტუციას). მორდუები ნათესავზე უფრო ახლობლებად ითვლებოდნენ. მორდუები კი ჩვეულებრივი გლეხები იყვნენ.

ეს გარემოება აახლოვებდა თავადებს და თავადიშვილებს გლეხების ნაწილთან – ჩვეულებრივ მებატონეები ძლიერ მფარველობდნენ თავიანთ ძიძიშვილებს.

რაც შეეხება დადიანის სახლის ბატონიშვილებს, რომელთა ხელში მეტ წილად იყო სამმართველო ძალაუფლება ადგილზე, ისინი ხშირად თვითნებობდნენ, როგორც თავიანთ ისე სხვა მემამულეთა გლეხების მიმართ. სამთავრო გლეხებისთვის, სამთავრო აპარატის მოშლის გამო, შეიქმნა კიდევ უფრო ძნელი პირობები – მათთვის მთავარ უბედურებას მოურავები წარმოადგენდნენ, რომელნიც ბევრ უსამართლობას ჩადიოდნენ.

131 გლეხების აჯანყება ოღიშში. საერთოდ ომმა შეძრა სამეგრელოს მოსახლეობა. მეგრელი სამთავრო გლეხები ცხადად ხედავდნენ, რომ მაშინ როდესაც მეზობელ იმერეთში სახაზინო გლეხები თავისუფალ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ისინი იძულებული იყვნენ მთავრის მოურავების ყოველგვარი ძალადობა მოეთინათ. უსამართლობას და დებულების დარღვევას ითმენდნენ თავიანთ მებატონეთაგან საბატონო გლეხებიც, მაგრამ მანაც ნაკლებ. ამიტომ სამეგრელოში განსაკუთრებით მთავრის გლეხობა ნატრობდა რუსული მმართველობის დამყარებას მათ ქვეყანაში. საკმაო იყო მცირე საბაბი, რომ მთავრის მმართველობის წინააღმდეგ გლეხობა ფეხზე დამდგარიყო. ასეთი საბაბიც გაჩნდა.

სოფ. სალხინოში მთავრის სახლთუხუცესი საჩქაროდ შეუდგა მთავრის დანგრეული სასახლის აშენებას სოფ. სალხინოში, სამუშაოზე გაწვეული იყვნენ სამთავრო გლეხები უსამართლო და ზედმეტი დატვირთვით. სახელდობრ, სახლთუხუცესმა მოითხოვა, რომ გლეხები გამოსულიყვნენ სამუშაოდ თავიანთი საკვებით, მაშინ როდესაც ჩვეულებრივ მებატონე ვალდებული იყო ასეთ შემთხვევებში მუშებისათვის მასპინძლობა გაეწია. მეტიც, როდესაც სამუშაოდ გამოსულმა გლეხებმა თავისი საკვები სიმინდი მიიტანეს მთავრის წისკვილში, მათ აქ საფუკავი მინდი გადაახდევინეს. გლეხები აღშფოთდნენ. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ მათ არავითარი გასაქანი არ ჰქონდათ და არც მათი გამკითხავი იყო ვინმე.

აჯანყება პირველად დაიწყო 1858 წლის თებერვალში ჯვარის მხარეში სადაც ლევან კვარაცხელიას მეთაურობით შეიკრიბა სამ ათასამდის გლეხი.

ლევან კვარაცხელია, გადმოცემით (იხ. ლიტ. გაზ. 1963 წ. ივნ. ივლ. აგვ.) ამ დროს უკვე მოხუცი კაცი, 1836 წელს მონაწილეობას ღებულობდა მეგრულ მილიციაში, რომელიც რუსის ჯართან ერთად იბრძოდა ყუბანის ჩერქესების წინააღმდეგ. ერთ-ერთ ასეთ ბრძოლაში კვარაცხელია სერიოზულად დასჭრეს ფეხში. ამ ბრძოლებში სიმამაცის გამოჩენის გამო ლევან კვარაცხელია რუსის მხედართმთავრების შუამდგომლობით დააჯილდოვეს წმ. გიორგის ჯვრით (ეს იშვიათი და მაღალი ჯილდო იყო). მან იცოდა სალაპარაკო რუსული ენა, გაცნობილი იყო რუსულ სამხედრო წესებსაც. შემდეგ ის იყო წალენჯიხაში მამასახლისადაც. პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდა.

ამვე დროს წალენჯიხის მხარეში გაჩნდა ახალი მეთაური 45 წლის (კ. ბოროზდინის სიტყვით, 30 წლის) უტუ მიქაეა. ის იყო ქუთაისისა, თბილისისა და სხვაგან ნავალი კაცი. დავით დადიანის დროს ცხენზე მისი შეჯდომისას იყო უზანგის დამჭერი (ეს საბატონო მოვალეობად ითვლებოდა), რაც ჩვეულებრივ აზნაურს ევალებოდა, მაგრამ მიქაეამ, როგორც ლამაზი გარეგნობის მქონემ და ენაწყლიანმა კაცმა მიაღწია ამას. როდესაც უტუ მიქაეამ და ლევან კვარაცხელიამ დაიწყეს ერთად მოქმედება, ამის შემდეგ პირველობდა მიქაეა, კვარაცხელია იყო მისი თანაშემწის დაგვარი. უტუ მიქაეა იყო ჯერ იარაღების მკეთებელი და შემდეგ მჭედელი. ამ დროს სამეგრელოს გლეხობაში მასობრივად ვრცელდებოდა სიმინდის დამუშავება, რისთვისაც საჭირო იყო რკინის სახნისზე გადასვლა. უტუ მიქაეა გახდა ასეთი სახნისების მკეთებელი. გადმოცემით, მან პირველმა გამართა თავის მხარეში რკინის სახნისების სამჭედლო. მოძრაობა მალე გადაედო სამეგრელოს სამთავროს მეზობელ მხარეებს და საბატონო გლეხებსაც. მარტვილის მხარედან, მაგალითად, გამოვიდნენ 300-მდის კაცი, ხოლო მდ. ხოფის მარცხენა ნაპირას შეიკრიბა 4 ათასამდის გლეხი. ამ ორივე მხარეში მათი წინამძღოლი იყო მართალი თოდუა. ამ ხანებში უტუ მიქაეას ხელქვეით უკვე 7 ათასამდის (მეორე ცნობით 10 ათასამდის) კაცი იყო. უტუ მიქაეა გახდა მოძრაობის მთავარი წინამძღოლი. ხალხი მას კეისარს ეძახდა.

გლახებს ადგილებზე ჰყავდა სხვა თავისი მეთაურები. გადმოცემა უხუთის მხარისთვის ასეთ მეთაურად ასახელებს უტუ ჭანტურას, თანამედროვე თედ. ხოშტარია იხსენიებს კიდევ ზუგდილში გლახს ვეხუას (ვეკუას). მეამბოხეთ ყველგან ჰქონდათ თავისი დროშა, წითელი ფერის "შილა", ხოლო თავის ლაშქარს ისინი "ურდუმს" უწოდებდნენ. ყველგან აჯანყებულნი აფიცებდნენ გლახებს და ვინც ფიცზე უარს ამბობდა, მას როზგებით უმასპინძლებდნენ. თავადებს ჩამოართვეს მოსამსახურეები – ქალები და კაცები. მოაჯანყენი შედიოდნენ ეკლესიებში, გამოჰქონდათ იქიდან ხატები ხალხის დასაფიცებლად და შეურაცხოფას აყენებდნენ იმ მღვდლებს, ვინც გლახების დაშოშმინებას ცდილობდა. გლახები ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი. ბევრ მათგანს ჰქონდა მხოლოდ კეტები და ცულები. მოძრაობამ მიიღო იშვიათი მასობრივი ხასიათი.

საბატონო გლახები ილაშქრებდნენ დებულების დარღვევის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ ამ დებულების დაცვას. მეტის მოთხოვნისაგან თავს იკავებდნენ სიფრთხილის გამო. ამიტომ იმ თავადებს, რომელნიც გლახებს ზედმეტად არ აწუხებდნენ, მოძრაობა არც შეხებია¹. მაგ., თავად ჯაიანებისთვის მოსამსახურეები არ ჩამოართვევიათ, თუმცა მოაჯანყეთა ჯარი მათ მამულშიც შევიდა. ამავე გადმოცემით, ოდიშის მაშინდელი თავადების დიდად დიდი უმეტესობა საზოგადოებრივი თვალსაზრისით მავნებელნი ან უსარგებლონი იყვნენ – ვინც მათგან გამოსადეგი იყო, ქურდები იყვნენ, ხოლო დანარჩენები ლენჩებს წარმოადგენდნენ (ლევან ჯაიანის ცნობა).

გლახები ყველგან გამოვიდნენ ველად, მაგრამ იყვნენ მშვიდად. მოძრაობა მიმდინარეობდა იშვიათი ორგანიზებით.

მემამულეების დიდ უმეტესობას გამოცხადებული ჰქონდა ბოიკოტი, ხალხი კი დაბანაკებული იყო ვაკე-ველებში, მაგრამ არავითარ ძალმომრეობას მემამულეების მიმართ ადგილი არ ჰქონდა. ხოლო რადგანაც ეკატერინემ სრულებით ვერ გაართვა თავი აზღვავებულ ხალხს, ამიტომ მან მიმართა ქუთაისის გუბერნატორს ჯარის გამოგზავნის თხოვნით.

ეკატერინესთვის ეს იყო შეცდომა და მოხდა ის მთავრინას საქმეთა მმართველის თავ. ირაკლი ლორთქიფანიძის რჩევით, რომ, როგორც ამას გადმოგვცემს თედ. ხოშტარია, "ხელმწიფე იმპერატორის მფარველობის ძალით ვალდებული იყო რუსეთის მთავრობა, რომ მორჩილებაში მოუყვანოს აჯანყებულები. მაგამ ეს ასე არ მოხდა". სახელდობრ, ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის ჩარევას ამ საქმეში მოჰყვა იმავე წელს სამთავრო მოხელეთა ხელისუფლების ფაქტიური გაუქმება.

ეკატერინეს წერილის მიღებისთანავე ქუთაისის გუბერნატორი კოლიუბიაკინი კახაკების ჯარით გაემართა სამეგრელოში და მან მიაღწია იმას, რომ ხალხი მშვიდობიანად დაიშალა თავიანთ სახლებში. კოლიუბიაკინი დაპირდა გლახებს მებატონეების ზედმეტი ძალმომრეობისა და გადასახადებისგან დაცვას.

აჯანყების მთავარი მიზეზი იყო გლახების უუფლებო მდგომარეობა სამეგრელოში. ბატონყმობა არსებობდა რუსეთის კუთვნილ სხვა მხარეებშიც, მაგრამ იქ გლახების გადასახადები და მოვალეობანი ასე თუ ისე განსაზღვრული იყო. სამეგრელოში კი მებატონეები და თვით მთავრის მოურავები ხშირად მიმართავდნენ სხვადასხვა ზედმეტ ძალმომრეობას გლახების მიმართ განსაკუთრებით ამ ხანაში. აჯანყების მეთაური უტუ მიქაჟა და მართალი თოდუა მოითხოვდნენ მებატონეების მხოლოდ ზედმეტ და უკანონო მოქმედებათა აღაგმვას. ეს მოთხოვნა იმდენად ზომიერი და ელემენტარულად სამართლიანი იყო, რომ რუსეთის მართველობის პირნი იძულებული გახდნენ ამაზე დათანხმებულიყვნენ. კოლიუბიაკინი დაპირდა ქუთაისს, ხოლო სამეგრელოში ჩამოვარდა შედარებით მშვიდობიანობა.

მაგრამ ყველაფერ ამას მოჰყვა შემდეგი "მთავრინა და მისი მმართველობის პირნი, სწერს თანამედროვე თედ. ხოშტარია, დარჩნენ თითქმის გაუქმებულნი, რომლებიც ვერაფერს თავიანთ ადრინდელ დანიშნულებისამებრ ვერ მოქმედებდნენ და თითქმის ხარჯის ძლევაც მიატოვა ხალხმა მთავრინასადმი, რომელსაც იმედი არ გაუშართლდა. იგი ელოდა, რუსული ხელისუფლება ძველებურად მთავრინას სრულ მორჩილებაში მოიყვანდა ხალხს. ესლა შეატყო, რომ შეირყა ყოველი

¹ ამ გადმოცემის ცნობები ჩაწერილია ბესარიონ ჯაიანისგან (გარდაიცვალა 1953 წ. 70 წლის), რომელსაც თავის მხრივ აჯანყების ამბები გაგონილი ჰქონდა თავისი მამისგან თავად ლევან ჯაიანისგან (გარდაიცვალა 1917 წ. დაახლოებით 78-79 წლის)

მთავრული და მმართველური მისი უფლება, რომელშიც უცვილობლად აიძვებდა მთავრინას საქმე-
ბის მმართველი ლორთქიფანიძე". ამგვარად სამთავროს ხელისუფლება ფაქტიურად უსაქმოდ დარჩა,
რადგანაც ხალხი, ქუთაისის გუბერნატორის და მისი მოხელეების მოიძვდა, გადაუდგა მას და ცალკე
დადგა. პირველ რიგში ასეთი მოქმედება დაეტყო საკუთრივ სამთავრო გლეხებს.

რაც შეეხება, სამეგრელოს გლეხთა აჯანყების აქტიურ პირთ, როდესაც ყველაფერი დაწყნარდა,
ლევან კვარაცხელია, უტუ მიქავა, მართალი თოდუა და მათთან სხვანიც, სულ 34 კაცი, სასჯელად
რუსეთის შორეულ გუბერნიებში გაგზავნეს სხვადასხვა ვადით. მათგან ექვსი ცოცხალი არ დაბრუნებ-
ულა.

132. ოდიშის სამთავროს ბაჟმეხება. ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ რუსეთის მმართველ
წრეებში უკვე დასმული იყო საკითხი საქართველოში ჯერ კიდევ არსებული ავტონომიური სამთა-
ვროების გაუქმების შესახებ მით უმეტეს, რომ ამ სამთავროთა მმართველობის წესი მეტად ჩამორ-
ჩენილი იყო. და მთავრები საზოგადოებრივ საჭიროებაზე თითქმის სრულებით არ ზრუნავდნენ.
გლეხთა ხსენებული აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ იმავე წელს ნამესტნიკმა ბარიატინსკიმ გაგზავნა
სამეგრელოში იქაური ვითარების გამოსარკვევად ნამესტნიკის საბჭოს წევრი დე-კრუსი, რომელიც
უკან დაბრუნებისას თავის მოხსენებაში უაღრესად უარყოფითად ახასიათებდა სამეგრელოში არსებულ
რეჟიმს: "სიძარბოე იქ არ არსებობს, ადმინისტრაცია ცხოვრობს გადასახადებით და თვითონაც ღე-
ბულობს მონაწილეობას ქურდობასა და ძარცვაში. სამართალი აშკარად იყიდება ფულით. სკოლების
ხსენებაც არ არის. დედოფალს სურს მხოლოდ იმეფოს და აშენოს სასახლეები, მართვა-გამგეობაზე კი
სრულებით არ ფიქრობს. მმართველობა გადაქცეულია ჩიქვანების ძარცვა-გლეჯის ასპარეზად"
(ჩიქვანებიდან იყვნენ სახლთხუცესი და სამთავროს მამულების მოურავ-მოხელეები).

სამეგრელოს აჯანყება ეხლა გამოყენებული იქნა საბაბად სამეგრელოში რუსული მმართველობის
შემოსაღებად. ეკატერინე დედოფალს წინადადება მისცეს გადასახლებულიყო პეტერბურგს ვითომდა
მცირეწლოვანი მთავრის ნიკოლოზის უკეთ აღსაზრდელად. სამეგრელოში შემოღებულ იქნა რუსული
მმართველობა (1858 წ.). სამეგრელოს მმართველად დანიშნა ქუთაისის გუბერნატორის ძმა, მეორე
კოლიუბაიკინი, რომელთანაც შესდგა ეგრეთ წოდებული სამეგრელოს საბჭო 5 წევრისაგან შემდგარი:
ამათგან ორი იყო რუსის მოხელე მთავრობის მიერ დანიშნული, ორი ოდიშის თავადებისაგან და
ერთი აზნაურთაგან. საბჭოს თავმჯდომარედ იყო სამეგრელოს მმართველი სამხედრო გუბერნატორის
უფლებებით. ის ემორჩილებოდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს.

თუმცა ნომინალურად ჯერ კიდევ ოდიშის სამთავრო განაგრძობდა არსებობას, მაგრამ ცხადი
იყო, რომ სამთავროს წინანდელი მმართველობა უკვე აღარ დაბრუნდებოდა. მართლაც, 4 იანვარს
1867 წ. სრულწლოვანად გამხდარმა მთავარმა ნიკოლოზ დადიანმა, რომლის სახელით აქამდის კიდევ
მართავდნენ სამეგრელოს, უარი სთქვა, თანახმად რუსეთის მთავრობის წინადადებისა, მთავრის
უფლებებზე, რის სამაგიეროდ მას მიეცა იმპერატორისაგან 1 მილიონი მანეთი ოქროთი. ამასთანავე
სამთავროს სახასო მამულები ჩარიცხულ იქნა ყოფილი მთავრის კერძო საკუთრებად (დაახლ. 280
ათასი ჰექტარი მიწა), ხოლო გვარად კი მას მიეცა უგანათ. თავადის მინგრელსკის სახელწოდება. რო-
გორც ეს ტიტული, ისე სამაიორატო მამული მემკვიდრეობით გვარის უფროს წევრზე უნდა
გადასულიყო.

ყოფილი სამეგრელოს სამთავროს ტერიტორია გაყოფილ იქნა სამ მაზრად (ზუგდიდის, სენაკის
და ლეჩხუმის). მაზრის უფროსები ემორჩილებოდნენ ქუთაისის გუბერნატორს.

სამეგრელოს სამთავროს ფორმალურადაც გაუქმებამ დიდი სიხარული გამოიწვია მთელ მოწინავე
ქართველ საზოგადოებაში. ქუთაისში ამის გამო შესდგა იმერლების და მეგრელების წარმო-
მადგენელთა დიდი საზეიმო შეხვედრა-წვეულება.

133. სპანაოი. სვანეთი ბუნებრივად იყოფოდა ორ ნაწილად. ერთი ნაწილი მდებარეობდა მდ. ენ-
გურის ზემო-ნაწილში (ეს არის ახლანდელი ქვემო-სვანეთი). მე-16 ს-ნის პირველ ნახევარში ჯერ
კიდევ არსებობდა ცალკე სვანთა ერისთავი (ერისთავად იყო გელოვანის გვარის წევრი).

მას შემდეგ რაც სამეგრელოს სამთავრო გახდა იმერეთისაგან დამოუკიდებელი, ცხენის-წყალის
სვანეთი დარჩა ლეჩხუმის სამოურაოში გელოვანების ხელქვეით და კვლავინდებურად იმერეთის მეფეს

ემორჩილებოდა. მაგრამ როდესაც ლეჩხუმი მოჰყვა დადიანების ხელქვეით (მე-18 ს-ნეში). ცხენის-წყალის სვანეთიც სამეგრელოს სამთავროს მიეკუთვნა. მას ერქვა ამიტომ სადადიანო სვანეთი.

რაც შეეხება ენგურის-პირა სვანეთს, მე-16 ს-ნის ბოლოსვე აქ აღინიშნა აშკარა განსხვავება მისი აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილს შორის. აღმოსავლეთმა ნაწილმა შეინარჩუნა თავისი თემობრივი მართებლობა და მოიპოვა სრული დამოუკიდებლობა, რის გამო ამ ნაწილს დაერქვა სახელად უბატონო (თავისუფალი) სვანეთი. ძველი დამოუკიდებლობის აღსანიშნავად თავისუფალი სვანეთი აძლევდა იმერეთის მეფეს ერთგვარ ხარკს. სოლომონ II-ის დროს თავისუფალი სვანეთი უგზავნიდა იმერეთის მეფეს წელიწადში სამ ბათმან თოფის წამალს.

ხოლო ენგურისპირა სვანეთის დასავლეთი ნაწილი მოჰყვა ორი გვირის რუჩაგიანის და დადემქელიანის ხელქვეით. მალე მათ შორის ატყდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელიც თანდათან დადემქელიანების სასარგებლოდ ვითარდებოდა. იმამ დადემქელიანმა სიკვდილის წინ თავის შვილებს უანდერძა: რუჩაგიანები გასწყვიტეთ და მათი დალუპვის ამბავი საფლავში ჩამომძახეთო, მაშინ მე სიხარულსაგან გამოვცოცხლდებიო. დადემქელიანებმა მართლაც მალე ამოსწყვიტეს თავიანთი მეტოქეები და საბატონო სვანეთი თვითონ დაიპყრეს.

მე-18 საუკ. ნახევარში საბატონო სვანეთს ფლობდა დიდი ოთარ დადემქელიანი. მათ მემკვიდრეებს შორის გამუდმებული შუღლი და ურთიერთ ხდომა იყო. 1783 წელს სადადემქელიანო სვანეთს განაგებდა დავით დადემქელიანი, რომელიც ინახულა გერმანელმა რეინეკსმა. მისი სიტყვით, ეს დავითი განსაცვიფრებლად ახოვანი და იშვიათი სილამაზის კაცი იყო. ამ დავითის შემდეგ მთავრად იყო თენგიზ დადემქელიანი, რომელიც ერეკლე II-ის ცოლის დარეჯან დედოფლის ახლო ნათესავი იყო. ამ თენგიზის შემდეგ 1820-იანი წლების დასასრულს მომრავლებულ დადემქელიანებს შორის ურთიერთობა გამწვავდა. ბაბა-ციოხის შვილმა თათარხან დადემქელიანმა 1832 წელს მიმართა იმერეთის მმართველს გენ. ვაჟულსკის რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის განცხადებით. ამავე დროს ციოხ დადემქელიანმა მოინდომა რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა, რათა თავის ბიძაშვილისათვის დაესწრო და სადადემქელიანო სვანეთი თვითონ დაეპყრო. 1833 წ. როგორც თათარხანი, ისე ციოხი, თხოვნითი მუხლების წარდგენის შემდეგ რუსეთის მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქმნენ მთავრებად. დადემქელიანების სახლი მეზობელ ყარაბაღსა და აფხაზეთის ზეგავლენით მაჰმადიანობისაკენ მიდრეკილიყო. ესლა კი რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლისას ორივე მთავარმა ქრისტიანობა მიიღო. თათარხანს დაერქვა მიხაილ, ხოლო ციოხს ნიკოლოზი. პირველს შეხვდა ეცერი და ბეჩო, ხოლო მეორეს ჩიზუხევი.

უთანხმოება ორივე შტოს შორის არც ამის შემდეგ მოსპობილა. 1841 წ. სექტემბერში მოკვდა ციოხი, რომლის უფროსი შვილი 14 წლის კონსტანტინე თავისი ენერგიული ბების გიგო-ხანუმის ხელმძღვანელობით შეუდგა ჩიზუხევის მფლობელობას. 1843 წ. თათარხანი დაეცა გიგო-ხანუმს ფარის ციხეში და ცეცხლი წაუკიდა ციხეს. გიგო-ხანუმი ოცი მეტრის სიმაღლე კოშკიდან გადმოხტა და მოკვდა.

ამ ფაქტმა დიდად გაამწვავა მდგომარეობა სადადემქელიანო სვანეთში, რადგან დალუპულ გიგო-ხანუმის შვილიშვილები სისხლის ძიებას შეუდგნენ. თათარხანი მოკვდა 1850 წ. და სუთი წლის შემდეგ მისი შვილი ჯანსუხი მოკლეს ციოხის შვილებმა თენგიზმა და ისლამმა. ჯანსუხის შვილები გაიქცნენ სამეგრელოს, ხოლო ეცერი დაიპყრო ციოხის შვილმა კონსტანტინე დადემქელიანმა. 1857 წ. მანვე დაიმორჩილა თავისუფალი სვანეთის ორი საზოგადოება და ფიცი მიალეგინა მათ თავის ერთგულებაზედ. თავისუფალ სვანეთს კი უკვე 1840 წელს მიეღო რუსეთის ქვეშევრდომობა. ამის გამო კონსტანტინე დაიბარეს ქუთაისს. კონსტ. დადემქელიანი იყო ახოვანი და მეტად ლამაზი კაცი, მაგრამ სათანადო განათლებას მოკლებული (რუსული მან იცოდა მცირედ). რუსულ მართებლობას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა სვანეთის სამთავროსათვის ბოლო მოეღო. რამოდენიმე ხნის შემდეგ ქუთაისის გენ. გუბერნატორმა თავ. გაგარინმა გამოუცხადა დადემქელიანს ნამესტნიკის თავ. ბარიატინსკის განკარგულება — დროებით საცხოვრებლად ერევანს წასულიყო. ამ წინადადებით გაანჩხლებულმა კონსტანტინემ იძრო თავისი დიდი ხანჯალი და იქვე მოკლა გაგარინი (1858 წ.) და მასთან ერთად დახოცა და დასჭრა სხვებიც. კონსტანტინე შეიპყრეს და რამოდენიმე დღის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს (5 ნოემბ. 1858 წ.).

ზემო სვანეთში კი თავისუფალ სვანეთთან ერთად განწყობულ იქნა ბოქაული (პრისტაევი).

134. აფხაზეთის სამთავრო. იმ დროს, როდესაც რუსეთი ოდიშთან და იმერეთის სამეფოსთან ხელშეკრულების დადებით ფეხს იკიდებდა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთს განაგებდა მაჰმადიანობაში აღზრდილი ქელაიშ-ბეგ შარვაშიძე. სოხუმში, რომელიც ამ დროს წარმოადგენდა ლამაზ ქალაქს 6 ათასი მცხოვრებით, იდგა ოსმალთა ჯარი. ოსმალთა გავლენა აფხაზეთში უკვე მკვიდრად ფეხ-მოკიდებული იყო. თავადაზნაურობაც ბევრ ადგილას უკვე აღიარებდა მაჰმადიანობას.

ქელაიშ-ბეგი იყო ენერგიული პიროვნება, რომელიც მიისწრაფოდა მტკიცე ძალა-უფლების დამყარებისაკენ აფხაზეთში. ეს კი არ იყო ადვილი საქმე, რადგანაც აფხაზეთში ძლიერი იყო თემობრივი ცხოვრება და ცალკე თემები თავადების უფროსობის ქვეშ იმყოფებოდნენ. მართალია, აფხაზეთში არ იყო ბატონ-ყმობა ისეთი მკვეთრი სახით, როგორც ეს დას. საქართველოს სხვა ნაწილებში იყო, მაგრამ სწორედ აფხაზეთის ცხოვრების ეს თავისებურება, სახელდობრ სათემო ერთეულების სათავეში თავადების მყოფობა, ხელს უწყობდა ადგილებზე პრივილეგიური წოდების სიძლიერის განმტკიცებას. ქელაიშ-ბეგი პირველად ცდილობდა ოსმალეთის ხელისუფლებასზე დამყარებით თავადების თავისადმი დამორჩილებას. მალე მან მართლაც დაიმსახურა ოსმალეთის ნდობა იმდენად, რომ ის დანიშნულ იქნა სოხუმის ფაშადაც. ამის შემდეგ ქელაიშ-ბეგი იმორჩილებს აფხაზეთის ურჩ თავადებს და მართლაც აღწევს აფხაზეთის ფაქტიურად გაერთიანებას: მაგრამ ქელაიშ-ბეგი რეალური პოლიტიკოსი იყო და ამიტომ როდესაც რუსეთის იმპერია დას. საქართველოში ფეხს იკიდებდა, მან ადვილად შეაქცია ზურგი ისმალეთს. ის დაუკავშირდა რუსეთის მართებლობის წარმომადგენლებს საქართველოში. ამის საბაბი იყო ის, რომ ქელაიშ-ბეგმა შეიხიზნა ისმალეთიდან გამოქცეული ტრაპეზუნტის ყოფილი ფაშა თაიარი, რომლის მიცემა მოითხოვა ოსმალეთის მთავრობამ. ქელაიშ-ბეგმა მთიელებში არსებულ სტუმართ-მიღების წესით ამაზე გადაჭრით უარი განაცხადა. ეს კი ოსმალეთის მთავრობამ თავისი საწინააღმდეგო მოქმედებად მიიჩნია და სოხუმის ფაშად სხვა პირი დანიშნა. ამას გარდა ოსმალეთის მთავრობა ეპირებოდა ქელაიშ-ბეგის წინააღმდეგ გადამწყვეტ სამხედრო ღონისძიებათა ჩატარებას. ქელაიშ-ბეგმა დაიწყო მოლაპარაკება საქართველოს მთავარმართებელ ციციანოვთან რუსთა ქვეშევრდომობის მიღების შესახებ. ქელაიშ-ბეგი ამასთანავე მალე დაემოყვრა ლევან დადიანს, რომლის და თამარი შერთო ცოლად თავის მეორე შვილს საფარ-ბეგს და ამის გამო ნება დართო მას ქრისტიანობაში გადასულიყო გიორგის სახელით, რადგან დადიანის ოჯახი უამისოდ უარს ამბობდა თამარის მითხოვებაზე. უფროსი შვილი ასლანბეგი მამას არ უყვარდა და ფიქრობდა სამთავროს გადაცემას საფარ-ბეგ-ყოფილ გიორგისათვის. ყველაფერი ეს არ დარჩა, რასაკვირველია, შუემნქველი ოსმალეთის მთავრობას, რომლის ბრძანებით სოხუმის ფაშამ აამხედრა მამის წინააღმდეგ ასლან-ბეგი. 2 მაისს 1808 წ. ქელაიშ-ბეგ მოკლულ იქნა ასლან-ბეგისაგან შეჩენილ კაცების მიერ აყუს-ციხეში (სოხუმს). ასლან-ბეგი გამოცხადებულ იქნა აფხაზეთის მთავრად, ხოლო გიორგი გამოიქცა ოდიშს, საიდანაც მან დახმარება სთხოვა რუსებს.

რუსის მთავრობას უკვე თვალი ეჭირა აფხაზეთის სანაპიროზე და ამით მას კარგი შემთხვევა ეძლეოდა თავისი ბატონობის გასაფრცხვლებლად ოდიშის ჩრდილო-დასავლეთით. გიორგიმ წარადგინა იმპერატორის სახელზე თხოვნითი მუხლები რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების შესახებ, რომელიც თავისი შინაარსით თითქმის უდრიდა დადიანის მიერ თავის დროზე ხელმოწერილ პუნქტებს (1808 წ.). 17 თებერვალს 1810 წ. იმპერატორმა დაამტკიცა ეს მუხლები და გიორგის გამოუგზავნა სამთავრო საინვესტიტურო ნიშნები – დროშა და ხმალი. 9 ივლისს 1810 წ. რუსის ესკადრა მიადგა სოხუმს და ზარბაზნები დაუშინა მას, ხოლო მეორე დღეს ნაპირას გადმოსხმულმა ჯარმა აიღო ქალაქი (ივლ. 1810 წ.). სოხუმი ამ ბრძოლის დროს დიდად დაზიანდა, თვით ქალაქს ამის შემდეგ დაეკარგა ის სამხედრო და სავაჭრო მნიშვნელობა, რომელიც მას ჰქონდა ოსმალების დროს.

გიორგი შარვაშიძე არ უყვარდა ხალხს, რომლის სიმპატია უფრო მისი ძმის ჰასან-ბეგის მხარეზე იყო. ჰასან ბეგი იყო ფრიად მხნე და მტკიცე ხასიათის კაცი, მაგრამ მედგარი მაჰმადიანი. ამის გამო გიორგის მთავრობის დროს უთანხმოება შიგნით აფხაზეთში არასოდეს არ შეწყვეტილა. თებერ. 1821 წ. გარდაიცვალა მთავარი გიორგი შარვაშიძე. ამ დროს მისი უფროსი შვილი დიმიტრი პეტერბურგს პრივილეგიურ სასწავლებელში (პაუების კორპუსში) იზრდებოდა. იმპერატორმა დაამტკიცა ის მთავრად და საჩქაროდ გამოგზავნა აფხაზეთს. მის ჩამოსვლამდის აფხაზეთში დროებით მმართველად გამოცხადებულ იქნა გიორგის ქერივი, დედოფალი თამარ. მაგრამ ჰასან-ბეგმა თვით მოინდომა მთავრად დაჯდომა და ამიტომ ჯარით დაიძრა სოხუმისაკენ. რუსებმა ის მიიწვიეს თავისთან ვითომდა

მოლაპარაკების გასამართავად და შეიპყრეს. ამ გარემოებამ მდგომარეობა უფრო გაამწვავა. მოძრაობას ახლა სათავეში ჩაუდგა მამის მკვლელი ასლან-ბეგი, რომელიც 3 ათასი კაცით დადგა კოდორის კონცხსა და სოფ. კელასურს შუა, რომ რუსის ჯარი აფხაზეთში არ შეეშვათ. რუსის ჯარმა, რომლის ავანგარდს ოდიშის ცხენოსანი რაზმები შეადგენდნენ, დაამარცხა იმერეთის მმართველის გორჩაკოვის წინამძღოლობით ასლან-ბეგი და მთავრად დამტკიცებული დიმიტრი შარვაშიძე მიიყვანა ლიხნს, სადაც ნოემბერში 1821 წ. აფხაზეთის თავადების და ხალხის წარმომადგენლების თანდასწრებით ის გამოცხადებულ იქნა მთავრად.

პეტერბურგში აღზრდილი დიმიტრი შეუფერებელი აღმოჩნდა თავისი ჩვევების მქონე აფხაზეთისთვის. მალე ის მოწამლეს კიდევ და მაშინ მთავრად დამტკიცებულ იქნა მისი უმცროსი ძმა მიხეილი.

ახალ მთავარსაც ბევრი სიძნელეები შეხვდა. მალე აფხაზეთში ისევ იფეთქა აჯანყებამ ასლან-ბეგის ხელმძღვანელობით. მიხეილს თავს დაესხა ლიხნს რამოდენიმე ათასი აფხაზი და ალყა შემოარტყა მას და მასთან მყოფ რუსის რაზმს. იმერეთის მმართველი გორჩაკოვი საჩქაროდ გაემურა თავისი ჯარით. გზად მან შემოიერთა მეგრელთა რაზმიც. შეერთებულ რუს-ოდიშართა ჯარმა დაამარცხა აჯანყებულები, გაიკაფა გზა ლიხნისაკენ და გაანთავისუფლა მთავარი გარშემორტყმულ ალყისაგან (1824 წ. ზაფხ.).

აფხაზეთის ცხოვრებას, გარდა შინაურ უთანხმოებისა, არყევდა ამ დროს კიდევ მეზობელ ჩერქესთა მოდგმის ტომების ხშირი თავდასხმები, რომელნიც დახმარებას პოულობდნენ აფხაზეთის ზოგ თავადის მხრივ. 1831 წ. რუსის ჯარი ჩაღვა ბომბორს, ბიჭვინტას და გაგრაში, რის შემდეგ მიხეილ შარვაშიძის ძალა-უფლებას მეტი სიმტკიცე მიეცა.

რუსის ჯარის მიერ აფხაზეთის სხვადასხვა სტრატეგიული პუნქტების დაჭერა მართალია ხელს უწყობდა მთავარს ურჩ ელემენტების აღაგმვაში, მაგრამ იმავე დროს ფრიად აძლიერებდა რუსთა გავლენას აფხაზეთის საქმეებზედ. წებულდის მფლობელნი მარშანიები ფაქტიურად დამოუკიდებელნი იყვნენ შარვაშიძეებისაგან და ცალკე საპატრონოს შეადგენდნენ. ამ გარის მეთაურს ბათალ-ბეის ჯერ ლოიალურად ეჭირა თავი რუსებისადმი, მაგრამ შემდეგ მან მათი უყურადღებობით შეურაცხყოფილმა და დამცირებულმა აამოძრავა წებულდა და დალი (1840 წ.). რუსებმა ეს მათ წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა მალე ჩააქრეს, წებულდა გახადეს რუსის საბოქაულო და დაუმორჩილეს სოხუმში მობინადრე რუსის ჯარის უფროსს. ბათალ-ბეი შემდეგ თუმცა შეურიგდა რუსებს თავისი სამფლობელო მანც ვერ მიიღო და ცხოვრობდა წებულდაში როგორც კერძო პირი და შემდეგ დიდად ერთგულობდა რუსეთს. 1840 წლებში მიხეილ შარვაშიძე ახორციელებს ზოგიერთ ღონისძიებათ აფხაზეთის შინაგანი მმართველობის გასაუმჯობესებლად. მაგ., დაარსებული იქნა სასამართლო, თვით აფხაზეთი გაყოფილ იქნა ოლქებად. ეს ღონისძიებანი გატარებულ იქნა სახალხო კრების დასტურით.

წებულდის დაპყრობით რუსის მმართველობა შეიჭრა აფხაზეთის შუაგულში. მიხეილ შარვაშიძე თანდათან გრძნობდა თავისი უფლებების შემცირებას რუსთა მიერ, რომელნიც ხშირად ერეოდნენ აფხაზეთის შინაურ საქმეებში. ამას თან დაერთო სამურზაყანოში საბოქაულოს დაარსება, რაც შარვაშიძემ თავის ახალ დამცირებად მიიღო, რადგან ის სამურზაყანოს აფხაზეთის სამთავროს კუთვნილებად სთვლიდა. მიხეილი ცდილობდა თავის სამთავროს მმართველობაში გაუმჯობესების შეტანას, მაგრამ რუსის მთავრობა ამაში არა თუ დახმარებას არ უწყევდა მას, კიდევ ხელს უშლიდა. ასე, 1845 წ. რუსის მთავრობამ უარი სთქვა აფხაზეთში განზრახულ რეფორმების მოწინააღმდეგე თავადების და აზნაურების რუსეთში გაგზავნაზე. 1846 წ. კიდევ მთავარს ჩამოართვეს ნავსადგურები, სადაც დაარსებულ იქნა საბაჟოები, რის სანაცვლოდ მიხეილს წლიურად დაენიშნა 12 ათასი მანეთი. სოხუმში კიდევ თავიდანვე მოქმედებდა რუსული ადმინისტრაცია და სასამართლო. ყველა ამ გარემოებამ აიძულა მთავარი 1847 წლის დასასრულს შუამდგომლობა აღედრა კავკასიის ნამესტნიკის წინაშე გაენტავის-უფლებინათ ის მთავრის მოვალეობისაგან და სამაგიეროდ მიეცათ მისთვის საცხოვრებლად იმერეთში 1.500 კომლი გლეხი სახელმწიფო გადასახადებისაგან გაენტავის-უფლებით. რუსეთი ამ დროს გართული იყო დაღესტნის ომით და ამიტომ შარვაშიძის წინადადება თავის ინტერესებისათვის სასარგებლოდ არ ჩასთვალა. შარვაშიძე ისევ დარჩა მთავრად.

1853-1856 წ. რუსეთ-ოსმალეთისა და ამ უკანასკნელის მოკავშირეთა ომის დროს მიხეილ შარვაშიძე ორჭოფულ მდგომარეობაში ჩააგდო ოსმალების ჯარის გადმოსხმამ აფხაზეთში. მანც მთავარი

ისევ რუსეთის ერთგულად დარჩა, თუმცა მას ოსმალების სარდლობასთან საქმითი ხასიათის ურთიერთობის დაჭერა უხდებოდა. მიუხედავად ამისა ყირიმის ომის გათავების შემდეგ თბილისიდან დანიშნულ იქნა სპეციალური გამოძიება — ექვბდნენ მიხეილ შარვაშიძის რაიმე გასამტყუნარ მასალებს. მაგრამ ამ გამოძიებამ სანამესტნიკოს უმაღლეს ხელისუფალთ ვერავითარი შედეგი ვერ მოუტანა. მიხეილ შარვაშიძის საწინააღმდეგო ფაქტები არ აღმოჩნდა.

ამ გარემოებამ ვერ შეაჩერა რუსეთის მართებლობის, ამ დროს უკვე მომწიფებული გადაწყვეტილება აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შესახებ. განსაკუთრებით სამეგრელოს ავტონომიის ფაქტიურად გაუქმების შემდეგ (1858 წ.) აფხაზეთის სამთავროს დღეები უკვე დათვლილი უნდა ყოფილიყო. აფხაზეთის სამთავროს ლიკვიდაციისათვის საჭირო იყო ესლა მხოლოდ ხელსაყრელი საბაბი. მაგრამ სანამ აღიგებები (ჩერქეზები) დაპყრობილი არ იყვნენ, ამ საკითხის დაყენებისათვის რუსები ვერ იცლიდნენ.

135. რუსეთი და კავკასიის მთიელი ხალხი. რუსთა მმართველობის საქართველოში დამკვიდრებამ გადასწყვიტა კავკასიის მთიელი ხალხის ბედი. ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ ისინი ბრძოლით დაიმორჩილეს რუსებმა. კავკასიის მთების აღმოსავლეთ ნაწილში 1834 წლიდან რუსთა საწინააღმდეგო ბრძოლას სათავეში ედგა შამილი, რომელიც თავის თავს ერეკლე II-ის შვილის აღექსანდრეს შვილად სთვლიდა; როგორც დაღესტნის იმამი (სასულიერო მეთაური), ის იყენებდა მიურიდიზმს — მაჰმადიანურ სწავლა-მოდერებს, რომელიც რუსებთან ომს სარწმუნოებრივ ხასიათს აძლევდა. სიტყვა მიურიდი არაბულად ნიშნავდა მორჩილს, იგულისხმება თავისი სარწმუნოებრივი უფროსის მორჩილი.

დაღესტანი დასახლებული იყო მრავალ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომით. ამასთანავე ეს ტომები იმყოფებოდნენ ჩამორჩენილ მდგომარეობაში. მათი სოციალური წყობილება უფრო მიაგავდა ადრეულ ფეოდალურ ხანის საგვარო-თემობრივ ცხოვრებას მძლავრი ტრადიციებით. შამილს, ისე როგორც მის წინანდელ ყაზი-მუჰამედს, რომელიც ითვლება მიურიდიზმის მამამთავრად და მის შემომდებლად დაღესტანსა და საჩჩენთში, კარგად ესმოდათ, რომ ამ ჩამორჩენილ და ერთმანეთისგან გათიშულ ტომების შეერთება თუნდაც რუსეთის იმპერიის აგრესიისაგან და დამპყრობელობითი ზრახვისაგან თავის დასაცავად შეიძლებოდა მხოლოდ რელიგიური ფანატიზმის გაღვივებით და გიაურების (ე.ი. მაჰმადიანობის თვალსაზრისით, ურჯულო რუსების) წინააღმდეგ შეურიგებელი საღვთო ომის (ჯიჰადის) წარმოების ლოზუნგის წამოყენებით. შამილს მჭიდრო კავშირი ჰქონდა გაბმული ოსმალეთის მთავრობასთან, რომელიც მხარს უჭერდა ლეკებს, ჩეჩნებს და ჩერქეზებს რუსეთის წინააღმდეგ.

შამილმა შეერთა თავისი მბრძანებლობის ქვეშ საჩჩენთი, ავარია და სხვადასხვა ტომებით დასახლებული ლეკეთის უმეტესი ნაწილი, სამხრეთ ნაწილის და კასპიის ზღვის ნაპირის გარდა, რომელიც რუსეთს ეჭირა. დაღესტანში მიურიდიზმის ფეხის მოკიდებასთან ერთად გართულდა კახეთის მდგომარეობა. თარეშული თავდასხმები კახეთზე გრძელდებოდა. კახეთი დაღესტნიდან ახლოს იყო (ფეხით სასიარულო ნახევარი დღე). მოთარეშე ლეკები მწირ დაღესტნიდან ჩამოდიოდნენ სასოფლო სამეურნეო კულტურებით მდიდარ კახეთის დაბლობში და აწარმოებდნენ ქურდულ ტაციობას და აშკარა თავდასხმებსაც. ზეპირგადმოცემით ასეთი მოთარეშენი კახეთში ჩამოდიოდნენ ღამით და იცდიდნენ ახლო ტყეებში. დღისით, როდესაც მამაკაცები მინდვრის სამუშაოებზე იყვნენ გასულნი, ისინი თავს ესხმოდნენ სოფლებს, იტაცებდნენ პირუტყვს, მიჰქონდათ რასაც მოახელთებდნენ და ხშირად მიჰყავდათ ადამიანებიც.

ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ რუსებმა თანდათან შეაფიწროვეს შამილი. ამ ბრძოლამ განსაკუთრებით მკაცრი ხასიათი მიიღო ვერეთ წოდებულ ყირიმის ომის შემდეგ, რომელსაც რუსეთი აწარმოებდა ოსმალეთთან და დასავლ. ევროპის სახელმწიფოებთან (1853-1856 წ.წ.). შამილი ცდილობდა შეჭრილიყო საქართველოში და შეერთებოდა ყარსის მიმართულებით ანდა სამეგრელოში მომქმედ ოსმალთა ჯარს. 1854 წელს ივლისში ის 20 ათ. კაცით მოადგა კახეთს და მოაწყო ძლიერი თარეში, რომელმაც დაარბია სოფლები, წაასხა ბლომად ტყვეები (წინანდალიდან წაასხეს ჭავჭავაძი ს და ორბელიანის ოჯახები) და სხვ. ვერეთ წოდებულ ლეკების კორდონის უფროსად ამ დროს იყო თავ. ლევან მელიქიშვილი, რომელიც შამილის შემოსევას ჭარის მიმართულებით ელოდა და ამიტომ

თავისი ჯვარის მეტი ნაწილით იქ იმყოფებოდა. ამ მიზეზით მან ვერ მოუსწრო უკან საჩქაროდ გაბრუნებულ ლეკებს. მაგრამ კახეთში რუსის ჯვარის და კახელების მილიციის მედგარი წინააღმდეგობის გამო შამილმა თავისი გეგმის შესრულება ვერ შესძლო.

სულ ამ შემოსევის დროს კახეთში დაზარალდა 930 ოჯახი. ლეკებმა დახოცეს 95 სული, მათ შორის 14 ქალი, ტყვედ წაასხეს 671 სული, მათ შორის 349 ქალი. დასწვეს 303 სახლი, სამასამდის მარანი და ბელელი და 12 წისქვილი, წაასხეს 3145 მსხვილფეხა საქონელი, 102 ცხენი, 164 ცხვარი. ლეკების მიერ მიყენებული მარტო ნივთიერი ზარალი შეფასებული იყო 209 ათას მანეთად ოქროთი. მარტო ჭავჭავაძის ზარალი წინანდალში, სადაც დასწვეს მისი სასახლე მთელი მდიდრული მოწყობილობით, შეადგენდა 106 ათ. მანეთს. ყველა ტყვე შემდეგ გამოსყიდულ იქნა.

ყირიმის ომის გათავების შემდეგ, ნაპესტინკ ბარიატინსკის დავალებული ჰქონდა ბოლო მოელო შამილისათვის. დიდძალი რუსის ჯარი სამი მიმართულებით დაიძრა შამილის წინააღმდეგ. დალესტანი უკვე გამოფიტულ მდგომარეობაში იყო. ხშირი ომების გამო მოსახლეობა შემცირდა. მამაკაცები შეადგენდნენ მოსახლეობის მხოლოდ ერთ მესამედს, ორი მესამედი კი ქალები იყვნენ. შამილი მარცხდებოდა. ასე რომ ის, ბოლოს გუნიბში გამაგრებული, იძულებული გახდა დანებებოდა რუსთ (25 აგვ. 1859 წ.). დალესტანი ამგვარად რუსეთმა შეიერთა.

შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში, ისე როგორც რუსეთის მიერ ამიერ-კავკასიის ფარგლებში წარმოებულ ყველა ომებში მონაწილეობას ლებულობდა ქართული მილიციაც. რუსის ჯვარის ხელმძღვანელებლადაც ხშირად ქართველი სამხედრო პირები იყვნენ (გრ. ორბელიანი, ლევან მელიქიშვილი, დავ. ჭავჭავაძე და სხვ.).

მას შემდეგ რაც შამილის დატყვევებით დამთავრდა ლეკეთის დაპყრობა, რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა დაეკავებინა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ჩერქეზეთიც. ჩერქეზები აწარმოებდნენ მე-19 ს-ის მთელ სივრცეზე გამუდმებულ თავდასხმებს მდ. ყუბანის გასწვრივ და მის ახლო-მახლო მდებარე რუსულ სტანიცებზე. რუსეთმა მოაწყო ჩერქეზეთის შავი ზღვის სანაპიროს ბლოკადა, რის გამო ჩერქეზი ტომები ჩავარდნენ მეტად მძიმე მდგომარეობაში. მათ მოესპოთ საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესაძლებლობა ოსმალეთთან.

დიდი შემოთება გამოიწვია ჩერქეზებში რუსეთში განზრახულმა და შემდეგ (1861 წ.) გატარებულმა საგლეხო რეფორმამ, რომლის შესახებ ხმებმა მიაღწიეს ადიღეთა აულებამდის. ადიღეები (ჩერქეზები) ცხოვრობდნენ მეტწილად თემებად, რომელთა სათავეში იდგნენ გარკვეულ თავადთა ოჯახები და გვარები. ხალხის დიდი ნაწილი თითქმის თავისუფალ მეთემეებს წარმოადგენდა და გარკვეულ გადასახადს იხდიდა თემების სათავეში მდგომ მეთაურ (თავადების) გვართა სასარგებლოდ მათი სამხედრო-დაცვითი თუ მმართველობითი (სასამართლო და სხვ.) ფუნქციების ასანაზღაურებლად. რუსეთთან ჩერქეზების შეერთების მეთაური გვარები, საგლეხო რეფორმის ჩერქეზებშიდაც შეტანით, დაკარგავდნენ თავის პრივილეგიურ მდგომარეობას, ხოლო თავისუფალი მეთემეები კიდევ მოჰყვებოდნენ რაღაც მათთვის გაუგებარ დროებით-ვალდებულ მდგომარეობაში. მოსახლეობის დიდ უმეტესობას, როგორც მეთაურებს, ისე მეთემეებსაც ეზინოდათ ამ მათთვის გაუგებარ ცვლილებების და ამიტომ არ უნდოდათ რუსეთს დამორჩილებოდნენ. ამასთანავე ჩერქეზების ფეოდალიზებული მეთაური წრეები კშიების, ანუ თავადების სახით იყვნენ მაჰმადიანები და თავიანთი ქალების გათხოვებით ნათესაურ კავშირში იმყოფებოდნენ ოსმალეთის არისტოკრატიასთან. ამიტომაც ჩერქეზების ხელმძღვანელ ფენებში გაბატონებული იყო ორიენტაცია ოსმალეთისაკენ და სწორედ ამიტომაც რუსეთის მთავრობას ყირიმის ომის შემდეგ აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა ჩერქეზების საესეებით დამორჩილება. ბოლოს რუსეთის დიდძალი ჯარი ყოველი მხრიდან მოადგა ჩერქეზების ქვეყანას და ბრძოლით გადაიარა მთელი ეს მხარე. ჩერქეზები დამარცხდნენ; მათ ვერ შესძლეს მეტი წინააღმდეგობის გაწევა და დაჰყარეს იარაღი. რუსეთის მთავრობამ წინადადება მისცა ჩერქეზებს დაეტოვებინათ თავიანთი მთები და გადასულიყვნენ ჩრდილოეთ კავკასიის ბარ ადგილებში, რათა ამით შეუძლებელი ყოფილიყო ჩერქეზების თარეშული თავდასხმების გაგრძელება რუსულ სტანიცებზე. ჩერქეზების მეთაურები არ დასთანხმდნენ ამას. მაგრამ რუსეთის მთავრობამ ულტიმატურად დაუყენა მათ საკითხი ბარ ადგილებში გადასახლების ან ოსმალეთში წასვლის შესახებ. მაშინ ჩერქეზების მეთაურებმა ამჯობინეს ოსმალეთში გადასახლება. ხალხიც მიჰყვა მათ და დაიწყო ჩერქეზების მასობრივი ტრაგიკული გაკრეფა ოსმალეთისკენ.

რუსის ჯარმა დაიწყო დიდი შეტევა ჩერქეზების წინააღმდეგ 1861 წ. და მაშინვე ჩერქეზების მოსახლეობა მდ. ლაბასა და თეთრს შუა მთლიანად გადარეკილ იქნა. ასევე გრძელდებოდა შემდეგ წლებშიაც. ჩერქეზები იხევდნენ შავი ზღვის სანაპიროსკენ.

ჩერქეზების გადასახლება წარმოებდა მეტად უწყესრიგოდ, ოსმალეთში მათ არ დახვდათ მზად არც ადგილი, არც საცხოვრებელი შენობები. ამის გამო გადასახლებულთა 1/5 დაიღუპა გზაშივე ტიფისაგან ანდა დაიხრჩო, ცუდი გემების გამო, ზღვაში. საერთოდ კი გადასახლებულთა ნახევარი დაიღუპა ახალს ქვეყანაში მოთავსებამდის. დანარჩენები დაასახლეს ოსმალეთის სხვადასხვა ადგილებში დაქსაქსულად, რის გამოც მათი დიდი უმეტესობა თანდათან გათურქდა.

ჩერქეზების ქვეყნის გაწმენდა რუსეთის მიერ ჩერქეზებისგან დამთავრდა 1864 წელს.

ჩერქეზების წინააღმდეგ შემტევ რუსის ჯარს უკან მოჰყვებოდნენ ტრანსპორტით დასასახლებლად განკუთვნილნი კაზაკები (უკრაინელები და ნაწილობრივ რუსები) თავიანთი ოჯახებით.

ასე რომ ჩერქეზების მიწა-წყალზე დასახლდნენ უკრაინელები და რუსები. სულ 1861-1865 წლებში ჩერქეზებისგან გაწმენდილ მათ მიწა-წყალზე მოეწყო 90 სტანიცა და დასახლებული ადგილი 16 ათასი კომლი კაზაკებით. ყუბანის მხარის ასეთი კოლონიზაცია ინტენსიურად გრძელდებოდა შემდგომ წლებშიც.

რუსული მართებლობა ერეკებოდა უბიხებსაც სოჭის მხარედან (ეს იყო აფხაზურ-ჩერქეზული ტომი) და გაგრის დასავლეთით და ჩრდილოეთით მცხოვრებ ჯიქებს (აფხაზური ტომი), რადგან ისინი მუდგარ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსეთის იმპერიის ძალებს.

სულ გადასახლდა ჩრდ. დასავლეთ კავკასიიდან ნახევარ მილიონზე მეტი ჩერქეზი (ოფიციალური ცნობით 496 ათასი სული), ხოლო თავის ქვეყანაში კი საბოლოოდ დარჩა მხოლოდ 25.000-მდის სული. ჩერქეზების ერთ ტომს – ყაბარდოელებს არ ხვდათ ეს მწარე ხვედრი, რადგანაც ყაბარდოელები უკვე დიდხანია რუსეთის ქვეშევრდომები იყვნენ.

საბლესო რეფორმის მზადება. ბატონყმობის გაუქმება

136. რეფორმა გლეხების სახელმწიფო გადასახადების ფულზე გადატანის შესახებ. რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ვერც წოდებული სამეფო და საბატონიშვილო გლეხები გადარიცხულ იქნენ სახაზინო გლეხებად. მათ რიცხვს შემდეგ ემატებოდა ზოგ მებატონეთა კონფისკებული მამულები თავიანთი გლეხებით. სახაზინო გლეხებს ამიერიდან არ ჰყავდათ პიროვნულად მებატონეები და ამიტომ ისინი თავისთავად განთავისუფლდნენ სხვადასხვა, მეტად დამამძიმებელ პიროვნულ მსახურებითი ვალდებულებათაგან. ზოგიერთი პიროვნული ვალდებულებანი, მაგ., საადგომო, საშობაო, სამასპინძლო და სხვა ასეთები არა უცხად, მაგრამ მალე გადატანილ იქნენ ფულად გადასახადზე შედარებით შეღავათიან პირობებში. 1816 წლიდან საქერივო გადასახადმაც (როდესაც ქერივი თხოვდებოდა არა სახაზინო გლეხზე) მიიღო აგრეთვე ფულადი გადასახადის ხასიათი. რჩებოდა, მაშასადამე, კიდევ ისეთი ვალდებულებანი, რომელნიც დაკავშირებული იყვნენ გლეხის მიერ მის ხელში მყოფი მიწით სარგებლობისათვის. მართებლობა ცდილობდა ასეთი გადასახადები გაეერთიანებინა სახელმწიფო გადასახადებთან (როგორც იყო, მაგ., კოდის პური, კოდი და ქერი სულ ოთხი კოდი კომლზე და სხვ.) და ამასთანავე სახაზინო გლეხების საერთო ვალდებულებანი გადასახადები გადაეტანა პურეულზე. ასეც მოხდა თანდათან სახელმწიფო გადასახადებს აღმ. საქართველოში როგორც სახაზინო გლეხთაგან ღებულობდნენ ნაწილობრივ ფულად და უფრო მეტად კი პურეულით.

მართებლობა თავიდანვე დაინტერესებული იყო, რათა სახაზინო გლეხების გადასახადები გადაეტანა ფულზე, მაგრამ ფულის ტრიალის სიმცირის გამო ეს არ ხერხდებოდა. პირველად მინც იმერეთის მიმართ მართებლობა შეეცადა 1823 წელს შემოეღო ნატურალური გადასახადის მაგიერ ფულადი გადასახადი. ფულადი გადასახადი შემოღებულ იქნა 1840 წელს გურიამიც, ორგანვე შეღავათიანი რაოდენობით, რაც ჩანს სათანადო ციფრებიდანაც. 1823 წლიდან იმერეთის სახაზინო გლეხებს ედვით გადასახდელად სახელმწიფოს სასარგებლოდ 7391 მან. ვერცხლით წელიწადში. სხვა ვალდებულებანი მათ არ ედვით. საეკლესიო გლეხები იმერეთში იხდიდნენ 1823 წლიდან სახელმწიფო გადასახადს 149 მან. 65 კაპიკის რაოდენობით. ხოლო საბატონო გლეხები — 1262 მან. 05 კაპიკს. განსხვავება აიხსნება იმით, რომ საეკლესიო გლეხების მხოლოდ 1/4-ს და საბატონო გლეხების 1/11-ს ედვა იმერეთში სახელმწიფო გადასახადი, დანარჩენები ამ კატეგორიების გლეხთაგან ასეთ გადასახადს არ იხდიდნენ. ამას აღნიშნავდა ჯერ გენ. ერმოლოვი და შემდეგ ნიკ. ბეზაკიც¹. ეს გადასახადი თავიდანვე გაწერილი იყო გლეხებზე სოფლებად და ამიტომ ის იყო 1843 წლის რეფორმამდე უცვლელი რაოდენობის.

როგორც მოხსენებული იყო, აღმ. საქართველოში გადასახადებს მართებლობა კრებდა ნაწილობრივ ფულად და უფრო მეტად კიდევ პურეულით. გადასახადი პურეულით მეტად საზარალო იყო გლეხობისთვის, რომელიც ამ შემთხვევაში მეტად ხშირად სურსათის არაკეთილსინდისიერ მიმღებთა და ჩინოვნიკთა მხრივ სხვადასხვა ბოროტმოქმედებათა მსხვერპლი ხდებოდა. ამასთანავე გლეხს თავისი სვედრი გადასახადი პური თვითონ უნდა ჩატანა მიმღებ პუნქტებში, რომელნიც მცირე რაოდენობით იყვნენ ერთმანეთისგან დიდად დაშორებული. საზარალო იყო ასეთი წესი ხაზინისთვისაც. პურეულით გადასახადის შეკრება იწვევდა დიდ ხარჯებს. სახელდობრ თავისი წილი მიჰქონდათ გადასახადის ამკრებლებს, ჯარის პროვიანტმეისტერებს და სხვა პირთ, რაზედაც მოდიოდა სულ ცოტა მოკრეფილი სურსათის 1/5.

გლეხები უკვე მასობრივად თხოულობდნენ, რათა "პურეულის გადასახადი გადატანილი ყოფილიყო ფულზე, რათა მათ თავი დაეხსნათ პურის მიმღებთა მხრივ მეტისმეტ შევიწროვებათაგან". ასეთი მოთხოვნა 1838-1840 წლებში წარადგინეს თელავის და სიღნაღის მაზრების გლეხებმა, ბორჩალოს დისტანციის და ჯავახეთიდან ახალქალაქის უჩასტკის გლეხებმა.

¹ И. Антелава, Госуд. крестьяне Грузии в первой пол. 19-го века, Сух., 1955., стр. 399, прим.3.

1842-1843 წლებში საქართველო-იმერეთის საგუბერნიო სახაზინო პალატის უფროსმა ნიკ. ბალზაკმა შეიმუშავა საქართველოსთვის ახალი საგადასახადო სისტემა, რომელიც მისი გაანგარიშებით სასარგებლო იქნებოდა გლეხებისთვის და იმავე დროს მეტ შემოსავალს მისცემდა ხაზინასაც. ნიკ. ბალზაკის პროექტი დაამტკიცა მართებლობამ და 1845 წლიდან ის შევიდა ძალაში.

ამ დებულების მიხედვით აღმ. საქართველოს გლეხებს დაედგათ ფულადი სახელმწიფო გადასახადი შემდეგი რაოდენობით: საბატონო და საეკლესიო გლეხებს გორის მაზრაში და თბილისის მაზრის დუშეთის უჩასტოკში 3 მან., იმავე გლეხებს თბილისის მაზრის სხვა უჩასტოკებში და თელავის მაზრაში 3 მან. 50 კაპ. წელიწადში.

სახაზინო გლეხებისთვის კი დაწესებულ იქნა სახელმწიფოს სასარგებლოდ გორის მაზრაში და დუშეთის უჩასტოკში 5 მან., თბილისის მაზრის სხვა უჩასტოკებში (დუშეთის უჩასტოკის გარდა) და აგრეთვე თელავის მაზრაში 6 მან. წელიწადში კომლზე. თუშ-ფშავ-ხევსურნი იხდიდნენ მხოლოდ საბალახოს, ხოლო ბორჩალოს უჩასტოკის და ყაზახის დისტანციის სახაზინო გლეხები, რომელთაც მეტად მოსავლიანი მიწები ჰქონდათ იხდიდნენ კომლზე 7 მან. 50 კაპიკს.

იმერეთში ამ დროს საბატონო გლეხები იყვნენ 12.723 კომლი, საეკლესიო 2.522 კომლი და საბატონონი 12.723 კომლი. საბატონო გლეხებს ესლა გააწერეს 6.361 მან. 50 კაპ. (წინანდელ 1262 მან. და 5 კაპიკის ნაცვლად). სახაზინოთ 2522 კომლს 5044 მან. (კომლზე 2 მან.) წინანდელ 7391 მანეთის ნაცვლად და საეკლესიო 3099 კომლს 1519 მან. 50 კაპ. წინანდელი 149 მან. 05 კაპიკის ნაცვლად. გადასახადი გაწერილი იყო არა სოფლებად და უჩასტოკებად, როგორც ეს იყო წინად, არამედ კომლეულად.

გურიას, მისი სიღარიბის გამო, მიეცა შეღავათი და იქ დატოვებულ იქნა სახელმწიფო გადასახადი 1840 წელს დაწყებული რაოდენობით – სახელმწიფო გლეხების მამობრივ სულზე თითო მანეთი, ხოლო საეკლესიო და საბატონო გლეხებზე 50 კაპ. ყოველ მამაკაცზე.

იმერეთში რაჭითურთ ახალი ფულადი გადასახადი შემოღებულ იქნა 1845 წლიდან. სახაზინო გლეხები მიწის ხარისხის და რაოდენობის მიხედვით იხდიდნენ სახელმწიფოს სასარგებლოდ კომლზე წელიწადში 4, 3 და 2 მანეთს. მხოლოდ შორაპნის მაზრაში სახაზინო გლეხების მცირე რაოდენობას (186 კომლს) ედვა წლიურად 4 მანეთის გადასახადი.

საეკლესიო გლეხებს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაედგათ მიწის რაოდენობის და ხარისხის მიხედვით კომლზე წლიურად 1, 1/2 და 2 მანეთი, ხოლო საბატონო გლეხებს კომლზედვე 1 და 2 მანეთი.

ეს კომლეული უცვლელად დარჩა ვიდრე საგლეხო რეფორმის გატარებამდის¹.

ამ რეფორმას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა განსაკუთრებით სახაზინო გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სახაზინო გლეხები რუსეთში იწოდებოდნენ თავისუფალ მსახლობლებად (свободные поселенцы), მაგრამ ეს თავისუფალი ქართველი გლეხნი განიცდიდნენ პურის გადასახადის ჩაბარების დროს პურეულობის მიმღებთა და ზოგ ჩინოვნიკის მიერ დიდ შევიწროებას, გამოძალვას და უსამართლობას. ამიერიდან ყველაფერ ამას ბოლო მოეღო – სახაზინო გლეხნი იხდიდა მხოლოდ გარკვეულ საკომლო ფულად გადასახადს, სხვაფრივ კი თავისუფალი იყო, მაშინ როდესაც არა თუ საბატონო, არამედ თვით საეკლესიო გლეხებიც კი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ არა თუ უფლებრივად თავიანთ უშუალო მეპატონეთაგან, არამედ ეკონომიურადაც საბატონო ვალდებულე-ბათა სხვადასხვაობის მეოხებით. საბატონო გლეხები ესლა ერთი სამად და ერთი ექვსადაც (ადგილის მიხედვით) მეტად იყვნენ დაბეგრულნი თითქმის თავისუფალ სახაზინო გლეხებთან შედარებით. ეს უფლებრივი სხვაობა გლეხებს შორის საბატონო და სახაზინო გლეხების ერთი მეორის ახლო მეზობლად მყოფობის გამო, თანდათან უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა, რაც იწვევდა საბატონო გლეხებს შორის თავისუფლების მოპოებისკენ მიდრეკილების ზრდას.

137. ბარიატინსკის ნამუსტინიკობა. ვორონცოვის შემდეგ იყო კიდევ ერთი ნამუსტინიკი და შემდეგ, 1856 წელს, ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ნამუსტინიკად დანიშნა თავისი პირადი მეგობარი გენერალი თავ. აღ. ბარიატინსკი, რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი მემამულეთაგანი. ბარიატინსკი წინადაც მსახურობდა კავკასიასა და საქართველოში სამხედრო სამსახურში და ამიტომ კარგად იც-

¹ Сборник статистических сведений о Кавказе, т. I, Тиф. 1869... таблицы.

ნობდა ამ ქვეყანას. ქართველებს ეპყრობოდა უურადლებით. თავის თანაშემწედ და შემცველად ნამესტნიკის თანამდებობაში მას ჰყავდა გენერალი თავ. გრიგოლ ორბელიანი. ბარიატინსკი სწავლობდა ქართულ ენას.

ბარიატინსკის დავალებული ჰქონდა მოემზადებინა ნიადაგი ქართული ავტონომიური სამთავროების გასაუქმებლად და დაემთავრებინა მუდმივი ომი ჩერქეზებთან და აგრეთვე ქისტებთან (ჩჩენებთან) და ლეკებთან მათი დამორჩილებით. მის განკარგულებაში იყო დიდძალი ჯარი (შემდეგ 300 ათას კაცამდის). მისი, როგორც ნამესტნიკის, უფლებები კიდევ უფრო გაათართოვეს.

ბარიატინსკი ცდილობდა კავკასიის სანამესტნიკოსთვის მეტი დამოუკიდებლობის განმტკიცებას. ნამესტნიკის კანცელარია, რომელიც კავკასიის მართვა გამგეობის საქმეს ემსახურებოდა, შესდგებოდა 5 განყოფილებისაგან. ესლა ამ განყოფილებათა სანაცვლოდ დაარსებულ იქნა სამინისტროების დაგვარი ხუთი დეპარტამენტი საერთო საქმეთა, ფინანსების, სახელმწიფო ქონებათა, სასამართლო საქმეთა და კონტროლის. ეს რეორგანიზაცია აღმოჩნდა უდღეური. 1962 წელს ბარიატინსკი გადააყენეს ნამესტნიკობიდან. კავკასიის ნამესტნიკად დაინიშნა ალექსანდრე II-ის ძმა მიხეილი, რომლის დროსაც ყველაფერი ეს მაშინვე გაუქმდა.

138. გლუხტა ბანტაჰის უფლებების პროექტი. ასეთ პირობებში გასაგებია, რომ თავდაზნაურთა საუკეთესო წარმომადგენლები უკვე თვითონ აყენებდნენ საკითხს ბატონყმობის დროულად გაუქმების შესახებ. ამ მიმართულების მიმდევრად და შეიძლება ითქვას, ერთ-ერთ პიონერად ჩანს გიორგი ერისთავი, რომელიც უკვე ლიტერატურული შემოქმედების გზაზე მდგომი 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის პოლონეთში გადასახლებულად მყოფი იქ გაეცნო პოლონურ და დას. ევროპულ კულტურას. სამხედრო სამსახურში მყოფობის დროს მან შეისწავლა ფრანგული და პოლონური ენები და პროგრესული იდეებით გათვითცნობიერებული 1842 წელს საბოლოოდ ბრუნდება საქართველოში. თავისი რადიკალური აზრი ბატონყმობის გაუქმების საკითხში მან პრაქტიკულად განახორციელა 1850-იანი წლების ბოლოში თავისი ყმაგლეხების მიმართ (ამაზე იხ. ქვემოთ). აყენებდა თუ არა ამ საკითხს გიორგი ერისთავი საქართველოში 1842 წლიდან, ამის შესახებ ცნობა არ არსებობს, რაც შეიძლება აიხსნას საერთოდ მასალების ნაკლებობით. მაგრამ თითქმის მასთან კონტაქტით ან და უფრო კიდევ მისი ზეგავლენით 1846-1848 წლებში მუშავდება პროექტი გლუხტა განთავისუფლების შესახებ საქართველოში, რომელიც ეკუთვნის თავ. გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელს. ეს პირი იყო პეტერბურგში სამართლის მცოდნეობის ლიცეუმში სწავლა მიღებული, რომელიც მთელი სიცოცხლე სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდა და რომელსაც შემდეგში, 1860-იან და 1870-იან წლებში, თბილისში დიდი ადგილი ეკავა. მან 1848 წელს მთავრობის უმაღლეს ორგანოებში წარადგინა პროექტი საბატონო გლეხების განთავისუფლების შესახებ საქართველოში. გლეხებს უნდა დარჩენოდათ მათ განკარგულებაში მყოფი მიწები, მებატონეთ კი უნდა მიცემოდათ ყმების განთავისუფლების კონპენსაცია გლეხთაგან წელიწადში თუმანი, ანდა ერთდოულად 300 მანეთი. პროექტის ავტორი, როგორც ჩანს, ფიქრობდა, რომ მთავრობას ამ ფულის გადასახადშიაც გლეხებისთვის სესხის მიცემით ან სხვა სახით უნდა ხელი შეეწყო. ამ პროექტს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ცხადად ჩანდა, რომ ბატონყმობა უკვე დრომოჭმული დაწესება იყო.

139. საბლუხო რეფორმა რუსეთში (1861 წ.). XIX ს-ნის პირველ ნახევარში თანდათან ვითარდებოდა კაპიტალისტური მეურნეობა მანქანების მქონე ფაბრიკა-ქარხნებით. ამ ფაბრიკა-ქარხნებისთვის საჭირო იყო თავისუფალი მუშა-ხელი. ბატონყმურ დამოკიდებულებაში მყოფი ადამიანი ასეთ საქმეზე არ გამოდგებოდა, რადგანაც საბატონო გლეხი უკვე არც თავისი მებატონის სამუშაოს ასრულებდა წესიერად და მეტად ხშირად თვით მებატონისთვის საზარალო საბოტაჟს ეწეოდა. საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო ან ზევიდან, მართებლობის მიერ პიროვნულად გლეხების განთავისუფლებით ანდა დიდი საგლეხო რევოლუციით. მთავრობამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და ალექსანდრე II-ის 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტით რუსეთის შიდაგუბერნიების გლეხობა განთავისუფლებულ იქნა პირად ბატონ-ყმურ დამოკიდებულებისაგან. გლეხებს ეძლეოდათ მათ განკარგულებაში მანამდის მყოფი მიწის ნაწილი ეგრეთ წოდებული ნადელის სახით იმ პირობით, რომ მის გამოსყიდვამდის უნდა ეკისრათ მებატონის სასარგებლოდ გარკვეული ყოველწლიური ვალდებულებანი. ნადელის გამოსყიდვაში მთავრობა პირდებოდა გლეხებს დახმარებას გასაღები თანხის ერთი ნაწილის სესხად მიცემით.

ფაქტიურად, მაშასადამე, საბატონო გლეხები რუსეთში ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც ნადლეების გამოსყიდვამდის რჩებოდნენ მებატონეთა ეკონომიურ დამოკიდებულებაში.

თბილისში კავკასიის ნამესტნიკ ბარიატინსკის პეტერბურგიდან მოუვიდა წინადადება, რომ ადგილობრივი უმაღლესი ორგანოებიც შესდგომოდნენ სამზადისს ბატონყმობის გასაუქმებლად საქართველოში და ამის შესახებ სათანადო თათბირები გაემართათ თავადაზნაურობასთან. თუმცა ბატონყმობის გაუქმებისას რუსეთში მთავრობა ცდილობდა მებატონეთა ინტერესების სათანადოდ უზრუნველყოფას, მაგრამ მოსალოდნელმა რეფორმამ მანც გამოიწვია ქართველ მემამულეთა შორის უდიდესი შეშფოთება. აღმ. საქართველოში თავადებს შორის ბევრი იყო ისეთი, რომელსაც ბატონყმობის მოსალოდნელი გაუქმება საქართველოში მიაჩნდა რუსეთის მიერ პირობის დარღვევად. რუსეთის იმპერატორმა ქართლ-კახეთის შეერთების დროს მანიფესტით აღუთქვა ადგილობრივ მკვიდრთ, რომ ყველა დარჩება თავისი წინანდელი უფლებებით, ხოლო ბატონყმობის გაუქმება ამ აღთქმის დარღვევას წარმოადგენს.

მაგრამ თბილისში მყოფნი ან იქ ჩასული თავადები ცხადად ხედავდნენ, რომ მთავრობის წინააღმდეგ ისინი საესებით უძღუნრი იყვნენ და ამიტომ ქართველი თავადაზნაურობის უფრო გონებადამკვდარ და გამოცდილ წევრთა რჩევით და დარიგებით ისინი იძულებული ხდებოდნენ თავის ბედს შერიგებოდნენ და მთელი თავისი იმედი ისევ მთავრობის კეთილ სურვილებზე დაეყარებინათ. ნამესტნიკმა ბარიატინსკიმ ქართველ თავადაზნაურობას ურჩია დაშოშინებულიყო. სამაგიეროდ პირდებოდა მათ ახალი მიწების მიცემას სახაზინო ფონდებიდან იმ მიწების სანაცვლოდ, რომელიც რეფორმის შედეგად გლეხების საკუთრებად იქნებოდა მიჩნეული. ოდიშ-ლენხუმის თავადაზნაურობა იმდენად დაფრთხა, რომ თხოულობდა ბატონყმობის გაუქმების გადადებას ოცი წლით, მაგრამ ამაზე მთავრობა ვერ დათანხმდებოდა, რადგანაც გლეხობა უკვე არ ითმენდა და სხვადასხვა ადგილას გამოსვლებს და აჯანყებებსაც კი აწყობდა. ასეთ პირობებში მთავრობას ეშინოდა, რომ ბატონყმობის გაუქმების სანგრძლივად გადადება გამოიწვევდა გლეხების მასობრივ აჯანყებებს ცალკეულ კუთხეებში.

140. ბატონყმობა საქართველოში საბლენო რეფორმის წინ. რუსული მმართველობის დროს XIX ს-ნის პირველი ნახევრის სიგრძეზე ვიდრე 1860 წლამდის მებატონეები ცდილობდნენ თავიანთი გლეხების შრომითი და სამსახურეობრივი მოვალეობანი უფრო გაეზარდათ და ამით მათ მიაღწიეს გლეხების უზომო ექსპლოატაციას. XIX ს-ნის დასაწყისში საბატონო გლეხების კომლის ყოველგვარი საბატონყმო ვალდებულება დაახლოებით უდრიდა თავისი ღირებულებით ამავე კომლის შრომით და სამსახურეობრივ მოვალეობას. ნახევარი საუკუნის სიგრძეზე მდგომარეობა ამ მხრივ ძირიანად შეიცვალა. ქართლ-კახეთში კომლ საბატონო გლეხის ვალდებულება გადასახადებით ფულზე უდრიდა დაახლოებით 10-20 მანეთს, შრომითი და სხვა შემთხვევითი (მაგ. საქორწილო და სხვ.) ვალდებულება კი აღწევდა ღირებულებით 40-60 მანეთს. იმერეთში საბატონო გლეხის ვალდებულება გადასახადებით იყო ორთა შუა რიცხვით 5 მანეთის ღირებულების, შრომითი ვალდებულება კი 10-15 მანეთის ღირებულების.

გარდა ამისა საბატონო გლეხების სავალალო მდგომარეობა შედარებით თითქმის თავისუფალ პირობებში მყოფ სახაზინო გლეხებთან ჩანს იქიდან, რომ საბატონო გადასახადებს გარდა საბატონო გლეხი იხდიდა, თუმცა მცირედ, სახელმწიფო გადასახადსაც (იმერეთში კომლზე 3-4 აბაზს). ხოლო სახაზინო გლეხის მთელი გადასახადი ხაზინის (სახელმწიფოს) სასარგებლოდ იყო მანეთი მამობრივი სქესის სულზე (მაშასადამე, კომლზე 3-4 მან.). მაშასადამე, საბატონო გლეხი სახაზინო გლეხთან შედარებით საერთოდ გადასახადებით და ვალდებულებებით დატვირთული იყო სამჯერ, ოთხჯერ და ხუთჯერ მეტადაც.

გლეხების მდგომარეობის გაუარესება XIX ს-ნის პირველ ნახევარში აიხსნება იმითაც, რომ ქართველი მებატონეების დიდი უმეტესობა თვითონაც ღარიბნი იყვნენ და ამიტომაც ისინი ზედმეტად აწვებოდნენ გლეხებს.

საქართველოს მებატონეები თავისი მფლობელობით დიდად ჩამოუვარდებოდნენ რუსეთის პომეშიკებს, რომელთა შორის ბლომად იყვნენ მსხვილი მფლობელები. აღმოსავლეთ საქართველოში ბატონყმობის გადავარდნის წინ იყო 1749 კომლი თავად-აზნაური. მებატონეები თავისი შეძლებით იყ-

ოფოდნენ სუთ კატეგორიად. მამობრივი სქესის ყმათა ათას სულზე (დაახლ. 240 კომლზე) მეტი ყმა ჰყავდა ორ მებატონეს, 501-1000 მამობრივი სული (54-240 კომლი) ჰყავდა თორმეტს და ასე შემდეგ, ხოლო 869 მებატონეს (ანუ მებატონეთა საერთო რაოდენობის 51%-ს) ჰყავდა 21 მამობრივი სულზე (2 1/2 კომლზე) ნაკლები. თავად-აზნაურთაგან 214 კომლს (12%-ს) გლეხები ჰყავდა, მაგრამ საკმაო მიწა არ ჰქონდა, რის გამო მათი გლეხები მუშაობდნენ ნაწილობრივ ან მთლიანად სხვის მიწებზე.

ზემო და ქვემო იმერეთში ორ მსხვილ მებატონეს ჰყავდა (ორივეს) 506 კომლი გლეხი, 6 მებატონეს ჰყავდა საშუალოდ თითოს 133 კომლი გლეხი, 220 მებატონეს თითოს 33,4 კომლი, 533 მებატონეს თითოს 10,4 კომლი, ხოლო დანარჩენ 24/4 მებატონეს (ყველა მებატონეთა 80%-ს) ჰყავდა თითოს საშუალოდ 2 კომლი გლეხი. ამ მებატონეთა შორისაც ბევრი იყო თითო კომლიანი მებატონე და ზოგი კიდევ სრულებით უყმო.

კიდევ მეტი წვრილი მფლობელობა იყო რაჭაში, სადაც 30 მებატონეს (საერთო რაოდენობის 3,5%-ს) ჰყავდა საშუალოდ თითოს 29 კომლი გლეხი (ესენი იყვნენ რაჭაში ყველაზე მსხვილი მებატონენი), ხოლო 673 მებატონეს (საერთო რაოდენობის 78%-ს) ჰყავდა საშუალოდ თითოს 1,75 კომლი გლეხი.

გურიაში პირველი კატეგორიის მებატონე იყო ორი (ესენი იყვნენ თავადნი გურიელები. მათ ჰყავდათ ორივეს 662 კომლი გლეხი), ხოლო 689 მებატონეს (მებატონეთა საერთო რიცხვის 81%-ს) თითოს საშუალოდ 1,9 კომლი გლეხი ჰყავდა. მებატონეების დიდი უმეტესობის მცირე შეძლებიანობით აიხსნება რომ ქუთაისის საგუბერნიო სათავადაზნაურო არჩევნებში იმერეთ-გურიის 4780 კომლ მემამულეთაგან სრული ხმის უფლება ჰქონდა მხოლოდ 295 კაცს, ე. ი. 6%-ს.

შედარებიდან კარგად ჩანს, რომ ქართლ-კახეთში წვრილი და ღარიბი მფლობელნი შეადგენდნენ მებატონეთა საერთო რაოდენობის ნახევარს (50%-ს), იმერეთ-რაჭაში და გურიაში კი საშუალოდ 80%-ს. რუსეთის შიდა გუბერნიების ჩვეულებრივ მსხვილ საპომეშიკო მფლობელობას უდგებოდა აღმ. საქართველოში მხოლოდ 15 კაცი, იმერეთ-გურიაში კი – 11 კაცი.

მებატონეთა წვრილი მფლობელიანობა იწვევდა მცირე შემძლე მებატონეთა მიერ თავიანთი გლეხების ზედმეტად შევიწროებას. მაგრამ ამ მხრივ არც მსხვილი მებატონენი აყრიდნენ გლეხებს ხერსს, რადგანაც ასეთ მებატონეთ ესაჭიროებოდათ თვალსაჩინო ფულადი სახსრები თბილისსა და ქუთაისში გამოჩვენებითი ფუფუნებითი ცხოვრებისათვის.

ბევრი შეგნებული მემამულე ცხადად ხედავდა ბატონყმობის არსებობის უაზრობას თვითონ მათთვის. დას. საქართველოში, მაგ., ზოგ ადგილას გლეხებს მემკვიდრეობით ბევრად ედოდ სამზარეულოში მომსახურეობა და ამიტომ სხვა საქმეს ხელს არ მოკიდებდნენ, მათი შენახვა კი მებატონის ვალდებულებაში იყო. ჩვენს სახლში, ჩოდა ერთი ოდიშელი ბატონიშვილი (არჩილ დადიანის ძე) 80 კაცი და ქალი მოსამსახურე ტრიალებს, ჩემთვის კი საემარისა სამი-ოთხი. მე სამჯერ მეტი მეჯინიბე მყავს, ვიდრე ცხენები და ყველანი ჩემი შესანახიაო. გადმოცემით სხვა ბატონიშვილს (პეტრე დადიანის ძეს) ოციოდე თხაზე რამოდენიმე მემკვიდრეობით მეთხე ჰყავდა. გასაგებია ამიტომ, რომ გადმოცემითვე სამეგრელოში დიდშემძლე მებატონეების მრავალრიცხოვანი უსაქმო მოსამსახურეები უფრო მეტად ნახევრად მშიერნი იხსდნენ, რადგანაც საჭმელი ყველას არ ჰყოფნიდა.

აქედანაც ჩანს, რომ ბატონყმობა უკვე საესებით გადაგვარებული დაწესება იყო. სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით ის იყო უაღრესად მავნე და საზარალო და ამიტომ მისი გაუქმება ამა თუ იმ სახით აუცილებელი იყო.

გლეხები უკვე აშკარად გამოდიოდნენ მებატონეების წინააღმდეგ და მოითხოვდნენ ბატონყმობის გაუქმებას, ჩვეულებრივ კიდევ საბოტაჟს ეწეოდნენ. თავადებისავე დამოწმებით გლეხები (მაგ., კახეთში) ბატონისთვის სავალდებულო სამუშაოზე გადიოდნენ ძლიერ ზანტად და როდესაც მზე უკვე კარგად დამდგარი იყო, ასე რომ ზოგ შემთხვევაში გლეხის ნამუშევარი ვერ ანაზღაურებდა მასზე გაწეულ დღის ხარჯს (წესით მებატონე ვალდებულებული იყო მის სამუშაოზე გასულ გლეხისთვის საჭმელ-სასმელი მიეცა). ასეთ პირობებში გასაგებია, რომ თავადაზნაურთა საუკეთესო წარმომადგენლები უკვე თვითონ აყენებდნენ საკითხს ბატონყმობის დროულად გაუქმების შესახებ.

გლეხები თვითონაც უკვე ვერ ითმენდნენ ბატონყმობას და აშკარად გამოდიოდნენ მისი გაუქმების მოთხოვნით (ამაღლებასა და ბაღდათში 1858 წ., გურიაში 1861 წ. და სხვ.).

წლებიდან თვით ქართველ მებატონეთა შორის იყვნენ რადიკალური შეხედულების განათლებულნი პირნი, რომელნიც მოითხოვდნენ გლეხების ჩამოშორებას მებატონეებისგან მიწით და ყოველგვარი საბევრო და სხვა დამამცირებელი ვალდებულებით შემამულეთა მიმართ და ყველაფერი ამის სამაგ-იეროდ გარკვეული ფულადი გადასახადის გაწერას. ასეთად საფიქრებელია გიორგი ერისთავი და ლოკუმენტურად ცნობილია გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელი. ამათ მიემატნენ შემდეგ სხვა პირნი, რომელნიც ან მცირე მებატონეები იყვნენ, ანდა არა იმდენად თავადაზნაურული, არამედ უფრო სამ-ღვედელოების წრიდან გამოსული პირნი, რომელნიც სამართლიანად თვლიდნენ, რომ გლეხები გან-თავისუფლებულნი ყოფილიყვნენ მიწით და ყოველგვარი პიროვნული ვალდებულების გარეშე თავიანთ მებატონეთა მიმართ (დიმ. ფურცელაძე და სხვანი).

საყურადღებოა, რომ თვით გიორგი ერისთავმა საკუთარი ინიციატივით ჯერ კიდევ საგლეხო რე-ფორმამდის 1858 და 1859 წლებში თავისი გლეხები გადაიყვანა ზომიერ ფულად გადასახადზე ყოველგვარი სხვა ვალდებულებისაგან განთავისუფლებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ფაქტიურად გლეხებს გიორგი ერისთავმა გადასცა სრულად მიწა, რაც მანამდის მათ სარგებლობაში იყო. ამ გადასახადს, ქართლ-კახეთის სამეფოს დროინდელი იმ ფულადი გადასახადის მიბაძვით, რომელიც არსებობდა თბილისის მოქალაქეთა და აგრეთვე ყაზახისა და ბორჩალოს თათრების მიმართ და რომელსაც ერქვა მახტა, ახლაც გიორგი ერისთავმა შეარქვა ეს სახელი. გიორგი ერისთავს, გ. დვანაძის სიტყვით, რო-მელიც იყო პირველი ქართული თეატრის ჩინებული მსახიობი და მელექსეც, სამასი კომლი ყმა ჰყავდა, ქართველი, ოსი, მთიული¹.

1855-1858 წლებში ეს გ. დვანაძე იყო გიორგი ერისთავის მოურავი
 "მე ვიყავ ოძისშა, ის სულ ქალაქში სცხოვრობდა"
 "ერისთავს ადრე ეწადა ყმებზედ დადება მახტისა".

გ. დვანაძე ასე აღაპარაკებს თბილისში მყოფ გ. ერისთავის მიმართ უცნობ მის მრჩეველს, რო-მელსაც ავტორი თავის მტრად ხდის, რადგანაც ამას მოჰყვა მისი დათხოვნა მოურავის ადგილიდან:

"მოურავი რისთვის გინდა, ყმებსა მახტა გადაუკვეთე,
 დამიჯერე, გამიგონე, შენთვის მინდა მე სიკეთე,
 ყველა ფულად გადაუწყვიტე, სხვა ხარჯები ამოჰკვეთე,
 ორი ბიჭი იყოლიე, რაც გინდოდეს, შეუკვეთე.
 თავის დროზედ ფულს ისინიც აპკრეფენ და მოგიტანენ,
 მამულს ვერაინ იმძლავრებს, იმძლავრონ რას გაიტანენ,
 დიანბევიც შეასრულებს, როცა შენს წიგნს მიუტანენ.
 თორემ საქმე თავს არ მოდის, ლამის ყმები აგიჯანყდნენ".

საყურადღებოა გ. დვანაძის ცნობა, რომ გიორგი ერისთავს მახტაზე თავისი გლეხების გადაყვანა ადრევე უნდოდაო. ამ ჟამად კი 1858 წელს მან გადადგა ამ მიმართულებით გადამწყვეტი ნაბიჯი. ამისი მიზეზი იყო თვით მოურავის გ. დვანაძის მკაცრი ქცევა გლეხებისადმი. ამას გ. დვანაძე თვითო-ნაც აღნიშნავს თავის ლექსით ავტობიოგრაფიაში და ასეთ მოპყრობას შეეძლო გლეხების აჯანყებაც გამოიწვია. ამიტომ, რომელიც პირის რჩევით, რომელსაც გ. დვანაძე თავის მტრად სახავს, გ. ერ-ისთავმა დაითხოვა ეს თავისი მოურავი და გადაიყვანა გლეხები მახტაზე. ეს მრჩეველი, შესაძლებე-ლია, იყო უფრო ქვემოთ მოხსენებული დიმ. ფურცელაძე ან ვინმე ამისი მიმდევარი, რადგანაც ბა-ტონყმობის საკითხის რადიკალურად გადაწყვეტაზე ფიქრობდნენ და ამის სასარგებლოდ რაც შეეძლოთ, კიდევ აკეთებდნენ. გ. ერისთავის ამ აქტმა, გადმოცემით, გამოიწვია დიდი აღშფოთება სხვა, განსაკუთრებით მეზობელ თავადებში — გლეხებს გვიჯანყებსო.

სენებული მახტის რაოდენობა, რომელიც მეტად ზომიერი იყო დაწესებულ იქნა გ. ერისთავის მიერ თვით გლეხებთან შეთანხმებით. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გიორგი ერისთავის სიკვდილის შემდეგ უკვე საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ გიორგის შვილის დავით ერისთავის

¹ საგლეხო რეფორმის შემდეგ გიორგი ერისთავის შვილს დავითს, მისი დედინაცვლის სიტყვით, მამ-რობითი სქესთა თითო სულზე დაწესებულ 25 მანეთის კვალობაზე ერგო 30 ათ. მანეთი, რაც კომლზე ოთხი სულის მამრის ანგარიშით, იძლევა მეტნაკლებობით 300 კომლს.

და ამის სიკვდილის შემდეგ კიდევ მისი შვილის ელისაბედ ერისთავის დროებით ვალდებული გლეხები, რომელნიც მეტი რაოდენობით ოსები იყვნენ, იმავე მახტას იხდიდნენ შემდეგშიც ვიდრე დროებით ვალდებულ გლეხთა დაწესების კანონით გაუქმებამდის 1912 წ. დეკ. და ამის შემდეგაც ვიდრე 1917 წლის რევოლუციამდის. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ხსენებული მახტა იყო იმდენად არაშემაწუხებელი გლეხებისათვის, რომ ისინი, იშვიათი შემთხვევის გარდა, არც ცდილობდნენ დროებით-ვალდებული მდგომარეობიდან თავის დახსნას. მით უმეტეს, რომ დროებით-ვალდებული მდგომარეობა მათ ანიჭებდა სერვიტუტის, ე.ი. მემამულის სათიბ-საძოვრებით და ტყით უფასოდ სარგებლობის უფლებას. სულ, ხსენებული ოპერაციის ჩატარების შემდეგ, გიორგი ერისთავის პირადი მთელი მიწათმფლობელობა მთა-ტყე-საძოვრებით მაინც შეადგენდა დაახლ. 5-6 ათ. დესეტინა მიწას. მაგრამ შემოსავალი ამისგან (ვარგისი სახნავი მიწების სულ მცირე რაოდენობის გამო – უმეტესად იყო. საძოვრების გარდა, გამოუყენებელი მთები) ცოტა იყო.

თავისი ყმა-გლეხების მახტაზე გადაყვანის შემდეგ გიორგი ერისთავმა გაანთავისუფლა თავისი პირადი შინაყმები, რომელნიც მებატონის პირად სამსახურ-ვალდებულნი იყვნენ, მოაწყო ისინი, ხოლო ნაწილს, ვინც მამულისთვის საჭირო იყვნენ, დაუნიშნა ჯამაგირი.

არსებითად გიორგი ერისთავს არ გაუნთავისუფლებია თავისი ყმები ბატონყმობისაგან. მან მხოლოდ შეუცვალა ყმა-გლეხებს ყოველგვარი ვალდებულება მებატონის მიმართ ზომიერი ფულადი მახტით. ამიერიდან გიორგი ერისთავს თავის გლეხებთან არავითარი სადავიდარაბო არ ჰქონდა. ამასთანავე გლეხებმა შეინარჩუნეს მთელი მიწა, რომელიც მანამდის მათ ხელში იყო. თავისი დროისთვის ყმა-გლეხების ასეთ პირობებში ჩაყენება უკვე დიდ პროგრესულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ამიტომაც ამ დროის მომსწრე სოფრომ მგალობლიშვილი წერდა – ბატონყმობის ჩვენში გადავარდნის პიონერი გიორგი ერისთავი იყო.

ამის შემდეგ ცხადი ხდება, რომ 1862 წელს გიორგი ერისთავმა ხელი არ მოაწერა გორის მაზრის მემამულეთა აზრს, რომ ყმა-გლეხები გადაყვანილი ყოფილიყვნენ ხიზნებად, ე.ი. ფაქტიურად საგლეხო რეფორმის შემდეგაც დატოვებული ყოფილიყვნენ მემამულეთა ფაქტიურად ახალი სახის ყმურ დამოკიდებულებაში.

ყველაფერი ეს პრაქტიკული განხორციელება იყო იმის, რასაც გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელი თეორიულად ასაბუთებდა 1848 წელს.

ამ მიმართულების გამომხატველი იყო დიმ. ფურცელაძე, წერილი აზნაურის წრიდან, მაგრამ იმავე დროს, მგონი, სამღვდლო ოჯახიდან წარმომდგარი, რის მაჩვენებელია ის, რომ მას სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში და შემდეგ რუსეთში სასულიერო აკადემიაში ჰქონდა მიღებული. დიმ. ფურცელაძე იყო რადიკალურ-დემოკრატიული მიმართულების კაცი. 1850-იან წლებში ის მსახურობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში მასწავლებლად. ამავე სემინარიაში მასწავლებლად იყო სემინარია-სწავლა დამთავრებული დანიელ ჭონქაძე, "სურამის ციხის" ავტორი, რომელმაც მაშინდელ პირობებში პირველმა შესძლო ბატონყმობის დამგობი მოთხოვნის დაწერა (1858 წ.) და მისი გამოქვეყნებაც ჟურნალ "ციხარში". დიმ. ფურცელაძეს შეეძლო როგორც ხნოვანებით უფროსს და უმაღლესი განათლების მქონეს, ერთგვარი გავლენა ჰქონოდა დანიელ ჭონქაძეზე.

გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელის პროექტისაგან განსხვავებით დიმ. ფურცელაძე იმ აზრის იყო, რომ საბატონო გლეხის სარგებლობაში მყოფი მიწა, რომლითაც ის თაობათა სიგრძეზე სარგებლობდა, შეადგენს მის სრულ საკუთრებას და ასეთად უნდა დარჩეს ის ბატონყმობის ლიკვიდაციის შემდეგ ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე ყოფილ მებატონეთა სასარგებლოდ. საბატონო გლეხი თავისი მიწა-მამულით უნდა განთავისუფლდეს მებატონისაგან და მას არავითარი ვალდებულება არ უნდა ეკისრებოდეს თავისი ყოფილი მებატონის მიმართ. ეს თავისი აზრები დიმ. ფურცელაძემ გამოსახტა 1861 წელს რუსულად დაწერილ საეციალურ "ზაპისკა"ში. მას შემდეგ რაც 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტით ბატონყმობა შიდა-რუსეთში გაუქმებულ იქნა, თბილისშიც ამიერ-კავკასიის მთავარ სამმართველოსთან ნამესტნიკის განკარგულებით 1861 წლის მარტის ბოლოში შექმნილ იქნა "საბატონო გლეხების ყოფის მომწყობი ცენტრალური კომიტეტი" (Центральный комитет по устройству быта помещичьих крестьян), რომელიც იმავე წლის აპრილში შეუდგა უკვე მოქმედებას. ამ კომიტეტში 1861 წელს დიმ. ფურცელაძემ წარადგინა თავისი, ისტორიულად დასაბუთებული აზრი ბატონყმობის შესახებ საქართველოში. მაგრამ ეს აზრი დარჩა გამოუყენებელი. მიზეზი იყო ის, რომ

იმპერატორის განკარგულებით ჯერ კიდევ 15 აპრ. 1858 წ. მთელ იმპერიაში აკრძალულ იქნა ისეთ ნაწარმოებთა და საჭურნალო სტატიების დაბეჭდვა, რომლებშიაც განვითარებული იქნებოდა აზრი, თითქოს საბატონო გლეხებს საკუთრების უფლება ჰქონდეთ მებატონეთა იმ მიწებზე, რომლებითაც ისინი სარგებლობენ“-ო. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს 1862 წლის 18 აპრილის ცირკული-ართ ეს მითითება დადასტურებულ იქნა მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში საგლეხო რეფორმა უკვე გატარებული იყო. ბუნებრივია, რომ დიმ. ფურცელაძეს ბეჭდვითი სიტყვით თავისი ხსენებული აზრის გამოთქმის შესაძლებლობა ამიტომ არ ჰქონდა. ხსენებული აკრძალვით აიხსნება, რომ გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელიც, რომელსაც 1848 წელს იმავე საკითხზე საკმაოდ რადიკალური აზრი ჰქონდა გამოთქმული, შემდეგ გაჩუმებული იყო. ის უკვე მეტად დაწინაურებული იყო სახელმწიფო სამსახურში. საქართველოში გასატარებელ საგლეხო რეფორმის შესახებ მსჯელობის დროს ის იმყოფებოდა ტაინი სოვეტნიკის ჩინით (რაც გენ.-ლეიტენანტს უდრიდა) სანამესტნიკოს საბჭოს წევრად და, რასაკვირველია, მას ხმის ამოღებაც კი არ შეეძლო იმ დებულებათა შესახებ, რომელიც მას გატარებული ჰქონდა 1848 წლის ზემოთ მოხსენებულ პროექტში.

კერძოდ ამიერ-კავკასიის საგლეხო კომიტეტში დიმ. ფურცელაძის ბარათისთვის ("ზაპისკისთვის") 1861 წელს იმავე მიზეზის გამო ყურადღებაც არ მიუქცევიათ – ის დარჩა გამოუყენებელი. შემდეგში ხსენებული "ზაპისკა" მაინც დაიბეჭდა, მაგრამ უკვე თბილისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გაზ. "Кавказ"-ში 1864 წლის ოქტომბერ-ნოემბერში (მანამდის მისი დაბეჭდვა არ შეიძლებოდა), როდესაც საგლეხო რეფორმა თბილისის გუბერნიაში უკვე გატარებული იყო.

დიმ. ფურცელაძე მარტო არ იყო, მას თუნდაც მცირედ ჰყავდა მიმდევარნი. ხსენებულ გ. ბაგრატიონ-მუხრანელის გარდა ასეთნი უეჭველად იყვნენ მოწინავე ლიტერატორები ლაერენტი არდაზიანი და დანიელ ჭონქაძე და აგრეთვე ის პირნი, რომელნიც 1863 წელს ილია ჭავჭავაძის ჟურნალ "ივერიის" გარშემო იყვნენ შეკრებილნი და ან მას თანაუგრძნობდნენ.

1864 წელს დიმ. ფურცელაძე იყო ნადვორნი სოვეტნიკის ჩინის (უდრიდა პოდპოლკოვნიკის სამხედრო ხარისხს) მქონე და ითვლებოდა ნამესტნიკთან არსებულ დროებით განყოფილებაში მხარის სამოქალაქო მოწყობის საქმეებისათვის რედაქტორის თანაშემწედ. საგლეხო რეფორმასთან მას უშუალო კავშირი არ ჰქონდა.

142. კავკასიის ნამესტნიკად დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის დანიშვნა. 1862 წლის ბოლოში კავკასიის ნამესტნიკად მყოფი თავ. ბარიატინსკი ნაწილობრივ ავადმყოფობის გამო და გარდა ამისა ზოგ პირად უსამოვნებათა გამო გადაყენებულ იქნა ამ თანამდებობიდან და მის მაგივრად ნამესტნიკად დანიშნულ იქნა ალექსანდრე II-ის ძმა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. ამ დანიშვნის დროს ის 30 წლის იყო, მაგრამ არავითარი უნარი მმართველობის საქმისთვის მას არ ემჩნეოდა. საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ III-ის ცოლს ევგენიას, როდესაც მან ეს დიდი მთავარი გაიცნო, ეთქვა მის შესახებ – ეს ხომ ადამიანი არ არის, ეს ცხენაო. მაგრამ ბოროტი კაცი არ იყო. სამოქალაქო სამმართველოს უფროსად (ფაქტიურად თანაშემწედ ამ დარგში) მას სულ მალე დაუნიშნეს ბარონ ალ. ნიკოლაი, რომელიც ამ დროს რუსეთის იმპერიის განათლების მინისტრის თანაშემწედ (მოადგილედ) მუშაობდა, ხოლო მანამდის დიდხანს იყო თბილისში ნამესტნიკის სამმართველოს დიდ მოხელედ. წარმოშობით იყო შვედურ აზნაურულ გვარიდან. პაპა მისი საფრანგეთიდან მოწვეული იყო რუსეთში მეგვიდრე პავლეს (მომავალი იმპერატორის) მასწავლებლად. მისი შვილიშვილი ალექსანდრე ნიკოლაი უკვე რუსად ითვლებოდა და ცოლად მას ჰყავდა ალექსანდრე ჭავჭავაძის უძეცროსი ასული სოფიო. ის იყო ლიბერალური აზროვნების კაცი.

ბარონ ნიკოლაის დანიშვნა თბილისში ასეთ დიდ ადგილზე ქართველებისთვის მაინც არ იყო ცუდი საქმე. როდესაც მალე ალექსანდრე II-ის დროსვე რუსეთის ცენტრში შინაგანი პოლიტიკის საჭე კვლავ მარჯვნივ გადაიხარა, ქართველობას ამის სიმწვევე განსაკუთრებული სიძლიერით არ უგრძენია. ბარონ ნიკოლაის და მის შემდგომთა ტოლერანტული-მომთმენი თვისებები და ნამესტნიკის უბოროტობა ამ მხრივ დადებით შედეგებს იძლეოდა.

¹ Документы по истории Грузии, Тб. 1960, 12, 532.

საგლეხო რეფორმის საკითხი შესასწავლად და გადასაწყვეტად გადაეცა საგლეხო რეფორმის ამ-
იერ-კავკასიის ცენტრალურ კომიტეტს, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა კავკასიის ნამესტნიკის
მთავარი სამოქალაქო სამმართველოს ახალი უფროსი ბარონ ალ. ნიკოლაი. თავადაზნაურთაგან
კომიტეტის წევრებად ანდა ექსპერტების სახით მოწვეულ იქნენ თავადაზნაურობის უმრავლესობის
აზრის გამოხატველნი.

143. თავადაზნაურობის დამოკიდებულება ბატონყმობის გაუქმებისას. თავადაზნაურობისათ-
ვის ნაკლები ზარალით ბატონყმობის გაუქმების მიზნით ნამესტნიკი ბარიატინსკი, რომელიც არის-
ტოკრატული შეხედულების მქონე იყო და ქართველ თავადაზნაურობას კარგად ეყრობოდა, 1861
წელს წინადადებას იძლეოდა გლეხობა განთავისუფლებულიყო მიწიანად, რის სამაგიეროდ მემ-
ამულეებს მიეცემოდათ მიწები სახელმწიფო ფონდიდან (მარტო თბილისის გუბერნიაში საზინას
ქჷონდა 2 მილიონი დესეტინა მიწა). ქართველი თავადაზნაურობა არ დათანხმდა ამას, რასაც ილია
ჭავჭავაძე 1905 წ. გულის ტკივილით იგონებდა. როგორც ეტყობა თვითონ ილია ჭავჭავაძე
თანაუგრძნობდა ამ პროექტს. ცხადია, თუ რატომ სთქვა თავადაზნაურობამ ამ წინადადებაზე უარი.
საქართველოში იყო მოსახლეობის და, მაშასადამე, მუშახელის ნაკლებობა. ამიტომ მემამულენი ხაზ-
ინიდან მიღებულ მიწას ადვილად ვერ დაამუშავებდნენ. მათ არც თავისი მეურნეობის ტექნიკურად
გაუმჯობესება შეეძლოთ, რადგანაც ამისთვის არც ცოდნა და გამოცდილება ქჷონდათ და არც
გაუმჯობესებული ხელსაწყო-იარაღების შესაძენი ფული. ამიტომ თავადაზნაურობა ისევ დაადგა ხაზ-
ინიდან რაც შეიძლება მეტი კომპენსაციის მიღების გზას.

ამ მდგომარეობამ უსათუოდ იქონია გავლენა ქართველ პროგრესისტთა პოზიციაზედაც ბატონყ-
მობის გაუქმების საკითხში. ილია ჭავჭავაძე, რომელიც თავის უკვე 1859 წლიდან დაწერილ ლექსებსა
და მოთხრობებში გამოხატავდა მებატონეთა ძალადობას, ნატრობდა მშრომელი ხალხის შემბოჭველი
ბორკილების დამსხვრევას და საერთოდ შრომის სუფევის გაბატონებას, ბატონყმობის გაუქმების
საკითხში მოითხოვს საბატონო გლეხების პიროვნულად სრულ განთავისუფლებას (ეს უკვე ლიბერ-
ალურ-ბურჷუაზიული მოთხოვნილებაა). მაგრამ ამავე დროს ეროვნულ მოსაზრებათა გამო ვერ იმე-
ტებს მებატონეთა წოდებასაც და მოითხოვს მისთვის საგლეხო მიწების მთლიანად დატოვებას.

1862 წელს აპრილში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ცალკე ჯგუფებმა თავადაზნაურო-
ბის საგუბერნიო კრებისათვის წარმოადგინეს თავიანთი აზრები. თითქმის ყველანი (მათ შორის გორის
მაზრის 135 აზნაური დი. ყიფიანის მონაწილეობით) მოითხოვდნენ ამა თუ იმ სახით განთავისუფლე-
ბული გლეხების პიროვნულ ვალდებულებათათვის ხაზინიდან ფულის მიცემას და თვით გლეხების
ხელში მყოფ მიწით სარგებლობისათვის; ამ მიწის გამოსყიდვადის სამუშაო და ნატურალურ ვალდე-
ბულებათა დატოვებას მემამულეთა სასარგებლოდ ათიოდე წლით, რის შემდეგ მემამულე და გლეხი
მიწით სარგებლობის პირობების შესახებ ერთმანეთს უნდა მორიგებოდნენ. ეს იყო მემამულეთა დი-
დად დიდი უმრავლესობის აზრი, რომლის მიხედვით განთავისუფლებული გლეხობა უნდა გადაეყა-
ნილი ყოფილიყო მემამულეთაგან ახალ დამოკიდებულებაში ხიზნების კვალობაზე.

ამ უმრავლესობას არ ეთანხმებოდა თელავის მაზრიდან 18 მემამულის (მათ შორის ილია
ჭავჭავაძე და ნიკ. დავითის ძე ჭავჭავაძე) და სიღნაღის მაზრიდან 34 მემამულის მიერ წარ-
მოდგენილი ეგრეთ წოდებული საშუათანო აზრი. 52 მემამულე, რომელთა შორის იყო 5 გენერალი
(თელავის მაზრიდან სამი და სიღნაღის მაზრიდან ორი) სწერდნენ: "საბატონო გლეხთ მიეცათ
თავისუფლება ყოვლის პირადი სამსახურისა და დამოკიდებულებისაგან"; გლეხების ხელში მყოფი მიწა
მთლიანად აღიარებულ იქნას მებატონის საკუთრებად; გლეხს ნება მიეცეს კვლავინდებურად ისარ-
გებლოს იმით, მაგრამ ამისთვის გლეხებს დაევალოს მებატონის სასარგებლოდ გადაწყვეტილი
გადასახადი გარკვეული ათი (მეტ ნაკლებით) წლის სიგრძეზე, რის შემდეგ გლეხი აიღებდა მემ-
ამულისგან მიწას თავისუფალი მორიგების საფუძველზე; გლეხების პიროვნული შრომა-სამსახურის
დაკარგვისათვის მებატონეებს მიეცეთ შემწეობა მთავრობისგან. ამგვარად კახელი ეს მემამულენი არ
მოითხოვდნენ გლეხებზე შრომითი ბეგარის გაგრძელებას. ამით განირჩეოდნენ ისინი, მაგ., გორის
მაზრის და სხვა მემამულეთაგან.

აზრი გლეხობის უმიწოდ განთავისუფლების შესახებ შესამჩნევად მსუბუქდებოდა იმით, რომ
რუსეთში გატარებული რეფორმის მიხედვით ცნობილი იყო მთავრობის გადაწყვეტილება განთავისუ-

ფლებული გლეხების პროლეტარიზაციის თავიდან ასაცილებლად მათთვის განსაზღვრული პირობით ნადელის დატოვების შესახებ. მაშასადამე, ხსენებულ აზრთა წარმომადგენელთ ძლიერ კარგად იცოდნენ, რომ მთავრობა გლეხებს არ დასტოვებდა მთლიანად უმიწოდ. ამიტომ მთავრობა იძულებული იქნებოდა გაეღო თანხა გლეხებისათვის დატოვებული მიწების საკომპენსაციოდ ან გამოსასყიდად. მაშასადამე, გლეხების განთავისუფლება მიწით უნდა მომხდარიყო რუსეთის ხაზინის ხარჯზე, მაგრამ მებატონეთა სასარგებლოდ ყოველგვარი პიროვნული სამუშაო ბეგარის დადებით გლეხებზე არ სჩანს, თუ რამდენად გენერლების და სხვა ჩინოსან პირთაგან შემდგარ კრებულზე (ასეთები, ხსენებულ აზრთა წარმდგენნი, იყვნენ საკმაოდ ბევრნი) ილია და ნიკ. ჭავჭავაძეებმა ამ საკითხში რაიმე გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს, მაგრამ საყურადღებოა, რომ ამ პირთაგან ხსენებულ აზრს შერჩა ერთი წლის შემდეგ თელავის მაზრიდან ცხრა და სიღნაღის მაზრიდან ცამეტი, ე.ი. სულ ორ ნახევარჯერ ნაკლები. დანარჩენები კი გადავიდნენ თავადაზნაურობის დიდი უმეტესობის აზრზე განთავისუფლებულ გლეხებს სამუშაო ბეგარის დადების შესახებ. ცხადია, რომ მოთხოვნაში პიროვნულად გლეხთა განთავისუფლების შესახებ სამუშაო ბეგარის დაუღებლად ახალი თაობის პროტესტთა (ამ შემთხვევაში ილია და ნიკო ჭავჭავაძეების) ხელი მოქმედებდა. დანარჩენში კი ისინი იძულებული გახდნენ პირველი მუხლის (გლეხების პიროვნული თავისუფლების შესახებ) შენარჩუნების მიზნით დაეთმოთ უმრავლესობისათვის საგლებო მიწის საკითხში. იმდროინდელ პირობებში ესეც მიღწევა იყო, რომლის დაგვარი ვერ გამოიჩინა ქართლის თავად-აზნაურობამ მხოლოდ ერთი პირის გენერალ-მაიორის კოსტ. მამაცაშვილის გარდა, რომელიც მოითხოვდა გლეხების განთავისუფლებას მიწით ყოველგვარი პიროვნული დამოკიდებულების გარეშე, მაგრამ მიწის გამოსყიდვით მებატონეთაგან (ეს დაახლოებით იგივე აზრია, რაც კახელ ზემოდ ნაგულისხმევ 52 მემამულეთა). ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ამ ერთმა კოსტ. მამაცაშვილმაც შემდეგ უარი სთქვა თავის აზრზე, ე.ი. მას მოუვიდა იგივე, რაც 52 კახელ მემამულეთა უმრავლესობას.

144. სამზადისი ბატონყმობის განსაზღვრებად საქართველოში. ბატონყმობის გაუქმების სამზადისი მიდიოდა ჩვენში ისე, რომ მთავრობას არ უნდოდა წყენა მიეყენებინა თავადაზნაურობისათვის და ამიტომ მთავრობის წინადადებით, როგორც აღმოსავლეთ, ისე შემდეგ დასავლეთ საქართველოში გაიმართა თავადაზნაურთა სამაზრო და სამხარეო თათბირები. იმ თათბირებზე უნდა შემუშავებული ყოფილიყო ის პირობები, რომელზედაც მემამულეები დათანხმდებოდნენ გლეხების განთავისუფლებას (1862 წ.). ამის შესახებ დამუშავებული მოხსენების შედგენა დაევალა დიმიტრი ყოფიანს, რომელიც მალე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად იქნა არჩეული.

დიმიტრი ყოფიანი, ამ დროს სახელმწიფო სამსახურიდან პენსიაზე გადაყვანილი, წინად იყო დიდი თანამდებობის პირი – ნამესტნიკის საბჭოს წევრი და ქართველ ჩინოვნიკებს შორის ის ყველაზე საქმიან კაცად ითვლებოდა. დიმიტრი ყოფიანი გამოვიდა ქართველი მემამულეების ინტერესების მდგარ დამცველად. ის ამ შემთხვევაში თავისი გაგებით ხელმძღვანელობდა უფრო ეროვნული თვალსაზრისით. ის, მისი თაობის ბევრ პირთა მსგავსად იმ აზრისა იყო, რომ რადგანაც რუსეთის იმპერიაში ხელმძღვანელი როლი ჯერ კიდევ მიკუთვნებული ჰქონდა პომეშიკურ წოდებას, ამიტომ საქართველოშიც ქართველი თავადაზნაურობა უნდა შენარჩუნებული ყოფილიყო ხელმძღვანელ წოდებად. ამიტომ ეროვნული ინტერესის თვალსაზრისით ამ პირთ საჭიროდ მიაჩნდათ, რომ საგლებო რეფორმის დროს ქართველი თავადაზნაურობა მატერიალურად რაც შეიძლება ნაკლებ დაზარალებულიყო, შენარჩუნებინა მას გლეხების ხელშიც მყოფი მიწები, ხოლო გლეხების პიროვნულ სამსახურებრივი და შრომითი ვალდებულებათა სანაცვლოდ გამოეთხოვა რუსეთის სახელმწიფო ხაზინიდან მაქსიმალურად მეტი ფულადი კომპენსაცია. ამიტომ დიმიტრი ყოფიანმა შეიმუშავა ბატონყმობის საქართველოში გაუქმების ისეთი პროექტი, რომლის მიხედვით საბატონო გლეხების ხელში მყოფი მთელი მიწა-წყალი უნდა გამხდარიყო მებატონეების სრულ საკუთრებად. გლეხები გადადიოდნენ ხიზნების მდგომარეობაში და დამატებით კიდევ ხაზინას უნდა გაეღო მებატონეთა სასარგებლოდ მნიშვნელოვანი ფულადი კომპენსაცია.

145. პირველი დასი. ამ დროს ქართულ საზოგადოებრივ კულტურულ ასპარეზზე გამოსული იყო ეგრეთ წოდებული პირველი დასი, საერთოდ თერგდალეულნი (ესენი იყვნენ რუსეთში, უმთავრესად

სატახტო ქალაქ პეტერბურგში, სწავლა მიღებული ახალგაზრდანი, რომელთაც ეწოდებოდათ თერგდალეულნი რუსეთისკენ მიმავლობისას თერგის წყლის დაღვეის გამო). ქართველი ახალგაზრდები რუსეთში ეცნობოდნენ რუსის ხალხს და ეუფლებოდნენ რუსულ კულტურას. ისინი კარგად იყვნენ გაცნობილნი დიდ რუს რევოლუციონერ დემოკრატების ვ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკის და ნ. დობროლოუბოვის ნაწერებს, საერთოდ პროგრესული იდეების მატარებელ რუსულ მწერლობას და აზროვნებას.

ხსენებული დასის სულის ჩამდგმელი და მეთაური იყო ილია ჭავჭავაძე. ეს ჯგუფი საჭიროდ სთვლიდა უპირველეს ყოვლისა ქართული ეროვნული ენის შენარჩუნებას, რაც მთავრობის გამარჯვებული პოლიტიკის წყალობით, ხალხის თვითმოქმედების მრავალმხრივად ჩახრჩობის პირობებში მეტად ძნელი საქმე იყო. პირველი დასი საჭიროდ თვლიდა მიყოლას რუსეთის რევოლუციურ დემოკრატიულ ძალებისთვის და ცარიზმის წინააღმდეგ თავგანწირულ ბრძოლის საქმეში. იმავე დროს მას აუცილებლად მიაჩნდა ფართე საგანმანათლებლო მუშაობის გაშლა უპირველეს ყოვლისა ქართული ენის შენარჩუნების მიზნად. ამ თვალსაზრისით პირველ დასს შეიძლება ეწოდოს მეტრძოლნი ეროვნულ-განმანათლებელნი.

პირველი დასის პოლიტიკური მიმართულება ცენზურული პირობების გამო (ეროვნულ საკითხზე თავისუფლად აზრის გამოთქმის ნებას მართებლობა არ იძლეოდა), ნათლად არ ჩანდა. თავისი მრწამსი ილია ჭავჭავაძემ გამოხატა ერთ თავის ადრინდელ ლექსში "ჩემი თარი-ალალი" (1858 წ.) და კიდევ თავისსავე "მგზავრის წერილებში". ხსენებულ ლექსში ილია ჭავჭავაძე წერდა:

"რა გინდ რომ ცარი ღრინავდეს,
ჩვენის სისხლისთვის გრგვინავდეს,
ვერ შეგვაშინებს ჩვენ ცარი,
თუ გულში ძმობა ბრწყინავდეს.
ცარმა რა ერთხელ ინება
მორჭმულ კაცის დამონება,
თავისსეული (იგულისხმება ნამესტნიკი ბარიატინსკი) კერპთ დასვა,
სული ეშმაკთ მიანება.
ჰე, ძმანო, ჩვენ მათ განვმორდეთ,
ჩვენ ჩვენს მამულს ვეპატრონეთ,
ქართველს ვაჩვენოთ ქართველობა.
მერე თუნდა დავიხოცნეთ" და სხვ.

"მგზავრის წერილებ"-ში კიდევ ილია ჭავჭავაძე გამოსთქვამს თავის პოლიტიკურ მრწამს მოხვევის სიტყვებით წარსულის მიმართ: "ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნენ"-ო. არსებითად ეს იყო რუსეთის ცარისტულ იმპერიისგან საქართველოს გამოყოფის ლოზუნგი.

საკმაოდ გარკვევით ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერს "ივერია"-ში 1881 წლის მაისის მიმოხილვაში (თხზ., 1927 წლის გამ., 127): ბრძოლის საგნად მამებსა და შვილებს შორის 1860-იანი წლების დასაწყისში "სხვა რამე უნდა ყოფილიყო და "მამებსა და შვილებს" შორის შუა მიჯნად დადებულიყო. ის "სხვა რამე" იყო — ჩვენის დაცემული ვინაობის (ხაზი თვით ავტორისაა) აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდან არ აგვცდენია, — ყველასათვის ცხადზედ ცხადია.

"იმ ახალმა გუნდმა მთელი თავისი ღონე მაგ საგანს მიჰმართა. მაგ ახალმა მიმართულებამ დაიპყრო მთელი ჩვენი ღარიბი ლიტერატურა. "საქართველოს მოამბე", "მნათობი", "დროება" (უნდა იგულისხმებოდეს ივ. მაჩაბლის დროინდელი "დროება") და ბოლოს "ივერია" სულ მაგ მიმართულების ბუქსა და ნაღარას სცემდნენ. საუკეთესო წარმომადგენელნი ჩვენის პოეზიისა სულ მაგას გვაძხვლდნენ, მაგას გვიგალობდნენ დღეს-აქამომდე...". ვინაობის აღდგენა, როგორც ეს სავსებით ნათლად ჩანს, ქართული სახელმწიფო ცხოვრების აღდგენა იგულისხმება.

თავისი ეროვნული საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად ილია ჭავჭავაძემ 26 წლისამ წამოიწყო ახალი ქართული ყოველთვიური ჟურნალის "საქართველოს მოამბის" გამოცემა (1863 წ.). ყველა, ვინც კი მაშინ ქართულ საზოგადოებაში იყო პროგრესულად მოაზროვნე, შეიკრიბა ილია ჭავჭავაძის და "საქართველოს მოამბის" გარშემო. ჟურნალის გამოსვლას მოელოდნენ მოუთმენლად. ერთი ცალი

ამ ჟურნალისა გამოწერილი ჰქონდა ზედა-აჭარის მემამულეს შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს ოსმალეთში მართლაც ჟურნალი გამოვიდა ძლიერ კარგი. ის მიემსგავსებოდა რუსულ და ევროპულ დიდ ჟურნალებს და ბევრად სჯობდა მანამდის არსებულ ქართულ ჟურნალს "ცისკარს". ილია ჭავჭავაძის იდეალს შეადგენდა დამოუკიდებელი საქართველო, სადაც ყველა წოდება ერთმანეთთან შეთანხმებულად უნდა ყოფილიყო მოთავსებული. ეს თავისი ეროვნულ პოლიტიკური იდეალი ილია ჭავჭავაძეს, როგორც მოხსენებული იყო, გამოხატული აქვს თავის "მგზავრის წერილებში" მოხვედრის სიტყვებით (წარსულის მიმართ) რომ "ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნეს"-ო. მაგრამ რადგანაც ამ ლოზუნგის წამოყენება აშკარად მაშინდელ პირობებში შეუძლებელი იყო (ამის ნებას მთავრობა არ მისცემდა და თვით ასეთი აზრიც გამოიწვევდა დიდ რეპრესიებს), ამიტომ გარკვეული პროგრამა ეროვნულ საკითხში ილია ჭავჭავაძეს და მის დასს არ ჰქონდა.

რაც შეეხება ბატონყმობას, ილია ჭავჭავაძე მხარს უჭერდა გლეხების სავესებით განთავისუფლებას მებატონეთა მიმართ ყოველგვარ ვალდებულებისაგან. მიწა გლეხს უნდა მისცემოდა, მაგრამ რუსეთის ხაზინის მიერ მებატონეებისათვის კომპენსაციის გაღებით.

ეგრეთ წოდებულ თერგდალეულთა შორის იყო, კერძოდ სოციალურ საკითხში, აზრთა სხვადასხვაობა. მაშინ როდესაც ილია ჭავჭავაძე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგადად თავადაზნაურობას, როგორც მინც, შედარებით ბატონყმურ უღელში გაბმულ გლეხობასთან, უფრო კულტურულ კლასს, სხვები, რომელთაგან შემდეგ ჩამოყალიბდა მეორე დასი, მემამულეთა წოდებას უყურებდა როგორც ხალხის მტერს. ნიკო ნიკოლაძე შემდეგ (კრებული 1873 წ. №1) ასე ახასიათებდა ილია ჭავჭავაძის ჯგუფს: "ამ თაობის ამ ახალ რაზმს შეადგენდა თითქმის მართო ერთი კაცი — ილია ჭავჭავაძე, რომელიც წინამძღოლიც იყო და რაზმიც, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ურაზმო წინამძღოლი იყო იმ ახალი თაობისა... ამ თაობის ნაკლოვანება იმაში მდგომარეობდა, რომ მის ნიჭიერ და გონიერ წარმომადგენელს, ილია ჭავჭავაძეს, დამხმარე და თანამოზიარე არავინ ყავდა. მის თანამშრომლებს, საზოგადოდ რომ ვთქვათ, არც დიდი ნიჭი ჰქონდათ, არც დახელოვნებული ცოდნა. ისინი რიცხვითაც მცირენი იყვნენ და ძალითაც".

გიორგი წერეთელი შემდეგში წერდა პირველი დასის ამ საწყისი ხანის შესახებ: "ილია ჭავჭავაძემ (ის მას მოხსენებული ჰყავს ჩიტორელიძის ფსევდონიმით)... ჟურნალის გამოცემის ნება აიღო, მერე თავის მეგობრებში ხელის მოწერა გაშარდა. მთელ ქართლ-კახეთში და იმერეთში ოთხი თვის განმავლობაში ხუთასი ხელისმომწერი იშოვნა და წინასწარ ორასი თუმანი ნაღდი ფული მოაგროვა... მაშინ მწერლობა ქართველ კნაზებში და კნეინებში მოდად იყო. (ილია ჭავჭავაძეს) ცოლი უნდა შეერთო, კარგი მზითვიანი ქალი, სამსახურში კარგი ადგილის შოვნის იმედი არ ჰქონდა და ჟურნალის გამოცემა მოინდომა. გამოსცა კიდევ. ერთი ორასი თუმანი ხელში ჩაიგდო ხელმომწერლების ფული (უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფული არა თუ საჭირო იყო ჟურნალის გამოცემის და ბეჭდვის ხარჯებისათვის, არც ეყოფოდა მას, ს. კ.). ამ დროს ცოლის შერთვა მოახერხა და მერე რაღა ჟურნალის ეცხელებოდა, წლის გასულს კიდევ დახურა".

ჟურნალის დახურვის მიზეზი იყო უსახსრობა. ილია ჭავჭავაძე იძულებული გახდა სახელმწიფო სამსახურში შესულიყო და 1864 წლის აპრილიდან ის კიდევ დაინიშნა ქუთაისში გუბერნატორთან საგანგებო ჩინოვნიკის თანამდებობაზე საგლეხო რეფორმის იქაურ კომიტეტში სამუშაოდ. (ილია ჭავჭავაძე) "იმ დროს ლიტერატურაშიაც მოწონებული კაცი შეიქმნა, ის დასცინოდა ძველი კაცების მექრთამეობას, მებატონეების უქმ ცხოვრებას და ტიპათ გამოყავდა ბუზი-ყლაპია და ღორის კანჭისჭამია თავადები... თერგდალეულთა შორის (ილია ჭავჭავაძემ) და ზოგიერთმა მისმა ამხანაგებმა მთავრობის წრეში წინ წარდგეს ნაბიჯი, პატივსაცემი ალაგები დაიჭირეს..." (ასე სწერდა ილიას შესახებ შემდეგში გ. წერეთელი).

"საქართველოს მოამბის" გარშემო შემოკრებილ ძალებს შორის აღსანიშნავი არიან დავ. ყიფიანი, კირ. ლორთქიფანიძე, მიხ. ყიფიანი, პეტრე ნაკაშიძე და სხვანი. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძეს თავდაპირველად ამ ჯგუფის წევრებთან ბატონყმობის გაუქმების საშუალებების საკითხში აზრთა ერთობა ჰქონდა.

146. საზოგადოებრივი აზრი ქართველებში საბლანო რეფორმის შესახებ. რაფიელ ერისთავი თავის მოხსენებაში 16 მარტს 1866 წელს სამეგრელოს გლეხების ბატონყმობიდან განთავისუფლების

შესახებ შემდგარი კომისიის სახელზე წერდა შემდეგს: საქართველოში (საგლეხო) საქმის სხვადასხვა აზრებიდან წარმოიშვა (გლახთა განთავისუფლების შესახებ) სხვადასხვა საკითხები, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო: 1) რას მოითხოვდა ამ შემთხვევაში მართებლობა, 2) რას ამბობდა ამის შესახებ საზოგადოებრივი აზრი და 3) რა სურვილები ჰქონდა ამ საქმით დაინტერესებულ წოდებათ.

1) მართებლობა მოითხოვდა გლეხების მიმართ ბატონყმობის გაუქმებას, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას და მიწით მათ უზრუნველყოფას თუნდაც გამოსყიდვის მეშვეობით თვით გლეხების მიერ განსაზღვრული წლების სიგრძეზე, ხოლო ასეთი გარდამავალი ხანის გავლის შემდეგ ნივთიერი თვალსაზრისით ამ გლეხების სრულ დამოუკიდებლობას.

2) საზოგადოებრივი აზრი მებატონეთა ბატონყმური უფლების გაუქმებას მიიჩნევდა როგორც უდავო საჭიროებას, მაგრამ ეს აზრი იყოფოდა სამ ნაწილად:

ა) პირველი ნაწილის მიმდევარნი (უმრავლესობა) არ იცოდა თუ როგორ გადაწყდებოდა ეს საკითხი და უცდიდა შედეგებს თითქოს როგორც კუთხეს ამოფარებული.

ბ) მეორე ნაწილისანი (უმცირესობა, რომელსაც შეადგენდნენ თითქმის ყველა მოწინავე პირნი) დიდად თანაუგრძობდა საქმის მსვლელობას და მოუთმენლად გამოთქვამდა თავის აზრს, რომ არ შეიძლება გლეხებს უარი ეთქვათ მათთვის საჭირო სახნავი მიწების სრულად მიცემაზე, ისე როგორც არ შეიძლება მათ მოესპოთ საძოვრებით, სათიბებით, ტყით და სასახლკარო ადგილით სარგებლობის უფლება. გლეხებისავე უნდა იყოს ყველაფერი, რაც ამ სასახლკაროს ეკუთვნის და აგრეთვე ყველაფერი ის, რაც გლეხების მიერ შეეხილია, როგორი საბუთებითაც კი იყოს ეს დადასტურებული. არ შეიძლება აგრეთვე გლეხებს ჩამოერთვას ვენახები, რომელნიც ისევე არსებითია გლეხისთვის, როგორც სახნავი მიწა. მებატონეთა ანაზღაურებაზე მაშინ კრინტიც არ დაძრულა.

გ) მესამე ნაწილისანი, რომელნიც წარმოადგენდნენ უმრავლესობის და უმცირესობის საშუათანოს, ფიქრობდა, რომ მებატონეებს უნდა მიეცემოდა ერთგვარი ანაზღაურება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არა გლახთა პიროვნების საფასურად.

3) ამ საქმით უშუალოდ დაინტერესებულ წოდებათ მეამაყელებსა და გლეხებს – მეამაყელებს უნდოდათ, რომ მათ მისცემოდათ გლეხების პიროვნებათათვის ანაზღაურება და მათ ხელში დარჩენილიყო სრულად მიწა-წყალი – გლახთა სახლკარი, სახნავი მიწები, ბაღ-ვენახები, საძოვრები, სათიბები, ტყეები, ყველაფერი, რაც გლეხის მიერ იყო მოპოებული და სხვ. ერთი სიტყვით გლეხებს აძლევდნენ პირად თავისუფლებას და მეტს არაფერს. ასეთივე იყო არსებითად მებატონეთა, ზემოთ ნაჩვენები პირველი ნაწილის (უმრავლესობის) მოთხოვნა.

გლეხებიც თავის სასარგებლოდ მოელოდნენ, რომ მათ დაუყოვნებლივ მისცემდნენ სრულ თავისუფლებას და დაუტოვებდნენ უფასოდ მთელს მათ უძრავ და მოძრავ ქონებას, ე.ი. ყველაფერს, რასაც ისინი ფლობდნენ ანდა მათ ხელში იყო...¹

ამ ცნობის მიხედვით ვგებულობთ თუ რას მოელოდა ქართველი გლეხობა ბატონყმობის გაუქმებისაგან და რას მოითხოვდა ის. რაც შეეხება მებატონეთა წოდებას, ის, როგორც ზემოთ თქმულიდანაც ჩანს, გაყოფილი იყო სამ წყებად. დიდი უმრავლესობა დიშ. ყიფიანით სათავეში მოითხოვდა ყმა-გლეხების გადაყვანას ხიზნების მდგომარეობაში, მაგრამ ამის გატარების იმედი არ ჰქონდა და უცდიდა თუ რით გათავდებოდა საქმე.

რადიკალთა მცირედი ჯგუფი, "რომელსაც შეადგენდნენ თითქმის ყველა მოწინავე პირნი", მოითხოვდა განთავისუფლებული გლეხებისთვის მათ ხელში მყოფი მიწების მათ სრულ საკუთრებად აღიარებას. ამ ჯგუფს, რომლის აზრთა გამომსატველად დიშ. ფურცელაძე ჩანს, არ ჰქონდა თავისი პროექტის მსჯელობის საგნად გადაქცევის შესაძლებლობა, რადგანაც სპეციალური განკარგულებით, როგორც მოხსენებული იყო, 1858 წლიდან საქართველოსთვის და 1862 წელსაც აკრძალული იყო ბეჭდვით ყმა-გლეხებისთვის მათ ხელში მყოფი მიწების მათთვისვე დამტკიცების შესახებ საკითხის დაყენება.

რჩებოდა ლიბერალთა უფრო ზომიერი ჯგუფი, რომელიც, როგორც ეს ილია ჭავჭავაძის შემდგომი, ამ შემთხვევაში 1877 წლის, ნაწერებიდან ("ცხოვრება და კანონი") ჩანს, ზრუნავდა იმისათვის, რომ ყოფილ ყმა-გლეხებსა და მათ მებატონეებს შორის მომავალში მანც შუღლი და სიძულვილი

¹ ცსია, ფ. 220, №1076, ფ. 178-179

მოსაპობილიყო. "დიდი ყაყანი და ლაპარაკი იყო, წერდა 1877 წელს ილია ჭავჭავაძე, მასზედ, თუ როგორ უნდა გააშველონ ბატონი ყმასა, ყმა ბატონს. მცირემ, მაგრამ უკეთესმა ნაწილმა ჩვენი საზოგადოებისამ მაშინვე აღიარა, რომ თუ საქმე იმაზე მიდგაო, რომ უსათუოდ უნდა გაეშველდეთ, ისე სჯობიაო, ესლავე ისე გაეშველდეთ, რომ ურთიერთ შორის სამდურავისა და დავიდარაბის მიზეზი ჩვენში აღარა დარჩეს რაო. რაკი გლეხი მისის ნაჭერის მიწების მეპატრონედ არ იცნეს, რასაკვირველია, ეს აზრი ფრიად მოსაწონი და სამჯობინარი იყო ყველასათვის".

"ამგვარად გაშველებისათვის ორი გზა იყო: ერთი ის, რომ მეპატრონეს მაშინვე მიეყიდნა გლეხისათვის მამული და მთავრობას გლეხისათვის ამაში ხელი გაემართა ან არა და გადასახადი მოჭრით განესაზღვრათ, გადაეკეთათ. რასაკვირველია, პირველი გზა უმჯობესი იყო, თუ არჩევაზედ მივარდნილიყო საქმე. მაგრამ არამც თუ არც ერთი ეს გზა არ მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ, არამედ მაგ გზების დედააზრიც სრულად უარჰყო.

"ჩვენის საზოგადოების მეორე ნაწილმა, უფრო უმრავლესმა, განდევნა სრულად პირველთა დედააზრი და ირჩივა საქმის გათავება ისე, რომ გლეხსა და ნაბატონარს შორის ცოტა კლანჭგამოსადები რამ დარჩენილიყო. ჩამოვარდა მეოთხედობა — ეს განუსაზღვრელი მიზეზიანი მოვალეობა ერთისაც და მეორისაც... მემამულეს არ ჰქონდა შესაძლებლობა ყველგან მოსავლის გაყოფას დასწრებოდა ანდა გაყოფაზე თავისი კაცი გაეუზავნა. ხოლო გლეხი უფრო ცუდს დღეში იყო. თუ მოუცდიდა ნაბატონარის კაცს, ვინ იცის, როდის მოვიდოდა, და ბატონის კაცის ლოდინში შიმშით სული ელეოდა, ავდარმა ნამუშევარი არ წამიხდინოსო. არ მოუცდიდა კიდევ — შიში ჰკლავდა, მეტს წამომედავებინაო..." (თხზ., 1927 წლის გამ., VIII, 8-9). ასეთი მდგომარეობა შეიქმნა შემდეგ, საგლეხო რეფორმის საბოლოოდ შემუშავების შედეგად. იყო სხვა სადავიდარაბო საკითხები მემამულესა და გლეხს შორის, რომელნიც ხელს უშლიდნენ გლეხს თავისი მეურნეობა წესიერად მოეწყო და მემამულის მიმართ შულსა და მტრობას არიდებოდა (ილია ჭავჭავაძის ხსენებულ წერილში ჩამოთვლილია საგლეხო რეფორმის ეს მტკივნეული მხარეები).

ზემოთ ხსენებულიდან ცხადია, რომ მემამულეთა უფრო წინდახედული ჯგუფი (უმცირესობა) იმ აზრისა იყო, რომ საგლეხო რეფორმის შემდეგ მემამულეს და გლეხს ერთმანეთში არაფერი სადაყო არ უნდა ჰქონოდათ.

147. თავადაზნაურობის წვრილ-მფლობელიანი უმრავლესობა და ავტონომისტები. როდესაც ბევრი მზადების შემდეგ 1861 წელს 19 თებერვალს პეტერბურგში გამოქვეყნდა იმპერატორ ალექსანდრე II-ის მანიფესტი ბატონყმობის გაუქმების შესახებ რუსეთში, მალე ამის შემდეგ თბილისში პეტერბურგიდანვე ნამესტნიკის სახელზე მოვიდა განკარგულება შესდგომოდნენ სამზადისს ბატონყმობის გაუქმების შესახებ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში (ამიერ-კავკასიის სხვა ნაწილებში პირწმინდა ბატონყმობა არ იყო). საგლეხო რეფორმა საქართველოში ყველაზე მწარედ თავს ატყდებოდა წვრილმფლობელიან თავადაზნაურთ, რომელთაც თავიანთი ორიოდ კომლი გლეხის ექსპლოატაციის გარეშე ძლიერ გაუჭირდებოდათ თავის შენახვა თავისი აზნაურული ყოყორობის რამოდენადმე მანც დაცვით. არც საშუალო და მსხვილი მეპატრონენი იყვნენ განზრახული რეფორმით ემაყოფილნი, მაგრამ მათ მანც სრული გაჩანაგება არ მოელოდათ. ასეთ პირობებში თბილისში შეკრებილ თავადაზნაურთა საკმაოდ დიდი ჯგუფი ერთმანეთთან შეთანხმებით მივიდნენ უკვე ას წელს გადაცილებულ გენერალ გიორგი იესეს ძე ერისთავთან, რომელსაც 1828 წელს თავრიზის აღების გამო ზედმეტად თავრიზელს ეძახდნენ და ჰკითხეს მას რჩევა როგორ მოქცეულიყვნენ. მათი აზრი იყო, რომ რუსეთი არღვევს იმ პირობას, რომლითაც აღმოსავლეთ საქართველო უერთდებოდა მას და რომელიც დადასტურა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა თავისი 1801 წლის მანიფესტით, სახელდობრ, რომ საქართველოში ყველა წოდებანი უნდა დარჩენილიყო თავისი წინანდელი უფლებებითო. უფრო რიხიანები მოითხოვდნენ იმასაც, რომ საქართველო უნდა ჩამოშორდეს რუსეთს და თვითონ მოუაროს თავის თავსო. ამით მათ იმედი ჰქონდათ, რომ გადარჩებოდნენ ბატონყმობის გაუქმებას. გიორგი ერისთავმა ამაზე მოუყვა მასთან გამოცხადებულ მეპატრონეთ ანეკდოტი ერთი პატარძლის შესახებ, რომელიც შეეკითხა თავისადელას — ქმარს გაუძალიანდეს თუ არაო, არისტოკრატიაში ირანში და ჩვენშიც პატარძლისთვის ეს ითვლებოდა კარგი ტონის ნიშნად. თან შარდენს 1673 წელს მოთხრობილი აქვს თუ როგორ შაჰ-აბაზ I-მა მიათხოვა თავისი ასულთავანი ერთ ხანს, რომელსაც პატარძალი

თავდაპირველად შიშველი ხანჯლით ხედებოდა. ხანმა იჩივლა ამის შესახებ შაჰთან, რომლის ჩარევამ შეაწყვეტინა ამ პატარძალს ასეთი მოქმედება.

გიორგი ერისთავმა თავისი ანეკდოტი ქართველი პატარძლის შესახებ დაამთავრა დედის რჩევით თავისი ქალიშვილისადმი დამორჩილებოდა ქმარს, რადგანაც სხვა გამოსავალი გათხოვების შემდეგ არ არისო. ამ სასაცილო ანეკდოტმა დამამშვიდებლად იმოქმედა თავდაზნაურობაზე, რომელთაც დაიწყეს ფიქრი შესაძლებლობის ფარგლებში რაიმე შეღავათიანი გამოსავლის გამონახვის შესახებ საგლეხო რეფორმის საქმეში, რომლის განხორციელება, მართებლობის აზრით, აუცილებლობად იყო გადაქცეული.

1861 წლის ზაფხულში მძიმედ დაავადებული ნამესტნიკი ბარიატინსკი წავიდა საზღვარგარეთ სამკურნალოდ. ის გააცილა ფოთამდის მისმა შემცვლელმა გენ. გრ. ორბელიანმა, რომელსაც უკან გამობრუნებისას სოფ. მარანში დახვდა ოდიშის თავდაზნაურობა დიდად შეწუხებული განზრახული საგლეხო რეფორმით. ისინი თხოულობდნენ რეფორმის გადადებას ოცი წლით მაინც და არ მშვიდდებოდნენ, სანამ მე არ მოუყვები მათ თავად ერისთავის ცნობილი ანეკდოტი პატარძლის შესახებო, წერდა გრ. ორბელიანი ამის შესახებ ბარიატინსკის საზღვარგარეთ.

იმავე 1861 წლის სექტემბერში იმპერატორი ალექსანდრე II იყო ჩრდ. კავკასიაში ადიღეების წინააღმდეგ მოქმედ რუსი ჯარების დასათვალისწინებლად და იქიდან გემით ჩამოვიდა ფოთსა და ქუთაისს. მას შეხვდა ჩრდ. კავკასიაში გრ. ორბელიანი და შემდეგ მოჰყვა ქუთაისში. დიდი წვიმები იყო. იმერეთის და გურიის თავდაზნაურობამ მაინც გაუმართა იმპერატორს დიდი წვეულება, რომელზედაც თამადად იყო დამტკრეული რუსულით მოლაპარაკე სხენებული ასწლოვანი გიორგი ერისთავი. იმპერატორმა აქ გიორგი ერისთავს უწყალობა იმპერიის უმაღლესი ორდენი განსაკუთრებული დამსახურებისათვის საგლეხო რეფორმის საქმეში (ზეპირად ჩაწერილია ჩემ მიერ). ჩანს ქართველი თავდაზნაურობის დიდ ნაწილში ბლომად იყვნენ ისეთი პირნი, რომელთა გაცხარებას და მოუფიქრებლობას შეეძლო სისხლისღვრაც კი გამოეწვია, რაც ამ ხანაში არ იყო სასურველი თვითმართველობისთვისაც.

მაგრამ გარეშე ამისა, რომ განსაკუთრებით 1858-1860 წლებში ქართველ მემამულეთაგან სერიოზულ პირთა შორის იყო მსჯელობა ქართველებისთვის ავტონომიის მოპოების შესახებ, ეს ჩანს იმ მიმოწერიდან, რომელიც შეიქმნა 1864 წლის თებერვალში თბილისის გუბერნიის თავდაზნაურთა წინამძღოლად დიმ. ყიფიანის ამორჩევის გამო. თვით დიმ. ყიფიანი გამოცხადებული იყო ამ ავტონომიის იდეის ყველაზე აქტიურ პირად.

მომავალი ავტონომიისათვის, როგორც მოხსენებული იყო, თითქოს ამზადებდა საქართველოს ნამესტნიკი მიხ. ვორონცოვი, რომელიც ცდილობდა ქართული კულტურის წამოწყებათა გაძლიერებას და ქართველების არა თუ მიღებას, არამედ დაწინაურებასაც რუსულ სახელმწიფო სამსახურში. მაგრამ საგლეხო რეფორმის სამზადისის დროისათვის ამაზე ჯერ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ამით აიხსნება, რომ სანამესტნიკოს მთავარი სამმართველოს უფროსი ბარონ ა. ნიკოლაი (რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, ცოლად ჰყავდა ალექსანდრე ჭავჭავაძის მესამე ასული და ამიტომ ქართველებისადმი კარგად იყო განწყობილი) შეეძლო მითქმა-მოთქმა დიმ. ყიფიანის ავტონომისტობის შესახებ ადვილად გაეცუდებინა. "საქართველოს არ შეუძლია არც ერთ დღეს რუსეთთან შეუერთებლად არსებობა და მასთან შერწყმა გარდაუვალ ფაქტს წარმოადგენს, რასაც ვერავითარი ბუნდოვანი ოცნებანი ვერ წინააღმდეგებინან, ამას გრძნობენ არა მარტო ჭკვიანი პიროვნებანი, არამედ ისინიც, რომელნიც თავისი მსჯელობის დროს ხელმძღვანელობენ თვითდაცვის მოსაზრებებით და თავისი თავის მატერიალურად უზრუნველყოფით" და სხვ.; წერდა ამას 28 თებერვალს 1864 წელს ა. ნიკოლაი პეტერბურგელ მმართველი წრეების საყურადღებოდ¹.

ბარონ ა. ნიკოლაის გავლენა ჰქონდა ახალგაზრდა ნამესტნიკ დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეზე და ამიტომ მთელი ეს საკითხი მიჩქმალულ იქნა.

თავდაზნაურთა მოთხოვნილებანი მუშავდებოდა საეციალურ სამაზრო ყრილობებზე, რომელთაც მსჯელობა იქონიეს მოსალოდნელი რეფორმის შესახებ, 1863 წელს თბილისის გუბერნიის თავდაზნაურო ყრილობამ შეიმუშავა თავისი აზრი, რომლის მიუხედავად გლეხნი უნდა განთავისუფლ-

¹ Документы по истории Грузии, Тб. 1860, 112, 707

ბუნნი ყოფილიყენენ უმიწოდ. მათ მიეცემოდათ მხოლოდ მოძრავი საკუთრება, ხოლო მაჰმადიან მეცხვარე და მესაქონლე გლეხთაგან და აგრეთვე სომეხ და ისრაელ ხელოსანთაგან ბატონის სასარგებლოდ უნდა გადასულიყო მოძრავი საკუთრების ნახევარიც. ეს აზრი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ყრილობაზე გავიდა 554 ხმიდან 539 ხმით (1863 წ.). ხმის მიცემაში მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც სრულ ცენზიანი თავადაზნაურნი, ისე აგრეთვე წვრილ მფლობელთა რწმუნებულნიც. ასეთ პირთ უფლება ჰქონდათ შეთანხმებულიყენენ რწმუნებულის სახით ერთხმად.

148. მსჯელობა საბლჟხო რეფორმის დეტალების შესახებ. როგორც დავინახეთ, თავიდანვე საგლეხო რეფორმის საკითხის წამოყენებისას მემამულეების დიდად დიდი უმეტესობა დაადგა კონსერვატორულ გზას და ვიწრო-ვეგოისტურად ცდილობდა გარდაუვალი რეფორმის დროს რაც შეიძლება მეტი უპირატესობის შენარჩუნებას საწყალი გლეხობის ხარჯზე. რადიკალური მიმართულების მიმდევარნი არც კი იყენენ დაშვებულნი საგლეხო რეფორმის კომიტეტის სხდომაზე და ამიტომ ოფიციალური პროექტის წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიძიმე უნდა ეკისრა საშუათანო ჯგუფს, რომლის წარმომადგენლად კომიტეტის მიერ მოწვეულ ექსპერტთა შორის უნდა ჩაითვალოს თავ. ნიკ. დავითის ძე ჭავჭავაძე, განათლებული პირი, რომელიც მაშინ თბილისში მოსამართლედ მსახურობდა. როგორც ვნახეთ ამ ჯგუფის მოთხოვნა იყო, რომ ყმა-გლეხი განთავისუფლებულიყო საესეებით ისე რომ თავიანთ ყოფილ მებატონესთან მას არავითარი საქმე არ უნდა ჰქონოდა. მებატონე მიიღებდა კომპენსაციას, მაგრამ არა გლეხის მიერ პიროვნული თავისუფლების მიღების გამო. ვარაუდი უნდა ყოფილიყო ასეთი. რუსეთში 1861 წლის რეფორმით გლეხმა შეინარჩუნა მიწის ნაწილი, მაგრამ პირობით — ყოფილ ყმა-გლეხების გადაყვანით დროებით ვალდებულ მდგომარეობაში მიწის სრულად გამოსყიდვამდის. ცხადი იყო, მამასადაძე, რომ საქართველოში რუსული მართებლობა არ დათანხმდებოდა ყმა-გლეხების მთლად უმიწოდ დატოვებას და იძულებული იქნებოდა მემამულეებისთვის მათგან გლეხებისთვის დასამტკიცებელი მიწების კომპენსაციად ხაზინიდან გაეღო ფულადი ანაზღაურება. ეს იგულისხმება რაფიელ ერისთავის ცნობაში, რომ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის არსებულ საშუათანო აზრის მიმდევარნი იმედოვნებდნენ, რომ მებატონეებს უნდა მიეცემოდა ფულადი ანაზღაურება არა გლეხთა პიროვნებისათვის, არამედ იმ მიწისათვის, რაც უნდა დამტკიცებოდა გლეხებს სრულ საკუთრებად ისე, რომ გლეხები და ყოფილი მათი მებატონეები ერთმანეთისაგან, ილია ჭავჭავაძის სიტყვების მიხედვით, საესეებით გაშველებულნი (გამორებული) ყოფილიყენენ.

მაგრამ როდესაც გამოირკვა, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, რუსეთის მსგავსად, განთავისუფლებული გლეხები მაინც დააბას თავიანთ ყოფილ მებატონეებთან ეგრეთ წოდებულ დროებით ვალდებულ მდგომარეობაში, მაშინ ამ ჯგუფის წარმომადგენელმა თავ. ნიკ. ჭავჭავაძემ, შეიტანა ამიერ-კავკასიის საგლეხო რეფორმის ცენტრალურ კომიტეტში საკმაოდ ვრცელი და მტკიცე კილოთი დასაბუთებული განცხადება-ბარათი. ეს განცხადება-ბარათი დაწერილია 1864 წლის მარტ-აპრილში, მაგრამ მოღწეულია ჩვენამდის 1864 წლის 6 მაისის კოპიითი, რომლის სისწორეს ადასტურებს თვით თავ. ნიკ. ჭავჭავაძე. ავტორი თავის ამ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ პროექტით "ბატონყმობა (საქართველოში) არა თუ არ ისპობა, არამედ პირიქით, მას ეძლევა უფრო მოწესრიგებული ფორმა მდგომარეობის, იმავე დროს, გაუარესებით შედარებით იმასთან, რაც აქამდის იყო. აქამდის ბატონყმობა პატრიარქალური ყოფის წესებზე მართალია ამორჩილებდა ერთს წოდებას მეორესადმი, მაგრამ ამასთანავე იცავდა დამორჩილებულ წოდებას გარედან წარმომდგარი ყოველგვარი შევიწროებიდან. ახლა კი, პირიქით, დამორჩილებული წოდება დაყენებულია ყოველგვარი მფარველობის გარეშე კანონის მხრივ. ეს წოდება ახლა ყოვლის მხრივ დამოკიდებულია ხელისუფლებაზე და მემამულეზე, რომელთა მიმართ სულ უმცირესი დაუმორჩილებლობა და განსაკუთრებით თავისი ვალდებულ მოვალეობათა შეუსრულებლობა იწვევს ნადელის დაკარგვას, რაც ნიშნავს, რომ ის (გლეხი) იძულებული იქნება მოიპოვოს საზრდო მათხოვრობით კეთილ პირთაგან ანდა კიდევ უფრო დაამონოს თავისი თავი მიწათმფლობელის მიმართ მისგან მიღებულ უმნიშვნელო ნაკვეთის გამო".

დროებით ვალდებულებას ის სთვლის საზიანოდ წოდებათა შორის ურთიერთობისათვის, რომ ეს გამოიწვევს უსარგებლო და საზარალო შედეგებს". — ამიტომ "ავტორს შეაქვს თავისი პროექტი, რომლის მიხედვით მემამულეთა და ყოფილ ყმა-გლეხებს შორის მომავალში არ ექნებათ ერთმანეთს

შორის რაიმე სადავო. ამისთვის კი საჭიროა, რომ ორივე წოდება არ იყოს ერთმანეთზე დამოკიდებული არც პიროვნულად და არც ქონებრივად.

ჩვენს ქვეყანაში, სწერდა ნიკ. ჭავჭავაძე, შრომა და კაპიტალი უდრიდა მიწის ნახევარ-ნახევარს. ვენახის გამშენებელს ერგებოდა გაშენებული ფართობის ნახევარი, მეორე ნახევარი კი იყო მიწის მესაკუთრის. ეს იყო საქართველოში ძველისძველი ჩვევა, რომელიც დოკუმენტურად დადასტურებულია XIII-სეულობაში. აქედან გლეხის ვენახი უნდა გაიყოს ორ ნაწილად – ერთი ნაწილი მას რჩება სრულ საკუთრებად, ხოლო მეორე ნახევარი კი იქნება მემამულის საკუთრება.

ასევე საკარმიდამო ნაკვეთის მიწა შეიძლება ჩაითვალოს მეზატონის საკუთრებად, მაგრამ რაც ამ საკარმიდამოზე ნაგებობაა (სახლი, გომი და სხვა), აგრეთვე კალოც ეკუთვნის გლეხს. გლეხი ამ შემთხვევაში გამონისყიდის მეზატონისაგან მხოლოდ მიწას.

სახსნავი მიწის შესახებ ნიკ. ჭავჭავაძე წერდა, რომ გლეხისთვის საკმარისი იქნება კომლზე 4-5 დღიური მიწაო. გლეხებისთვის მეზატონეთაგან გამოსასყიდი მიწა მთელს თბილისის გუბერნიაში იქნებოდა 17 ათას საბატონო ყმა-კომლზე (კომლზე ერთი დღიურის ჩათვლით) 17 ათასი დღიური საკარმიდამო მიწა და 68 ათ. დღიური სახსნავი მიწა. დღიურ მიწას შემოჰქონდა, ადგილის მიხედვით, 1-3 მანეთი, რაც 6,6-ის კაპიტალიზებით და აქედან 2 მანეთის გამრავლებით 16-ჯერ, მივიღებთ, წერდა ნიკ. ჭავჭავაძე, დღიური მიწის ღირებულებას 32 მანეთად. ხოლო სულ 17 ათას და 68 ათას დღიურის ღირებულება გამოვიდოდა თითქმის სამი მილიონი მანეთი. ნაშესტნიკს საგლეხო რეფორმის იბილისის გუბერნიაში გასატარებლად ჰქონდა მიცემული 2 მილიონი მანეთი, რჩებოდა კიდევ 1 მილიონი, რომლის განაღდება შეიძლებოდა ან გლეხების მიერ შემოტანილი გამოსასყიდი თანხებით ანდა სხვა რაიმე წყაროების მიხედვით. "დროებით-ვალდებული ურთიერთობა კი, დაასკვნია ნიკ. ჭავჭავაძე, არ დააკმაყოფილებს არავის. ასეთი ურთიერთობა გამოიწვევს განთავისუფლებულ წოდებაში მხოლოდ სიძულვილს, რადგანაც ის ვერ შეურიგდება თავის ახალს მდგომარეობას, რომელიც ძველ ბატონყმურ დამოკიდებულებაზე უკეთესი არ იქნება"-ო.

თვით საგლეხო რეფორმის პროექტის განხილვის დროს ნიკ. ჭავჭავაძე სხვა ექსპერტებთან შედარებით ყველაზე მეტ აქტიურობას იჩენდა. ის აკრიტიკებდა პროექტს ზემოთ მოხსენებული თვალსაზრისით და ცდილობდა განთავისუფლებულ გლეხებსა და მემამულეთ შორის რაც შეიძლება ნაკლები სადავო რამ ყოფილიყო.

ნიკ. ჭავჭავაძის განცხადებების და შესწორებების კილო იყო ყოველთვის მკაცრი და მოურიდებელი, მაგრამ უკვე დროებითი ვალდებულების ურთიერთობის ფარგლებში, რადგანაც დებულება დროებით-ვალდებულ გლეხების დაწესების შესახებ უკვე მიღებული იყო მართებლობის მიერ და მის წინააღმდეგ კამათს აზრი არ ჰქონდა.

შენიშვნა 1. საკითხი ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში პირველი, მეორე და მესამე დასის XIX-ს-ნის მეორე ნახევარში არსებობის შესახებ პირველად წამოაყენა გიორგი წერეთელმა, რომელიც თვითონ ითვლებოდა მესამე დასის დამაარსებლად. ბოლო ხანებში პრ. რატიანი რიგ თავის შრომებში უარყოფდა დასების თეორიას და არ პოულობდა განსხვავებას პირველ და მეორე დასს შორის, რადგან ორივე ეს მიმართულება წარმოიშვა რუსულ რევოლუციურ-დემოკრატიულ მიმართულების ზეგავლენით.

თვით ილია ჭავჭავაძის შესახებ პრ. რატიანი რიგ თავის შრომებში მესამე დასის წლების ქართველ მოღვაწეთა შესახებ (უკანასკნელად 1962. წ.) ამტკიცებდა, რომ ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულები იყვნენ ისეთივე რევოლუციური დემოკრატები, როგორც იყო ნ. ჩერნიშევსკი და მისი რუსი თანამებრძოლები. მაგრამ ი. ჭავჭავაძეს ნ. ჩერნიშევსკისთან აერთებდა მხოლოდ საგანმანათლებლო იდეები. მაშინ როდესაც ნ. ჩერნიშევსკი იყო რევოლუციური ხალხოსნობის წინამორბედთაგანი, ილია ჭავჭავაძე ებრძოდა რევოლუციურ ხალხოსნობას. პრ. რატიანი ილია ჭავჭავაძეს სთვლიდა გლეხობის იდეოლოგად, წერილ-ბურჟუაზიულ სოციალისტად და გლეხურ დემოკრატად, მაშინ როდესაც ილია ჭავჭავაძე მოუწოდებდა სოციალურ კლასთა შორის შემრიგებლობისკენ. ილია ჭავჭავაძე უპირველეს ყოვლისა იდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების პოზიციაზე. ნ. ჩერნიშევსკისათვის კი ასეთი იდეები არ იყო საჭირო, რადგანაც ეროვნული თვალსაზრისით რადიკალური განსხვავება იყო რუსის და ქართველი ხალხის მდგომარეობას შორის. რუსის ხალხის ეროვნ-

ნულ სახეს და ენა-კულტურას არაფერი საშიშროება არ ემუქრებოდა, ქართველი ხალხი კი დამონებულ მდგომარეობაში იყო და რუსეთის მთავრობას მიზნად ჰქონდა დასახული მისი გარუსება.

პრ. რატანის ხსენებული კონცეფციის შესახებ კრიტიკული შენიშვნა უკანასკნელად იხ. ზ. შველ-იძის Вопросы истории, 1963 г. П10, стр. 142-144.

შენიშვნა. 1864 წლის 6 მაისის თარიღით მოღწეულია ორი დოკუმენტი, რომელიც თავის დროზე (1923 წელს) მე გამოვიღე საქ. ისტორიული არქივის აუწერელი ფონდიდან და მოვათავსე მაშინ ჩამოყალიბებულ განსაკუთრებული მნიშვნელობის ფონდში მომავალში მათი გამოქვეყნების მიზნით. ერთი მათგანის სათაურია Общие критические замечания по предварительному проекту местного положения о поземельном устройстве крестьян, водворенных на помещичьих землях в Тифлисской губернии. მეორე დოკუმენტის სათაურია Критические замечания по параграфам предварительного проекта местного положения о поземельном устройстве крестьян, водворенных на помещичьих землях в Тифлисской губернии. ორივე საბუთი წარმოადგენს კოპიოს, შემოწმებულს თავ. ნიკ. ჭავჭავაძის მიერ (საისტორიო მოამბე №3, 1947 წ., გვ. 284-328. П. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения, т. II, Тиф. 1950 г., 158-203). ფიქრობდნენ რომ ორივე საბუთი ეკუთვნოდა ილია ჭავჭავაძეს, ხოლო პ. გუგუშვილი ამტკიცებდა (იქვე), რომ ეს ორი საბუთი გლეხთა განთავისუფლების საკითხში ერთმანეთის საწინააღმდეგო პოზიციიდან არის შედგენილი. მაგ, პირველი საბუთის ავტორი საკმარისად სთვლის განთავისუფლებულ გლეხს დაუტოვონ მიწა დღიური და ნაკლები, მეორის ავტორი კი შეუძლებლად სთვლის, რომ გლეხს მის ხელში მყოფი მიწისაგან რაიმე ჩამოეჭრას. პირველის ავტორი საკმარისად სთვლის განთავისუფლებულ გლეხებს დაუტოვონ ბალ-ვენახის ნაწილი, მეორის ავტორი კი კატეგორიულად წინააღმდეგია, რომ გლეხს ბალ-ვენახიდან რაიმე ჩამოეჭრას. პირველი საბუთის ავტორი მოითხოვს, რომ გასანთავისუფლებულ გლეხებს დაუტოვონ მათ ხელში მყოფი მიწის მხოლოდ მესამედი და ისიც ორი წლის ვადაში გამოსყიდვის პირობით, ხოლო მეორის ავტორი საჭიროდ სთვლიდა სრულად დაეტოვებინათ მათ ხელში ბატონყმობის დროს მყოფი მიწა. ასეთი განსხვავებანი პ. გუგუშვილის აზრით, სხვაც არის და ამტკიცებს, რომ პირველის ავტორი ცდილობს ყმა-გლეხების მდგომარეობა გააუარესოს ხელისუფლების მიერ შემუშავებულ პირობებთან ერთად და მედგარად დაიცვას მებატონეთა ინტერესები. მეორის ავტორის მიდრეკილება კი ყმა-გლეხების სასარგებლოდ არის მიმართული. პ. გუგუშვილი ფიქრობდა, რომ თუ პირველი საბუთის ავტორი უცნობად რჩება, მეორისა უეჭველად უნდა იყოს ილია ჭავჭავაძე.

მთელი ეს მსჯელობა, რომელსაც იმეორებს პროკოფი რატანი, გაუგებრობაზეა აგებული, რომელიც წარმოიშვა ამ დოკუმენტების კარგად არ ჩაკითხვის მიზეზით.

ორივე დოკუმენტი შედგენილია ერთი და იმავე პირის მიერ და მათ შორის არავითარი წინააღმდეგობა არაა. პირველი დოკუმენტი შედგენილია საგლეხო კომიტეტის მიერ თბილისის გუბერნიაში გასატარებელ საგლეხო რეფორმის პროექტის შედგენამდის. ავტორმა იცის, რომ საქართველოშიც საგლეხო რეფორმა უნდა გატარდეს იმავე პრინციპზე, რომელიც უკვე მიღებული იყო რუსეთში, ე.ი. ყმა-გლეხების გადაყვანით დროებით-ვალდებულ მდგომარეობაში და კატეგორიულად ამის წინააღმდეგია. დროებით-ვალდებულ მდგომარეობა გააუარესებს გლეხების მდგომარეობას, რადგანაც თუ დამორჩილებულ წოდებას, პატრიარქალური ყოფის საფუძველზე, ბატონყმობა იცავდა გარედან მოსალოდნელ ყოველგვარი შევიწროებისაგან, დროებით-ვალდებულ მდგომარეობაში გლეხი მემამულეს მიმართ სულ მცირე, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაშიც დაქარაგვს თავის ნადვლს და ან უნდა დაადგეს მათხოვრობის გზას ანდა უმნიშვნელო მიწის ნაკვეთის გამო კიდევ უფრო მეტად დაემონოს მემამულეს. ავტორის აზრით, დროებით-ვალდებულ ურთიერთობა გამოიწვევს გლეხების მხრივ სიძულვილს მემამულეებისადმი, რადგან ისინი ვერ შეურიგდებიან თავის ახალ ვითარებას, რომელიც წინანდელ ბატონყმობაზე არაფრით უკეთესი არ იქნება.

მეორე დოკუმენტი კი, ეგრეთ წოდებული კრიტიკული შენიშვნები საგლეხო რეფორმის პროექტზე დაწერილია უკვე პროექტის შედგენის შემდეგ და წარმოადგენს ამ პროექტის მკაცრ კრიტიკას მუხლობრივად.

ეს კრიტიკული შენიშვნები პროექტზე, ნიკ. ჭავჭავაძის მიერ წარდგენილი, დაწერილია მაშინ, როდესაც დროებით-ვალდებულ გლეხთა დაწესების შემოღება უკვე გადაწყვეტილი ფაქტი იყო,

მამსადაძე, ნიკ. ჭავჭავაძის მიერ წარდგენილი პირველი განცხადება-ბარათის შემდეგ. პროექტის ეს კრიტიკული შენიშვნები მოღწეულია ჩვენამდის 1864 წლის 6 მაისს თვით ნიკ. ჭავჭავაძის მიერ დამოწმებული კოპიოს სახით.

არავითარი ეჭვი არაა, რომ ორივე ხსენებული ბარათი ეკუთვნის ნიკ. ჭავჭავაძეს, მის მიერ არის წარდგენილი 6 მაისს 1864 წელს და ის თვითონვე იცავდა თავის შენიშვნებს ზეპირად კომიტეტის სხდომებზე. რატომ არის ეს საბუთები კომიტეტის საქმეში დაცული კოპიოების სახით ან სად წავიდა თვით დედანი? მე მგონი, რომ დედანი უნდა ყოფილიყო წარდგენილი თვით კომიტეტის თავჯდომარის ბარონ ა. ნიკოლაის სახელზე, შესაძლებელია მისივე მოთხოვნით და ამიტომ კომიტეტს სამუშაოდ ნიკ. ჭავჭავაძემ გადასცა თავისივე ხელისმომწერით დამოწმებული კოპიო.

თუმცა ავტორად ორივე ამ მოხსენებისა ჩანს თვით ნიკ. ჭავჭავაძე, მაგრამ მას ეყოლებოდა თანამგრძობი-მრჩეველები, რომელთა აზრით ის, საფიქრებელია, სარგებლობდა, როდესაც ამ ბარათებს ადგენდა 1864 წლის მარტ-აპრილში. ხსენებულ მრჩეველთა შორის შეიძლება ყოფილიყო ილია ჭავჭავაძეც, თუმცა 1864 წლის აპრილიდან ის უკვე ქუთაისში უნდა ყოფილიყო სამსახურში. მართლაც, ორივე საბუთის კოპიები დათარიღებულია 1864 წლის 6 მაისით. ილია ჭავჭავაძე კი, როგორც მისი ნამსახურეობის სიიდან ჩანს, ამაზე ადრე იმავე წლის 10 აპრილს ჩარიცხულ იქნა სამსახურში კავკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმართველოში (საისტ. მოამბე №3, 1947 წ. 275) და თითქმის მაშინვე მიმაგრებით გაგზავნილ იქნა ქუთაისში ქუთაისის გუბერნატორის საგანგებო მინდობილობათა მოხელედ ბატონყმობის მომავალი გაუქმებისათვის საჭირო მასალების შესაკრებად. იქიდან ილია ჭავჭავაძე წერს თავის ცოლს ოლღას იმავე წლის 22 მაისს: "ჩვენი (ილიასთან ერთად სხვებიც იყვნენ გაგზავნილი) მოსვლა ვერაფრად ეჭაშნიკათ (იქაურ თავადაზნაურთ): აი ესენი არიან ჩვენი დამღუპველები, ყმების წამრთმევები; ნამეტნავად ჩემზედ თურმე ტლინკებსა ჰყრიან — ეს ვილა გადამთიელი მოთრეულაო". ამის მიხედვით, გათვალისწინებით იმისა, რომ მაშინ თბილისიდან ქუთაისში წასვლას 4-5 დღე უნდოდა, ილია ჭავჭავაძე ამ წერილის მოსაწერად ქუთაისში ჩასული უნდა ყოფილიყო სულ ცოტა 5 მაისს მაინც, და უფრო კიდევ 15-20 აპრილის ახლოს.

საერთოდ ბატონყმობის გაუქმების უკანასკნელ წელს ილია ჭავჭავაძე ბატონყმობის რეფორმის სახელმწიფო აპარატის ერთ-ერთი მუშაკი იყო და ეს გარემოება მას, რასაკვირველია, ბორკავდა.

ქუთაისში სამსახურში ილია ჭავჭავაძე დიდ ხანს არ დარჩენილა — იმავე 1864 წლის 8 ნოემბერს ის დანიშნულ იქნა თბილისის მაზრის მეორე განყოფილების მოძრიგებულ შუამავლად კვლავინდებურად ნამესტნიკის მთავარ სამმართველოსთან დატოვებით. 1866 წელს 8 ნოემბერს ილია ჭავჭავაძეს თბილისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმების საქმეში "სასარგებლო მოქმედებისათვის" იმპერატორის მიერ დამტკიცებით ერთდროულად მიეცა ორი ათასი მანეთი (ვერცხლით, იგივე ოქროთი).

ზემოთ თქმულიდან. ცხადად ჩანს, რომ თვითონ ილია ჭავჭავაძეს 1864 წელს არ შეეძლო ბატონყმობის საკითხში მკაცრი კილოთი დაწერილი შენიშვნების შეტანა, რადგან ის საგლესო რეფორმის საქმეში მართებლობის მოხელის როლს ასრულებდა.

თვით საგლესო რეფორმის პროექტის განხილვის ოქმებს ჩვენამდის არ მოუღწევია. მოღწეულია შემთხვევით მხოლოდ ერთი ფურცელი, რომელიდანაც აშკარად ჩანს, რომ საგლესო რეფორმის ცენტრალური კომიტეტის სხდომებზე ნიკ. ჭავჭავაძის მიერ წარდგენილი კრიტიკული შენიშვნების დამცველად გამოდიოდა თვით ავტორი. აი, ოქმის ამონაწერის ეს გადარჩენილი ადგილი ერთი პარაგრაფის გარდა, რომლის თავი არაა და მხოლოდ ბოლოა ხსენებულ ფურცელზე შენახული.

ამგვარად, კრიტიკული შენიშვნების ავტორად და იმასთანავე ამ შენიშვნების ენერგიულ დამცველად საგლესო რეფორმის ამიერ-კავკასიის კომიტეტის სხდომებზე გამოდიოდა ნიკ. ჭავჭავაძე. თუ რა ხასიათის იყო ეს დაცვა და საერთოდ რა პოზიცია ეკავა საშუაათანო ჯგუფის გლეხთა საკითხის მიმართ, ეს ჩანს სანიმუშოდ აქ მოტანილ ზოგი მაგალითის მიხედვით.

პროექტის 55-ით, თუ ნადლეების გამოყოფის შედეგად მემამულეს დარჩება სოფლის ყველა სახანა-სათიბი მიწების ნახევარზე ნაკლები, მაშინ მას უფლება ჰქონდა თავის საკუთრებად სახანა-სათიბი მიწების ნახევარი.

ნიკ. ჭავჭავაძე ამის წინააღმდეგი იყო — "Если признано полезным оставить крестьян на обязательных к помещику условиях, то нет надобности убавлять что-нибудь из крестьянского

надела; пусть они пользуются и несут повинности в пользу помещиков на то имение, которое у них в настоящее время находится в распоряжении".

ამგვარად ავტორი იძულებული ხდება შეურიგდეს დროებით-ვალდებულების დაწესებას, მაგრამ მოითხოვს, რომ ყმა-გლეხებს მათ ხელში მყოფი მიწები არ ჩამოეჭრას. ეს უფრო ჩანს შემდგომი შენიშვნიდან: სახელდობრ, პროექტის §6-ით, უკეთუ სანადელო მიწა კომლზე აღმოჩნდება დაწესებულ უმაღლეს ნორმაზე მეტი, მაშინ მემამულეს უფლება აქვს ეს ზედმეტი მიწა ჩამოაჭრას დროებით-ვალდებულ გლეხს (უმაღლესი ნორმა ნადელზე იყო 10 დლიური სარწყავი ან 20 დლიური ურწყავი მიწა კომლზე).

ნიკ. ჭავჭავაძე ამის წინააღმდეგ აცხადებდა: У крестьян ничего нельзя отрезывать. У них и без того все отрезано, ე.ი. იგულისხმება, რომ გლეხები მაინც რჩებოდნენ თავიანთ მემამულეებისადმი დროებით ვალდებულ ურთიერთობაში.

კომიტეტმა მიიღო ნიკ. ჭავჭავაძის შენიშვნა §5-ის შესახებ, მაგრამ ძალაში დასტოვა §6.

§19 ითვალისწინებდა, რომ საკარმიდამო მიწა ნადელზე არ ყოფილიყო ერთ დლიურზე მეტი. მაგრამ გლეხს საკარმიდამო ჰქონდა დლიურზე მეტი, ორი, სამი ან მეტი დლიური, როგორც ეს ხდება კახეთში. ამიტომ ნიკ. ჭავჭავაძემ მოითხოვა, რომ საკარმიდამო გლეხს დარჩენოდა იმდენი, რამდენიც მას ჰქონდა 1861 წლის 19 თებერვლამდის. კომიტეტმა არ მიიღო ეს შესწორება.

პროექტით §56 იკითხება ასე: Обязательный замен крестьянских виноградников другою землею допускается лишь в тех крайних случаях, когда губернское по крестьянским делам присутствие, по представлению мирового посредника удостоверится в совершенной необходимости такого замена.

ამაზე ნიკ. ჭავჭავაძე აცხადებდა: Это самый страшный и произвольный закон. Допустив эту статью, вы совершенно отнимаете у крестьянина возможность быть когда-нибудь спокойным. Я думаю, нет даже основания помышлять об этом и к чему? Все-таки нельзя добиться от крестьянина уступки своего сада. Он расстанется скорее с жизнью, чем с садом, в котором похоронил все свое достояние, свое время, свой труд, свою последнюю копейку. Я признаю необходимым исключение этой статьи из проекта, если только не желательно вызвать страшное волнение в освобождаемом из крепостного рабства народа.

პროტესტმა ნაწილობრივ გასჭრა და ეს მუხლი საბოლოო ტექსტში §51-ად გადაქცეული, იკითხებოდა შემდეგნაირად: Обращение в пользу помещика крестьянских виноградников, с соответственным вознаграждением крестьян, другою землею допускается лишь в тех крайних случаях, когда губернское по крестьянским делам присутствие, по представлению мирового посредника, удостоверится в совершенной необходимости такой меры.

პროექტის §57-ით, გლეხის ვენახის სავალდებულო გაცვლის შემთხვევაში სხვა მიწაზე, წინანდელი ვენახი მაინც დარჩენილიყო გლეხის ხელში 9 წლის სიგრძეზე. ხოლო გლეხს მიეცეოდა იმავე ზომის მიწა ვაზების ნერგთა სათანადო რაოდენობით. საჭირო ხარჯებიც გლეხისთვის მემამულეს უნდა აენახლაურებინა.

ნიკ. ჭავჭავაძემ გადაჭრით განაცხადა, რომ ეს მუხლი აუქმებს წინა (პროექტის §56) მუხლს. ვენახი, რომელიც გლეხს დარჩება პირობით, 9 წლის ვადის შემდეგ მოუვლელობის გამო სრულებით გაიხრდება და გროშადაც არ ეღირებაო. ის მოითხოვდა §55 და 56-ის მთლად ამოღებას პროექტიდან.

კომიტეტმა შეასწორა ეს მუხლი იმგვარად, რომ დაავალდებულა მემამულე ასეთ შემთხვევაში გლეხისთვის მიეცა ისეთი ვენახი, რომელიც სასესიო აუნახლაურებდა გლეხს მისთვის ჩამორთმეულ ვენახს, ანდა სრულად აენახლაურებინა მისთვის ზარალი და მიეცა კიდევ იმავე ზომის ახალი სავენახე მიწა.

ნიკ. ჭავჭავაძე თავის კრიტიკულ შენიშვნებში ერთ ადგილას მკაცრად ილაშქრებს პროექტით გათვალისწინებული დებულების (§100-110) წინააღმდეგ, რომლის თანახმად გლეხი მიმაგრებული იყო ნადელზე 9 წლის განმავლობაში და ამბობს, რომ თუ გლეხს ეძლევა თავისუფლება, მას უნდა ჰქონდეს უფლება მიატოვოს ნადელი როდესაც მოისურვებს და დაასკვნის: "როგორია ეს პიროვნული თავისუფლება, თუ გლეხი 9 წლის განმავლობაში უნდა დარჩეს მონობაში"-ო. მე ჩემს ბარათში (ზაპისკაში) წარმოვადგინე დაწვრილებითი წესები, რომლითაც ისაობოდა სახალხო საქმის ასეთი

გადაწყვეტის მანვე შედეგები და ვიდეოწებ, რომ ამ ხანად მინც ცენტრალური კომიტეტი არ დასტოვებს უყურადღებოდ ამ ბარათს-ზაპისკასო. აქ იგულისხმება ავტორის მიერ პირველ ბარათში მოცემული განცხადება. თუ როგორ შეიძლება სამ მილიონ მანეთად თბილისის გუბერნიის ყმა-გლეხები გადაიქცნენ წვრილ მესაკუთრებად ყოველგვარი ვალდებულების გარეშე მემამულეთა წინაშე.

რაფიელ ერისთავი: ცსია ფ. 220 №1076 178-179.

149. ბატონყმობის გაუქმება აღმ. საქართველოში. მემამულეთა მიმართ ზომასზე მეტად ლმობიერი აღმოჩნდა ის ორგანიზაცია, სადაც მუშავებოდა გლეხების განთავისუფლების კანონპროექტი, ვერეთ წოდებული ამიერ-კავკასიის ცენტრალური საგლეხო კომიტეტი. კერძოდ კახელ მემამულეთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ვენახების საკითხს. ხსენებული კომიტეტის პროექტით (შემდეგ ეს ასეც გავიდა) ბატონყმობის გადაყარვის შემდეგ დროებით ვალდებულ გლეხებს მათ განკარგულებაში დარჩენილი ვენახიდან მებატონის სასარგებლოდ უნდა ეხადათ მოსავლის 1/4. ბატონყმობის დროს კი გლეხი იხდიდა კულუხს (ღვინის გადასახადს) ვენახზე მოსავლის 1/5-ს, უკეთესის სარგებლობდა მებატონის ვენახისათვის საჭირო ჭიგოთი, და მოსავლის ერთ მეშვიდედს, უკეთეს მას ჭიგო მებატონის ტყიდან არ გამოჰქონდა. ამგვარად, ვენახის საკითხში გამოდიოდა განთავისუფლებული გლეხის მდგომარეობის გაუარესება. მებატონენი, მაშასადამე, რეფორმის შემდეგ გლეხებისაგან ფაქტიურად მეტ ღვინოს მიიღებდნენ, ვიდრე მანამდე. მაგრამ მებატონეებს ახლა ახალი მადა მოუვიდათ, და ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში მათ მომავალი დროებით ვალდებული გლეხებისაგან მოითხოვეს მოსავლის 1/3. ეს, თვით მართებლობის თვალსაზრისით, უკვე მეტის მეტი სისხარბე იყო, რადგან გლეხის უზომოდ გაძარცვა საშიში იყო შინაგანი მშვიდობიანობის დაცვის თვალსაზრისით — გლეხს შესაძლებელია მოთმინებაც დაკარგოდა: ხანჯალი, როგორც ამას შემდეგ თავის მოგონებებში აღნიშნავდა ბარონი ალ. ნიკოლაი, ყველა გლეხს ეკიდა ქამარზე, ხოლო თავადაზნაურნი ამაზე არც თუ ბევრად მეტად იყვნენ შეიარაღებულნი. მაშასადამე, ცალკე მემამულეებთან ჩასაფრებით ანგარიშის გასწორება გლეხს შეეძლო თავისი ხანჯლით და თოფითაც, რომელიც ბევრს მათგანს ჰქონდა. საერთო გამოსვლაც გლეხების მხრივ მოსალოდნელი იყო, რადგან ახლა ყველგან გაეღვიძათ ბატონყმობისაგან განთავისუფლების სურვილი.

ამიტომ მართებლობის საგლეხო კომიტეტმა უარყო კახელ მებატონეთა ეს მოთხოვნა და დასტოვა კულუხის რაოდენობა, როგორც ეს პროექტში იყო გათვალისწინებული.

ყველაზე მეტ აქტიურობას 1864 წლის სათავადაზნაურო კრებებზე იჩენდნენ გრიგოლ და ვახტანგ (ორივე პოეტი) ორბელიანები და გენ. გიორგი რევაზის ძე ერისთავი (გ. წერეთელს შეცდომა მოსდის, როდესაც ამ გენ. გიორგი ერისთავს ურევს მის თანამოსახელე მწერალ და დრამატურგ გიორგი დავითის ძე ერისთავთან). ისინი ამბობდნენ — რომ დავილუბებით, გლეხები ყმებად რომ არ გვეყოლებათ.

თუმცა რუსეთის მმართველობა და ამ დროს კავკასიის ნამესტნიკად მყოფი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე ძლიერ უჭერდნენ მხარს თავადაზნაურთ, მაგრამ ყველა მათი მოთხოვნათა დაკმაყოფილება მთავრობამ შეუძლებლად ცნო.

პროექტით დროებით ვალდებულ გლეხს ევალეზობოდა ეხადა მემამულის სასარგებლოდ, გარდამავალ ცხრა წლის განმავლობაში ყოველწლიურად სანადელო სახნავი მიწებიდან ღალა მოსავლის 1/4, ხოლო სანადელოვე ვენახიდან კულუხი მოსავლის მეოთხედით. თათბირებზე მემამულეებმა მოითხოვეს, რომ ღალა და კულუხი დაწესებული ყოფილიყო მოსავლის 1/3-იდან ამას მოითხოვდნენ ისინი კომპენსაციად იმისა, რომ გლეხები ახლა თავისუფლებოდნენ საბეგრო სამუშაოსაგან, ხოლო ვენახებში კიდევ მათ სასარგებლოდ მოდიოდა ბოსტნეულის მოსავალი და თივა. მაგრამ კომიტეტი არ დაეთანხმა მემამულეთა ამ მოთხოვნას და კვლავ დასტოვა სანადელო მიწებზე ღალა და კულუხი მოსავლის ერთი მეოთხედი (§§ 146, 148).

ბოლოს 1864 წლის 13 ოქტომბერს საიმპერატორო მანიფესტით აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობა განთავისუფლებულ იქნა ბატონ-ყმური ურთიერთობისაგან. გლეხი პირადათ თავისუფალი გახდა ბატონის ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან: მოძრავი ქონება რჩებოდა მის ხელში, ხოლო მიწა კი მთლად ეძლეოდა მებატონეს. სამოსახლო მიწებისათვის თავისი მშენებლობით გლეხი ვალდ-

ბული იყო ეხედა ბატონის სასარგებლოდ ზუსტად გადაწყვეტილი გადასახადი, რომლის გადიდება ბატონს არ შეეძლო. ასევე გადაწყვეტილ ყოველწლიურ გადასახადს ან ერთეულად გამოსასყიდ ფასის მიცემით გლეხი ღებულობდა მებატონისაგან გარკვეული ნორმით იმ მიწას, რომელიც ბატონ-ყმობის დროსაც გლეხის სარგებლობაში ითვლებოდა. ნორმაზე მეტი მიწა კი გადადიოდა მემამულის ხელში. გლეხი ამნაირად თავისი მამულის გამოსყიდვადის დროებით ვალდებულებაში რჩებოდა. გლეხის მიწის ნაკვეთის რაოდენობა და აგრეთვე გლეხის ვალდებულების რაობა განსაზღვრული იყო სპეციალურად სადებულებო გრამოტით. თავადაზნაურობას ამასთანავე მიეცა თითო სულ განთავისუფლებულ გლეხზე 25 მანეთი. მთავრობას არ შეეძლო ისეთი მოთხოვნებიანი მიეღო, რაც გლეხობას ცარიელზე დატოვებდა და მთლად გააღატაკებდა. ხოლო სახელმწიფო გადასახადების მიმცემი გლეხები იყვნენ და არა თავადაზნაურობა, რომელიც როგორც პრივილეგიური წოდება, არას იხდოდა. ამიტომ იმერეთის თავადაზნაურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება სახელმწიფოსათვის შეუძლებელი იყო.

ამგვარად გლეხს ახლა ცალკე მებატონის მაგივრად საქმე ჰქონდა უკვე მომრიგებელ შუამავლის სახით თავის სახელმწიფოსთან, რომელიც ავალებდა მომრიგებელ შუამავალს საჭირო შემთხვევებში ემოქმედა როგორც სამაზრო, ისე სასოფლო მართელობათა დახმარებით და მეშვეობით.

ბატონყმობის დროს გლეხს შეეძლო დაენებებინა თავი მებატონისათვის და გაქცეულიყო სხვაგან. ეხლა კი დროებით ვალდებულ გლეხისთვის ეს გაქცევა შეუძლებელი შეიქმნა, რადგანაც კანონით საპოლიციო ხელისუფლების ორგანოები ყოველი ღონისძიებით ვალდებული იყვნენ ეზრუნათ გაქცეულთა და უპასპორტოთა დასაჭერად.

ბატონყმობის დროს მემამულეები ვალდებული იყვნენ შიმშილიან წელიწადში თავიანთ გლეხებისათვის დახმარება აღმოეჩინათ. ეხლა კი გაჭირვების დროს დროებით ვალდებულ გლეხის დამხმარე არაფერ იყო. მიწათმფლობელი მას, რასაკვირველია, არ ეხმარებოდა, სახელმწიფოს დახმარებაც მეტად ძნელი მოსაპოვარი იყო. ამგვარად ღარიბი გლეხი ეხლა ჩავარდა ბევრად უფრო უმწეო მდგომარეობაში.

ბატონყმობის დროს მემამულეს ედვა ბევრი სხვადასხვა პასუხისმგებლობა თავისი გლეხის შესახებ, მაგ, მილიციაში გაწვევის, გზის მშენებლობის, ტრანსპორტის ბევრად გამოყვანის და სხვა ასეთ შემთხვევებში. ეხლა კი გლეხი ყველა ამ მოვალეობას ასრულებდა სახელმწიფო ორგანოების და მისი უდაბლესი ინსტანციის სოფლის სამმართველოს გაწვევით, რაც მოხელეთა ხშირი ბოროტმოქმედების გამო მისთვის აგრეთვე გაუარესებას წარმოადგენდა. გარდა ამისა გლეხს დაედვა კიდევ სოფლის მმართველობის შენახვაც, რაც აგრეთვე ზედმეტ ფულად ტვირთს წარმოადგენდა.

1865 წ. 13 ოქტომბერს დაბტკიცებულ დებულების თანახმად, გლეხობა განთავისუფლებულ იქნა იმერეთსა და გურიაშიც ზოგადად იმავე წესით, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში.

საპროტო დსაპნა. საგლეხო რეფორმისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ თბილისის გუბერნიაში თავადაზნაურობას, რომელიც მოსახლეობის 5%-ს შეადგენდა, შერჩა 961.502 დესეტინა (დესეტინა - ჰექტარზე ცოტა მეტი) მიწა, გლეხობას კი 45 ათასზე ცოტა მეტი დესეტინა. ქუთაისის გუბერნიაში მემამულეებს დარჩათ 815.327 ათ. დესეტინა მიწა, გლეხებს კი 210.770 დესეტინა.

გლეხთა განთავისუფლება შეეხო არსებითად მხოლოდ მათ პიროვნულ უფლებრივ მხარეს, ქონებრივად კი გლეხი ისევ მებატონისაგან დამოკიდებულებაში დარჩა. ეგრეთ წოდებული დროებით ვალდებულება დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა ხალხის წინსვლის და განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა პიროვნულ ბატონ-ყმურ დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებული საქართველოს გლეხობა ცდილობდა თავი გამოეყიდა დროებით ვალდებულებისაგანაც, მაგრამ სიღარიბის გამო მეტ წილად ამას ვერ ახერხებდა.

ბატონ-ყმობის გადავარდნამ შექმნა ახალი ხანა საქართველოს ცხოვრებაში. ახლა თვით ხალხმა იწყო გამოსვლა ფართო ასპარეზზე და ქართველი ხალხის ცხოვრებასაც თანდათან ახალი მიმართულება მიეცა.

150. აფხაზეთის სამთავროს გაუქმება. ბატონყმობის გაუქმების მზადებაში გადაწყვეტილი იყო აფხაზეთის სამთავროს არსებობის საკითხიც. დიდმა მთავარმა მიხ. ნიკოლოზის ძემ კავკასიის ნამესტნიკად დანიშნის (1862 წ.) შემდეგ (ნამესტნიკად იყო 1863-1881 წწ.) მოინდომა აფხაზეთში რუსული

მართებლობის შემოღება. განზრახული იყო აფხაზეთის სანაპიროს დასახლება მდ. ენგურამდის ყაზახებით. რუსის მთავრობა ფიქრობდა, რომ ამის განხორციელება უპროტესტოდ არ ჩაივლიდა, ამიტომ ეჭვის თვალთ უყურებდა მიხეილ შარვაშიძეს და მოულოდა მისგან რაიმე მოქმედების რაწეებას რუსეთის წინააღმდეგ. 1864 წ. ივლისში რუსებმა აფხაზეთში პროკლამაცია გამოუშვეს ახალი საიმპერიო მმართველობის შემოღების შესახებ და ეს გამოუცხადეს სოხუმში შეკრებილ თავადაზნაურობასა და ხალხის წარმომადგენლებს. მაშინ მთავარმაც თავის მხრივ, რუსული მართელობის მოლოდინის წინააღმდეგ, აგრეთვე გამოაქვეყნა ბრძანება სამთავროს ნებაყოფლობით რუსეთისათვის გადაცემის შესახებ. მალე მიხეილ შარვაშიძემ ითხოვა ნებართვა იერუსალიმში წმინდა ადგილების მოსალოცავად წასვლისა, მაგრამ მას ამაზე უარი უთხრეს. ხოლო როდესაც გამოირკვა, რომ მიხეილს ასეთივე თხოვნით მიუმართავს ოსმალეთისთვისაც, მაშინ მას მოსთხოვეს რუსეთში გამგზავრება. მიხეილი იძულებით მიიყვანეს ნოვოროსიისკს (1864 წ. ნოემბ.), ხოლო იქიდან დაბინავეს ვორონეჟში, სადაც ის მალე გარდაიცვალა (1865 წ.). შემდეგში ის გადმოსვენეს აფხაზეთს და იქ დაკრძალეს.

პოლიტიკური მიზეზების გარდა აფხაზეთის სამთავროს გაუქმება გამოწვეული იყო იმ უკმაყოფილებით, რომელიც სამთავროს შინაგანი მმართველობით არსებობდა რუსულ ხელისუფალთა შორის. უკვე მიხეილ შარვაშიძის აფხაზეთიდან წაყვანის შემდეგ კავკასიის უმაღლესი სამხედრო წრეები თბილისში რუსულ სამხედრო ოფიციალურ გაზეთ "Русский Инвалид"-ში 1866 წ. დაბეჭდილი წერილის მიხედვით შემდეგნაირად გამოხატავენ რუსეთის მხრივ აფხაზეთის შინაურ საქმეში ჩარევის აუცილებლობას. ეს წრეები აღნიშნავენ, რომ რუსეთის მთავრობამ ძლიერ შეუწყო ხელი მიხეილ შარვაშიძის ხელისუფლების გაძლიერებას იმ იმედით, რომ ეს ხელისუფლება მისთვის მიცემულ ძალას გამოიყენებდა ხალხის საკეთილდღეოდ და იმავე დროს მადლობით მოეპყრობოდა რუსეთს როგორც თავისი არსებობის წყაროს. "ამიტომაც რუსეთის მთავრობა არ ერეოდა აფხაზეთის შინაურ საქმეებში. მთავარს ჰქონდა შინაური მართვა-გამგეობის და სამართლის წარმოების სრული უფლება და ამასთანავე ის ღებულობდა მთავრობისგან უხვ ჯილდოებს. ამ ღონისძიებათა შედეგი იყო ის, რომ მთავრის ძალა-უფლება, მანამდის მეტად შერყეული და გაურკვეველი, გახდა შემდეგ საესებით შეუზღუდავი. მაგრამ გამოცდილებამ და დრომ ცხადჰყო, რომ მთავრის ხელისუფლების მოქმედება არ შეეფერებოდა მთავრობის კეთილ განზრახვებს. აფხაზი ხალხი, რომელსაც ეკავა კავკასიის მხარის საუკეთესო ნაწილი, დავიდა სილატაკის უკანასკნელ დონემდის და იყოფებოდა წინანდებურად ვულურ მდგომარეობაში. ამასობაში აფხაზების ნახევარმა უკვე აღიარა მაჰმადიანობა. მეორე ნახევარმა კი დაჰკარგა სარწმუნოების შესახებ თითქმის ყოველგვარი გაგება. ჩვენი (რუსული) ხელისუფლება არ ეხებოდა აფხაზეთის შინაგან მმართველობას. აფხაზები არ იხდიდნენ არავითარ გადასახადს და არც რაიმე მოვალეობას ასრულებდნენ. ჯარი არ იდგა მათ სახლებში, მათ არ თხოვდნენ ურმებს და მათგან არაფერს არ ღებულობდნენ, მხოლოდ მუდმივად იცავდნენ მათ. ყველაფერი ამისთვის ჩვენი ხელისუფლება არა თუ არ ხედავდა მათგან რაიმე მადლობას, არამედ ხშირად ხედავდა არა კეთილგანწყობილების ნიშნებსაც. როგორც ვთქვით, თვით მთავრის მმართველობის დროს ბევრმა აფხაზმა მიიღო მაჰმადიანობა. ისინი არა თუ არ ცდილობდნენ რუსეთთან დაახლოებას, არამედ გაუბრუნდნენ კიდევ ამას. ისინი არ შედიოდნენ რუსეთის სამსახურში და არ აძლევდნენ თავის შვილებს ამიერკავკასიის სასწავლებლებში. ამავე ხანში ქრისტიანული მოსახლეობა მოშორებულ იქნა შავი ზღვის სანაპიროს და ზღვის ნაპირა ყველა სოფლებში სახლდებოდნენ მხოლოდ მაჰმადიანები, უმეტესად ოსმალეთიდან გამოსულნი. ამას უნდა მიემატოს კიდევ ის გარემოება, რომ მთავრის ხელისუფლება მცირე დანაშაულთათვის აჯარიმებდა დაბალი წოდების პირთ თავისდა სასარგებლოდ დიდი ჯარიმებით და იმავე დროს დაუსჯელად სტოვებდა ყაჩაღებს და მკვლელებს. ყველაფერი აქედან ცხადია, რომ აფხაზეთის სამწუხარო მდგომარეობის წყაროს და მიზეზს წარმოადგენდა მთავრის მმართველობა.

"ასეთ მდგომარეობაში საქმის დატოვება შეუძლებელი იყო. დახმარების გაწევის აღმოჩენა იმ ხელისუფლებისათვის, რომელიც აწუხებდა მთელ ხალხს, ნიშნავდა, რომ ეს ხალხი იძულებული ყოფილიყო შეეძლებინა თავისი მთავარი და თავისი გაბოროტება გადაეტანა რუსებზე, რომელნიც ამ ხელისუფლებას მხარს უჭერდნენ. ეს ნიშნავდა, რომ აფხაზეთის სახით გვეყოლოდა არა რუსეთის ერთგული მოკავშირე, არამედ ცბიერი და გარკვეულ დრომდის მორჩილი მონა, რომელიც შესაფერის

მომენტში ხელგაშლილი მიიღებდა მის სანაპიროზე მოსულ ყოველ მტერს. ერთი სიტყვით, საქმის ასეთ მდგომარეობაში დატოვება იქნებოდა არა მარტო პოლიტიკური შეცდომა, არამედ ეს შეუთავსებელი იქნებოდა სამართლიანობის და კაცთმოყვარეობის უბრალო გრძნობასთან. პოლიტიკური თვალსაზრისით ეს იქნებოდა უდიდესი შეცდომა. ასეთ მდგომარეობაში აფხაზეთი ყოველთვის იქნებოდა მტრისთვის ზღვიდან მზამზარეული პლაცდარმი და ასარეზი. რუსეთის მთავრობა იძულებული იქნებოდა მშვიდობიანობის დროს ყოლოდა სოსუმში ძლიერი გარნიზონი, რომელიც შავ ზღვაზე მტრის პირველი გამოჩენისთანავე უნდა საჩქაროდ გადაეყვანათ მდ. ენგურის აღმოსავლეთით. მთიელების წინააღმდეგ ომის დამთავრების შემდეგ აფხაზეთი წარმოადგენდა ერთადერთ კუთხეს, სადაც საჭირო იყო მთელი (სამხედრო) კოლონებით წინსვლა, ოკაზიების გაგზავნა და სამხედრო კორდონის ყოლა. აფხაზეთი მოჭრიდა შავი ზღვის პირა კაზაკების მოსახლეობას ჩვენი ერთგულ სამეგრელოს მოსახლეობისაგან. თუ (წინად) კავკასიის სამხედრო მდგომარეობა რამოდენადმე გასაგებად ხდოდა რუსული ხელისუფლების ასეთ მდგომარეობას აფხაზეთში, კავკასიის მხარის დამშვიდების დაპყრობის შემდეგ უკვე არავითარი მიზეზი არ იყო იმისთვის, რომ მთელი ხალხი დატოვებული ყოფილიყო ისეთი მმართველობის ხელქვეით, რომელსაც შეეძლო ყოფილიყო მავნებლობის ნიმუში და რომლის დროს უკანასკნელ ხანამდის ადგილი ჰქონდა ძარცვა-გლეჯვას, შინაურ სისხლის ღვრას და ქრისტიანებით ვაჭრობას¹.

151 რუსული მმართველობა აფხაზეთში. სოსუმის განყოფილების მმართველობის ახალი დებულება იყო შემდეგი: აფხაზეთისგან ქალაქ სოსუმით, სამურზაყანოთი და წებელდათი ჩამოყალიბდა სოსუმის ცალკე განყოფილება, რომლის უფროსი ემორჩილებოდა ქუთაისის გუბერნატორს. ადმინისტრაციული წესით სოსუმის განყოფილება განიყოფებოდა ქალაქ სოსუმის სამმართველოდ და ოთხ ოლქად (ოკრუგად). სოფლებში წესრიგისთვის თვალყურის სადევნებლად დანიშნული იქნენ თემების ამორჩევით მამასახლისნი, რომელნიც იმავე დროს კრებდნენ გადასახადებსაც. მამასახლისებს ამტკიცებდა ოლქის (ოკრუგის) უფროსი. სამართლის საქმის საწარმოებლად დაარსებული იყო ზეპირი სასამართლოები ოლქებში და მთავარი სასამართლო სოსუმში. წერილმანი საქმეები სოფლად წყდებოდა წინანდებურად მედიატორული წესით. საოლქო სასამართლო, რომლის თავმჯდომარე იყო ოლქის უფროსი, შესდგებოდა კიდევ ოთხი წევრისგან, რომელთაც ირჩევდა მოსახლეობა, ერთს – მაღალი წოდება და სამს – დაბალი წოდებანი.

152 ბატონყვონის ბაჰშეხვა ოღიშში. ისევე, როგორც იმერეთსა და გურიაში, ოდიშში გლეხობა განაწილებული იყო უფლებრივის მხრივ უმთავრესად სამ წყებად: აზატებად, მებეგრებად და მოჯალაბეებად.

გლეხთა უფლებანი, გარდა მოჯალაბეთა, რომელთა რიცხვი შედარებით მცირე იყო, სასტიკად განსაზღვრული იყო კანონით და ჩვეულებებით. დავით დადიანის განკარგულებით 1841 წლის 1 იანვრიდან გლეხებს აკრძალათ ყმების ყიდვა-გაყიდვა, გამზითვება და დაგირავება¹.

ოდიშის გლეხთა განათვისუფლება ძირითადად იმავე წესით, როგორც იმერეთ-გურიაში დამტკიცდა 1866 წლის დეკემბერში, ხოლო ადგილობრივ გამოცხადდა 19 თებერვალს 1967 წ.

ოდიშსა და ლეჩხუმში, იმერეთის მსგავსად, უმთავრესად ჭარბობდა წერილი ყმათმფლობელობა. 43 კომლ ბატონიშვილის (დადიანისძეს, დადიანის ანუ მთავრის გვარის – კაცი) ჰყავდა 5000 კომლი გლეხი საბატონიშვილო აზნაურების ჩათვლით. მათგან 6 კომლი ბატონიშვილი ფლობდა თითო დაახლოებით სუთას კომლ აზნაურს და გლეხს, დარანჩენ 37 კომლს კი ჰყავდა 2 ათ. კომლი აზნაური და გლეხი, ე.ი. თითო ოჯახზე საშუალოდ 45-50 კომლი.

1860 წლის კაპრალური აღწერის ცნობების შესაბამისად (ამ აღწერის მხოლოდ შეჯამებითი ცნობები აქვს კ. ბოროზდინს მოცემული) შეიძლება გაანგარიშებულ იქნას სამეგრელოს სამთავროს მოსახლეობის სოციალური დანაწილება მიასლოებით, რასაკვირველია. მთავრის ბატონიშვილებს მოჰყვებოდნენ თავადები 262 კომლი, რომელთაც ჰყავდათ 7200 კომლამდის გლეხი, ხოლო მათ აზნაურთ 520-მდის კომლის ხელქვეით იყო დაახლოებით 1300 კომლი გლეხი. თავადები იყვნენ

¹ ცსია, განსაკ. მნიშვნელობის ფონდი 220, №1076, ფ. 375

სხვადასხვა შეძლების. 75 კომლ თავად ფაღავებს ჰყავდათ 800 კომლი გლეხი, რომელთაგან ერთ ფაღავეს ეკუთვნოდა ასი კომლი, ხოლო დანარჩენებს ნაკლები (სამუშალოდ მოდიოდა დანარჩენთაგან თითოზე რვა-ცხრა კომლი; სინამდვილეში კი ბევრი იყო თითო-ოროლა კომლის მფლობელნი). სულ სათავადო აზნაურ-გლეხნი აღწევდნენ 8500 კომლამდის.

საეკლესიო ყმები (გლეხები და მცირედ აზნაურები) იყვნენ 3060 კომლი, ხოლო სამთავრო აზნაურ-გლეხები შეადგენდნენ დაახლოებით 8900 კომლს: მათ შორის სამთავრო აზნაურები 1200 კომლი, ამათი გლეხები 4 ათ. კომლამდის და საკუთრივ სამთავრო გლეხები 2750 კომლი (სამთავრო, საბატონიშვილო, სათავადო და საეკლესიო აზნაურები ყველანი იყვნენ 2070 კომლი). სამთავროს მთელი მოსახლეობა კი შეადგენდა 25.479 კომლს (კომლზე იანგარიშებოდა ორივე სქესის 6,5-7 სული).

153. სოციალური ურთიერთობა აფხაზეთსა და სამურზაყანოში. აფხაზეთში, მისი ჩამორჩენილობის გამო, ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო მიწათმფლობელობის და სოციალური ურთიერთობის ძველისძველი წესები, რის გამოც იქაურ წყობილებას შეიძლება დარქვას ადრე-ფეოდალური წყობილება. მიწა-წყალი შეადგენდა მთავრის, ე.ი. სახელმწიფოს კუთვნილებას, მაგრამ მთავარი ვერ სარგებლობდა და არც სარგებლობდა ამ უფლებით. აფხაზები ცხოვრობდნენ თემებად (აკსტ), რომელნიც განიყოფებოდნენ გვარებად. გვარი ხშირად შესდგებოდა 50 და მეტი კომლისაგან. მიწა თემს და გვარს ჰქონდა საერთო. ყველას შეეძლო აეღო თავისთვის სათემო მიწიდან დასამუშავებლად რამდენიც შეეძლო და რამდენიც უნდოდა. კერძო საკუთრება არსებობდა სახნავად მომზადებულ, მალარ ვენახზე და სხვა ასეთ დამუშავებულ მიწაზე. ასეთი მიწების ყიდვა-გაყიდვაც ხდებოდა.

თემს სათავეში ედგა თავადის ან ამისტას (აზნაურის) გვარი. ტერმინი თავადი აფხაზეთში შემოვიდა მხოლოდ XIX-ნის დასაწყისში, მთავრის გიორგი შარვაშიძის დროიდან მისი ცოლის დადინის ქალის თამარის და ამის თანამოყოლილ შინაყმების ზეგავლენით.

ძველ აფხაზეთს ზუფუში (მდ. ბზიფსა და გუმისტას შუა, მდ. გუმისტას შესართავი არის სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით ექვსიოდე კმ-ზე) იყო ოთხი გვარი (ჩაჩბა — სამთავრო სახლის ჩამომავალი შარვაშიძენი, აჩბა — ანჩაბაძე, ინალიფა, ჩაბალირხუა), რომელნიც მანამდის იწოდებოდნენ მხოლოდ გვარით. საფიქრებელია, რომ მდ. გუმისტას აღმოსავლეთით მდებარე მხარეში ტერმინი თავადი უფრო ადრე იყო შემოსული.

თავადები და ამისტები იყვნენ თემის მფარველნი, თემის წევრები კიდევ მათ მფარველობაში მყოფნი. გადასახადებს მფარველნი (ახალგვჯ) ღებულობდნენ მფარველობაში მყოფისაგან (ხ ყში) მხოლოდ პირად დამოკიდებულების მიზეზით, ხოლო მიწის ღალას კი არა, რადგანაც მიწა იყო საზოგადო კუთვნილება.

წოდებანი აფხაზეთში იყო შემდეგი.

თავადები; მათი სისხლი ღირდა 30 ბიჭი, ხოლო 6 მტკაველიანი ბიჭი ღირდა 40 ძროხა, 5 მტკაველის ტანისა — 30 ძროხა და 4 მტკაველისა — 20-25. ამის მიხედვით გამოდის, რომ აფხაზი თავადის სისხლი დაახლოებით უდრიდა ვახტანგის კანონებით პირველი აზნაურის სისხლს, რომელიც შეფასებული იყო 1920 მანათუნის ანუ 960 ძროხა.

ამისტა თავდაპირველად იყვნენ მთავრის მსახურნი და მის ამაღლაში იმყოფებოდნენ. იყვნენ მათ შორის ხელოსნებიც (მეუნაგირეები და სხვ.). შემდეგ ისინი მოჰყვნენ თემების სათავეში. მათი სისხლი ღირდა 15 ბიჭი და ამიტომ თუ თავადი ეთანაბრება ვახტანგის კანონების პირველ აზნაურს, ამისტა გამოდის მეორე ხარისხის აზნაური (უკანასკნელი მთავრის დროს ამისტას სისხლს მოემატა კიდევ ერთი ბიჭი).

ამისტას მიჰყებოდნენ ეგრეთ წოდებულნი შინაყმები. ისინი იყვნენ თითქმის იგივე რაც ამისტა. შინაყმების კატეგორია შემოღებულ იქნა 1810-იან წლებში გიორგი შარვაშიძის დროს. ისინი შეადგენდნენ მთავრის მსახურებს და ამაღლას. შინაყმის სისხლი ღირდა 12 ბიჭი.

აფხაზების მთავარ მასას (9 ათ. კომლს) მოსახლეობის 2/5 შეადგენდნენ ანხაები (სამურზაყანოში — ფიოშები), ისინი ცხოვრობდნენ თემებად და იმყოფებოდნენ თავიანთ თავადებისა ან ამისტას მფარველობის ქვეშ. მათი გადასახადი იყო სხვადასხვა თემებში სხვადასხვა. მაგრამ ანხაებს შორის იყვნენ ისეთნიც, რომელნიც არაფერს იხდიდნენ. ყველაზე დიდი ვალდებულება მფარველის სასარგ-

ბლოდ იყო თხა, თიკანი, მ საწყაო სიმინდი, ორი დღე მუშაობა, ზოგიერთი ძღვენი. ამისი ვალდებულნი ანხაებიც ცოტანი იყვნენ (ეს ხდებოდა ვალის გამო, ჯვარის მიხედვით და სხვ.). უმეტესობა იხდიდა კომლზე თითო თხას და მუშაობდა მფარველისათვის ორ დღეს. ვალდებულებათა მომატების უფლება ახალაფშვკ-ს (მფარველს) არ ჰქონდა. როდესაც ნარჩუ ინალიფამ 1820-იან წლებში გააგზავნა თავის თემში გოდრებით ზედმეტი სიმინდის შემკრები, მთელი თემი ფეხზე დადგა. გამოგზავნილი შემკრები გაყარეს და გოდრებიც დაუმტვრიეს.

უკანასკნელ კლასს (შედარებით მცირერიცხოვანს) შეადგენდა ახუაე (სამურზაყანოში დელმასორე) და აგ რუა და ახაშალა. ეს ახაშალა იყო მარტონელა მონა, შეძენილი ყიღვით, მოტაცებით ან ომში ტყვედ წამოყვანილი. მაგრამ როდესაც ახაშალა ცოლს შერთავდა (ამას მეტატონე ვერ აუკრძალავდა, პირიქით ის ვალდებული იყო ამაში ხელიც შეეწყო მისთვის), მაშინ ახაშალა სახლდებოდა ცალკე და ხდებოდა ზემოთ მოხსენებული ახუე.

ახუეს მეორე სახელწოდება აგ რუა ნიშნავდა მეგრულს. აფხაზები წინადა აწარმოებდნენ ზღვით და ხმელეთით თავდასხმებს ოდიშზე, იტაცებდნენ მეგრელებს და ასახლებდნენ მათ თავისთან ნახევრად მონურ პირობებში. აქედან ტომობრივი სახელი აგ რუა გადაიქცა აფხაზებში მონის აღმნიშვნელ სიტყვად.

ახუე-აგ რუას ჰქონდა თავისი საკუთრება (მიწა, სახლკარი და სხვ.). მაგრამ ის მძიმედ იყო დაბეგრული. ის ვალდებული იყო ემუშავა თავისი მეტატონისათვის კვირაში სამი დღე. მამაკაცები ამ სამუშაოზე ყველა უნდა გამოსულიყო. ახუეს მოვალეობა იყო ყოველ დღე ტვირთი შეშის მოტანა. ახუეს ქალიშვილები ნ მტკაველის სიმაღლის მიღწევიდან ვიდრე გათხოვებამდის ემსახურებოდნენ დღისით თავის მეტატონის ოჯახს. გათხოვებისას მეტატონე ღებულობდა ამ ქალიშვილისათვის გადასახადს (ქართული საჩექმეს მაგიერს). ახუე ვალდებული იყო წელიწადში ერთხელ გამასპინძლებოდა მეტატონეს და სხვ.

დაახლოებით იმავე მდგომარეობაში იყვნენ ამაცვრასგუ (სამურზაყანოში მონილუე), მაგრამ ისინი შედარებით ახუაუებთან განთავისუფლებული იყვნენ ზოგიერთ წვრილმან ვალდებულებათაგან და ამიტომ ხალხის თვალში ახუაუებთან შედარებით ითვლებოდნენ მცირედ პრივილეგიურ მდგომარეობაში. ამაცვრასგუ იყვნენ მეტად მცირედ (45 კომლი), მონილუეები კი (სამურზაყანოში) – 205 კომლი.

მცირედ აფხაზებში იყვნენ აზატებიც – განთავისუფლებული ყოველგვარი ვალდებულებისაგან მფარველის მიერ (რაიმე დამსახურების გამო ანდა თავისი სულის საცხოვნებლად). აზატები განაგრძობდნენ ცხოვრებას თავის თემში.

სამურზაყანოში XVII ს-ის უკანასკნელი მესამედიდან დამკვიდრებულნი იყვნენ აფხაზი თავადები თავიანთი თემებით. ამიტომ ზემოდ დასახლებული წესები მცირეოდენი ცვლილებით მიღებული იქნა სამურზაყანოშიც.

ამგვარად, აფხაზეთში ნამდვილ ყმებად შეიძლება ჩათვლილიყვნენ მხოლოდ ახუები, რომელნიც მოსახლეობის მცირე ნაწილს შეადგენდნენ. რუს ჩინონიკებმა ვერ გაიგეს აფხაზების წყობილების რაობა, მონილომეს იქ ბატონყმობის გაუქმება, მაშინ როდესაც ხალხის დიდი უმეტესობა ანხაების სახით სრულებით არ იყო ბატონყმურ დამოკიდებულებაში. ანხაებს დროებით ვალდებულ გლეხთა კატეგორიაში გადასვლა ემუქრებოდა ნახევრად თავისუფალ მდგომარეობიდან ნახევრად ბატონყმურ მდგომარეობაში გადასვლით.

გარდა ამისა განზრახული საგლეხო რეფორმა ამინებდა პრივილეგიურ ფენას (თავადებს და ამისტებს), რადგანაც მაშინ ისინი დაკარგავდნენ თემებზე ყოველგვარ უფლებას თანდაყოლილი შემოსავლით. ყველაფერი ეს იყო იმ დიდი აჯანყების მიზეზი, რომელიც მოხდა აფხაზეთში 1866 წელს.

154. აჯანყება აფხაზეთში. აფხაზეთში დამყარდა რუსეთის მმართველობა. აფხაზეთის მმართველად დაინიშნა პოლკ. კონიარი. 1866 წ. ბზიბის ოლქში (აფხაზეთი იმ დროს გაყოფილი იყო, როგორც მთავრის ბატონობის უკანასკნელ წლებში სამ ოლქად – ბზიბისა, აფხაზეთისა და აბუჟასი) ატყდა არეულობა. ამისი მიზეზი იყო განზრახული საგლეხო რეფორმა. რადგანაც აფხაზეთში თემობრივი ცხოვრება იყო, გლეხებს იქ თავისუფლად შეეძლოთ მიწით სარგებლობა. რუსეთის საგლეხო რეფორმა კი გამოიწვევდა გლეხების გადაყენას დროებით ვალდებულ მდგომარეობაში. ეს ნიშნავდა,

რომ უბატონო გლეხს უნდა გასჩენოდა ბატონი თუნდაც შეზღუდული უფლებებით. ამიტომ სოფ. ლიხნში შეკრებილი დიდძალი ხალხი აჯანყდა. აჯანყებულნი დაეცნენ ლიხნში რუსთ, მოკლეს პოლკ. კონიარი და მასთან მყოფი რუსი მოხელეები, გაიტაცეს გარდაცვლილი მთავრის შვილი გიორგი შარვაშიძე, რომელიც მისი სურვილის წინააღმდეგ გამოაცხადეს მთავრად და 7 ათასი კაცის რაოდენობით გაემართნენ სოხუმისაკენ, რომელსაც ალყა შემოარტყეს. სოხუმსა და აფხაზეთში გაგზავნილ იქნა რუსის დიდი ჯარი, რომელთან ბრძოლა აფხაზების შემთხვევით და ცუდად შეიარაღებულ შეკრილობათ, რასაკვირველია, არ შეეძლოთ. ამიტომ აფხაზები დაიშლნენ. 15 ათასამდის სული აფხაზი გადასახლდა ოსმალეთს. მიდიოდნენ მეტნი, მაგრამ ოსმალეთის მთავრობამ უარი განაცხადა მეტის მიღებაზე. მთლიანად დაცარიელდა წებელდის მხარე.

რადგანაც გიორგი შარვაშიძის მონაწილეობა აჯანყებაში საესებით შემთხვევითი და მისი სურვილის წინააღმდეგ იყო, ამიტომ ის არ დაუსჯიათ. მას ჩამოართვეს მამულები აფხაზეთში, მაგრამ დაუნიშნეს წლიური პენსია 10 ათ. მანეთი ვერცხლით. გიორგი შარვაშიძე გაზრდილი იყო ქუთაისში გუბერნატორის სახლში. მიუხედავად ამისა შემდეგში თავისი რწმენით ის ემსრობოდა ქართველ სეპარატისტებს, იყო ქართულის და აფხაზურის წარჩინებული მცოდნე და დიდად შეგნებული ქართველი პატრიოტი. მაგრამ 1866 წელს როგორც ჭკვიანი ახალგაზრდა, იყო ყოველგვარი აჯანყების წინააღმდეგი. ის რომ აჯანყების ანკესზე წამოგებულყო, მოძრაობა მიიღებდა მეტ პოლიტიკურ გამოხმაურებას და გამოიწვევდა ცარისტული ხელისუფლების მხრივ დიდ რეპრესიებს. გიორგი შარვაშიძის თავშეკავებულმა მოქმედებამ გადაარჩინა მამინ აფხაზი ხალხი ბევრად უფრო მეტ უბედურებას.

155. სანიშნო. ჭარსა და ენისენში მოხინდრე მაჰმადიანი ქართველი ინგილოები აქ ჩამოსახლებულ ორ ტომთაგან ლეკებთან და თათრებთან შედარებით ცალცალკე მაინც უმეტესობას შეადგენდნენ. XV^{III} საუკუნიდან მათ თათრულად (თურქულად) ინგილოთ, ანუ ახლად მოქცეულთ ეძახდნენ. ეს ქართველ-მაჰმადიანთა მოსახლეობა რუსეთის ბატონობის დროს აგრეთვე კარგავდა თავის მშობლიურ ენას. ინგილოთა ერთი ნაწილი 1849 წლიდან უბრუნდებოდა ისევ ქრისტიანობას. ამას მოჰყვა რუსების მიერ სამისიონერო მოღვაწეობის გაჩაღება, რამაც ამ მხარეში დარჩენილი ქართველ მაჰმადიანთა მოსახლეობა მთლად დააფრთხო. გაქრისტიანების შიშით მაჰმადიანი-ინგილონი ეტლა თვით ცდილობდნენ ქართული ენის დაეწეებას და გადადიოდნენ ლეკურსა და თათრულ ენებზე. მაინც, ზოგ ადგილებში ქართული ენა კიდევ კარგად არის დაცული. ქართულად მოლაპარაკე ქართველ ინგილოებს ამ უამად აქვთ უმეტეს ნაწილად სკოლა ქართულ ენაზე.

156. ოსები ქართლში. როგორც ვნახეთ, XIII ს-ნეში ოსებმა იწყეს გადმოსვლა ჩრდილოეთ კავკასიიდან ქართლში, სადაც მათ დაიკავეს კავკასიონის ქედის სამხრეთით მთა ადგილები. აქ ისინი ცხოვრობდნენ ნახევრად დამოუკიდებელ ერთეულებად. ოსების ეს თემობრივი ერთეულები აწარმოებდნენ თავდასხმებს ქართლის სხვა ნაწილებზე. თანდათან ოსების მოსახლეობის ფართობი გაიზარდა. XVII ს-ნეში ოსები მოჰყენენ თავად ქსნის ერისთავთა და მაჩაბლების ხელქვეით.

როდესაც ქართლ-კახეთში დამყარდა რუსული მართებლობა, ქსნის ერისთავებმა და განსაკუთრებით მაჩაბლებმა ხელი მოუჭირეს ოსებს, ისინი რუსულ ადმინისტრაციაზე დაყრდნობით ცდილობდნენ მათზე ბატონყმური წყობილების საფუძვლებს. 1802 წელს მოხდა ოსების პირველი აჯანყება თავად მაჩაბლების წინააღმდეგ. შემდეგ წლებში ოსების აჯანყებანი მიზნად ისახავენ თავისუფლების მოპოებას როგორც თავიანთ მეტატონეაგან, ისე რუსულ ადმინისტრაციის ძალმომრეობისაგან. ასეთი აჯანყებანი იყო 1808, 1821, 1824 და 1840 წლებში. მთავრობამ გაანთავისუფლა ოსი გლეხები მაჩაბლების ბატონყმობისაგან, მაგრამ ქსნის ერისთავებმა შეინარჩუნეს მათი ხელქვეითი ოსები ყმებად. XIX ს-ნის უკანასკნელ მესამედში გრძელდებოდა ოსების დასახლება უმთავრესად ხიზნებად ქართლის ველზე თავად ციციშვილების და ჯაფახიშვილების მამულებში. საგლესო რეფორმის შემდეგ ოსების ეს გლეხები დარჩნენ თავიანთ მეტატონეაგან დროებით ვალდებულ მდგომარეობაში.

157. ლაზიბი (ჭანეზი). ოსმალების მიერ ტრაპიზონის სახელმწიფოს დაპყრობის (1461 წ.) შემდეგ ჭანეთი ვიდრე რიზმელის ემორჩილებოდა გურიელს. 1570-იან წლებში ჭანეთი მთლიანად მდ. ჭოროხ-ამდის დაიპყრეს ოსმალებმა. ამის შემდეგ ჭანეთში თანდათან იწყებს გავრცელებას მაჰმადიანობა. მაჰმადიანობის გავრცელებასთან ერთად იწყება ჭანეთის გათურქებაც. აქამდის ჭანებს ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული თავისი სათემო წყობილება. თემებს (ხევეზს) სათავეში ედგნენ ადგილობრივი მეთაურები (მამასახლისები), მთავარი მათ შორის იყო თოფჩი-ოღლის (თოფჩიშვილის) გვარეულობა ქალ. ვიწეში. ოსმალურ წყობილების დამყარებასთან ერთად ეს მამასახლისები თანდათან XVII-XVIII საუკუნეებში გადაიქცნენ მმართველობის უფლებების მქონე მფლობელებად. მხოლოდ 1820-იან წლებში ჭანეთში, რომელიც ესლა ლაზისტანად იწოდებოდა, შემოღებულ იქნა ოსმალური ადმინისტრაციული მართებლობა. XX საუკუნის პირველ მესამედში ჭანური ენა დაცული იყო ვიდრე ათინამდის თან მითვლით. რიზეს მხარე კი უკვე გათურქებული იყო.

158. ბატონყამოზის ბაშაქაზა ავსაზაქთში. ბატონყამოზა სოსუმის განყოფილებაში გაუქმებულ იქნა 1870 წ. 8 ნოემბერს გამოქვეყნებული ცალკე დებულებით. ყოველგვარი დამოკიდებულების პირნი ამ დებულებით ხდებოდნენ თავისუფალნი და სოფლის თავისუფალი მკვიდრნი. მაგრამ ყველანი ისინი 4 წლის განმავლობაში მანც განაგრძობდნენ ყოფილ მეპატრონეთა მიმართ წინანდელ ვალდებულებათა შესრულებას. თავის მხრივ მეპატრონეც ვალდებული იყო არ შეეცვალა თავისი მოვალეობა გლეხის მიმართ და იმ შემთხვევაში, რომელიც გათვალისწინებული იყო ჩვეულებით, აღმოჩინა დახმარება გლეხებისათვის. აგრეთვე შეენახა თავის ხარჯზე მცირეწლოვანნი და დავრდომილნი.

დროებით ვალდებულების ეს 4 წლის ვადა გამოანგარიშებული იყო შემდეგნაირად. გლეხების სხვადასხვა კატეგორიების ვალდებულებანი გადაყვანილ იქნა მათი ფულზე გადატანით. მეპატრონისაგან ამ ვალდებულებათა გამოსასყიდ თანხად აღებულ იქნა 10 წლის ვადაში, რომელთაგან 6 წილს იხდიდა ხაზინა, ხოლო 4 წილი კი უნდა გადაეხადა დროებით ვალდებულ პირობებში თვით გლეხს. ეს 4 წილი იშვიათ შემთხვევაში (ასაშალების, ე.ი. მოჯალაბეთა მიმართ) შეადგენდა 75-100 მანეთს, უმეტეს ნაწილად (ფიოშების და ანხაების მიმართ) კი, იშვიათად აღემატებოდა 25 მანეთს. დროებით ვალდებულება იწყებოდა 1871 წლის 19 თებერვლიდან და უნდა დამთავრებულიყო 1875 წელს. თავისი 6 წილი ხაზინამ გაიღო ფულად და ამის ანგარიშში მისცა აფხაზეთის სამმურზაყანოიანად მემამულეებს 400 ათასი მანეთი (აქედან ჩანს, რომ აფხაზეთ-სამმურზაყანოს საბატონო გლეხების ვალდებულება აღირიცხებოდა წელიწადში დაახლ. 70 ათასი მანეთის ღირებულებისად, ამაში არ შედიოდნენ ყოფილი სამთავრო გლეხები). ყოფილი სამთავრო გლეხები დროებით ვალდებულ მდგომარეობის ხანაში იხდიდნენ ხაზინის სასარგებლოდ იმავე მოვალეობას, როგორც სხვა გლეხები, მაგრამ ისინი თავისუფალნი იყვნენ ყანებისათვის მუშა-ხელის მიცემისაგან. გლეხებს დაუმკვიდრდათ მათ სარგებლობაში რეფორმამდის მყოფი მიწები, ხოლო რაც შეეხება თავადაზნაურთ, მათ უნდა მიხომოდათ კომლზე იმ მიწების გარდა, რომელიც ადგილობრივი ჩვეულებით მათ ეკუთვნოდათ, 250 დესტინამდის, მაგრამ ამ ნაკვეთების გამოსაყოფად საჭირო იყო წინასწარი მუშაობის ჩატარება მიწების ასაგეგმავად. ყველაზე ადრე ეს სამუშაო შესრულებულ იქნა გუმისთას (სოსუმის) ნაწილში, სადაც თავადაზნაურთათვის ნაკვეთების გამოყოფის პროექტი უკვე მზად იყო 1877 წლის დასაწყისისათვის.

159. სასოფლო მმართველობის მოწყობა. საგლეხო რეფორმამ აუცილებელი გახადა აფხაზეთში სოფლის მმართველობის მოწყობა ახალ საფუძველზე, რადგანაც ცხადი იყო, რომ თავადის გვარი ესლა ვერ გასწევდა აფხაზურ თემში წინად მისთვის ჩვეულებით მიკუთვნებულ როლს მმართველის და მოსამართლისას. სოსუმის განყოფილების ყველა სოფლები გაყოფილ იქნენ 41 თემად. ყოველ თემში მოეწყო ხელისუფლება მამასახლისთა და სათემო მოსამართლეთა სახით, როგორც მამასახლისი, ისე სათემო მოსამართლენი ამორჩეული იყვნენ თვით ხალხის მიერ, რომელიც ამგვარად შესაძლებლობას დებულობდა საზოგადო საქმეებში მონაწილეობა მიეღო.

160. რაფორმის უარყოფითი მხარეები. როგორც აფხაზეთში გატარებულ რეფორმის ხასიათიდან ჩანს, მართებლობას უნდოდა მაქსიმალურად, თავისი გავების თანახმად, დაეცვა დამოკიდებულ წოდე-

ბათა ინტერესები, რათა თავიდან აეცილებინა მეტად მგრძობიარე მოსახლეობის ახალი გამოსვლები და აჯანყება. მართებლობა ცდილობდა აგრეთვე, რომ რეფორმას არ დაეჩაგრათ თავად-აზნაურობაც, რომლის ინტერესების უზრუნველყოფას ის ცდილობდა თუნდაც ხაზინიდან, საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით, მეტი ხარჯის გაღებით. მაგრამ ყველა ამ თითქოს კეთილ ზრახვათაგან არა გამოვიდა რა ხალხის გაბოროტების და შემდეგ კვლავ ახალი აჯანყების მეტი. მიზეზი იყო ის, რომ რუსულ მართებლობამ ვერ გაიგო ადგილობრივი საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებანი და განსაკუთრებით ვერ შეაფასა ის მჭიდრო და საუკუნეების სიგრძეზე გამჯდარი კავშირი, რომელიც არსებობდა აფხაზეთში თავად-აზნაურობასა და დამოკიდებულ წოდებათა შორის. ახალმა სათემო მმართველობამ მამასახლისების და სათემო მოსამართლეთა სახით ვერ გასწია თემების მეთაურ წინანდელ თავადაზნაურ გვარეულობათა მაგივრობა. წინანდელი თემი მჭიდროდ იყო შეკავშირებული იმ პატივისცემით, რომელსაც ის მეკვიდრეობით გრძნობდა თავის მეთაურ სათავადო გვარისადმი. ეხლანდელ მამასახლისს თავადის ავტორიტეტი არ ჰქონდა და ამიტომ ის ვერ ახერხებდა თემის შიგნით წესრიგის დაცვას. აფხაზური თემი გაშლილი იყო დიდ ფართობზე. თემის მეკომურები ცხოვრობდნენ გაფანტულად და ხშირად მეზობლებისაგან სახსებით განმარტოებულად. ასე ცალკედ მცხოვრები მეკომური ახლა თავისი ბედის ანაბარად იყო მიტოვებული და ახლანდელ პირობებში ხშირად იძულებით თავს აშორებდა სათემო ვალდებულებათ. ამ ვალდებულებათ შორის, ხალხის ნამდვილ უბედურებად გადაიქცა გახშირებული ქურდობა და მასთან ბრძოლის საშუალებანი. ქურდი-კაცი თემში ყოველთვის შესაძლებელია გამოჩენულიყო, ხოლო რუსული მართებლობა მამასახლისების მეშვეობით თხოულობდა თემისაგან ასეთი ქურდის მიცემას და ქურდის აღმოუჩენლობის შემთხვევაში ადებდა თემს მნიშვნელოვან ჯარიმას. ქურდის ცაქება კი ცალკე მეკომურისათვის შეუძლებელი იყო, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ის გახდებოდა თვით ქურდის ან მისი ახლობლების შურისძიების მსხვერპლი. ამ ჯარიმებმა იმდენად შეაწუხა ხალხი, რომ ბევრ ადგილას თემებს თავისი მამაკაცთა თითქმის შესამედი გაპყავდათ გზებზე და ბილიკებზე ღამლამობით საყარაულოდ. მაგრამ ასეთ ყარაულობას ხალხის გაწამების მეტი არა მოჰქონდა რა, რადგანაც ქურდებს თავისი ნაქურდალი გადაჰქონდათ ანდა (თუ ის ოთხფეხა იყო) გადაჰყავდათ დღისით, როდესაც ეს უფრო ადვილი იყო. სინჯეს ძარცვაგლეჯვაში შენიშნულთათვის თავშესაფარის მიძეცვითა გადასახლება რუსეთს, მაგრამ ეს იწვევდა კიდევ ახალ გაბრაზებას, რადგანაც განმარტოებით მცხოვრებ მეკომურს არ შეეძლო გზად მიმავალ, მით უმეტეს მეკომურ-ქურდისათვის თავშესაფარი არ მიეცა, და ამგვარად, სახსებით პატიოსანი კაცი რუსული ადმინისტრაციის წყალობით შესაძლებელია სასტიკი რეპრესიის მსხვერპლი გამხდარიყო. ასეთი ფაქტების გამო ცხოვრება აფხაზეთში ახალ პირობებში თვალსაჩინოდ აირია, რაც იწვევდა ხალხის უკმაყოფილებას.

დიდად უკმაყოფილო იყვნენ ახალი მდგომარეობით თავად-აზნაურნიც; ბევრმა მათგანმა ამჯობინა არ მოეთხოვა გლეხისაგან დროებით ვალდებულ მდგომარეობაში მათზე დაკისრებული გამო-სასყიდი ფულადი გადასახადი და დაკმაყოფილებულიყო მათგან დროგამოშვებით ძღვენის მიტანას და სხვადასხვა ნებაყოფლობით სამუშაოს თუ სამსახურს. სამაგიეროდ ასეთი მემამულე უწევდა გლეხს დახმარებას ხელისუფლებასთან და აგრეთვე თვით გლეხებს შორის ამტყდარი შინაური უთანხმოების მოგვარებაში. მაგრამ თავად-აზნაურობა კარგად ხედავდა, რომ ის ვერ შესძლებდა თავისი გავლენის ხანგრძლივად ხალხზე შენარჩუნებას და ეს იწვევდა მასში დიდ ნერვიულობას. თავადების თვალსაჩინო ნაწილი ამიტომ აღვივებდა ხალხში სიმპათიებს ოსმალეთისადმი. ოსმალეთში გადასულ აფხაზ-ჩერქესთა თავადებთან აფხაზ თავადებს ჰქონდათ მუდმივი ურთიერთობა. ასეთივე ურთიერთობა ჰქონდათ ოსმალეთში გადასულ მუჰაჯირებთან ბევრ აფხაზ-გლეხსაც, რომელსაც ზოგ შემთხვევაში იქ ეგულებოდა თავისი ახლო ნათესავიც. ოსმალეთთან ურთიერთობაში განსაკუთრებით აქტიურობას იჩენდნენ იმ მაჰმადიანი აფხაზების თავადები, რომელნიც ბინადრობდნენ სოხუმის გარშემო სოფლებში — ეშერა, გუმი, იაშხა, აკაფა, ბ რც და აბაყაყა და აგრეთვე კოდორის ნაწილის სოფლებში ჭილოუ და ჯგერდში. ეს აგიტაცია ოსმალების სასარგებლოდ იმდენად შესამჩნევი იყო, რომ უფრო გონიერი აფხაზები გრძნობდნენ საშიშროებას და ამბობდნენ — თავადები დალუბავენ ქვეყანასო. ასეც მოხდა: ყველაზე საშიში ამ მხრივ აღმოჩნდნენ გუმისთას (სოხუმის) ნაწილის თავადები მარლანია, ძიაფშიფა (ძიაფშიფილი), მარშანია და ნაწილობრივ კოდორის ნაწილისაც.

შედარებით ადვილად გატარდა ბატონყმობის გაუქმება პატარა ყოფილ სადადეშკელიანო სეანეთში (თავისუფალ ანუ უბატონო სეანეთში ბატონყმობა ისედაც არ იყო). ეს მოხდა იმავე წელს, როდესაც რეფორმა განხორციელდა აფხაზეთში (1870 წ.).

161. საქალაქო ცხმობა. აღსანიშნავია აგრეთვე საქალაქო ცხოვრების ზრდა საქართველოში. ქ. თბილისი XIX ს-ის დასაწყისში შეიცავდა 20.000 მცხოვრებს. დიდხანს ამის შემდეგ ადგილობრივ მკვიდრთა რიცხვი (ე.ი. რუს მოხელეების და ჯარის გარდა) მეტად მცირედ იზრდებოდა. 1825 წელს თბილისში ითვლებოდა 25.000 მცხოვრები, 1865 წელს კი – 67.7000.

ქ. ქუთაისი XIX საუკუნის დასაწყისამდის წარმოადგენდა არსებითად მოზრდილ სოფელს. ის განსხვავდებოდა სხვა სოფლებიდან იმით, რომ წელიწადში რამოდენიმე თვე იქ ცხოვრობდა იმერეთის მეფე თავისი კარით (ე.ი. მოსამსახურე-მოხელეებით და რაზმით) და აგრეთვე იმით, რომ ქუთაისში იყო მუდმივი ბაზარი, რომელიც შესდგებოდა 100-ზე ცოტა მეტი დუქნისაგან. XIX საუკუნის დასაწყისში ქუთაისში მცხოვრებთა რიცხვი არ აღემატებოდა 1500-ს, 1835 წელს კი ქუთაისში იყო 2.000 მცხოვრები, ხოლო 1864 წელს – 4.300 სული.

ასეთსავე ზრდას მცხოვრებთა რიცხვისას ქალაქებში და საერთოდ ქალაქების განვითარებას ვხედავთ ჩვენ საქართველოს სხვა ადგილებშიაც.

ქართველობა თბილისში კვლავ შეადგენდა უმცირესობას. თბილისში 1803 წელს ქართველობა შეადგენდა მოსახლეობის 21,5%-ს, სომხობა-74,3%-ს, თათრობა-2,2%-ს, კათოლიკე სარწმუნოებისანი იყვნენ (მეტ წილად ქართველები)-1,3%. ქართველობა, მაშასადამე, თბილისში მუდმივი მცხოვრები შეადგენდა 22,5%-ს.

გორში XIX ს-ნის დასაწყისში ქართველები შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის (დაახლ. 2,5 ათ. ს. ორ. სქ.) 1/4-ს, დანარჩენი იყვნენ სომხები.

სიღნაღში XIX ს-ნის დასაწყისში იყო ორ ათასამდის სული ორივე სქესის, თითქმის მთლიანად სომხური სარწმუნოებისა, ქართველები იყვნენ მეტად მცირედ.

ქუთაისში XIX ს-ნის დასაწყისში (ყამობამდის) იყო დაახლ. 2,5 ათ. სული მცხოვრები, რომელთაგან იმერლები იყვნენ მხოლოდ 1/3. დანარჩენთაგან მეტ ნაწილს შეადგენდნენ ქართველი ებრაელები და დანარჩენი კი სომხები.

162. ბურჟუაზიის ჩამოყალიბება. საქართველოში XIX ს-ნის პირველ ნახევარში საქალაქო-სავაჭრო წოდება იყო უფლებრივად უარეს მდგომარეობაში ვიდრე მეფეების დროს. თბილისის მოქალაქეთა დაყოფა ხარისხებად, როგორც ეს წინადა იყო, ფაქტიურად გაუქმდა, რითაც ძლიერ უკმაყოფილო იყვნენ განსაკუთრებით პირველხარისხოვანი მოქალაქენი. ისინი (რიცხვით 76 ოჯახი) თხოულობდნენ თავიანთ პრივილეგიური მდგომარეობის აღიარებას, მაგრამ მართებლობა ამაზე არ თანხმდებოდა. 1833 წლიდან მოქალაქეებს აეკრძალათ ყმების ყოლა. ხსენებულ პირველხარისხოვან მოქალაქეთა საკითხი გადაწყდა მხოლოდ 1859 წელს, როდესაც საიმპერიო მთავრობამ ისინი გაუთანაბლწორა რუსეთის, კანონით აღიარებულ, ვერც წოდებულ მემკვიდრეობით საპატიო მოქალაქეთ. 1863 წლის დეკემბერში საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში შემოღებულ იქნა რუსეთში უკვე არსებული წესი ვაჭარ-მეწარმეთა დაყოფისა გილდიებად, სავაჭრო პატენტების მიხედვით. პირველი გილდიის ვაჭრებად შემდეგში ითვლებოდნენ სავაჭრო დაწესებულებათა მქონენი ვინც წელიწადში იხდიდნენ პატენტის ასაღებად 500 მანეთს, ხოლო I-III რიგის წარმოებათა მქონენი, წლიურად 500-1500 მან. გადამხდელნი. მეორე გილდიისად ითვლებოდნენ სავაჭრო დაწესების მქონენი, ქალაქისა და ადგილის მიხედვით, კლასებად წელიწადში 50-150 მანეთის გადამხდელნი ანდა IV-V რიგის წარმოების მქონენი – 50-150 მანეთის გადამხდელნი.

ამ სპეციალური სარეწაო გადასახადის შემოღებამ და ვაჭარ-მრეწველთა დაყოფამ I და II გილდიისად ხელი შეუწყო მათ ჩამოყალიბებას ბურჟუაზიად.

163. ამპართა აჯანყება (1865 წ.). წინა კაპიტალისტური ხანის თავისებურ გამოძახილს წარმოადგენდა უკვე დრო-მოჭმულ ფეოდალური ხანის ერთ-ერთი დაწესების – ამპართა – აჯანყება.

1850-იან წლებში თბილისის მოსახლეობა, როგორც იყო ნათქვამი, სწრაფად იზრდებოდა. 1847 წ. თბილისში იყო 30 ათასამდის ს. ორ. სქ., ხოლო 1858 წ. კი უკვე 62.9 ათასამდის ს. ორ. სქ. ეს ზრდა ხდებოდა ეგრეთ წოდებულ ახალმოსულთა მეოხებით, რომელნიც იყვნენ დიდ უმეტესობით ამიერ-კავკასიის სამხრეთ პროვინციიდან მოსულნი სომეხნი და მცირედ ქართველნიც (უფრო იმერეთიდან). ახალ მოსულთაგან ბევრი მისდევდა ხელოსნობას და წერილ ვაჭრობას, რაც სერიოზულ კონკურენციას უქმნიდა ამქრებად გაერთიანებულ მკვიდრ მოქალაქე ხელოსან-ვაჭართ. 1860-იანი წლების დასაწყისში ამქრებში სულ გაერთიანებული იყო დაახლოებით ათასამდის მოქალაქე ხელოსანი, მაშინ როდესაც ხელოსანთა საერთო რიცხვი თბილისში აღწევდა 2 1/2 ათას კაცს. მათ თავის სახელოსნოებში ჰყავდათ მუშები რეაზამდის კაცი და ორ ათასზე ცოტა მეტი შეგირდები (მცირეწლოვანი მუშები, რომელნიც იმავე დროს ხელობასაც სწავლობდნენ). ცხადია, ახალმოსულნი რიცხვით სჭარბობდნენ ამქრებში გაერთიანებულ ძველ ხელოსნებს.

1841 წლიდან თბილისს ჰქონდა თვითმმართველობა, რომელიც შესდგებოდა 6 წევრისაგან. ამით ირჩევდნენ ქალაქის მოსახლეობის მიერ სამ კურიად (წყებად) ამორჩეული წარმომადგენლები ისე, რომ სამივე კურიის 180 ხმიდან 120 ხმა ფაქტიურად ამქრების და უფრო კიდევ მათი უსტაბამების ხელში იყო.

ამქრები, ახალმოსულთა კონკურენციით გაბოროტებულნი, თავის მხრივ მიმართავდნენ სხვადასხვა ხერხს თავიანთი მონოპოლიის შესანარჩუნებლად, მაღლა სწევდნენ ფასებს საქონელზე და სხვ., ასე რომ ცხოვრებაც ძვირდებოდა და გარდა ამისა ღარიბ ადამიანს ამქრის გარეშე არც შეეძლო სახელოსნო-საევაჭრო საქმით ეხერა. ამქრებს მხარს უჭერდნენ ეგრეთ წოდებული პირველ ხარისხოვანი მოქალაქენი, რომელთაც 78 ოჯახის სახით ამ დროს უკვე მიღებული ჰქონდათ რუსეთის მემკვიდრეობითი საპატიო მოქალაქეთა წოდებულება. ეს ძირეული თბილისელი მოქალაქენი ამქრებს იყენებდნენ თავისი ინტერესებისათვის. ქალაქის თავად და ქალაქის თვითმმართველობის წევრებადაც უფრო მეტად ამქრებს სწორედ ამ პირველ მოქალაქეთაგანი გაჰყავდათ.

მაგრამ 1864 წ. საქალაქო არჩევნებში ამქრები დამარცხდნენ და გაიმარჯვეს ახალ მოსულთ, რომელთაც გაიყვანეს ქალაქის თავად თავისი კაცი ვართანოვი. ქალაქის თვითმმართველობა ამგვარად მოჰყვა ამქრების საწინააღმდეგო პირთა ხელში.

არჩევნების ასეთმა დაბოლოებამ გამოიწვია პირველ მოქალაქეთა დიდი უკმაყოფილება, რაც გადაედო ამქრების მასასაც. საჭირო იყო მხოლოდ საბაბი, რომ უკმაყოფილებას აშკარად ეჩინა თავი. ეს საბაბიც მალე გაჩნდა. ახალმა თვითმმართველობამ შემოიღო მცირე ახალი გადასახადი სასმელე-ბით მოვაჭრე მედუქნეებზე, მეეტლეებზე, მედროგეებზე (ვისაც ცხენი ჰყავდა) და სხვ. მაშინ ყველა ესენი გამოვიდნენ ქუჩაში ახალი გადასახადის გაუქმების მოთხოვნით. ამით ისარგებლეს ამქრებმა, რასაც მოჰყვა თბილისში ამქრების მეთაურთა მოწყობით მოვაჭრეთა ორდღიანი დიდი გაფიცვა. მდგომარეობა აირია. საქალაქო გადასახადის ამკრევი მოკლეს. მოხდა შეტაკება ჯართან, ორი მოქალაქე მოკლულ იქნა და შვიდი დაჭრილი. ამის შემდეგ წესიერება აღდგენილ იქნა.

შემუშავებულ იქნა ამქრების ახალი დებულებაც. ამქრების ფუნქციები ძალზე შეზღუდულ იქნა. ისინი ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებაში უკვე აღარავითარ როლს არ ასრულებდნენ. ამქრებს დაუტოვეს მხოლოდ თავისი წევრების ურთიერთ დახმარების და საერთოდ უფრო საქველმოქმედო ფუნქციები. ამასთანავე 94 ამქრის მაგივრად დატოვებულ იქნა 21 ამქარი (17 მათგანი ხელოსანთა და ოთხი კი მუშების – კალატოზების, დურგლების და სხვ.).

თვით ქალ. თბილისის თვითმმართველობა ამის შემდეგ ორჯერ რეორგანიზებულ იქნა, ბოლოს ამომრჩეველთათვის დაწესებული იყო ქონებრივი ცენზი, რის გამოც თბილისის თვითმმართველობა მოჰყვა ადგილობრივ სომეხთა ბურჟუაზიის ხელში. ასეთი მდგომარეობა იყო ვიდრე 1917 წლის რევოლუციამდის.

შემდეგ საქალაქო თვითმმართველობა თანდათან შემოღებულ იქნა საქართველოს სხვა ქალაქებშიც.

164. ადმინისტრაციული რეფორმა. ბატონყმობის გაუქმება იწვევდა სოფლად მმართველობის და სასამართლო ორგანოების რეორგანიზაციის აუცილებლობას. თუ მანამდის გლეხობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი თავიანთ მებატონეთა ბრძანებლობის და მმართველობის ქვეშ იყვნენ, ახლა

საჭირო ხდებოდა მთელი მოსახლეობისათვის ერთიანი მმართველობის და სასამართლოს მოწყობა. რუსეთში ამ მიზნით შემოღებულ იქნა ეგრეთ წოდებული საერობო თვითმმართველობა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და მომრიგებელ მოსამართლეთა წყობა, მოეწყო სოფლად სათემო (ვოლოსტის) მმართველობა. მთავარი მნიშვნელობა ამ რეფორმებს შორის ჰქონდა საერობო თვითმმართველობას.

საერობო (საგუბერნიო და სამაზრო) თვითმმართველობა აღჭურვილი იყო ფართე სამეურნეო უფლებებით. მას შეეძლო სახალხო განათლების, ჯანმრთელობის, საგზაო და სხვა ასეთ საქმეებზე ეგრეთ წოდებულ საერობო სახსრების მოხმარება და ამისთვის ახალი გადასახადების გაწერა. ერობა ნიშნავდა მომრიგებელ მოსამართლეთ და სახელმწიფო საოლქო სასამართლოსათვის ნაფიც მსაჯულთ. მაგრამ ამასთანავე ერობის თვითმმართველობა იყო წმინდა კლასობრივი თავადაზნაურული. არჩევნები ხდებოდა კურიებად. რიცხვით მცირე მსხვილი მემამულეები ირჩევდნენ თვითმმართველობის ნახევარზე მეტს. ვაჭრებს და შეძლებულ გლეხობას რჩებოდათ ამოსარჩევად მცირე რაოდენობის წევრები, ხოლო ღარიბი გლეხობა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მოკლებული იყო. არჩევნების ასეთი წესით რუსეთის თვითმპყრობელობას უნდოდა ჯერ ერთი უზრუნველყო საერობო თვითმმართველობებში მსხვილი მემამულეების ბატონობა, რადგანაც ისინი მიიჩნდა თავისთვის ერთგულ დასაყრდენ ძალად და, გარდა ამისა, მხედველობაში იყო მიღებული ის გარემოებაც, რომ მსხვილ მემამულეთა წრე ნივთიერად უზრუნველყოფის გამო იძლეოდა შედარებით მეტი რაოდენობით კულტურულ და განათლებულ პირთ, რომელნიც საჭირონი იყვნენ ერობაში სამუშაოდ.

ამ რეფორმათა ჩვენში გატარების საკითხზე გადამწყვეტი გავლენა იქონია იმ გარემოებამ, რომ საქართველო ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს არ წარმოადგენდა, არამედ მისი ბედი გადამბული იყო სანამესტინიკოს სხვა ნაწილებთან. ამ სხვა ნაწილებში კი მდგომარეობა იყო ასეთი. ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში მსხვილი მემამულეები შესდგებოდნენ მაჰმადიანთაგან (აზერბაიჯანელ თათრებისაგან), რომელთა წოდებრივი მდგომარეობა არ იყო გამორკვეული – ისინი არ იყვნენ გათანასწორებულნი უფლებებით რუსეთის აზნაურობასთან და ამას ვერც შემდგომ ხანაში ელირსნენ. გარდა ამისა მაჰმადიანთა ცხოვრებაში განსაკუთრებით დიდი როლი ჰქონდა მინიჭებული მაჰმადიანურ სამღვდლოებას, ბევრად მეტი, ვიდრე ქრისტიანულ ხალხებში ქრისტიანულ სამღვდლოებას. მაჰმადიანურ სამღვდლოებას ამიტომ თავის მრევლზე ჰქონდა ძალიან დიდი გავლენა და ისიც ისეთი, რომელსაც რუსული მართებლობა არ სთვლიდა თავისი ინტერესებისათვის სასარგებლოდ და ნდობის ღირსად. ჩრდილოეთ კავკასიაში სტავროპოლის გუბერნიაში მსხვილი მემამულეები თითქმის არ იყვნენ, მაშასადამე არ იყო ის ელემენტი, რომელიც რუსულ მმართველობას თავის დასაყრდენ ძალად მიიჩნდა. ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთით ქვეყნები, სადაც მანამდის ადიღეს (ჩერქეზთა) ტომები ცხოვრობდნენ, ჯერ დაუსახლებელი იყო. ამგვარად რჩებოდა მარტო საქართველო – თბილისის და ქუთაისის გუბერნია, სადაც უკვე იყო რუსეთის კანონების თვალსაზრისით უფლებამოსილი თავადაზნაურობა, მაგრამ ისიც არა ყველგან, სახელდობრ სამეგრელო-აფხაზეთის თავადაზნაურობა ჯერ არ იყო აღიარებული რუსეთის თავადაზნაურობის უფლებებში. მარტო თბილისის გუბერნიისა და ქუთაისის გუბერნიის ნაწილისათვის გამონაკლისი არ გააკეთეს და ამიტომ კავკასიაში საერობო თვითმმართველობის შემოღება ნაადრევად იქნა ცნობილი. შემდგომაც ისე დადგა 1917 წლის რევოლუციის ხანა, რომ საქართველო და კავკასია ვერ ელირსნენ საერობო თვითმმართველობას.

ამგვარად, საქართველოში საერობო თვითმმართველობა არ იქნა შემოღებული. რაკი ერობა არ იყო, ამიტომ მომრიგებელი მოსამართლენი ინიშნებოდნენ თვითმმართველობის მიერ. მომრიგებელ მოსამართლეთა ზემდგომი ორგანოს წარმოადგენდა საოლქო სასამართლო თბილისში და შემდეგ ქუთაისშიც. მთელი კავკასია კიდევ შეადგენდა ერთ სასამართლო ოლქს და სასამართლო საქმეების მხრივ ექვემდებარებოდა თბილისის სასამართლო პალატას, რომელიც თავის მხრივ ემორჩილებოდა სენატის საკასაციო დეპარტამენტებს. ერობის უქონლობის გამო ნაფიც მსაჯულთა წყობაც საოლქო სასამართლოსთან არ იქნა შემოღებული. მაგრამ ახალ პირობებში, რადგანაც საბატონო გლეხები განთავისუფლებულნი იყვნენ მებატონეთა სასამართლო მოვალეობისაგან აუცილებელი შეიქნა სოფლად, საერთოდ ყოველგვარი გლეხობისათვის, ერთი მთლიანი მართებლობის და სასოფლო სასამართლოს მოწყობა.

მამასადამე, საერობო თვითმმართველობის შემოუღებლობის მიზეზი იყო შემდეგი: რუსეთის მმართველობის კავკასიაში თანდათან გაფრცვლელბასთან ერთად ჯერ ამიერ-კავკასია, ხოლო თანდათან დროთა სიგრძეზე მთელი კავკასიაც გადაიქცა ერთ მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულად, რომელსაც ამ ხანაში სანამექსტნიკო ეწოდებოდა. მმართველ პირთა აზრით ერობა ან მთელ ამიერ-კავკასიაში უნდა შემოღებულიყო, ან არსად. ერობის შემოღება ამიერ-კავკასიის ზოგ (მაგ., მხოლოდ ქართულ) გუბერნიებში მათ კავკასიის ადმინისტრაციული მთლიანობის დაცვის თვალსაზრისით მიაჩნდათ უხერხულად. ხოლო ქართულ გუბერნიების გარდა ყველგან ამიერ-კავკასიაში მსხვილი მიწათმფლობელობა თათარ ხან-ბეგების ხელში იყო. მათ კი რუსული მართებლობა, ოსმალების მეზობლობის გამო, სრული ნდობით არ ეყრდობოდა. ამასთანავე ამ ხან-ბეგების წოდებრივი მდგომარეობა არ იყო კანონით ცხადლივ განსაზღვრული, სახელდობრ, ისინი არ იყვნენ უფლებრივად, იმავე უნდობლობის მიზეზით, რუსეთის თავადაზნაურობასთან გათანასწორებულნი. ყველაფერი ამის მიზეზი იყო ის, რომ თათრული ხან-ბეგობა მაჰმადიანური სარწმუნოებისა იყო. ამით ეს წოდება რუსეთის მთავრობის მიერ მიჩნეული იყო როგორც პოლიტიკურად არა სანდო. მიუხედავად იმისა, რომ აღმ. ამიერ-კავკასიის თათრობა შიიტობას აღიარებდა (ოსმალეთი კი სუნიტობას მისდევდა) და რუსული მმართველობის საბოლოოდ ამიერ-კავკასიაში დამყარების შემდეგ ამ მოსახლეობას რუსეთის მიმართ ლოიალურად ეკავა თავი. კერძოდ, ხან-ბეგობა მოხალისე მილიციების სახით ოსმალეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომების დროსაც მონაწილეობას ღებულობდა რუსის ჯარში. ამგვარად უმთავრესად თათრული მოსახლეობის გუბერნიების მიზეზით შეუძლებლად იქნა აღიარებული ერობის შემოღება ქართულ გუბერნიებშიც კი. საქართველო ამგვარად შეიქნა ამიერ-კავკასიის მმართველობის ადმინისტრაციული მთლიანობის დაცვის მსხვერპლი.

165. სასამართლოს რეფორმა. სამართლის საქმე საგლეხო რეფორმამდე საქართველოში იყო მეტად მძიმე მდგომარეობაში. ეს ცხადად ჩანს გ. დვანაძის ცნობიდან. ეს ყოფილი მსახიობი და შემდეგ 1855-1858 წლებში გიორგი ერისათვის მოურავად ნამყოფი, დადგა გორის მაზრის ერთერთ უჩასტოკის რუს უფროსთან, ქართული გამოთქმით მდივანბეგთან, მწერლად. ამ თანამდებობაზე მან დაჰყო სამი წელი. აი, როგორ აგვიწერს ის თავის იქ მოქმედებას:

"დიანბეგმა შემიყვარა, შემითვისა ვითა შვილი,
დღე და ღამე ვბეჯითობდი, თვალი აღარა მქონდა ძილი.
კარგათ იყო დიანბეგი, ხალხთ ყვლეფაში გამოცდილი,
როდესაც ქრთამს აიღებდა, მეცა მქონდა ცოტა წილი,
თუმანში მანათს მაძლევდა, მაფრთხილებდა არსად თქმასა.
თქმისთვის შემუქრებოდა იმავე წუთში გაგდებასა.
გაგდებისა მეშინოდა, სად ამოვიღებდი ხმასა.
ორ წელიწადს მასთან ვიყავ, ვყვლეფდით და ვიღებდით ქრთამსა.
მერე იგი გამოცვალეს, მოადგილე სხვა მოვიდა.
ერთი ორად დააჭარბა იმას, ვინცა წინად ცრცვიდა.
მე ახლოს არ მიმიკარა, არ ვიცი რათ მომირიდა.
პერეგოდჩიკი შეიტკბო, ყმა დიდს ბატონს კარგად წვრთიდა
უჩასტკაში დაერივნენ, ვითა ტარბი მკალიასა
ხალხსა ჰყვლეფდნენ, ტყავს აძრობდნენ, ვინ დაზდევდა სამართალსა.
ვისაც ვჯიბე სავეე ჰქონდა, უწოდებდნენ მას მართალსა.
საჩივარს ვინ აღირსებდა კაცსა ღარიბს და საწყალსა."

ადმინისტრაციულ რეფორმასთან დაკავშირებით საქართველოშიც რუსეთის მსგავსად ამიერ-კავკასიაში შეიქმნა ადმინისტრაციისგან სავესებით დამოუკიდებელი სასამართლოები თავისი ინსტანციებით. პირველ საფეხურს შეადგენდნენ მომრიგებელი მოსამართლენი მცირე საქმეების გარჩევის უფლებით; შემდგომ, უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენდა საოლქო სასამართლო თბილისსა და ქუთაისში, ხოლო შემდგომ მაღალი ინსტანცია იყო თბილისის სასამართლო პალატა მთელი კავკასიისათვის. უკანასკნელ ინსტანციას წარმოადგენდა სენატი პეტერბურგში. მაგრამ რუსეთისგან განსხვავებით საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში არ იქნა შემოღებული ნაფიც მსაჯულთა დაწესება,

რომელშიაც გადაწყვეტი სიტყვა დამნაშავე იყო თუ არა ბრალდებული მისადმი წარდგენილ ბრალდებაში, ეკუთვნოდა ნაფიც მსაჯულთა კრებულს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნაფიც მსაჯულთა კრებული, საზოგადოებრიობის წარმომადგენელი, გამოიტანდა თავის ვერდიქტს, დამნაშავეს სასამართლო დაადებდა კანონით გათვალისწინებულ სასჯელს. ხოლო არა მარტო აღმ. საქართველოში, არამედ კერძოდ საქართველოს ზოგ კუთხეში, მაგ, ოდიშში, ცხენის ქურდობა, ხოლო სხვაგან სისხლის აღება და ყჩალობაც ზოგ ჩამორჩენილ თავადაზნაურულ წრეებში ითვლებოდა სასახელო საქმედ. შიშობდნენ ამიტომ, რომ ასეთ პირობებში ადგილობრივი ელემენტებისაგან ნაფიც მსაჯულთა დაწესებას შეეძლო ხელი შეეშალა ბოროტმოქმედებასთან ბრძოლისათვის. საერთოდ კავკასიის ადმინისტრაცია უკვე ამკარად იჩენდა ადგილობრივი ძალებისადმი და მოსახლეობისადმი საქართველოშიაც დიდ უნდობლობას, რომელიც შემდეგში თანდათან უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

დამოუკიდებელი სასამართლოს დაწესებას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. ამიერიდან ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ჩამოერთვათ სასამართლო ფუნქციები. ამით მეტად შემცირდა ადმინისტრაციული ძალაუფლების წარმომადგენელთა პრისტაგ-ბოქაულების, მაზრის უფროსების და გუბერნატორების მნიშვნელობა. მათ დარჩათ უმთავრესად პოლიტიური უფლებები — წესრიგის დაცვა, გადასახადების შეკრება და სხვ. და აგრეთვე საერობო მოვალეობათა შესრულება — გზების შენახვასა და გაყვანაზე, ხალხის ჯანმრთელობაზე, სკოლებს გახსნაზე და სხვა ასეთებზე ზრუნვა.

აქამდის ვორონცოვის დროიდან ამიერ-კავკასიაში იყო 4 გუბერნია თბილისის, ქუთაისის, ერევნის და ბაქოსი, იგივე ყოფილ შამახისა, საიდანაც მიწის ძვრისაგან ამ ქალაქის დანგრევის გამო საგუბერნიო ცენტრი გადაწველებული იყო ქ. ბაქოში. რადგანაც ბაქოს გუბერნია მეტად დიდ ტერიტორიას მოიცავდა, გადაწყდა ცალკე ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნიის დაარსება. ამით ელისავეტპოლის მაზრა ჩამოშორდა თბილისის გუბერნიას, რომელსაც სამაგიეროდ მიემატა ახალციხის მაზრა, რომელიც მანამდის ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა. ქუთაისის გუბერნიაში ყოფილ სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა სამი მაზრა — ზუგდიდის, სენაკის და ლეჩხუმის. ლეჩხუმის მაზრაში შევიდა ზემოსვანეთის საბოქაულოც. თბილისის გუბერნიაში დაარსდა დუშეთის ცალკე მაზრა.

მანამდე მაზრებში არსებული ერთეულები, ეგრეთ წოდებული ნაწილები, ანუ უჩასტკები, გაუქმებულ იქნა.

ზოგიერთ მაზრაში, სადაც მართებლობის აზრით მოსახლეობა მეტ პოლიციურ ზედამხედველობას თხოულობდა, დაარსებულ იქნა საბოქაულოები (საპრისტაგოები). თბილისის გუბერნიაში ამის შემდეგ იყო ხუთი საბოქაულო — თიანეთის, ახალქალაქისა, შირაქისა, თრიალეთისა და ლორის. ქუთაისის გუბერნიაში კვლავინდებურად დარჩა ზემოსვანეთის საბოქაულო.

166. საქალაქო თვითმმართველობის შემოღება. 1866 წ. შემოღებულ იქნა საქალაქო თვითმმართველობა ჯერ თბილისში და შემდეგ წლებში ქუთაისში და ზოგ სხვა ქალაქშიც. არჩევნების უფლება ჰქონდათ მხოლოდ შეძლებულ მოქალაქეებს. პირველ არჩევნების დროს თბილისში გამოცხადდა 400-მდის ამომრჩეველი, რომელთაც ამოარჩიეს თბილისის ქალაქის საბჭო და ქალაქის თავი. პირველ ქალაქის თავად ამორჩეულ იქნა გენ. არწრუნი (სომეხი).

167. ახალი ადმინისტრაციული დანაწილება (1868 წ.). სამეგრელოს და აფხაზეთის სამთავროების გაუქმების შემდეგ წამოიჭრა საკითხი საქართველოს ადმინისტრაციულ დანაწილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. აფხაზეთი სამურზაყანოსთან ერთად გამოცხადებულ იქნა სოხუმის ოლქად, რომელიც დაექვემდებარა ქუთაისის გუბერნიას. ამ გუბერნიას ამის შემდეგ შეადგენდნენ კიდევ მაზრები — ქუთაისისა, შორაპნის, რაჭის, ლეჩხუმის (ზემო-სვანეთის საბოქაულოთი), სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთის. თბილისის გუბერნიას მიემატა ახალციხის მაზრა ჯავახეთითურთ და გამოეყო განჯის მაზრა, განჯაში მოეწყო ერევნის და ბაქოს გუბერნიების გამოხაყოფათაგან ცალკე საგუბერნიო ცენტრი. რუსულად ამ ერთეულს ეწოდებოდა ელიზაბეტპოლის გუბერნია. თბილისის გუბერნიას ახლა შეადგენდნენ მაზრები თბილისის, ბორჩალოს, დუშეთის, სიღნახის, თელავის, გორის, ახალქალაქის, ახალციხისა და ზაქათალის ოლქი. ეს დანაწილება დარჩა ამ დროიდან რევოლუციის ხანამდის.

გუბერნიის სათავეში კვლავინდებურად იყო გუბერნატორი, მაზრების სათავეში კი-მაზრის უფროსები. 1840 წლის რეფორმის გატარების დროიდან მაზრები გაყოფილი იყვნენ ნაწილებად, რომელთა სათავეში იდგნენ ნაწილის მსხდომნი (участковые заседатели) მცირეოდენი სასამართლო უფლებებითაც. ესლა ეს ნაწილები გაუქმებულ იქნა. მთელი მმართველობა ადგილებზე მოჰყვა, მამასადამე, მაზრის უფროსების ხელში, რომელთაც, საქმის გასაადვილებლად, მიეცათ მათ განკარგულებაში ერთი ან რამდენიმე ბოქაული (პრისტაევი). ეს ბოქაულები ფაქტიურად ასრულებდნენ საგანგებო მინდობილობის მოხელეთა როლს და მაზრების ტერიტორიული სიდიდის გამო საქმეებს ადგილებზე ყოველთვის ვერ წვდებოდნენ. ამიტომ შემდეგ ამ პრისტაე-ბოქაულების რაოდენობა გაადიდეს. მაგრამ საქმეს მაინც არა ეშველა რა, რადგანაც მოსახლეობა ხშირად მეტად დაშორებული იყო სამაზრო ცენტრებს. ამის შედეგად მმართველობის საქმეები ადგილებზე დიდად ზიანდებოდა მით უმეტეს, რომ მაზრის უფროსს და მის მოხელეთ ბევრი რამე უნდა შეესრულებინათ ის, რასაც რუსეთის გუბერნიებში ახლა საერობო თვითმმართველები აკეთებდნენ (გზების გაყვანა, სკოლების მომარაგების საწყობების გახსნა და ბევრი რამ, რაც დამოკიდებული იყო ხალხის ფართე მასის თვით-მოქმედების ამოძრავებაზე).

168. მაზრებში ნაწილების (უჩასტკების) კვლავ აღდგენა (1873 წ.). ამგვარად 1868 წლის ადმინისტრაციული რეფორმით მაზრებში ნაწილები (უჩასტკები) გაუქმებულ იქნა. მაგრამ ცხოვრებამ მალე ცხადყო რომ ეს შეცდომა იყო. მაზრის ადმინისტრაცია მეტისმეტად დაშორებული აღმოჩნდა მოსახლეობისაგან. მართალია მაზრის ადმინისტრაცია განთავისუფლებული იყო სასამართლო მოვალეობისაგან, მაგრამ სამაგიეროდ ამ ადმინისტრაციას ევალებოდა სისხლის სამართლის საქმეთა მიმართ სასამართლოს დადგენილებათა სისრულეში მოყვანა და გამოძიების დროს დახმარების აღმოჩენა. ამიტომაც სამაზრო ადმინისტრაცია უკვე ვერ სწვდებოდა მთელი მაზრის საქმეებს, რაც იწვევდა უკმაყოფილებას მოსახლეობაში. ამის შედეგად სანამესტინკოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა აღედგინა ისევ ნაწილები (უჩასტკები), რომლებზედაც წინად დაყოფილნი იყვნენ მაზრები. ნაწილის ანუ უჩასტკის სათავეში ესლა დაყენებულ იქნა პრისტაევი ანუ ბოქაული, რომელსაც ევალებოდა თავის ხელქვეით ტერიტორიაზე ხელისუფლების მრავალმხრივი ფუნქციების შესრულება. ყოველ მაზრაში იყო რამდენიმე ასეთი ნაწილი ანუ უჩასტკი. ნაწილის ბოქაული (პრისტაევი) ემორჩილებოდა მაზრის უფროსს.

169. სასოფლო მმართველობის მოწყობა. ბატონყმობის დროს სოფლად გლახობა იყო სხვადასხვა უფლებრივი მდგომარეობის მქონე. ეგრეთ წოდებულნი სახაზინო გლახები ფაქტიურად თავისუფალ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და ასეთებად ითვლებოდნენ კიდევ. ამიერიდან ისინი იწოდებოდნენ სახელმწიფო გლახებად. მათ უთანაბრდებოდნენ აღმ. საქართველოში ყოფილი საეკლესიო გლახები. დას. საქართველოშიც მალე საეკლესიო გლახები გადარიცხულ იქნენ სახელმწიფო გლახებად. ყოფილი საბატონო გლახები კი იმყოფებოდნენ თავისი ნადელის დახსნამდის ეგრეთ წოდებულ დროებით ვალდებულ მდგომარეობაში, ხოლო თავდახსნილნი კი ხდებოდნენ საესებით თავისუფალნი. სახელმწიფო გლახები კი მაინც შეზღუდულნი იყვნენ იმით, რომ მათ უფლება არ ჰქონდათ მათ მფლობელობაში მყოფი სახაზინო (სახელმწიფო) მიწა თავის სურვილისამებრ მოეხმარათ. მაგ., ასეთი მიწის გაყიდვა მხოლოდ სახელმწიფო გლახზე შეიძლებოდა და სხვ.

ახლა ბატონყმობა არ იყო და ყოფილ საბატონო გლახებს შეეძლოთ სხვა საქმეებისთვისაც მიეხედათ. ამიტომ რუსეთის გუბერნიების მიზაძვით საქართველოში და ამიერ-კავკასიაშიც შემოღებულ იქნა ცოტა შეცვლილი სახით სასოფლო მმართველობა. ერთი დიდი ან რამოდენიმე უფრო მცირე სოფელი შეადგენდნენ სასოფლო საზოგადოებას. ამ საზოგადოების გლახები სასოფლო ყრილობაზე ირჩევდნენ თავისი თანამდებობის პირთ — მამასახლისს, მსაჯულს და სხვებს. მამასახლისს ჰქონდა კანცელარია, რომელიც მიჰყავდა სოფლის დაქირავებულ მწერალს. მამასახლისს ევალებოდა ადმინისტრაციის და მთავრობის დავალებათა სისრულეში მოყვანა სასოფლო საზოგადოების ყრილობათა დადგენილებების შესრულება, ზრუნვა გზების შენახვასა თუ გაყვანაზე და საერთოდ სოფლის საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე. სოფლის საზოგადო ყრილობაზე მონაწილეობის უფლება ჰქონდა მხოლოდ გლახებს. ხოლო თავად-აზნაურთ და სამღვდელოებას კი არა, მამასახლისი და მწერალი

თავისი მოვალეობისათვის დებულობდნენ სოფლიდანვე მცირე ხელფასს. მაგრამ საქართველოში ეს სასოფლო თვითმმართველობა ჯეროვან დონეზე არ მოეწყო. მიზეზი იყო ის, რომ საქართველოს უმეტეს ნაწილში სათემო ცხოვრება ბევრი თაობით ადრე უკვე გაუქმებული იყო. ამიტომ სოფლის გლეხობას არ ჰქონდა გამოუმუშავებული თავისი საზოგადოებრივი საქმეების გაძღოლის პრაქტიკა. რუსეთში კი მეტ წილად ჯერ კიდევ ცოცხალი იყო მიწის საზოგადო მფლობელობა, რაც გლეხებს თავიდანვე აბამდე საზოგადოებრივ საქმიანობაში და სათანადო ჩვევებსაც უნერგავდა. საქართველოში კი სათემო ცხოვრება დასუსტებული იყო, ამიტომ საქართველოში მეტწილად მალე სასოფლო თანამდებობის პირთა არჩევნები გადაიქცა უბრალო ფორმლობად, რადგანაც ადმინისტრაცია ბოქაულის სახით ერეოდა ამ არჩევნებში და გავლენას ახდენდა მათზე. მამასახლისი ამის გამო იყო არა იმდენად სასოფლო საზოგადოების ინტერესების გამომხატველი, რამდენად ბოქაულის მორჩილებაში მყოფი პირი. ამასთანავე მამასახლისები იყვნენ უსწავლელნი, ხშირად წერაკითხვის უცოდინარნიც, რის გამო სასოფლო მწერლის როლი იზრდებოდა და სასოფლო მწერლებიც ცდილობდნენ თავისი მდგომარეობა საკუთარი ჯიბის სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ეგნატე ნინოშვილის "მოსე მწერალი", მექრთამე და გლეხების მყვლეფელი, გამონაკლისს არ წარმოადგენდა. უფრო ჩვეულებრივი იყო ცოტად თუ ბევრად მოსე მწერალის მისგაგესებული სოფლის მოხელე საქართველოში.

ამგვარად სასოფლო თვითმმართველობის მოწყობის საქმე საქართველოში ფაქტიურად ჩავარდა. სოფლის მმართველობა ხელთ ჩაუვარდა მწერალ-მამასახლისს, რომელნიც ემყარებოდნენ სოფლის შეძლებულ ბობოლა გლეხებს და მათი დახმარებით ფარფაშობდნენ გლეხების ღარიბ ნაწილზე. ეს გარემოება იწვევდა სოფლად დიდ უკმაყოფილებას ადმინისტრაციის და საერთოდ მართებლობის მიმართ.

170. საგლეხო რეფორმის უარყოფითი მხარეები.

საგლეხო რეფორმის საქართველოში გატარების შემდეგ მოკლე ხანში გამოირკვა ამ რეფორმის თვალსაჩინო ნაკლოვანებანი. კერძოდ მეტად უარყოფითად მოქმედებდა მხარის სამეურნეო და ეკონომიკურ ვითარებაზე გადასახადის დაწესება — მოსავლის ერთი მეოთხედის რაოდენობით. ორივე წოდება როგორც თავადაზნაურობა, ისე გლეხობა აღმოჩნდა ასეთი დაწესების მეოხებით დაზარალებული. ბატონყმობის დროს მიწაზე არსებული ნატურალური გადასახადი არ იწვევდა რაიმე თვალსაჩინო გაუგებრობას. მეზატონეს ჰქონდა ყოველგვარი საშუალება კონტროლი გაეწია გლეხის შრომისათვის და გლეხის შრომაც დებულებათა თუ ადგილობრივ ჩვევათა მიხედვით ასე თუ ისე გარანტირებული იყო მეზატონის მხრივ ზედმეტი მოთხოვნის წარდგენისაგან. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ კი ურთიერთობა მემამულეთა და გლეხებს შორის ძირითადად გამოიცვალა. გლეხი, რომელიც ახლა იხდიდა მოსავლის ერთ მეოთხედს, აზარალებდა როგორც მემამულეს, ისე იმ მიწის ნაკვეთსაც; რომელსაც ის ამუშავებდა. მეზატონეს არ ჰქონდა შესაძლებლობა თვალყური ედევნებინა მიწის გადასახადის წესიერად აღებისათვის. ის ავალდებულებდა გლეხს, რომ მას დაეთესა რაც შეიძლება მეტი თავისი სანადელო მიწა თუნდაც ამის შესაძლებლობა გლეხს მუშა-ხელის და გამწვევი ძალის რაოდენობის მიხედვით არ ჰქონოდა. თვითონ გლეხი კი სრულებით არ იყო დაინტერესებული, რომ თავისი შრომით გაეუმჯობესებინა თავისი ნაკვეთის მოსავლიანობა. პირიქით რამდენადაც მიწა ასეთი გაუმჯობესებით უფრო ძვირი გახდებოდა, იმდენადაც ის უკვე ნაკლებ დაინტერესებული იყო შეეძინა ნადელი საკუთრებად. ამიტომაც გლეხი ცდილობდა მხოლოდ იმას, რომ მიწის მოსავლიანობა შემოენახა დაახლოებით იმ დონეზე, რომელიც საჭირო იყო მისი ოჯახის გამოსაკვებად. ასეთი დახასიათება არის მოცემული შექმნილი მდგომარეობის შესახებ მაშინდელ ოფიციალურ მიწერ მოწერაში.

ზემოდ აწერილი მდგომარეობა, იმავე ოფიციალური ცნობების მიხედვით, განსაკუთრებით რელიეფურად ისახებოდა ქუთაისის გუბერნიის სასოფლო სამეურნეო ვითარებაში. მსხვილ მემამულეთა თავიანთ მამულებში, როგორც, მაგ., ნიკოლოზ მეგრელსკის, თავად წერეთლების და სხვათ, არაერთარი საშუალება არ ჰქონდათ თვალყური ედევნებინათ გლეხების მიერ გადასახადის წესიერად შეტანისათვის და აგრეთვე აქულებინათ ისინი მოსავლის ერთი მეოთხედის ზუსტად გადახდისათვის. წერილ მფლობელთა მამულებში კი ხდებოდა საწინააღმდეგო ამბავი. იქ გლეხის მიუზრუნეობა იმყოფებოდა მემამულის მეტად ფხიზელ კონტროლის ქვეშ და ამიტომ მემამულეც სარგებლობდა თავისი უფლებით გლეხისთვის ხშირად მეტად მძიმე მოთხოვნის წარდგენით.

ყველაფერი ეს კი იწვევდა იმას, რომ მოსავლის აღების ხანაში ადგილობრივი საგლეხო დაწესებულებანი ავსებულნი იყო საჩივრებით როგორც მემამულეების, ისე გლეხების მხრივ. მომრიგებელი შუამავლები დაკავებულნი იყვნენ ამ საჩივრების გარჩევით და წესიერად ვერ ასრულებდნენ თავის პირდაპირ მოვალეობას. ამასთანავე მომრიგებელ შუამავალთ არც ჰქონდათ შესაძლებლობა გამოერკვიათ ამა თუ იმ დაზარალებული მხარის პრეტენზიების ფაქტიური სამართლიანობა. თავის მოქმედებებში მომრიგებელი შუამავალნი იძულებული ხდებოდნენ ეხელმძღვანელათ თავისი თვითნებობითი შეხედულებებით ანდა მიემართათ ისეთი საშუალებათათვის, რომელნიც კანონის მიერ არ იყო ნებადართული. მაგ., ისინი აიძულებდნენ მოპასუხეს ფიცის მიღებას სიმათლის სათქმელად, ანდა გლეხებს ადებდნენ ვითომდა გამოძევავენებულ ტლანქი მოპყრობის საბაბით ჯარიმებს და ხანდახან მათ აპატიმრებდნენ კიდევ. მემამულეები თავის მხრივ უჩიოდნენ სანადელო ნაკვეთებში შრომის ნაყოფიერების შემცირებას, გლეხების სიზარმაცეს და მათ უდარდებობას. თუნდაც რომ, სწერს მაშინდელი ოფიციალური დოკუმენტი, ასეთი ხასიათის საჩივარი სამართლიანი ყოფილიყო, თუ გლეხი ამუშავებდა თავის მიწას, დებულება-კანონის მიერ ნაჩვენებ პროპორციით, ის არ შეიძლებოდა პასუხის მგებელი გამხდარიყო მიწის მცირე მოსავლიანობის გამო. ეჭვ გარეშე იყო, რომ შრომის ნაყოფიერების და მოსავლიანობის დაცემა უარყოფითად მოქმედებდა მემამულეების მდგომარეობაზე, რაც აწუხებდა მაშინდელ მართებლობას. ყოველ გლეხს დებულების გათვალისწინებით ცხრა წლის ვადის შემდეგ შეეძლო დას. საქართველოში საკუთრებად შეეძინა ორი ქცევა სანადელო მიწა, მაგრამ იმავე დროს მას უფლება ჰქონდა ამ ვადის შემდეგ უარი ეთქვა ნადელის სავალდებულო სარგებლობაზე და დაებრუნებინა ეს ნაკვეთი მემამულისათვის. იმ ადგილებში, სადაც ნიადგის ნაყოფიერება უკვე ვერ ანაზღაურებდა ადამიანის შრომას, გლეხებმა მაშინვე ისარგებლეს კანონის მიერ მიცემული უფლებით და სახლდებოდნენ მთიან მცირე მოსავლიან ადგილებიდან დაბლობ მხარეებში.

მთიანი ადგილების დაცარიელების და ქვედა ველებში მოსახლეობის დაჯგუფების თავიდან აცილება შესაძლებელი იყო ორი საშუალებით — ან მოსავლის მეოთხედის მაგივრად უნდა დაწესებულიყო ფულადი გადასახადი (ობროკი), ანდა გლეხებს უნდა მისცემოდათ სანადელო მიწა საკუთრებად. ფულად გადასახადზე გადასვლა წარმოადგენდა ნახევარ-ზომას, რადგანაც ამით გლეხების სავალდებულო დამოკიდებულება მებატონის მიმართ არ უქმდებოდა და გარდა ამისა ვალდებულებათა ფულზე გადატანაც დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. ამიტომაც საგლეხო საკითხის დამაკმაყოფილებლად გადაწყვეტა მაშინდელ პირობებში შეიძლებოდა მხოლოდ ერთი გზით, სახელდობრ გლეხებს უნდა გამოესყიდათ თავიანთი ნადელები სახელმწიფოს დახმარებით, ანდა მის დაუხმარებლივ.

ბატონყმობის გადავარდნისთანავე გამოირკვა გამოსყიდვის ოპერაციების გარშემო წარმოჩენილი ბევრი პრაქტიკული სიძნელეც. პირველსავე ხანაში გამოირკვა, რომ ვერც მემამულეებს და ვერც გლეხებს ვერ მოეხერხებინათ იმ წესების ათვისება, რომელნიც მიღებული იყო სანადელო მიწების გამოსყიდვის შესახებ. აიხსნება ეს იმით, რომ დადგენილებანი გამოსყიდვის შესახებ შეიცავდა არა მარტო ზოგად დებულებას გამოსყიდვითი საქმის შესახებ, არამედ იმავე დროს ამ დებულების მთელ რიგ დამატებებს, განმარტებებს და ცვლილებებს და ამასთანავე კიდევ სპეციალურ საგლეხო განკარგულება-კანონებს თბილისის გუბერნიისათვის. ყველა ამ ღეფექტების გამოსასწორებლად ნამესტნიკის განკარგულებით გამოცემული იქმნა თბილისის და ქუთაისის გუბერნიათა შესახებ ცალკე მითითება (ნაკაზი), რომელიც ეხებოდა გამოსყიდვით ოპერაციებს თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში (14 აგვ, 1868 წ.). ამ ნაკაზის მიხედვით გლეხებს შეეძლოთ თავისი სანადელო მიწა-კარ-მიდამო, ვენახი, ბაღი, სახნავი და სხვა მიწები, საკუთრებად შეეძინათ მხოლოდ მემამულის თანხმობით. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მემამულის სოფელი გადაიქცეოდა დაბად (посад или местечко), მაშინ გლეხს უფლება ჰქონდა მემამულის თანხმობის გარეშეც გამოესყიდა თავისი საკარმიდამო ნაკვეთი სათიბ-სამოვარზე უფლების შენარჩუნებით. მიწის ნადელი შეიძლება გამოესყიდა ცალკე კომლს და მთელ საგლეხო საზოგადოებასაც, რომელშიც იგულისხმებოდნენ ერთ სოფელში ერთი და იმავე მემამულის დროებით ვალდებული გლეხები. მემამულეს შეეძლო მოეიხზოვა გლეხებისგან ნადელის შექენა, მაგრამ ასეთი მოთხოვნის შესრულება ევალებოდა არა ცალკე კომლთ, არამედ საგლეხო საზოგადოებათ. მთავრობა დახმარებას უწევდა გლეხებს სანადელო მიწის შექენის დროს იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე სოფელი გამოცხადდებოდა დაბად (როგორც საკარმიდამო მიწების, ისე აგრეთვე სხვა მიწების მიმართაც გარდა ბაღ ვენახებისა).

გამოსყიდვითი ოპერაციები წარმოებდა მხარეთა თავისუფალ შეთანხმების საფუძველზე. როდესაც გამოსყიდვით შეთანხმებას ამტკიცებდა ხელისუფლება, მაშინ ყოველგვარი ვალდებულება გლეხის მემამულის მიმართ თავდებოდა და დროებით ვალდებული გლეხი გადადიოდა მესაკუთრე გლეხთა რიცხვში. გამოსყიდვითი ოპერაციების მთავარი ზედამხედველობა ექვემდებარებოდა პეტერბურგის შემნახველ კასას (Петербургская Сохранная касса). ადგილებზე უშუალოდ ამ საქმის გაძღოლა კი ევალებოდა საგლეხო საქმეთა შესახებ არსებულ საგუბერნიო დაწესებათ.

მთავრობის მიერ მიცემული გამოსყიდვითი სესხი იყო სხვადასხვა ზომის იმისდა მიხედვით, იხდიდა გლეხი თავის ვალდებულებას მემამულის სასარგებლოდ ფულადი გადასახადით, თუ ნატურით, ანდა საოჯახო მეურნეობის იარაღ-საშუალებებით. როდესაც გლეხი იხდიდა მემამულის სასარგებლოდ ფულს, მაშინ წარმოებდა ამ გადასახადის კაპიტალიზაცია 6%-ის რაოდენობით, ე.ი. გადასახადი მრავლდებოდა 16 2/3-ჯერ და ეს თანხა შეადგენდა გამოსყიდვით სესხს. უკეთუ სესხის კაპიტალური თანხა იანგარიშებოდა თბილისის გუბერნიაში ერთ დღიურ სახნავზე ურწყავ ადგილებში 15 მანეთზე მეტი, ხოლო სარწყავ ადგილებში 30 მანეთზე მეტი, მაშინ გამოსასყიდი თანხის ოდენობა განისაზღვრებოდა ამ რაოდენობით. მაგრამ მთელი სესხი არ უნდა ყოფილიყო საკარმიდამოს ღირებულების ჩათვლით კომლზე 350 მანეთზე მეტი. გორის და დუშეთის მაზრების მთიან ადგილებში ეს ნორმა დღიურ მიწაზე შემცირებული იყო, ასე რომ გამოსასყიდი თანხა კომლზე არ უნდა ყოფილიყო 250 მანეთზე მეტი. უკეთუ გლეხი მიწის ნადელისათვის იხდიდა ნაწილს ფულად, ხოლო ნაწილს ნატურით, მაშინ სესხის ნაწილი მიცემული იქნებოდა წლიური ფულადი გადასახადის კაპიტალიზირებით. ხოლო სესხის დანარჩენი ნაწილები იანგარიშებოდა სახნავ მიწაზე ურწყავ ადგილებში 10 მან. დღიურზე და სარწყავ ადგილებში 20 მანეთი იმავე დღიურზე.

ქუთაისის გუბერნიაში, თუ გადასახადის კვალობაზე, გასაცემი სესხი ქცევა მიწაზე მოდიოდა 11 მან. 25 კაპიკზე მეტი, მაშინ სესხის ოდენობა ამით განისაზღვრებოდა (ეს იყო მაქსიმუმი), ხოლო განსაკუთრებით ნაყოფიერ ადგილებში ეს ოდენობა შეიძლება გადიდებულიყო ერთი ორად. უკეთუ გლეხი გადასახადს მიწის ნაკვეთისათვის საღებულებო გრამოტის საფუძველზე იხდიდა საკარმიდამო ნაკვეთისათვის ფულად, ხოლო მიწის სახნავი მიწისათვის მოსავლის ნაწილით, მაშინ პირველ შემთხვევაში სესხი იანგარიშებოდა წლიური გადასახადის კაპიტალიზირებით, ხოლო მეორე შემთხვევაში ქცევა სახნავ მიწაზე 7 მან. 50 კაპ. და ნაყოფიერ ადგილებში – 15 მან. საერთო სესხი კი უნდა ყოფილიყო – იმ შემთხვევაში როდესაც გლეხი იხდიდა ფულად, კომლზე 350 მანეთზე მეტი, ხოლო როდესაც ეს გადასახადი წარმოებდა ფულად და ნატურით – 250 მანეთზე მეტი. ეს 250 მან. დაწესებული იქნა სესხის უმაღლესი ოდენობად აგრეთვე რაჭის მაზრის მთა ადგილებისათვის.

მემამულესგან მისთვის სესხის მიცემის დროს უნდა დაკავებული ყოფილიყო ამიერ-კავკასიის პრიკაზის ვალი. დარჩენილ თანხას აძლევენ მას ფულად, ხოლო უკეთუ პრიკაზის ვალი გასაცემ სესხზე მეტი იყო, მაშინ მთელ სესხს იტოვებდა პრიკაზი, ხოლო დანარჩენი ვალი კი დაწესებოდა მემამულის სხვა მიწას ანდა გლეხების მიერ გამოუსყიდველ ვენახ-ბაღებს და სხვა ადგილებს.

გლეხები, რომელნიც იძენდნენ მიწას საკუთრებად ასეთი გამოსყიდვითი ოპერაციის საშუალებით, ვალდებული იყვნენ წინაღ შესატან ვალდებულებათა მაგივრად ხაზინისათვის გადაეხადათ მთავრობის მიერ გაცემული სესხის დასაფარავად მანეთზე 6 კაპიკი წლიურად 49 წლის სიგრძეზე. ამ გადასახადებს უნდა დარქმეოდა გამოსყიდვითი გადასახადი. გლეხებს ის უნდა შეეტანათ საერთო გადასახადისათვის დაწესებულ ვადებში, ე.ი. წლის პირველ ნახევრის გადასახადი 1 მარტამდის, ხოლო წლის მეორე ნახევრისა – ოქტომბრიდან 1 იანვრამდის.

სხენებულმა ნაკაზმა არ გაამართლა მთავრობის მოლოდინი. ნაკაზის გამოქვეყნების შემდეგ პირველი ათი წლის განმავლობაში სესხით ნადელების გამოსასყიდად ისარგებლა მხოლოდ 1220 გლეხმა და ისიც მხოლოდ თბილისის გუბერნიაში და ეს მიუხედავად იმისა, რომ როგორც აღმ., ისე დას. საქართველოში გლეხები ერთსულოვნად მიისწრაფოდნენ გამოუსყიდათ თავისი ნადელები მემამულეთაგან თუნდაც მთავრობის დაუხმარებლივ. ეს აიხსნება იმით, რომ ნაკაზი არ აღმოჩნდა სარგებლობის მომტანი ადგილობრივ პირობებთან მისი შეუთანხმებლობის გამო. რუსეთის შიდა გუბერნიებში მართალია ხელშეკრულების პირობები დამოკიდებული იყო მხარეთა ურთიერთ თანხმობაზე, მაგრამ გამოსასყიდი თანხა განისაზღვრებოდა საუსტავო გრამოტის მიერ გათვალისწინებული ობროკის კაპიტალიზირებით 6%-ის ანგარიშით. ამასთანავე მთავრობის მიერ გასაცემი თანხის რაოდენობა

ზუსტად გათვალისწინებული იყო მთელი გამოსასყიდი თანხის 80%-ით. ამგვარად გლეხი შიდა რუსეთში იხდიდა თავისი საშუალებათაგან მხოლოდ გამომანგარისებულ სესხის თანხის 20%-ს. თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში კი ჯერ ერთი გამოსასყიდი თანხის ოდენობა აუცილებლივ დამოკიდებული იყო მხარეების შეთანხმებაზე, მამასადამე, მემამულის თანხმობის უფლება აქ უფრო ხაზგასმული იყო და მეორეს მხრივ, მთავრობის მიერ მისაცემი სესხის ოდენობა არ შეიძლება გარკვეულ თანხაზე მეტი ყოფილიყო და თვითვე დღიურ თუ ქცევა მიწაზედაც იყო მაქსიმუმის მხრივ განსაზღვრული. ამიტომ გამოდიოდა, რომ შორაანის და რაჭის მაზრებში გლეხებს უნდა მიეცათ მემამულეთათვის ქცევა მიწაზე 50 და მეტი მანეთი მაშინ როდესაც მთავრობის სესხი იმავე ქცევაზე არ შეიძლებოდა ყოფილიყო 25 მანეთზე მეტი, ე.ი. 30%-ი. ასეთ პირობებში მემამულისთვის არავითარ ანგარიშს არ წარმოადგენდა 30%-ი გამოსასყიდი სესხის გამო გაეწია რისკი მთელი ნადელის გაცემით მით უმეტეს, რომ თუ გლეხი გადაიხდიდა გამოსასყიდი თანხის 70%-ს, მაშინ მას ზოგიერთი ვადის მიცემით შეეძლო შეეტანა დანარჩენი 30%-იც.

მხედველობაში მისაღება ამასთანავე, რომ სადებულეზო (საუსტავო) გრამოტები თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში ძალიან ხშირად შედგენილი იყო გაურკვეველი და შემცდარი შინაარსით და ამიტომაც ისინი ასევე ხშირად ვერ გამოდგებოდნენ გამოსასყიდი სესხის შესახებ ხელშეკრულებათა შესადგენად. ამ მხრივაც მდგომარეობა საქართველოში შედარებით შიდა-რუსეთთან თვალსაჩინოდ უარესი იყო.

გლეხებიც მაშინდელ ოფიციალური ცნობების თანახმად არ სთვლიდნენ თავისთვის სახეროდ გამოსასყიდი ნაკაზის წესებს. ყოველ გლეხს თავისთვის საზარალოდ ან ზედმეტად მიაჩნდა დათანხმებულიყო ნადელის გამოსყიდვაზე სავენახე-საბაღე ადგილების და ჩამონატერ მიწების მისთვის მიუცემლად, რადგანაც მთავრობა არა-სანადელო მიწაზე სესხს არ იძლეოდა. ნაკაზი თხოულობდა, რომ გლეხებს მიწის გამოსყიდვის დროს დაეღვათ თავიანთ სოფელში ურთიერთ თავდებობის შესახებ ხელწერილი. ეს კი მათთვის ძლიერ შემაწუხებელი იყო, რადგანაც სოფელი შედგებოდა სხვადასხვა დარგის ელემენტისგან. იქ იყვნენ დროებით-ვალდებული გლეხები, სახელმწიფო და საეკლესიო გლეხებიც. გლეხებისთვის აგრეთვე გაუგებარი იყო 49 წლის ვადით სესხის გაცემის მნიშვნელობა და აგრეთვე, თუ რატომ საკარმიდამო ნაკვეთისთვის გამოსასყიდი თანხის კაპიტალიზირება ხდებოდა 6%-ის ანგარიშით. მაგ., ქუთაისის გუბერნიაში ადგილების ღირებულება იანგარიშებოდა წლიური საგლეხო ვალდებულების 10%-ით კაპიტალიზირების მეშვეობით, ე.ი. თუ გლეხი მემამულეს ქცევა მიწაზე აძლევდა წელიწადში ორ მანეთს, გამოსყიდვის დროს ის იხდიდა არა უმეტეს 20 მანეთისა, მაშინ როდესაც საკარმიდამო ნაკვეთისათვის გლეხი ქცევაზე იხდიდა სამ მანეთს ობროკს, ხოლო გამოსყიდვის დროს 30-50 მანეთს.

თუ რამდენად გამოსასყიდი ნაკაზი გამოუყენებელი იყო ადგილობრივ პირობებში, ეს გამოიკვავ ნიკოლოზ მენგრელსკის სამაიორატო მამულების მიმართ. თავდაპირველად ნაკაზის წესები არ ვრცელდებოდა ყოფილ სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიაზე, ე.ი. ზუგდიდის, სენაკის და ლეჩხუმის მაზრებზე. მაგრამ შემდეგ გამოთხოვილ იქნა ნებართვა, რომ ხსენებული ნაკაზის წესები მიღებული ყოფილიყო მენგრელსკის მამულებში მცხოვრებ გლეხებისთვისაც. მალე გამოიკვავ, რომ ნაკაზის გამოყენება სამეგრელოს პირობებში არ ხერხდებოდა. სადებულეზო გრამოტები აქ შედგენილი იყო მეტად არა დამაკმაყოფილებლად და სრულიად არ შეეფერებოდა გლეხების მიწათ-მოწყობის ინტერესებს, რის გამოც გამოსასყიდი ოპერაცია ნაკაზში განსაზღვრულ ფორმალობათა დაცვით მოითხოვდა მებატონისაგან (ამ შემთხვევაში მენგრელსკისაგან) დიდძალ ხარჯებს და საქმესაც მეტად გააჭიანურებდა. ამიტომ მენგრელსკიმ ამჯობინა, რომ გამოსასყიდი ხელშეკრულებანი დაეღვა პირდაპირ თავდასხნის მსურველ გლეხებთან კერძო შეთანხმებებით და ხაზინიდან სესხის მიუღებლივ.

ამგვარად ნაკაზის განხორციელება ფაქტიურად ჩაიშალა და გლეხები ცდილობდნენ თვითონ მოელოთ თავის საქმისათვის მემამულეებთან კერძო შეთანხმებათა დადებით. საქართველოში მაშინდელი რუსული ოფიციალური დადასტურებითაც გლეხი ბევრად მეტად იყო დაკავშირებული მიწასთან, ვიდრე ეს შესამჩნევი იყო რუსეთის შიდა-გუბერნიებში. რუსეთში ბატონყმობის დროს გლეხებს ან-თავისუფლებდნენ უმიწოდ. საქართველოში კი მაშინაც გლეხის განთავისუფლება არ იწვევდა მის მოწყვეტას მიწიდან, რადგანაც გლეხის სარგებლობაში მყოფი მიწა ითვლებოდა მისი სამკვიდრო საკუთრებად. ამით აიხსნება, რომ გლეხებს საქართველოში ჰქონდათ აუარებელი დოკუმენტები ჯერ

კიდევ ბატონყმობის დროიდან მიწების თავიანთ მებატონეთაგან შეძენის შესახებ. ესლა ამ წერილობითი საბუთების მიხედვით გლეხები იწყებდნენ თავისი საკუთრების უფლების ძიებას გარკვეულ მიწებზე. განსაკუთრებით ბლომად ასეთი დოკუმენტები წარადგინეს დას. საქართველოს გლეხებმა სადებულებო გრამოტების შედგენის დროს სულ დას. საქართველოში მაშინ გლეხებმა შეიტანეს მომრიგებელ შუამავლებთან ნაცნობ წერილობითი საბუთი. გლეხები თხოულობდნენ, რომ მათთვის დაამტკიცებინათ მიწები ხსენებულ, ჯერ კიდევ ბატონყმობის დროინდელი, საბუთების მიხედვით. მაგრამ რადგანაც ამდენი საბუთების გასინჯვა სადებულებო გრამოტების შესადგენად დაწესებულ ორი წლის ვადაში შეუძლებელი იყო, ამიტომ სათანადო განკარგულების თანახმად გლეხებს დაუბრუნეს ეს საბუთები და მათზე დამყარებული უფლებების გარჩევა გადასდევს სადებულებო გრამოტების საბოლოოდ დამტკიცებამდის. ამასთანავე მემამულეები ვალდებული ხდებოდნენ დაებრუნებინათ გლეხებისათვის გრამოტების მიხედვით მიღებული გადასახადები იმ სანადელო მიწებზე, რომელნიც შემდეგ აღმოჩნდებოდნენ გლეხების უდავო საკუთრებად. ეს განკარგულება ეწინააღმდეგებოდა კანონს და ისიც არა გლეხების სასარგებლოდ, რადგანაც თანახმად სადებულებო გრამოტების შედგენის წესისა, მომრიგებელნი შუამავალნი კანონით ვალდებული იყვნენ გაერჩიათ გლეხების განცხადებანი იმის შესახებ, რომ მათ ნადელებში მოქცეულია მათი საკუთარი ფულით ნაყიდი მიწები. ასეთი მიწები უნდა გამოყოფილიყო ნადელიდან რაიმე გადასახადისაგან მემამულის სასარგებლოდ განთავისუფლებით. კანონის ეს მოთხოვნილება ქუთაისის გუბერნიაში არ შესრულებულა.

ამგვარად შექმნილ მდგომარეობაში გლეხები ცდილობდნენ მიწის საკითხი გადაეწყვიტათ შესაძლებლობის ფარგლებში თვით მემამულესთან შეთანხმებით. გლეხი იძულებული ხდებოდა განუწყვეტელი და ხანგრძლივი დავის თავიდან ასაცილებლად შეთანხმებულიყო მემამულესთან და შემდეგ უარი ეთქვა იმ უფლებებზე, რომელიც მას ჰქონდა საბუთების მიხედვით. მეორეს მხრივ მემამულეც თავისთვის მოსაგებად სთვლიდა მიეცა გლეხისთვის ნაკვეთები არსებულ ფასებზე ნაკლები ღირებულებით და არ გაეწია რისკი გლეხთან დავის საქმეში, რადგანაც უკეთეს გლეხი წერილობითი საბუთით დაამტკიცებდა თავის უფლებას მიწის ნაკვეთზე, მაშინ მემამულე დარჩებოდა სავსებით დაზარალებული. ამით აიხსნება, რომ კერძოდ ქუთაისის გუბერნიაში გამოსყიდვითი ოპერაციები წარმოებდა საკმაოდ წარმატებით.

კულტურა

171. კულტურის განვითარების სამართო საზი. რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ქართული ხალხის კულტურული ცხოვრებაც ახალ გეზზე წარიმართა. ქართველი ხალხის და, უპირველეს ყოვლისა, შეძლებული ფენების ყოფა-ცხოვრება რუსული კულტურის ზეგავლენით ნელა, მაგრამ მანაც იცვლებოდა და წინანდელის და ახლის ერთმანეთთან შეზავებით ღებულობდა ახალ თავისებურ ფორმას. სახელმწიფო რუსული სკოლების მეტისმეტი სიმციარის გამო მოზარდი თაობის დიდი უმეტესობა თავად-აზნაურობასა და სამღვდლოებაში თავის განათლებას ღებულობდა წინანდელ ჩამორჩენილ პირობებში, რომელთაც უკეთეს შემთხვევაში შეეძლოთ მხოლოდ ქართული წერაკითხვის ხარისხიანად ათვისების უზრუნველყოფა. მცირეოდენი ნაწილი კი ღებულობდა რუსულ განათლებას და სწორედ ამ მცირედ ნაწილს ჰქონდა მაშინდელი საზოგადოების ცხოვრებაში წამყვანი მნიშვნელობა. ძველიდან ახლისაკენ გარდამავალი ტიპის აღსანიშნავად შეიძლება დასახელებულ იქნას იონა ხელაშვილი. იონა ხელაშვილი (1775-1837 წწ.), გლესურ-სასულიერო წოდებიდან, იყო ძველი ქართული განათლების მქონე პირი, რომელმაც შემდეგ (1812 წ.) დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია. თავის მრავალ ნაწერებში, რომელთაც კათალიკოს ანტონ I-ის სკოლის სქოლასტიკური მიმართულება ემჩნევა, ის გვევლინება თავისი ქვეყნის მსურველ პატრიოტად. ის მეტად კრიტიკულად იყო განწყობილი ქართველი თავადებისადმი, რომელთაც აბრალებს წოდებრივ ყოფილობას, ეგოიზმს, ხალხის ინტერესებისათვის სრულებით ანგარიშ-გაუწყველობას და ხალხისადმი პირდაპირ მტრობას. ქართული სახელმწიფოებრიობის დაცემის მიზეზად იონა ხელაშვილს მიაჩნია ქართველი ხალხის ამოწყვეტა მტრების მიერ და რიცხობრივად მისი შემცირება, განათლების უქონლობა და კულტურული ჩამორჩენილობა, ქვეყნის მუდმივი აოხრება "ბარბაროზთა უწიგნოთა მეზობელთაგან". რუსეთთან შეერთებამ, მისი აზრით, საქართველოს მოუტანა მატერიალური კულტურის ასპარეზზე წინსვლა ("განძლომითა და შემოსითა და სახლთა აღმართვითა ვიდრე სამსა და ოთხ ძვიდედ და სართულებად"), ქალაქების და სოფლების გაშენება, "უშიშროება საარსთა, თურქთა და ლეკთაგან", აგრეთვე განათლება და "აყვავება სიბრძნითა, მეცნიერებითა" (ციტატები მისივე ნაწარმოებთაგანა).

ქართველობას XIX ს-ში არ ჰქონდა არა თუ თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრება (თუ არ ჩავთვლით ჩამორჩენილ სამთავროებს დას. საქართველოში), არამედ არც ადგილობრივი თვითმმართველობის მცირე ორგანოებიც კი. ამიტომ ქართველი ხალხის ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა მწერლობას, რომელიც ასე თუ ისე, მართალია თავისი შესაძლებლობის მეტად შეზღუდულ ფარგლებში, ასახავდა ცალკეულ საზოგადოებრივ ფენებში შექმნილ განწყობილებას. ასეთი იყო მდგომარეობა ვიდრე ქართული ბეჭდვითი სიტყვის, კერძოდ ქართული ყოველდღიური პრესის წარმოჩენამდის და ნაწილობრივ ამის შემდეგაც, რადგანაც ქართული პრესაც ცარიზმის დროს მაშინ არსებული კანონების გამო და ბეჭდვითი სიტყვისათვის დაწესებულ მკაცრი ცენზურის მიზეზით, ვერ ასერსებდა საჭირობოროტო საკითხების წამოყენებას, განსაკუთრებით ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეში. რუსეთის საიმპერიო მართველობა სწორედ ეროვნულ საკითხში აწარმოებდა მკაცრ კოლონიალურ გამარჯვებულ პოლიტიკას და ამიტომაც ის ყველაზე მეტად საქართველოშიც ხელს უშლიდა ეროვნულ გათვითცნობიერების საქმეს. ქართული საზოგადოებრივი ისტორიისათვის ქართული მწერლობის ეს თავისებური მნიშვნელობა აუცილებლად ხდიდა მისი ცალკე ფაქტების გამოყენებას პოლიტიკურ მოვლენათა აღწერის დროს. ეხლა აქ მოცემული იქნება მხოლოდ მოკლე სუმმარული შეჯამება.

172. მწერლობა. რუსული მართველობის დამყარებამ ხელი შეუწყო განათლება-მიღებული ქართველების დაახლოვებას რუსულ კულტურასთან მით უმეტეს, რომ სწავლა, თბილისის ეგრეთ წოდებულ კეთილშობილთა სასწავლებელში და თბილისის სასულიერო სემინარიაში, რუსულად მიდიოდა. იმავე დროს ქართული მმართველობის დაკარგვა, სახელმწიფო საქმიანობაში ქართული ენის გაუქმება იწვევდა ამ რუსულად სწავლა-მიღებულ ინტელიგენტებში დიდ სიმწარეს და ხელს უწყობდა მათში

პატრიოტული გრძობის უაღრესად გამხვილებას. ასეთ პირობებში გაჩნდა ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786-1846), გრ. ორბელიანის (1800-1883) და ნიკოლოზ ბარათაშვილის (1817-1845) პოეზია.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ჯერ კიდევ განიცდიდა სპარსული პოეზიის გავლენას, მაგრამ იმავე დროს სწორედ ის უნდა ჩაითვალოს ქართული რომანტიზმის დამწვებად. მისი ლექსები უმღერენ სიყვარულის გრძობას და ადამიანის კეთილშობილურ განცდებს და გამთბარი არიან თავისი ქვეყნისადმი პატრიოტული განწყობილებით. მეტი პატრიოტული პანგები ისმის მეორე ქართველი რომანტიკოსის გრ. ორბელიანის ლექსებში. განსაკუთრებით ძლიერია ადრე გადასულ, დიდი ქართველი პოეტის ნიკ. ბარათაშვილის ლირიკა, რომელიც მის განთქმულ "შერან"-ში ბრწყინვალედ გამოვკვეთს საზოგადოებრივი ხასიათის სევდა-უკმაყოფილობას. მაშინდელი განათლებული ქართველი საზოგადოების შინაგანმა სულის სიმწვავემ არაჩვეულებრივი სიძლიერით იფეთქა სწორედ ნიკ. ბარათაშვილის პოეზიაში. მისი მსოფლიური ჭმუნვა (იმავე "შერანში") გამოწვეულია მოწინავე ქართველების სულიერი ტანჯვით, ქართული ენის და ქართული კულტურის ტყვედ შეპყრობის მდგომარეობაში ყოფნით.

კაპიტალისტური წყობის თვისებების გაძლიერებასთან ერთად ჩნდებიან რეალისტი მწერლები: გიორგი ერისთავი (1811-1864), რომელიც თავის კომედიებში უჩვენებდა თავადების ეკონომიურ და მორალურ გადაგვარებას და მათ სავაჭრო-მეფასზე ელემენტების და მექრთამე რუს ჩინოფიკების ხელში ჩაგარდას. დანიელ ჭონქაძემ გამოაქვეყნა მოთხრობა "სურამის ციხე", მიმართული ბატონყმობის წინააღმდეგ (1858 წ.), ხოლო ლავრ. არდაზიანი თავის რომანში "სოლომონ მეჯღან-უაშვილი" (1858 წ.) წარმოაჩენდა ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიის არასაკლებურ თვისებებს.

XIX ს-ნის პირველ ნახევარში ვიდრე 1860-იან წლებამდე იყვნენ მწერლობის სხვა წარმომადგენლები, რომლებიც ზოგადად მიჰყვებოდნენ ზემოთ დასახელებული მწერლების შემოქმედებით სახს.

1831-1832 წლებში თბილისში გაცხოველებული იყო თეატრალური სცენის მოაყვარეთა მუშაობა, რომელშიაც ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური იყვნენ გიორგი ერისთავი (მომავალი დრამატურგი) და ვახტანგ ორბელიანი (მომავალი პოეტი). წარმოდგენები ეწყობოდა ერთერთ კერძო სახლის დარბაზში. რუსულ ენაზე პიესების დადგმის შემდეგ სცენის მოყვარეთა წრემ გადათარგმნა რუსულიდან ქართულად რამოდენიმე პიესა და მათ შორის ა. გრიბოედოვის "ვაი ჭკუისაგან" (1832 წ.).

1840-იან წლებში ქართულად უკვე არსებობდა ქართული ორიგინალური პიესები, რომელთაგან ზოგს დგამდნენ კიდევ მემამულეთა კერძო სახლებში. ქართული ნორმალური თეატრის განახლება მოხდა 1850 წელს. ამის ინიციატორი და ხელმძღვანელი იყო ნამესტნიკი მიხ. ვორონცოვი. მან გამოუძახა თავისთან დრამატურგ გიორგი ერისთავს, რომელსაც უკვე ჰქონდა დაწერილი კომედიები, დაუნიშნა მას, სახელმწიფო სამსახურში ჩარიცხვით, ჯამაგირი და დაავალა დასის შედგენა. სათანადო მომზადების შემდეგ (ზოგ რეპეტიციას დაესწრო თვით ვორონცოვი) 2 იანვარს 1850 წ. თბილისის გიმნაზიის შენობაში ვორონცოვისავე და მაღალი მოხელეების და ქართველი საზოგადოების თანდასწრებით წარმოდგენილ იქნა გიორგი ერისთავის კომედია "გაყრა". ეს დღე ითვლება ქართული თეატრის აღდგენის თარიღად. ვორონცოვის დროს დასს ეძლეოდა სუბსიდია, მაგრამ მის შემდეგ მალე ეს სუბსიდია მოიხსნა და დასამც შეწყვიტა არსებობა (1856 წ.). ამის შემდეგ მთელი ოციოდე წლის განმავლობაში ქართული წარმოდგენები იმართებოდა თბილისში (და ქუთაისშიც) იშვიათად სცენის ცალკე მოყვარულთა მიერ.

173. კულტურის სხვა დარბები. ქართული პოეზია და მწერლობა XIX ს-ნის პირველ ნახევარში და ვიდრე 1880-იან წ-მდის მნიშვნელოვნად დამოკიდებული იყო მოწინავე ქართველობის საზოგადოებრივი და პატრიოტული ხასიათის განცდებზე. ხელოვნებაში ეს ხაზი საერთოდ ნაკლებ აღინიშნება. მაგრამ მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ მხატვრობაში ამ პერიოდისათვის აღინიშნება პორტრეტისტი გ. მაისურაძე (1810 წ. ახლ.-1885), რომელმაც პირველმა ქართველთაგან დაამთავრა სამხატვრო აკადემია პეტერბურგში. ის მუშაობდა რუსული პორტრეტული მხატვრობის მიზიდვით.

ხუროთმოძღვრებაში ამ პერიოდში ფრანგული ამპირული სტილის (რუსეთის მეშვეობით) გავლენის გამო შემუშავდა სვეტებიანი ქვითკირის სახლის ტიპი, რომლის დაგვარი საკმაოდ იყო წარმოდგენილი თბილისის გარდა, თულავსა და ქუთაისშიც.

174. ბანათლება. განათლების საქმე საქართველოში მეტ წილად მიდიოდა წინანდელი გზით კერძო პირებთან ანდა ზოგ მონასტერში სწავლებით (მონასტრები მეტ წილად მღვდლებს ამზადებდნენ). მაგრამ რადგანაც ესაა ასეთი სწავლის საქმეს არაფერ ადევნებდა თვალყურს, ამიტომ მისი დონე თვალსაჩინოდ დაეცა. თბილისის სემინარია გიორგი XII-ის დროსაც აღარ არსებობდა, თელავის სემინარია 1801 წელს დაიხურა, ხოლო ახალი რუსული მართებლობა ზრუნავდა უკვე რუსული სკოლის დაარსებისათვის.

რუსული სკოლის გახსნა თბილისში გადაწყვეტილი ჰქონდა მმართველ კოვალენსკისაც და 1802 წლის 22 სექტემბერს ეს სკოლა კიდევ გახსნილ იქნა. მოწაფეთა რიცხვი იყო 45 ბიჭი, მასწავლებლად დანიშნულ იქნენ ხსენებული მმართველის კანცელარიის მოხელენი. კოვალენსკიმ შეადგინა წესები მოწაფეთა და მასწავლებელთათვის. ამ წესებში დაწვრილებით ჩამოთვლილი იყო, თუ როგორ უნდა ემუშავნათ მოწაფეებს და მასწავლებლებს. ნათქვამი იყო, თუ მოწაფე დილას რომელ საათზე უნდა დგებოდეს, თუ როდის იბანდეს პირს, ლოცულობდეს და სხვ. სწავლების პროგრამა იყო მეტად დიდი – ასწავლიდნენ გეომეტრიას, გეოგრაფიას, ისტორიას და სხვა საგნებს და ისიც ისეთ ყმაწვილებს, რომელთაც ჯერ რუსულიც არ იცოდნენ. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ მოწაფეებმა შეწყვიტეს სკოლაში სიარული და სკოლაც გაუქმდა.

ციციანოვმა ჩამოსვლისთანავე შეადგინა ახალი, უფრო რეალური გეგმა სწავლის მოწყობის, გამოითხოვა იმპერატორისაგან სათანადო ნებართვა და 1804 წლის 21 მაისს კიდევ გახსნა სკოლა. მასწავლებელთა შორის ერთი იყო უნგრელი პედაგოგი მარტინი, რომელიც რაღაც შემთხვევით მოყოლილიყო სამეგრელოში და გრიგოლ დადიანს ის მოეწვია თავისი შვილების მასწავლებლად მისთვის 12 კომლი გლეხის ბოძების აღთქმით. ციციანოვმა გამოიწვია ეს მარტინი თბილისში და დაავალა ახალ გახსნილ სასწავლებელში ლათინურის და გერმანული ენის სწავლება (მარტინის თავდაპირველად ჰყავდა 18 მოწაფე).

კეთილშობილთა სასწავლებელი ზრდიდა ახალგაზრდებს სამოქალაქო სამსახურისათვის. ხოლო რადგანაც ქართველ თავადაზნაურობაში დიდი იყო სამხედრო სამსახურისადმი მიდრეკილება, ამიტომ გამოთხოვილ იქნა (1805 წ.) ნებართვა ქართველ თავადაზნაურთა შვილების მიღების შესახებ რუსეთის კადეტთა კორპუსში (ეს იყო საშუალო სასწავლებელი).

1837 წელს კეთილშობილთა სასწავლებელი გადაკეთებულ იქნა ვაჟთა გიმნაზიად.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისში რუსული სასულიერო სემინარიის გახსნას 1817 წელს. ამ სემინარიამ იარსება სრული ასი წელიწადი ვიდრე 1917 წლის რევოლუციამდის. სემინარია ამზადებდა ახალ კონტიგენტს სამღვდლოებისათვის, მაგრამ ჯერ ერთი ამ სასწავლებელში შედიოდნენ უმთავრესად სამღვდლოებიდან, რომელიც შედარებით თავადაზნაურობასთან თავისი მდგომარეობით (იგულისხმება უმთავრესად თეთრი სამღვდლოება, ე.ი. ცოლ-შვილიანი მღვდლები) უფრო ახლო იდგა ხალხთან და გარდა ამისა ამ სასწავლებელში სწავლადამთავრებულთაგან ყველა არ მიდიოდა მღვდლად. ამით საფუძველი ეყრება რუსულად განათლებულ ქართველ საერო და დემოკრატიული წარმოშობის ინტელიგენციას. სემინარიაში შესასვლელად პირველ საფეხურს წარმოადგენდნენ სასულიერო სასწავლებლები, რომელნიც გახსნილ იქნენ ჯერ მხოლოდ თბილისში, მაგრამ შემდეგ სხვაგანაც.

სამეგრელოს სამთავროს არსებობის დროს ერთადერთ წესიერ სასწავლებელს იქ წარმოადგენდა თბილისის სასულიერო უწყების მიერ დაარსებული რუსული სასულიერო სასწავლებელი მარტვილში. მისი ერთ-ერთი პირველი ზედამხედველი იყო რუსი ბორისოვი, რომელსაც სამეგრელოში სწავლული კაცის სახელი ჰქონდა მოპოებული. მისი გვარის დამახინჯებიდან წარმოიშვა სიტყვა ბარსოფი, რომელიც მეგრულად ესაა სწავლულ, მცოდნე კაცს აღნიშნავს (სოლ. ცაიშვილის ცნობა).

თვალსაჩინოდ განვითარდა განათლების საქმე საქართველოში ნამეტნეიკ ვორონცოვის დროს. ქართველ თავადაზნაურთა შვილების რუსულ კულტურასთან დასაახლოვებლად და რუსეთისათვის საჭირო მოხელეების აღსაზრდელად გახსნილ იქნა ახალი საშუალო სასწავლებლები. თბილისში უკვე არსებობდა ვაჟთა გიმნაზია, ესაა კიდევ თბილისში დაარსდა ქალთა გიმნაზიაც, ხოლო ქუთაისში ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები. ქალთა გიმნაზიებს სახელად დაერქვა წმინდა ნინოს სასწავლებლები (ესეც რამოდენადმე ქართველი თავადაზნაურობის გულის მოსაგებად).

1853 წელს თბილისის გუბერნიაში იყო: ორი გიმნაზია (ვაჟთა და ქალთა), ორივე თბილისში, 4 სამაზრო სასწავლებელი, 4 სამრევლო სკოლა, 5 კერძო პანსიონი და სკოლა, სულ 16 სასწავლებელი 75 მასწავლებელ-მოხელით და 1070 მოწაფით; ქუთაისის გუბერნიაში — 1 გიმნაზია (ქუთაისში), 2 სამაზრო სასწავლებელი, 1 სამრევლო სკოლა, 2 კერძო პანსიონი და სკოლა, სულ 6 სასწავლებელი 30 მასწავლებელ-მოხელით და 517 მოწაფით. გარდა ამისა მართლმადიდებელ სასულიერო უწყებს ჰქონდა ორსავე გუბერნიაში 1 სემინარია (თბილისში), 4 სასულიერო (სამაზრო) სასწავლებელი (თითო თბილისში, ქუთაისში, გორში და სამეგრელოში), 6 სამრევლო სკოლა, ყველა — 38 მასწავლებლით და 636 მოწაფით.

თბილისში არსებობდა კიდევ გრიგორიანთა სასულიერო სემინარია (1860 წელს ამ სემინარიაში 175 მოწაფე იყო, მართლმადიდებელ სემინარიაში კი — 133 მოწაფე).

1860 წელს საქართველოში, ე.ი. თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში ელიზავეტპოლის (განჯის) მაზრის გამოკლებით იყო 8 საშუალო სასწავლებელი (მათ შორის სამი ქალთა, რომელთაგან ორი თბილისში იყო და ერთი ქუთაისში) 1484 მოწაფით, სამაზრო და სასულიერო სასწავლებლები და სამიჯნო სასწავლებელი (საშუალოს ნახევარნი, ე.ი. არა სრული საშუალონი) — 18, რომლებშიაც 1602 მოწაფე იყო, დაბალი სკოლები (დაწყებითი 12, სკოლები პოლკებთან 14, სამრევლონი მართლმადიდებელთა და სომხური 68, მაჰმადიანური 2, კერძო სკოლები 13, საბალოსნო 2) სულ 112, რომლებშიც 4438 მოწაფე იყო. თბილისის გუბერნიის მაშინდელ მოსახლეობაში (502,3 ათ. ს. ორ. სქ.) ათასზე მოდიოდა 8,8 მოწაფე, ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობაში (431,4 ათ. ს. ორ. სქ.) ათასზე — 8 მოწაფე.

175. ცხლილებანი ყოფაცხოვრებაში. კახეთის თავადები (და ასეთივე მდგომარეობა იყო ქართლშიც) 1840-იან წლების დასაწყისშიაც კი ცხოვრობდნენ ოთხკუთხიანი ციხის გალავანს შიგნით გაშენებულ, უმეტესად ორ სართულიან სახლში. ციხე-გალავანს ოთხსავე კუთხეს ჰქონდა კოშკები. სხენებულ სახლის ზემო სართულზე ცხოვრობდა თვით თავადის ოჯახი. ქალების ოთახები ცალკე იყო და ქალები კაცების საზოგადოებაში ჩვეულებრივ არ გამოდიოდნენ. სახლის ქვედა სართულში იყო სამზარეულო და იქვე მოთავსებულნი იყვნენ მოსამსახურეები. გალავანს შიგნით იყო კარის ეკლესიაც. ა. ზისერმანს აღწერილი აქვს, თუ როგორ ცხოვრობდა თიანეთის ოლქის უფროსი მაიორი თავ. ჩოლოყაშვილი (1844 წ.). სამმართველო მას თიანეთში ჰქონდა, მაგრამ თვითონ სამმართველოს საქმის მწარმოებელით მეტწილად თავის სოფელში მატანში ცხოვრობდა ციხე-გალავანს შიგნით გაშენებულ სახლში, რომელიც თუმცა უკვე ნახევრად ვეროპულად იყო მორთული, მაგრამ შიგნით ოთახებში მაინც კედლების გასწვრივ იყო გრძელი ტახტები, სპარსული ნოხებით დაგებული. კედლებზე დაკიდებული იყო ბლომად იარაღი, კუთხეებში იყო განჯინები აზარფეშებით, კულებით, დოქებით და ლიტრებით, რამოდენიმე წყვილი ვერცხლის და ფირუზით შემკული დიდი ყანწი და სხვ. სახლში ტრიალებდნენ დიდძალი მოსამსახურენი, ცუდად ჩაცმულნი, უსუფთაონი, ზარმაცნი, არაფრის გამკეთებელნი თუ არ ბატონის ბრძანებით.

ჩოლოყაშვილი მასთან მისულ პირთ ღებულობდა სხვადასხვა გვარად, მოსულის მდგომარეობის მიხედვით. ზოგი მოსული დაიქვეითებდა ცხენიდან ციხეზე კარგა შორს, გაისწორებდა ტანისამოსს, ჩამოუშვებდა ჩონის სახელოებს, მოკრძალებით შემოვიდოდა ეზოში და წარუდგებოდა ჩოლოყაშვილს წინასწარ მის შესახებ მოხსენების შემდეგ. ჩოლოყაშვილიც მას ღებულობდა ტახტზე ნახევრად წამოწოლილ მდგომარეობაში და ასე მოუქმენდა. მეორე მოსული კიდევ დაიქვეითებდა თვით ციხის კარებთან და გამოცხადდებოდა ჩოლოყაშვილთან წინასწარ მოუხსენებლივ. თავადი წამოუდგებოდა, ხელს ჩამოართმევდა სტუმარს და დაიწყებდა მასთან მზიარულ და სიცილიან ბაასს. ზოგ უფრო საპატიო სტუმარს ჩოლოყაშვილი გაეგებებოდა ეზოში და თვით გალავანის გარეთაც და ღებულობდა განსაკუთრებული პატივისცემით, ჯერ კიდევ ცხენზე მჯდომს სტუმარს გადაეხვეოდა, მთელს სახლში შეიქნებოდა ფაცაფუცი, დიასახლისიც გამოვიდოდა ქალების ოთახებიდან სტუმრის სანახავად. სტუმრიანობა იყო ძალიან გავრცელებული. სხენებულ ჩოლოყაშვილთან სადილად ყოველდღე იყვნენ სტუმრები. სადილი გაიშლებოდა ტახტზე, რომელზედაც ყველანი ჯდებოდნენ ფეხმორთხმით. თუმცა დანა-ჩანგალი იყო, მაგრამ მას არ ხმარობდნენ, ჭამდნენ ხელით (პურის ჭამის წინ და შემდეგ ხელს იბანდნენ). სასმინებად იყო თასები, კულები, აზარფეშები, ხოლო საჭმელები იყო ადგილობრივი.

მხოლოდ განსაკუთრებით საპატიო სტუმრისათვის ჩოლოყაშვილი დამატებით ამზადებინებდა მაკარონს.

ა. ზისერმანი იმასაც აღნიშნავს, რომ 1840-იან წლებიდან კახეთის თავადების ყოფა-ცხოვრებაში დაიწყო თვალსაჩინო ცვლილებანი. მათ მიატოვეს ციხეებში ცხოვრება და დაიწყეს თავისთვის ახალი საცხოვრებელი სახლების გაშენება. უკვე ჩანდა კახეთისათვის ახალი ცხოვრების გარიჟრაჟი, ახლოვებოდა ბატონყმობის გადავარდნის ხანაც.

176. ყოფა-ცხოვრების უაქტები. სოფლად ქართლში გლეხთა სახლები იყო ორგვარი: 1) სახლი და 2) დარბაზი. სახლი ჩვეულებრივ წარმოადგენდა მიწურს ბანიანი სახურავით. ბანის შუაში იყო კონუსის დაგვარი გაკეთებული კვამლის გასასვლელი. შიგნით იატაკი იყო მიწის. ჭერი შექდგებოდა ძელებისაგან, რომლებზედაც მიწის სახურავი იყო (ბანი), ხოლო დარბაზში კი ჭერის ძელები თანდათან პატარავდებოდნენ, რის გამო ჭერი რაც მალე მიდიოდა, მით უფრო ვიწროვდებოდა და თავდებოდა კვამლის გასაშვებ ნახვრეტით. ჭერიდან ქვევით ჩადიოდა ჯაჭვი, რომელზედაც ეკიდა ქვაბი. ამის ქვემოთ მიწაზე იყო უკვე კერა, სადაც ანთებდნენ ცეცხლს. შიგნით სახლში გლეხის ავეჯს წარმოადგენდა კედლის გასწვრივ გაკეთებული გრძელი ტახტები, ტყავით გადაკრული ხის კიდობნები, ქვევრები წყლისა და ღვინის შესანახი. კედლებს ჰქონდა ნიშები საგებ-სახურავის და ჭურჭლის შესანახად. დარბაზებში ჭერი შემკული იყო სხვადასხვა ფიგურებით, რგოლებით, ჯვრებით და სხვ. ზოგი დარბაზი ისეთი დიდი იყო, რომ რამოდენიმე ოჯახს დაიტევდა. საჭმელს აკეთებდნენ კერაზე. სახლის მეურნეობა მთლიანად ქალების ხელში იყო, მამაკაცი კი გარეთ მუშაობდა, ასე რომ მთელი დღე სახლი ქალების ამარა იყო.

გლეხობას ძლიერ აღარიბებდა სხვადასხვა უქმეები მიღებული წვეულებებით, დასაფლავება და ქორწილი და გარდა ამისა კიდევ სხვადასხვა ისეთი დღეობები, როდესაც მას სხვა სოფლებიდან მოსული სტუმრებისთვის უნდა დიდი ხარჯი გაეწია. ქართლელის სახლი მეტისმეტად მოუხერხებელი იყო და იმავე დროს ჯდებოდა ბევრიც, ერთი ოთხად მეტი, ვიდრე გერმანელი კოლონისტების მშვიდი და ლამაზი სახლები. გარდა ამისა გლეხი, რომელსაც მუდამ აკლდა ფული, ხოლო ფული კი მას სჭირდებოდა უმთავრესად სახელმწიფო გადასახადებისათვის, ხელთ უფარდებოდათ სომეხ ვაჭარ მევახშეთ. ნასესხებ ფულს ის შემდეგ იხდიდა ნატურით, მაგრამ გაუგონარი პროცენტით 300-400%-ით წელიწადში. ქართლში სოფელი შორიდან სტოვებდა უსწორმასწორო ყრილის და ნანგრევების გროვის შთაბეჭდილებას. ირგვლივ არ იყო არც ბალი და არც ტყე.

კახეთში კი სახლები სანახევროდ იკარგებოდა ბაღებში. მიწურები იქ ძლივს სჩანდნენ მიწის ზედაპირზე, ხოლო ქვეითკირის მარნები და დარბაზები ხშირად ორსართულიანი სახლის სიმაღლისანი იყვნენ.

სოფლებში აქა იქ იყო გაშენებული სამღებროები და ღუქნები. მათ მეპატრონენი ჩვეულებრივ ძლიერ მდიდრები იყვნენ, რადგანაც ხალხს თავის საქონელს აყიდებდნენ სამჯერ უფრო ძვირად. სოფლის ზემოთ იყო თივის ზვინები და გომურები, აგრეთვე მიწაში ჩათხრილები, სადაც ზამთრობით დაბინავებული იყო შინაური პირუტყვი. ბევრ სოფელში ამ დროისათვის შემონახული იყო ძველებული ციხეები, რომელნიც საქართველოში ერთნაირი გეგმით შენდებოდნენ. ჩვეულებრივ ეს იყო ოთხკუთხიანი ქვეითკირის გალავანი, რომელსაც კუთხეებში ჰქონდა კოშკები ქონგურებით. კოშკები განკუთვნილი იყო საცხოვრებლად. მათ ჰქონდათ ფანჯრები და ბუხრებიც.

იმერეთში სახლებს აშენებდნენ ხისას-წაბლისას, მუხის, ჭადრისას და სხვ. სახურავი იყო ყავრის, ისლის და სხვ. სახლს ჩვეულებრივ კარები ჰქონდა სამხრეთით და ჩრდილოეთით, შეძლებულ გლეხებს ჰქონდათ ბუხრები, ღარიბებს კი — შუაცეცხლი. სახლს ჰქონდა 2-3 ფანჯარა ხის პატარა ხარისით. ირგვლივ კიდევ სახლს ჰქონდა აივანის დაგვარი გადმოსურული ხის წვრილ სვეტებზე. შიგნით სახლში კედლების გასწვრივ იყო გრძელი ხის ტახტი ნახევარი არშინის სიმაღლეზე იატაკიდან თუ მიწიდან, დაფარული ფარდაგებით. იყო აგრეთვე რამოდენიმე ტაბლა, რომელნიც მაგიდის მაგივრობას სწევდა, ერთ კუთხეში იყო მაგიდის დაგვარი დგამი ჭურჭლისათვის.

როგორც ამ აღწერილობიდან ჩანს, გლეხი ამ დროს იმერეთში თავისი ყოფაცხოვრებით, შედარებით, მაგ., XVIII ს-ნის II ნახევრის მდგომარეობასთან, ბევრად წინ არის წასული.

იმერეთში და ოდიშში ამ დროს უკვე გავრცელებული იყო ჩერქეზული ჩოხა. წინანდელ იმერულ ჩოხას (უქილებოდ და გაჭრილი სახელოებით) ატარებდნენ მხოლოდ ზოგიერთნი თავადთაგანი. თავზე ფაფანაკი რგვალი შავი მაულისგან კვლავ გავრცელებული იყო (თავადებს ჰქონდათ წითელი ფერის ფაფანაკები).

გლეხები დას. საქართველოში ცხოვრობდნენ ცალკე ეზოებად, ასე რომ 50 კომლიან სოფელს ეკავა დიდი ფართობი, ხანდახან ირგვლივ 10 კილომეტრის მანძილზე. სახლებს აშენებდნენ თავის სახნავ მიწასთან.

1850-იან წლებში (უფრო 1857 წლისათვის) გლეხის მდგომარეობა იმერეთში ზოგადად დახსიათებულია კარგი ფერებით. გლეხი უკვე არ ცხოვრობს ისე ღატაკად, როგორც ეს იყო წინა ხანებში და XVII ს-ნეში. "გლეხი იმერეთსა და გურიაში, სწერია ამ ცნობაში, მას აქვს ნოყიერი სადილი, რომელზედაც არც ისე იშვიათად ჩნდება ყვერული, ნანადირევი ფრინველი, თაფლი, კალმასი. სვამს ღვინოს, ხოლო თავის ბაღში მას აქვს ბლომად სამხრეთი ჰავის შესაფერისი ხეხილი. გლეხის სამუშაოს შეადგენს 5-6 ქცევა მიწის დამუშავება, რაც სავსებით ანაზღაურებს მის ცდილობას და კიდევ წელიწადში რამოდენიმეჯერ ნატურალური ვალდებულებების შესრულება. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში გლეხს უყვარს თავისი ცხოვრება, არ სურს სხვა ყოფა და ეშინია ახალი ცვლილების, რადგან არ უნდა, რომ მისი სიმშვიდე და კეთილმდგომარეობა დაირღვეს... მდებარეობს არ იცინა ჩანგლის სმარება, ხოლო საინის მაგივრობას მათთვის სწევს ლავაში. რაც შეეხება თავადებს და შეძლებულ აზნაურთ, ისინი მეტწილად ყოფაცხოვრებით ბაძავენ რუსებს".

სამეგრელოს სამთავროში მთავრის კარი დავით დადიანის და შემდეგ მისი ქვრივის ეკატერინეს დროს მოწყობილი იყო შემდეგნაირად. პირველი პირი იყო სახლთხუცესი, რომელსაც ჰყავდა თანაშემწეები. ახალგაზრდა თავადიშვილები, მშენიერად ჩაცმულნი, ესენი შეადგენდნენ მთავრის და დედოფლის უახლოეს მცველ და მოსამსახურე ამალას. უმეტესობას მათგანს სწავლა მიღებული ჰქონდა მარტვილის რუსულ სასულიერო სასწავლებელში. ასე რომ მათ იცოდნენ რუსული ენაც. იცოდნენ მათ ცეკვა-სიმღერაც. კარზე იყო საქმეთა მმართველი, მოლარე და მოძღვარი. ქალები მოსამსახურეები იყვნენ უმთავრესად აზნაურთა ოჯახებიდან. ულუფა ყველას ჰქონდა მთავრის ხარჯზე. ყოველ დილას სრულდებოდა წირვა, რომელსაც ესწრებოდნენ მთავარი, დედოფალი და მთელი კარი, 12 საათზე იყო საუზმე, შემდეგ მთხოვნელების მიღება და მოხსენებები საქმეების შესახებ, 5 საათზე სადილი, 6 საათზე მწუხრი-ლოცვა. მარხვებს იცავდნენ მკაცრად. დიდ უქმეებში კარზე ჩადიოდა საწირვად ჭყონდიდელი ეპისკოპოსი. ხალხი (გლეხობა და ბევრი თავადაზნაურთაგანიც) ცხოვრობდა უფანჯრო და მიწის იატაკიან ყავრით დასურულ ხის სახლებში. უფრო ღარიბებს ჰქონდათ წნულისაგან გაკეთებული და ისლით დასურული ფაცხები. კედლების ირგვლივ, როგორც სახლებში, ისე ფაცხებში იყო ქებით გადაფარებული გრძელი ტახტები. მხოლოდ მთავარს ოთხ ადგილას ჰქონდა ხეირიანი, ორსართულიანი სახლები, ასევე ორსართულიანი სახლები ჰქონდათ ბატონიშვილთაგან უფრო მდიდართ.

დიდი ცვლილება მოხდა ქალაქების ყოფა-ცხოვრებაში. თბილისში გაჩნდა ევროპულ სტილზე გაშენებული სახლები. მანამდის არსებული ბანიანი სახლები თანდათან კლებულობდა. (თუმცა ცალკეულად მათ მოაღწიეს XX ს-ნემდისაც). მართებლობა აშენებდა მთავარმართებლის სასახლეს და ცალკე დაწესებულებისთვის საჭირო შენობებს ევროპული სტილის პირდაპირი გადმონერგვით. მართებლობას ამ საქმეში ბაძავედა დიდ შენობათა ამგები ზოგიერთი კერძო პირიც, მაგ., ზუბალაშვილი, რომელმაც ააგო დიდი ქარვასლა, შემდეგ მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის მიერ შექმნილი (ესლა ამ შენობაში ხელოვნების მუზეუმიც მოთავსებული) და სხვანი. მაგრამ შეძლებულ კერძო პირთა საცხოვრებელი სახლებისათვის XIX ს-ნის პირველ ნახევარში ევროპული არქიტექტურის ნორმების შესაბამისად ადგილობრივი მოთხოვნებისათვის და გემოვნებისათვის ერთად შემუშავებულ იქნა ფართე აივნებიანი სახლების თავისებური სტილი.

¹ სივრცე 8 კილომეტრი ირგვლივ იძლევა 400 ჰექტარს 50 კომლისთვის კომლზე მოდის 8 ჰა. იხებოდა კი წელიწადში კომლზე მიწის ხენის შეცვლის აუცილებლობის და აგრეთვე საეზოვე საბაღე მიწის გათვალისწინებით 6 ქცევა მიწა.

მანც ქალაქები გაშენებულნი იყვნენ უკვემოდ. აღმ. საქართველოს ქალაქებში (თბილისი, გორი, თელავი, სიღნაღი) ჭარბობდნენ ბანიანი სახლები. ყველა სახლი აგურის იყო. უფრო თბილისში, მაგრამ სხვაგვარად, სახლები ერთმანეთის გვერდით იყო გაშენებული, ასე რომ შეიძლებოდა ბანიდან ბანზე გადასვლა დიდ მანძილზე. ქუჩები იყო ისეთი ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული, რომ დროკეები ძლივს ახერხებდნენ მობრუნებას. შუკები კიდევ უფრო ვიწრონი იყვნენ (1-1 1/2 საუენის სიფართის). ქვაფენილები არ იყო. ქუჩებში ეყარა ყოველგვარი ნაგავი. წვიმების დროს ქუჩებში მიდიოდა ნიაღვარი, მიჰქონდა მას ნაგავი და სამაგიეროდ მოჰქონდა მთებიდან ხერგი, რომელიც ავსებდა ქუჩებს. დილიდანვე ქუჩებში ისმოდა ძახილი ქართულად: დილის რძე.

ქალაქური სახლები სოფლისას არ ჰგავდა. სახლების უმეტესობას, განსაკუთრებით ორსართულიანებს, ჰქონდათ აივნები, სივრცეში დასასვენებლად. ბევრი სახლი ქუჩის მხრიდან შემოზღუდული იყო ქვითკირის ან ხის კედლით. სახლი შესდგებოდა ხშირად ერთი ვრცელი ბინისგან, რომელიც შეიძლება გადაყოფილიყო 2-3 ოთახად დარბაზითურთ. იატაკი იყო მიწის და ან აგურის. კედლებში დატანებული იყო ოთხკუთხიანი დიდი ნიშები. ჭურჭლის შესანახად იყო კიდევ მცირე ნიშები. იყო ბუხრებიც. სახლებს ჰქონდა სარდაფები.

ქალაქ თბილისის ყოველთვის ჰყავდა დაბალ მოქალაქეთა გარკვეული წრე, დარდიმანდულად მცხოვრები და მხიარულად დროს გამტარებელი, რომელიც თავისებურ გავლენას ახდენდა ქალაქის ცხოვრებაზე. თამარ მეფის და გიორგი ლაშას დროს ესენი იყვნენ რინდნი (საბარსულად რინდი ნიშნავს ლოთს, ღვინის მსმელს). გიორგი ლაშას უყვარდა ინკოგნიტოდ მათ წრეში დროს გატარება, რასაც მოჰყვა შედეგად ის, რომ რაინდებთან ატეხილ ჩხუბის დროს მან დაჰკარგა მხედველობა ცალ თვალში. XVIII ს-ნეში თბილისში იყვნენ ლოთები, რომელთაც აღამაჰმად ხანის შემოსევის დროს გამოიყვანეს თავიანთი რაზმი, მაგრამ ნამდვილ ომში ეს რაზმი არა თუ არ გამოდგა, მან შეიტანა ქართველების რიგებში დემორალიზაცია, ასე რომ კრწანისის ომის წაგების ერთ-ერთ მიზეზად მაშინ ქალაქის ამ ლოთებს სთვლიდნენ. რუსების დროს XIX ს-ნის პირველ ნახევარში ეს ლოთები იწოდებოდნენ უკვე პაჟარნებად (რუსული სიტყვიდან пожарный). რ. ერისთავი ვაზ. "კავკაზ"-ში 1853 წ. (№32) ახასიათებდა ამ პაჟარნებს (იგივე ლოთებს) როგორც უაღრესად დარდიმანდ აღამიანებს, მოქვიფეთ, მაგრამ იმავე დროს თავგამოდებულთ და მამაცთ, რომელნიც, მაგ, სწრაფად გადავარდებოდნენ ადიდებულ მტკვარში წყლის მიერ წაღებულის გადასარჩენად, ხანძრის დროს აღამიანთა და ქონების გადასარჩენად თავს არ ზოგავდნენ და სხვ. როგორც ჩანს, ამ ხანძრების დროს თავგამოდებით მოქმედების გამო მათ დაურქვათ სახელად პაჟარნი. ისინი იყვნენ მომღერალნი, ლექსთა გამომთქმელნი და სხვ. ეს სახელები ლოთი და პაჟარნი მალე გადავარდა. დარჩა ძველისძველი დროიდან მომდინარე სახელი კინტო. მაგრამ კინტო ამ წრის უფრო დაბალი კატეგორია იყო.

1860-იან წლებში ჩვენში შემოვიდა გრძელი შავი ჩერქეზული ჩოხა, რომელმაც განდევნა მანამდის არსებული საქალაქო ტანსაცმელი ფართო შარვლებით, ფართე სარტყლით და სხვ. ძველი სამოსიდან შერჩენილ იქნა მხოლოდ დიდი ბოხოხი ქუდი. ამ შავი ჩოხების გამო წინანდელ პაჟარნი-ლოთებს დაერქვა ესლა სახელად ყარაჩოხელები (თურქულად ყარა — შავი). ყარაჩოხელები იყვნენ რამდენადმე შეცვლილნიც: ისინი იყვნენ თავიანთ წრეში მხიარულად დროს გამტარებელნი, მათ ჰყავდათ თავის წრეში მგოსნები და მუსიკოს-მომღერლები. ისინი შედარებით ლოთ-პაჟარნებთან უფრო დინჯნი იყვნენ. ხოლო ცხოვრობდნენ ისინი მეტწილად ფაჭრობით და ხელოსნობით. ცნობილი იყვნენ თავიანთი პატიოსნებით. XIX ს-ნის დასაწყისიდან ყარაჩოხელებმა იწყეს გაქრობა. ასევე დაემართათ მათზე უფრო დაბალი ფენის ქალაქურ კინტოებს.

ქუთაისის მიმართ ცალკე აღსანიშნავია, რომ XIX ს-ნის დასაწყისში ქალაქი შესდგებოდა უმთავრესად ტალახით შელესილი წნულებისაგან, ეგრეთ წოდებული ოდა სახლები და ისიც მცირე ფართობის იყო მეტად ცოტა და ისიც მეტ წილად თავადების მიერ თავისთვის გაშენებული. ესლა კი, რუსული მმართველობის დროს, წნულები თანდათან კლებულობდა, ასე რომ 1850-იან წლებში ისინი მეტად მცირე რაოდენობით იყვნენ დარჩენილნი. სამაგიეროდ იზრდებოდა ოდა-სახლების რიცხვი, ჩნდებოდა პალატიანი ორ სართულიანი სახლებიც (ქვედა სართული ქვითკირის და ზედა სართული ხისა ვრცელი აივნით).

177. ქართველების ჩამორჩენილობა კულტურის ასპარეზზე. ახალ პირობებში წამყვანი მნიშვნელობა ეძლეოდა ბურჟუაზიას, რომელიც ქართველებს არ ჰყავდათ, ხოლო ქართველი თავადების და აზნაურთა წოდება, როგორც ასეთი, კულტურის დარგებში შემოქმედების უნარს მოკლებული იყო. ამით აიხსნება, რომ ამ ხანაში აღინიშნება ქართველების დიდი ჩამორჩენილობა კულტურის ასპარეზზე შედარებით, მაგ., სომხებთან. თუმცა ქართველები ამ დროს ამიერ-კავკასიაში ბევრად სჭარბობდნენ სომხებს (ქართველები იყვნენ 1860-იან წლებში 852 ათ. ს. ხოლო სომხები – 541 ათ. ს. ორ. სქ.), მაგრამ ჟურნალების და წიგნების ბეჭდვის მხრივ, მაგ., 1860 წელს აღინიშნება შემდეგი რიცხვები: ქართულად თბილისში გამოდიოდა ჟურნალი "ცისკარი" (გამოვიდა 11 წიგნი) და დაიბეჭდა სასულიერო (საეკლესიო) შინაარსის 2 წიგნი. სომხურად კი თბილისშივე ხსენებულ წელს გამოდიოდა ორი ჟურნალი (ყოველთვიური და ყოველკვირეული) და დაიბეჭდა სულ ამიერ-კავკასიაში 117 სახელწოდების წიგნი, მათ შორის სასულიერო შინაარსის 57, დანარჩენები კი-სხვადასხვა საერო შინაარსის. საჭირო იყო ამ ჩამორჩენილობის გამოსწორება და ამ მიმართულებით ზრუნვა ხვდა ქართველების ახალ მოწინავე თაობას.

პაპიტალიზმის ხანა საქართველოში

178. შავი მუშების მდგომარეობა. ამ ხანაში იწყებოდა პირობების შექმნა მუშათა კლასის ჩამოსაყალიბებლად საქართველოში. ვერ კიდევ ბატონყმობის გადავარდნამდის წარმოებდა გლეხების პროლეტარიზაცია, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ თავისი მებატონეების ძალმომრეობისაგან თავმოებურებული გლეხები გარბოდნენ ქალაქებში და იქ ხდებოდნენ დაქირავებულ მუშებად. ცხადია, ასეთები იყვნენ მცირენი, რადგანაც კანონით მებატონეს უფლება ჰქონდა თავისი გაქცეული ყმა უკანვე მიწაზე დაებრუნებინა. მაგრამ ცალკე შემთხვევებში მებატონეები თანხმდებოდნენ თავიანთი ყმა დაეტოვებინათ ქალაქში სამუშაოზე ყოველწლიური ფულადი გადასახადის გაღების პირობით. გარდა ამისა ქალაქის მუშების კონტიგენტს ამრავლებდნენ უმიწაწყლო გლეხები, რადგანაც განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში ხშირად იყვნენ ისეთი მებატონეები, რომლებიც მიწის სიცოტავეს განიცდიდნენ და ვერ ახერხებდნენ თავიანთი ყმების მიწით უზრუნველყოფას. ასეთი გლეხები თვით მებატონისავე დასტურით გადადიოდნენ ქალაქებში სამუშაოზე.

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ გლეხების წასვლას ქალაქებში სამუშაოდ ხელს უწყობდა ბევრი მათგანის სრული სიღატაკე. აღმ. საქართველოში, უფრო გორის მაზრაში, მემამულეებს ზოგან დროებით-ვალდებული გლეხები გადაჰყავდათ ხიზანთა კატეგორიაში. მაგრამ შემდეგ სარგებლობდნენ იმით, რომ ეს გლეხები მანც ნამდვილი ხიზნები არ იყვნენ, ხოლო ისე, როგორც ხიზნებს, მათ არც მიწით სარგებლობის წერილობითი პირობა ჰქონდათ (ხიზნობა ზეპირ პირობაზე იყო დაფუძნებული) და ამიტომ მემამულეები მალე იწყებდნენ მათდამი როგორც მოიჯარადრეებისადმი მოქცევას. ეს კი ნიშნავდა გლეხის მთლად უმიწაწყლოდ დატოვებას და რადგანაც მიწის ღალა ჩვეულებრივ ძლიერ დიდი იყო (მოსავლის 1/3-მდის), ამიტომ მის მთლად გაღატაკებასაც.

მიწის ღალა განსაკუთრებით დიდი იყო დას. საქართველოში. აქ გლეხობას ახრჩობდა არა მარტო საკუთარი მიწის სათანადო რაოდენობითი უქონლობა, არამედ ისიც, რომ საერთოდ სახმარი მიწა იყო ცოტა. ამიტომ გლეხი იძულებული იყო კონკურენტების თავიდან მოსაცილებლად შეეძლია მემამულისათვის გადიდებული ღალა. ხშირი მოვლენა იყო ხეირიანი მიწის ღალად მოსავლის 1/3 და 1/2-იც. ამასთანავე მიწის დამუშავება მთლიანად გლეხს უნდა ეკისრა. ამიტომაც ღალა ფაქტიურად ხშირად შეადგენდა გლეხის მიერ გაწეული შრომის და ხარჯის გათვალისწინებით მოსავლის 60%-ს და მეტსაც. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ის გარემოება, რომ ოფიციალური ცნობებით XX ს-ნის პირველ წლებში ქუთაისის გუბერნიაში გლეხების 60-70% თავისი მცირემიწიანობის გამო იძულებული ხდებოდა აეღო საღალოდ მემამულის მიწა.

ასეთი მძიმე მდგომარეობის გამო გლეხობის უფრო აქტიური ნაწილი გარბოდა სოფლიდან სხვადასხვა სამუშაოზე. ბევრი გლეხი მიიზიდა 1865 წლიდან ფოთი-თბილისის რკინიგზის სამუშაოებმა. ამის შემდეგ მეგრელი, გურული და იმერელი მუშები მოედნენ შავი ზღვის ნავსადგურებს დაწყებული ბათუმიდან ვიდრე ოდესამდის.

შავი მუშები თბილისში ასრულებდნენ ყოველგვარ სამუშაოს. ისინი იყვნენ ტვირთის, და ხშირად მეტად მძიმე ტვირთისაც, გადამტანები, მეთულუხჩეები (წყლის მომტანნი), მებაღეები და სხვ. მეტ წილად ისინი იყვნენ იმერლები, მაგრამ იყვნენ ამიერ-კავკასიის სხვა მხარეებიდანაც.

1865 წელს ჰერცენის საზღვარგარეთულ ჟურნალ "Колокол"-ში ნ. ნიკოლაძე ახასიათებდა ამ მუშების მდგომარეობას. "საქართველოს ქალაქების მოსახლეობა მცირერიცხოვანია. იგი თავმოყრილია თბილისში და კიდევ ორ-სამ უმნიშვნელო ქალაქში, როგორიც არის ქუთაისი, გორი და სხვა. ყველა ამ ერთეულებში ქალაქის მოსახლეობა დღემდე მკაცრად იყოფა ორ კლასად: მოქალაქეებად (мещане, ე.ი. ვაჭარ-ხელოსნები) და მუშებად (рабочие)".

ამ შავი მუშების შესახებ იქვე აღნიშნულია შემდეგვი. "საქართველოში მუშას არ აქვს არავითარი მოქალაქეობრივი უფლება. ის არც დროებით განთავისუფლებულია, ის, უბრალოდ რომ ვთქვათ, ადგილიდან გაქცეულია (бегунъ). იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და რაჭის გლეხები ვერ უძლებენ მემამულეთა ძლავრობას, ვერ იტანენ ბატონის მათრახს და მორბიან თბილისში, ხოლო ქართლისა და კახეთის (თბილისის გუბერნიის) გლეხები, პირიქით, თავს აფარებენ იმერეთს, გურიას და სხვა ადგილებს... ოჯახისა და სამშობლოსაგან განშორება ანთავისუფლებს გლეხებს ბატონის ძალა-უფლებისაგან. მაგრამ სამაგიეროდ აყენებს მას ბურჟუაზიის და მოხელეების დამოკიდებულებაში,

ლუკმა პურის მონობაში. მათი დიდი უმეტესობის მუშაობა გამოიხატება ქვის, სილის და კირის ზიდავაში შენობებისათვის, ტომრებისა და სიმძიმისა — ვაჭრებისათვის, წყლისა და შეშისა — მცხოვრებთათვის და ასეთი შრომისათვის იშვიათად ღებულობენ ორ-სამ აბაზს... ევროპის პროლეტარს ჰყავს თავისი ოჯახი. მართალია, იგი დიდი ტვირთია, მაგრამ ამასთანავე ის ხშირად ამსუბუქებს მისი ცხოვრების სიმწარეს. ქართველ მუშასაც ჰყავს თავისი მეუღლე და ბავშვები, მაგრამ შორს მთებსა და ველებს გადაღმა... საუკეთესო ხანა ქართველი ქალაქელი მუშისათვის არის შემოდგომა. საქონელი, მოტანილი ნიყეგროდისა და როსტოვის ბაზრებიდან, აბრეშუმი, მატყლი, ნიგვზისა და ბზის ხეები, დამზადებული უცხოელების მიერ საზღვარგარეთ გასაგზავნად, ბოლოს ქალაქებში ჩამოსვლა თავადაზნაურთა, რომელნიც მაშინ ასერსებენ ყმების ღალისა და ფულის შეგროვებას — ყოველივე ეს იწვევს ქალაქის ცხოვრების ამოძრავებას და თხოულობს მუშახელს. ამ შემოდგომის დღეებში, ტალახსა და ტლაპოში, წვიმასა და ქარში მუშები შოულობენ თავიანთ წლიურ სარჩოს, ხშირად მე-ბატონისაგან გამოსასყიდ ფულსაც. ბოლოს ამ ბრწყინვალე დღეების დამთავრებისას კვლავ მიდიან სარდაფებში და იქ ემალებიან პოლიციისა და ბატონის აგენტებს... ზაფხულში ქალაქში სახლების შენება სამუშაოს აძლევს მუშების ნაწილს, ხოლო გასამრჯელო, რომელსაც ისინი გრძელს მცხუნვარე დღეებში შოულობენ, არ აღემატება საშუალოდ 25 კაპიკს ვერცხლით”.

ჯერ კიდევ 1850 წლის ახლო ხანებში შენიშნული იყო, რომ ამ იმერელ მუშებს შორის თბილისში გლეხებს გარდა იყვნენ იმერელივე ღარიბი აზნაურებიც.

ამ შავ მუშებზე ყოველ მხრივ უკეთეს პირობებში იყვნენ რაიმე სპეციალობის მქონე ხელოსნები.

179. სახელოსნო წარმოება და სახელოსნო მუშები. 1835 წელს ოფიციალური აღწერილობის

ერთი ავტორი წერდა, რომ საქართველოში არ არის ფაბრიკები გარდა თბილისში არსებული აბრეშუმის სახვევი ქარხნისა, რომელიც მოწყობილი იყო ფრანგ კასტელის მიერ და შემდეგ დაიხურა კიდევ, იყო მხოლოდ ძველი წესის თანახმად წვრილი სახელოსნო წარმოებანი. 1858 წელს თბილისის გუბერნიამ იყო 239 წვრილი სახელოსნო წარმოება, ხოლო 1865 წელს კი მათი რიცხვი ავიდა 453-მდის. ცალკეულად მომუშავე ხელოსნები ამ რიცხვში არ შედიოდნენ. 1860-იანი წლების დასაწყისში თბილისში არსებობდა ორიოდ მეტი მექანიკური სახელოსნო გერმანელ ზეინკლების მიერ მოწყობილი.

1863 წლის ცნობით, კერძოდ თბილისში, წარმოებათა შორის ყველაზე მეტი იყო აგურხანები, რიცხვით 60, წლიური პროდუქციით 228 ათ. მან. ღირებულებისა. დანარჩენი წვრილ-წვრილი "ქარხნების" (სამხერხაობის, საპნისა, კრამიტის, ლუდის, სანთლის, თამბაქოსი და სხვ.) პროდუქცია შეადგენდა 239 ათ. მანეთისას.

(აგურხანების ასეთი დიდი რაოდენობა თბილისში, უკეთ, მის განაპირა ადგილებში, ქალაქის ზრდის მაჩვენებელია. მაგრამ ქალაქი იზრდებოდა, როგორც კავკასიის სანამესტნიკოს ადმინისტრაციული ცენტრი (სამოქალაქო და სამხედრო თვალსაზრისით). ამიტომ თბილისის ზრდა არ იყო გამოწვეული საქართველოს ეკონომიური განვითარებით, რომელიც ჯერ კიდევ ჩამორჩენილ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამავე მიზეზით თბილისის სავაჭრო ბურჟუაზიის ზრდაც ხელოვნური მიზეზით აიხსნება — მათ ხელში გადადიოდა სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა იჯარებით (პოდრიადებით) მოპოებული ფული, რომელიც დიდი რაოდენობისა იყო. რუსეთის ამიერ-კავკასიაში, როგორც განაპირა ქვეყანაში, უფრო ოსმალების მეზობლობის გამო, დიდძალი ჯარი ჰყავდა დაყენებული, რომელთა შექანაზი ხარჯები იმპერიის საერთო სახსრებიდან იფარებოდა (ადგილობრივი შემოსავალი უნდებოდა მმართველობას და სამეურნეო-კულტურულ საჭიროებებს). რუსეთიდან შამოტანილი ამ ფულით მდიდრდებოდა ადგილობრივი მოვაჭრე ბურჟუაზია, რომელსაც მოპოებული სახსრებით შემოჰქონდა რუსეთიდან და ნაწილობრივ უცხოეთიდან თბილისის მომსახურებისათვის საჭირო საქონელი.)

თბილისში სახელოსნო საქმიანობაში ჩაბმული იყო 1256 ხელოსანი, რომელთაც ჰყავდათ 344 შვირი. ეს ხელოსნები იყვნენ ფეხსაცმელთა მკერავნი (201 კაცი), მეპურეები (200 კაცი), თერმ-მკერავები (142 კაცი), ბაყლები (193 კაცი), მჭედლები (128 კაცი), ოქრომჭედლები (120 კაცი), იარაღის მკეთებელნი (30 კაცი) და სხვ. (მთავარ სახელოსნო წარმოებათ ამ დროს შეადგენდნენ ოქრომჭედლობა (ვერცხლითურთ), იარაღის კეთება, ადგილობრივი ტანისამოსის და ფეხსაცმელის დამზადება. თბილისის სახელოსნოების ნაწარმი ვრცელდებოდა თვით ქალაქში და ახლომხლო მაზრებში (ე.ი. თბილისის გუბერნიამი). ამ ნაწარმის მნიშვნელოვნად გატანას ამიერ-კავკასიის სხვა

მხარეებში, ოფიციალური ცნობით, ადგილი არ ჰქონდა. გამოდის, რომ თავისი სიძლიერით და მნიშვნელობით თბილისის სახელოსნო წარმოებას ეხლაც არ ჰქონდა მიღწეული ის დონე, რომელიც ახასიათებდა თბილისის წარმოებას ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის წინა ხანაში და კერძოდ 1780-იან წლებში, როდესაც თბილისის სახელოსნოთა ნაწარმი გაქონდათ თითქმის ყველგან კავკასიაში. მაშინ თბილისში იყო საკმაოდ მოზრდილი ქარხნები, ეხლა კი არცერთი ამგვარი არ იყო.

მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში ეხლა ბევრად უფრო მეტი იყო ფელიანი დიდ-ვაჭარი, მაგრამ თუ საიდან გაჩნდა მათი შექმნა, ეს ჩანს შემდეგი იმდროინდელი ოფიციალური ცნობიდან: "თბილისელი კაპიტალისტები მისდევნენ განსაკუთრებით სახაზინო იჯარების (პოდრიადების) აღებას და თბილისის მცხოვრებთა ყველა მნიშვნელოვანი სიმდიდრე ამ საშუალებით არის მოპოებული". თბილისში იყო, მაშასადამე, მოვაჭრე-მოიჯარადრე ბურჟუაზია, რომელიც ადგილობრივად წარმოების განვითარებას არ მისდევდა და ეხლა უკვე მეტ წილად რუსეთიდან და აგრეთვე უცხოეთიდანაც შემოტანილ მზა საქონლით ვაჭრობას კმაყოფილდებოდა.

1861 წელს გენ. ივ. ბაგრატიონ-მუხრანელმა "მიჰყო ხელი ფერმის აშენებასა ევროპის წესზედ. ამა ჰაზრით ენიაზმა მუხრანსკიმ დაიჭირა ჯამაგირითა სწავლული ფრანცუზი აგრონომი, დაიბარა საუკეთესო მაშინები და იარაღები, დაიწყო სოფლებში შენობაები, ერთი სიტყვით დააწესა ყოველივე რაც არის საჭირო კარგად-მომართულის ევროპიულისა ფერმისათვის. ესრეთვე მოიქცა ქუთაისის ახლოს მდიდარი მოსკოვის ვაჭარი ონანოვი, რომელსაც გამგებლად ჰყავს აქაური სწავლული აგრონომი (ივ.) ხატისოვი".

ბაგრატიონ-მუხრანელის ფერმა იყო ქანის პირზე, ხოლო ონანოვისა — ვარდციხეში. ბაგრატიონ-მუხრანელმა შემოიღო თავის მამულში რკინის, შუმანის, ამერიკული გუთანი. "ესრეთისა გვარისა გუთანი, სწერდა თვით ივ. ბაგრატიონ-მუხრანელი, დიდად სახმარია ჩვენისა ქვეყნისათვის, რადგანაცა ხნავს უკეთესად და შრომა მოხვნისა ოთხჯერ უფრო ნაკლები ჯდება ქართულსა გუთანზედ. ფასიცა ამა გუთნისა დიდად ნაკლებია ჩვენსა გუთანზედა... გუთანი შუმანი ფასობს სამ თუმნად და რვა მანეთად მაშინ როდესაც ჩვენი გუთანი ქართული იყიდება ხუთ თუმანზედ მეტად... ორისა უღლითა ანუ ოთხისა ხართა შებმულმან გუთანმან შუმანისა მოხნა ექვს ვერშოკიანისა სიღრმეზედ იმოდენივე მინდორი, რასაც მოხნავს ქართული გუთანი რვა უღლითა შებმული...".

კონსტ. მამაცოვი (მამაცაშვილი) 1862 წელს წერდა "გუთნის-დედის" მეხუთე ნომერში: "ჩვენი სიღარიბის მიზეზი ამ საუკუნის დაწყებამდის იყო ჩვენი მოუსვენებელი ცხოვრება. სამოცი წელიწადი მეტია საქართველოში მშვიდობა არის, მაგრამ ამ მშვიდობით ჩვენ ვერა ვისარგებლეთ რა უსწავლელობის გამო. თუმცა ზოგნი ამბობენ, რომ მიზეზი ჩვენის სიღარიბისა უფულობა არის, მაგრამ როგორც მე ვსცან, ფულიც ბევრი დახარჯულა ჩვენის მამულის პატრონებისაგან სრულებით უნაყოფოთ. უპირველესად ფულისა კაცისათვის (საჭირო) არის სწავლა".

რადგანაც თბილისი იყო ერთად ერთი მოზრდილი ქალაქი საქართველოში, ამიტომ მის მიხედვით შეიძლება აზრის შედგენა საერთოდ ხელოსნების მდგომარეობის შესახებ საქართველოში. მკერავი ხელოსნები და მათი შეგირდები 1874 წელს შოულობდნენ თბილისში თვეში 10-45 მანეთს, ღურ-გლები 10-30 მანეთს (ჭამა-სმა დამქირავებლის იყო), კასრების გამკეთებელნი — 12-დან 20 მანეთამდის და ასე სხვ.

180. მრეწველობის და საზაბრიკო-საპარხნო მუშაების წარმოქმნა თბილისში. 1860-იანი წლების

დასასრულამდის თბილისში არც ერთი ფაბრიკა-ქარხანა არ იყო ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ამ დროს ნამდვილ დიდი ქარხნებში მანქანები მუშაობდნენ და ასე თუ ისე და ცოტად თუ ბევრად შრომის მექანიზაცია იყო გატარებული. ამიტომ ქარხნებში შედარებით სახელოსნოებთან მუშების შრომა უფრო გარკვეულ წესზე იყო აგებული და უკეთესად იყო ნორმირებული. ამით საფუძველი ეყრებოდა კაპიტალისტურ წარმოებას სამრეწველო მუშაებით.

დიდი მრეწველობის დასაწყისად თბილისში (მანქანების მოხმარებით) უნდა ჩაითვალოს 1872 წელი, როდესაც იქ დაიწყო მუშაობა მირზაშვილ-მირზოევის მიერ გაშენებულმა ნარმის დიდმა ფაბრიკამ. ფაბრიკა დაჯდა მილიონ მანეთამდის ვერცხლით. მის გამმართავი და ხელმძღვანელი ხელოსნები გამოწერილი იყვნენ ინგლისიდან. ინგლისიდანვე იყო ჩამოტანილი მანქანები. თავდაპირველად ფაბრიკაში მუშაობდა 400-მდის მუშა და ბავშვი. შემდეგ მათი რიცხვი ავიდა 800-

¹ გუთნის დედა, 1862 წლის №1

მდის, 1874 წელს კი ისევ 400 იყო, ამათგან ნახევარი მცირე წლოვანი ბიჭი და გოგო (12-17 წლისა). მუშების მეტი წილი იყვნენ თბილისელი სომხები, შემდეგ ქართველები, სპარსელები, მცირედ იყვნენ რუსებიც. სამუშაო დღე დასვენების გამოკლებით იყო 12 საათი. ორი მთავარი ინგლისელი ხელოსანი ღებულობდა 2 ათ. მანეთს წელიწადში; ოთხი რუსი ხელოსანი თითო 70-100 მანეთს თვეში; მანქანებთან მომუშავე და სხვა მუშები შოულობდნენ დღეში 30-60 კაპ. ანდა 30-არშინიან ნაჭერ ნარმაზე 30 კაპიკს; მცირეწლოვანთ გასამრჯელო იყო 15-35 კაპ. დღეში.

1873 წელს, თამბაქოს წარმოებისათვის ახალი შეღავათიანი წესების შემოღების შემდეგ, თბილისში გაიხსნა თამბაქოს 16 ფაბრიკა, სადაც იყო 900-მდის მუშა, მათ შორის 400 მცირეწლოვანი. თითო ფაბრიკაში იყო 20-140 მომუშავე. სამუშაო დღის ხანგრძლივობა დასვენების გამოკლებით იყო 11 1/2-12 1/2 საათი. მცირეწლოვანნიც მუშაობდნენ არა ნაკლებ 12 საათისა. ხელფასი იყო დაახლოებით იგივე, რაც მირზაშვილის ფაბრიკაში.

181. საქართველოს კაპიტალისტური ბანკოთმარობა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კაპიტალისტური განვითარებისათვის რკინიგზების გაყვანას. მალე ბატონყმობის გაუქმების შემდეგ დაიწყო მუშაობა ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანაზე. ეს გზა გაიხსნა 1871 წელს. 1877-78 წლის რუს-ოსმალის ომების შედეგად, რომელიც გათავდა რუსეთის გამარჯვებით, შემოერთებულ იქნა ბათუმის, არტანის (არდაგანის) და ართვინის მხარეები. ბათუმი მანამდის (ოსმალების ხელში) უმნიშვნელო პატარა ქალაქს წარმოადგენდა. ესლა კი ის სწრაფად გადაიქცა ამიერ-კავკასიის მთავარ ნავსადგურად შავი ზღვის სანაპიროზე. 1883 წელს დამთავრდა და გახსნილ იქნა ბათუმ-ბაქოს რკინიგზა და ამგვარად საქართველო რკინიგზითაც დაუკავშირდა რუსეთს. 1895 წ. დამთავრებული იქნა რკინიგზის ჭიათურის შტო. კაპიტალიზმის განვითარების თვალსაზრისით საყურადღებოა ის, რომ 1876 წლიდან 1879 წლამდის ქ. თბილისში ფაბრიკების, ქარხნების და მსხვილი სახელოსნოების რიცხვი გაიზარდა 141-დან 214-მდის. ამავე ხანაში წვრილი სამრეწველო სახელოსნოებიც თბილისში გაშრავდა 1160-დან 1860-მდის. 1887 წელს თბილისის გუბერნიაში ფაბრიკა-ქარხნების და მსხვილი სახელოსნოების რიცხვი შეადგენდა 1523, სადაც მუშაობდა 6107 მუშა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში ბათუმის მხარითურთ იყო 610 სამრეწველო საწარმოო 6208 მუშით. 1894 წლისათვის თბილისის გუბერნიაში ფაბრიკა-ქარხნებში და სამრეწველოებში დაბანდებული იყო 12.500 მუშამდის, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში კი 10.300-მდის. თვითონ წარმოებათა რიცხვი შეადგენდა 1894 წელს თბილისის გუბერნიაში 1500-ს 4,5 მილიონი მანეთის პროდუქციით, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 1897-ს (მათ შორის თითქმის ნახევარი იყო არყის გამოშდელი წვრილი წარმოებანი) თითქმის სამი მილიონი მანეთის ღირებულების პროდუქციით.

ჯერ კიდევ ბატონყმობის გადავარდნამდის დაიწყო ტყიბულის ქვანახშირის დამუშავება. 1847 წელს ტყიბულის სამადნოებიდან ამოღებულ იქნა 700 ტონა ქვანახშირი, 1870 წ.-2,4 ათ. ტონა, 1880 წ. -10 ათ. ტონა და 1900 წ. - 66 ათ. ტონა. ამის შესაბამისად იზრდებოდა ტყიბულის მადარობებში დაბანდებული მუშების რიცხვი. 1887 წელს ამ მადარობებში მუშაობდა 145 მუშა, ხოლო 1900 წელს კი 700-ზე მეტი.

1870-იან წლებში დაიწყო ჭიათურის მარგანეცის დამუშავება. 1880 წელს ამოღებულ იქნა 4200 ტონა მარგანეცი, 1885 წელს - 60.000 ტონა, 1897 წელს - 200.000 ტონა და 1900 წელს 660.000 ტონა. ჭიათურის მარგანეცის წარმოებაში უმთავრესად დაბანდებული იყო უცხოეთის კაპიტალი.

182. ვიწრო დასი. 1866 წელს დაარსდა გაზეთი "დროება" გიორგი წერეთლის, სერგი მესხის და სხვათა მონაწილეობით. ამ გაზეთის გარშემო თავშემოყრილნი იყვნენ ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულების ევრეთ წოდებულ მეორე დასის პირნი და მკაცრად იყვნენ განწყობილნი მსხვილ მფლობელ თავად-აზნაურობის წინააღმდეგ. ამავე მიმართულებისა იყვნენ ყურნალი "მნათობი" 1869-72 წლებში და ნიკო ნიკოლაძის ყურნალი "კრებული" - /1871-1873 წლებში/.

მეორე დასი დიდ მნიშვნელობას აძლევდა ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას ჩვენში და ჯერ კიდევ 1872 წელს "კრებულ"-ში დაბეჭდილ წერილში გ. წერეთელი აღნიშნავდა ახალი ეკონომიური წყობილების /ე.ი. კაპიტალისტური ხანის/ დაწყებას ჩვენში.

თავად-აზნაურობას ეს მიმართულება უყურებდა მეტად უარყოფითად. მეორე დასისათვის დამახასიათებელია 1873 წელს გიორგი წერეთლის მიერ "კრებულ"-ში დაბეჭდილი წერილი, რომელშიაც ის

ამტიციებადა, რომ არცერთ წოდებას წარსულში ჩვენი ქვეყნის წინაშე არ გამოუჩინია იმდენი ღალატი და უზნეობა, რამდენიც ქართველ თავადაზნაურობას აქვს ჩადენილი. ძველი დროიდანვე ჩვენს ქვეყანას ღუპავდა ამ ბოროტი წოდების უსამართლობა, რომ თავადაზნაურობას არა აქვს არც შრომისა და არც განათლების უნარი. ამიტომ ის ღარიბდება და ჰკარგავს თავის ფესქვეშ ნიადაგს.

თავადაზნაურობის დასუსტება გიორგი წერეთელს მიაჩნდა თავისი დროის ერთერთ აუცილებელ მოვლენად. მთელ თავის იმედს ის ამყარებდა მშრომელ ხალხზე და განათლებულ ახალგაზრდობაზე. ამ მიმართულების მიმდევართ ძლიერ ემინოდათ ხალხთა ფართო მასების გაპროლეტარების, მაგრამ იმავე დროს ისინი დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებასაც. ამიტომ ისინი ქადაგებდნენ შრომის არტელების და ურთიერთდამხმარე კოოპერაციების დაარსებას.

მეორე დასი ამასთანავე გულაცრუებული იყო ცარისტულ რუსეთზე და დასვერობის კაპიტალისტურ ქვეყნებისაკენ იხედებოდა. სანიმუშოდ დამახასიათებელია ამ მხრივ მეორე დასის კრიტიკული მიდგომა ახალგაზრდობის მიერ რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის მიღებისადმი. წერილში ამის შესახებ გაზეთი "დროება" 1872 წ. /N 4/ აღნიშნავდა რომ "ათი და ოცი წლის წინათ გამოზრდილი ჩვენი ყმაწვილკაცები მხოლოდ ჩინოფიკობისათვის იყვნენ მომზადებულინი. თავიდანვე იმათ ისეთი მიმართულება ჰქონდათ მიცემული და შემდეგ სწავლასაც ისეთს იღებდნენ, რომ ან ჩინოფიკად უნდა შექმნილიყვნენ და ან სულ ტყუილ-უბრალოდ უსაქმოდ და უმიზნოდ მოეკლათ დრო. ერთს ხერიან მეოჯახეს, მეურნეობის მცოდნეს, ერთს რომლისაში ნამუშევრის ან სხვა რაიმე საგნის მწარმოებელს ვერ ნახავთ ჩვენთაგანში, იშვიათად ნახავთ ისეთს ახალგაზრდა ნასწავლს, რომელსაც თავის სწავლა რომლისაშიც კერძო საქმის დაწყებაში გამოეყენებინოს".

"ჩვენი უკანასკნელი ახალი თაობა ათასის მაგალითით დარწმუნდა რომ ჩინოფიკობა არც საკუთრივ იმათა და არც საზოგადოთ იმათ სამშობლო ქვეყანას მაგდენ სარგებლობას არ აძლევს და კეთილს არას მატებს. ეს მოსაზრება დიდი ხანია ცხადი და ადვილათ შესამჩნევი უნდა ყოფილიყო ყველა იმათთვის, რომელნიც გონებით დაბრმავებულინი არ იყვნენ და ჩვენ ნასწავლ ჩინოფიკების ცხოვრებასა და ყოფაქცევას ხედავდნენ... ეს ძველი გზა ყოველს შემთხვევაში გამოუსადეგარია და ხანდისხან მავნებელი გზა იყო".

შემდეგ ავტორი უჩვენებს რომ "ყოველგვარი ცოდნისა, განათლებისა, ცხოვრების გაუმჯობესების და წარმატების წყარო ჯერჯერობით დასავლეთ ევროპა არის. ყველა ხალხი და მათ შორის რუსებიც ამ წყაროს ეწაფებიან და აქედან გამოაქვთ ყველაფერი, რაც კი საუკეთესოა, კაცის მანუგეშებელი და წინ წამწევი ამ ხალხების ცხოვრებაში".

ამიტომ გაზეთი ესალმებოდა ზოგ ქართველ ახალგაზრდათა ლტოლვას დასავლეთ ევროპაში სწავლის მისაღებად და სწერდა: "ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ერთი დასავლეთ ევროპაში გაზრდილი ქართველი თავის სწავლითა და სამაგალითო ცხოვრებით უფრო მომეტებულ სარგებლობას შესძენს ჩვენს ღონისძიებით საწყალსა, მაგრამ ბუნებით მდიდარს საქართველოს, ვიდრე ხუთი და ათი სხვა ქვეყანაში /იგულისხმება რუსეთში/ გამოზრდილი".

საერთოდ მეორე დასის, ისე როგორც პირველი დასის პოლიტიკურ იდეალს უფრო მეტად შეადგენდა საკუთარი სახელმწიფო ცხოვრების მქონე საქართველო თუნდაც რუსეთის იმპერიის ფარგლებში დარჩენით. ისინი საქართველოსთვის ფართე ავტონომიის მომხრენი იყვნენ. ამით ისინი განსხვავდებოდნენ პირველი დასის მეთაურის ილია ჭავჭავაძისაგან, რომელიც საბოლოო მიზნად რუსეთისგან საქართველოს გამოყოფას ისახავდა. ხოლო რადგანაც ამისი განხორციელებაც მაშინდელ პირობებში შეუძლებელი იყო, ამიტომ როგორც პირველი, ისე მეორე დასი მხარს უჭერდნენ რუსეთულ ყოველგვარ რადიკალურ მიმართულებას, რომელიც კი მიზნად ისახავდა რუსეთის ცარიზმთან ბრძოლას და მის დაშობას.

მეორე დასის გვერდით მალე გაჩნდა რუსეთის ორიენტაციის მომხრე გლეხური ჯგუფი ეგრეთ წოდებულ ქართველ ხალხოსანთა სახით.

183. ქართული ხალხოსნები ჯერ კიდევ 1860-იან წლების დასასრულში და 1870-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ზოგიერთ წრეებში რუსეთის ნაროდნიკების უშუალო გავლენით ფეხს იკიდებს ხალხოსნური იდეები. 1872 წლიდან ქართველ ხალხოსნებს უკვე ჰქონდათ თავისი ორგანიზაცია. მათი მუშაობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი ეწეოდნენ პროპაგანდას სოფლებში, აარსებდნენ პატარა წრეებს და თარგმნიდნენ ქართულად სათანადო ლიტერატურას /ამ მიმართულების მიმდევარნი იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ზდანოვიჩი, რომლის ლიტერატურული ფსევდონიმი იყო

მაიაშვილი, მისიელ ყიფიანი, ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი და სხვანი/. ეროვნულ საკითხში გარკვეული პროგრამა მათ არ ჰქონდათ. მათი მიზანი იყო გლეხური სოციალური აჯანყების მომზადება. მაგრამ თვით გლეხობაში დიდი ღიფერენციაცია იყო იყენებდნენ გლეხობაში შეძლებულნი, საშუალო შეძლების და ღარიბნი ამიტომ მთელი ეს მოძრაობა იყო უტოპიური და უნიადაგო, რადგანაც არ ემყარებოდა პოლიტიკურად ორგანიზებულ რაიმე სოციალურ ძალას. რუსულმა ხელისუფლებამ ქართველ ხალხოსნების წინააღმდეგ მიმართა რეპრესიებს, რის გამოც ნაწილი მათგანი გადასახლებულ იქნა ციმბირში.

184. სათემო მიწათმფლობელობა. ბატონყმობის დროს საქართველოში, განსაკუთრებით აღმ. საქართველოში, სოფლად მეტწილად შემონახული იყო სათემო მიწათმფლობელობა. მემატონეები ცდილობდნენ სათემო მიწათმფლობელობის შეზღუდვას ან გაუქმებას, თვით სოფლის სათემო მიწების თავისთვის მითვისებას, მაგრამ ყველგან ვერ აღწევდნენ მიზანს. დას. საქართველოში უფრო ადვილად მოხდა გლეხების გადაყვანა საკომლო მფლობელობაზე სათემო საკუთრებად მხოლოდ მიწის ნაწილის დატოვებით, და ისიც ყველგან არაა. ბატონყმობის გაუქმების რეფორმამ ერთის დაკვირვით გადაწყვიტა ეს საკითხი. საბატონო გლეხებს მიეცათ კომლებად დროებითი ვალდებულების პირობით თავიანთი ნადელები, დანარჩენი მიწა კი აღიარებული იქნა მემატონის კუთვნილებად. ყოფილ საბატონო სოფლებსა და გლეხებში სათემო მიწის მფლობელობა, სადაც კი ასეთი კიდევ არსებობდა, თავისთავად მოისპო. დარჩა სახელმწიფო გლეხებით დასახლებული სოფლები, სადაც სათემო მიწათმფლობელობა აღმ. საქართველოში მაინც მეტწილად ჯერ კიდევ შემონახული იყო. ღარიბი გლეხები დაინტერესებული იყვნენ სათემო მიწათმფლობელობის შენარჩუნებით, შეძლებულნი და მდიდარნი კი, პირიქით. მიზეზი იყო ის, რომ შეძლებულთ უკვე ჰქონდათ სათემო მიწებიდან ბლომად დაჩემებული ფართობები სწორად საუკეთესო ხარისხის და ამიტომ ისინი მიწების ხელმეორედ გადანაწილების წინააღმდეგნი იყვნენ. ღარიბები კი, რომელნიც სოფლის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ, პირიქით, დაინტერესებულნი იყვნენ, რომ სათემო მფლობელობის საფუძველზე განახლებულიყო მიწების თანაბარი გადანაწილება. შეძლებულ გლეხთა საწინააღმდეგოდ ღარიბები ეხლა მასობრივად თხოულობდნენ მიწების ხელახლა გადანაწილებას. ზოგ ადგილას ღარიბები ამ მიზნით ახერხებდნენ სოფლის მამასახლისად თავისიანის გაყვანასაც /უმეტეს ნაწილად მამასახლისებს ირჩევდნენ ბობოლა გლეხთაგან/. ზოგ სოფლებში (ქართლსა და გარე კახეთში 1872 წელს და ამის შემდეგ) მოხდა კიდევ მიწების თანაბარი განაწილება, რითაც ბობოლა გლეხების უმცირესობა ძლიერ უკმაყოფილო იყო. ქიზიყში, სადაც თავიდანვე საკომლოებთან ერთად არსებობდა სახნავ-საძოვარი მიწების თემური მფლობელობა, 1880-იან წლებში წარმოებდა დიდი ბრძოლა მიწების გადანაწილებისათვის. თითქმის ყოველ სოფელში ღარიბი გლეხები მოითხოვდნენ მიწების თანაბრად გადანაწილებას და ამას თვით სოფელში თავისი ერთსულოვანი მოთხოვნით მეტწილად აღწევდნენ კიდევ. ბობოლა გლეხები, რომელთაც მითვისებული ჰქონდათ მეტი მიწები, იძულებული ხდებოდნენ უმრავლესობისათვის დაეთმოს და დათანხმებულიყვნენ სათემო მიწების თანაბარ გადანაწილებაზე. გამოდიოდა, რომ ქიზიყში 1880-იან წლებში მიწათმფლობელობის საკითხში ხდებოდა უკანსვლა. სახელდობრ, მტკიცდებოდა თემური მიწების თანაბარი გადანაწილება, ეი. მტკიცდებოდა და მაგრდებოდა თემური ცხოვრება, რაც კაპიტალისტურ ხანაში უკან დახევას წარმოადგენდა. სათემო მფლობელობა ხელს უშლიდა მეურნეობის ინტენსიფიკაციას, მიწის განაყოფიერებაზე ზრუნვას. გლეხმა არ იცოდა, თუ ახალი გადანაწილების შემთხვევაში მას რომელი მიწა შეხვდებოდა და ამიტომ მიწის განაყოფიერებაზე ზრუნვა მას ზედმეტად მიაჩნდა. თემური მიწათმფლობელობა მეტად საძნელოდ ხდოდა კაპიტალისტურ პირობებში სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას იმ მხარეებში, სადაც ასეთი მფლობელობა არსებობდა. ამიტომაც სოფლის მეურნეობის პროგრესული სპეციალისტები მოითხოვდნენ ძველი დროის წესებზე აღდგენილი თემური მიწათმფლობელობის დაშლას და გაუქმებას.

XIX ს-ნეში აღმ. საქართველოს იმ ადგილებში, სადაც უმთავრესად სახელმწიფო გლეხებს შორის თემური მიწათმფლობელობა იყო, კვლავ ჩნდება ამ მფლობელობის შესუსტების ტენდენცია. ახლად გადანაწილებული მიწების რამოდენიმე წლის შემდეგ კვლავ გადანაწილება მეტ წილად უკვე არ ხერხდებოდა. მიწა ხდებოდა გლეხის ფაქტიურ საკუთრებად იმ შეზღუდვით, რომ სახელმწიფო გლეხს არ შეეძლო, არსებული წესის თანახმად, მის განკარგულებაში მყოფ სახელმწიფო მიწის გაყიდვა გარეშე პირზე. არასახელმწიფო გლეხზე ასეთი მიწის მყიდველად შეიძლება ყოფილიყო სახელმწიფოვე გლეხი. სინამდვილეში კი ეს არ სრულდებოდა და გლეხები ყიდდნენ მათ განკარგულებაში მყოფ სახ-

აზინო მიწებს არა სახელმწიფო გლეხებზედაც. თუმცა გამონაკლისად, მაგრამ იყო შემთხვევები, რომ სასამართლოც ადასტურებდა ასეთ ყიდვა-გაყიდვას.

ამგვარად სახელმწიფო გლეხებს შორისაც ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ და განსაკუთრებით 1880-იან წლებიდან ადგილი ჰქონდა სათემო მიწათმფლობელობის საკითხში რყევას. სათემო მფლობელობას ებლაუჭებოდა ღარიბი გლეხობა, მაგრამ თვით ცხოვრება ამ სათემო ფლობელობას ძირს უთხრიდა.

მემკვიდრეობის შესახებ არსებული კანონიც ხელს უწყობდა მიწის საერთო მფლობელობის დარღვევას. კანონით ქვრივს უფლება ჰქონდა მიეღო ქმრის ქონების 1/7. გარდა ამისა ქალიშვილებს ხშირად გაჰქონდათ მამის ქონებიდან თავისი წილი. იყოფოდა მიწაც, რომელიც ამგვარად ხდებოდა სხვა ოჯახის საკუთრება და სხვა.

185. ყოფილი საბატონო გლეხების მდგომარეობა საბლუხო რაზორების შემდეგ. საგლეხო რეფორმის ცვლილებები არ შეუტანია სახაზინო გლეხების მდგომარეობაში /ყოფილი საეკლესიო გლეხები 1850 წლიდან აღმ. საქართველოში სახაზინოებად იყვნენ გადაქცეულნი/. მაგრამ ძლიერ ცუდი იყო შედარებით მათთან ყოფილი საბატონო გლეხების მდგომარეობა, რადგანაც ისინი ძნელად ახერხებდნენ, მცირე ნაწილის გარდა, დროებით ვალდებული მდგომარეობიდან თავის დაღწევას. ამიტომ ამ გლეხების უმეტესობის მდგომარეობა ძლიერ მძიმე იყო. ქართულ სამეურნეო გაზეთ "გუთნის-დედა"-ში 1873 წ. N 14 ანტონ ფურცელაძე წერდა: "ჩვენ, რაკი გარეშე მტრისაგან მოგვეცა სიმშვიდე, ვიწყეთ მრავლობა, ასე რომ ამ 70 წლის განმავლობაში ვიმატეთ ერთი ორათ, ერთი სამათ. გარდა ამისა ჩვენს მამულებზედ დასახლდნენ უცხო ტომის ხალხნიც: სომეხნი, ბერძენნი, თათარნი, ოსნი, რუსნი და სხვ., ასე რომ ამ მოკლეს ხანში ჩვენს მამულს დაესხა ერთი ოთხად, ერთი ხუთათ მეტი ხალხი. მამული კი დარჩა იგივე, მამულის სამუშაო იარაღი და ღინისძიებანი იგივე თარგამოსის დროსნი. მამული, რომელიც აქამდისინ ორს-სამს წელიწადში ერთხელ ძლივს იხენოდა, დღეს იხენის ყოველწლივ უპატიოთა და თესლმეურჩეველივ. მაშასადამე, ამ ხალხის გამრავლებასთან მამულებს მოსავალიც უნდა მოეკლოთ, რაკი პატივი არა ჰქონდათ და არც დასვენება ეძლეოდათ. სახელმწიფო და საბატონო გადასახადებმა ერთი ოთხათ, ერთი ხუთათ იმატეს"...

ამასთან დაკავშირებით "მამული ახირებულათ გაძვირდა". ეს მით უფრო უნდა მომხდარიყო, რომ ჩვენნი ქართველი კაცი ხენა—თესვის გარეთ, მეტადრე ქართლ-კახელი კაცი, არა საქმეს ხელს არა კიდებს და არა საქმე /მას/ არ ემარჯვება. ეს ამოდენა ხალხი აწევება მამულს უცოდნულათ, უწყსოთ, უგლაგავა იარაღით, უხარისხით. ამის გამო მამულების სალალოდ აღების დროს სწორეთ საცოდლობის ლულს რომ იტყვიან, საცოდლობის ლული ბრუნავს ხოლმე ჩვენს ზოგიერთ სოფლებში, მეტადრე სადაც წერილი მებატონეები სცხოვრობენ. ბევრგან გლეხი-კაცი იღებს მამულს სანახევროთ და ამაშიაც კიდევ ქრთამს აძლევს მეპატრონეს. მე თვითონ მინახავს, რომ გარდა ამისა, სანახევროთ აეღოთ გლეხებს მამული, კიდევ დღიურზედ ხუთი მანეთი ქრთამი გაეღოთ — ოღონდ ჩვენ მოგვახენვენი მამული".

შემდეგ ავტორი ანგარიშობს თუ ფულზე გადატანით რა უჯდება ქართლ-კახელ გლეხს პური დათესილი ერთი დღიურის დახენა თავისი გუთნით, დაფარცხვა, მომკა, კალო საბძლის ხარჯი პურის შესანახად ორმოს ხარჯი და სხვა ხარჯი. სულ გამოდის დღიურ მიწაზე ხარჯი 16 მანეთი და 1 შაური. მოსავალი კი არის საშუალოდ რვა კოდი პური /კოდი ოთხი ფუთი და ფასად ორი მან. და ათი შაური/ ანუ ოცი მანეთი. მაგრამ ამ ოცი მანეთიდან მეოთხედი მიჰქონდა მებატონეს, დარჩენილი 15 მანეთიდან 1/10 უნდებოდა მეწისქვილეს, პურის ადგილზე ჩატანაც კოდზე ორი შაური, სულ რჩებოდა ცამეტი მანეთი, ე.ი. ყოველ დღიურზე გლეხი ზარალობდა 1/16 მან.-13 მან/ სამ მანეთს.

მაგრამ გლეხს ჰქონდა სხვა ხარჯებიც. "სოფელს, წერდა იგივე ავტორი იქვე N 15-ში, ისე სახელმწიფო დებულება არ ამძიმებს, როგორც შენახვა ალაგობრივ მმართველობისა და სამოსამართლო მოსამსახურეთა და მოხელეთა. ყველა პოლიციის პრისტავი, ყველა უეზდის უპრავლენისა, მიროვოი სუდისა და პრისტავების იასაულები, სუდებნი პრისტავები მომეტებული ნაწილი და იმათი იასაულები თავისის მხლებლებით და ცხენებით სოფელში მოსვლის დროს სცხოვრობენ გლეხების ხარჯზედ უფასურათ და ესენი თითქმის გამოუღეველნი არიან ყველა სოფელში. ცხენების დასუქება და თავისი თავის დასუქება ამათ უნდათ სოფლებში, სადაც იციან, რომ არაფინ პასუხისმგებელი და წინააღმდეგი არა ჰყავთ. ერთი ყმაწვილის ბიჭის ჩვენებით, რომელთანაც მე ამ დღეებში მქონდა ლაპარაკი, იმას წელიწადში ხვდება უკანასკნელი თხუთმეტი ჯერი მანც იასაულებისა და პრისტავების გასტუმრე-

ბისა. ისეთი რა ჯერი იქნება, ერთი ქათამი — მაინც არ იყვეს, ერთი თუნგი ღვინო, ერთი ზურგი თივა თავისის ქერი, ერთი ხუთი პური მაინც და სხვა. ყველა ვიანგარიშით ერთი მანეთი მაინცა, ეს თხუთმეტი მანეთი ჯერ უბრალო მარტოხელა ბიჭუნად, რომელიც იყო ზემოთმოყვანილი ბიჭი. თორემ ნამდვილი ანგარიში ამ გადასახადისა ოცდახუთს მანეთზედაც წავა, რადგან ღვინოს ხშირათ არაყიც მოსდევს, ქათამს სხვა ბევრი რამეცა, მაგალითად ერბო, კვერცხი, მწვანილი, ბოსტნეული და სხვ."

ასეთ მდგომარეობაში ჩაგარდნილ გლეხს არაფერ ჰყავდა გამამხნეველი, მზრუნველი და წინამძღოლი. არ იყო სოფლებს შორის გზები, რაც ნამდვილ უბედურებას წარმოადგენდა და სხვ. და სხვ. ავტორი ქართველი ხალხის ფართე მასის /გლეხობის/ დაფარდის ერთერთ მიზეზად ასახელებს ხალხისთვის უცხო, რუსულ ჩინოფნიკურ მართებლობას. წინანდელ საქართველოშიო "ყველა იყო თავის თავზე დაძვარებული, ყველა გამხნეებული და გაფარჯიშებული თავის საქმეებში, იყო თავის თავზე დაიმედებული... ამის გონებას არა სჩაგრავდა მაშინდელს დროს მოურეველი ძალა. არც ბატონისა, არც სხვადასხვა წესთა მცველებისა. ვინც გაბედავდა მის დაჩაგრვას, ის მალე დაუმტკიცებდა, რომ ამის დაჩაგრვა არ იყო ადვილი და შენანებდა იმას ამგვარს გაბრიყვებას... დღეს ჩვენი კაცი ყველას ამას მოკლებულია. ის ნიადაგ ჩასცქერის შავს მიწას, რომლის მოსავლის არც კი აქვს იმედი, რომ იმას დარჩეს. დღეს იმის მაგივრათ სხვა ფიქრობს და ზრუნავს და არც კი აქვს იმის ნება, რომ თვით შევიდეს თავის საჭიროების ზრუნვაში. დღეს იმას აღარ აქვს თავისი ფართო მინდვრები, შეუვალი ტყეები, სავსე ქვევრები და ორმოები. დღეს ის უცხო კაცს აღარ უყურებს ისე, როგორც კაცს რომლისაც პასუხისგება და მორევნაც შეუძლია მას. ამისთვის ახლა ეს კაცი არის ჭკუაცა, გონებაც, ძალაცა, სამართალიც, რომლის წინაშე ეს სრულიად უნდა იყოს გამქრალი და გაქარწყლებული.

¹ "აი სხვათაშორის მიზეზი, რომელმაც დაჰბადეს ჩვენი გონებით, ზნობით და აგებულებით დამცრობა და გაწიოკება და რომელიც აბრკოლებს ჩვენი მეურნეობის წარმატებასაც".

186. ბათუმის და ყარს-არტანის მხარეების შეერთება რუსეთთან. 1877-1878 წლ. რუსეთსა და ოსმალეთს შორის წარმოებდა ომი, რომელიც დამთავრდა რუსეთის გამარჯვებით. ამ ომში რუსეთის მხარეზე ქართველობაც ღებულობდა მონაწილეობას თავისი მოხალისე რაზმებით. რომელნიც იბრძოდნენ კავკასიის ფრონტზე.

სხვაგვარად შეხვდა ამ ომს აფხაზეთი; აფხაზეთის ცხოვრება ჯეროვნად მოწყობილი არ იყო. მთავრობის მიდრეკილება რუსეთის საერთო მმართველობის წესის დამყარებისადმი, რაც ხშირად ადგილობრივ პირობებთან და ჩვეულებებთან შეუთანხმებლობას ქმნიდა, ბადებდა ხალხში დიდ უკმაყოფილებას. ადგილობრივ პირობების ჯეროვნად მხედველობაში მიუღებლობის გამო რუსის მართებლობამ, ამასთანავე, ვერ მოახერხა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მიწის საკითხის სასურველად მოწყობა.

ყველა ამ მიზეზისა გამო ხალხი უკმაყოფილო იყო რუსული მმართველობით. 1877 წ. მისში რუს-ოსმალის ომის დროს ოსმალთ გადმოსხეს ჯერ მუჰაჯირების, ე.ი. გადასახლებულთა (აფხაზეთიდან 1866 წ. წასულ აფხაზთა) რაზმები და შემდეგ მოიყვანეს გემებით თავისი ჯარიც და გადასხეს ის სოხუმში და დასწევს ქალაქი. აფხაზეთი აჯანყდა რუსეთის წინააღმდეგ. ამავე წლის აგვისტოში რუსებმა უკან დაიბრუნეს სოხუმი და აჯანყებაც მალე ჩაქრობილ იქნა. მრავალი აფხაზი ამის შემდეგ გადასახლდა ისევ ოსმალეთს. რუსული მმართველობა ცდილობდა რაც შეიძლება მეტი აფხაზი გაეშვა ოსმალეთისაკენ და საერთოდ შავი ზღვის სანაპირო ზოლში არ დაეტოვებინა აფხაზური მოსახლეობა. როგორც წინანდელ, ისე განსაკუთრებით ეხლანდელი გადასახლების დროს, აფხაზეთმა დაჰკარგა აფხაზური მოსახლეობის თითქმის ნახევარი. გაგრის და სოხუმის მხარეები მთლად დაცარიელდნენ აფხაზებისაგან. აფხაზური მოსახლეობა ამის შემდეგ დარჩა მხოლოდ გუდაუთისა და ნაწილობრივ ოჩამჩირის მხარეში. ოსმალეთში გადასახლებულ აფხაზთაგან ბევრი გათურქდა. მაგრამ ბევრ მათგანს კი დღესაც შენახული აქვს თავისი ენა.

ომის გათავების შემდეგ ბერლინში დადებული ხელშეკრულებების მიხედვით რუსეთმა დაიპყრო მესხეთის ნაწილი, სასელდობრ, ბათუმის, ყარსის და არტანის სანჯაყები. მრავალმა ქართველმა მაჰმადიანმა აქაც არ მოინდომა რუსეთის პატრონობის ქვეშ დარჩენა და გადასახლდა ოსმალეთს. განსაკუთრებით აჭარა-ქობულეთიდან და ჭოროხის ხეობიდან. გადასახლებულნი /მუჰაჯირნი/ მოთავსე-

¹ გუთნის-დედა 1873 წ. N 13

ბულ იქნენ ოსმალეთში მარმარილოს ზღვის ახლო მხარეში და აგრეთვე ანატოლიის ჩრდილოეთ ნაწილებში.

დიდი ნაწილი სამაჰმადიანო საქართველოსი ამნაირად შეერთებულ იქნა რუსეთთან. მრავალი საუკუნის განმავლობაში დაქუცმაცებულ საქართველოს უმეტესი ნაწილი /გარდა ჭანეთისა და ტაოს ნაწილისა/ მოჰყვა ეხლა გაერთიანებულად რუსეთის ცარიზმის ქვეშ.

მაგრამ რუსეთთან შეერთებამ არა თუ არ შეასუსტა ქართველ-მაჰმადიანების გათურქება. რუსის მთავრობა ახლად შემოერთებულ ქვეყნებში ხელს უშლიდა ქართული კულტურის აღორძინებას და თავისი რუსიფიკატორული პოლიტიკით ხელს უწყობდა ქართველ-მაჰმადიანების გათურქების პროცესს, რომელიც ეხლა სწრაფად ვითარდებოდა, სამაჰმადიანო საქართველოსა, როგორც რუსეთულ მხარეებში, ისე ოსმალეთის ხელქვეით დარჩენილ ტაოსა და ისპირ-თურთუმში.

რუს-ოსმალოს ომის დამთავრებამ, თუმცა ომის დროს ქართველობას რუსეთისადმი ერთგულად ეჭირა თავი, ვერ მოუტანა ქართველობას ვერავითარი შეღავათი. ეს იყო მხოლოდ, რომ ნება დართეს დაარსებულიყო "ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" და "ქართული დრამატული საზოგადოება". წერაკითხვის საზოგადოებამ დაარსა უფრო განაპირა ადგილებში რამოდენიმე სკოლა, რომლებშიაც სწავლა, კანონის თანახმად, მიდიოდა რუსულად, მაგრამ ქართულსაც კარგად ასწავლიდნენ. ხოლო დრამატულმა საზოგადოებამ აღადგინა მუდმივი ქართული თეატრი. ასეთი განწყობილება აღრმავებდა ქართველი საზოგადოების საიმპერიო მთავრობისადმი ისედაც უარყოფით დამოკიდებულებას.

187. მოძრაობა ქიზიყში 1878 წ. რუს-ოსმალოს ომის დროს მოხდა აჯანყება ჩეჩნეთსა და დაღესტანში. ორსავე შემთხვევაში აჯანყების დაწყებას ხელს უწყობდნენ ოსმალეთის მიერ გამოგზავნილი ემისარები. ჩეჩნეთში აჯანყებას მეთაურობდა იმამად გამოცხადებული ალიბეკი. აჯანყება მოელო მის სამხრეთ, შუა და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებს. აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდა 20 ათასამდის კაცი და გრძელდებოდა ნახევარი წელიწადი. აჯანყება ჩაქრობილ იქნა 1877 წლის ნოემბერში, მაგრამ აღელვებული მდგომარეობა დაღესტანში ამის შემდეგაც გრძელდებოდა.

მთიანეთის ეს აჯანყება თავისი სიდიდით მოულოდნელი იყო მართებლობისათვის. მაგრამ რადგანაც მოელოდნენ, რომ ოსმალეთის ემისარებს შეეძლოთ მღელვარება გამოეწვიათ ამ მხარეში, ამიტომ ყოველ შემთხვევისათვის მიღებული იყო ზომები და კახეთსა და საინგილოში დიდძალი ჯარი იქნა დაყენებული. კახეთს იცავდა ვერეთ წოდებული ალაზნის გამაგრებული ხაზი, რომლის უფროსად დაყენებული იყო გენ. თავ. იოსებ ორბელიანი. ხაზის დამცველი ჯარის გასაძლიერებლად გამოწვეული იყო კახელებისაგან მილიცია. გასაწვევი მილიციონერების რიცხვს შეაწერდნენ ხოლმე ცალკე სასოფლო თუ საქალაქო საზოგადოებათ. მილიციონერები მიჰყავდათ 19-40 წლის ასაკის ისეთ ოჯახებიდან, სადაც იყო არა ნაკლებ ორი მუშახელისა. გაწვეულს უფლება ჰქონდა თავისი ბადალი, როგორც მაშინ უწოდებდნენ, წარედგინა და თავი გაენთავისებულენინა. წესით ბადალი უნდა ყოფილიყო სოფლის იმავე საზოგადოების წევრი და ჩაირიცხებოდა თვით საზოგადოებისავე თხოვნით. მილიციონერი უნდა გამოსულიყო ტანისამოს-ნაბად-იარაღით საკმარის მზადყოფი თავისი ან სასოფლო-საზოგადოების ხარჯზე. მილიციონერების ამ გაწვევით სარგებლობდა ადმინისტრაცია განსაკუთრებით სოფლისა – მამასახლისები და მწერლები და ქრთამებით ხალხს ტყაჯს აძრობდნენ. მთიანეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მილიცია ზამთრის მოახლოების გამო დათხოვნილ იქმნა, რადგანაც ზამთარში მთებში გზები თოვლის გამო ისედაც შეკრული იყო და რაიმე მნიშვნელოვანი თავდასხმა კახეთის სოფლებზე ლეკების მხრივ არ იყო მოსალოდნელი.

მაგრამ გაზაფხულისათვის მართებლობამ მოინდომა წინანდელი შეცდომის გამოსწორება და ბოროტმოქმედებათა შესანელებლად შეიმუშავა მილიციის გაწვევის ახალი, უფრო რაციონალური წესი. სახელდობრ, დგებოდა მილიციაში გასაწვევთა სიები 18-30 წლის ასაკის მქონეთა. სიები უნდა გამოცხადებულიყო შესამოწმებლად სასოფლო თუ საქალაქო საერთო კრებებზე და თვით გაწვეულთა გაყვანა კი უნდა მომხდარიყო კენჭის ყრით. ამასთანავე ტანისამოსი და იარაღი მილიციონერებს ეძლეოდა ხაზინის სპეციალური ფონდიდან. ამის მიხედვით 1878 წლის მაისში კახეთის სოფლებში დაიწყეს გასაწვევ პირთა სიების შედგენა. ხალხი, ისედაც თავმოებზრებული იყო გასულ წელს მისდამი წაყენებულ სხვადასხვა მოთხოვნათა გამო – ურმების გაყვანა თავისი ხარ-კამჭით სამხედრო საჭიროებისათვის, მილიციონერების გაყვანასთან დაკავშირებული ხარჯები ქრთამების და სხვა ბოროტმოქმედებათა მიმატებით და სხვა და ამიტომ მილიციონერების ახალი გაწვევა ახალ პირობებ-

ბში მან, ზოგ ადგილას, გაიგო თავისებურად. ქიზიყში ხმა გავრცელდა, რომ კენჭის ყრით მილიციონერების გაწვევა ამუნიციის მათთვის ხაზინის ხარჯზე მიცემით უნდა ნიშნავდეს სალდათობის, ე.ი. სავალდებულო სამხედრო ბეგრის შემოღებასო. ამ ნიადაგზე ქიზიყში მოხდა არეულობა.

4 ივნისს 1878 წ. დილით სოფ. ზემო-მაჩხაანის მამასახლისი აპირებდა სოფ. მალაროში წასვლას სამხედრო ტრანსპორტისათვის ურმების ჩასაბარებლად, მარამ უცბად გლეხების დიდი შეყრილობა შემოეხვია მას და მოსთხოვა მილიციონერების გასაწვევი სიები. მამასახლისმა მისცა მათ ამ სიების შავი, მაგრამ გლეხები მოითხოვდნენ თეთრად გადაწერილი სიის მიცემას, ხოლო რადგანაც მამასახლისს ასეთი არ აღმოაჩნდა, სასტიკად სცემეს მას და შემდეგ სოფლის გზირსაც. გლეხები ყვიროდნენ: არ მოგცემთ მილიციონერებს კენჭის ყრით. სხვები კი იძახდნენ: არ მოგცემთ მილიციონერებს სალდათებად, საიდანაც ჩანს, რომ გლეხების ამოძრავების მთავარი მიზეზები იყო მილიციონერების სალდათად დატოვების შიში.

მეორე დღეს აჯანყებულ გლეხებს მოემატნენ საფლგების ბოდბისხევის, ანაგის, ვაჭირის, საქობოს, მაჩხაანის, ბაკურციხის გლეხები – კაცები და ქალები. მათ შესახვედრად წასულმა მაზრის უფროსმა გრაფმა ტიზენჰაუზენმა მიმართა გლეხებს განმარტებით და წინადადებით დაშლილიყვენ, მაგრამ ვერას გახდა. გლეხები რიცხვით ათასამდის მივიდნენ სოფ. ბაკურციხეში, სადაც ამ დროს თავგანძობის სახლში იმყოფებოდნენ ალაზნის ხაზის უფროსი გენ. იოსებ ორბელიანი და სხვანი სამხედრო და სამოქალაქო უფროსები. იყო სამხედრო რუსი რაზმიც. ყოველგვარი დაჯერების და დაშომშინების ცდამ უშედეგოდ ჩაიარა. გლეხებმა დაუწყეს ქვეების სროლა ვანხაძის სახლს და ჩაამტვრიეს ფანჯრები, სცემეს ვერ მაზრის უფროსს ტიზენჰაუზენს, შემდეგ გენ. ორბელიანსაც და აგრეთვე თითქმის ყველა იქ მყოფ მოხელეებს, რუსებს და ქართველებს. ორბელიანს, რომელსაც ცალი ფეხი პროტეზისა ჰქონდა, სცემეს სახლის აივანზე და შემდეგ ცემითვე გადაადგეს აივნიდან მიწაზე ოთხი საფეხურის სიმაღლეზე. მაშინ ერთმა გლეხთაგანმა იშიშვლა ხანჯალი, გამოგლიჯა გენერალი გაშმაგებულ გლეხებს-კაცებს და ქალებს და შეიყვანა ის ოთახში. ორბელიანის ცემის დროს სამხედროებმა აღმართეს იარაღი, მაგრამ გენერალმა კატეგორიულად აუკრძალა მათ, რაც არ უნდა მომხდარიყო, ხალხზე იარაღის ხმარება. ეს იშვიათი თავდაჭერა და თვით სიკვდილის მოლოდინში ხალხისადმი სიყვარული დიდად დაუფასდა ქართულ საზოგადოებრობაში გენ. იოსებ ორბელიანს. რამოდენიმე თვის შემდეგ ამისა 1879 წლის დასაწყისში ხსენებული გენერალი უცბად გარდაიცვალა თბილისში. მისი სიკვდილის გამო მაშინდელი დემოკრატი მწერალი გიორგი წერეთელი სწერდა გაზ. "დროება"-ში: "მე თვალწინ მიდგას ქართველი ღენერალი, ვაჟკაცობის გულისათვის ღენერლად დაჯილდოვებული, გაბრაზებული ხალხის წინ მდგომარე, გამწარებული დედაკაცებისაგან ხელშეხებული; ნაცემი და ტანჯული გმირი უძახის გაგულისებულს თავის მხედრობას, რომელიც მზად არის ტყვეებით და შუბებით დაგლიჯოს აღელვებული ხალხის ურდო: "ნუ ესვრით, ხალხი მართალია, უბრალოა". დიდება შენს გმირობას, შენს თავგანწირულობას, ქართველო და პირველო თავადო! მაგ შენმა ქველმოქმედებამ, შენმა სულგრძელობამ გამოისყიდა შენი წოდების ათასი წლის უსამართლობა და მისგან დაღვრილი ხალხის სისხლი"...

"მაშინ იყო ისეთი წამი, როცა ერთი თოფის გაფარდნა, ერთი ხმლის მოქნევა იმის ჯვარისა ჩვენს კახეთის ხალხს მთიულებს მიამხრობდა და სულ ამოგვიყლელდა. ქვეყნის დაქცევას მან არჩია თავის საკუთარი სიკვდილი

- "გენერალო, გვიბრძანეთ, ლუკმა-ლუკმა ავკეპოთ ეს მხეცებიო, ეუბნება მას გაბრაზებული ხიშტებიანი ჯარი".

- "არა, შეუძლებელია ხალხზე იარაღის ხმარება, სანამ მე კიდევ სული მიდგას! ჩააგეთ გაშიშვლებული ხმლები. დაე, ხალხმა ჟინი ჩემზე მოიკლას". აი ამ დროის მაგალითი დიმიტრი თავდადებულისა"...

"ჩვენს თავად-აზნაურობას დიდი საცოდაობა აწევს ზურგზე, ხალხის ბევრი სისხლი აქვს დაღვრილი, ბევრი იმის ოფლი აქვს შეჭმული. მოვიგონოთ ჩვენი ძველი ისტორია რვა საუკუნის განმავლობაში... ერთს, თუ მეორეს შემოჰყავდათ გარეშე მტრები – სპარსები, არაბები, მონგოლები, თურქები, ბერძნები და ბევრი სხვანი ქვეყნის ასაკლებად, ოღონდ კი საკუთრად იმათ მატერიალური სარგებლობა მომატებოდათ, ოღონდ კი გარეშე მტრის შემწეობით თავისი შინაური მტრები აელაგმათ... ვინ რჩებოდა თავშეუფარავე? ხალხი, ქვეყნის მარჩენალი ხალხი, თავად-აზნაურობის მკვებავი ხალხი. მოწვეული თათრის ურდოები დაბინავდებოდნენ ხალხის ქოხებში, დაეპატრონებოდნენ ხალხის ჭირნახულს და გასვრიდნენ ხალხის სახლობას. მოედებოდა ცეცხლი სოფლებს, ჟივილ-კივილით გა-

მორბოდნენ თავის ცეცხლ-წაყიდებულ ქოხებიდან კაცი, ქალი, ძუძუმწოვარი, წინ წყალი ჰქონდათ მათ გასასვლელი, უკან მისდევდა თურქის ისრები. ვინ იყო მფარველი? სულ ეს უბედურება თავადაზნაურობის და ერისთავების წერილმან თავმოყვარეობისაგან მოსდიოდა ხალხს. ვინ იყო გამკითხავი? ზოგჯერ გაძლიერებული მეფე, ზოგჯერ გულშემატყვიარი სამღვდლოება, ზოგჯერ თითო-ორიოლა თავადაზნაურობაშივე გამორჩეული გმირები. მაგრამ მუდამ კი ვერც ერთი ვერ შველოდა იმას ანგარების მაძიებელ თავადაზნაურობისაგან. ამ წვა-დაგვაში იყო საქართველოს მშრომელი ხალხი მთელი თავის ისტორიის მიმდინარეობაში.

დადგა მეცხრამეტე საუკუნე.. ჩვენში აიწყო ბიუროკრატიული პერიოდი, კანცელარული საქმის წარმოება. ჩინოფნიკების ბაღე გადაეცვა მთელს საქართველოს. ჩინოფნიკებად გახდნენ გალარბებული მოუძღვრებული ძველი თავადაზნაურობის ჩამომავლობა.

"ამათ დაანახვეს ახალს, ჯერ ქვეყნის ამბის და გარემოების გაუცნობელს მთავრობას ბატონყმობითი დამოკიდებულება ისეთის თვალთ, თითქოს მართლაც გლქებობა თავადაზნაურის საკუთრება ყოფილიყო სულითაც და ხორციითაც. ამ სახით ძველი საკუთრების მქონე გლქებობა, თავისუფალი კაცი, თავისუფლად თავისი მოვალეობის ამსრულებელი ადამიანი ტყვედ გახადეს, თითქოს იმას არც საკუთრება ჰქონდეს, არც თავისი ნება. ახი იყო თუ არა ხალხი გაბრაზებულიყო თავის ბატონის შვილებზე, ჩინოფნიკებზე?"

"ბოლოს გვეღირსა ბატონყმობის დაზავებაც. გლქეს დაუბრუნდა პირადი თავისუფლება. მაგრამ აქაც ზნეწამსდარმა თავადაზნაურობის მოდგმამ ისე წაიყვანა კანცელარიებში გლქების განთავისუფლების საქმე, რომ მაინც ახალი ბორკილი არ შექსნია ხალხს. ხალხი თუმცა განთავისუფლდა, მაგრამ ერთი ორად დაბეგრდა და ამის გარდა მიწის საკუთრებაც დაეკარგა... ახი იყო თუ არა მდაბალი მშრომელი ერი თავადაზნაურობაზე გაბრაზებულიყო?"

"აღმოსავლეთის ომი გაიმართა. ხალხს დიდი გაჭირვება მიადგა. როგორ იქცეოდნენ ჩვენი თავადაზნაურობის შვილები, უეზღებში, სოფლებში ჩინოფნიკებად დაყენებულნი? უეზღის უფროსებიდან დაწყებული მამასახლისამდის ყველანი ხალხის ხელში შემჩრენი გახდნენ და როცა იმის შვილები, საწყალი მილიციონერები, ბრძოლის ველზე იხოცებოდნენ, თავადაზნაური ჩინოფნიკობა კი დაერია ხალხს და ქრთამებით ტყავს აძრობდა. ახი იყო თუ არა, ხალხი მოთმინებისაგან გამოსულიყო?"

"მართლაც აგორდა ხალხი, როგორც ზღვა, სიმწრისაგან პირზე ქაფი მოიგდო და ჯვარისაგან დორბლს ჰყრიდა პირიდან. აი ამ დროს იმას დაუხვდა წინ სოსიკო ორბელიანი და გმირულის გულსიმაგრით შესძახა:

"-დამშვიდდით, ძმებო, ცუდი დროა, ძალა არ გამოიყვანოთ მოთმინებისაგან, თორემ თქვენც გაიულიტებით და სულჩადგმული ქვეყანაც გაგვექსრისებო!"

"-დაჰკარით მაგას! სულ ეგ და მაგის მოგვარეა ჩვენი უსამართლობის მიზეზი" - წამოიძახა თურმე ერთმა გამხეცებულმა დედაკაცმა. ჯარმა იძრო ხმალი და თოფი თავისი გენერლის დასაცველად, მაგრამ მამაცმა სისოკო ორბელიანმა თავი ხალხს მისცა მოსაკლავად და ჯარს იარაღი ჩააგებინა."

"ნუ დარჩენილა ობლად ეგ შენი დიდი მაგალითი, ქართველო გმირო! საუკუნოდ იყოს შენი ხსენება," ასე ათავებდა თავის წერილს გიორგი წერეთელი.

მაგრამ დაეუბრუნდეთ 1878 წლის ამბებს. გენერლის და მოხელეების ცემის შემდეგ მოახლოებულმა ღამემ დაშალა ხალხი. მეორე დღეს უკვე ახალ გამოსვლას არ ჰქონია ადგილი. ხალხმა იჯერა გული მოხელეების ცემით და ეხლა უფრო დინჯად მოაზროვნენი შეწუხებულნი მოელოდნენ რეპრესიებს. ნამესტნიკმა გააზავანა საჩქაროდ სანამესტნიკოს საბჭოს წევრი სტარიცი ქიზიყში მომხდარ ამბების შესასწავლად და ხალხის დასაშოშინებლად ზომების მიღების მიზნით. ამავე დროს დაინიშნა გამოძიება, რომლის შედეგად სამართალში იქნა მიცემული ოცი პირი, მათ შორის სამი ქალი. სასამართლომ 11 ბრალდებულს /მათ შორის ორ ქალს/ მიუსაჯა ციმბირში გადასახლება ყოველგვარი უფლებების ჩამორთმევით. გენ. ორბელიანის თხოვნით ნამესტნიკმა დიდმა მთავარმა შუამდგომლობა აღძრა იმპერატორის წინაშე სასჯელ-მისჯილთა პატიების შესახებ. პეტერბურგში ეს შუამდგომლობა შეიწყნარეს. მაგრამ ცნობა მსჯავრდადებულთა პატიების შესახებ თბილისში მოვიდა უკვე გენ. ოსებ ორბელიანის სიკვდილის შემდეგ.

188. სანამესტნიკოს ბაუშქება და მთავარმართებლის თანამდებობის შემოღვათა კავკასიაში. 1881 წ.1 მარტს პეტერბურგში რევოლუციონერების /ნაროდოვოლცების/ მიერ მოკლულ იქნა რუჟიეთის

იმპერატორი ალექსანდრე II. ამ ამბავს საქართველოში დიდი სიხარულით შეხვდნენ. აკაკი წერეთელმა დაწერა ამის ამო ლექსი "გაზაფხული", რომელშიაც ალეგორიულად გადმოცემული იყო მერცხლის მიერ გაზაფხულის დაწყების ამბავის მოტანა. ლექსი დაიბეჭდა ერთადერთ ქართულ გაზეთ "დროება"-ში და დაწერის თარიღად აღნიშნული ჰქონდა 1881 წლის 1 მარტი, ე.ი. ალექსანდრე II-ის მკვლელობის დღე. ცენზურამ ვერ გააჩერა ლექსი, რომელიც გარეგნულად უვნებელი შინაარსის იყო. მაგრამ საზოგადოება მაშინვე მიხვდა რაშიც იყო საქმე. ქუთაისში, მაგ., ხალხი იკრიბებოდა ჯგუფ-ჯგუფად და ამ ლექსს კითხულობდა სათანადო კომენტარებით. ქართველი საზოგადოება ამით რუსეთის თვითმართველობისადმი თავის სიძულვილს გამოხატავდა.

ალექსანდრე II-ის შემდეგ მისი შვილის ალექსანდრე III-ის იმპერატორობისას მაშინვე იმპერიის მმართველობაში დამყარდა თვითმპყრობელობითი მკაცრი რეჟიმი, რამაც გავლენა იქონია კავკასიის მართებლობაზედაც. კავკასიის მიმართ ეს გამოიხატა იმაში, რომ გადაწყდა კავკასიის სანამესტნიკოს ერთგვარი განკერძოებითი მდგომარეობის გაუქმება და კავკასიის მმართველობის დაქვემდებარება უშუალოდ იმპერიის მინისტრებისადმი. ნამესტნიკს ჰქონდა დამოუკიდებლად მმართველობის უფლებანი. ის არ ემორჩილებოდა მინისტრებს, არამედ პირდაპირ იმპერატორს. ესლა კი კავკასიის მართებელი (главноначальствующий) იქნებოდა დაქვემდებარებული შინაგან საქმეთა მინისტრზე. მის ხელში იყო საადმინისტრაციო-საპოლიციო მმართველობა. ხოლო საგზაო, საფინანსო, განათლების და სხვა უწყებანი უკვე მას არ ემორჩილებოდნენ. ეს იყო, რომ მთავარმართებელი იქნებოდა იმავე დროს კავკასიის ჯარების მთავარსარდალი. პირველ მთავარმართებლად დანიშნულ იქნა გენ. თავ. დონდუკოვ-კორსაკოვი, წინად დიდხანს კავკასიაში ნამსახური.

სანამესტნიკოს გაუქმებას და მთავარმართებლის თანამდებობის შემოღებას ქართული საზოგადოებრიობა შეხვდა უარყოფითად. რადგანაც სანამესტნიკოს მმართველობას შესაძლებლობა ჰქონდა ადგილობრივი პირობებისათვის ანგარიში გაეწია, მაშინ როდესაც მთავარმართებელს მისი უფლებათა შეზღუდვის გამო სურვილიც რომ ჰქონოდა, ეს ხშირად არც შეეძლო. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებამ დავ. ბაქრადის მოხსენების თანახმად გამოიტანა დადგენილება შუამდგომლობის აღძვრის შესახებ, რათა საქართველოში შემოღებული ყოფილიყო საეროში თვითმმართველობა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომ კერძოდ სასამართლოში შემოღებული ყოფილიყო ქართული ენა, საერთოდ ქართულ ენას საზოგადოებრივ ხმარებისათვის მიცემოდა გარკვეული ასპარეზი და სხვ. მაგრამ ეს მოთხოვნანი სრულებით არ შეეფერებოდა საიმპერიო მთავრობის მიერ აღებულ კურსს და ამიტომ ქუთაისის თავად-აზნაურობის საგუბერნიო კრების ეს შუამდგომლობა არც განუხილავთ.

იმპერატორ ალექსანდრე III-ის დროს რუსეთში დაწყებულ რეაქციის ხანაში ბიუროკრატიული წესი მართვა-გამგეობისა საქართველოში უფრო მკაცრად ტარდებოდა. გარუსების ცდაც უფრო მეტის სიძველეთით იჩენდა თავს და ადგილობრივ ძალთა ხმასაც მთავრობის თვალში თავისი მნიშვნელობა ეკარგებოდა. რუსული სახელმწიფო მმართველობა საქართველოში უფრო და უფრო შორდებოდა ხალხს. თვით ქართველ მსხვილ მემამულეებს ესლა წინანდელი ნდობით აღარ ეპყრობოდნენ და სახელმწიფო სამსახურში ქართველებს, მეტად იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ აწინაურებდნენ.

189. რუსული ბიუროკრატიული მმართველობა საქართველოში. მას შემდეგ რაც დაიწყო რეაქციის ხანა, რუსული ბიუროკრატიული მართებლობა საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში კიდევ უფრო ჩამოშორდა მოსახლეობას. სახელმწიფო სამსახურში ჩინოვნიკებად ღებულობდნენ სამსახურში ჩამომავლობით ან პირად აზნაურთაგან და სასულიერო და ყოველგვარ სავაჭრო საქალაქო წოდებიდან, თუ მას ჰქონდა მიღებული რაიმე განათლება. ჩინოვნიკები მეტწილად იყვნენ რუსები და ესლა ეს ტენდენცია კიდევ უფრო გრძელდებოდა. კავკასიის უმაღლესი მართებლობა 1905 წლის რევოლუციის შემდეგ თვითონვე აღიარებდა, რომ ადგილობრივი რუსული ადმინისტრაცია ამ პერიოდში ვიდრე ხსენებულ რევოლუციამდის /და ასე იყო შემდეგაც/ ვერ ერკვეოდა ადგილობრივ პირობებში, რომ ის ვერ ასერხებდა დაფიქრებულ და დამოუკიდებელ მოქმედებას და მიჩვეული იყო ზემოდან მოსულ ბრძანებათა სიტყვის შეუბრუნებლივ შესრულებას.

საერთოდ მმართველობის საქმე ძლიერ ცუდად იყო მოწყობილი თვით მთავარმართებლის ინიციატივა ძლიერ შეზღუდული იყო. ყველაფერში მას უნდა გამოეთხოვა ნებართვა პეტერბურგიდან. შინაგან საქმეთა სამინისტროდან, საიდანაც მნიშვნელოვან საკითხებზე პასუხს ვერ ღებულობდა ანდა

ღებულობდა რამდენიმე წელიწადის დაგვიანებით. გუბერნიების მმართველნი გუბერნატორები იყვნენ უსიცოცხლო სამმართველო სისტემის ბრმა გამტარებელნი. გუბერნიები დაყოფილი იყო მაზრებად. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ მთელი ადგილობრივი მმართველობა კონცენტრირებული იყო მაზრის უფროსთა ხელში. მაგრამ საერობო თვითმართველობის უქონლობის გამო მაზრის უფროსი ვერ სწვდებოდა მაზრის ვრცელ ტერიტორიას, ამიტომ გადაწყდა მაზრები ახლად დაეწყოთ ნაწილებად /უჩასტკებად/ და ამ ნაწილების სათავეში დაეყენებინათ პრისტავეები ანუ ბოქაულები /1885 წ./ მთელი ძალაუფლება ეხლა ფაქტიურად ამ ბოქაულების ხელში იყო. ბოქაული ვალდებული იყო თვალყური ედევნებინა მისი ნაწილის მოსახლეობის პოლიტიკური და საზოგადოებრივი კეთილ განწყობილებისათვის, უზრუნველყო მოსახლეობის პიროვნული და ქონებრივი უშიშროება, ებრძოლა ყაჩაღობის და ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ; მასვე უნდა თვალყური ედევნებინა სახელმწიფო და საერობო გადასახადების და ვალდებულებათა დროულად შესრულებისათვის. ბოქაული უწევდა კონტროლს საგაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათ.

ბოქაულივე ხელს უწყობდა ჯანმრთელობის და განათლების წინსვლას (საფერშლო-საექიმო პუნქტების და სკოლების დაარსებას), ზრუნავდა ადგილობრივი გზების გაყვანასა და მათ შენახვაზე ეი. უძღვებოდა იმ საქმეებსაც, რომელნიც იმპერიის შიდა-გუბერნიებში საერობო თვითმმართველობათა კომპეტენციას შეადგენდა. ერთი სიტყვით, ბოქაულს უნდა თვალყური ედევნებინა თავისი ნაწილის მოსახლეობის საზოგადო ცხოვრების გამოვლინებისათვის ყველა დარგში. ამგვარად, ადმინისტრაციული მმართველობის მთელი სიმძიმე გადავიდა ამიერიდან პრისტავე-ბოქაულებზე. მაზრების უფროსები არ წარმოადგენდნენ მეტწილად მხოლოდ გადამცემ და საშუამავლო ინსტანციას ბოქაულებსა და გუბერნატორს შორის.

მაგრამ ბოქაულების ასეთი პასუხსაგებ მდგომარეობის მიუხედავად, მათი ხელფასი იყო მცირე და ამიტომ ბოქაულებადაც ხშირად ინიშნებოდნენ მცირე მცოდნე მოხელენი, სამიქალაქონი ანდა სამხედრონი.

ბოქაულების მოუმზადებლობა თავიანთი მივალეობის აღსრულებისათვის და აქედან მათი უხეირობა დიდ ზიანს აყენებდა მოსახლეობის კეთილდღეობას. უხეირო ბოქაულის ხელქვეით უჩასტოკში არც გზები ვარგოდა, არც ახალი სკოლები იხსნებოდა ან ძლიერ მცირედ და თუ რამე კეთდებოდა, ისიც თვით მოსახლეობის ინიციატივით. ქურდობა-ყაჩაღობაც ასეთ უჩასტოკში მეტი იყო. ზოლო რაგდანაც ბოქაულების უმეტესობა ფორმალურად უდგებოდა საკითხებს, ამიტომ ხალხი უკმაყოფილო იყო მართებლობით და თავის უნდობლობას აღვივებდა საერთოდ არსებული ბიუროკრატიული მმართველობის მიმართ.

ამ საკითხის მოგვარება კავკასიის მართებლობამ ვერ შესძლო ვერც 1905 წლის რევოლუციის გაკვეთილის შემდეგ და ხალხი რჩებოდა ფაქტიურად პრისტავე-ბოქაულების მეურვეობის ქვეშ ვიდრე 1917 წლის რევოლუციამდის.

190. ბრძოლა პროვინული იდეისათვის. ამ დროს საქართველოში /თბილისში/ გამოდიოდა ერთადერთი ქართული გაზეთი "დროება", რომლის ხელმძღვანელად და რედაქტორად იყო დიდად განათლებული პირი, ფრანგულის და ინგლისურის ჩინებულად მცოდნე ლიტერატორი ივანე მაჩაბელი. ივანე მაჩაბელს გაზეთი მიჰყავდა მართებლობისადმი, მკვეთრად მტრული მიმართულებით. გაზეთი აკრიტიკებდა სასწავლო საქმის, საეგზარხოსოს და პოლიციის საქმიანობას და განსაკუთრებით ამასვილებდა ქართველი მკითხველის ყურადღებას ეროვნული ვინაობის და ქართული კულტურის დაცვის საკითხებისადმი. ამასთანავე რედაქცია ზოგ სასწავლებლის /კერძოდ ხონის სამასწავლებლო სემინარიის/ მოწაფეებს კოლექტიურად უფასოდ უგზავნიდა თავისი გაზეთის ერთ ცალს /ხსენებული სემინარიიდან გამოდიოდნენ სასოფლო სკოლების, ეგრეთ წოდებული სახალხო სკოლების მასწავლებლები/. სასწავლო ოლქის უფროსის თხოვნით კავკასიის საცენზურო კომიტეტი ოფიციალურად შეეკითხა "დროების" რედაქტორს თუ რატომ აგზავნიან გაზეთს, კერძოდ ხონის სამასწავლებლო სემინარიამი, მოწაფეების სახელზე. ივ. მაჩაბელმა ამაზე უპასუხა, რომ ყოველი გაზეთის საქმიანობა მოიცავს მოქმედების ორ ნაწილს — რედაქციას, რომელიც ადგენს გაზეთს და გამომცემლობას, რომელიც აწარმოებს გაზეთის წმინდა კომერციულ საქმიანობას. საცენზურო კომიტეტს ექვემდებარება გაზეთის სარედაქციო საქმიანობა, ხოლო გაზეთის გამოცემის კომერციული მხარე, ყოველი სხვა კომერციული საქმიანობის მსგავსად, არსებული კანონის თანახმად, შეადგენს კომერციულ საიდუმ-

ლოებას, რომელშიაც ჩარევის უფლება პროკურატორის და სასამართლო ორგანოების გარდა არავის არ შეუძლიაო.

მაშინ სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობის რეაქციონერ იანოვსკის მოთხოვნით დაყენებულ იქნა საკითხი საერთოდ გაზ. "დროების", მთავრობის თვალსაზრისით, მავნებლური მიმართულების შესახებ. საცენზურო კომიტეტის მიერ მთავარმართებლისადმი მიწოდებული ცნობის თანახმად 1884 წელს ცენზურას მთლიანად ამოუღია "დროებაში" გასაშვები 59 სტატია, ხოლო 1885 წელს ვიდრე 24 ივლისამდის – 32 სტატია. აქ არ შედიოდა ცალკე სტატიების ნაწილობრივი შემოკლებანი ანდა მოკლე კუბიურები, რომელთაც სისტემატურად ჰქონდათ ადგილი. მიწერმოწერაში ამის შესახებ მოყვანილია ზოგიერთი საცესებით აკრძალული წერილების მოკლე შინაარსი: 1) წერილი სათაურით "რა დროს ბოდინის მოხდა" მიზნად ისახავდა თავდაზნაურობის ამხედრებას გლეხთა წოდების წინააღმდეგ /უკეთ, გლეხებს აქეზებდა მემამულეთა წინააღმდეგ/; 2) სეპარატისტული მიმართულების მოწინავე წერილი, რომელიც მოუწოდებდა ერთმანეთისათვის მხარის დაჭერისაკენ; 3) ლექსი სათაურით "N ქალიშვილს"; ამ ლექსში რუსეთი წარმოდგენილი იყო ცივი ქალიშვილის სახით, რომელსაც წინადადება ეძლევა თავი დაანებოს ჩვენს ქვეყანას, ე.ი. საქართველოს; 4) ვარსკვლავებით აღნიშნული /ე.ი. უსათაურო/ ლექსი, რომელიც ქართველ ხალხს მოუწოდებდა აჯანყებისაკენ; 5) მეთაური წერილი, რომ საჭიროა ეროვნების აღსადგენად ყველაფერი ქართულის შესწავლა; 6) წერილი "შეერთებული ქვეყნების სხვადასხვა სისტემები" გამიზნული იყო მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ საქართველოს მიმართ; 7) ლექსი "მწყემსი", რომელშიაც აღწერილი იყო უზრდელი სახით მეფე /ე.ი.რუსეთის იმპერატორი/ და მის გარშემო მყოფნი; 8) სიმღერა "ვინ სთქვა საქართველოზე, რომ ეს ლომი უკვე მკვდარია"-მოუწოდებდა ყველას შეერთებულიყვნენ და ხელში აეღოთ იარაღი მტრების წინააღმდეგ; 9) სტატია სათაურით "გორის მაზრის სატრაპები" აწერდა გორის მაზრის უფროსის და მისი ხელქვეითი მოხელეების მოქმედებათ უზრდელი სახითო.

საცენზურო კომიტეტი ყოყმანობდა დაესვა თუ არა საკითხი "დროების" საცესებით დახურვის შესახებ, რადგანაც ეს ერთადერთი გაზეთია ქართულ ენაზე და მისი შეჩერებით ქართველი მკითხველი საზოგადოება უგაზეთოდ დარჩებაო. ამიტომ წამოყენებული იყო აზრი რედაქტორის ივანე მაჩაბელის შეცვლის შესახებ უფრო ზომიერად მიჩნეულ დავით ერისთავით, პიესა "სამშობლოს" ავტორით, რომელიც 1881-1883 წლებში ოფიცოზურ გაზეთ "კავკაზ"-საც რედაქტორობდა. მაგრამ გამომცემლობამ "დროების" რედაქტორად ივ. მაჩაბლის მაგივრად ილია ჭავჭავაძის კანდიდატურა არჩია. მართებლობა კი ამაზე არ დათანხმდა, რადგანაც ამ ხანაში ივ. მაჩაბელსა და ილია ჭავჭავაძეს შორის ის განსხვავებას ვერ ხედავდა. ამასობაში მთავარმართებელს უკვე დაეყენებინა პეტერბურგში საკითხი გაზ. "დროების" საცესებით დახურვის შესახებ /თვითონ მას ამის უფლება არ ჰქონდა/. ამიტომ 1885 წლის სექტემბერში პეტერბურგიდან შინაგან საქმეთა მინისტრისგან მოვიდა დეპეშა გაზეთ "დროების" სამუდამოდ დახურვის შესახებ. ქართველი საზოგადოება დარჩა უგაზეთოდ.

მხოლოდ 1886 წ. ილია ჭავჭავაძემ გამოითხოვა ნებართვა ყოველთვიური ჟურნალი "ივერია", რომელსაც ის თავის რედაქტორობით ბეჭდავდა, გადაეკეთებინა ყოველდღიურ გაზეთად. ილია ჭავჭავაძე იყო ამ ახალი გაზეთის რედაქტორიც და გამომცემელიც. ზეპირგადმოცემით ცნობილი იყო, რომ ილია ჭავჭავაძემ გაზეთის გამოცემის უფლება მიიღო ბევრი დავიდარაბის შემდეგ და დაპირების ფასად, რომ ის გაზეთს არ წაიყვანდა ივ. მაჩაბლის მიმართულებით, არც იყოლიებდა მას თავის თანამშრომლად და საზოგადოდ აიღებდა ზომიერ ხაზს. ილია ჭავჭავაძე იძულებული იყო ასეთ დათმობებზე წასულიყო, რადგანაც სხვაფრივ კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია არ იყო თანახმა ეშუადგომლა პეტერბურგში ცენტრალური მთავრობის წინაშე ქართული გაზეთის გამოშვების შესახებ. მართლაც, შედარებით "დროებასთან" გაზ. "ივერია" თუმცა პოლიტიკურად უფერული იყო, მაგრამ სხვაფრივ უფრო შინაარსიანი გამოდგა, ზომითაც უფრო დიდი იყო და ღირსეულად ასრულებდა ქართველი მკითხველის მომსახურებას იდეურად.

191. პართველი ხალხის დაქსაშხის ცდა. სასწავლო ოლქის უფროსად ამ ხანაში და შემდეგაც ვიდრე XIX ს-ნის დასასრულამდის იყო ზემოთ ხსენებული იანოვსკი. სასწავლო ოლქი ემორჩილებოდა, მთავარმართებლის გვერდის აგლით, პირდაპირ რუსეთის იმპერიის სახალხო განათლების სამინისტროს, რომლის სათავეშიც ამ დროს იდგა თავისი რეაქციული მიმართულებით ცნობილი გრაფი დტოლსტოი. ასეთ პირობებში სასწავლო ოლქმა გააუარესა ქართული ენის მდგომარეობა სამინისტროს სახალხო სკოლებში იმით, რომ რუსული ენის სწავლება ეხლა უნდა დაწყებულიყო პირველ-

სავე წელს და პირველსავე წლის მეორე ნახევრიდან უნდა შემოეღოთ საგნების სწავლებაც რუსულად. ამით მთავრობის გამარჯვებელი პოლიტიკა კიდევ უფრო ძლიერდებოდა.

ამასთანავე სასწავლო ოლქის მზრუნველმა ხელზე დაიხვია მეგრული და სვანური სალაპარაკო ენის დაშორება ქართულ სალიტერატურო ენისგან და ამიტომ გადაწყვიტა ქართულის, როგორც დამხმარე საგნის, სრულებით გამოდევნა ოდიშის და სვანეთის სკოლებიდან. დგებოდა რუსული ასოებით შედგენილი მეგრული ენის სახელმძღვანელო, რომელსაც მოწაფეებისათვის უნდა გაეადვილებინა რუსული ენის ათვისება. საკითხი იდგა, მამასადამე, ქართული ანბანის და მწიგნობრობის სრულებით გამოდევნის შესახებ ოდიშის სკოლებიდან, რაც დაჩქარებდა მეგრელების გარუსებას.

სასწავლო ოლქის ასეთი ხაზი მეტად სერიოზულად ემუქრებოდა ქართველი ხალხის მთლიანობას და მომავალში დანარჩენ ქართველებსაც უქადა დაღუპვას. ეს გარემოება ამიტომ ძლიერ აფიქრებდა ქართველი საზოგადოების წამყვან ნაწილს მით უმეტეს, რომ განზრახული იყო წირვალოცვის გადათარგმნა მეგრულად და ქართული ენის განდევნა ოდიშში ეკლესიიდან და სამრევლო-საეკლესიო სკოლებიდანაც. სწორედ ამ ხანაში რუსეთის მთავრობამ თავისი რეაქციული მიზნებისათვის იწყო რუსეთში საეკლესიო-სამრევლო სკოლების გამრავლება, რათა ამ სკოლებში მღვდლების მიერ ახალრუსეთში საეკლესიო-სამრევლო სკოლების გამრავლება, რათა ამ სკოლებში მღვდლების მიერ ახალგაზრდობა აღზრდილიყო რუსეთის თვითმპყრობელობის და მართლმადიდებელ ქრისტიანული ეკლესიის ერთგულებაში. ეს სკოლები საქართველოშიც გაიხსნა, მაგრამ რუსულ ენაზე სწავლებით. ხოლო რადგანაც ეკლესიებში წირვალოცვის ქართულად გაუქმება თვით მთავრობის რელიგიურ-პოლიტიკური მიზნების თვალსაზრისით შეუძლებელი იყო, ამიტომ მცირედ ამ სკოლებში ლოცვისთვის ქართულიც ისწავლებოდა.

რაც შეეხება სამეგრელოს, იქ საერო /ევრთ წოდებული სამინისტროს/ სკოლებში ქართული ენის ხმარება უკვე უქმდებოდა. მაგრამ დღეღღეზე მოსალოდნელი იყო ანალოგიური გადაწყვეტილება საეკლესიო უწყებაშიაც. ყველაფერი ეს ქართველებში ბადებდა დიდ ეჭვებს და უკმაყოფილებას როგორც საერო, ისე საეკლესიო ხელისუფლების მიმართ.

ქართველი ინტელიგენციის წამყვანი ნაწილი ცდილობდა მდგომარეობის რამოდენადმე გამოსასწორებლად გამოეყენებინა ლეგალური საშუალებანი. ხოლო ამ მიმართულებით მაშინდელ პირობებში ერთადერთი გამოსავალი იყო თავად-აზნაურობის ოფიციალური წარმომადგენლობის ამოქმედება ადგილობრივი უმაღლესი სამმართველოს მიერ აღებული ხაზის წინააღმდეგ. ამ დროს ახლოვდებოდა სათავადაზნაურო საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლების და დეპუტატთა საკრებულოების არჩევნები, რაც სამ წელიწადში ერთხელ ხდებოდა. უნდოდათ თბილისის და ქუთაისის საგუბერნიო სათავადაზნაურო არჩევნებში გაეყვანათ დროის შესაფერისი პირნი. ამიტომ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად გაზეთ "დროების" ჩარევით აირჩიეს გენ. ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი. ეს პირი წინა არჩევნებზე გაშაგებულ იქნა, მაგრამ ესლა თავისი გავლენით მართებლობით წრეებში და თავისი სიმდიდრით მისაღებ პირად ჩანდა /მისი ცოლი იყო სამეგრელოს გარდაცვალებული მთავრის ლევანის ასული/. ქუთაისის სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოში (თბილისის ანალოგიურ დაწესებულებისაგან განსხვავებით) ქართული მიმართულება უფრო ძლიერი იყო. საერთოდ ქუთაისის გუბერნიის ცენზიანი (ე.ი. საარჩევნო ხმის უფლების მქონე) თავად-აზნაურობის ნაწილიც კი მტკიცედ ადგა ქართულის დაცვის გზას. ამიტომ მან ესლა შეგნებულად დააყენა თავის სათავეში დიმიტრი ყიფიანი. დიმიტრიანმა დაუწყო ბრძოლა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს ხსენებულ იანოვსკის. ეს ბრძოლა ძლიერ გამწვავდა. საქმე მივიდა პეტერბურგამდის და დიმიტრიანს ამის გამო იმპერატორის სახელით შენიშნაც გამოუცხადეს.

ამ დროს საკმაოდ ბლომად იყვნენ თბილისის სემინარიიდან სასულიერო უწყებისთვის არა კეთილ-საიმედობის მიზეზით დათხოვნილია მოზრდილი ქართველი ახალგაზრდანი. მათ შორის იყვნენ ნაროდნიკულ იდეებით გამსჭვალულნი პირნიც. მათში გაჩნდა აზრი მოეკლათ მზრუნველი იანოვსკი, ექზარხოსი პავლე ანდა თბილისის სემინარიის რექტორი დეკანოზი ჩუდეცკი. პირველი ორის მოკვლა არ მოესწრო ან არ მოხერხდა, როდესაც იმავე წრის მონაწილემ ახალგაზრდა იოსებ ლალიაშვილმა ხანჯლით მოკლა სემინარიის რექტორი ჩუდეცკი /1886 წ.მისში/. მოკლული ჩუდეცკის გასვენებაზე თბილისის სიონის ტაძარში ექზარხოსმა პავლემ მთავარმართებლის და მაღალი მდგომარეობის პირთა თანდასწრებით სთქვა სიტყვა, რომელშიაც წყველით მოიხსენია ის წრე-გარემო, საიდანაც ჩნდება ლალიაშვილისთანა ადამიანებიო. სიტყვა, მაშინ არსებულ დაძაბულ მდგომარეობის გამო, გაგებულ იქნა როგორც ქართველი ხალხის მიმართ წარმოთქმული წყევლა. ქართველობა თბილისში და აქედან ყველგან მოიცვა მითქმამოთქმამ. დიმიტრიანმა მისწერა წყრომით საესე წერილი ექზარხოს პავლეს და

მოსთხოვა მას, როგორც ქართველი ხალხის დამაწყევლარს, საქართველოდან წასვლა. მაგრამ რადგანაც ოფიციალურ გაზეთში "კავკას"ში დაბეჭდილი სიტყვა ექსარხოსისა პირდაპირ წყევლას არ შეიცავდა, ამიტომ დიმიტრიანის ეს გამოსვლა მთავრობის მიერ შეფასებულ იქნა როგორც ადგილობრივი მართებლობის საწინააღმდეგო კიდევ ერთი დემონსტრაცია, რის გამოც ის იმპერატორ ალექსანდრე III-ის განკარგულებით გადაყენებულ იქნა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის თანამდებობიდან და გადასახლებულ იქნა ჩრდ.კავკასიაში ქალსტავროპოლში /1886 წ.ოქტ./ ერთი წლის შემდეგ დიმიტრიანი გაძარცვის მიზნით სტავროპოლშივე მოკლა ორმა რეციდივისტმა ბოროტმოქმედმა, რომელნიც შემდეგში კიდევ აღმოჩენილ იქნენ. მაგრამ რადგანაც რუსული პროგრესული საზოგადოებრიობაც რეაქციის ხანაში მართებლობის წინააღმდეგ იყო აღესილი, ამიტომ ჩრდ.კავკასიაშიც და მით უმეტეს საქართველოში მაშინ დარწმუნებული იყვნენ, რომ დიმიტრიანი მოკლულ იქნა მთავარ-მართებლის მითითებით. ზოგი კიდევ მის მკვლელობას აბრალებდა ექსარხოსის დაახლოვებულ პირთ. ამით აიხსნება, რომ დიმიტრიანის ცხედარის გადმოსვენება სტავროპოლიდან თბილისისაკენ და შემდეგ მისი დაკრძალვა თბილისში მამადავითზე გადაიტყა მთავრობის საწინააღმდეგო დიდ დემონსტრაციად /8 ნოემბერი 1887 წ./ ეს იყო საქართველოში პირველი დიდი ჩუმი პოლიტიკური დემონსტრაცია რუსეთის საიმპერიო მთავრობის და მისი ადმინისტრაციის წინააღმდეგ.

დიმიტრიანის დასაფლავებაზე გვირგვინებს შორის იყო ქართველი მუშების ჯგუფის გვიგინიც ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვების წარწერით: "ცუდად ხომ მანც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთბა". დიმიტრიანის ბრძოლას არ ჩაუვლია უშედეგოდ. მთავრობამ შეანელა, ხოლო 1905 წლის რევოლუციის შემდეგ სავსებით უკუაგდო დანარჩენი ქართველებისაგან მეგრელების გათიშვის პოლიტიკა. ქართველი ხალხის ისტორიული მთლიანობა კიდევ უფრო განმტკიცდა.

192. მთავრობის უკან დახვევის ნიშნები. რექტორ ჩუდევცის მკვლელობამ და ამასთან დაკავშირებით ამტყდარმა დიდმა მითქმა-მოთქმამ შეაფიქრინა თბილისში მყოფი უმაღლესი ადმინისტრაცია და რამოდენადმე შეანელა მისი აგრესიულობა ქართული ეროვნებისადმი. ეს გამოაშკარავდა ზოგიერთი ფაქტებით. სასწავლო უწყებას უნდოდა ძველ სენაკის სათავადაზნაურო სკოლიდანაც გაედევნა ქართული ენა. მაგრამ ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამაარსებელთა საერთო კრებამ მიმართა სასწავლო უწყებას თხოვნით – დაეტოვებინა ძველ-სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში სწავლება იმავე წესით, როგორც ეს იყო ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში. ამ ხანად სენაკის სკოლის მიმართ სასწავლო უწყება წავიდა დათმობაზე და შესაძლებლად დაინახა დაეტოვებინა ამ სკოლაში სწავლების ენად ქართული ენა /1886 წ.სექტ./.

ზუგდიდში სასწავლო უწყების მიერ გაგზავნილმა ერთმა მოხელემ პერეოზნიკოვმა შეკრიბა მაზრის თავად-აზნაურნი ოთხმოცამდის პირი, რომელთაც მთავრობის საამებლად თავის მხრივ უნდოდათ დადგენილების გამოტანა უმაღლეს მთავრობაში წარსადგენად, რათა სამეგრელოს სკოლებში შემოღებული ყოფილიყო აშორდიას მიერ შედგენილი მეგრულ-რუსული ანბანი. მაგრამ პერეოზნიკოვი ეხლა შემინდა და არ მისცა თავად-აზნაურთ ნება ასეთი დადგენილება გამოეტანათ. ამას ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ლევიცი, ქართული ენის ყველგან შემცირების და განდევნის დიდი მომხრე, თვითონ ატყობინებს ოლქის მზრუნველს იანოვსკის როგორც დადებით ფაქტს. ცხადია, რომ სასწავლო ოლქს თავისი ხელქვეითთათვის მითითება მიუცია ქართული საზოგადოებრივი აზრის დასაშოშმინებლად მეგრულ-რუსული ანბანის საკითხს მორიდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივმა უმაღლესმა მთავრობამ შესცვალა მეგრელების გათიშვის საქმეში თავისი აგრესიული პოლიტიკა, ამ პოლიტიკის შეცვლის არავითარი ოფიციალური განცხადება არ იყო გაკეთებული, ამიტომ ქართველი ხალხის შინაგათიშვისაკენ მიმართული და უკვე მასში გავრცელებული იდეები თავის გავლენას ახდენდნენ ზოგიერთ ისეთ პირებზე და წრეებზე რომელნიც პირადი სარგებლობისა და კარიერისათვის არ დასდევდნენ საზოგადო საქმეს. მათ შორის იყო გურიასამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ (დადიანი), თავისი გარყვნილი ცხოვრებით ცუდი სახელის მქონე, რომელიც ზოგიერთ სამღვდლო პირებს მეგრულად ათარგმნიებდა ქრისტიანული ღვთისმსახურების ტექსტებს /1888 წ./

გრიგოლ ეპისკოპოსის ამ წამოწყების გამო გაზ. "ივერია" 1889 წლის დასაწყისში სწერდა: "ეხლა სამეგრელოს აღმოჩინა წმინდა მამებიც, რომლებსაც სრული იმედია წმინდანებად არ შერაცხვენ. ამათ უკისრნიათ საღვთო წერილის თარგმნა მეგრულ ენაზედ...ამ მამათ ოღონდ თავიანთი ფარული აზრი საქმედ აქციონ და ამას კი არ დაეძებენ, რომ ერის რელიგიურ გრძნობას შელახავენ და შე-

ბლაღავენ...ამ ოციოდე წლის წინად მთარგმნელთა გუნდმა კიდევ გადაილი მეგრულზე წირვა-ლოცვა, მაგრამ როდესაც ეკლესიაში გაისმა "ჰევიანურო-გეწიმოდირთიო" ხალხმა იგრიალა და ლან-ძღვა-გინებით გამოვარდა ეკლესიიდან".

თვით ამ წერილის დაბეჭვდა "ივერიაში" წინასწარი ცენზურის პირობებში ამტკიცებს, რომ მთავრობას უკვე არ უნდოდა მეგრული ანბანის და წირვალოცვის გამო ქართული საზოგადოებრივი აზრი გაეღიზიანებინა მით უმეტეს, რომ თვით მეგრელების დიდი უმეტესობა მთავრობის ამ პოლიტიკის წინააღმდეგი იყო. მართლაც, იმავე წლის აპრილში დაბა ახალ-სენაკში სამეგრელოს სამღვდლოების კრებამ უარპყო მეგრულად წირვა-ლოცვის შემოღება ეკლესიებში და სასულიერო მთავრობის საყურადღებოდ აღნიშნა თავის დადგენილებაში, რომ მეგრულად წირვა-ლოცვის დაწესება გამოიწვევს ხალხში მწვალებლობასო.

ასეთ დადგენილებათა გამო მეგრული წირვა-ლოცვის საკითხი სამეგრელოს ეკლესიებში დასაწყისშივე ჩაიშალა. მეგრული წირვალოცვის გაგონებაც კი ხალხს არ უნდოდა. დამახასიათებელია, მაგასეთი ფაქტი.

ამ ამბების ბევრად შემდგომ, 1911 წელს, სოფ.წალენჯიხაში მღვდელმა კალანდიამ ქართულად შესრულებულ წირვაში გაურია რამოდენიმე ასამაღლებელი მეგრულად, რამაც აღაშფოთა იქ დამსწრენი. წირვის გათავებისთანავე ხალხმა სცემა მღვდელს იმდენად სასტიკად, რომ ცემაში მონაწილეთა გამოსარკვევად ხელისუფლების მიერ გავზავნილ იქნა ზუგდიდის მაზრის გამომძიებელი. ეს გამომძიებელი შემთხვევით იყო ადგილობრივი მკვიდრი გიორგი დადიანი, რომელმაც თავის მხრივ ეს საქმე მიჩქმალა.

ამგვარად ქართული საზოგადოების მიერ სხვადასხვა სახით გამოთქმულმა პროტესტებმა და უკმაყოფილებამ იქონია შედეგად ის, რომ მართებლობა უკვე აღარ აჩქარებდა სხვა ქართველებისაგან მეგრელების ხელოვნურად გათიშვის საქმეს, რადგან ხედავდა, რომ აქედან უსიამოვნების მეტი არა გამოვიდოდა-რა, მაგრამ გამარჯვებული პოლიტიკის გატარება სამეგრელოში არ შეჩერებულა. 1887 წლის აპრილში ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციამ მოითხოვა, რომ ახალსენაკის სათავადაზნაურო სკოლაში სწავლა /იგულისხმებოდა პირველ ორ კლასში/ წარმოებდეს მეგრულად და არა ქართულად. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შესძლო რომ ეს საკითხი დაეტოვებინა უპასუხოდ.

1892 წელს გამოვიდა ქუთ.გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ლევიცის მიერ შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელო მეგრული სკოლებისათვის. რუსული სიტყვები გადათარგმნილია მეგრულად, ხოლო მეგრული სიტყვები დაბეჭდილია რუსული ანბანით. ამავე ანბანით მალე დაიბეჭდა მეგრულად ლოცვებიც, მაგრამ ამ მეგრულად შედგენილ ლოცვებს ხმარობდნენ სლავური ლოცვების შესწავლის დროს დასახმარებლად.

1899 წ. თბილისში გამოცემულ იქნა რუსული ანბანის საფუძველზე შედგენილი მეგრული პირველი საკითხავი წიგნი. ამ წიგნის წინასიტყვაობაში თვით სასწავლო ოლქის მხრუნველი ზავადსკი სწერდა, რომ ეს მეგრული ანბანი იბეჭდება მხოლოდ იმ მიზნით, რომ მეგრულ ბავშვებს რუსული წერა-კითხვის შეთვისება გაუადვილდესო.

გამარჯვებული პოლიტიკა სკოლებში ისე როგორც სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და კულტურული ცხოვრების სხვა დარგებში გრძელდებოდა, მაგრამ მეგრელების გათიშვა სხვა ქართველებისაგან შეუძლებელი საქმე აღმოჩნდა და ამიტომ მთავრობის მიერ ეს საკითხი მოხსნილ იქნა.

193. ცვლილებანი ავღესიის სჰაროში. ექზარხოსი პავლე, დიმიტრიანის მიერ მისდა მიმართ წამოყენებულ ბრალდების შემდეგ, იმპერატორის მიერ დაჯილდოებულ იქნა ბრილიანტის ჯვრით ბარტყულაზე. ეს იყო ერთგვარი დემონსტრაცია, რომელიც მეტად უხერხული გამოდგა თვით უმაღლესი ხელისუფლებისათვისაც, რადგანაც ბოლოსდაბოლოს ისეთი ექზარხოსის თავის ადგილზე დატოვება, რომელთა მიმართ თავისივე სამწყქსოს საჯაროდ დაწყველის ბრალდება არსებობდა, შეუძლებელი შეიქმნა. ამით იხსნება, რომ 1887 წლის სექტემბერში პავლე გადაყვანილ იქნა ყაზანის მთავარეპისკოპოსად, ხოლო მის ადგილას ექზარხოსად დანიშნულ იქნა ყაზანის მთავარეპისკოპოსი პალლადი. პავლესთვის ეს იყო დამცირება, პალლადისთვის კი ამაღლება.

პალლადის დანიშვნა საქართველოს ექზარხოსად შემთხვევით არ მომხდარა. ეს იყო ამ დროს რუსეთის იერარქიაში ერთ-ერთი საუკეთესო მღვდელმთავარი, რომელსაც უპირებდნენ პეტერბურგის მიტროპოლიტად /ე.ი.სინოდის ფაქტიურ თავმჯდომარედ/ დანიშვნას და ეს არ მოხდა მხოლოდ იმი-

ტომ, რომ უხერხული შეიქნა პეტერბურგის ამდროინდელი მიტროპოლიტის ღრმად მოხუცებულს ისიდორის /რომელიც ვორონცოვის დროს საქართველოს ექზარხოხად იყო/ გადაყენება /შემდეგში პალლადი მიანც გახდა პეტერბურგის მიტროპოლიტი/.

პალლადი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ დაადგა ზომიერ გზას. ის ცდილობდა ქართული საზოგადოებრივი აზრისთვის რამდენადაც ეს რეაქციის იმდროინდელ მწვავე პირობებში შესაძლებელი იყო, ანგარიში გაეწია. ის პირად ნაცნობობასა და კარგ განწყობილებაში იყო ზოგიერთ ქართველ მოღვაწეებთან და პირველ რიგში ილია ჭავჭავაძესთან, რომელსაც განსაკუთრებული პატივით ეყურობოდა. თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად მან დანიშნა ნიკოლოზი /შემდეგში ვარშაგის მთავარეპისკოპოსი/, რომელიც ქართველებს მეგობრულად ეყრობოდა და ქართულ ენას არა თუ სწავლობდა, არამედ ხანდახან ქართულად წირავდა კიდევ. ეს მაშინ გაუგონარი ამბავი იყო. შემთხვევით არ იყო ის, რომ ამ ნიკოლოზის და ექზარხოხს პალლადის დროს თბილისის სემინარიაში შემოიღეს საქართველოს ეკლესიის ისტორიის სწავლება. დამახასიათებელი იყო კიდევ შემდეგი ფაქტი. ექზარხოხი პალლადი ერთ დღეს სემინარიაში ესწრებოდა გაკვეთილებს. ერთ გაკვეთილზე მასწავლებელი თედო ჟორდანიას /ისტორიკოსი/ აწარმოებდა საუბარს მოწაფეებთან თემაზე: რუსი ხალხის ამოცანათა შესახებ. პალლადიმ შენიშვნა მისცა თ. ჟორდანიას, რომ ხსენებული თემის მაგივრად უნდა აღებული ყოფილიყო თემა – ქართველი ხალხის ამოცანათა შესახებ და ბაასი გამართულიყო 1801 წლის იმპერატორ ალექსანდრე I-ის ქართლ-კახეთის შეერთების შესახებ ცნობილი მანიფესტზე დამყარებით და ნიშუშისათვის თვითონ დაიწყო ხსენებულ თემაზე საუბარი. ერთი შემთხვევის გამო ჰომილეტიკის მასწავლებლის უმართებულო განკარგულებებმა გამოიწვია ქართველ სემინარისტების ერთი ჯგუფის მხრივ დისციპლინის დარღვევა, რასაც მოჰყვა სემინარიის გამგეობის მხრივ ხსენებული მოწაფეების დასჯა სასაზინო ხარჯის განახევრებით თუ ყოფაქცევებაში ნიშნის დაკლებით. ილია ჭავჭავაძის სიტყვიერი შუამდგომლობით ექზარხოხმა არა თუ გააუქმა სემინარიის გამგეობის ხსენებული დიდგენილება, არამედ სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ კონფლიქტის გამომწვევი მასწავლებელი – ბერმონაზონი გადაიყვანა რუსეთში.

194. საპარტეზლოს კოლონიზაცია რუსებით. რუსეთის მთავრობამ საქართველოში დიდძალი მიწები დაურიგა სხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებულთ. ჯერ კიდევ ერმოლოვის დროს აღმოსავლეთ საქართველოში დასახლებულ 556 კომლ გერმანელს მიეცა 14889 დესეტინა მიწა. ისმალეთიდან 1829 გადმოსულ სომხებს და ბერძნებს მიეცათ 123 ათასი დესეტინა მიწა. რუსეთიდან ნამესტნიკ ვორონცოვის დროს გადმოსახლებულ რუს სექტანტებს – 65763 დესეტინა. ბევრ მათგანს შემდეგ მიწები კიდევ მიემატა. 1890-იანი წლებიდან იწყება სხვადასხვა ხალხების ჩამოსახლება აფხაზეთში და აგრეთვე რუსების სისტემატური ჩასახლება აღმოსავლეთ საქართველოში. ხოლო რადგანაც აღმოსავლეთ საქართველოში თავისუფალი მიწები რუსებისათვის საკმაო რაოდენობით არ იყო, ამიტომ გადასახლების სამმართველო იძულებული იყო ხელი მიეყო ტყეების გაჩეხვისა და ამიძირკვისათვის, თუმცა ეს ტყეები ადგილობრივი გლეხების სერვიტუტებს წარმოადგენდნენ. თითო დესეტინა ასეთი ტყის ამიძირკვა და მიწის შემზადება გადმოსახლებულ რუსებისათვის გადასახლების სამმართველოს უჯდებოდა 80 მანეთი. ეს იყო სამხრეთ კახეთში. ამგვარად ქართველ გლეხებს არა თუ არ ეძლეოდა ახალი მიწები, არამედ ისინი იძულებული ხდებოდნენ შერიგებოდნენ თავიანთი სასერვიტუტო მიწების ჩამორთმევას რუს გადმოსახლებულთა სასარგებლოდ.

195. საზოგადოებრივი მიმართულება 1880-იან წლებში. 1880-იან წლებში ქართულ ხალხს-ნებს შორის არსებობდა ორი მიმართულება. ერთი მათგანი იყო ლეგალური მიმართულება. უარყოფდა ტერორს და ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებს. ეს მიმართულება უმთავრესად ქადაგებდა გლეხობის ეკონომიკურ აღორძინებას კულტურული მუშაობის გარშემოებით, მხარს უჭერდა აგრეთვე კოოპერატივების და შრომის არტელების დაარსებას, კერძო საკუთრების პრინციპის დაცვით. ხალხს-ნების ეს წერილ ბურჟუაზიული მიმართულება თავისი ლეგალური მუშაობისათვის ემყარებოდა ყოველთვიურ ჟურნალ "იმედს".

ქართული ხალხს-ნების მეორე მიმართულება იყო რადიკალური ზომების მომხრე. ის მხარს უჭერდა ტერორსა და პოლიტიკური ბრძოლის გარშემოებას. ეს მიმართულება ემხრობოდა რუსეთის ხალხს-ნების ორგანიზაციას – "ნაროდნაია ვოლიას". მათი პრაქტიკული მუშაობა გამოიხატა

ხალხოსნებისათვის სხვადასხვა თვითგანვითარების წრეების დაარსებაში. ამ წრეებს ჰქონდათ თავისი არალეგალური ხელნაწერი ჟურნალი "მუშა" და "განთიადი".

1880-იანი წლების დასასრულში ქართველი ხალხოსნური ჯგუფები იწყებენ გადაგვარებას. მათ გასავალი ჰქონდათ, სანამ მუშათა კლასი ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ ჩამოყალიბებული და მოკლებული იყო გარკვეულ იდეოლოგიას. მუშათა რიცხობრივად და შვევებითაც ზრდის პროცესში ქართველი ხალხოსნები აუცილებლივ უნდა გადაგვარებულიყვნენ და ასეც მოხდა. მათი ერთი ნაწილი გადავიდა სამოციანი წლების პროგრესულ ბანაკში პირველ დასში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძის "ივერია", ნაწილმა კი შეინარჩუნა თავისი მსოფლმხედველობა. ამ მიმართულების პირნი უარყოფდნენ კაპიტალისტურ განვითარებას ჩვენში და ვერ ამჩნევდნენ პროლეტარიატის გაჩენასაც. უფრო დემოკრატიული ნაწილიდან კი წარმოიშვა /1904 წ./ წერილობრიუ-საზოგადოებრივი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის იმპერიის გარდაქმნას ფედერატიულ სახელმწიფოდ და საქართველოსთვის ავტონომიის მოპოვებას საკუთარი ამორჩევითი საკანონმდებლო ორგანოთი. ამ პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო გიორგი დეკანოზიშვილი, ხოლო იდეოლოგი — არჩილ ჯორჯაძე, სხვა მესვეურნი კიდევ ყოფილი ხალხოსანი გიორგი ზდანოვიჩი /მიაიშვილი/, კიტა აბაშიძე და სხვანი. სოც.ფედერალისტთა პარტია ჩამოყალიბდა 1904 წელს ქუთაისის კონფერენციაზე.

თუმცა ეს პარტია ატარებდა სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის სახელს, მაგრამ მისი პოლიტიკური მოთხოვნის ქვაკუთხედს წარმოადგენდა საქართველოს ავტონომია. სოციალური საკითხით ეს პარტია მცირედ ან სულ არ იყო დაინტერესებული. ზდანოვიჩი შემდეგ მოჰყვა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ყრილობის საბჭოს სათავეში. კიტა აბაშიძეც ამ საბჭოს წევრი იყო. საბჭოს უფლება ჰქონდა მოპოვებული შავი ქვის მრეწველობასთან დაკავშირებული საქმიანობის ჩასატარებლად /მუშა მრეწველთათვის საავადმყოფოს გახსნა, კეთილმოწყობის ზოგიერთი სამუშაოები და სხვ./ ყოველ გატანილ ფუთ მარგანეცზე 1/2 კაპიკის გადასახადი აეღო. ამ ფულიდან საბჭო ნივთიერად არა ოფიციალურად ეხმარებოდა სოც.ფედერალისტთა პარტიას. ამ პარტიაში იყვნენ აგრეთვე თავადაზნაურთაგან, სოფლის სამღვდლოებიდან და ბლომად სოფლის მასწავლებლობა. მუშები არ იყვნენ სრულებით.

196. ქალაქების ზრდა საქართველოში. აღსანიშნავია საქალაქო ცხოვრების არაჩვეულებრივი ზრდა საქართველოში განსაკუთრებით მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. თბილისში 1865 წელს 67.700, 1897 წელს კი 160.000 მცხოვრები იყო. ქუთაისში 1864 წელს იყო 4.300 სული, ხოლო ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ქუთაისი არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდებოდა. მაშინ გაშენებული იქნა ქალაქის მეტი ნაწილი, ასე რომ 1897 წელს ქუთაისში ითვლებოდა სულ 32.500 მცხოვრები.

ასეთივე ზრდას მცხოვრებთა რიცხვისას და ქალაქების მნიშვნელოვან განვითარებას ვხედავთ საქართველოს სხვა ადგილებშიც. ბათუმი რუსეთთან შეერთებამდის ოსმალების ხელში უმნიშვნელო პატარა ქალაქს წამოადგენდა. ესლა კი ის სწრაფად გადაიქცა ამიერ-კავკასიის მთავარ ნავსადგურად შავი ზღვის სანაპიროზე.

ამგვარად საქართველო ჩაება რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების საერთო ფერხულში და წყვეტდა კავშირს ფეოდალურ ცხოვრების ნორმებთან. ეს დიდი ცვლილება საქართველოს ცხოვრებაში ხდებოდა რუსეთის კაპიტალიზმის ზეგავლენით. მთელი ამ მოვლენის საუკეთესო დახასიათება მოცემულია ლენინის მიერ წიგნში "კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში". ვლენინი აქ, სხვათა შორის, ამბობს:

"ეკონომიური დაპყრობა" კავკასიისა რუსეთის მიერ მოხდა ბევრად უფრო გვიან ვიდრე პოლიტიკური. რეფორმის შემდგომ ხანაში წარმოებდა ერთის მხრივ კავკასიის მძლავრი კოლონიზაცია და კოლონისტების მიერ ფართო მასშტაბით მიწის დამუშავება განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიაში. სახელდობრ, რუს კოლონისტებს მოჰყავდათ გაყიდვის მიზნით პური, თამბაქო და სხვა. ისინივე იზიდავდნენ თავისკენ ბლომად სოფლის დაქირავებულ მუშებს რუსეთიდან. მეორეს მხრივ ხდებოდა ადგილობრივი საუკუნეებრივი სახელოსნო წარმოებათა გამოთიშვა, რადგანაც ეს სახელოსნო წარმოება იწვევდა ვერ უძლებდნენ მოსკოვიდან ჩამოტანილ საფაბრიკო პროდუქციას. ტულის და ბელგვიური იარაღის კონკურენციის შედეგად ეცემოდა იარაღის ადგილობრივი ძველებური წარმოება. ასევე ეცემოდა რკინის ხელოსნური გადამამუშავება, შემოტანილი მზა რუსული პროდუქციის კონკურენციის

გამო. ეცემოდა ხელოსნური დამუშავება სპილენძის, ოქროსი, ვერცხლის, თიხის, ქონის, სოდის, ტყავეულობის და სხვა წარმოება, ყველაფერი ეს მზადდებოდა უფრო იაფად რუსულ ფაბრიკებში, რომელნიც თავიანთ ნაწარმოებს ასაღებდნენ კავკასიაში. ეცემოდა რქების დამზადება სასმისისათვის /ყანწები/, რადგანაც საქართველოში დაეცა ფეოდალური წყობილება მისი ისტორიული ქეიფით. ეცემოდა ბოხობი ქუდის წარმოება, რადგანაც აზიური კოსტიუმი შესცვალა ევროპულმა. ეცემოდა გუდების და ჭურების დამზადება ადგილობრივი ღვინისათვის, რომელიც პირველად ახლა გამოდიოდა ფართო ბაზარზე გასასყიდათ და თავის მხრივ თანდათან იპყრობდა რუსულ ბაზარს. ამიტომაც ვითარდებოდა კასრების დამზადების საქმე. რუსული კაპიტალიზმი ამგვარად თან ითრევდა კავკასიას, მსოფლიო საქონელბრუნვაში ანიველირებდა /ასწორებდა/ კავკასიის ადგილობრივ თავისებურებათ, რაც ძველებური პატრიარქალური კარნაკტილობის ნაშთი იყო და ქმნიდა თავისი ფაბრიკებისათვის ბაზარს. ქვეყანა, საგლეხო რეფორმის შემდეგდროინდელი ხანის დასაწყისში სუსტად დასახლებული ანდა დასახლებული მთიელებით, რომელნიც მსოფლიო მეურნეობის განზე და თვით ისტორიიდანაც განზე იმყოფებოდნენ, ახლა გადაიქცა ნავთის მწარმოებელთა, ღვინის მოვაჭრეთა, პურის და თამბაქოს მძლავრ მომყვანთა ქვეყანად. კავკასიის გაძლიერებული კოლონიზაციის პროცესთან და მისი მიწათმოქმედ მოსახლეობის გაძლიერებულ ზრდასთან ერთად ხდებოდა კავკასიის მოსახლეობის გად-ახრა მიწათმოქმედებიდან მრეწველობისაკენ.

197. ბაბარუსხეული პოლიტიკა. მიუხედავად მიღებული ზომებისა, გამარუსებელ პოლიტიკას სკოლებში ვერ მოჰქონდათ სასურველი შედეგები მთავრობისათვის. თბილისის გუბერნატორი თავის ანგარიშში 1901 წლისთვის აღნიშნავდა, რომ "ადგილობრივ მასწავლებელთა მეტი ნაწილი უყურებს რუსულს მხოლოდ როგორც სწავლების ენას და ამიტომ თვით სასკოლო ცხოვრებაშიც ხმარობს ადგილობრივ ენას. ამით აიხსნება, რომ მოწაფეები მალე სასესიოთ ივიწყებენ რუსულ ენას იმდენად, რომ გუბერნიის მიმოვლის დროს მე ადგილებზე ხშირად ენახულობდი, რომ მთელს სოფლებში არავინაა ისეთი, რომელსაც შეეძლოს გადათარგმნოს საგლეხო ინტერესების თვალთახედვის სრულუბით ელემენტარული საუბარი".

მოსახლეობის გარუსების დასაჩქარებლად მთავრობამ ამ ხანაში გადადგა კიდევ ერთი ნაბიჯი. გამოვიდა განკარგულება, რომ 1900 წლიდან სამხედრო სამსახურის წვევანდლები გაენაწილებინათ რუსეთის შიდა-გუბერნიების სამხედრო ნაწილებში. ქართველებისათვის ეს განსაკუთრებით სამძიმო იყო /სამხედრო სამსახური მაშინ ოთხწლიანი იყო/, რადგან მათ გვერდში მთელი ამიერ კავკასიის მაჰმადიანი მოსახლეობა სრულებით არ გაჰყავდათ ჯარში. გარდა ამისა ქართველები ვერ იტანდნენ ჩრდილოეთ ქვეყნების ჰავას, ავადმყოფობდნენ და ხშირად იხოცებოდნენ კიდევ. მაგრამ ამ გარემოებას მთავრობა უურადლებას არ აქცევდა, რადგანაც ხანგრძლივი მყოფობა რუსის ჯარის ნაწილებში და ისიც რუსების ქვეყანაში ხელს უწყობდა გაწვეულ ქართველთა შორის რუსული ენის ასე თუ ისე გავრცელებას.

198. სამხედროში ქართული ენის სასწავლო ხმარებიდან საბოლოოდ განდევნის ცდა. როგორც მოხსენებული იყო, 1883 წლიდან სამეგრელოს სამინისტროს /რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს/ სახალხო სკოლებში ქართული ენა არ იხმარებოდა არც როგორც დამხმარე საგანი. საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ქართული ენა როგორც დამხმარე ენა და როგორც ცალკე საგანიც /მოწაფეების მიერ საღვთო რჯულის საგნის და ლოცვების უკეთ ათვისების მიზნით/ ძალაუფლებურად ისწავლებოდა, მაგრამ 1890 წლიდან ის იქაც ძალზე იყო შეზღუდული. 1902 წელს 4 ივლისს სინოდმა გამოიტანა დადგენილება, რომ საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ადგილობრივი ენა ისწავლე-ბოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მოსახლეობა მართლაც ლაპარაკობს ამ ენაზეო. ხოლო რად-განაც სამეგრელოში სალაპარაკო ენად მეგრული იყო, ამიტომ საქართველოს საექსპარსოსოს საოლქო სასწავლო საბჭომ ხსენებული განკარგულების საფუძველზე გამოიტანა დადგენილება, რომ სამეგრე-ლოს საეკლესიო სკოლებში დაეტოვებინა მხოლოდ ხუცური ქართულის სწავლება ლოცვებითურთ, ხოლო ლიტერატურული ქართული ენის სწავლება კი გაუქმებინა.

საექსპარსოსოს საეკლესიოს სკოლების მეთვალყურე დეკანოზ ვოსტორგოვმა გაუგზავნა 1902 წელს 20 აგვისტოს გურია-სამეგრელოს ეპარქიის საბჭოს საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის შე-მუშავებული ახალი სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვით ქართული ენა სამეგრელოს საეკლესიო-სამრევლო სკოლებიდანაც უნდა მთლიანად გამოდევნილი ყოფილიყო. ეპარქიის სასწავლო საბჭომ

იქონია ამ საკითხზე მსჯელობა და გამოიტანა უარყოფითი დადგენილება, რაც ეცნობა კიდევ ღკანოზ ვოსტორგოვს. ვოსტორგოვი ამით ძლიერ უკმაყოფილო იყო და თავის წყრომას გამო-სთქვამდა ეპარქიის საბჭოს თავმჯდომარის მიმართ, რომ მან ვერ "გამოიჩინა უნარი სახელმწიფო იდეების გასათარებლად"-ო. ამიტომაც გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე გადააყენეს და მის მაგივრად დანიშნეს ქართველი რენეგატი ეპისკოპოსი დიმიტრი აბაშიძე, ქართული საქმიანობის მოწინააღმდეგე.

ხსენებულ დადგენილებათა გატარებას ძლიერ უჭერდა მხარს ქუთაისის სასულიერო სემინარიის რუსული მართებლობა, რომლის ხელქვეით იყო სამეგრელოს ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებელი მარტვილში, აგრეთვე ამ სასწავლებლის რუსი-უფროსი ნარბეკოვი გურია-სამეგრელოს ახალი ეპისკოპოსის დიმიტრით სათავეში. კახელ თავად აბაშიძეთაგან, ფსიქო-პათოლოგიურად ყველაფერი ქართულის მტერი. მიუხედავად ამისა, რადგანაც საკითხის გატარება მანც ჭიანჭურდებოდა, ხსენებული სასულიერო სასწავლებლის ქართველი /მეგრელი/ მოსწავლეები გადაჭრით ამ დადგენილების წინააღმდეგ წავიდნენ. მაშინ სამეგრელოს თავადაზნაურობამ, ერთადერთმა წოდებამ, რომელსაც მაშინდელ პირობებში საზოგადოებრივ საკითხებზე ხმის ამოღება შეეძლო, გააგზავნა პეტერბურგში სინოდის ობერ-პროკურორ ლაბოზდონოსცევთან ვრცელი მოხსენება, რომ ქართული ენა არის თავიდანვე საერთო მწიგნობრული ენა ყველა ქართველებისთვის მეგრელების ჩათვლით. და თხოულობდნენ საეკლესიო სკოლებში წინანდელი მდგომარეობის დატოვებას და მეგრელების დაკვას იმ პირობებში, რომელთაც უნდათ რომ ჩვენ, მეგრელებს, წაგვართვან ჩვენი მშობლიური ქართული ენაო /23 ივლისი 1904 წ./ ეს შუამდგომლობა შედგენილი იყო უფრო მწერალ იონა მუნარგას მიერ და მას ხელს აწერდა 113 მეგრელი თავადაზნაური. საყურადღებოა, რომ თითქოს ამის სა-პასუხოდ იმავე თვის 28-ში გურია-სამეგრელოს ხსენებულმა ეპისკოპოსმა დიმიტრიმ გააგზავნა სინოდის სასწავლო კომიტეტში პეტერბურგში თავისი განცხადება, რომ არათუ სამეგრელოში, არამედ მთელ საქართველოში საეკლესიო-სკოლებში ქართული ენის სწავლება უნდა აღკვეთილ იქნას, რადგანაც ქართული ლიტერატურა საესეა ღვთის მგმობელი და სუბარატისტული აზრებითო /ეს ტყუილი იყო, რადგანაც არაფრის ამის მსგავსის დაბეჭდვა წინასწარი ცენზურის არსებობის პირობებში, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა/. საყურადღებოა ამასთანავე, რომ ეპისკოპოსი დიმიტრი სთხოვდა სინოდის სასწავლო კომიტეტს ეს მისი განცხადება დაეცვა საიდუმლოდ, რადგანაც თუ მისი და სამეგრელოს /მარტვილის/ სასულიერო სასწავლებლის უფროსის რუს ნარბეკოვის ვინაობა გამომჟღავნდა, ჩვენ კავკასიაში აღარ დაგვედგომებო.

ხსენებული ეპისკოპოსი დიმიტრი 1905 წლის რევოლუციის ხანაში იძულებული გახდა ფოთიდან ჩოხაში გადაცმული გაქცეულიყო და შემდეგ საქართველოში არც დაბრუნებულა. ის კიევში მოკვდა საბჭოთა ხელისუფლების დროს. სასწავლო საბჭოს თავმჯდომარეც გადაყვანილ იქნა სხვა ადგილზე. მხოლოდ 1905 წლის რევოლუციის შემდეგ შესაძლებელი შეიქნა სამეგრელოს საეკლესიო სამრევლო სკოლებში ვოსტორგოვის გეგმის გაუქმება. დიდ დახმარებას ანტიქართულ მიმართულების გამარუსებლები პოულობდნენ საექზარხოზოს საეკლესიო-სამრევლო სკოლების საოლქო მეთვალყურის შაგრაზმელ ღკანოზის ი.ვოსტორგოვის მხრივ.

სამეგრელოს თავადაზნაურობის ხსენებული მიმართვა სინოდის ობერ-პროკურორის სახელზე შეე-საბამებოდა სამეგრელოს მოსახლეობის ფართე ფენების სურვილს. ამისი მაჩვენებელია ის გარემოება, რომ 1-2 თვის შემდეგ ამისა ახალი სასწავლო წელიწადის დაწყებისას სამეგრელოს ბევრ, როგორც საეკლესიო-სამრევლო, ისე სამინისტრო პირველ დაწყებით სკოლაში მოეწყო გაფიცვა /სამინისტრო სკოლებში იყო ერთკლასიანი ორი მოსამზადებელი განყოფილებით, ორკლასიანი და კიდევ ძლიერ მცირედ ეგრეთ წოდებული უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი ოთხკლასიანი/. მოითხოვდნენ ქარ-თული ენის სწავლების შემოღებას. გაფიცვა იმდენად სერიოზული იყო, რომ სამეგრელოში იძულებ-ბული გახდა ჩასულიყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გენსმაგინი. გაფიცვა არ შეიძლებოდა ყო-ფილიყო ხანგრძლივი. სწავლა მალე განახლდა. ვითარდებოდა უკვე რევოლუციური მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა დიდ ამოცანებს - მთელი რუსეთის რევოლუციური მოძრაობასთან ერთად რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობას!

¹ არისტო გაბიჩვაძის საარქივო მასალები

✓ 199. დამოკიდებულება ეროვნულ საკითხისადმი მქონებელთა ჯგუფებში. XIX ს-ის დასასრულში ეროვნული საკითხისადმი საქართველოში იყო სრული დაბნეულობა. სუპარატიზმმა, რამდენადაც როგორც პირველი ისე მეორე დასის წევრთა შორის იყვნენ თუნდაც შორეული მომავლისთვის რუსეთის იმპერიისგან საქართველოს გამოყოფის იდეის მომხრენი, დაკარგა ყოველგვარი ნიადაგი ამასთან მართებლობამ თავის გამარჯვებულ პოლიტიკას კიდევ უფრო მოუჭირა მუხრუჭი.

ასეთ პირობებში ქართველი მქონებელი წრეები კმაყოფილებოდნენ ყოველგვარი, სრულებით უმნიშვნელო წვრილმანით, რაც კი მათის აზრით გამოდგებოდა ქართული ენისადმი სულ მცირე ყურადღების მაჩვენებლად. როდესაც საქართველოს ექსპარხოსმა მთავარეპისკოპოსმა ვლადიმირმა /რუსმა/ სიონის ტაძარში წირვის დროს ორიოდ ასამაღლებელი წარმოთქვა ქართულად, ამას ილია ჭავჭავაძის გაზეთ "ივერია"-ში მიეძღვნა მთელი მეთაური წერილი.

ქართული თავადაზნაურობის ოფიციალურ წარმომადგენლებმა 1901 წელს მოაწყეს თბილისში დიდი ზეიმი საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავის აღსანიშნავად. იმედი ჰქონდათ, რომ მსხვილ მემამულური წრეების მხრივ ცარიზმის წინაშე მუცელზე ამდენი ხოხვის შემდეგ პეტერბურგიდან ახლა მანაც მოიღებდნენ საქართველოსთვის რაიმე მოწყალებას. მაგრამ ეს იმედი საესებო გაცრუვდა. ცენტრალური მთავრობა დაკმაყოფილდა იმით, რომ გაიღო თბილისის და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურთა შეილები აღსაზრდელად 40 ათ. მანეთის შემწვობა წელიწადში და გარდა ამისა თავადაზნაურთა შეილებისათვის ადგილები გახსნა კავკავში ახლად დაარსებულ სამუალო სამხედრო სასწავლებელში /კადეტთა კორპუსში/. ცხადი იყო, რომ ცარიზმისაგან არავითარი შეღავათი თუნდაც მხოლოდ ქართული ენის მიმართ არ იყო მოსალოდნელი.

ამ იუბილეს ჩატარების წინ ქართველ ახალგაზრდა ინტელიგენტთა ჯგუფმა მიმართა წერილით გამოჩენილ რუს მწერალს ლევ ტოლსტოის და სთხოვა მას ხმის ამოღება ყოველნაირად შევიწროებულ ქართველი ხალხის სასარგებლოდ. "ასმა წელმა განვლო მას შემდეგ, ეწერა ამ წერილში, რაც მოხდა საქართველოს რუსეთთან ნებაყოფილობითი შეერთება და ასმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობამ იწყო სისტემატურად შელახვა იმის, რაც მას ზნეობრივი და იურიდიული სამართლის მიხედვით უნდა დაეცვა და შემოენახა, სახელდობრ მან დაიწყო ქართველების მიწის მითვისება, შელახა უფლებები ქართული ენის და ყველაფრის რაც ამ ენასთან იყო დაკავშირებული და აგრეთვე საქართველოს ეკლესიის. ასი წლის სიგრძეზე რუსეთის მთავრობა ცდილობდა წაეშალა ქართველი ხალხის სახე და ქართველები ხელოვნურად და ძალად გადაექცია რუსებად. ამ მიზნით რუსეთის მთავრობამ ხელთ იგდო საუკეთესო მიწები, მოაწყო რუსების კოლონიზაცია ამ მხარეში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა მიწის ნაკლებობის გამო თითქმის რომ შიმშილით იხოცება; განდევნა ქართული ენა სკოლებიდან, სასამართლოდან და საზოგადოებრივ დაწესებულებათაგან, ველური ღონისძიებებით ავიწროვებდა ქართული პრესის განვითარებას და კრძალავდა ისეთი ცნობების დაბეჭდვას რუსული განუთებიდანაც კი, რომელნიც მართლა ასახავდნენ მდგომარეობას ამ მხარეში; გაიტაცა და გაძარცვა ქართული მონასტრები, აღკრძალა წირვალოცვის შესრულება მოსახლეობისთვის გასაკებ მშობლიურ ენაზე და ბოლოს თვით ქართული ენაც განდევნა საეკლესიო-სამრევლო სკოლებიდანაც კი. მაგრამ ყველაფერი ეს კიდევ ეცოტავებოდა მთავრობას. მან დაადვა მოსახლეობას ძნელად გასაღები გადასახადები საერობო რაზმისათვის /земская стража/, რომელსაც ევალება ქართველებს შორის არარსებული ყაჩაღების დევნა, მან დაუწყო ქართველ წვევამდევებს, მათი გარუსების მიზნით, რუსეთში გაგზავნა, საიდანაც 80% მათგანი ბრუნდება დაავადყოფებული და დაჩივებული. ყველა ამ აღმაშფოთებელ ძალადობათ ქართველების მიმართ რუსეთის მთავრობა აწყობდა და ახლაც აწყობს ისე, რომ თავის მტაცებლური ბატონობის ტლანქ ინსტიქტებს ნიღბავს ყოველგვარი საგანმანათლებლო ვალდებულებებით აღმოსავლეთ ქვეყნებში. მთელი ამ ხნის განმავლობაში ქართველებს უჭირათ თავი როგორც ნამდვილ მონებს. ქართველები არაფერს სხვას არ აღნიშნავდნენ თუ არ თავის ერთგულ-ქვეშევრდომობით გრძნობებს, ლებულობდნენ მონაწილეობას რუსების საუკეთესო პოლკების რიგებში უაზრო სისხლისღვრებში, მლიქვნელობდნენ და ხოხავდნენ მძლავრ სამხედრო მართებლობის წინაშე. უნდა ითქვას, რომ მლიქვნელობის და ხოხვის საქმეში წამყვანი ამ ასი წლის სიგრძეზე ყოველთვის იყო "სახელოვანი ქართველი თავადაზნაურობა". ამ სიტყვებით რუს-მონარქებს უყვართ იმ წოდების მოხსენიება, რომელსაც აქვს მონური გრძნობების გამოთქმის უნარი და სისხლის დაღვრის მიდრეკილება. ყველაფერ ამის ჯილდოდ რუსის მთავრობა არ სტოვებდა არც ერთ შემთხვევას, რომ არ გამოეხატა თავისი ღრმა ზიზღი ქართველი ხალხის საჭიროებათადმი და თვით თავადაზნაურობის საჭიროებათადმი, თუმცა ეს თავადაზნაურობა ყოველი ძალღონით ყოველთვის ცდილობდა დაემ-

სახურებინა მთავრობის ნდობა. ეტყობა, რომ ზნეობრივი პრინციპის არქონა და მსუბუქ გამარჯვებათა დმი მისწრაფება ტირანთა შორისაც კი ზიზს მწვევს. და აი თავისი დაცემის საბოლოოდ გამო-საშკარაებლად და ძალადობის და შევიწროებათა სისტემის უკვდავსაყოფად ქართველი თავადაზნაურობა /თუმცა არა ყველანი/ 25 სექტემბერს აწყობს გრანდიოზულ საიუბილეო უქმობას საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავის აღსანიშნავად...

ლევ ნიკოლოზის ძე! მთელი ამ მოტყუებით, ამ საზიზლარი დაცინვით ხალხზე ღრმად აღმ-ფოთებულა მთელი ჯანსაღი და წაუმხდარი მოსახლეობა საქართველოსი. ბერ ათას პატიოსან ადა-მიანთა სახელით მოგმართავთ თქვენ თხოვნით დაგვეხმაროთ, რათა ეს სამარცხენიო "ზეიმობა" ფართოდ იქნას განხორციელებული რუსეთსა და ევროპაში. გთხოვთ შეგვაწიოთ თქვენი სიტყვა დაჩაგრულ და დამონებულ ხალხის სასარგებლოდ, იმ ხალხის, რომელსაც უნდა რომ სხვა ხალხების მსგავსად იცოცხლოს და განვითარდეს და რომლის გაქრობა პირისაგან დედამიწისა უნდა ველურ რუსულ მთავრობას... ჩვენ გვინდა, რომ თქვენ და რუსულმა საზოგადოებამ და ევროპამ, იცოდეთ, რომ ჯერ არა ყველა ქართველს აქვს დაკარგული კაცობრივი ღირსება, რომ საქართველოში იზრდება და ვი-თარდება ძალადობის, სიცრუისა და მოტყუების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის შეგნება, რომ ქართველმა ხალხმა და ქართველმა საზოგადოებამ იციან, თუ რა ბედს უმზადებს მას რუსების მთაე-რობა, რომ ის მზად არის დაიცვას სიცოცხლის შესახებ თავისი უფლება¹.

202. სომხის ბურჟუაზია. ბურჟუაზიის წამყვან ძალას განსაკუთრებით აღმსაქართველოში და კერძოდ თბილისში წარმოადგენდნენ სომეხი ევტრები და კაპიტალისტები. მათ ხელში იყო დიდი სახ-ლები, წარმოებათა მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძო ბანკების უმეტესობა. სომხურ ბურჟუაზიულ წრეებს XIX ს-ნის მეორე ნახევარში ემატებიან ქართველი გრიგორიანები, რომელნიც იყვნენ ქარ-თული წარმოშობის ანდა მთლად მამაპაპით გაქართველებულნი და ქართული შეგნების მქონენი. მა-გრამ რადგანაც რელიგიურად ისინი დაკავშირებულნი იყვნენ სომხურ ეკლესიასთან, ამიტომ სომხის ბურჟუაზიის აღმავლობასთან დაკავშირებით მათ შორის ფეხს იკიდებს სომხური შეგნება. ასე, მაგ., კაპიტალისტი მირზაშვილი ქართველი აზნაური, თანდათან გადადის სომხურ შეგნებაზე. ესევე ბედი ეწვია იზმაილაშვილებს, თავ. ბებუთაშვილებს და სხვებს. ქართველი პატრიოტის მის.თუმანიშვილის შვილი გიორგი თუმანიშვილი, თვითონაც დიდხანს ქართველი საზოგადო მოღვაწე, 1890-იან წლებში გადადის სომხურ შეგნებაზე, თუმცა მან /სხვა თავის მსგავსებთან ერთად/ სომხური სრულებით არ იცოდა.

გაძლიერებულმა სომხურმა ბურჟუაზიამ ხელთ იგდო თბილისის ქალაქის თვითმმართველობა, ამ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად კანონით არსებობდა ქონებრივი ცენზი, სახელდობრ არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეეძლო მხოლოდ იმათ, ვისაც თბილისში ჰქონდა უძრავი ქონება არა ნაკლებ 1,5 ათ. მანეთის ღირებულებისა. ქართველებს შორის თბილისში მეტი იყო ღარიბი, ვიდრე სომხებს შორის. ამიტომ ხმის მქონე ამომრჩეველთა შორის, მაგ., 1886 წ. ქართველები იყვნენ მხოლოდ 9,2%, თუმცა თვით ქალაქში ისინი მოსახლეობის მეოთხედს შეადგენდნენ. არჩევნე-ბში ამიტომ სომხის ბურჟუაზიას, რომლის მესვეურნი ხელმძღვანელობდნენ საარჩევნო კამპანიას, გაჰყავდა ხმოსნებად უმეტესად სომხები. არჩევნები ხდებოდა სამ წელიწადში ერთხელ. ქართველი მეთაურები ილია ჭავჭავაძით სათავეში საყვედურობდნენ, რომ სომხებმა /იგულისხმება სომეხი ბურ-ჟუაზია/ წაართვა ქართველებს თბილისი. ამ აგიტაციის წყალობით ფუჭდებოდა ურთიერთობა ქარ-თველებსა და სომხებს შორის. მდგომარეობა კი რჩებოდა წინანდელი-ქართველები გადიოდნენ ხმოსნე-ბად მცირე რაოდენობით და ამიტომ ერთ ხანს ისინი დაადგნენ თვითმმართველობის არჩევნების ბოიკოტის გზას. ამას მოჰყვა შედეგად, რომ თბილისის საქალაქო თვითმმართველობის 80 ხმოსნიდან ამ ხანად არც ერთი ქართველი არ იყო. 1900 წლიდან ქართველები კვლავ ცხადდებოდნენ საარჩევნო ყუთებთან, მაგრამ ისინი, ძალთა უთანასწორობის გამო, გადიოდნენ ყოველთვის მცირე უმცირესობით. მდგომარეობა შეიცვალა მხოლოდ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როდესაც მოეწყო არჩევნები საყოველთაო და თანასწორი ხმის მიცემის საფუძველზე და ამიტომ ხელმძღვანელი როლი თბილისის თვითმმართველობის საქმეებში გადმოვიდა ქართველების ხელში.

¹ ცსიკა ესაძის ფონდი N743, გვ. 1-2

კაპიტალიზმის გავლენის შედეგად ფულის ბატონობის განმტკიცებას თან მოჰქონდა ქართველ მემამულეთა წოდების (თავადაზნაურობის) გაღარიბება. ეს ითქმის თავადაზნაურობის შეძლებულ ნაწილის შესახებ, ხოლო რაც შეეხება თავადაზნაურობის ღარიბ და ღატაკ ნაწილს, ის ვარდებოდა დაახლოებით გლეხის მდგომარეობაში იმ განსხვავებით, რომ თავადაზნაურთა ოჯახიდან გამოსულთ შედარებით გლეხებთან მაინც უფრო უადვილდებოდათ ცხოვრების ასპარეზზე გზის გაკაფვა.

1917 წლის რევოლუციის წინა ხანაში, 1910 წლის ახლოს ცნობით თბილისის გუბერნიაში თავადაზნაურობის მფლობელობა იყო ასეთი: თავადაზნაურთა მამულები ოჯახზე 25 დესეტინაზე ნაკლები შეადგენდა მფლობელთა საერთო ჯამის 53,55%-ს¹. ეს იყო თავადაზნაურთა მფლობელობის საშუალო დონე თითო ოჯახზე. ამაზე ნაკლები მფლობელობა, ე.ი. თავადაზნაურობის მთლად ღარიბ ნაწილს ჰქონდა კომლზე 10 დესეტინაზე ნაკლები 39%-ს, ხოლო უფრო მსხვილი მფლობელობა 25-100 დესეტინა 23,3%-ს, 100-500 დეს.-16,48%-ს და 500 დესეტინაზე მეტი-6,14%.

ქუთაისის გუბერნიაში თავადაზნაურობის მფლობელად ოჯახზე 25 დესეტინაზე ნაკლები შეადგენდა თავადაზნაურ მფლობელთა საერთო რიცხვის 90%-ს, ე.ი. სურათი იყო ისეთივე, როგორც თბილისის გუბერნიაში სადაც ასეთი მფლობელნი თავადაზნაურობაში იყვნენ 98,55%. ორივე გუბერნიაში თავადაზნაურთა ოჯახებს ჰქონდათ 1.487.341 დესეტინა მიწა, რომელთაგან ვარგისი მიწა შეადგენდა 18,71%-ს და უფრო უვარგისი-81,24%-ს. ორივე გუბერნიაში თავადაზნაურთ ჰქონდათ ვარგისი მიწა 297.468 დესეტინა, თავადაზნაურნი კი შეადგენდნენ ორსავე გუბერნიაში ას ათასზე მეტ სულს ორივე სქესისას. თითო სულზე ამგვარად საშუალოდ ვარგისი მიწა მოდიოდა სამ დესეტინაზე ნაკლები².

მიწათმფლობელ მემამულეთა გაღარიბება საერთო იყო მთელს რუსეთში. მაგრამ საქართველოში ეს უფრო სწრაფი ტემპით მიდიოდა. მიზეზი იყო ჯერ ერთი თვით ქართველ მემამულეთა ჩამორჩენილობა, ისინი არ იყვნენ საკუთარი მეურნეობის მოწყობას და მის გაძლიერებას მიჩვეულნი და საამისო არც ფული ჰქონდათ. ამიტომ ისინი ამჯობინებდნენ მიწების გაცემას საღალღოდ.

მიუხედავად ამისა საერთოდ საქართველოში ძლიერი იყო ფეოდალური დროის გადმონაშთი თავად-აზნაურული ჩვევები, რომელნიც გავლენას ახდენდნენ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. აიხსნება ეს, ერთის მხრივ თავად-აზნაურობის სიმრავლით, და მეორეს მხრივ იმიტაც, რომ ქართული ბურჟუაზია თავისი მცირერიცხოვანობისა და კულტურის დაბალი დონის გამო საზოგადოებრივ ცხოვრებაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა.

თუმცა საქართველოში თავადაზნაურობის დიდი და საგრძნობი ნაწილი იყო მეტად მცირე მიწის და ღარიბი, მაინც აზნაურ ამპარტავნობის ტრადიციები ამ უღარიბეს თავად-აზნაურობაშიც მტკიცედ იყო ფეხმოდგმული. ეს წვრილფეხა აზნაურობა თავის თავს ხედავდა ყოველნაირად შესლულულ მდგომარეობაში. თავადაზნაურობის სამაზრო და საგუბერნიო კრებებზე მონაწილეობის უფლება ღარიბ აზნაურობას არ ჰქონდა. მაღალი ქონებრივი ცენზის გამო ამ კრებებზე ხმის უფლება აღმსაქართველოში ჰქონდა თავად-აზნაურობის მხოლოდ მეათედს, ხოლო იმერეთ-გურიაში მხოლოდ 5%-ს. დანარჩენი უხმონი იყვნენ. ოდიშ-ლეჩხუმის თავადაზნაურობა არც იყო მთავრობის მიერ თავის წოდებაში დამტკიცებული.

ასეთ პირობებში არა თუ ღარიბ, არამედ თვით საშუალო შეძლების თავადაზნაურთაც არ ჰქონდათ იმდენი შემოსავალი, რომ ახალ გაზრდილ მოთხოვნილებათა მიხედვით ეცხოვრა, ჰქონდა შესაფერისი ბინა, მიეცა შვილებისათვის სწავლა და სხვ. ამიტომ ის იძულებული ხდებოდა თავისი მიწები ნელნელა დაეყიდა. მყიდველები იყვნენ არა იმდენად გლეხები, რომელნიც აგრეთვე გაღატაკებული იყვნენ, არამედ სოფლის ბობოლები და ქალაქებში მცხოვრები მდიდრები. კახეთში, მაგ., თავადების კუთვნილი ბევრი ზვარი გადადიოდა სომეხ მოვაჭრეთა ანდა სომეხ ფულიან პირთა ხელში.

თავადაზნაურთ კანონით არ შეეძლოთ არც სასოფლო ყრილობებზე მონაწილეობის მიღება, რადგანაც სასოფლო თვითმმართველობა მართო გლეხებისათვის არსებობდა. გამოდიოდა, რომ თავადაზნაურობის თითქმის მთელი მასა, აღნიშნულ 10% და 5%-ს გარდა, ვერავითარ საზოგადო საქმეში მონაწილეობას ვერ ღებულობდა. თავისი შეგნებით და ნაწილობრივ კულტურითაც ეს ღარიბი თავად-აზნაურული მასა გლეხებისგან მაინც გამოირჩეოდა, მასზე მცირედ მაინც უფრო

¹ С.Л Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, IV, т., 1920 г., стр.193.П

² С.Л Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, IV т., 1920 г., стр. 197.П

მალა იდგა. ამით აიხსნება, რომ ამ აზნაურული წრებიდან გამოსული პირნი აქტიურად ჩაებნენ ახალი თაობის მოძრაობაში და ნაწილობრივ ამ მოძრაობის წარმართვასაც ითვისებდნენ. აზნაურულ-მესაკუთრული ტრადიციები კიდევ მათ საქმიანობას აძლევდა აშკარა წვრილობურთუაზიულ მიმართულებას. ასეთნი იყვნენ: მესამე დასის დამაარსებელი გიორგი წერეთელი, ხოლო მის შემდეგ ნოე ყორდანია, ნიკ/კარლო/ ჩხეიძე, ევგ.გეგეჭკორი და სხვა აქტიური პირნი ქართველ მენშევიკ სოციალ-დემოკრატებს შორის. უფრო მცირედ ასეთი პირნი იყვნენ ქართველ ბოლშევიკებს შორისაც /ალ.წულუკიძე, სორჯონიკიძე და ზოგი სხვა/.

202. ბლმზობის მდგომარეობა. XIX ს-ნის მიწურულსა და XX ს-ნის დასაწყისისათვის საქართველოში სოფლად ძალზე შეიმჩნეოდა კაპიტალიზმის მონაცემების ზეგავლენით გაღრმავებული განსხვავება დოვლათის მხრივ მიწათმფლობელებისა და გლეხობის მასასა და ბობოლებს შორის. განსაკუთრებულ მძიმე მდგომარეობაში იყვნენ დროებით ვალდებულნი გლეხნი და ისეთნი, რომელნიც მცირე მიწიანობის გამო იძულებულნი ხდებოდნენ მემამულეთა მიწები ღალის გადახდის პირობით აეღოთ.

თვით თავდაზნაურობის წარმომადგენელნი 1911 წელს თბილისში ოფიციალურ თათბირზე ხიზანთა მოწყობის შესახებ აღიარებდნენ, რომ დროებით ვალდებულ გლეხთა სამიწო ვალდებულებანი მემამულეთა მიმართ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ნახევარი საუკუნის სიგრძეზე ერთი ორად გაიზარდაო. რაც შეეხება უმიწაწყოლო ან მცირე მიწიან გლეხებს, რომელნიც ღალით ღებულობდნენ მემამულეთა ანდა ახლად წარმოშობილ ბობოლების მიწებს, მათი მდგომარეობა XX ს-ნეში, რევოლუციის წინა ხანაში პირდაპირ კატასტროფიული იყო. აიხსნება ეს იმით, რომ მიწის ექსპლოატაციას ჰქონდა მტაცებლური ხასიათი, რადგანაც გლეხი არ იყო დაინტერესებული სხვისი მიწა გაენაყოფიერებინა ან დაესვენებინა. ამიტომაც მიწის მოსავლიანობა მეტად დაეცა. თუ 1870-იან წლებში დესეტინა მიწა კერძოდ ქუთაისის გუბერნიაში იძლეოდა 180-200 ფუთ სიმინდს, ოცდაათიოდე წლის შემდეგ, XX ს-ნის დასაწყისში, იმავე მიწაზე მოდიოდა მხოლოდ 60-80 ფუთი სიმინდი. ხოლო მემამულესათვის მოსავლის 1/4-ის მიცემის შემდეგ პირველ შემთხვევაში გლეხს მაინც რჩებოდა დესეტინაზე 135-140 ფუთი სიმინდი, ხოლო XX ს-ნის დასაწყისში კი — მხოლოდ 45-60 ფუთი, რაც არ ანაზღაურებდა იმავე მიწის დამუშავებისათვის დახარჯული შრომის საფასურს. ფულზე გადატანით ანგარიში კი იძლეოდა შემდეგ სურათს: 1904 წლის ოფიციალური ცნობით, საერთო საშუალო შემოსავალი დესეტინა სახნავ მიწაზე ქუთაისის გუბერნიაში იყო 54 მანეთი, მიწის დამუშავების ხარჯი კი შეადგენდა 37 1/2 მანეთს, რომლის გამოკლებით რჩებოდა 16 1/2 მან. ღალის 1/4-ის ანგარიშზე მემამულეს მიჰქონდა მთელი მოსავლის 1/4, ე.ი. 13 1/2 მან. თვით გლეხს, მაშასადამე რჩებოდა დესეტინაზე 3 მან., მაგრამ ესეც არა მთლიანად, რადგანაც წესით ღალა გლეხს თვითონ უნდა მიეტანა მიწის მეპატრონისათვის. თუ მიწა ნაკლებ მოსავლიანი იყო, მაშინ გლეხი ამ სამ მანეთსაც ვერ მიიღებდა. გამოდის, რომ გლეხისთვის სხვის მიწაზე მუშაობა პირდაპირ საზარალო იყო და მისთვის გადასახადების გადახდის შესაძლებლობასაც ვერ უზრუნველყოფდა. მაგრამ გლეხი მაინც არ ეშვებოდა მიწას, რადგანაც ჯერ ერთი მას იტაცებდა მოსავლის 3/4-ის ერთად დაგროვება და ამით ტყუედებოდა კიდევ, მეორეც ერთი, და რაც მთავარია, გლეხს არც ჰქონდა სხვა გასაქანი, რადგანაც მან მიწის დამუშავების მეტი სხვა საქმე არ იცოდა და მაშასადამე, მიწასაც ვერ მოცილდებოდა.

განსაკუთრებით მძიმე იყო გლეხების მდგომარეობა იმ მხარეებში და მაზრებში, სადაც იყვნენ ძლიერი მსხვილი მიწათმფლობელები და სადაც, მაშასადამე, ბლომად იყვნენ უმიწა-წყლო ან მეტად მცირე მიწიანი გლეხები. ასეთი მხარეები იყო: გორის მაზრა და შიგნით — კახეთი /თელავის მაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი და სიღნაღის მაზრის მცირე ნაწილი/, დას. საქართველოში კიდევ მდკვირილის ხეობის ზემო ნაწილი, სადაც იყვნენ თავადი წერეთლები, და გურია, სადაც მძლავრობდნენ მსხვილი მფლობელნი თავადნი გურიელები და ზოგი სხვა თავადიც.

სახელმწიფო გლეხები უკეთეს პირობებში იყვნენ, რადგანაც ისინი ღალას არ იხდიდნენ. გარდა ამისა 1901 წელს გამოვიდა კანონი, რომლის მიხედვით ამიერ-კავკასიაში სახელმწიფო გლეხებს გადაეცა მფლობელობის წესით ძველი დროიდანვე მათ უდავო და ფაქტიურ სარგებლობაში მყოფი მიწები. ამ მიწებისათვის გლეხებს უნდა შეეტანათ მანამდის არსებულ საკომლო გადასახადის მაგივრად საღალო გადასახადი /ობროკი/ მიწის რაოდენობის მიხედვით. მაგრამ სახელმწიფო გლეხებს შორის იყვნენ მცირე მიწიანები და მეტმიწიანები. ხსენებულმა წესმა განამტკიცა ეს უთანასწორობა.

ხსენებული წესი სრულებით არ გულისხმობდა სახელმწიფო გლეხებზე მათ ხელში მყოფი მიწების სრულ საკუთრებად დამტკიცებას. გლეხებს შეეძლოთ ამ მიწების გასხვისება /გაყოფა და სხვ/, მაგრამ იმ პირობით, რომ შემძენი და მყიდველი უნდა ყოფილიყო სახელმწიფოვე გლეხი.

კერძოდ ქართველი გლეხებისადმი რუსეთის მთავრობის სავსებით უსამართლო პოლიტიკა აღიარებული აქვს თვით კავკასიის ნამესტნიკს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს თავის მოხსენებაში იმპერატორის სახელზე 10 თებერვალს 1907 წელს: "ყოველს შემთხვევაში მე ვბედავ, ხელმწიფევე, უქვეშევრდომილქსად მოგასხენოთ, რომ ბოლო დრომდის მიწის საკითხში კავკასიის მოსახლეობისადმი მიღებული მოპყრობა მომავალში შეუძლებელია მოთმენილ იქნას თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ეს გარემოება უეჭველია საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოფლის მოსახლეობის რევოლუციურ განწყობილებისათვის. მართლაც, ჩვენ /რუსეთის მთავრობამ/ საკმაოდ ვიშრომეთ ქართული პროვინციების მტკიცე კოლონიზაციისათვის გერმანელი კოლონისტებით, ანატოლიის ბერძნებით, ოსმალეთის სომხებით და ადგილობრივი ადმინისტრაციის მიმართ ბოლო დროს არც თუ კარგი განწყობილების მქონე რუს სექტანტებით. მაგრამ ამ მხარეების ძირითადი მოსახლეობისათვის მიწის საკითხში საადგილმამულო საკითხის თვალსაზრისით ჩვენ არა თუ თითქმის არაფერი გაგვიკეთებია, არამედ ისე დავაშინეთ ეს მოსახლეობა მის სარგებლობაში მყოფ მიწებიდან სხვადასხვა ჩამონაჭრებით, რომ მიწად-მოწყობის დაწყებისას ზოგიერთი სოფელი, თავდაპირველად, მტკიცედ უარს ამბობდა ამაზე, რადგანაც მიწის ახალი ჩამოჭრების გატარების ეშინოდა. თვით ნამესტნიკი თავის ანგარიშში 1907 წელს ადასტურებდა, რომ "მართლაც გლეხობის მიერ შემამულებებისადმი სიძულვილის გადატანა ადმინისტრაციულ ხელისუფლებაზე და უკმაყოფილება სახელმწიფო წყობილებით შეიძლებოდა ხალხის შეგნებაში წარმომდგარიყო თავისთავადაც რევოლუციური პროპაგანდის გარეშეც. რადგანაც ხალხი ხედავდა, რომ მთავრობის მხრივ არ არის არავითარი მზრუნველობა მის საჭიროებათა შესახებ, რომ მთავრობამ 35 წლის განმავლობაში არ გამოსცა არავითარი კანონი, რომელიც გლეხობის მდგომარეობას შეცვლიდა უკეთესობისაკენ".

ამგვარად ნამესტნიკი თვით აღიარებდა მთავრობის დანაშაულს ქართული გლეხობის მიმართ მიწის საკითხში. მაგრამ ნამესტნიკის ამ სურვილებიდან არაფერი გამოვიდა. ადგილობრივი ხელისუფლება ამ საკითხში ვერაფერს ბედავდა საიმპერიო მთავრობისგან ნებართვის მიუღებლად. ცენტრში კიდევ ეხლა სახელმწიფო სათათბიროს არსებობის ხანაში ხელზე იხვევდნენ მის ნელ მოქმედებას.

203. ქართული ბურჟუაზია.

კაპიტალისტური წყობილების ჩვენში განვითარებასთან ერთად ძლიერდება ქართული საქალაქო ელემენტი. წინად თითქმის მთელი ვაჭრობა, მაგ, თბილისში სომეხ ვაჭრების ხელში იყო და ასეთივე მდგომარეობა იყო საქართველოს ქალაქების მეტ ნაწილში. მხოლოდ ზოგ ადგილას, უმთავრესად დასასქართველოსა და იმერეთში, იყვნენ მოვაჭრე ისრაელები. ეხლა კი საქართველოს ქალაქებში ჩნდება ქართველი ვაჭარიც. მაგრამ ეს ვაჭარი წარმოადგენს უმეტეს ნაწილად ნამდვილ ჩარჩს. ის ჯერ კიდევ იმყოფება კაპიტალის პირვანდელ დაგროვების სტადიაზე და ამიტომ კულტურულად ჩამორჩენილია და მორალის პრინციპებსაც მოკლებული. ქართველი მრეწველი კი წარმოადგენდა შედარებით იშვიათ მოვლენას, თუმცა მე-20 ს-ში მათი რიცხვი თანდათან იზრდებოდა. მრეწველობის უმეტესი ნაწილი საქართველოში ან უცხო კაპიტალისტების ხელში იყო ან სომეხი და სხვა ეროვნების მრეწველნი იყვნენ. შავი ქვის (მარგანეცის) მრეწველობა, მაგალითად, უმეტესად უცხოეთის კაპიტალისტების ხელში იყო. თუმცა ქართველი ბურჟუაზია თანდათან ვითარდებოდა, მაგრამ მე-20 ს-ნეშადაც თვით რევოლუციის ხანაშიც ის მეტად სუსტ ძალას წარმოადგენდა. ამით აიხსნება, რომ ქართველმა ბურჟუაზიამ ვერ შესძლო თავისი საკუთარი ოდოლოგიის შექმნა. შეუძლებელი შეიქნა ნამდვილი ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებაც.

204. მუშათა კლასის ბანკოთმარება.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმში ნავთის პროდუქტების გადასატანად თუნუქის ჭურჭლეულობის და ხის ყუთების დამამზადებელ ქარხნების ამუშავებას, რაც წამოწყებულ იქნა ბაქო-ბათუმის რკინიგზის გახსნის შემდეგ ნავთის პროდუქტების საზღვარგარეთ ექსპორტის მიზნით. 1893 წელს ეს ქარხნები ამზადდებდნენ 26.600 ათმანეთის საქონელს, მათში დაბანდებული იყო რვაათასამდის მუშა უმთავრესად გურიიდან და საერთოდ დასასქართველოდან. ქარხნები ეკუთვნოდა უცხოეთის კაპიტალისტურ ფირმებს /როტშილდს, ნობელს და სხვ/

საქართველოში მუშათა კლასის ჩამოყალიბებას ახასიათებდა კიდევ შემდეგი ვითარება. თბილისში კერძო მრეწველნი იყვნენ თითქმის მთლიანად სომეხი-კაპიტალისტები, რომელნიც თავიანთ წარმოებებში ლეზულობდნენ პირველ რიგში სომხებს, რომელნიც ამიტომ ბლომად აწყდებოდნენ თბილისის ჯერ ამიერ-კავკასიის სამხრეთ ქვეყნებიდან, ხოლო ოსმალეთში სომხების დევნის დაწყების შემდეგ სომხეთიდანაც. ქართველები ამ წარმოებებში სამუშაოს იშვიათად თუ შოულობდნენ. ქართველი კაპიტალისტი, რომელსაც ჰქონდა თავისი საწარმოო, თბილისში იყო მხოლოდ ერთი – დავით სარაჯიშვილი, რომლის საკონიაკო ქარხანაში მუშების მხოლოდ მცირე რაოდენობას შეეძლო სამუშაო ემოვნა/დაახლოებით ორმოც კაცს/ და ისინი თითქმის ყველანი ქართველები იყვნენ.

ყველაზე დიდ საწარმოს თბილისში წარმოადგენდა ამიერ-კავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, რომლებშიაც დაბანდებული იყო ორიათას მუშაზე მეტი და ხანდახან სამ ათასამდის, მაგრამ რკინიგზის და სარკინიგზო სახელოსნოების რუსული ადმინისტრაციები ცდილობდნენ თავიანთ საწარმოებში მიეღოთ პირველ რიგში რუსები. ამ რუსების უმეტესობისგან სათანადო შერჩეული ხანგრძლივი აგიტაციის შედეგად ჩამოყალიბდა რუსულ-მონარქისტული ორგანიზაციები, რომელშიაც ექვსასამდის მუშა ირიცხებოდა. რუსული ადმინისტრაციისთვის ტრაგედიას წარმოადგენდა ის, რომ რკინიგზის სახელოსნოების მუშახელის დასაკომპლექტებლად საჭირო რაოდენობით რუს მუშებს ვერ შოულობდნენ. ამიტომ აუცილებელი ხდებოდა ადგილობრივი მუშა-ხელის გამოყენება. ამიერ-კავკასიის ადგილობრივი ხალხების /ქართველების, თათრების და სომხების/ მუშახელიდან ადმინისტრაცია უპირატესობას აძლევდა ქართველებს როგორც სარწმუნოებრივი ერთიანობის გამო /პასპორტში მთელს რუსეთში აღინიშნებოდა მხოლოდ სარწმუნოებრივი ვინაობა, ეროვნული ვინაობა კი პასპორტში არ აღინიშნებოდა/, ისე შედარებით მაღალი კულტურის გამო. პირობები ამ სახელმწიფო საწარმოებებში, შედარებით კერძო მწარმოებლებთან, მუშებისთვის უკეთესი იყო. მუშის უფლებებიც, შედარებით კერძო საწარმოებთან, უკეთ იყო დაცული. სახელმწიფო წარმოებაში მუშა არც იყო დამოკიდებული კერძო მეწარმის თვითნებურ და ხშირად უსამართლო სურვილებზე. ყველაფერი იქ გარკვეულ წესებს ემორჩილებოდა. ამიტომაც ქართველი მუშები მეტი ხალხით მიდიოდნენ ამ სახელმწიფო წარმოებებში. ადმინისტრაციაც აქ, კერძო მეწარმეებთან შედარებით იძულებული ხდება მუშებს მოპყრობოდა მათთვის მეტი ანგარიშის გაწევით. ამით აიხსნება, რომ თბილისის რკინიგზის სახელოსნოები გადაიქცა იმ ბაზად, სადაც ხდებოდა ქართული რევოლუციური-პროლეტარული კონტიგენტების ჩამოყალიბება.

ბათუმში კიდევ მდგომარეობა ასეთი იყო. საქსპორტო სანაეთო ბიდონების დამამუშავებელ ქარხნების უმეტესობა უცხოელ სანაეთო ფირმების /ნობელის და სხვათ/ ხელში იყო. მაგრამ იყვნენ კერძო მსხვილი მეწარმეებიც /სომხები, მაგ., მანთაშვილი და სხვა/ და ერთი ბერძენიც. აქაც სომეხ მეწარმეთა ქარხნებში მუშების დიდ უმეტესობას სომხებივე შეადგენდნენ /ისინი მეტ წილად ამიერ-კავკასიის სამხრეთი მხარეებიდან იყვნენ მოსულნი ანდა ოსმალეთიდან გადმოსვენნი/. ბერძენ მეწარმეს კიდევ მუშებად თითქმის მთლიანად ბერძენები ჰყავდათ. ქართველები შოულობდნენ სამუშაოს მცირედ ზოგ სომეხ მეწარმესთან და მასობრივად შედარებით უკეთ და უფრო წესიერად დაყენებულ უცხოური ფირმების საწარმოებებში. საქარხნო ადმინისტრაცია ასეთ წარმოებებში შედარებით უფრო კულტურულ პირობებს შესდგებოდა და არ აძლევდა თავის თავს ნებას მუშების პირად ცხოვრებასა და მათ საზოგადოებრივ განწყობილებაში ჩარეულიყო.

ამგვარად საქართველოში თანდათან შეიქმნა სამრეწველო პროლეტარიატის კონტიგენტი, საფაბრიკო საქარხნო და მუშების მასა. ამ კონტიგენტის ქართველი მუშები გამოსული იყვნენ გაპროლეტარებული ან ნახევრად-პროლეტარ გლეხებისაგან და ეს გარემოება კი ხელს უწყობდა მუდმივი კავშირის შენარჩუნებას საქარხნო-საფაბრიკო პროლეტარიატსა და გლეხობას შორის, შესაძლებლად ხდიდა, რომ თანდათან უფროდაუფრო გამრავლებულ პროლეტარიატს გავლენა ჰქონოდა სოფლის უღარიბეს გლეხობაზე. საქალაქო პროლეტარიატის ჩასახვასთან ერთად იწყებოდა ბრძოლა მუშების ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მუშების პირველი გაფიცვა ეკონომიური მოთხოვნის წარდგენით აღნიშნულია თბილისში 1866 წელს შირზოევის ქარხანაში, მეორე გაფიცვა 1872 წელს, მესამე კიდევ 1878 წელს და ასე შემდეგ. 1880-იან წლებში სტიქიური მოძრაობა მუშა-ხელოსნებს შორის თავიანთი ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ლეზულობს უფრო ინტენსიურ ხასიათს.

კერძოდ იმერეთში სოფლის შავ მუშებში 1895 წლიდან გაჩნდა დიდი კრიზისი შემდეგი გარემოების გამო. ჭიათურის რკინიგზის გაყვანამდე შავი ქვა ზესტაფონამდე გადაჰქონდათ იმერული

პატარა ურმებით და ცხენებით. ამ რკინიგზის გაყვანის შემდეგ /1895 წლიდან/ დიდძალი ჩაღვარდები /ცხენის საპალნით შვეი ქვის გადამტანნი/ დარჩნენ უმუშევარნი. ღარიბ მურუმე გლეხობასაც მოაკლდა შემოსავალი. ამიტომ 1895 წლიდან ქალაქებში გაჩნდა სამუშაოს მაძიებელი დიდძალი თავისუფალი მუშა ხელი.

205. მესამე დასი. 1890-იან წლებში საქართველოში რუსეთიდან შემოდის მარქსისტული მოძღვრება. რომელიც კაპიტალისტური წყობილების სოციალისტურ წყობილებად გარდასაქმნელად ბრძოლაში ხელმძღვანელ როლს ანიჭებდა სამრეწველო მუშათა კლასს და პროლეტარიატს. მარქსისტული მოძღვრების პოპულარიზატორებად საქართველოში იყვნენ ადგილობრივ ჩამოსული რუსი მარქსისტები /ერთი მათგანი იყო კუნატოვსკი/. 1893 წელს ჩამოყალიბდა ე.წ. "მესამე დასი". ეს სახელი პირველად იხმარა გიორგი წერეთელმა ეგნინოშვილის დასაფლავებაზე ახალი მიმართულების მომხრეთა აღსანიშნავად. ამ "მესამე დასს" ის სთვლიდა გამგრძელებლად იმ ეროვნული დასის მიმართულებისა, რომელსაც თავის დროზე მეთაურობდა ილია ჭავჭავაძე /პირველი დასი/ და ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულებისა, რომლის მეთაური იყო თვითონ გიორგი წერეთელი და რომელსაც მეორე დასად მიიჩნევდა. მესამე დასი დაარსდა 1893 წელს და მის წინამძღოლად ერთ ხანს ითვლებოდა გიორგი წერეთელი. გიორგი წერეთელმა დაარსა ყოველ-კვირეული ჟურნალი "კვალი", რომლის ფურცლებზე მან შესაძლებლობა მისცა ამ ახალ მიმართულებას თავისი წერილებით გამოსულიყო. შემადგენლობა ამ დასისა იყო სხვადასხვა ხასიათის. თავიდანვე ამ მიმართულებაში იმარჯვებდა მარქსისტული მოძღვრება, ხოლო 1895 წლიდან ის აშკარად დადგა ამ მოძღვრების საფუძველზე. მაგრამ რადგანაც მესამე დასის ინტელიგენტურ შემადგენლობაში სჭარბობდა წვრილი აზნაურული ელემენტები, ამიტომ მისი უმრავლესობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით თავიდანვე ადგა ლეგალური მარქსიზმის გზას, რევოლუციურ მოძრაობაში ეს მიმართულება თავიდანვე არ სცნობდა პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას და წინ აყენებდა ბურჟუაზიასთან შეთანხმების თეორიას. შემდეგ მესამე დასში გაჩნდა ახალი უფრო რადიკალური ფრთა ჯერ ალ/სამა/ წულუკიძის, ლადო კეცხოველის და მათი მომხრეთა სახით, ხოლო 1898 წელს მესამე დასში შევიდა მათზე უფრო ახალგაზრდა იოსებ ჯულაშვილი /სტალინი/. ამათ შეიტანეს მესამე დასში ახალი რევოლუციური სული. ამგვარად მესამე დასის მიგნით 1898 წელს ჩამოყალიბდა რევოლუციური მარქსიზმის ჯგუფი სამა წულუკიძის, ლადო კეცხოველის და სტალინის შემადგენლობით.

206. მესამე დასის დამოკიდებულება პროვნული საკითხისადმი. ახალი დასი, პირველ და მეორე დასისაგან განსხვავებით, მთავარ მნიშვნელობას აძლევდა სოციალურ საკითხს, მაგრამ თვით გიორგი წერეთელი თავდაპირველად საჭიროდ სთვლიდა სოციალურ საკითხთან ერთად ყურადღება მიქცეოდა ქართველი ხალხის, როგორც დამონებული ერის, ნაციონალურ ინტერესებსაც. ის ამტკიცებდა ზეპირ გამოხატვებებში და კერძო წერილებში, რომ სანამ რუსეთს თვალი უჭირავს ჩვენს მიწა-წყალზე და სურთ ეროვნულად ჩვენი გადაგვარება, ჩვენ უნდა ვიდგეთ ეროვნულობის დაცვის პოზიციაზე და ვერ გავეშლით ინტერნაციონალიზმის დროშასო. ხოლო მაგ., ეგნინოშვილი კი, რომელიც ამ დროს უმცირესობაში იყო, ამის მომხრე არ იყო. როდესაც ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოთავალმა გაზეთმა "ივერია"-მ უსაყვედურა მესამე დასელებს, რომ გ.წერეთელი უფრო პოლიტიკურ /ამ შემთხვევაში იგულისხმება ნაციონალურ/ მხარეს უთმობს ადგილს, ხოლო პეკელიშვილი და ნ.ჟორდანიას ეკონომიური მატერიალიზმის პრინციპებს აძლევენ უპირატესობასო, ნ.ჟორდანიამ ამაზე, კმარქსის დამოწმებით, უპასუხა "კვალში" /1895 წ./, "რომ ყოველი ეკონომიური ბრძოლა არის პოლიტიკური; თუ ერთი მწერალი უფრო ერთს კითხვას აქცევს ყურადღებას და მეორე მეორეს, ეგ მხოლოდ შრომის დაყოფა და არა მათი აზრთა წინააღმდეგობა"-ო.

მაგრამ სულ მალე მდგომარეობა შეიცვალა. მესამე დასი სოფლად ემყარებოდა უღარიბეს და დროებით ვალდებულ გლეხებს, რომლებშიც გათვითცნობიერება შექმონდათ ქალაქებიდან სახლში დაბრუნებულ მათივე თანასოფლელ მუშებს. გლეხობის ეს უღარიბესი და ნახევრად ბატონყმურ დამოკიდებულებაში მყოფი ნაწილი უნდობლობით ეკიდებოდა მემამულე თავადაზნაურობას. აქედან, გლეხობის ამ ნაწილის ზეგავლენით, ხალხი ზურგს აქცევდა იმ საკითხებსაც, რასაც მქონებულ მემამულე კლასზე დაყრდნობით აყენებდნენ წინ პირველი დასის მიმდევარნი და მათ შორის პირველ რიგში ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლების და ეროვნული ინტერესების დაცვის საკითხს. აქედან გაჩნდა გულგრილობა ქართულ ეროვნულ საკითხისადმი. ამ გულგრილობამ შემდეგ მიიღო ავად-

მყოფური ხასიათი ისე რომ 1905 წლის რევოლუციის დროს, მაგ. გურიაში საქართველოს ავტონომიის მომთხოვე სოციალ-ფედერალისტების წინააღმდეგ ხალხში ხშირად გაიძახოდნენ – ავტონომია მოიტანს მემამულეების გაბატონებას და ბატონყმობის აღდგენას. ხალხის ფართო მასის ასეთი განწყობილების გამო შესამე დასის უმრავლესობა ნორდანიას მეთაურობით უკვე ურადლებას არ აქცევდა ეროვნულ საკითხს, სოციალურ საკითხში კი დაადგა წერილ-ბურჟუაზიულ რევორმისტულ სოციალიზმის გზას.

207. ეროვნული საკითხი და საქართველოს მუშათა კლასი. შესამე დასს თავიდანვე უნდა გამოერკვია თავისი დამოკიდებულება ეროვნულ საკითხისადმი. ქართველი ხალხი ეროვნულადაც მეტად დაჩაგრულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ყველგან საზოგადოებრივ მმართველობაში, საზოგადოებრივ დაწესებულებებში, სკოლაშიც – სავალდებულო იყო რუსული ენა. ქართული ენის ჭაჭანებაც კი არსად იყო. კერძო ინიციატივით და ისიც მცირედ არსებობდა მხოლოდ ქართული პრესა და მცირედვე იბეჭდებოდა წიგნები ქართულად. ინტელიგენციის მეტი ნაწილი და შეძლებული ფენები რუსდებოდნენ, ასე რომ ქართულ გაზეთს და წიგნს მკითხველიც ცოტა ჰყავდა და ისიც უფრო ხალხში, მაგრამ ხალხი იმდენად ღარიბი და ლატაკი იყო, რომ დიდი უმეტესობისათვის ძნელი იყო გაზეთის გამოწერის და წიგნის ყიდვის ხარჯის გაღებაც. ასეთი იყო მდგომარეობა, როდესაც საქართველოში ფეხის ადგმა დაიწყო მუშათა კლასმა, რომელიც მეტწილად სოფლებიდან ქალაქებში ჩასულ უღარიბეს გლეხთაგან შესდგებოდა. ისინი უკვე სამრეწველო მუშები არიან, მაგრამ სოფელთან კავშირს ვერ სწყვეტენ, ოჯახები მათ მეტწილად სოფლადაც კავთ. მაინც ქალაქებში სამუშაოებზე სოფლებიდან წასული მუშები უკვირდებოდნენ კაპიტალისტური წყობილების ეკონომიურ და სოციალურ უსამართლობას, ცდილობდნენ გარკვეულიყენენ არსებული ღუბჭირი ცხოვრების გამომწვევ მიზეზებში და ბრუნდებოდნენ სოფლადაც უკვე საკმაოდ გათვითცნობიერებულნი. ეს მუშები იყვნენ გლეხობის ყველაზე უფრო ღარიბ ფენებიდან, უმეტეს ნაწილად, თავიანთ მებატონეთა მიმართ დროებით ვალდებულნი, ე.ი. არსებითად ნახევრად ბატონყმურ პირობებში მყოფნი.

ქართველი მაღალი განათლების ინტელიგენციის დიდი უმეტესობა თავადაზნაურთაგან და სასულიერო წოდებიდან იყო. ხოლო ამ ინტელიგენციის იდეურად ხელმძღვანელი ნაწილი პირველი ან მეორე დასის მეთაურები და მიმდევარნი – პირველ რიგში აყენებდნენ ეროვნულ საკითხს, რადგანაც რუსეთის საიმპერიო მართებლობის გამარჯვებელი პოლიტიკა საფრთხეს უქმნიდა თვით ქართული ენის და ქართული კულტურის არსებობას. მაგრამ არსებული სოციალური წინააღმდეგობის გამო მოწინავე მუშათა წრეები უნდობლად უყურებდნენ ინტელიგენციის მიერ ეროვნული საკითხის წამოყენებას და ბევრი, გლეხებს შორის, ეჭვობდა კიდევ – ხომ არ გამოიწვევდა საქართველოს ავტონომიის განხორციელება თავადაზნაურული ინტელიგენციის წინ წამოწევის და გაძლიერებას. დროებით ვალდებულნი გლეხნი ამაზე შიშაც გამოსთქვამდნენ, რომ ასეთ პირობებში თავადაზნაურული მართებლობის კლანჭებში მათ შეიძლება სრულებით ვერ შესძლონ თავიანთი მდგომარეობიდან თავის დაღწევა. აქედან უფრო ნაკლებ შეგნებულნი განმარტავდნენ საკითხს ისედაც, რომ საქართველოს ავტონომიური მართებლობის დამყარებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ბატონყმობის აღდგენაცო. ამით აიხსნება, რომ კერძოდ სოციალ-ფედერალისტების პარტია, რომელიც პირველ რიგში საქართველოს ავტონომიის საკითხს აყენებდა ხალხს ბევრგან გამოჰყავდა ბატონყმობის აღდგენის მოტრფიალედ. ყველაფერი ამით აიხსნება, რომ ქართველი მუშების და ნახევრად მუშა-გლეხების მასა გულგრილად უყურებდა ეროვნულ საკითხს, არ იჩინდა მისდამი ინტერესს და პირველ რიგში საჭიროდ სთვლიდა სოციალური საკითხის გადაწყვეტას. ამას თან ემატებოდა კიდევ შემდეგი გარემოება.

ინტელიგენტური ჯგუფების და დასების მხრივ ავტონომიის იდეისადმი ურადლების გამახვილება აყენებდა რუსეთთან ურთიერთობის საკითხს. ხოლო საწარმოო ქალაქებში, სადაც სამუშაოებზე დაკავებულნი იყვნენ ქართველი მუშა გლეხები, კერძოდ თბილისსა და ბათუმში მოსახლეობის შემადგენლობა იყო მეტად ჭრელი. თვით თბილისში ქართველობა მამინ შეადგენდა საერთო მცხოვრებთა ერთ მეხუთედზე ოდნავ მეტს. ქართველი მუშა გლეხები ქალაქებში ხვდებოდნენ სხვა ეროვნებათა მუშებსაც, რომლებთან მათ აერთებდათ საერთო კლასობრივი ინტერესები. გარდა ამისა ქართველ ხალხში ძლიერ გამჯდარი იყო შიში ოსმალეთისადმი, რომელიც ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო იყო. განსაკუთრებით ეს იგრძნობოდა დასაქართველოში, სადაც ხალხს ეს შიში ოსმალეთის სახელმწიფოსადმი ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი. ამიტომ ხალხი მარტივად განმარტავდა თავის პოლიტიკურ ხასს.

ყველაფერმა ამან განაპირობა საქართველოში მუშათა კლასის და მესამე დასის დამოკიდებულება ეროვნულ საკითხისადმი: არავითარი ეროვნული ავტონომია, მჭიდროდ რუსეთთან ყოფნა და რუსის ხალხთან, რუსეთის მუშათა კლასთან ერთად ბრძოლა რუსეთის ცარიზმის დასამხრობად. მესამე დასის მენშევიკურმა ფრთამ ეროვნული საკითხისადმი ასეთი მიდგომა მიიყვანა მთლად დამახინჯებამდე – თავის პრესაში, რომელიც ქართულად გამოდიოდა, მენშევიკები გაურბოდნენ სიტყვების "საქართველოს" და "ქართველი ხალხი"-ს ხმარებას.

პირველი უთანხმოება მესამე დასში მოხდა არალეგალური გაზეთის დაარსების გამო, რის წინააღმდეგ წავიდნენ ლეგალური მუშაობის მომხრე მარქსისტები. მაშინ როდესაც წულუკიძე კეცხოველი-სტალინის ჯგუფი კი მოითხოვდა არა-ლეგალური გაზეთის დაარსებას.

208. ქართველი ზომიერი ელემენტების მოთხოვნა. ამ ხანაში ქართველ ზომიერ ელემენტებმა შეიმუშავეს თავისი მოთხოვნილება, რომელიც ყველა წოდებათა და ხელობათა მრავალი პირის ხელისმორწირით გაეცხაენა რუსეთის მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს, რუსეთის დიდი გაზეთების რედაქციებს, რუსეთის საზოგადო დაწესებულებათ და უცხო სახელმწიფოებშიც. პეტიცია აღნიშნავდა, რომ რუსეთის მთავრობამ არ შეასრულა საქართველოს რუსეთთან შეერთებისას 1801 წელს გამოშვებული მანიფესტის დაპირებანი საქართველოში ისეთი მართებლობის დაწესების შესახებ, რომელიც დაამყარებდა მართლმსაჯულებას, პირად და ქონებრივ უშიშროებას და ყოველ ადამიანს აღმოუჩინდა კანონიერ მფარველობას. "ამგვარ დაპირებათა შემდეგ რუსეთის მთავრობამ ქართველი ერის ინტერესებს ნელნელა ზურგი შეაქცია და საჯაროდ აღიარებული აღთქმანი დაივიწყა. მან არა თუ ქართველი ხალხის ეროვნულ ზრდას შეუწყო ხელი, პირიქით, ქართველთა თვითარსებობას და მათ სამშობლო ენას დევნა დაუწყო. მთავრობამ განდევნა ქართული ენა სკოლებიდან და მით ქართველი შვილების აღზრდა უკუღმართ გზაზე დააყენა. მან განდევნა ქართული ენა ეკლესიიდან და მით ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი გრძნობა შეურაცხყო. მან განდევნა ეს ენა სასამართლოებისა და ადმინისტრაციულ დაწესებულებათაგან და მით ისინი ქართველი ხალხისთვის გაუგებარი გახდა. რუსეთის მთავრობამ თავისუფალი მოქალაქე ქართველები, რომელნიც რუსეთის სახელმწიფოს მხოლოდ განსაზღვრული პირობებით თავისი ნებითვე შეუერთდნენ, უუფლებო მონებად გადააქცია, თითქო ისინი მახვილით დამორჩილებულნი ყოფილიყვნენ და ყველა ამასთან იმ წესწყობილების ღირსნიც კი არ გახდა, რომელიც რუსეთის შუაგულ გუბერნიების მცხოვრებთ დიდი ხანია მინიჭებული აქვთ. ამით რუსებსა და ქართველებს შორის საშინელი უფსკრული შექმნა და მათს შესაძლებელს კეთილგანწყობილ ურთიერთობას ძირი გამოუთხარა.

"იმ განზრახვით, რომ ცენტრალურ მთავრობასა და კავკასიის მცხოვრებთა შორის ნორმალური და წრფელი ურთიერთობა იქნეს დამყარებული", პეტიცია მოითხოვდა: 1) კავკასიაში მოისპოს საგანგებო წესები და სამოქალაქო მმართველობა მოეწყოს რუსეთის შიდა გუბერნიებისთვის მიღებული წესის თანახმად; 2) შემოღებულ იქნას საეროთო თვითმმართველობა ისეთივე, როგორც ეს გადაკეთების შემდეგ საჭიროდ მიჩნეული იქნება რუსეთის შიდა გუბერნიებისათვის; 3) ქალაქების თვითმმართველობანი გადაკეთდეს დემოკრატიულ ნიადაგზე; 4) მოხდეს სასამართლოს რეორგანიზაცია – შემოღებულ იქნას ნაფიც მსაჯულთა დაწესება, მოპრიგებელი მოსამართლენი უნდა იყვნენ ხალხის მიერ არჩეულნი, სასამართლოში სახელმწიფო რუსული ენის თანასწორად იხმარებოდეს ადგილობრივი ენა; 5) განათლების საქმეში მოისპოს გამარჯვებული სისტემა, პირველდაწყებით და საშუალო სკოლებში სწავლა შემოღებულ იქნას ქართულად. სახელმწიფო ენა კი ისწავლებოდეს, როგორც სავალდებულო საგანი, თბილისსა და ქუთაისში გაიხსნას უნივერსიტეტი და უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი, სწავლა იყოს საყოველთაო სავალდებულო და უფასო; 6) ეკლესიის დარგში საქართველოს ყოველ კუთხეში ღვთის მსახურება სრულდებოდეს ქართულ ენაზე, ქართველებისთვის არ უნდა იყოს დაბრკოლება საეკლესიო უმაღლესი ადგილების მისაღებად /იგულისხმებოდა ეკლესიისად ქართველის დანიშვნა/, სამრევლო სკოლებში და სასულიერო სასწავლებლებში მოისპოს გამარჯვებული პოლიტიკა; 7) მოისპოს დაბრკოლებანი ქართველებისთვის საქართველოში საზოგადოებრივ და სახელმწიფო სამსახურში შესასვლელად; სახელმწიფო მოხელეებისათვის სავალდებულო იყოს ადგილობრივი ენის ცოდნა; 8) გაუქმდეს ქართველი ჯარისკაცების გაგზავნა რუსეთში, რადგანაც ისინი იქ ვერ იტანენ ჰავას და იხოცებიან. განახლებულ იქნას ძველი წესი, რომლის მიხედვითაც ადგილობრივ ჯარისკაცთაგან ადგენდნენ განსაკუთრებულ სამხედრო რაზმებს და მათ კავკასიის საზღვრებშივე სტოვებდნენ; 9) საბოლოოდ მოისპოს საქართველოში /თბილისის და ქუთაისის გუ-

ბერნიებში/ ბატონყმობის ნაშთი /იგულისხმება დროებით ვალდებულ გლქთა დაწესება/ და გლქებს მიენიჭოთ დანარჩენ წოდებათა თანასწორი უფლებანი; 10) მცირე მიწიან და უმიწაწყო ქართველებს მიეცეთ ამიერ კავკასიაში თავისუფალ მიწებზე დასახლების უფლება; 11) ქართველებზედაც გავრცელდეს სახელმწიფოს ყველა ის ძირითადი კანონი, რომელიც საჭიროა კანონიერების დასამყარებლად, როგორცაა პირადობის და საცხოვრებელი ბინის ხელუხლებლობა, რწმენის თავისუფლება, სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლება, როგორც რუსულ, ისე ქართულ ენაზე, გაფიცვის, კრების და შეკავშირების თავისუფლება, აგრეთვე მოხდეს საქარხნო კანონების გაფართოება მუშათა უფლებების დასაცავად და შემოღებულ იქნას მუშების სახელმწიფო დაზღვევა; 12) რუსეთში დაარსდეს ხალხის წარმომადგენელთა საკანონმდებლო პალატა, რომელშიაც საყოველთაო, პირდაპირი და ფარული ხმით არჩევის შედეგად მონაწილეობას მიიღებენ ქართველი ერის წარმომადგენლებიცო.

209. მუშათა მოძრაობა საქართველოში XX ს-ის პირველ წლებში. ამგვარად უკვე XIX ს-ის

მიწურულს მესამე დასის ასპარეზზე გამოსვლის დროიდან მუშათა კლასს თავისი ნამდვილი სამრეწველო პროლეტარული ბირთვისთვის და აგრეთვე ნახევრად პროლეტარულ, ნახევრად გლქზურ მასისათვის საქართველოში უკვე ჰყავდა ხელმძღვანელი ძალა. მუშები ესლა გამოდიან არა მარტი ეკონომიური ხასიათის ლოზუნგებით თავისი ღუბჭირი მდგომარეობის ოდნავ მაინც გასაუმჯობესებლად, არამედ მათ უკვე იცინან რომ ბურჟუაზიის ზურგის გასამაგრებლად უკან დგას რუსეთის თვითმპყრობელობა მთელი თავისი სახელმწიფო სისტემით, რომ პოლიტიკურ უფლებათა მოპოების გარეშე ფუჭია კაპიტალიზმთან ბრძოლა. ქართველი ნახევარ-პროლეტარი მუშები, რომელთაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ სოფელთან ცხადად ხედავდნენ, რომ მათი მტერი და გამჩანაგებელია იგივე თვითმპყრობელობა, რომელიც მუქთახორა და მელაღე მემამულეებს ზურგს უმაგრებდა თავისი პოლიციით, თავისი ადმინისტრაციით, ჯარით და მთელი აპარატით. ქალაქად თუ სოფლად ამგვარად ხალხის მტრად გამოდიოდა რუსეთის იმპერია, მისი მთავრობა და უქანარა იმპერატორი ნიკოლოზ II როგორც თვითმპყრობელობის შეუზღუდველი მონარქის განსახიერება. ამით აიხსნება, რომ ქართველების მუშათა კლასი და გლქზობაც მთლიანად მიემხრო მესამე დასს, რომელიც ამგვარად გახდა მისი მეზაირაღე.

ამის შემდეგ გასაგებია, რომ უკვე 1898 წელს თბილისში მუშებმა პირველად გადაიხადეს მიოსობა. პირველ მაისს ამ წელს ფარულად ნაძალადევში შეიკრიბა 35 კაცი. ამისი მომწყობი იყო მუშა ზაქარია ჩოდრიშვილი. შემდგომ წელს იმავე ნაძალადევში ასევე ფარულად მოწყობილ მაისობას დაესწრო უკვე 75 კაცი. პირველად დიდი, თუმცა ისევე არალეგალურად, მაისობა მოეწყო 1900 წელს /დაესწრო 500-600 კაცი/. დროებზე რუსულად, ქართულად და სომხურად წარწერილი იყო ლოზუნგები: "პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით", "გაუმარჯოს რეალობის სამუშაო დღეს". ერთ დროშაზე იყო მარქსის, ენგელსის და ლასალის სურათები. მიტინგი გაგრძელდა საღამოს 5 საათამდის.

შემდგომ 1901 წელს 22 აპრილს /ახალი სტილით 1 მაისს/ თბილისში პირველად გაიმართა ღია საპირველმაისო დემონსტრაცია ქალაქის ცენტრში ვერეთ წოდებულ სალდათის ბაზარზე. ოფიციალური ცნობა იტყობინებოდა, რომ ამ დღეს ადგილობრივი ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა და ხელოსნებმა შეკრების შემდეგ ამართეს აბრეშუმის წითელი დროშა და გაემართნენ გოლოვინის (ეხლანდელ რუსთაველის) პროსპექტისკენ. ხოლო როდესაც პოლიციელებმა დააპირეს დროშის წართმევა, მუშებმა დაუშინეს მათ კეტები, ზოგიერთმა ამოიღო ხანჯალიც და ზოგმა კიდევ რევოლვერიც გაისროლა. პოლიციას მიესმარა ჯარი, რის შემდეგ დემონსტრაცია დაიშალა. პოლიციელთაგან რამდენიმე დაშავდა /მათ შორის პოლიცემისტერიც/, მუშათაგან 12 კაცი. 41 მუშა დაპატიმრებული იქნა. დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდა ზოგი ცნობით სამი ათას კაცამდის. რასაკვირველია ასეთი დიდი დემონსტრაცია, რომელიც მაშინდელ პირობებში მასში მონაწილეთათვის დიდად საშიში იყო, არ შეიძლება უცხად მომხდარიყო. მას წინ უსწრებდა მუშათა შორის ხანგრძლივი პროპაგანდა და აგიტაცია, რომელიც 2-3 წინა წელიწადი წარმოებდა. ამ დემონსტრაციის გამო ლენინის რედაქტორობით არსებული საზღვარგარეთული რუსული გაზეთი "ისკრა" 1901 წელს სწერდა: "თბილისში 22 აპრილს მომხდარი ამბები არის ისტორიულად შესანიშნავი მთელი კავკასიისათვის; ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა".

1901 წელს ჩამოყალიბდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტი რომელშიაც გაბატონებული იყო ლენინურ-ისკრული მიმართულება, ხოლო 1903 წლის დასაწყისს – კავკასიის სოცდემოკრატიული ორგანიზაციების კავშირი.

ამ ხანებში თბილისში მუშათა მოძრაობა გრძელდებოდა განუწყვეტელი რგოლივით. 1900 წლის აგვისტოში გაიფიცნენ რკინიგზის სახელოსნოთა მუშები. (ამ სახელოსნოებში მუშაობდა 4 ათასამდის კაცი, რომელთაგან უმეტესობას ქართველები შეადგენდნენ). მოთხოვნილება იყო წაყენებული ეკონომიური ხასიათის /ხელფასის მომატება 30-50%-ით, რეასათიანი სამუშაო დღის შემოღება და სხვ/. გაფიცულებს სოლიდარობის გრძნობით მიემხრენ კერძო მექანიკური ქარხნების მუშებიც, რომელნიც აგრეთვე გაიფიცნენ. გაფიცვა გაგრძელდა ორი კვირა, მაგრამ ადმინისტრაციამ მიიწვი თვისი გაიტანა – მუშებმა ვერ გაიმარჯვეს.

1901 წელს თბილისის ქარხნებში /თამბაქოსა და სხვ/ მოხდა მუშების ახალი გაფიცვები ასევე ეკონომიური მოთხოვნებით. შემდგომ წლებში მუშათა გაფიცვები აგრეთვე ხდებოდა როგორც თბილისში, ისე სხვაგანაც /მაგ, ქუთაისში, გორში, სიღნაღში და სხვ/. მაგრამ ამ ხანებში რევოლუციური მოძრაობის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა ქბათუმს. 1890-იანი წლების ბოლოში მუშების რიცხვი ქბათუმში წინანდელთან შედარებით კიდევ გაიზარდა. 1898 წელს ბათუმში იყო 10 მსხვილი წარმოება. მათ შორის ნავთის გადასაზიდი ბიდონების ქარხნები მსხვილი კაპიტალისტების როტშილდის, ნობელის, მანთაშევის და სხვათა, ორი თამბაქოს ქარხანა, თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა და სხვა. ამ წარმოებებში ეხლა სულ 11.000 მუშა მუშაობდა. სამუშაო პირობები იყო აუტანელი. სამუშაო დრო აღწევდა 15-16 საათს, ხელფასი კი იყო სამი აბაზიდან ერთ მანეთამდის.

1901 წელს ბათუმში მოეწყო სოციალ-დემოკრატიული წრეები. 1902 წელს იქ არსებობდა არალეგალური სტამბა.

1902 წლის იანვარში ბათუმში მანთაშევის ქარხანაში მოხდა პირველი დიდი გაფიცვა, რის შედეგად ქარხნის ადმინისტრაცია იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. იმავე წლის თებერვალში მოეწყო 1500 მუშის გაფიცვა როტშილდის ქარხანაში, რის შემდეგ მთავრობა გადავიდა შეტევაზე და რეპრესიებზე. ამას მოჰყვა მუშების გრანდიოზული დემონსტრაცია /8 მარტს/, რომლის დროს პოლიციასთან და ჯართან შეტაკების შედეგად მოკლულ იქნა 15 მუშა, 20 დასჭრეს და 500-დე დააპატიმრეს. ამის პასუხად სტალინმა დემონსტრაციის მსხვერპლთა დაკრძალვის დღეს მოაწყო მუშების ახალი დიდი დემონსტრაცია. სტალინი დაპატიმრებულ და მერე გადასახლებულ იქნა ციმბირს.

1903 წლიდან საქართველოშიც, როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრთა შორის იყო ორი მიმდინარეობა – მენშევიკური /რეფორმისტული/ და ბოლშევიკური /რევოლუციური/.

210. 1905 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის წინა ხანა. 1904 წლის იანვარში დაიწყო რუს-იაპონიის ომი. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები, სტალინის მეთაურობით, მომხრენი იყვნენ ლენინის ხაზის ომში მთავრობის დამარცხების და მოუწოდებდნენ მუშებს და გლეხებს ესარგებლათ ცარიზმის სამხედრო სიძულეებით და დაეწყოთ ბრძოლა ცარიზმის დასამხობად. ეს ომი დამთავრდა რუსეთის დამარცხებით.

1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგში პოლიციამ და ჯარმა სროლა აუტესა იმპერატორ ნიკოლოზ II-სთან პეტრიციით /თხოვნით/ მიმავალ მუშათა დემონსტრაციას. ეს სისხლიანი დღე ითვლება 1905 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის დასაწყისად. რუსეთში იწყება გაფიცვები და ძლიერდება რევოლუციური მოძრაობა. 9 იანვრის დღის საპასუხოდ 1905 წლის 18 იანვარს თბილისშიც მოეწყო საერთო გაფიცვა. ამის შემდეგ საქართველოში დაიწყო სხვადასხვა ადგილებში გაფიცვების მთელი სერია. ოფიციალური ცნობებითაც კი, 1905 წელს თითო მუშაზე თბილისში მოდიოდა 4,5 ჯერ გაფიცვა. ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, გორის, დუშეთის, თბილისის და თელავის მაზრებში მოხდა გლეხთა დიდი შეიარაღებული აჯანყებანიც. ამ მოძრაობაში მოწინავენი მოუწოდებდნენ ერთობისაკენ. აქედან თვით მოძრაობას ქართველ ხალხში დაერქვა "ერთობის" სახელი.

211 რევოლუციური მოძრაობა სოფლად. ქალაქებიდან მოძრაობა გადაედო სოფლებს. პირველობა ამ მხრივ ხვდა გურიას, სადაც განსაკუთრებით ბლომად იყვნენ ბათუმის წარმოებებში ნამუშევარი ნახევრად მუშა-გლეხები. ხალხმა აქ, ამ გათვითცნობიერებული მუშების და ცალკე აგიტატორების ხელმძღვანელობით გამოაშკარავა თავისი იშვიათი საორგანიზაციო უნარი. გურიაში

მალე ჩამოყალიბდა ოცამდის ცალკე კომიტეტი თითო 12-15 კაცის შემადგენლობით. ამ კომიტეტების მეოხებით შეიქმნა ერთობის და შეკავშირების ნიადაგზე სახალხო თვითმმართველობა, რომელიც შესდგებოდა ამორჩეულ ათისთავებისგან, ასისთავებისგან, ამორჩეულივე მოსამართლეებისგან, ჩაფრებისგან და სხვ. ადმინისტრაციას და მის ორგანოებს – სოფლის მამასახლისებს და მათ კანცელარიებს, მომრიგებელ შუამავლებს და სხვ. – გამოეცხადათ ბოიკოტი. გახშირდა სახელმწიფო გადასახადების არ შეტანის ფაქტები, იყო ხალხისთვის საძულველ ადმინისტრატორების მოკვლის შემთხვევები /1904 წ./.

გლეხები უარს ამბობდნენ ღალის გადახდაზე. დიდად იყვნენ აგრეთვე ამხედრებულნი სამღვდლოების და ადმინისტრაციის წინააღმდეგ. ბათუმიდან აგიტატორები მუშათაგან, რომელნიც იმავე დროს სანახევროდ სოფელთან იყვნენ დაკავშირებული /მეტ წილად თავისი ოჯახები მათ სოფლად ჰყავდათ/, ღებულობდნენ არალეგალურად დაბეჭდილ პროკლამაციებს.

გურულების საჭიროებათა და მოთხოვნებიანთა გამოსარკვევად გურიაში გაგზავნილ იქნა მთავარმართებლის საბჭოს წევრი კრიმ-გირეი. მართლაც კრიმ-გირეი ჩავიდა გურიაში. იქ მან მოიარა 12 სასოფლო საზოგადოება, სადაც თავისი თანხმულ პირთა თანდასწრებით ისმენდა გლეხობის მიერ ამორჩეულ დეპუტატების განცხადებებს ხალხის ჭირვარამის შესახებ (თებერვლის ბოლო და მარტი 1905 წლისა). გურულების მთავარი მოთხოვნა იყო: მიწების კონფისკაცია და მათი გადაცემა გლეხებზე უფასოდ; დროებით ვალდებულ გლეხთა დამოკიდებული მდგომარეობის გაუქმება; წოდებათა გაუქმება; სიტყვის, ბეჭდვის, კრების, სინდისის თავისუფლება; ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან, მუდმივი ჯარის გაუქმება და სხვ. აგრეთვე სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო, თანასწორ და ფარულ არჩევნებით. ეს იყო არსებითად მოთხოვნათა ის პროგრამა-მინიმუმი, რომელიც მაშინ საყოველთაო იყო საქართველოში და რუსეთის იმპერიის უმეტეს ნაწილში.

1905 წლის დასაწყისიდან გურიიდან სახალხო ერთობის მოძრაობა გადავიდა იმერეთსა და სამეგრელოში. ყველგან ეწყობოდა ისეთივე სახალხო მმართველობა კომიტეტების ზედამხედველობით, შემდგარი ათისთავებისგან, ასისთავებისგან, ამორჩეულ მოსამართლეებისგან, ამორჩეულივე ჩაფრებისგან და სხვ. კერძოდ სენაკის მაზრაში ერთობის სახალხო მმართველობა მოეწყო გურიიდან ბევრი აგიტატორის დახმარებით. ხალხი ყველგან კავშირს წყვეტდა მემამულეებთან, გამოჰყავდა მათგან მოსამსახურეები, არ იხდიდა სახელიწიფო გადასახადებს და არ ცნობდა მთავრობის მმართველობის ორგანოებს ვიდრე სიფლის მამასახლისებამდის და მათი კანცელარიებამდის.

შემდგომ წელს მოძრაობა იმერეთსა და სამეგრელოში კიდევ უფრო გაძლიერდა. კერძოდ სენაკის მაზრაში ჩავიდნენ ბლომად აგიტატორები, რომელნიც თავისი პროპაგანდით ხელს უწყობდნენ ხალხის ყოველმხრივ გათვითცნობიერებას. ხალხი ზიზღს უცხადებდა მემამულე თავადაზნაურობას და ბოიკოტს უცხადებდა მათ მიწებს. გაჭირვებაში ჩავადინილი მზად იყვნენ დათმობაზე წასულიყვნენ და თანახმა იყვნენ გაეცათ თავიანთი მიწები საღალოდ მოსავლის 1/5 – 1/6 ნაწილებზე, მაგრამ გლეხები არც ამას თანხმდებოდნენ.

212. რევოლუციური მოძრაობა შიდა-ქართლში. მეტად მძლავრად მიდიოდა აგრარული მოძრაობა შიდა-ქართლში /გორის მაზრაში/, სადაც განსაკუთრებით იგრძნობოდა მემამულეთა და გლეხებს შორის არსებული კლასობრივი წინააღმდეგობა. გორის მაზრაში განსაკუთრებით ბევრნი იყვნენ მემამულე თავადიშვილები-მსხვილი მიწათ-მფლობელები, საშუალო და წვრილი მფლობელებიც, ბევრნი იყვნენ აზნაურნიც. გლეხებს შორის ბლომად იყვნენ დროებით ვალდებულნი, რომელნიც განსაკუთრებით მძიმედ განიცდიდნენ თავის დამცირებულ და უღატაკეს მდგომარეობას. გახშირდა გორის მაზრაში მემამულეებზე და თავადებზე თავდასხმები, მათი სახლკარის გადაწვა და სხვა. მემამულენი თავიანთი ოჯახებით თავზარდაცემულნი გარბოდნენ ქალაქებში. გლეხებს ჰყავდათ თავისი წითელი რაზმებიც. მაშინ თავად-აზნაურობის ნაწილმა შეადგინა თავისი რაზმიც, რომელსაც წინამძღოლობდა თავგვიორგი ამილახვარი-დიდი მემამულე, რომელსაც ჰქონდა 14 ათასამდის დესეტიანი დარჩეული მიწა ტყეებითურთ გორის მაზრასა და ზემო იმერეთში. ეს თავადაზნაურული რაზმი, რომელსაც სახელად შავი რაზმი შეერქვა, დადიოდა სოფელ-სოფელ, აწიოკებდა ათვალწუნებულ გლეხებს და საერთოდ ჩადიოდა ბევრ უსამართლობას. კლასობრივი წინააღმდეგობა გორის მაზრაში უფრო და უფრო მწვავედებოდა.

213. მოძრაობა საქართველოს გლეხობაში. თელი საქართველო მოიცვა "ერთობის" მოძრაობამ. მაზრებში სოფლად იფიცებოდნენ გლეხები თავს ესხმოდნენ მემამულეებს. ხოცავდნენ მათგან ყველაზე მავნეთ, მოითხოვდნენ თავისუფლებას, მიწას, რუსეთის თვითმპყრობელობის დაშლას და სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევას.

წამყვანი მნიშვნელობა რევოლუციურ მოძრაობაში ჰქონდა, რასაკვირველია, ქალაქებს, საიდანაც რევოლუციური ორგანიზაციები აგზავნიდნენ სოფლად თავის პროპაგანდისტებს. ქალაქებში ხშირად იყო რევოლუციური გამოსვლები წითელი დროშებით, მარსელიოზის და სხვა რევოლუციური სიმღერების შესრულებით. ადმინისტრაცია იყო ტერორიზებული, რადგანაც საკმაოდ ხშირი იყო პოლიციის მოხელეებზე და სხვებზე თავდასხმები და მათი დახოცვა.

რევოლუციური მოძრაობა დიდი ინტენსიობით მიდიოდა დას. საქართველოში, სადაც მოსახლეობა მცირე მიწიანობის გამო მეტ გაჭირვებას იტანდა და ამასთანავე სხვადასხვა მხარეში ყოველთვის სამუშაოდ ყოფნის გამო მეტი შეგნების მქონეც იყო. აღმსაქართველოში გორის მაზრის გარდა რევოლუციური მოძრაობა უფრო ნელი ტემპით მიდიოდა და ზოგ ადგილას ღებულობდა თავისუბურად დამახინჯებულ სახეს. მაგ., დიდ სოფელ საგარეჯოში გლეხობამ გაჩეხა დიდი ტყე, იმიტომ, რომ ის 10 წლით ადრე ჩარიცხულ იქნა ხაზინის კუთვნილებად, რის შემდეგ გლეხებს აუკრძალეს შიგ შესვლა. ტყის კოლექტიურად გაჩეხვის შემდეგ აზვავებული გლეხობა მიადგა სასოფლო სკოლის შენობას, რომლის აშენება სოფელს 5 ათმანეთი დაუჯდა. შენობიდან გამოიყვანეს სკოლის სამივე მასწავლებელი /ორი რუსი და ერთი ქართველი/ და დაითხოვეს ისინი – წლიურად ათას მანეთს გაძლევთ, დავლატაკდით. თქვენ კი ხეირიანს არას ასწავლით, ბავშვებმა ქართულად ხელმოწერა არ იციანო. ასევე გლეხობამ დახურა საავადმყოფო – ორი ათას მანეთს ვიხდით წელიწადში, ექიმი კი დაგვცინის, თბილისში ცხოვრობს და აქ კი წელიწადში ორჯერ გამოცხადდებოა. დახურეს აფთიაქიც და მუფთაიქეს გამოუცხადეს: შეკავშირებული ხარ აქაურ ფერშალთან და ექიმთან და ტყავს გვაძრობო. გლეხები მიადგნენ აქციზის მოხელესაც, რომელიც თვალყურს ადევნებდა, რომ სააქციზო ბაჟის გადაუხდევნელად არაფი არავის გამოეხადა, დაუხიეს მას საქმეები და ისიც განდევნეს სოფლიდან.

დასსაქართველოში 1905 წლის რევოლუციის დროს ფაქტიურად გატარებული იყო ხალხის ბატონობა ადმინისტრაციულ მმართველობაში. ცარიზმის ადმინისტრაცია ფაქტიურად გაუქმდა და ადგილებზე ხალხი თვითონ მართავდა საქმეებს, რისთვისაც მას ამორჩეული ჰყავდა ათისთავები, ასისთავები და ცალკე კომიტეტები.

214. მენშევიზმი და ბოლშევიზმი. საქართველოში და უპირველეს ყოვლისა მის დასავლეთ ნაწილში უპირატესობრივი მდგომარეობა რევოლუციურ მოძრაობაში მოიპოვეს სოც.-დემოკრატ. მენშევიკებმა. მენშევიკები მისდევდნენ ზომიერების სახს. მათ ეშინოდათ ბრძოლის გაღრმავების, გადამწყვეტი ზომების და დასაშვებად სთვლიდნენ გლეხების და მუშების შეიარაღებას მხოლოდ თავდაცვის მიზნით. ბოლშევიკები კი საჭიროდ სთვლიდნენ რევოლუციურ ბრძოლას თვითმპყრობელობის სრულ განადგურებამდის, რათა შემდეგ ცარიზმის და მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების ნანგრევებზე დამყარებულიყო სოციალიზმი.

საქართველოში სოც.-დემოკრატ მენშევიკების მიერ უპირატესობრივი მდგომარეობის მოპოების მიზეზები ახსნილი აქვს ისტალინს. მას განმარტებული აქვს, თუ რამ გამოიწვია განსხვავება ბოლშევიკების და მენშევიკების ტაქტიკას შორის რუსეთის სოცდემოკრატიული პარტიის V /ლონდონის/ ყრილობაზე "ბოლშევიკების ტაქტიკა სწერდა ისტალინი, არის მსხვილ წარმოებითი პროლეტარების ტაქტიკა, არის იმ მხარეების ტაქტიკა, სადაც კლასობრივი წინააღმდეგობანი განსაკუთრებით აშკარაა და კლასობრივი ბრძოლაც განსაკუთრებით მკვეთრი. ბოლშევიზმი-ეს არის ნამდვილი პროლეტარების ტაქტიკა. მეორეს მხრივ არა ნაკლებ ცხადია ისიც, რომ მენშევიკების ტაქტიკა არი უმთავრესად ხელოსან მუშების და გლეხურ ნახევარ-პროლეტარების ტაქტიკა, ტაქტიკა იმ მხარეების სადაც კლასობრივი წინააღმდეგობანი არაა მთლად ცხადი და კლასობრივი ბრძოლაც შენიღბულია. მენშევიზმი არის პროლეტარიატის ნახევრად ბურჟუაზიული ელემენტების ტაქტიკა, ამას ამბობს ციფრები".

საქართველოს სინამდვილე მაშინდელ პირობებში უფრო ხელსაყრელი იყო მენშევიზმის ვიდრე ბოლშევიზმის პრაქტიკულად გასაფრცხვლებად. 1924 წლისათვის ს. ორჯონიკიძე ანგარიშობდა, რომ, მაგ, გურიაში არის 500 ბოლშევიკი და 14 ათასი მენშევიკი, ეი. მენშევიკები რიცხობრივად შეესატყვისებოდნენ ბოლშევიკებს როგორც 28:1 – მაგრამ ეს იყო მაშინ, როდესაც საბჭოთა ხელისუ-

ფლების დროს ბევრი გადავიდა ან ახლად შევიდა კომუნისტურ პარტიაში. მანამდის კი ბოლშევიკების რაოდენობა ქართველებს შორის იყო ბევრად ნაკლები. ეს აიხსნება იმით, რომ მსხვილ საწარმოებში ქართველებს არაქართველი კერძო მეწარმენი სამუშაოზე არც ღებულობდნენ.

215. კამკასიის სანამესტნიკოს აღდგენა /1904 წ./ ამიერ-კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან ერთად საიმპერიო მთავრობამ გადაწყვიტა მთავარმართებელის მაგივრად, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარებოდა, აღედგინა კავკასიაში იმპერატორის მოადგილის /ნამესტნიკის/ თანამდებობა ისეთივე უფლებებით, როგორც ეს იყო დაწესებული 1845 წელს. ნამესტნიკად დაინიშნა საიმპერატორო კარის ყოფილი მინისტრი გრაფი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი.

ახალი ნამესტნიკი იძულებული გახდა გადაედგა ზოგიერთი ლიბერალური ხასიათის ნაბიჯი. მან გამოაცხადა, რომ შემოიღებს საერობო თვითმმართველობას და თუმცა მან თავისი ჩინოვნიკებით მართლაც შეიმუშავა ამ თვითმმართველობის პროექტი, მაგრამ მისი გატარება პეტერბურგში ვერ შესძლო. აპირებდა ის დროებით ვალდებულ გლეხთა დაწესების გაუქმებას იმ პირობით, რომ გლეხებს თავიანთი სანადელო მიწები მემამულეთაგან გამოეყოდათ ხაზინიდან სესხის მიღებით. მაგრამ პეტერბურგში მთავრობამ ფულის გაღებაზე უარი განაცხადა /საჭირო იყო ოც მილიონამდე ფული მთელი ამიერ-კავკასიისათვის/. ერთად ერთი, რაც ვორონცოვ-დაშკოვმა განახორციელა ეს იყო სახალხო სკოლებში 1881 წლის სასწავლო გეგმის აღდგენა. ეს გეგმა მოსახლეობის გარუსების მიზნით იყო თავის დროზე შემოღებული, მაგრამ ისიც კი არ სრულდებოდა რადგან ამ გეგმით ქართულ სახალხო სკოლებში პირველ ორ წელს სწავლა უნდა წარმოებულყო ქართულად და მხოლოდ მესამე წლიდან სკოლაში უპირატესი მდგომარეობა ეძლეოდა რუსულს. მანამდის კი რუსულად სწავლებას ფაქტიურად იწყებდნენ პირველი წლიდანვე.

216. 1881 წლის სასწავლო გეგმის აღდგენა. რევოლუციური მოძრაობის ზეგავლენით მთავრობა იძულებული გახდა სახალხო სკოლაში სულ მცირედ მაინც დაეტოვებინათ ადგილობრივი ენა, საქართველოს მეტ ნაწილში – ქართული. სკოლა /თვით სახალხოც/ კვლავინდებურად რუსული რჩებოდა, მაგრამ საჭირო შეიქნა ადგილობრივი ენის დამხმარედ მოშეკლიება თუნდაც რუსიფიკატორული მიზნების უფრო რაციონალურად და მეტი ეფექტიანობით მისაღწევად. სანამესტნიკო ხელისუფლებამ გადაწყვიტა ამიტომ აღადგინოს 1881 წლის სასწავლო გეგმა, რომელიც ფორმალურად არც იყო გაუქმებული, მაგრამ სასწავლო ოლქის უკანონო მოქმედებით 1880-იან წლებიდანვე შეცვლილი იყო იმგვარად, რომ ადგილობრივი ენა ფაქტიურად თითქმის რომ გამოდევნილი იყო სახალხო სკოლიდანაც. ახალი ხაზის აუცილებლობა ამ საკითხში დასაბუთებული აქვს თვით ნამესტნიკს ვორონცოვ-დაშკოვს თავის მოხსენებაში იმპერატორის სახელზე, სადაც ის, სხვათა შორის, წერდა:

„სახალხო სკოლების ამოცანას შინაგან რუსეთში შეადგენს მოსახლეობის გონებრივი განვითარების ამაღლება. ამ ამოცანის გარდა კავკასიურ სახალხო სკოლას აქვს კიდევ მეორე მიზანი, სახელდობრ სხვა ენის მქონე მოსახლეობაში დაამყაროს რუსული ენა, რომელიც ეჭვს გარეშეა წარმოადგენს იმპერიასთან მრავალ ტომიან ძირეული მოსახლეობის მქონე მხარის გაერთიანების უმთავრეს ფაქტორს. ამიტომ მხარის ყველა საგანმანათლებლო სკოლების საფუძვლად უნდა დადებული იქნას ამ ორი ამოცანის შეთავსება – რუსული ენის დამკვიდრების საშუალებათა გამოძენის ისეთი ხერხიანობა, რომ არ დაზარალებს მოსახლეობის საერთო გონებრივი განვითარება და ამ განვითარების ამაღლება სახელმწიფო ენის გავრცელებასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, სახალხო სკოლის ეხლანდელი მდგომარეობა კავკასიაში სრულებით არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. სწავლების ენად ნახსენებ დაწყებით სკოლებში იყო რუსული და თბილისის გუბერნიის მხოლოდ 157 სკოლაში, აგრეთვე ყუბანის ოლქის 12 სკოლაში სწავლა სწარმოებდა ადგილობრივ ენებზე რუსული ენის მონაწილეობით. ეს გარემოება არის უაღრესად მნიშვნელოვანი. საქმე იმაშია, რომ რუსული ენა ძირეულ სოფლის მოსახლეობაში გავრცელებულია მეტად მცირედ ხოლო რუსულის მცოდნე ბავშვები თითქმის არ არიან. ამგვარად, ბავშვს პირველად ესმის რუსული ბევრის ენები სკოლაში. ხოლო რადგანაც მასწავლებლად მეტ ნაწილად არიან ადგილობრივი მკვიდრნი, რომელნიც საცხებით თავისუფლად ვერ ფლობენ რუსულ ენას, ამიტომ უხეირო სწავლება ხუთი წლის სიგრძეზე ორკლასიან სკოლებში და მით უმეტეს სამი წლის სწავლება ერთკლასიან სკოლებში თითქმის ვერ აღწევს მიზანს. რუსული ენის ცოდნის მიღების და ცოტად თუ ბევრად სწორად წერის და კითხვის სწავლების მაგივრად გამოდის ჩვეულებრივ სრულებით გაუგებარ ლექს-არაკების გაზეპირება. ამასთანავე

სასწავლო ენის უცოდინარობა არ აძლევს ბავშვებს საშუალებას მიიღოს სხვა სასკოლო ცოდნაც. ამგვარად, სახალხო სკოლა კავკასიაში არ იძლევა არც საერთო განვითარებას, არც რუსული ენის ხეირიან ცოდნას, არც წიგნიურობას მშობლიურ ენაზე და ამიტომაც ის მოსახლეობის მიერ აღიარებულია როგორც უსარგებლო და საზარალოც კი, რადგანაც ის აშორებს შინა სამუშაოებისაგან ბავშვებს, რომელნიც ამიტომ ვერ ერევიან სოფლის მეურნეობაში მუშაობას. ასეთი რწმენა მოსახლეობაში თანდათან ყალიბდებოდა წლების სიგრძეზე, რამაც ბოლო ხანებში პროპაგანდის ზეგავლენით გამოიწვია მოწაფეთა რიცხვის შემცირება, ცალკე სკოლების დახურვა და ახალი სკოლების გახსნისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

მე წინადადება მაქვს მიცემული, რათა 1905-1906 სასწავლო წლიდან სახალხო სკოლებმა კავკასიის ძირითად მოსახლეობაში ვიდრე ახალ სასწავლო გეგმის შემუშავებამდის იხელმძღვანელონ დაწყებული სკოლის იმ სასწავლო გეგმით, რომელიც დამტკიცებული იყო კავკასიის ყოფილ ნამესტნიკის დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის მიერ 1881 წ. და რომლითაც სწავლება პირველ სასწავლო წელს მიდის ბავშვების მშობლიურ ენაზე. ამასთანავე მე მივეცი სასწავლო ოლქის მზრუნველის მეშვეობით განმარტება, რომ ადგილობრივი ენა უნდა ისწავლებოდეს ადგილობრივ ენაზე და სრულებით არ უნდა ხდებოდეს ადგილობრივი ენის გაკვეთილზე რუსულად თარგმნა. რადგანაც 18 ივნ. 1905 წ. უმაღლესად დამტკიცებულია მინისტრთა კომიტეტის დადგენილება დაწყებით სკოლებში არითმეტიკის სწავლების დროს მოწაფეთა ადგილობრივი ენის დაშვების შესახებ, ამიტომ მე მივეცი მითითება. რომ არა რუს მოსახლეობის სკოლების მასწავლებლებს უნდა მოეთხოვოს ადგილობრივი ენების საკმაო ცოდნა. მომავალში საჭირო იქნება სახალხო სკოლების სერიოზული რეფორმა, რათა ეს სკოლა მართლა აძლევდეს ბავშვებს საჭირო ცოდნას და ავრცელებდეს მოსახლეობაში რუსულ ენას, რომელიც ამდენად საჭირო არის კავკასიის სულ უფრო მეტ ურთიერთობის გამო დანარჩენ რუსებთან.

კავკასიის დაწყებით სკოლებში ეხლა მიღებული მეთოდით რუსული ენის სწავლებისა ეგრეთ წოდებული ნატურალური-ამერიკული საჭიროებს განსაკუთრებით ნიჭიერ მასწავლებლებს და აუარებულ სასწავლო ხელსაწყოებს. ეხლანდელ პირობებში ცუდი მასწავლებლებით და არა საკმაოდ ხელსაწყოებით ეს მეთოდი მხოლოდ აჩლუნგებს მოწაფეობის გონებრივ უნარს და ცნობის მოყვარეობას, რადგანაც დარიბი სკოლის გარემოცვის პირობებში ეს მეთოდი კმაყოფილდება ერთი და იგივე კითხვებით: "ეს რა არის", "რას აკეთებს", და სხვ. და ამიტომ სრულებით არ უწყობს ხელს მოწაფეების მიერ სასარგებლო ცოდნის შეძენას და ზნეობრივად განვითარებას. საჭიროა დაწყებით სკოლებში რუსული ენის სასწავლებლად გადასვლა თარგმნითი-სასაუბრო მეთოდზე ილმინსკის რეკომენდირებულ სისტემისას, რომელიც იყენებს მოწაფეების მშობლიურ ენას, იძლევა მასალას მოწაფეთა გონებრივ და ზნეობრივ განვითარების ხელის შესაწყობად და ნატურალურ მეთოდზე უკეთესად აცნობს ბავშვებს რუსული ენის სულიერ შინაგან შინაარსს ანუ უკეთ ვსთქვათ, რუსული ხალხური სულის სიმდიდრეს. საერთოდ სასურველია კავკასიის სახალხო სკოლის გარდაქმნა ილმინსკის ზემოდ დასახელებული სისტემის მიხედვით, რადგანაც ეს მეთოდი დამყარებულია მოწაფის ეროვნებისადმი პატივისცემის საფუძველზე და პირველადი სწვლება მას მიჰყავს მშობლიურ ენაზე. ეს სისტემა გაბედულად და სრული ნდობით აძლევს ხალხს ხელში ანბანის და ზნეობის წიგნებს მის მშობლიურ ენაზედ. მას არ ეშინია არა-რუსულ ხალხების /ინოროდცების, შენ. ციმბირის და სხვა ხალხების/ ლიტერატურათა შექმნის, მათი ეროვნული ნიჭის გაძლიერების და განვითარების და არც ამ ხალხების სეპარატიზმის. ეს მეთოდი გამსჭვალულია ჰუმანიზმით და ნდობით ინოროდცებისადმი. თავის პრაქტიკის 40 წლის სიგრძეზე მან მოიპოვა სახალხო სიმპათიები. ინოროდცები, რომელთა შორის ეს მეთოდი ხმარებული იყო, არ გრძნობდნენ თავის ეროვნულ თავისებურებათა არაერთარ შევიწროვებას და შეზღუდვას და თანდათან ზრდიდნენ თავის თავში რუს მოღვაწეთადმი, რუსეთის მთავრობისადმი და რუსი ხალხისადმი სიყვარულის და მადლობის გრძნობებს. ამის შედეგი არის ხალხების არ დაძალებული ასიმილაცია. წინაუკმო შედეგი ჰქონდა იმ სისტემას, რომელიც მოქმედებდა კავკასიაში და რომელიც მიმართული იყო მოწაფეთა მშობლიური ენის გამოდევნისაკენ სკოლიდან. რომელიც სისტემა აიძულებდა მოწაფეებს ესარგებლათ რუსული ენით მისი დაჩქარებით ათვისების მიზნით ერთმანეთში საუბრის და მასწავლებლებთან კლასის გარეშე საუბრის დროსაც; ეს სისტემა ბადებს უკმაყოფილებას არა მარტო მოწაფეებში, არამედ განსაკუთრებით მშობლებში. მშობლები მასში ხედავენ უნდობლობას მათადმი, მათი მშობლიური ენის დევნას, ეროვნული გრძნობის შეურაცხყოფას,

რომელიც კავკასიაში თავისებური მიზეზების გამო ყველას მეტად გაძლიერებული აქვს, ხედავენ მასში თავის ეროვნების შევიწროებას და ნაძალადევ გარუსებას.

წინანდელი ნამესტნიკობის დროს მიღებული იყო მშობლიური ენის სწავლა არა მარტო დაბალ, არამედ საშუალო სკოლებშიაც. ეს კავკასიის მკვიდრთა საერთო განმარტებით ხელს უწყობდა არა მარტო წესიერ გონებრივ განვითარებას, არამედ შესაძლებლობას იძლეოდა სახელმწიფო ენის შეგნებულად შესწავლისას და ამიტომ ეს /რუსული/ თუმცა ნელა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით იუფლებდა სათანადო ადგილს ამ მხარეში. მოსახლეობა გრძნობდა რუსული ენის ცოდნის სარგებლობას და თითონ მიისწრაფოდა ამისკენ. ბევრი ქართველი და სომეხი გადაიჭვია კიდევ თავის ენაზე ლაპარაკს, რადგანაც არ იყო ეს მისთვის საჭირო. ასეთი პირნი ყოველ შემთხვევაში თბილისში ბევრნი არიან. მე-1870 წლებში სომეხი მღვდელი თბილისის ვაჟთა I გიმნაზიასთან იძულებული გახდა ესწავლებინა საღვთო სჯული რუსულ ენაზე, რადგანაც მოწაფე სომხებს არ ესმოდათ მშობლიური ენა /შენ. ეს აიხსნება არა ხსენებულ მოწაფეთა გარუსებით, არამედ იმით, რომ თბილისელ სომხების მნიშვნელოვან ნაწილის მშობლიური ენა ამ დროსაც იყო ქართული და სომხური მათ არ იცოდნენ/. ხოლო ქართველები სარწმუნოების ერთობის გამო ასიმილირდებოდნენ რუსებთან კიდევ უფრო სწრაფად. მათი სალიტერატურო ნაწარმოებნი იმ დროისა არა თუ დაწერილი არიან რუსულ მწერლების გავლენით, არამედ მოფიქრებულნიც არიან რუსულად".

თავისი მიმართულებით ვორონცოვ-დაშკოვი თავისი უახლოესი მრჩევლებით მზად იყო დაყრდნობოდა ამიერ კავკასიაში არისტოკრატიული ფენების მქონე ქართველებს და აღმოსავლეთ ამიერ კავკასიის თათრებს, მაგრამ როგორც საკმაოდ ჭკვიანი ადმინისტრატორი, კერძოდ საქართველოში არისტოკრატიის დაკნინების და გადაგვარების გამო ამას პრაქტიკულად ვერ ახერხებდა. ნამესტნიკის უახლოეს თანამშრომლებს შორის აღმოჩნდნენ ისეთი პირნიც, როგორც მისი თანამემწე პოლიციის დარგში გენ. შირინკინი, რომელიც აყენებდა საკითხს, რომ რუსული სახელმწიფოებრიობა ამიერ კავკასიაში ვერ დაემყარებოდა ქართველებს, რადგანაც მათი არისტოკრატია განადგურებულ მდგომარეობაშია, ბურჟუაზია მათ არ ჰყავთ, ხოლო ხალხი, მართალია საკმაოდ კულტურული, მაგრამ წინ აყენებს ან ავტონომიის იდეას ანდა მისდევს სოციალურ საკითხში ექსტრემისტულ მიმართულებას /იგულისხმება სოც.-დემოკრატია/; ტერიტორიაც ქართველებს აქეთ დაქაჩული /იგულისხმებოდა უმთავრესად ისტორიული ქართლის დაგლეჯილი მდგომარეობა/ და მათი სისუსტის მიზეზით მათსავე დედაქალაქ თბილისში ქალაქის თვითმმართველობა სომხების ხელში არისო. თათრები კიდევ ამიერ კავკასიაში არიან კულტურულად მეტად ჩამორჩენილნი და მხოლოდ ტლანქ ძალად გამოსაყენებულნი, მაგრამ მათი მაჰმადიანური რელიგია უხერხულად ხდის რუსულ სახელმწიფოებრიობისათვის მათზე დამყარებასო. ერთად-ერთი ხალხი, რომელიც ახალ პირობებში რუსეთისთვის ამიერ კავკასიაში გამოდგება დასაყრდენ ბაზად, არიან სომხები, რომელთაც ჰყავთ ძლიერი ბურჟუაზია, ხოლო ყველგან ცივილიზებულ /იგულისხმებოდა კაპიტალისტურ/ ქვეყნებში სახელმწიფო ემყარება ბურჟუაზიასო.

გენ. შირინკინის ამ თვალსაზრისს მთლიანად არ გაუმარჯვია, მაგრამ მან უსათუოდ მოახდინა გავლენა სანამესტნიკოს ხელისუფლების შემდგომ პოლიტიკაზე იმ მიმართულებით, რომ ეს ხელისუფლება ცდილობდა დამყარებოდა უმთავრესად რუს ჩინოვნიკების მრავალრიცხოვან შემადგენლობას და საერთოდ რუსულ ელემენტებს, აშკარა შერაზმულ ორგანიზაციათა გარეშე, რადგანაც ასეთი ორგანიზაციები თავისი უკიდურესი შოვინიზმით და პოგრომული მიდრეკილებებით მხოლოდ სახელს უტეხავდნენ ამიერ კავკასიაში რუსეთის სახელმწიფოებრიობას და საზოგადოდ რუსულ საქმეს. ისინი ცდილობდნენ თავისი თავი წამოეწიათ როგორც არსებული თვითმპყრობელური წყობილების უკიდურესობამდე ერთგულნი /ეს ასეც იყო/ და თავისი ამ მიმართულების სადემონსტრაციოდ მათ გამოიყენეს ნამესტნიკ ვორონცოვ-დაშკოვის ჩამოსვლის თვით ფაქტიც.

217. რუსული ვაგრაჟმული პატრიოტული ორგანიზაცია. ამ დროს თბილისში უკვე ჩამოყალიბებული იყო რუსული ევრეთ წოდებული პატრიოტული ორგანიზაცია ოფიციალური სახელწოდებით "წესრიგის მომხრეთა პარტია". ეს იყო შერაზმული მონარქისტული ორგანიზაცია, რომელიც უკვე რამოდენიმე წელიწადია არსებობდა თბილისის სამისიონერო ეკლესიასთან და კლუბთან /მისიონერების მიზანს შეადგენდა თბილისში და ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ რუს სექტანტების კვლავ დაბრუნება ოფიციალურ მართლმადიდებელ ქრისტიანობაში/. მისი დამაარსებელი იყო დეკანოზი გოროდცოვი /რომელიც ნოვოსიბირსკის მთავარეპისკოპოსად ცოცხალი იყო 1950 წელსაც/, ხოლო ერთერთი ხელმძღვანელი იყო საექზარხოზოს სასულიერო სკოლების მეთვალყურე დეკანოზი ვოს-

ტორგოვი. პატრიოტული ორგანიზაცია მოუწოდებდა თავის წევრებს რუსეთის იმპერიის განმტკიცებისაკენ ლა ადგილობრივი ერების ეროვნულ ზრახვათა ჩახშობისაკენ. ამ ორგანიზაციის წევრები იყვნენ თბილისში მცხოვრებნი რუსი ხელოსნების, მეეტლეების, წვრილი მოვაჭრეების ნაწილი. ჰყავდათ მათ წევრები მუშებს შორისაც უმთავრესად რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში /600-მდის კაცი/.

1905 წლის რევოლუციის ხანაში ეს ორგანიზაცია აქტიურად ებრძოდა რევოლუციას და კრებავდა თავის გარშემო ხულიგნურ ელემენტებს. მართებლობა იყენებდა ამ ორგანიზაციას როგორც რევოლუციის მოწინააღმდეგე ძალას. მაგრამ თავის თავდამსხმელ აწიოკებითი ხულიგნური მოქმედებით შავრაზმელები იმდენად სახელგატყხილნი იყვნენ, რომ მათ ორგანიზაციაში რუსი ჩინოვნიკები (იშვიათ გამონაკლისის გარდა) და ოფიცრები არ ეწერებოდნენ. ხოლო მაღალ მოხელეთაგან მას არ ეკარებოდა არც ერთი. შავრაზმული რუსული მონარქისტული ორგანიზაცია არსებობდა თბილისში და ამიერ-კავკასიაში ვიდრე 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდის, როდესაც ის თავის თავად გაჰქრა.

218. ვპრილი აზნაურობა. 1905 წლის რევოლუციის წინა მომზადებით ხანაში მნიშვნელოვანი როლი შეხვდა დასავლეთ საქართველოს წვრილ აზნაურებს. ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურულ 9240 მამულისგან, ოფიციალური ცნობით, მხოლოდ 25% აღემატებოდა თითო 19 დესეტინას, ხოლო თავადაზნაურული მამულები თითო 8 დესეტინაზე ნაკლები იყო 53%. აზნაურებს შორის ბლომად იყვნენ სულ მცირე მიწის მქონენიც. წოდებრივი უბირატესობის შეგნების მქონე წრეში აღზრდილი ასეთ აზნაურთა ახალგაზრდა თაობა თავისი ხელმოკლეობის გამო განიცდიდა დიდ დეპრესიას მით უმეტეს, რომ მას არ შეეძლო რაიმე აქტიურობა გამოეჩინა ადგილზედვე თუნდაც თავის სოფელში – კანონი მას ამის ნებას არ აძლევდა, რადგანაც სოფლის ყრილობებში აზნაურთ მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ. მაგრამ ამ თაობის დიდ უმეტესობას არც თავის წოდებრივ ორგანიზაციაში შეეძლოთ მონაწილეობის მიღება, რადგანაც თავადაზნაურულ ოფიციალურ კრებებისათვის საჭირო იყო ქონებრივი ან სამსახურებრივი განათლებითი ცენზი, რომელიც მას არ გააჩნდა. /თავადაზნაურობის მხოლოდ 5%-ს ჰქონდა ამის უფლება/. იმავე დროს ეს წვრილ-აზნაურული ახალი თაობა მაინც ჩვეულებრივ გლეხებთან შედარებით უკეთეს ნივთიერ პირობებში იყო. ის ამა თუ იმ სასწაულებელში ღებულობდა სწავლასაც, თუნდაც მეტ წილად დაუმთავრებელს, ჰქონდა მას, მამასადაბე, პოლიტიკურ გარემოცვაში გარკვევის მეტი შესაძლებლობა. არსებული პირობები ძლიერ ბევრ მასალას იძლეოდა მასში სიძულვილის გასაღვივებლად ხალხის და თვით ამ აზნაურული თაობის თვითმოქმედების შემბორკავ მართებლობის წინააღმდეგ. ამით აიხსნება, რომ წვრილი აზნაურობა დასავლეთ საქართველოში თავისი ახალი თაობის სახით იძლეოდა 1905 წლის რევოლუციის წინა ხანაში და მის დროსაც პროპაგანდისტების და აგიტატორების დიდძალ კონტიგენტს.

1905 წლის რევოლუციიდან
1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე

219. რევოლუციური მოძრაობის ბალკანეთის საპარტიული. 1905 წლის ივნისში თბილისში გახშირდა ადმინისტრაციის პირთა მიმართ ტერორისტული აქტები. ამის საპასუხოდ თავი წამოყო რუსულმა შავრაზმულმა ორგანიზაციამ. რევოლუციონერებმა მოკლეს ამ ორგანიზაციის რამოდენიმე წევრი და სროლა აუტყვეს შავრაზმელთა თავყრილობას, რომელიც ათასი კაცისაგან შედგებოდა. ხოლო რადგანაც პოლიცია და კაზაკები ეხმარებოდნენ შავრაზმელებს, ამის გამო მუშებმა 20 ივნისს გამოაცხადეს თბილისში საყოველთაო გაფიცვა. ამ გაფიცვის საპასუხოდ ერთი კვირის შემდეგ მთავრობამ გამოაცხადა თბილისსა და მის მაზრაში სამხედრო წესები და მიმართა რეპრესიებს. გაფიცვა გადაედო საქართველოს სხვა ქალაქებსაც /ქუთაისი, ბათუმი, თელავი, გორი/, მაგრამ რაიმე შედეგი მას არ მოჰყოლია. მალე გაფიცვა შეწყდა კიდევ.

ამაზე ადრე ივნისში 1905 წელს ქუთაისში გარდაიცვალა ქართველი სოც.-დემოკრატი ბოლშევიკების ერთ-ერთი მეთაურთაგანი ალექსანდრე /სამა/ წულუკიძე. მისი ქუთაისიდან ხონში გადასვენება გადაიქცა უმძლავრეს სახალხო დემონსტრაციად. ყველგან გზადაგზა 25 კილომეტრის სიგრძეზე პროცესიას ხვდებოდა ახალ-ახალი ხალხი. ყველგან იმართებოდა რევოლუციური მიტინგები.

220. 1905 წლის 17 ოქტომბრის გუბერნატორული რევოლუცია. დაძაბული მდგომარეობა ყველგან საქართველოში გრძელდებოდა ივლისს და აგვისტოში. აგვისტოს ბოლოს თბილისის ქალაქის თვითმმართველობის შენობაში თითქმის ყოველ საღამოს იკრიბებოდა ხალხი. კრებებზე ორატორები გამოდიოდნენ რევოლუციური სიტყვებით თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. 29 აგვისტოს იყო განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი შეკრება (2-2 1/2 ათ. კაცი და ქალი). უცბად შენობაში შემოვარდა 400-500 კაზაკი, რომელთაც დაუწყეს ხალხს მათრახებით ცემა და შემდეგ ატყვეს სროლა. ატყდა საშინელი პანიკა. სულ ამ სროლის დროს კაზაკების მიერ დახოცილ იქნა 60-მდის კაცი და ქალი, 300-დის დაჭრილ იქნა.

უდანაშაულო ხალხის დახოცვამ საშინელი აღელვება გამოიწვია. ქალაქის თვითმმართველობის გამგეობა ქალაქის თავით ვერმიშვეით პროტესტის ნიშნად სამსახურიდან გადადგა, თუმცა შემდეგ ისევ თავის ადგილზე დარჩა. 1 სექტემბერს თბილისის მუშებმა პროტესტისავე ნიშნად გამოაცხადეს ერთდღიანი საყოველთაო გაფიცვა, რომელიც ერთსულოვნად ჩატარდა. შავრაზმელი რუსი მუშებიც განაბული იყვნენ და თუმცა ცდილობდნენ გაფიცვის დარღვევას, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. გაფიცვა გატარდა საქართველოში ბევრ ადგილას (ქუთაისში, ფოთში, ჭიათურაში, სამტრედიისში, ხონში და სხვაგან).

გორის მაზრაში აგრარული მოძრაობა კვლავ გრძელდებოდა. ამიტომ ნამესტნიკმა გამოაცხადა გორის და დუშეთის მაზრებში სამხედრო წესები და გენერალ-გუბერნატორად დანიშნა პოლკალფტანი. ალფტანმა აიღო და ძლიერ მალე თავისი დანიშნვის შემდეგ შეიტანა ნამესტნიკთან წინადადება, რომ სხენებულის მაზრებიდან ის სოფლები, რომელნიც არ ეხმარებოდნენ ადმინისტრაციას რევოლუციის აგიტატორების დაპატიმრებაში, მთლიანად გადასახლებული ყოფილიყვნენ ციმბირში, (სექტ. 1905 წ.). ამ წინადადებას ყურადღება არ მიაქციეს, მაგრამ თვით ასეთი წინადადების წამოყენება ამტკიცებს, თუ რამდენად სერიოზული იყო მაშინ მდგომარეობა შიდა-ქართლში.

9 ოქტომბერს ერთი რუსი მაღალი მოხელე სწერდა კერძო წერილში: "თბილისში ატმოსფერო არეულობით არის გაჟღერებული. ყოველ წუთს ყველა მოელის რაღაც საშინელებას. ყველა ეს ურიცხვი მკვლელობანი მხოლოდ შესაყალია იმ დრამის, რომელიც მალე უნდა გათამამდეს. რევოლუციის ტალღა უფრო და უფრო მაღლა იწევს" და სხვ.

ეს იყო არა მარტო თბილისსა და საქართველოში. ასე იყო მთელ რუსეთსა და უპირველეს ყოვლისა მის ცენტრებში — პეტერბურგსა და მოსკოვში. პეტერბურგში, მზარდი რევოლუციური მოძრაობით დაზინებული თვითმპყრობელური მონარქია იძულებული ხდებოდა წასულიყო დათმობაზე და უკვე 6 აგვისტოს 1905 წ. ნიკოლოზ II-მ გამოაცხადა გადაწყვეტილება არჩევითი სახელმწიფო

სათათბიროს დაფუძნების შესახებ, მაგრამ მხოლოდ სათათბირო ხმით. ასეთი სათათბიროს პროექტმა კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა და გააძლიერა რევოლუციური მოძრაობა. მინისტრთა საბჭოს კომიტეტის თავჯდომარედ შეკვეცილი უფლებებით ამ დროს იყო გრაფის ტიტულით დაჯილდოებული სერგეი იულის ძე ვიტტე, რომელიც ახალგაზრდობაში თბილისში მსახურობდა მნიშვნელოვან ადგილზე. 9 ოქტომბერს 1905 წ. გრაფი სვიტტე წინასწარი შეთანხმებით გამოცხადდა ნიკოლოზ II-სთან, რომელსაც წარუდგინა წერილობითი მოხსენება არსებული დაძაბული ვითარების შესახებ. ვიტტეს აზრით, განზრახული სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები უნდა მომხდარიყო საყოველთაო ხმის მიცემის თავისუფლად ჩატარების პირობებში. სახელმწიფო საბჭო, რომელიც მანამდის მხოლოდ დანიშნებით უმადლეს სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთაგან შესდგებოდა უნდა სანახევროდ შეცვლილიყო თავადაზნაურობის, ერობათა და უნივერსიტეტების მიერ ამორჩეულ პირთაგან. შემოღებული ყოფილიყო მუშათა სახელმწიფო დაზღვევა და უმიწაწყლო გლეხებზე დაწყებულიყო სახელმწიფო მიწების გაყიდვა. პოლონეთის და საქართველოს მიმართ სვიტტე საჭიროდ სთვლიდა ერთგვარი ავტონომიის მიცემას დაწყებითი და საშუალო განათლების, სამოქალაქო კანონმდებლობის და დაბალი საფეხურის სასამართლოს სფეროებში; და აგრეთვე ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და პოლიციის შესანახად გადასახადების დაწესების საქმეში. სვიტტეს პროექტის რამოდენადმე შეცვლით 1905 წ. 17 ოქტომბერს პეტერბურგში იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ გამოუშვა მანიფესტი ლიბერალ-ბურჟუაზიულ თავისუფლებათა დამყარების შესახებ.

ამ მანიფესტით რუსეთში დეკლარირებული იყო სიტყვის, ბეჭდვის და რწმენის თავისუფლება, არსდებოდა საკანონმდებლო არჩევითი ორგანო სახელმწიფო სათათბიროს სახით, რომლის დეპუტატთა არჩევნები უნდა მოწყობილიყო საყოველთაოდ და თავისუფლად ხმის მიცემის საფუძველზე. სვიტტე დანიშნულ იქნა რუსეთის იმპერიის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარედ.

მანიფესტმა ვერ დააკმაყოფილა ხალხის და მუშათა კლასის აბოძებული მასები, რომელნიც მოითხოვდნენ ცარიზმის და თვითმპყრობელობის სრულ ლიკვიდაციას. რაც შეეხება ბურჟუაზიულ ფართე და ხელმძღვანელ წრეებს /ერობების მოღვაწეთა და სხვა საზოგადოებრივი ელემენტების სახით/, ისინი კმაყოფილნი იყვნენ 17 ოქტომბრის მანიფესტით და ამიტომ საჭიროდ არ სთვლიდნენ რევოლუციურ მოძრაობას მიპყრობდნენ. ამით ბურჟუაზია ჩამოშორდა რევოლუციას რამაც შესაძლებლობა მისცა ცარიზმს შეტევაზე გადასულიყო მუშათა კლასის წინააღმდეგ.

221 1905 წ. 17 ოქტომბრის მანიფესტი და საპარტოველო. როგორც კი თბილისში მოვიდა ცნობა 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნების შესახებ, მაშინვე დაიწყო გრანდიოზული დემონსტრაციები სხვადასხვა პარტიების. ორატორები გამოდიოდნენ სიტყვებით და მოუწოდებდნენ ხალხს ბრძოლის გაგრძელებისკენ. წამყვანი როლი მუშათა შორის და საერთოდ ხალხში ჰქონდა სოციალ-დემოკრატის. ამის საპასუხოდ რუს შავრაზმულმა ორგანიზაციამ მოაწყო მონარქისტული დემონსტრაცია, დაარბია ვაჟთა 1 გიმნაზიის შენობა, სადაც ასტეხა დიდი სროლა. სულ იქ დაიხოცა 43 კაცი, დაჭრილ იქნა 66 კაცი /მოკლულ-დაჭრილთა შორის იყვნენ მოწაფეებიც/. ამ სისხლის ღვრის საპროტესტოდ დაიწყო საყოველთაო გაფიცვა, რომელიც მოედო მთელ საქართველოს ქალაქებს. გაფიცვა გაგრძელდა რამოდენიმე დღეს.

ამ დროს გურიაში შეიქმნა მეტად მძიმე მდგომარეობა. ვერ ოქტომბრის მანიფესტის შესახებ იქ ცნობა არ იყო ჩასული, რომ იქ გურულების პარტიზანული რაზმები თავს დასხმოდნენ იარაღის წართმევის მიზნით ჩოხატაურის და ლანჩხუთის საპოლიციო პოსტებს. ამ ამბის მიღებისთანავე ოზურგეთის მაზრის უფროსი ლაზარენკო ასეული პლასტუნ-კაზაკებით გაემართა ოზურგეთიდან ჩოხატაურისკენ მონინახულა ის და იმავე დღეს ბრუნდებოდა უკან. ოზურგეთიდან 12 კილომეტრზე ნასაკირალზე კაზაკებს ქაროლეს ყუმბარა, რის შედეგად 1 კაზაკი მოკვდა, 12 დაიჭრა. კაზაკებმაც ატეხეს სროლა და მოკლეს სამი კაცი და სამიც დაჭრეს. სოფელვაზუსთან კაზაკებს კვლავ თავს დაესხნენ. ამის საპასუხოდ კაზაკებმა გადასწვეს სოფელი დგაბზუ, დაიღუპა 160 სახლი.

უკვე ოქტომბრის მანიფესტის შესახებ ცნობის მიღების შემდეგ იმავე მაზრის უფროსს ლაზარენკოს, რომელიც მიდიოდა 120 კაზაკით და კიდევ სტრაჟნიკებით, ნასაკირალზევე თავს დაესხნენ გურულები და ამოსწყვიტეს ისინი. თვით ლაზარენკოც მოკლულ იქნა. 120 კაზაკიდან უკან დაბრუნდა 15 კაცი, დაიხოცნენ სტრაჟნიკებიც. რევოლუციონერებმა დაკარგეს 4 კაცი მოკლული.

ამის შემდეგ ხმა გავარდა, რომ პლასტუნები აპირებდნენ ოზურგეთის აწიოკებასო. შეიარაღებული ხალხი მიაწყდა ოზურგეთს მისი დაცვის მიზნით. ნამესტნიკმა გადაწყვიტა გაგზავნოს გურიაში საეციალური დამსჯელი ჯარი გენალისხანოვ-ავარიელის მეთაურობით. გურიაში მოვლოდა დიდი უბედურება. ამიტომ ქართველი საზოგადოება ახმაურდა. ნამესტნიკთან გამოცხადდა ოფიციალური მდგომარეობის მქონე (თავადაზნაურობის წინამძღოლები, გენერლები), გაუღებინა ქართველების დეპუტაცია და სთხოვა მას შეეჩერებინა ჯარის გაგზავნა გურიაში. ამასვე თხოულობდნენ გლეხთა დეპუტაციებიც. ამის შედეგად გურიის დასასჯელად გაგზავნილი ჯარი შეაჩერეს სამტრედიამი. თვით გენალისხანოვი-ავარიელი მანაც ჩავიდა ოზურგეთში გენერალ-გუბერნატორის მოვალეობის უფლებებით.

ნამესტნიკი მოითხოვდა გურულებისაგან მთავრობის ადმინისტრაციის აღიარებას, წვევანდლების მიცემას და საერთოდ მორჩილებას, თანახმა იყო ხალხის მიერ არჩეულნი ასისტანტები და ათისტანტები დარჩენილიყვნენ ადმინისტრაციისათვის მუშაობის გასაადვილებლად. მაგრამ ეს საკითხები მირჩა, რადგანაც უმაღლეს ადმინისტრაციას ბევრი თავსატეხი საქმეები ჰქონდა თბილისში და ამიერკავკასიის სხვა ადგილებშიც. სამხრეთ ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ადგილებში სომხების მიერ თათრების ზოცვა და საპასუხოდ კიდევ თათრების მიერ სომხებზე თავდასხმები კავკასიის ადმინისტრაციისთვის დიდ საზრუნავს შეადგენდა.

222. 1905 წლის რევოლუციის დამარცხება. ამ ხანებში ვლენინმა განავითარა რუსეთის სინამდვილესთან შეფარდებით კარლ მარქსის მოძღვრება უწყვეტი რევოლუციის შესახებ. როდესაც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში ხელმძღვანელი როლი უკავია პროლეტარიატს, მაშინ რევოლუცია უნდა ვითარდებოდეს უწყვეტლივ ბურჟუაზიული დემოკრატიის მიერ დასახულ ამოცანათა იქითაც მანამდის, სანამ პროლეტარიატი ხელთ არ იგდებს სახელმწიფო ძალაუფლებას. ვლენინი თავის წიგნში "სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში" ამტკიცებდა, რომ "პროლეტარიატმა უნდა ბოლომდის დაიყენოს დემოკრატიული გადატრიალება, შემოიერთოს თავისთან გლეხების მასა, გააჭყლიტოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგობა და შეაჩეროს ბურჟუაზიის დაუდგრომლობა. პროლეტარიატმა უნდა შეერთოს ნახევრად პროლეტარული ელემენტების მასები და მოახდინოს სოციალისტური გადატრიალება ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დაძლევის და გლეხობის და წვრილი ბურჟუაზიის დაუდგრომლობის შეფერხებით." ამიტომ ვლენინი მოუწოდებდა პროლეტარიატს არ შეჩერებულიყო ნახევარ გზაზე და განეგრძო წინსვლა უწყვეტი რევოლუციით საბოლოო გამარჯვების, სოციალისტური გადატრიალების მიღწევამდის.

ამ დებულების მიხედვით 1905 წლის დეკემბერში ბოლშევიკების პარტიამ დაიწყო მოსკოვში დიდი შეიარაღებული აჯანყება ცარიზმის მთლიანად სალიკვიდაციოდ. ბურჟუაზია, რომელიც თავისი მიზნებისათვის მხარს უჭერდა 1905 წლის რევოლუციას მაგრამ გარკვეულ ზომიერ ფარგლებში, ახლა შეშინდა და განზე გადაა. მოსკოვის პროლეტარიატი გამოვიდა ბარიკადებზე და შეებრძოლა ცარიზმს, მაგრამ ბევრი თავგანწირული ცდილობის მიუხედავად დამარცხდა.

ამ აჯანყებას პეტერბურგის მუშებმა მხარი ვერ დაუჭირეს, რადგანაც პეტერბურგის პროლეტარიატი მენშევიკების ანტიპროლეტარული მოქმედების გამო შესუსტებული იყო. მოსკოვის აჯანყების საპასუხოდ 1905 წლის 12 დეკემბერს გამოცხადდა თბილისის რკინიგზელთა გაფიცვა. მთავრობა თბილისშიც გადავიდა მუშების წინააღმდეგ შეტევაზე. 18 დეკემბერს თბილისის ერთ-ერთ უბანში (ნაძალადევი) პოლიცია და ჯარი თავს დაესხნენ აჯანყებულებს. მოსკოვის აჯანყებისათვის მხარის დასაჭერად საქართველოშიც გრძელდებოდა დიდი მოძრაობა — კლავინდებურად თავს ესხმოდნენ ადმინისტრაციის ათვალწუნებულ მოხელეებს, ხოცავდნენ მათ, მაგრამ რევოლუციონერებსაც ჰქონდათ მსხვერპლი.

მოსკოვში დეკემბრის დიდი აჯანყების დამარცხების შემდეგ საიმპერიო მთავრობა ყველგან გადავიდა კონტრშეტევაზე თავისი საკუთარი და ჩვეული წესების აღსადგენად; ასე მოხდა საქართველოშიც. ყველგან გაგზავნილი იქნა ჯარები. ხალხის თვითმმართველობა ლიკვიდირებულ იქნა და აღდგენილ იქნა რუსული ადმინისტრაციის ძალაუფლება. ქუთაისის გუბერნიაში გაგზავნილი იყო დამსჯელი რაზმი გენალისხანოვ-ავარიელის მეთაურობით. ეს ჯარი სასტიკად უსწორდებოდა რევოლუციაში მონაწილე აქტივისტებს. ჯარმა გადასწვა ხარაგოულის მეტი ნაწილი, აგრეთვე

ზესტაფონის საბაზრო ნაწილის სახლები. ჯარი შევიდა ქუთაისში და იქაც დასწვა ზოგიერთი სახლი. ასევე ხდებოდა სოფლებშიც, სადაც ჯარისკაცები და პოლიცია სწავდა რევოლუციაში მონაწილეობის სახლებს.

223. სომხური პარტია დაშნაკუთინი. საქართველოში მცხოვრებ ეროვნებათა შორის სომხების მასა უმთავრესად მისდევდა პარტია "დაშნაკუთინ"-ს /ნიშნავს კავშირს/. ეს პარტია დაარსდა ოსმალეთის სომხების მიერ XIX ს-ის მიწურულში და თავდაპირველად ის მიზნად ისახავდა ოსმალეთის სომხეთისათვის დამოუკიდებლობის ან ავტონომიის მოპოვებას. საშუალებად ამისათვის მას მიაჩნდა ბრძოლა ოსმალეთის იმპერიის და სულთანის მთავრობის წინააღმდეგ ტერორით და აჯანყებით /საბოლოოდ ამას მოჰყვა ოსმალეთის სომხების განადგურება 1914-1918 წლებში, დიდი ომის დროს როდესაც ოსმალეთმა ამ სომხების ნაწილი ამოსწყვიტა დანარჩენები კი გამოიქცნენ უმთავრესად ამიერ-კავკასიაში/. დაშნაკუთინის მოქმედება ოსმალეთის წინააღმდეგ რუსეთსაც მიაჩნდა თავისთვის საზიანოდ, რადგანაც მისთვის სრულებით არ იყო საინტერესო, რომ რუსეთის კუთვნილ ამიერ-კავკასიის მეზობლად ავტონომიური ან დამოუკიდებელი სომხეთი წარმომდგარიყო, მით უმეტეს რომ რუსეთს თვითონ უნდოდა ოსმალეთის კუთვნილი ქვეყნების დაპყრობა და თავისთან შეერთება. ამ მიზეზით, და საერთოდ თავისი გამარჯვებული პოლიტიკის ხაზის გამო, რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა შეეზღუდა სომხობა ამიერ-კავკასიაში, სადაც ქალაქების უმეტეს ნაწილში ის წარმოადგენდა მნიშვნელოვან პროცენტს მოსახლეობისას და ხშირად უმეტესობასაც. კერძოდ თბილისში სომხობა იყო ყველაზე მეტი /მოსახლეობის 40%/, ქართველებზედაც ორჯერ მეტი. ამასთანავე სომხის ბურჟუაზია იყო ყველაზე ძლიერი ამიერ-კავკასიაში და თავისი შეწირულებებით ის კვებავდა სომხურ ეკლესიას – ერთდერთ ორგანიზაციას, რომელსაც რუსეთის მთავრობა, რომელიც ყველგან ცდილობდა რელიგია გამოეყენებინა ხალხის ფართო მასების დასაჩაგრავად, რასაც აღწევდა კიდევ რადგანაც სარწმუნოება ქადაგებდა მორჩილებას, ხელს ვერ ახლებდა, რადგანც სომხების ეკლესიას ჰქონდა თავისი საკუთარი დამოუკიდებელი ორგანიზაცია კათალიკოზით სათავეში. სომხურ ეკლესიებთან ყველგან გახსნილი იყო სომხურ ენაზე სამრევლო სკოლები. სომხებს ჰქონდათ სასულიერო საშუალო სასწავლებლებიც /სემინარიები, ერთი მათგანი თბილისში/ ჰქონდათ ემიშიაში უმაღლესი სასწავლებელიც, სასულიერო აკადემია. ყველგან სწავლა წარმოებდა სომხურ ენაზე.

რუსეთის მთავრობამ მონიღომა გაუუქმებინა სომხების ეს ფაქტობრივი ავტონომია ნაციონალური კულტურის დარგში და ამიტომ ჩამოართვა სომხურ ეკლესიებს ქონება /სახლები, მიწები და სხვა/, რითაც ნივთიერი საფუძველი ეცლებოდა ამ სკოლების არსებობასაც. ამის საპასუხოდ დაშნაკუთინმა გააძლიერა თავისი მოქმედება სახელმწიფოში და გარეგნულად შეინიღბა რუს ნაროდნიკების და ახლა კიდევ სოციალისტ-რევოლუციონერების პროგრამასთან ახლო მყოფი პროგრამით. ნამდვილად კი ის იბრძოდა მხოლოდ ეროვნული საკითხებისათვის. დაშნაკუთინმა თბილისში და სხვაგანაც ამიერ-კავკასიაში შექმნა მთელი ჯარი კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი ეგრეთ წოდებული ზინგორების სახით /ზინგორი მეომარს ნიშნავს/. ზინგორების რაოდენობა ამიერ-კავკასიაში 40 ათას კაცამდის აღწევდა. ზინგორების მზადება ხდებოდა საიდუმლოდ, ისე რომ, როდესაც 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის გამო სადემონსტრაციოდ დაშნაკუთინმა თბილისის ქუჩებში გაატარა თავისი ზინგორები ათასეულად დაწყობილი, ყველა სახტად დარჩა.

ასეთი მზადების გარდა დაშნაკუთინმა ოსმალეთის სომხეთის მსგავსად ამიერ-კავკასიაში მართა ტერორს და მოაწყო თავდასხმა კავკასიის მთავარმართებელ თავად გოლიცინზე, რომელიც მძიმედ დაჭრილ იქნა.

შემდეგში ახალმა ნამესტნიკმა ფორონცოვ-დაშკოვმა გამოითხოვა სომხურ საეკლესიო მამულების კონფისკაციის შესახებ კანონის გაუქმება და სომხურ ეკლესიას ყველაფერი უკან დაუბრუნდა. ამის შემდეგ დაშნაკუთინმა თავი დაანება რუსეთის ცარიზმთან ბრძოლას.

224. სახელმწიფო სათათბირო და საპარტეზლო. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის საფუძველზე უნდა მოწვეული ყოფილიყო საკანონმდებლო უფლებებით სახელმწიფო სათათბირო. მთავრობის მიერ შეგუშავებულ იქნა საარჩევნო წესი, რომლის მიხედვით არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდათ მხოლოდ მამაკაცებს /ქალებს არა/ და ისიც 25 წლის ასაკის შემდეგ.

სამხედრო სამსახურში მყოფნი არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. არჩევნები უნდა ჩატარებულიყო კურიებად /მემამულეთა, მოქალაქეთა, გლეხების, მუშების/ და ისიც სამ და ოთხ ხარისხად, ე.ი. ამომრჩევლები ირჩევდნენ თავიანთ რწმუნებულთ, რომელნიც თავის მხრივ კიდევ ირჩევდნენ ამომრჩევლებს და სხვა, ასე რომ მაშინ როდესაც 100-800 დესტინა მიწის მქონე მემამულენი ირჩევდნენ დეპუტატს უშუალოდ, მუშებისთვის დაწესებული იყო რწმუნებულთა სამსაფეხურიანი და გლეხებისათვის ოთხსაფეხურიანი არჩევნები. ამიტომ მემამულეთა კურიის ორიათასი ამომრჩევლი ირჩევდა 1 დეპუტატს, ხოლო მოქალაქეთა კურიაში ერთი დეპუტატი მოდიოდა 7 ათას კაც ხმის მიმცემზე, გლეხებიდან 30 ათას ხმის მიმცემთაგან და მუშების 90 ათას ხმის მიმცემისაგან. ამით მთავრობას უნდოდა რაც შეიძლება მეტი დეპუტატი მოხვედრილიყო სახელმწიფო სათათბიროში მიწათმფლობელ თავადაზნაურთაგან, რომელნიც რუსეთში მეტწილად კონსერვატორულ და უფრო კიდევ რეაქციონურ მიმართულებისანი იყვნენ და რაც შეიძლება ნაკლები გლეხებისა და მუშებისაგან. არჩევნები ამ სახით მოეწყო 1906 წლის თებერვალ-მარტში, ბოლშევიკებმა მას ბოიკოტი გამოუცხადეს. ყველაზე მეტი დეპუტატი სათათბიროში გავიდა ახალ ბურჟუაზიულ-ლიბერალურ, ვგრეთ წოდებულ კონსტიტუციურ-დემოკრატების /კადეტების/ პარტიიდან. თვითმპყრობელობისათვის, რომელიც ახალ პირობებში თავისი ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობდა, ეს სრულებით არ იყო მისაღები. ამიტომ სულ მალე /ორი თვის არსებობის შემდეგ/ სხენებული პირველი სახელმწიფო სათათბირო დათხოვნილ იქნა და მოეწყო ახალი არჩევნები, რომლებშიც ბოლშევიკებმაც მიიღეს მონაწილეობა. არჩევნების შედეგად ახალი /მეორე/ სახელმწიფო სათათბირო შედარებით პირველთან კიდევ უფრო მემარცხენე აღმოჩნდა. სოციალ-დემოკრატებს ახლა ჰქონდათ 65 ადგილი /პირველ სათათბიროში კი 17 ადგილი/. შრომის პარტიას /ტრუდოვიკებს/ ჰქონდათ 104 ადგილი /წინად კი 94/. კადეტების რიცხვი სახელმწიფო სათათბიროში წინანდელთან შედარებით ძალზე შემცირდა /99 ადგილი 179 ადგილის მაგივრად/. სამაგიეროდ მეორე სათათბიროში გავიდნენ საკმაოდ ბლომად სოციალისტ-რევოლუციონერები /37 ადგილზე/, ასე რომ საერთოდ სახელმწიფო სათათბირო მაინც უფრო რადიკალური შემადგენლობის იყო, ვიდრე პირველი სათათბირო. ამიტომ ვერც მან გასძლო დიდხანს /სამნახევარ თვეზე ცოტა ნაკლები/.

მინისტრთა საბჭოს თავჯდომარედ ვერ კიდევ პირველი სათათბიროს მიერ მუშაობის დაწყებამდე სვიტტეს მაგივრად იმპერატორმა დანიშნა შერაზმელი რეაქციონერი იგორემიკინი, რომელიც მალე შეცვლილ იქნა ენერგიული მონარქისტი პეტრე სტოლიპინით. საიდუმლო დაცვამ /"ობრანკამ"/ ორი სოციალ-დემოკრატ პროვოკატორის მეშვეობით მოიპოვა ყალბი დოკუმენტი, რომლითაც სოც-დემოკრატიული პარტია ვითომ აწყობდა საიდუმლო სამხედრო შეთქმულებას მონარქის სალიკვიდაციოდ და რესპუბლიკის დასამყარებლად. ამ ყალბი დოკუმენტით ხელში მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე პეტრე სტოლიპინი გამოცხადდა სახელმწიფო სათათბიროში და მოითხოვა სოც-დემოკრატ დეპუტატების მიმართ ხელუხლებლობის ჩამორთმევა /1 ივნ. 1907 წ./ 3 ივნისს ღამე სოციალ-დემოკრატები დაპატიმრებულ იქნენ /შემდეგ ისინი გაასამართლეს ნაწილს მიუსაჯეს კატორღა და ნაწილს სხვადასხვა სახის გადასახლება/. იმავე 3 ივნისს 1907 წ. სახელმწიფო სათათბირო დათხოვნილ იქნა და ახალი სათათბიროს ასარჩევად თვითნებურად გამოცხადებულ იქნა ახალი საარჩევნო კანონი. ამ კანონით მეორე საფეხურის ამომრჩევლთა კურიებში ისე იყო დეპუტატთა რიცხვი განაწილებული, რომ მსხვილ მემამულეებს და მსხვილივე ბურჟუაზიას გაჰყავდათ დეპუტატების 65%, გლეხების კურიების ასეთივე ამომრჩევლები 41%-დან დაყვანილ იქნა 22%-მდე. ამ ახალი კანონით თითო ზედა ამომრჩევლი /მეორე საფეხურის/ მოდიოდა თავადაზნაურულ მემამულეთა კურიაში 230 კაც-ამომრჩეველზე, მსხვილი ბურჟუაზიის კურიაში ათას კაცზე, მეორე კატეგორიის საქალაქო კურიაში 15 ათას კაცზე, საგლეხო კურიაში 60 ათ. კაცზე და მუშათა კურიაში 125 ათას კაცზე. ამას გარდა განაპირა ქვეყნებს შეუმცირეს დეპუტატების რიცხვი – პოლონეთს 37 დეპუტატიდან 14-მდე, კავკასიას 25-დან 14-მდე და ასევე სხვაგანაც. საქართველოს წინანდელი სათათბიროების 8 დეპუტატის მაგივრად ახლა შეეძლო ამოერჩია მხოლოდ 3 დეპუტატი, ე.ი. დაკლება იყო განსაკუთრებით დიდი.

1907 წლის 3 ივნისის ამ კანონს ეძახიან გადატრიალებას, რადგანაც თვითმპყრობელობამ ეს კანონი გაატარა არა სახელმწიფო სათათბიროს და სახელმწიფო საბჭოს /ზედაპალატის/ მეშვეობით, არამედ საკსებით თვითნებურად. მიზნად იყო დასახული მონარქისტული და კონსერვატიული ახალი

სათათბიროს მიღება. ახალი არჩევნები 442 დეპუტატიდან მემარჯვენეები /შავრაზმელები/ იყვნენ 171, ოქტომბრისტები /ზომიერი მონარქისტები/ 113, კადეტები და მათთან ახლო მყოფნი 101, სოციალ-დემოკრატები მაინც 18 /მათ შორის 4 ბოლშევიკი კიდევ 4 მათი თანამგრძნობი/ და 13 შრომის პარტიისანი /ტრუდოვიკები/.

1912 წ. ახალი არჩევნებით მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში ადგილები განაწილებული შეიქნა შემდეგნაირად: მემარჯვენეები და ნაციონალისტები 185 დეპუტატი, ოქტომბრისტები 98, კადეტები და სხვა ლიბერალები 128, სოციალ-დემოკრატები 14 დეპუტატი /8 მენშევიკი და 6 ბოლშევიკი/ და 10 დეპუტატი შრომის პარტიისანი /ტრუდოვიკები/. ამ სათათბირომ მიაღწია 1917 წლის რევოლუციამდე. მესამე და მეოთხე სათათბიროში ხელმძღვანელი როლი /თავჯდომარეები და სხვ/ ეკუთვნოდათ ოქტომბრისტებს /ზომიერ მონარქისტებს/.

საქართველოს 8 დეპუტატიდან პირველ სახელმწიფო სათათბიროში 5 იყო სოციალ-დემოკრატი, მეორე სათათბიროში ყველა 8 დეპუტატი იყვნენ სოციალ-დემოკრატები, მესამე სათათბიროში სამი დეპუტატიდან ორი იყო სოციალ-დემოკრატი და ერთი უპარტიო, მეოთხე სათათბიროში კი 2 იყო სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი) და 1 სოციალისტ-ფედერალისტი.

225. რეაქციის ხანა. რეაქცია საქართველოში განსაკუთრებით ძლიერი იყო 1907-11 წლებში. მუშათა მოძრაობა ჩვენშიც თითქოს მოისპო. კაპიტალისტებმა ბათუმში 1905 წლიდან გამოაცხადეს ლოკაუტი /ე.ი. არ ღებულობდნენ ერთმანეთის წარმოებათაგან დათხოვნილ მუშებს/, ასე რომ 5000 მუშამდის დათხოვნილ იქნა სამუშაოდან. როტშილდის და სხვების დიდი ქარხნები ბათუმში, რომელნიც ნავთის გადასაზიდ ბიდონებს ამზადებდნენ, დაიხურა და კაპიტალისტებმა თავიანთი წარმოება ბათუმიდან გადაიტანეს საზღვარგარედ. ბაქოს ნავთის წარმოებაც შემცირდა. წარმოების შემცირების მაჩვენებელია შემდეგი ციფრები: ნავთის პროდუქტები ბათუმზე 1904 წელს გატანილი იყო 61,6 მილ. ფუთი, 1905 წ. 27,6 მილ., 1907 წელს – 23,2 მილ.ფუთი. მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ მრეწველობა იწყებს კვლავ ფეხზე დადგომას. 1912 წლიდან მუშათა მოძრაობამ კვლავ იწყო გამოცოცხლება. ზოგ ორგანიზაციაში, მაგ, ჭიათურაში, უმრავლესობა ჰქონდათ უკვე ბოლშევიკებს.

ყურადღება არ ექცეოდა ადგილებიდან დროგამოშვებით წამოყენებულ შუამდგომლობათ ერობის შემოღების შესახებ ამიერ-კავკასიაში. ერობა წარმოადგენდა თავადაზნაურულ და ბურჟუაზიულ ადგილობრივ თვითმმართველობის მეტად სუსტ ორგანოებს რუსეთის შიდა-გუბერნიებში /იყო საგუბერნიო და ამის ხელქვეით, სამაზრო ერობები/. მაგრამ საქართველოს და ა/კავკასიას ესეც არ ჰქონდა.

მართალია, ნამესტნიკმა ვორონცოვ-დაშკოვმა ჩაატარა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა სპეციალური ვრცელი თათბირები ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ, მაგრამ რეალური შედეგი ამ თათბირებს არ მოჰყოლია. ცხადი იყო, რომ ცენტრალურ მთავრობას საქართველოსთვის საერობო თვითმმართველობა არ ემეტებოდა.

1908 წლის ბოლოში და 1909 წლის დასაწყისში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში, რომელიც პარლამენტის მსგავსის დანიშნულებას ასრულებდა, ხანგრძლივი დებატები იყო ეგრეთ წოდებულ საკავკასიო შეკითხვის შესახებ. შეკითხვა იყო წარდგენილი მთავრობისადმი შავრაზმულ მემარჯვენე პარტიის მიერ და მიზნად ისახავდა კავკასიის ადმინისტრაცია გამოეყვანათ როგორც დამნაშავე მის არარსებულ ლიბერალიზმში ადგილობრივი ხალხების მიმართ. მემარჯვენეები მოითხოვდნენ მკაცრ გამარჯვებული პოლიტიკის წარმოებას და სასტიკ რეპრესიებს. თავის მხრივ სხვა ფრაქციების უმრავლესობა არა მარტო მემარცხენენი, არამედ კონსტიტუციურ-დემოკრატიული /ბურჟუაზიული/ პარტიის წარმომადგენელნიც კი თავის სიტყვებში აღნიშნავდნენ კავკასიის ადმინისტრაციის უვარგისობას, მის მიერ სოციალური საკითხების სრულებით მოუგვარებლობას, გამარჯვებული პოლიტიკის სიმდაფრეს, ყაჩაღობის სისშირეს და სხვ. კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა თავის სიტყვაში კავკასიის და საქართველოს ასეთი ადმინისტრაციის ხელში მყოფობის გამო უწოდა "უბედური ქვეყანა".

რუსეთის ცარისტული მთავრობის თავიდანვე კერძოდ გამარჯვებული პოლიტიკის და ქართველების დაჩაგრვის მისწრაფების შედეგი იყო შემდეგი გარემოება. ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე ქართველები რუსეთთან შეერთების დროს შეადგენდნენ მოსახლეობის 65,2%-ს. 1915 წელს კი იმავე

ტერიტორიაზე ქართველები იყვნენ მოსახლეობის /ორივე სქესის 1370 ათას სულიდან/ მხოლოდ 41%, რუსები 17,5%. ქართველობა ქართლ-კახეთში უკვე ნახევარზე ნაკლები იყო. ის შემდეგ 1926 წელს იმავე ტერიტორიაზე ლორეს ჩათვლით, რომელიც სომხეთის რესპუბლიკაზე იყო უკვე გადასული იყო 1218 ათასი ორივე სქესის, მათ შორის ქართველები 43,7%, რუსები 7,5%. ქართველები ამ ტერიტორიაზე შეადგენდნენ 1915 წ. – 563 ათას სულს, 1926 წ. კი – 524,7 ათას სულს ორივე სქესის. მოსახლეობამ დაიკლო ომის მიზეზით, თუმცა თბილისს ბევრი ქართველი მიემატა დასაქართველოდან. რუსთავან რევოლუციის შემდეგ ბევრი წავიდა რუსეთს /ჩინოვნიკები და სხვა/.

საერთოდ კი 1914 წლისათვის მოსახლეობა საქართველოში ირიცხებოდა: 3.047,5 ათასი სული, თბილისის გუბერნიაში 1.410 ათასი სული, ზაქათალის ოლქში – 84,6 ათასი, ქუთაისის გუბერნიაში – 1.038 ათასი, სიხუმის ოლქში – 189,9 ათასი, ბათუმის ოლქში – 191 ათასი და არტან-ოლთისის ოლქებში – 134 ათასი სული. კერძოდ ქართლ-კახეთ-იმერეთ-გურია-ოდისში ამ დროს შედარებით 1800 წლის ახლო ხანის ცნობებთან მცხოვრებთა ზრდა აღინიშნებოდა როგორც 1:3,9.

ზოგადად ეკონომიურად ქვეყნის წინსვლის მაჩვენებელი იყო, სხვათა შორის, ის ფაქტიც, რომ 1914 წელს საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ირიცხებოდა 3,286 სახელოსნო-ფაბრიკა-ქარხანა /უმეტესად სახელოსნოები/ რომლებშიაც მუშაობდა 15 1/2 ათასი მუშა. ამ ფაბრიკა-ქარხნების და სახელოსნოების წარმოება უდრიდა წლიურად 18 მილიონ მანეთზე მეტს.

თანდათან სომხურ და უცხოურ ბურჟუაზიის გვერდით ფეხს იდგამდა ქართული ბურჟუაზია, რამაც გამოიწვია 1912 წელს ნახევრად ბურჟუაზიულ და ნახევრად თავადაზნაურული პარტიის – ქართულ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაარსება.

226. საეკლესიო საკითხი. ქართველი სამღვდლოება გამარჯვებული პოლიტიკის გამტარებელ ექზარხოსების ხელქვეით XIX ს-ნის სიგრძეზე თანდათან კარგავდა ხალხში გავლენას. სამღვდლოების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მთავრობა XIX ს-ნეში ამცირებდა მის რაოდენობას, ასე რომ ახლა ის შედარებით ერთი საუკუნის წინად არსებულ ვითარებასთან პროცენტულად მოსახლეობასთან ერთი ოთხნაღ ნაკლები იყო. მაგრამ დიდი უმეტესობა სამღვდლოებისა თავისი შემოსავლის მხრივ მთლიანად დანდობილი იყო მრევლს, რადგანაც საზნინიდან ჯამაგირი სასულიერო პირთ ეძლეოდათ მცირედი (უმეტესად 100-300 მან. წელიწადში). განსაკუთრებით ამცირებდა სამღვდლოებას ძველისძველი ეგრეთ წოდებული დრამის გადასახადი, რომელიც უნდა შეკრებილიყო გლეხებში, კომლზე წელიწადში ორი ფუტის რაოდენობით. ბუნებრივია, ღარიბი გლეხები დიდად ეწინააღმდეგებოდნენ დრამის გადასახადს. ამასთანავე მღვდლების ხელში იყო დაბადებულ-მიცვალებულთა სიები. ამიტომ სამხედრო ბეგარის შემოღების შემდეგ მღვდლები გამოდიოდნენ როგორც სამხედრო უწყებისათვის გასაწვევ ახალგაზრდათა სიების მიმწოდებელნი, რაც აგრეთვე არ მოსწონდა ხალხს. ამასთანავე მაშინ როდესაც სხვა რელიგიების მიმდევართ რუსეთის იმპერიაში თავიანთ ენაზე რელიგიური ხასიათის სკოლები ჰქონდათ, ქართველობა ამასაც მოკლებული იყო, რადგანაც რუსეთის მთავრობა ქართველებს, როგორც მართლმადიდებელთ, ამ საკითხში აიგივებდა რუსებთან და ამიტომ სამრევლო-საეკლესიო სკოლებში, ასევე სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში სწავლა წარმოებდა რუსულად.

ყველაფერი ამის გამო ეკლესიამ დაკარგა ქართველ ხალხში თავისი წინანდელი ავტორიტეტი. ხალხი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჯვრით ხელში იბრძოდა გარეშე შემომტევი მტრების წინააღმდეგ, ახლა უკვე ზურგს აქცევდა ქრისტიანულ სარწმუნოებას.

მიუხედავად ყველაფერ ამისა, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ქართველი წამყვანი პირნი დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ საქართველოს ეკლესიის საკითხს. საქართველოს ეკლესიის თვითთავიანობა /ავტოკეფალია/ რუსეთის მთავრობამ ფაქტიურად გააუქმა 1811 წ. მაგრამ საეკლესიო წესით ამის იურიდიულ გაფორმებას ესაჭიროებოდა მართლმადიდებელ ოთხი პატრიარქის /კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, ანტიოქიის და ალექსანდრიის/ დასტური, რის მიღებაც ძნელი და თითქმის შეუძლებელი იყო, ამიტომ რუსეთის მთავრობა დასჯერდა იმას, რომ საქართველოს ეკლესიის გამგედ ნიშნავდა ეგრეთ წოდებულ ექზარხოსს. საეკლესიო გლეხები და მამულები 1850 წლიდან გადარიცხული იყო სახელმწიფოდ, რის სანაცვლოდ ხაზინა იხდიდა საექზარხოსოს სასარგებლოდ გარკვეულ თანხას. ამ ფულით საექზარხოსო XX ს-ის დასაწყისში ინახავდა თავის თავს, და

აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში სასულიერო სასწავლებლებს და დახმარებას უწყვედა სამრევლო სკოლებსაც, როდესაც მათი გახსნა დაიწყო. მაგრამ ყველა ამ სკოლაში სწავლა რუსულად მიდიოდა და ემსახურებოდა მთავრობის გამარჯვებულ პოლიტიკას. ქართველობა კი დაინტერესებული იყო, რომ ხსენებულ სასულიერო სასწავლებლებში თუნდაც ქართული ენის ცალკე საგნად სწავლება მაინც გაძლიერებულიყო. რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებას საერთოდ რელიგია მიაჩნდა საზოგადოებრივი ცხოვრების ქვაკუთხედად. ამიტომ ყველგან, ლოცვა სალოცავებში ხდებოდა ტრადიციულად თავთავის ენაზე, ამ მიზეზით, სალოცავებთან არსებული რელიგიური სკოლები, ყველგან მისი შემნახველი მოსახლეობის ენაზე იყო მოწყობილი. სომხებს, მაგ., როგორც მოხსენებული იყო, ყველგან ჰქონდათ თავიანთ ეკლესიებთან მოწყობილი ამ ეკლესიების ქონების და მამულების ხარჯზე სამრევლო სკოლები და უფრო მაღალი სასწავლებლები სომხურ ენაზე. ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა რელიგიების მიმართაც. ამიტომაც საქართველოს სამაჰმადიანო ნაწილში ოსმალეთში სწავლამილებული მოღვაწეები მჭიდრობთან არსებული მედრესეების /სკოლების/ საშუალებით აწარმოებდნენ ქართველ მაჰმადიანთა მოზარდი თაობის გათურქებას. რუსეთის იმპერიაში გამონაკლისს შეადგენდნენ მართლმადიდებელი ქართველები, რომელთაც რუსეთის მთავრობა რელიგიით არ განასხვავებდა რუსებისაგან, მაგრამ სწორედ ამიტომ ის ქართველების მიმართ ეკლესიასაც იყენებდა თავისი გამარჯვებული პოლიტიკის განსახორციელებლად. აქედან გარკვეულ წრეებში გაჩნდა მისწრაფება საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის /თვით-თავობის/ აღდგენისა, საექზარხოსოს გაუქმებით და დამოუკიდებელი კათალიკოსობის აღდგენით. მაშინ, სომხების მსგავსად, თბილისის სემინარიაში და შედარებით ახალ ქუთაისის სემინარიაში, აგრეთვე ყველა სასულიერო სასწავლებელში და საეკლესიო-სამრევლო სკოლებში /რომელნიც რაოდენობით ბევრად არ ჩამოუვარდებოდნენ რუსეთის განათლების სახალხო სამინისტროს ხელქვეით პირველდაწყებით სკოლებს/ სწავლა შემოღებული იქნებოდა ქართულ ენაზე და ამით ქართველი ხალხი ნაწილობრივ მაინც თავს დაადღწევდა საიმპერიო მთავრობის გამარჯვებულ პოლიტიკას.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აზრს ძლიერად ჩასჭიდეს ხელი ქართველ ეპისკოპოსებმა და სამღვდელოების წამყვანმა ნაწილმა. ავტოკეფალიის იდეის წამოყენებით სამღვდელოებაც იწყებდა მონაწილეობას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

რუსეთის როგორც საერო, ისე განსაკუთრებით სასულიერო ხელისუფლება მკაცრად წავიდა ავტოკეფალიის აღდგენის წინააღმდეგ. ამასთანავე სასულიერო ხელისუფლება გადავიდა რეპრესიებზე. ქუთაისის სემინარია დახურეს, თბილისის სემინარიიდან და თბილისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლიდან /რომელიც საშუალო სკოლა იყო/ დაითხოვეს ქართველი მოწაფეების დიდი უმეტესობა. ამდენი ახალგაზრდობის ქუჩაში დატოვებამ ააღელვა სამღვდელოება. ამიტომ ქართლ-კახეთის სამღვდელოება სოფლებიდან თვითნებურად შეიკრიბა თბილისში /სულ ხუთასამდის კაცი/. ეგზარხოსი იძულებული გახდა სამღვდელოების ყრილობის გახსნის ნება დაერთო, მაგრამ ორი დღის შემდეგ ყრილობის მონაწილეთ მოუწყვეს პროვოკაცია და თავს დაასხეს კაზაკები და პოლიცია. ბევრი მღვდელი სასტიკად გაღაპრულ იქნა მათრახებით /1905 წ. მაისი/.

ურთიერთობა საექზარხოსოს რუსულ შავრაზმულ ხელისუფლებასა და ქართველ სამღვდელოებას შორის ძლიერ გამწვავდა. ერთი ექზარხოსი ნიკონი, რომელიც ქართველების მიმართ მტრულად იყო განწყობილი, კიდევ მოკლულ იქნა 1908 წ. მღვდელმთავრის მოკვლა მაშინდელ პირობებში გაუცნობარი ამბავი იყო და ამტკიცებდა იმას, თუ რამდენად მწვავედ იდგა საეკლესიო საკითხი საქართველოში. მიუხედავად ამისა, მთავრობა ქართველი სამღვდელოების მიმართ დათმობაზე არ მიდიოდა და ასე გაგრძელდა ვიდრე რევოლუციამდის.

თბერვლის რევოლუციის შემდეგ გამოცხადებულ იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია /1917 წ./ საექზარხოსო გაუქმდა.

227. მართლმადიდებელი მღვდელმთავრის მღვდელმთავრის წინა ხანაში. საერთოდ რევოლუციის წინა ხანაში, თვით მქონებელ და შეძლებულ ქართველ წრეებსაც, რუსული მთავრობა უკვე არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და არც ფიქრობდა მათ გამოყენებას. ქართველები ამიერ-კავკასიის ფარგლებში და თბილისშიც მაღალ თანამდებობებზე უკვე აღარ იყვნენ. მთავრობის საერთო პოლიტიკის გარდა, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო სამსახურში ამიერ-კავკასიაში მაქსიმალ-

ლურად რუსების გამოყენებას, მთავარ მიზეზად ისიც უნდა ჩაითვალოს რომ ქართველი მაღალი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ეტანებოდა სახელმწიფო სამსახურს. ამ ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი ან ეროვნული პლატფორმისაკენ იყო მიდრეკილი, ანდა იღვას სხვადასხვა მიმართულებების სოციალიზმის საფუძვლებზე. არც ერთი და არც მეორე მართებლობისათვის არ იყო მისაღები. რუსული ადგილობრივი ბიუროკრატია კი ამა თუ იმ ხალხის უნარიანობას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ზომავდა ამა თუ იმ ეროვნების წევრთა მაღალ ჩინოვნიკურ და ადმინისტრაციულ ადგილებზე დასაქმების რაოდენობით. ამით აიხსნება, რომ 1912 წელს კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი სენატორი პეტერსონი /თავისი მდგომარეობით მეოთხე პირი კავკასიაში/ ნიკ. ბაგრატიონ-მუხრანელის (ინგლისის წინააღმდეგ ბურების ომში მოხალისედ მონაწილეობისათვის ბურად წოდებულის) სახლში მყოფ პირთა თანდასწრებით მსჯელობდა, რომ თქვენ, ქართველებმა ავტონომია კიდევ რომ მიიღოთ, საქმეებს თავს ვერ გაართმევთ, რადგანაც მომზადებული მუშაკები არ გყავთო. საფუძველს ასეთი მსჯელობისათვის იძლეოდა ის გარემოება, რომ ქართველებს, ზემოთ მოხსენებული მიზეზების გამო, მართლაც არ ჰყავდათ საკმაო რაოდენობით მმართველობაში გამოცდილ პირთა კონტიგენტი, რაც განსაკუთრებით გამოაშკარავდა 1917-1921 წლებში.

228. დროებით ვალდებულ გლეხთა დაწესების ლიკვიდაცია საქართველოს მაკლავუნასავით

აწვა ბატონყმობის ნაშთი — ეგრეთ წოდებული დროებით-ვალდებულ გლეხთა დაწესება 1864 წლიდან 1904 წლამდის თბილისის გუბერნიის 14237 კომლ დროებით-ვალდებულ გლეხს მათ ხელში მყოფი 55263 დესეტინა სანადელო მიწებიდან გამოსყიდული ჰქონდა 10467 კომლს 16416 დესეტინა, ანუ მთელი სანადელო მიწების 29,4%. 1905 წლისათვის გამოსასყიდი იყო 38847 დესეტინა მიწა (71,6%). ქუთაისის გუბერნიაში 1865 წლიდან 1904 წლამდის 57070 კომლ დროებით-ვალდებულ გლეხიდან და 207.523 სანადელო მიწიდან 33587 კომლს გამოსყიდული ჰქონდა 114.041 დესეტინა და გამოსასყიდი დარჩა 93.482 დესეტინა /30,2%/. ქუთაისის გუბერნიაში სანადელო მიწების გამოსყიდვა შემამულეთაგან შედარებით მიდიოდა ერთი ორად და მეტჯერაც უფრო სწრაფად, ვიდრე თბილისის გუბერნიაში.

დროებით-ვალდებულ გლეხთა სალიკვიდაციოდ კავკასიის სანამესტნიკოს 1905 წელს წამოყენებული ჰქონდა პროექტი სხენებულ გლეხთათვის. მათი სანადელო მიწების უსასყიდლოდ საკუთრებად გადაცემის შესახებ. ამას სანამესტნიკო სამართლიანად ასაბუთებდა იმით, რომ გლეხებს 40 წლის სიგრძეზე თავისი გადასახადებით შემამულეთა სასარგებლოდ საესეებით უკვე გადახდილი აქვთ სანადელო მიწების ღირებულებაო. მაგრამ რადგანაც თავადაზნაურობა სხენებულ სანადელო მიწებიდან შემოსავლის დაკარგვით ჩავარდება მძიმე მდგომარეობაშიო, ამიტომ ნამესტნიკს შესაძლებლად მიაჩნდა შემამულეებს ხაზინიდან მისცემოდათ ფულადი კომპენსაცია, რომლის ერთდროულად გადახდა ხაზინას გაუჭირდებოდა. ამიტომ ნამესტნიკი საჭიროდ სთვლიდა ამ რეფორმის გატარების შემდეგ შემამულეებს მიცემოდა საკომპენსაციო თანხიდან აფანსები არა უმეტეს 5%-ისა ყოველწლიურად.

დროებით-ვალდებულ გლეხთა დაწესების ლიკვიდაცია ჭიანჭურდებოდა ერთის მხრივ ქართველი თავადაზნაურობის იფიციალურ წარმომადგენელთა წინააღმდეგობის გამო, მეორეს მხრივ რუსეთის საიმპერიო უმაღლესი ინსტანციებში ამ საკითხში არსებულ აზრთა სხვადასხვაობის გამოც. როგორც იყო, ბოლოს, 1912 წლის 20 დეკემბერს, რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ მიიღო კანონი დროებით-ვალდებულ გლეხთა კატეგორიის გაუქმების შესახებ მთელ ამიერ-კავკასიაში და კერძოდ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში. ამ კანონით დროებით-ვალდებულ გლეხებს უნდა გამოესყიდათ მათ სარგებლობაში მყოფი მიწები იმ ფარგლებში, რომელიც განსაზღვრული იყო საგლეხო რეფორმის დროს სადებულებო სიგელებით /уставные грамоты/. თუ გლეხის ვალდებულება ასეთ მიწაზე განსაზღვრული იყო ფულადი გადასახდით, მაშინ გამოსასყიდი თანხა იანგარიშებოდა ამ გადასახადის კაპიტალიზაციით 6%-ის ანგარიშზე, ე.ი. გადასახადის გამრავლებით 16 2/3-ჯერ. სხვა შემთხვევებში /ე.ი. როდესაც გადასახადს გლეხი იხდიდა ნატურით/ გამოსასყიდი თანხა იანგარიშებოდა სპეციალური ტაბულით, რომელიც შედგენილი სხვადასხვა სახეობის მიწების შესახებ გამოსასყიდი თანხის დაფარვის ვადები იყო 56 წელი /მაშინ გლეხი იხდიდა მანეთზე 4 1/2 კაპიკს წელიწადში/, 41 წელი /მაშინ გადასახდელი იყო 5 კაპ. მანეთზე წელიწადში/ და 28 წელი /მანეთზე 6

კაპიკის გადახდით/. სულ დროებით-ვალდებულ გლეხების მიწების გამოსასყიდი თანხა შეადგენდა თბილისის გუბერნიაში 3.459 ათას მანეთს /წლიური გადასახდელი გამოდიოდა 163.361 მანეთი/ და ქუთაისის გუბერნიაში 2.435 ათას მანეთს /68.110 მანეთის წლიური გადასახდელით/. ეს კანონი მოქმედობდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე. 7 ივლისს 1917 წ. ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტმა, რომელმაც ამიერ-კავკასიაში შეცვალა კავკასიის წინანდელი ნამესტნიკის ძალაუფლება, გამოიტანა დადგენილება, რომლითაც ყოფილი დროებით-ვალდებული გლეხები განთავისუფლებულ იქნენ ხსენებული გადასახდისაგან.

229. ხიზნაბი. როგორც მოხსენებული იყო, ყმა-გლეხების გარდა არსებობდა ეგრეთ წოდებულ მინდობილთა, იგივე ხიზნების დაწესება, რომელიც ემყარებოდა დაუწერელ ჩვევით კანონს. უკანასკნელ საუკუნეებში ხიზნების მდგომარეობა აღმსაქართველოში იყო ასეთი. ხიზანს ოჯახითურთ მემამულე აძლევდა გარკვეული რაოდენობის მიწას, რისთვისაც ის ვალდებული იყო ეკისრა, მემამულის სასარგებლოდ გადაჭრილი რაოდენობის ვალდებულების შესრულება. ხიზანს შეეძლო ერთსა და იმავე მიწაზე დარჩენილიყო 30 წელი, რის შემდეგ ის ჩაირიცხებოდა სათანადო მებატონის ყმად, ანდა ის უნდა გადასულიყო სხვა მებატონის მიწაზე /ასე იყო ხიზნის მდგომარეობა წარმოდგენილი ვახტანგის კანონებში/.

თანდათან მებატონეები ეჩვეოდნენ ხიზნებზე თავიანთი ძალაუფლების გავრცელებას. 1777 წ. თავ.ფალავანდიშვილის /ორბელიანის/ ხიზნები ჩიოდნენ ერეკლე II-სთან, რომ ისინი იტანენ თავიანთ მემამულისგან ბევრ შევიწროვებას. გადასახადები და ვალდებულებანი მეტად მძიმედ გვაწვება და ახლა კიდევ მემამულე მოითხოვს ჩვენგან პირად სამსახურს და მუშაობასო. მეფემ დაიცვა ხიზნები ძალმომრეობისაგან და განკარგულება გასცა, რომ ამ ხიზნებისათვის არავითარი სხვა ვალდებულება არ მოეთხოვათ მიწის გადასახადის გარდა. მაგრამ მისი შვილი გიორგი XII შესაძლებლად სთვლიდა ხიზნების გასაყიდ ობიექტად გადაქცევას და ფიქრობდა შემოელო, კერძოდ კახეთში, ხიზნების გაყიდვა იმ პირობით, რომ პირველ რიგში მათი შეძენის უფლება უნდა მისცემოდათ იმ მებატონეებს, ვის მიწებზედაც ისინი ცხოვრობდნენ.

ამგვარად XVIII ს-ნის მიწურულში იყო ტენდენცია ხიზნები გამოეცხადებიათ სამეფო გლეხებად მათი ყიდვა-გაყიდვის დაშვებით. რუსული მართებლობის დამყარებამ ხელი შეუშალა ხიზნების გადაქცევას ყმებად, რადგანაც რუსეთში მალე გამოვიდა კანონი "თავისუფალ მიწის მხენელთა" შესახებ და საზოგადოდ რუსეთის მთავრობა ამ დროიდან გაურბოდა ბატონყმობის გავრცელებას გლეხობის თავისუფალ ან ნახევრად-თავისუფალ კატეგორიებზე. ამიტომ ხიზნები საქართველოშიც გადარჩნენ ყმებად გადაქცევას. მათ უკვე ჰქონდათ კანონიერი უფლება დაეცვათ თავიანთი თავი მებატონეთა ახალ პრეტენზიებისაგან. მებატონეების წინააღმდეგ ახლა ისინი ემყარებოდნენ დაუწერელ ჩვევით კანონს ხიზნობის შესახებ და მასში ეძებდნენ თავის ძალას. რასაკვირველია, ყოველთვის ეს არ გამოდიოდა, მაგრამ ხიზნებმა ახალ პირობებში მაინც შესძლეს მთავარის მიღწევა — შეინარჩუნეს პიროვნული დამოუკიდებლობა თავიანთ მემამულეთაგან.

ხიზნების უზრუნველყოფის შესახებ XIX ს-ნეში მიწით და აგრეთვე მათი ვალდებულებათა შესახებ დიპ.ყოფიანი სწერდა შემდეგს. მის ხიზნებს კომლზე მიცემული ჰქონდათ 10 დღიური მიწა ამისათვის ისინი იხდიდნენ 6 კოდ /24 ფუთ/ ხორბალს 18 მანეთის ღირებულებისას; გარდა ამისა ხიზანი იძლეოდა მემამულისათვის 8 კაც დღეს, რაც 4 მანეთის ღირებულებას შეადგენდა. ამგვარად ხიზნის კომლი იხდიდა მემამულის სასარგებლოდ 22 მანეთის ვალდებულებას წელიწადში /ეს არის 1884 წლის ცნობა/.

თავ. ივ. ბაგრატიონ მუხრანელის მამულში 1880-იან წლებში ხიზნებს ედვა შემდეგი ვალდებულება: ნახევარლიტრიან ხიზანს მიცემული ჰქონდა 5 დესეტინა სახნავი მიწა, რისთვისაც ხიზანი ვალდებული იყო ემუშავა მემამულისთვის 81 კაც-დღე, მათ შორის 60 დღე პირუტყვით, რაც ფულზე გადატანით შეადგენდა 43 მან. 30 კაპიკს, ხოლო ხორბალს ხიზანი იხდიდა ფულზე გადატანით 20-26,6 მანეთის ღირებულებისას, სულ ნახევარლიტრიანი ხიზნის ვალდებულება ფულზე აღირიცხებოდა 63,3-69,4 მანეთად. ჩარეკლიტრიანი ხიზანი 2 1/2 დესეტინა მიწისთვის ფულზე გადატანით წელიწადში ვალდებული იყო გადაეხადა 26,55-29,85 მანეთი.

დროებით ვალდებული გლეხის გადასახადი მემამულის სასარგებლოდ უდრიდა მოსავლის მეოთხედის ფულზე გადატანით 9 მანეთს წელიწადში დესეტინაზე. გამოდის, რომ ხიზანი ბატონყმობის გადავარდნის ხანაში ზოგ ადგილას ყმაგლეხზე უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამით აიხსნება, რომ ხიზნებმა საგლეხო რეფორმის დროს, თავისუფლად დარჩენას ბევრ ადგილას არჩიეს თავისი თავის დროებით ვალდებულ გლეხებში გადაწერა. სულ თბილისის გუბერნიაში ბატონყმობის გადავარდნის დროს იყო 4685 კომლი ხიზანი, ქუთაისის გუბერნიაში კი – 2532 კომლი მინდობილი /იგივე ხიზანი/. თბილისის გუბერნიის ამ 4685 კომლიდან დროებით ვალდებულ გლეხებად გადაეწერა 3196 კომლი და მხოლოდ 1468 კომლი დარჩა ხიზნად. მაგრამ შემდეგ ხიზნების რიცხვი თბილისის გუბერნიაში ძლიერ გაიზარდა. განსაკუთრებით ეს ეხებოდა გორის მაზრას, რომელსაც ხიზნებად მოაწვევენ ოსები. 1882-1884 წლებში თბილისის გუბერნიაში ხიზნები შეადგენდნენ 6774 კომლს /25706 სულ მამრს/, რომელთაგან მხოლოდ გორის მაზრაში ცხოვრობდა 3222 კომლი 12751 სული მამრი. 1880-1881 წლებში ქუთაისის გუბერნიაში იყო 2628 კომლი ხიზანი. XIX ს-ნის ბოლოდან ხიზნების რიცხვმა იწყო დაკლება – ხიზნები აწარმოებდნენ მიწების ნებაყოფილობით შესყიდვას მემამულეებისაგან ანდა ტოვებდნენ სოფლებს და მიდიოდნენ სამუშაოდ ქალაქებში. ამით აიხსნება, რომ 1911 წლის ცნობით ხიზნები იყვნენ თბილისის გუბერნიაში 3866 კომლი, მათ შორის 300 კომლი საეჭვო და ქუთაისის გუბერნიაში 2394 კომლი, მათ შორის 669 კომლი საეჭვო.

ხიზნების დაწესების ლიკვიდაცია საგლეხო რეფორმის შემდეგ რამდენიმეჯერ იყო დასმული. განსაკუთრებით გამწვავდა ეს საკითხი 1880-იან წლებიდან, როდესაც გორის მაზრის ხიზნების დიდი უმეტესობა უკვე ოსებისგან შესდგებოდა. მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტა არ მოხერხდა თავადაზნაურობის და მის წარმომადგენელთა ყოველთვის მედგარი წინააღმდეგობის გამო. სათანადო თათბირებზე თავადაზნაურობის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ ხიზნების მიწა შეადგენს მემამულეების საკუთრებას, რომ ამ მიწების დაკარგვით თავადაზნაურობა სრულებით გადატაკდება და გადაიქცევა თავიანთ ყოფილ ხიზან-მინდობილთა მინდობილად. მართებლობის მიერ მოწვეულ 1911 წლის თათბირზე თავადაზნაურთა წარმომადგენელნი თანახმა იყვნენ დაეთმოთ ხიზნებისთვის ამათ ხელში მყოფ მიწებისგან 1-1/2 დესეტინა კომლზე, ხიზნების დანარჩენი მიწები უნდა გამოცხადებულიყო მემამულეთა საკუთრებად ხიზნების მიერ ამ მიწების გამოსყიდვის უფლებით. 1916 წლის პროექტით, რომელიც შეიმუშავა კავკასიის უმაღლესმა მართებლობამ, ხიზანთა ხელში მყოფი მიწების მათ მიერ გამოსყიდვის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო ყოფილ დროებით-ვალდებულ გლეხთათვის 1912 წლის 20 დეკემბრის შესახებ არსებული კანონის მიხედვით შემდეგი განსხვავებით. თუ ხიზანი თავის გადასახადს მემამულის სასარგებლოდ იხდიდა ფულად, მაშინ ხიზანის მიწების გამოსასყიდი თანხა იანგარიშებოდა წლიური გადასახდელის კაპიტალიზაციით 6%-ის ანგარიშზე, როგორც ეს გათვალისწინებული იყო ხსენებული კანონით დროებით-ვალდებულ გლეხთა კატეგორიის ლიკვიდაციის შესახებ. ხოლო თუ ხიზანი თავის ვალდებულებას მემამულეს აძლევდა ნატურით, მაშინ მიწის გამოსასყიდი თანხა, შედარებით დროებით-ვალდებულ გლეხთან, იანგარიშებოდა ორმაგად.

ეს პროექტი დარჩა პროექტად, რადგანაც არ მოეწერო მისი გატარება რუსეთის საბელწიფო სათათბიროში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერ-კავკასიის უმაღლესი სამმართველოს ახალმა ორგანომ ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა დროებით-ვალდებულ გლეხების საკითხთან ერთად გადაწყვიტა ხიზანთა მიწათმფლობელობის საკითხიც. ხიზნებს დაუმტკიცდათ მათ ხელში მყოფი მიწები ყოველგვარი კამპენსაციის გადახდის გარეშე. რადგანაც, კერძოდ ქართლში, ხიზნების დიდ უმეტესობას ოსები შეადგენდნენ, ამით მომზადდა ნიადაგი ისტორიული ქართლის ტერიტორიაზე 1921 წლიდან სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის დაარსებისათვის.

230. აირველი მსოფლიო ომი და საქართველო. 1914 წლის ივლისში დაიწყო დიდი მსოფლიო ომი, რომელშიაც თანდათან მოჰყვნენ ერთის მხრივ გერმანია, ავსტრო-უნგრეთი, ოსმალეთი და ბულგარეთი, და მეორეს მხრივ ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, იტალია, რუმინეთი, ამერიკის შეერთ. შტატები და სხვ. ამ ომში რუსეთი გამარჯვებული დარჩა ოსმალეთთან: რუსის ჯარმა დაიჭირა აზრ-ზრუმი, ვანი, მეში, ერზინჯანი, ტრაპიზონი და სხვ. მე-17 საუკუნედან დაწყებული დაცემის გზაზე დამდგარი, ხოლო 1877-1878 წლის რუს-ოსმალის ომის შემდეგ თვალსაჩინოდ დასუსტებული ოს-

მალეთი ახლა უკვე მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ გადაქცეულიყო და ნელნელა უახლოვდებოდა თავისი ძლიერების აღსასრულს. სამაგიეროდ რუსეთი დამარცხდა მასთან შედარებით დაწინაურებულ გერმანიასთან ბრძოლაში. ამ დამარცხებამ განსაკუთრებით ცხადყო რუსეთში არსებულ საიმპერიო თავდა-აზნაურულ-ბურჟუაზიული მმართველობის უვარგისობა. საზოგადოებრივ ძალთადმი მუდმივი უნდობლობისა და ხალხის ენერჯის შეზღუდვის გამუდმებული ცდა რუსეთის მომავალს განსაცდელს უმზადებდა. საიმპერიო რეჟიმის მოსპობა აუცილებელი იყო თვით ბურჟუაზიის თვალსაზრისითაც.

იმპერიალისტური ომის დაწყებისთანავე მენშევიკების ნაწილი ნოე ჟორდანიათი სათავეში ადგა თავდაცვით პოზიციას. ქართველი ნაციონალისტები კი იყვნენ გერმანული ორიენტაციის მომხრენი. მენშევიკების უმრავლესობა იდგა ეგრეთ წოდებულ ცენტრიზმის პოზიციაზე. ეს იყო ორნახევარი ინტერნაციონალის პოზიცია რეფორმისტულ და რევოლუციური მიმართულებათა შორის საშუაზნო ხასიათის. ომის საკითხში ცენტრიზმი იდგა თავდამცველების ანუ სოციალისტ-შოვინისტებისა და მემარცხენე რევოლუციონერთა შუა, მაშინ როდესაც რევოლუციური მიმართულება იცავდა ლოზუნგს იმპერიალისტური ომის გადაქცევისას სამოქალაქო ომად. ცენტრისტები ცდილობდნენ შეერივნებინათ თავდაცვის ლოზუნგი ინტერნაციონალიზმთან. შემდეგ მენშევიკებში გაძლიერდა ნოე ჟორდანიათის ხაზი თავდაცვისა. ამიტომაც მენშევიკები ომის დროს, მონაწილეობას ლეზულობდნენ თავდაცვის სხვადასხვა ორგანოებში.

ამასთან დაკავშირებით ქართველი მენშევიკ სოციალ-დემოკრატები, რომელნიც შედიოდნენ რუსეთის მთლიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, იდგნენ რუსეთის სახელმწიფოს მთლიანობის საფუძველზე. ისინი მიისწრაფოდნენ მხოლოდ ცარიზმის დამხობისაკენ და ბურჟუაზიული რესპუბლიკის დამყარებისაკენ ფეოდალური ნარჩენების მოსპობით. მათი ლოზუნგი ეროვნულ საკითხში იყო კულტურულ-ეროვნული ავტონომია. ასეთი ავტონომია ხელს შეუწყობდა პროლეტარიატის შესზღუდას გარკვეული ეროვნული ჩარჩოებით ტერიტორიის გარეშე და შეუძლებლად გახდიდა მუშათა კლასის ბრძოლას კაპიტალისტურ წყობილების წინააღმდეგ.

რაც შეეხება ბოლშევიკებს, ისინი, როგორც რევოლუციური ხაზის გამტარებელნი, ომის დროს განიცდიდნენ დიდ რეპრესიებს. ამ ხანებში ჩამოყალიბდა ბოლშევიკების კავკასიის ბიურო.

231 ბოლშევიკები საქართველოში ომის დროს. ომის დროს ყველაზე მძლავრი ბოლშევიკური

ორგანიზაციები საქართველოში იყო თბილისში, ჭიათურაში და ქუთაისში, სოფლად გურიაში. დიდ ბოლშევიკური ორგანიზაცია იყო აგრეთვე ბაქოში. ბოლშევიკებს ჰქონდათ არალეგალური სტამბა, სადაც იბეჭდებოდა საპირველმაისო პროკლამაციები და სხვა მასალები, როგორც მუშებში, ისე რუს ჯარისკაცებშიც ბოლშევიკები ყველგან ამიერ-კავკასიაში აწარმოებდნენ დიდ აგიტაციას ნაციონალ-შოვინიზმის და თავდამცველების საწინააღმდეგოდ. 1915 წლის შემოდგომაზე ბაქოში შესდგა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების დელეგატების კრება, რომელიც მიმდინარეობდა სტ. შუმიანის ხელმძღვანელობით. კრებამ იმსჯელა, პარტიული მუშაობის ყველა საკითხზე და ამოარჩია ხელმძღვანელი ორგანო — "ბოლშევიკების კავკასიის ბიურო". ამის შემდეგ ბოლშევიკური მუშაობა მუშებსა და რუსის ჯარშიც კიდევ უფრო გაძლიერდა. 1915 და 1916 წლების სივრცეზე ბოლშევიკებმა, კერძოდ საქართველოში, ჩაატარეს მუშების არალეგალური მასიური შეკრებანი, რომლებზედაც ისინი მოუწოდებდნენ ცარიზმის და მაშინ არსებულ მემამულეთა და კაპიტალისტების ბატონობის დამხობისაკენ, ომის წინააღმდეგ სამხედრო სამრეწველო კომიტეტებში არჩევნების ჩაშლისაკენ. ხოლო ომის საკითხში ბოლშევიკური ორგანიზაციები მოუწოდებდნენ რუსეთის იმპერიის ომში დამარცხებისათვის ხელის შეწყობისაკენ, რათა შესაძლებელი ყოფილიყო რუსეთის მონარქიის დამხობა. რუსეთის საიმპერიო მართებლობის დამხობის შემდეგ ისინი საჭიროდ სთვლიდნენ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისკენ სვლას. სოციალისტური რევოლუცია უნდა მომხდარიყო გათვითცნობიერებული პროლეტარიატის ხელმძღვანელობით უღარიბეს გლეხობასთან დაკავშირებით, ფეოდალური ფორმაციის და კაპიტალისტური წყობილების ყველა მხარეების დამხობით და ამ წყობილებათა გადმონაშთების აღმოფხვრით. შრომის ბატონობა უკლასო საზოგადოებაში — აი ის ლოზუნგი, რომლის განხორციელებისაკენ მოუწოდებდნენ ბოლშევიკები.

მენშევიკები საკმაოდ სთვლიდნენ დამორჩილებული ხალხებისთვის უტერიტორიო კულტურულ-ეროვნულ ავტონომიას. ბოლშევიკები კი ადგენენ რადიკალურ პოზიციას, ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრა-შევიწროვების მოსპობის, და ამიტომ მოითხოვდნენ ყოველი ხალხისთვის თვით გამორკვევის საფუძველზე სრული გამოყოფის უფლების მიცემას. ამიტომ ბოლშევიკები თავიდანვე გადაჭრით ილაშქრებდნენ მენშევიკების სსენებული ლოზუნგის წინააღმდეგ. ლენინი მენშევიკების "კულტურულ-ეროვნულ ავტონომიას" ახასიათებდა როგორც "რეაქციონულს, საზარალს, მეშანურს და ნაციონალისტურს", ხოლო სტალინი ჯერ კიდევ 1913 წ. ქართველი მენშევიკების კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიის შესახებ სწერდა: "კულტურულ-ნაციონალური ავტონომია ზღუდავს ეროვნებებს ძველი ჩარჩოებით, ამკვიდრებს მათ კულტურის განვითარების დაბალ საფეხურზე, ხელს უშლის მათ კულტურის უმაღლეს საფეხურზე ასვლაში... აგვიანებს ჩამორჩენილი ხალხების განვითარებას, ხოლო საოლქო ავტონომიას აქცევს ეროვნულ კავშირებში გაერთიანებულ ხალხების ერთმანეთთან ბრძოლის ასპარეზად. ამგვარად, საერთოდ უვარგისი კულტურულ-ნაციონალური ავტონომია კავკასიაში გადაიქცეოდა უაზრო რეაქციურ ზრახვად".

რუსეთის პროლეტარიატს, სწერდა ლენინი 1915 წ., არ შეუძლია ხალხის წინ არ მიდიოდეს დემოკრატიული რევოლუციისაკენ ისე, რომ ეხლავე საესებით და ყოველ მიზეზს გარეშე არ მოითხოვოს რუსეთისაგან გამოყოფის თავისუფლება ცარიზმის მიერ ჩაგრულ ყველა ხალხებისათვის. ჩვენ ამას მოვითხოვთ არა დამოუკიდებელივ სოციალისზმისათვის ჩვენი რევოლუციურ ბრძოლის გამო, არამედ იმიტომ, რომ სოციალისზმისათვის ბრძოლა დარჩება ცარიელ სიტყვად, თუ ის ჩვენ მთლიანად არ გადავებით ყველა დემოკრატიული საკითხების, მათ შორის ეროვნულისაც, რევოლუციურ დაყენებასთან. ჩვენ, სწერდა ვლ. ლენინი, მოვითხოვთ ხალხებისთვის თვით-გამორკვევისათვის თავისუფლებას, ე.ი. დამოუკიდებლობას, ე.ი. ჩაგრულ ხალხების გამოყოფის თავისუფლებას არა იმიტომ, რომ ჩვენ წერილ სახელმწიფოების იდეალზე, არამედ, პირიქით, იმიტომ, რომ ჩვენ გვსურს მსხვილი სახელმწიფოების არსებობა, ჩვენ გვსურს ხალხთა დაახლოვება და მათი შეერთებაც, მაგრამ ნამდვილ დემოკრატიულ, ნამდვილ ინტერნაციონალურ საფუძველზე, რომელიც შეუძლებელია გამოყოფის თავისუფლების გარეშე. როგორც მარქსი 1869 წელს მოითხოვდა ირლანდიის გამოყოფას არა დაქუცმაცუბისათვის, არამედ ირლანდიის შემდგომ თავისუფალ დაკავშირებისათვის ინგლისთან, არა "ირლანდიისადმი სამართლიანობის" მიზეზით, არამედ ინგლისის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის სასარგებლოდ, ასევე ჩვენ რუსეთის სოციალისტების მიერ ეროვნებათა თვით-გამორკვევის, ზემოდმოსსენებული გაგებით, თავისუფლების მოთხოვნისაგან უარის თქმას ესთვლით პირდაპირ დალატად დემოკრატიის, ინტერნაციონალიზმის და სოციალისზმისა".

ომის დროს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენცია ბაქოში მოითხოვდა ენების თანასწორუფლებიანობას ამიერ-კავკასიაში და საოლქო თვითმმართველობას ცალკე ხალხებით დასახლებულ მხარეებისთვის. ამით ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს შორის უკვე შესამჩნევი გახდა ეროვნულ საკითხში ვლ. ლენინის საზიდან თვალსაჩინო გადახვევა /შუად. ქვემოთ /.

233. სამუსულმანო საქართველოს გათურქების პროცესს ხელს

უწყობდა ერთის მხრივ ოსმალეთის მთავრობა, მაშინ როდესაც ის ამ ქვეყანას ფლობდა, ხოლო მის ხელქვეით დარჩენილ ნაწილებში ოსმალეთი განაგრძობდა თავის გამათურქებელ პოლიტიკას შემდეგშიც, რაც შეეხება რუსეთის მიერ შემოერთებულ ქართულ მუსულმანურ ქვეყნებს, რუსულ მართებლობას არ უნდოდა, რომ ქართველ მუსულმანებში ქართული ეროვნული შეგნება გაძლიერებულიყო, რადგან ეს გაზრდიდა ქართველობის მნიშვნელობას ამიერ-კავკასიაში და ამიტომ გულგრილად უყურებდა მეჩეთებთან არსებულ მუსულმანური რელიგიური სკოლების არსებობას, სადაც სტამბოლში და საზოგადოდ ოსმალეთში სწავლა-მიღებული მოღებები მოზარდ ბავშვებს და მოსახლეობასაც უწერ-გავდნენ მუსულმანურ სარწმუნოებასთან ერთად თურქულ-ოსმალურ შეგნებას და ენასაც.

ქართველი მუსულმანების გათურქებას თავიდანვე ხელს უწყობდა ის, რომ ქრისტიანი ქართველები მათ უწოდებდნენ თათარს. ყველაფერი ამის გამო განვლილი ხანგრძლივი პროცესის შედეგად ხალხოსნურმა შეგნებამ სამუსულმანო საქართველოში მიიღო თავისებური ხასიათი. ისინი არ უწოდებდნენ თავის თავს ქართველს, მაგრამ ამბობდნენ, რომ ისინი არიან გურჯები. ქართველებად

კი ისინი ცნობდნენ თავიანთ ქრისტიან თანამოძმეთ. იყო გამონაკლისიც. ჭანები /ლაზები/ ისპირთორთუმის მუსულმან ქართველებს უწოდებდნენ თავიანთ კილოზე ქორთუებს, ე.ი. ქართველებს. ქობულეთის მხარეში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ქართული შეგნება, ხოლო აჭარლები კი თავის თავს უფრო რელიგიური ნიშნით მუსულმანებად რაცხდნენ, თავისი ეროვნების აღსანიშნავად კი გაურბოდნენ როგორც გურჯის, ისე ქართველის სახელს. ასეთივე მდგომარეობა იყო ახალციხის მხარეშიც. სხვაგან კი გურჯული ეროვნული გრძნობა ბევრ ადგილას ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგ., მურღულუსა, ბორჩხასა და მარადიდში, ასევე შავშეთსა და ერუშეთის და ნაწილობრივ ისპირ-თორთუმში; ხოლო ართვინისა და არტანის მხარეებში კი ეს შეგნება უკვე მისუსტებული იყო, რადგანაც ეს მხარეები 1878 წლიდან რუსეთს ეკუთვნოდა. რუსეთის საიმპერიო მთავრობა კი არ უშლიდა ოსმალეთში სწავლა-მიღებულ მუსულმანურ სამღვდლოებას მერყეობთან /სამლოცველოებთან/ არსებულ მედრესეების /სკოლების/ მეშვეობით თურქული ენის გავრცელებას.

234. აჭარის აოხრება რუსეთის ჯარის მიერ. დიდი ომის დასაწყისში, როდესაც ოსმალეთი ომში ჩაება, ოსმალეთის ჯარები გადავიდნენ რუსეთის საზღვარს და დაიკავეს ართვინის ოლქი და ზემო აჭარა /ნოემბ. 1914 წ./, რადგანაც ამ დროს რუსეთს საზღვარზე ცოტა ჯარი ჰყავდა დაყენებული. მოსახლეობა, განსაკუთრებით ბეგები, მიემხრნენ ოსმალებს. ამისი მიზეზი იყო ის მუდმივი შევიწროვება, რომელსაც ცარიზმის დროს განიცდიდა ამ მხარეებში ქართველი მაჰმადიანური მოსახლეობა. მოლების /მაჰმადიანურ სამღვდლოების/ აგიტაციაც ოსმალეთის სულთანის, როგორც ყველა მართლმადიდებელ მორწმუნეთა /ე.ი. მუსულმანთა/ ხალიფას, სასრგებლოდ აგრეთვე ასრულებდა თავის როლს. რუსის ჯარმა უკან დახევისას აჯანყებულ მცხოვრებლების მიმართ ბევრი ძალადობა ჩაიდინა — ძარცვა გლეჯა, სახლების დაწვა და სხვ.

შემდეგ რუსის ჯარი გადავიდა შეტევაზე აჭარა-შავშეთში. ოსმალები განდევნილ იქნენ, მაგრამ ამასთან ერთად მეტად დაზარალდა აჯანყებული ქართველი მაჰმადიანური მოსახლეობა. ჯარმა ააოხრა და დაწვა სოფლები და გადარეკა მოსახლეობა მათი საცხოვრებელი ადგილებიდან. ამიტომ ბევრი აჭარელი თავისი ოჯახით და ბარგით წაჰყვა ოსმალების ჯარს. ამისი შედეგი იყო ის, რომ 1915 წელს აჭარაში დათესილი იქნა 50-60%-ით ნაკლები ფართობი შედარებით წინა წლებთან. მოსახლეობის ერთ მესამედს არ ჰყავდა ხარები. მუშა-ხელიც ნაკლებად იყო, რადგანაც ოსმალეთში გაქცეული მამაკაცები იქიდან დაბრუნებას, ფრონტის ხაზის არსებობის გამო შიშით ვერ ახერხებდნენ.

აჭარის აწიოკების და აოხრების ხელმძღვანელი იყო გენ. ლიახოვი, რომელიც 1920 წელს ბათუმში ბოლშევიკებმა მოკლეს.

დიდი დახმარება გაუწია მაშინ აჭარას ქართველ საქველმოქმედო საზოგადოებამ, რომელმაც სხვადასხვა საშუალებებით შეაგროვა სახსრები და საეციალურად დაგზავნილი პირების მეოხებით ცდილობდა აჭარლების მდგომარეობის შემსუბუქებას. პარალელურად ქართული ლეგალური საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები შუამდგომლობდნენ კავკასიის ნამესტნიკ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვთან /რომელიც, თავისი ღრმა მოხუცებულობის მიუხედავად, ქაღალდზე კავკასიის არმიის მთავარსარდლადაც ითვლებოდა/ და ხელისუფლების სხვა მაღალ წარმომადგენლებთან აოხრება-ამოწყვეტისაგან აჭარის გადარჩენას.

235. თებერვლის რევოლუცია რუსეთში /1917 წ./. ომში გამოვლილ დამარცხების გამო ცარისტულ მთავრობისადმი უკმაყოფილება ხალხში კიდევ უფრო გაღვივდა. საიმპერატორო მმართველობის არსებობას ნიადაგი თანდათან ეცლებოდა. ბოლოს ამ უკმაყოფილებამ ამოხეთქა 1917 წლის თებერვლის დასაბრუნებელი პეტროგრადში დიდ რევოლუციურ გამოსვლაში, რასაც მოჰყვა იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მიერ რუსეთის ტახტზე უარის თქმა და შემდეგ საიმპერატორო დინასტიის მთლად ჩამოშორებაც. პეტერბურგში შესდგა ჯერ თავად ლევისა და შემდეგ კერენსკის თავმჯდომარეობით დროებითი მთავრობა, რომელიც სათავეში ჩაუდგა რუსეთის მმართველობას. ორივე ეს მთავრობა იყო ბურჟუაზიული და ამიტომ ისინი სოციალ-შეთანხმებლებთან ერთად სასტიკად ებრძოდნენ ბოლშევიკებს.

რუსეთის რევოლუციის ამ /პირველ/ ხანაში პეტროგრადში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ნიკოლოზ ჩხეიძე, რომელიც სათავეში მოექცა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, და ციმბირიდან დაბრუნებული მეორე სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი ორაკლი წერეთელი. ერთხანს ი. წერეთელი მინისტრადაც იყო კერენსკის დროებით მთავრობაში.

პეტერბურგში მომხდარმა თებერვლის რევოლუციამ გადაწყვიტა საიმპერიო მმართველობის ბედი საქართველოსა და საზოგადოდ კავკასიაში. კავკასიის ნამესტნიკად ამ დროს იყო დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მთელი რუსეთის შვიარაღებული ძალების ყოფილი მთავარ-სარდალი. როგორც ნამესტნიკი, ის იყო იმავე დროს ოსმალეთის წინააღმდეგ არსებული ფრონტის სარდალიც. ნიკოლოზ II-მ ტახტიდან გადადგომის წინ ისევ დანიშნა ეს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მთელი რუსეთის არმიების მთავარსარდალად, რის გამოც ნამესტნიკი წავიდა თბილისიდან (მთავარსარდალის თანადგებობიდან ის გზაში მყოფი გადააყენა რუსეთის დროებითა მთავრობამ). მაშინვე თბილისში მოეწყო მუშათა დეპუტატების პირველი საბჭო 15 მარტს 1917 წ./ რომლის ჩამოყალიბების ინიციატივა ეკუთვნოდა ბოლშევიკებს, მაგრამ მალე ბოლშევიკები იქიდან გამოდევნეს მენშევიკებმა, რომელთა ხელმძღვანელი ნოე ჟორდანიას გახდა ამ საბჭოს თავმჯდომარე.

თბილისში მუშათა დეპუტატების საბჭოს ჩამოყალიბების მეორე დღეს შესდგა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს 16 მარტს 1917 წ./. უახლოეს დღეებში მოეწყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები საქართველოს სხვა ქალაქებშიც – ქუთაისსა, ბათუმსა და სოხუმში, მაგრამ მათ გვერდით ყველგან ქალაქებში დატოვებულ იქნენ ეგრეთ წოდებული საქალაქო საბჭოები თავისი ბურჟუაზიული შემადგენლობით.

ადმინისტრაციული მმართველობის ხაზით რუსეთის დროებითა მთავრობამ ამიერ-კავკასია გამოჰყო ჩრდილოეთ კავკასიისაგან და ამიერ-კავკასიისათვის დააარსა ეგრეთ წოდებული "ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი". რუსულად *Особый закавказский комитет*. ამ "ოზაკომის" ხელში უნდა ყოფილიყო ამიერ-კავკასიის მართებლობა. "ოზაკომი" შესდგებოდა 5 წევრისაგან. თავმჯდომარედ გამოგზავნილი იყო რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრი კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის "კადეტ"-ის/ წევრი ხარდამოვი, დანარჩენთაგან იყვნენ 1 მენშევიკი /აკ. ჩხენკელი/, 1 სოც. ფედერალისტი /კიტა აბაშიძე/, 1 კადეტი პაპარჯანოვი და ერთიც აზერბაიჯანელი თურქი /მ.ჯაფაროვი/.

დროთა განმავლობაში "ოზაკომის" მნიშვნელობას თანდათან ჩრდილავედა ზემოთ დასახელებული კავკასიის ცენტრი მუშათა, სალდათების და გლეხთა დეპუტატებისა, რომლის თავმჯდომარედ იყო მენშევიკი ევგ. გეგეჭკორი. საერთოდ მენშევიკებმა შესძლეს ყველა ხელმძღვანელ ორგანოში უპირატესობის მოპოვება, თუმცა მათ ყველგან საქმეს უჭირებდნენ დაშნაკები და სოციალისტ-რევოლუციონერები. მალე მათ მოაწყეს ქალაქ თბილისის საბჭოს შემადგენლობის ახალი არჩევნები საყოველთაო არჩევნების პრინციპის საფუძველზე და ამ საბჭოს თავმჯდომარედ გაიყვანეს იგივე ევგ. გეგეჭკორი (ქალაქის თავად მანამდის იყო დაშნაკუთინის მომხრე ალ. ხატისოვი).

თავისი ჰეგემონიის დასამყარებლად მენშევიკები სასტიკად ებრძოდნენ ბოლშევიკებს და ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ მათ გამოდევნას ყველა ორგანიზაციებიდან. ამის საპასუხოდ საქართველოს ბოლშევიკები აწარმოებდნენ დიდ საორგანიზაციო მუშაობას თავისი რიგების განსამტკიცებლად. 1917 წელს ივლისში მოხდა ქართველი ბოლშევიკების ჩამოყალიბება დამოუკიდებელ ორგანიზაციად ხოლო იმავე წლის 2-7 ოქტომბერს თბილისში შესდგა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი ყრილობა, რომელსაც დაესწრო 52 დელეგატი. ამ ყრილობაზე ამორჩეულ იქნა კავკასიის სამხარეო კომიტეტი. ყრილობა მიემხრო რუსეთის ბოლშევიკურ პარტიას მე-6 ყრილობის /ავგ. 1917 წ./ გადაწყვეტილებას შვიარაღებული აჯანყებისათვის პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის მომხადების შესახებ. ყრილობამ აგრეთვე გამოიტანა გადაწყვეტილებანი ნაციონალური საკითხის და აგრარული საკითხის შესახებ კავკასიაში და აგრეთვე რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებისადმი დამოუკიდებლობის შესახებ (ეს დამოუკიდებლობა იყო უარყოფილი). ყრილობამ გაუგზავნა მისალმება ლენინს და იმედი გამოსთქვა რომ მალე ლენინი თავს დააღწევს არალეგალურ მუშაობას და დაიკაუებს ჩვენი პარტიის ბელადის, რუსეთის დიდი რევოლუციის ბელადის პოსტს".

236. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება რუსეთში /25 ოქტ. 1917 წ./. რუსეთის თებერვლის რევოლუციამ განათავისუფლა ბურჟუაზია მონარქიის არტახებისაგან, მაგრამ ვერ მოუპოვა თავისუფლება რუსის ხალხს, ვერ მოსპო მსოფლიო ომი და ვერ შეასუსტა ამ ომით გამოწვეული კრიზისი რუსეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში. მალე რევოლუციურ მოძრაობაში პირველობა თანდათან რჩებოდა ბოლშევიკებს, რომელთა ლოზუნგები იყო ომის შეწყვეტა, ზავის ჩამოგდება მეომარ სახელმწიფოებთან, კაპიტალიზმის დაცემა და სოციალიზმის განხორციელება. ბოლშევიზმი მოედო მუშებს, გლეხებს და გავრცელდა ჯარშიც რომელიც ხანგრძლივ უმიზნო ომისაგან თავმოებეზრებული მზად იყო საომარი ფრონტი მიეტოვებინა და სამშობლო ქვეყანაში მშვიდობიან მუშაობას დაბრუნებოდა. 1917 წლის ოქტომბრის დასასრულს ბოლშევიკები პეტერბურგში ვლ. ულიანოვ-ლენინის ხელმძღვანელობით ახალი ძალით გამოვიდნენ კერენსკის დროებითი მთავრობის წინააღმდეგ და იმავე თვის 25-ს ჩაიგდეს კიდეც მთელი ძალა-უფლება ხელში. მმართველობა გადავიდა ყველგან მუშათა ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში ხოლო ცენტრალურ გამგეობას კი ამიერიდან აწარმოებდა სახალხო კომისართა საბჭო რომლის თავმჯდომარედ იყო ვლ. ლენინი. ეროვნებათა კომისარიატი ახალ მთავრობაში მინდობილი ჰქონდა იოსებ ჯუღაშვილს (სტალინს).

მაშინვე საბჭოთა მეორე ყროლობაზე მიღებულ იქნა დეკრეტი ზავის დადების შესახებ და აგრეთვე გამოცხადებულ იქნა ახალი ხელისუფლების ძირითადი საფუძვლები, რომლითაც საწარმოო საშუალებანი და მიწა მშრომელი ხალხის კუთვნილებად იქნა აღიარებული, გამოშვებულ იქნა აგრეთვე "რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაცია", რომელიც არკვევდა რუსეთის ხალხთა ცხოვრების ახალ საფუძვლებს. ეს საფუძვლები იყო: ა/ რუსეთის ხალხთა თანასწორობა და სუვერენობა; ბ/ რუსეთის ხალხთა უფლება თავისუფალი თვითგამორკვევის საშუალებით რუსეთიდან გამოყოფადის და დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსებამდის; გ/ ყოველ და ყოველგვარ ეროვნულ და ეროვნულ-რელიგიურ პრივილეგიათა და შეზღუდვათა გაუქმება; დ/ რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა და ეთნოგრაფიული ჯგუფების თავისუფალი განვითარება. ეს დეკლარაცია ხელმოწერილი იყო ვლ. ლენინის და ი. სტალინის მიერ.

თებერვლის რევოლუციიდან საბჭოთა ხელისუფლებამდე

237. ამიერ-კავკასიის კომისარიატის მმართველობის დრო. რუსეთის ცენტრში, წინანდელ პეტერბურგში, იგივე პეტროგრადში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისში საკითხი დაისვა რუსეთის ახალი ცენტრალური მთავრობის ცნობის ან არ ცნობის შესახებ. "ოზაკომი", როგორც რუსეთის ჩამოგდებული დროებითი მთავრობის ორგანო, ცხადია, ვერ იარსებებდა. მაგრამ მენშევიკებს და მათთან ერთად ამიერ-კავკასიის სხვა მსხვილ ბურჟუაზიულ პარტიებს (თურქულ მუსავატს და სომხურ დაშნაკუთინს) არ უნდოდათ ოქტომბრის რევოლუციის და მის მიერ წარმოშობილი ახალი მუშურ-გლეხური ხელისუფლების აღიარება. ამიტომ მენშევიკებს სხვა გზა არ დარჩენოდათ, თუ არ მუსავატთან და დაშნაკუთინთან ერთად და სხვა უფრო წვირელ პარტიების (სოც. რევოლუციონერების და სხვ.) დახმარებით ამიერ-კავკასიაში ახალი ხელისუფლება შეექმნათ.

ამ აზრით 11 ნოემბერს 1917 წ. თბილისში შედგა ეგრეთ წოდებული რევოლუციურ /იგულისხმება თებერვლის რევოლუციის/ დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდნენ მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრებისა, კავკასიის ჯარის ცენტრის, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების და სხვათა წარმომადგენლები და აგრეთვე ამ დროს უკვე მთლად გავლენა დაკარგული ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი. თათბირს დაესწრო სულ 400 კაცამდის. კრებაზე გამოტანილ იქნა დადგენილება ამიერ-კავკასიის დროებითი მთავრობის კომისარიატის დაარსების შესახებ. კომისარიატს უნდა ეზრუნა ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების დამთავრებამდის, რის შემდეგ ადგილობრივი მართვა-გამგეობის საქმის მიწყობა რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრების ან მათ მოადგილეთა კომპეტენციაში უნდა ყოფილიყო. კომისარიატის თავმჯდომარედ ამორჩეულ იქნა ევგ. გეგუჭკორი, შინაგან საქმეთა კომისრად დაინიშნა აკ. ჩხენკელი და იუსტიციისა და განათლებისა — შალვა ალექსი-მესხიშვილი. დანარჩენი 9 კომისარი იყო სომეხთა, თათართა და რუსთაგან. მალე სამხედრო და საზღვარგარეთ საქმეების კომისრად დაინიშნა სოც.-რევოლუციონერი ვლ. გობეჩია. 1918 წ. მარტიდან კიდევ შინაგან საქმეთა მმართველობა ჩაბარდა ნოე რამიშვილს.

238. ამიერ-კავკასიის ფაქტიური გამოყოფა რუსეთისაგან. ახლად, 1917 წ. ნოემბერში შედგენილი ამიერ-კავკასიის კომისარიატი სასტიკად ებრძოდა ბოლშევიკებს. ხოლო ოსმალეთის წინააღმდეგ ფრონტზე მყოფი, რუსეთის ნახევარ-მილიონიანი ჯარი თავისი უმეტესობით აშკარად თანაუგრძობდა ბოლშევიკურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას. როდესაც ფრონტის რუსის ჯარმა მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ ამიერკავკასია ფაქტიურად გამოეთიშა საბჭოთა ხელისუფლებას, მან ამის საპასუხოდ იწყო თავისი პოზიციების დატოვება და უკან დახევა თავის ქვეყანაში დაბრუნების მიზნით. ჯერ კიდევ 20 ოქტომბერს 1917 წ. პირველად დაიძრა ოსმალეთის ფრონტიდან 39-ე დივიზია. ამიერ-კავკასიის კომისარიატის დაარსების შემდეგ კი ასეთი ფაქტები უფრო ხშირ მოვლენად იქცა. მენშევიკებს, დაშნაკებს და მუსავატელებს უნდოდათ ჯარი, რომლის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო, გაეშვათ განიარაღებული (იარაღი უნდოდათ დაეტოვებინათ ნაციონალური ჯარის ნაწილების შესადგენად). მაგრამ სამხრეთ რუსეთში ამ დროს სამოქალაქო ომი იყო და ამიტომ ჯარისკაცები არ თანხმდებოდნენ უიარაღოდ წასვლას. ამ ნიადაგზე ხდებოდა მწვავე და სისხლიანი კონფლიქტები. შამქორში /განჯის, საბჭოთა კავშირის დროს ამ ქალაქს კიროვბადი დაერქვა, დასავლეთით/ ჯარისკაცთა ეშელონების განიარაღების დროს მუსავატელებმა დახოცეს ათასამდე ჯარისკაცი.

ერთადერთი გამოსავალი იყო სასწრაფოდ ამიერ-კავკასიის ხალხთა ჯარის შექმნა, მაგრამ ეს შეუძლებელი შეიქნა. თათრები /აზერბაიჯანელები/ ცარიზმის დროს, როგორც მაჰმადიანები, სრულყოფილი არ გაჰყავდათ ჯარში, რის გამოც მათ არც ოფიცერთა კონტიგენტი გააჩნდათ და არც გაწვრთნილი ჯარისკაცები. სომხები ჯარში გაჰყავდათ, მაგრამ სომხის ხალხი შესდგებოდა ბურჟუაზიისაგან და გლეხობისაგან, მცირედ მუშებისაგანაც. ამიტომ სომხები /გამონაკლისის გარდა/ არ მიდიოდნენ

ოფიცრებად. ქართველობას ჰყავდა განწვრთნილი ჯარისკაცები და განსაკუთრებით თავადაზნაურთა ოჯახებიდან კარგი ოფიცრობა. მაგრამ ეს ოფიცრობა საქართველოში მაშინ გაბატონებული მენ-შევიკების პარტიის წინააღმდეგ იყო განწყობილი და ამიტომ მენშევიკ-ხელმძღვანელთა თვალ-საზრისით სანდოდ ვერ ჩაითვლებოდა. ამგვარად, ამიერ-კავკასიამ უცხად საკუთარი ჯარი ვერ შექმნა.

რუსეთის ჯარის მიერ ამიერ-კავკასიის ფრონტიდან უკან დახევით ისარგებლა მთლად ძალა გამოუღებულმა ოსმალეთის ჯარმა და დაიწყო მიტოვებული ადგილების დაკავება. ამიერ-კავკასიის კომისარიატმა თუმცა გამოიტანა დადგენილება ოსმალეთის შესაკავებლად ნაციონალურ ქართულ-სომხურ და აზერბაიჯანული სამხედრო ნაწილების შექმნის შესახებ, მაგრამ ამ ნაწილების შედგენა მეტად ნელი ტემპით მიდიოდა. ამიტომ ქართველმა მენშევიკებმა სპეციალურად თავისი მიზნებისათვის შექმნეს მენშევიკური ეგრეთ წოდებული წითელი გვარდია, რომელსაც დემოკრატიულ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაერქვა სახელად სახალხო გვარდია. ასეთივე თავისი პარტიული გვარდია შექმნეს ქართველ სოც.-ფედერალისტებმაც, მაგრამ მან ერთ წელიწადზე მეტი ვერ იარსება.

რუსეთის საბჭოთა მთავრობამ სახელმწიფო ძალა-უფლების თავის ხელში ჩაგდებისთანავე ჩამოაგდო დროებითი ზავი გერმანიასა და მის მოკავშირეებთან და შემდეგ შეუდგა საზავო მოლაპარაკებებს. ამისდა მიხედვით ოსმალეთმაც წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის კომისარიატს დროებით ზავის ჩამოგდებისა და შემდეგ მუდმივი ზავის შეკერის შესახებ. დროებითი ზავი ფრონტზე გატარებულ იქნა და საომარი მოქმედება იქ შეწყდა. ხოლო საზავო მოლაპარაკებების დაწყებაზე კი ამიერ-კავკასიის კომისარიატმა უარი განაცხადა. კომისარიატი იღვა მთლიანი რუსეთის არსებობის საფუძველზე და ამიტომ უცდიდა სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევას, რომელიც 1918 წ. 5 იანვრისათვის იყო დანიშნული პეტერბურგში. მაგრამ რუსეთის ცენტრში უკვე საბჭოთა ხელისუფლება იყო, რომელმაც დამფუძნებელი კრება გარეკა. ხოლო საბჭოთა ხელისუფლებას ამიერ-კავკასიის კომისარიატი არ ცნობდა, ამიტომ რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ ამიერ-კავკასია ფაქტიურად გათიშული დარჩა რუსეთისაგან. ამიერ-კავკასიის კომისარიატი კიდევ ცდილობდა ოსმალეთთან ზავის საკითხის შესახებ კავშირის გაბმას ყუბანსა, უკრაინისა და საზოგადოდ სამხრეთ-რუსეთის ოლქების მთავრობებთან, მაგრამ ამ ცდისაგან არა გამოვიდა რა.

239. რუსეთის ჯარის წასვლა კავკასიის ფრონტიდან. მარტოდ დარჩენილი ამიერ-კავკასია იძულებული გახდა თავისი საკუთარი ძალით მოეწყო გართულებულ მდგომარეობისათვის. ამასობაში ფრონტის დაშლამ კატასტროფული სასიათი მიიღო. რუსის ჯარი დაიძრა საომარ ხაზიდან. სომეხთა ეროვნული სამხედრო ნაწილები ცდილობდნენ დაცლილი ადგილების შენარჩუნებას, მაგრამ ამაოდ. ჯარის უკან დახევას მოჰყვა ომის დროს რუსეთის მიერ დაკავებული ოსმალეთის წინანდელ ტერიტორიაზე ძალმომრეობის გახშირება. გახშირდა სოფლების აოხრება. მშვიდობიან მაჰმადიან მცხოვრებლების აწიოკება და ხოცვა. თავის მხრივ მაჰმადიანებიც /ქურთები და თურქები/ ცდილობდნენ წვრილ-წვრილ თავდასხმებით რუსის ჯარის შეწუხებას მისი უკან სვლის დროს. ასეთი არეულობით ისარგებლა ოსმალეთის სარდლობამ და დროებითი ზავის არსებობის მიუხედავად, ბრძანება გასცა საერთო შეტევაზე გადასვლის შესახებ. მალე ოსმალთ დაიჭირეს ერზინჯანი, ტრაპიზონცი, ვანი, არზრუმი და შემდეგ გამოვიდნენ ყოფილ რუს-ოსმალის საზღვრის აქეთაც.

240. ამიერ-კავკასიის სიმი. ფრონტის დაშლა დღითი დღე ვითარდებოდა, როდესაც 10 თებერვალს 1918 წ. თბილისში შეიკრიბა ამიერ-კავკასიის სეიმი, რომელიც შესდგა რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებზე მიღებულ შედეგების მიხედვით თითო დეპუტატის საარჩევნო ომის ერთი სამად გადიდებით. სეიმს შეადგენდა 115 დეპუტატი, მთავარი პარტიები იყო მენშევიკების, მუსავატი და დაშნაკუთინი. სეიმმა დაადგინა შესდგომოდა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებას, რისთვისაც გაიგზავნა დელეგაცია ქალ. ტრაპიზონში, რომელიც ამასობაში ოსმალთ უკვე დაეკავებინათ. სეიმის დელეგაცია ტრაპიზონში ა. ჩხენკლის თავმჯდომარეობით ჩავარდა დამამცირებელ მდგომარეობაში. ოსმალთა საზავო დელეგაცია რომლის თავმჯდომარე იყო ოსმალეთური აფხაზი რაუფ-ბეი, განგებ აჭიანურებდა მოლაპარაკებას.

ამასობაში რუსეთის საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა ქალ. ბრესტ-ლიტოვსკში ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებაზე გერმანიასთან და მისი მოკავშირე სახელმწიფოებთან, მასასადაბე, ოსმალეთთანაც /28 თებ., 3 მარტს 1918 წ. ახსტილით/. ამის შემდეგ ოსმალეთის დელეგაციამ ტრაპეზუნტის საზავო კონფერენციაზე ამიერ-კავკასიის სეიმის დელეგაციას წარუდგინა მოთხოვნა ბათუმის და ყარსის ოლქების ოსმალეთისთვის გადაცემის შესახებ, თუმცა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება პირდაპირ ამას არ ითვალისწინებდა. ამასთანავე ოსმალთა დელეგაცია შეუძლებლად სთვლიდა ა/კავკასიასთან, როგორც რუსეთის ნაწილთან საზავო ხელშეკრულების დადებას და მოითხოვდა ა/კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ასეთ პირობებში სეიმმა შეუძლებლად ჩათვალა მოლაპარაკების გაგრძელება და 31 მარტს დაადგინა თავისი დელეგაციის უკან გამოწვევა.

241. ბათუმის ალვა ოსმალთა მიერ. ამ დროს ოსმალთა ჯარს უკვე დაეკავებინა მთელი ის ტერიტორია, რომელიც რუსეთს დაეპყრო ომის დროს და ესლა გადმოსულიყო რუს-ოსმალთა ყოფილ საზღვარსაც. ოსმალთ დაიკავეს არტაანი და მიდიოდნენ ბათუმისკენაც. არტაანიდან ოსმალთ ჯარებმა დაიკავეს ახალციხე-ახალქალაქის მაზრები /სამცხე-ჯავახეთი/. ადგილობრივი ბეგები სერვერ-ბეგ ათაბაგ-კობლიანელის, რომელიც ძალიან დიდი მემამულე იყო /მას ჰქონდა 14 ათ. დესტინაზე მეტი ფართობი/ ოსმალთ მიემხრნენ. ბეგებმა შეადგინეს ბანდები და ადგილობრივ ქრისტიან მოსახლეობას /სომხებს და ქართველებს/ აწიოკებდნენ. დიდძალი სომხობა და ქართველობა გამოიქცა იქიდან დანარჩენ საქართველოში. ბევრი მათგანი დაიღუპა ბორჯომის ხეობის ტყეებში და სხვაგან უსახლკარობისა, ზამთრის სიცივისა და შიმშილისაგან.

ამ ამბების მსვლელობის დროს ოსმალთა ჯარი შემოდგომოდა ბათუმის ციხესიმაგრეს. ბათუმს იცავდა სახელდახელოდ შეყრილი ქართველი ჯარისკაცები და აგრეთვე მოხალისეთა რაზმები. ბათუმის დაკარგვის შიშმა დიდი საომარი აღფრთოვანება გამოიწვია საქართველოში, მაგრამ მარტო აღფრთოვანება არ კმაროდა დაშლილი ჯარის ხელახლა შესაკავშირებლად და მტკიცე სამხედრო ორგანიზაციის შესაქმნელად. 1 აპრილს 1918 წ. ხანმოკლე და უმნიშვნელო ბრძოლის შემდეგ ოსმალთ დაიკავეს ბათუმი და განაგრძეს შეტევა. მალე მათ დაიჭირეს ქალ. ოზურგეთიც, ხოლო რკინიგზის გასწვრივ მიადგნენ მდ. ნატანებს. 8 აპრილს მდ. ნატანებთან ოსმალთა ჯარს დახვდა ქართველთა რაზმები და ჯაფშოსანი მატარებელი. ისმალნი აქ სასტიკად დამარცხდნენ. მარტო მოკლულით, დაჭრილთა გარდა, მათ დაკარგეს 600 კაცზე მეტი.

ნატანების გამარჯვებამ შეაჩერა ოსმალთა წინსვლა და ცოტა ხნის შემდეგ ამიერ-კავკასიის სეიმამაც გადაწყვიტა საზავო მოლაპარაკების განახლება.

242. ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება. ბათუმის დაკარგვის შემდეგ სეიმი დარწმუნდა, რომ ქვეყნის მდგომარეობის მოსაველელად ოსმალეთთან ზავის შეკრა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. შინაური ვითარებაც ფრიად სერიოზული იყო. სწორედ იმ დროს, როდესაც ოსმალნი ბათუმს შემოდგომოდნენ, გორის მაზრის ოსებში მოხდა ბოლშევიკური აჯანყება და ცოტა ხნის შემდეგ ასეთივე არეულობა დაიწყო ოდიშის და ლეჩხუმის მთიან კუთხეებში. ამიერ-კავკასიის სამხრეთ ნაწილებშიაც სომეხთა და თათართა შორის ურთიერთობა ფრიად გამწვავებული იყო, რაც აშკარა შეტაკებებში პოულობდა თავის გამოხატულებას. ასეთ პირობებში უჯარო და ანარქიულ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას ოსმალეთისათვის არავითარი წინააღმდეგობის გაწვევა არ შეუძლო მით უმეტეს, რომ სეიმის ერთი დიდი პარტიათაგანი – თათრების მუსავატი – ორჭოფულ გზას ადგა და თუმცა სეიმის სხვა პარტიათა დადგენილებებს ომისა და ზავის საკითხში ხმას აძლევდა, მაგრამ წინდაწინვე უარს აცხადებდა აზერბაიჯანის მაჰმადიან მოსახლეობის სულიერი განწყობილების შესახებ პასუხისმგებლობაზე. 9 აპრილს 1918 წ., სეიმმა, ოსმალეთის დელეგაციის მიერ ტრაპეზუნტის კონფერენციაზე წარდგენილი მოთხოვნის თანახმად გამოაცხადა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ევგ. გეგეჭკორის კომისარიატი გადადგა და მის მაგივრად შესდგა ახალი მთავრობა აკ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით. ამ მთავრობაში, რომელსაც შეადგენდნენ უკვე არა კომისრები, არამედ მინისტრები, ირიცხებოდა 12 მინისტრი, მათში 4 ქართველი იყო, რომელთაც ეჭირათ ყველგან უფრო საპასუხისმგებლო სამინისტროები /აკ. ჩხენკელი თავმჯდომარე და გარეშე საქმეთა მინისტრი, ნოე რამიშვილი – შინაგან საქმეთა, გრ. გორგაძე – სამხედრო და ნოე ზომერიკი

— მიწათმოქმედების მინისტრები/. საზავო მოლაპარაკება ისმალეთთან ისევ განახლდა. კონფერენცია გაიხსნა ქალ. ბათუმში, სადაც წავიდა განსაკუთრებული დელეგაცია თვით აკ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით.

243. ბათუმის კონფერენცია ამიერკავკასია ამ დროს ოსმალეთის მოთხოვნის თანახმად, უკვე დამოუკიდებელ რესპუბლიკად იყო გამოცხადებული; გარდა ამისა დელეგაცია ბოლოს დათანხმდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მიღებას ბათუმის და ყარსის ოლქების ოსმალეთისთვის გადაცემით, მაგრამ მოლაპარაკებიდან მანც არაფერი გამოდიოდა.

ამისი მთავარი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიის სეიმში მომქმედ სამ მთავარ პარტიას /მენშევიკ-სოციალ-დემოკრატებს, მუსავატსა და დაშნაკუთინის/ შორის არ იყო ინტერესთა და კულტურულ-პოლიტიკურ სიმპათიების ერთიანობა. მუსავატისტები ისმალეების ბატონობის მოსალოდნელ დამკვიდრებას ამიერკავკასიაში თანაგრძნობით უყურებდნენ, მაშინ როდესაც როგორც ქართველებისათვის, ისე სომხებისათვის ეს მიუღებელი იყო. ოსმალთ უკვე ეჭირათ ყარსი და მალე მათ დაიპყრეს გუმბრი ალექსანდროპოლიც /ქზლანდელი ლენინკანი/. ამასთანავე მათ ისარგებლეს ამიერ-კავკასიის ერთა შორის შეუთანხმებლობით და მოითხოვეს ახალციხის და ახალქალაქის მაზრების მათთვის გადაცემა. მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა. ოსმალთა დელეგაციის მოქმედებიდან პირდაპირ ჩანდა, რომ ოსმალეთს არ სურს მთლიან ამიერკავკასიასთან ხელშეკრულების დადება და ამჯობინებს საქართველოსთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ცალ-ცალკე კერძობით მოლაპარაკებას.

ბათუმის კონფერენციაზედ იყოფებოდა აგრეთვე გერმანიის მთავრობის წარმომადგენელი გენ. ფონ-ლოსსოვი, რომელიც ოსმალთა გადაჭარბებულ მოთხოვნილებით კმაყოფილი არ იყო და ამიერკავკასიისა და ოსმალეთის დელეგაციას შორის შეუძლებლობას კისრულობდა.

ასეთ პირობებში 26 მაისს 1918 წ. ამიერ-კავკასიის სეიმმა გამოაცხადა თავისი თავი გაუქმებულად და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა დაშლილად. ა/კავკასია დაიყო სამ რესპუბლიკად — საქართველოსი, აზერბაიჯანის და სომხეთისა.

იმავ 26 მაისს 1918 წელს გამოცხადებულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით. საქართველოს ბედის პატრონად ფორმალურად ხდებოდა ქართული ეროვნული საბჭო, რომელიც ახლა გამოცხადებულ იქნა პარლამენტად.

244. ქართული ეროვნული საბჭო. ეს საბჭო ამორჩეული იყო ქართულ ეროვნულ ყრილობაზე, რომელიც შესდგა თბილისში 19-23 ნოემბერს 1917 წ. ნოე უორდანიას თავმჯდომარეობით. /ამიერ-კავკასიის სომხებს და აზერბაიჯანელებს ასეთი ეროვნული საბჭოები მაშინ უკვე ჰყავდათ, მენშევიკებმა ამის შექმნა განგებ დააგვიანეს/. ამ ყრილობის წევრები იყვნენ თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს წარმომადგენლები, სხვადასხვა ქართულ კულტურულ-საქველმოქმედო დაწესებულებათა, აგრეთვე საბანკო ორგანიზაციების, სამღვდლოების და სხვათა წარმომადგენლები, ხოლო მუშების და გლეხების წარმომადგენლები, თითო-ოროლას გარდა, იქ არ იყვნენ. ყრილობამ მიიღო დადგენილება საქართველოსათვის ფართო თვითმმართველობის საჭიროების შესახებ საკანონმდებლო უფლებით, შეიმუშავა აგრეთვე რეზოლუციები ყველა მთავარ პოლიტიკურ სოციალურ და კულტურულ ხასიათის საკითხების შესახებ და შემდეგ აირჩია ეროვნული საბჭო, 67 კაცისაგან შემდგარი. ამ შემადგენლობას შემდეგ მიემატნენ ამიერკავკასიის სეიმის ქართველი წევრნი და ამგვარად შესდგა დაწესებულება, რომელსაც ეხლა დაერქვა საქართველოს პარლამენტი.

245. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ეროვნულმა საბჭომ ამოარჩია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. მთავრობის თავმჯდომარედ და შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა ნოე რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრად აკ. ჩხენკელი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობისა — გიორგი უურული, სამხედრო - გრ. გიორგაძე, განათლების — გიორგი ლასხიშვილი, მიწათ-მოქმედების და შრომისა — ნოე ხომერიკი, იუსტიციის — შალვა ალექსი-მესხიშვილი და გზათა — ივ. ლორთქიფანიძე. ნოე რამიშვილი მთავრობის თავმჯდომარედ იყო ერთ თვეს /24 ივნისამდე/, ამის შემდეგ მთავ-

რობის თავმჯდომარის ადგილი დაიკავა ნოე ჟორდანიამ, რამიშვილი კი დარჩა შინაგან საქმეთა მინისტრად. მთავრობა პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე, რომელიც ამ დროს შესდგებოდა 113 წევრისაგან, ამათგან 65 სოც.-დემოკრატი (მენშევიკი) იყო, 16 სოც.-ფედერალისტი, ამდენივე ეროვნულ-დემოკრატი, 12 სოციალისტ-რევოლუციონერი და სხვ.

ახალი მთავრობის მთავარ საზრუნავ საგანს შეადგენდა ზავის ჩამოგდება ისმალეთთან, რომელიც, საქართველოს უძწეო მდგომარეობის გამო, აგრესიის და მუქარის გზას ადგა. იმავე დღეს. რა დღესაც ცხადდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ოსმალეთის დელეგაციამ ბათუმში წამოაყენა ჯერ კიდევ ამიერ-კავკასიის მთავრობის სახელზე ულტიმატუმი ახალციხის და ახალქალაქის მაზრების გადაცემისა და აგრეთვე რკინიგზებით თავისუფლად სარგებლობის შესახებ. ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში მთავრობა იძულებული გახდა მიემართა ამ დროს თბილისში ჩამოსულ გერმანიის წარმომადგენელ გრაფ ფონ-შულენბურგისათვის და ეთხოვა მისთვის გერმანელთა პიკეტების დაყენება საზღვრებზე ოსმალთა წინსვლის შესაჩერებლად. მართლაც, შულენბურგმა შეადგინა ტყვე გერმანელებისგან მცირერიცხოვანი პიკეტები და შეხვედრა ისინი თბილისისკენ მომავალ ისმალთა ჯარებს, რომელნიც იძულებული გახდნენ შეჩერებულიყვნენ. ამ გარემოებამ არიედარია ისმალთა აგრესიული ზრახვების გვემა. ამასობაში ბათუმში ჩავიდა საქართველოს ახალი დელეგაცია ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით, რომელიც ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა არსებითად დათანხმებულიყო ოსმალთა მიერ წამოყენებულ პირობებზე.

246. ზაჰი ოსმალეთთან. 3 ივნისს 1918 წ. ისმალეთთან დაიღო ზავი. რომლის მიხედვით ოსმალეთს გადაეცა, გარდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ოლქებისა, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებიც აბასთუმანის და აწყურის გამოკლებით. ამასთანავე ოსმალებს და მათ მოკავშირეებს მიეცათ რკინიგზებით სარგებლობის უფლება სამხედრო საჭიროებისათვის. უკანასკნელად ოსმალეთმა მოითხოვა ბათუმის და ყარსის ოლქების მისთვის გადაცემა ვითომდა მოსახლეობის /რომელიც მაჰმადიანობას აღიარებდა/ თვითგამორკვევის უფლებაზე დამყარებით. ეს იყო რუსეთისათვის წინაღ წამოყენებული საზავო პირობების ერთ-ერთი მთავარი გაუარესება. რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ამ ახალი პირობების თანახმა იყო 7 წევრი, მათ შორის ვლ. ლენინი და ოსებ სტალინი, 4 წევრმა ხმა მისცა წინააღმდეგ და 4-მა თავი შეიკავა.

ამგვარად ამ ზავის პირობებით ბათუმის და ყარსის მხარეთა მოსახლეობას უნდა მისცემოდა თვითგამორკვევის უფლება იმ პირობით, რომ ამ მხარეების ბედი ოსმალეთს უნდა გადაეწვიოდა მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით. ოსმალეთი დათანხმდა საზავო ხელშეკრულების ამ პუნქტის ასეთ ფორმულირებას იმ იმედით, რომ აჭარა-ყარსის მხარის ბედს მოატრიალებდა თავისი სურვილისამებრ და თავისდა სასარგებლოდ.

საქართველო ამ ხელშეკრულებით ფაქტიურად რჩებოდა მე-19 ს-ნის დასაწყისის თავისი საზღვრებით ლორე ბამბაკისა და ყაზახის გამოკლებით. აწყურის და აბასთუმანის დათმობაც წარმოადგენდა სრულებით უმნიშვნელო და დროებით გარემოებას, რომლის გამოსწორებას შემდეგ ფიქრობდა ოსმალეთი. მართლაც, იმავე 1918 წლის აგვისტოში ოსმალების გენერალისიმუსი და ფაქტიური დიქტატორი ენვერ-ფაშა ეუბნებოდა კონსტანტინეპოლში ერთ-ერთ ქართველ დელეგატს, რომ ოსმალეთი თანახმაა მოუხერხოს საქართველოს აბასთუმან-აწყურის სანაცვლოდ სხვა რაიმე ტერიტორიული კომპენსაციაო.

ამ ხელშეკრულებას მოჰყვა ოსმალეთის მიერ ზავის დადება აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებთან, რომელთაც /28 მაისს/ აგრეთვე გამოეცხადებიათ თავისი დამოუკიდებლობა. ზავის პირობები სომხეთისათვის მძიმე იყო – ყარსი-ალექსანდროპოლი-ჯულფას რკინიგზა მისი მიმდგომი ტერიტორიით გადადიოდა ოსმალეთის ხელში.

247. ბერმანელების ჯარის შემოსვლა საქართველოს. საქართველოს ახალ რესპუბლიკას ჯერ კიდევ ვერ გაერკვია თავისი მდგომარეობა. ოსმალთა საფრთხეც თვალწინ იდგა და მისი საწინააღმდეგო ძალა კი რესპუბლიკას არ მოეპოვებოდა. ჯარი დაქსაქსული და დაშლილი იყო. ასეთ პირობებში საქართველოსთვის აუცილებელი იყო გარემო დახმარების მოპოება. ამ დროს აღმოსავლეთ-ევროპის ფრონტზე ძლევამოსილი გერმანია შემოსული იყო უკრაინასა და ყირიმში და ამგვარად

მოახლოვებოდა საქართველოს. წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ გერმანიის ჯარი დაახლოებით 17 ათასი კაცი, შემოვიდა საქართველოში და დადგა როგორც თბილისს, ისე სხვა ადგილებში. ამ ჯარის უფროსი გენ. ფონ-კრესი იმავე დროს ფაქტურად გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენლის როლსაც ასრულებდა. გერმანიამ იკისრა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების დაცვა, რის გამო შემოსვლისთანავე ამ ჯარის ერთი ნაწილი გაიგზავნა ბორჩალოს მაზრაში ოსმალების მიერ ამხედრებულ შეიარაღებულ ბრბოებთან საბრძოლველად. შემდეგ გერმანიამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობაც.

248. აფხაზი მუჰაჰირაზი აფხაზეთში. 1918 წ. ივნისში ოსმალთ, ალ. შარვაშიძის მიწვევით, გადმოსხეს მდ. კოდორზე თავისი რაზმი აფხაზეთის ასაჯანყებლად და შემდეგ იქ ფეხის მოსაკიდებლად. ეს რაზმი შესდგებოდა უმეტესად ოსმალეთში წინათ გადასახლებულ მუჰაჯირ /გადასახლებულ/ აფხაზებისაგან. სოსუმის ჯარის უფროსმა გენ. მაზნიაშვილმა დაიჭირა სოსუმის დამცველი პოზიციები და ამით შეუშალა ხელი ოსმალთ მათი განზრახვის შესრულებაში. ამასობაში გერმანელებმაც მოსთხოვეს ოსმალთ გადმოსხმული ჯარის გაყვანა და მართლაც მცირე შეტაკებების შემდეგ ოსმალთ დასცალეს აფხაზეთის სანაპირო.

249. საქართველოს ეკლესიის საკითხი. თებერვლის რევოლუციამ საშუალება მისცა საქართველოს სამღვდლოებასაც თავისი დიდხნის მისწრაფება ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის განხორციელება. 12 მარტს 1917 წ. მცხეთის ძველ სვეტი-ცხოვლის ტაძარში ქართველ მღვდელთმთავართა და ეპარქიების წარმომადგენელთა თანდასწრებით გამოცხადებულ იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე არჩეულ იქნა საკათალიკოსო ტახტის მოადგილედ. საქართველოს ავტო-კეფალიის გამოცხადებას დიდად წინააღმდეგ საქართველოს უკანაქელი ექსარქოსი პლატონი რუსი სამღვდლოებითურთ და აგრეთვე რუსეთის სინოდი. თვით რუსეთის დროებითი მთავრობა სხვადასხვა დაბრკოლებას უქმნიდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეს. 1917 წლის სექტემბერში თბილისში მოწვეულმა საეკლესიო კრებამ შეიმუშავა საქართველოს ეკლესიის გამგებლობის ძირითადი დებულება, გაატარა სამღვდლოებაში ზოგიერთი აუცილებელი რეფორმა და შემდეგ ამოარჩია კათალიკოსად ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც ცარიზმის მიერ სწორედ ავტოკეფალიის საკითხისათვის ბრძოლის გამო ხშირად იყო დევნილი და რამოდენიმეჯერ მოთავსებული დასასჯელად სხვადასხვა მინასტერში (ეპისკოპოსის ციხეში დაპატიმრება მაშინ არსებული წესით არ შეიძლებოდა). ექსარქოსი პლატონი იძულებული გახდა რუსეთს წასულიყო.

ავტოკეფალიის გამოცხადებით ქართველ სამღვდლოებას უნდოდა მოეპოვებინა ხალხის რომელიმე ნაწილზე ერთგვარი გავლენა და მით განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა თებერვლის რევოლუციის მიერ შექმნილ პირობებში, როდესაც აუცილებელი იყო სინდისის და რელიგიური რწმენის თავისუფლების გამოცხადება. მაგრამ ცარიზმმა თვითონვე მიიღო მე-19 ს-წეში თავისი პოლიტიკით ყოველგვარი ზომები, რომ საქართველოს ეკლესიის აღდგენა ბურჟუაზიული წყობილების პირობებშიც შეუძლებელი გაეხადა. ქართველი სამღვდლოება მხოლოდ გამორჩენას ეძებდა და ამიტომაც მას არავითარი მორალური წონა ხალხის ფართო მასაში არ ჰქონდა. ამას თან დაერთო სამღვდლოების მაღალ წრეებში დაბუდებული ერთმანეთის გაუტანლობა და სისხლიანი შურისძიება. მიტროპოლიტ ლეონიდის მომხრემ 1918 წ. 27 ივნისს მოკლა კათალიკოზი კირიონი. ამის შემდეგ მოკლეს კიდევ ორი მღვდელი. ამგვარად ეკლესიის საკითხში ფეხი მოიკიდა ტერორმა. ასეთ პირობებში კათალიკოზად ახალი არჩევნების დაუნიშნავად გახდა ლეონიდე.

კირიონ კათალიკოზის სიკვდილით საქართველოს ეკლესიამ შეიძლება ითქვას, დაამთავრა თავისი ერთ-ნახევარ ათას წლოვანი ისტორია. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ახალგაზრდობამ კომკავშირის ხელმძღვანელობით, საესებით ზურგი აქცია ეკლესიას, რომელიც თანდათან საქართველოს ტერიტორიაზე თითქმის გაუქმდა /დარჩა ძლიერ მცირედ მანც თავისი კათალიკოსით სათავეში/.

250. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობა. მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილი პოლიტიკაში იყო ისეთი აქტიური ღონისძიებათა მომხრე, რომელნიც განამტკიცებდნენ

საქართველოს როგორც ბურჟუაზიულ რესპუბლიკას. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს, ისე როგორც გერმანელებთან პოლიტიკურ და ეკონომიურ შეთანხმებათა დაჩქარების საკითხში მან შეასრულა მნიშვნელოვანი როლი. ამ დროს ნოე რამიშვილი უკვე აშკარად გადახრილი იყო წმინდა ბურჟუაზიული პლატფორმისაკენ, რაც ცხადად სჩანდა მის ყოველდღიურ საქმიანობაში. ეს კი არ სიამოვნებდა ქართველ მენშევიკების ხელმძღვანელ ჯგუფებს, და უპირველეს ყოვლისა თვით ამ მენშევიკების ბელადს ნოე ჟორდანიას, რომელნიც თავის საქმიანობას ორჭოფულად წარმართავდნენ, როგორც ბურჟუაზიისათვის სასიამოვნოდ, ისე აგრეთვე იმავე დროს, ხალხის დემოკრატიისათვის რამოდენადმე მანაც მისაღებად. ამით აიხსნება, რომ 24 ივნისს ნოე რამიშვილი მთავრობის თავმჯდომარის ადგილზე გამოცვალეს. ის დატოვეს შინაგან საქმეთა მინისტრად და მასვე დაევალა /აკჩნენკელის გერმანიაში მყოფობის გამო/ საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შესრულება. ნოე რამიშვილის მაგივრად მთავრობის თავმჯდომარედ გახდა ნოე ჟორდანია.

ნოე ჟორდანია მანამდის იყო მენშევიკურ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი საქართველოში /ამ ხანებში მიღებულ იქნა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელწოდება; მანამდის კი ქართველი მენშევიკები თავის თავს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრებად სთვლიდნენ/. მისი ესლა მთავრობის თავმჯდომარედ გახდომით ფაქტიურად მოხდა პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელობის გაერთიანება ერთი და იმავე პირის ხელში. მაგრამ როგორც ამას შემდეგ აღნიშნავდა მაშინდელი ქართველი დიპლომატი ზურაბ ავალიშვილი, "მართო ეს გაერთიანება /ნოე ჟორდანიას სახით/, რა თქმა უნდა, არ უზრუნველყოფდა არც სახელმწიფოებრივ დახვლოვნებას, არც სიმტკიცესა და არც შორსმჭვრეტელობას სახელმწიფოს მართვაში".

მართლაც, როგორც მენშევიკურ პლატფორმაზე მდგარი მოღვაწე, ნოე ჟორდანია თავიდანვე ადგა ბურჟუაზიასთან შემარიგებელ პოლიტიკას. საქართველოში კი, და განსაკუთრებით თბილისში, სამრეწველო კაპიტალი იყო უმეტესად არა-ქართული შემადგენლობის. ერთადერთი მოზრდილი, შედარებით წმინდა ქართული ხასიათის მქონე ქალაქი ქუთაისი თითქმის საკესებით მოკლებული იყო მრეწველობას. ამიტომაც ქართველი მენშევიკ-სოციალ-დემოკრატების ბურჟუაზიისადმი შემარიგებელი ტაქტიკა ბოლოს და ბოლოს გულისხმობდა არა ქართულ აგრესიული ბურჟუაზიისათვის ანგარიშის გაწევას, კერძოდ ქართულ-ეროვნულ საკითხის შემუშავებაშიც. ამიტომაც საქართველოსათვის რუსეთის იმპერიის ფარგლებში ქართველი მენშევიკები ყოველთვის უარყოფდნენ ლოზუნგს ავტონომიური მმართველობისაც კი და კმაყოფილებოდნენ ბუნდოვანი კულტურულ-ეროვნული ავტონომიის იდეის წამოყენებით. ის დიდი სიძულვილი, რომლითაც გაუღებთილი იყვნენ ქართული მენშევიზმის მიმართ სხვა ქართული წვრილ-ბურჟუაზიული მიმართულეზანი /სოციალ-ფედერალისტების და ნაციონალ-დემოკრატების/ აიხსნებოდა უმთავრესად იმით, რომ ქართულ მენშევიზმს, რომლის მეზობირადედ ყოველთვის ნოე ჟორდანია იყო, არ სწამდა ქართულ სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესაძლებლობა. ქართულ მენშევიზმს ახასიათებდა ზიზლი ყველაფერ ქართულისადმი. ეს ზიზლი მიდიოდა იქამდის, რომ მენშევიკური პრესის ტერმინოლოგიიდან საკესებით გამოდევნილი იყო სიტყვები "საქართველო" და "ქართული" და ეს საკესებით პათოლოგიური მოვლენა ახასიათებდა ქართულ მენშევიზმს რუსეთის იმპერიის არსებობის მთელ სიგრძეზე ვიდრე 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდის და ერთხანს ამის შემდეგაც.

1917 წლის 24 მარტს მთელი რიგი ქართული საზოგადოებრივი ჯგუფების თხოვნით ნოე ჟორდანიამ გააკეთა თბილისში მოხსენება ახალ შექმნილ პირობებში ეროვნული საკითხის გაგების და საქართველოს მოწყობის გეგმის შესახებ. მისი /და მამასადამე მთელი ქართული მენშევიზმის/ დებულება მაშინ იყო ის, რომ თბილისი უნდა გამოცხადებულიყო ინტერნაციონალურ ქალაქად, ხოლო ამიერ-კავკასია დაყოფილიყო წვრილ-წვრილ ეროვნულ კანტონებად, რომელთაგან ცალკე ეროვნებათა კანტონები /მაგ., ქართული, სომხური ან თურქული/ გაერთიანებული იქნებოდნენ ერთ ეროვნულ ცენტრალურ საბჭოს მიერ. ეს მოხსენება წაკითხულ იქნა ერთი წლით ადრე 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტამდის და ასეთი მოხსენების ავტორი ედგა ახლა ფაქტიურად თითქმის დიქტატორული უფლებებით ქართული სახელმწიფოს აღდგენის და მოწყობის საქმეს. უაღრესად სუსტი როგორც სახელმწიფო მოღვაწე და იმავე დროს მოკლებული მეზნებარე იდეურ პათოსს, რომელიც ასე საჭიროა სახელმწიფოებრივ შემოქმედებითი მუშაობისათვის. ნოე ჟორდანია თავისი მენ-

შევიკი კოლეგებით ემსახურებოდა ეხლა იმ საქმეს, რომლის განხორციელების შესაძლებლობა მას მანამდის არ სწამდა და რომლის იდეას ის ებრძოდა მთელი თავისი სიცოცხლე.

უნდა ითქვას, რომ სხვა ქართული წვრილ ბურჟუაზიული მიმართულებანიც /სოციალ-ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატები/ სახელმწიფოებრივ შემოქმედებითი მუშაობისათვის აღმოჩნდნენ ამ დროს სრულებით მოუძზადებელნი. ამით აიხსნება, რომ იმ სამინისტროებშიც, რომელნიც თავში სოციალ-ფედერალისტებს და ნაციონალ-დემოკრატებს ჩაბარდათ, საქმეები მიიღოდა უაღრესად ცუდად. ორივე პარტია ცდილობდა თავიანთ ხელში მიღებული უწყებანი გამოეყენებინა ვიწრო პარტიული მიზნებისათვის. განათლების სამინისტრო, მაგ., მოჰყვა სოციალ-ფედერალისტების ხელში და ამიტომ თითქმის ყველა საშუალო სკოლების დირექტორები, სასოფლო სკოლების გამგეები და ჩვეულებრივი მასწავლებლებიც ინიშნებოდნენ მხოლოდ მათგან, ვინც სოციალ-ფედერალისტების პარტიის წევრები იყვნენ, ანდა ამ პარტიისადმი თანაგრძნობას აცხადებდნენ.

ასეთი ფაქტებით აიხსნება, რომ მენშევიკ-სოციალ-დემოკრატებმა მალე გამოიყვანეს მთავრობის შემადგენლობიდან სოციალ-ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატები და შეადგინეს წმინდა მენშევიკური მთავრობა. ამის შემდეგ ნოე ჟორდანიას დიქტატურა საქართველოს მართებლობაში იყო სრული.

251. სახელმწიფო აპარატის და სკოლის ბაქართულება. ახალი ხელისუფლების ერთ-ერთ საზრუნავს შეადგენდა სახელმწიფო აპარატის ქართულ ენაზე გადაყვანა და ყველა საფეხურის სკოლის გაეროვნულება (გაქართულება). ოფიციალურ ენად ეხლა გამოცხადებულ იქნა ქართული ენა, მაგრამ ბევრ დაწესებულებაში მაინც რჩებოდა რუსული ენა. განსაკუთრებით ძნელი ხდებოდა ქართული ენის გატარება რეგულარულ ჯარში და სახალხო გვარდიაში. რეგულარული ჯარის საკომანდო ბირთვს შეადგენდნენ რუსეთის საიმპერატორო არმიის კადრის ქართველი ოფიცრები, რომელთა ზედაფენა /სამხედრო სამინისტროში და განსაკუთრებით გენერალურ შტაბში/ მთლად გარუსებული იყო და ქართულ ენას ვერ ხმარობდა. ცოტა უკეთ იყო საქმე ქართული ენის მხრივ მენშევიკურ სახალხო გვარდიაში.

252. მოლაპარაკება ბერმანიასთან. პირველ რიგში ახლა იდგა საკითხი ახლად გამოცხადებულ საქართველოს რესპუბლიკის აღიარების შესახებ გერმანიის და მისი მოკავშირეების მიერ. ამ მიზნით ბერლინში გაიგზავნა საგარეო საქმეთა მინისტრი აკ. ჩხენკელი მრჩეველებით და, ცოტა ხნის შემდეგ, ცალკე დელეგაცია ევგ. გუმბეკოვის მეთაურობით გაიგზავნა სტამბოლშიც, ოსმალეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. მაგრამ ბერლინში ჩასულმა დელეგაციამ გერმანიის საგარეო სამინისტროს წარმომადგენლებთან საუბარში გამოარკვია, რომ გერმანია ჯერ შორს იყო საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობამდის. გერმანიის მთავრობის წარმომადგენლები საკითხს უკურნებდნენ საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით და შეუძლებლად სთვლიდნენ ამ მიმართულებით საქართველოს სასარგებლოდ რაიმე ნაბიჯის გადადგმას, სანამ რუსეთი, რომლის ნაწილს წინად ის შეადგენდა, თვითონ არ ცნობდა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას. 1918 წ. 22 ივნისს გერმანიის რეისხტაგის სხდომაზე კანცლერმა ფონ-კიულმანმა თავის სიტყვაში თბილად მოიხსენია საქართველო, მაგრამ აქაც ლაპარაკი იყო საქართველოს რესპუბლიკის მხოლოდ ფაქტიურ ცნობაზე: "საქართველოსთან ჩვენ დავამყარეთ, სთქვა მან, მეგობრული განწყობილება. ჩვენ იგი ვიცანით დე ფაქტო /ფაქტიურად/. ჩვენსა და აქ გამოგზავნილ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს შორის სწარმოებს აზრთა მეგობრული გაცვლა-გამოცვლა. ჩვენის მხრივ ჩვენ გავაგზავნეთ თბილისში დიპლომატიური მისიით გენერალი ფონ-კრესი. ჩვენ ვუსურვებთ საქართველოს სახელმწიფოს, ამ მამაც ხალხს და მდიდარ ქვეყანას მტკიცე მომავალს და სიამოვნებით მოვიმოქმედებთ ყველაფერს, რაც კი ჩვენგან არის დამოკიდებული, რათა საქართველოსა და გერმანიას შორის დავამყაროთ მეგობრული განწყობილება".

253. ტანდენციური რეჟიმის დროის ბათუმის ოლქში. ოსმალებმა ბათუმის ოლქში 1918 წლის ივლისში ჩაატარეს რეფერენდუმი რომელმაც, როგორც ოსმალურ მართებლობის მიერ მოწყობილმა,

მოიტანა ოსმალეთისათვის სასურველი შედეგი – მოსახლობამ ვითომ სურვილი გამოთქვა ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში დარჩენილიყო.

ოსმალების მიერ 1918 წილისში მოწყობილმა რეფერენდუმმა გამოიწვია ქართველ-მუსულმანების ნაწილის პროტესტი. იმავე წლის აგვისტოში გერმანიაში გაემგზავრნენ აჭარის დეპუტატები ზია-ბეგ აბაშიძე და კადირ-ბეგ შარვაშიძე, რომელიც ჩავიდნენ ბერლინს ოსმალეთის თვითნებობაზე საჩივრულად და შემდეგ აპირებდნენ კონსტანტინოპოლის კონფერენციაზე, უკეთეს შესაძლებლად, ხსენებული რეფერენდუმის გამო თავისი საჩივრით გამოსვლას.

254. შეთანხმება ბერმანისთან. ბერლინში საგარეო საქმეთა მინისტრი აკ. ჩხენკელი აწარმოებდა თავისი მრჩეველების (ზურაბ ავალიშვილის და ნ. ნიკოლაძის) დახმარებით მოლაპარაკებას გერმანიის მთავრობასთან ეკონომიკურ და პოლიტიკურ შეთანხმებათა შესახებ. გერმანია თვითონაც იყო დაინტერესებული დაქირავებინა ამ ეკონომიკურ შეთანხმებათა დადება და პოლიტიკურადაც საქართველო მოექცია თავისი მუდმივი გაყვანის ქვეშ. მოლაპარაკებას ეკონომიკურ სფეროში საფუძვლად დაედო ჭიათურის მარგანეცი. ბოლოს 12 ივლისს 1918 წ. ხელმოწერილი იქნა სამი ხელშეკრულება, რომელთა მხედვით უნდა დაარსებულიყო, გერმანელების კაპიტალის საქმეში ჩაბმით, სამი სააქციონერო საზოგადოება. ერთ საზოგადოებას ექნებოდა მიცემული ჭიათურის შავი ქვის გამოზიდვის მონოპოლია. იგივე საზოგადოება მოაწყობდა ფერრო-მარგანეცის და სხვა შენაერთებათა გამოღობას საქართველოში. მეორე საზოგადოებას გადაეცემოდა ჭიათურა-შორანის რკინიგზის ექსპლოატაცია, ხოლო მესამეს-ფოთის ნავსადგურის ექსპლოატაცია. გერმანელებს უნდოდათ, რომ სამივე ამ საზოგადოების აქციონერთა შემადგენლობა ყოფილიყო წმინდა გერმანული. სამაგიეროდ სააქციონერო საზოგადოებები გაიღებდნენ საქართველოს ხაზინის სასარგებლოდ საქმოდ დიდ ანარიცხებს. მაგრამ ქართველების მოთხოვნით მიღებულ იქნა სააქციონერო საზოგადოებათა კაპიტალის განაწილება პარიტეტულ საფუძველზე ქართველებსა და გერმანელებს შორის. საზოგადოებათა საბჭოებში ქართველები და გერმანელები უნდა ყოფილიყვნენ თანაბრად. თავმჯდომარეები და სამ-სამი დირექტორიდან ერთი უნდა ყოფილიყო ქართველი. საერთოდ ქართველებს ექნებოდათ უპირატესობა საზოგადოებათა ზედამხედველობაში, ხოლო გერმანელებს კი აქტიურ ადმინისტრაციულ მუშაობაში.

ცალკე მუხლით განმარტებული იყო, რომ ხსენებული ხელშეკრულებანი ძალაში შევიდოდა მას შემდეგ, რაც დადებული იქნებოდა ფინანსური ხასიათის ცალკე ხელშეკრულება და აგრეთვე გამოირკვეოდა პოლიტიკური ურთიერთობა საქართველოს რესპუბლიკასა და გერმანიის იმპერიას შორის.

ფინანსური შეთანხმება გულისხმობდა საქართველოს გერმანიის რეისსბანკის (სახელმწიფო ბანკის) მიერ სესხის მიცემას ქართული მტკიცე ვალუტის შექმნის მიზნით. განზრახული იყო ამ ქართულ ვალუტას დასდებოდა საფუძვლად მარჩილი, რომელიც უნდა გათანაბრებული ყოფილიყო გერმანიის მარკასთან. ამგვარად საფასის სისტემის თვალსაზრისით საქართველო გერმანიის რკალში უნდა მოყოლილიყო.

255. ინგლისელების გეგმა ამიერ-კავკასიის მიმართ. სპარსეთ-კავკასიის ფრონტის დაშლა ოსმალეთის წინააღმდეგ მეტად სამძიმო იყო ინგლისისათვის, რომელიც ამ დროს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდა მესოპოტომიაში და პალესტინის მიმართულებით. ამიტომ ინგლისელების სარდლობას განზრახული ჰქონდა გამოეგზავნა თბილისში განსაკუთრებული სამხედრო მისია, რომელიც მოახდენდა ამიერ-კავკასიაში დარჩენილ რუსეთის სამხედრო ძალების რეორგანიზაციას და ოსმალებთან ომში ჩააბამდა ქართულ და სომხურ სამხედრო ნაწილებს. ამ მისიის მეთაურად დანიშნულ იქნა გენერალ-მაიორი დენსტერვილი, რომელიც 1918 წლის იანვარში ჩავიდა კიდევ ბალდადში მისიის მოწინავე ჯგუფით. მაგრამ ამიერკავკასიაში მომხდარ ამბების გამო და გარდა ამისა თავის ძალთა სიმცირის მიზეზით ინგლისელებმა ვერ შესძლეს თბილისში არა თუ ჩამოსვლა, არამედ თბილისთან კავშირის დამყარებაც კი. დენსტერვილმა ინგლისელების საექსპედიციო ჯარით მიაღწია რემტს მხოლოდ 1918 წლის აგვისტოში, ხოლო იმავე თვის შუაში ინგლისელებმა დაიკავეს ბაქო, სადაც ამ დროს საბჭოთა ხელისუფლება იყო.

ბაქოს დაკავების შემდეგ ინგლისელებმა დააპატიმრეს ბაქოს საბჭოს სათავეში მყოფი სტ. შაუმიანი და მასთან ერთად სხვა ბაქოელი ბოლშევიკი კომისრები, სულ 26 კაცი და ყველა ისინი წაიყვანეს თურქმენეთში /კასპიის ზღვის აღმოსავლეთით/. თურქმენეთშიც ამ დროს იმყოფებოდა ინგლისელების ჯარი. ინგლისელებს იქაც მოესპოთ საბჭოთა ხელისუფლება და დაემყარებინათ თავის ხელქვეით ესერების, მენშევიკების და თეთრგვარდიელების ხელისუფლება. თურქმენეთში გადაყვანის შემდეგ ყველა 26 ბაქოელი კომისარი დახვრეტილ იქნა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობა იჯდა განჯაში და დაყინებით სთხოვდა ოსმალეთს გაელაშქრა ბაქოს დასაკავებლად. აზერბაიჯანის მთავრობა ოსმალეთს უყურებდა როგორც თავისიანს და ამიტომ დიდად მოწადინე იყო, რომ აზერბაიჯანში ოსმალთ ჯარები შესულიყვნენ. საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებით ოსმალეთს უფლება ჰქონდა თავისი სამხედრო მიზნებისათვის ესარგებლა საქართველოს რკინიგზებით. ოსმალეთმა მოსთხოვა საქართველოს მთავრობას გაეშვა ოსმალეთის ჯარები საქართველოს რკინიგზით განჯისაკენ. მაგრამ საქართველოს მთავრობა ემყარებოდა გერმანიასთან იმავე რკინიგზების შესახებ დადებულ ხელშეკრულებას და თანახმა იყო, რომ ოსმალთ ჯარს ესარგებლა რკინიგზით, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ საამისო სამხედრო მარშრუტებზე გერმანული /და არა ოსმალური/ დროშა იქნებოდა აღმართული. ოსმალეთის წარმომადგენლებმა ეხლა იწვინეს ოსმალეთის მთავრობის მიერ ბათუმის და ახალციხე-ახალქალაქის საკითხებში ჩადებული ძალადობის შედეგი, მაგრამ მეტი გზა არ იყო-დასთანხმდნენ ამ, მათთვის რამოდენადმე დამამცირებელ წინადადებაზე და ოსმალეთის ჯარმაც იწყო აზერბაიჯანში დაგროვება.

256. ოსმალეთის მიერ ბაქოს დაპატივება. ოსმალებმა გაილაშქრეს ბაქოზე, რომელიც 15 სექტემბერს ინგლისელების იქიდან განდევნით დაიკავეს კიდევ. ოსმალებთან ერთად მოქმედობდნენ აზერბაიჯანის ჯარი და ვერეთ წოდებული აზერბაიჯანელი მოხალისეები, რომელთაც ბაქოში მოაწყვეს სომხების მასობრივი ხოცვა. ბაქოში ოსმალების და მუსავატელ-აზერბაიჯანელების მისვლის საწინააღმდეგოდ გერმანია გარანტიად უკვე აღარ გამოდგებოდა და ამით აიხსნება, რომ საბჭოთა რუსეთის ბერლინელი ელჩი იოფფე ოსმალეთის დიდ ვეზირს თალაათ-ფაშას არწმუნებდა საქართველოს დამოუკიდებლობა არ გვიცენიაო.

257. გერმანიასთან პოლიტიკური ხელშეკრულების პროექტი. გერმანიას მაინც უნდოდა ესარგებლა სსრკ-ის დასაბრუნებელი ხელშეკრულებით რუსეთისაგან მიღებული უფლებებით და შეკროდა საქართველოს გარკვეული პოლიტიკური პირობით. გამართულ მოლაპარაკებების შედეგად შემუშავებულ იქნა პოლიტიკური ხელშეკრულების პროექტი, რომლის მიხედვით გერმანია აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას და კისრულობდა ხელის შეწყობას ამ დამოუკიდებლობის აღიარებისათვის სხვა სახელმწიფოების მიერაც. გერმანია კისრულობდა დახმარება გაეწია საქართველოს მთავრობისათვის სახელმწიფო მმართველობის მოწყობის საქმეში მრჩეველების მიცემით. ღებულობდა აგრეთვე ვალდებულებას ჯარის მოწყობისათვის და რკინიგზებისათვის საჭირო მასალების მიწოდებას შემსუბუქებული პირობებით. საქართველოს მთავრობა თავის, მხრივ თანხმდებოდა მიეცა გერმანელების საეკლესიო მრევლებისათვის საქართველოში, აგრეთვე გერმანულ სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებათათვის სრული თვითმმართველობა. ყველაფერი ამით ფაქტიურად, მაშასადამე დამოუკიდებელ საქართველოზე მყარდებოდა გერმანიის მფარველობა-პროტექტორატი. 1918 წლის 3 ოქტომბრისათვის ხელშეკრულება უკვე მზად იყო, აკლდა მას მხოლოდ გერმანიის მთავრობის ხელისმოწერა, მაგრამ ამ დროს ომის გარკვეულად წაგების გამო გერმანიის მმართველ ფენებში იწყება სასტიკი კრიზისი.

258. გერმანიის დამარცხება მსოფლიო ომში. მსოფლიო ომი დამთავრდა ანტანტის /მოკავშირეთა/ დასავლეთ სახელმწიფოს გამარჯვებით. ჯერ ოსმალეთსა და ბულგარეთში და შემდეგ ავსტრიასა და უკანასკნელად გერმანიამაც დაყარეს იარაღი. გერმანიაში მოხდა რევოლუცია, იმპერატორი ვილჰელმ II გადაყენებულ იქნა. 11 ნოემბერს 1918 წელს გერმანიამ მოაწერა ხელი დროებით ზავს. ამ დროებითი ზავის პირობით გაუქმებულად ცხადდებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება ყველა მისი დამატებითი შეთანხმებებით. ამას შედეგად მოჰყვა საქართველოს მხარეებიდან /სამცხე-

ჯავახეთის, ბათუმ-არტაანის მხარედან/ ოსმალთა და გერმანელების საქართველოდან წასვლა. მათი ადგილი უნდა დაეკავებინა ინგლისის ჯარს. საბჭოთა რუსეთმაც იმავე თვეში აცნობა გერმანიის მთავრობას, რომ ისიც ამიერიდან არ სთვლის თავისთვის სავალდებულოდ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით. ამით, რასაკვირველია, უქმდებოდა რუსეთის მიერ გერმანიისათვის მიცემული უფლებაც უცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ ხელმეორედ უნდა დასმულიყო და ისიც ახალი ძალების – ანტანტის სახელმწიფოების – წინაშე.

259. ოში სომხეთთან და ინგლისელების ჯარის შემოსვლა საქართველოში. ამ გარდამავალი დროით ისარგებლა სომხეთის მთავრობამ, რომელიც მეტწილად დაშაკების შემადგენლობისა იყო, და თავს დაესხა საქართველოს. სომხეთს მიზნად ჰქონდა დასახული დაეკავებინა პირველ რიგში მთელი ბორჩალოს მაზრა და აგრეთვე ჯავახეთი და თუ მოხერხდებოდა სამცხეც. სომხების ჯარმა გადაიარა ბორჩალოს მაზრა და გადმოდიოდა უკვე მდ. ხრამის ჩრდილოეთით. კონტრ-შეტევით ქართველებმა დაამარცხეს სომხების ჯარი სოფ. ეკატერინეფულთან, შულავერთან და ბოლნის-ხაჩინთან. ამ დროს თბილისში უკვე ჩამოსულნი იყვნენ ინგლისელი სარდლობის წარმომადგენელნი, რომელთა მოთხოვნით სამხედრო მოქმედება შეწყდა /ლამით 31 დეკ. 1918 წ./. დაიწყო საზავო მოლაპარაკება, რომლის შედეგად ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილი /ლორე/ გამოცხადებულ იქნა ნეიტრალურ ზონად. სადაც უნდა ყოფილიყო როგორც საქართველოს, ისე სომხეთის ჯარი და მმართველობაც საერთო უნდა ყოფილიყო. მაგრამ ფაქტიურად მმართველობა ლორეში, რადგანაც მოსახლეობის დიდი უმეტესობა სომხებისაგან შესდგებოდა ძალაუნებურად უნდა ყოფილიყო სომხური. ამიტომ ფაქტიურად ლორე ამის შემდეგ სომხეთის ხელში იყო.

მალე ამ ზავის დადების შემდეგ ამიერ-კავკასიაში შემოვიდა ინგლისის ჯარი. საქართველოში მეტწილად განლაგებული იყვნენ შოტლანდიელთა და ინდოელთა ნაწილები.

260. ოსმალეთის აპენტაბი სამცხეში. მალე ამის შემდეგ ახალციხის მაზრა დაიკავეს თურქ აგენტების მიერ მოწყობილმა შეიარაღებულმა რაზმებმა, რომელთაც ხელმძღვანელობდა გათურქებული ქართველი მაჰმადიანი, ძველი ათაბაგის ჩამომავალი სერვერ-ბეგი ათაბაგი ქობლანისა. ქართველების ჯარი გადავიდა კონტრშეტევაზე და კვლავ დაიკავა ახალციხე მთელი მაზრითურთ /მარტ. 1919 წ./

261. საქართველოს დამფუძნებელი კრება. ამასობაში პარლამენტის მიერ მიღებული კანონის თანახმად უკვე მომხდარი იყო დამფუძნებელი კრების არჩევნები, საყოველთაო ხმის მიცემისა და პროპორციულ სისტემაზე აგებული.

ბოლშევიკები პრინციპულად დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ გამოვიდნენ. ამიტომ რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის საოლქო კომიტეტმა გამოუშვა სპეციალური მოწოდება არჩევნების ბოიკოტის შესახებ. 12 მარტს 1919 წ. –ახალი სტილით რუსეთის რევოლუციის ორი წლის თავს – თბილისში გაიხსნა საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნიკ. ჩხეიძე, ამ დროს პარიზს მყოფი, სადაც ის გაგზავნილი იყო საზავო კონფერენციაზე წასულ საქართველოს დელეგაციის მეთაურად. დამფუძნებელ კრებაში ირიცხებოდა 130 წევრი, მათში 80 % იყვნენ მენშევიკ-სოციალ-დემოკრატები, დანარჩენები კი სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელნი. აგვისტოში მომხდარ დამატებითი არჩევნების შედეგად დამფუძნებელ კრებაში 1919 წლის აგვისტოდან ირიცხებოდა 105 სოციალ-დემოკრატი, 9 სოციალ-ფედერალისტი, 7 ეროვნულ-დემოკრატი, 5 სოციალისტ-რევოლუციონერი, 3 დაშაკცუთინის წევრი და 1 ეროვნულ პარტიისა. დამფუძნებელმა კრებამ, რომლის წევრთა უმრავლესობას ამგვარად მენშევიკები წარმოადგენდნენ, ვერ გამოიჩინა ვერავითარი შემოქმედებითი უნარი. ფაქტიურად ის წარმოადგენდა ყოველგვარ ინიციატივას მოკლებულ სალაპარაკო დაწესებულებას.

✓ 262. ეროვნული საკითხი და ბოლშევიკები. როგორც მოხსენებული იყო პირველი მსოფლიო ომის დროს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ეროვნულ საკითხში გადავიდნენ საოლქო თვითმმართველობის

ველობის ლოზუნგზე ცალკე ხალხებით დასახლებულ მხარეებისათვის ენების თანასწორუფლებიანობით. ამ პოზიციაზე იდგნენ ქართველი ბოლშევიკები 1919 წელსაც, როდესაც საქართველო დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას წარმოადგენდა. ა. მიქოიანი თავის მოგონებაში ს. ორჯონიკიძის შესახებ სწერს, რომ როდესაც 1918 წელს ს. ორჯონიკიძე, რომელიც ამ დროს რუსეთის საბჭოთა მთავრობის საგანგებო კომისრად იყო რუსეთის სამხრეთი ქვეყნებისათვის, საქართველოზე გავლით, სადაც მან მთელი თვე დაჰყო, ჩავიდა დარუბანდში, "ჩვენთვის საჭირო იყო გაგვეცო ს. ორჯონიკიძის აზრი დიდ პოლიტიკურ კამათის შესახებ ბაქოელ და თბილისის კომუნისტებს შორის. ჩვენ, ბაქოელები, აზერბაიჯანში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მივედით იმ დასკვნამდის, რომ შეცდომა იქნებოდა აზერბაიჯანის, როგორც ნაციონალური სახელმწიფოს, უარყოფა, რადგანაც ეს იქნებოდა საოლქო ავტონომიის ძველ პოზიციებზე დარჩენა. ჩვენთვის ცხადი იყო, რომ შეუძლებელი იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე მუშათა ფართე მასების, გლეხების და დემოკრატიული ინტელიგენციის მოზიდვა; უკეთეს ჩვენ უარვეყოფთ ნაციონალურ აზერბაიჯანული სახელმწიფოს აუცილებლობას.

"ჩვენ გამოვიდოდით აზერბაიჯანის, როგორც ნაციონალური სახელმწიფოს, აღიარების სასარგებლოდ, ისე რომ ის გამხდარიყო საბჭოთა სახელმწიფოდ, რომელიც მჭიდრო და მეგობრულ ურთიერთობაში იქნებოდა საბჭოთა რუსეთთან... ჩვენ ვურჩევდით თბილისელ ამხანაგებს, რომ მათ ანალოგიური პოზიცია დაეკავებინათ ამიერ-კავკასიის ორ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს — მენშევიკურ საქართველოს და დაშაკურ სომხეთის მიმართ. მაგრამ პარტიის საოლქო კომიტეტის თბილისელი წევრები, რომელნიც წარმოადგენდნენ საქართველოს და სომხეთის პარტორგანიზაციებს, არ დაგვეთანხმნენ ჩვენ — ისინი წინააღმდეგი იყვნენ ელიტარებინათ ნაციონალურ სახელმწიფოთა არსებობის აუცილებლობა ამიერ-კავკასიაში. კამათი გათავდა შეთანხმებით იმაზე, რომ ჩვენ ვრჩებით ჩვენს პოზიციაზე აზერბაიჯანის შესახებ, მაგრამ არ დავაყენებთ საკითხს საქართველოსა და სომხეთის შესახებ. თბილისელები კიდევ არ შეიცვლიდნენ თავიანთ აზრს, მაგრამ არც გამოვიდოდნენ საბჭოთა აზერბაიჯანის, როგორც ნაციონალური სახელმწიფოს შესახებ ლოზუნგის წინააღმდეგ".¹

ამგვარად გარკვეული იყო, ი. სტალინის და ს. ორჯონიკიძის აშკარა თანხმობით, რომ ქართველი ბოლშევიკები იბრძოდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლად არსებობისათვის და რუსეთთან შეერთების შემთხვევაში აკმატებდნენ მას საოლქო თვითმმართველობის სტატუსს.

263. აბრარული საბითხი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში და ამიერ-კავკასიაში სოციალურ ურთიერთობათა საქმეში გადასაწყვეტი და მოსაგვარებელი იყო ორი საკითხი — აგრარული და მუშათა საკითხი. საქართველო იყო აგრარული ქვეყანა მეტად ჩამორჩენილი მიწათმფლობელობითი წესით. დროებით ვალდებული გლეხები იურიდიულად უკვე აღარ იყვნენ, მაგრამ ფაქტიურად მაინც არსებობდნენ, რადგანაც ცარისტულმა მთავრობამ მხოლოდ სანახევროდ მოასწრო მათი გადაყვანა დამოუკიდებელ გლეხთა კატეგორიაში, ნაწილი კი ისევ წინანდელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. გლეხ-ხიზნების საკითხიც სრულებით გაურკვეველი იყო.

1918 წელს მარტში ამიერ-კავკასიის სეიმმა მიიღო აგრარული რეფორმის კანონი. ამ კანონით დაწესებულ იქნა ყოველ კომლის ხელში მყოფი მიწის მაქსიმალური ნორმა. ეს ნორმა იყო 7-10 დესეტინა ძვირფასიანი კულტურების /ვენახი და სხვ./ მხარეში, 15-20 დესეტინა მარცვლეულ კულტურათა მხარეში და 40-50 დესეტინა მესაქონლეობის მეურნეობათათვის. ამაზე მეტი მიწა კი უნდა ჩარიცხულიყო სახელმწიფო ფონდში. თითქოს ამით შეიკვეცა დიდ მემამულეთა მიწათმფლობელობა. მაგრამ ჯერ ერთი ქართველ მემამულეთა სახმარი და ვარგისი მიწა შედარებით მცირე ჰქონდათ /უმეტესობა იყო მთა, ტყე და ხრიოკი/. გარდა ამისა მემამულეთ უფლება მიეცათ ნორმაში დასატოვებელი მიწა თვითონ ამოერჩიათ და, რასაკვირველია, ყველა სტოვებდა თავისთვის მაღალი კულტურის /მაგ. ვენახებს, ბაღებს/ და საერთოდ საუკეთესო მიწას. ამასთანავე მემამულეს შეეძლო თავისი ოჯახის წევრები (ძმა და შვილები) ცალკე კომლად გამოეცხადებინა და ამგვარად აეღო რამოდენიმე ნორმა.

სახელმწიფო ფონდში გადარიცხული მიწები უნდა გაყიდულიყო იმ გლეხებზე, რომელთაც ნორმის მიწა აკლდათ. მაგრამ სახელმწიფო ფონდში ჩასარიცხ მიწათა ცნობაში მოყვანა დიდ ბუზობას მოითხოვდა. ამით აიხსნება, რომ ღარიბ გლეხებისათვის 1918 წლის სიგრძეზე არაფერი შეიცვალა, რადგანაც მხოლოდ 1919 წლის 28 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ამ მიწების რეალიზაციის წესის შესახებ. გასაყიდ მიწებზე დაწესებულ იქნა შემდეგი ფასები: პირველი ხარისხის სახნავი მიწისა დესეტინა 1200 მან. მეორე ხარისხისა-ათასი მანეთი, მესამე ხარისხისა-600 მან. სათიბ-საძოვარი-200 მან. დესეტინა. დას. საქართველოსთვის იყო უფრო მაღალი ფასები, სახელდობრ პირველი ხარისხის სახნავ მიწაზე 1500 მან. დესეტინა და ასე შემდეგ. მაგრამ მიწების გაყიდვა, იშვიათ გამოწვევების გარდა, არ ხერხდებოდა, რადგანაც ჯერ ერთი მიწების გამოყოფა ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო ნელა მიდიოდა და გარდა ამისა მიწა უნდა შეეძინა უმიწაწყო და ღარიბ გლეხს /ნორმის მქონე გლეხი მიწას ვერ იყიდდა/, ხოლო ასეთს ყოველთვის არ ჰქონდა საჭირო თანხა. საერთოდ მენშევიკური პარტია და მთავრობა იდგნენ კერძო საკუთრების პრინციპის პოზიცი-აზე. ამიტომ, კერძოდ მიწის საკითხში, ისინი იცავდნენ წერილ, მაგრამ ღონიერ მესაკუთრეთა ინტერესებს. ამ მიზეზით უმიწაწყო ან მცირემიწიანი გლეხობა ღელავდა, უკმაყოფილებას აცხადებდა და აშკარად ამჟღავნებდა თავის სიმპათიებს ბოლშევიკებისადმი, რომელთა აგრარული პროგრამა /მიწა-უფასოდ ღარიბ გლეხებს/ მისთვის საუკეთესო გამოსავალი იყო. ღარიბი გლეხობის გადასვლას ბოლშევიკების მხარეზე მენშევიკების ხელისუფლება როგორც ამიერ-კავკასიის კომისარიატის არსებობისას, ისე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს უპასუხებდა რეპრესიებით ბოლშევიკების მიმართ.

264. ბოლშევიკური აჯანყებანი საქართველოში. ჯერ კიდევ 1918 წლის 19 თებერვალს თბილისში ესროლეს ბოლშევიკების მიტინგს, რომელიც მოწვეული იყო ქალაქის ცენტრალურ ბაღში ბოლშევიკების დევნის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად. 1918 წ. პირველ მაისს ბოლშევიკური მიტინგი გარეკილ იქნა შეიარაღებული ძალით. დევნის გამო ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტი თბილისიდან დროებით გადატანილ იქნა ქუთაისში, ხოლო იქიდან კი კავკავში /ქსლანდელ დაუჯიკაუმი/, თბილისში კი დარჩა კომიტეტის ბიურო.

1918 წლის დასაწყისში მოხდა ოს გლეხთა აჯანყება ბოლშევიკური ლოზუნგებით ქართლის მთიან ნაწილში.

1918 წლის თებერვალში აფხაზეთში მოხდა აჯანყება აგრეთვე ბოლშევიკური ლოზუნგებით. ეს აჯანყება ჩაქრობილ იქნა, მაგრამ 25 მარტს ადგილობრივმა ბოლშევიკებმა დროებით კვლავ დაიკავეს სოხუმი.

იმავე წლის მაისში აჯანყება მოხდა ოდიშის მთა-ადგილებში, ამ აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა 600-მდის შეიარაღებული გლეხი. აქედან აჯანყება გავრცელდა რაჭასა და ლეჩხუმშიც.

1918 წლის ივლისში მოხდა დუშეთის აჯანყება. ეს აჯანყება იყო მეტად მძლავრი, მასში მონაწილეობას ლებულობდნენ გლეხთა ფართო მასები. თვით დუშეთში შესდგა გლეხთა დეპუტატების ბოლშევიკური საბჭო. აჯანყება გაგრძელდა მთელი თვეანხევარი. მის ჩასაქრობად მენშევიკურმა მთავრობამ გამოიყვანა სახალხო გვარდია, რომელიც სპეციალურად შედგენილი იყო შინაგან არეულობათა სალიკვიდაციოდ, და აგრეთვე ჯარი.

თითქმის ამავე დროს მოხდა აჯანყება საჩხერეში, სადაც შესდგა სამხედრო რევოლუციური შტაბიც. საჩხერის მხარეში გამოცხადებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლება. საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ აჯანყების ჩასაქრობად გააგზავნა საჩხერეში ჯარი არტილერიით და კავალერიით. აჯანყება ჩახშობილ იქნა. 24 კაცი სამხედრო – საველე სასამართლოს განაჩენით დახვრეტილ იქნა, ბევრი ციხეში ჩასვეს /ივნ. 1918 წ./.

ამის შემდეგ აღსანიშნავი დიდი გამოსვლები იყო ოზურგეთში, საერთოდ გურიაში, სამტრედიის მხარეში, ლაგოდეხში და სხვაგან. აჯანყების ჩასაქრობად მენშევიკების მთავრობა ლებულობდა მკაცრ ზომებს – რამოდენიმე კაცი დახვრიტეს, რამდენიმე გადაასახლეს, 60 კაცს კი მოუსაჯეს კატორღა. ყველგან ამ გამოსვლებს ჰქონდა ბოლშევიკური ხასიათი. ამიტომაც მენშევიკების მთავრობამ გააძლიერა რეპრესიები ბოლშევიკების მიმართ. ბოლშევიკების კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიუროს უმრავლესობა დაპატიმრებულ იქნა. მიუხედავად ამისა მზადდებოდა კვლავ ახალი აჯანყება.

265. მუშათა საკითხი. მენშევიკურმა ხელისუფლებამ ვერც მუშათა საკითხის მოგვარება შესძლო. ქალაქებში დარჩა კვლავინდებურად კერძო საკუთრება დიდ სახლებზე და ფაბრიკა-ქარხნებზე. ბურჟუაზიას მენშევიკური ხელისუფლება ხელს არ ახლებდა. მაგრამ მრეწველობის მეტი ნაწილი მაინც ან სახელმწიფოს ხელში იყო /რკინიგზის სახელოსნოები, ტყიბულის მადაროები და სხვ./, ანდა ქალაქების თვითმმართველობათ ეკუთვნოდა. 1920 წლის ცნობით, ამ წელს საქართველოში იყო დიდი და წვრილი 822 საფაბრიკო-საქარხნო წარმოება 32 ათ. მუშით. ამათგან 433 წარმოება 26 1/2 ათ. მუშით ეკუთვნოდა სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტებს /ქალაქების თვითმმართველობათ/, ერობებს და სხვ. გამოდის, რომ კერძო 389 წარმოებაში მხოლოდ 5 1/2 ათ. მუშა იყო დაკავებული. იყო, რასაკვირველია, ზოგი კერძო მსხვილი წარმოებაც /თამბაქოს ქარხნები თბილისში, იქვე ტყავეულობის ქარხანა და სხვ./, მაგრამ კერძო წარმოებათა დიდი უმეტესობა წვრილი იყო და ადვილი იყო, მამასადამე, მთელი წარმოების განსაზოგადოება. მაგრამ სოციალ-დემოკრატიული მენშევიკური პარტია იდგა /ისე როგორც მიწის საკითხშიც/ ბურჟუაზიულ კერძო საკუთრების დაცვის პოზიციებზე და ამიტომ პრინციპული მოსაზრებით ვერ ახერხებდა საკუთრების შეზღუდვას ვაჭრობა-მრეწველობაშიც. საერთოდ მენშევიკების ხელმძღვანელობა ძირითად ეკონომიურ საკითხებში განიცდიდა სრულ დაბნეულობას. გასაგებია ამიტომ, რომ ვერ მოგვარდა აგრეთვე რვა საათიანი სამუშაო დღის საკითხიც, რაც იწვევდა მუშებში დიდ უკმაყოფილებას.

ბოლშევიკები მოითხოვდნენ წარმოებებზე მუშების კონტროლის დაწესებას. მაგრამ მენშევიკების ხელისუფლება ამას არ დასთანხმდა. ამასთანავე მუშების მდგომარეობა ყველგან მეტად მძიმე შეიქნა. მენშევიკების მთავრობა იძულებული იყო სახელმწიფოს დიდძალი დეფიციტის დასაცავად ებჭდა ბონების /ქალაქის ქართული ფულის/ ახალ-ახალი წყებანი. ბონების მომრავლება კი დაბლა წვედა მის ღირებულებას. მუშების ხელფასი ოდნავადაც ვერ სწვდებოდა ფულის ღირებულების სწრაფად დაცემას და ამიტომ მუშათა კლასი განიცდიდა დიდ გაჭირვებას. ამიტომ ზოგ ადგილებში მუშები აცხადებდნენ გაფიცვებს. ყველაზე დიდი გაფიცვა მოწყობილი იყო ტყიბულის ქვანახშირის მადარობის მიერ /აგვ. 1918 წ./ მთავრობამ დიდი გაჭირვებით შესძლო მუშების დაშოშმინება და მათი დაყოლიება სამუშაოს განახლებაზე.

ყველაფერ ამის გამო სოციალ-დემოკრატ მენშევიკების პარტიას მუშებში ეკარგებოდა ავტორიტეტი. სამაგიეროდ იზრდებოდა მუშების მიდრეკილება ბოლშევიზმისაკენ. მთელ რიგ კავშირებში ბოლშევიკებს ჰქონდათ უკვე დიდი ძალა, რომელიც თანდათან იზრდებოდა, ხოლო ზოგ კავშირში ბოლშევიკები თანდათან უმრავლესობად გადაიქცნენ.

266. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღიარება. ამასობაში წითელი არმია რუსეთში ანადგურებდა თეთრგვარდიელთა არმიებს. საბჭოთა ხელისუფლება უკვე რუსეთის უმეტეს ნაწილში იყო გაბატონებული. მაგრამ საბჭოთა რუსეთის ახალგაზრდა რესპუბლიკა მაინც დიდ სიძნელეებს განიცდიდა. ძლიერ საჭირო იყო მისთვის ბაქოს ნავთი. ამიტომაც ვლ. ლენინი 1920 წლის 17 მარტს დებუას უგზავნის მოსკოვიდან კავკასიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს: "ბაქოს ალება მეტად და მეტად გვესაჭიროება. მთელი ძალდონე მიმართეთ ამისკენ, მხოლოდ განცხადებებში იყავით უადრესად დიპლომატიური და მაქსიმალურად დარწმუნდით მტკიცე ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების მომხადებაში. იგივე ეხება საქართველოს, თუმცა გირჩევთ მოეპყრათ მას უფრო მეტი სიფრთხილით. გადმოზიდვათ შესახებ შეუთანხმდით მთავრსარდალს".

ამის შემდეგ მართლაც წითელი ჯარის მეოხებით საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა ბაქოში და აზერბაიჯანი გადაიქცა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად /28 აპრილი 1920 წ./.

წითელი არმიის მიერ თეთრგვარდიელებზე მოპოებულ გამარჯვებათა შთაბეჭდილების ქვეშ მენშევიკებმა ვერ კიდევ 1920 წლის თებერვალში გააგზავნეს თავისი წარმომადგენელი გრიგოლ უროტაძე მოსკოვში საბჭოთა ხელისუფლებასთან მოლაპარაკების დასაწყებად. ამ მოლაპარაკების შედეგად მოსკოვში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება /1920 წლის 7 მაისს/, რომლის მიხედვითაც საბჭოთა ხელისუფლება აღიარებდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის მთავრობას, ხოლო მენშევიკური ხელისუფლება კისრულობდა ვალდებულებას მოეხდინა საქართველოში ბოლშევიკური ორგანიზაციების ლეგალიზაცია და საერთოდ შეეწყვიტა ბოლშევიკებისა და რევოლუციური მუშების დევნა.

ამასთან დაკავშირებით რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წანადადებით გაუქმდა ამ ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო და დაარსდა საქართველოს კომუნისტური პარტია თავისი ცენტრალური კომიტეტით.

ბოლშევიკური ორგანიზაციების ლეგალიზაცია, რაც ეკისრებოდა საქ. დემოკრატიულ რესპუბლიკას, აუცილებლად ხდიდა საბჭოთა რუსეთთან საერთო ენის გამონახვას და თავისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის სათანადოდ მომართვას. მაგრამ მენშევიკების პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელებმა, ბოლშევიკურ პარტიისადმი ფრაქციული სიძულვილის გამო, სრულებით ვერ გაიგეს ეს და ვერც სათანადო დასკვნის გამოტანა შესძლეს.

ამ ხელშეკრულების დადების გამო საკითხი შეიარაღებული აჯანყების დაწყების შესახებ საქართველოში მოიხსნა. მაგრამ გორის მაზრაში, შიდა ქართლში, აჯანყება მაინც მოხდა. 1920 წლის ივლისის დასაწყისში აჯანყებულთ დაეხმარა ოსების ბოლშევიკური რაზმი, რომელიც კავკასიიდან გადმოვიდა შიდა ქართლში. აჯანყებულების მოთხოვნა იყო რუსეთთან შეერთება. მენშევიკების ხელისუფლებამ ამ აჯანყების ჩასაქრობად მიიღო მკაცრი ზომები. გვარდიელების მიწოლით აიძულეს ოსების მოსახლეობა, რომელიც აჯანყებაში იღებდა მონაწილეობას და რუსეთთან შეერთების მომხრე იყო, გადახვეწილიყო ჩრდილოეთ კავკასიაში.

ისინი კვლავ დაბრუნდნენ საქართველოს ანექსიის შემდეგ უკვე საბჭოთა საქართველოში ვერც წოდებულ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რომელიც შეიქმნა 1921 წელს ისტორიული ქართლის ტერიტორიაზე ქ. ცხინვალის ადმინისტრაციული ცენტრით.

267. ბათუმის ოლქის და არტაანის მხარის შემოერთება საქართველოსთან ინგლისელებმა

გერმანელების ჯარის საქართველოდან წასვლის შემდეგ შემოიყვანეს თავისი ჯარი (მეტწილად შოტლანდიელები და ინდოელები) თბილისში და დააყენეს სხვა ადგილებშიაც. ხოლო ბათუმის ოლქი მთლიანად /ართვინის მხარითურთ/ და ყარსის ოლქიც თვითონ დაიკავეს და მოაწყვეს იქ თავისი მმართველობა. ცხადი იყო რომ ინგლისელებს უნდოდათ როგორმე ფეხი მოედგათ ამიერ-კავკასიაში უმთავრესად, რასაკვირველია, ბაქოს ნავთის გამო. ამ მიზნით ინგლისის მთავრობამ დანიშნა თავის უზენაეს კომისრად ამიერ-კავკასიაში ოლივერ უორდროპი, ქართულის მცოდნე და ქართველების მეგობრად ცნობილი. უორდროპს დავალებული ჰქონდა მოეხერხებინა ისე, რომ საქართველოს თვითონ ეთხოვა ინგლისის პროტექტორატი, მაგრამ მენშევიკების მთავრობა ამაზე არ მიდიოდა. ერთი მიზეზთაგანი იყო ის, რომ ინგლისელი გენერლები და ოფიცრობა-ჯარისკაცები საქართველოში მეტად თვითნებურად იქცეოდნენ. ინგლისელების სარდლობა ხშირად თითქმის რომ ბრძანების კილოთი ელესპარაკებოდა საქართველოს მთავრობას, ერეოდა საქართველოს შინაურ საკითხებში, ოფიცრობაც ადგილებზე თვითნებობდა და ხშირად შეურაცხყოფით ეპყრობოდა მოსახლეობას. ამიტომაც ინგლისელებმა მეტად ცუდი შთაბეჭდილება დატოვეს ქართველ ხალხზე.

როდესაც გამოირკვა, რომ საქართველოს არ სურს ინგლისის პროტექტორატი, ამის შემდეგ ხსენებული უორდროპიც გაიწვიეს. ინგლისელებმა გადაწყვიტეს თავისი ჯარის გაყვანა საქართველოდან და შემდეგ აგრეთვე ბათუმის და ყარსის ოლქების დაცლაც. ბათუმის ოლქი ყარსის ოლქის არტაანის ნაწილით უნდა დაეკავებინა საქართველოს, ყარსის ოლქის აღმოსავლეთი ნაწილი კი დაიკავა სომხეთმა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარი შევიდა ბათუმში 18 ივლისს 1920 წ./.

ბათუმში დანიშნულ იქნა გენერალ-გუბერნატორის უფლებებით მენშევიკი ბენ. ჩხიკვიშვილი და შემდეგ გრ. გიორგაძე.

ბათუმის და არტაანის მხარის შემოერთება წარმოადგენდა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მხრივ დიდ მიღწევას. ამით გათამამებულმა მენშევიკების მთავრობამ გადაწყვიტა საბოლოო ზურგი ექცია საბჭოთა რუსეთისათვის და დაკავშირებოდა დას. ევროპის ბურჟუაზიულ დიდ სახელმწიფოებს. მაგრამ თავისი ბურჟუაზიული პოლიტიკის დასაფარავად მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელობამ მოინდომა საქმე დაეკავებინა II ინტერნაციონალის დასავლეთური პარტიების ლიდერებთან ამ გადაწყვეტილების შესაბამისად მენშევიკების პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელობამ მოიწვი საქართველოს მოსახლეობა ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, პოლანდიის და სხვა ქვეყნებმ სოციალისტური პარტიების ლიდერები, როგორც II ინტერნაციონალის მეთაურები და მათთან ერთ მათი გერმანელი თეორეტიკოსი კარლ კაუტსკი. ხსენებული პირნი ჩამოვიდნენ საქართველოში

მოიარეს ის /შემოდგომა, 1920 წ./ კარლ კაუციმ, რომელიც სხვებზე მეტ ხანს დარჩა საქართველოში, უკან დაბრუნების შემდეგ დაწერა ქებითი მონოგრაფია "ერთი სოციალ-დემოკრატიულ გლეხური რესპუბლიკის შესახებ". მაგრამ ის ერთ ადგილას მინც იძულებული იყო აღენიშნა, რომ საქართველო ბოლშევიზმისკენ მიექანებაო.

268. ეკონომიური ბაჭირვაბა. დიდი იმპერიალისტური ომის შედეგად საქართველოს ეკონომიური შესაძლებლობანი ძლიერ შემცირდა, ხოლო დემოკრატიული რესპუბლიკის უხერიო პოლიტიკამ სახალხო მეურნეობის ზოგი დარგი თითქმის მთლად გაანადგურა. მინიმუმამდის დაყვანილ იქნა ჭიათურის შავი ქვის ამოღება. 1920 წელს ამოღებულ იქნა 1/12 მილ. ფუთი მარგანეცი, მაშინ როდესაც 1913 წელს ამოღებული მარგანეცის რაოდენობა 59 მილ. ფუთს შეადგენდა.

დაეცა მოსავლიანობაც. 1920 წელს საქართველოში მარცვლეულობის მოსავალი შეადგენდა 35 მილიონ ფუთს, რაც არ ყოფნიდა რესპუბლიკის 2 2/3 მილიონ მცხოვრებს. გაჩნდა ამიტომ პურის და სიმინდის კრიზისი. ბევრ ადგილას მოსახლეობა ნახევრად მშიერ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

მევენახეობას 1913 წელს ეკავა 62 ათ. ჰექტარი, 1920 წელს კი მხოლოდ 36 ათ. ჰექტარი. ასეთივე ბედი ეწია სხვა კულტურათ. მაგ., თამბაქო 1913 წელს მოვიდა 1/2 მილ. ფუთი, ხოლო 1920 წელს-80 ათ. ფუთი. დემოკრატიული მთავრობის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. სახელმწიფოს შემოსავალი 1918 წელს 1919 წლის იანვრამდის შეადგენდა 96.188.000 მანეთს ბონებით, გასავალი კი იყო 342.244.000 მანეთი ბონებით. ამგვარად შემოსავალი შეადგენდა გასავლის მესამედზე ნაკლებს, ამ უზარმაზარი დეფიციტის დასაფარავად მთავრობას ჰქონდა მხოლოდ ერთი გზაკვლავ ებეჭდა ბონები /ქალაქის ფულის მაგიერ/, რის გამოც ამ ბონების ღირებულება ყოველდღიურად ეცემოდა. ეს კი იწვევდა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრების არე-დარევას. ყველაფერში ჩანდა დიდი ვაჭირება და უთაბოლობა. ამის გამო დამფუძნებელი კრების ერთ-ერთ სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიამ 1920 წლის დასასრულს პირდაპირ განაცხადა, რომ ჩვენ კატასტროფას ვუახლოვდებითო.

დიდ უკმაყოფილებას იწვევდა სახალხო გვარდიის, რეგულარული ჯარის ნაწილებთან შედარებით პრივილეგიური მდგომარეობა. გვარდიის შტაბში ნამდვილი სამხედრო პირები მეტად მცირედ იყვნენ, მაგრამ ბევრი იყო თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებელი პირი განსაკუთრებით მომარაგების განყოფილებაში. ადგილებზედაც გვარდიელები თვითნებობას იჩენდნენ და კანონს და დისციპლინას არ სცნობდნენ.

სენებული მიზეზების გამო რეგულარული ჯარის ხელმძღვანელობას შორის /ამ ხელმძღვანელობას შეადგენდნენ გენერლები და რუსეთის სამხედრო აკადემიაში სწავლა დამთავრებული მაღალი თფიცრები/ და სახალხო გვარდიის მცირე სამხედრო კვალიფიკაციის მქონე უფროსებს შორის იყო აშკარა ანტაგონიზმი და ერთმანეთის უგულვებელყოფა, რაც გადადიოდა ორი ჯარის მასებზედაც. ზოგიერთი ხელმძღვანელი /მაგ. ნოე რამიშვილი/ საჭიროდ სთვლიდა სახალხო გვარდიის გაუქმებას, მაგრამ ამის წინააღმდეგი იყვნენ ნოე ჟორდანი და ამ საკითხში მისი თანამოაზრენი. ისინი ემყარებოდნენ სწორედ სახალხო გვარდიას და შიშობდნენ, რომ თუ ქართული გენერალური შტაბის გვერდით არ იქნება მისი შემაკავებელი სახალხო გვარდია, ადვილად შეიძლება მოხდეს სამხედრო გადატრიალება უფრო მემარჯვენე მთავრობის დასაყენებლადო.

საერთო უკმაყოფილების ნიადაგზე სოციალისტ-ფედერალისტებს შორის კიდევ გაჩნდა აზრი მენშევიკების მთავრობის ძალით გადაგდების და ფედერალისტური მთავრობის შექმნის შესახებ. გენ. ოსებ გედევანიშვილი კისრულობდა ფედერალისტების რაზმებით /ფედერალისტებს ადგილებზე თავისი შეიარაღებული რაზმები ჰყავდათ/ სახალხო გვარდიის შტაბის შეპყრობას, გვარდიის ნაწილების განიარაღებას და საერთოდ გადატრიალების ჩატარებას. მაგრამ სოც.-ფედერალისტების პარტიის ხელმძღვანელობამ ვერ იკისრა ამის პასუხისმგებლობა და უარი სთქვა ასეთ წინადადებაზე.

მენშევიკური მთავრობა სიტემატიურად არღვევდა საბჭოთა მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულებას. ბოლშევიკური პარტიის ლეგალიზაცია კვლავ გაუქმდა და დაიწყო ბოლშევიკების დაპატიმრება და დევნა. /სულ საქართველოში ამ დროს ბოლშევიკური პარტიის 4 ათასი წევრი იყო/. ამასთანავე, აზერბაიჯანის, დაღესტანის და სომხეთის კონტრ-რევოლუციის დასახმარებლად, ამ ქვეყნების წინანდელ კონტრრევოლუციური მთავრობათა წრეებიც თავშესაფარს პოულობდნენ

საქართველოში. ყველაფერი ეს დიდ აღშფოთებას იწვევდა რევოლუციონერთა წრეებში და რევოლუციურად განწყობილ მუშებში. ხდებოდა ახლა თანდათან იმ მუშებისაც კი ბოლშევიზაცია, რომელნიც წინად მენშევიკების მხარეზე იყვნენ. ამ მხრივ დამახასიათებელი იყო ის მდგომარეობა, რომ 1920 წელს ნოემბერში მბეჭდავთა კავშირის გამგეობის არჩევნების დროს თბილისში გამარჯვება მოიპოვეს ბოლშევიკებმა მიუხედავად იმისა, რომ მბეჭდავთა კავშირი მენშევიკების ცინე-სიმაგრედ ითვლებოდა.

ეკონომიური გაჭირვების ნიადაგზე საქართველოში ამ დროს იყო საყოველთაო უკმაყოფილება: ღარიბი გლეხები და მუშები უკმაყოფილო იყვნენ თავისი ლატაკი და უმწეო მდგომარეობით; საქალაქო ბურჟუაზიული ელემენტები ვერ ითმენდნენ ეკონომიური ცხოვრების არე-დარევას და კრიზისს; მენშევიკური პარტიის წევრები სასოწარკვეთილად გრძნობდნენ თავს; სხვა ბურჟუაზიული პარტიები მკვეთრ ოპოზიციაში უდგნენ მთავრობას და მათი ზოგი წევრი მოითხოვდა ეკონომიური ცხოვრების გარდაქმნას საბჭოთა სისტემის გამოყენებით; მუდმივი ჯვარის ოფიცრობა, შემდგარი რუსეთის იმპერიის დროინდელი ქართველი ოფიცრებისაგან მეტად მტრულად იყო განწყობილი როგორც მთავრობისადმი, ისე მენშევიკურ სახალხო გეარდიისადმი.

ეს გვარდია მენშევიკებმა შეადგინეს თავისი პარტიული ბატონობის უზრუნველსაყოფად, გვარდიის რაზმები იკრიბებოდნენ დროგამოშვებით სავარჯიშოდ; მათ ჰქონდათ თავისი საკუთარი მთავარი შტაბი, რომელიც ემორჩილებოდა არა სამხედრო სამინისტროს, არამედ პირდაპირ მთავრობას და მის თავმჯდომარეს.

~|269. საბჭოთა რუსეთის ვითარების შეუხასებლობა საქართველოში. საბჭოთა რუსეთში 1918 წლიდან შემოღებული იყო სამხედრო კომუნისმი, მიზანი იყო მთელი შესაძლებლობათა გამოყენება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ კონტრრევოლუციურ რუსთა ძალების და აგრეთვე უცხო ინტერვენტების წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლებამ თავის კონტროლს ქვეშ დააყენა მთელი მრეწველობა-მსხვილი, საშუალო და წვრილი-ფართო მოხმარების საქონლის დასაგროვებლად და ამ საქონლით არმიის და სოფლის მოსამარაგებლად. შემოღებულ იქნა პური ვაჭრობის მონოპოლია ზედმეტი პურის სოფლად აღრიცხვის და არმიისა და მუშების საჭიროებისათვის მისი გამოყენების მიზნით. დაწესებულ იქნა აგრეთვე შრომის საყოველთაო ვალდებულება თანახმად ძველი პრინციპისა "ვინც არ მუშაობს, არც სჭამს". 1919 და 1920 წლების სიგრძეზე კონტრრევოლუციურ რუს თეთრ-გვარდიელებთან და უცხო ინტერვენტებთან ბრძოლების დროს საბჭოთა რუსეთი ემყარებოდა ამ სამხედრო კომუნისმის პრინციპებს.

1920 წლის ბოლოსათვის რუსეთის კონტრრევოლუციის და ინტერვენციის მთავარი ძალები დამარცხებულ იქნენ. სამხედრო კომუნისმი შეასრულა თავისი როლი. ამასთანავე სამხედრო კომუნისმის დროს კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ ქალაქად და სოფლად ბრძოლის პროცესში კომუნისტურმა პარტიამ უფრო მეტად გადახარა ეს ხაზი, ვიდრე საჭირო იყო. ამიტომ გადაწყდა მცირედ უკან დახევა კერძო ვაჭრობის დაშვებით, რათა გლეხებს შესაძლებოდათ თავისი ზედმეტი პროდუქტების თავისუფლად გასაღება, ხოლო კერძო მრეწველთ დაეარსებინათ წვრილი წარმოებანი. ლენინი ფიქრობდა, რომ ყველაფერს ამას მოჰყვებოდა სასოფლო მეურნეობის აღმავლობა, რის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფო დაზიანებული მრეწველობის აღდგენა, შემდეგ კი, სოციალიზმის ეკონომიურ საფუძვლად, ძლიერი ინდუსტრიის შექმნაც. ხოლო ამის შესრულების შემდეგ უკვე დაიწყებოდა გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლა კაპიტალიზმის ნაშთების მოსასპობად. ამ უკან დახევას ეწოდება "ახალი ეკონომიური პოლიტიკა" /новая экономическая политика, н.п./.

რუსეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობამ, რომელიც გაიხსნა 8 მარტს 1921 წელს, მიიღო დადგენილება ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარების შესახებ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მენშევიკური მთავრობა მტრულად იყო განწყობილი სამხედრო კომუნისმისადმი. რუსეთთან კავშირის უქონლობის გამო ის ვერ ერკვეოდა, თუ რა მიზეზით იყო გამოწვეული სამხედრო კომუნისმის შემოღება და მოსკოვში მყოფი საქართველოს რესპუბლიკის საელჩოც, თავისი მეტად სუსტი შემადგენლობის გამო, ვერ აწვდიდა მთავრობას თბილისში სათანადო სწორ ინფორმაციას. ხოლო თბილისში მყოფ საბჭოთა რუსეთის საელჩოსთან საქართველოს მთავრობას არავითარი კონტაქტი არ ჰქონდა. ამიტომ საქართველოს მთავრობისათვის სავესებით შეუმჩნეველი დარჩა მოსკოვში ხელმძღვანელ წრეებში ვლ. ლენინის მეთაურობით დაწყე-

ბული გარდატეხა ახალ ეკონომიური პოლიტიკის /ნეპ-ის/ შემოღებით. შესაძლებელია, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობა სწორად მისი ინფორმირების პირობებში არ იქისრებდა 1920 წლის ბოლოში და 1921 წლის დასაწყისში საბჭოთა რუსეთისადმი იმ პროვოკაციულ და ავანტიურისტულ მოქმედებათა გზაზე დადგომას, რომელიც საშიში იყო უპირველეს ყოვლისა თვითონ მისთვის. ასეთი ხასიათი ჰქონდა მენშევიკური მთავრობის მიერ ზურგის შექცევას იმ ერთადერთ დიდ სახელმწიფოს /საბჭოთა რუსეთის/ მიმართ, რომელსაც აღიარებული ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ცრუ იყო მენშევიკების მიერ იმედების დამყარება ანტანტის კაპიტალისტურ სახელმწიფოებზე, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკას უნდობლობით უყურებდნენ იმიტომაც, რომ მის სათავეში სოციალ-დემოკრატიული მთავრობა იყო.

270. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება სომხეთში. სომხეთის რესპუბლიკას სათავეში ედგნენ დანაკცუთინის პარტიის წევრები. ოსმალეთი აწვებოდა სომხეთს, სადაც მოხდა გადატრიალება. სომხეთში დამყარდა საბჭოთა წყობილება და ოსმალეთიც, საბჭოთა რუსეთის მორიდებით, იძულებული გახდა დაედვა სომხეთთან ქალ. ალექსანდროპოლში საზავო ხელშეკრულება /29 ნოემბ. 1920 წ./ საზავო პირობები ისედაც მეტად სამძიმო იყო სომხეთისათვის, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ 21 თებერვალს 1921 წ. თურქეთის სარდალმა კავკასიის საზღვარზე ყარაბაქირ-ფაშამ წარუდგინა საბჭოთა სომხეთს ულტიმატუმი ალექსანდროპოლის ხელშეკრულების მიხედვით ტერიტორიების გადაცემის შესახებ თურქეთისათვის. მაგრამ ამ ჟამად საბჭოთა სომხეთს ქომავად ჰყავდა საბჭოთა რუსეთი, რომელმაც გამართა მოლაპარაკება თურქეთის მთავრობასთან. ამ მოლაპარაკებას დაუკავშირდა საკითხი საქართველოს საზღვრების შესახებ, რადგანაც ამ ხანებში საქართველოშიც დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. მოლაპარაკება წარმოებდა მოსკოვში და დამთავრდა ეგრეთ წოდებულ მოსკოვის ხელშეკრულებით /16 მარტს 1921 წ./ სომხეთის მდგომარეობა, შედარებით ალექსანდროპოლის ხელშეკრულების პირობებთან, ესლა თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა.

271 საბჭოთა ხელისუფლების დამყარება სამართველოში. 1920 წლის ნოემბერში ლორე, რომელიც მანამდის საქართველოსა და სომხეთს შორის ნეიტრალურ ზონას წარმოადგენდა, შეერთებულ იქნა საქართველოსთან რაც, რასაკვირველია დიდი შეცდომა იყო. ლორეში განლაგებული იყო ქართული ლაშქრის სამი პოლკი /მე-5, მე-7 და მე-8 პოლკები/ გენ. ი.გედევანიშვილის ხელმძღვანელობით. ძნელი იყო ი.გედევანიშვილზე უარესი პირის გამონახვა ასეთ პასუხსაგებ ადგილისათვის. ის იყო გენერალური შტაბის აკადემიაში სწავლა დამთავრებული ოფიცერი, მაგრამ 1915 წელს რევოლუციონერების მიერ დუშეთის ხაზინის გაძარცვის გამო მას რაღაც დაბრაღდა, თუმცა იმის დამტკიცება გამოძიებამ ვერ შეძლო, ის მაინც კაპიტნის ჩინის მქონე, სამუდამოდ დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან. რევოლუციის შემდეგ ის სტაჟში განვლილი წლების ჩათვლით, მალე გახდა გენერალი, თუმცა, როგორც სამხედრო საქმიანობას მოწყვეტილი, ის ამ ჩინისთვის სრულებით არ ვარგოდა. გარდა ამისა ის იყო სუსტი და უნებისყოფო, ყოველგვარ ინიციატივას მოკლებული პიროვნება.

11 თებერვალს 1921 წელს ნეიტრალურ ზონაში 'სავსებით გაბნეულად განლაგებულ ქართველების ჯარს, გენ. ი.გედევანიშვილის წინამძღოლობით თავს დაესხა სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის ჯარი ადგილობრივ სომეხ მცხოვრებლებთან ერთად. თითქმის სამი ათასი რაოდენობის ქართველების ჯარმა მნიშვნელოვანი ზარალი ნახა. ბევრი დატყვევდა კიდევ და დანარჩენებმა ძლივს შესძლეს თავი დაეღწიათ ვიწრო ხეობებისთვის. ნეიტრალური ზონა, სადაც ქართული მოსახლეობა თითქმის არ იყო, დასტოვეს ქართველებმა. თბილისში ამის გამო მოხდა საპროტესტო დემონსტრაცია საბჭოთა სომხეთის წარმომადგენლობის შენობის წინ.

სომხეთის ეს თავდასხმა სორჯონიკიძემ გაასაღა, როგორც საქართველოში /იგულისხმება – ქართველების/ აჯანყება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

14 თებერვალს ლორის შტაბმა და რეკომმა გამოუშვეს მოწოდება: "აჯანყება საქართველოში". მოწოდებაში ნათქვამი იყო: "ჩვენ, ლორის ნეიტრალური ზონის გლეხობამ, აღვმართეთ აჯანყების დრომა და გამოვაცხადეთ საბჭოთა ძალა-უფლება. დემოკრატიული საქართველოს გასისხლიანებულმა თვითნებობამ შეაერთა ბრძოლისათვის მშრომელი გლეხობა განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვ-

ნებისა. სომხების, თათრების, ქართველების და რუსეთის გლეხთა ძმურმა კავშირმა მოგვანიჭა სწრაფი გამარჯვება...გავიდა ორი დღე და ღორე გახდა საბჭოთა კუთხედ...სალამი თქვენ, საქართველოს მუშებო და გლეხებო, განთავისუფლებული ღორის გლეხობისაგან...გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს".

ამის შემდეგ მოეწყო საქართველოს საწინააღმდეგო გამოსვლა შულავერში, რომელიც სომხებით იყო დასახლებული, და რუსეთის წითელი ჯარის XI არმიაც აზერბაიჯანიდან გადმოვიდა საქართველოს საზღვრებზე /16 თებ.1921 წ./ ამ არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოში ბაქოში ხელმძღვანელი როლი ჰქონდა გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძეს და მასთან ერთად ზოგ სხვა ქართველ ბოლშევიკს. შულავერში შესდგა საქართველოს საბჭოთა დროებითი მთავრობა, ეგრეთ წოდებული რევოლუციური კომიტეტი, შემოკლებით რევეკომი.

XI წითელი არმიის პოლიტგანყოფილებამ მიმართა საქართველოს მუშებს და გლეხებს მოწოდებით რომელშიაც, სხვათა შორის, ეწერა:

"16 თებერვალს წითელმა არმიამ მიიღო ბრძანება საქართველოს მენშევიკ მთავრობის ჯარების წინააღმდეგ შეტევაზე. რით არის გამოწვეული საბჭოთა მთავრობის ეს საპასუხისმგებლო ნაბიჯი? მთავარი მიზეზი არის შემდეგი.

"საქართველოს მენშევიკურ-ბურჟუაზიულმა მთავრობამ არ შეასრულა საბჭოთა რუსეთთან 1920 წლის მაისში დადებული ხელშეკრულება

ა/ საქართველოს კომუნისტური /ბოლშევიკური/ პარტიის ლეგალიზაციის მაგივრად ეს მთავრობა აპატიმრებდა მის წევრებს, აჯენდა მათ საპატიმროში, ხერხტავდა მათ, აგზავნიდა საგან-საქონელსავე საბჭოთა რუსეთში და აზერბაიჯანში, ანადგურებდა ბოლშევიკების პარტიულ ორგანიზაციებს. მას ცეცხლზე მეთად ემინოდა კომუნისტების მართალი სიტყვის და რევოლუციური მუშაობის.

ბ/ არ უბრუნებდა საბჭოთა რუსეთს ბათუმის ნავთსადგურში მყოფ რუსულ სავაჭრო გემებს, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული.

გ/ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლებს ეს მთავრობა აპატიმრებდა, კონფისკაციას უკეთებდა ფულის ანაბრებს საქართველოს მთავრობა, რომელიც სრულებით არ გამოხატავდა მშრომელი მასების ნებისყოფას, ყოველთვის მტრულად ეპყრობოდა საბჭოთა რუსეთს და ბოლო ხანებში აწყობდა მობილიზაციას. საქართველოს ბურჟუაზიული პრესა არა ერთხელ წინასწარმეტყველებდა ქართველი მენშევიკების და ბურჟუაზიის მეოხებით საბჭოთა ხელისუფლების სიკვდილს.

2/ ქართველი მენშევიკების და ბურჟუაზიის მფარველობით და დახმარებით ფორმირდებოდა თეთრგვარდიელთა ბრბოები გენერალ ხვოსტიკოვის, დაღესტანის და აზერბაიჯანის ბეგების, ხანების, ავაზაკების და სომეხ დაშაკებისა. ეს ბრბოები აწყობდნენ აჯანყებებს და წითელი არმიის რიგებიდან ღუპავდნენ ურიცხვ მსხვერპლს. გარდა ამისა საქართველოს მთავრობა დახმარებას უწევდა ვრანგელს და მზად იყო სისრულეში მოეყვანა უცხოეთის, განსაკუთრებით ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიის მტაცებლური მიზნები. კავკასიაში ის მუდამ შაშნებს აწყობდა რუსეთის, მთიულთა, აზერბაიჯანის და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, ხელს უწყობდა ანტანტას მის კოლონიალ კავკასიის გადაქცევის საქმეში.

3/ მტრული განწყობილება საბჭოთა რესპუბლიკებისადმი ყველაზე უკეთესად გამოიხატა იმით, რომ საქართველოს მთავრობამ უარი სთქვა საბჭოთა რესპუბლიკიდან დამშეულ სომხეთში პურის გატარებაზე.

4/ საბჭოთა ხელისუფლებამ კარგად იცოდა ქართველი მენშევიკების და მთელი იქ შეროვილი ბურჟუაზიის მიერ ჩადენილი უმსგავსოებანი პატიოსან მშრომელთა მიმართ. სამხრეთი ოსეთი დამსჯელი რაზმების მიერ ამოდაგული იქნა, სხვა აჯანყებანიც ჩაქრობილ იქნა. ყველა, ვინც მუშათაგან და გლეხთაგან პატიოსანი იყო, თავის ხმას იმაღლებდა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, მაგრამ საქართველოს მთავრობა ამ ხმას ახშობდა. ბევრი ქართველი ჯარისკაცი მანამდისაც ეძმობილებოდა წითელ არმიას...

5/ პირველად ნეიტრალური ზონის და ბორჩალოს მაზრის გლეხებმა ასწიეს მენშევიკურ ყაჩაღების წინააღმდეგ აჯანყების დროშა, მათ დაიწყეს რევოლუციური კომიტეტი-საბჭოების შექმნა. მენშევიკების საზიზღარი მთავრობა ცდილობდა სისხლის ღვრით და ცეცხლით ჩაექრო აჯანყება კვლავ,

აჯანყებულთა თავისი ბატონობის უღლის ქვეშ მოსაქცევად. საბჭოთა ხელისუფლება თავის მოვალეობად სთვლიდა დახმარებოდა აჯანყებულთ და ბოლოს გაეწმინდა საქართველო ბურჟუაზიული ხროვისა და მენშევიკური სიბინძურისაგან და დახმარებოდა ქართველ მუშებს და გლეხებს საბჭოურად თავისი ცხოვრების აშენებაში.

წითელი არმია არ მოსულა საქართველოს დასაპყრობად, როგორც ამას გაჰყვირიან მენშევიკები: საქართველოს დამოუკიდებლობა რჩება, ისაობა მენშევიკების ლაქიობა უცხოური ბურჟუაზიის წინაშე და საქართველო თავისი ხალხის სურვილით შედის რუსეთის, აზერბაიჯანის, მთიანეთის, თურქესტანის, თათართა, ბაშკირთა, ყირგიზეთის, უკრაინის, კალმიკთა და საბჭოთა სხვა რესპუბლიკების ფედერაციაში".

საქართველოს რესპუბლიკას ჰყავდა მუდმივი რეგულიარული ჯარი 18-20 ათასი კაცის რაოდენობით. სახალხო გვარდიაში, რომელიც არა მუდმივ ჯარს წარმოადგენდა, იყო 15 ათას კაცამდის. ამით უნდა მიემატოს სასაზღვრო ნაწილები, მილიცია, განსაკუთრებული განყოფილებების რაზმები (შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ განყოფილებას ევალეობდა პოლიტიკური პოლიციის ფუნქციები), რაც ყველაფერი აღწევდა 15 ათას კაცამდის. მთავარ ძალას წარმოადგენდა რეგულარული ჯარი, მაგრამ ის ძლიერ ცოტა იყო. წინასწარ გამოცხადებულმა ნაწილობრივმა მობილიზაციამ ფრიად მცირე შედეგი მოიტანა — ხალხს არ უნდოდა ჯარში წასვლა და მილიციის აპარატი მეტად სუსტად მოქმედებდა.

XI არმია თავისი რეზერვებით ამ დროს შეიცავდა 35 ათასამდის კაცს. ის მოდიოდა ორი მიმართულებით: 1) ქიზიყზე, სადაც მთავარი როლი მიკუთვნებული ჰქონდა ჟლობას მეთაურობით მყოფ კავალერიის დივიზიას და 2) შულავერიდან და წითელი ხიდიდან თბილისისკენ.

18 თებერვალს წითელი ჯარის ნაწილები უკვე მიუახლოვდნენ თბილისს. გარდა ამისა წითელი ნაწილები შემოსული იყვნენ კახეთის /გალმა-მხარის და ქიზიყის/ სამხრეთ სოფლებში და აგრეთვე ყარაის მიმართულებით ლილომდის და მარტყოფამდის. თბილისთან ხაზი გადიოდა კოჯრის, ტაბახმელას, შავნაბად-სოღანლულის მიდამოებში. მთელს ამ გრძელ ფრონტზე (კოჯრიდან გალმა მხარემდის) წარმოებდა ბრძოლა. კახეთში დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარი უკან იხევდა.

18 თებერვალს სოღანლულის უბანზე წითელი ჯარის ნაწილები გადავიდნენ შეტევაზე, მაგრამ აქ მათ ისეთი დიდი ზარალი ნახეს, რომ შტაბში ყოყმანობდნენ და თითქმის რომ საკითხი იხრებოდა საერთოდ უკან დახევის სასარგებლოდ. მაგრამ ამ დროს ქართული შტაბიდან ივანოვმა და კიდევ ვიღაცამ წითლების შტაბს ცნობა გაუგზავნა, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკის სარდლობას ფრონტზე ჯარი მცირედ ჰყავსო. ამის შედეგად უკან დახევა გადაიღო. მართლაც, 20-21 თებერვალს წითელმა ჯარმა კოჯრის მიდამოებში დაიკავა ისეთი სიმაღლეები, რომ ზარბაზნების ატანის შემთხვევაში შეიძლებოდა არტილერია დაემინათ თვით ქალაქ თბილისისათვის. მაგრამ სამხედრო სასწავლებლის და სხვა ნაწილების კონტრიერის შედეგად წითელმა ჯარმა დასცალა ეს სიმაღლეები. ხელჩართული ბრძოლა მიდიოდა გრანატების და ხიშტების გამოყენებით.

24 თებერვალს წითელმა ჯარმა მუხრან-თელეთიდან კვლავ განაახლა თავისი შეტევა ტაბახმელის მხარეში. დიდი ბრძოლა წარმოებდა 3150 ფუტის (959 მეტრის) სიმაღლის გამო. ეს მთის წვერი მდებარეობდა ტაბახმელას და შავნაბადას შორის /ტაბახმელა-სოღანლუდ-წალასყურის გზების შესაყართან/ და 4 კილომეტრზე დაპყრებდა თბილისს. დიდი ბრძოლის შემდეგ წითელმა ჯარმა საღამოს 6 საათზე აიღო ეს სიმაღლე, რომელიც კარგად იყო გამაგრებული და რომელსაც იცავდა იუნკრების და ოფიცრების საუკეთესო ნაწილი. ამ სიმაღლის გამო წარმოებულ ბრძოლას წითელი არმიის შტაბი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. და სწორედ ამ სიმაღლის აღებამ გადაწყვიტა თბილისის ბედი. უკვე წითელი ჯარების თბილისში შემოსვლიდან ოთხი დღის შემდეგ 12 მარტს/ თბილისშივე გამოვიდა ოფიციალური საბჭოთა გაზეთი "Кавказская правда", რომელშიაც მოთაქმებული იყო ცნობა თბილისის აღების შესახებ: "წითელი არმიის ნაწილების მხრივ თბილისის აღების დროს განსაკუთრებული სიმხნე გამოვლინდა 3150 სიმაღლის შეტევის დროს. ეს სიმაღლე გამაგრებული იყო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და კარგად დაცული სანგრებით და ბუნებრივი სიმაგრებით და ამიტომ ის თითქოს საცხებით აუღებლად ჩანდა. მხოლოდ წითელი არმიელების იდილობას შეეძლო ასეთი სიმაგრის დაძლევა".

კახეთში დემოკრატიულ სარდლობას არც ჯარი ჰყავდა და იქ არც სიმაგრეები იყო. ქიზიყის არემარეში დაბანაკებული ერთი ლეგიონი იძულებული გახდა თიანეთის მიმართულებით უკან დახეულიყო და შემდეგ ტყვედ ჩაეარდა. მეტი ჯარი კიდევ ქიზიყის დასაცავად, სუსტ სანაპირო რაზმების გარდა, არ იყო. ამიტომ წითელმა ჯარებმა ადვილად დაიკავეს ქიზიყი და შემდეგ დაიძრნენ თბილისისკენ. 24 თებერვალს შუადღის 12 საათზე წითელმა ჯარებმა დაიწყეს შეტევა სადგურ ვახიანის მიმართულებით, სადაც გაშვებულ იქნენ ტანკები და ამავე დროს ცხენოსანი დივიზია ამოქმედდა მარტყოფ-ლილოს მიმართულებით. ტანკებმა საგრძნობი ზარალი მიაყენეს იქ თხრილებში გამაგრებულ სახალხო გვარდიელებს, რომელთაც უკან დაიხიეს, მაგრამ რამოდენიმე საათის შემდეგ წინანდელი მდგომარეობა კვლავ აღდგენილ იქნა. აქ მოქმედებდა XI არმიის კავალერიის დივიზია, რომელიც შეიცავდა სულ ცოტა 4 ათ. კაცს და შესაძლებელია მეტსაც. მის შესამაგრებლად დემოკრატიულ რესპუბლიკას ამ ფრონტზე მეტად მცირე ჯარი ჰყავდა - კავალერიის ერთი ლეგიონი (ათასეული), რომლის ნახევარი უკვე ტყვედ იყო ჩაედინილი და მცირედ ქვეითი ჯარი (სულ ამ დროისათვის ტყვედ წითელ ნაწილებს ლორედან დაწყებული წაყვანილი ჰყავდათ სამ ათასამდის კაცი). მთელი ამ ხაზის უფროსი იყო გენ. ჯიჯიხია, რომელმაც აცნობა მთავარ შტაბს, რომ მას მოწინააღმდეგე აწევბა ნორიოს მიმართულებით ავჭალისკენ გასაჭრელად. ამ მოწოლის განვითარების შემთხვევაში ქართველების მთელ ჯარს ემუქრებოდა დატყვევება. ეს პანიკური ცნობა მოვიდა იმ დროს, როდესაც წითელმა ჯარმა კოჯრის მიმართულებით აიღო ზემოთ მოხსენებული სიმაღლე 3150, რაც აგრეთვე თბილისისთვის აშკარა მუქარას წარმოადგენდა. ყველაფერმა ამან იმოქმედა მთავარი შტაბის და მთავრობის გადაწყვეტილებაზე თბილისის დაცლის შესახებ. როგორც ჩანს, მთავრობის ხელმძღვანელები პირნი /ნ. ჟორდანიას და ნ. რამიშვილი/ იმედოვნებდნენ, რომ თბილისის დაცლის შემდეგ მაინც ანტანტის სახელმწიფოები და უფრო საფრანგეთი სამხედრო ძალით გამოვიდოდნენ საქართველოს დასაცავად /ეს გულუბრყვილო იმედი შემდეგ საესებით უნიადაგო აღმოჩნდა/. ამიტომ თათბირზე გაწვეულ გენ. ოდიშელიძის აზრის წინააღმდეგ-ის მოითხოვდა თბილისის დაცვის გაგრძელებას) საღამოს 9 საათზე გამოტანილ იქნა დადგენილება თბილისიდან და მისი არედან მთელი ჯარების - მათი რიცხვი ამ დღეს 9 1/2 ათ. კაცს აღწევდა, - უკან დახევის შესახებ. სოღანლულის ფრონტის უფროსი გენ. გიორგი მაზნიაშვილიც ამ გადაწყვეტილებას სთვლიდა დიდ შეცდომად. მართლაც, ფაქტია, რომ როდესაც ღამის 12 საათიდან დაიწყო მზადება ჯარების უკან დასახევად და შემდეგ მიდიოდა თვით უკანდახევა, მთელი ღამის სიგრძეზე ფრონტზე სრული სიწყნარე იყო. მხოლოდ დილის 7 საათზე სადგურ ავჭალასთან, სადაც რესპუბლიკის ჯარის უკანასკნელი ეშულონთაგანი იდგა და ჯავშნიანი მატარებელიც, გამოჩნდა წითლების მცირე ცხენოსანი რაზმი, რომელიც უკუგდებულ იქნა.

25 თებერვალს 1921 წელს მხოლოდ დღის 11 საათის ახლოს თბილისში შემოვიდა წითელი არმია. ეს დღე ითვლება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღედ. სახალხო გვარდიის ყველა საავტომობილო ნაწილი თავისი მანქანებით დარჩა თბილისში და ჩაბარდა საბჭოთა სარდლობას.

გენ. კვინიტაძემ თბილისიდან გაყვანილი ჯარით, რომლის რიცხვი დეზერტირობის გამო თანდათან მცირდებოდა, და საჩქაროდ მობილიზებული სახალხო გვარდიის მეოხებით შეეცადა წინწაწეული წითელი ჯარი გორის დასავლეთით ხაშურის მიმართულებით მოექცია ტომარაში. მაგრამ სახალხო გვარდიის მიერ საბრძოლო ამოცანის შეუსრულებლობის გამო ეს ოპერაცია ჩაიშალა და წითელმა არმიამ განაგრძო წინსვლა დასსაქართველოსკენ. ამის შედეგად სახალხო გვარდია დაშალეს, რითაც მენშევიკების ხელმძღვანელობამ თვით აღიარა ამ გვარდიის მთელი არსებობა შეცდომად.

ამასობაში წითელი ჯარი მოიწვედა სოჭის მხარედან და მამისონის უღელტეხილიდან. სოჭის მხარედან წამოწეულ წითელ ჯარს მენშევიკების მთავრობის ჯარის გარდა წინააღმდეგობას უწევდა ზღვიდან საფრანგეთის ესკადრა, რის გამო გაგრასთან წითელი ჯარი შეჩერდა კიდევ /20-22 თებ/, მაგრამ შემდეგ მან ისევ განაგრძო სვლა. ქართველებს ჯარი გენ. წულუკიძის წინამძღოლობით მთლად დაშლილი იყო. დეზერტირობა იყო ძლიერ დიდი. 10 მარტს ამ მიმართულებით მომავალი წითელი ჯარის მოწინავე რაზმი თავისუფლად შევიდა ქუთაისში. მერვე დღის ვიდრე მამისონის უღელტეხილიდან დიდ თოვლში მომავალი წითელი ჯარის ნაწილები ახლდა სკიროვი. მენშევიკების მთავრობის დარჩენილი ჯარი გამაგრდა საფრანგულ მხარეზე.

ძლიერ მცირე ხნით. წითელი ჯარების გადაჯგუფებას ძლიერ აფერხებდა ის გარემოება, რომ მენ-
შევიკების ხელისუფლების განკარგულებით ყველა ხიდი აფეთქებული იყო და ამიტომ თბილის-
ქუთაისის საზღვრე რკინიგზა არ მოქმედებდა.

ყველგან წითელ ჯარს ადგილებზე ხვდებოდნენ ბოლშევიკთა ორგანიზაციები, რომელნიც
მამზნვე აწყობდნენ მმართველობას და ამყარებდნენ ახალ წესრიგს. ჯერ კიდევ 27 თებერვალს 1921
წ. XI წითელი არმიის პოლიტიკურმა ხელმძღვანელმა ს. ორჯონიკიძემ თავის სიტყვაში ბაქოს საბჭოს
სხდომაზე სხვათა შორის სთქვა: "დღეს ჩვენ შევიკრიბეთ, რათა მივესალმოთ ახალ დაბადებულ საბ-
ჭოთა საქართველოს. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო – კონტრევოლუციის უკანასკნელი საყრდენი
ამიერ-კავკასიაში დაეცა. დაეცა ქართული მენშევიზმის სიმტკიცე – თბილისი. საქართველოს მუშების
და გლეხების სურვილით დაეცა მენშევიკ-მედუქნების უღელი და საქართველოში დამყარდა საბჭოთა
ხელისუფლება. მენშევიკური მთავრობა ბ-ნ ჟორდანიით სათავეში გაიქცა ქუთაისისაკენ. მაგრამ ვინ
იცის, შესაძლებელია აჯანყებულთ ჩაუსწრონ ქუთაისში ჟორდანისს. მთელს საქართველოში აღსდგენ
მუშები და გლეხები. ლორის და ბორჩალოს მაზრის კვალდაკვალ აღდგნენ დუშეთი, აფხაზეთი და
სამეგრელო. რევოლუციის ალმა მოიცვა მთელი საქართველო". ეს ცნობები საქართველოში არსებულ
ვითომ აჯანყებათა შესახებ, რომელიც მეორდება შემდეგშიაც, არ შეეფერებოდა სინამდვილეს!

272. საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯები საქართველოში. 25 თებერვალს 1921 წ. XI
წითელი არმიის რევსამხედრო საბჭოს /ხელმძღვანელმა/ წევრმა ს. ორჯონიკიძემ ბაქოდან, სადაც ის
იმყოფებოდა თავისი შტაბით, შემდეგი დერეჟა გააგზავნა მოსკოვში ვილენინის და ი. ბ. სტალინის სახ-
ელზე.

მოსკოვი, კრემლი.

ვ. ი. ვილენინს, ი. ბ. სტალინს

*თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფ-
ლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა
საქართველოს!*

*ორჯონიკიძე
1921 წ. 25 თებერვალი*

ამ დეპეშაზე ვილენინმა უპასუხა ს. ორჯონიკიძეს წერილით მხოლოდ 5 დღის შემდეგ.

წერილი გ. კ. ორჯონიკიძეს

1921 წ. 3. III.

ბაქო. ორჯონიკიძეს

გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის
ყველა წევრს ჩემი მხურვალე საღამო საბჭოთა საქართველოსადმი. განსაკუთრებით
ვთხოვ მათ მაცნობონ-არის თუ არა ჩვენს შორის სრული თანხმობა სამ საკითხში:

პირველი: საჭიროა დაუყოვნებლივ შევიაარალოთ მუშები და უღარიბესი გლეხები
და ამნაირად შევქმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია.

მეორე: აუცილებელია ქართველი ინტელიგენციისა და წერილი ვაჭრების მიმართ
ათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა. უნდა შევიგნოთ, რომ არა თუ აზრი არა
ეს ამ წერილი ვაჭრების ნაციონალიზებას, არამედ საჭიროა ერთგვარი მსხვერპლიც
გავიღოთ, ოღონდ გავაუმჯობესოთ მათი მდგომარეობა და დაეუტოვოთ მათ
ლი ვაჭრობის წარმოების შესაძლებლობა.

სამე: უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოინახოს მისაღები
რმისი ბლოკისათვის ჟორდანისთან ამ მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან,

რომლებიც ჯერ კიდევ აჯანყებამდე აბსოლუტურად მტრულად არ იყვნენ განწყობილნი გარკვეული პირობებით საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების აზრისადმი.

გთხოვთ გახსოვდეთ, რომ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისაგან რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ ისეთი თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას, რომელიც ყოველგვარი წერილობრივუაზიული ელემენტებისადმი მეტ დამთმობლობაზე იქნება დამყარებული.

გთხოვთ პასუხს.
ლენინი
ქრონიკა

საბჭოთა ხელისუფლებამ თბილისში შემოსულისთანავე გამოუშვა საეციალური დეკრეტი პოლიტიკური ამნისტიის შესახებ. აი მისი ტექსტი:

დეკრეტი № 1

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის
რევოლუციონურ კომიტეტისა ამნისტიის შესახებ

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური მთავრობა, მოკლებული შურისძიების ყოველ გრძნობას თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ, რომელნიც თითქმის სამი წლის განმავლობაში ახშობდნენ მშრომელთა მასის ყოველივე მისწრაფებას, მიმართულს საბჭოთა ძალაუფლების დამყარებისაკენ, და რომელნიც გააფთრებით სდევნიდნენ მუშებისა და გლეხების კომუნისტურ პარტიას ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობის ხელისუფლების მთელი აპარატის საშუალებით, - ადგენს: გამოცხადებულ იქნეს ამნისტია ყველა იმ პოლიტიკურ პარტიებისა, ჯგუფების და პირებისა, რომელნიც აქტიურად გამოდიოდნენ საქართველოს საბჭოთა ძალაუფლების და კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ.

ამ ამნისტიის ძალით არც ერთი წევრი ამგვარი პოლიტიკური პარტიებისა, და საერთოდ არავინ, არ უნდა იქნეს დატუსაღებული, მიცემული სამართალში და ან ადმინისტრაციულად დევნილი იმ ბოროტი მოღვაწეობისათვის, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა ძალაუფლების და საქართველოს კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ.

დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე
ორახელაშვილი
1921 წ. თებერვლის 25.
ქ. თბილისი.

ეს ამნისტია შემდეგ საქართველოს საბჭოთა რევკომმა კვლავ გაიმეორა და გამოაქვეყნა ვაზ. "კომუნისტში" იმავე წლის მარტსა და აპრილში. ამ ამნისტიების შედეგად ბევრმა თავი შეიკავა საზღვარგარეთ წასვლისგან და ბევრი კიდევ, რომელიც მაინც წავიდა საზღვარგარეთ, მალე დაბრუნდა ისევ საქართველოში.

273. ოსმალეთის ამოძრავება საქართველოს წინააღმდეგ. როგორც კი ისმალეთმა დანახა საბჭოთა რუსეთის ამხედრება მენშევიკური საქართველოს წინააღმდეგ, მან მაშინვე მოინდომა ესარგებლა მომენტით. ოსმალთა ანკარას მთავრობამ ამ დროს საქართველოს მთავრობას წამოუყენა მოთხოვნილება არტაანის და ართვინის მისთვის გადაცემის შესახებ. ნოტა ამის შესახებ გადაეცა ანკარაშივე ამ დროს იქ ახლად ჩასულ საქართველოს წარმომადგენლობას. ჯერ კიდევ თბილისიდან პასუხის მიღებამდე ანკარას მთავრობამ ბრძანება მისცა თავის ჯარებს დაეკავებინათ არტაანი და ართვინი 23 თებერვალს 1921 წ. თბილისის მთავრობა იძულებული გახდა თანხმობა განეცხადებინა ოსმალეთის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებებზე. ქართველებმა დასცალეს არტაანი და ართვინი. ოსმალეთმა დაიკავეს ოსმალთ.

274. ბათუმის საკითხი. თბილისის დაკავებამ წითელი ჯარის მიერ კიდევ უფრო აამოძრავა ოსმალი, მათ დაიწყეს სასწრაფოდ მზადება ახალი ჯარის დასაგროვებლად. მათი მიზანი იყო ახალციხის მხარის და ბათუმის ოლქის მთლიანად დაკავება. გაჭირვებაში ჩავადნილმა მენშევიკების მთავრობამ გადაწყვიტა ოსმალთა დახმარებით შეეჩერებინა წითელი ჯარი /რადგანაც ანკარას მთავრობასა და საბჭოთა რუსეთს შორის ამ დროს მეგობრული განწყობილება იყო/ და შეენარჩუნებინა ქალ. ბათუმი რათა აქედან შესძლებოდა შემდეგ რაიმე დიპლომატიური მოლაპარაკების დაწყება. ამიტომ მენშევიკების მთავრობამ თანხმობა განუცხადა, რომ ოსმალთ დაკავებინათ თავიანთი ჯარებით, როგორც ახალციხის მაზრა, ისე ბათუმის ოლქი და გურიაც თვით ქალ. ბათუმის გარდა. როგორც ბათუმი, ისე ბათუმის ფორტები ბარცხანას, კახაბერსა და სამებაში ქართველების ჯარს ეკავა. ახალციხის მაზრაში სამხრეთიდან /არტაანიდან და ჭოროხის ხეობიდან/ ოსმალთ თოვლიანი მთების გამო გადაიყვანეს მხოლოდ მცირე რაზმები. ბათუმს კი ოსმალთ ჯარი მიაღდა 4-5 მარტს. სულ ოსმალთა ჯარი იყო 3 ათასი კაცის რაოდენობით. ამათგან 2 ათასი ბათუმთან და ათასი კაცი ოლქში. შეთანხმების მიხედვით ოსმალი ბათუმში არ უნდა გაჩერებულყვნენ მეტად, ვიდრე ეს საჭირო იყო მათი გადასაჯგუფებლად, რათა შემდეგ წასულიყვნენ საზღვრების დასაკავებლად. მაგრამ როდესაც ბათუმის კომენდანტმა გენ.ფურცელაძემ მენშევიკების მთავრობისაგან მიღებული ბრძანების თანახმად დაუთმო ოსმალთ ბარცხანის კაზარმების ერთი შენობა და დაუწყო ოსმალთ ჯარისკაცთ გამოცხვარი პურის მიწოდება, ოსმალთ ჯარის სარდლობამ მოითხოვა ბათუმის ფორტებისაც მისთვის გადაცემა. ოსმალთ რაზმებს ახალახალი ძალები ემატებოდა, რომელნიც ბათუმის აღმოსავლეთ ნაწილებში ბანაკდებოდნენ. ცხადი იყო, რომ ისინი აპირებდნენ ქალაქ ბათუმის დაკავებას მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში ამ დროს რუსეთსა და ოსმალეთს შორის წარმოებულ მოლაპარაკების შედეგად ბათუმის საკითხი წყდებოდა საქართველოს სასარგებლოდ.

ილის 16 მარტისათვის ოსმალთა ჯარის რიცხვი ბათუმის აღმოსავლეთ ნაწილში ორი ათას კაცს უდრიდა და გარდა ამისა 1 1/2 ათასამდის კაცი იმყოფებოდა ლივანასა და ბათუმის შუა, აგრეთვე აჭარის წყალზე და მდ. ჩოლოქზედაც გურიის მიჯნაზე /ამ უკანასკნელ ადგილას ორასამდის კაცი/. მაშინ მენშევიკების მთავრობამ სთხოვა წითელი არმიის სარდლობას გამოეგზავნა საჯავახოდან საქაროდ წითელი ჯარის ნაწილები ბათუმის დასაკავებლად. 17 მარტს სადგურ საჯავახოსკენ მენშევიკების მთავრობის განკარგულებით გაგზავნილ იქნა ვაგონები წითელი არმიის ეშელონების ბათუმისაკენ გადასაყვანად.

15-16 მარტს ქართველი ჯარები /მენშევიკების მთავრობისა/ ბათუმში სრულ საომარ მზადყოფნაში იმყოფებოდნენ. ღამე ქალაქში დადიოდა ქართველების მძლავრი პატრულები. ქართველების სარდლობამ გაიგო, რომ ოსმალი აპირებდნენ 17 მარტს ძალით ფორტების დაკავებას, ხოლო იმავე ღამეს განაიარაღონ ქართული ნაწილები. მართლაც, 17 მარტს დღის 12 საათიდან ოსმალთ ბარცხანის კაზარმებიდან დაიწყეს სხვადასხვა მიმართულებით დაჯგუფება. მთელი დღე ბათუმის კომენდანტი გენ.ფურცელაძე რამოდენიმეჯერ იყო ოსმალების სარდლობასთან, ოსმალების ელჩთან კიაზიმ-ბეისთან, მენშევიკების ჯარის მთავარსარდალ გენ.კვინიტაძესთან და მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიასთან. ოსმალი მოითხოვდნენ, რომ ისინი შეეშვათ ბათუმის ფორტებში. ცხადი იყო, რომ ოსმალი აპირებდნენ ქალაქის მთლად დაკავებას და ეს საფრთხე მოსალოდნელი იყო ყოველ წუთში. ამიტომ იმავე 17 მარტს საღამოს ოსმალთაგან ბათუმის გადარჩენის მიზნით ბათუმის არალეგალურ ბოლშევიკურ პარტ-ორგანიზაციის პასუხისმგებლობით შესდგა ბათუმის ბოლშევიკური რევოლუციური კომიტეტი /რევკომი/, რომელსაც მენშევიკების მთავრობამ გადასცა ხელმძღვანელობა ჯარის მიმართ და ქალაქის დაცვის საქმეში. რევკომი საღამოს ცხრა საათზე გადავიდა ბათუმის ციხის შტაბში, საიდანაც გენ.ფურცელაძესთან ერთად ხელმძღვანელობდა ოპერაციებს ბათუმის შესანარჩუნებლად.

საღამოს 10 საათზე /17 მარტს/ ოსმალების მცირე რაზმმა დაიკავა ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის შენობა და სამილიციო სამმართველოების შენობები, ხოლო დამის 12 საათზე სპეციალური ბრძანებით კიაზიმ-ბეიმ გამოაცხადა ბათუმი და მისი ოლქი შეერთებულად ოსმალეთთან და თავისი თავი კიდევ გენერალ-გუბერნატორად. ქართველების ჯარს კი წინადადება ეძლეოდა გასულიყო ოლქის საზღვრებიდან ანდა დაეყარა იარაღი.

18 მარტს დილიდანვე დაიწყო ბრძოლები ფორტებთან. თურქებს უნდოდათ დაეკავებინათ კახა-ბერის ფორტი, რომელთანაც თურქების ერთ-ერთი ბატალიონი უკვე ორი დღე იყო დაბანაკებული. უცხად თურქებმა ატეხეს ზარბაზნების სროლა, ქართველების ორი ზარბაზანი მომსახურე არტილერიისტების გაწყვეტით ჩააჩუმეს და თურქების ბატალიონმაც დაიწყო ფორტის გარშემოვლა მისი დაკავების მიზნით. მაგრამ ქართველების ორმა დარჩენილმა ზარბაზანმა კარტყით გაწყვიტა ბევრი თურქი და დანარჩენნი გაიქცნენ. თურქების რაზმები სხვაგანაც ასევე გადავიდნენ შეტევაზე სათანადო პოზიციების დასაკავებლად და ბათუმის ხელში ჩასაგდებად. ქართველების მხრივ ბრძოლას უძღვებოდნენ გენ.ფურცელაძე. შემომტევი თურქები ყველგან უკუვდებულ იქნენ. დღის 12 საათზე ბათუმში მოვიდა საჯავახოდან რუსული წითელი არმიის მე-192 პოლკის პირველი ეშელონი, ხოლო საღამოს კი ქალაქში შემოვიდნენ ელობას მეთაურობით ახალციხიდან აჭარაზე მომავლელი ცხენოსანი წითელი ნაწილები. თუმცა წითელი ჯარის ნაწილებს საერთაშორისო მოსაზრებების გამო არ შეეძლოთ ოსმალებთან შებრძოლება, მაგრამ ზურგ-გამაგრებულ ქართველ ნაწილებს ეხლა მეტი გული მოეცათ. 18-20 მარტს ფორტებზე კიდევ სწარმოებდა სროლა, ხოლო 21 მარტს ღამით ქართველ ნაწილებმა ყოველი მხრივ შეუტიეს ოსმალთა ჯარებს, დაამარცხეს ისინი და განაიარაღეს. მთელ ბრძოლებში ქართველების ზარალი უდრიდა ასამდის მოკლულს დაჭრილების გარდა. ქალ. ბათუმი ამგვარად გადარჩენილ იქნა.

275. საზღვრის დაღმენა ოსმალეთთან. 16 მარტს 1921 წ. საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებულ იქნა მოსკოვში მეგობრობის და ძმობის ზემოდმოსწინებული ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით ოსმალეთი ღებულობდა არტაანის, ოლთისის, ართვინის მხარეებს და ბათუმის მხარის სამხრეთ ნაწილს. ბათუმი აღიარებულ იქნა საქართველოს სუვერენიტეტის ქვეშ მყოფად, ხოლო აჭარას უნდა ჰქონოდა ავტონომია. სომხეთის მიმართულებით ყარსის და ყაგიზმანის მხარეები აღიარებულ იქნა ოსმალეთის კუთვნილებად, ნახჭევანის მხარე კი ღებულობდა ავტონომიას აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის სუვერენობით. ოსმალეთმა ამგვარად შესძლო ბრესტ-ლიტოვსკის ზავით გათვალისწინებული უპირატესობანი ბათუმის და ყარსის ოლქების მიმართ მეტ წილად განეხორციელებინა. საბჭოთა რუსეთი კისრულობდა ვალდებულებას გადაედგა საჭირო ნაბიჯები, რათა მოსკოვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები ეცნო საბჭოთა საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკებს.

კულტურა

276. ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება. რუსული მართებლობის დამყარების გამო ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესი, დაწყებული ჯერ კიდევ ვახტანგ V-ის დროს, შეჩერდა. პრატიკულ მწიგნობრულ ხმარებაში სამმართველო დაწესებულებათა და კანცელარიების სახით ქართული ენა უკვე არ იყო. ამით აიხსნება, რომ 1817-1832 წლებში სხვადასხვა სახელის ყოველკვირეული გაზეთები, რომელთაც თბილისში სცემდა თვითმმართველობა, ძლიერ ცუდი ენით იყო წარმოდგენილი. პირველად გრიგოლ ორბელიანმა და ნიკბარათაშვილმა თავიანთ ლექსებში აღადგინეს XVIII ს-ნის სამეფო კანცელარიის სტილი, რომლის დამახასიათებელი იყო შემოკლებული გრამატიკული ფორმა, წინადადების სადა წყობა და ამსათანავე აზრის გამოთქმის მკვეთრი კონკრეტულობა. გრიგოლ ორბელიანის და ნიკბარათაშვილის ლექსებმა ახალი მიმართულება მისცეს ქართულ სალიტერატურო ენას. ეს მიმართულება განვითარდა 1860-1880-იან წლებში და საბოლოოდ ჩამოყალიბდა ილია ჭავჭავაძის "ივერია"-ში დაწყებული 1877 წლიდან.

277. მწერლობა. ბატონყმობის გაუქმების აუცილებლობამ წარმოშვა ქართულ მწერლობაში როგორც სოციალური ცხოვრების, ისე კულტურის ღირებულებათა კრიტიკულად გადაფასების მიმართულება, რომელიც თავის მხატვრულ შემოქმედებაში ადგა რეალისტურ გზას. ამ მიმართულების ფუძემდებელი იყო პოეტი და ბელეტრისტი ილია ჭავჭავაძე /1837-1907/. თავის მოთხრობებში ის სასტიკად ამატრახებდა ბატონყმობის დუხჭირ პირობებს და ასევე დუხჭირ და ბოროტ მებატონეთ ("გლახის ნაამბობი", "კაცია-ადამიანი", "კაკო ყაჩაღი" და სხვ.). შემდეგში ის აყენებდა დიდ ჰუმანურ პრობლემებსაც /პოემა "განდეგილი", "სახარობელაზე"/. ილია ჭავჭავაძე ცნობილი იყო აგრეთვე როგორც პუბლიცისტი.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ეროვნული იდეის მებაირახტრე, სძულდათ კონსერვატიულად განწყობილ ქართველებს. ასეთ ატმოსფეროში ის მოკლულ იქნა 1907 წლის აგვისტოში.

მეორე მნიშვნელოვან ფიგურას ამ დროს ქართულ ლიტერატურაში წარმოადგენდა აკაკი წერეთელი /1840-1915/. პირველხარისხოვანი ლირიკოსი, ის თავის ლექსებში ეხებოდა სოციალურ მოტივებსაც. თავის ნაწარმოებებში მიესალმებოდა 1905 წლის რევოლუციას, მოუწოდებდა ქართულ ენის და ქართული ვინაობის დაცვისაკენ, ქართველ ხალხში აღვივებდა იმედს უკეთესი მომავლისადმი. თავის პოემებში, მოთხრობებში და დრამებში აკაკი წერეთელს აღებული ჰქონდა სიუჟეტები საქართველოს წარსულიდან.

ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის მეშვეობით ახალმა ქართულმა სალიტერატურო ენამ მიიღწია შემდგომ განვითარებას და საბოლოო ჩამოყალიბებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ილია ჭავჭავაძის ჟურნალი და გაზეთი "ივერია" და აკაკი წერეთლის ნაწარმოებები.

XIX ს-ნის მეორე ნახევარში ქართულ მწერლობაში გამოჩნდა მთელი რიგი სხვა მწერლები. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავნი არიან პოეტი რაფიელ ერისთავი /1824-1901/, გიორგი წერეთელი /1842-1900/, რომელიც თავის ბელეტრისტულ ნაწარმოებებში ასახავდა კაპიტალიზმის ჩვენში შემოჭრის მომენტებს, ხალხოსნური იდეების გავლენის ქვეშ მყოფნი ნიკო ლომოური /1852-1915/, სოფრომ მგალობლიშვილი /1851-1925/ და სხვანი. ცალკე დგანან თავისი მაღალი შემოქმედებით მთის საქართველოს შინაგანი საიდუმლოების მხატვრულად ამსახველნი ალექსანდრე ყაზბეგი /1848-1893/ და ვაჟა-ფშაველა /1861-1915/. დავით კლდიაშვილი /1862-1931/ იყო შემო-იმერეთის დეგრადირებული წვრილი აზნაურობის ყოფა-ცხოვრებიდან ნიჭიერად დაწერილი მოთხრობების და კომედიების ავტორი.

ღარიბი გლეხების წვალებითი ცხოვრება, სოფლის წურბელების და გადაგვარებული წვრილ აზნაურთა მავნე და ბოროტი ყოფა შეადგენდა მესამე დასის ერთ-ერთი დამაარსებლის ბელეტრისტ ნიკოლოზის /1859-1894/ შემოქმედების თემებს.

ილია მწერლების /ილია ჭავჭავაძით და აკაკი წერეთლით სათავეში/ დგანალი ქართველი მწერლობის დასის შემოქმედებანი. ქართველმა მწერლებმა რუსეთის საიმპერიო მთავრობის გა-

მარ-უსებელი პოლიტიკის საწინააღმდეგოდ თავიანთი ნაწარმოებებით შეაყვარეს ქართველი ხალხის მკითხველ ნაწილს ქართული სამწიგნობრო ენა და ქართული წიგნი. ყველა ქართველი მწერალი მუშაობდა სავსებით უანგაროდ-ლიტერატურული შრომით, მაშინ საქართველოში, ცხოვრება არ შეიძლებოდა. მწერლობის განვითარების მეოხებით ქართველი ხალხის მიერ მისი ეროვნული სახის შენარჩუნება უზრუნველყოფილ იქნა.

XX ს-ნის თავ-ნაწილში მუშათა კლასის აქტიურად ამოქმედებასთან ერთად ჩნდებიან დემოკრატიული პოეზიის პოეტები. ასეთებს შორის პირველ რიგში აღსანიშნავნი არიან ნოე ჩხიკვაძე /1883-1920/ და იროდიონ ევლოშვილი /1873-1915/.

XX ს-ნეში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდის სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდნენ ბელეტრისტი ლეო ქიაჩელი, დრამატურგი შალვა დადიანი, პოეტი გალაკტიონ ტაბიძე და ქართველი სიმბოლისტები, ევრეთ-წოდებული "ცისფერყანწულები". მეტ წილად ისტორიულ თემებს ეხებოდა თავის ნაწარმოებებში ბელეტრისტი ნიკო ლორთქიფანიძე.

278. პრესა. პირველი ყოველდღიური გაზეთი ქართულად იყო "დროება" (1877 წლიდან, რომელიც შემდეგ შესცვალა "ივერიამ". გაზეთის ტირაჟმა XIX ს-ნის მიწურულისათვის ძლივს მიაღწია ათას ცალამდის. XX ს-ნის დასაწყისიდან ქართულად თბილისში ჩვეულებრივ გამოდიოდა ორი ყოველდღიური გაზეთი /1905-1906 წლებში მეტიც/. შემდეგ გაზეთი გამოდიოდა ქუთაისშიც /ხანდახან ორიც/, ხოლო პირველი იმპერიალისტური ომის დროს თბილისში გამოდიოდა სამი ქართული გაზეთი /სოცდემოკრატი მენშევიკების, სოც.-ფედერალისტების და ნაციონალ-დემოკრატების/. ყველაზე მეტი ტირაჟი ჰქონდა მენშევიკურ გაზეთ "ერთობა"-ს /8 ათასი ცალი, სხვებს 2-4 ათასი/.

იყო ქართული გაზეთი ბათუმშიც.

თბილისში თავიდანვე იყო რუსული პრესა. 1910-იან წლებში თბილისში გამოდიოდა 5-6 რუსული გაზეთი. სომხური პრესის ცენტრი ამიერ-კავკასიაში აგრეთვე თბილისი იყო.

1894-1905 წლებში თბილისში გამოდიოდა კარგი ქართული ყოველთვიური ჟურნალი "მოამბე". იყო საბავშვო ჟურნალიც "ჯეჯეილი", რომელსაც შემდეგ მიემატა ასეთივე ჟურნალი "ნაკადული".

279. მეცნიერება და ხელოვნება. რუსეთის ცარიზმის გამარ-უსებელი პოლიტიკის შედეგად მეცნიერება ქართულად ვერ ვითარდებოდა. გამონაკლის მოვლენას წარმოადგენდა ოდესის უნივერსიტეტის პროფესორ ვაქტრიაშვილის მიერ ქართულად დიდტანიანი წიგნის გამოცემა ღვინის დაყენება /1895 წ./ და სხვა მისი ანალოგიური ხასიათის შრომები.

მთელი მეცნიერული მუშაობის ურადლება საქართველოში მიპყრობილი იყო საქართველოს ისტორიისა, არქეოლოგიისა, ძველი ქართული მწერლობის და ძველი ხელოვნების მიმართ. საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის ფუძემდებელია ფრანგი მბროსე, რომელიც 1836-1880 წლებში /სიკვდილამდის/ რუსეთის სამეცნიერო აკადემიის წევრი იყო პეტერბურგში. მის დროს 1840-იან წლებში დაიწყო თბილისში საქართველოს ისტორიაში მუშაობა პლატონ იოსელიანმა, რომელსაც შემდეგ მიჰყვნენ დიმიტრი ბაქრაძე, თედო ჟორდანი, მოსე ჯანაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი (ეს ორივე XX ს-ნეში გადმოსვლით). დიდი ღვაწლი დასდო ქართულ ფილოლოგიას და ქართული ენის შესწავლას პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა /შემდეგ რუსეთის აკადემიკოსმა/ ნიკო მარამბა. ქართულ ლიტერატურის ისტორიას თავისი დიდი შრომებით საფუძველი ჩაუყარა ლაზარევის აღმოს. ენების ინსტიტუტის პროფესორმა ალ.ხანანაშვილმა. ძველ-ქართული სხვა სამწიგნობრო ძეგლების შესწავლაზე მეტად ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებდა კორნ.კეკელიძე საქართველოს ისტორიაში XX ს-ნის ამ მონაკვეთში მუშაობდნენ ივ.ჯავახიშვილი, ს.კაკაბაძე და სხვანი.

XIX ს-ნის უკანასკნელ მესამედში ქართული მხატვრობა ვითარდება რუსული მხატვრობის და რუსეთში დროგამოშვებით არსებული მიმართულებათა მიხედვით. ამ გზას ადგენენ მხატვრული აგუტუნავა და შემდეგ /XX ს-ნეში/ გვაბაშვილი. ხალხურობა თემატიკის თვალსაზრისით ამრეკლიშვილის /1866-1933/ და აგოგიაშვილის /1878-1907/ ყოფა-ცხოვრებით ნაწარმოებულ თემატიკის თვისებებზე ნიჭიერ მხატვრებად გამოვიდნენ ნიკო ფიროსთანი, მოკლებული პრიმიტივი/ და აგრეთვე დავით კაკაბაძე და ლადო გუდიაშვილი.

გიორგი ერისთავის ქართული თეატრის გაუქმების შემდეგ ქართული წარმოდგენები თბილისსა და ქუთაისში იმართებოდა დროგამოშვებით /წელიწადში თითო-ორჯერ/. მაგრამ თბილისში იყო რუსული დრამატული თეატრი, აგრეთვე იტალიური ოპერა, რომელსაც შემდეგ მოჰყვა რუსული ოპერა. ქართული დრამა 1879 წლიდან უკვე შეუწყვეტილ არსებობდა და ვითარდებოდა კიდევ. გაჩნდნენ ნიჭიერი კომედიოგრაფები და დრამატურგები /ავქსენტი ცაგარელი და სხვანი/, მაღალხარისხოვანი მსახიობები, ქველმოქმედებით მომუშავე ხელმძღვანელები /აკ.წერეთელი, გ.თუმანიშვილი და სხვანი/. მუდმივი დასი შემდეგ გაჩნდა ქუთაისშიც /დიდ ხანს მას ხელმძღვანელობდა ნიჭიერი მსახიობი ვლ.ალექსი-მესხიშვილი/. XX ს-ის აღნიშნულ ხანაში საქართველოში იყო ხუთი რუსული მუდმივი თეატრი და სომხური დრამა, რუსული ოპერა, ყველა ესენი თბილისში, ქართული თეატრი /თბილისსა და ქუთაისში/. 1919 წელს თბილისში დაიდგა პირველი ქართული ოპერა ზაქაფალიაშვილის "აბესალომ და ეთერი".

280. ბანათლევა. განათლების საქმე განვილილ ხანაში ვიდრე 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდის მიზნად ისახავდა მოსახლეობის გარუსებას. გამონაკლისს შეადგენდნენ არამართლმადიდებელთა რელიგიური სკოლები, რომელთაგან მაჰმადიანური სკოლები ათურქებდნენ მოსახლეობას, ხოლო სომხური სკოლები კი ასომხებდნენ ქართულად მოლაპარაკე არასომხებ გრიგორიანებსაც. საერთოდ კაპიტალისტური ხანის დაწყებიდან რუსეთის თვითმპყრობელური იმპერიის პოლიტიკაზე გავლენას აძლიერებს ზრდაში მყოფი ბურჟუაზია, რის შედეგად გამარუსებელმა პოლიტიკამ რუსეთის სახელმწიფოში კიდევ უფრო იმატა. ასე იყო ყველგან იმპერიაში და კერძოდ საქართველოშიც. ამიტომ სწავლა სასწავლებლებში ყველგან /მართლმადიდებელურ რელიგიურ სკოლებშიც/ იყო რუსულად. თუმცა ქართული ენა საქართველოში ცალკე საგნად მაინც ისწავლებოდა, მაგრამ მხოლოდ მსურველთათვის და მეტად მცირედ.

ზოგადად კი ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ განათლების საქმემ უფრო სწრაფად იწყო წინსვლა. დაბალ განათლებას ეხლა ღებულობდნენ გლეხთა შვილებიც. 1875 წ. საქართველოში იყო 324 სასწავლებელი, ამათგან 2 გიმნაზია, 2 პროგიმნაზია, 1 რეალური სასწავლებელი, 1 სამასწავლებლო ინსტიტუტი, 1 ქალთა გიმნაზია და 1 პროგიმნაზია, 27 ქალთა სასწავლებელი, 8 სამაზრო და საქალაქო სასწავლებელი, 259 დაწყებითი საქალაქო და სასოფლო სკოლა, 22 კერძო სკოლა. ყველაზე მეტი ხარჯი მიდიოდა საშუალო სასწავლებლებზე (გიმნაზიებზე და სხვ.). შედარებით 1860 წელთან სასწავლებლების რიცხვმა იმატა თითქმის 2-ჯერ, მოსწავლეების რიცხვმა კიდევ უფრო მეტად. შემდეგშიც განათლების საქმე უფრო და უფრო ვითარდებოდა, მაგრამ განსაკუთრებული სიძლიერით 1905 წლის რევოლუციის შემდეგ. ხალხის ფართე მასა ცდილობდა დაწავლიყო ცოდნის მიღებას და ცდილობდა ბავშვების შეყვანას სკოლებში. ახალი სკოლის გასასხნელად მოსახლეობა კისრულობდა სასკოლო შენობის გაშენებას თავის ხარჯზე, მაგრამ კავკასიის სასწავლო ოლქი მასწავლებელთა ნაკლებობის გამო ყოველთვის ვერ ახერხებდა ამის შესრულებას. 1915 წელს სახელმწიფოს (სახალხო განათლების სამინისტროს და სინოდის) ხარჯზე იყო 12 ვაჟთა გიმნაზია, 14 ქალთა გიმნაზია, 2 ქალთა ეპარქიული სასწავლებელი, 1 რეალური სასწავლებელი, 1 სასულიერო სემინარია, სულ 31 სრული საშუალო სასწავლებელი /სამხედროების გარდა/. ხოლო განათლების სამინისტროს უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი (ექვს-კლასიანი) იყო 40. ამავე ტიპის იყო ქალაქებში საქალაქო სასწავლებლები საქალაქო თვითმმართველობათა ხარჯზე და სხვ. სამინისტროს პირველდაწყებით სკოლებში სწავლობდა თბილისის გუბერნიაში 28,8 ათასი მოწაფე, ქუთაისის გუბერნიაში 45,3 ათასი, ბათუმის ოლქში 2,6 ათასი, სოხუმის ოლქში 2,4 ათასი, ზაქათალის ოლქში 447 მოწაფე, სულ 79,4 ათ. მოწაფე, რომელთაგან 1/3 გოგონები იყვნენ. სინოდის უწყების /მართლმადიდებელთა/ დაწყებით სკოლებში იყო 38 ათ. მოწაფე, ქუთაისის გუბერნიაში 23,4 ათ. მოწაფე, თბილისის გუბერნიაში 10,4 ათ. და სხვ.

შემაჯავთა ამასთანავე, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ თანდათან დას.საქართველომ მხრივ გადაასწრო აღმსაქართველოს. ამისი მიზეზი იყო ის, რომ დას.საქართველოს ხალხი მეტად აღწევდა თავს დროებით ვალდებულ მდგომარეობას და მცირეკნი-სადა გარე სამუშაოებზე, რაც ხელს უწყობდა მას-გათვითცნობიერებას. თბილისსა და ქუთაისში კი რუსულად.

თბილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საკითხი წამოყენებული იყო ჯერ კიდევ 1860-იან წლებში, მაგრამ ამ საქმის პრაქტიკულად გადაწყვეტას არაფერი ეშველა. ქართველი ახალგაზრდობა სწავლას საშუალო სასწავლებლების დამთავრების შემდეგ /ასეთი სასწავლებლები მეტად მცირედ იყვნენ/ აგრძელებდნენ რუსეთის და მცირედ დასვეროპის უმაღლეს სასწავლებლებში. მხოლოდ 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ, გადაწყდა თბილისში დაარსებულიყო პოლიტექნიკური ინსტიტუტი სახელმწიფო ხარჯზე. უნდა ამხენებულიყო ნავთლულში დიდი შენობა და ამის შემდეგ გაიხსნებოდა პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მთავრობის ამ დადგენილებას დაასწრო საზოგადოებრიობამ. სახელდობრ, თბილისში 1909 წლიდან უკვე არსებობდა ქალთა უმაღლესი კურსები ორი ფაკულტეტით /რუსეთში სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ქალებს არ ღებულობდნენ, ამიტომ მათთვის დიდ ქალაქებში არსებობდა კერძო პირთა ან ორგანიზაციების ხარჯზე არსებული კერძო უმაღლესი კურსები/. 1917 წლის სექტემბრიდან ამ სასწავლებელში მიიღეს ვაეებიც, რის შემდეგ მას დაერქვა ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტი. სწავლა ამ სასწავლებელში მიდიოდა რუსულად. ფაკულტატურად იკითხებოდა საქართველოს ისტორიაც ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1917 წლის სექტემბრიდან თბილისში გაიხსნა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სადაც აგრეთვე სწავლა მიდიოდა რუსულ ენაზე.

ამავე დროს უკვე წარმოებდა მუშაობა ქართული უნივერსიტეტის გასახსნელად. თებერვლის რევოლუციის შემდეგ უნდა გაუქმებულიყო წოდებანი, ხოლო თბილისის და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობას, როგორც ორგანიზაციას, ჰქონდათ ქონება-საადგილმამულო ბანკები, სათავადაზნაურო გიმნაზიათა შენობები თბილისსა და ქუთაისში, თბილისში ქართული თეატრის შენობა დიდი ქარვასლათი და სხვ. რადგანაც წოდებათა გაუქმების შემთხვევაში მთელი ეს ქონება გადავიდოდა რუსეთის სახელმწიფოს საკუთრებად, და ეს კი თავადაზნაურობის მესვეურთ არ უნდოდათ, ამიტომ გიორგი ჟურულის და კოტე აბხაზის ინიციატივით თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში გადაწყდა თავადაზნაურობის, როგორც წოდებრივი ორგანიზაციის, ქონება გამოყენებინათ თბილისში ქართული კერძო უნივერსიტეტის გასახსნელად /1914 წლის 1 ივლისს რუსეთში გამოვიდა კანონი, რომლის მიხედვით ადგილობრივ ენებზე ნებადართული იყო კერძო სასწავლებლების გახსნა, მაგრამ ყოველგვარ უფლებათა გარეშე/. ეს კანონი იძლეოდა ქართული კერძო უნივერსიტეტის გახსნის უფლებას.

დაარსდა საუნივერსიტეტო კომიტეტი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის კოტე აბხაზის თავმჯდომარეობით. მაგრამ რადგანაც უნივერსიტეტის გახსნა დაგვიანდა ამიტომ შემდეგში უკვე ლიკვიდირებულმა თავადაზნაურობამ თავისი ქონება გადასცა ახლად დაარსებულ ეროვნულ საბჭოს, რომელმაც თავის მხრივ იკისრა უნივერსიტეტისათვის ნიუთიერი დახმარების გაწევა. უნივერსიტეტი გაიხსნა 1918 წლის იანვრის ბოლოს ჯერჯერობით მხოლოდ ერთი სობრძინსმეტყველების ან ფაქტიურად ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სახით. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უნივერსიტეტი აყვანილ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტზე /1918 წ. აგვისტო/ ამის შემდეგ მას ემატებოდა ახალი ფაკულტეტები.

1918 წლის სექტემბრიდან დაბალი და შესაძლებლობის ფარგლებში საშუალო სკოლაც ქართულ მოსახლეობაში გადაყვანილ იქნა რუსულიდან ქართულ ენაზე. თანდათან გამოდიოდა სათანადო სახელმძღვანელოები ქართულად.

281. ჰოფა-ცხომერება. ბატონყმობის გადავარდნამ მოიტანა ცვლილებანი ყოფაცხოვრებაში. მკულეებს უკვე ძალზე შეუმცირდათ ან სრულებით არ ჰყავდათ მუქთი მუშახელი. თუმცა საერო მემამულეების ნიუთიერი მდგომარეობა ზოგ შემთხვევაში გაუმჯობესდა კიდევ, მაგრამ მუქთი ხელის დაკარგვამ დიდი გავლენა მოახდინა მათზე და ისინი ეხლა ცდილობენ უფრო ყარცხოვრებას მიჰყონ ხელი. მემამულეთა წრეებში შემცირებას იწყებს წინანდელი გულუხვი საანობა მრავალი თანმსლე პირებით და სხვ. ახალი ყოფა დაეტყო მემამულეთა გარეგნობა ლურ მდიდრულ ქულაჯას და იმერეთ-გურიაში ასეთივე მდიდრულ ოქროკლდით ტანისამოსებს ცვლის სადა ჩოხა, გადმოღებული ოდიშიდან, სადაც ის შესულია.

მაინც თავადური გულზვიადობა განსაკუთრებით 1905 წლის რევოლუციის რაჭა-ლეჩხუმში, სადაც ჩამორჩენილი ჩვევები უფრო დიდ ხანს არსებობდ

შემთხვევაში 1905 წლის რევოლუციის შემდეგაც/ სოფლად თავის სახლიდან გადიოდნენ აუცილებლოე ერთი მხლებელის მაინც თანხლებით. ქართლ-კახეთში ეს უკვე აღარ იყო.

გლახობა ქართლში იშვიათ შემთხვევაში თუ ახერხებდა მიწურიდან ამოსვლას და საცხოვრებლად მიწის ზედა სახლში გადასვლას /ამის შესაძლებლობა ჰქონდათ მხოლოდ უფრო შეძლებულ ანდა საშუალო შეძლების გლახებს/. კახეთში გლახობა ცხოვრობდა მეტწილად ერთთვალთან ქვითკირის სახლში, რომლის ქვედა სართულს მარანი შეადგენდა. დასაქართველოში ისლით დახურული წნული შენობები გლახობისათვის თანდათან ქრებოდა და ბევრ ადგილას /განსაკუთრებით ქვემო და ზემო იმერეთში/ ჩნდებოდა ოდები – ორ-სამოთახიანი სახლები ცალკე გაშენებული სამზადი სახლითურთ. ოდა-სახლები გადახურული იყო ყაფრით, სამზადი სახლები კი ისლით. მაგრამ ბევრი, განსაკუთრებით სამეგრელო-აფხაზეთში და გურიაში ცხოვრობდა კვლავინდებურად ისლით გადახურულ შუაეცხლიან სახლებში, რომელნიც წინანდელ წნულთაგან განსხვავებულად უმეტესად ფიცრისაგან იყვნენ გაშენებული.

მემამულეები სოფლად ცხოვრობდნენ კარგად გამართულ სახლებში, უფრო შეძლებულნი ორ და სამსართულიან სახლებში.

ქალაქებში როგორც თბილისში, ისე სხვაგან (ქუთაისსა, ბათუმს, სოხუმს და სხვაგან) სახლები ამ ხანაში შენდებოდა ევროპულ სტილზე, ცალკე შემთხვევებში მშენებლობის ადგილობრივ ჩვევებთან შეზავებით.

გამომცემლობა „ნეკერი“



ღაინტერესებულ პირებს სთავაზობს

1. გალაკტიონ ტაბიძე – „მერი“
2. ანრი ბერგსონი – „ცნობიერების უშუალო მონაცემები“ (წინასიტყვაობა – ნიკოლოზ ლოსკისა, თარგმანი – ბაჩანა ბრეგვაძის)
3. ალბერტ შტეკელი – „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია“ (თარგმანი – ბაჩანა ბრეგვაძის)
4. პოლ ვალერი – „სკულის კრიზისი“, (თარგმანი – ბაჩანა ბრეგვაძის)
5. სვამი ვივეკანანდა – „ჩანა-იოზა“, (თარგმანი – ბაჩანა ბრეგვაძის)
6. ნეტარი ავგუსტინე – „აღსარებანი“, (თარგმანი, კომენტარები – ბაჩანა ბრეგვაძის)
7. სარგის კაკაბაძე – „ვახტანგ ბორბასალი და მისი ხანა“
8. „კრიმინალისტიკა“ (I-II ტომი), აპოლონ ფალიაშვილის რედაქციით (სახელმძღვანელო)
9. ლევან ალექსიძე – „საერთაშორისო სამართლის საფუძვლები“ (სახელმძღვანელო)
10. ალექსანდრე რონდელი – „საერთაშორისო ურთიერთობები“
11. „გეომორფოლოგიური ლექსიკონი“ (ზურაბ ტატაშიძის რედაქციით)
12. „სომხურ-ქართული ლექსიკონი“ (შემდგენელი – ლეონ მელიქსეთ-ბეგი, გადაამუშავა, შეავსო და გამოსაცემად მოამზადა მერაბ რობაქიძემ)
13. რემონ ქანენი – „საქართველო“, (თარგმანი – მზია მგალობლიშვილის)
14. ელენე მეტრეველი – „ნარკვევები ათონის კულტურულ-საბუნებისმეტყველებით კერის ისტორიიდან“
15. „პარალელური ტექსტები“ (ფილოსოფიური ჟურნალი, გიგი თევზაძის)
16. გია ჭანტურია – „მსოფლიოს ეპრონომიკური და სოსიალური გეოგრაფია“

გამომცემლობის მისამართია:

ილია ჭავჭავაძის გამზ.

ტელ.: 29 08 37, 22



სარბის კაკაბაძე (1886-1967)

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ვენის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის ისტორიის განყოფილებაზე (1905-1907), შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1910 წელს. მის მიერ შესწავლილი და გამოქვეყნებულია მრავალი ისტორიული დოკუმენტი (ამ დოკუმენტების დიდი რაოდენობა 1915 წელს გატანილ იქნა ჩრდილოეთ კავკასიაში და იქ დაიღუპა, რის გამოც ს. კაკაბაძის პუბლიკაციები და 1908-1912 წწ. მის მიერ გადაწერილი 1300-მდე დოკუმენტის პირი დედნის მაგივრობას სწევს), ისტორიული დოკუმენტებისადმი მისი დამოკიდებულება მკაფიოდ გამოიხატა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის, პალეოგრაფიის, ნუმისმატიკის, მეტროლოგიის, ფილოლოგიისა და ტექსტოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილ 300-ზე მეტ პუბლიკაციაში. მეტად პროდუქტიული ავტორის აქამდე უცნობი ფაქტობრივი მასალით საესე გამოკვლევების უდიდესი ნაწილი კი დღის სინათლეს ელის. წინამდებარე გამოცემა გარკვეულწილად ავსებს აღნიშნულ ხარვეზს.